Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press – 2012

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ვ. ამანაძე

ვეპიტაული

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კ. მარქსი

კაპიტალი

პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა

ტომი მეოთხე

წიგნი II: კაპიტალის მიმოქცევის პროცესი

სახელგამი
1957

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისაგან

კ. მარქსის «კაპიტალის» მეორე ტომი ქართულ ენაზე პირველად 1933 წელს გამოვიდა. თარგმანი, რომელიც ფ. გოგიჩაიშვილს ეკუთვნოდა, შესრულებული იყო კაუცკისეული გერმანული გამოცემიდან. «კაპიტალის» მეორე ტომის ახალ ქართულ გამოცემას საფუძვლად დაედო 1933 წლის თარგმანი, რომელიც ფ. ენგელსის გერმანული გამოცემის მიხედვით არსებითად გადაამუშავა და შეასწორა პ. იაშვილმა. თარგმანის გადამუშავებისას ორიგინალთან ერთად გამოყენებულ იქნა აგრეთვე ახალი რუსული გამოცემა (მოსკოვი, 1955 წ.).

«კაპიტალის» მეორე ტომის რედაქცია შეასრულა სარედაქციო კომისიამ ს. ბერაძის, დ. ლაშქარაძის (პასუხისმგებელი რედაქტორი) და ვ. მელქაძის შემადგენლობით.

საკკპ ც. კ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

Das Kapital.

Kritik der politischen Oekonomie.

Von

Karl Marx.

Zweiter Band.

Buch II: Der Cirkulationsprocess des Kapitals.

Zweite Auflage.

Herausgegeben von **Friedrich Engels.**

Das Recht der Uebersetzung ist vorbehalten.

Hamburg
Verlag von Otto Meissner.
1893.

«კაპიტალის» II ტომის მე-4 გერმანული გამოცემის გარეკანი
(დაპატარავებულია)

წინასიტყვაობა

«კაპიტალის» მეორე წიგნის გამზადება დასაბეჭდად და თანაც ისე, რომ იგი ყოფილიყო, ერთი მხრივ, გამართული და შეძლებისამებრ დასრულებული ნაწარმოები და, მეორე მხრივ, ნაწარმოები მხოლოდ და მხოლოდ ავტორისა და არა რედაქტორისა, — ადვილი საქმე როდი იყო. ამოცანას აძნელებდა სიმრავლე დამუშავებული ხელნაწერებისა, რომელთაც მეტწილად ფრაგმენტების ხასიათი ჰქონდათ. სულ დიდიდიდი, მხოლოდ ერთადერთი ხელნაწერი (IV) იყო, რამდენადაც კი შეიძლებოდა, ბეჭდვისათვის სავსებით რედაქტირებული; მაგრამ აქაც უდიდესი ნაწილი მოძველებული იყო შემდგომდროინდელ გადამუშავებათა გამო. მასალის მთავარი მასა, მართალია, მეტწილად დამუშავებული იყო არსებითად, მაგრამ არ იყო გამართული ენობრივად; მასალა დაწერილი იყო ისეთი ენით, როგორითაც მარქსი ჩვეულებრივ ამონაწერებს ადგენდა: დაუდეგარი სტილი, მოურიდებელი, ხშირად ლაღი-იუმორისტული გამოთქმები და კონსტრუქციები, ინგლისური და ფრანგული ტექნიკური საპელწოდებანი, ხშირად მთელი ფრაზები და გვერდებიც კი — ინგლისურად; ეს არის აზრების ჩანაწერი იმ ფორმით, როგორც ვითარდებოდნენ ისინი ამა თუ იმ შემთხვევაში ავტორის გონებაში. ცალკეული, დაწვრილებით გადმოცემული ნაწილების გვერდით, სპვები, არანაკლებ მნიშვნელოვანნი, მოლოდ გაკვრითაა აღნიშნული; ფაქტობრივი მასალა ილუსტრაციებისათვის შეგროვილია, მაგრამ ძლივს თუა დაჯგუფებული, დამუშავებაზე ხომ აღარას ვამბობთ; ამა თუ იმ თავის ბოლოს, იმის გამო, რომ ავტორი ჩქარობდა შემდგომ თავზე გადასულიყო, ხშირად მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტი ფრაზაა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აზრის განვითარება აქ დაუმთავრებლადაა დატოვებული; დასასრულ, მარქსის ცნობილი გაურკვეველი ხელნაწერი, რომელსაც ზოგჯერ თვითონ ავტორიც ვეღარ კითხულობდა.

მე დაეკმაყოფილდი იმით, რომ ხელნაწერები შეძლებისამებრ სიტ-ყვა-სიტყვით აღვადგინე, სტილში შეეცვალე მხოლოდ ის, რასაც თვითონ მარქსი შეცვლიდა, და განმარტებითი წინადადებები და გადასვლის ადგილები ჩავურთე მხოლოდ იქ, სადაც ეს აბსოლუტურად საჭირო იყო და სადაც, გარდა ამისა, აზრი არავითარ ეჭვს არ იწვევდა. დებულებები, რომელთა მნიშვნელობას თუნდაც ოდნავი ეჭვის გამოწვევა შეეძლოთ, მე ვამჯობინე სიტყვასიტყვით დამებეჭდა. ჩემს მიერ გადამუშავებული და ჩამატებული ადგილები საერთოდ ათ ნაბეჭდ გვერდსაც კი არ შეადგენს, თანაც ისინი მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა.

II წიგნისათვის მარქსის მიერ დატოვებული ხელნაწერი მასალის უბრალო ჩამოთვლა გვიჩვენებს, თუ რა შეუდარებელი კეთილსინდისიერებით, რა სასტიკი თვითკრიტიკით ცდილობდა იგი უაღრეს სრულყოფამდე დაემუშავებინა თავისი დიადი ეკონომიური აღმოჩენანი, ვიდრე მათ გამოაქვეყნებდა; ეს თვითკრიტიკა მას იშვიათად თუ აძლევდა იმის შესაძლებლობას, რომ საგნის გადმოცემა შინაარსის და ფორმის მიხედვით შეეგუებინა თავისი ჰორიზონტისათვის, რომელიც მუდამ ფართოვდებოდა საგნის ახალი შესწავლის გამო. ეს მასალა შედგება შემდეგისაგან:

უწინარეს ყოვლისა გვაქვს ხელნაწერი: «Zur Kritik der politischen Oekonomie» [«პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის»], 23 რვეულად, რომელიც მეოთხედ ფურცლის 1472 გვერდს შეიცავს; იგი დაწერილია 1861 წლის აგვისტოდან 1863 წლის ივნისამდე. ეს არის ამავე სათაურით 1859 წელს ბერლინში გამოცემული პირველი რვეულის გაგრძელება. 1 — 220 გვერდზე (რვეული I — V) და შემდეგ კვლავ 1159 — 1472 გვერდზე (რვეული XIX — XXIII) ხელნაწერი შეიცავს იმ თემების განხილვას, რომლებიც გამოკვლეულია «კაპიტალის» I წიგნში, დაწყებული ფულის კაპიტალად გადაქცევიდან ბოლომდე; ეს ხელნაწერი ამ წიგნის შემონახულ რედაქციათაგან პირველია. გვერდები 973—1158 (რვეული XVI—XVIII) არკვევს კაპიტალს და მოგებას, მოგების ნორმას, სავაჭრო კაპიტალს და ფულად კაპიტალს, მაშასადამე, ისეთ თემებს, რომლებიც შემდეგ III წიგნის ხელნაწერშია განვითარებული. პირიქით, ის თემები, რომლებიც II წიგნშია შესული, აგრეთვე ძალიან ბევრი თემა, რომელიც შემდგომ III წიგნში არის განხილული, აქ ჯერ კიდევ არაა განსაკუთრებულად დამუშავებული. ეს თემები გაკვრითაა განხილული, სახელდობრ იმ განყოფილებაში, რომელიც ხელნაწერის მთავარ ნაწილს შეადგენს (გვ. 220 — 972, რვეული VI — XV): «ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ე ბ ი». ეს განყო-

ფილება შეიცავს პოლიტიკური ეკონომიის ცენტრალური პუნქტის, ზედმეტი ღირებულების თეორიის, დაწვრილებითს კრიტიკულ ისტორიას, და, გარდა ამისა, წინამორბედებთან პოლემიკის სახით გადმოგვცემს იმ პუნქტების უდიდეს ნაწილს, რომლებიც შემდგომ სპეციალურად და ლოგიკურ კავშირშია გამოკვლეული II და III წიგნის ხელნაწერში. მე შემდგომისთვის ვიტოვებ ამ ხელნაწერის კრიტიკული ნაწილის გამოქვეყნებას «კაპიტალის» IV წიგნის სახით,* იმ მრავალი ადგილის გამოკლებით, რაც უკვე ამოწურულია II და III წიგნში. თუმცა ეს ხელნაწერი უაღრესად ძვირფასია, მაგრამ ამ II წიგნის გამოცემისთვის მისი გამოყენება ნაკლებად მოხერხდა.

შემდგომ ხელნაწერს, თარიღის მიხედვით, წარმოადგენს III წიგნის ხელნაწერი. იგი დაწერილია, ყოველ შემთხვევაში მეტწილად, 1864 და 1865 წლებში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი არსებითად მზად იყო, მარქსი შეუდგა I წიგნის დამუშავებას, რომელიც დაიბეჭდა 1867 წ. პირველი ტომის სახით. III წიგნის ამ ხელნაწერს მე ახლა ვამუშავებ დასაბეჭდად.

I წიგნის გამოსვლის მომდევნო პერიოდიდან II წიგნისათვის მოგვეპოვება კრებული ოთხი ხელნაწერის სახით in folio, რომლებიც თვით მარქსის მიერაა I-იდან IV-მდე დანომრილი. ამათგან ხელნაწერი I (150 გვერდი), რომელიც, ვარაუდით 1865 ან 1867 წელს შეიძლება მიეკუთვნოს, წარმოადგენს II წიგნის პირველ დამოუკიდებელ, მაგრამ მეტნაკლებ ფრაგმენტულ დამუშავებას მისი ახლანდელი აღნაგობის მიხედვით. არც ამ ხელნაწერიდან გამოგვიყენებია რაიმე. ხელნაწერი III შედგება ნაწილობრივ ციტატებისა და მითითებებისაგან მარქსის ამონაწერთა რვეულებზე, — ყველა ეს მეტწილად II წიგნის პირველ განყოფილებას შეეხება, — ნაწილობრივ კი იგი წარმოადგენს ცალკეული პუნქტების დამუშავებას, სახელდობრ ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის შესახებ და მოგების წყაროს შესახებ ა. სმიტის დებულებათა კრიტიკას; შემდეგ გადმოცემულია ზედმეტი ღირებულების ნორმის შეფარდება მოგების ნორმასთან, რაც III წიგნს ეკუთვნის. ამ მითითებებმა ახალი ცოტა რამ მოგვცა, დამუშავებული პუნქ-

---

* «კაპიტალის» ეს IV წიგნი გამოქვეყნდა ენგელსის სიკვდილის შემდეგ სათაურით «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. I, ტ. II, ნაწ. 1 და 2; ტ. III. რუსული თარგმანი გამოცემულია საკ. კ. პ. (ბ) პარტგამომცემლობის მიერ 1936 წ. ქართულად გამოიცა მხოლოდ II ტ., ნაწ. 1. 1933 წელს.

ამჟამად მლი ამზადებს ამ ხელნაწერის ახალ გამოცემას; იგი გამოიცემა სამ ნაწილად შემდეგი სახელწოდებით: «ზედმეტი ღირებულების თეორიები («კაპიტალის» IV ტომი)». პირველი ნაწილი გამოვიდა 1954 წელს. რ ე დ.

ტებით სარგებლობაც როგორც II, ისე III წიგნისთვისაც, ზედმეტი იყო შემდგომი რედაქციების გამო; მაშასადამე, უმრავლეს შემთხვევაში ესენიც გვერდზე უნდა გადაგვედო. — ხელნაწერი IV წარმოადგენს II წიგნის პირველი განყოფილების და მეორე განყოფილების პირველი თავების დამუშავებას, დასაბეჭდად სრულიად გამზადებულს, და იქ, სადაც ეს საჭირო იყო, გამოყენებულ იქნა კიდეც. თუმცა აღმოჩნდა, რომ ის უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე ხელნაწერი II, მაგრამ იმის გამო, რომ იგი უფრო დასრულებულია ფორმის მხრივ, წარმატებით შეიძლებოდა მით სარგებლობა წიგნის სათანადო ნაწილისათვის; საკმარისი აღმოჩნდა ხელნაწერი II-დან რამდენიმე დამატების შეტანა. — ეს უკანასკნელი ხელნაწერი წარმოადგენს II წიგნის ერთადერთ რამდენადმე დამთავრებულ დამუშავებას; იგი დათარიღებულია 1870 წლით. საბოლოო რედაქციისათვის გაკეთებულ შენიშვნებში, რომლებსაც ჩვენ ახლაც აღვნიშნავთ, პირდაპირ ნათქვამია: «საფუძვლად მეორე გადამუშავება უნდა დაედოსო».

1870 წლის შემდეგ დადგა ისევ პაუზა, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო მარქსის ავადმყოფობით. ჩვეულებისამებრ, მარქსი ამ დროს იმით ავსებდა, რომ სხვადასხვა საგანს სწავლობდა; აგრონომია, ამერიკის და განსაკუთრებით რუსეთის საადგილმამულო ურთიერთობანი, ფულის ბაზარი და ბანკები, დასასრულ, ბუნების მეცნიერებანი: გეოლოგია და ფიზიოლოგია, განსაკუთრებით კი დამოუკიდებელი მათემატიკური შრომები, — ყველა ეს შეადგენს მისი იმდროინდელი მრავალი ჩანაწერი რვეულის შინაარსს. 1877 წლის დამდეგს მარქსი იმდენად გამოჯანმრთელდა, რომ მას შეეძლო კვლავ შედგომოდა თავის ნამდვილ სამუშაოს. 1877 წლის მარტის ბოლოთია დათარიღებული ის მითითებანი და შენიშვნები ზემოაღნიშნული ოთხი ხელნაწერიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო II წიგნის ხელახალ გადამუშავებას; ამ გადამუშავების დასაწყისი მოიპოვება ხელნაწერ V-ში (56 გვერდი in folio). ეს ხელნაწერი შეიცავს პირველ ოთხ თავს და ჯერ კიდევ ნაკლებადაა დამუშავებული; არსებითი პუნქტები განხილულია შენიშვნებში ტექსტის ქვემოთ; მასალა, შეიძლება ითქვას, უფრო შეგროვილია, ვიდრე გაცხრილული, მაგრამ ეს ხელნაწერი პირველი განყოფილების ამ უმნიშვნელოვანესი ნაწილის უკანასკნელი სრული გადმოცემაა. აქედან ხელნაწერის დასაბეჭდად გამზადების ცდას წარმოადგენს ხელნაწერი VI (დროის მიხედვით 1877 წ. ოქტომბერს შემდეგ და 1878 წლის ივლისამდე); მასში მხოლოდ 17 მეოთხედფურცლიანი გვერდია, რომელიც პირველი თავის უდიდეს ნაწილს შეიცავს; მეორე და უკანასკნელ ცდას წარმოადგენს ხელნაწერი VII, რომელიც შეი-

ცავს მხოლოდ 7 გვერდს in folio და რომელსაც მიწერილი აქვს «2 ივლისი 1878 წ.».

ამ დროს მარქსისთვის, ეტყობა, ნათელი შეიქნა, რომ, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაში სრული გარდატეხა არ მოხდებოდა, იგი ვერასოდეს ვერ შეძლებდა მეორე და მესამე წიგნის დამუშავების იმდენად დამთავრებას, რომ იგი დამაკმაყოფილებელი ყოფილიყო თვით მისთვის. მართლაც, V — VIII ხელნაწერებს ძალიან ხშირად ემჩნევა დამაუძლურებელი დაავადების წინააღმდეგ დაძაბული ბრძოლის კვალი. პირველი განყოფილების უძნელესი ნაწილი ხელახლა იქნა გადამუშავებული V ხელნაწერში; პირველი განყოფილების დანარჩენი ნაწილი და მთელი მეორე განყოფილება (მეჩვიდმეტე თავის გამოკლებით) რაიმე მნიშვნელოვან თეორიულ სიძნელეს არ წარმოადგენდა; პირიქით, მესამე განყოფილება, საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოება და მიმოქცევა, მას, ეტყობა, ისეთ ნაწილად მიაჩნდა, რომელიც აუცილებლად საჭიროებდა გადამუშავებას. სახელდობრ II ხელნაწერში კვლავწარმოება ჯერ განხილული იყო მისი მოსაშუალე ფულის მიმოქცევის გაუთვალისწინებლად, შემდეგ კიდევ ერთხელ ფულის მიმოქცევასთან დაკავშირებით. საჭირო იყო ამის თავიდან აცილება და საერთოდ მთელი განყოფილების იმგვარად გადამუშავება, რომ იგი ავტორის გაფართოებული ჰორიზონტის შესაბამისი ყოფილიყო. ასე წარმოიშვა III ხელნაწერი, სულ მეოთხედფურცლიანი 70 გვერდის შემცველი რვეული; მაგრამ თუ რამდენის მოთავსება შეძლო მარქსმა ამ გვერდებზე, ამას გვიჩვენებს დაბეჭდილი III განყოფილების შედარება, იმ ადგილების გამოკლების შემდეგ, რომლებიც II ხელნაწერიდანაა აღებული.

ეს ხელნაწერიც შეიცავს საგნის მხოლოდ წინასწარ განხილვას, ამასთან მთელი მუშაობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ დადგენილი და განვითარებული ყოფილიყო II ხელნაწერთან შედარებით ახლად მიღებული შეხედულებანი, მაშინ როდესაც ის პუნქტები, რომლებზედაც ახალი არა იყო რა სათქმელი, უყურადღებოდ იქნა დატოვებული. მნიშვნელოვანი ნაწილი მეორე განყოფილების XVII თავისა, რომელიც თავისთავადაც რამდენადმე მესამე განყოფილებას ეკუთვნის, კვლავ არის აქ შეტანილი და გაფართოებული. ლოგიკური თანმიმდევრობა ხშირად წყდება, გადმოცემაში ალაგ-ალაგ ხარვეზებია და იგი, განსაკუთრებით ბოლოში, სრულიად ფრაგმენტული ხასიათისაა. მაგრამ ის, რისი თქმაც მარქსს უნდოდა, აქ ასე თუ ისე ნათქვამია.

ასეთია II წიგნის მასალა, რომლიდანაც მე, როგორც ეს მარქსს უთქვამს სიკვდილის წინ თავისი ქალიშვილისთვის — ელეონორასთვის «რამე უნდა გამეკეთებინა». მე ვიკისრე ეს დავალება მის უაღრესად ვიწრო ფარგლებში; სადაც კი შესაძლებელი იყო, ჩემი მუშაობა შემოვსაზღვრე სხვადასხვა რედაქციას შორის მხოლოდ არჩევანის მოხდენით; ამასთან ისე, რომ არსებული რედაქციებიდან საფუძვლად ვიღებდი ყოველთვის უკანასკნელ რედაქციას, ვადარებდი რა მას წინანდელებს. ნამდვილ სიძნელეებს, ე. ი. არა მარტო ტექნიკურს, წარმოადგენდა აქ პირველი და მესამე განყოფილება, მაგრამ სამაგიეროდ ეს პატარა სიძნელენი როდი იყო. მე ვცდილობდი მათ გადაწყვეტას მხოლოდ და მხოლოდ ავტორის შეხედულებათა შესაბამისად.

ციტატებს ტექსტში მეტწილად მე ვთარგმნიდი იქ, სადაც ისინი მოყვანილია ფაქტების დასადასტურებლად, ან იქ, სადაც დედანი ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვისაც სურს საფუძვლიანად გაერკვეს საკითხში, მაგალითად, ა. სმიტიდან ციტირებული ადგილების შემთხვევაში. ეს შეუძლებელი იყო მხოლოდ X თავში, რადგან აქ პირდაპირ ინგლისური ტექსტის კრიტიკაა მოცემული. ციტატები I ტომიდან მისი მეორე გამოცემის — მარქსის სიცოცხლეში უკანასკნელი გამოცემის — გვერდების მიხედვით არის აღნიშნული.

III წიგნისათვის, გარდა «Zur Kritik»-ის პირველი დამუშავებისა ხელნაწერში და გარდა აღნიშნული III ხელნაწერისა და რამდენიმე მოკლე შენიშვნისა, რომელიც აქა-იქ ჩანაწერთა რვეულებში მოიპოვება, არსებობს მხოლოდ აღნიშნული ხელნაწერი in folio 1864 — 1865 წლებისა, თითქმის ისეთივე სისრულით დამუშავებული, როგორც II წიგნის II ხელნაწერი, და, ბოლოს, 1875 წლის რვეული: ზედმეტი ღირებულების ნორმის შეფარდება მოგების ნორმასთან, გადმოცემული მათემატიკურად (განტოლებებში). ამ წიგნის მომზადება დასაბეჭდად სწრაფად მიდის წინ. რამდენადაც წინასწარ შემიძლია განვსაჯო, აქ უმთავრესად მარტო ტექნიკურ სიძნელეებთან გვექნება საქმე, — რასაკვირველია, ზოგი ფრიად მნიშვნელოვანი განყოფილების გამოკლებით.

აქ უადგილო არ იქნება უკუვაგდო მარქსის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება, რომელსაც თავდაპირველად ჩურჩულით გამოთქვამდნენ მხოლოდ ცალკეული პირები, ხოლო ახლა, მისი სიკვდილის შემდეგ, უცილობელ ფაქტად აცხადებენ გერმანიის კათედერ-სოცია-

ლისტები, სახელმწიფო სოციალისტები და მათი მომხრენი: ბრალდება, ვითომ მარქსმა პლაგიატი ჩაიდინა როდბერტუსის მიმართ. მე სხვა ადგილას[1] უკვე ვთქვი ამის შესახებ, რაც აუცილებლად საჭირო იყო, მაგრამ მხოლოდ აქ შემიძლია მოვიყვანო გადამწყვეტი საბუთები.

ეს ბრალდება, რამდენადაც ვიცი, პირველად გვხვდება ნაშრომში: «Emancipationskampf des vierten Standes», R. Meyer, Berlin 1874, გვ. 34: როდბერტუსის «ამ გამოქვეყნებული ნაშრომებიდან» (იგულისხმება ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში გამოქვეყნებული როდბერტუსის შრომები) «მარქსმა, რ ო გ ო რ ც ა მ ი ს დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა, აიღო თავისი კრიტიკის უდიდესი ნაწილი». სანამ შემდგომ დამტკიცებას არ წარმოადგენენ, მე, რა თქმა უნდა, შემიძლია ვიგულისხმო, რომ ამ მტკიცების «დასაბუთების შესაძლებლობა» მთლად იმაში მდგომარეობს, რომ როდბერტუსმა დაარწმუნა მასში ბ-ნი მაიერი.— 1879 წელს თვით როდბერტუსი გამოვიდა სცენაზე; იგი თავის ნაშრომთან — «Zur Erkenntnis unserer staatswirtschaftlichen Zustände» (1842) დაკავშირებით სწერს ი. ცელერს» (Zeitschrift für die gesamte Staatswissenschaft, Tübingen 1879, გვ. 219): თქვენ დაინახავთ, რომ ამით» {აქ განვითარებული აზრებით} «უკვე ძალიან კარგად ისარგებლა მარქსმა... რასაკვირველია, ჩემს უხსენებლად». მის შემდეგ ამას მოურიდებლად იმეორებს როდბერტუსის სიკვდილის შემდეგ მისი ნაწერების გამომცემელი თ. კოზაკიც («Das Kapital» von Rodbertus, Berlin 1884, Einleitung, გვ. XV). დასასრულ, რ. მაიერის მიერ 1881 წელს გამოცემულ ნაწერში: «Briefen und sozialpolitischen Aufsätzen von Dr. Rodbertus-Jagetzow» როდბერტუსი პირდაპირ ამბობს: «ახლა ვხედავ, რომ შეფლემ და მარქსმა გ ა მ ძ ა რ ც ვ ე ს და მე არც კი მომიხსენიეს» (Brief № 60, გვ. 134). მეორე ადგილას როდბერტუსის პრეტენზია უფრო გარკვეულ სახეს იღებს: «თუ საიდან წ ა რ მ ო დ გ ე ბ ა კაპიტალისტის ზ ე დ მ ე ტ ი დ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, ეს მე ჩემს მეხსიერ სოციალურ წერილში ა რ ს ე ბ ი თ ა დ სავსებით ი ს ე ვ ე ცხადყვაი, როგორც მარქსმა, მხოლოდ — უფრო მოკლედ და ნათლად» (Brief № 48, გვ. 111).

მარქსმა იმაზე, რომ მას პლაგიატობაში დებდნენ ბრალს, არაფერი იცოდა. «Emancipationskampf»-ის მის ეგზემპლარში გაჭრილი იყო მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ინტერნაციონალს შეეხება; დანარჩენი ნაწილი თვითონ მე გავჭერი მისი სიკვდილის შემდეგ. ტიუბინგენის

[1] წინასიტყვაობაში შემდეგი ნაწარმოებისათვის: «Das Elend der Philosophie. Antwort auf Proudhon's Philosophie des Elends,» von Karl Marx. Stuttgart 1885 [კ. მ ა რ ქ ს ი: «ფილოსოფიის სიღატაკე». თბილისი 1940].

«Zeitschrift» მას არასოდეს არ უნახავს. ასევე «Briefe etc». მაიერისადმი უცნობი დარჩა მისთვის, და იმ ადგილს, რომელიც «გაძარცვას» შეეხება, მე ყურადღება მივაქციე პირველად 1884 წელს თვითონ ბ-ნი დრ. მაიერის თავაზიანი მითითების წყალობით. პირიქით, წერილი № 48 მარქსმა იცოდა; ბ-მა მაიერმა იმდენი თავაზიანობა გამოიჩინა, რომ დედანი მარქსის უმცროს ქალიშვილს აჩუქა. მარქსმა, რომლის ყურამდე, რასაკვირველია, მიაღწია იღუმალმა ჩურჩულმა იმის შესახებ, რომ მისი კრიტიკის ფარული წყარო როდბერტუსთან ყოფილა საძებნელი, მაჩვენა ეს წერილი და თანაც შენიშნა, რომ აქ მას აქვს, დაბოლოს, აუტენტური ცნობა იმის შესახებ, თუ რისი პრეტენზია აქვს როდბერტუსს; რომ თუ იგი სხვას არაფერს ამტკიცებს, ამას იგი, მარქსი, ყურადღების ღირსადაც არ მიიჩნევდა; რომ თუ როდბერტუსს თავისი საკუთარი გადმოცემა უფრო მოკლე და ნათელ გადმოცემად მიაჩნია, — მას, მარქსს, შეუძლია დაუთმოს როდბერტუსს ეს სიამოვნება. მარქსი მართლა თვლიდა, რომ როდბერტუსის ამ წერილით მთელი ეს საქმე ამოწურულია.

მას მით უფრო შეეძლო ასე ეფიქრა, რომ, როგორც მე დანამდვილებით ვიცი, როდბერტუსის მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა მარქსისათვის უცნობი დარჩა 1859 წლამდე, როდესაც პოლიტიკური ეკონომიის მისი საკუთარი კრიტიკა მზად იყო არა მარტო ძირითად მოხაზულობაში, არამედ უმნიშვნელოვანეს დეტალებშიაც კი. ეკონომიური საკითხების შესწავლა მარქსმა დაიწყო 1843 წელს პარიზში დიდი ინგლისელებისა და ფრანგების შესწავლით; გერმანელთაგან. იგი იცნობდა მხოლოდ რაუს და ლისტს, და ეს მისთვის საკმარისი იყო. არც მარქსს, არც მე ერთი სიტყვაც კი არ გაგვიგონია როდბერტუსის არსებობის შესახებ, სანამ 1848 წელს არ მოგვიხდა «Neue Rheinische Zeitung»-ში გაკრიტიკება მისი სიტყვების, როგორც ბერლინელი დეპუტატისა, და მისი მოქმედების, როგორც მინისტრისა. ჩვენ იმდენად არაფერი ვიცოდით მის შესახებ, რომ რაინელ დეპუტატებს ვეკითხებოდით, ვინ არის ეს როდბერტუსი, რომელიც ასე უცებ მინისტრი გახდა-თქო. მაგრამ მათაც არაფერი იცოდნენ როდბერტუსის ეკონომიური ნაწერების შესახებ, რომ ჩვენთვის ეცნობებინათ. პირიქით, მარქსმა უკვე მაშინ, როდბერტუსის დაუხმარებლადაც, ძალიან კარგად იცოდა არა მხოლოდ ის, თუ საიდან «წარმოდგება», არამედ ისიც, თუ როგორ «წარმოდგება კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულება», რასაც ამტკიცებს «Misère de la Philosophie» («ფილოსოფიის სიღატაკე»), 1847 წ., და 1847 წელს ბრიუსელში წაკითხული და 1849 წელს «Neue Rheinische Zeitung»-ის, № 264 — 269 დაბეჭდილი ლექ-

ციები დაქირავებული შრომისა და კაპიტალის შესახებ. დაახლოებით 1859 წელს გაიგო მარქსმა პირველად ლასალისაგან, რომ არსებობს, სხვათა შორის, ეკონომისტი როდბერტუსი, და შემდეგ მისი «მესამე სოციალური წერილი» იპოვა ბრიტანეთის მუზეუმში.

ასეთია საქმის ფაქტიური ვითარება. როგორილაა საქმის ვითარება იმ შინაარსის მხრივ, რომელიც მარქსმა ვითომ «მოპარა» როდბერტუსს? «თუ საიდან წარმოდგება კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულება, — ამბობს როდბერტუსი, — ეს მე ჩემს მესამე სოციალურ წერილში სავსებით ისევე ცხადვყავი, როგორც მარქსმა, მხოლოდ — უფრო მოკლედ და ნათლად». აი ეს არის, მაშასადამე, ცენტრალური პუნქტი: ზედმეტი ღირებულება; და, მართლაც, ვერ ვიტყვით, სხვა რა უნდა ყოფილიყო მარქსის ნაწერებში ისეთი, რაც როდბერტუსს შეეძლო თავის საკუთრებად გამოეცხადებინა. მაშასადამე, როდბერტუსი აქ თავის თავს თვლის ნამდვილ ავტორად ზედმეტი ღირებულების თეორიისა, რომელიც მას მარქსმა მოსტაცა.

და რას გვეუბნება მესამე სოციალური წერილი ზედმეტი ღირებულების წარმოშობის შესახებ? უბრალოდ იმას, რომ «რენტა», რომელშიც იგი მიწის რენტას და მოგებას გულისხმობს, წარმოიშვება არა საქონლის ღირებულებაზე «ღირებულების წანამატიდან», არამედ «ღირებულების გამოკლების გამო, რასაც ხელფასი განიცდის, სხვა სიტყვებით: იმის გამო, რომ ხელფასი პროდუქტის ღირებულების მხოლოდ ნაწილს შეადგენს», და შრომის საკმაო ნაყოფიერებისას «აუცილებელი არაა, რომ ხელფასი ეთანატოლებოდეს შრომის პროდუქტის ბუნებრივ საცვლელ ღირებულებას, რათა ამ უკანასკნელიდან დარჩეს კიდევ ნაწილი კაპიტალის ასანაზღაურებლად (!) და რენტისათვის». ამასთან არაა ნათქვამი, რაღა არის პროდუქტის ეს «ბუნებრივი საცვლელი ღირებულება», რომლის არსებობისას აღარაფერი რჩება «კაპიტალის ასანაზღაურებლად», მაშასადამე, ნედლი მასალისა და სამუშაო იარაღების გაცვეთის ასანაზღაურებლად.

საბედნიეროდ, ჩვენ ბედმა გვარგუნა აღვნიშნოთ, რა შთაბეჭდილება მოახდინა მარქსზე როდბერტუსის ამ ეპოქის შემქმნელმა აღმოჩენამ. ხელნაწერში: «Zur Kritik etc»., რვეული X, გვ. 445 და შემდ., ჩვენ ვნახულობთ: «გადასვევა, ბ-ნი როდბერტუსი. მიწის რენტის ახალი თეორია». მესამე სოციალური წერილი აქ განხილულია მხოლოდ ამ თვალსაზრისით. როდბერტუსის ზედმეტი ღირებულების თეორია საერთოდ ამოწურულია ირონიული შენიშვნით: «ბ-ნი როდბერტუსი ჯერ იკვლევს, როგორაა საქმის მდგომარეობა იმ ქვეყანაში, სადაც მიწისა და კაპიტალის ფლობა არაა ერთიმეორისგან განცალ-

კეევებული, და შემდეგ იმ მნიშვნელოვან დასკვნამდე მიდის, რომ რენტა (რომელშიც იგი მთელ ზედმეტ ღირებულებას გულისხმობს) უბრალოდ უდრის გადაუხდელ შრომას ანუ პროდუქტთა რაოდენობას, რომლითაც ეს შრომა გამოიხატება».

კაპიტალისტური კაცობრიობა ზედმეტ ღირებულებას უკვე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აწარმოებდა და თანდათანობით მივიდა იქამდე, რომ იწყო აზრის შედგენა მისი წარმოშობის შესახებ. პირველი შეხედულება იყო უშუალო ვაჭრული პრაქტიკიდან გამომდინარე: ზედმეტი ღირებულება პროდუქტის ღირებულებაზე წანამატიდან წარმოიშვებაო. ეს შეხედულება გაბატონებული იყო მერკანტელისტებში, მაგრამ უკვე ჯემს სტიუარტმა დაინახა, რომ ამ შემთხვევაში ის, რასაც ერთი მოიგებს, აუცილებლად უნდა დაჰკარგოს მეორემ. მიუხედავად ამისა, ეს შეხედულება კიდევ დიდხანს იყო ფეხგადგმული, განსაკუთრებით სოციალისტებს შორის; მაგრამ კლასიკური მეცნიერებიდან ივი განდევნა ა. სმიტმა.

«ხალხთა სიმდიდრეში», წიგნი I, თავი VI, მას ნათქვამი აქვს: «როგორც კი ცალკეულ პირთა ხელში დაგროვდება კაპიტალი, ბუნებრივია, ზოგი მათგანი მას ისე გამოიყენებს, რომ შრომისმოყვარე ადამიანებს სამუშაოზე დააყენებს და მათ ნედლ მასალასა და საარსებო საშუალებებს ჩააბარებს, რათა მოგება მიიღოს მათი შრომის პროდუქტების გაყიდვის გზით ან იმით, რაც მათმა შრომამ დამუშავებული ნედლი მასალის ღირებულებას მიუმატა.... ღირებულება, რომელსაც მუშები ნედლ მასალას მატებენ, დაიყოფა აქ ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი მათი ხელფასის გადახდას ემარდება, ხოლო მეორე შეადგენს მეწარმის მოგებას მთელ იმ თანხაზე, რაც მან ავანსად გაიღო ნედლი მასალისა და ხელფასისთვის». და შემდეგ ცოტა ქვემოთ: «როგორც კი მთელი მიწა ამა თუ იმ ქვეყანაში კერძო საკუთრება ხდება, მიწათმფლობელები, ისევე როგორც სხვა ადამიანები, ცდილობენ მომკან იქ, სადაც არ უთესიათ, და რენტას მოითხოვენ მიწის ბუნებრივი ნაყოფისთვისაც კი... მუშამ... უნდა დაუთმოს მიწათმფლობელს განსაზღვრული წილი იქიდან, რაც მან თავისი შრომით შეაგროვა ან აწარმოვა. ეს წილი ანუ, რაც იგივეა, ამ წილის ფასი შეადგენს მიწის რენტასა».

მარქსი ამ ადგილის გამო შენიშნავს ზემოაღნიშნულ ხელნაწერში: «Zur Kritik etc»., გვ. 253: «ამრიგად, ზედმეტი ღირებულება, ანუ ზედმეტი შრომა, ე. ი. შესრულებული და საქონელში გასაგნობრივებული შრომის ნაწილი გადასდილ შრომაზე ზევით, მაშასადამე იმ შრომაზე ზევით, რომელმაც თავისი ეკვივალენტი ხელფასში მიიღო,

ა. სმიტს ესმის როგორც საყოველთაო კატეგორია, ამასთან საკუთრივ მოგება და მიწის რენტა მხოლოდ მისი განშტოებანია».

შემდეგ ა. სმიტი ამბობს, წიგნი I, თავი VIII; «როგორც კი მიწა კერძო საკუთრებად იქცევა, მიწათმფლობელი მოითხოვს წილს თითქმის ყველა პროდუქტში, რომელიც მუშას შეუძლია აწარმოოს ან მოაგროვოს ამ მიწაზე. მისი მიწის რენტა შეადგენს პირველ გამოკლებას მიწის დამუშავებაზე დახარჯული შრომის პროდუქტიდან. მაგრამ მიწის დამმუშავებელს იშვიათად გააჩნია საშუალება თავის შესანახად მოსავლის აღებამდე. სარჩო მას ჩვეულებრივ ავანსად ეძლევა იმ მეპატრონის, მოიჯარის კაპიტალიდან, რომელიც მას ქირაობს და რომელსაც არავითარი ინტერესი არ ექნებოდა მუშისათვის სამუშაო მიეცა, მუშა რომ თავისი შრომის პროდუქტს არ უყოფდეს მას, ანუ არ უნაზღაურებდეს მას კაპიტალს მოგებითურთ. ეს მოგება შეადგენს მეორე გამოკლებას მიწაზე დახარჯული შრომის პროდუქტიდან. თითქმის ყოველი შრომის პროდუქტი ექვემდებარება ამავე გამოკლებას მოგებისათვის. მრეწველობის ყველა დარგში მუშათა უდიდესი ნაწილი საჭიროებს მეპატრონეს, რათა ამ უკანასკნელმა მათ სამუშაოს დამთავრებამდე ავანსად მისცეს ნედლი მასალა, ხელფასი და სარჩო. ეს მეპატრონე ღებულობს მუშების შრომის პროდუქტის ნაწილს, ანუ იმ ღირებულების ნაწილს, რომელსაც ეს შრომა მატებს დამუშავებულ ნედლ მასალას; ეს წილი შეადგენს სწორედ მეპატრონის მოგებას».

მარქსი ამას შემდეგ შენიშვნას უკეთებს (ხელნაწერი, გვ. 256); «ამრიგად, ა. სმიტი აქ მიწის რენტას და კაპიტალის მოგებას პირდაპირ უწოდებს უბრალო გამოკლებას მუშის პროდუქტიდან, ანუ მისი პროდუქტის ღირებულებიდან, რომელიც მის მიერ ნედლი მასალისადმი მიმატებულ შრომას უდრის. მაგრამ ეს გამოკლება, როგორც თვით ა. სმიტმა განმარტა წინათ, შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ შრომის იმ ნაწილისაგან, რომელსაც მუშა მატებს მასალას იმ შრომის რაოდენობის ზედმეტად, რაც მხოლოდ მის ხელფასს იაღის ანუ მისი ხელფასის ეკვივალენტს იძლევა, — მაშასადამე, იგი შეიძლება შედგებოდეს მაოლოდ ზედმეტი შრომისაგან, მისი შრომის გადაუხდელი ნაწილისაგან».

თუ «საიდან წარმოდგება კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულება» და ვარდა აბისა, მიწის მესაკუთრისა, ეს იცოდა, მაშასადამე, უკვე ა. სმიტმა; მარქსი ამას გულწრფელად აღიარებს უკვე 1861 წელს, მაშინ როდესაც ეს, ეტყობა, სრულიად დავიწყებია როდბერტუსს და

მის პატივისმცემელთა ხროვას, რომელნიც სოკოსავით მრავლდებიან სახელმწიფო სოციალიზმის თბილი ზაფხულის წვიმის ქვეშ.

«მაგრამ მაინც, — განაგრძობს მარქსი, — სმიტს ზედმეტი ღირებულება როგორც ასეთი არ გამოუყვია განსაკუთრებულ კატეგორიად იმ განსაკუთრებული ფორმებისაგან, რომლებსაც იგი ღებულობს მოგებასა და მიწის რენტაში. აქედან წარმოდგება მისი, და კიდევ უფრო მეტად რიკარდოს, ბევრი შეცდომა და ნაკლი საგნის გამოკვლევაში». — ეს შენიშვნა სიტყვასიტყვით შეეფერება როდბერტუსს. მისი «რენტა» მიწის რენტისა და მოგების ჯამია უბრალოდ; მიწის რენტის შესახებ მან შეადგინა თავისთვის სრულიად მცდარი თეორია; მოგებას იგი იღებს დაუკვირვებლად ისე, როგორც მას თავის წინამორბედებთან პოულობს. — პირიქით, მარქსის ზედმეტი ღირებულება ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ფ ო რ მ ა ა ღირებულების ჯამისა, რომელსაც სრულიად უეკვივალენტოდ ითვისებენ წარმოების საშუალებათა მესაკუთრენი და რომელიც სრულიად განსაკუთრებული, პირველად მარქსის მიერ აღმოჩენილი, კანონების თანახმად ნაწილდება მოგებისა და მიწის რენტის განსაკუთრებულ გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ლ ფორმებად. ეს კანონები გადმოცემული იქნება III წიგნში, სადაც პირველად იქნება ნაჩვენები, თუ რაოდენ მრავალი შუალედი რგოლია საჭირო იმისათვის, რომ ზედმეტი ღირებულების ზოგადი გაგებიდან მის მოგებად და მიწის რენტად გარდაქმნის გაგებამდე მიხვიდე, მაშასადამე, კაპიტალისტთა კლასს შიგნით ზედმეტი ღირებულების განაწილების კანონების გაგებამდე რომ მიხვიდე.

რიკარდო უკვე ბევრად უფრო შორს მიდის ა. სმიტზე. ზედმეტი ღირებულების თავის გაგებას იგი ამყარებს ღირებულების იმ ახალ თეორიაზე, რომელიც ჩანასახის სახით უკვე აქვს ა. სმიტს, მაგრამ ეს უკანასკნელი მას თითქმის ყოველთვის ივიწყებს, როდესაც საქმე მის გამოყენებას შეეხება; ეს თეორია მთელი შემდგომი ეკონომიური მეცნიერების ამოსავალი პუნქტი გახდა. იქიდან, რომ საქონლის ღირებულება საქონელში რეალიზებული შრომის რაოდენობით განისაზღვრება, მას გამოჰყავს ღირებულების იმ რაოდენობის განაწილება კაპიტალისტებსა და მუშებს შორის, რომელიც შრომამ მიუმატა ნედლ მასალას, გამოჰყავს ღირებულების გათიშვა ხელფასად და მოგებად (ე. ი. აქ: ზედმეტ ღირებულებად). იგი გვიჩვენებს, რომ საქონელთა ღირებულება იგივე რჩება, რაგინდ იცვლებოდეს შეფარდება ამ ორ ნაწილს შორის, — კანონი, რომლის მიმართ მას დასაშვებად მიაჩნია მხოლოდ ცალკეული გამონაკლისები. იგი ზოგიერთ მთავარ კანონსაც კი ამყარებს ხელფასისა და ზედმეტი ღირებულების (მოგების ფორმით გამოხატულის) ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, თუმცა მეტად

ზოგადი გაგებით (მარქსი, «კაპიტალი», ტომი I, თავი XV, A), და ცხადყოფს, რომ მიწის რენტა წარმოადგენს მოგების ნამეტს, რომელიც გარკვეულ პირობებში მიიღება. არც ერთ ამ პუნქტში როდბერტუსი რიკარდოზე შორს არ წასულა. რიკარდოს თეორიის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელთა გამოც მისი სკოლა დაიღუპა, მისთვის ან სრულიად უცნობი დარჩა, ანდა ამ წინააღმდეგობებმა იგი საკითხის ეკონომიურ გადაწყვეტათა ნაცვლად მხოლოდ უტოპიურ მოთხოვნებამდე მიიყვანა («Zur Erkenntnis etc»., გვ. 130).

მაგრამ რიკარდოს მოძღვრებას ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების შესახებ როდბერტუსის «Zur Erkenntnis etc». - ისათვის დაცდა არ დასჭირებია, რათა სოციალისტური გამოყენება მიეღო. «კაპიტალის» პირველი ტომის 609 გვერდზე (შე-2 გერმ. გამოც.) [ქართ. გამოც. 1954 წ., გვ. 741] მოყვანილია ციტატა: «The possessors of surplus produce or capital» [«ზედმეტი პროდუქტის, ანუ კაპიტალის მფლობელნი»] თხზულებიდან: «The Source and Remedy of the National Difficulties. A Letter to Lord John Russell». London 1821. ეს თხზულება, რომლის მნიშვნელობასაც უკვე მარტო გამოთქმის გამო: surplus produce or capital [ზედმეტი პროდუქტი, ანუ კაპიტალი] ყურადღება უნდა მიქცეოდა, წარმოადგენს 40-გვერდიან ბამფლეტს, რომელიც მარქსმა გამოსტაცა დავიწყებას; მასში ნათქვამია:

«რამდენიც უნდა ერგებოდეს კაპიტალისტს» (კაპიტალისტის თვალსაზრისით), «მას ყოველთვის მხოლოდ მუშის ზედმეტი შრომის (surplus labour) მითვისება შეუძლია, იმიტომ რომ მუშამ უნდა იარსებოს» (გვ. 23). მაგრამ რ ო გ ო რ ცხოვრობს მუშა, და ამიტომ რაოდენ დიდი შეიძლება იყოს კაპიტალისტის მიერ მითვისებული ზედმეტი შრომა, — ეს ფრიად შეფარდებითია. «თუ კაპიტალის ღირებულება იმ პროპორციით არ კლებულობს, რითაც მისი მასა მატულობს, მაშინ კაპიტალისტი მუშას გამოსწურავს თვითეული სამუშაო საათის პროდუქტს, იმ მინიმუმის გადანამეტს, რომლითაც მუშას არსებობა შეუძლია..., კაპიტალისტს შეუძლია, ბოლოს, უთხრას მუშას: შენ არ უნდა სჭამო პური, იმიტომ რომ ჭარხლით და კარტოფილით შეიძლება ცხოვრება; და ჩვენ უკვე მივედით აქამდე» (გვ. 24). «თუ მუშა შეიძლება ისეთ მდგომარეობაში ჩავაყენოთ, რომ იგი, პურის ნაცვლად, კარტოფილით იკვებებოდეს, მაშინ უდავოდ მართალია, რომ მისი შრომიდან მეტის მიღება შეიძლება; ე. ი., თუ პურით კვებისას იგი იძულებულია თავის თავისა და თავისი ოჯახის შესანახად ო რ შ ა ბ ა თ ი ს და ს ა მ შ ა ბ ა თ ი ს შ რ ო მ ა თ ა ვ ი ს თ ვ ი ს დ ა ი ტ ო-

ვოს, — კარტოფილით კვებისას იგი მიიღებს თავისთვის მხოლოდ ორ-შაბათის ნახევარს, ხოლო ორშაბათის მეორე ნახევარი და მთელი სამშაბათი განთავისუფლდება ან სახელმწიფოს სასარგებლოდ ან კაპიტალისტისთვის» (გვ. 26). უდავოა (it is admitted), რომ კაპიტალისტებისთვის გადახდილი ინტერესები*, იქნება ეს რენტის სახით, ფულადი პროცენტის სახით თუ მეწარმის მოგების სახით, გადაიხდება სხვების შრომიდან» (გვ. 23). ამრიგად, აქ ჩვენს წინაშე მთლად როდბერტუსის «რენტაა», მხოლოდ «რენტის» ნაცვლად ნათქვამია «ინტერესები».

მარქსი ამას შემდეგ შენიშვნას უკეთებს (ხელნაწერი «Zur Kritik», გვ. 852): «ეს თითქმის უცნობი პამფლეტი, რომელიც იმ დროს გამოვიდა, როდესაც «შეუდარებელმა მეჯღანემ» მაკ-კულოხმა ყურადღება მიიპყრო, მნიშვნელოვანი ნაბიჯია წინ რიკარდოსთან შედარებით: ზედმეტ ღირებულებას ანუ «მოგებას», როგორც მას რიკარდო უწოდებს (ხშირად აგრეთვე ზედმეტ პროდუქტს, surplus produce-ს), ანუ interest-ს, როგორც მას უწოდებს პამფლეტის ავტორი, ეს უკანასკნელი პირდაპირ განსაზღვრავს როგორც surplus labour-ს, ზედმეტ შრომას, შრომას, რომელსაც მუშა უსასყიდლოდ ასრულებს, ასრულებს იმ შრომის რაოდენობაზე ზედმეტად, რითაც მისი სამუშაო ძალის ღირებულება ნაზღაურდება, ე. ი. მისი ხელფასის ეკვივალენტი იწარმოება. რა მნიშვნელობაც იმას ჰქონდა, რომ ღირებულება დაყვანილიყო შრომაზე, სრულიად ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ზედმეტ შრომაზე (surplus labour) დაყვანილიყო ზედმეტი ღირებულება (surplus value), რომელიც გამოსახულია ზედმეტ პროდუქტში (surplus produce). არსებითად ეს ნათქვამი იყო უკვე ა. სმიტის მიერ და შეადგენს მთავარ მომენტს რიკარდოს მიერ განვითარებულ დასკვნებში. მაგრამ მათ ეს არსად არა აქვთ აბსოლუტური ფორმით გამოთქმული და ფიქსირებული». შემდეგ, ქვემოთ, ხელნაწერის 859 გვერდზე, ნათქვამია: «სხვაფრივ ავტორი იმ ეკონომიური კატეგორიების ტყვეობაშია დარჩენილი, რომლებიც მან ჰპოვა თავის წინამორბედებთან. როგორც რიკარდოს მიერ ზედმეტი ღირებულებისა და მოგების ერთმანეთში არევას უსიამოვნო წინააღმდეგობანი მოსდევს, სრულიად ასევე ემართება პამფლეტის ავტორსაც იმის გამო, რომ ზედმეტ ღირებულებას იგი კაპიტალის ინტერესის სახელწოდებით ნათლავს. მაგრამ მაინც იგი რიკარდოზე მაღლა დგას იმ მხრივ, რომ მას პირველად დაჰყავს ყოველი ზედმეტი ღირებულება ზედმეტ შრო-

* ინგლისური: interest — (სარგებელი) პროცენტი. რ ე დ.

მაზე და თუმცა ზედმეტ ღირებულებას კაპიტალის ინტერესს უწოდებს, მაგრამ ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ interest of capital-ად [კაპიტალის სარგებლად] მას ესმის ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ფორმა განსხვავებით მისი განსაკუთრებული ფორმებისგან, რენტისა, ფულადი სარგებლისა და მეწარმის მოგებისაგან: მაგრამ ამ განსაკუთრებული ფორმების ერთი სახელწოდება, interest-ი, მას მაინც საყოველთაო ფორმის სახელწოდებად მიაჩნია. და ეს საკმარისია იმისათვის, რომ იგი კვლავ გაიხლართოს ეკონომიურ უთავბოლობაში».

ეს უკანასკნელი აბზაცი ზედგამოჭრილია ჩვენს როდბერტუსზე. ისიც იმ ეკონომიური კატეგორიების ტყვეობაშია დარჩენილი, რომლებიც მან ჰპოვა თავის წინამორბედებთან. ისიც ზედმეტ ღირებულებას ნათლავს მისი ერთ-ერთი გარდაქმნილი ქვეფორმის: რენტის სახელწოდებით, რომელსაც იგი ამასთან სრულიად გაურკვეველს ხდის. ამ ორი შეცდომის შედეგია ის, რომ იგი კვლავ ეკონომიურ უთავბოლობაში ვარდება, კრიტიკით გზას არ იკაფავს რიკარდოს შემდეგ და ამის ნაცვლად ემორჩილება ცოუნებას თავისი დაუმთავრებელი თეორია, ჯერ კიდევ ნაჭუჭიდან რომ არ გამოსულა, იმ უტოპიის საფუძვლად აქციოს, რომლითაც იგი, როგორც ყოველთვის, მეტად დაგვიანებით გამოდის. 1821 წელს გამოქვეყნებულმა პამფლეტმა უკვე სავსებით დაასწრო როდბერტუსის 1842 წლის «რენტას».

ჩვენი პამფლეტი მხოლოდ უაღრესად მოწინავე პოსტია იმ ვრცელი ლიტერატურისა, რომელმაც ოციან წლებში რიკარდოს ღირებულების და ზედმეტი ღირებულების თეორია კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგ პროლეტარიატის ინტერესების სასარგებლოდ მოაბრუნა და ბურჟუაზიას მისივე საკუთარი იარაღით ებრძოდა. მთელი ოუენისეული კომუნიზმი, რამდენადაც იგი ეკონომიური პოლემიკის მონაწილედ გამოდის, რიკარდოს ეყრდნობა. მაგრამ მის გვერდით იყვნენ კიდევ მთელი რიგი მწერლები, რომელთაგან მარქსს უკვე 1847 წელს გამართულ პოლემიკაში პრუდონის წინააღმდეგ («Misère de la Philosophie», გვ. 49) [«ფილოსოფიის სიღატაკე». 1940 წ.] მხოლოდ ზოგიერთები ჰყავს მოხსენიებული: ედმონდსი, ტომპსონი, ჰოდსკინი და სხვ. და სხვ. «და კიდევ ოთხი გვერდი სხვ. და სხვ.» თხზულებათა ამ უამრავი რიცხვიდან მე ალალბედად ვიღებ მხოლოდ ერთს: «An Jnquiry into the Principles of the Distribution of Wealth, most conductive to Human Happiness, by William Thompson; a new edition», London 1850. ეს თხზულება, რომელიც 1822 წელს დაიწერა, პირველად 1824 წელს გამოქვეყნდა. არამწარმოებელი კლასების მიერ მითვისებული სიმდიდრე აქაც ყველგან აღნიშნულია როგორც გაპოკლება მუშის პროდუქტი-

დან, და თანაც აღნიშნულია საკმაოდ მაგარი გამოთქმებით. «მუდმივი მისწრაფება იმისა, რასაც ჩვენ საზოგადოებას ვუწოდებთ, იმაში მდგომარეობდა, რომ მოტყუებისა ან დაჯერების, დაშინებისა ან იძულების საშუალებით აემოძრავებინა მწარმოებელი მუშა ემუშავნა მისი საკუთარი შრომის პროდუქტის რაც შეიძლება მცირე ნაწილისათვის» (გვ. 28). «რატომ არ უნდა იღებდეს მუშა თავისი შრომის აბსოლუტურად მთელ პროდუქტს?» (გვ. 32). «ამ კომპენსაციას, რომლის გაღებასაც მიწის რენტის ან მოგების სახით კაპიტალისტები მწარმოებელ მუშას აიძულებენ, ისინი მოითხოვენ მიწითა და სხვა საგნებზთ სარგებლობისათვის... რადგან ყველა ფიზიკური ნივთიერება — რომელზედაც ან რომლის საშუალებითაც უქონელ მწარმოებელ მუშას, რომელსაც სხვა არაფერი გააჩნია, გარდა წარმოების უნარისა, შეუძლია გამოააშკარავოს თავისი მწარმოებლური უნარი — რადგან ეს ნივთიერებანი სხვა პირთა მფლობელობაშია, რომელთა ინტერესები დაპირისპირებულია მუშის ინტერესებისადმი და რომელთა თანხმობა წინაპირობაა მისი საქმიანობისა, — ამიტომ განა ამ კაპიტალისტების წყალობაზე არაა დამოკიდებული და არ უნდა იყოს დამოკიდებული, თუ მუშის საკუთარი შრომის ნაყოფისრა წილს მოისურვებენ ისინი მისცენ მუშას ამ შრომის სამაგიეროდ? (გვ. 125)... დაკავებული პროდუქტის სიდიდესთან შეფარდებით, სულ ერთია ეწოდება ამ გამოკლებებს გადასახადები, მოგება თუ მოპარვა...» (გვ. 126) და სხვ.

უნდა გამოვტყდე, რომ, როცა ამ სტრიქონებს ვწერდი, ცოტა არ იყოს მრცხვენოდა კიდეც. მე კიდევ შემიძლია დავუშვა ის, რომ ოციანი და ოცდაათიანი წლების ანტიკაპიტალისტური ინგლისური ლიტერატურა ასე სრულიად უცნობია გერმანიაში, თუმცა მარქსმა ჯერ კიდევ «Misère de la Philosophie»-ში პირდაპირ მიუთითა მასზე და ზოგი რამ აქედან — 1821 წლის პამფლეტი, რევენსტონი, ჰოდსკინი და სხვ. — არაერთხელ აღნიშნა ციტატებით «კაპიტალის» პირველ ტომში. მაგრამ ის გარემოება, რომ არა თუ ლიტერატორმა vulgaris, «რომელსაც მართლა არა უსწავლია რა» და რომელიც სასოწარკვეთილებით როდბერტუსის სერთუკის კალთებზეა ჩამოკიდებული, არამედ პროფესორმაც, საპატიო მდგომარეობის მქონემ, «თავისი განსწავლულობით გამედიდურებულმა», იმ ზომამდე დაიევწყა თავისი კლასიკური პოლიტიკური ეკონომია, რომ მარქსს სერიოზულად უსაყვედურებს როდბერტუსისაგან ისეთი რამეების მოპარვას, რაც უკვე ა. სმიტსა და რიკარდოს მოეპოვება წასაკითხად, — ეს გარემოება ამტკი-

ცებს, თუ რამდენად დაქვეითებულა ამჟამად ოფიციალური პოლიტიკური ეკონომია.

მაგრამ მაშინ რაღა თქვა ახალი მარქსმა ზედმეტი ღირებულების შესახებ? როგორ მოხდა, რომ მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორიამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც მოწმენდილი ციდან შეხის გავარდნამ, და თანაც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, მაშინ როდესაც ყველა მისი სოციალისტური წინამორბედის თეორიებს, მათ შორის როდბერტუსის თეორიასაც, არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

ქიმიის ისტორიას შეუძლია ნათლად გაგვიმარტოს ეს ერთი მაგალითით.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასასრულს გაბატონებული იყო ფლოგისტური თეორია, რომლის თანახმად ყოველი წვის დედაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ სხეულიდან, რომელიც იწვოდა, გამოცალკევდებოდა მეორე, ჰიპოთეტიკური სხეული, აბსოლუტურად საწვავი ნასალა, რომელსაც ფლოგისტონის სახელწოდებით აღნიშნავდნენ. ეს თეორია საკმარისი იყო იმ დროს ცნობილ ქიმიურ მოვლენათა უდიდესი ნაწილის ასახსნელად, თუმცა ზოგ შემთხვევაში ეს ახსნა ნაძალადევი იყო. მაგრამ, აი, 1774 წელს პრისტლეიმ შეამჩნია ერთგვარი ჰაერი, «რომელიც იმდენად წმინდა ანუ ფლოგისტონისაგან იმდენად თავისუფალი აღმოჩნდა, რომ მასთან შედარებით ჩვეულებრივი ჰაერი უკვე გაფუჭებული ჩანდა». მას მან დეფლოგისტირებული ჰაერი უწოდა. მალე ამის შემდეგ ამგვარივე ჰაერი აღმოაჩინა შელემ შვეციაში და დაამტკიცა, რომ იგი მოიპოვება ატმოსფეროში. მან დაინახა აგრეთვე, რომ იგი ქრება, თუ მასში ან ჩვეულებრივ ჰაერში რომელსამე სხეულს დავწვავთ, და ამიტომ მას ცეცხლის ჰაერი (Feuerluft) უწოდა. «ამ მონაცემებიდან მან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ შენაერთი, რომელიც წარმოიქმნება ჰაერის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილთან ფლოგისტონის შეერთებისას [მაშასადამე, წვის დროს], «სხვა არაფერია, თუ არა ცეცხლი ანუ სითბო, რომელიც შუშაში გაელის გზით აქროლდება»[2].

პრისტლეიმ და აგრეთვე შელემ აღმოაჩინეს ჟანგბადი, მაგრამ არ იცოდნენ, რა ჰქონდათ მათ ხელში. ისინი «რჩებოდნენ» ფლოგისტური «კატეგორიების ტყვეობაში, რომლებიც მათ იპოვეს თავიანთ წინამორბედებთან». ის ელემენტი, რომელსაც მთელი ფლოგისტური შეხედულება უნდა გადაეყირავებინა და ქიმიაში რევოლუცია მოეხდინა, უნაყოფოდ იკარგებოდა მათს ხელში. მაგრამ პრისტლეიმ თავისი

[2] Roscoe-Schorlemmer: «usführliches Lehrbuch der Chemie», Braunschweig 1877, I, გვ. 13, 18.

აღმოჩენის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა პარიზში ლავუაზიეს, ხოლო ლავუაზიემ ამ ახალი ფაქტის საფუძველზე ხელახლა განიხილა მთელი ფლოგისტური ქიმია და პირველად აღმოაჩინა, რომ ახალი სახის ჰაერი ახალი ქიმიური ელემენტი იყო, რომ წვის დროს იმ სხეულიდან, რომელიც იწვის, იდუმალებით აღსავსე ფლოგისტონი კი არ გამოიყოფა, არამედ ეს ახალი ელემენტი უერთდება სხეულს, და ამგვარად მან პირველად დააყენა ფეხზე მთელი ქიმია, რომელიც თავისი ფლოგისტური ფორმით თავდაყირა იყო დაყენებული. და თუმცა მას ჟანგბადი არ შეუმჩნევია იმავდროულად სხვებთან და სხვებისაგან დამოუკიდებლად, როგორც იგი შემდეგში ამტკიცებდა, მაგრამ მაინც ჟანგბადის ნამდვილი აღმომჩენი რჩება ლავუაზიე და არა ის ორი ადამიანი, რომლებმაც მაოლოდ აღწერეს იგი და რომლებიც ვერც კი მიხვდნენ იმას, თუ სახელდობრ რა აღწერეს.

ზედმეტი ღირებულების თეორიაში მარქსი იმასვე წარმოადგენს თავის წინამორბედთა მიმართ, რასაც ლავუაზიე — პრისტლეისა და შელეს მიმართ. პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილის არსებობა, რომელსაც ჩვენ ახლა ზედმეტ ღირებულებას ვუწოდებთ, მარქსზე დიდი ხნით ადრე იყო დადგენილი; ასევე მეტნაკლები სიცხადით იყო გამოთქმული, რისგან შედგება იგი, სახელდობრ: იმ შრომის პროდუქტისაგან, რომლისათვის მის მიმთვისებელს არავითარი ეკვივალენტი არ გადაუხდია. მაგრამ ამაზე შორს არ წასულან. ერთნი — კლასიკური ბურჟუაზიული ეკონომისტები — იკვლევდნენ — დიდი-დიდი — რაოდენობრივ შეფარდებას, რომლის მიხედვით შრომის პროდუქტი ნაწილდება მუშასა და წარმოების საშუალებათა მფლობელს შორის. სხვები— სოციალისტები — ფიქრობდნენ, რომ ეს განაწილება უსამართლოა, და უტოპიურ საშუალებებს ეძებდნენ ამ უსამართლობის მოსასპობად. ერთნიც და მეორენიც იმ ეკონომიური კატეგორიების ტყვეობაში რჩებოდნენ, რომლებიც მათ თავიანთ წინამორბედებთან ჰპოვეს.

მაგრამ, აი, გამოვიდა მარქსი, და ამასთან პირდაპირ საწინააღმდეგოდ ყველა თავისი წინამორბედის მიმართ. სადაც მისი წინამორბედნი ახსნას ეიდავდნენ, იქ მარქსი მხოლოდ პრობლემას ხედავდა. იგი ხედავდა, რომ ჯერ მის წინ იყო არა დეფლოგისტირებული ჰაერი და არა ცეცხლის ჰაერი, არამედ ჟანგბადი, რომ აქ საქმე ეხებოდა არა ეკონომიური ფაქტის უბრალო დადასტურებას, არა იმას, რომ ეს ფაქტი ეწინააღმდეგებოდა მარადიულ სამართლიანობასა და ჭეშმარიტ მორალს, არამედ ისეთ ფაქტს, რომლის მოწოდება იყო გადატრიალება მოეხდინა მთელ ეკონომიაში და რომელიც გასაღებს იძ-

ლეოდა მთელი კაპიტალისტური წარმოების გასაგებად — იმათთვის, ვინც მით სარგებლობას მოახერხებდა. ამ ფაქტით იხელმძღვანელა მარქსმა და გამოიკვლია ყველა წინანდელი კატეგორიები, ისე როგორც ლ ა ვ უ ა ზ ი ე მ ჟანგბადით იხელმძღვანელა და გამოიკვლია ფლოგისტური ქიმიის წინანდელი კატეგორიები. იმისათვის, რომ სცოდნოდა, რა არის ზედმეტი ღირებულება, მარქსს უნდა სცოდნოდა, რა არის ღირებულება. უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ღირებულების თვით იმ თეორიის გაკრიტიკება, რომელიც რიკარდოს ეკუთვნოდა. ამრიგად, მარქსმა გამოიკვლია შრომა მისი იმ თვისების მიხრივ, რომ იგი ღირებულების შემქმნელია, და პირველად გაარკვია, რ ო გ ო რ ი შრომა, რატომ და როგორ ქმნის ღირებულებას, გაარკვია, რომ ღირებულება საერთოდ სხვა არაფერია, თუ არა ა მ საბის შედედებული შრომა, — პუნქტი, რომელიც უკანასკნელ წუთამდე ვერ გაუგია როდბერტუსს. მარქსმა გამოიკვლია შემდეგ საქონლისა და ფულის ურთიერთობა და ცხადყო, თუ როგორ და რატომ — იმის ძალით, რომ საქონლის დამახასიათებელია ღირებულების თვისება — საქონელმა და საქონელთა გაცვლამ უნდა წარმოშვას საქონლისა და ფულის დაპირისპირებულობა. ამაზე დამყარებული მისი თეორია ფულისა პირველი ამომწურავი და ახლა მდუმარედ საყოველთაოდ მიღებული თეორიაა. მარქსმა გამოიკვლია ფულის გადაქცევა კაპიტალად და დაამტკიცა, რომ ეს გადაქცევა სამუშაო ძალის ყიდვასა და გაყიდვაზეა დაფუძნებული. მარქსმა შრომის ადგილას დააყენა სამუშაო ძალა, ღირებულების შემქმნელი თვისება, და ამით ერთბაშად ახსნა ერთ-ერთი ის სიძნელე, რომელზედაც რიკარდოს სკოლა დაიმსხვრა: შეუძლებლობა კაპიტალის და შრომის ურთიერთგაცვლის შეთანხმებისა რიკარდოს იმ კანონთან, რომელიც ღირებულებას ზრომით განსაზღვრავს. მარქსმა დაადგინა კაპიტალის დაყოფა მუდმივ და ცვალებად კაპიტალად, რითაც მან პირველმა მიაღწია იმას, რომ დეტალურად გამოსახა ზედმეტი ღირებულების შექმნის პროცესის ნამდვილი მსვლელობა და ამგვარად ახსნა იგი, რაც არც ერთ მის წინამორბედს არ გაუკეთებია; მაშასადამე, მან დაადგინა განსხვავება თვით კაპიტალში, განსხვავება, რომელსაც სრულიად ვერ ართმევდნენ თავს ვერც როდბერტუსი და ვერც ბურჟუაზიული ეკონომისტები, მაგრამ რომელიც იძლევა გასაღებს ყველაზე დახლართული ეკონომიური პრობლემების გადასაწყვეტად, რის უაღრესად დამარწმუნებელ დამტკიცებასაც წარმოადგენს აქ კვლავ წიგნი II და კიდევ უფრო მეტად, როგორც ეს შემდგომ იქნება ნაჩვენები, წიგნი III. შემდეგ, მან გამოიკვლია თვით ზედმეტი ღირებულება, აღმოაჩინა მისი ორივე ფორმა: აბსოლუტური

და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება, და ცხადყო ის განსხვავებული, მაგრამ ორივეჯერ გადამწყვეტი როლი, რომელსაც ეს ფორმები ასრულებდნენ კაპიტალისტური წარმოების ისტორიულ განვითარებაში. ზედმეტი ღირებულების საფუძველზე მან განავითარა ხელფასის პირველი რაციონალური თეორია, რომელიც კი ჩვენ გვაქვს, და პირველად მოგვცა კაპიტალისტური დაგროვების ისტორიის ძირითადი მობაზულობა და მისი ისტორიული ტენდენციის დასურათება.

ხოლო რა ქნა როდბერტუსმა? როდესაც ყველაფერი ეს წაიკითხა, მან — როგორც ყოველ ტენდენციურ ეკონომისტს შეეფერება — დაინახა ამაში «საზოგადოებაზე თავდასხმა», დაინახა, რომ თვითონ მან უკვე ბევრად უფრო მოკლედ და ნათლად თქვა, თუ საიდან წარმოდგება ზედმეტი ღირებულება, და, დასასრულ, დაინახა, რომ თუმცა ყველაფერი ეს ეგუება «კაპიტალის დღევანდელ ფორმას», ე. ი. კაპიტალს, როგორც ივი არსებობს ისტორიულად, მაგრამ არ ეგუება «კაპიტალის ცნებას», ე. ი. ბ-ნ როდბერტუსის უტოპიურ წარმოდგენას კაპიტალზე. იგი მოიქცა სწორედ ისე, როგორც მოხუცი პრისტლეი, რომელიც მთელი თავისი დღენი ფლოგისტონს ფიცულობდა და ჟანგბადის შესახებ გაგონებაც კი არ სურდა. მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ პრისტლეიმ მართლა პირველმა ასწერა ჟანგბადი, მაშინ როდესაც როდბერტუსმა თავის ზედმეტ ღირებულებაში ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, თავის «რენტაში» მხოლოდ ზოგადი ადგილი აღმოაჩინა ხელახლა; მარქსს კი, წინააღმდეგ ლავუაზიეს საქციელისა, თავის ღირსების დამცირებად მიაჩნდა იმის მტკიცება, რომ მან პირველმა აღმოაჩინა ზედმეტი ღირებულების არსებობის ფ ა ქ ტ ი.

ამავე დონეზე დგას ყოველივე დანარჩენი, რაც კი როდბერტუსს პოლიტიკურ ეკონომიაში გაუკეთებია. მის მიერ ზედმეტი ღირებულების გადაბუშავება უტოპიად მარქსმა უკვე წინასწარგანუზრახველად გააკრიტიკა «Misère de la Philosophie»-ში; ყველაფერი, რაც კიდევ სათქმელი იყო ამის შესახებ, მე ვთქვი აღნიშნული ნაშრომის გერმანული თარგმანის წინასიტყვაობაში. მის მიერ ვაჭრობის კრიზისების ახსნა მუშათა კლასის მბრივ არასაკმაო მოხმარებით უკვე გვხვდება სისმონდის «Nouveaux Principes de l'Économie Politique»-ში, წიგნი IV, თავი IV[3]. მხოლოდ სისმონდის ამასთან ყოველთვის მბედველობაში ჰქონდა მსოფ-

[3] «ამრიგად, მცირერიცხოვან მესაკუთრეთა ხელში სიმდიდრის კონცენტრაციის გამო, შინაგანი ბაზარი სულ უფრო ვიწროვდება, და მრეწველობა სულ უფრო იძულებული ხდება გასაღება ეძიოს უცხო ბაზრებზე, სადაც მას უდიდესი შერყევის განცდა მოელის» (სახელდობრ 1817 წლის კრიზისი, რომელიც უშუალოდ ამის შემდეგ არის აწერილი). «Nouveaux Principes», გამოც. 1819. ტ. I, გვ. 336.

ლიო ბაზარი, მაშინ როდესაც როდბერტუსის ჰორიზონტი პრუსიის საზღვარს არ სცილდება. მისი განყენებული მსჯელობანი იმის შესახებ: კაპიტალიდან მომდინარეობს ხელფასი თუ შემოსავლიდან, — სქოლასტიკის სფეროს ეკუთვნის და საბოლოოდ გაქარწყლებულია «კაპიტალის» ამ მეორე წიგნის მესამე განყოფილების შინაარსით. მარტოოდენ მის საკუთრებადაა დარჩენილი მისი რენტის თეორია, რომელსაც შეუძლია მშვიდად განისვენოს, ვიდრე არ გამოქვეყნდება მარქსის ხელნაწერი, რომელიც მის კრიტიკას შეიცავს*. დასასრულ, მისი პროექტები კაპიტალის უღლისგან ძველ-პრუსიული მიწათმფლობელობის განთავისუფლების შესახებ კვლავ მთლიანად უტოპიურია; სახელდობრ, ამ პროექტებში გვერდავლილია ერთადერთი პრაქტიკული საკითხი, რომელზეც აქ ლაპარაკია, — საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია ძველპრუსიელ იუნკერს, რომ, ვთქვათ, 20 000 მარკას წლიურ შემოსავალს იღებდეს, 30 000 მარკას ხარჯავდეს და ამავე დროს კი ვალში არ ვარდებოდეს?

რიკარდოს სკოლამ დაახლოებით 1830 წელს ფეხი მოიტეხა ზედმეტ ღირებულებაზე. ის, რაც მან ვერ ახსნა, მით უფრო აუხსნელი რჩებოდა მისი მემკვიდრისათვის, ვულგარული ეკონომიისთვის. ის ორი პუნქტი, რაზედაც აღნიშნული სკოლა დაიმსხვრა, იყო შემდეგი:

პირველი. შრომა ღირებულების საზომია. მაგრამ ცოცხალ შრომას კაპიტალზე გაცვლისას ნაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე გასაგნობრივებულ შრომას, რომელზედაც იგი გაიცვლება. ხელფასი, განსაზღვრული რაოდენობის ცოცხალი შრომის ღირებულება, ყოველთვის ნაკლებია, ვიდრე ღირებულება პროდუქტისა, რომელიც ამავე რაოდენობის ცოცხალი შრომით არის წარმოებული ანუ რომლითაც ეს შრომა გამოიხატება. ასეთი გაგებით დასმული საკითხის გადაწყვეტა მართლაც შეუძლებელია. მარქსმა იგი სწორად დააყენა და ამით მოგვცა მასზე პასუხი. შრომას არა აქვს ღირებულება. როგორც ღირებულების შემქმნელ მოქმედებას მას ისევე არ შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული ღირებულება, როგორც სიმძიმეს არ შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული წონა, სითბოს — განსაკუთრებული ტემპერატურა, ელექტრობას — დენის განსაკუთრებული ძალა. როგორც საქონელი, ყიდვა-გაყიდვის საგანია არა შრომა, არამედ სამუშაო ძალა. როგორც კი სამუშაო ძალა საქონლად იქცევა, მისი ღირებულება გაიზომება იმ შრომით, რომელიც განხორციელებულია მასში როგორც

* იგულისხმება მარქსის ნაშრომის—«ზედმეტი ღირებულების თეორიების» მეორე ნაწილი. რ ე დ.

საზოგადოებრივ პროდუქტში; ეს ღირებულება უდრის მისი წარმოებისა და კვლავწარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელ შრომას. მაშასადამე, სამუშაო ძალის ყიდვა და გაყიდვა ამ მისი ღირებულების საფუძველზე სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ღირებულების ეკონომიურ კანონს.

მეორე. რიკარდოს ღირებულების კანონის თანახმად ორი კაპიტალი, რომელნიც ერთნაირი რაოდენობისა და ერთნაირად გადახდილ ცოცხალ შრომას გამოიყენებენ, თუ ვიგულისხმებთ, რომ ყველა პირობები თანაბარია, თანაბარი დროის განმავლობაში აწარმოებენ თანაბარი ღირებულების პროდუქტებს, აგრეთვე თანაბარი სიდიდის ზედმეტ ღირებულებას ანუ მოგებას. ხოლო თუ ისინი არათანატოლი რაოდენობის ცოცხალ შრომას გამოიყენებენ, მათ არ შეუძლიათ აწარმოონ თანატოლი სიდიდის ზედმეტი ღირებულება ანუ, როგორც რიკარდოელები აბზობენ, მოგება. მაგრამ სინამდვილეში ამის საპირისპირო მოვლენას აქვს ადგილი. ფაქტიურად ტოლი კაპიტალები თანაბარი დროის განმავლობაში ტოლ მოგებას აწარმოებენ იმისგან დამოუკიდებლად, ბევრ თუ ცოტა ცოცხალ შრომას გამოიყენებენ ისინი. მაშასადამე, აქ აშკარა წინააღმდეგობაა ღირებულების კანონის მიმართ, წინააღმდეგობა, რომელიც ჯერ კიდევ რიკარდომ შენიშნა და რომლის გადაწყვეტა მისმა სკოლამაც ვერ შეძლო. როდბერტუსსაც არ წეეძლო არ შეემჩნია ეს წინააღმდეგობა; მაგრამ, გადაწყვეტის ნაცვლად იგი მას თავისი უტოპიის ერთ-ერთ ამოსავალ პუნქტად ხდის («Zur Erkenntnis etc.» გვ. 131). ეს წინააღმდეგობა მარქსმა გადაწყვიტა უკვე ხელნაწერში: «Zur Kritik»; «კაპიტალის» გეგმის თანახმად, მისი გადაწყვეტა მოცემული იქნება III წიგნში. მის გამოქვეყნებამდე კიდევ თვეები გაივლის. მაშასადამე, იმ ეკონომისტებს, რომლებსაც სურთ აღმოაჩინონ როდბერტუსში მარქსის თეორიის ფარული წყარო და მარქსის უბადლო წინამორბედი, აქ შემთხვევა ეძლევათ გვაჩვენონ, თუ რის მოცემა ძალუძს როდბერტუსის ეკონომიას. თუ ისინი დაამტკიცებენ, როგორ შეიძლება შეიქმნას და უნდა შეიქმნას მოგების თანაბარი საშუალო ნორმა არა მარტო ღირებულების კანონის დაუღალავად, არამედ, პირიქით, მის საფუძველზე, მაშინ ჩვენ განვაგრძობთ მათთან ლაპარაკს. მანამდე კი მათ კეთილინებენ და აჩქარდნენ. ამ II წიგნის ბრწყინვალე გამოკვლევები და მათი სრულიად ახალი შედეგები დღემდე თითქმის ხელუხლებელ დარგებში მხოლოდ შესავალი დებულებებია III წიგნის შინაარსისათვის, სადაც გადმოცემულია საბოლოო დასკვნები იმ დასაბუთებიდან, რაც მარქსის ხელში ჰპოვა საზოგადოებრივი კვლავწარმოების

პროცესმა კაპიტალისტურ საფუძველზე. ამ III წიგნის გამოქვეყნების შემდეგ ნაკლებადღა იქნება ლაპარაკი ვინმე ეკონომისტ როდბერტუსის შესახებ.

«კაპიტალის» მეორე და მესამე წიგნი, როგორც მარქსს ჩემთვის ხშირად უთქვამს, მის ცოლს უნდა მიძღვნოდა.

ფრიდრიხ ენგელსი.

ლონდონი, მარქსის დაბადების დღეს, 5 მაისი 1885 წ.

წინამდებარე მეორე გამოცემა უმთავრესად პირველის სიტყვასიტყვითი ანაბეჭდია. გასწორებულია მცდარბეჭდილები, გაუმჯობესებულია ზოგ ალაგას სტილისტური დაუდევრობანი, ამოღებულია რამდენიმე პატარა აბზაცი, რომელნიც მხოლოდ განმეორებას შეიცავდნენ.

მესამე წიგნი, რომელმაც სრულიად მოულოდნელი სიძნელენი შემიქმნა, ახლა აგრეთვე თითქმის მზად არის ხელნაწერის სახით. თუ ჯანმრთელად ვიქენი, მისი ბეჭდვა უკვე ამ შემოდგომაზე შეიძლება დაიწყოს.

ფ. ენგელსი.

ლონდონი, 15 ივლისი 1893 წ.

მიმოხილვის გასაადვილებლად ქვემოთ მოცემულია მოკლედ და თავმოყრილად ის ადგილები, რომლებიც II — VIII ცალკე ხელნაწერებიდანაა აღებული.

განყოფილება პირველი.

გვ. 27—41, VII ხელნაწერიდან.—გვ. 41—46, VI ხელნაწერიდან.—გვ. 46 — 143, V ხელნაწერიდან. — გვ. 143 — 147 შენიშვნა, ნაპოვნია წიგნებიდან ამონაწერებში. — გვ. 148 განყოფილების ბოლომდე, IV ხელნაწერიდან; მაგრამ ჩართულია: გვ. 159—161, ადგილი VIII ხელნაწერიდან; გვ. 165 და 173— 174 შენიშვნები II ხელნაწერიდან.

განყოფილება მეორე.

დასაწყისი, გვ. 189—200, წარმოადგენს IV ხელნაწერის ბოლოს. აქედან განყოფილების ბოლომდე, 438 ვერდამდე, ყველაფერი II ხელნაწერიდანაა.

განყოფილება მესამე.

თავი 18: (გვ. 439 — 449) II ხელნაწერიდან.

თავი 19: I და II (გვ. 450 — 489) VIII ხელნაწერიდან. — III (გვ. 489 — 491) II ხელნაწერიდან.

თავი 20: I (გვ. 492 — 496) II ხელნაწერიდან, მხოლოდ დასკვნითი აბზაცია VIII ხელნაწერიდან. — II (გვ. 496 — 499) არსებითად II ხელნაწერიდან. — III, IV, V (გვ. 499—530) VIII ხელნაწერიდან.— VI, VII, VIII, IX (გვ. 530— 549) II ხელნაწერიდან. — X, XI, XII გვ. (549 — 602) VIII ხელნაწერიდან. — XIII (გვ. 602— 613) II ხელნაწერიდან.

თავი 21: (გვ. 614 — 655) მთლად VIII ხელნაწერიდან.

წიგნი მეოთხე

კაპიტალის მიმოქცევის პროცესი

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ.

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲛᲝᲠᲤᲝᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲬᲠᲔᲑᲠᲣᲜᲕᲐ

ᲗᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ.

ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲬᲠᲔᲑᲠᲣᲜᲕᲐ

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲬᲠᲔᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ[1] ᲒᲐᲘᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲛ ᲡᲢᲐᲓᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲢᲝᲛᲨᲘᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲬᲙᲠᲘᲕᲘᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ:

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲐ: ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲪᲮᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ; ᲛᲘᲡᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲔᲕᲐ, ᲔᲒ. Ი. ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲛᲝᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲐᲥᲢᲡ: Ფ — Ს.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲢᲐᲓᲘᲐ: ᲜᲐᲧᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ. ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ; ᲛᲘᲡᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ ᲒᲐᲘᲕᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ. ᲨᲔᲓᲔᲒᲘ: ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲢᲐᲓᲘᲐ: ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ; ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲔᲕᲐ ᲤᲣᲚᲐᲓ, ᲔᲒ. Ი. ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲛᲝᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲐᲥᲢᲡ: Ს — Ფ.

ᲛᲐᲬᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲬᲠᲔᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ: Ფ — Ს...Წ...Ს′ — Ფ′, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲛᲝᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝ Ს′, ᲘᲡᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ Ფ′, ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚ Ს ᲓᲐ Ფ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲢᲐᲓᲘᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ ᲔᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲢᲐᲓᲘᲘᲡ — ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ — ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲥ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ

[1] VII ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲓᲐᲜ.

გარეშე იყო დატოვებული ის სხვადასხვა ფორმა, რომლებითაც კაპიტალი თავის სხვადასხვა სტადიებზე შეიმოსება და რომლებსაც იგი ხან მიიღებს, ხან თავიდან იშორებს წრებრუნვის განმეორებისას. ახლა ისინი გამოკვლევის უახლოეს საგანს შეადგენენ.

რომ ეს ფორმები წმინდა სახით გავიგოთ, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ყურადღების გარეშე დავტოვოთ ყველა ის მომენტი, რომელთაც საერთო არა აქვთ რა ფორმათცვალებასთან და ფორმის წარმოქმნასთან როგორც ასეთებთან. ამიტომ აქ იგულისხმება არა მარტო ის, რომ საქონელთა გაყიდვა მათი ღირებულების მიხედვით წარმოებს, არამედ ისიც, რომ ეს ხდება უცვლელად დარჩენილ გარემოებებში. მაშასადამე, მხედველობაში არ მიიღება აგრეთვე ღირებულების ის ცვლილებები, რომლებიც შეიძლება მოხდეს წრებრუნვის პროცესის განმავლობაში.

I. პირველი სტადია: ფ — ს [1].

ფ — ს გამოხატავს ფულის გარკვეული რაოდენობის გადაქცევას საქონელთა გარკვეულ რაოდენობად: მყიდველისათვის — მისი ფულის გადაქცევას საქონლად, გამყიდველებისათვის — მათი საქონლის გადაქცევას ფულად. საყოველთაო საქონელმიმოქცევის ამ აქტს აქცევს ამავე დროს ფუნქციურად განსაზღვრულ განყოფილებად ინდივიდუალური კაპიტალის დამოუკიდებელ წრებრუნვაში უწინარეს ყოვლისა არა ამ აქტის ფორმა, არამედ მისი ნივთიერი შინაარსი, იმ საქონელთა მოხმარების სპეციფიკური ხასიათი, რომელნიც თავიანთ ადგილს იცვლიან ფულის მიმართ. ესაა, ერთი მხრივ, წარმოების საშუალებანი, მეორე მხრივ — სამუშაო ძალა: საქონლის წარმოების ნივთიერი და პიროვნული ფაქტორები, რომელთა თავისებურება, რასაკვირველია, უნდა შეესაბამებოდეს იმას, თუ რა ხასიათისაა დასამზადებელი საგანი. თუ ჩვენ სამუშაო ძალას ვუწოდებთ სძ, წარმოების საშუალებებს — წ-ს, მაშინ კაპიტალისტის მიერ საყიდელ საქონელთა ჯამი ს = სძ + წს, ანუ, უფრო მოკლედ, ს < $\frac{\text{სძ}}{\text{წს}}$. მაშასადამე, აქტი ფ — ს, მისი შინაარსის მხრივ განხილული, წარმოგვიდგება როგორც ფ — ს < $\frac{\text{სძ}}{\text{წს}}$, ე. ი. ფ—ს დაიყოფა ფ — სძ-ად და ფ — წს-ად; ფულადი თანხა ფ იყოფა ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი ყიდულობს სამუშაო ძალას და მეორე—

[1] აქედან ხელნაწერი VII, რომელიც დაწყებულია 1878 წლის 2 ივლისს.

წარმოების საშუალებებს. ყიდვის ეს ორი წყება სრულიად სხვადასხვა ბაზარს ეკუთვნის: ერთი — საკუთრივ საქონლის ბაზარს, მეორე — შრომის ბაზარს.

მაგრამ გარდა საქონელთა ჯამის ამ თვისებრივი დაწილადებისა, ჯამის, რადაც ფ გარდაიქმნება, ფ — ს < $^{სძ}_{წს}$ უაღრესად დამახასიათებელ რაოდენობრივ შეფარდებასაც გამოსახავს.

ჩვენ ვიცით, რომ სამუშაო ძალის ღირებულება — სათანადოდ მისი ფასი — ამ ძალის პატრონს, რომელიც მას ყიდის როგორც საქონელს, ეძლევა სამუშაო ხელფასის სახით, ე. ი. როგორც ფასი შრომის გარკვეული რაოდენობისა, რომელიც ზედმეტ შრომასაც შეიცავს; ასე რომ, თუ, მაგალითად, სამუშაო ძალის დღიური ღირებულება = 3 მარკას, ხუთსაათიანი შრომის პროდუქტს, ხელშეკრულებაში მყიდველსა და გამყიდველს შორის ეს თანხა გამოდის როგორც, ვთქვათ, ათსაათიანი შრომის ფასი ანუ ხელფასი. თუ ასეთი ხელშეკრულება, მაგალითად, 50 მუშასთან იყო დადებული, — ამ მუშებმა ერთად მყიდველს ერთი დღის განმავლობაში 500 საათის შრომა უნდა ჩააბარონ, საიდანაც ნახევარი, 250 სამუშაო საათი, რომელიც = 25 ათსაათიან სამუშაო დღეს, მხოლოდ ზედმეტი შრომისაგან შედგება. საყიდელ წარმოების საშუალებათა რაოდენობა, ისევე როგორც მათი მოცულობა, საკმარისი უნდა იყოს შრომის ამ მასის გამოსაყენებლად.

მაშასადამე, ფ — ს < $^{სძ}_{წს}$ გამოსახავს არა მხოლოდ თვისებრივ შეფარდებას, არა მხოლოდ იმას, რომ განსაზღვრული ფულადი თანხა, მაგალითად, 422 გირვ. სტერლ., გარდაიქმნება ერთმანეთის შესაბამის წარმოების საშუალებებად და სამუშაო ძალად, არამედ იგი გამოსახავს აგრეთვე რაოდენობრივ შეფარდებასაც სძ სამუშაო ძალაზე და წს წარმოების საშუალებებზე დახარჯული ფულის ნაწილებს შორის, — შეფარდებას, რომელიც თავიდანვე განსაზღვრულია იმ ნაჭარბი ზედმეტი შრომის რაოდენობით, რაც მუშათა განსაზღვრულმა რიცხვმა უნდა დახარჯოს.

მაშასადამე, თუ, მაგალითად, რომელიმე სართავ საწარმოში 50 მუშის ხელფასი 50 გირვ. სტერლინგს შეადგენს კვირაში, მაშინ წარმოების საშუალებებზე უნდა დაიხარჯოს 372 გირვ. სტერლ., იგულისხმება რა, რომ ეს არის ღირებულება წარმოების საშუალებათა, რომელთაც ნართად გარდაქმნის 3000 საათის კვირეული შრომა, საიდანაც 1500 საათი ზედმეტ შრომას შეადგენს.

ამ შემთხვევაში სავსებით სულ ერთია, თუ რამდენად იწვევს მრეწველობის სხვადასხვა დარგში დაშატებითი შრომის გამოყენება

დამატებითი ღირებულების დახარჯვას წარმოების საშუალებათა სახით. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ყველა გარემოებაში წარმოების საშუალებებზე დახარჯული ფულის ნაწილი — Ფ — Ფს აქტის გზით ნაყიდი წარმოების საშუალებანი — საკმარისი უნდა იყოს, მაშასადამე, იმთავითვე ნაანგარიშევი უნდა იყოს როგორც საკმარისი, ნაშოვნი უნდა იყოს სათანადო პროპორციით. სხვანაირად რომ ვთქვათ: წარმოების საშუალებათა რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ შეიწოვოს შრომის მთელი რაოდენობა, რომლის მეოხებითაც ისინი პროდუქტად უნდა გადაიქცნენ. თუ წარმოების არსებული საშუალებანი საკმარისი არ იქნებოდა, მაშინ ის ნამეტი შრომა, რომელიც მყიდველს თავის განკარგულებაში აქვს, გამოუყენებელი დარჩებოდა; მყიდველის უფლება ამ შრომაზე განკარგულებისა უშედეგო იქნებოდა. თუ წარმოების საშუალებანი მეტი იქნებოდა, ვიდრე განკარგულებაში არსებული შრომა არის, — ისინი ვერ გაიჟღინთებოდნენ შრომით, ვერ გადაიქცეოდნენ პროდუქტად.

როგორც კი აქტი Ფ — ს < ^{სძ}/$_{ფს}$ შესრულებულია, მყიდველს თავის განკარგულებაში აქვს არა მხოლოდ წარმოების საშუალებანი და სამუშაო ძალა, რომლებიც საჭიროა ამა თუ იმ სასარგებლო საგნის საწარმოებლად: მას თავის განკარგულებაში აქვს იმაზე მეტი სამუშაო ძალა, ანუ იმაზე მეტი შრომის რაოდენობა, რაც საჭიროა სამუშაო ძალის ღირებულების ასანაზღაურებლად, და იმავე დროს თავის განკარგულებაში აქვს წარმოების საშუალებანი, რომლებიც საჭიროა შრომის ამ რაოდენობის სარეალიზაციოდ ანუ გასასაგნობრივებლად; მაშასადამე, მას თავის განკარგულებაში აქვს უფრო დიდი ღირებულების მქონე საგანთა წარმოების ფაქტორები, ვიდრე მათი წარმოების ელემენტების ღირებულებაა, ანუ მის განკარგულებაშია ზედმეტი ღირებულების შემცველ საქონელთა მასის წარმოების ფაქტორები. მაშასადამე, მის მიერ ფულადი ფორმით ავანსებული ღირებულება ახლა ისეთ ნატურალურ ფორმაში იმყოფება, რომელშიც იგი შეიძლება რეალიზებულ იქნეს როგორც ზედმეტი ღირებულების გამომჩეკი ღირებულება (საქონლის სახით). სხვა სიტყვებით: იგი იმყოფება მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მდგომარეობაში ანუ ფორმაში, კაპიტალისა, რომელსაც აქვს თვისება მოქმედებდეს როგორც ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების შემქმნელი. კაპიტალს ამ ფორმაში ვუწოდოთ წ.

მაგრამ წ ღირებულება = სძ + ფს, უდრის სძ-ად და ფს-ად გადაქცეულ Ფ ღირებულებას. Ფ იგივე კაპიტალღირებულებაა, რაც

წ, მხოლოდ მისი არსებობის ფორმა სხვანაირია, სახელდობრ, ესაა კაპიტალღირებულება ფულად მდგომარეობაში, ანუ ფულად ფორმაში: ესაა ფ ულ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი.

ამიტომ ფ — ს $<^{\text{სძ}}_{\text{წს}}$ ანუ, თუ მის საყოველთაო ფორმაში ავიღებთ, ფ — ს, ე. ი. საქონელთა ყიდვის აქტების ჯამი, აქტი საყოველთაო საქონელმოქცევისა, იმავე დროს, როგორც სტადია კაპიტალის დამოუკიდებელი წრებრუნვის პროცესში, წარმოადგენს კაპიტალღირებულების გადაქცევას მისი ფულადი ფორმიდან მის მწარმოებლურ ფორმად, ანუ, უფრო მოკლედ, ფ ულ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გადაქცევას მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ურ კ ა პ ი ტ ა ლ ა დ. მაშასადამე, წრებრუნვის იმ ფიგურაში, რომელიც აქ პირველ რიგში განიხილება, ფული გვევლინება როგორც კაპიტალღირებულების პირველი მატარებელი, ამიტომ ფულადი კაპიტალი გვევლინება იმ ფორმით, რომლითაც კაპიტალი ავანსად გაიღება.

როგორც ფულადი კაპიტალი, იგი იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც მას შეუძლია შეასრულოს ფულის ფუნქციები, როგორც, მაგალითად, ამ შემთხვევაში ყიდვის საყოველთაო საშუალებისა და გადახდის საყოველთაო საშუალების ფუნქციები (უკანასკნელი იმდენად, რამდენადაც სამუშაო ძალას, თუმცა ადრე ყიდულობენ, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ ისტუმრებენ, რაც მან უკვე იმოქმედა; რამდენადაც წარმოების საშუალებები მზამზარეულად არ მოიპოვება ბაზარზე და საჭიროა ჯერ მათი დაკვეთა, აქტში ფ — წს ფული მოქმედებს აგრეთვე როგორც გადახდის საშუალება). ეს უნარი იქიდან კი არ გამომდინარეობს, რომ ფულადი კაპიტალი არის კაპიტალი, არამედ იქიდან, რომ იგი ფულია.

მეორე მხრივ, კაპიტალღირებულებას ფულად მდგომარეობაში მხოლოდ ფულის ფუნქციები შეუძლია შეასრულოს და სხვა არავითარი. ამ ფუნქციებს კაპიტალის ფუნქციებად ადის მათი განსაზღვრული როლი კაპიტალის მოძრაობაში და, ამიტომ, კავშირიც იმ სტადიისა, რომელშიც ისინი გვევლინებიან, მისი წრებრუნვის სხვა სტადიებთან. მაგალითად, იმ შემთხვევაში, რომელთანაც ჩვენ აქ უწინარეს ყოვლისა საქმე გვაქვს, ფული გადაიქცევა სხვადასხვა საქონლად, რომელთა დაკავშირება შეადგენს მწარმოებლური კაპიტალის ნატურალურ ფორმას და ამიტომ ფარულ მდგომარეობაში, შესაძლებლობის მიხედვით, უკვე შეიცავს კაპიტალისტური წარმოების პროცესის შედეგს.

იმ ფულის ნაწილი, რომელიც ფ — ს $<^{\text{სძ}}_{\text{წს}}$ ფულადი კაპიტალის ფუნქციას ასრულებს, თვით ამ მიმოქცევის შესრულების გზით გადა-

დის ისეთი ფუნქციის შესრულებაზე, რომელშიც ქრება მისი კაპიტალის ხასიათი და რჩება მისი ფულის ხასიათი. ფულადი კაპიტალის ფ-ის მიმოქცევა დაიშლება ფ — წს და ფ — სძ, წარმოების საშუალებათა ყიდვად და სამუშაო ძალის ყიდვად. განვიხილოთ უკანასკნელი აქტი ცალკე. ფ — სძ წარმოადგენს სამუშაო ძალის ყიდვას კაპიტალისტის მხრივ; მუშის, სამუშაო ძალის მფლობელის, მხრივ, ეს არის სამუშაო ძალის გაყიდვა, — შრომის გაყიდვა, შეიძლება აქ ითქვას, რადგან ხელფასის ფორმა უკვე ნაგულისხმევია. რაც მყიდველისათვის წარმოადგენს ფ — ს (= ფ — სძ), ის აქ, როგორც ყოველი ყიდვის დროს, გამყიდველისთვის (მუშისთვის) წარმოადგენს სძ—ფ (=ს—ფ), მისი სამუშაო ძალის გაყიდვას. ეს არის მიმოქცევის პირველი სტადია ანუ საქონლის პირველი მეტამორფოზი (წიგნი I, თავი III. 2 a); შრომის გამყიდველის მხრივ ეს არის მისი საქონლის გადაქცევა ფულად ფორმად. ამგვარად მიღებულ ფულს მუშა თანდათან ხარჯავს გარკვეული რაოდენობის სხვადასხვა საქონელზე, რომელნიც მის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ, ხარჯავს მოხმარების საგნებზე. მაშასადამე, მისი საქონლის ერთობლივი მიმოქცევა წარმოგვიდგება როგორც სძ — ფ — ს, ე. ი., ჯერ-ერთი, სძ — ფ (= ს — ფ) და, მეორე, ფ — ს; მაშასადამე, წარმოგვიდგება მარტივი საქონელმიმოქცევის საყოველთაო ფორმით: ს — ფ — ს, სადაც ფული გამოდის მარტოოდენ როგორც სწრაფწარმავალი სამიმოქცევო საშუალება, როგორც საქონლის საქონელზე გაცვლის მარტოოდენ მოსაზუალე.

ფ — სძ დამახასიათებელი მომენტია ფულადი კაპიტალის გადაქცევისა მწარმოებლურ კაპიტალად, რადგანაც ეს არსებითი პირობაა იმისათვის, რომ ფულადი ფორმით ავანსებული ღირებულება ნამდვილად გადაიქცეს კაპიტალად, ღირებულებად, რომელიც ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს. ფ — წს მხოლოდ იმისთვისაა აუცილებლად საჭირო, რომ ფ — სძ ნაყიდი შრომის რაოდენობა განხორციელდეს. ამიტომ ფ — სძ ამ თვალსაზრისით იყო განხილული I წიგნში, განყოფ. II, «ფულის გადაქცევა კაპიტალად». აქ კი საგანი კიდევ სხვა თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ, სახელდობრ სპეციალურ მიმართებაში ფულად კაპიტალთან, როგორც კაპიტალის გამოვლინების ფორმასთან.

. აქტი ფ — სძ საყოველთაოდ ცნობილია როგორც დამახასიათებელი მოვლენა კაპიტალისტური წარმოების წესისათვის. მაგრამ სრულიადაც არა იმ, ზემოთ აღნიშნული, მიზეზის გამო, რომ სამუშაო ძალის ყიდვა ყიდვის ისეთი ხელშეკრულებაა, რომლითაც პირობადებულია შრომის უფრო დიდი რაოდენობის ჩაბარება, ვიდრე საჭიროა სამუშაო ძალის ფასის, ხელფასის, ასანაზღაურებლად, რომლითაც, მაშასადამე

დათქმულია ზედმეტი შრომის ჩაბარება, ეს ძირითადი პირობა აევანსებული ღირებულების კაპიტალიზაციისათვის, ანუ, რაც იგივეა, ზედმეტი ღირებულების წარმოებისათვის. არა, იგი ცნობილია დამახასიათებლად უფრო მისი ფორმის გამო, იმიტომ რომ შრომას ყიდულობენ ფ ულ ზ ე, ხელფასის სახით, და ეს ფულადი მეურნეობის ნიშნად ითვლება.

აქ კვლავ დამახასიათებლად ითვლება არა ფორმის ირაციონალობა, — პირიქით, ირაციონალობას ვერ ამჩნევენ. ირაციონალობა იმაში მდგომარეობს, რომ თვითონ შრომას, როგორც ღირებულების შემქმნელ ელემენტს, არ შეიძლება ჰქონდეს ღირებულება, მაშასადამე, შრომის განსაზღვრულ რაოდენობასაც არ შეიძლება ჰქონდეს ღირებულება, რომელიც გამოიხატებოდეს მისი ფასით, მისი ეკვივალენტობით ფულის განსაზღვრულ რაოდენობასთან. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ხელფასი უბრალოდ შენიღბული ფორმაა, რომლითაც, მაგალითად, სამუშაო ძალის დღიური ფასი წარმოგვიდგება როგორც ფასი იმ შრომისა, რომელიც ამ სამუშაო ძალამ დღის განმავლობაში აამოქმედა, და რომ, ამგვარად, ღირებულება, წარმოებული ამ სამუშაო ძალის მიერ, ვთქვათ, 6 საათის შრომის განმავლობაში, გამოისახება როგორც მისი თორმეტი საათის განმავლობაში შესრულებული მოქმედების, ანუ თორმეტსაათიანი შრომის, ღირებულება.

ფ — სძ ითვლება ეგრეთწოდებული ფულადი მეურნეობის დამახასიათებელ თვისებად, ნიშნად, რადგან საქონელი აქ გვევლინება როგორც საქონელი მისი მფლობელისა, ფული კი ამიტომ გვევლინება მყიდველად; მაშასადამე, ფ — სძ ითვლება ფულადი მეურნეობის დამახასიათებელ ნიშნად ამ ურთიერთობის ფულადი ხასიათის გამო (ე. ი. ადამიანთა საქმიანობის ყიდვისა და გაყიდვის გამო). ნაგრამ ფული უკვე ძალიან ადრე გამოდის ეგრეთწოდებულ მომსახურებათა მყიდველის როლში ისე, რომ არც ფ გადაქცეულა ფულად კაპიტალად და არც მეურნეობის საყოველთაო ხასიათს განუცდია გადატრიალება.

ფულისთვის სავსებით სულ ერთია, თუ რაგვარ საქონლად გადაიქცევა ის. იგი საყოველთაო ეკვივალენტური ფორმაა ყველა საქონლისა, რომელნიც თავიანთი ფასებით უკვე გვიჩვენებენ, რომ იდეალურად განსაზღვრული ფულის თანხას წარმოადგენენ, ელოდებიან თავიანთ გადაქცევას ფულად და მხოლოდ იმ გზით, რომ ფულთან თავიანთ ადგილს შეიცვლიან, იღებენ ისეთ ფორმას, რომელშიც შესაძლებელია მათი გადაქცევა სახმარ ღირებულებად მათი მფლობელისათვის. მაშასადამე, რაკი ბაზარზე უკვე მოიპოვება სამუშაო ძალა როგორც მისი მფლობელის საქონელი, რომლის გაყიდვა ხდება შრო-

მისათვის გადახდის სახით, ხელფასის სახით, — მისი ყიდვა და გაყიდვა უფრო უცნაურს არას წარმოადგენს, ვიდრე ყოველი სხვა საქონლის ყიდვა და გაყიდვა. დამახასიათებელია არა ის, რომ საქონლის — სამუშაო ძალის — ყიდვა შესაძლებელია, არამედ ის, რომ სამუშაო ძალა საქონლის სახით გვევლინება.

$Ф - Ѕ < \frac{Ѕ^{д}}{Ф}$ მეოხებით, ფულადი კაპიტალის მწარმოებლურ კაპიტალად გადაქცევის მეოხებით, კაპიტალისტი აღწევს წარმოების საგნობრივი და პიროვნული ფაქტორების შეერთებას, რამდენადაც ეს ფაქტორები საქონელთაგან შედგება. თუ ეს პირველადაა, რომ ფული მწარმოებლურ კაპიტალად იქცევა, ანუ პირველადაა, რომ იგი მოქმედებს როგორც ფულადი კაპიტალი მისი მფლობელისათვის, ამ შემთხვევაში კაპიტალის მფლობელმა, სამუშაო ძალის ყიდვამდე, ჯერ წარმოების საშუალებანი, სამუშაო შენობები, მანქანები და სხვ. უნდა იყიდოს; ვიდრე სამუშაო ძალა მის განკარგულებაში გადავიდოდეს, მას უკვე მომზადებული უნდა ჰქონდეს წარმოების საშუალებანი, რათა შეეძლოს გამოიყენოს სამუშაო ძალა როგორც სამუშაო ძალა.

ასე წარმოგვიდგება საქმის ვითარება, როდესაც მას კაპიტალისტის მხრივ განვიხილავთ.

მუშის მხრივ კი მდგომარეობა ასეთია: მისი სამუშაო ძალის მწარმოებლური გამოვლინება მხოლოდ იმ მომენტიდანაა შესაძლებელი, როდესაც ეს ძალა მისი გაყიდვის გამო წარმოების საშუალებებს დაუკავშირდება. მაზასადამე, გაყიდვამდე სამუშაო ძალა არსებობს წარმოების საშუალებებისაგან, მისი ამოქმედების საგნობრივი პირობებისგან განცალკევებულად. განცალკევების ამ მდგომარეობაში მისი გამოყენება პირდაპირ არ შეიძლება არც სახმარ ღირებულებათა საწარმოებლად მისი მფლობელისათვის, არც საქონელთა საწარმოებლად, რომელთა გაყიდვით სამუშაო ძალის მფლობელს შეეძლო ეარსებნა. მაგრამ როგორც კი სამუშაო ძალა გაყიდვის მეოხებით წარმოების საშუალებებს დაუკავშირდება, იგი წარმოადგენს, სავსებით ისე როგორც წარმოების საშუალებებიც, იმ მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელ ნაწილს, რომელიც სამუშაო ძალის მყიდველს ეკუთვნის.

ამიტომ, თუმცა აქტში $Ф - Ѕ^{д}$ ფულის მფლობელი და სამუშაო ძალის მფლობელი ერთიმეორესთან ისეთ დამოკიდებულებაში არიან როგორც მყიდველი და გამყიდველი, ერთიმეორეს უპირისპირდებიან როგორც ფულის მფლობელი და საქონლის მფლობელი, მაშასადამე, ამ მხრივ ერთიმეორის მიმართ უბრალო ფულადს ურთიერთობაში იმყოფებიან; — მყიდველი მაინც იმთავითვე გამოდის როგორც მფლობელი წარმოების საშუალებათა, რომელნიც საგნობრივ პირობებს

შეადგენენ სამუშაო ძალის მწარმოებლური დახარჯვისათვის მისი მფლობელის მიერ. სხვა სიტყვებით: ეს წარმოების საშუალებანი სამუშაო ძალის მფლობელს უპირისპირდება როგორც უცხო საკუთრება. მეორე მხრივ, შრომის გამყიდველი მისი მყიდველის პირისპირ დგას როგორც უცხო სამუშაო ძალა, რომელიც ამ უკანასკნელის განკარგულებაში უნდა გადავიდეს, მის კაპიტალს უნდა შეუსისხლხორცდეს, რათა ამ კაპიტალმა ნამდვილად შეძლოს ამოქმედება როგორც მწარმოებლურმა კაპიტალმა. მაშასადამე, კლასობრივი ურთიერთობა კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის უკვე იგულისხმება, უკვე მოცემულია იმ მომენტში, როდესაც ისინი აქტში ფ — სძ (მუშის მხრივ სძ — ფ) ერთიმეორეს უპირისპირდებიან. ეს აქტი არის ყიდვა და გაყიდვა, ფულადი ურთიერთობა, მაგრამ ისეთი ყიდვა და გაყიდვა, სადაც მყიდველად იგულისხმება კაპიტალისტი და გამყიდველად — დაქირავებული მუშა; მაშასადამე, ეს ურთიერთობა იქიდან გამომდინარეობს, რომ პირობები სამუშაო ძალის რეალიზაციისათვის — საარსებო საშუალებანი და წარმოების საშუალებანი — გათიშულია როგორც უცხო საკუთრება სამუშაო ძალის მფლობელისგან.

ჩვენ აქ არ გვაინტერესებს, თუ როგორ წარმოიშვება ეს გათიშვა. იგი არსებობს, როგორც კი ფ — სძ შესრულდება. ჩვენ აქ გვაინტერესებს შემდეგი: თუ ფ — სძ ფულადი კაპიტალის ფუნქციად გვევლინება, ანუ თუ აქ ფული წარმოგვიდგება როგორც კაპიტალის არსებობის ფორმა, — ეს სრულიადაც არ ხდება უბრალოდ იმიტომ, რომ ფული აქ გამოდის როგორც გადახდის საშუალება ადამიანის მოქმედებისათვის, რომელსაც სასარგებლო ეფექტი აქვს, — სამსახურის გაწევისათვის; მაშასადამე, სრულიადაც არა ფულის როგორც გადახდის საშუალების ფუნქციის გამო. ფული შეიძლება ამ ფორმით დაიხარჯოს მხოლოდ იმიტომ, რომ სამუშაო ძალა იმყოფება წარმოების საშუალებებისგან (საარსებო საშუალებების როგორც თვით სამუშაო ძალის წარმოების საშუალებების ჩათვლით) გათიშვის მდგომარეობაში, და იმიტომ, რომ ეს გათიშვა მხოლოდ იმ გზით უქმდება, რომ სამუშაო ძალას წარმოების საშუალებათა მფლობელი ყიდულობს, რომ, მაშასადამე, მყიდველს ეკუთვნის სამუშაო ძალის ამოქმედებაც, რომლის საზღვარი სრულიადაც არ ემთხვევა იმ შრომის რაოდენობის საზღვარს, რომელიც საჭიროა ამ ძალის ფასის კვლავწარმოებისათვის. კაპიტალისტური ურთიერთობა ვლინდება წარმოების პროცესის დროს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უკვე არსებობს თავისთავად მიმოქცევის აქტში, იმ განსხვავებულ ძირითად ეკონომიურ პირობებში, რომლებშიც მყიდველი და გამყიდველი ერთიმეორეს უპირისპირდებიან მათს

კლასობრივ ურთიერთობაში. ეს ურთიერთობა ფულის ბუნებიდან როდი გამომდინარეობს; პირიქით, მხოლოდ ამ ურთიერთობის არსებობას შეუძლია ფულის მარტივი ფუნქცია კაპიტალის ფუნქციად გადააქციოს.

ფულადი კაპიტალის გაგებაში (და ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ასეთ კაპიტალთან გვაქვს საქმე იმ განსაზღვრული ფუნქციის ფარგლებში, რომლითაც იგი ჩვენ აქ წარმოგვიდგება) ჩვეულებრივ ადგილი აქვს ორ შეცდომას ერთიმეორის გვერდით ან ერთმანეთში გადახლართულს. პირველი: ის ფუნქციები, რომელთაც კაპიტალღირებულება ასრულებს როგორც ფულადი კაპიტალი და რომელთა შესრულება მას შეუძლია სწორედ იმიტომ, რომ იგი ფულად ფორმაში იმყოფება, ჩვეულებრივ შეცდომით გამოჰყავთ მისი, როგორც კაპიტალის, ხასიათიდან, მაშინ როდესაც ისინი გამომდინარეობენ მხოლოდ კაპიტალღირებულების ფულადი მდგომარეობიდან, მისი ფულად ფორმაში გამოვლინებიდან და, მეორე, პირიქით: ფულის ფუნქციის ის სპეციფიკური შინაარსი, რომელიც ამ ფუნქციას იმავე დროს კაპიტალის ფუნქციად აქცევს, გამოჰყავთ ფულის ბუნებიდან (ამიტომ ფულს კაპიტალში ურევენ), მაშინ როდესაც ფულადი კაპიტალის ფუნქცია გულისხმობს, როგორც აქ Ფ — Ს აქტის შესრულებისას, საზოგადოებრივ პირობებს, რომლებიც სულაც არაა გამოწვეული მარტივი საქონელმიმოქცევით და შესაბამისი ფულის მიმოქცევით.

მონების ყიდვა-გაყიდვაც მისი ფორმის მიხედვით საქონელთა ყიდვა-გაყიდვას წარმოადგენს. მაგრამ მონობის არსებობის გარეშე ფულს ამ ფუნქციის შესრულება არ შეუძლია. რაკი მონობა არსებობს, — ფულიც შეიძლება დაიხარჯოს მონების საყიდლად. პირიქით, ის გარემოება, რომ ფული მყიდველის ხელშია, სრულიადაც არაა საკმარისი იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მონობის არსებობა.

ის, რომ საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვა (საკუთარი შრომის გაყიდვის სახით, ანუ ხელფასის სახით) წარმოადგენს არა განცალკევებულ მოვლენას, არამედ საქონელწარმოების საზოგადოებრივ გადამწყვეტ წანამძღვარს, რომ, მაშასადამე, ფულადი კაპიტალი საზოგადოებრივი მასშტაბით ასრულებს ფუნქციას Ფ — Ს $<^{Ს'}_{ფს}$, რასაც ჩვენ აქ განვიხილავთ, — ეს გარემოება გულისხმობს ისტორიულ პროცესებს, რომელთაც დაშალეს წარმოების საშუალებათა თავდაპირველი შეერთება სამუშაო ძალასთან, — პროცესებს, რომელთა შედეგად ხალხის მასა, მუშები, როგორც არამესაკუთრენი, და არამშრომელნი, როგორც წარმოების საშუალებათა მესაკუთრენი, ერთმანეთის პირისპირ დგანან.

ამასთან საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ჰქონდა სამუშაო ძალის შეერთებას წარმოების საშუალებებთან თავის დაშლამდე ისეთი ფორმა, რომ თვით მუშა როგორც წარმოების საშუალება ეკუთვნოდა წარმოების სხვა საშუალებებს, თუ იგი მათი მესაკუთრე იყო.

ამრიგად, საქმის არსებითი მდგომარეობა, რომელიც აქ აქტს Ф — S<$^{Sd}_{Pw}$ საფუძვლად უდევს, არის განაწილება; არა განაწილება ჩვეულებრივი აზრით, როგორც მოხმარების საგანთა განაწილება, არამედ განაწილება თვით წარმოების ელემენტებისა, რომელთაგან საგნობრივი ფაქტორები კონცენტრირებულია ერთ მხარეზე, სამუშაო ძალა კი, მათგან იზოლირებული, — მეორე მხარეზე.

მაშასადამე, წარმოების საშუალებანი, მწარმოებლური კაპიტალის საგნობრივი ნაწილი, უნდა უპირისპირდებოდეს მუშას უკვე როგორც ისეთი, როგორც კაპიტალი, ვიდრე აქტი Ф — Sd საყოველთაო საზოგადოებრივი აქტი გახდებოდეს.

ჩვენ წინათ დავინახეთ, რომ კაპიტალისტური წარმოება, რაკი იგი ერთხელ გაჩნდა, თავის განვითარებაში არა მარტო აკვლავწარმოებს ამ გათიშვას, არამედ აფართოებს კიდეც მას მუდამ მზარდი მასშტაბით, ვიდრე ის უნივერსალურად გაბატონებულ საზოგადოებრივ მდგომარეობად არ გადაიქცევა. მაგრამ საგანს კიდევ მეორე მხარეც აქვს. იმის წინამძღვარს, რომ კაპიტალი შეიქმნას და მან წარმოების დაუფლება შეძლოს, შეადგენს ვაჭრობის და მაშასადამე, აგრეთვე საქონელმიმოქცევის და ამით, საქონელწარმოების განვითარების გარკვეული დონე; ეს იმიტომ, რომ საგანი ვერ შევა მიმოქცევაში საქონლის სახით, თუ იგი არ იწარმოება გასაყიდად, მაშასადამე, არ იწარმოება როგორც საქონელი, მაგრამ მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე გვევლინება საქონელწარმოება წარმოების ნორმალურ, გაბატონებულ ტიპად.

რუსი მემამულეები, რომელნიც ეგრეთწოდებულ გლეხთა განთავისუფლების გამო თავიანთ სოფლის მეურნეობას ახლა დაქირავებული მუშებით ეწევიან და არა ყმა-გლეხთა იძულებითი შრომით, ორ რამეს უჩივიან: პირველი, ფულადი კაპიტალის ნაკლებობას. ასე, მაგალითად, ისინი ამბობენ: ვიდრე მოსავალი გაიყიდება, ჩვენ გვიხდება დიდი რაოდენობით დაქირავებული მუშების გასტუმრება, და აი აქ ჩვენ გვაკლია პირველი პირობა ამისათვის, ნაღდი ფული. წარმოების კაპიტალისტურად წარმართვისათვის საჭიროა სწორედ ხელფასის გადასახდელად მუდამ ხელთ გქონდეს კაპიტალი ფულის სახით. მაგრამ

მემამულეებს შეუძლიათ დამშვიდდნენ. დრო გაივლის და ეკალზე ვარდი გაიფურჩქნება: მრეწველი კაპიტალისტის განკარგულებაშია არა მარტო მისი საკუთარი კაპიტალი, არამედ აგრეთვე l'argent des autres [სხვების ფული].

მაგრამ უფრო დამახასიათებელია მეორე ჩივილი, სახელდობრ: მაშინაც კი, როდესაც ფული არის, არ მოიპოვება სამუშაო ძალის საკმაო რაოდენობა, რომლის ყიდვა შეიძლებოდეს ყოველ მომენტში, რადგან რუსი სოფლის მუშა იმის გამო, რომ არსებობს სოფლის თემის სათემო საკუთრება მიწაზე, ჯერ კიდევ სავსებით გათიშული არაა საკუთარი წარმოების საშუალებებისაგან, მაშასადამე, იგი არ წარმოადგენს «თავისუფალ დაქირავებულ მუშას» ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ასეთის არსებობა კი საზოგადოებრივი მასშტაბით აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ფ—ს, ფულის გადაქცევა საქონლად, წარმოადგენდეს ფულადი კაპიტალის გადაქცევას მწარმოებლურ კაპიტალად.

[ამიტომ სავსებით ნათელია, რომ ფორმულა ფულადი კაპიტალის წრებრუნვისათვის: ფ — ს...წ...ს′ — ფ′, წარმოადგენს კაპიტალის წრებრუნვის თავისთავად გასაგებ ფორმას მხოლოდ უკვე განვითარებული კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე, იმიტომ რომ იგი გულისხმობს დაქირავებული მუშების კლასის არსებობას საზოგადოებრივი მასშტაბით. კაპიტალისტური წარმოება, როგორც დავინახეთ, აწარმოებს არა მარტო საქონელს და ზედმეტ ღირებულებას: იგი აკვლავწარმოებს, თანაც სულ უფრო გაფართოებული მასშტაბით, დაქირავებული მუშების კლასს და დაქირავებულ მუშებად აქცევს უშუალო მწარმოებელთა დიდ უმრავლესობას. ამიტომ აქტები ფ — ს... წ... ს′ — ფ′, რადგან მათი განხორციელების პირველ წანამძღვარს დაქირავებული მუშების კლასის არსებობა შეადგენს, უკვე გულისხმობს კაპიტალს მწარმოებლური კაპიტალის ფორმით და ამიტომ მწარმოებლური კაპიტალის წრებრუნვის ფორმასაც.]

II. მეოთხე სტადია. მწარმოებლური კაპიტალის ფუნქცია

კაპიტალის წრებრუნვა, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ, იწყება მიმოქცევის აქტით: ფ — ს, ფულის საქონლად გადაქცევით, ყიდვით. მაშასადამე, მიმოქცევა უნდა შეივსოს საპირისპირო მეტამორფოზით: ს — ფ, საქონლის ფულად გადაქცევით, გაყიდვით. მაგრამ ფ — ს < $^{\text{სძ}}_{\text{წს}}$ უშუალო შედეგია ფულადი ფორმით ავანსებული კაპიტალღირებულე-

ბის მიმოქცევის შეწყვეტა. [ი]მის მეოხებით, რომ ფულადი კაპიტალი მწარმოებლურ კაპიტალად გადაიქცა, კაპიტალღირებულებამ ისეთი ნატურალური ფორმა მიიღო, რომლითაც მას აღარ შეუძლია განაგრძოს მიმოქცევა, არამედ იგი უნდა შევიდეს მოხმარების, სახელდობრ მწარმოებლური მოხმარების, სფეროში. სამუშაო ძალის მოხმარების, შრომის, რეალიზაცია მხოლოდ შრომის პროცესში შეიძლება. კაპიტალისტს არ შეუძლია მუშა გაყიდოს როგორც საქონელი, რადგან მუშა მისი მონა არ არის და მან იყიდა მხოლოდ მისი სამუშაო ძალის გამოყენება განსაზღვრული დროის განმავლობაში. მეორე მხრივ, მას მხოლოდ მაშინ შეუძლია გამოიყენოს სამუშაო ძალა, როცა ამ უკანასკნელს გამოაყენებინებს წარმოების საშუალებებს როგორც საქონლის წარმომქმნელ ფაქტორებს. მაშასადამე, პირველი სტადიის შედეგია გადასვლა მეორე, კაპიტალის მწარმოებლურ სტადიაში.

მოძრაობა წარმოგვიდგება შემდეგი სახით: ფ — ს $<^{\text{სძ}}_{\text{წს}}$ . . . წ, სადაც წერტილებით აღნიშნულია, რომ კაპიტალის მიმოქცევა შეწყვეტილია, მაგრამ მისი წრებრუნვის პროცესი გრძელდება, რადგან იგი საქონელმიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში შედის. მაშასადამე, პირველი სტადია, ფულადი კაპიტალის გადაქცევა მწარმოებლურ კაპიტალად, გვევლინება მხოლოდ როგორც მეორე სტადიის, მწარმოებლური კაპიტალის ამოქმედების წინამორბედი და შესავალი ფაზა.

ფ — ს $<^{\text{სძ}}_{\text{წს}}$ გულისხმობს, რომ ინდივიდს, რომელიც ამ აქტს ასრულებს, თავის განკარგულებაში აქვს არა მხოლოდ ღირებულებანი ამა თუ იმ სახმარი ფორმით, არამედ, რომ მას ეს ღირებულებანი აქვს ფულადი ფორმით, რომ იგი ფულის მფლობელია. ხოლო რადგან აქტი მხოლოდ ფულის გაცვლაში მდგომარეობს, ამიტომ ინდივიდს შეუძლია დარჩეს ფულის მფლობელი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას ფული implicite თვით გაცვლის აქტის გზით უკანვე უბრუნდება. ფული კი მას შეიძლება უკან დაუბრუნდეს მხოლოდ საქონლის გაყიდვის გზით. მაშასადამე, აქტი იმთავითვე გულისხმობს, რომ ეს ინდივიდი საქონელმწარმოებელია.

ფ — სძ. დაქირავებული მუშა მხოლოდ სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობს. ამ ძალის შენარჩუნება — მუშის თვითშენარჩუნება — ყოველდღიურ მოხმარებას მოითხოვს. მაშასადამე, მუშის გასტუმრება ყოველთვის მოკლე ვადებში უნდა მეორდებოდეს, რათა მას შეეძლოს მისი თვითშენარჩუნებისთვის საჭირო შესყიდვა — აქტი სძ — ფ — ს ან ს — ფ — ს — გაიმეოროს. ამიტომ მას კაპიტალისტი მუდამ უნდა უპირისპირდებოდეს როგორც ფულადი კაპიტალისტი და მისი კაპი-

ტალი — როგორც ფულადი კაპიტალი. მაგრამ, მეორე მხრივ, რათა უშუალო მწარმოებელთა, დაქირავებულ მუშათა მასას შეეძლოს აქტის — Sd — W — S — შესრულება, მას მუდამ უნდა უპირისპირდებოდეს აუცილებელი საარსებო საშუალებანი ისეთი ფორმით, რომ მათი ყიდვა შეიძლებოდეს, ე. ი. საქონლური ფორმით. ამგვარად, უკვე ეს მდგომარეობა მოითხოვს საქონელთა სახით პროდუქტების მიმოქცევის მაღალ განვითარებას და, ამიტომ, საქონელწარმოების განვითარების მაღალ დონესაც. როგორც კი დაქირავებული შრომის საშუალებით წარმართული წარმოება საყოველთაო ხასიათს იღებს, — საქონელწარმოება წარმოების საყოველთაო ფორმა უნდა გახდეს. საქონელწარმოება, — თუ ვიგულისხმებთ, რომ მას საყოველთაო ხასიათი აქვს, — იწვევს, თავის მხრივ, საზოგადოებრივი შრომის განუწყვეტლივ მზარდ დანაწილებას, ე. ი. იმ პროდუქტის სულ უფრო მეტ გამოცალკევებას, რომელიც საქონლის სახით ამა თუ იმ კაპიტალისტის მიერ იწარმოება, იწვევს იმას, რომ წარმოების პროცესები, რომელნიც ერთმანეთის შემავსებელნი არიან, სულ უფრო და უფრო იყოფა დამოუკიდებელ პროცესებად. ამიტომ იმავე ოდენობით, რა ოდენობითაც ვითარდება W — Sd, — ვითარდება W — Ws; ე. ი. იმავე ოდენობით წარმოების საშუალებათა წარმოება ეთიშება იმ საქონლის წარმოებას, რომლისთვისაც ისინი წარმოების საშუალებებს შეადგენენ, და ეს უკანასკნელნი უპირისპირდებიან თვითონ ყოველ საქონელმწარმოებელს ისეთი საქონლის სახით, რომელსაც იგი კი არ აწარმოებს, არამედ ყიდულობს თავისი განსაზღვრული წარმოების პროცესისათვის. ისინი გამოდიან წარმოების დარგებიდან, რომლებიც სრულიად გათიშულია მისი საკუთარი წარმოების დარგისაგან და წარიმართება დამოუკიდებლად; ისინი შედიან მის წარმოების დარგში საქონლის სახით; ამიტომ საჭირო ხდება მათი ყიდვა. საქონელწარმოების ნივთიერი პირობები სულ უფრო დიდი ზომით უპირისპირდება საქონელმწარმოებელს როგორც სხვა საქონელმწარმოებელთა პროდუქტები, როგორც საქონელნი. და ამავე ზომით უნდა გამოდიოდეს კაპიტალისტი როგორც ფულადი კაპიტალისტი, სხვა სიტყვებით, ფართოვდება ის მასშტაბიც, რომლითაც მისმა კაპიტალმა უნდა იმოქმედოს ფულადი კაპიტალის სახით.

მეორე მხრივ: იგივე გარემოებანი, რომელნიც წარმოშობენ კაპიტალისტური წარმოების ძირითად პირობას — დაქირავებული მუშების კლასის არსებობას, — ხელს უწყობენ მთელი საქონელწარმოების გადასვლას კაპიტალისტურ საქონელწარმოებაზე. იმ ზომით, რა ზომითაც ეს უკანასკნელი ვითარდება, იგი მოქმედებს დამშლელად და დამრღ-

ვეევად იმ წარმოების ყოველ უფრო ძველ ფორმაზე, რომელიც, უმთავრესად უშუალო საკუთარი მოხმარებისათვის განკუთვნილი, საქონლად აქცევს მხოლოდ პროდუქტის ნამეტს. იგი მთავარ ინტერესად ხდის პროდუქტის გაყიდვას და თან ისე, რომ პირველ ხანებში თითქოს არ ეხება თვით წარმოების წესს, — ასეთი იყო, მაგალითად, კაპიტალისტური მსოფლიო ვაჭრობის პირველი მოქმედება ისეთ ხალხებზე, როგორიც არიან ჩინელები, ინდოელები, არაბები და სხვ. მაგრამ იქ, სადაც კი კაპიტალისტური საქონელწარმოება ფესვებს იდგამს, იგი აღღვევს საქონელწარმოების ყველა ფორმას, რომელიც დაფუძნებულია ან მწარმოებელთა საკუთარ შრომაზე, ანდა — მხოლოდ ნაჭარბი პროდუქტის საქონლის სახით გაყიდვაზე. იგი ჯერ საყოველთაო ხასიათს აძლევს საქონელწარმოებას და შემდეგ ყოველ საქონელწარმოებას თანდათანობით კაპიტალისტურ წარმოებად აქცევს[3].

როგორიც უნდა იყოს წარმოების საზოგადოებრივი ფორმები, მუშები და წარმოების საშუალებანი მუდამ მის ფაქტორებად რჩებიან. მაგრამ ერთნიც და მეორენიც, ერთმანეთისგან გათიშვის მდგომარეობაში მყოფნი, მის ფაქტორებს წარმოადგენენ მხოლოდ შესაძლებლობის მიხედვით. იმისათვის, რომ საერთოდ აწარმოო, ეს ფაქტორები ერთმანეთს უნდა შეუერთდნენ. ის განსაკუთრებული ხასიათი და წესი, რომლითაც ეს შეერთება ხორციელდება, განასხვავებს საზოგადოებრივი სტრუქტურის სხვადასხვა ეკონომიურ ეპოქებს. იმ შემთხვევაში, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ, თავისუფალი მუშის გათიშვა წარმოების საკუთარი საშუალებებისგან წინასწარ მოცემული ამოსავალი პუნქტია, და ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ და რა პირობებში შეერთდება მუშა და წარმოების საშუალებანი კაპიტალისტის ხელში, — სახელდობრ, შეერთდება როგორც მისი კაპიტალის არსებობის მწარმოებლური ფორმა. ამიტომ ის რეალური პროცესი, რომელშიც შედიან ამ წესით ერთმანეთთან შეერთებული პიროვნული და ნივთიერი ფაქტორები საქონლის შექმნისა, წარმოების პროცესი თვით იქცევა კაპიტალის ფუნქციად, — კაპიტალისტური წარმოების პროცესად, რომლის ბუნება ამ თხზულების პირველ წიგნშია დაწვრილებით განხილული. ყოველი საწარმო, რომელიც საქონელს აწარმოებს, ამასთანავე ერთად სამუშაო ძალის ექსპლოატაციის საწარმო ხდება; მაგრამ მხოლოდ კაპიტალისტური საქონელწარმოება იქცევა ეპოქის შემქმნელ ექსპლოატაციის ისეთ წესად, რომელიც თავის შემდგომ ისტორიულ განვითარებაში, შრომის პროცესის ორგანიზაციისა და ტექნიკის კო-

[3] აქამდე ხელნაწერი VII. აქედან ხელნაწერი VI.

ლოსალური განვითარების მეოხებით, გადატრიალებას ახდენს საზოგადოების მთელ ეკონომიურ სტრუქტურაში და შეუდარებლად უსწრებს წინ ყველა წინანდელ ეპოქას.

ამ სხვადასხვა როლის გამო, რასაც წარმოების საშუალებანი და სამუშაო ძალა ასრულებენ წარმოების პროცესში ღირებულების შექმნის დროს, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების შექმნაშიც, ისინი, რამდენადაც ავანსებული კაპიტალღირებულების არსებობის ფორმას წარმოადგენენ, ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი. როგორც მწარმოებლური კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, შემდეგ, იმით, რომ პირველნი, რაკი კაპიტალისტის მფლობელობაში არიან, ამ უკანასკნელის კაპიტალად რჩებიან წარმოების პროცესის გარეთაც, მაშინ როდესაც სამუშაო ძალა მხოლოდ წარმოების პროცესში იქცევა ინდივიდუალური კაპიტალის არსებობის ფორმად. თუ სამუშაო ძალა მისი გამყიდველის, დაქირავებული მუშის, ხელში შეადგენს საქონელს, — იგი, პირიქით, კაპიტალად იქცევა მხოლოდ მისი მყიდველი კაპიტალისტის ხელში, რომელსაც შეუძლია დროგამოშვებით მოიხმაროს იგი. თვით წარმოების საშუალებანი იქცევა მწარმოებლური კაპიტალის მხოლოდ საგნობრივ სახედ, ანუ მწარმოებლურ კაპიტალად, იმ მომენტიდან, როდესაც სამუშაო ძალა, როგორც ამავე კაპიტალის პიროვნული არსებობის ფორმა, მათთან შესისხლხორცების შესაძლებლობას იღებს. როგორც ადამიანის სამუშაო ძალა არაა ბუნებით კაპიტალი, ასევე არც წარმოების საშუალებებია ბუნებით კაპიტალი. ისინი ამ სპეციფიკურ საზოგადოებრივ ხასიათს მხოლოდ განსაზღვრულ, ისტორიულად განვითარებულ პირობებში იღებენ, მსგავსად იმისა, როგორც ძვირფას ლითონებს მხოლოდ ასეთსავე პირობებში ენიჭება ფულის ხასიათი ანდა ფულს — ფულადი კაპიტალის ხასიათი.

როცა მწარმოებლური კაპიტალი მოქმედებს, იგი მოიხმარს თავის საკუთარ შემადგენელ ნაწილებს, რათა უფრო მაღალი ღირებულების მქონე პროდუქტთა მასად გადააქციოს ისინი. რადგან სამუშაო ძალა მოქმედებს როგორც ერთ-ერთი მისი ორგანო, ამიტომ ამ ძალის ზედმეტი შრომით შექმნილი პროდუქტის ღირებულების ნამეტი იმ ღირებულებასთან შედარებით, რომელსაც ამავე პროდუქტის შემადგენელი ელემენტები შეიცავენ, კაპიტალის ნაყოფია. სამუშაო ძალის ზედმეტი შრომა კაპიტალისთვის წარმოადგენს მუქთ შრომას და ამიტომ კაპიტალისტისთვის შეადგენს ზედმეტ ღირებულებას, ღირებულებას, რომელშიც ის არავითარ ეკვივალენტს არ იხდის. ამიტომ

პროდუქტი არა მარტო საქონელია, არამედ ისეთი საქონელია, რომელიც ზედმეტი ღირებულებითაა განაყოფიერებული. მისი ღირებულება = წ + ზ, უდრის მის დასამზადებლად მოხმარებულ მწარმოებლურ კაპიტალს წ. პლუს ამ კაპიტალით წარმოებული ზედმეტი ღირებულება ზ. წარმოვიდგინოთ, რომ ეს საქონელი შედგება 10 000 გირვანქა ნართისაგან, რომლის საწარმოებლად მოხმარებულია 372 გირვ. სტერლინგის ღირებულების წარმოების საშუალებანი და 50 გირვ. სტერლინგის ღირებულების სამუშაო ძალა. რთვის პროცესში მრთველებმა გადაიტანეს ნართზე 372 გირვ. სტერლინგის რაოდენობის წარმოების საშუალებანი, რომლებიც მათმა შრომამ მოიხმარა, და იმავე დროს, მათი შრომის დახარჯვის შესაბამისად, შექმნეს, ვთქვათ, 128 გირვ. სტერლინგის რაოდენობის ახალი ღირებულება. ამიტომ 10 000 გირვანქა ნართი მატარებელია 500 გირვ. სტერლინგის ღირებულებისა.

III. მესამე სტადია ს′—ფ′

. საქონელი იქცევა საქონლურ კაპიტალად როგორც უშუალოდ გამოსული თვით წარმოების პროცესიდან და უკვე ღირებულებაგაზრდილი კაპიტალღირებულების არსებობის ფუნქციური ფორმა. საქონლის წარმოება რომ მთელი მისი საზოგადოებრივი მოცულობით კაპიტალისტური წესით ხდებოდეს, ყოველი საქონელი იმთავითვე საქონლური კაპიტალის ელემენტი იქნებოდა, სულ ერთია შედგება ეს საქონელი თუჯისაგან თუ ბრიუსელის მაქმანისგან, გოგირდმჟავასაგან თუ სიგარებისგან. ის პრობლემა, თუ უამრავ საქონელთაგან რომელი სახეობის საქონელია თავისი თვისებით იმისათვის განკუთვნილი, რომ მას კაპიტალის რანგი მიენიჭოს და რომელი იმისათვის, რომ უბრალო საქონლის სახით გვეგმსახუროს, — ეს პრობლემა წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ხელოვნურ სიძნელეთაგანს, რომელთაც უქმნიდა თავის თავს სქოლასტიკური ეკონომია.

. საქონლურ ფორმაში ყოფნისას კაპიტალმა საქონლის ფუნქცია უნდა შეასრულოს <და მას შეუძლია მხოლოდ ამ ფუნქციის შესრულება>. ის საგნები, რომლებისაგანაც იგი შედგება და რომლებიც იმთავითვე ბაზრისთვისაა წარმოებული, უნდა გაიყიდოს, ფულად გადაიქცეს, მაშასადამე, მათ უნდა შეასრულონ მოძრაობა ს — ფ. .

ვთქვათ, კაპიტალისტის საქონელი შედგება 10 000 გირვანქა ბამბის ნართისაგან. თუ რთვის პროცესში მოხმარებულია 372 გირვ. სტერლინგის ღირებულების წარმოების საშუალებანი და შექმნილია 128

გირვ. სტერლინგის ახალი ღირებულება, მაშინ ნართს ექნება 500 გირვ. სტერლინგის ღირებულება, რასაც იგი თავისი იმავე სახელწოდების ფასით გამოსახავს. ამ ფასის რეალიზაცია ხდება გაყიდვის გზით: ს — ფ-ით. რა ხდის ყოველი საქონელმიმოქცევის ამ მარტივ აქტს ამასთანავე ერთად კაპიტალის ფუნქციად? არა რაიმე ცვლილება, რომელიც ამ აქტის დროს ხდება: არა საქონლის მოხმარების ხასიათის ცვლილება, რადგან საქონელი მოხმარების საგნის სახით გადადის სწორედ მყიდველის ხელში, — და არა ცვლილება მისი ღირებულებისა, — რადგან ეს უკანასკნელი განიცდის არა სიდიდის ცვლილებას, არამედ მხოლოდ ფორმის ცვლილებას. პირველად ღირებულება არსებობდა ნართში, ახლა არსებობს ფულში. აქ აშკარავდება არსებული განსხვავება პირველ სტადიასა ფ — ს, და უკანასკნელ სტადიას ს — ფ შორის. იქ ავანსებული ფული მოქმედებს როგორც ფულადი კაპიტალი, იმიტომ რომ მიმოქცევის საშუალებით იგი გადაიქცევა სპეციფიკური სახმარი ღირებულების სხვადასხვა საქონლად. აქ კი, უკანასკნელ სტადიაში ს — ფ, საქონელს შეუძლია მოქმედებდეს როგორც კაპიტალი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას კაპიტალის ეს ხასიათი თან მოაქვს უკვე მზამზარეულად წარმოების პროცესიდან, ვიდრე მისი მიმოქცევა დაიწყებოდეს. რთვის პროცესის განმავლობაში მრთველებმა შექმნეს ნართის ღირებულება 128 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. აქედან, ვთქვათ, 50 გირვ. სტერლ. შეადგენს კაპიტალისტისათვის მხოლოდ იმის ეკვივალენტს, რაც მან სამუშაო ძალისათვის დახარჯა, და 78 გირვანქა სტერლინგი — თუ ვიგულისხმებთ, რომ სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ხარისხი 156%-ია — შეადგენს ზედმეტ ღირებულებას. მაშასადამე, 10 000 გირვანქა ნართის ღირებულება შეიცავს, ჯერ-ერთი, მოხმარებული მწარმოებლური კაპიტალის წ ღირებულებას, საიდანაც მუდმივი ნაწილი = 372 გირვ. სტერლ.; ხოლო ცვალებადი = 50 გირვ. სტერლ., მათი ჯამი = 422 გირვ. სტერლ. = 8440 გირვანქა ნართს. მწარმოებლური კაპიტალის წ-ის ღირებულება კი = ს, მისი იმ შემადგენელი ელემენტების ღირებულებას, რომელნიც სტადიაში: ფ — ს კაპიტალისტს უპირისპირდებოდნენ როგორც საქონელი მათ გამყიდველთა ხელში. მეორე, ნართის ღირებულება შეიცავს 78 გირვ. სტერლინგ ზედმეტ ღირებულებას = 1560 გირვანქა ნართს. მაშასადამე, ს, როგორც 10 000 გირვანქა ნართის გამოსახულება, ს + Δس, უდრის ს პლუს ს ნამატი (= 78 გირვანქა სტერლინგს), რომელსაც ჩვენ აღვნიშნავთ ნიშნით ს, რადგან იგი ახლა იმავე საქონლური ფორმით არსებობს, როგორც თავდაპირველი ღირებულება ს. 10 000 გირვანქა ნართის ღირებულება = 500 გირვ.

სტერლ., მაშასადამე, = ს + ს = ს′. ს, როგორც 10 000 გირვანქა ნართის ღირებულების გამოსახულებას, ს, აქცევს არა მისი ღირებულების აბსოლუტური სიდიდე (500 გირვ. სტერლ.) ს′-ად. ყველა სხვა ს მსგავსად, რამდენადაც ისინი განსაზღვრული რაოდენობის რაიმე სხვა საქონელთა ღირებულების გამოსახულებას წარმოადგენენ, ეს აბსოლუტური სიდიდე ს′-ისთვისაც მასში გასაგნობრივებული შრომის სიდიდით განისაზღვრება. ს აქცევს ს′-ად მისი ღირებულების შეფარდებითი სიდიდე, მისი ღირებულების სიდიდე შედარებით მის წარმოებაზე მოხმარებული კაპიტალის ₩ ღირებულებასთან. ს′ — შეიცავს ამ ღირებულებას პლუს მწარმოებლური კაპიტალის მიერ მოცემული ზედმეტი ღირებულება. მისი ღირებულება მეტია, აღემატება ამ კაპიტალღირებულებას ამ ზედმეტი ღირებულებით ს. 10 000 გირვანქა ნართი მატარებელია გაზრდილი, ზედმეტი ღირებულებით გამდიდრებული კაპიტალღირებულებისა, და იგი ასეთს წარმოადგენს როგორც კაპიტალისტური წარმოების პროცესის პროდუქტი. ს′ გამოხატავს ღირებულებათა შეფარდებას, საქონლური პროდუქტის ღირებულების შეფარდებას მის წარმოებაზე დახარჯული კაპიტალის ღირებულებასთან; მაშასადამე, ს′ გამოხატავს, რომ მისი ღირებულება შედგენილია კაპიტალღირებულებისგან და ზედმეტი ღირებულებისგან. 10 000 გირვანქა ნართი არის საქონლური კაპიტალი, ს′, მხოლოდ როგორც მწარმოებლური კაპიტალის ₩-ის გარდაქმნილი ფორმა, მაშასადამე, ისეთ კავშირურთიერთობაშია, რომელიც არსებობს უწინარეს ყოვლისა მხოლოდ ამ ინდივიდუალური კაპიტალის წრებრუნვაში, ანუ არსებობს იმ კაპიტალისტისთვის, რომელმაც თავისი კაპიტალით ნართი აწარმოვა. მხოლოდ, ასე ვთქვათ, შინაგანი და არა რაიმე გარეგანი ურთიერთობა აქცევს 10 000 გირვანქა ნართს, როგორც ღირებულების მატარებელს, საქონლურ კაპიტალად; ამ 10 000 გირვანქა ნართის კაპიტალისტური დაღი მოჩანს მისი ღირებულების არა აბსოლუტურ სიდიდეში, არამედ შეფარდებითს სიდიდეში, მისი ღირებულების სიდიდეში შედარებით იმ სიდიდესთან, რომელიც მასში მოქცეულ მწარმოებლურ კაპიტალს ჰქონდა, ვიდრე ეს უკანასკნელი საქონლად გადაიქცეოდა. ამიტომ, თუ 10 000 გირვანქა ნართი გაიყიდება მისი ღირებულების მიხედვით, 500 გირვ. სტერლინგად, მაშინ მიმოქცევის ეს აქტი, თავისთავად განხილული, = ს — ₩, წარმოადგენს უცვლელად დარჩენილი ღირებულების უბრალო გადაქცევას საქონლური ფორმიდან ფულად ფორმად. მაგრამ, როგორც განსაკუთრებული სტადია ინდივიდუალური კაპიტალის წრებრუნვაში, ივივე აქტი არის რეალიზაცია 422 გირვ. სტერლინგის კაპიტალღირებულებისა, რომელიც საქონელშია მოქცე-

ული, + 78 გირვ. სტერლინგი ზედმეტი ღირებულება, რომელიც მოქცეულია იმავე საქონელში, მაშასადამე, ის არის ს′ — ფ′, საქონლური კაპიტალის გადაქცევა მისი საქონლური ფორმიდან ფულად ფორმად[4].

• ს′ ფუნქცია ახლა ისეთივეა, როგორც ყოველი სხვა საქონლური პროდუქტისა: იგი უნდა გადაიქცეს ფულად, გაიყიდოს, განვლოს მიმოქცევის ფაზა ს — ფ. ვიდრე ახლა ღირებულებაგაზრდილი კაპიტალი საქონლური კაპიტალის ფორმაში რჩება, უმოძრაოდ ძევს ბაზარზე, — წარმოების პროცესი შეჩერებულია. კაპიტალი არ მოქმედებს არც როგორც პროდუქტის შემქმნელი, არც როგორც ღირებულების შემქმნელი. იმის მიუედვით, თუ რამდენად დიდია სისწრაფე, რომლითაც კაპიტალი უკუაგდებს თავის საქონლურ ფორმას და მიიღებს თავის ფულად ფორმას, ანუ გაყიდვის სისწრაფის მიხედვით, ერთი და იგივე კაპიტალღირებულება ფრიად უთანაბრო ზომით გასწევს სამსახურს როგორც პროდუქტის შემქმნელი და როგორც ღირებულების შემქმნელი, და კვლავწარმოების მასშტაბიც ამისდამიხედვით გაფართოვდება ან შეიკვეცება. პირველ წიგნში ნაჩვენები იყო, რომ ამა თუ იმ კაპიტალის მოქმედების ხარისხი გაპირობებულია წარმოების პროცესის იმ ძალებისაგან, რომელნიც განსაზღვრული ზომით დამოუკიდებელნი არიან კაპიტალის საკუთარი ღირებულების სიდიდისგან. აქ კი ვხედავთ, რომ მიმოქცევის პროცესს მოძრაობაში მოჰყავს ახალი, კაპიტალის ღირებულების სიდიდისგან დამოუკიდებელი ძალები, რომელნიც განაპირობებენ კაპიტალის მოქმედების ხარისხს. მის გაფართოებასა და შეკვეცას.

შემდეგ, საქონელთა მასამ ს′, როგორც ღირებულებაგაზრდილი კაპიტალის მატარებელმა, მთელი თავისი მოცულობით უნდა შეასრულოს მეტამორფოზი ს′ — ფ′. გაყიდულის რაოდენობა აქ არსებითი მომენტი ხდება. ცალკეული საქონელი აქ გამოდის მხოლოდ როგორც მთელი მასის ინტეგრალური ნაწილი. 500 გირვ. სტერლ. ღირებულება არსებობს 10 000 გირვანქა ნართში. თუ კაპიტალისტი მოახერხებს და 7 440 გირვანქას გაყიდის მისი ღირებულების მიხედვით, ე. ი. 372 გირვ. სტერლინგად, მაშინ იგი აინაზღაურებს მხოლოდ თავისი მუდმივი კაპიტალის ღირებულებას, დახარჯულ წარმოების საშუალებათა ღირებულებას; თუ იგი 8 440 გირვანქას გაყიდის, მაშინ მხოლოდ მთელი ავანსებული კაპიტალის ღირებულების სიდიდეს აინაზღაურებს. იმისათვის, რომ ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია მოახდინოს, მან

[4] აქამდე ხელნაწერი VI. აქედან ხელნაწერი V.

მეტი უნდა გაყიდოს, ხოლო იმისათვის, რომ რეალიზაცია უყოს მთელ ზედმეტ ღირებულებას 78 გირვ. სტერლინგის ოდენობით (= 1560 გირვანქა ნართს), მან ყველა 10 000 გირვანქა ნართი უნდა გაყიდოს. მაშასადამე, 500 გირვ. სტერლ. ფულის სახით იგი იღებს მხოლოდ ტოლ ღირებულებას გაყიდული საქონლისათვის; მისი გარიგება მიმოქცევის ფარგლებში არის მარტივი ს — ფ. მას რომ თავისი მუშებისათვის 50 გირვ. სტერლინგის ნაცვლად 64 გირვ. სტერლ. ხელფასი გადაეხადა, — მისი ზედმეტი ღირებულება 78 გირვ. სტერლინგის ნაცვლად მხოლოდ 64 გირვანქა სტერლინგი იქნებოდა და ექსპლოატაციის ხარისხი მხოლოდ 100%, ნაცვლად 156%-ისა; ნაგრამ მისი ნართის ღირებულება იგივე დარჩებოდა, რაც უწინ იყო; შეიცვლებოდა ამ ღირებულების სხვადასხვა ნაწილების პარტოოდენ თანაფარდობა; მიმოქცევის აქტი ს — ფ ახლაც, ისე როგორც უწინ, იქნებოდა 10 000 გირვ. ნართის გაყიდვა 500 გირვ. სტერლინგად, მისი ღირებულების მიხედვით.

ს′ = ს + ს (= 422 გირვ. სტერლ. + 78 გირვ. სტერლ.). — ს უდრის ₩ ღირებულებას, ანუ მწარმოებლურ კაპიტალს, და ეს უკანასკნელი უდრის იმ ფ ღირებულებას, რომელიც ავანსებული იყო აქტში ფ — ს, წარმოების ელემენტების საყიდლად; ჩვენს მაგალითში = 422 გირვ. სტერლინგს. თუ საქონლის მასა მისი ღირებულების მიხედვით გაიყიდება, მაშინ ს = 422 გირვ. სტერლინგს და ს = 78 გირვ. სტერლინგს, ზედმეტი პროდუქტის — 1 560 გირვანქა ნართის — ღირებულებას. თუ ს, ფულით გამოსახული, ჩვენ მიერ ₩-ით იქნება აღნიშნული, მაშინ ს′ — ₩′ = (ს + ს) — (₩ + ₩), ხოლო წრებრუნვა ₩ — ს... ₩... ს′ — ₩′ მისი გაშლილი ფორმით აღინიშნება, მაშასადამე, ასე:

₩ — ს < ₩ ... ₩... (ს + ს) — (₩ + ₩).

• პირველ სტადიაში კაპიტალისტს მოხმარების საგნები გამოაქვს საკუთრივ საქონლის ბაზრიდან და შრომის ბაზრიდან; მესამე სტადიაში იგი უკანვე გადაისვრის საქონელს, მაგრამ — მხოლოდ ერთ ბაზარზე, საკუთრივ საქონლის ბაზარზე. ხოლო თუ მას შემდეგ თავისი საქონლის საშუალებით ბაზრიდან მეტი ღირებულება გამოაქვს, ვიდრე იქ გადაისროლა თავდაპირველად, — ეს იმიტომ ხდება, რომ იგი ბაზარზე უფრო დიდ საქონლურ ღირებულებას გადაისვრის, ვიდრე თავდაპირველად გაიტანა იქიდან. მან გადაისროლა ბაზარზე ღირებულება ₩ და იქიდან გამოიტანა ტოლი ღირებულება ს; იგი გადაისვრის ბაზარზე ს + ს და გააქვს ტოლი ღირებულება ₩ + ₩. ჩვენს მაგალითში ₩ უდრიდა 8 440 გირვანქა ნართის ღირებულებას; კაპიტალისტი კი ბაზარზე გადაისვრის 10 000 გირვანქას, მაშასადამე, ბაზარს

აძლევს უფრო დიდ ღირებულებას, ვიდრე წაიღო მისგან. მეორე მხრივ, მან გადაისროლა ბაზარზე ეს გაზრდილი ღირებულება მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოების პროცესში სამუშაო ძალის ექსპლოატაციის შეოხებით აწარმოვა ზედმეტი ღირებულება (როგორც პროდუქტის გარკვეული ნაწილი, ზედმეტი პროდუქტით გამოსახული). მხოლოდ როგორც ამ პროცესის პროდუქტი წარმოადგენს საქონლის მასა საქონლურ კაპიტალს, გაზრდილი კაპიტალღირებულების მატარებელს. აქტის ს′—ფ′ შესრულების გზით ხდება როგორც ავანსებული კაპიტალღირებულების, ისე, აგრეთვე, ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია. ორივეს რეალიზაცია იმავდროულად ხდება გაყიდვათა წყებაში ანდა საქონლის მთელი მასის ერთბაშად გაყიდვაშიც, რასაც სწორედ ს′—ფ′ გამოხატავს. მაგრამ მიმოქცევის ერთი და იგივე აქტი ს′—ფ′ განსხვავებულია კაპიტალღირებულებისათვის და ზედმეტი ღირებულებისათვის იმდენად, რამდენადაც იგი თვითეული მათგანისათვის გამოსახავს მათი მიმოქცევის სხვადასხვა სტადიას, იმ მეტამორფოზთა მწკრივის სხვადასხვა მონაკვეთს, რომელსაც ისინი გაივლიან მიმოქცევის სფეროში. ზედმეტი ღირებულება ს მხოლოდ წარმოების პროცესში გაჩნდა ამ ქვეყნად. მაშასადამე, იგი პირველად გამოდის საქონლის ბაზარზე და, ამასთან, გამოდის სწორედ საქონლის ფორმით; ეს არის მისი მიმოქცევის პირველი ფორმა, ამიტომ აქტიც ს—ფ მისი მიმოქცევის პირველი აქტია, ანუ მისი პირველი მეტამორფოზია, რომელიც, ამრიგად, შესავსები რჩება მიმოქცევის მოპირისპირე აქტით, ანუ შებრუნებული მეტამორფოზით: ს—ფ [5]

სხვაგვარადაა საქმე მიმოქცევის მიმართ, რომელსაც კაპიტალღირებულება ს ასრულებს მიმოქცევის იმავე აქტში ს′—ფ′, რომელიც მისთვის მიმოქცევის აქტს ს—ფ წარმოადგენს, სადაც ს=ფ, უდრის თავდაპირველად ავანსებულ ფ. კაპიტალღირებულება თავისი მიმოქცევის პირველ აქტს იწყებს ფ-ის სახით, ფულადი კაპიტალის სახით, და აქტის ს—ფ გზით იგი უბრუნდება იმავე ფორმას; მაშასადამე, მან განვლო მიმოქცევის ორივე მოპირისპირე ფაზა: 1) ფ—ს და 2) ს—ფ და კვლავ ისეთ ფორმაში იმყოფება, რომელშიც შეუძლია ხელახლა დაიწყოს წრებრუნვის იგივე პროცესი. რაც ზედმეტი ღირებულებისათვის საქონლური ფორმის პირველი გადაქცევაა ფულად

---

[5] ეს უცვლელი რჩება, სულ ერთია, რა წესითაც გავაცალკევებთ ჩვენ კაპიტალღირებულებას და ზედმეტ ღირებულებას. 10 000 გირვანქა ნართში მოქცეულია 1 560 გირვანქა = 78 გირვ. სტერლ. ზედმეტ ღირებულებას, მაგრამ 1 გირვანქა ნართში = 1 შილინგს, თავისი მხრივ, მოქცეულია 2 496 უნცი = 1 872 პენ. ზედმეტ ღირებულებას.

ფორმად, იგი კაპიტალღირებულებისათვის უკუდაბრუნებაა, ანუ უკუგადაქცევა მის თავდაპირველ ფულად ფორმად.

ფ — ს < $^{სძ}_{ფს}$ მეოხებით ფულადი კაპიტალი გადაიქცა ტოლი ღირებულების საქონელთა ჯამად, სძ და ფს ჯამად. აქ საქონელი უკვე აღარ მოქმედებს როგორც საქონელი, როგორც გასაყიდი საგანი. ამ საქონელთა ღირებულება ახლა მათი მყიდველის, კაპიტალისტის, ხელში არსებობს როგორც მისი კუთვნილი მწარმოებლური კაპიტალის, ფ ღირებულება. და ფ ფუნქციაში, მწარმოებლურ მოხმარებაში, ისინი გადაიქცევიან წარმოების საშუალებებისგან მატერიალურად განსხვავებული ჯურის საქონლად, ნართად, სადაც მათი ღირებულება არათუ შეინარჩუნება, არამედ დიდდება კიდეც, 422 გირვ. სტერლინგიდან 500 გირვ. სტერლინგამდე ადის. ამ რეალური მეტამორფოზის მეოხებით პირველ სტადიაში: ფ — ს ბაზრიდან გატანილი საქონელი შეიცვლება ნატურალური ფორმისა და ღირებულების მხრივ განსხვავებული საქონლით, რომელიც ახლა უნდა მოქმედებდეს როგორც საქონელი, უნდა გადაიქცეს ფულად, უნდა გაიყიდოს. ამიტომ წარმოების პროცესი გვევლინება მხოლოდ როგორც შეწყვეტა კაპიტალღირებულების მიმოქცევის პროცესისა, რომელშიც აქამდე განვლილია მხოლოდ პირველი ფაზა ფ—ს. კაპიტალღირებულება გაივლის მეორე და დამასრულებელ ფაზას: ფ — ს, მას შემდეგ, რაც ს — ნატურალური ფორმისა და ღირებულების მხრივ ცვლილება განიცადა. მაგრამ თუ ჩვენ განვიხილავთ განცალკევებულად აღებულ კაპიტალღირებულებას, დავინახავთ, რომ მან მხოლოდ თავისი მოხმარების ფორმის ცვლილება განიცადა წარმოების პროცესში. იგი არსებობდა როგორც 422 გირვანქა სტერლინგი ღირებულება სძ და ფს, ახლა იგი არსებობს როგორც 422 გირვანქა სტერლინგი ღირებულება 8 440 გირვანქა ნართში. მაშასადამე, თუ ჩვენ განვიხილავთ კაპიტალღირებულების მიმოქცევის პროცესის მხოლოდ ორივე ფაზას და კაპიტალღირებულებას მისი ზედმეტი ღირებულებისაგან განცალკევებულად წარმოვიდგენთ, ვნახავთ, რომ იგი გაივლის: 1) ფ — ს და 2) ს — ფ, სადაც მეორე ს მოხმარების შეცვლილი ფორმაა, მაგრამ მას იგივე ღირებულება აქვს, რაც პირველ ს; ამგვარად, კაპიტალღირებულება გაივლის ფ — ს — ფ, მიმოქცევის ფორმას, რომელიც იმით, რომ საქონლის ადგილის ორგზისი გამოცვლა ხდება საწინააღმდეგო მიმართულებით, ფულიდან საქონლად გადაქცევით და საქონლიდან ფულად გადაქცევით, აუცილებლად იწვევს ფულის სახით ავანსებული ღირებულების დაბრუნებას მის ფულად ფორმასთან: იწვევს მის უკუგადაქცევას ფულად.

მიმოქცევის იგივე აქტი ს′ — ფ′, რომელიც ფულის სახით ავანსებული კაპიტალღირებულებისათვის წარმოადგენს მეორე, დამასრულებელ მეტამორფოზს, ფულად ფორმასთან დაბრუნებას, ზედმეტი ღირებულებისათვის, რომელიც იმავე საქონლურ კაპიტალშია მოქცეული და მისი ფულად ფორმად გადაქცევის გზით რეალიზდება, შეადგენს პირველ მეტამორფოზს, საქონლური ფორმიდან ფულად ფორმად გადაქცევას, ს — ფ, მიმოქცევის პირველ ფაზას.

ამგვარად, აქ ორი რამ უნდა შევნიშნოთ. პირველი: კაპიტალღირებულების საბოლოო უკუგადაქცევა მის თავდაპირველ ფულად ფორმად საქონლური კაპიტალის ფუნქციაა. მეორე: ეს ფუნქცია შეიცავს ზედმეტი ღირებულების პირველ გადაქცევას მისი თავდაპირველი საქონლური ფორმიდან ფულად ფორმად. ამრიგად, ფულადი ფორმა აქ ორგვარ როლს ასრულებს: ერთი მხრივ, იგი წარმოადგენს ფორმას, რომელსაც უბრუნდება თავდაპირველად ფულის სახით ავანსებული ღირებულება, მაშასადამე, ეს არის უკუდაბრუნება ღირებულების იმ ფორმასთან, რომლითაც პროცესი დაიწყო; მეორე მხრივ, იგი იმ ღირებულების პირველი გარდაქმნილი ფორმაა, რომელიც თავდაპირველად საქონლური ფორმით შედის მიმოქცევაში. თუ იმ საქონელთა გაყიდვა, რომლებისგანაც საქონლური კაპიტალი შედგება, მათი ღირებულების მიხედვით ხდება, როგორც აქ იგულისხმება, მაშინ ს + ს გადაიქცევა ტოლი ღირებულების შემცველ ფ + ფ-ად. ამ ფორმით: ფ + ∆ (422 გირვ. სტერლ. + 78 გირვ. სტერლ. = 500 გირვ. სტერლ.-ით) არსებობს ახლა რეალიზებული საქონლური კაპიტალი კაპიტალისტის ხელში. კაპიტალღირებულება და ზედმეტი ღირებულება არსებობს ახლა ფულის სახით, მაშასადამე, საყოველთაო ეკვივალენტური ფორმით.

ამგვარად, პროცესის დასასრულს კაპიტალღირებულება კვლავ იმავე ფორმაში იმყოფება, რომლითაც იგი მასში შევიდა; მაშასადამე, მას შეუძლია ისევ ხელახლა დაიწყოს როგორც ფულადმა კაპიტალმა ეს პროცესი და განვლოს იგი. სწორედ იმიტომ, რომ პროცესის დაწყებითი და დასკვნითი ფორმა ფულადი კაპიტალის (ფ) ფორმაა, — ჩვენ პროცესის წრებრუნვის ამ ფორმას ფულადი კაპიტალის წრებრუნვას ვუწოდებთ. პროცესის დასასრულს შეცვლილია ავანსებული ღირებულების არა ფორმა, არამედ მხოლოდ სიდიდე.

ფ + ∆ სხვა არაფერია, თუ არა განსაზღვრული სიდიდის ფულადი თანხა, ჩვენს მაგალითში 500 გირვანქა სტერლინგი. მაგრამ როგორც კაპიტალის წრებრუნვის შედეგი, როგორც რეალიზებული საქონლური კაპიტალი, ეს ფულადი თანხა შეიცავს კაპიტალღირებულებას და

ზედმეტ ღირებულებას, და ამასთან ისინი აღარ არიან ერთმანეთთან შეზრდილი, როგორც ნართში; — ახლა ისინი ერთიმეორის გვერდით იმყოფებიან. მათმა რეალიზაციამ თვითეულ მათგანს დამოუკიდებელი ფულადი ფორმა მისცა. აქედან $^{211}/_{250}$ შეადგენს კაპიტალღირებულებას, 422 გირვ. სტერლინგს, და $^{39}/_{250}$ — 78 გირვანქა სტერლინგ ზედმეტ ღირებულებას. საქონლური კაპიტალის რეალიზაციით გამოწვეულ ამ გათიშვას აქვს არა მარტო ფორმალური შინაარსი, რომლის შესახებაც ჩვენ ახლავე ვილაპარაკებთ; მას მნიშვნელობა ეძლევა კაპიტალის კვლავწარმოების პროცესში, იმის მიხედვით, მიემატება ფ ფ-ს მთლიანად, ნაწილობრივ თუ სრულიად არ მიემატება, მაშასადამე, იმის მიხედვით, განაგრძობს იგი თუ არა მოქმედებას როგორც ავანსებული კაპიტალღირებულების შემადგენელი ნაწილი. ფ და ფ შეუძლიათ აგრეთვე სრულიად სხვადასხვა მიმოქცევა შეასრულონ.

ფ-ში კაპიტალი ხელახლა დაუბრუნდა თავის თავდაპირველ ფორმას ფ-ს, თავის ფულად ფორმას; მაგრამ დაუბრუნდა ისეთი ფორმით, რომლითაც იგი განხორციელებულია როგორც კაპიტალი.

აქ ადგილი აქვს, ჯერ-ერთი, რაოდენობრივ განსხვავებას. იყო ფ, 422 გირვანქა სტერლინგი; ახლა არის ფ′, 500 გირვანქა სტერლინგი, და ეს განსხვავება გამოსახულია ფ . . . ფ′-ით, იმ წრებრუნვის რაოდენობრივად განსხვავებული კიდურებით, რომლის მოძრაობაც თვითონ მხოლოდ წერტილებით . . . არის აღნიშნული. ფ′ > ფ, ფ′ — — ფ = ზ-ს, ზედმეტ ღირებულებას. — მაგრამ ამ წრებრუნვის: ფ . . . ფ′-ის შედეგის სახით ახლა არსებობს მხოლოდ ფ′; ეს არის შედეგი, რომელშიაც ჩამქრალია მისი წარმოქმნის პროცესი. ფ′ ახლა დამოუკიდებლად არსებობს თავისთვის, დამოუკიდებლად იმ მოძრაობისგან, რომელმაც იგი წარმოშვა. მოძრაობამ განვლო, მის ადგილას ფ′ დგას.

მაგრამ ფ′ როგორც ფ + ზ, 500 გირვ. სტერლინგი როგორც 422 გირვ. სტერლინგის ავანსებული კაპიტალი პლუს მისი ნაზრდი 78 გირვ. სტერლ., გამოხატავს იმავე დროს თვისებრივ მიმართებას, თუმცა თვით ეს თვისებრივი მიმართება არსებობს მხოლოდ როგორც იმავსახელწოდებიანი ჯამის ნაწილების მიმართება, მაშასადამე, როგორც რაოდენობრივი მიმართება. ფ, ავანსებული კაპიტალი, რომელიც ახლა კვლავ თავის თავდაპირველ ფორმაში (422 გირვ. სტერლ.) იმყოფება, ამჟამად არსებობს როგორც რეალიზებული კაპიტალი. იგი არათუ შენარჩუნებული დარჩა, არამედ რეალიზებულია კიდეც როგორც კაპიტალი, რადგან იგი როგორც ასეთი განსხვავდება ზ (78 გირვ. სტერლ.), რომელთანაც ისეთ მიმართებაშია, როგორც თ ა ვ ი ს ნა-

მატთან, თ ა ე ი ს ნაყოფთან, თვით მის მიერ გამოჩეკილ ნაზრდთან. იგი რეალიზებულია როგორც კაპიტალი, იმიტომ რომ რეალიზებულია როგორც ღირებულება, რომელმაც ღირებულება გამოჩეკა. ფ′ არსებობს როგორც კაპიტალურთიერთობა; ფ აღარ გვევლინება უკვე უბრალოდ როგორც ფული, — იგი გამოდის პირდაპირ როგორც ფულადი კაპიტალი. განსახულებას იღებს როგორც თვითგაზრდილი ღირებულება, მაშასადამე, როგორც ღირებულება, რომელსაც აქვს ის თვისება, რომ გაიზარდოს, მეტი ღირებულება გამოჩეკოს, ვიდრე თვით მას გააჩნია. ფ კაპიტალად ქცეულია იმ მიმართების გამო, რომელიც მას აქვს ფ′ მეორე ნაწილთან (ე. ი. ფ), როგორც მის მიერ წარმოშობილ და მისი მიზეზით შექმნილთან—მიმართების გამო, რომელიც ფ აქვს ამ ნაწილთან, როგორც შედეგთან, რომლის საფუძველს იგი წარმოადგენს. ამრიგად, ფ′ გვევლინება როგორც ღირებულების ჯანი, რომელიც თავისთავში დიფერენცირებულია, რომელიც ფუნქციურად (ცნების მხრივ) განსხვავებულ ნაწილებს შეიცავს, გვევლინება როგორც ღირებულების ჯამი, რომელიც კაპიტალურთიერთობას განხორციელებს.

მაგრამ ეს ურთიერთობა გამოხატულია მხოლოდ როგორც შედეგი, იმ პროცესის მოსაშუალეობის გარეშე, რომლის შედეგსაც იგი წარმოადგენს.

ღირებულების ნაწილები, როგორც ასეთები, თვისებრივად არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, თუ კი ისინი არ წარმოგვიდგებიან როგორც სხვადასხვა საგანთა, კონკრეტულ ნივთთა ღირებულებანი, მაშასადამე, სხვადასხვა სახმარ ფორმებში, და ამიტომ როგორც სხვადასხვა საქონლურ სხეულთა ღირებულებანი: ესაა განსხვავება, რომელიც არ გამომდინარეობს თვით იმათგან როგორც ღირებულების უბრალო ნაწილებიდან. ფულში გამქრალია საქონელთა ყოველგვარი სხვაობა, იმიტომ რომ ფული ყველა საქონლისათვის საერთო ეკვივალენტური ფორმაა. 500 გირვ. სტერლ. ფულადი თანხა შედგება სავსებით იდენტური სახელწოდების ელემენტებისაგან, გირვანქა სტერლინგებისაგან. რადგან ამ ფულადი თანხის უბრალო მყოფობაში მისი წარმოშობის მოსაშუალე რგოლი წარხოცილია და გამქრალია ყოველივე კვალი მისი იმ სპეციფიკური განსხვავებისა, რომელიც ახასიათებს კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს წარმოების პროცესში, ამიტომ განსხვავება არსებობს კიდევ მხოლოდ ისეთ ცნებათა შორის, როგორიცაა: მთავარი თანხა (ინგლისურად principal) = 422 გირვ. სტერლ. ავანსებულ კაპიტალს, და ღირებულების ჯამის ნამეტი = 78 გირვ. სტერლ. ვთქვათ, ფ′ უდრის, მაგალითად, 110 გირვ. სტერლინგს,

საიდანაც 100 = ფ, მთავარ თანხას, და 10 = ზ, ზედმეტ ღირებულებას. მაშასადამე, 110 გირვ. სტერლ. თანხის ორივე შემადგენელი ნაწილი აბსოლუტურად ერთგვაროვანია და ამრიგად, ცნების მხრივ, განსხვავებას მოკლებულია. ყოველი 10 გირვ. სტერლინგი მთელი 110 გირვ. სტერლინგის თანხის $^1/_{11}$-ია ყოველთვის, შეადგენს იგი $^1/_{10}$-ს ავანსებული 100 გირვ. სტერლინგის მთავარი თანხისას თუ 10 გირვ. სტერლინგის ნამეტს მასთან შედარებით. ამიტომ მთავარი თანხა და ნამატი თანხა, კაპიტალი და ზედმეტი თანხა შეიძლება გამოისახოს როგორც ერთობლივი თანხის წილადები; ჩვენს მაგალითში $^{10}/_{11}$ შეადგენს მთავარ თანხას, ანუ კაპიტალს, $^1/_{11}$ — ზედმეტ თანხას. ამიტომ ის ფულადი გამოსახულება, რომლითაც აქ, თავისი პროცესის დასასრულს, რეალიზებული კაპიტალი გვევლინება, კაპიტალურთიერთობის ირაციონალური გამოსახულებაა.

რასაკვირველია, ეს მართებულია ს′ (= ს + ს)-ის მიმართაც. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ს′, რომელშიაც ს და ს აგრეთვე ერთგვაროვანი საქონლური მასის ღირებულების პროპორციულ ნაწილებს წარმოადგენენ, შეიცავს მითითებას თავის წარმოშობაზე ᲬᲐ-იდან, რომლის უშუალო პროდუქტს შეადგენს ს′, მაშინ როდესაც ᲤᲐ′, ფორმაში, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს მიმოქცევიდან, პირდაპირი მიმართება ᲬᲐ-დმი გამქრალია.

. ის, ირაციონალური განსხვავება მთავარსა და ნამატ თანხას შორის, რომელსაც ᲤᲐ′ შეიცავს, რამდენადაც იგი მოძრაობის ᲤᲐ . . . ᲤᲐ′ შედეგს გამოსახავს, მაშინვე ქრება, როგორც კი ᲤᲐ′ კვლავ აქტიურად იწყებს მოქმედებას ფულადი კაპიტალის სახით, მაშასადამე, როდესაც იგი, პირიქით, ფიქსაციას არ განიცდის როგორც ღირებულებაგაზრდილი სამრეწველო კაპიტალის ფულადი გამოსახულება. ფულადი კაპიტალის წრებრუნვა არასოდეს არ შეიძლება დაიწყოს ᲤᲐ′-ით (თუმცა ᲤᲐ′ მოქმედებს როგორც ᲤᲐ), არამედ იგი შეიძლება დაიწყოს მხოლოდ ᲤᲐ-ით, ე. ი. იგი არასოდეს არ შეიძლება დაიწყოს კაპიტალურთიერთობის გამოსახულებით, არამედ იგი შეიძლება დაიწყოს მხოლოდ კაპიტალღირებულების დაავანსების ფორმით. როგორც კი 500 გირვ. სტერლ. თანხა ხელახლა ავანსდება როგორც კაპიტალი ახალი თვითზრდისათვის, იგი წარმოადგენს ამოსავალ პუნქტს, ნაცვლად საბოლოო პუნქტისა. 422 გირვ. სტერლ. კაპიტალის ნაცვლად, ახლა 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალია ავანსებული, — მეტი ფული, ვიდრე უწინ, მეტი კაპიტალღირებულება, — მაგრამ ორ შემადგენელ ნაწილს შორის შეფარდებას ადგილი დაეკარგა; სრულიად ისე, როგორც თავდაპირ-

ველადაც კაპიტალის სახით მოქმედება შეეძლო 500 გირვ. სტერლინგის თანხას, 422 გირვ. სტერლინგის ნაცვლად.

ფულადი კაპიტალის აქტიურ ფუნქციას არ შეადგენს ის, რომ მან კაპიტალი ფ′-ის სახით გამოხატოს; მისი საკუთარი გამოხატვა ფ′-ად, პირიქით, ს′-ის ფუნქციაა. უკვე მარტივ საქონელმიმოქცევაში: 1) $ს_1$ — ფ; 2) ფ — $ს_2$, ფ მაოლოდ მეორე აქტში ფ — $ს_2$ მოქმედებს აქტიურად; მისი გამოხატვა ფ-სახით მხოლოდ შედეგია პირველი აქტისა, რომლის მეოხებითაც მხოლოდ ფ გვევლინება როგორც $ს_1$ გარდაქმნილი ფორმა. ფ′ მოქცეული კაპიტალურთიერთობა, მისი, როგორც კაპიტალღირებულების, ერთი ნაწილის მიმართება მეორე ნაწილისადმი როგორც მისი ღირებულების ზრდისადმი, მართალია, ფუნქციურ მნიშვნელობას იღებს, რამდენადაც, ფ — ფ′ წრებრუნვის მუდმივი განმეორებისას, ფ′ ორ მიმოქცევას შორის იყოფა — კაპიტალის მიმოქცევასა და ზედმეტი ღირებულების მიმოქცევას შორის, მაშასადამე, ორივე ნაწილი არა მარტო რაოდენობრივად, არამედ თვისებრივადაც სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებს, — ფ სხვა ფუნქციას, ვიდრე ფ. მაგრამ თავისთავად განხილული ფორმა ფ ... ფ′ არ შეიცავს კაპიტალისტის მოხმარებას; იგი პირდაპირ შეიცავს მხოლოდ თვითზრდას და დაგროვებას, რამდენადაც ეს უკანასკნელი უწინარეს ყოვლისა კვლავ და კვლავ ავანსებული ფულადი კაპიტალის პერიოდული ზრდით გამოიხატება.

ფ′ = ფ + ∆ფ, თუმცა იგი კაპიტალის ირაციონალური ფორმაა, იმავე დროს წარმოადგენს ფულად კაპიტალს მხოლოდ მის რეალიზებულ ფორმაში, ფულის სახით, რომელმაც ფული გამოჩეკა. მაგრამ ამაში უნდა დავინახოთ განსხვავება ფულადი კაპიტალის ფუნქციისაგან პირველ სტადიაში ფ — ს < $^{სძ}_{წს}$. ამ პირველ სტადიაში ფული მიმოიქცევა როგორც ფული. იგი მოქმედებს როგორც ფულადი კაპიტალი მხოლოდ იმიტომ, რომ მას მარტოოდენ თავის ფულადს მდგომარეობაში შეუძლია შეასრულოს ფულის ფუნქცია, გადაიქცეს ∀ ელემენტებად, ე. ი. სძ-ად და წს-ად, რომელნიც მის პირისპირ დგანან საქონელთა სახით. მიმოქცევის ამ აქტში ფ მოქმედებს მხოლოდ როგორც ფული; მაგრამ რადგან ეს აქტი პირველი სტადიაა მოძრაობის პროცესში მყოფი კაპიტალღირებულებისა, ამიტომ იგი იმავე დროს ფულადი კაპიტალის ფუნქციაცაა, ნაყიდ საქონელთა სძ და წს სპეციფიკური სახმარი ფორმის მეოხებით. პირიქით, ფ′, რომელიც ფ-სგან, კაპიტალღირებულებისგან, და ამ უკანასკნელის მიერ წარმოქმნილი ზედმეტი ღირებულებისგან შედგება, გამოსახავს გაზრდილ კაპიტალღირებულებას, — მიზანსა და შედეგს, კაპიტალის ერთობლივ-

წრებრუნვის პროცესის ფუნქციას. თუ ეს შედეგი გამოისახება ფულადი ფორმით, როგორც რეალიზებული ფულადი კაპიტალი, ეს გამომდინარეობს არა იქიდან, რომ იგი კაპიტალის ფულადი ფორმაა, ფ უ ლ ა დ ი კაპიტალია, არამედ, პირიქით, იქიდან, რომ იგი ფულადი კ ა პ ი ტ ა ლ ი ა, კაპიტალი ფულადს ფორმაში, რომ კაპიტალმა ამ ფორმით დაიწყო პროცესი, რომ იგი ფულადი ფორმით იყო ავანსებული. როგორც დავინახეთ, ფულად ფორმად უკუგარდაქმნა საქონლური კაპიტალის ს′ ფუნქციაა და არა ფულადი კაპიტალისა. ხოლო რაც შეეხება სხვაობას ფ′ და ფ შორის, ეს სხვაობა (ფ) მხოლოდ ფულადი ფორმაა ს, ს ნაზრდის; ფ′ მხოლოდ იმიტომ უდრის ფ + ფ, რომ ს′ უდრიდა ს + ს. მაშასადამე, ეს სხვაობა და კაპიტალღირებულების შეფარდება ამ უკანასკნელის მიერ გამოჩეკილ ზედმეტ ღირებულებასთან არსებობს და გამოსახულია ს′-ში უკვე მანამდე, ვიდრე ორივე გარდაიქმნებოდეს ფ′-ად, მთლიან ფულად თანხად, რომელშიც ღირებულების ორივე ნაწილი დამოუკიდებლად ერთიმეორეს პირისპირ უდგას და ამიტომ მათი გამოყენება შეიძლება დამოუკიდებელი და ერთმანეთისგან განსხვავებული ფუნქციებისათვის.

ფ′ მხოლოდ შედეგია ს′ რეალიზაციისა. ორივე, ს′-იც და ფ′-იც, მხოლოდ სხვადასხვა ფორმებია, საქონლური ფორმა და ფულადი ფორმა გაზრდილი კაპიტალღირებულებისა, — ორივეს ის აქვს საერთო, რომ ისინი გაზრდილ კაპიტალღირებულებას წარმოადგენენ. ორივე განხორციელებული კაპიტალია, იმიტომ რომ აქ კაპიტალღირებულება როგორც ასეთი არსებობს ზედმეტ ღირებულებასთან ერთად, როგორც უკანასკნელისგან განსხვავებული, მისი მეოხებით მიღებული ნაყოფი, თუმცა ეს ურთიერთობა განსაზღვრული ფულადი თანხის ან განსაზღვრული საქონლური ღირებულების ორი ნაწილის ურთიერთობის ირაციონალური ფორმითაა გამოხატული. მაგრამ როგორც გამოხატულება კაპიტალისა მის მიმართებაში ზედმეტ ღირებულებასთან და მის განსხვავებულობაში ზედმეტი ღირებულებისგან, რომელიც მის მიერ არის წარმოშობილი, მაშასადამე, როგორც გაზრდილი ღირებულების გამოხატულება, ფ′ და ს′ ერთი და იგივეა და გამოხატავს ერთსა და იმავეს, მხოლოდ — სხვადასხვა ფორმით; ისინი განსხვავდებიან ერთიმეორისგან არა როგორც ფულადი კაპიტალი და საქონლური კაპიტალი, არამედ როგორც ფული და საქონელი. რამდენადაც ისინი გამოხატავენ გადიდებულ ღირებულებას, კაპიტალის სახით ამოქმედებულ კაპიტალს, ამდენად ისინი გამოხატავენ მხოლოდ მწარმოებლური კაპიტალის მოქმედების შედეგს, შედეგს იმ ერთადერთი მოქმედებისას, რომელშიც კაპიტალღირებუ-

ლება ღირებულებას გამოჩეკს. მათი საერთო ის არის, რომ ორივე — ფულადი კაპიტალი და საქონლური კაპიტალი — კაპიტალის არსებობის სახეა. <განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ისინი კაპიტალის არსებობის სხვადასხვა სახეობას წარმოადგენენ.> ერთია კაპიტალი ფულადი ფორმით, მეორე — საქონლური ფორმით. ამიტომ მათი განმასხვავებელი სპეციფიკური ფუნქციები არ შეიძლება სხვა რაიმე იყოს, თუ არა განსხვავება ფულის ფუნქციასა და საქონლის ფუნქციას შორის. საქონლური კაპიტალი, როგორც კაპიტალისტური წარმოების პროცესის პირდაპირი პროდუქტი, მოგვაგონებს ამ თავის წარმოშობას წარმოების პროცესიდან და ამიტომ თავისი ფორმით უფრო რაციონალურია, უფრო მისაწვდომია გასაგებად, ვიდრე ფულადი კაპიტალი, რომელშიც წარმოების პროცესის ყოველი კვალი გამქრალია, ისე როგორც საერთოდ ფულში ქრება საქონლის ყოველი განსაკუთრებული სახმარი ფორმა. ამიტომაა, რომ კაპიტალის ასეთი უცნაური ფორმა ქრება მხოლოდ იქ, სადაც თვით ფ′ მოქმედებს როგორც საქონლური კაპიტალი, სადაც იგი წარმოების პროცესის უშუალო პროდუქტია და არა ამ პროდუქტის გარდაქმნილი ფორმა, — მაშასადამე, თვით ფულადი მასალის წარმოებაში. ოქროს წარმოებისათვის, მაგალითად, ფორმულა იქნებოდა ასეთი: ფ — ს $<^{\text{სძ}}_{\text{ფს}}$ . . . ფ . . . ფ′ (ფ + ფ), სადაც ფ′ საქონლური პროდუქტის როლში გამოდის, იმიტომ რომ ფ მეტ ოქროს იძლევა, ვიდრე პირველ ფ-ში, ფულად კაპიტალში, იყო ავანსებული ოქროს წარმოების ელემენტებისათვის, მაშასადამე, აქ ქრება გამოსახვის: ფ . . . ფ′ (ფ + ფ) ირაციონალობა, სადაც ფულადი თანხის ერთი ნაწილი გვევლინება როგორც დედა იმავე ფულადი თანხის მეორე ნაწილისა.

IV. ერთობლივი წრებრუნვა

ჩვენ დავინახეთ, რომ მიმოქცევის პროცესი პირველი ფაზის ფ — ს $<^{\text{სძ}}_{\text{ფს}}$-ის დასრულების შემდეგ შეწყდება წარმოებით — ფ, სადაც ბაზარზე ნაყიდი საქონელი: სძ და ფს მოიხმარება როგორც მწარმოებლური კაპიტალის ნივთობრივი და ღირებულებრივი შემადგენელი ნაწილები; ამ მოხმარების პროდუქტია ნატურალური ფორმისა და ღირებულების მხრივ შეცვლილი ახალი საქონელი, ს′. მიმოქცევის შეწყვეტილი პროცესი, ფ—ს, უნდა შეივსოს ს—ფ-ით. მაგრამ მიმოქცევის ამ მეორე და დასკვნითი ფაზის მატარებლად გვევლინება ს′,

კ. მარქსის «კაპიტალის» II ტომის ხელნაწერის გვერდის ფაქსიმილე.
(დაპატარავებულია)

ნატურალური ფორმისა და ღირებულების მხრივ პირველი ს-სგან განსხვავებული საქონელი. მაშასადამე, მიმოქცევის მწკრივი გამოიხატება ასე: 1) ფ—$ს_1$; 2) $ს'_2$ — ფ′, სადაც პირველი საქონლის $ს_1$-ის მეორე ფაზაში ჩნდება უფრო მაღალი ღირებულებისა და განსხვავებული სახმარი ფორმის სხვა საქონელი $ს'_2$; ეს ცვლა ხდება წ ფუნქციით გაპირობებული მწარმოებლური კაპიტალის წ არსებობის ფორმებიდან — ს ელემენტებიდან ს′ წარმოებისას. პირიქით, გამოვლინების ის პირველი ფორმა, რომლითაც ჩვენ წინ კაპიტალი (წიგნი I, თავი IV, 1) წარმოდგებოდა, ფორმა ფ — ს — ფ′ (დაიშლება ასე: 1) ფ — $ს_1$; 2) $ს_1$ — ფ′) ორჯერ გვიჩვენებს ერთსა და იმავე საქონელს. ორივეჯერ ერთი და იგივე საქონელია ის, რადაც ფული გადაიქცევა პირველ ფაზაში და რომელიც მეტ ფულად უკუგადაიქცევა მეორე ფაზაში. ამ არსებითი განსხვავების მიუხედავად, ორივე მიმოქცევას ის აქვს საერთო, რომ მათს პირველ ფაზაში ფული გადაიქცევა საქონლად, ხოლო მეორე ფაზაში საქონელი — ფულად, მაშასადამე, პირველ ფაზაში დახარჯული ფული უკან ბრუნდება მეორე ფაზაში. ორივე მიმოქცევას საერთო აქვს, ერთი მხრივ, ფულის ეს უკუდაბრუნება მის ამოსავალ პუნქტთან, ხოლო, მეორე მხრივ, ისიც, რომ უფრო მეტი ფული ბრუნდება უკან, ვიდრე ავანსებული იყო. ამდენად ფ — ს... ს′ — ფ′ აგრეთვე მოქცეულია უკვე საყოველთაო ფორმულაში ფ — ს — ფ′.

შემდეგ, აქედან გამომდინარეობს, რომ ორსავე მეტამორფოზში ფ — ს-ში და ს′ — ფ′-ში, რომელნიც მიმოქცევას ეკუთვნიან, ყოველთვის თანატოლი, იმავდროულად არსებული ღირებულებანი დგანან ერთიმეორის პირისპირ და შეენაცვლებიან ერთიმეორეს. ღირებულების სიდიდის ცვლილება ეკუთვნის მაოლოდ და მხოლოდ მეტამორფოზს წ, წარმოების პროცესს, რომელიც, ამრიგად, გვევლინება როგორც კაპიტალის რეალური მეტამორფოზი, წინააღმდეგ უბრალო, ფორმალური მეტამორფოზებისა, რაც მიმოქცევის სფეროში ხდება.

განვიხილოთ ახლა ერთობლივი მოძრაობა ფ — ს... წ... ს′ — ფ′ ანუ მისი გაშლილი ფორმა ფ — ს < $^{ს^{d}}_{წ^{s}}$ ... წ... ს′ (ს+ს) — ფ′ (ფ+ფ). კაპიტალი გვევლინება აქ როგორც ღირებულება, რომელიც გაივლის ერთმანეთთან დაკავშირებულ, ერთიმეორის გამაპირობებელ გარდაქმნათა თანმიმდევრულ მწკრივს, მთელ რიგ მეტამორფოზებს, რომელნიც ერთობლივი პროცესის იმდენივე რაოდენობის ფაზებს ანუ სტადიებს შეადგენენ. ამ ფაზებიდან ორი ფაზა ეკუთვნის მიმოქცევის სფეროს, ერთი — წარმოების სფეროს. თვითეულ ამ ფაზაში კაპიტალ-ღირებულება იმყოფება განსხვავებული ფორმით, რასაც განსხვავებუ-

ლი, სპეციალური ფუნქცია შეესაბამება. ამ მოძრაობის შიგნით ავანსებული ღირებულება არათუ შეინარჩუნება, არამედ იზრდება კიდეც, გაზრდის თავის ოდენობას. დასასრულ, დასკვნითს სტადიაში, იგი უბრუნდება იმავე ფორმას, რომლითაც იგი ერთობლივი პროცესის დაწყებისას მოგვევლინა. ამიტომ ეს ერთობლივი პროცესი წრებრუნვის პროცესია.

ის ორი ფორმა, რომელთაც კაპიტალღირებულება თავისი მიმოქცევის სტადიებში ღებულობს, ფ უ ლ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა და ს ა ქ ო ნ ლ უ რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ფორმებია; კაპიტალღირებულების ფორმა, რომელიც წარმოების სტადიას ეკუთვნის, მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი-ს ფორმაა. კაპიტალი, რომელიც თავისი წრებრუნვის მსვლელობაში ამ ფორმებს იღებს და კვლავ თავიდან იშორებს და თვითეულ მათგანში მის შესაბამის ფუნქციას ასრულებს, ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ა, — სამრეწველო აქ იმ აზრით, რომ იგი მოიცავს წარმოების ყოველ დარგს, რომელიც კაპიტალისტურად წარიმართება.

მაშასადამე, ფულადი კაპიტალი, საქონლური კაპიტალი, მწარმოებლური კაპიტალი აღნიშნავენ აქ არა დამოუკიდებელი სახის კაპიტალებს, რომელთა ფუნქციები შეადგენენ მეწარმეობის ასევე დამოუკიდებელი და ერთმანეთისგან განცალკევებული მოსაქმეობის დარგთა (Geschäftszweige) წინაარსს. ისინი აქ აღნიშნავენ მხოლოდ სამრეწველო კაპიტალის განსაკუთრებულ ფუნქციურ ფორმებს, კაპიტალისა, რომელიც სამივე ამ ფორმას ერთიმეორის მიყოლებით იღებს.

კაპიტალის წრებრუნვა ნორმალურად მიმდინარეობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სხვადასხვა ფაზა შეუფერხებლად გადადის ერთიმეორეში. თუ კაპიტალი შეფერხდა პირველ ფაზაში: ფ — ფ′ ფულადი კაპიტალი გაიყინება განძად; თუ იგი წარმოების ფაზაში შეფერხდა, მაშინ ერთ მხარეზეა უმოქმედოდ მყოფი წარმოების საშუალებანი, იმ დროს როცა მეორე მხარეზე სამუშაო ძალა რჩება დაუსაქმებელი; თუ იგი შეფერხდა უკანასკნელ ფაზაში: ს′ — ფ′-ში, — გაუყიდველად დარჩენილი საქონელი გზას გადაუღობავს მიმოქცევის მდინარებას.

მეორე მხრივ, საგნის ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ თვითწრებრუნვა განაპირობებს კაპიტალის ფიქსაციას განსაზღვრული ვადით წრებრუნვის ცალკეულ ფაზებში. თვითეულ თავის ფაზაში სამრეწველო კაპიტალი განსაზღვრულ ფორმასთანაა დაკავშირებული — როგორც ფულადი კაპიტალი, მწარმოებლური კაპიტალი, საქონლური კაპიტალი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან შეასრულა იმ ფორმის შესაბამისი ფუნქცია, რომელშიაც მოცემულ მომენტში იმყოფება, იგი



ფაქსიმილე «კაპიტალის» II ტომი ხელნაწერის გვერდისა, ოთმელიც რედაქტირებული და გადაწერილია ფ. ენგელსის მიერ.

(დაპატარავებულია)

იღებს ფორმას, რომლითაც მას შეუძლია გარდაქმნის ახალ ფაზაში შევიდეს. ამის ნათელსაყოფად ჩვენ ვიგულისხმეთ ჩვენს მაგალითში, რომ წარმოების სტადიაში შექმნილ საქონელთა მასის კაპიტალღირებულება უდრის თავდაპირველად ფულის სახით ავანსებული ღირებულების ერთობლივ ჯამს; სხვა სიტყვებით — ფულის სახით ავანსებული მთელი კაპიტალღირებულება ერთბაშად გადადის ერთი სტადიიდან მეორე, შემდგომ სტადიაში. მაგრამ ჩვენ დავინახეთ (წიგნი I, თავი VI), რომ მუდმივი კაპიტალის ნაწილი, შრომის საშუალებანი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით (მაგ., მანქანები), მუდამ ახლად და ახლად გამოიყენება მეტი თუ ნაკლები რაოდენობით განმეორებულ წარმოების პროცესებში, და ამიტომ ისინი მხოლოდ ნაწილ-ნაწილ გადასცემენ პროდუქტს თავიანთ ღირებულებას. თუ რამდენად ცვლის ეს გარემოება კაპიტალის წრებრუნვის პროცესს, ამას ჩვენ შემდგომ დავინახავთ. აქ საკმარისია შემდეგი: ჩვენს მაგალითში მწარმოებლური კაპიტალის ღირებულება 422 გირვ. სტერლ. შეიცავდა საფაბრიკო შენობების, მანქანებისა და სხვათა მხოლოდ საშუალოდ გამოანგარიშებულ გაცვეთას, მაშასადამე, ღირებულების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც 10 600 გირვანქა ბამბის 10 000 გირვანქა ნართად გარდაქმნისას შენობებს, მანქანებს და სხვ. გადააქვთ ნართზე, რაც კვირის განმავლობაში 60 საათის რთვის პროცესის პროდუქტს წარმოადგენს. მაშასადამე, წარმოების საშუალებებში, რადაც 372 გირვ. სტერლ. ავანსებული მუდმივი კაპიტალი გარდაიქმნა, შრომის იარაღები, შენობები, მანქანები და სხვ. ისე გამოდიან, თითქოს ისინი დაექირავებინოთ ბაზარზე კვირეული ქირის გადახდის საფუძველზე. მაგრამ ეს აბსოლუტურად არაფერს ცვლის საქმის ვითარებაში. საკმარისია მხოლოდ, რომ კვირის განმავლობაში წარმოებული ნართის რაოდენობა 10 000 გირვანქა გავამრავლოთ წელთა განსაზღვრულ რაოდენობის შემადგენელ კვირეების რიცხვზე და — ამ ხნის განმავლობაში ნაყიდ და მოხმარებულ შრომის საშუალებათა მთელი ღირებულება გადატანილი იქნება ნართზე. აქედან ცხადია, რომ ავანსებული ფულადი კაპიტალი ჯერ ამ საშუალებებად უნდა გადაიქცეს, მაშასადამე, პირველი სტადიიდან — Ф — Ѕ-დან — უნდა გამოვიდეს, ვიდრე იგი მწარმოებლური კაპიტალის Ѵ სახით მოქმედებას შეძლებდეს. ასევე ცხადია ჩვენს მაგალითში, რომ კაპიტალღირებულების თანხა 422 გირვ. სტერლ. რაოდენობით, რომელიც წარმოების პროცესში ნართის შეესისხლხორცა, არ შეიძლება, როგორც 10 000 გირვანქა ნართის ღირებულების შემადგენელი ნაწილი, შევიდეს მიმოქცევის ფაზაში Ѕ′ — Ф′,

ვიდრე ნართი დამზადებული არაა. ნართის გაყიდვა არ შეიძლება მის დართვამდე.

საყოველთაო ფორმულაში წ-ის პროდუქტი განიხილება როგორც მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებისგან განსხვავებული მატერიალური ნივთი, როგორც საგანი, რომელსაც წარმოების პროცესისგან განცალკევებული არსებობა, წარმოების ელემენტებისგან განსხვავებული სახმარი ფორმა აქვს. და ყოველთვის, როცა წარმოების პროცესის შედეგი წარმოგვიდგება როგორც ნივთი, იგი განიხილება ამგვარად, — მაშინაც კი, როცა პროდუქტის ნაწილი ისევ შედის როგორც ელემენტი განახლებულ წარმოებაში. ასე, ხორბალი გამოიყენება თესლად ხორბლისავე საწარმოებლად; მაგრამ პროდუქტი მხოლოდ ხორბლისაგან შედგება, მაშასადამე, მას ხორბალთან ერთად გამოყენებული ელემენტებისგან, სამუშაო ძალისგან, ინსტრუმენტებისგან, სასუქისაგან განსხვავებული სახე აქვს. მაგრამ არსებობს მრეწველობის დამოუკიდებელი დარგები, სადაც წარმოების პროცესის პროდუქტი არ წარმოადგენს ახალ ნივთიერ პროდუქტს, საქონელს. ამ დარგებიდან ეკონომიურად მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო მრეწველობა, იქნება იგი საკუთრივ სატრანსპორტო მრეწველობა საქონელთა გადასაზიდად და ადამიანთა გადასაყვანად თუ მარტოოდენ ცნობების, წერილების, ტელეგრამებისა და სხვ. გადაცემა.

ა. ჩუპროვი[6] ამბობს ამის შესახებ: «მეფაბრიკეს შეუძლია ჯერ აწარმოოს საგნები და შემდეგ ეძიოს მათთვის მომხმარებლები» (მისი პროდუქტი, მას შემდეგ, რაც იგი მზა სახით გამოსროლილია წარმოების პროცესიდან, გადადის მიმოქცევის სფეროში, როგორც წარმოებისაგან განცალკევებული საქონელი); «წარმოება და მოხმარება წარმოადგენს ორ აქტს, რომელიც ერთიმეორისგან გათიშულია სივრცესა და დროში. სატრანსპორტო მრეწველობაში კი, რომელიც ახალ პროდუქტებს არ ქმნის, არამედ მხოლოდ ადამიანთა გადაყვანას და ნივთების გადაზიდვას ემსახურება, ეს ორი აქტი ერთმანეთს ემთხვევა; რკინიგზის სამსახური (ადგილცვლა) იმავე მომენტში მოიხმარება, როდესაც იგი სრულდება. ამიტომ რაიონი, სადაც რკინიგზას შეუძლია თავისი მომსახურების გასაღება ეძიოს, ვრცელდება დიდი-დიდი 50 ვერსზე (53 კილომეტრზე) ორივე მხარეს».

გადაზიდვის შედეგს — სულ ერთია ხდება ადამიანთა თუ საქონელთა გადაზიდვა — შეადგენს მათი სამყოფელი ადგილის ცვლილება, ის,

---

[6] А. Чупров: «Железнодорожное хозяйство». Москва, 1875, стр. 69—70.

რომ, მაგალითად, ნართი ახლა ინდოეთშია, ნაცვლად ინგლისისა, სადაც იგი წარმოებული იყო.

მაგრამ სატრანსპორტო მრეწველობა ყიდის თვით ადგილცვლას. სასარგებლო ეფექტი, რომელსაც ის იძლევა, განუყრელად დაკავშირებულია ტრანსპორტის პროცესთან, ე. ი. სატრანსპორტო მრეწველობის წარმოების პროცესთან. ადამიანები და საქონელი მგზავრობენ ტრანსპორტის საშუალებასთან ერთად, და ამ უკანასკნელის მგზავრობა, მისი მოძრაობა სივრცეში, სწორედ ის წარმოების პროცესია, რომელსაც ტრანსპორტის საშუალება ქმნის. სასარგებლო ეფექტის მოხმარება შესაძლებელია მხოლოდ წარმოების პროცესის დროს; ეს ეფექტი არ არსებობს როგორც ამ პროცესისგან განსხვავებული სახმარი ნივთი, რომელიც მხოლოდ მას შემდეგ მოქმედებს როგორც ვაჭრობის საგანი, მიმოიქცევა როგორც საქონელი, რაც ის წარმოებულია. მაგრამ ამ სასარგებლო ეფექტის საცვლელი ღირებულება, ისევე როგორც ყოველი სხვა საქონლის ღირებულება, განისაზღვრება მასზე დახარჯული წარმოების ელემენტების (სამუშაო ძალისა და წარმოების საშუალებათა) ღირებულებით პლუს ზედმეტი ღირებულება, რომელიც სატრანსპორტო მრეწველობაში დასაქმებული მუშების ზედმეტმა შრომამ შექმნა. რაც შეეხება სატრანსპორტო მრეწველობის სასარგებლო ეფექტის მოხმარებას, იგი ამ მხრივაც არ განსხვავდება სხვა საქონლისგან. თუ იგი ინდივიდუალურ მოხმარებას ემსახურება,— მოხმარებისთანავე ქრება მისი ღირებულება; ხოლო თუ მწარმოებლურად მოიხმარება, ისე რომ თვით იგი ტრანსპორტში მყოფი საქონლის წარმოების სტადიას შეადგენს, მაშინ მისი ღირებულება თვით საქონელზე გადაიტანება როგორც დამატებითი ღირებულება. მაშასადამე, ფორმულა სატრანსპორტო მრეწველობისთვის ასეთია: $Ф — Ц < \overset{Цд}{Рц} \ldots Р — Ф'$, რადგანაც აქ ის ეფექტი, რაშიც ფასს იხდიან და რაც მოიხმარება, თვით ეს წარმოების პროცესია, და არა პროდუქტი, რომელიც შეიძლება მისგან გამოვყოთ. მაშასადამე, ამ ფორმულას თითქმის ზედმიწევნით ისეთივე სახე აქვს, როგორიც ფორმულას ძვირფასი ლითონების წარმოებისათვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ Ф′ აქ წარმოადგენს წარმოების პროცესის დროს შექმნილი სასარგებლო ეფექტის გარდაქმნილ ფორმას და არა ამ პროცესის დროს მოპოვებული და იქიდან გამოსროლილი ოქროს ან ვერცხლის ნატურალურ ფორმას.

სამრეწველო კაპიტალი კაპიტალის არსებობის ერთადერთი სახეა, როდესაც კაპიტალის ფუნქციას შეადგენს არა მარტო ზედმეტი ღი-

რებულების ან ზედმეტი პროდუქტის მითვისება, არამედ მათი შექმნაც. ამიტომ სწორედ სამრეწველო კაპიტალი განაპირობებს წარმოების კაპიტალისტურ ხასიათს; სამრეწველო კაპიტალის არსებობა შეიცავს კაპიტალისტებისა და დაქირავებული მუშების კლასობრივ წინააღმდეგობას. იმ მასშტაბით, რა მასშტაბითაც იგი საზოგადოებრივ წარმოებას ეუფლება, ხდება გადატრიალება შრომის პროცესის ტექნიკასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და მასთან ერთად საზოგადოების ეკონომიურ-ისტორიულ ტიპში. კაპიტალის სხვა სახეობანი, რომლებიც მასზე ადრე გაჩნდნენ საზოგადოებრივი წარმოების წარსულ თუ დასაღუპად განწირულ წყობილებაში, არა მარტო ექვემდებარებიან მას და თავიანთი ფუნქციების მექანიზმში მის შესაბამისად ცვლილებას განიცდიან, არამედ მოძრაობას განაგრძობენ მხოლოდ სამრეწველო კაპიტალის საფუძველზე, მაშასადამე, ცოცხლობენ და კვდებიან, დგანან და ეცემიან ამ თავიანთ საფუძველთან ერთად. ფულადი კაპიტალი და საქონლური კაპიტალი, რამდენადაც ისინი თავიანთი ფუნქციებით სამრეწველო კაპიტალის გვერდით გამოდიან როგორც მოსაქმეობის განსაკუთრებული დარგების მატარებელნი, მხოლოდ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გამო არიან დამოუკიდებლადქცეული და ცალმხრივად განვითარებული არსებობის სახეობანი სხვადასხვა ფუნქციური ფორმებისა, რომლებსაც სამრეწველო კაპიტალი მიმოქცევის სფეროში ხან იღებს, ხან უკუაგდებს.

წრებრუნვა Ф . . . Ф′, ერთი მხრივ, გადაკვანძულია საყოველთაო საქონელმიმოქცევასთან, გამოდის იქიდან და შედის მასში, მის ნაწილს შეადგენს. **მეორე** მხრივ, ინდივიდუალური კაპიტალისტისთვის იგი **კაპიტალღირებულების** განსაკუთრებულ დამოუკიდებელ მოძრაობას შეადგენს, — მოძრაობას, რომელიც ნაწილობრივ საყოველთაო საქონელმიმოქცევის შიგნით სრულდება, ნაწილობრივ კი — მის გარეთ, მაგრამ რომელიც ყოველთვის თავის დამოუკიდებელ ხასიათს ინარჩუნებს. **ჯერ-ერთი**, იმით, რომ მიმოქცევის სფეროში მიმდინარე მის ორივე ფაზას, Ф — Ц და Ц′ — Ф′, ფუნქციურად განსაზღვრული ხასიათი აქვს როგორც კაპიტალის მოძრაობის ფაზებს; Ф — Ц-ში Ц ნივთიერად განსაზღვრულია როგორც სამუშაო ძალა და წარმოების საშუალება; Ц′ — Ф′-ში რეალიზდება კაპიტალღირებულება + ზედმეტი ღირებულება. **მეორე**: Ѳ, წარმოების პროცესი, მოიცავს მწარმოებლურ მოხმარებას. **მესამე**: ფულის უკუდაბრუნება მის ამოსავალ პუნქტთან მოძრაობას Ф . . . Ф′ აქცევს თავისთავში დასრულებული წრებრუნვის მოძრაობად.

მაშასადამე, ყოველი ინდივიდუალური კაპიტალი, ერთი მხრივ, თავისი მიმოქცევის ორსავე ნახევარში: ფ — ს და ს′ — ფ′ წარმოადგენს საყოველთაო საქონელმიმოქცევის აგენტს; ამ მიმოქცევაში იგი მოქმედებს, ე. ი. ჩაბმულია ან როგორც ფული, ან როგორც საქონელი; ამგვარად, თვით ინდივიდუალური კაპიტალი შეადგენს წევრს საქონელთა სამყაროს მეტამორფოზთა საყოველთაო მწკრივში. მეორე მხრივ, საყოველთაო მიმოქცევის შიგნით იგი შემოხაზავს თავის საკუთარ დამოუკიდებელ წრებრუნვას, სადაც წარმოების სფერო გარდამავალ სტადიას შეადგენს, და სადაც იგი თავის ამოსავალ პუნქტს უბრუნდება იმავე ფორმით, რა ფორმითაც მან იგი დატოვა. თავისი საკუთარი წრებრუნვის ფარგლებში, რომელიც შეიცავს მის რეალურ მეტამორფოზსაც წარმოების პროცესში, კაპიტალი იცვლის თავისი ღირებულების სიდიდესაც. იგი უკან ბრუნდება არა მხოლოდ როგორც ფულადი ღირებულება, არამედ როგორც გადიდებული, გაზრდილი ფულადი ღირებულება.

დასასრულ, თუ ჩვენ განვიხილავთ ფ — ს...წ...ს′ — ფ′ როგორც კაპიტალის წრებრუნვის პროცესის სპეციალურ ფორმას სხვა ფორმების გვერდით, რომლებიც შემდეგში იქნება გამოკვლეული, ვნახავთ, რომ იგი ხასიათდება შემდეგით:

1) იგი გვევლინება როგორც ფ ულ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს წ რ ე ბ რ უ ნ ვ ა, იმიტომ რომ სამრეწველო კაპიტალი თავის ფულად ფორმაში, როგორც ფულადი კაპიტალი, შეადგენს მისი ერთობლივი პროცესის ამოსავალ და უკუდაბრუნების პუნქტს. თვით ფორმულა იმას გამოხატავს, რომ ფული აქ არ იხარჯება როგორც ფული, არამედ მარტოოდენ ავანსად გაიღება, მაშასადამე, იგი მხოლოდ ფულადი ფორმაა კაპიტალისა, ფულადი კაპიტალია. ფორმულა, შემდეგ, გამოხატავს იმას, რომ მოძრაობის განმსაზღვრელი თვითმიზანია საცვლელი ღირებულება, და არა სახმარი ღირებულება. სწორედ იმიტომ, რომ ღირებულების ფულადი ფორმა ღირებულების გამოაშკარავების დამოუკიდებელი, ხელშესახები ფორმაა, სწორედ ამიტომ მიმოქცევის ფორმა ფ . . . ფ′, რომლის ამოსავალი და დასკვნითი პუნქტი ნამდვილი ფულია, უაღრესი სიცხადით გამოხატავს ფულის კეთებას, კაპიტალისტური წარმოების მამოძრავებელ მოტივს. წარმოების პროცესი გვევლინება მხოლოდ როგორც ფულის კეთების გარდუვალი მოსაშუალე რგოლი, როგორც აუცილებელი ბოროტება. {ამიტომაა, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის მქონე ყველა ერს პერიოდულად შეიპყრობს ხოლმე თაღლითობის ციებცხელება, რითაც მათ სწადიათ წარმოების პროცესის მოსაშუალეობის გარეშე განახორციელონ ფულის კეთება.}

2) წარმოების სტადია, ₩ ფუნქცია, ამ წრებრუნვაში წარმოადგენს შეწყვეტას მიმოქცევის ორ ფაზას შორის < და სწორედ ამიტომ გამოდის იგი მხოლოდ როგორც მოსაშუალე რგოლი მიმოქცევაში Ф — ს...ს′ — Ф′, რომელიც, თავის მხრივ, მოსაშუალე როლს ასრულებს მარტივ მიმოქცევაში Ф — ს — Ф′ >. წარმოების პროცესი წრებრუნვის თვით ამ ფორმაში ფორმალურად და გარკვეულად წარმოდგენილია იმად, რაც იგი არის კაპიტალისტური წარმოების წესის დროს: ავანსებული ღირებულების გადიდების უბრალო საშუალებად; მაშასადამე, გამდიდრება როგორც ასეთი აქ წარმოების თვითმიზანია.

3) რადგან ფაზების თანმიმდევრობითი მწკრივი იწყება ფაზით Ф — ს, ამიტომ მიმოქცევის მეორე წევრი არის ს′ — Ф′; მაშასადამე, ამოსავალი პუნქტი არის Ф, ღირებულებაგასაზრდელი ფულადი კაპიტალი, დასკვნითი პუნქტია Ф′, ღირებულებაგაზრდილი Ф + Ф, სადაც Ф გამოდის როგორც რეალიზებული კაპიტალი თავისი ბარტყის — Ф-ის გვერდით. ეს განასხვავებს წრებრუნვა Ф — ს ორი სხვა წრებრუნვისგან, ₩ და ს′-ისაგან, და განასხვავებს სახელდობრ ორნაირად. ერთი მხრივ, განსხვავება მდგომარეობს ორივე კიდურის ფულად ფორმაში: ხოლო ფული არის ღირებულების არსებობის დამოუკიდებელი ხელშესახები ფორმა, პროდუქტის ღირებულება მის დამოუკიდებელ ღირებულებრივ ფორმაში, რომელშიც საქონლის სახმარი ღირებულების ყოველი კვალი წარხოცილია. მეორე მხრივ, ფორმა ₩...₩ აუცილებლად როდი იქცევა ₩...₩′ (₩ + ₩), და ფორმაში ს′...ს′ საერთოდ არა ჩანს არავითარი ღირებულებრივი განსხვავება ორ კიდურს შორის. — მაშასადამე, ფორმულისათვის Ф...Ф′ დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ის, რომ კაპიტალღირებულება შეადგენს ამოსავალ პუნქტს, ხოლო გაზრდილი კაპიტალღირებულება — უკუდაბრუნების პუნქტს, ასე რომ კაპიტალღირებულების ავანსად გაღება წარმოგვიდგება როგორც საშუალება და გაზრდილი კაპიტალღირებულება — როგორც მიზანი მთელი ოპერაციისა; მეორე მხრივ, დამახასიათებელია ის, რომ ეს დამოკიდებულება გამოხატულია ფულადი ფორმით, ღირებულების დამოუკიდებელი ფორმით, და ამიტომ ფულადი კაპიტალი გამოიხატება როგორც ფულის მჩეკელი ფული. ღირებულების შექმნა ღირებულების მიერ გამოხატულია არა მარტო როგორც პროცესის ალფა და ომეგა, არამედ გამოხატულია პირდაპირ ბრჭყვიალა ფულადი ფორმით.

4) რადგან Ф′, რეალიზებული ფულადი კაპიტალი, რომელიც Ф — ს შემავსებელი და დამასრულებელი ფაზის ს′ — Ф′ შედეგს წარმოადგენს, აბსოლუტურად იმავე ფორმაში იმყოფება, რომლითაც მან თავისი

პირველი წრებრუნვა დაიწყო, ამიტომ მას შეუძლია, როგორც კი იქიდან გამოვა, ხელახლა იგივე წრებრუნვა დაიწყოს გადიდებული (დაგროვილი) ფულადი კაპიტალის: ფ′ = ფ + ∆ სახით; ყოველ შემთხვევაში ფორმა ფ...ფ′ არ გამოხატავს, რომ წრებრუნვის განმეორებისას ∆-ის მიმოქცევა სცილდება ∆-ის მიმოქცევას. განხილული მის ერთგზის სახეობაში, ფორმალურად, ფულადი კაპიტალის წრებრუნვა, მაშასადამე, მხოლოდ ღირებულების ზრდის პროცესს და დაგროვების პროცესს გამოხატავს. მოხმარება მასში გამოსახულია ფ — ს < $^{სძ}_{წს}$ გზით მხოლოდ როგორც მწარმოებლური მოხმარება, მხოლოდ ასეთ მოხმარებას შეიცავს სწორედ ინდივიდუალური კაპიტალის ეს წრებრუნვა. ფ — სძ მუშის მხრივ წარმოადგენს სძ — ∆ ანუ ს — ∆; მაშასადამე, იგი პირველი ფაზაა მიმოქცევისა, რომელიც მოსაშუალეობს მუშის ინდივიდუალურ მოხმარებას: სძ — ∆ — ს (საარსებო საშუალებებს). მეორე ფაზა: ∆ — ს უკვე აღარ შედის ინდივიდუალური კაპიტალის წრებრუნვაში; მაგრამ ეს წრებრუნვა იწყებს ამ ფაზას, გულისხმობს მას, რადგან მუშამ, რათა იგი მუდამ იყოს ბაზარზე როგორც კაპიტალისტის მხრივ საექსპლოატაციო მასალა, უწინარეს ყოვლისა უნდა იარსებოს, მაშასადამე, თავი უნდა შეინარჩუნოს ინდივიდუალური მოხმარების გზით. მაგრამ თვით ეს მოხმარება აქ იგულისხმება მხოლოდ როგორც კაპიტალის მიერ სამუშაო ძალის მწარმოებლური მოხმარების პირობა, მაშასადამე, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მუშა თავისი ინდივიდუალური მოხმარების გზით ინარჩუნებს და აკვლავწარმოებს თავის თავს როგორც სამუშაო ძალას. წს კი, საკუთრივ საქონელი, რომელიც წრებრუნვაში შედის, მხოლოდ საზრდოს შეადგენს მწარმოებლური მოხმარებისათვის. აქტი სძ — ∆ მოსაშუალეობს მუშის ინდივიდუალურ მოხმარებას, საარსებო საშუალებათა გადაქცევას მუშის სისხლად და ხორცად. რასაკვირველია, კაპიტალისტიც უნდა არსებობდეს, ისიც უნდა ცოცხლობდეს და მოიხმარდეს, რათა მან კაპიტალისტის როლი შეასრულოს. მაგრამ ამისათვის მას არსებითად მხოლოდ ისეთი მოხმარება ესაჭიროება, როგორიც მუშას, და ამიტომ ამაზე მეტს არ გულისხმობს მიმოქცევის პროცესის ეს ფორმა. ფორმალურად ესეც კი არაა აქ გამოსახული, იმიტომ რომ ფორმულა თავდება ∆′-ით, მაშასადამე, ისეთი შედეგით, რასაც მაშინვე შეუძლია ხელახლა იმოქმედოს გადიდებული ფულადი კაპიტალის სახით.

ს′ — ∆′ პირდაპირ შეიცავს ს′-ის გაყიდვას; მაგრამ ს′ — ∆′, გაყიდვა ერთი მხარისათვის, შეადგენს ∆ — ს-ს, ყიდვას მეორისათვის;

საქონელს საბოლოოდ მხოლოდ მისი სახმარი ღირებულებისათვის ყიდულობენ. მხოლოდ იმისთვის, რომ იგი (თუ საშუამავლო ყიდვას მხედველობაში არ მივიღებთ) მოხმარების პროცესში შევიდეს, იქნება ეს უკანასკნელი ინდივიდუალური თუ მწარმოებლური მოხმარება, ნაყიდი საგნის ბუნების მიხედვით. მაგრამ ეს მოხმარება არ შედის იმ ინდივიდუალური კაპიტალის წრებრუნვაში, რომლის პროდუქტს ს′ წარმოადგენს; ეს პროდუქტი (სწორედ გასაყიდი საქონლის ამ ფორმით გამოვარდება წრებრუნვიდან). ს′ პირდაპირ სხვისი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. ამიტომ მერკანტილური სისტემის განმმარტებელთა მხრივ (სისტემისა, რომელსაც საფუძვლად უდევს ფორმულა ფ — ს...წ...ს′ — ფ′) ჩვენ ვხვდებით ერცელ ქადაგებას იმის შესახებ, რომ ცალკეული კაპიტალისტი იმდენსავე უნდა მოიხმარებდეს, რამდენსაც მუშა, რომ კაპიტალისტთა ერმა სხვა, უფრო რეგვენ ერებს უნდა დაუტოვოს თავის საქონელთა მოხმარება და საერთოდ მოხმარების პროცესი, თვითონ კი, პირიქით, მწარმოებლური მოხმარება უნდა გაიხადოს თავისი ცხოვრების ამოცანად. ეს ქადაგება თავისი ფორმისა და შინაარსის მიხედვით ხშირად მოგვაგონებს ეკლესიის მამების ანალოგიურ ასკეტურ რჩევა-დარიგებას.

ანრიგად, კაპიტალის წრებრუნვის პროცესი წარმოადგენს მიმოქცევისა და წარმოების ერთიანობას, შეიცავს ორივეს. რამდენადაც ორივე ეს ფაზა: ფ — ს, ს′ — ფ′ მიმოქცევის აქტებია, იმდენად კაპიტალის მიმოქცევა საყოველთაო საქონელმიმოქცევის ნაწილს შეადგენს. მაგრამ რამდენადაც ეს ფაზები ფუნქციურად განსაზღვრულ მონაკვეთებს, სტადიებს შეადგენენ კაპიტალის წრებრუნვაში, რომელიც არა მარტო მიმოქცევის სფეროს, არამედ წარმოების სფეროსაც ეკუთვნის, იმდენად კაპიტალი საყოველთაო საქონელმიმოქცევის შიგნით თავის საკუთარ წრებრუნვას ასრულებს. პირველ სტადიაზე საყოველთაო საქონელმიმოქცევას კაპიტალი გამოიყენებს იმისათვის, რომ მიიღოს ფორმა, რომლითაც მას შეუძლია მწარმოებლური კაპიტალის სახით იმოქმედოს; მეორეზე — იმისათვის, რომ მოიშოროს საქონლის ფორმა, რომლითაც მას თავისი წრებრუნვის ხელახლა დაწყება არ შეუძლია; და ამავე დროს იმისათვის, რომ მას შესაძლებ-

ლობა მიეცეს თავისი როგორც კაპიტალის საკუთარი წრებრუნვა განაცალკევოს მასთან მიზრდილი ზედმეტი ღირებულების მიმოქცევისგან.

ამიტომ ფულადი კაპიტალის წრებრუნვა არის ყველაზე ცალმხრივი, ამის გამო ყველაზე მკაფიოდ გამოსახული და ყველაზე დამახასიათებელი ფორმა, რომლითაც ვლინდება სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვა; ამ კაპიტალის მიზანი და მამოძრავებელი მოტივი: ღირებულების გაზრდა, ფულის კეთება და დაგროვება, ისეა აქ გამოხატული (ყიდვა უფრო ძვირად გაყიდვისათვის), რომ პირდაპირ თვალში გვეცემა. იმის მეოხებით, რომ პირველი ფაზა არის ფ — ს, ცხადად ჩანს აგრეთვე მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილების წარმოშობა საქონლის ბაზრიდან, ისევე როგორც ნათლად ჩანს საერთოდ კაპიტალისტური წარმოების პროცესის გაპირობებულობა მიმოქცევის მეშვეობით, ვაჭრობით. ფულადი კაპიტალის წრებრუნვა არა მარტო საქონლის წარმოებაა; თვით ეს წრებრუნვა მხოლოდ მიმოქცევის გზით ხორციელდება, იგი გულისხმობს ამ მიმოქცევას. ეს ცხადია უკვე იქიდან, რომ ფორმა ფ, რომელიც მიმოქცევას ეკუთვნის, ავანსებული კაპიტალღირებულების პირველ და წმინდა ფორმად გვევლინება, რასაც ადგილი არა აქვს წრებრუნვის ორ სხვა ფორმაში.

ფულადი კაპიტალის წრებრუნვა მხოლოდ იმდენად რჩება მუდამ სამრეწველო კაპიტალის ზოგად გამოსახულებად, რამდენადაც იგი ავანსებული ღირებულების ზრდას შეიცავს მუდამ. ფ...ფ-ში კაპიტალის ფულადი გამოსახულება წარმოგვიდგება მხოლოდ როგორც წარმოების ელემენტების ფასი, მაშასადამე, მარტოოდენ როგორც საანგარიშო ფულით გამოსახული ღირებულება, და სწორედ ამ ფორმით ხდება მისი ფიქსაცია ბუღალტერიაში.

ფ...ფ′ იქცევა სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვის განსაკუთრებულ ფორმად, რამდენადაც ახლად წარმომდგარი კაპიტალი პირველად ფულის სახით ავანსად გაიღება და შემდეგ უკუგაიტანება იმავე ფორმით, — წარმოების ერთი დარგიდან მეორეში გადასვლისას მოხდება ეს თუ საწარმოდან სამრეწველო კაპიტალის გასვლისას. ეს ფორმა შეიცავს აგრეთვე იმ ზედმეტი ღირებულების მოქმედებას კაპიტალის სახით, რომელიც პირველად ფულადი ფორმით გაიღება ავანსად; ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ზედმეტი ღირებულება სხვა საწარმოში იწყებს მოქმედებას და არა იმაში, საიდანაც იგი გამომდინარეობს. ფ...ფ′ შეიძლება გარკვეული კაპიტალის პირველი წრებრუნვა იყოს; შეიძლება უკანასკნელიც იყოს; შეიძლება იგი საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის ფორმად

ჩაითვალოს; ეს არის ფორმა კაპიტალისა, რომელიც ახლად დაბანდდება, სულ ერთია წარმოადგენს იგი ახლად დაგროვილ კაპიტალს ფულად ფორმაში თუ ძველ კაპიტალს, რომელიც მთლიანად ფულად გადაიქცევა იმ მიზნით, რომ გადატანილ იქნეს წარმოების ერთი დარგიდან მეორეში.

ფულადი კაპიტალი, როგორც მუდამ ყველა წრებრუნვის დამახასიათებელი ფორმა, ასრულებს ამ წრებრუნვას კაპიტალის სწორედ იმ ნაწილისათვის, რომელიც ზედმეტ ღირებულებას წარმოშობს, ე. ი. ცვალებადი კაპიტალისათვის. ხელფასის დაავანსების ნორმალური ფორმა არის ფულით გადახდა; ამ პროცესის განახლება მუდმივად უნდა ხდებოდეს მოკლე ვადებში, იმიტომ რომ მუშამ ხელფასიდან ხელფასამდე უნდა გაიტანოს თავი. ამიტომ მუშას კაპიტალისტი მუდამ პირისპირ უნდა უდგეს როგორც ფულადი კაპიტალისტი, მისი კაპიტალი კი — როგორც ფულადი კაპიტალი. აქ არ შეიძლება, როგორც წარმოების საწუალებათა ყიდვისას და წარმოებულ საქონელთა გაყიდვისას, ადგილი ჰქონდეს გადასახდელთა პირდაპირ ან არაპირდაპირ გასტუმრებას (ასე რომ ფულადი კაპიტალის უფრო დიდი მასა ფაქტიურად მხოლოდ საქონლის სახით გამოდის. ფული — მარტოოდენ საანგარიშო ფულის სახით, ხოლო, ბოლოს, ნაღდი ფული — მხოლოდ ბალანსების გასაწონასწორებლად). მეორე მხრივ, იმ ზედმეტი ღირებულების ნაწილს, რომელსაც ცვალებადი კაპიტალი წარმოშობს, კაპიტალისტი ხარჯავს თავისი კერძო მოხმარებისათვის, რომელიც წვრილი ვაჭრობის სფეროს ეკუთვნის; იგი ამ ნაწილს ხარჯავს, რაგინდ შემოვლითი გზითაც ხდებოდეს ეს, ნაღდად, ზედმეტი ღირებულების ფულადი ფორმით. დიდია თუ პატარა ზედმეტი ღირებულების ეს ნაწილი, — ამით საქმის ვითარება არ იცვლება. ცვალებადი კაპიტალი ყოველთვის ისევ და ისევ წარმოგვიდგება როგორც ხელფასზე დახარჯული ფულადი კაპიტალი (ფ — სძ), ხოლო ფ — როგორც ზედმეტი ღირებულება, რომელიც კაპიტალისტის კერძო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იხარჯება. მაშასადამე, ფ, როგორც ავანსებული ცვალებადი კაპიტალღირებულება, და ფ, როგორც მისი ნამატი, ორივე აუცილებლად შეინარჩუნება ფულად ფორმაში, რათა მათი დახარჯვა ამავე ფორმაში მოხდეს.

ფორმულა ფ — ს...წ...ს′ — ფ′, მისი შედეგით ფ′ = ფ + ფ, მაცდუნებელია თავისი გარეგნული ფორმის მიხედვით, იგი ატარებს ილუზორულ ხასიათს, რომელიც იქიდან გამომდინარეობს, რომ ავანსებული და გაზრდილი ღირებულება აქ თავის ეკვივალენტურ ფორმაში, ფულის სახით, არსებობს. აქ ხაზგასმულია არა ღირებულების

ზრდა, არამედ ამ პროცესის ფ უ ლ ა დ ი ფ ო რ მ ა, — ის გარემოება, რომ მიმოქცევიდან, ბოლოს და ბოლოს, მეტი ღირებულება გამოიტანება ფულადი ფორმით, ვიდრე მას თავდაპირველად მიეცა ავანსად, მაშასადამე, იმ ოქრო-ვერცხლის მასის გადიდება, რომელიც კაპიტალისტს ეკუთვნის. ეგრეთწოდებული მონეტარული სისტემა მარტოოდენ გამოსახულებაა ირაციონალური ფორმისა ფ — ს — ფ′, მოძრაობისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მიმოქცევის სფეროში მიმდინარეობს; ამიტომ აქ ორივე აქტი: 1) ფ — ს, 2) ს — ფ′ მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ მეორე აქტში ს თავის ღირებულებაზე მეტად გაიყიდება, ამიტომ მიმოქცევას მეტ ფულს გამოაცლის, ვიდრე ამ ს ყიდვის გზით იყო მასში გადასროლილი. პირიქით, ფ — ს...ფ... ს′ — ფ′, როგორც განსაკუთრებულ ფორმად ფიქსირებული, საფუძვლად უდევს უფრო განვითარებულ მერკანტილურ სისტემას, რომლის აუცილებელ ელემენტად გვევლინება არა მარტო საქონელმიმოქცევა, არამედ საქონელწარმოებაც.

ფ — ს...ფ...ს′ — ფ′-ის ილუზორული ხასიათი და მისი შესაბამისი ილუზორული ახსნა-განმარტება იქმნება მაშინ, როცა ეს ფორმა ფიქსირებული ხდება როგორც ერთგზისი და არა როგორც დენადი ფორმა, რომელიც მუდამ ხელახლა მეორდება; მაშასადამე, მაშინ, როცა იგი ძალაშია არა როგორც წრებრუნვის ერთ-ერთი ფორმა, არამედ როგორც მხოლოდ და მხოლოდ მისი ფორმა. მაგრამ იგი უკვე თვითონ მიგვითითებს სხვა ფორმებზე.

ჯერ-ერთი, მთელი ეს წრებრუნვა გულისხმობს თვით წარმოების პროცესის კაპიტალისტურ ხასიათს და, მაშასადამე, თავის საფუძვლად გულისხმობს ამ წარმოების პროცესს მისი სპეციფიკური, მის მიერ გაპირობებული საზოგადოებრივი მდგომარეობითურთ. ფ — ს = ფ — ს < $^{სუ}_{წს}$; მაგრამ ფ — სძ გულისხმობს დაქირავებულ მუშას და ამიტომ გულისხმობს, რომ წარმოების საშუალებანი მწარმოებლური კაპიტალის ნაწილს შეადგენენ, რომ, მაშასადამე, შრომის პროცესი და ღირებულების ზრდის პროცესი, წარმოების პროცესი უკვე კაპიტალის ფუნქციას წარმოადგენს.

მეორე: თუ ფ...ფ′ გამეორდება, უკუდაბრუნება ფულადი ფორმისადმი ისევე წარმავალი აღმოჩნდება, როგორც ფულადი ფორმა პირველ სტადიაში. ფ — ს ქრება, რათა ადგილი დაუთმოს ფ. განუწყვეტლივ განმეორებული დაავანსება ფულის სახით, ისევე როგორც მისი მუდამ უკუდაბრუნება ფულის სახით, თავის მხრივ, გვევლინება მხოლოდ როგორც მომენტები, რომელნიც წრებრუნვაში ქრებიან.

მესამე:

$$\overbrace{\underbrace{\text{ფ—ს...წ...ს′ — ფ′. ფ — ს...წ...ს′ — ფ′}_{\cdot}. \text{ ფ — ს...ფ...}}} \text{ და სხვ.}$$

წრებრუნვის უკვე მეორეჯერ განმეორებისას, ფ-ის მეორე წრებრუნვის დასრულებამდე, წარმოგვიდგება წრებრუნვა: წ...ს′—ფ′. ფ—ს...წ,— და, ამრიგად, ყველა შემდგომ წრებრუნვაში ფ შეიძლება განვიხილოთ შემდეგ ფორმაში: წ...ს′—ფ—ს...წ, ასე რომ ფ — ს, როგორც პირველი წრებრუნვის პირველი ფაზა, წარმოადგენს მწარმოებლური კაპიტალის განუწყვეტლივ ახალ-ახალი წრებრუნვის სწრაფწარმავალ მომზადებას, რასაც ადგილი აქვს სინამდვილეში, როდესაც პირველად ხდება სამრეწველო კაპიტალის დაბანდება ფულადი კაპიტალის ფორმით.

მეორე მხრივ, იმაზე უწინ, ვიდრე წ მეორე წრებრუნვა დასრულდებოდეს, უკვე შესრულებულია პირველი წრებრუნვა ს′—ფ′. ფ—ს... წ...ს′ (შემოკლებულად: ს′...ს′), ე. ი. საქონლური კაპიტალის წრებრუნვა. ამრიგად, უკვე პირველი ფორმა შეიცავს ორივე დანარჩენს და, მაშასადამე, ქრება ფულადი ფორმა, რამდენადაც იგი წარმოადგენს ღირებულების არა უბრალო გამოსახულებას, არამედ ღირებულების გამოსახულებას ეკვივალენტურ ფორმაში, ფულში.

ბოლოს: თუ ჩვენ ავიღებთ ახლად გამოსულ ცალკეულ კაპიტალს, რომელიც პირველად ასრულებს წრებრუნვას ფ—ს...წ...ს′ — ფ′-ს, მაშინ ფ — ს მომამზადებელი ფაზაა, წინამორბედია პირველი წარმოების პროცესისა, რომელსაც ეს ცალკეული კაპიტალი გაივლის. მაშასადამე, ეს ფაზა ფ — ს წინასწარ კი არ იგულისხმება, არამედ, პირიქით, მას წარმოების პროცესი წამოაყენებს ანუ განაპირობებს. მაგრამ ეს ითქმის მხოლოდ ცალკეული კაპიტალის შესახებ. რამდენადაც ნაგულისხმევია კაპიტალისტური წარმოების წესი, მაშასადამე, საზოგადოების ისეთი მდგომარეობის არსებობისას, რომელიც კაპიტალისტური წარმოებით განისაზღვრება, სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვის საყოველთაო ფორმას წარმოადგენს ფულადი კაპიტალის წრებრუნვა. ამიტომ კაპიტალისტური წარმოების პროცესი იგულისხმება როგორც prius [წინამორბედი], — თუ ფულადი კაპიტალის პირველ წრებრუნვაში არა, რომელი ფორმითაც თავდაპირველად სამრეწველო კაპიტალის დაბანდება ხდება, ამ წრებრუნვის გარეთ მაინც; კაპიტალისტური წარმოების პროცესის მუდმივი არსებობა გულისხმობს წ...ფ მუდამ განახლებულ წრებრუნვას. პირველი სტადიის: ფ — ს < $^{\text{სძ}}_{\text{ფს}}$ ში-

ვნით უკვე პირდაპირ წარმოგვიდგება ეს წანამძღვარი, რადგან ეს ბჭტი, ერთი მხრივ, გულისხმობს დაქირავებული მუშების კლასის არსებობას, და რადგან, მეორე მხრივ, რაც წარმოების საშუალებათა მყიდველისათვის პირველ სტადიას: ფ — ს წარმოადგენს, ის მათი გამყიდველისათვის წარმოადგენს ს′ — ფ′; მაშასადამე, ს′ გულისხმობს საქონლურ კაპიტალს, ამიტომ თვით საქონელსაც როგორც კაპიტალისტური წარმოების შედეგს, და ამით გულისხმობს მწარმოებლური კაპიტალის ფუნქციას.

თავი მეოთხე

მწარმოებლური კაპიტალის წრებრუნვა

მწარმოებლური კაპიტალის წრებრუნვის ზოგადი ფორმულა ასეთია: წ ... ს′ — ფ′ — ს ... წ. ეს წრებრუნვა ნიშნავს მწარმოებლური კაპიტალის მოქმედების პერიოდულად განახლებას, მაშასადამე, კვლავწარმოებას, ანუ კაპიტალის წარმოების პროცესს როგორც კვლავწარმოების პროცესს ღირებულების ზრდასთან დაკავშირებით; ზედმეტი ღირებულების არა მხოლოდ წარმოებას, არამედ პერიოდულ კვლავწარმოებას; თავის მწარმოებლურ ფორმაში მყოფი სამრეწველო კაპიტალის მოქმედებას, არა როგორც ერთგზის, არამედ როგორც პერიოდულად განმეორებულ მოქმედებას, ასე რომ ხელახალი დაწყება თვით ამოსავალი პუნქტითაა განსაზღვრული. ს′, ნაწილი შეიძლება (გარკვეულ შემთხვევაში, სამრეწველო კაპიტალის გამოყენების გარკვეულ დარგებში) ხელახლა უშუალოდ შევიდეს წარმოების საშუალებების სახით შრომის იმავე პროცესში, საიდანაც იგი [გამოვიდა საქონლის სახით; ამით დაიზოგება მხოლოდ მისი ღირებულების ნამდვილ ფულად ან ფულის ნიშნებად გადაქცევა, ანდა იგი იღებს დამოუკიდებელ გამოსახულებას როგორც საანგარიშო ფული. ღირებულების ეს ნაწილი არ შედის მიმოქცევაში. ამრიგად, წარმოების პროცესში შედიან ღირებულებანი, რომელნიც არ შედიან მიმოქცევის პროცესში. იგივე ითქმის ს′ იმ ნაწილის შესახებ, რომელსაც კაპიტალისტი მოიხმარს in natura როგორც ზედმეტი პროდუქტის ნაწილს. მაგრამ ეს ნაწილი უნიშვნელოა კაპიტალისტური წარმოებისათვის; იგი, დიდი-დიდი, მხედველობაში მისაღებია მიწათმოქმედებაში.

ამ ფორმაში ორგვარი გარემოება გვეცემა უეცრად თვალში:

პირველი. მაშინ როდესაც პირველ ფორმაში: ფ — ფ′ წარმოების პროცესი, წ-ის მოქმედება, შეწყვეტს ფულადი კაპიტალის მიმოქცევას და გვეელინება მხოლოდ როგორც მოსაშუალე რგოლი მიმოქცევის ორივე ფაზას ფ — ს და ს′ — ფ′ შორის, — აქ სამრეწველო

კაპიტალის მიმოქცევის ერთობლივი პროცესი, მთელი მისი მოძრაობა მიმოქცევის ფაზის შიგნით, შეადგენს მხოლოდ შეწყვეტას და ამიტომ მხოლოდ მოსაშუალე რგოლს მწარმოებლურ კაპიტალსა, რომელიც პირველი კიდურის სახით იწყებს წრებრუნვას, და იმავე მწარმოებლურ კაპიტალს შორის, რომელიც უკანასკნელი კიდურის სახით ამ წრებრუნვას ამთავრებს იმავე ფორმაში, ე. ი. ფორმაში, რომლითაც მას შეუძლია მოძრაობა ხელახლა დაიწყოს. საკუთრივ მიმოქცევა გვევლინება მხოლოდ როგორც პერიოდულად განახლებული და ამ განახლების მეოხებით შეუწყვეტელი კვლავწარმოების მოსაშუალე რგოლი.

მეორე. ერთობლივი მიმოქცევა საპირისპიროა იმ ფორმისა, რომელიც აქვს მას ფულადი კაპიტალის წრებრუნვაში. ეს ფორმა, თუ ღირებულების განსაზღვრულობას მბედველობაში არ მივიღებთ, იყო: ფ — ს — ფ (ფ — ს. ს — ფ); აქ იგი, თუ ღირებულების განსაზღვრულობას კვლავ არ მივიღებთ მბედველობაში, ასეთია: ს—ფ—ს (ს—ფ. ფ — ს), ე. ი. მარტივი საქონელმიმოქცევის ფორმა.

I. მარტივი კვლავწარმოება

განვიხილოთ უწინარეს ყოვლისა პროცესი ს′ — ფ′ — ს, რომელიც კიდურ წევრებს: ფ...ფ შორის მიმდინარეობს მიმოქცევის სფეროში.

ამ მიმოქცევის ამოსავალი პუნქტია საქონლური კაპიტალი: ს′=ს+ +ᲗᲡ=ᲤᲗᲡ. საქონლური კაპიტალის ფუნქცია ს′ — ფ′ (რეალიზაცია მასში მოქცეული კაპიტალღირებულებისა=ᲤᲗ, რომელიც ახლა არსებობს როგორც საქონლის ს შემადგენელი ნაწილი, აგრეთვე რეალიზაცია მასში მოქცეული ზედმეტი ღირებულებისა, რომელიც ახლა არსებობს როგორც იმავე საქონლური მასის შემადგენელი ნაწილი ღირებულება ს სახით) განხილული იყო წრებრუნვის პირველ ფორმაში. მაგრამ იქ იგი შეწყვეტილი მიმოქცევის მეორე ფაზას და მთელი წრებრუნვის დასკვნითს ფაზას შეადგენდა. აქ კი იგი წრებრუნვის მეორე ფაზას, ხოლო მიმოქცევის პირველ ფაზას შეადგენს. პირველი წრებრუნვა თავდება ფ′-ით, და რადგან ფ′, ისე როგორც თავდაპირველ ფ, შეუძლია ფულადი კაპიტალის სახით ხელახლა დაიწყოს მეორე წრებრუნვა, ამიტომ იმთავითვე საჭირო არ იყო თვალყური გვედევნებინა, ფ′-ში მოქცეული ფ და ᲤᲗ (ზედმეტი ღირებულება) ერთად განაგრძობენ თავიანთ გზას თუ სხვადასხვა გზას გაჭყვებიან. იქ ამის განხილვა საჭირო იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ პირველ წრებრუნვას გავყვებოდით შემდგომ მის ვანახლებაშიც. მაგრამ აქ, სადაც საქმე შეეხება მწარმოებლური კაპი-

ტალის წრებრუნვას, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს, რადგან ამაზეა დამოკიდებული ამ კაპიტალის უკვე პირველი წრებრუნვის განსაზღვრა და რადგან მასში ს′ — ფ′ წარმოადგენს მიმოქცევის პირველ ფაზას, რომელიც ფ — ს-ით უნდა შეივსოს. ამ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული, გამოხატავს ფორმულა მარტივ კვლავწარმოებას თუ კვლავწარმოებას გაფართოებული მასშტაბით. მაშასადამე, ამ გადაწყვეტის მიხედვით იცვლება წრებრუნვის ხასიათი.

ამრიგად, ავიღოთ ჯერ მწარმოებლური კაპიტალის მარტივი კვლავწარმოება, ამასთან ვიგულისხმოთ, როგორც პირველ თავში, რომ გარემოებანი უცვლელი რჩება და საქონლის ყიდვა და გაყიდვა მისი ღირებულების მიხედვით წარმოებს. ასეთი ვარაუდისას მთელი ზედმეტი ღირებულება კაპიტალისტის პირადი მოხმარებისათვის გამოიყენება. მას შემდეგ, რაც საქონლური კაპიტალის ს′ ფულად გადაქცევა მოხდა, ფულადი თახხის ერთი ნაწილი, რომელიც კაპიტალღირებულებას გამოხატავს, მიმოქცევას განაგრძობს სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვაში; მეორე ნაწილი, რაც ოქროდქცეულ ზედმეტ ღირებულებას შეადგენს და, ზედის საყოველთაო საქონელმიმოქცევაში, კაპიტალისტიდან გამომდინარე ფულადი მიმოქცევაა, მაგრამ მისი ინდივიდუალური კაპიტალის მიმოქცევის გარეთ მიმდინარეობს.

ჩვენს მაგალითში ჩვენ გვქონდა საქონლური კაპიტალი ს′ 10 000 გირვანქა ნართის რაოდენობით, რომლის ღირებულება 500 გირვ. სტერლინგს შეადგენს; აქედან 422 გირვ. სტერლ. წარმოადგენს მწარმოებლური კაპიტალის ღირებულებას და როგორც 8 440 გირვანქა ნართის ფულადი ფორმა განაგრძობს ს′-ის მიერ დაწყებულ კაპიტალის მიმოქცევას, მაშინ როდესაც 78 გირვ. სტერლ. ზედმეტი ღირებულება, 1 560 გირვანქა ნართის, საქონლური პროდუქტის დამატებითი ნაწილის ფულადი ფორმა, გამოდის ამ მიმოქცევიდან და განცალკევებულ გზას გაივლის საყოველთაო საქონელმიმოქცევის სფეროში.

$$\cdot\, ს' \begin{pmatrix} ს \\ + \\ ს \end{pmatrix} \begin{matrix} — \\ — \\ — \end{matrix} ფ' \begin{pmatrix} ფ \\ + \\ ფ \end{pmatrix} \begin{matrix} — ს \\ \\ — ს \end{matrix} < \begin{matrix} სძ \\ წს \end{matrix}$$

ფ — ს წარმოადგენს იმ ფულით შესრულებულ ყიდვის მთელ რიგ აქტებს, რომელსაც კაპიტალისტი ხარჯავს საკუთრივ სხვადასხვა საქონელში ან თავისი ძვირფასი პიროვნებისა თუ თავისი ოჯახის მომსახურებისათვის. ყიდვის ეს აქტები დაქსაქსულია, სხვადასხვა ვადებში სრულდება. მაშასადამე, ფული დროებით არსებობს მიმდი-

ნარე მოხმარებისათვის განკუთვნილი ფულადი მარაგის, ანუ განძის ფორმით, ვინაიდან ფული, რომლის მიმოქცევა შეწყვეტილია, განძის ფორმაში იმყოფება. მისი ფუნქცია როგორც მიმოქცევის საშუალებისა — და ასეთად რჩება იგი თავის წარმავალ სავანძო ფორმაშიც — არ შედის კაპიტალის მიმოქცევაში კაპიტალის ფულადი ფორმით: ფ. <ეს ფუნქცია ინდივიდუალური კაპიტალის წრებრუნვიდან გამომდინარეობს, მაგრამ მასში ხელახლა არ შედის.> ამ შემთხვევაში ფული ავანსად კი არ გაიღება, არამედ დაიხარჯება.

ჩვენ ვიგულისხმეთ, რომ ავანსებული ერთობლივი კაპიტალი ყოველთვის მთლიანად გადადის თავისი ერთი ფაზიდან მეორეში; ისევე აქაც ჩვენ ვგულისხმობთ, რომ Ꞩ-ის საქონლური პროდუქტი ატარებს თავისთავში მწარმოებლური კაპიტალის Ꞩ ერთობლივ ღირებულებას — 422 გირვ. სტერლ. + წარმოების პროცესის განმავლობაში შექმნილი ზედმეტი ღირებულება = 78 გირვ. სტერლინგს. ჩვენს მაგალითში, სადაც გაყოფად საქონლურ პროდუქტთან გვაქვს საქმე, ზედმეტი ღირებულება არსებობს 1 560 გირვანქა ნართის ფორმით, — სრულიად ისე, როგორც 1 გირვანქა ნართზე გამოანგარიშებისას იგი არსებობს 2,496 უნცი ნართის ფორმით. პირიქით, საქონლური პროდუქტი რომ ყოფილიყო, მაგალითად, მანქანა 500 გირვ. სტერლ. ღირებულების და იმავე ღირებულებრივი შედგენილობისა, მაშინ თუმცა ამ მანქანის ღირებულების ერთი ნაწილი, რომელიც = 78 გირვ. სტერლინგს, ზედმეტი ღირებულება იქნებოდა, მაგრამ ეს 78 გირვ. სტერლინგი მხოლოდ მთლიანად აღებულ მანქანაში იარსებებდა; მანქანის დანაწილება კაპიტალღირებულებად და ზედმეტ ღირებულებად არ შეიძლება უიმისოდ, თუ თვით იგი ნამტვრევებად არ იქცევა და მის სახმარ ღირებულებასთან ერთად მისი ღირებულებაც არ მოისპობა. მაშასადამე, ღირებულების ორივე შემადგენელი ნაწილი მხოლოდ იდეალურად შეიძლება გამოიხატოს საქონლური სხეულის შემადგენელ ნაწილებად, მაგრამ ისინი ვერ გამოიხატება საქონლის ს′ დამოუკიდებელი ელემენტების სახით, მსგავსად იმისა, როგორც თვითეული გირვანქა ნართი წარმოადგენს 10 000 გირვანქა ნართის გამოსაყოფ დამოუკიდებელ საქონლურ ელემენტს. პირველ შემთხვევაში, ვიდრე Ꞩ თავის განსაკუთრებულ მიმოქცევას დაიწყებდეს, მთელი საქონელი, საქონლური კაპიტალი, მანქანა, მთლად უნდა გაიყიდოს. პირიქით, თუ კაპიტალისტმა 8 440 გირვ. გაყიდა, დანარჩენი 1 560 გირვანქის გაყიდვა ზედმეტი ღირებულების სრულიად განცალკევებული მიმოქცევის გამომხატველი იქნება ფორმაში: ს (1 560 გირვ. ნართი) — Ꞩ (78 გირვ. სტერლ.) — ს (მოხმარების საგნები). მაგრამ

10 000 გირვანქა პროდუქტი — ნართის თვითეული ცალკე წილის ღირებულების ელემენტები ისევე შეიძლება გამოიხატოს პროდუქტის ნაწილებში, როგორც ერთობლივ პროდუქტშიც. როგორც ეს პროდუქტი, 10 000 გირვ. ნართი, შესაძლებელია დავყოთ მუდმივ კაპიტალღირებულებად (c), — 372 გირვ. სტერლინგის ღირებულების 7 440 გირვ. ნართად, ცვალებად კაპიტალღირებულებად (v), — 50 გირვ. სტერლინგის ღირებულების 1 000 გირვ. ნართად, და ზედმეტ ღირებულებად (m), — 78 გირვ. სტერლინგის ღირებულების 1 560 გირვ. ნართად, ისევე თვითეული გირვანქა ნართის დაყოფა შესაძლებელია. $c = 8{,}928$ პენსის ღირებულების 11,904 უნც ნართს, $v = 1{,}200$ პენსის ღირებულების 1,600 უნც ნართს, და $m = 1{,}872$ პენსის ღირებულების 2,496 უნც ნართს. კაპიტალისტს შეეძლო აგრეთვე, თუ იგი 10 000 გირვანქას თანმიმდევრულად, ნაწილ-ნაწილ გაყიდდა, თანდათან მოეხმარა ამ ნაწილებში მოქცეული ზედმეტი ღირებულების ელემენტები; ამასთან იგი ასევე თანმიმდევრულად მოახდენდა $c+v$-ის თანხის რეალიზაციას. მაგრამ ეს ოპერაციაც, ბოლოს და ბოლოს, ასევე გულისხმობს, რომ ყველა 10 000 გირვანქა გაყიდულია, რომ, მაშასადამე, 8 440 გირვანქის გაყიდვით c და v ღირებულება ანაზღაურებულია (წიგნი I, თავი VII, 2).

მაგრამ, ასეა, თუ ისე, ს′ — ფ′ გზით ს′-ში მოქცეული კაპიტალღირებულება და ზედმეტი ღირებულება ღებულობს ერთმანეთისგან განცალკევებულ არსებობას, — სხვადასხვა ფულადი თანხების არსებობას. ორივე შემთხვევაში როგორც ფ, ისე ფ ნამდვილად გარდაქმნილი ფორმაა იმ ღირებულებისა, რომელსაც თავდაპირველად ს′-ში მხოლოდ საქონლის ფასის სახით აქვს თავისებური, მარტოოდენ იდეალური გამოსახულება.

ს — ფ — ს წარმოადგენს მარტივ საქონელმიმოქცევას; მისი პირველი ფაზა ს — ფ შედის საქონლური კაპიტალის ს′ — ფ′ მიმოქცევაში, მაშასადამე, კაპიტალის წრებრუნვაში; პირიქით, მისი შემავსებელი ფაზა ფ — ს ამ წრებრუნვის გარეთ ექცევა, როგორც მისგან განცალკევებული აქტი საყოველთაო საქონელმიმოქცევისა. ს და ს, კაპიტალღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების, მიმოქცევა ს′-ის ფ′-ად გადაქცევის შემდეგ გაითიშება. აქედან გამომდინარეობს შემდეგი:

პირველი. მას შემდეგ, რაც ს′ — ფ′ = ს′ — (ფ + ფ) გზით საქონლური კაპიტალი რეალიზებულია, შესაძლებელი ხდება გათიშვა კაპიტალღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების მოძრაობისა, რომელიც ს′—ფ′ საერთო იყო და რომელსაც ერთი და იგივე საქონლური

მასა ატარებდა; ახლა ორივე ეს ღირებულება დამოუკიდებელ ფორმას მოიპოვებს როგორც ფულადი თანხები.

მეორე. თუ ეს გათიშვა ხდება, და ამასთან ფ კაპიტალისტის მიერ იხარჯება შემოსავლის სახით, ხოლო ფ, როგორც კაპიტალღირებულების ფუნქციური ფორმა, განაგრძობს თავის გზას, რომელიც წრებრუნვით განისაზღვრება, მაშინ პირველი აქტი ს′—ფ′, შემდგომ აქტებთან: ფ—ს-თან და ფ—ს-თან დაკავშირებით, შეიძლება გამოიხატოს როგორც ორი სხვადასხვა მიმოქცევა: ს—ფ—ს და ს—ფ—ს, — ორი მწკრივი, რომელიც, საერთო ფორმის მიხედვით, ჩვეულებრივ საქონელმიმოქცევას ეკუთვნის.

თუმცა პრაქტიკულად, როდესაც საქმე შეეხება მთლიან საქონლურ სხეულებს, რომელთა დანაწილება შეუძლებელია, ღირებულების შემადგენელი ნაწილები იდეალურად განცალკევდებიან. მაგალითად, ლონდონის სამშენებლო საწარმოში, რომელიც მეტწილად კრედიტით წარიმართება, მშენებელ მეწარმეს კრედიტი ეძლევა იმის მიხედვით, თუ რამდენად მიდის წინ სახლის შენება საფეხურიდან საფეხურზე. არც ერთი ამ საფეხურთაგან არ არის სახლი, არამედ მხოლოდ რეალურად არსებული შემადგენელი ნაწილია მომავალი სახლისა, რომელიც შენების პროცესში იმყოფება; მაშასადამე, თავისი რეალობის მიუხედავად, ეს მხოლოდ მთელი სახლის იდეალური წილადია, მაგრამ მაინც საკმაოდ რეალურია იმისათვის, რომ დამატებითი სესხის გარანტიას წარმოადგენდეს. (იხ. ამის შესახებ ქვემო თავი XII.)

მესამე. თუ კაპიტალღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების მოძრაობა, რაც ჯერ კიდევ დარჩენილია როგორც საერთო ს და ფ-ში, მხოლოდ ნაწილობრივ გაითიშება (ასე რომ ზედმეტი ღირებულების ნაწილი არ იხარჯება როგორც შემოსავალი) ან სრულიად არ გაითიშება, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ თვით კაპიტალღირებულებაში ხდება ცვლილება ჯერ კიდევ მისი წრებრუნვის დროს, ამ უკანასკნელის დასრულებამდე. ჩვენს მაგალითში მწარმოებლური კაპიტალის ღირებულება უდრიდა 422 გირვ. სტერლინგს. თუ იგი, მაშასადამე, განაგრძობს მოძრაობას ფ—ს, მაგალითად, 480 გირვ. სტერლინგის სახით ან 500 გირვ. სტერლინგის სახით, — ეს იმას ნიშნავს, რომ წრებრუნვის უკანასკნელ სტადიებს ეს კაპიტალი გაივლის როგორც 58 გირვ. სტერლინგით ან 78 გირვ. სტერლინგით უფრო დიდი ღირებულება, ვიდრე თავდაპირველი ღირებულება იყო. ამავე დროს ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს მისი ღირებულებრივი შედგენილობის ცვლილებასთან.

ს′—ფ′, მიმოქცევის მეორე სტადია და I წრებრუნვის (ფ...ფ′) დასკვნითი სტადია, ჩვენს წრებრუნვაში მის მეორე სტადიას და საქონელმიმოქცევის პირველ სტადიას წარმოადგენს. მაშასადამე, რამდენადაც საქმე მიმოქცევას შეეხება, ს′—ფ′ უნდა შეივსოს ფ′—ს′-ით. მაგრამ ს′—ფ′ არა მარტო უკვე დაასრულა ღირებულების ზრდის პროცესი (აქ წ-ის ფუნქცია, პირველი სტადია), არამედ მისი შედეგიც, საქონლური პროდუქტი ს′ უკვე რეალიზებულია. მაშასადამე, კაპიტალის ღირებულების ზრდის პროცესი, ისე როგორც იმ საქონლური პროდუქტის რეალიზაცია, რომელშიც გაზრდილი კაპიტალღირებულება გამოიხატება, დამთავრებულია ს′—ფ′-ით.

ამრიგად, ჩვენ ვიგულისხმეთ მარტივი კვლავწარმოება, ე. ი. რომ ფ — ს სრულიად გამოეთიშება ფ—ს. ორივე მიმოქცევა, როგორც ,—ფ — ს, ისე ს′,— ფ — ს თავიანთი საერთო ფორმის მიხედვით საქონელმიმოქცევას ეკუთვნის (და ამიტომაც არ გვიჩვენებს არავითარ ღირებულებრივ სხვაობას კიდურებს შორის); ამიტომ ადვილი საქმეა, როგორც ამას ვულგარული ეკონომია ჩადის, კაპიტალისტური წარმოების პროცესი წარმოვიდგინოთ და გავიგოთ უბრალოდ როგორც საქონელთა, სახმარ ღირებულებათა წარმოება, რომელნიც ამა თუ იმ სახის მოხმარებისთვის არიან განკუთვნილნი და რომელთაც კაპიტალისტი მხოლოდ იმ მიზნით აწარმოებს, რომ ისინი სხვა სახმარი ღირებულების მქონე საქონლით შეცვალოს ანუ ისინი მასზე გაცვალოს, როგორც ამას ვულგარული ეკონომია მცდარად ამტკიცებს.

ს′ იმთავითვე წარმოგვიდგება როგორც საქონლური კაპიტალი, და მთელი პროცესის მიზანი, გამდიდრება (ღირებულების ზრდა) კი არ გამორიცხავს კაპიტალისტის პირად მოხმარებას, რომელიც იზრდება ზედმეტი ღირებულების (მაშასადამე, აგრეთვე კაპიტალის) გადიდებასთან ერთად, არამედ პირდაპირ გულისხმობს მას.

წარმოებული საქონელი ს (ანუ მისი იდეალურად შესაბამისი წილი საქონლური პროდუქტის ს′) კაპიტალისტის შემოსავლის მიმოქცევის დროს ნამდვილად მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ეს შემოსავალი ჯერ ფულად გადააქციოს და შემდეგ ფულიდან მთელ რიგ სხვა საქონლად, რომელიც კერძო მოხმარებას აკმაყოფილებს. მაგრამ ამასთან მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ერთი პატარა გარემოება: ს არის საქონლური ღირებულება, რომელიც კაპიტალისტს არაფერი უღირს, იგი ზედმეტი შრომის განხორციელებაა, და ამიტომ თავდაპირველად სცენაზე გამოდის როგორც საქონლური კაპიტალის ს′-ის შემადგენელი ნაწილი. მაშასადამე, თვით ეს ს უკვე თავისი არსებობით დაკავშირებულია პროცესის შემსრულებელი კაპიტალღირებულე-

ბის წრებრუნვასთან, და თუ ამ კაპიტალღირებულების მოძრაობა შეჩერდა ან როგორმე სხვაგვარად შეფერხდა,—შეიზღუდება ან სრულიადაც შეწყდება არა მხოლოდ ს-ის მოხმარება, არამედ მასთან ერთად მთელ რიგ იმ საქონელთა გასაღებაც, რომელნიც ს სანაცვლოს შეადგენენ. ამასვე აქვს ადგილი მაშინაც, როცა აქტი ს′—ფ′ არ ხერხდება ან ს′-ის მხოლოდ ნაწილის გაყიდვა ხერხდება.

ჩვენ დავინახეთ, რომ ს—ფ—ს, როგორც კაპიტალისტის შემოსავლის მიმოქცევა, კაპიტალის მიმოქცევაში მხოლოდ მანამდე შედის, ვიდრე ს წარმოადგენს ს′ ღირებულების ნაწილს, ნაწილს კაპიტალისა როცა ეს უკანასკნელი საქონლური კაპიტალის ფუნქციურ ფორმაშია; მაგრამ როგორც კი ის დამოუკიდებელი ხდება ფ—ს საშუალებით, მაშასადამე, მთელი ფორმით: ს—ფ—ს, კაპიტალისტის შემოსავალი არ შედის კაპიტალისტის მიერ ავანსებული კაპიტალის მოძრაობაში, თუმცა იგი მისგან გამომდინარეობს. კაპიტალისტის შემოსავლის მიმოქცევა იმდენად არის დაკავშირებული ავანსებული კაპიტალის მიმოქცევასთან, რამდენადაც კაპიტალის არსებობა გულისხმობს კაპიტალისტის არსებობას, ხოლო ეს უკანასკნელი გაპირობებულია იმით, რომ ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტი შთანთქავს.

ს′, მაგალითად, ნართი, საყოველთაო მიმოქცევაში მოქმედებს მხოლოდ როგორც საქონელი; მაგრამ, კაპიტალის მიმოქცევის მომენტის სახით იგი მოქმედებს როგორც ს ა ქ ო ნ ლ უ რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი, როგორც ერთ-ერთი იმ ფორმათაგანი, რომელთაც კაპიტალღირებულება რიგრიგობით იღებს და უკუაგდებს. ნართი, როცა იგი ვაჭარმა იყიდა, გამოდის იმ კაპიტალის წრებრუნვის პროცესიდან, რომლის პროდუქტსაც იგი შეადგენს, მაგრამ მაინც ყოველთვის იმყოფება საქონლის სახით საყოველთაო მიმოქცევის სფეროში. ამავე საქონელთა მასის მიმოქცევა მაინც გრძელდება, თუმცა იგი აღარ შეადგენს მომენტს მრთველის კაპიტალის დამოუკიდებელ წრებრუნვაში. ამრიგად, კაპიტალისტის მიერ მიმოქცევაში გადასროლილი საქონელთა მასის ნამდვილი დასკვნითი მეტამორფოზი, აქტი ს—ფ, საქონელთა მასის საბოლოო გადასვლა მოხმარების სფეროში შეიძლება დროსა და სივრცეში სრულიად გამოთიშული იყოს იმ მეტამორფოზისაგან, რომელშიც ეს საქონლური მასა მოქმედებს როგორც რომელიმე კაპიტალისტის საქონლური კაპიტალი. იგივე მეტამორფოზი, რომელიც უკვე შესრულდა კაპიტალის მიმოქცევაში, კიდევ შესასრულებელია საყოველთაო მიმოქცევის სფეროში.

საქმის ვითარება სრულიად არ იცვლება იმით, თუ ნართი ხელახლა სხვა სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვაში შედის. საყოველთაო

მიმოქცევა მოიცავს როგორც საზოგადოებრივი კაპიტალის სხვადასხვა დამოუკიდებელი ნაწილების ერთმანეთში გადახლართულ წრებრუნვებს, ე. ი. როგორც ცალკეული კაპიტალების ერთობლიობას, ისე იმ ღირებულებათა მიმოქცევასაც, რომელნიც კაპიტალის სახით არ არიან ბაზარზე გადასროლილნი, ე. ი. ინდივიდუალური მოხმარების სფეროში შედიან.

შემდეგ, დამოკიდებულება კაპიტალის წრებრუნვასა, რამდენადაც ეს უკანასკნელი საყოველთაო მიმოქცევის ნაწილს წარმოადგენს, და იმავე მიმოქცევას შორის, რამდენადაც იგი დამოუკიდებელი წრებრუნვის რგოლებს შეადგენს, თვალწინ დაგვიდგება, თუ განვიხილავთ მიმოქცევას: Ф′=Ф+ф. Ф, როგორც ფულადი კაპიტალი, განაგრძობს კაპიტალის წრებრუნვას. Ф, როგორც შემოსავლის ხარჯვა (Ф—ს), შედის საყოველთაო მიმოქცევაში, მაგრამ გამოვარდება კაპიტალის წრებრუნვიდან. უკანასკნელ წრებრუნვაში მხოლოდ ის ნაწილი შედის, რომელიც მოქმედებს როგორც დამატებითი ფულადი კაპიტალი. ს—Ф—ს-ში ფული მოქმედებს მხოლოდ როგორც ჰონეტა; ამ მიმოქცევის მიზანია კაპიტალისტის ინდივიდუალური მოხმარება. ვულგარული ეკონომიის კრეტინიზმის დამახასიათებელი ისაა, რომ იგი ამ მიმოქცევას, რაც კაპიტალის წრებრუნვაში არ შედის,— ახლად შექმნილი ღირებულების იმ ნაწილის მიმოქცევას, რომელიც შემოსავლის სახით მოიხმარება — კაპიტალის დამახასიათებელ წრებრუნვად ასაღებს.

მეორე ფაზაში Ф — ს ჩვენ წინაშეა კვლავ კაპიტალღირებულება Ф=Ф (მწარმოებლური კაპიტალის ღირებულება, კაპიტალისა, რომელიც აქ სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვას იწყებს), ზედმეტი ღირებულებისგან განთავისუფლებული, მაშასადამე, ღირებულების იმავე სიდიდით, როგორც ფულადი კაპიტალის წრებრუნვის პირველ სტადიაზე Ф-ს-ში ადგილის განსხვავების მიუხედავად, იმ ფულადი კაპიტალის ფუნქცია, რადაც ახლა საქონლური კაპიტალი გადაიქცა, იგივეა: მისი გადაქცევა Фს და Sძ წარმოების საშუალებებად და სამუშაო ძალად.

ამრიგად, საქონლური კაპიტალის: ს′—Ф′ ფუნქციაში კაპიტალღირებულებამ ს—Ф-თან ერთად განვლო ფაზა ს—Ф და ამის შემდეგ შედის შემავსებელ ფაზაში: Ф—ს<$^{Sძ}_{Фს}$-ში; მაშასადამე, მისი ერთობლივი მიმოქცევა არის ს′—Ф—ს<$^{Sძ}_{Фს}$.

პირველი. ფულადი კაპიტალი Ф გამოდის I ფორმით (წრებრუნვა Ф...Ф′) როგორც იმ თავდაპირველი ფორმით, რომლითაც კაპიტალ-

ღირებულება ავანსდება; აქ იგი გამოდის იმთავითვე როგორც იმ ფულადი თანხის ნაწილი, რადაც საქონლური კაპიტალი გადაიქცა მიმოქცევის პირველ ფაზაში ს′—ფ′, მაშასადამე, გამოდის იმთავითვე როგორც საქონლური პროდუქტის გაყიდვის მეშვეობით განხორციელებული გადაქცევა წ, მწარმოებლური კაპიტალისა, ფულად ფორმად. ფულადი კაპიტალი იმთავითვე არსებობს აქ არა როგორც თავდაპირველი ფორმა და არც როგორც დასკვნითი ფორმა კაპიტალღირებულებისა, რადგან ფაზის ს — ფ დამასრულებელი ფაზა ფ — ს შეიძლება გავლილ იქნეს მხოლოდ ფულადი ფორმის ხელმეორედ უკუგდების გზით. ამიტომ ფ—ს-ის ნაწილი, რომელიც იმავე დროს ფ—სძ შეადგენს, გვევლინება უკვე არა როგორც უბრალოდ ფულის ავანსად გაღება სამუშაო ძალის შესყიდვის გზით, არამედ როგორც ისეთი ავანსი, რომლის დროსაც სამუშაო ძალას ავანსად ეძლევა ფულადი ფორმით იგივე 1 000 გირვანქა ნართი 50 გირვ. სტერლ. ღირებულებისა, რომელიც სამუშაო ძალის მიერ შექმნილი საქონლური ღირებულების ნაწილს შეადგენს. ფული, რომელიც აქ ავანსად ეძლევა მუშას, თვით ამ უკანასკნელის მიერ წარმოებული საქონლის ღირებულების განსაზღვრული ნაწილის გარდაქმნილი ეკვივალენტური ფორმაა მხოლოდ. და უკვე ამიტომ აქტი ფ—ს, რამდენადაც იგი ფ—სძ შეადგენს,სრულიადაც არ წარმოადგენს ფულადი ფორმით არსებული საქონლის უბრალო შენაცვლებას სახმარი ღირებულების ფორმით არსებული საქონლით, არამედ შეიცავს სხვა ელემენტებსაც, რომელნიც დამოუკიდებელნი არიან საყოველთაო საქონელმიმოქცევისგან როგორც ასეთისგან.

ფ′ გვევლინება როგორც გარდაქმნილი ფორმა ს′, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს წ-ის წარსული მოქმედების, წარმოების წარსული პროცესის, პროდუქტს; ამიტომ მთელი ფულადი თანხა ფ წარსული შრომის ფულადი გამოსახულებაა. ჩვენს მაგალითში 10 000 გირვანქა ნართი = 500 გირვ. სტერლინგს, რთვის პროცესის პროდუქტს; აქედან 7 440 გირვანქა ნართი = ავანსებულ მუდმივ კაპიტალს c = 372 გირვ. სტერლინგს; 1 000 გირვანქა ნართი = ავანსებულ ცვალებად კაპიტალს v = 50 გირვ. სტერლინგს; და 1 560 გირვანქა ნართი = ზედმეტ ღირებულებას m = 78 გირვ. სტერლინგს. თუ ფ′-დან ხელახლა ავანსად გაიღება, სხვა თანაბარ პირობებში, მხოლოდ თავდაპირველი კაპიტალი = 422 გირვ. სტერლ., მაშინ მუშა ფ — სძ აქტის მეოხებით უახლოეს კვირაში ავანსად მიიღებს ამ კვირის განმავლობაში წარმოებული 10 000 გირვანქა ნართის მხოლოდ ნაწილს (1 000 გირვანქა ნართის ფულად ღირებულებას). როგორც ს — ფ შედეგი, ფული ყოველთვის წარსული შრომის გამოსახულებას წარმოადგენს. თუ შემავ-

სებელი აქტი ფ—ს საქონლის ბაზარზე მაშინვე შესრულდება, ე. ი. ფ გაიცემა არსებულ, ბაზარზე მყოფ საქონელში, მაშინ კვლავ მოხდება წარსული შრომის გარდაქმნა ერთი ფორმიდან (ფულიდან) მეორე ფორმად (საქონლად). მაგრამ დროის მხრივ ფ—ს განსხვავებულია ს—ფ-ისგან. შესაძლებელია, გამონაკლისის სახით, რომ ორივე იმავდროული იყოს, თუ, მაგალითად, კაპიტალისტი, რომელიც ფ—ს ასრულებს, და კაპიტალისტი, რომლისთვისაც ეს აქტი ს—ფ შეადგენს, თავიანთ საქონელს იმავდროულად გადასცემენ ერთმანეთს, და ფ შემდეგ მხოლოდ ბალანსს აწონასწორებს. დროის მხრივ სხვაობა ს—ფ შესრულებასა და ფ—ს შესრულებას შორის შეიძლება მეტნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს. თუმცა ფ, როგორც ს—ფ აქტის შედეგი, წარსულ შრომას წარმოადგენს, მაგრამ მაინც შეიძლება ფ—ს-ისთვის ფ წარმოადგენდეს იმ საქონელთა გარდაქმნილ ფორმას, რომელნიც ბაზარზე ჯერ კიდევ სრულებით არ მოიპოვებიან და იქ მხოლოდ მომავალში გაჩნდებიან, რადგანაც ფ—ს ჩვეულებრივ მხოლოდ მას შემდეგ სრულდება, რაც ს ახლად იქნა წარმოებული. ასევე შეიძლება ფ წარმოადგენდეს ისეთ საქონელთ, რომელნიც იწარნოებიან ერთსა და იმავე დროს იმ ს-თან, რომლის ფულად გამოსახულებას ფ შეადგენს. მაგალითად, გაცვლაში ფ—ს (წარმოების საშუალებათა შესყიდვა) ნახშირის ყიდვა შეიძლება უფრო ადრე მოხდეს, ვიდრე მას ნალაროდან გამოიტანენ. რამდენადაც ფ ფულის დაგროვების როლში გამოდის და შემოსავლის სახით არ იხარჯება, — იგი შეიძლება წარნოადგენდეს ბამბას, რომელიც მხოლოდ შემდგომ წელს იქნება წარნოებული. ასევეა კაპიტალისტის შემოსავლის ხარჯვის ფ—ს დროს. ასევე ხელფასი ს/ძ=50 გირვ. სტერლინგს; ეს ფული არის არა მხოლოდ მუშის წარსული შრომის ფულადი ფორმა, არამედ იგი არის ასიგნობაც იმავდროულ ან სამერმისო შრომაზე, რომელიც ეს-ეს არის პორციელდება ან მომავალში უნდა განხორციელდეს. მუშამ შეიძლება ამით სერთუკი იყიდოს, რომელიც მხოლოდ მომავალ კვირაში შეიკერება. განსაკუთრებით ამას ადგილი აქვს იმ აუცილებელ საარსებო საშუალებათა დიდი რიცხვის მიმართ, რომელთა მოხმარებაც, რათა არ გაფუჭდნენ, თითქმის უშუალოდ მათი წარმოების მომენტში უნდა მოხდეს. ამრიგად, ფულის სახით, რომლითაც ხელფასი ეძლევა მუშას, ეს უკანასკნელი თავისი საკუთარი სამერმისო შრომის ან სხვა მუშების შრომის გარდაქმნილ ფორმას ღებულობს. როცა კაპიტალისტი მუშას მისი წარსული შრომის ნაწილს აძლევს, იგი მას აძლევს ასიგნობას მის საკუთარ სამერმისო შრომაზე. მუშის საკუთარი იმავდროული ან სამერმისო შრომა შეადგენს იმ ჯერ კიდევ ფაქტიურად არ

არსებულ მარაგს, საიდანაც მას მისი წარსული შრომისთვის უხდიან. აქ სრულიად ქრება წარმოდგენა მარაგის შედგენის შესახებ.

მეორე. მიმოქცევაში ს — ფ — ს < ^{სძ} ^{ფს} ერთი და იგივე ფული ორჯერ იცვლის ადგილს; კაპიტალისტი იღებს მას ჯერ როგორც გამყიდველი და გადასცემს შემდეგ სხვას როგორც მყიდველი; საქონლის გადაქცევა ფულად ფორმად მხოლოდ იმას ემსახურება, რომ საქონელი ფულადი ფორმიდან კვლავ საქონლურ ფორმად გადაიქცეს; ამიტომ კაპიტალის ფულადი ფორმა, მისი არსებობა ფულადი კაპიტალის სახით, მხოლოდ სწრაფწარმავალი მომენტია ამ მოძრაობაში; სხვანაირად, რომ ვთქვათ, ვიდრე მოძრაობა გრძელდება, ფულადი კაპიტალი, თუ იგი ყიდვის საშუალების როლს ასრულებს, მხოლოდ მიმოქცევის საშუალებას წარმოადგენს; საკუთრივ გადახდის საშუალება იგი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ კაპიტალისტები უშუალოდ ერთიმეორისგან ყიდულობენ და ამიტომ მხოლოდ გადახდათა საბალანსო ნაშთის დასალდოება ხდება.

მესამე. ფულადი კაპიტალის მოქმედება, ასრულებს ეს კაპიტალი მიმოქცევის საშუალებისა თუ გადახდის საშუალების როლს, მოსაშუალეობს მხოლოდ ს შენაცვლებას სძ და ფს ელემენტებით, ე. ი. ნართის, საქონლური პროდუქტის, — რომელიც მწარმოებლური კაპიტალის შედეგია (შემოსავლის სახით გამოსაყენებელი ზედმეტი ღირებულების გამოკლების შემდეგ), — შენაცვლებას ამ პროდუქტის წარმოების ელემენტებით; მაშასადამე, მოსაშუალეობს კაპიტალღირებულების უკუგადაქცევას მისი, როგორც საქონლის, ფორმიდან ამ საქონლის წარმოქმნის ელემენტებად; მაშასადაძე, ბოლოს და ბოლოს, მოსაშუალეობს მხოლოდ საქონლური კაპიტალის უკუგადაქცევას მწარმოებლურ კაპიტალად

იმისათვის, რომ წრებრუნვა ნორმალურად შესრულდეს, ს′ მისი ღირებულების მიხედვით და მთლიანად უნდა გაიყიდოს. შემდეგ, ს—ფ—ს შეიცავს არა მარტო ერთი საქონლის შენაცვლებას მეორეთი, არამედ შენაცვლებას ერთი და იმავე ღირებულებრივი შეფარდების კვალობაზე. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ შენაცვლება სწორედ ასე ხდება აქ. მაგრამ სინამდვილეში წარმოების საშუალებათა ღიოეიულეაა იცვლება; სწორედ კაპიტალისტური წარმოების თვისებაა ღირებულების შეფარდებათა განუწყვეტელი ცვლილება შრომის ნაყოფიერების მუდმივი ცვლილების გამო, რაც კაპიტალისტურ წარმოებას ახასიათებს. ჩვენ აქ მხოლოდ მივუთითებთ წარმოების ფაქტორების ღირებულების ამ ცვლილებაზე; ეს ცვლილება შემდგომ იქნება გამოკვლეული. წარმოების ელემენტების გადაქცევა საქონლურ პროდუქტად, ფ-ისა ს′-ად,

ხორციელდება წარმოების სფეროში, ხოლო ს′ უკუგადაქცევა ფ-ად— მიმოქცევის სფეროში. ამ უკუგადაქცევის მოსაშუალე რგოლს შეადგენს საქონლის მარტივი მეტამორფოზი. მაგრამ ეს უკუგადაქცევა თავისი შინაარსის მიხედვით წარმოადგენს მომენტს კვლავწარმოების პროცესში, თუ ამ უკანასკნელს მთლიანად აღებულს განვიხილავთ. ს—ფ—ს, როგორც კაპიტალის მიმოქცევის ფორმა, შეიცავს ნივთიერებათა ფუნქციურად განსაზღვრულ ცვლას. შემდეგ, გარდაქმნა ს—ფ—ს განაპირობებს იმას, რომ ს უდრის ს′-ის გარკვეული რაოდენობის საქონელთა წარმოების ელემენტებს და რომ ამ ელემენტების ღირებულებათა ურთიერთშეფარდება ისეთივე რჩება, როგორიც თავდაპირველად იყო. მაშასადამე, აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის, რომ საქონელთა <ყიდვა და> გაყიდვა მათი ღირებულების მიხედვით წარმოებს, არამედ ისიც, რომ ისინი წრებრუნვის დროს ღირებულების არავითარ ცვლილებას არ განიცდიან; წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესს არ შეუძლია ნორმალურად მიმდინარეობდეს.

ფ...ფ′-ში ფ კაპიტალღირებულების თავდაპირველი ფორმაა; ამ ფორმას კაპიტალღირებულება უკუაგდებს, რათა ხელახლა მიიღოს იგი. წრებრუნვაში ფ...ს′—ფ′—ს...ფ—ფ არის ფორმა, რომელიც მხოლოდ პროცესში მიიღება და შემდეგ პროცესის შიგნითვე ხელახლა უკუგდებული ხდება. ფულადი ფორმა გვევლინება აქ როგორც კაპიტალის ღირებულების მხოლოდ სწრაფწარმავალი დამოუკიდებელი ფორმა; ს′ ფორმაში მყოფი კაპიტალი ისევე მოუსვენრად ისწრაფვის ფულადი ფორმა მიიღოს, როგორც ფ′-ის ფორმაში მყოფი. მასში თითქო ჭუპრად ქცეული, იგი ისწრაფვის უკუაგდოს ეს ფორმა და კვლავ მწარმოებლური კაპიტალის ფორმად გარდაიქმნას. ვიდრე ეს კაპიტალი ფულად ფორმაში რჩება, იგი არ მოქმედებს როგორც კაპიტალი და ამიტომ მისი ღირებულება არ იზრდება; კაპიტალი უქმად ძევს. ფ მოქმედებს აქ როგორც მიმოქცევის საშუალება, მაგრამ—როგორც კაპიტალის მიმოქცევის საშუალება. ის მოჩვენებითი დამოუკიდებლობა, რომელიც კაპიტალღირებულების ფულად ფორმას აქვს მისი წრებრუნვის პირველ ფორმაში (ფულადი კაპიტალის ფორმაში), ქრება ამ მეორე ფორმაში, რომელიც, ამრიგად, I ფორმის კრიტიკას შეადგენს და იგი მარტოოდენ განსაკუთრებული ფორმის მდგომარეობამდე დაჰყავს. თუ მეორე მეტამორფოზი ფ′—ს დაბრკოლებებს დაეჯახა (თუ, მაგალითად, ბაზარზე წარმოების საშუალებები არ მოიპოვება), მაშინ წრებრუნვა, კვლავწარმოების პროცესის მიმდინარეობა შეწყდება სწორედ ისევე, როგორც იმ შემთხვევაშიც, როცა კაპიტალი საქონლური კაპიტალის ფორმაშია უქმად გაჩერე-

ბული. მაგრამ არის გასხვავებაც: ფულად ფორმაში კაპიტალს უფრო დიდხანს შეუძლია გაჩერდეს, ვიდრე წარმავალ საქონლურ ფორმაში. იგი განაგრძობს ფულად არსებობას, როდესაც ფულადი კაპიტალის სახით არ მოქმედებს; მაგრამ იგი აღარ არის საქონელი და საერთოდ სახმარი ღირებულება, თუ მეტად დიდხანს არის დაკავებული თავის, როგორც საქონლური კაპიტალის, ფუნქციაში. მეორეც, ფულად ფორმაში ყოფნისას მას შეუძლია თავისი თავდაპირველი მწარმოებლური კაპიტალის ფორმის ნაცვლად სხვა ფორმა მიიღოს, მაშინ როდესაც ს′ სახით იგი საერთოდ ადგილიდან ვერ დაიძვრის.

ს′—ფ′—ს შეიცავს მხოლოდ ს′-თვის, მისი ფორმის შესაბამისად, მიმოქცევის აქტებს, რომელნიც მისი კვლავწარმოების მომენტებს შეადგენენ; მაგრამ ს′ — ფ′ — ს განსახორციელებლად აუცილებელია იმ ს ნამდვილი კვლავწარმოება, რადაც ს′ გარდაიქმნება; ეს კვლავწარმოება თავის მხრივ, გაპირობებულია კვლავწარმოების იმ პროცესებით, რომლებიც ს′-ში წარმოდგენილი ინდივიდუალური კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის გარეშე მიმდინარეობენ.

I ფორმაში აქტი ფ — ს $<^{\text{სძ}}_{\text{წს}}$ ამზადებს მხოლოდ ფულადი კაპიტალის პირველ გარდაქმნას მწარმოებლურ კაპიტალად; II ფორმაში უკუგარდაქმნას საქონლური კაპიტალიდან მწარმოებლურ კაპიტალად; მაშასადამე,—რამდენადაც სამრეწველო კაპიტალის დაბანდება იგივე რჩება, — იგი ამზადებს საქონლური კაპიტალის უკუგარდაქმნას წარმოების იმავე ელემენტებად, რომლებიდანაც იგი წარმოდგა. ამიტომ აქ, ისევე როგორც I ფორმაში, ეს აქტი წარმოგვიდგება როგორც წარმოების პროცესის მომამზადებელი ფაზა, მაგრამ — უკვე როგორც უკუდაბრუნება მასთან, როგორც მისი განახლება, მაშასადამე, როგორც წინამორბედი კვლავწარმოების პროცესისა და, მაშასადამე, აგრეთვე ღირებულების ზრდის პროცესის განმეორებისა.

აქ ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ ფ — სძ საქონლის უბრალო გაცვლა კი არ არის, არამედ ყიდვაა საქონლისა სძ, რომელიც ზედმეტი ღირებულების წარმოებას უნდა ემსახუროს, ისე როგორც ფ—წს მხოლოდ პროცედურაა, რომელიც ამ მიზნის განხორციელებისთვის ნივთიერად აუცილებელია.

ფ — ს $<^{\text{სძ}}_{\text{წს}}$-ის შესრულებისთანავე ფ უკუგარდაიქმნება მწარმოებლურ კაპიტალად, წ და ხელახლა იწყებს წრებრუნვას.

მაშასადამე, წ...ს′—ფ′—ს...წ ფორმა მისი გაშლილი სახით ასეთია:



ფულადი კაპიტალის გარდაქმნა მწარმოებლურ კაპიტალად არის საქონლის ყიდვა საქონლის წარმოების მიზნით <და სწორედ საქონლის კაპიტალისტური წარმოების მიზნით>. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოხმარება მწარმოებლური მოხმარებაა, იგი შედის თვით კაპიტალის წრებრუნვაში; მისი პირობა ისაა, რომ მწარმოებლურად მოხმარებულ საქონელთა საშუალებით ზედმეტი ღირებულება იქმნება. და ეს არის ძალიან განსხვავებული რამ იმ წარმოებისგან და იმ საქონელ-წარმოებისგანაც კი, რომლის მიზანს მწარმოებელთა არსებობა შეადგენს; საქონლის შენაცვლება საქონლით, ასე გაპირობებული ზედმეტი ღირებულების წარმოებით, სრულიად სხვა რამეა, ვიდრე პროდუქტთა გაცვლა თავისთავად, რაც მხოლოდ ფულის მეშვეობით ხდება. მაგრამ საქმის ვითარებას ასე გვიხატავენ ეკონომისტები იმის დასამტკიცებლად, რომ ჭარბწარმოება შეუძლებელიაო.

გარდა ფ მწარმოებლური მოხმარებისა, ფ რომელიც სძ და წს გარდაიქმნება, წრებრუნვა შეიცავს ფ—სძ პირველ წევრს, რომელიც მუშისთვის წარმოადგენს სძ—ფ=ს—ფ. მიმოქცევიდან სძ — ფ — ს, რომელიც მუშისგან მომდინარეობს და მის მოხმარებას შეიცავს, კაპიტალის წრებრუნვაში შედის მხოლოდ პირველი წევრი, როგორც ფ — სძ შედეგი. მეორე აქტი, სახელდობრ ფ—ს, არ შედის ინდივიდუალური კაპიტალის მიმოქცევაში, თუმცა იქიდან გამომდინარეობს. მაგრამ კაპიტალისტთა კლასისთვის აუცილებელია მუშათა კლასის მუდმივი არსებობა, ამიტომ აუცილებელია მუშის მოხმარებაც, რასაც ფ—ს მოსაშუალეობს.

კაპიტალღირებულების წრებრუნვის განგრძობის მიმართ, ისე როგორც კაპიტალისტის მიერ ზედმეტი ღირებულების მოხმარების მიმართაც, აქტი ს′—ფ′ მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ს′ ფულად გადაიქცა, გაიყიდა. მას, რასაკვირველია, მხოლოდ იმიტომ ყიდულობენ, რომ საგანი სახმარი ღირებულებაა და, მაშასადამე, გამოსადეგია ამა თუ იმ სახის—მწარმოებლური თუ ინდივიდუალური, — მოხმარებისათვის. მაგრამ თუ ს′ მიმოქცევას განაგრძობს, მაგალითად, ვაჭრის ხელში, რომელმაც ნართი იყიდა,—ამას თაედაპირველად სრულიად არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმ ინდივიდუალური კაპიტალის წრებრუნვის განგრძობასთან, რომელმაც ნართი აწარმოვა და ვაჭარს მიჰყიდა. მთელი პროცესი გრძელდება და მასთან ერთად გრძელდება მის მიერ გაპირობებული ინდივიდუალური მოხმარებაც

კაპიტალისტის და მუშისა. გარემოება, რომელიც მნიშვნელოვანია კრიზისების განხილვისას.

სახელდობრ, როდესაც ს′ გაყიდულია, გადაქცეულია ფულად, იგი შეიძლება უკუგადაიქცეს შრომის პროცესის და, მაშასადამე, კვლავწარმოების პროცესის, რეალურ ფაქტორებად. ამიტომაა, რომ საბოლოო მომხმარებელმა იყიდა იგი თუ ვაჭარმა, რომელსაც, თავის მხრივ, მისი გაყიდვა უნდა,—ეს უშუალოდ არაფერს არ ცვლის საქმის ვითარებაში. კაპიტალისტური წარმოების მიერ შექმნილი საქონელთა მასის მოცულობა განისაზღვრება ამ წარმოების მასშტაბით და მისი მუდამ გაფართოების საჭიროებით და სრულიადაც არა მოთხოვნისა და მიწოდების წინასწარ განსაზღვრული ოდენობით, არა დასაკმაყოფილებელ მოთხოვნილებათა ოდენობით. მასობრივ წარმოებას თავის უშუალო მყიდველად, სხვა მრეწველ კაპიტალისტთა გარდა, შეიძლება მხოლოდ ბითუმად მრავაჭრე ჰყავდეს. განსაზღვრულ ფარგლებში კვლავწარმოების პროცესი შესაძლებელია იმავე ან გაფართოებული მასშტაბით მიმდინარეობდეს, თუმცა იქიდან გამოსროლილი საქონელი არ შესულა ნამდვილად ინდივიდუალურ ან მწარმოებლურ მოხმარებაში. საქონლის მოხმარებას არ შეიცავს კაპიტალის წრებრუნვა, საიდანაც ეს საქონელი წარმოდგა. მაგალითად, რაკი ნართი გაყიდულია, ნართით გამოხატული კაპიტალღირებულების წრებრუნვა შეიძლება ხელახლა დაიწყოს, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მოუვიდა გაყიდულ ნართს. სანამ პროდუქტის გაყიდვა ხერხდება, კაპიტალისტური მწარმოებლის თვალსაზრისით ყველაფერი წესიერად მიმდინარეობს. წრებრუნვა კაპიტალღირებულებისა, რომლის წარმომადგენელი კაპიტალისტური მწარმოებელია, არ შეწყდება. და თუ ეს პროცესი ფართოვდება, — რაც წარმოების საშუალებათა გაფართოებულ მწარმოებლურ მოხმარებას შეიცავს, — შეიძლება კაპიტალის ამ კვლავწარმოებას თან ახლდეს მუშების გაფართოებული ინდივიდუალური მოხმარება (მაშასადამე, მოთხოვნაც), იმიტომ რომ ამ პროცესის დამწყებ და მოსაშუალე რგოლს მწარმოებლური მოხმარება შეადგენს. ამრიგად, ზედმეტი ღირებულების წარმოება და მასთან ერთად კაპიტალისტთა ინდივიდუალური მოხმარებაც შეიძლება იზრდებოდეს, მთელი კვლავწარმოების პროცესი უაღრესად აყვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, — და, ამრიგად, საქონელთა დიდი ნაწილი მხოლოდ მოჩვენებითად იყოს მოხმარებაში შესული, სინამდვილეში კი გაუყიდავად იყოს დარჩენილი გამყიდველთა ხელში და, მაშასადამე, ფაქტიურად ჯერ კიდევ ბაზარზე იმყოფებოდეს. და, აი, საქონლის ერთ ნაკადს მეორე ნაკადი მოსდევს, და, ბოლოს,

მეღავნდება, რომ წინანდელი ნაკადი მხოლოდ მოჩვენებითად შთანთქა მოხმარებამ. საქონლური კაპიტალები ერთმანეთს ადგილს ეცილებიან ბაზარზე. შემდგომ მოსულნი — ოღონდ კი გაყიდონ და — დაკლებულ ფასებში ყიდიან. წინანდელი ნაკადები ჯერ კიდევ გასაღებული არაა, რომ უკვე დგება მათთვის გადახდის ვადები. მათმა მფლობელებმა გადახდისუუნარო მოვალეებად უნდა გამოაცხადონ თავიანთი თავი, ანდა, გადახდა რომ შეძლონ, უნდა გაყიდონ ყოველგვარ ფასში. ასეთ გაყიდვას სრულიად არავითარი კავშირი არა აქვს მოთხოვნის ნამდვილ მდგომარეობასთან. მას საქმე აქვს გადახდის მოთხოვნასთან, საქონლის ფულად გადაქცევის აბსოლუტურ აუცილებლობასთან. მაშინ გაჩაღდება კრიზისი. იგი აშკარავდება არა სამომხმარებლო მოთხოვნის, ინდივიდუალური მოხმარების მხრივ მოთხოვნის უშუალო შემცირებაში, არამედ კაპიტალის კაპიტალზე გაცვლის, კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის შემცირებაში.

თუ საქონელი წს და სძ სახით, რადაც ფ გარდაიქმნება, რათა თავისი, როგორც ფულადი კაპიტალის, როგორც მწარმოებლურ კაპიტალად გარდაქმნისათვის განკუთვნილი კაპიტალღირებულების, ფუნქცია შეასრულოს, — თუ ეს საქონელი სხვადასხვა ვადებში უნდა იქნეს ნაყიდი და გასტუმრებული, და, მაშასადამე, ფ — ს წარმოადგენს იმ ყიდვა-გაყიდვათა მწკრივს, რომლებიც ერთი-მეორის მიყოლებით სრულდება, მაშინ ფ ერთი ნაწილი ასრულებს აქტს ფ — ს, ხოლო მეორე ნაწილი ფულად მდგომარეობაში რჩება, რათა შემდეგ, იმ მომენტში, რომელსაც თვით პროცესის პირობები განსაზღვრავს, ემსახუროს ფ — ს იმავდროულ ან თანმიმდევრულ აქტებს. ეს ნაწილი მხოლოდ დროებითაა მიმოქცევას მოცილებული, რათა განსაზღვრულ მომენტში მოქმედება დაიწყოს, თავისი ფუნქციის შესრულებას შეუდგეს. მაგრამ ამ ნაწილის თვით ეს მარაგად შენახვა წარმოადგენს, თავის მხრივ, ფუნქციას, რომელიც მისი მიმოქცევით განისაზღვრება და მიმოქცევისათვისაა განკუთვნილი. ამ შემთხვევაში მისი არსებობა ყიდვისა და გადახდის ფონდის სახით, მისი მოძრაობის შეჩერება, მისი შეწყვეტილი მიმოქცევის მდგომარეობა ის მდგომარეობაა, რომელშიც როგორც ფულადი კაპიტალი ფული ერთ-ერთ თავის ფუნქციას ასრულებს; როგორც ფულადი კაპიტალი, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში თვით დროებით უმოძრაოდ მყოფი ფული ნაწილია ფულადი კაპიტალისა: ფ (ფ′ — ფ = ფ), საქონლური კაპიტალის ღირებულების იმ ნაწილისა, რომელიც = წ, უდრის იმ მწარმოებლური კაპიტალის ღირებულებას, რომელიც წრებრუნვის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს. მეორე მხრივ, მთელი ის ფული, რომელიც მიმოქცევი-

დან ამოღებულია, განძის ფორმაში იმყოფება. მაშასადამე, განძის ფორმა, რომელშიც ფული იმყოფება, ფულადი კაპიტალის ფუნქციად იქცევა, სავსებით ისე, როგორც Ფ — ს-ში ფულის, როგორც ყიდვის და გადახდის საშუალების, ფუნქცია ფულადი კაპიტალის ფუნქციად იქცევა; და ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ კაპიტალღირებულება აქ არსებობს ფულადი ფორმით, ფულადი მდგომარეობა აქ სამრეწველო კაპიტალის მდგომარეობაა, რომელსაც განსაზღვრავს წრებრუნვის კავშირი მის ერთ-ერთ სტადიაზე. მაგრამ ამავე დროს აქ კვლავ დასტურდება, რომ ფულადი კაპიტალი სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვაში არავითარ სხვა ფუნქციებს არ ასრულებს, გარდა ფულის ფუნქციებისა, და რომ ფულის ამ ფუნქციებს ამ წრებრუნვის სხვა სტადიებთან თავიანთი კავშირის გამო ამავე დროს კაპიტალის ფუნქციების მნიშვნელობა აქვთ.

Ф′ გამოხატავ ф-ის Ф-თან ურთიერთობის სახით, კაპიტალურთიერთობის სახით, შეადგენს უშუალოდ არა ფულადი კაპიტალის ფუნქციას, არამედ საქონლური კაპიტალის, ს′, ფუნქციას, კაპიტალისა, რომელიც, თავის მხრივ, როგორც ს და ს ურთიერთობა მხოლოდ წარმოების პროცესის შედეგს, კაპიტალღირებულების იმ თვითზრდის შედეგს გამოსახავს, რაც წარმოების ამ პროცესში შესრულდა.

თუ მიმოქცევის პროცესის მიმდინარეობა დაბრკოლებას შეხვდა, ასე რომ Ф გარეგან გარემოებათა, ბაზრის მდგომარეობის და სხვ. გამო, იძულებული ხდება თავისი ფუნქცია Ф — ს შეაჩეროს და ამიტომ მეტნაკლებ ხანგრძლივ დროს თავის ფულად მდგომარეობაში დარჩეს, მაშინ ჩვენ თვალწინ გვაქვს კვლავ ფული განძის სახით, რასაც ადგილი აქვს მარტივ საქონელმიმოქცევაშიც. როგორც კი გარეგან გარემოებათა გამო შეწყდება ს—Ф გადასვლა Ф — ს-ში, აქ იძულებით შეიქმნება განძი. ამრიგად, ჩვენს მაგალითში ფულს უქმად მდებარე, ფარული ფულადი კაპიტალის ფორმა აქვს. ჩვენ ამჯერად ამაზე აღარ შევჩერდებით.

მაგრამ ორსავე შემთხვევაში ფულადი კაპიტალის გაჩერება მის ფულად მდგომარეობაში გვევლინება როგორც მოძრაობის შეწყვეტის შედეგი, სულ ერთია იქნება ეს შეწყვეტა მიზანშეწონილი თუ მიზანშეუწონელი, ნებაყოფლობითი თუ იძულებითი, შეესაბამება იგი კაპიტალის ფუნქციებს თუ ეწინააღმდეგება მათ.

II. დაგროვება და კვლავწარმოება გაფართოებული მასშტაბით

რადგან პროპორციები, რომლებშიც შესაძლებელია წარმოების პროცესის გაფართოება, თვითნებურად კი არ არის განსაზღვრული, არამედ ტექნიკის მიერაა ნაკარნახევი, ამიტომ რეალიზებული ზედმეტი ღირებულება, თუნდაც იგი კაპიტალიზაციისათვის იყოს განკუთვნილი, ხშირად მხოლოდ სხვადასხვა წრებრუნვის განმეორების გზით გაიზრდება იმ ზომამდე (მაშასადამე, უნდა დაგროვდეს იმ ზომამდე), როდესაც მას შეუძლია ნამდვილად დამატებითი კაპიტალის სახით იმოქმედოს ანდა პროცესში მყოფი კაპიტალღირებულების წრებრუნვაში შევიდეს. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულება მაგრდება განძად და ამ ფორმაში ფარულ ფულად კაპიტალს შეადგენს. ფარულს (latent), იმიტომ რომ მას, ვიდრე ფულად ფორმაში რჩება, არ შეუძლია კაპიტალის სახით მოქმედება [6a]. ამრიგად, განძის შექმნა გვეელინება აქ კაპიტალისტური დაგროვების პროცესში შემავალ, მის თანმხლებ, მაგრამ იმავე დროს მისგან არსებითად განსხვავებულ მომენტად. განსხვავებულ მომენტად, — იმიტომ რომ ფარული ფულადი კაპიტალის წარმოქმნით არ ფართოვდება თვით კვლავწარმოების პროცესი. პირიქით. ფარული ფულადი კაპიტალი აქ იმიტომ წარმოიქმნება, რომ კაპიტალისტურ მწარმოებელს არ ძალუძს უშუალოდ გააფართოოს თავისი წარმოების მასშტაბი. თუ მან თავისი ზედმეტი პროდუქტი მიჰყიდა ოქროს ან ვერცხლის მწარმოებელს, რომელიც ახალ ოქროს ან ვერცხლს გადაისვრის მიმოქცევაში, ანდა, რაც იმასვე ნიშნავს, ისეთ ვაჭარს, რომელსაც ეროვნული ზედმეტი პროდუქტის განსაზღვრული ნაწილის სანაცვლოდ დამატებითი ოქრო ან ვერცხლი შემოაქვს საზღვარგარეთიდან, მაშინ მისი ფარული ფულადი კაპიტალი შეადგენს ოქროს ან ვერცხლის სახით არსებული ეროვნული განძის ნამატს. ყველა სხვა შემთხვევაში, მაგალითად, ის 78 გირვ. სტერლინგი, რომელიც მყიდველის ხელში მიმოქცევის საშუალებაა, კაპიტალისტის ხელში მხოლოდ განძის ფორმას მიიღებს; მაშასადამე, ხდება ოქროს თუ ვერცხლის სახით არსებული ეროვნული განძის მხოლოდ სხვაგვარი განაწილება.

[6a] გამოთქმა «latent», «ფარული», აღებულია ფიზიკის წარმოდგენიდან ფარულ სითბოზე, რაც ახლა ენერგიის გარდაქმნის თეორიის მიერ თითქმის უკუგდებულია. ამიტომ მარქსი მესამე განყოფილებაში (შემდგომი რედაქცია) მისთვის ხმარობს პოტენციურ ენერგიაზე არსებული წარმოდგენიდან აღებულ გამოთქმას: «პოტენციური», ანდა დ'ალამბერის ვირტუალურ სისწრაფეთა ანალოგიით: «ვირტუალური კაპიტალი». — ფ. ე.

თუ ჩვენი კაპიტალისტის გარიგებებში ფული გადახდის საშუალებათა სახით მოქმედებს (იმგვარად, რომ მყიდველმა მეტნაკლებ ხანგრძლივ ვადებში უნდა გადაიხადოს საქონლის ფასი), მაშინ კაპიტალიზაციისათვის განკუთვნილი ზედმეტი პროდუქტი გადაიქცევა არა ფულად, არამედ ვალის მოთხოვნად, იმ ეკვივალენტის საკუთრების ტიტულად, რომელსაც მყიდველი, შესაძლოა, უკვე ფლობს ანდა, შესაძლოა, მხოლოდ მოელის. ეს ეკვივალენტი არ შედის წრებრუნვასთან დაკავშირებულ კვლავწარმოების პროცესში, ისე როგორც მასში არ შედის ფული, რომელიც პროცენტიან ქაღალდებში და სხვ. არის მოთავსებული, თუმცა იგი შეიძლება შედიოდეს სხვა სამრეწველო ინდივიდუალური კაპიტალის წრებრუნვაში.

კაპიტალისტური წარმოების მთელი ხასიათი განისაზღვრება ავანსებული კაპიტალღირებულების ზრდით, მაშასადამე, პირველ რიგში რაც შეიძლება მეტი ზედმეტი ღირებულების წარმოებით; მეორე მხრივ კი (იხ. წიგნი I, თავი XXII), — კაპიტალის წარმოებით, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების კაპიტალად გადაქცევით. მაგრამ დაგროვება, ანუ წარმოება გაფართოებული მასშტაბით, როგორც ზედმეტი ღირებულების მუდმივი გაფართოებისა და, მაშასადამე, კაპიტალისტის გამდიდრების საშუალება, — რაც კაპიტალისტის პირად მიზანს წარმოადგენს და კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთ საყოველთაო ტენდენციას შეადგენს, — შემდეგში, როგორც პირველ წიგნშია ნაჩვენები, თავისი განვითარების გამო აუცილებლობად იქცევა თვითეული ინდივიდუალური კაპიტალისტისათვის. კაპიტალის მუდმივი გადიდება პირობა ხდება მისი შენარჩუნებისათვის. მაგრამ ჩვენ ნულარ დავუბრუნდებით იმას, რაც უწინ იყო გარკვეული.

ჩვენ პირველად მარტივი კვლავწარმოება განვიხილეთ, და ამასთან ვიგულისხმეთ, რომ მთელი ზედმეტი ღირებულება შემოსავლის სახით იხარჯება. ნამდვილად კი ნორმალურ პირობებში ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილი ყოველთვის უნდა იხარჯებოდეს შემოსავლის სახით, მეორე ნაწილი კი კაპიტალიზაციას უნდა განიცდიდეს, ამასთან უმნიშვნელოა ის, რომ განსაზღვრულ პერიოდებში წარმოებული ზედმეტი ღირებულება ხან მთლად დაიხარჯება, ხან კიდევ მთლად კაპიტალად გადაიქცევა. საშუალოდ — და ზოგად ფორმულას მხოლოდ საშუალო მოძრაობის გამოსახვა შეუძლია — ადგილი აქვს ერთსაც და მეორესაც. მაგრამ, რათა ფორმულა არ გავართულოთ, უმჯობესია ვიგულისხმოთ, რომ მთელი ზედმეტი ღირებულების დაგროვება ხდება. ფორმულა Ф...ს′ — Ф′ — ს′ $<^{ud}_{Фს}$ ...Ф′ გამოსახავს მწარ-

მოებლურ კაპიტალს, რომელიც გაფართოებული მასშტაბით და გადიდებული ღირებულებით იკვლავწარმოება, და რომელიც, როგორც უკვე გაზრდილი მწარმოებლური კაპიტალი, თავის მეორე წრებრუნვას იწყებს ანუ, რაც იგივეა, თავის პირველ წრებრუნვას განაახლებს. როგორც კი ეს მეორე წრებრუნვა დაიწყება, ჩვენ გვაქვს კვლავ წ როგორც ამოსავალი პუნქტი; მხოლოდ ეს წ უფრო დიდი მოცულობის მწარმოებლური კაპიტალია, ვიდრე პირველი წ იყო. ასევე, როდესაც ფორმულაში ფ — ფ′ მეორე წრებრუნვა ფ′-ით იწყება, ეს ფ მოქმედებს როგორც ფ, როგორც განსაზღვრული სიდიდის ავანსებული ფულადი კაპიტალი; ეს უფრო დიდი ფულადი კაპიტალია, ვიდრე ის, რითაც პირველი წრებრუნვა იყო დაწყებული; მაგრამ როგორც კი იგი ავანსებული ფულადი კაპიტალის ფუნქციის შესრულებას იწყებს, უკვე გამქრალია ყოველი ნიშანწყალი იმისა, რომ იგი ზედმეტი ღირებულების კაპიტალიზაციის მეოხებით არის გაზრდილი. ასეთი წარმოშობის კვალი წარხოცილია მის, როგორც ფულადი კაპიტალის, ფორმაში, რითაც იგი თავის მეორე წრებრუნვას იწყებს. ასევე ემართება წ′ როდესაც იგი მოქმედებს როგორც ახალი წრებრუნვის ამოსავალი პუნქტი.

თუ ჩვენ წ...წ′ შევადარებთ ფ — ფ′, ანუ პირველ წრებრუნვას, ვნახავთ, რომ მათ სრულიადაც არა აქვთ ერთნაირი მნიშვნელობა. ფ...ფ′, თავისთავად აღებული როგორც განცალკევებული წრებრუნვა, მხოლოდ იმას გამოსახავს, რომ ფ, ფულადი კაპიტალი (ანუ სამრეწველო კაპიტალი, რომელიც თავის წრებრუნვას ასრულებს როგორც ფულადი კაპიტალი), არის ფულის მჩეკელი ფული, ღირებულების მჩეკელი ღირებულება, რომ იგი ზედმეტ ღირებულებას ქმნის. ფ წრებრუნვაში, პირიქით, პირველი სტადიის, წარმოების პროცესის, დასრულებასთან ერთად ღირებულების ზრდის პროცესი უკვე შესრულებულია, და მეორე სტადიის (მიმოქცევის პირველი სტადიის): ს′ — ფ′-ის განვლის შემდეგ კაპიტალღირებულება + ზედმეტი ღირებულება არსებობს უკვე რეალიზებული ფულადი კაპიტალის სახით, როგორც ფ′, რომელიც პირველ წრებრუნვაში უკანასკნელ კიდურს წარმოადგენდა. ზედმეტი ღირებულება რომ წარმოებული იყო, ეს უწინ განხილულ წ...წ ფორმაში (იხ. გაშლილი ფორმულა 89—90 გვერდზე) გამოხატულია ს — ფ — ს-ით, რომელიც თავის მეორე სტადიაში კაპიტალის მიმოქცევის სფეროდან გამოდის და ზედმეტი ღირებულების, როგორც შემოსავლის, მიმოქცევას გამოხატავს. ამ ფორმაში, სადაც მთელი მოძრაობა წ...წ სახით გამოიხატება, სადაც, მაშასადამე, ადგილი არა აქვს ღირებულების არავითარ ცვლილებას ორივე საბო-

ლოო პუნქტს შორის, ავანსებული ღირებულების ზრდა, ზედმეტი ღირებულების წარმოშობა ისევეა გამოხატული, როგორც Ფ...Ფ′-ში, მხოლოდ აქტი ს′ — Ფ′, რომელიც Ფ...Ფ′-ში უკანასკნელ სტადიას და წრებრუნვის მეორე სტადიას წარმოადგენს, ₽...₽-ში მიმოქცევის პირველ სტადიას შეადგენს.

₽...₽′-ში ₽′ გამოსახავს არა იმას, რომ ზედმეტი ღირებულება წარმოებულია, არამედ იმას, რომ წარმოებული ზედმეტი ღირებულება კაპიტალიზებულია, მაშასადამე, მოხდა კაპიტალის დაგროვება, და ამიტომ ₽′, წინააღმდეგ ₽-ისა, შედგება თავდაპირველი კაპიტალ-ღირებულებისგან პლუს ამ უკანასკნელის მოძრაობის გზით დაგროვილი კაპიტალის ღირებულება.

Ფ′-იც, როგორც Ფ...Ფ′ მარტივი დასკვნა, და ს′-იც, როგორც იგი ყველა ამ წრებრუნვაში გვეელინება, თავის თავად აღებულნი, მოძრაობას კი არ გამოსახავენ, არამედ მის შედეგს: კაპიტალღირებულების ზრდას, რომელიც რეალიზებულია საქონლურ ფორმაში ან ფულად ფორმაში, და ამიტომ გამოსახავენ კაპიტალღირებულებას როგორც Ф + ф ან ส + ส როგორც კაპიტალღირებულების დამოკიდებულებას თავის ზედმეტ ღირებულებასთან, ვით თავის ნაბარტყთან. ორივე გამოხატავს ამ შედეგს გაზრდილი კაპიტალღირებულების მიმოქცევის სხვადასხვა ფორმების სახით. მაგრამ არც ს′ ფორმაში და არც Ф′ ფორმაში ღირებულების ზრდა თვითონ არ შეადგენს არც ფულადი კაპიტალისა და არც საქონლური კაპიტალის ფუნქციას. ფულად კაპიტალს და საქონლურ კაპიტალს, როგორც განსაკუთრებულ, განსხვავებულ ფორმებს, კაპიტალის არსებობის სახეობებს, რომლებიც სამრეწველო კაპიტალის განსაკუთრებულ ფუნქციებს შეესაბამებიან, შეუძლიათ შეასრულონ: ფულად კაპიტალს — მხოლოდ ფულის ფუნქციები და საქონლურ კაპიტალს — მხოლოდ საქონლის ფუნქციები; განსხვავება მათ შორის მხოლოდ ფულისა და საქონლის განსხვავებაა. ასევე სამრეწველო კაპიტალი თავის, როგორც მწარმოებლური კაპიტალის, ფორმაში შეიძლება მხოლოდ იმავე ელემენტებისგან შედგებოდეს, რომლებისგანაც შედგება პროდუქტის შემქმნელი ყოველი შრომითი პროცესი: ერთი მხრივ, — შრომის საგნობრივი პირობებისგან (წარმოების საშუალებებისგან), მეორე მხრივ,— მწარმოებლურად (მიზანშეწონილად) მოქმედი სამუშაო ძალისგან. სამრეწველო კაპიტალს წარმოების სფეროში შეუძლია იარსებოს მხოლოდ იმ შედგენილობით, რომელიც შეესაბამება საერთოდ წარმოების პროცესს და, მაშასადამე, არაკაპიტალისტურ წარმოების პროცესსაც; ასევე მიმოქცევის სფეროში მას შეუძლია იარსებოს მხო-

ლოდ იმ ორი ფორმით, რომელიც ამ სფეროს შეესაბამება: საქონლისა და ფულის ფორმით. მაგრამ წარმოების ელემენტების ჯამი იმთავითვე გვამცნობს, რომ იგი მწარმოებლური კაპიტალია, გვამცნობს იმით, რომ სამუშაო ძალა სხვისი სამუშაო ძალაა, რომელიც კაპიტალისტმა იყიდა მისი მფლობელისგან, სრულიად ისევე, როგორც მან თავისთვის იყიდა წარმოების საშუალებანი სხვა საქონელთა მფლობელებისგან; ამიტომ თვით წარმოების პროცესიც ისე წარმოგვიდგება, როგორც სამრეწველო კაპიტალის მწარმოებლური ფუნქცია, ხოლო ფული და საქონელი წარმოადგენს იმავე სამრეწველო კაპიტალის მიმოქცევის ფორმებს და, მაშასადამე, ფულისა და საქონლის ფუნქციებიც იმ კაპიტალის მიმოქცევის ფუნქციებია, რომელნიც ან საწყისს აძლევენ მწარმოებლური კაპიტალის ფუნქციებს ანდა მათგან გამომდინარეობენ. ფულის ფუნქცია და საქონლის ფუნქცია აქ იმავე დროს ფულადი კაპიტალისა და საქონლური კაპიტალის ფუნქციებია მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან როგორც იმ ფუნქციათა ფორმები, რომელთაც სამრეწველო კაპიტალი უნდა ასრულებდეს თავისი წრებრუნვის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე. მაშასადამე, შეცდომა იქნებოდა ფულის, როგორც ფულის, და საქონლის, როგორც საქონლის, დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებები და ფუნქციები გამოგვეყვანა მათი — როგორც კაპიტალის— ხასიათიდან, და ასევე შეცდომა იქნებოდა, პირიქით, მწარმოებლური კაპიტალის თვისებები გამოგვეყვანა წარმოების საშუალებებით გამოხატული მისი არსებობის წესიდან.

როდესაც ფ′ ან ს′ ფიქსირებული ხდება ფ + ფ, ს + ს სახით, ე. ი. როგორც კაპიტალღირებულების დამოკიდებულება ზედმეტ ღირებულებასთან როგორც პირველის ნაბარტყთან, მაშინ ეს დამოკიდებულება ორივეში პოულობს გამოსახულებას, ერთხელ ფულადი ფორმით, მეორეჯერ საქონლური ფორმით, რაც თვით საქმის ვითარებას სრულიად არ ცვლის. მაშასადამე, ეს დამოკიდებულება არ გამომდინარეობს არც ფულის როგორც ასეთის და არც საქონლის როგორც ასეთის თვისებებიდან და ფუნქციებიდან. ორსავე შემთხვევაში კაპიტალის დამახასიათებელი თვისება, ის თვისება, რომ იგი ღირებულების მჩეკელი ღირებულებაა, გამოხატულია მხოლოდ როგორც შედეგი. ს′ ყოველთვის ₩ მოქმედების პროდუქტია. ფ′ კი ყოველთვის ს′ მხოლოდ ის გარდაქმნილი ფორმაა, რომელმაც ეს გარდაქმნა სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვაში განიცადა. ამიტომ, როდესაც რეალიზებული ფულადი კაპიტალი კვლავ იწყებს თავის განსაკუთრებულ მოქმედებას როგორც ფულადი კაპიტალი, იგი აღარ გამოხატავს იმ კაპიტალ-

ურთიერთობას, რასაც Ф′=Ф + ф შეიცავს. როდესაც Ф...Ф′ განვლილია, და Ф′ ხელახლა იწყებს წრებრუნვას, — Ф′ გამოდის, უკვე არა Ф′ — Ѕ სახით, არამედ — Ф სახით, თუნდაც რომ მთელი ზედმეტი ღირებულება, რასაც Ф′ შეიცავს, კაპიტალიზებული იყოს. ჩვენს მაგალითში მეორე წრებრუნვა იწყება 500 გირვ. სტერლინგი ფულადი კაპიტალით, მაშინ როდესაც პირველი იწყებოდა 422 გირვ. სტერლინგით. ფულადი კაპიტალი, რომელიც წრებრუნვას იწყებს, 78 გირვ. სტერლინგით უფრო დიდია, ვიდრე უწინ იყო; ეს განსხვავება არსებობს ერთი წრებრუნვის შედარებისას მეორესთან; მაგრამ ამ შედარებისათვის ადგილი არაა თვითეული ცალკე წრებრუნვის ფარგლებში. ფულადი კაპიტალის სახით ავანსებული 500 გირვ. სტერლინგი, საიდანაც 78 გირვ. სტერლინგი უწინ ზედმეტი ღირებულების სახით არსებობდა, სრულიად ისეთსავე როლს ასრულებს, როგორც 500 გირვ. სტერლინგი, რომლითაც მეორე კაპიტალისტი თავის პირველ წრებრუნვას იწყებს. ასევეა მწარმოებლური კაპიტალის წრებრუნვაშიც. გადიდებული Ф, წარმოგვიდგება ხელახლა დაწყებისას როგორც Ф, მსგავსად Ф-ისა მარტივ კვლავწარმოებაში: Ф...Ф-ში.

სტადიაზე Ф′ — Ѕ′ < Ѕд/Фѕ სიდიდის ზრდა აღნიშნულია მხოლოდ Ѕ′-ით, მაგრამ არა Ѕд′-ით და Фѕ′-ით. რადგან Ѕ Ѕд-ისა და Фѕ-ის ჯამია, ამიტომ უკვე Ѕ′ გვიჩვენებს, რომ მასში მოქცეული Ѕд-ისა და Фѕ-ის ჯამი უფრო დიდია, ვიდრე თავდაპირველი Ф. მაგრამ, გარდა ამისა, აღნიშვნა: Ѕд′ და Фѕ′ მცდარი იქნებოდა, იმიტომ რომ, როგორც ვიცით, კაპიტალის ზრდასთან დაკავშირებულია მისი ღირებულებრივი შედგენილობის ცვლილება — სახელდობრ, ეს შედგენილობა ვითარდება იმგვარად, რომ Фѕ-ის ღირებულება იზრდება, ხოლო Ѕд-ის ღირებულება ყოველთვის კლებულობს შედარებით, ხშირად აბსოლუტურადაც.

III. ფულის დაგროვება

შეძლებს თუ არა ф, ოქროდ ქცეული ზედმეტი ღირებულება, დაუყოვნებლივ ისევ მიემატოს მოძრაობის პროცესში მყოფ კაპიტალ-ღირებულებას და, ამრიგად, კაპიტალ Ф-თან ერთად Ф′-ის სიდიდით წრებრუნვის პროცესში შევიდეს, — ეს განისაზღვრება ისეთი გარემოებებით, რომლებიც დამოკიდებული არაა მარტოოდენ ф არსებობაზე. თუ ф სამსახური უნდა გასწიოს ფულადი კაპიტალის სახით ახალ, დამოუკიდებელ საწარმოში, რომელიც პირველის გვერდით მოეწყობა, — ცხადია, რომ ф ამისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ის მინიმალური სიდიდე აქვს, რომელიც საჭიროა ასეთი საწარმოსათვის. თუ ფ თავდაპირველი საწარმოს გასაფართოებლად უნდა იქნეს გამოყენებული, მაშინ ₩ ნივთიერი ფაქტორები და მათი ღირებულებრივი თანაფარდობა აგრეთვე მოითხოვენ გარკვეული მინიმალური სიდიდის მქონე ₩. ყველა წარმოების საშუალებათა შორის, რომელნიც ამ საწარმოში მოქმედებენ, არსებობს არა მარტო თვისებრივი, არამედ გარკვეული რაოდენობრივი თანაფარდობა, ზომის გარკვეული პროპორციულობა. მწარმოებლურ კაპიტალში შემავალი ფაქტორების ეს ნივთიერი ურთიერთობანი და მათთან დაკავშირებული ღირებულებრივი თანაფარდობა განსაზღვრავენ იმ მინიმალურ რაოდენობას, რომელიც უნდა ჰქონდეს ფ, რათა შესაძლებელი გახდეს მისი როგორც მწარმოებლური კაპიტალის ნამატის გარდაქმნა დამატებით წარმოების საშუალებებად და დამატებით სამუშაო ძალად, ანდა მხოლოდ დამატებითი წარმოების საშუალებებად. ასე, მეფაბრიკე-მრთველი თავის თითისტართა რიცხვს ვერ გაადიდებს, თუ იმავე დროს საჩეჩი და საწეწი მანქანების შესაბამისი რიცხვი არ შეიძინა, — აღარას ვამბობთ გადიდებულ ხარჯზე ბამბისა და ხელფასისათვის, რასაც საწარმოს ასეთი გაფართოება იწვევს. მაშასადამე, იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი განხორციელდეს, ზედმეტი ღირებულება უკვე თვალსაჩინო თანხას უნდა შეადგენდეს (ჩვეულებრივ თითისტარზე 1 გირვ. სტერლ. ახალ ხარჯს ანგარიშობენ). სანამ ფ ამ მინიმალურ სიდიდეს არ მიაღწევს, კაპიტალის წრებრუნვა რამდენჯერმე უნდა განმეორდეს, ვიდრე ამ კაპიტალის მიერ თანმიმდევრულად წარმოებული ფ ჯამი შეძლებდეს ₩-თან ერთად მოქმედებას, მაშასადამე, ₩′ — ს′<$^{\text{სძ}}_{\text{₩}}$-ში მოქმედებას. უკვე დეტალების უბრალო ცვლილებებიც კი, მაგალითად, სართავ მანქანებში, რამდენადაც ეს ცვლილებები ამ უკანასკნელთა წარმადობას ადიდებენ, მოითხოვენ სართავი მასალის ხარჯვის გადიდებას, იმ მანქანების გამრავლებას, რომლებითაც წარმოებს ბამბის დამუშავება დართვამდე, და სხვ. მაშასადამე, შუალედ პერიოდში ხდება ₩ დაგროვება, და მისი დაგროვება წარმოადგენს არა მის საკუთარ ფუნქციას, არამედ განმეორებული ₩...₩ შედეგს. მისი საკუთარი ფუნქციაა მისი გაჩერება ფულად მდგომარეობაში, სანამ იგი ღირებულების ზრდასთან დაკავშირებული განმეორებული წრებრუნვებიდან, — მაშასადამე, გარედან, — არ მიიღებს საკმაო ნამატს, რათა მისი აქტიური მოქმედებისთვის საჭირო მინიმალურ სიდიდეს მიაღწიოს, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია ნამდვილად მიიღოს მონაწილეობა ფულადი კაპიტალის ₩ მოქმედებაში როგორც ფულადმა კაპიტალმა, როგორც

მოცემულ შემთხვევაში, მოქმედი კაპიტალის ფ დაგროვილმა ნაწილმა. შუალედ პერიოდში ფ დაგროვდება და არსებობს მხოლოდ შექმნის პროცესში მყოფი, ზრდაში მყოფი განძის სახით. მაშასადამე, ფულის დაგროვება, განძის შექმნა აქ წარმოგვიდგება როგორც პროცესი, რომელიც დროებით თან ახლავს ნამდვილ დაგროვებას, სამრეწველო კაპიტალის მოქმედების მასშტაბის გაფართოებას, თან ახლავს დროებით, წარმავალი სახით, რადგან სანამ განძი განძის მდგომარეობაში რჩება, იგი არ მოქმედებს როგორც კაპიტალი, არ იღებს მონაწილეობას ღირებულების ზრდის პროცესში, რჩება ფულად თანხად, რომელიც მხოლოდ იმიტომ იზრდება, რომ მის დაუხმარებლად მიღებულ ფულს იმავე სკივრში სდებენ.

განძის ფორმა მხოლოდ იმ ფულის ფორმაა, რომელიც მიმოქცევაში არ იმყოფება, რომლის მიმოქცევა შეწყვეტილია და რომელიც, ამიტომ, თავისი ფულადი ფორმით შეინახება. რაც შეეხება განძის შექმნის თვით პროცესს, ეს პროცესი საერთოა ყველა საქონელწარმოებისათვის და როგორც თვითმიზანი იგი გარკვეულ როლს ასრულებს იმ წარმოების მხოლოდ განუვითარებელ, კაპიტალიზმამდელ ფორმებში. მაგრამ აქ, ჩვენს შემთხვევაში, განძი გვევლინება როგორც ფულადი კაპიტალის ფორმა, ხოლო განძის შექმნა — როგორც პროცესი, რომელიც კაპიტალის დაგროვებას დროებით ახლავს თან, რადგანაც და რამდენადაც ფული აქ გამოდის ფ ა რ უ ლ ი ფ უ ლ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს სახით; განძის შექმნა, — ფულადი ფორმით არსებული ზედმეტი ღირებულების შენახვა განძის მდგომარეობაში, — წარმოადგენს აქ კაპიტალის წრებრუნვის გარეთ მიმდინარე, ფუნქციურად განსაზღვრულ მომამზადებელ სტადიას, რათა ზედმეტი ღირებულება ნამდვილ მოქმედ კაპიტალად გარდაიქმნას. მაშასადამე, ამ თავისი დანიშნულების გამო, ეს არის ფარული ფულადი კაპიტალი; ამიტომ სიდიდე, რომელსაც მან უნდა მიაღწიოს, რათა პროცესში შევიდეს, ყოველთვის განსაზღვრულია მწარმოებლური კაპიტალის ღირებულებრივი შედგენილობით. მაგრამ ვიდრე ფული განძის მდგომარეობაშია გაჩერებული, იგი ჯერ კიდევ არ მოქმედებს როგორც ფულადი კაპიტალი, იგი ჯერ კიდევ უქმად მდებარე კაპიტალია; არა იმიტომ, რომ, როგორც წინათ, მისი ფუნქცია შეწყვეტილია, არამედ იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ არ შესწევს თავისი ფუნქციის შესრულების უნარი.

ჩვენ აქ ფულის დაგროვება ავიღეთ მის თავდაპირველ რეალურ ფორმაში, როგორც ნამდვილი ფულადი განძი. მაგრამ იგი შეიძლება არსებობდეს აგრეთვე იმ კაპიტალისტის უბრალო საკრედიტო დოკუ-

მენტების, სავალო მოთხოვნების სახით, რომელმაც ს′ გაყიდა. რაც შეეხება სხვა ფორმებს, როდესაც ფარული კაპიტალი შუალედ პერიოდშიც კი არსებობს ფულის მჩეკელი ფულის სახით, მაგალითად, რომელიმე ბანკში პროცენტმომტან ანაბართა სახით თამასუქებში ან რაიმე სახის ფასიან ქაღალდებში, — ეს ფორმები არაა აქ განსახილველი. ფულის სახით რეალიზებული ზედმეტი ღირებულება ამ შემთხვევაში ასრულებს კაპიტალის განსაკუთრებულ ფუნქციებს იმ სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვის გარეთ, რომლიდანაც იგი წარმოდგა: ფუნქციებს, რომელთაც, ჯერ-ერთი, საერთო არაფერი აქვთ ამ კაპიტალის წრებრუნვასთან როგორც ასეთთან და რომელნიც, მეორე, გულისხმობენ სამრეწველო კაპიტალის ფუნქციებისგან განსხვავებულ კაპიტალის ფუნქციებს, რაც აქ ჯერ არ არის გამოკვლეული.

IV. სარეზერვო ფონდი

ჩვენ მიერ ეს-ეს არის განხილულ ფორმაში, განძი, რომლის სახითაც ზედმეტი ღირებულება არსებობს, ფულის დაგროვების ფონდია. ის ფულადი ფორმაა, რომელსაც დროებით მიიღებს კაპიტალის დაგროვება და რომელიც ამდენად თვითონ წარმოადგენს დაგროვების პირობას. მაგრამ ამ დაგროვების ფონდს შეუძლია განსაკუთრებული მეორეხარისხოვანი სამსახურიც შეასრულოს, ე. ი. კაპიტალის წრებრუნვის პროცესში შევიდეს ისე, რომ ამ უკანასკნელმა ფ...ფ′ ფორმა არ მიიღოს, მაშასადამე; ისე, რომ კაპიტალისტური კვლავწარმოება არ გაფართოვდეს.

თუ პროცესი ს′ — ფ′ მის ნორმალურზე მეტხანს გრძელდება, მაშასადამე, თუ საქონლური კაპიტალის გარდაქმნა ფულად ფორმად არანორმალურად გვიანდება, ანდა თუ, მას შემდეგ, რაც ეს გარდაქმნა შესრულდა, იმ წარმოების საშუალებათა ფასმა, რომლებადაც ფულადი კაპიტალი უნდა გარდაიქმნას, იმ დონეზე მაღლა აიწია, რაც წრებრუნვის დაწყებისას არსებობდა, — მაშინ დაგროვების ფონდის სახით მოქმედი განძი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმისათვის, რომ ფულადი კაპიტალის ან მისი ნაწილის ადგილი დაიჭიროს. ამრიგად, ფულის დაგროვების ფონდი სარეზერვო ფონდის სახით ემსახურება წრებრუნვის შეფერხებათა გამოსწორებას.

როგორც ასეთი სარეზერვო ფონდი, იგი განსხვავდება ყიდვისა და გადახდის საშუალებათა იმ ფონდისგან, რომელიც წრებრუნვაში ფ...ფ იყო განხილული. ეს საშუალებანი შეადგენენ იმ მოქმედი ფულადი კაპიტალის ნაწილს (მაშასადამე, საერთოდ პროცესში მყოფი

კაპიტალღირებულების ნაწილის არსებობის ფორმებს), რომლის ნაწილებიც მოქმედებას იწყებენ მხოლოდ ერთიმეორის შემდეგ, სხვადასხვა მომენტებში. წარმოების პროცესის შეუწყვეტელ მსვლელობაში მუდამ იქმნება სარეზერვო ფულადი კაპიტალი, რადგან, მაგალითად, სხვისაგან მისაღები გადასახდელი დღეს იქნა მიღებული, ხოლო სხვისთვის გადასახდელი უფრო გვიან არის გასასტუმრებელი, დიდი რაოდენობის საქონელი დღეს გაიყიდა, ხოლო კვლავ დიდი რაოდენობის საქონელი შემდგომ დღეებშია საყიდელი; მაშასადამე, საბრუნავი კაპიტალის ესა თუ ის ნაწილი ამ ინტერვალებში ყოველთვის არსებობს ფულადი ფორმით. პირიქით, სარეზერვო ფონდი შემადგენელი ნაწილია არა უკვე მოქმედი კაპიტალისა, — უფრო სწორად — ფულადი კაპიტალისა, — არამედ იმ კაპიტალისა, რომელიც თავისი დაგროვების მოსამზადებელ სტადიაში იმყოფება, იმ ზედმეტი ღირებულების სტადიაში, რომელიც ჯერ კიდევ არ გადაქცეულა აქტიურ კაპიტალად. თუმცა თავისთავად იგულისხმება, რომ გაჭირვების მომენტებში კაპიტალისტი სრულიადაც არ კითხულობს, თუ რა გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს მის ხელში მყოფი ფული, არამედ გამოიყენებს იმას, რაც ხელში აქვს, რათა თავისი კაპიტალის წრებრუნვის მსვლელობა უზრუნველყოს. მაგალითად, ჩვენს მაგალითში ფ=422 გირვ. სტერლინგს, ფ′=500 გირვ. სტერლინგს. თუ 422 გირვ. სტერლინგი კაპიტალის ნაწილი არსებობს გადახდის და ყიდვის საშუალებათა სახით, ფულადი მარაგის სახით, — ეს იმას ნიშნავს, რომ, გარემოებათა უცვლელობისას, იგი მთლად შევა წრებრუნვაში და თან სრულიად საკმაოც არის ამისათვის. მაგრამ სარეზერვო ფონდი 78 გირვ. სტერლ. ზედმეტი ღირებულების ნაწილია; ამ ნაწილს შეუძლია 422 გირვ. სტერლ. ღირებულების კაპიტალის წრებრუნვის პროცესში შევიდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს წრებრუნვა სრულდება ისეთ გარემოებებში, რომლებიც უცვლელად არაა დარჩენილი; იგი წარმოადგენს დაგროვების ფონდის ნაწილს და აქ გამოდის კვლავწარმოების მასშტაბის ყოველგვარი გაფართოების გარეშე.

ფულადი დაგროვების ფონდი უკვე ფარული ფულადი კაპიტალის არსებობაა; მაშასადამე, იგი წარმოადგენს ფულის გადაქცევას ფულად კაპიტალად.

მწარმოებლური კაპიტალის წრებრუნვის საყოველთაო ფორმულა, რომელიც მარტივი და გაფართოებული მასშტაბის კვლავწარმოებას მოიცავს, ასეთია:

$$\overbrace{ᲤᲐ\ldots Გ′ — ᲤᲐ,}^{1} \quad \overbrace{ᲤᲐ — Გ}^{2} < \underset{ᲤᲐ}{Გ′} \ldots ᲤᲐ\ (ᲤᲐ′).$$

თუ ₩=₩, მაშინ 2)-ში მყოფი Ф უდრის Ф′ მინუს ф; თუ ₩=₩′ მაშინ 2)-ში მყოფი Ф უფრო დიდია, ვიდრე Ф′ მინუს ф; ე. ი. ф მთლად ან ნაწილობრივ გადაქცეულია ფულად კაპიტალად.

მწარმოებლური კაპიტალის წრებრუნვა ის ფორმაა, რომელშიც კლასიკური პოლიტიკური ეკონომია განიხილავს სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვას.

თავი მესამე

საქონლური კაპიტალის წრებრუნვა

საყოველთაო ფორმულა საქონლური კაპიტალის წრებრუნვისათვის ასეთია:

ს′ — ფ′ — ს . . . წ . . . ს′.

ს′ წარმოადგენს ორივე წინათ განხილული წრებრუნვის არა მარტო პროდუქტს, არამედ წანამძღვარსაც, რადგან ის, რაც არის ერთი კაპიტალისათვის ფ — ს, უკვე გულისხმობს ს′ — ფ′ მეორისათვის, — ყოველ შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც წარმოების საშუალებათა ნაწილი თვით წარმოადგენს თავიანთ წრებრუნვაში მყოფი სხვა ინდივიდუალური კაპიტალების საქონლურ პროდუქტს. ჩვენს შემთხვევაში, მაგალითად, ნახშირი, მანქანები და სხვ. შეადგენს ნახშირის მრეწველის, კაპიტალისტური მანქანათმშენებლის და სხვ. საქონლურ კაპიტალს. შემდეგ, 1 თავის მეოთხე პარაგრაფში აღნიშნული იყო, რომ ფ...ფ′-ის უკვე პირველი განმეორებისას, ვიდრე ფულადი კაპიტალის ეს მეორე წრებრუნვა დასრულდებოდეს, წინასწარ იგულისხმება არა მარტო წრებრუნვა წ...წ, არამედ წრებრუნვა ს′...ს′.

თუ კვლავწარმოება გაფართოებული მასშტაბით მიმდინარეობს, მაშინ დასკვნითი ს′ უფრო დიდია, ვიდრე საწყისი ს′, და ამიტომ იგი აქ უნდა აღინიშნოს ს″-ით.

შესამე ფორმის განსხვავება პირველი ორისაგან თავს იჩენს, ჯერერთი, იმაში, რომ აქ წრებრუნვას იწყებს ერთობლივი მიმოქცევა მისი ორი მოპირდაპირე ფაზითურთ, მაშინ როდესაც ფორმა I-ში მიმოქცევა შეწყდება წარმოების პროცესის მეოხებით, ხოლო ფორმა II-ში ერთობლივი მიმოქცევა მისი ორი ერთმანეთის შემავსებელი ფაზითურთ კვლავწარმოების პროცესის მხოლოდ მოსაშუალე რგოლად გვევლინება და ამიტომ შეადგენს მოსაშუალე მოძრაობას წ...წ შორის. ფ...ფ′ შემთხვევაში მიმოქცევის ფორმაა: ფ — ს...ს′ — —ფ′ = ფ — ს — ფ′. წ — წ შემთხვევაში მიმოქცევის ფორმა შებრუნე-

ბულია: ს′ — ფ′. ფ — ს = ს — ფ — ს. ს′...ს′ შემთხვევაში მიმოქცევას ასევე ეს უკანასკნელი ფორმა აქვს.

მეორე. I და II წრებრუნვების განმეორებისას, თუნდაც რომ დასკვნითი პუნქტები ფ′ და ₽′ ხელახალი წრებრუნვის ამოსავალ პუნქტებს შეადგენდეს, ქრება ის ფორმა, რომელშიც ეს ფ′ და ₽′ წარმოიშვა. ფ′ = ₽ + ₽, ₽′ = ₽ + ₽ კვლავ იწყებს ახალ პროცესს როგორც ₽ და ₽. III ფორმაში კი ამოსავალი პუნქტი ს უნდა აღინიშნოს როგორც ს′, მაშინაც კი, თუ ადგილი აქვს წრებრუნვის განახლებას წინანდელი მასშტაბით, და ამის მიზეზი შემდეგია. I ფორმაში, როდესაც ფ′ როგორც ასეთი ახალ წრებრუნვას იწყებს, იგი მოქმედებს ფულადი კაპიტალის ₽ სახით, ფულადი ფორმით ავანსებული კაპიტალღირებულების სახით, რომელიც ღირებულების მხრივ უნდა გაიზარდოს. ავანსებული ფულადი კაპიტალის სიდიდემ, რომელიც გაიზარდა პირველი წრებრუნვის დროს მომხდარი დაგროვების მეოხებით, მოიმატა. მაგრამ ავანსებული ფულადი კაპიტალის სიდიდე 422 გირვ. სტერლინგს ეთანატოლება თუ 500 გირვ. სტერლინგს, — ეს სრულიად ვერ ცვლის იმ გარემოებას, რომ ეს კაპიტალი უბრალო კაპიტალღირებულებად გვევლინება. ₽′ აღარ არსებობს უკვე როგორც ღირებულებაგაზრდილი ან ზედმეტი ღირებულებით ფეხმძიმე კაპიტალი, როგორც კაპიტალურთიერთობა. მან (₽′) ჯერ კიდევ უნდა განიცადოს პროცესში ღირებულების ზრდა. ასევე ითქმის ₽...₽′-ის შესახებაც: ₽′-მა შემდეგშიც მუდამ უნდა იმოქმედოს და განაახლოს წრებრუნვა როგორც ₽-მ, როგორც კაპიტალღირებულებამ, რომელმაც ზედმეტი ღირებულება უნდა აწარმოოს. — პირიქით, საქონლური კაპიტალის წრებრუნვა იწყება არა უბრალო კაპიტალღირებულებით, არამედ საქონლურ ფორმაში გადიდებული კაპიტალღირებულებით, და ამიტომ იმთავითვე შეიცავს არა მარტო საქონლურ ფორმაში მყოფი კაპიტალღირებულების წრებრუნვას, არამედ ზედმეტი ღირებულების წრებრუნვასაც. ამიტომ თუ ამ ფორმაში მარტივ კვლავწარმოებას აქვს ადგილი, — დასკვნითს პუნქტში იმავე სიდიდის ს′ გვევლინება, როგორც ამოსავალ პუნქტში. თუ კაპიტალის წრებრუნვაში შედის ზედმეტი ღირებულების ნაწილი, მაშინ, თუმცა ბოლოში ს′-ის ნაცვლად ს″, უფრო დიდი ს′ ჩნდება, მაგრამ შემდგომი წრებრუნვა მაინც ისევ ს′-ით იწყება, რაც მხოლოდ უფრო დიდ ს′ წარმოადგენს, ვიდრე წინა წრებრუნვაში იყო და თავის ახალ წრებრუნვას უფრო დიდი დაგროვილი კაპიტალღირებულებით და, მაშასადამე, შედარებით უფრო დიდი ახლად წარმოებული ზედმეტი ღირებულებით იწყებს.

ყველა შემთხვევაში ს′ წრებრუნვას იწყებს საქონლური კაპიტალის სახით, რომელიც = კაპიტალღირებულებას + ზედმეტი ღირებულება.

ს′ გვევლინება როგორც ს ცალკეული სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვაში არა ამ კაპიტალის ფორმით, არამედ სხვა სამრეწველო კაპიტალის ფორმით, რამდენადაც წარმოების საშუალებანი ამ უკანასკნელი კაპიტალის პროდუქტს წარმოადგენენ. პირველი კაპიტალის აქტი Ფ — ს (ე. ი. Ფ — წს) ამ მეორე კაპიტალისათვის Ფ′ — ს′ წარმოადგენს.

მიმოქცევის აქტში Ფ — ს < $^{\text{სძ}}_{\text{წს}}$ იდენტურ როლს ასრულებენ სძ და წს იმდენად, რამდენადაც ისინი საქონელს წარმოადგენენ მათ გამყიდველთა ხელში, ერთ შემთხვევაში მუშების ხელში, რომელნიც თავიანთ სამუშაო ძალას ყიდიან, მეორე შემთხვევაში — წარმოების საშუალებების მფლობელთა ხელში, რომელნიც ამ საშუალებებს ყიდიან. მყიდველისათვის, რომლის ფულიც აქ ფულადი კაპიტალის სახით მოქმედებს, სძ და წს მხოლოდ როგორც საქონელი მანამდე მოქმედებენ, ვიდრე ისინი მას ჯერ კიდევ არ უყიდნია, მაშასადამე, ვიდრე ისინი, როგორც სხვების კუთვნილი საქონელნი, პირისპირ უდგანან ფულადი ფორმით არსებულ მის კაპიტალს; წს და სძ ერთიმეორისგან აქ მხოლოდ იმდენად განსხვავდება, რამდენადაც წს მისი გამყიდველის ხელში შეიძლება წარმოადგენდეს ს′, მაშასადამე, შეიძლება შეადგენდეს კაპიტალს, ე. ი. რამდენადაც წს წარმოადგენს გამყიდველის კაპიტალის საქონლურ ფორმას, მაშინ როდესაც მუშისათვის სძ ყოველთვის საქონელს წარმოადგენს და კაპიტალად მხოლოდ მყიდველის ხელში იქცევა, როგორც ₩ შემადგენელი ნაწილი.

ამიტომ ს′ არასოდეს არ შეუძლია წრებრუნვის დაწყება როგორც უბრალო ს, როგორც კაპიტალღირებულების უბრალო საქონლურ ფორმას. როგორც საქონლური კაპიტალი, იგი ყოველთვის ორადი ხასიათისაა. სახმარი ღირებულების თვალსაზრისით ის არის მოქმედების პროდუქტი, ამ შემთხვევაში — ნართი, — პროდუქტი, რომლის ელემენტები სძ და წს, საქონელთა სახით მიმოქცევიდან მომდინარენი, მოქმედებდნენ მხოლოდ როგორც ამ პროდუქტის წარმომქმნელი ფაქტორები. მეორე, ღირებულების თვალსაზრისით ის არის კაპიტალღირებულება ₩ პლუს ₩-ის მოქმედებით წარმოებული ზედმეტი ღირებულება.

მხოლოდ თვით ს′ წრებრუნვაში მისი ნაწილი ს = ₩ = კაპიტალღირებულებას შეიძლება და უნდა გამოეყოს ს′ იმ ნაწილს, რომელშიც ზედმეტი ღირებულება არსებობს; (მაშასადამე, საქონლური პროდუქ-

ტი, რომელშიც კაპიტალღირებულება არსებობს, შეიძლება და უნდა გამოეყოს ზედმეტ პროდუქტს, რომელიც ზედმეტ ღირებულებას შეიცავს), —გამოეყოს მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა ფაქტიურად მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა, როგორც ესაა ნართის შემთხვევაში, თუ არ არის შესაძლებელი, როგორც მანქანაში. ყოველ შემთხვევაში ამ ღირებულებათა ერთიმეორისაგან გამოყოფა შესაძლებელი ხდება ყოველთვის, როგორც კი ს′ გადაიქცევა ფ′-ად.

თუ მთელი საქონლური პროდუქტი შესაძლებელია დაიყოს დამოუკიდებელ ერთგვაროვან ნაწილობრივ პროდუქტებად, როგორც, მაგალითად, ჩვენი 10 000 გირვ. ნართი, და თუ, ამიტომ, აქტი ს′—ფ′ შესაძლებელია გამოიხატოს განსაზღვრული რაოდენობის ერთიმეორის მიყოლებით შესრულებულ გაყიდვათა სახით, მაშინ შეიძლება კაპიტალღირებულება საქონლურ ფორმაში მოქმედებდეს როგორც ს, შეიძლება გამოეყოს ს′ მანამდე, სანამ ზედმეტი ღირებულების, მაშასადამე, სანამ მთლიანად ს′ რეალიზაცია მოხდებოდეს.

500 გირვ. სტერლინგის ღირებულების 10 000 გირვ. ნართიდან 8 440 გირვანქის ღირებულება = 422 გირვ. სტერლ. = ზედმეტი ღირებულებისგან გამოყოფილ კაპიტალღირებულებას. თუ კაპიტალისტი მხოლოდ 8 440 გირვ. ნართს გაყიდის 422 გირვ. სტერლინგად, — ეს 8 440 გირვ. ნართი გამოხატავს ს, კაპიტალღირებულებას საქონლურ ფორმაში; 1 560 გირვ. სტერლ. რაოდენობის ზედმეტი პროდუქტი, რასაც, გარდა ამისა, იგივე ს′ შეიცავს კიდევ, და რაც 78 გირვ. სტერლინგის რაოდენობის ზედმეტ ღირებულებას უდრის, მიმოქცევაში მხოლოდ შემდეგ შევიდოდა; კაპიტალისტი შეძლებდა ს — ფ — ს′ < ს′ ფ′ შესრულებას მანამდე, სანამ შესრულდებოდეს ზედმეტი პროდუქტის მიმოქცევა ს — ფ — ს.

ანდა, თუ იგი ჯერ გაყიდდა 372 გირვ. სტერლინგის ღირებულების 7 440 გირვ. ნართს და შემდეგ 50 გირვ. სტერლინგის ღირებულების 1 000 გირვ. ნართს, — მაშინ ს პირველი ნაწილით შეიძლებოდა ანაზღაურებულიყო წარმოების საშუალებანი (კაპიტალის მუდმივი ნაწილი c), ხოლო ს მეორე ნაწილით — კაპიტალის ცვალებადი ნაწილი v, სამუშაო ძალა, და ამის შემდეგ ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც უწინ.

მაგრამ თუ ადგილი აქვს ასეთ თანმიმდევრულ გაყიდვათა აქტებს და თუ წრებრუნვის პირობები ამის საშუალებას იძლევა, — კაპიტალისტს, ნაცვლად იმისა, რომ ს′ დაყოს $c + v + m$-ად, შეუძლია ეს დაყოფა აგრეთვე ს′ ყოველი ნაწილის მიმართ მოახდინოს.

მაგალითად, 7 440 გირვ. ნართი = 372 გირვ. სტერლ., რომელიც ს′ (10 000 გირვ. ნართის = 500 გირვ. სტერლ.) ნაწილების სახით კაპიტალის მუდმივი ნაწილის წარმომადგენელია, თავის მხრივ შეიძლება დანაწილდეს 276,768 გირვ. სტერლინგის ღირებულების 5 535, 360 გირვ. ნართად, რომელიც ანაზღაურებს კაპიტალის მხოლოდ მუდმივ ნაწილს, 7 440 გირვ. ნართის წარმოებაზე მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებას; 37,200 გირვ. სტერლინგის ღირებულების 744 გირვ. ნართად, რომელიც მხოლოდ ცვალებად კაპიტალს ანაზღაურებს, და 58,032 გირვ. სტერლინგის ღერებულების 1 160, 640 გირვ. ნართად, რომელიც ზედმეტი პროდუქტის სახით ზედმეტი ღირებულების მატარებელია. მაშასადამე, 7,440 გირვანქა ნართის გაყიდვით კაპიტალისტს შეუძლია ის კაპიტალღირებულება, რომელსაც ეს 7 440 გირვანქა ნართი შეიცავს, აანაზღაუროს 6 279,360 გირვ. ნართის 313, 968 გირვ. სტერლინგად გაყიდვის გზით, ხოლო ზედმეტი პროდუქტის 1 160, 640 გირვანქის ღირებულება, რაც 58,032 გირვ. სტერლინგს უდრის, დახარჯოს როგორც შემოსავალი.

შემდეგ, ასევე შეუძლია მას დაყოს 1 000 გირვ. ნართი, = 50 გირვ. სტერლ. = ცვალებადი კაპიტალის ღირებულებად, და შესაბამისად გაყიდოს ისინი: 744 გირვ. ნართი 37, 200 გირვ. სტერლინგად, რაც 1 000 გირვ. ნართში მოქცეული მუდმივი კაპიტალის ღირებულება იქნება; 100 გირვ. ნართში 5,000 გირვ. სტერლინგად, რაც იმავე 1 000 გირვ. ნართში მოქცეული ცვალებადი კაპიტალის ღირებულება იქნება; მაშასადამე, 844 გირვ. ნართი 42, 200 გირვ. სტერლინგად, რაც 1 000 გირვ. ნართში მოქცეული კაპიტალღირებულების ანაზღაურება იქნება; დასასრულ, 156 გირვ. ნართი 7,800 გირვ. სტერლინგის ღირებულებისა, რაც მასში მოქცეულ ზედმეტ პროდუქტს გამოხატავს და, როგორც ასეთი, კაპიტალისტს შეუძლია მოიხმაროს.

დასასრულ, კაპიტალისტს შეუძლია დანარჩენი 1 560 გირვ. ნართი 78 გირვ. სტერლინგის ღირებულებისა, თუ გაყიდვა ხერხდება, იმგვარად დაყოს, რომ 1 160, 640 გირვ. ნართის 58,032 გირვ. სტერლინგად გაყიდვით ანაზღაურდეს 1 560 გირვ. ნართში მოქცეული წარმოების საშუალებათა ღირებულება და 7,800 გირვ. სტერლინგის ღირებულების 156 გირვ. ნართის გაყიდვით — ცვალებადი კაპიტალის ღირებულება; ერთად აღებული 1 316,640 გირვანქა ნართი = 65,832 გირვ. სტერლ. წარმოადგენს მთელი კაპიტალღირებულების ანაზღაურებას; ბოლოს, რჩება შემოსავლის სახით დასახარჯავად ზედმეტი პროდუქტი 243,360 გირვ. ნართი = 12,168 გირვ. სტერლინგს.

როგორც ნართში არსებული ყოველი ელემენტი c, v, m შეიძლება, თავის მხრივ, იმავე შემადგენელ ნაწილებად დაიყოს, ასევე შესაძლებელია დაიყოს თვითეული ცალკე გირვანქა ნართიც 1 შილინგის ღირებულებისა = 12 პენსს.

$c = 0{,}744$	გირვ.	ნართს	= 8,928	პენსს
$v = 0{,}100$	»	»	= 1,200	»
$m = 0{,}156$	»	»	= 1,872	»
$c+v+m=1$	გირვ.	ნართს	= 12	პენსს.

თუ ჩვენ სამი ზემოაღნიშნული ნაწილობრივი გაყიდვის შედეგებს შევაერთებთ, იმავე შედეგს მივიღებთ, რაც 10 000 გირვ. ნართის ერთბაშად გაყიდვისას გვქონდა.

ჩვენ გვაქვს მუდმივი კაპიტალი:

1-ლი	გაყიდვისას:	5 535, 360	გირვ.	ნართი	= 276, 768	გირვ.	სტერლ.
მე-2	»	744, 000	»	»	= 37, 200	»	»
მე-3	»	1 160, 640	»	»	= 58, 032	»	»
	სულ	7 440	გირვ.	ნართი	= 372	გირვ.	სტერლ.

ცვალებადი კაპიტალი:

1-ლი	გაყიდვისას:	744, 000	გირვ.	ნართი	= 37, 200	გირვ.	სტერლ.
მე-2	»	100, 000	»	»	= 5,000	»	»
მე-3	»	156, 000	»	»	= 7,800	»	»
	სულ	1 000	გირვ.	ნართი	= 50	გირვ.	სტერლ.

ზედმეტი ღირებულება:

1-ლი	გაყიდვისას:	1 160, 640	გირვ.	ნართი	= 58,032	გირვ.	სტერლ.
მე-2	»	156, 000	»	»	= 7,800	»	»
მე-3	»	243, 360	»	»	= 12, 168	»	»
	სულ . .	1 560	გირვ.	ნართი	= 78	გირვ.	სტერლ.

საერთო შენაჯამი:

მუდმივი	კაპიტალი:	7 440	გირვ.	ნართი	= 372	გირვ.	სტერლ.
ცვალებადი	»	1 000	»	»	= 50	»	»
ზედმეტი	ღირებულება	1 560	»	»	= 78	»	»
	სულ	10 000	გირვ.	ნართი	= 500	გირვ.	სტერლ.

ს′ — ფ′ თავისთავად სხვა არაფერია, თუ არა 10 000 გირვ. ნართის გაყიდვა. 10 000 გირვ. ნართი ისეთივე საქონელია, როგორც ყოველი სხვა ნართი. მყიდველს აინტერესებს 1 შილინგი ფასი გირვანქისათვის ანუ 500 გირვ. სტერლინგი 10 000 გირვანქისათვის. თუ იგი გარიგების დროს ყურადღებას აქცევს ღირებულებრივ შედგენილობას, ამას აკეთებს მზაკვრული განზრახვით: დაამტკიცოს, რომ გირვანქა ნართი 1 შილინგზე იაფად შეიძლება გაიყიდოს და რომ ამ შემთხვევაშიც გამყიდველისთვის ეს სახეირო იქნება. მაგრამ საქონლის რაოდენობა, რომელსაც იგი ყიდულობს, დამოკიდებულია მყიდველის მოთხოვნილებაზე; თუ იგი, მაგალითად, საფეიქრო დაწესებულების მესაკუთრეა, მაშინ საქონლის რაოდენობა დამოკიდებულია საფეიქრო დაწესებულებაში მოქმედი მისი საკუთარი კაპიტალის შედგენილობაზე, და არა იმ მეფაბრიკე-მრთველის კაპიტალის შედგენილობაზე, რომლისგანაც იგი ყიდულობს. ის პროპორცია, რომლის მიხედვით ს′, ერთი მხრივ, უნდა ანაზღაურებდეს მის წარმოებაზე მოხმარებულ კაპიტალს (ანუ ამ კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელ ნაწილებს), და, მეორე მხრივ, უნდა წარმოადგენდეს ზედმეტ პროდუქტს, რომელიც განკუთვნილია ან იმისათვის, რომ ზედმეტი ღირებულების სახით იქნას მოხმარებული ან იმისათვის, რომ კაპიტალის სახით დაგროვდეს, — ეს პროპორცია არსებობს მხოლოდ იმ კაპიტალის წრებრუნვაში, რომლის საქონლურ ფორმას 10 000 გირვ. ნართი წარმოადგენს. ამ პროპორციას გაყიდვასთან როგორც ასეთთან არავითარი კავშირი არა აქვს. გარდა ამისა, აქ ნავარაუდევია, რომ ს′-ის გაყიდვა ხდება მისი ღირებულების მიხედვით, რომ, მაშასადამე, ლაპარაკია მხოლოდ მის გარდაქმნაზე საქონლური ფორმიდან ფულად ფორმად. ს′-ისთვის, როგორც ამ ცალკეული კაპიტალის წრებრუნვის ფუნქციური ფორმისათვის, საიდანაც მწარმოებლური კაპიტალი უნდა ანაზღაურდეს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია, იმ გარემოებას, გადაიხრება თუ არა და რამდენად გადაიხრება გაყიდვისას ერთიმეორისგან ფასი და ღირებულება; მაგრამ აქ, სადაც ჩვენ მხოლოდ ფორმის სხვაობებს განვიხილავთ, არ გვესაჭიროება ამ საკითხზე შეჩერება.

I ფორმაში ფ...ფ′, წარმოების პროცესი გვევლინება როგორც კაპიტალის მიმოქცევის ორი, ერთიმეორის შემავსებელი და ერთიმეორის მოპირისპირე ფაზის შუაში მიმდინარე პროცესი. იგი უკვე დამთავრებულია, სანამ დასკვნითი ფაზა ს′ — ფ′ დაიწყებოდეს. ფული ავანსდება კაპიტალის სახით ჯერ წარმოების ელემენტებისათვის, აქედან გადაიქცევა საქონლურ პროდუქტად, ხოლო ეს საქონლური პროდუქტი კვლავ გადაიქცევა ფულად. ეს არის საქმიან ურთიერთობათა სრულიად

დამთავრებული ციკლი, რომლის შედეგს ყველაფრისათვის და ყველასთვის გამოსაყენებელი ფული წარმოადგენს. ამრიგად, პროცესის ხელახლა დაწყება მოცემულია მხოლოდ შესაძლებლობაში. ფ...წ...ფ′ შეიძლება უკანასკნელი წრებრუნვაც იყოს, რომელიც საწარმოდან გამოსული ინდივიდუალური კაპიტალის ფუნქციას ამთავრებს და იმ კაპიტალის პირველი წრებრუნვაც, რომელიც ახლად იწყებს თავისი ფუნქციის შესრულებას. საყოველთაო მოძრაობა არის აქ ფ...ფ′, განსაზღვრული სიდიდის ფულიდან მეტი ფულისაკენ.

II ფორმაში, წ...ს′ — ფ′ — ს...წ (წ′), ერთობლივი მიმოქცევის პროცესი მისდევს პირველ წ და წინ უძღვის მეორეს; მაგრამ იგი I ფორმის საწინააღმდეგო წესით მიმდინარეობს. პირველი წ არის მწარმოებლური კაპიტალი და მისი ფუნქციაა წარმოების პროცესი, რომელიც შემდგომი მიმოქცევის პროცესის წინაპირობას შეადგენს. პირიქით, დასკვნითი წ არაა წარმოების პროცესი; იგი წარმოადგენს სამრეწველო კაპიტალის მხოლოდ ხელახალ არსებობას მის, როგორც მწარმოებლური კაპიტალის, ფორმაში. ამასთან იგი შედეგია მიმოქცევის უკანასკნელ ფაზაში შესრულებული კაპიტალღირებულების გარდაქმნისა სძ + წს, სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებად, რომელნიც თავიანთი შეერთებით მწარმოებლური კაპიტალის არსებობის ფორმას ქმნიან. კაპიტალი, წ არის იგი თუ წ′, ბოლოს კვლავ ისეთ ფორმაში იმყოფება, რომელშიც მან ხელახლა მწარმოებლური კაპიტალის სახით უნდა იმოქმედოს, წარმოების პროცესი უნდა შეასრულოს. მოძრაობის საყოველთაო ფორმა, წ...წ, კვლავწარმოების ფორმაა და, არ მიუთითებს, მსგავსად ფ...ფ′, ღირებულების ზრდაზე როგორც პროცესის მიზანზე. ამიტომ მით უფრო უადვილებს იგი კლასიკურ ეკონომიას მხედველობაში არ მიიღოს წარმოების პროცესის განსაზღვრული კაპიტალისტური ფორმა და წარმოება როგორც ასეთი დასახოს პროცესის მიზნად, რომელიც ვითომ იმაში მდგომარეობს, რომ პროდუქტი რაც შეიძლება ბევრი და რაც შეიძლება იაფად იწარმოებოდეს და რომ ის რაც შეიძლება მრავალგვაროვან სხვა პროდუქტებზე იცვლებოდეს, ნაწილობრივ წარმოების განახლებისათვის (ფ — ს), ნაწილობრივ კი მოხმარებისათვის (ფ — ს). ამასთან, რადგან ფ და ფ აქ სწრაფწარმავალ მიმოქცევის საშუალებას წარმოადგენს, ამიტომ როგორც ფულის, ისე ფულადი კაპიტალის თავისებურებანი ადვილად შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს, და ისე გამოდის, რომ მთელი პროცესი მარტივი და ბუნებრივია, ე. ი. რომ მას ბანალური რაციონალიზმის ბუნებრივობა აქვს. ასევე საქონლური კაპიტალის განნ-

ხილვისას ზოგჯერ ივიწყებენ მოგებას, და როდესაც ლაპარაკია წარმოების წრებრუნვაზე მთლიანად, საქონლურ კაპიტალს წარმოგვიდგენენ მარტოოდენ როგორც საქონელს, ხოლო როდესაც ღირებულების შემადგენელ ნაწილებზეა ლაპარაკი, მას წარმოგვიდგენენ როგორც საქონლურ კაპიტალს. რასაკვირველია, დაგროვებაც იმგვარადვე გამოისახება, როგორც წარმოება.

III ფორმაში, ს′ — ფ′ —ს...ფ...ს′, წრებრუნვას იწყებს მიმოქცევის პროცესის ორი ფაზა, და სწორედ იმავე წესით — როგორც II ფორმაში, ე. ი. ფ...ფ-ში; შემდეგ მოდის ფ, თანაც ისე, როგორც I ფორმაში, თავისი ფუნქციით, წარმოების პროცესით; ამ უკანასკნელის შედეგით, ს′-ით, მთავრდება წრებრუნვა. როგორც II ფორმაში მთავრდება იგი ფ-ით, მწარმოებლური კაპიტალის მარტოოდენ ხელახალი არსებობით, ისევე აქ მთავრდება იგი ს′-ით, საქონლური კაპიტალის ხელახალი არსებობით; როგორც II ფორმაში კაპიტალმა თავის დასკვნითს ფორმაში, ფ-ში პროცესი უნდა დაიწყოს ხელახლა წარმოების პროცესის სახით, ასევე აქ, საქონლური კაპიტალის ფორმაში სამრეწველო კაპიტალის ხელახალი გამოჩენის შემდეგ, წრებრუნვა ხელახლა უნდა დაიწყოს მიმოქცევის ფაზით ს′ — ფ′. წრებრუნვის ორივე ფორმა დაუმთავრებელი რჩება, იმიტომ რომ მათი დამთავრება არ ხდება ფ′-ით, ფ უ ლ ა დ უკუგარდაქმნილი გაზრდილი კაპიტალღირებულებით. მაშასადამე, ორივე ფორმამ უნდა განაგრძოს მოქმედება და, ამიტომ, ორივე შეიცავს კვლავწარმოებას. ერთობლივი წრებრუნვა III ფორმაში არის ს′...ს′.

მესამე ფორმას პირველი ორისაგან ის გარემოება განასხვავებს, რომ მხოლოდ ამ წრებრუნვაში გვევლინება ღირებულების ზრდის ამოსავალ პუნქტად გაზრდილი კაპიტალღირებულება და არა თავდაპირველი კაპიტალღირებულება, რომელიც მომავალში უნდა გაიზარდოს. ამოსავალ პუნქტს შეადგენს აქ ს′, რომელიც კაპიტალურთიერთობას წარმოადგენს, და როგორც ასეთი განმსაზღვრელ გავლენას ახდენს მთელ წრებრუნვაზე, რადგან იგი უკვე თავის პირველ ფაზაში შეიცავს როგორც კაპიტალღირებულების წრებრუნვას, ისე ზედმეტი ღირებულების წრებრუნვასაც; აგასთან ‘ზედმეტი ღირებულება, თუ თვითეულ ცალკე წრებრუნვაში არა, საშუალოდ მაინც, უნდა დაიხარჯოს ნაწილობრივ როგორც შემოსავალი, მან უნდა გაიაროს მიმოქცევა ს — ფ — ს, ნაწილობრივ კი უნდა იმოქმედოს კაპიტალის დაგროვების ელემენტის სახით.

ფორმა ს′...ს′-ში მთელი საქონლური პროდუქტის მოხმარება იგულისხმება როგორც პირობა თვით კაპიტალის წრებრუნვის ნორმა-

ლური მიმდინარეობისათვის. მუშის ინდივიდუალური მოხმარება და ზედმეტი ღირებულების დაუგროვებელი ნაწილის ინდივიდუალური მოხმარება მოიცავს მთელ ინდივიდუალურ მოხმარებას. მაშასადამე, მოხმარება მთლიანად აღებული, — როგორც ინდივიდუალური და როგორც მწარმოებლური მოხმარება, — შედის ს′ წრებრუნვაში როგორც მისი პირობა. მწარმოებლურ მოხმარებას (რაშიც არსებითად მუშის ინდივიდუალური მოხმარებაც შედის, რადგან სამუშაო ძალა გარკვეულ ფარგლებში მუშის ინდივიდუალური მოხმარების მუდმივ პროდუქტს წარმოადგენს) თვითეული ინდივიდუალური კაპიტალი უშუალოდ აპორციელებს. ინდივიდუალური მოხმარება, — იმის გამოკლებით, რაც საჭიროა ინდივიდუალური კაპიტალისტის არსებობისათვის — იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი აქტი და სრულიადაც არა როგორც ინდივიდუალური კაპიტალისტის აქტი.

I და II ფორმაში ერთობლივი მოძრაობა გამოიხატება როგორც ავანსებული კაპიტალღირებულების მოძრაობა. III ფორმაში ღირებულებაგაზრდილი კაპიტალი, ერთობლივი საქონლური პროდუქტის სახით, შეადგენს ამოსავალ პუნქტს და აქვს მოძრავი კაპიტალის, საქონლური კაპიტალის ფორმა. მხოლოდ მისი ფულად გარდაქმნის შემდეგ განშტოვდება ეს მოძრაობა კაპიტალის მოძრაობად და შემოსავლის მოძრაობად. ამ ფორმით კაპიტალის წრებრუნვაში ჩართულია როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილება, ისე ყოველი ინდივიდუალური საქონლური კაპიტალის პროდუქტის განსაკუთრებული განაწილებაც — განაწილება, ერთი მხრივ, ინდივიდუალური მოხმარების ფონდად, მეორე მხრივ, კვლავწარმოების ფონდად.

ფ...ფ′ შეიცავს წრებრუნვის შესაძლებელ გაფართოებას, იმისდა მიხედვით, თუ რა სიდიდისაა ფ, რომელიც განახლებულ წრებრუნვაში შედის.

[∇ შესაძლებელია ∇...∇-ში ახალ წრებრუნვას იწყებდეს იმავე ღირებულებით, იქნებ ნაკლებითაც კი, და, მიუხედავად ამისა, მაინც გაფართოებული მასშტაბის კვლავწარმოებას გამოხატავდეს; მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ელემენტები გაიაფებულია შრომის ნაყოფიერების გაზრდის გამო. პირიქით, საწინააღმდეგო შემთხვევაში ღირებულების მხრივ გაზრდილი მწარმოებლური კაპიტალი შესაძლებელია ნივთიერად შეკვეცილი მასშტაბის კვლავწარმოებას გამოხატავდეს, — თუ, მაგალითად, წარმოების ელემენტები გაძვირებულია. იგივე ითქმის ს′...ს′ შესახებაც.]

ს′...ს′-ში კაპიტალის არსებობა საქონლური ფორმით წარმოების წანამძღვარს წარმოადგენს; იგი ისევ ბრუნდება როგორც წანამძღვარი

ამ წრებრუნვის ფარგლებს შიგნით მეორე ს-ში. თუ ეს ს ჯერ კიდევ არ არის წარმოებული ან კვლავწარმოებული, — წრებრუნვა ბრკოლდება; ამ ს კვლავწარმოება მეტწილად უნდა მოხდეს რომელიმე სხვა სამრეწველო კაპიტალის ს′ სახით. ამ წრებრუნვაში ს′ არსებობს როგორც მოძრაობის ამოსავალი პუნქტი, გარდამავალი პუნქტი, დასკვნითი პუნქტი, — იგი, ამიტომ, აქ არის ყოველთვის. იგი კვლავწარმოების პროცესის მუდმივი პირობაა.

ს′...ს′ კიდევ ერთი მომენტით განსხვავდება I და II ფორმისაგან. ყველა სამ წრებრუნვას საერთო ის აქვს, რომ ფორმა, რომლითაც კაპიტალი თავის წრებრუნვის პროცესს იწყებს, აგრეთვე ის ფორმა არის, რომლითაც კაპიტალი ამ წრებრუნვის პროცესს ამთავრებს, და ამის გამო კვლავ იმყოფება საწყის ფორმაში, სადაც იგი იმავე წრებრუნვას ხელახლა იწყებს. საწყისი ფორმა ფ, წ, ს′ მუდამ ის ფორმაა, რომლითაც ავანსდება კაპიტალღირებულება (III ფორმაში მასთან მიზრდილი ზედმეტი ღირებულებითურთ), — მაშასადამე, წრებრუნვის მიმართ კაპიტალღირებულების თავდაპირველი ფორმაა; დასკვნითი ფორმა კი ფ′, წ, ს′ ყოველთვის გარდაქმნილი ფორმაა წრებრუნვის რომელიმე წინა ფუნქციური ფორმისა, რომელიც თავდაპირველ ფორმას არ წარმოადგენს.

ამრიგად, I-ში ფ′ არის ს′ გარდაქმნილი ფორმა, II-ში დასკვნითი წ არის ფ-ის გარდაქმნილი ფორმა (I-შიც და II-შიც ეს გარდაქმნა ხორციელდება საქონელმიმოქცევის მარტივი აქტით, საქონლისა და ფულის ფორმალური ადგილცვლით); III-ში ს′ გარდაქმნილი ფორმაა წ-ის, მწარმოებლური კაპიტალის. მაგრამ, აქ, III-ში, გარდაქმნა შეეხება, ჯერ-ერთი, კაპიტალის არა მარტო ფუნქციურ ფორმას, არამედ მისი ღირებულების სიდიდესაც; მეორე, გარდაქმნა შედეგია არა მიმოქცევის პროცესის კუთვნილი უბრალო ფორმალური ადგილცვლისა, არამედ ნამდვილი გარდაქმნისა, რომელიც წარმოების პროცესში განიცადა მწარმოებლური კაპიტალის საქონლური შემადგენელი ნაწილების სახმარმა ფორმამ და ღირებულებამ.

კიდური საწყისი ფორმა ფ, წ, ს′ წინასწარ ნაგულისხმევია თვითეული წრებრუნვისათვის: I, II და III-ისთვის. ფორმა, რომელიც ხელახლა მეორდება ბოლო კიდურში, გამოწვეული და, მაშასადამე, გაპირობებულია თვით წრებრუნვის მეტამორფოზთა მწკრივით. ს′, როგორც ინდივიდუალური სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვის ბოლო პუნქტი, გულისხმობს მხოლოდ იმავე სამრეწველო კაპიტალის ფორმას წ, რომელიც მიმოქცევას არ ეკუთვნის და რომლის პროდუქტსაც ს′ შეადგენს; ფ′, როგორც ბოლო პუნქტი I-ში, როგორც ს′ (ს′—ფ′)-ის

გარდაქმნილი ფორმა, გულისხმობს, რომ ფ მყიდველის ხელშია, იგი არსებობს წრებრუნვის ფ...ფ′-ის გარეთ და ს′-ის გაყიდვის გზით ჩაებმება ამ წრებრუნვაში, მის საკუთარ ბოლო ფორმად იქცევა. ამრიგად, II-ში ბოლო ₩ გულისხმობს სძ-ს და ₩ს (ს)-ს როგორც გარეთ არსებულთ, რომელნიც ფ — ს მეოხებით ჩაირთვიან წრებრუნვაში, როგორც მისი ბოლო ფორმა. მაგრამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ კიდურს, არც ინდივიდუალური ფულადი კაპიტალის წრებრუნვა გულისხმობს საერთოდ ფულადი კაპიტალის არსებობას და არც ინდივიდუალური მწარმოებლური კაპიტალის წრებრუნვა გულისხმობს მწარმოებლური კაპიტალის არსებობას მათს წრებრუნვაში. I-ში ფ შეიძლება იყოს პირველი ფულადი კაპიტალი, II-ში ₩ — პირველი მწარმოებლური კაპიტალი, რომელიც ისტორიულ სარბიელზე გამოდის. მაგრამ III-ში

$$ს' \left\{ \begin{matrix} ს — \\ — ფ' \\ ს — \end{matrix} \right\} \begin{matrix} ფ — ს < \begin{matrix} სძ \\ ₩ს \end{matrix} \ldots ₩ \ldots ს' \\ ფ — ს \end{matrix}$$

ს — ორჯერ იგულისხმება წრებრუნვის გარეთ მყოფად. პირველად წრებრუნვა ს′ — ფ′—ს $< \begin{matrix} სძ \\ ₩ს \end{matrix}$ -ში. ეს ს, რამდენადაც იგი ₩ს-ისგან შედგება, საქონელია გამყიდველის ხელში; იგი თვითონ საქონლური კაპიტალია, რამდენადაც კაპიტალისტური წარმოების პროცესის პროდუქტს შეადგენს; და ასეც რომ არ იყოს, იგი მაინც საქონლურ კაპიტალს წარმოადგენს ვაჭრის ხელში. მეორეჯერ ს — ფ — ს მეორე ს-ში, რომელიც აგრეთვე უნდა არსებობდეს საქონლის სახით, რათა მისი ყიდვა შეიძლებოდეს. ყოველ შემთხვევაში სძ და ₩ს, შეადგენენ ისინი საქონლურ კაპიტალს თუ არა, საქონელს წარმოადგენენ ისევე, როგორც ს′, და ერთმანეთთან მიმართებაში არიან როგორც საქონელნი. ასეთივე მდგომარეობაა ს — ფ — ს- ში მეორე ს-ის მიმართაც. ამრიგად, რამდენადაც ს′ = ს (სძ + ₩ს), იმდენადვე საქონელნი წარმოადგენენ თვით ს′ წარმოქმნის ელემენტებს და იმდენადვე ასეთივე საქონელნი უნდა შეენაცვლონ მას მიმოქცევაში; ასევე ს — ფ — ს-ში მეორე ს სხვა ასეთივე საქონელნი უნდა შეენაცვლონ მიმოქცევაში.

გარდა ამისა, კაპიტალისტური წარმოების წესის, როგორც გაბატონებული წესის, საფუძველზე ყოველი საქონელი საქონლური კაპიტალი უნდა იყოს გამყიდველის ხელში. საქონელი განაგრძობს ასეთად ყოფნას ვაჭრის ხელში ან გადაიქცევა ასეთად, თუ უკვე წინათ არ იყო ასეთი. ანდა — როგორც, მაგალითად, იმპორტის საგნები — იგი უნდა იყოს ისეთი საქონელი, რომელიც თავდაპირველ საქონლურ

კაპიტალს შეენაცვლა და ამიტომ მას მხოლოდ არსებობის სხვა ფორმა მისცა.

საქონლური ელემენტები სძ და წს, რომლებისგანაც მწარმოებლური კაპიტალი წ შედგება, როცა ისინი წ არსებობის ფორმად გარდაიქმნებიან, სხვა სახეს იღებენ, ვიდრე საქონლის იმ სხვადასხვა ბაზარზე ჰქონდათ, სადაც ისინი შეიძინეს. ისინი ახლა შეერთებული არიან და <მხოლოდ> თავიანთ შეერთებაში შეუძლიათ იმოქმედონ მწარმოებლური კაპიტალის სახით.

ის გარემოება, რომ მხოლოდ ამ III ფორმაში, თვით წრებრუნვის შიგნით, გვევლინება ს როგორც ს წანამძღვარი, იმით აიხსნება, რომ წრებრუნვის ამოსავალ პუნქტს შეადგენს კაპიტალი საქონლურ ფორმაში. წრებრუნვა იწყება ს′ (რამდენადაც იგი მოქმედებს როგორც კაპიტალღირებულება, — სულ ერთია, ზედმეტი ღირებულების მიმატებით გადიდებულია იგი თუ არა) გარდაქმნით სხვადასხვა საქონლად, რომელნიც მისი წარმოების ელემენტებს შეადგენენ. მაგრამ ეს გარდაქმნა მოიცავს მთელ მიმოქცევის პროცესს ს — ფ — ს (= სძ + წს) და წარმოადგენს ამ უკანასკნელის შედეგს. ამრიგად, ს დგას აქ ორივე კიდურზე, მაგრამ მეორე კიდური, რომელიც თავის ფორმას ფ — ს აქტის მეოხებით იღებს გარედან, საქონლის ბაზრის სფეროდან, არ არის წრებრუნვის უკანასკნელი კიდური, არამედ მხოლოდ უკანასკნელი კიდურია მისი იმ პირველი ორი სტადიისა, რომელიც მიმოქცევის პროცესს მოიცავს. მისი შედეგია წ, რომლის ფუნქცია — წარმოების პროცესი — ამის შემდეგ იწყება. მხოლოდ როგორც ამ უკანასკნელი პროცესის შედეგი და არა როგორც მიმოქცევის პროცესის შედეგი, ს′ წარმოადგენს წრებრუნვის დასრულებას და იღებს იმავე ფორმას, რასაც საწყისი კიდური ს′. პირიქით, ფ...ფ′-ში, წ...წ-ში, დასკვნითი კიდურები ფ′ და წ მიმოქცევის პროცესის უშუალო შედეგებია. მაშასადამე, აქ მხოლოდ წრებრუნვის დასასრულს იგულისხმება, რომ სხვის ხელში იმყოფება ფ′ — ერთ შემთხვევაში და წ — მეორე შემთხვევაში. რამდენადაც წრებრუნვა კიდურებს შორის მიმდინარეობს, იმდენადვე არც ფ ერთ შემთხვევაში, არც წ მეორე შემთხვევაში, — ე. ი. არც ფ არსებობა სხვისი ფულის სახით, არც წ არსებობა სხვისი წარმოების პროცესის სახით, — არ გვევლინება როგორც ამ წრებრუნვათა წანამძღვარი. პირიქით, ს′...ს′ გულისხმობს, რომ ს (= სძ + წს) სხვისი საქონელია და სხვის ხელში იმყოფება, რომ ეს საქონელმიმოქცევის შესავალი პროცესის გზით ჩაებმის წრებრუნვაში და გარდაიქმნება მწარმოებლურ კაპიტალად, ხოლო ამ უკანასკნელის მოქმედების შედეგად ს′ კვლავ ხდება წრებრუნვის დასკვნითი ფორმა.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ წრებრუნვა ს′...ს′ გულისხმობს თავის სფეროში სხვა სამრეწველო კაპიტალის არსებობას ს (= სძ + წს) ფორმით (და წს მოიცავს სხვადასხვა კაპიტალს, მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში მანქანებს, ნახშირს, ზეთს და სხვ.), — სწორედ ამიტომ ეს წრებრუნვა უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც წრებრუნვის ზ ო გ ა დ ი ფორმა, ე. ი. არა როგორც ისეთი საზოგადოებრივი ფორმა, რომელშიც შეიძლება განხილულ იქნეს ყოველი ინდივიდუალური სამრეწველო კაპიტალი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირველად ხდება კაპიტალის დაბანდება), მაშასადამე, არა მხოლოდ როგორც მოძრაობის ფორმა, რომელიც საერთოა ყველა ინდივიდუალური სამრეწველო კაპიტალისათვის, — არამედ ამავე დროს როგორც ინდივიდუალური კაპიტალების ერთობლივი ჯამის მოძრაობის, ე. ი. კაპიტალისტთა კლასის ერთობლივი კაპიტალის მოძრაობის ფორმა, როგორც ისეთი მოძრაობა, რომლის მიმართაც თვითეული ინდივიდუალური სამრეწველო კაპიტალის მოძრაობა მხოლოდ ნაწილობრივი მოძრაობაა, გადახლართული სხვა კაპიტალების მოძრაობასთან და მათ მიერ გაპირობებული. თუ ჩვენ, მაგალითად, განვიხილავთ რომელიმე ქვეყნის წლიურ ერთობლივ საქონლურ პროდუქტს და ანალიზს გავუკეთებთ მოძრაობას, რომლის გზით ამ პროდუქტის ერთი ნაწილი ანაზღაურებს მწარმოებლურ კაპიტალს ყველა ინდივიდუალურ საწარმოში, ხოლო მეორე ნაწილი სხვადასხვა კლასების ინდივიდუალური მოხმარების სფეროში შედის, — ეს იმას ნიშნავს, რომ ს′...ს′ განვიხილავთ როგორც მოძრაობის ფორმას, რომელიც დამახასიათებელია როგორც მთლიანად აღებული საზოგადოებრივი კაპიტალისათვის, ისე ამ კაპიტალის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულებისათვის, ანუ ზედმეტი პროდუქტისათვის. ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი კაპიტალი = ინდივიდუალური კაპიტალების ჯამს (მასში აქციონერთა კაპიტალებისა და სახელმწიფო კაპიტალის ჩათვლით, რამდენადაც მთავრობები მწარმოებლურ დაქირავებულ შრომას გამოიყენებენ მთამადნის საწარმოებში, რკინიგზებზე და სხვ. და, მაშასადამე, მოქმედებენ როგორც მრეწველი კაპიტალისტები) და რომ საზოგადოებრივი კაპიტალის ერთობლივი მოძრაობა = ინდივიდუალური კაპიტალების მოძრაობის ალგებრულ ჯამს, — ეს გარემოება სრულიადაც არ გამორიცხავს იმას, რომ ეს მოძრაობა განცალკევებული ინდივიდუალური კაპიტალის სახით ამჟღავნებს სხვა მოვლენებს, ვიდრე იგივე მოძრაობა, თუ მას განვიხილავთ როგორც საზოგადოებრივი კაპიტალის ერთობლივი მოძრაობის ნაწილს, ე. ი. თუ მას განვიხილავთ კავშირში ამ უკანასკნელის სხვა ნაწილებთან;

ამასთანავე იგი იძლევა ისეთი პრობლემების გადაწყვეტას, რომელნიც აუცილებლად გადაწყვეტილად უნდა ვიგულისხმოთ ცალკეული ინდივიდუალური კაპიტალის წრებრუნვის განხილვისას, ნაცვლად იმისა, რომ ისინი ამ წრებრუნვიდან გამოვიყვანოთ.

ს′...ს′ ერთადერთი წრებრუნვაა, სადაც თავდაპირველად ავანსებული კაპიტალღირებულება მოძრაობის დამწყები კიდურის მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენს და სადაც მოძრაობა იმთავითვე გვამცნობს, რომ იგი არის სამრეწველო კაპიტალის ერთობლივი მოძრაობა, როგორც პროდუქტის იმ ნაწილის მოძრაობა, რომელიც მწარმოებლურ კაპიტალს ანაზღაურებს, ისე მისი იმ ნაწილის მოძრაობაც, რომელიც ზედმეტ ღირებულებას შეადგენს და ჩვეულებრივ იხარჯება ნაწილობრივ როგორც შემოსავალი, ნაწილობრივ კი დაგროვების ელემენტს წარმოადგენს. რამდენადაც ზედმეტი ღირებულების ხარჯვა შემოსავლის სახით ჩართულია ამ წრებრუნვაში, იმდენადვე მასში ჩართულია ინდივიდუალური მოხმარებაც. მაგრამ ეს უკანასკნელი მასში ჩართულია შემდეგ კიდევ იმიტომაც, რომ ამოსავალი პუნქტი ს, საქონელი, არსებობს მოხმარების რომელიმე საგნის სახით; ხოლო ყოველი კაპიტალისტურად წარმოებული საგანი საქონლური კაპიტალია, სულ ერთია, — განკუთვნილია იგი მისი სახმარი ფორმით მწარმოებლური თუ ინდივიდუალური მოხმარებისთვის, თუ ერთისთვისაც და მეორისთვისაც. ფ...ფ′ მიუთითებს მხოლოდ ერთ მხარეზე: ღირებულებაზე, ავანსებული კაპიტალღირებულების ზრდაზე როგორც მთელი პროცესის მიზანზე; ფ...ფ (ფ′) მიუთითებს კაპიტალის წარმოების პროცესზე როგორც კვლავწარმოების პროცესზე, ამასთან მწარმოებლური კაპიტალის სიდიდე უცვლელი რჩება ან იზრდება (დაგროვება); ს′...ს′, რომელიც გვამცნობს, რომ იგი უკვე თავის საწყის კიდურში კაპიტალისტური საქონელწარმოების ფორმაა, იმთავითვე შეიცავს მწარმოებლურ და ინდივიდუალურ მოხმარებას; მწარმოებლური მოხმარება და მასში მოქცეული ღირებულების ზრდა გვევლინება მხოლოდ როგორც შტო ამ ფორმის მოძრაობისა. დასასრულ, რადგან ს′ შეიძლება ისეთი სახმარი ფორმით არსებობდეს, რომელსაც არავითარ ახალ წარმოების პროცესში არ შეუძლია კვლავ შევიდეს, ამიტომ ეს უკვე წინდაწინვე გვიჩვენებს, რომ პროდუქტის სხვადასხვა ნაწილებით გამოსახულმა ს′ ღირებულების შემადგენელმა ნაწილებმა სხვადასხვა ადგილი უნდა დაიკავონ, იმის მიხედვით, აიღება ს′...ს′ როგორც საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის მოძრაობის ფორმა, თუ როგორც ინდივიდუალური სამრეწველო კაპიტალის დამოუკიდებელი მოძრაობა. ყველა ამ თავისებურებით ამ წრებრუნვას გავეცანით

მის, როგორც მარტოოდენ ინდივიდუალური კაპიტალის განცალკევებული წრებრუნვის, ფარგლებს გარეთ.

ფიგურაში ს′...ს′ საქონლური კაპიტალის, ე. ი. კაპიტალისტურად წარმოებული ერთობლივი პროდუქტის, მოძრაობა გვევლინება არა მარტო როგორც ინდივიდუალური კაპიტალის თავისთავადი წრებრუნვის წანამძღვარი, არამედ აგრეთვე როგორც, თავის მხრივ, ამ წრებრუნვით გაპირობებული. ამიტომ, თუ ეს ფიგურა გავიგეთ მის თავისებურებაში, მაშინ აღარ კმარა იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდეთ, რომ მეტამორფოზები ს′ — ფ′ და ფ — ს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, ფუნქციურად განსაზღვრულ ეტაპებს კაპიტალის მეტამორფოზში, მეორე მხრივ, — საყოველთაო საქონელმიმოქცევის წევრებს. აუცილებელია ნათლად გავარკვიოთ ერთი ინდივიდუალური კაპიტალის მეტამორფოზთა გადახლართულობა სხვა ინდივიდუალური კაპიტალების მეტამორფოზებთან და ერთობლივი პროდუქტის იმ ნაწილთან, რომელიც ინდივიდუალური მოხმარებისათვის არის განკუთვნილი. ამიტომ ინდივიდუალური სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვის ანალიზის დროს ჩვენ საფუძვლად ვიღებთ უპირატესად პირველ ორ ფორმას.

წრებრუნვა ს′...ს′ გვევლინება როგორც ცალკეული ინდივიდუალური კაპიტალის ფორმა, მაგალითად, მიწათმოქმედებაში, სადაც ანგარიში იწარმოება მოსავლიდან მოსავლამდე. II ფიგურაში ამოსავალ პუნქტს შეადგენს თესვა, III ფიგურაში — მოსავალი, ანუ, როგორც ფიზიოკრატები ამბობენ, პირველში avances, მეორეში — reprises. კაპიტალღირებულების მოძრაობა III ფიგურაში იმთავითვე გვევლინება მხოლოდ როგორც პროდუქტთა საერთო მასის მოძრაობის ნაწილი, მაშინ როდესაც I და II-ში ს′ მოძრაობა განცალკევებული კაპიტალის მოძრაობის მხოლოდ მომენტს შეადგენს.

III ფიგურაში ბაზარზე საქონელთა არსებობა წარმოებისა და კვლავწარმოების პროცესის მუდმივ წანამძღვარს შეადგენს. ამიტომ, თუ ყურადღება მხოლოდ ამ ფიგურაზე შევაჩერეთ, — ისე გვეჩვენება, რომ წარმოების პროცესის ყველა ელემენტი საქონელმიმოქცევიდან მომდინარეობს და მხოლოდ საქონელთაგან შედგება. ეს ცალმხრივი გაგება ვერ ამჩნევს წარმოების პროცესის ისეთ ელემენტებს, რომელნიც საქონლურ ელემენტებზე არ არიან დამოკიდებულნი.

⌐ რადგან ს′...ს′ ამოსავალ პუნქტს ერთობლივი პროდუქტი (ერთობლივი ღირებულება) შეადგენს, ამიტომ აქ ცხადი ხდება, რომ (თუ მაედველობაში არ მივიღებთ საგარეო ვაჭრობას) კვლავწარმოებას გაფართოებული მასშტაბით, მწარმოებლურობის უცვლელობისას, მხოლოდ მაშინ შეიძლება ექნეს ადგილი, თუ ზედმეტი პროდუქტის სა-

კაპიტალიზაციო ნაწილი უკვე შეიცავს დამატებითი მწარმოებლური კაპიტალის ნივთიერ ელემენტებს; მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ რამდენადაც ერთი წლის წარმოება შემდგომი წლის წარმოების წანამძღვარს შეადგენს, ანდა რამდენადაც ეს წარმოება შეიძლება ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდეს მარტივი კვლავწარმოების პროცესის იმავდროულად, იმდენად ზედმეტი პროდუქტი უშუალოდ იწარმოება ისეთი ფორმით, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს იმოქმედოს დამატებითი კაპიტალის სახით. გადიდებულ მწარმოებლურობას შეუძლია გაადიდოს მხოლოდ კაპიტალის ნივთიერება, მისი ღირებულების გაუდიდებლად; მაგრამ ამით იგი დამატებით მასალახ ქმნის ღირებულების ზრდისათვის.

ს′ ... ს′ საფუძვლად უდევს კენეს Tableau èconomique-ს [ეკონომიურ ცხრილს] და ის გარემოება, რომ, მან, წინააღმდეგ ფორმისა. ფ...ფ′ (რომელსაც როგორც ერთადერთს ჩასჭიდებოდა მერკანტილური სისტემა), სწორედ ეს ფორმა აირჩია და არა წ ... წ, მოწმობს მის დიდსა და სწორ ტაქტს.

თავი მეოთხე

წრებრუნვის პროცესის სამი ფიგურა

თუ მიმოქცევის ერთობლივ პროცესს აღვნიშნავთ ქც-ით, სამი ფიგურა შეიძლება გამოიხატოს ასე:

I. ფ — ს...ᲬᲬ...ს′ — ფ′
II. ᲬᲬ... ქც ... ᲬᲬ
III. ქც... ᲬᲬ (ს′)

. თუ სამივე ფიგურას ერთად შევაერთებთ, აღმოჩნდება, რომ პროცესის ყველა წანამძღვარი მისი შედეგია, თვითონ მის მიერ წარმოებული წანამძღვარია, <ხოლო ყველა მისი შედეგი მისი წანამძღვრებია>. ყოველი მომენტი გვევლინება ამოსავალ პუნქტად, გარდამავალ პუნქტად და უკუდაბრუნების პუნქტად. ერთობლივი პროცესი გამოიხატება როგორც წარმოების პროცესისა და მიმოქცევის პროცესის ერთიანობა; წარმოების პროცესი მიმოქცევის პროცესის მოსაშუალე რგოლი ხდება და პირიქით.

, სამივე წრებრუნვას საერთო აქვს შემდეგი: ღირებულების ზრდა, როგორც პროცესის განმსაზღვრელი მიზანი, როგორც მამოძრავებელი მოტივი. I-ში ეს თვით ფორმაშია გამოსახული. II ფორმაში იწყება ᲬᲬ-ით, თვითონ ღირებულების ზრდის პროცესით. III-ში წრებრუნვა იწყება გაზრდილი ღირებულებით და მთავრდება ახლად გაზრდილი ღირებულებით, მაშინაც კი, თუ მოძრაობა წინანდელი მასშტაბით შეორდება.

რამდენადაც ს — ფ მყიდველისათვის არის ფ — ს და ფ — ს გამყიდველისათვის არის ს — ფ, იმდენად კაპიტალის მიმოქცევა მხოლოდ საქონლის ჩვეულებრივ მეტამორფოზს გამოხატავს, და მის შესახებ განვითარებული კანონები (წიგნი I, თავი III,2), რომლებიც განსაზღვრავენ მიმოქცევაში მყოფი ფულის მასას, აქ თავიანთ მნიშვნელობას ინარჩუნებენ. მაგრამ თუ საქმის ამ ფორმალურ მხარეზე არ შეეჩერ-

დებით და სხვადასხვა ინდივიდუალური კაპიტალების მეტამორფოზთა რეალურ კავშირს, მაშასადამე, არსებითად ინდივიდუალური კაპიტალების წრებრუნვათა კავშირს განვიხილავთ როგორც საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის ნაწილობრივ მოძრაობას, მაშინ ეს კავშირი არ შეიძლება ავხსნათ ფულისა და საქონლის უბრალო ფორმაცვალებით.

განუწყვეტლივ მბრუნავ წრეში თვითეული პუნქტი ერთსა და იმავე დროს ამოსავალი პუნქტიც არის და უკუდაბრუნების პუნქტიც. თუ ბრუნვა შეწყდა, მაშინ ყოველი ამოსავალი პუნქტი აღარ არის უკუდაბრუნების პუნქტი. ასე მაგ., ჩვენ დავინახეთ, რომ არა მარტო თვითეული განსაკუთრებული წრებრუნვა გულისხმობს სხვა წრებრუნვას (implicite), არამედ ერთი ფორმის წრებრუნვის განმეორებაც გულისხმობს სხვა ფორმების წრებრუნვას. ამრიგად, გამოდის, რომ მთელი განსხვავება წმინდა ფორმალური ანუ თუნდაც წმინდა სუბიექტური განსხვავებაა, რაც მხოლოდ დამკვირვებლისთვის არსებობს.

რამდენადაც თვითეული ამ წრებრუნვათაგანი განიხილება როგორც მოძრაობის განსაკუთრებული ფორმა, რომელშიც სხვადასხვა ინდივიდუალური სამრეწველო კაპიტალი იმყოფება, იმდენად ეს განსხვავებაც ყოველთვის მხოლოდ ინდივიდუალური განსხვავების საბით არსებობს. სინამდვილეში კი თვითეული ინდივიდუალური სამრეწველო კაპიტალი ერთსა და იმავე დროს სამივე წრებრუნვაში იმყოფება. სამი წრებრუნვა, სამი სახის კაპიტალის კვლავწარმოების ფორმები, განუწყვეტლივ ერთიმეორის გვერდით მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, კაპიტალღირებულების ერთი ნაწილი, რომელიც ახლა საქონლური კაპიტალის სახით მოქმედებს, გადაიქცევა ფულად კაპიტალად, მაგრამ იმავდროულად მეორე ნაწილი გამოდის წარმოების პროცესიდან და შედის მიმოქცევაში როგორც ახალი საქონლური კაპიტალი. ასე შემოიხაზება მუდამ წრიული ფორმა ს′... ს′; იგივე ითქმის ორი სხვა ფორმის ‘ესახებაც. კაპიტალის კვლავწარმოება თვითეულ მის ფორმას და თვითეულ ‘ის სტადიაში ისევე განუწყვეტელია, როგორც ამ ფორმების მეტამორფოზი და თანმიმდევრული გავლა სამ სტადიაში. მაშასადამე, აქ ერთობლივი წრებრუნვა კაპიტალის სამი ფორმის ნამდვილ ერთიანობას წარმოადგენს.

ჩვენს გამოკვლევაში ნავარაუდევი იყო, რომ კაპიტალღირებულება სრული თავისი სიდიდით წარმოკვიდგება მთლიანად ხან როგორც ფულადი კაპიტალი, ხან როგორც მწარმოებლური კაპიტალი, ხან როგორც საქონლური კაპიტალი. ასე, მაგალითად, 422 გირვ. სტერლ. ჩვენ გვქონდა მთლად ჯერ ფულადი კაპიტალის სახით, შემდეგ,

ასევე მთელი მისი მოცულობით, მწარმოებლურ კაპიტალად გარდაქმნილი, ბოლოს — როგორც საქონლური კაპიტალი: ნართი 500 გირვ. სტერლ. ღირებულებისა (რომელშიც 78 გირვ. სტერლ. ზედმეტი ღირებულებაა). სხვადასხვა სტადია აქ ამდენსავე შეწყვეტას გამოსახავს. მაგალითად, ვიდრე 422 გირვ. სტერლ. ფულად ფორმაში განაგრძობს არსებობას, ე. ი. ვიდრე ყიდვის აქტები Ფ — ს (სძ + წს) არ შესრულებულა, მანამდე მთელი კაპიტალი არსებობს და მოქმედებს მხოლოდ როგორც ფულადი კაპიტალი. როგორც კი იგი მწარმოებლურ კაპიტალად გადაიქცევა, იგი უკვე აღარ მოქმედებს არც ფულადი კაპიტალის სახით და არც საქონლური კაპიტალის სახით. მისი მიმოქცევის ერთობლივი პროცესი წყდება, მსგავსად იმისა, როგორც, მეორე მხრივ, წყდება მისი წარმოების ერთობლივი პროცესი, როცა კი ეს კაპიტალი — ფ თუ ს′ სახით — მიმოქცევის ორი სტადიიდან ერთ-ერთ სტადიაში იწყებს მიმოქცევას. მაშასადამე, ამ შემთხვევაში წრებრუნვა წ...წ გამომხატველი იქნებოდა არა მარტო მწარმოებლური კაპიტალის პერიოდული განახლებისა, არამედ მისი ფუნქციის — წარმოების პროცესის — შეწყვეტისაც, რომელიც მანამდე გრძელდება. ვიდრე მიმოქცევის პროცესი არ იქნება განვლილი; ნაცვლად იმისა, რომ წარმოება შეუწყვეტლად სრულდებოდეს, ნახტომებით შესრულდებოდა და გაურკვეველი ხანგრძლიობის პერიოდების შემდეგ განაახლდებოდა იმის მიხედვით, თუ რაოდენ სწრაფად ან ნელა დასრულდებოდა მიმოქცევის პროცესის ორი სტადია. ასე ხდება ეს, მაგალითად, ჩინელ ხელოსანთან, რომელიც მხოლოდ კერძო დამკვეთლებისთვის მუშაობს და რომლის წარმოების პროცესი წყდება ახალი დაკვეთის მიღებამდე.

სინამდვილეში ასეა საქმე კაპიტალის ყოველი ცალკეული ნაწილის მიმართ, რომელიც მოძრაობაში იმყოფება, და კაპიტალის ყველა ნაწილი რიგრიგობით გაივლის ამ მოძრაობას. მაგალითად, 10 000 გირვ. ნართი მრთველის კვირეული პროდუქტია. ეს 10 000 გირვ. ნართი მთლიანად გამოდის წარმოების სფეროდან და შედის მიმოქცევის სფეროში: მასში მოქცეული კაპიტალღირებულება მთლიანად უნდა გარდაიქმნას ფულად კაპიტალად, და სანამ იგი ფულადი კაპიტალის ფორმაში რჩება, მას არ შეუძლია ხელახლა შევიდეს წარმოების პროცესში; იგი წინასწარ მიმოქცევაში უნდა შევიდეს და კვლავ მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებად, სძ + წს-ად უნდა გარდაიქმნას. კაპიტალის წრებრუნვის პროცესი არის მუდმივი შეწყვეტა, ერთი სტადიის დატოვება, შემდგომ სტადიაში გადასვლა; ერთი ფორმის თავიდან მოცილება, მეორე ფორმაში არსებობა; თვითეული ამ სტადიათაგა-

ნი არათუ განაპირობებს მეორეს, არამედ, ამავე დროს, გამორიცხავს კიდეც მას.

მაგრამ უწყვეტობა კაპიტალისტური წარმოების დამახასიათებელი ნიშანია და იგი გაპირობებულია ამ წარმოების ტექნიკური საფუძვლით, თუმცა ამ უწყვეტობის უთუოდ მიღწევა ყოველთვის როდია შესაძლებელი. ვნახოთ, როგორია საქმის ვითარება სინამდვილეში. მაგალითად, იმ დროს, როდესაც 10 000 გირვ. ნართი საქონლური კაპიტალის სახით ბაზარზე გამოდის და ფულად გარდაიქმნება (სულ ერთია იქნება ეს ფული გადახდის საშუალება, ყიდვის საშუალება თუ მარტოოდენ საანგარიშო ფული), მის ადგილს წარმოების პროცესში იკავებს აბალი ბამბა, ნახნირი და სხვ.; მაშასადამე, აქ უკვე მოხდა ფულადი და საქონლური ფორმიდან უკუგარდაქმნა მწარმოებლური კაპიტალის ფორმად, კაპიტალისა, რომელიც როგორც ასეთი, თავის მოქმედებას იწყებს; იმავე დროის განმავლობაში, როცა პირველი 10 000 გირვ. ნართი ფულად გარდაიქმნება, წინათ წარმოებული 10 000 გირვ. ნართი მისი მიმოქცევის უკვე მეორე სტადიას გაივლის და ფულიდან უკუგარდაიქმნება მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებად. კაპიტალის ყველა ნაწილი რიგრიგობით გაივლის წრებრუნვის პროცესს, იგი ერთსა და იმავე დროს ამ უკანასკნელის სხვადასხვა სტადიაში იმყოფება. ამრიგად, სამრეწველო კაპიტალი, რომელიც შეუწყვეტლივ ასრულებს თავის წრებრუნვას, ერთსა და იმავე დროს ამ წრებრუნვის ყველა სტადიაში და მათს შესაბამის სხვადასხვა ფუნქციურ ფორმაში იმყოფება. იმ ნაწილისთვის, რომელიც პირველად გარდაიქმნება საქონლური კაპიტალიდან ფულად, იწყება წრებრუნვა ს′...ს′, მაშინ როდესაც სამრეწველო კაპიტალისათვის, როგორც მოძრაობაში მყოფი მთელისათვის, წრებრუნვა ს′...ს′ უკვე განვლილია. ფული ერთი ხელით ავანსად გაიღება, მეორე ხელით მიიღება; წრებრუნვის ფ...ფ′-ის დაწყება ერთ პუნქტში არის იმავე დროს მისი უკუდაბრუნება მეორე პუნქტში. ასევე ითქმის მწარმოებლური კაპიტალის შესახებაც.

• ამიტომ სამრეწველო კაპიტალის ნამდვილი წრებრუნვა მის უწყვეტობაში არა მარტო მიმოქცევის პროცესისა და წარმოების პროცესის ერთიანობას, არამედ ყველა მისი სამი წრებრუნვის ერთიანობასაც წარმოადგენს. მაგრამ ასეთ ერთიანობას იგი შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კაპიტალის თვითეულ სხვადასხვა ნაწილს შეუძლია თანმიმდევრულად განვლოს წრებრუნვის ერთიმეორის მომდევნო ფაზები და ერთი ფაზიდან, ერთი ფუნქციური ფორმიდან მეორეში გადავიდეს; რამდენადაც, მაშასადამე, სამრეწველო კაპიტალი,

როგორც ამ ნაწილთა მთლიანობა, იმავდროულად სხვადასხვა ფაზაში იმყოფება და სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს და, ამრიგად, ყველა სამ წრებრუნვას იმავდროულად შემოხაზავს. ნაწილების მოძრაობის თანმიმდევრულობა აქ იმით არის გაპირობებული, რომ ისინი ერთიმეორის გვერდით არსებობენ, ე. ი. ის გაპირობებულია კაპიტალის დაყოფით. ასე, მაგალითად, დანაწევრებულ ფაბრიკულ სისტემაში პროდუქტი ყოველთვის იმყოფება თავისი შექმნის პროცესის სხვადასხვა საფეხურზე და ყოველთვის გადადის წარმოების ერთი ფაზიდან მეორეში. რადგან ინდივიდუალური სამრეწველო კაპიტალი გარკვეულ სიდიდეს წარმოადგენს, რომელიც კაპიტალისტის საბსრებზეა დამოკიდებული და რომელსაც მრეწველობის თვითეული დარგისათვის გარკვეული მინიმალური სიდიდე აქვს, ამიტომ მისი დაყოფისას გარკვეული რიცხობრივი პროპორცია უნდა იყოს დაცული, არსებული კაპიტალის სიდიდე განსაზღვრავს წარმოების პროცესის მოცულობას, ეს უკანასკნელი — საქონლური კაპიტალისა და ფულადი კაპიტალის ოდენობას, რამდენადაც ეს კაპიტალები წარმოების პროცესის გვერდით მოქმედებენ. მაგრამ კაპიტალის სხვადასხვა ნაწილების ერთიმეორის გვერდით არსებობა, რითაც გაპირობებულია წარმოების უწყვეტობა, შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალის ნაწილების იმ მოძრაობის გამო, რომელზიც ეს ნაწილები ერთიმეორის მიყოლებით სხვადასხვა სტადიებს ზემოხაზავენ. კაპიტალის სხვადასხვა ნაწილების ერთიმეორის გვერდით არსებობა თვითონ მხოლოდ შედეგია იმისა, რომ ეს ნაწილები ერთიმეორეს მისდევენ. მაგალითად, თუ მოძრაობა ს′ — ფ′ ჩერდება ერთი ნაწილისთვის და საქონლის გაყიდვა შეუძლებელია, მაშინ ამ ნაწილის წრებრუნვა შეწყვეტილია და აღარ ხდება მისი ანაზღაურება მისი წარმოების საზუალებებით; იმ მომდევნო ნაწილების ფუნქციურ ცვლილებას, რომელნიც ს′-ის სახით წარმოების პროცესიდან გამოდიან, გზა გადაღობილი აქვს წინამორბედების მიერ. თუ ეს მდგომარეობა რამდენიმე ხანს გაგრძელდა, წარმოება შეიზღუდება და მთელი პროცესი შეჩერდება. ამა თუ იმ ნაწილების თანმიმდევრული მოძრაობის ყოველი შეჩერება არღვევს მათი ერთიმეორის გვერდით არსებობის წესრიგს; ყოველი შეჩერება ერთ სტადიაზე შედეგად იძლევა მეტნაკლებ შეჩერებას არა მარტო კაპიტალის იმ ნაწილის ერთობლივ ბრუნვაში, რომლის მოძრაობა შეჩერებულია, არამედ მთელი ინდივიდუალური კაპიტალის წრებრუნვაშიც.

შემდეგი ფორმა, რომელიც პროცესს გამოხატავს, ფაზების თანმიმდევრობის ფორმაა: კაპიტალის გადასვლა ახალ ფაზაში იმით არის

გაპირობებული, რომ იგი ტოვებს სხვა ფაზას. ამიტომაც თვითეულ განსაკუთრებულ წრებრუნვას ამოსავალ პუნქტად და უკუდაბრუნების პუნქტად კაპიტალის ერთ-ერთი ფუნქციური ფორმა აქვს. მეორე მხრივ, ერთობლივი პროცესი მართლა ერთიანობაა სამი წრებრუნვისა, რომელნიც წარმოადგენენ იმ სხვადასხვა ფორმებს, რაშიაც პროცესის უწყვეტლობა პოულობს თავის გამოსახულებას. ერთობლივი წრებრუნვა კაპიტალის თვითეული ფუნქციური ფორმის მიმართ გამოიხატება როგორც ამ უკანასკნელის სპეციფიკური წრებრუნვა, ამასთან თვითეული ეს წრებრუნვა იწვევს ერთობლივი პროცესის უწყვეტობას; ერთი ფუნქციური ფორმის წრიული მოძრაობა განაპირობებს სხვების წრიულ მოძრაობას. წარმოების ერთობლივი პროცესისათვის, განსაკუთრებით საზოგადოებრივი კაპიტალისათვის, აუცილებელ პირობას შეადგენს ის, რომ წარმოების პროცესი იმავე დროს იყოს კვლავწარმოების პროცესი და, მაშასადამე, თვითეული მისი მომენტის წრებრუნვის პროცესიც. კაპიტალის სხვადასხვა ნაწილები თანმიმდევრობით გაივლიან სხვადასხვა სტადიებსა და ფუნქციურ ფორმებს. ამის გამო თვითეული ფუნქციური ფორმა, თუმცა მასში კაპიტალის სულ ახალ-ახალი ნაწილები პოულობენ თავიანთ გამოსახულებას, თავის საკუთარ წრებრუნვას ასრულებს ერთსა და იმავე დროს სხვებთან ერთად. კაპიტალის ერთი ნაწილი, — მაგრამ მუდამ ცვალებადი ნაწილი, — მუდამ იკვლავწარმოება, არსებობს საქონლური კაპიტალის სახით, რომელიც ფულად გადაიქცევა; მეორე ნაწილი არსებობს ფულადი კაპიტალის სახით, რომელიც მწარმოებლურ კაპიტალად გადაიქცევა; მესამე — მწარმოებლური კაპიტალის სახით, რომელიც საქონლურ კაპიტალად გადაიქცევა. ყველა სამი ფორმის მუდმივი არსებობა ხორციელდება ერთობლივი კაპიტალის წრებრუნვის მეშვეობით, რომელიც სწორედ ამ სამ ფაზას გაივლის ხოლმე.

მაშასადამე, კაპიტალი როგორც მთლიანობა ერთსა და იმავე დროს იმყოფება თავის სხვადასხვა ფაზებში, რომელნიც სივრცეში ერთიმეორის გვერდით მიმდინარეობენ. მაგრამ თვითეული ნაწილი მუდამ გადადის რიგრიგობით ერთი ფაზიდან, ერთი ფუნქციური ფორმიდან მეორეში და, მაშასადამე, რიგრიგობით ყველა ფორმაში მოქმედებს. ამრიგად, ეს ფორმები დენადი ფორმებია, რომელთა იმავდროულობა ხორციელდება მათი თანმიმდევრობით. თვითეული ფორმა მიჰყვება მეორეს და წინ უძღვის მას, ასე რომ კაპიტალის ერთი ნაწილის უკუდაბრუნება ერთი ფორმისადმი გაპირობებულია სხვა ნაწილის უკუდაბრუნებით სხვა ფორმისადმი. თვითეული ნაწილი განუწყვეტლივ ასრულებს თავის საკუთარ ბრუნვას, მაგრამ ამ ფორმაში იმყოფება

ყოველთვის კაპიტალის სხვა ნაწილი, და ეს განსაკუთრებული ბრუნვები შეადგენენ ერთობლივი პროცესის მხოლოდ იმავდროულ და თანმიმდევრულ მომენტებს.

მხოლოდ სამი წრებრუნვის ერთიანობაში ხორციელდება ერთობლივი პროცესის უწყვეტობა, ნაცვლად ზემოთ დასურათებული წყვეტილობისა. ერთობლივ საზოგადოებრივ კაპიტალს მუდამ ახასიათებს ეს უწყვეტობა და მისი პროცესი ყოველთვის სამი წრებრუნვის ერთიანობას წარმოადგენს.

ინდივიდუალური კაპიტალისათვის კვლავწარმოების უწყვეტობა ზოგჯერ მეტნაკლებ ირღვევა. ჯერ-ერთი, ღირებულების მასა სხვადასხვა ეპოქაში ხშირად უთანატოლო ნაწილებადაა დაყოფილი სხვადასხვა სტადიისა და ფუნქციური ფორმის მიხედვით. მეორე, ეს ნაწილები შეიძლება სხვადასხვაგვარად განაწილდეს, საწარმოებელი საქონლის ხასიათის მიხედვით, მაშასადამე, წარმოების იმ განსაკუთრებული სფეროს მიხედვით. სადაც კაპიტალია დაბანდებული. მესამე, უწყვეტობა შეიძლება მეტნაკლებ დაირღვეს წარმოების ისეთ დარგებში, რომელნიც წელიწადის დროზე არიან დამოკიდებულნი, — სულ ერთია იქნება ეს ბუნებრივი პირობების გამო (მიწათმოქმედება, ქაშაყის ჭერა და სხვ.) თუ პირობითი გარემოების გამო, როგორც, მაგალითად, ეგრეთწოდებული სეზონური მუშაობისას. ყველაზე უფრო რეგულარულად და ერთფეროვნად მიმდინარეობს პროცესი ფაბრიკასა და სამთამადნო საქმეში. მაგრამ წარმოების დარგების ეს სხვადასხვაობა არავითარ სხვადასხვაობას არ იწვევს წრებრუნვის პროცესის საყოველთაო ფორმებში.

[კაპიტალი როგორც თვითმზარდი ღირებულება მოიცავს არა მარტო კლასობრივ ურთიერთობას, განსაზღვრულ საზოგადოებრივ ხასიათს, რომელიც დამყარებულია იმაზე, რომ შრომა არსებობს როგორც დაქირავებული შრომა. [კაპიტალი მოძრაობაა, წრებრუნვის პროცესია, რომელიც სხვადასხვა სტადიას გაივლის და თვითონ, თავის მხრივ, წრებრუნვის პროცესის სამ სხვადასხვა ფორმას შეიცავს. ამიტომ კაპიტალი შეიძლება გავიგოთ მხოლოდ როგორც მოძრაობა და არა როგორც უძრაობაში მყოფი ნივთი.] ის, ვინც ღირებულების დამოუკიდებელ არსებობას მარტოოდენ აბსტრაქციის სახით განიხილავს, ივიწყებს, რომ სამრეწველო კაპიტალის მოძრაობა ეს აბსტრაქციაა in actu [მოქმედებაში]. ღირებულება გაივლის აქ სხვადასხვა ფორმას, შეასრულებს სხვადასხვა მოძრაობას, რომელშიც იგი შენარჩუნებულ იქნება და იმავე დროს გაიზრდება, გადიდდება. რადგან ჩვენ აქ, უწინარეს ყოვლისა, მხოლოდ მოძრაობის ფორმასთან გვაქვს საქმე,

ამიტომ მხედველობაში არ ვიღებთ იმ რევოლუციებს, რომელნიც კაპიტალღირებულებას შეუძლია განიცადოს თავისი წრებრუნვის პროცესში; მაგრამ ცხადია, რომ, ღირებულების ყველა რევოლუციის მიუხედავად, კაპიტალისტური წარმოება არსებობს და მას შეუძლია არსებობა განაგრძოს მხოლოდ მანამდე, ვიდრე ადგილი აქვს კაპიტალღირებულების ზრდას, ე. ი. ვიდრე იგი, როგორც დამოუკიდებელ ღირებულებად ქცეული, თავისი წრებრუნვის პროცესს ასრულებს; მაშასადამე, მანამდე, ვიდრე ამა თუ იმ გზით ღირებულების რევოლუციათა გადალახვა და ნეიტრალიზაცია ხდება. კაპიტალის მოძრაობა წარმოგვიდგება როგორც ცალკეული მრეწველი კაპიტალისტის მოქმედება იმ სახით, რომ ეს კაპიტალისტი მოქმედებს როგორც საქონლისა და შრომის მყიდველი, როგორც საქონლის გამყიდველი, როგორც მწარმოებელი კაპიტალისტი, და, მაშასადამე, თავისი მოქმედებით მოსაშუალეობს წრებრუნვას. თუ საზოგადოებრივმა კაპიტალღირებულებამ ღირებულების რევოლუცია განიცადა, მაშინ შეიძლება კაპიტალისტის ინდივიდუალურმა კაპიტალმა ვერ გაუძლოს რევოლუციას და დაიღუპოს, იმიტომ რომ არ შეუძლია შეასრულოს ღირებულების ამ მოძრაობის პირობები. რაც უფრო მწვავე და ხშირი ხდება ღირებულების რევოლუციები, მით უფრო მეტად იმარჯვებს ცალკეული კაპიტალისტის წინდახედულობასა და ანგარიშზე დამოუკიდებლად ქცეული კაპიტალღირებულების ავტომატური, ბუნების სტიქიური პროცესის ძალით მოქმედი მოძრაობა, მით უფრო მეტად ექვემდებარება ნორმალური წარმოების მსვლელობა არანორმალურ სპეკულაციას, მით უფრო მეტი საშიშროება იქმნება ცალკეული კაპიტალების არსებობისათვის. ამრიგად, ეს პერიოდული რევოლუციები, რომელთაც ღირებულება განიცდის, ადასტურებენ იმას, რასაც ისინი, თითქოს, უნდა აბათილებდნენ: სახელდობრ, რომ ღირებულება კაპიტალის სახით დამოუკიდებელ არსებობას იძენს და მას იგი თავისი მოძრაობის მეოხებით შეინარჩუნებს და განამტკიცებს.

მოძრაობაში მყოფი კაპიტალის მეტამორფოზთა ეს მონაცვლეობა შეიცავს წრებრუნვაში მომხდარ კაპიტალის ღირებულების სიდიდის ცვლილებათა მუდმივ შედარებას თავდაპირველ ღირებულებასთან. თუ ღირებულების მიერ დამოუკიდებელი არსებობის მოპოვება ღირებულების შემქმნელი ძალის, სამუშაო ძალის, მიმართ იწყება აქტში Ფ—Sძ (სამუშაო ძალის ყიდვა) და ხორციელდება წარმოების პროცესში როგორც სამუშაო ძალის ექსპლოატაცია, მაშინ ღირებულების მიერ დამოუკიდებელი არსებობის ეს მოპოვება აღარ გვევლინება ხელახლა იმ წრებრუნვაში, სადაც ფული, საქონელი, წარმოების ელემენტები

მხოლოდ რიგრიგობითი ფორმებია მოძრაობის პროცესში მყოფი კაპიტალღირებულებისა და სადაც წარმოებს ღირებულების წინანდელი სიდიდის შედარება კაპიტალის ღირებულების ახლანდელ შეცვლილ სიდიდესთან.

«ღირებულება — ამბობს ბეილი იმ აზრის უარსაყოფად, რომ ღირებულება იძენს დამოუკიდებელ არსებობას, რომელიც კაპიტალისტურ წარმოების წესს ახასიათებს და რომელიც მას, ბეილს, ზოგიერთი ეკონომისტის ილუზიად მიაჩნია, — ღირებულება არის თანაფარდობა იმავდროულად არსებულ საქონელთა შორის, რადგან მხოლოდ ასეთ საქონელთა გაცვლა შეიძლება ერთმანეთზე». იგი ამას გამოთქვამს როგორც სხვადასხვა პერიოდებში საქონლის ღირებულებათა შედარების საწინააღმდეგო არგუმენტს, შედარებისა, რაც — რაკი ფულადი ღირებულება თვითეული პერიოდისათვის ფიქსირებულია — ნიშნავს მხოლოდ იმ შრომის ხარჯვის შედარებას, რომელიც საჭიროა სხვადასხვა პერიოდში ერთი და იმავე სახეობის საქონლის საწარმოებლად. ეს აზრი გამომდინარეობს მისი ზოგადი მცდარი შეხედულებიდან, რომლის თანახმად საცვლელი ღირებულება უდრის ღირებულებას და ღირებულების ფორმა თვითონ ღირებულებაა; მაშასადამე, საქონელთა ღირებულებანი არ შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს, თუ ისინი არ მოქმედებენ აქტიურად როგორც საცვლელი ღირებულებანი, ე. ი. თუ შეუძლებელია მათი ნამდვილად გაცვლა ერთიმეორეზე. ამრიგად, იგი სრულიად ვერ ხვდება, რომ ღირებულება მხოლოდ იმდენად მოქმედებს როგორც კაპიტალღირებულება (ანუ კაპიტალი, რამდენადაც იგი თავისი წრებრუნვის სხვადასხვა ფაზებში, — რომელნიც სულაც არ ემთხვევიან ერთმანეთს დროის მიხედვით, არამედ ერთიმეორეს მისდევენ, — თავისი თავის იდენტური რჩება და თავის თავს შეედარება.

წრებრუნვის ფორმულის წმინდა სახით შესწავლისათვის უნდა ვივარაუდოთ არა მარტო ის, რომ საქონელთა გაყიდვა მათი ღირებულების მიხედვით ხდება, არამედ ისიც, რომ ეს ხდება სხვა გარემოებათა უცვლელობის პირობებში. ავიღოთ, მაგალითად, ფორმა ‹...› ისე, რომ მეედველობაში ნუ მივიღებთ ყოველგვარ რევოლუციას, რასაც ადგილი აქვს წარმოების პროცესის ტექნიკაში, რევოლუციას, რომელსაც შეუძლია ღირებულება შეუმციროს ამა თუ იმ კაპიტალისტის მწარმოებლურ კაპიტალს; ნუ მივიღებთ მხედველობაში აგრეთვე ყოველგვარ უკუმოქმედებას, რაც მწარმოებლური კაპიტალის ღირებულების ელემენტების ცვლილებას შეუძლია იქონიოს არსებული საქონლური კაპიტალის ღირებულებაზე, რომელიც შეიძლება იზრდე-

ბოდეს ან ეცემოდეს, თუ ასეთი კაპიტალის მარაგი არსებობს. ვთქვათ, ს′, 10 000 გირვ. ნართი, გაიყიდა მისი ღირებულების მიხედვით: 500 გირვ. სტერლინგად; 8 440 გირვ. ნართი, 422 გირვ. სტერლ., ანაზღაურებს ს′-ში მოქცეულ კაპიტალღირებულებას. მაგრამ თუ ბამბის, ნახშირის და სხვ. ღირებულებამ აიწია (ჩვენ აქ მაედველობაში არ ვიღებთ ფასის უბრალო რყევას), მაშინ, შესაძლოა, ეს 422 გირვ. სტერლინგი საკმარისი აღარ აღმოჩნდეს იმისათვის, რომ მთლიანად აანაზღაუროს მწარმოებლური კაპიტალის ელემენტები; მაშინ საჭირო იქნება დამატებითი ფულადი კაპიტალი, ფულადი კაპიტალი შეიბოჭება. პირიქით ხდება, თუ ფასები დაეცა: ფულადი კაპიტალი თავისუფლდება. პროცესი სავსებით ნორმალურად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმდინარეობს, თუ ღირებულებრივი შეფარდებანი უცვლელი რჩება; ფაქტიურად იგი ნორმალურად მიმდინარეობს მანამდე, სანამ წრებრუნვის განმეორების დაბრკოლებანი წონასწორდება; რაც უფრო დიდია დაბრკოლებანი, მით უფრო დიდი ფულადი კაპიტალი უნდა ჰქონდეს მრეწველ კაპიტალისტს, რათა შეეძლოს დაელოდოს მათ გაწონასწორებას; და რადგან კაპიტალისტური წარმოების განვითარების მსვლელობაში თვითეული ინდივიდუალური წარმოების პროცესის მასშტაბი ფართოვდება და მასთან ერთად ფართოვდება ავანსად გასაღები კაპიტალის მინიმალური სიდიდეც, ამიტომ ეს გარემოება ემატება სხვა გარემოებებს, რომელთა მეოხებით მრეწველი კაპიტალისტის ფუნქცია სულ უფრო და უფრო იქცევა მსხვილ ფულად კაპიტალისტთა — განცალკევებულთა თუ ასოციაციაში გაერთიანებულთა — მონოპოლიად.

აქ გაკვრით უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ წარმოების ელემენტების ღირებულების ცვლილება ხდება, თავს იჩენს განსხვავება, ერთი მხრივ, ფ...ფ′ — ფორმას და, მეორე მხრივ, წ...წ-ს და ს′...ს′-ს შორის.

ფ...ფ′, როგორც იმ ახლად დაბანდებული კაპიტალის ფორმულაში, რომელიც პირველად გამოდის ფულადი კაპიტალის სახით, წარმოების საშუალებათა, მაგალითად, ნედლი მასალის, დამამარე მასალისა და სხვ. ღირებულების დაცემის გამო, გარკვეული მოცულობის საწარმოს გასახსნელად უფრო ნაკლები ფულადი კაპიტალის დახარჯვაა საჭირო, ვიდრე საჭირო იყო აღნიშნული ღირებულების დაცემამდე, იმიტომ რომ წარმოების პროცესის მოცულობა (მწარმოებლური ძალის განვითარების დონის უცვლელობისას) დამოკიდებულია წარმოების საშუალებათა იმ მოცულობასა და მასაზე, რომელთა დაძლევაც სამუშაო ძალის არსებულ რაოდენობას შეუძლია; მაგრამ

ეს მოცულობა და მასა არაა დამოკიდებული არც ამ წარმოების საშუალებათა ღირებულებაზე და არც სამუშაო ძალის ღირებულებაზე (უკანასკნელი გავლენას აბდენს მხოლოდ ღირებულების ნრდის სიდიდეზე). პირიქით: თუ საქონელთა წარმოების იმ ელემენტების ღირებულების აწევას აქვს ადგილი, რომელნიც მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებს შეადგენენ, მაშინ უფრო დიდი ფულადი კაპიტალია საჭირო მოცემული მოცულობის საწარმოს დასაარსებლად. ორივე შემთხვევაში გავლენას განიცდის მხოლოდ ახლად დასაბანდებელი ფულადი კაპიტალის ოდენობა; პირველ შემთხვევაში ფულადი კაპიტალი მოჭარბებული ხდება, მეორე შემთხვევაში ახალი ფულადი კაპიტალი შეიბოჭება, თუ ახალი ინდივიდუალური სამრეწველო კაპიტალების მატება წარმოების მოცემულ დარგში ჩვეულებრივი წესით ხდება.

წრებრუნვები Ф...Ф და С′...С′ მხოლოდ იმდენად გამოიხატება Ф... Ф′ სახით, რამდენადაც Ф და С′ მოძრაობა იმავე დროს დაგროვებას წარმოადგენს, მაშასადამე, რამდენადაც დამატებითი Ф, ფული, ფულად კაპიტალად გადაიქცევა. მაგრამ თუ ამას მხედველობაში არ მივიღებთ, მწარმოებლური კაპიტალის ელემენტთა ღირებულების ცვლილება მათზე სხვაგვარად ახდენს გავლენას, ვიდრე Ф...Ф′-ზე; ჩვენ აქ კვლავ არ ვიღებთ მხედველობაში ღირებულების ასეთი ცვლილების უკუგავლენას წარმოების პროცესში მყოფი კაპიტალის შემადგენელ ელემენტებზე. უშუალო ზეგავლენას განიცდის აქ არა თავდაპირველი დანახარჯი, არამედ თავის კვლავწარმოების პროცესში — და არა თავის პირველ წრებრუნვაში — მყოფი სამრეწველო კაპიტალი; მაშასადამე, ზეგავლენას განიცდის С′...С < $^{Sd}_{Фs}$ საქონლური კაპიტალის უკუგარდაქმნა მისი წარმოების ელემენტებად, რამდენადაც ეს ელემენტები საქონლისაგან შედგება. ღირებულების დაცემისას (შესაბამისად ფასების დაცემისას) შესაძლებელია სამი შემთხვევა: კვლავწარმოების პროცესი გრძელდება იმავე მასშტაბით; ამ შემთხვევაში აქამდე არსებული ფულადი კაპიტალის ნაწილი თავისუფლდება და ადგილი აქვს ფულადი კაპიტალის დაგროვებას, თუმცა არ ხდება არც ნამდვილი დაგროვება (წარმოება გაფართოებული მასშტაბით) და არც მისი მომამზადებელი და თანმბლები Ф (ზედმეტი ღირებულების) გარდაქმნა დაგროვების ფონდად; ან, თუ ტექნიკური პროპორციები ამის ნებას იძლევა, კვლავწარმოების პროცესის მასშტაბი უფრო მეტად ფართოვდება, ვიდრე ეს წინანდელ პირობებში მოხდებოდა; ანდა უფრო დიდი რაოდენობით იქმნება ნედლი მასალისა და სხვ. მარაგი.

პირიქით ხდება საქონლური კაპიტალის ამნაზღაურებელ ელემენტთა ღირებულების აწევისას. მაშინ კვლავწარმოება აღარ წარიმართება მისი ნორმალური მასშტაბით (მაგალითად, უფრო მოკლე დროს მუშაობენ); ან, რათა კვლავწარმოება წინანდელი მასშტაბით გაგრძელდეს, სარბიელზე უნდა გამოვიდეს დამატებითი ფულადი კაპიტალი (ხდება ფულადი კაპიტალის შებოჭვა); ანდა დაგროვების ფულადი ფონდი, თუ კი ასეთი არსებობს, ემსახურება მთლად ან ნაწილობრივ არა კვლავწარმოების პროცესის გაფართოებას, არამედ მის წარმართვას ძველი მასშტაბით. აქაც ფულადი კაპიტალის შებოჭვა ხდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში დამატებითი ფულადი კაპიტალი შოდის არა გარედან, არა ფულის ბაზრიდან, არამედ თვით მრეწველი კაპიტალისტის სახსრებიდან.

მაგრამ Ф... Ф, ს′...ს′ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამა თუ იმ ცვლილების მომხდენ გარემოებებს. ასე, მაგალითად, თუ ჩვენს ბამბისმრთველ-მეფაბრიკეს ბამბის დიდი მარაგი აქვს (ე. ი. მისი მწარმოებლური კაპიტალის დიდი ნაწილი ბამბის მარაგის სახით მოიპოვება), — მისი მწარმოებლური კაპიტალის ნაწილის ღირებულება შემცირდება ბამბის ფასების დაცემის გამო; პირიქით, თუ ამ ფასებმა აიწია, — მისი მწარმოებლური კაპიტალის ამ ნაწილის ღირებულება აიწევს. მეორე მხრივ, თუ მან საქონლური კაპიტალის ფორმაში — მაგალითად, ბამბის ნართში — ღირებულება დიდი რაოდენობით განამტკიცა, — ბამბის ფასის დაცემისას შემცირდება მისი საქონლური კაპიტალის ნაწილის, მაშასადამე, ხაზოგადოდ მისი წრებრუნვაში მყოფი კაპიტალის ნაწილის ღირებულება; პირიქით ხდება ბამბის ფასების აწევისას. დასასრულ, პროცესში ს′ — Ф — ს < $^{\text{სძ}}_{\text{წს}}$ ხდება შემდეგი: თუ აქტი ს′ — Ф, საქონლური კაპიტალის რეალიზაცია, შესრულდა ს ელემენტთა ღირებულების ცვლილებამდე, კაპიტალი მხოლოდ იმგვარად განიცდის ზემოქმედებას, როგორც ეს პირველ შემთხვევაში იყო აღნიშნული, სახელდობრ — მიმოქცევის მეორე აქტში: Ф — ს′ < $^{\text{სძ}}_{\text{წს}}$. ხოლო თუ იგი მოხდა ს′ — Ф შესრულებამდე, მაშინ, სხვა გარემოებათა უცვლელობისას, ბამბის ფასის დაცემა იწვევს ნართის ფასის შესაბამის დაცემას, და, პირიქით, ბამბის ფასის აწევა — ნართის ფასის აწევას. ზემოქმედება წარმოების ერთსა და იმავე დარგში დაბანდებულ სხვადასხვა ცალკეულ კაპიტალზე შეიძლება ფრიად სხვადასხვა იყოს იმ გარემოებათა სხვადასხვაობის მიხედვით, რომლებშიც ეს კაპიტალები იმყოფება. — ფულადი კაპიტალის განთავისუფლება და შებოჭვა ასევე შეიძლება წარმოიშვას მიმოქცევის პროცესის ხანგრძლიობის სხვადასხვაობის გამო, მაშასადამე, აგრეთვე მიმოქცევის

სისწრაფის სხვადასხვაობის გამოც. მაგრამ ეს უკვე კაპიტალის გადაბრუნების შესწავლის სფეროს ეკუთვნის. ჩვენ აქ გვაინტერესებს მხოლოდ რეალური განსხვავება ფ...ფ′ და წრებრუნვის ორ სხვა ფორმას შორის, განსავავება, რომელიც თავს იჩენს მწარმოებლური კაპიტალის ელემენტების ღირებულების ცვლილების მიმართ.

უკვე განვითარებული და, მაშასადამე, გაბატონებული კაპიტალისტური წესის ეპოქაში იმ საქონელთა უმრავლესობა, რომლებისგანაც მიმოქცევის განყოფილებაში ფ — ს $<^{სძ}_{წს}$ წარმოების საშუალებანი წს შედგება, თვითონ სხვისი მოქმედი საქონლური კაპიტალი ხდება. აქ ადგილი აქვს, მაშასადამე, გამყიდველის თვალსაზრისით ს′ — ფ′, საქონლური კაპიტალის გარდაქმნას ფულად კაპიტალად. მაგრამ ამას აბსოლუტური მნიშვნელობა არა აქვს. პირიქით. თავის მიმოქცევის პროცესში, სადაც სამრეწველო კაპიტალი მოქმედებს ან ფულის, ან საქონლის სახით, სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვა—ფულადი კაპიტალია ეს თუ საქონლური კაპიტალი — გადაეჯვარედინება საზოგადოებრივი წარმოების უაღრესად სხვადასხვა წესით წარმოებულ საქონელთა მიმოქცევას, რამდენადაც წარმოების ეს სხვადასხვა წესი იმავე დროს საქონლის წარმოებაა. მონობაზე დამყარებული წარმოების პროდუქტია საქონელი თუ პროდუქტი გლეხური (ჩინელები, ინდოელი რაიოტები) წარმოებისა, სათემო წარმოების პროდუქტია იგი (ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთი), სახელმწიფოებრივი წარმოებისა (როგორც ბატონყმობაზე დამყარებული წარმოება, რომელიც გვხვდება რუსეთის ისტორიის ადრეულ ეპოქებში), თუ ნახევრად ველური მონადირე ხალხების და სხვათა წარმოებისა, — ეს სულ ერთია: ისინი ფულსა და საქონელს, რომელთა სახითაც სამრეწველო კაპიტალი ვლინდება, პირისპირ უდგანან როგორც საქონელი და ფული და ამ კაპიტალის წრებრუნვაში და აგრეთვე საქონლურ კაპიტალში მოქცეული ზედმეტი ღირებულების წრებრუნვაში იმდენად შედიან, რამდენადაც ადგილი აქვს ზედმეტი ღირებულების ხარჯვას შემოსავლის საპით, — მაშასადამე, შედიან საქონლური კაპიტალის მიმოქცევის ორივე დარგში. იმ წარმოების პროცესის ხასიათს, რომლის შედეგსაც ისინი შეადგენენ, ნიშვნელობა არა აქვს; საქონლის სახით მოქმედებენ ისინი ბაზარზე და საქონლის სახით შედიან სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვაში, ისევე როგორც მასში მოქცეული ზედმეტი ღირებულების მიმოქცევაში. მაშასადამე, მათი წარმოშობის ყოველმხრივი ხასიათი, ბაზრის არსებობა მსოფლიო ბაზრის სახით, — აი, რა შეადგენს სამრეწველო კაპიტალის მიმოქცევის პროცესის განმასხვავებელ ნიშანს. რაც ნათქვამია სხვისი საქონლის შესახებ, იგივე ითქმის

სხვისი ფულის შესახებაც: როგორც საქონლური კაპიტალი უდგას პირისპირ ამ ფულს მხოლოდ საქონლის სახით, ისევე ეს ფული მის მიმართ ასრულებს მხოლოდ ფულის ფუნქციებს; ფული აქ მოქმედებს როგორც მსოფლიო ფული.

მაგრამ აქ ორგვარი გარემოება უნდა აღინიშნოს:

პირველი. საქონელი (წს), როგორც კი აქტი ფ — წს შესრულებულია, აღარ შეადგენს საქონელს და სამრეწველო კაპიტალის არსებობის ერთ-ერთ სახეობად იქცევა, კაპიტალისა მის ფუნქციურ ფორმაში წ, მწარმოებლური კაპიტალის ფორმაში. მაგრამ ამით ქრება საქონლის საკუთარი წარმოშობის კვალი; საქონელი არსებობს მხოლოდ როგორც სამრეწველო კაპიტალის არსებობის ფორმა, იგი შესისხლხორცებულია სამრეწველო კაპიტალთან. მაგრამ ამასთან ძალაში რჩება ის, რომ საქონლის ასანაზღაურებლად აუცილებელია მისი კვლავწარმოება, და ამდენად კაპიტალისტური წარმოების წესი გაპირობებულია ამ წესის განვითარების სტადიის გარეშე მყოფი წარმოების წესებით. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების წესის ტენდენცია ისაა, რომ ყოველი წარმოება, რამდენადაც კი შეიძლება, საქონელწარმოებად გადააქციოს; ამის მთავარ საშუალებას მისთვის წარმოადგენს ამ წარმოების წესთა ჩათრევა მის მიმოქცევის პროცესში, ხოლო განვითარებული საქონელწარმოება თვით არის კაპიტალისტური საქონელწარმოება. სამრეწველო კაპიტალის შეჭრა ყველგან აჩქარებს ამ გარდაქმნას და მასთან ერთად ყველა უშუალო მწარმოებელთა გადაქცევასაც დაქირავებულ მუშებად.

მეორე. სამრეწველო კაპიტალის მიმოქცევის პროცესში შემავალი საქონელი (ამას ეკუთვნის აგრეთვე აუცილებელი საარსებო საშუალებანი, რადაც გარდაიქმნება სამუშაო ძალის კვლავწარმოების მიზნით ცვალებადი კაპიტალი მას შემდეგ, რაც ამ კაპიტალით მუშებს გაისტუმრებენ), როგორიც უნდა იყოს მისი წარმოშობა, როგორიც უნდა იყოს მისი წარმომშობი წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ფორმა, — უპირისპირდება თვით სამრეწველო კაპიტალს უკვე საქონლური კაპიტალის ფორმით, საქონლურ-სავაჭრო კაპიტალის, ანუ სავაჭრო კაპიტალის ფორმით; ეს უკანასკნელი კი თავის ბუნებისამებრ მოიცავს ყველა საქონელს, ყოველგვარი წარმოების წესის საფუძველზე დამზადებულს.

კაპიტალისტური წარმოების წესი გულისხმობს დიდი მასშტაბის წარმოებას, ასევე იგი აუცილებლად გულისხმობს გაყიდვის დიდ მასშტაბსაც, მაშასადამე, გულისხმობს იმას, რომ საქონელი უნდა მიჰყიდონ ვაჭარს და არა ცალკეულ მომხმარებელს. რამდენადაც თვით ეს მომხმარე-

ბელი მწარმოებლური მომხმარებელია, ე. ი. მრეწველი კაპიტალისტია, რამდენადაც, მაშასადამე, წარმოების ერთი დარგის სამრეწველო კაპიტალი წარმოების საშუალებებს აწვდის მეორე დარგს, იმდენადვე (დაკვეთის სახით და სხვ.) ადგილი აქვს უშუალო გაყიდვას, რადგან ერთმა მრეწველმა კაპიტალისტმა საქონელი უნდა მიჰყიდოს მრავალ სხვას. ამდენად თვითეული მრეწველი კაპიტალისტი უშუალო გამყიდველია. თვით არის თავისი ვაჭარი, თუმცა ასეთია იგი მაშინაც, როდესაც საქონელი ვაჭარს უნდა მიჰყიდოს.

საქონლით ვაჭრობა, როგორც სავაჭრო კაპიტალის ფუნქცია, იგულისხმება კაპიტალისტური წარმოების არსებობისას და სულ უფრო ვითარდება ამ უკანასკნელის განვითარებასთან ერთად. მაშასადამე, როდესაც კაპიტალისტური მიმოქცევის პროცესის ცალკეული მხარეების ილუსტრაციას ვიძლევით, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ საქონლით ვაჭრობა არსებობს; მაგრამ ამ მიმოქცევის ზოგადი ანალიზის დროს ვგულისხმობთ, რომ ადგილი აქვს უშუალო გაყიდვას, ვაჭრის შუამავლობის გარეშე. იმიტომ, რომ ეს შუამავლობა ჩქმალავს მოძრაობის სხვადასხვა მომენტებს.

მივნართოთ სისმონდის, რომელიც საქმის ვითარებას ცოტა არ იყოს გულუბრყვილოდ გვიხატავს:

«ვაჭრობაში გამოყენებულია აგრეთვე მნიშვნელოვანი კაპიტალი, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს არ შეადგენს იმ კაპიტალის ნაწილს, რომლის მოძრაობა ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ. იმ მაუდის ღირებულება, რომელიც დაგროვილია მაუდის ვაჭრის საწყობებში, თითქოს, როგორც პირველად გვეჩვენება, სრულიად განსხვავებულია წლიური წარმოების იმ ნაწილისგან, რომელსაც მდიდარი ხელფასის სახით აძლევს ლარიბს, რათა იგი ამუშაოს. მაგრამ ეს კაპიტალი შეეცვალა მხოლოდ იმას, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით. სიმდიდრის განვითარება რომ ნათლად გაგვერკვია, ჩვენ იგი ავიღეთ მისი [სიმდიდრის] წარმოების მომენტში და მივყვებოდით მას მის მოხმარებამდე. ნაბინ ისე გვეჩვენებოდა, რომ, მაგალითად, მაუდის მანუფაქტურაში გამოყენებული კაპიტალი მუდამ ერთი და იგივე იყო; მომხმარებლის შემოსავალზე გაცვლის შედეგად იგი ორ ნაწილად იყოფა: ერთი ნაწილი შემოსავალი გაიდა კაპიტალისტისათვის მოგების სახით, მეორე ნაწილი შემოსავალი გაიდა მუშებისათვის ხელფასის სახით იმ დროისათვის, როდესაც ისინი ახალ მაუდს ამზადებდნენ.

«მაგრამ მალე შეამჩნიეს, რომ საერთო ინტერესისათვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ამ კაპიტალის სხვადასხვა ნაწილი გარკვეული ფუნქციების შესრულებისას ერთიმეორეს შენაცვლებოდა, და, თუ ასი

ათასი ეკიუ საკმარისი იყო მთელი მიმოქცევისათვის მეფაბრიკესა და მომხმარებელს შორის, ეს ასი ათასი ეკიუ უნდა გაყოფილიყო თანაბრად მეფაბრიკესა, მსხვილ ვაჭარსა და წვრილ ვაჭარს შორის. პირველი იმდენსავე საქმეს ასრულებდა თანხის მხოლოდ ერთი მესამედით, რამდენსაც შეასრულებდა მთელი კაპიტალით, იმიტომ რომ წარმოების დამთავრების მომენტში უფრო ადრე პოულობდა მყიდველ ვაჭარს, ვიდრე მომხმარებელს იპოვიდა. მსხვილი ვაჭრის კაპიტალს, თავის მხრივ, უფრო ადრე შეენაცვლებოდა წვრილი ვაჭრის კაპიტალი... განსხვავებამ ავანსებული ხელფასის ჯამსა და უკანასკნელი მომხმარებლის ნაყიდობის ფასს შორის უნდა შეადგინოს კაპიტალმოგება. იგი ნაწილდება მეფაბრიკესა, მსხვილ ვაჭარსა და წვრილ ვაჭარს შორის, მას შემდეგ, რაც მათ ერთმანეთს შორის გაინაწილეს თავიანთი ფუნქციები; შესრულებული სამუშაო კი იგივე დარჩა, თუმცა საქმეში ჩაბმული იყო სამი პირი და კაპიტალთა სამი ნაწილი, ნაცვლად ერთისა («Nouveaux Principes» I ნაწ., გვ. 139, 140). «ყველანი {ვაჭრები} არაპირდაპირ ხელს უწყობდნენ წარმოებას, იმიტომ რომ წარმოება, რომელსაც მიზნად მოხმარება აქვს, შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მზა ნაწარმმა მომხმარებლამდე მიაღწია» (იქვე, გვ. 137).

წრებრუნვის საყოველთაო ფორმების განხილვისას და საერთოდ მთელ ამ მეორე წიგნში ჩვენ ფულად ვგულისხმობთ ლითონის ფულს და მხედველობის გარეშე ვტოვებთ როგორც სიმბოლურ ფულს, ღირებულების უბრალო ნიშნებს, რომლებიც მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფოს სპეციალურ კუთვნილებას წარმოადგენენ, ისე საკრედიტო ფულს, რომელიც ჩვენს მიერ ჯერ კიდევ არაა განხილული. გამოკვლევის ასეთი მსვლელობა, ჯერ-ერთი, შეესაბამება ისტორიულ თანმიმდევრობას: საკრედიტო ფული სრულიად არავითარ ან მხოლოდ უმნიშვნელო როლს ასრულებს კაპიტალისტური წარმოების თავდაპირველ პერიოდში. მეორე, გამოკვლევის ასეთი მსვლელობის აუცილებლობა თეორიულადაც დასაბუთებულია იმით, რომ საკრედიტო ფულის მიმოქცევის შესახებ ყველა კრიტიკული გამოკვლევა, რომელიც ტუკს და სხვებს დღემდე მოუხდენიათ, აიძულებდა მათ ისევ და ისევ დაბრუნებოდნენ იმის განხილვას, თუ როგორ წარმოგვიდგებოდა საქმის ვითარება წმინდა ლითონური მიმოქცევის საფუძველზე. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლითონის ფული შეიძლება მოქმედებდეს როგორც ყიდვის საშუალებაც და როგორც გადახდის საშუალებაც. გამარტივებისათვის ჩვენ საერთოდ ამ II წიგნში მას ვიღებთ მხოლოდ პირველ ფუნქციურ ფორმაში.

სამრეწველო კაპიტალის მიმოქცევის პროცესი, რომელიც მისი ინდივიდუალური წრებრუნვის მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენს, განისაზღვრება, რამდენადაც იგი გამოსახავს მხოლოდ აქტების მწკრივს საყოველთაო საქონელმიმოქცევის ფარგლებში, იმ ზოგადი კანონებით, რომლებიც უწინ (წიგნი I, თავი III) იყო განხილული. ფულის ერთსა და იმავე რაოდენობას, მაგალითად, 500 გირვ. სტერლინგს, მიმოქცევაში შეჰყავს რიგრიგობით მით უფრო მეტი სამრეწველო კაპიტალი (ანუ — რაც იგივეა — საქონლური კაპიტალის ფორმაში მყოფი ინდივიდუალური კაპიტალები), რაც უფრო დიდია ფულის ტრიალის სისწრაფე, მაშასადამე, რაც უფრო სწრაფად გაივლის ყოველი ცალკეული კაპიტალი თავის საქონლურ ან ფულად მეტამორფოზთა მწკრივს. ამიტომ კაპიტალღირებულების ერთი და იგივე რაოდენობა მით უფრო ნაკლებ ფულს მოითხოვს თავისი მიმოქცევისათვის, რაც უფრო მეტი ფული მოქმედებს გადახდის საშუალების სახით, — მაშასადამე, რაც უფრო მეტია, მაგალითად, საქონლური კაპიტალის შენაცვლებისას მისი წარმოების საშუალებებით, მხოლოდ ბალანსის გასაწონასწორებელი გადასახდელი და რაც უფრო მოკლეა გადახდის ვადები, მაგალითად, ხელფასის გადახდის დროს. მეორე მხრივ, თუ მიმოქცევის სისწრაფეს და სხვა გარემოებებს უცვლელად ვიგულისხმებთ, იმ ფულის რაოდენობა, რომელიც ფულადი კაპიტალის სახით უნდა მიმოიქცეოდეს, განისაზღვრება საქონელთა ფასების ჯამით (საქონელთა რაოდენობა გამრავლებული ფასზე), ანუ, თუ საქონელთა რაოდენობა და ღირებულება მოცემულია, — თვით ფულის ღირებულებით.

მაგრამ საყოველთაო საქონელმიმოქცევის კანონები ძალაში რჩება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კაპიტალის მიმოქცევის პროცესი მარტივი მიმოქცევის აქტების მწკრივს შეადგენს, და ძალას კარგავენ, რამდენადაც ეს აქტები ინდივიდუალური სამრეწველო კაპიტალების წრებრუნვის ფუნქციურად განსაზღვრულ ეტაპებს შეადგენენ.

ამის ნათელსაყოფად ყველაზე უმჯობესი იქნება, თუ ჩვენ მიმოქცევის პროცესს განვიხილავთ მის უწყვეტ კავშირში, იმ სახით, როგორც იგი გვევლინება ორ ფორმაში:

$$\text{II)}\ \text{წ}\ldots\text{ს}'\left\{\begin{matrix}\text{ს}-\\ -\text{ფ}'\\ \text{ს}-\end{matrix}\right\}\begin{matrix}\text{ფ}-\text{ს}\\ \text{ფ}-\text{ს}\end{matrix}<\begin{matrix}\text{სძ}\\ \text{წს}\end{matrix}\ldots\text{წ}\ (\text{წ}')$$

$$\text{III)}\ \text{ს}'\left\{\begin{matrix}\text{ს}-\\ -\text{ფ}'\\ \text{ს}-\end{matrix}\right\}\begin{matrix}\text{ფ}-\text{ს}\\ \text{ف}-\text{ب}\end{matrix}<\begin{matrix}\text{سد}\\ \text{ف}\text{ب}\end{matrix}\ \ldots\text{ف}\ldots\text{ب}'$$

მიმოქცევის პროცესი (ს — ფ — ს სახით არის იგი, თუ ფ — ს — ფ სახით), როგორც მიმოქცევის აქტების მწკრივი საერთოდ, წარმოადგენს საქონლის მეტამორფოზთა ორ მოპირისპირე მწკრივს; ამ მეტამორფოზთაგან ყოველი ცალკეული მეტამორფოზი თავის მხრივ გულისხმობს სხვა საქონლის ან ამ საქონლის პირისპირ მდგომი სხვა ფულის საწინააღმდეგო მეტამორფოზს.

ის, რაც საქონელმფლობელის მხარეზე არის აქტი ფ — ს, მყიდველის მხარეზე არის აქტი ს — ფ; საქონლის პირველი მეტამორფოზი ს — ფ-ში მეორე მეტამორფოზია ფ სახით გამოსული სხვა საქონლისა; პირიქითაა ფ — ს-ში. მაშასადამე, ის, რაც აღნიშნული იყო ერთ სტადიაში მყოფი საქონლის მეტამორფოზის მეორე სტადიაში მყოფი სხვა საქონლის მეტამორფოზთან გადახლართულობის შესახებ, ძალაში რჩება კაპიტალის მიმოქცევისთვისაც, რამდენადაც კაპიტალისტი საქონლის მყიდველისა და გამყიდველის სახით მოქმედებს და რამდენადაც, მაშასადამე, მისი კაპიტალი მოქმედებს ფულის სახით სხვა საქონლის მიმართ ან საქონლის სახით სხვა ფულის მიმართ. მაგრამ მეტამორფოზთა ეს გადახლართულობა არ წარმოადგენს იმავე დროს კაპიტალების მეტამორფოზთა გადახლართულობის გამოსახულებას.

ჯერ ერთი, როგორც ჩვენ დავინახეთ, ფ — ს (წს) შეიძლება სხვადასხვა ინდივიდუალური კაპიტალის მეტამორფოზის გადახლართულობას წარმოადგენდეს. მაგალითად, ნართს, ბამბის მრთველი-მეფაბრიკის საქონლურ კაპიტალს, ნაწილობრივ ანაზღაურებს ნახშირი. მისი კაპიტალის ნაწილი ფულად ფორმაში იმყოფება და იქიდან საქონლურ ფორმად გარდაიქმნება, მაშინ როდესაც ნახშირის კაპიტალისტური მრეწველის კაპიტალი საქონლურ ფორმაში იმყოფება და იქიდან ფულად ფორმად გარდაიქმნება; მიმოქცევის ერთი და იგივე აქტი აქ გამოხატავს ორი (წარმოების სხვადასხვა დარგის კუთვნილი) სამრეწველო კაპიტალის მოპირისპირე მეტამორფოზებს, მაშასადამე, იგი გამოხატავს ამ კაპიტალების მეტამორფოზთა მწკრივის გადახლართულობას. მაგრამ, როგორც ჩვენ ვნახეთ, წს, რადაც ფ გადაიქცევა, აუცილებელი არაა იყოს საქონლური კაპიტალი ამ სიტყვის კატეგორიული მნიშვნელობით, ე. ი. იყოს სამრეწველო კაპიტალის ფუნქციური ფორმა, კაპიტალისტის მიერ წარმოებული საქონლური კაპიტალი. აქ ყოველთვის არის ერთ მხარეზე ფ — ს, მეორე მხარეზე ს — ფ, მაგრამ ყოველთვის როდია კაპიტალების მეტამორფოზთა გადახლართულობა. შემდეგ, ფ—სძ, სამუშაო ძალის ყიდვა, არასოდეს არ წარმოადგენს კაპიტალების მეტამორფოზთა გადახლართულობას, რადგან

თუმცა სამუშაო ძალა მუშის საქონელია, მაგრამ იგი კაპიტალად იქცევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი კაპიტალისტმა იყიდა. მეორე მხრივ, არაა აუცილებელი, რომ Ф′ პროცესში Ѕ′ — Ф′ წარმოადგენდეს გარდაქმნილ საქონლურ კაპიტალს; იგი შეიძლება იყოს ფულად ქცეული საქონელი — სამუშაო ძალა (ხელფასი) ან ფულად ქცეული პროდუქტი, რომელიც დამოუკიდებელი მუშის, მონის, ყმის, თემის მიერ არის წარმოებული.

მაგრამ, მეორე, — იმ ფუნქციურად გარკვეული როლისათვის, რასაც ასრულებს თვითეული მეტამორფოზი ინდივიდუალური კაპიტალის მიმოქცევის პროცესში, სრულიადაც არაა აუცილებელი, რომ ეს მეტამორფოზი წარმოადგენდეს შესაბამის მოპირისპირე მეტამორფოზს სხვა კაპიტალის წრებრუნვაში, — თუ, სახელდობრ, ვიგულისხმებთ, რომ მსოფლიო ბაზრის მთელი წარმოება კაპიტალისტურად წარიმართება. მაგალითად, წრებრუნვაში Ѳ ... Ѳ Ф′, რომელიც Ѕ′ ფულად აქცევს, შეიძლება მყიდველის მხარეზე მის ფულადქცეულ ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენდეს (იმ შემთხვევაში, თუ საქონელი მოხმარების საგანს შეადგენს); ანდა Ф′ — Ѕ′ < $\frac{Ѕd}{Ѳѕ}$ (სადაც, მაშასადამე, კაპიტალი დაგროვებული შედის) Ф′ შეიძლება Ѳѕ გამყიდველისათვის მის მიერ ავანსებული კაპიტალის მხოლოდ ანაზღაურების სახით შედიოდეს მისი კაპიტალის მიმოქცევაში ან სულ არ შედიოდეს, — თუ, სახელდობრ, Ф′ უკანასკნელისაგან განშტოვდება როგორც შემოსავლის ხარჯვა.

მაშასადამე, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეენაცვლებიან ერთმანეთს მიმოქცევის პროცესში სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალისა, რომლის მიმართ ცალკეული კაპიტალები მხოლოდ დამოუკიდებლად მოქმედ ნაწილებს წარმოადგენდნენ, ეს საკითხი — როგორც კაპიტალის მიმართ, ისე ზედმეტი ღირებულების მიმართ — ვერ პოულობს თავის ახსნას საქონელმიმოქცევის მეტამორფოზების უბრალო გადახლართულობათა გამოკვლევით; ეს უკანასკნელნი საერთოა როგორც კაპიტალის მიმოქცევისათვის, ისე ყოველი სხვა საქონელმიმოქცევისათვისაც; ეს საკითხი გამოკვლევის სხვაგვარ წესს მოითხოვს. თანაც აქამდე ისეთი ფრაზებით კმაყოფილდებოდნენ, რომელნიც, თუ მათ ახლო ანალიზს გავუკეთებთ, არაფერს არ შეიცავენ, გარდა გაურკვეველ წარმოდგენათა, რაც მხოლოდ მეტამორფოზების იმ გადახლართულობათა განხილვიდან არის აღებული, რომელნიც დამახასიათებელია ყოველი საქონელმიმოქცევისათვის.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო თავისებურება სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვის პროცესისა და, მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოებისაც, ის გარემოებაა, რომ, ერთი მხრივ, მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელი ელემენტები საქონლის ბაზრიდან მომდინარეობენ და მათი განახლება მუდამ ამ ბაზრის მეოხებით უნდა წარმოებდეს, მათი ყიდვა მუდამ საქონელთა სახით უნდა ხდებოდეს; მეორე მხრივ კი, შრომის პროცესის პროდუქტი ამ პროცესიდან საქონლის სახით გამოდის და მუდამ ხელახლა უნდა გაიყიდოს როგორც საქონელი. შეადარეთ, მაგალითად, ქვემო შოტლანდიის თანამედროვე ფერმერი კონტინენტის ძველი ყაიდის წვრილ გლეხს. პირველი ყიდის მთელ თავის პროდუქტს და ამიტომ ბაზარზე უნდა აინაზღაუროს ყველა მისი ელემენტი, თესლიც კი; მეორე უშუალოდ მოიხმარს თავისი პროდუქტის უდიდეს ნაწილს, ყიდულობს და ყიდის რაც შეიძლება ნაკლებს და თვითონვე ამზადებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სამუშაო იარაღებს, ტანისამოსს და სხვ.

ამის გამო ნატურალურ მეურნეობას, ფულად მეურნეობას და საკრედიტო მეურნეობას უპირისპირებდნენ ერთიმეორეს როგორც საზოგადოებრივი წარმოების მოძრაობის სამ დამახასიათებელ ეკონომიურ ფორმას.

ჯერ ერთი, ეს სამი ფორმა სულაც არ წარმოადგენს განვითარების ტოლფასოვან ფაზებს. ეგრეთწოდებული საკრედიტო მეურნეობა თვით მხოლოდ ფულადი მეურნეობის ფორმაა, რამდენადაც ორივე სახელწოდება თვით მწარმოებელთა შორის გაცვლის ფუნქციებს ანუ გაცვლის წესებს გამოსახავს. განვითარებულ კაპიტალისტურ წარმოებაში ფულადი მეურნეობა ჯერ კიდევ წარმოგვიდგება მხოლოდ როგორც საფუძველი საკრედიტო მეურნეობისა. ამგვარად, ფულადი მეურნეობა და საკრედიტო მეურნეობა შეესაბამებიან მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების განვითარების სხვადასხვა საფეხურებს, მაგრამ სრულიადაც არ არიან ნატურალურ მეურნეობას დაპირისპირებული გაცვლის სხვადასხვა თავისთავადი ფორმები. ამავე უფლებით შეიძლებოდა ამ ორი ფორმისთვის დაგვეპირისპირებინა, როგორც ტოლფასოვანნი, ნატურალური მეურნეობის სხვადასხვა ფორმები.

მეორე, რადგან კატეგორიებში: ფულადი მეურნეობა, საკრედიტო მეურნეობა, ხაზგასმულია და განმასხვავებელ ნიშნად აღებულია არა მეურნეობა, ე. ი. არა თვით წარმოების პროცესი, არამედ მეურნეობის შესაბამისი წარმოების სხვადასხვა აგენტთა ანუ მწარმოებელთა შორის გაცვლის წესი, ამიტომ ასევე უნდა ხდებოდეს პირველი კატე-

გორიის განხილვის დროსაც. მაშასადამე ნატურალური მეურნეობის ნაცვლად გამოგვივიდოდა გაცვლითი მეურნეობა. სრულიად კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა, მაგალითად, პერუელი ინკების სახელმწიფო, არც ერთ ამ კატეგორიაში არ მოხვდებოდა.

მესამე, ფულადი მეურნეობა დამახასიათებელია ყოველგვარი საქონელწარმოებისათვის და პროდუქტი საქონლის სახით გვევლინება უაღრესად განსხვავებულ საზოგადოებრივ საწარმოო ორგანიზმებში. მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების დამახასიათებელი ნიშანი იქნებოდა ამ შემთხვევაში მხოლოდ ის მოცულობა, რომლითაც პროდუქტი იწარმოება როგორც ვაჭრობის საგანი, როგორც საქონელი, მაშასადამე, ის მოცულობა, რომლითაც აგრეთვე პროდუქტის საკუთარი შემადგენელი ელემენტები უნდა შევიდეს ისევ ვაჭრობის საგანთა, საქონელთა სახით იმ მეურნეობაში, საიდანაც პროდუქტი გამოდის.

სინამდვილეში კაპიტალისტური წარმოება არის საქონელწარმოება, რომელიც წარმოების საყოველთაო ფორმადაა ქცეული; მაგრამ იგი ასეთია და თავის განვითარებაში უფრო და უფრო იქცევა ასეთად მხოლოდ იმიტომ, რომ თვით შრომა გვევლინება აქ საქონლის სახით, იმიტომ რომ მუშა ყიდის შრომას, ე. ი. თავისი სამუშაო ძალის ფუნქციას, და თანაც ყიდის, როგორც ჩვენ ვგულისხმობთ, მისი ღირებულების მიხედვით, რომელიც განისაზღვრება სამუშაო ძალის კვლავწარმოების ხარჯებით. იმ ზომით, რა ზომითაც შრომა დაქირავებულ შრომად იქცევა, მწარმოებელი იქცევა მრეწველ კაპიტალისტად; ამიტომ კაპიტალისტური წარმოება (მაშასადამე, საქონელწარმოებაც) მხოლოდ მაშინ ვლინდება მთელი თავისი მოცულობით, როდესაც სოფლის უშუალო მწარმოებელიც დაქირავებული მუშაა. კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის არსებულ ურთიერთობაში ფულადი ურთიერთობა, მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთობა, თვითონ წარმოების იმანენტურ ურთიერთობად იქცევა. მაგრამ ეს ურთიერთობა თავისი საფუძვლის მიხედვით დამყარებულია წარმოების საზოგადოებრივ ხასიათზე და არა გაცვლის წესზე; უკანასკნელი, პირიქით, პირველიდან გამომდინარეობს. მაგრამ ბურჟუაზიულ ჰორიზონტს, როცა მთელი ყურადღება კომერციული საქმეების მოჰახრაკებისაკენ არის მიპყრობილი, შეეფერება სწორედ ის შეხედულება,

რომ წარმოების წესის ხასიათი კი არ წარმოადგენს მისი შესაბამისი გაცვლის წესის საფუძველს, არამედ პირიქით.[7]

კაპიტალისტი მიმოქცევაში ფულადი ფორმით ნაკლებ ღირებულებას გადაისვრის, ვიდრე მას იქიდან გამოაქვს, იმიტომ რომ იგი მასში საქონლის ფორმით მეტ ღირებულებას გადაისვრის, ვიდრე მან იქიდან გამოიტანა საქონლის ფორმით. რამდენადაც იგი მოქმედებს როგორც კაპიტალის უბრალო პერსონიფიკაცია, ე. ი. როგორც მრეწველი კაპიტალისტი, იმდენად მის მხრივ საქონლური ღირებულების მიწოდება ყოველთვის უფრო დიდია, ვიდრე საქონლური ღირებულების მოთხოვნა. ამ მხრივ, კაპიტალისტის მოთხოვნას და მიწოდებას რომ ერთიმეორე დაეფარათ, მაშინ ადგილი არ ექნებოდა. მისი კაპიტალის ღირებულების ზრდას; კაპიტალი აღარ იმოქმედებდა როგორც მწარმოებლური კაპიტალი; მწარმოებლური კაპიტალი გადაიქცეოდა საქონლურ კაპიტალად, რომელიც ზედმეტი ღირებულებით არაა გადიდებული; წარმოების პროცესის დროს იგი ვერ ამოქაჩავდა სამუშაო ძალიდან ზედმეტ ღირებულებას საქონლის სახით, მაშასადამე, საერთოდ ვერ იმოქმედებდა როგორც კაპიტალი; კაპიტალისტმა მართლაც უნდა «გაყიდოს» უფრო ძვირად, ვიდრე უყიდია», მაგრამ ამას იგი ახერხებს მხოლოდ იმიტომ, რომ მის მიერ ნაყიდი უფრო იაფი საქონელი — რადგან იგი ნაკლები ღირებულების შემცველია — კაპიტალისტური წარმოების პროცესის საშუალებით მან მეტი ღირებულების შემცველ და, მაშასადამე, უფრო ძვირ საქონლად გადააქცია. იგი უფრო ძვირად ყიდის არა იმიტომ, რომ თავის საქონელს მის ღირებულებაზე მეტად ყიდის, არამედ იმიტომ, რომ იგი ყიდის საქონელს, რომლის ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე მისი წარმოების ელემენტთა ღირებულების ჯამი.

ნორმა, რომლის მიხედვით კაპიტალისტი თავისი კაპიტალის ღირებულებას ადიდებს, მით უფრო დიდია, რაც უფრო დიდია სხვაობა მის მიწოდებასა და მის მოთხოვნას შორის, ე. ი. რაც უფრო დიდია მის მიერ მიწოდებული საქონლური ღირებულების ნამეტი იმ საქონლურ ღირებულებასთან შედარებით, რომელსაც იგი მოითხოვს. მისი მიზანი ის კი არ არის, რომ მოთხოვნამ და მიწოდებამ ერთიმეორე

---

[7] აქამდე ხელნაწერი V. შემდგომი ადგილი ამ თავის ბოლომდე წარმოადგენს შენიშვნას, რომელიც მოიპოვება 1877 თუ 1878 წლის რვეულში წიგნებიდან ამონაწერებს შორის.

დაფაროს, არამედ ისაა, რომ ისინი ერთმანეთს არ ფარავდნენ, რომ მისი მოთხოვნა გადაჭარბებით იფარებოდეს მისი მიწოდებით.

რაც ძალაშია ცალკეული კაპიტალისტის მიმართ, ის ძალაშია კაპიტალისტთა კლასის მიმართაც.

რამდენადაც კაპიტალისტი სამრეწველო კაპიტალის უბრალო პერსონიფიკაციას წარმოადგენს, იმდენად მის მოთხოვნას მხოლოდ წარმოების საშუალებათა და სამუშაო ძალის მოთხოვნა შეადგენს. მისი მოთხოვნა ფს-ისა, მასში გამოსახული ღირებულების მხრივ განხილული, მის მიერ ავანსებულ კაპიტალზე ნაკლებია; იგი ყიდულობს წარმოების საშუალებებს უფრო ნაკლები ღირებულებით, ვიდრე მისი კაპიტალის ღირებულება არის, და, მაშასადამე, კიდევ უფრო ნაკლები ღირებულებით, ვიდრე იმ საქონლური კაპიტალის ღირებულებაა, რომელიც მას ბაზარზე გააქვს.

რაც შეეხება კაპიტალისტის მიერ სამუშაო ძალის მოთხოვნას, ამ მოთხოვნის ზომა, მისი ღირებულების მხრივ, განისაზღვრება კაპიტალისტის ცვალებადი კაპიტალის შეფარდებით მის ერთობლივ კაპიტალთან, მაშასადამე $= v:C$, და ამიტომ სამუშაო ძალის მოთხოვნა კაპიტალისტურ წარმოებაში, თუ პროპორციის მიხედვით განვიხილავთ, უფრო ნაკლებად იზრდება, ვიდრე წარმოების საშუალებათა მოთხოვნა კაპიტალისტის მიერ. კაპიტალისტი სულ უფრო და უფრო მეტი ზომით ყიდულობს ფს, ვიდრე სძ.

რამდენადაც მუშა თავის ხელფასს უმთავრესად საარსებო საშუალებებად და ამასთან მეტწილად აუცილებელ საარსებო საშუალებებად გარდაქმნის, კაპიტალისტის მიერ სამუშაო ძალის მოთხოვნა არაპირდაპირ იმავე დროს წარმოადგენს მოხმარების იმ საშუალებათა მოთხოვნას, რომლებიც მუშათა კლასის მოხმარებაში შედის. მაგრამ ეს მოთხოვნა უდრის v-ს და ერთი ატომითაც არ არის მეტი (თუ მუშა თავისი ხელფასიდან რაიმეს დაზოგავს, — ყოველგვარ საკრედიტო ურთიერთობას ჩვენ აქ აუცილებლად მხედველობის გარეშე ვტოვებთ,— ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თავისი ხელფასის ნაწილს განძად აქცევს და pro tanto [იმდენადვე] აღარ გამოდის როგორც მოთხოვნის წამომყენებელი, როგორც მყიდველი). კაპიტალისტის მოთხოვნის მაქსიმალური საზღვარი უდრის $C = c + v$, მისი მიწოდება კი $= c + v + m$; მაშასადამე, თუ მისი საქონლური კაპიტალის შედგენილობა არის $80_c + 20_v + 20_m$, მისი მოთხოვნა უდრის $80_c + 20_v$, ე. ი. მოთხოვნა, მასში გამოსახული ღირებულების სიდიდის მხრივ, $^1/_5$-ით ნაკლებია კაპიტალისტის მიწოდებაზე. რაც უფრო დიდია პროცენტულად კაპიტალისტის მიერ წარმოებული m მასა (მოგების ნორმა), მით უფ-

რო ნაკლები ხდება მისი მოთხოვნა მის მიწოდებასთან შედარებით. თუმცა კაპიტალისტის მოთხოვნა სამუშაო ძალისა და, მაშასადამე, არაპირდაპირ აგრეთვე აუცილებელი საარსებო საშუალებებისაც, წარმოების პროგრესთან ერთად პროგრესიულად მცირდება მის მხრივ წარმოების საშუალებათა მოთხოვნასთან შედარებით, მაგრამ, მეორე მხრივ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღითიდღე მისი მოთხოვნა წს-ზე ყოველთვის ნაკლებია მის კაპიტალზე. ამრიგად, მისი მოთხოვნა წარმოების საშუალებებისა აუცილებლად ყოველთვის ნაკლებია ღირებულების მხრივ, ვიდრე იმ კაპიტალისტის საქონლური პროდუქტი, რომელიც თანატოლი კაპიტალით და სხვა თანაბარ პირობებში მუშაობს და რომელიც მას წარმოების ამ საშუალებებს აწოდებს. საქმის ვითარებას სრულიადაც არ ცვლის ის გარემოება, რომ არსებობს მრავალი კაპიტალისტი და არა ერთი. ვთქვათ, მისი კაპიტალი = 1 000 გირვ. სტერლინგს, კაპიტალის მუდმივი ნაწილი = 800 გირვ. სტერლინგს; ამ შემთხვევაში მისი მოთხოვნა დანარჩენ კაპიტალისტთა მიმართ = 800 გირვ. სტერლინგს; ესენი კი ყველანი ერთად თავიანთ თვითეულ 1 000 გირვ. სტერლინგზე (სულ ერთია რამდენიც უნდა უწევდეს ამ თანხიდან თვითეულ მათგანს ცალ-ცალკე და მისი ერთობლივი კაპიტალის რა ნაწილსაც უნდა შეადგენდეს ის თანხა, რომელიც მას უწევს), მოგების ნორმის თანატოლობისას, 1 200 გირვ. სტერლ. ღირებულების წარმოების საშუალებათა მიმწოდებელნი არიან; მაშასადამე, მისი მოთხოვნა მათი მიწოდების მხოლოდ $^2/_3$-ს ფარავს, მაშინ როდესაც მთელი მისი საკუთარი მოთხოვნა, ღირებულების სიდიდის მიხედვით, მისი საკუთარი მიწოდების მხოლოდ $^4/_5$-ს უდრის.

წინასწარ ვამბობთ რა ქვემოთ სათქმელს, ჩვენ ახლა მოკლედ განვიხილავთ კაპიტალის გადაბრუნებას. ვთქვათ, კაპიტალისტის ერთობლივი კაპიტალი უდრის 5 000 გირვ. სტერლინგს, საიდანაც 4 000 გირვ. სტერლ. ძირითადი კაპიტალია და 1 000 გირვ. სტერლ. — საბრუნავი; ეს 1 000, წინანდელი ვარაუდის თანახმად, = $800\,c + 200\,v$. იმისათვის, რომ მთელი მისი კაპიტალი ერთხელ გადაბრუნდეს წელიწადში, მისი საბრუნავი კაპიტალი წელიწადში ხუთჯერ უნდა გადაბრუნდეს; ამ შემთხვევაში მისი საქონლური პროდუქტი უდრის 6 000 გირვ. სტერლინგს, მაშასადამე, 1 000 გირვ. სტერლინგით უფრო დიდია მის მიერ ავანსებულ კაპიტალზე, რაც კვლავ ზედმეტი ღირებულების ისეთსავე შეფარდებას იძლევა, როგორც უწინ იყო:

$5\,000\,C : 1\,000_m = 1\,00\,(_{c+v}) : 20_m$. ამრიგად, ეს გადაბრუნება არაფერს არ ცვლის კაპიტალისტის მთელი მოთხოვნის შეფარდებაში მის მთელ მიწოდებასთან, პირველი უკანასკნელზე $^1/_5$-ით ნაკლები რჩება.

ვთქვათ, მისი ძირითადი კაპიტალი ყოველ 10 წელიწადში უნდა განახლდეს. მაშასადამე, კაპიტალისტი ყოველწლიურად ახდენს $^1/_{10}$-ის ამორტიზაციას = 400 გირვ. სტერლინგს. ამის გამო მას აქვს მხოლოდ 3 600 გირვ. სტერლ. ღირებულება ძირითად კაპიტალად + 400 გირვ. სტერლ. ფულად. რამდენადაც შეკეთება აუცილებელია და იგი საშუალო ზომას არ აღემატება, ამ შეკეთების ხარჯები სხვა არა არის რა, თუ არა კაპიტალის დაბანდება, რასაც კაპიტალისტი მხოლოდ შემდგომ ახდენს. ჩვენ შეგვიძლია საქმე იმგვარად განვიხილოთ, თითქოს კაპიტალისტს თავისი დასაბანდებელი კაპიტალის ღირებულების განსაზღვრისას, რამდენადაც იგი წლიურ პროდუქტში შედის, თავიდანვე ჩაერიცხოს მასში შეკეთების ხარჯები, ასე რომ ამორტიზაცია, რომელიც კაპიტალღირებულების $^1/_{10}$-ს უდრის, ამ ხარჯებსაც შეიცავს. (თუ შეკეთების საჭიროება სინამდვილეში საშუალოზე ნაკლებია, ეს კაპიტალისტისათვის სასარგებლოა, ხოლო თუ საშუალოზე მეტია, — საზარალოა. მაგრამ მრეწველობის ერთსა და იმავე დარგში მოსაქმე კაპიტალისტთა მთელი კლასისათვის ასეთი სარგებლობა და ზარალი წონასწორდება.) ყოველ შემთხვევაში, თუმცა მთელი მისი კაპიტალის წელიწადში ერთგზის გადაბრუნებისას მისი წლიური მოთხოვნა 5 000 გირვ. სტერლინგის ტოლი რჩება, ე. ი. მის მიერ თავდაპირველად ავანსებულ კაპიტალღირებულებას უდრის, მაგრამ მაინც ეს მოთხოვნა მატულობს კაპიტალის საბრუნავი ნაწილის მიმართ, მაშინ როდესაც მუდამ კლებულობს კაპიტალის ძირითადი ნაწილის მიმართ.

გადავიდეთ ახლა კვლავწარმოებაზე. ვთქვათ, კაპიტალისტი პირადად მოიხმარს მთელ ზედმეტ ღირებულებას Ф და მხოლოდ თავდაპირველი სიდიდის კაპიტალს *C* გადააქცევს ხელახლა მწარმოებლურ კაპიტალად. ამ შემთხვევაში მისი მოთხოვნა ღირებულების მხრივ უდრის მის მოწოდებას. მაგრამ ეს ასე არაა მისი კაპიტალის მოძრაობის მიმართ; მოთხოვნა, რომელსაც წამოაყენებს იგი როგორც კაპიტალისტი, მისი მიწოდების მხოლოდ $^4/_5$ შეადგენს (ღირებულების სიდიდის მიხედვით); $^1/_5$-ს იგი მოიხმარს როგორც არაკაპიტალისტი, არა თავისი, როგორც კაპიტალისტის, ფუნქციის გამო, არამედ თავისი პირადი საჭიროებისა ან სიამოვნებისათვის.

მისი ანგარიში პროცენტული რიცხვებით ასე გამოისახება:

მისი მოთხოვნა როგორც კაპიტალისტისა =	100,	მიწოდება =	120
» » » მოქეიფე კაცისა =	20,	» =	—
» ჯამი მოთხოვნისა =	120,	მიწოდებისა =	120

ეს ვარაუდი იმის ვარაუდს უდრის, რომ კაპიტალისტური წარმოება არ არსებობს და, მაშასადამე, არ არსებობს თვით მრეწველი კაპიტალისტიც: რადგან იმის ვარაუდი, რომ მამოძრავებელ მოტივს შეადგენს პირადი მოხმარება და არა თვით გამდიდრება, სპობს უკვე კაპიტალიზმის საფუძველს.

მაგრამ ასეთი ვარაუდი ტექნიკურადაც შეუძლებელია. კაპიტალისტმა არა მარტო უნდა შექმნას სათადარიგო კაპიტალი, რათა თავი დაიზღვიოს ფასების რყევისგან და შეეძლოს ყიდვისა და გაყიდვისათვის უალრესად ხელსაყრელ კონიუნქტურას დაელოდოს; მან უნდა დააგროვოს კაპიტალი, რათა ამით გააფართოოს წარმოება და ტექნიკური გაუმჯობესებანი შეიტანოს თავის საწარმოო ორგანიზმში.

იმისათვის, რომ კაპიტალი დააგროვოს, მან, უწინარეს ყოვლისა, მიმოქცევას უნდა მოაცილოს ნაწილი იმ ზედმეტი ღირებულებისა, რომელიც მას მიმოქცევიდან ფულადი ფორმით დაუბრუნდა და თანდათან ზარდოს იგი განძის სახით მანამდე, ვიდრე ისეთ მოცულობას არ მიიღებს, რომელიც საჭიროა ძველი საწარმოს გასაფართოებლად ანდა ძველის გვერდით ახალი საწარმოს გასახსნელად. სანამ განძის შექმნა გრძელდება, მანამდე ეს განძი არ ადიდებს კაპიტალისტის მოთხოვნას; ფული იმობილიზებულია; იგი საქონლის ბაზარს ვერ გამოაცლის ვერავითარ ახალ საქონლურ ეკვივალენტს იმ ფულადი ეკვივალენტის სანაცვლოდ, რომელიც ბაზარს გამოეცალა იქ მიტანილი საქონლისათვის.

კრედიტს აქ ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ; და კრედიტის სფეროს ეკუთვნის, მაგალითად, ის შემთხვევა, როდესაც კაპიტალისტს ფული, მისი დაგროვებისდა კვალად, ბანკში შეაქვს მიმდინარე ანგარიშზე პროცენტების მისაღებად.

თავი მეხუთე

მიმოქცევის დრო[8]

კაპიტალის მოძრაობა წარმოების სფეროში და მიმოქცევის სფეროს ორ ფაზაში, როგორც დავინახეთ, თანმიმდევრობით სრულდება დროში. წარმოების სფეროში კაპიტალის ყოფნის ხანგრძლიობა შეადგენს მისი წარმოების დროს, მიმოქცევის სფეროში ყოფნის ხანგრძლიობა კი — მისი ცირკულაციის, ანუ მიმოქცევის დროს. ამიტომ მთელი დრო, რომლის განმავლობაშიც კაპიტალი თავის წრეებრუნვას ასრულებს, წარმოების დროისა და მიმოქცევის დროის ჯამს უდრის.

წარმოების დრო მოიცავს. რასაკვირველია, შრომის პროცესის პერიოდს, მაგრამ ეს უკანასკნელი არ მოიცავს მთლიანად წარმოების დროს. გავიხსენოთ უწინარეს ყოვლისა, რომ მუდმივი კაპიტალის ნაწილი არსებობს შრომის საშუალებების სახით, როგორიცაა მანქანები, შენობები და სხვ., რომელნიც თავიანთი არსებობის დასასრულამდე ემსახურებიან შრომის ერთსა და იმავე სულ ახლად და ახლად განმეორებულ პროცესებს. შრომის პროცესის პერიოდული შეწყვეტა, მაგალითად, ღამით, თუმცა შეწყვეტს შრომის ამ საშუალებების მოქმედებას, მაგრამ ვერ შეწყვეტს მათ ყოფნას წარმოების ადგილას. ისინი იქ რჩებიან არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოქმედებენ, არამედ მაშინაც, როდესაც არ მოქმედებენ. მეორე მხრივ, კაპიტალისტს მზად უნდა ჰქონდეს ნედლი მასალისა და დამხმარე მასალის განსაზღვრული მარაგი, რათა წარმოების პროცესი სრულდებოდეს წინასწარ განსაზღვრული მასშტაბით ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისე, რომ იგი ბაზრის მხრივ საქონლის ყოველდღიური მიწოდების შემთხვევებზე არ იყოს დამოკიდებული. ეს ნედლი მასალისა და სხვ. მარაგი მხოლოდ თანდათანობით მოიხმარება მწარმოებლურად.

---

[8] აქედან ხელნაწერი IV.

ამიტომ ადგილი აქვს სხვაობას ამ მარაგის წარმოების დროსა[9] და მისი მოქმედების დროს შორის. მაშასადამე, საერთოდ წარმოების საშუალებათა წარმოების დრო მოიცავს: 1) დროს, რომლის განმავლობაშიც ისინი მოქმედებენ როგორც წარმოების საშუალებანი, ე. ი. ემსახურებიან წარმოების პროცესს; 2) პაუზებს, რომელთა განმავლობაშიც წარმოების პროცესი და, მაშასადამე, მასში ჩაბმულ წარმოების საშუალებათა მოქმედებაც შეწყვეტილია; 3) დროს, რომლის განმავლობაშიც ისინი თუმცა მზად არიან პროცესის პირობების სახით, მაშასადამე, უკვე მწარმოებლურ კაპიტალს წარმოადგენენ, მაგრამ ჯერ კიდევ არ შესულან წარმოების პროცესში.

აქამდე განხილული სხვაობა არის ყოველთვის სხვაობა წარმოების სფეროში მწარმოებლური კაპიტალის ყოფნის დროსა და წარმოების პროცესში მისი ყოფნის დროს შორის. მაგრამ წარმოების პროცესი თვითონ შეიძლება განაპირობებდეს შრომის პროცესების შეწყვეტას და, ამიტომ, შრომის დროის შეწყვეტასაც, განაპირობებდეს ინტერვალებს, როდესაც შრომის საგანი განიცდის ფიზიკური პროცესების ზემოქმედებას, ადამიანის შრომის შემდგომი მონაწილეობის გარეშე. წარმოების პროცესი და, ამიტომ, წარმოების საშუალებათა მოქმედებაც, ამ შემთხვევაში გრძელდება, თუმცა შრომის პროცესი და, მაშასადამე, წარმოების საშუალებათა მოქმედება შრომის საშუალებათა სახით, შეწყვეტილია. ამის მაგალითს იძლევა ხორბალი, რომელიც დათესილია, ღვინო, რომელიც დუღს მარანში, მრავალი მანუფაქტურის მასალა, მაგალითად, ტყავის ქარხნებში, სადაც ამ მასალას ქიმიურ პროცესებს უქვემდებარებენ. წარმოების დრო აქ უფრო დიდია, ვიდრე შრომის დრო. განსხვავება ორივეს შორის იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების დრო უფრო მეტია, ვიდრე შრომის დრო. ეს ნამეტი ყოველთვის ემყარება იმას, რომ მწარმოებლური კაპიტალი ფ ა რ უ ლ ა დ იმყოფება წარმოების სფეროში, მაგრამ თვით წარმოების პროცესში არ მოქმედებს, ანდა რომ იგი წარმოების პროცესში მოქმედებს, მაგრამ შრომის პროცესში არ იმყოფება.

ფარული მწარმოებლური კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მომარაგებულია მხოლოდ წარმოების პროცესის პირობის სახით, როგორც, მაგალითად, სართავ საწარმოში ბამბა, ნახშირი და სხვ., არ მოქმედებს არც როგორც პროდუქტის შემქმნელი ფაქტორი და არც როგორც

[9] წარმოების დრო აქ აქტიური აზრითაა აღებული: წარმოების საშუალებათა წარმოების დრო აქ ნიშნავს არა იმ დროს, რომლის განმავლობაშიც ისინი იწარმოებიან, არამედ იმ დროს, რომლის განმავლობაშიც ისინი მონაწილეობენ საქონლური პროდუქტის წარმოების პროცესში. — ფ. ე.

ღირებულების შემქმნელი ფაქტორი. იგი უქმად მდებარე კაპიტალია, თუმცა მისი უმოქმედობა წარმოების პროცესის უწყვეტი მიმდინარეობის პირობას შეადგენს. შენობები, აპარატები და სხვ., რომლებიც აუცილებელია როგორც მწარმოებლური მარაგის (ფარული კაპიტალის) საცავები, წარმოების პროცესის პირობებია და ამიტომ ავანსებული მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილებია. ისინი ასრულებენ თავიანთ ფუნქციას როგორც მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილების საცავები წინასწარ სტადიაზე. რამდენადაც ამ სტადიაზე აუცილებელია შრომის პროცესები, ისინი აძვირებენ ნედლ მასალას და სხვ., მაგრამ მწარმოებლურ შრომას წარმოადგენენ და ზედმეტ ღირებულებას ქმნიან, იმიტომ რომ ამ შრომის, როგორც ყოველი სხვა დაჭირავებული შრომის, ნაწილი არ ანაზღაურდება: მთელი წარმოების პროცესის ნორმალური შეწყვეტა, მაშასადამე, ინტერვალები, რომელთა განმავლობაშიც მწარმოებლური კაპიტალი არ მოქმედებს, არც ღირებულებას აწარმოებენ და არც ზედმეტ ღირებულებას. აქედან გამომდინარეობს მისწრაფება, რომ მუშაობა ღამითაც წარმოებდეს (წიგნი I, თავი VIII, 4). ასეთი ინტერვალები შრომის დროში, რომელნიც შრომის საგანმა უნდა განიცადოს თვით წარმოების პროცესის დროს, არ ქმნიან არც ღირებულებას და არც ზედმეტ ღირებულებას, მაგრამ ისინი ხელს უწყობენ პროდუქტის შექმნას, შეადგენენ მისი სიცოცხლის ნაწილს, წარმოადგენენ პროცესს, რომელიც მან უნდა განვლოს. აპარატების და სხვათა ღირებულება პროდუქტზე გადაიტანება მთელი იმ დროის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც ისინი მოქმედებენ; პროდუქტი გადაყვანილია წარმოების ამ სტადიაში თვით შრომის მიერ, და ამ აპარატების ხმარება ისევე შეადგენს წარმოების პირობას, როგორც ბამბის იმ ნაწილის მტვრად ქცევა, რომელიც პროდუქტში არ შედის, მაგრამ რომელსაც მაინც გადააქვს თავისი ღირებულება პროდუქტზე. ფარული კაპიტალის სხვა ნაწილი, როგორიცაა შენობები, მანქანები და სხვ., ე. ი. შრომის საშუალებანი, რომელთა მოქმედება წარმოების პროცესის მხოლოდ ნორმალური პაუზებით შეწყდება, — არანორმალური პაუზები, წარმოების შეკვეცის, კრიზისებისა და სხვათა გამო, წმინდა ზარალს წარმოადგენენ, — ფარული კაპიტალის ეს ნაწილი პროდუქტს მატებს თავის ღირებულებას, თუმცა შესაქმნელ პროდუქტში არ შედის; ერთობლივი ღირებულება, რასაც ეს ნაწილი პროდუქტს მატებს, ამ ნაწილის არსებობის საშუალო ხანგრძლიობით განისაზღვრება; იგი კარგავს თავის ღირებულებას, იმიტომ რომ როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის დროს კარგავს სახმარ ღირებულებას.

დასასრულ, კაპიტალის მუდმივი ნაწილის ღირებულება, რომელიც წარმოების პროცესში განაგრძობს ყოფნას, შრომის პროცესის შეწყვეტის მიუხედავად, ხელახლა გვევლინება წარმოების პროცესის შედეგში. წარმოების საშუალებანი აქ თვით შრომის მიერ ჩაყენებულია ისეთ პირობებში, სადაც ისინი თავისთავად გაივლიან განსაზღვრულ ბუნებრივ პროცესებს, რომელთა შედეგად მიიღება განსაზღვრული სასარგებლო ეფექტი, ანუ მათი სახმარი ღირებულების შეცვლილი ფორმა. შრომას ყოველთვის გადააქვს პროდუქტზე წარმოების საშუალებათა ღირებულება, რამდენადაც იგი მათ მართლა მიზანშეწონილად მოიხმარს როგორც წარმოების საშუალებებს. საქმეს სრულიადაც არ ცვლის ის, ამ ეფექტის მისაღწევად შრომა განუწყვეტლივ უნდა მოქმედებდეს შრომის საგანზე შრომის საშუალებათა დახმარებით, თუ მან მხოლოდ ბიძგი უნდა მისცეს იმით, რომ წარმოების საშუალებები ისეთ პირობებში ჩააყენოს, რომელთა მეოხებითაც წარმოების საშუალებანი წინასწარ დასახულ ცვლილებას განიცდიან თავისთავად, შრომის ყოველგვარი შემდგომი მონაწილეობის გარეშე, მარტოოდენ ბუნების პროცესების გამო.

როგორიც არ უნდა იყოს წარმოების დროის შრომის დროზე გადანამეტის მიზეზი, — მხოლოდ ფარულ მწარმოებლურ კაპიტალს შეადგენენ წარმოების საშუალებანი და მაშასადამე, ჯერ კიდევ ნამდვილი წარმოების პროცესის წინა საფეხურზე იმყოფებიან, თუ წარმოების პროცესის დროს მათი საკუთარი მოქმედება შეწყდება ხოლმე ამ პროცესის შეჩერებით, ანდა, ბოლოს, თვითონ წარმოების პროცესი იწვევს შრომის პროცესის შეწყვეტას, — არც ერთ ამ შემთხვევაში წარმოების საშუალებანი არ მოქმედებენ იმგვარად, რომ შრომა შეიწოვონ. ხოლო თუ ისინი შრომას არ შეიწოვენ, მაშინ ზედმეტ შრომასაც არ შეიწოვენ. ამიტომ ადგილი არა აქვს მწარმოებლური კაპიტალის ღირებულების ზრდას, ვიდრე ეს კაპიტალი თავისი წარმოების დროის იმ მონაკვეთში იმყოფება, რომელიც შეადგენს შრომის დროის გადანამეტს, რაგინდ განუყრელიც არ უნდა იყოს ღირებულების ზრდის პროცესის შესრულება ამ პროცესის პაუზათაგან. ცხადია, რაც უფრო ემთხვევა ერთიმეორეს წარმოების დრო და შრომის დრო, მით უფრო დიდია მოცემული მწარმოებლური კაპიტალის წარმადობა და ღირებულების ზრდა მოცემული პერიოდის განმავლობაში. აქედან გამომდინარეობს კაპიტალისტური წარმოების ტენდენცია, რომ რაც შეიძლება შემოკლდეს წარმოების დროის გადანამეტი შრომის დრო, თუმცა შესაძლებელია მოხდეს კაპიტალის წარმოების დროის გადახრა მისი შრომის დროისაგან, მაგრამ წარმოების დრო მაინც მუდამ შეიცავს

შრომის დროს, და თვით გადანამეტი პირველისა მეორეზე წარმოების პროცესის პირობაა. მაშასადამე, წარმოების დრო ყოველთვის ის დროა, რომლის განმავლობაშიც კაპიტალი აწარმოებს სახმარ ღირებულებას და თვითონ იზრდება ღირებულების მხრივ, ე. ი. მოქმედებს როგორც მწარმოებლური კაპიტალი, თუმცა წარმოების დრო **იმ** დროსაც შეიცავს, როდესაც კაპიტალი ან ფარულ მდგომარეობაში იმყოფება, ანდა პროდუქტებს აწარმოებს, მაგრამ თავის ღირებულებას არ ზრდის.

მიმოქცევის სფეროში კაპიტალი იმყოფება საქონლური კაპიტალისა და ფულადი კაპიტალის სახით. მისი მიმოქცევის ორი პროცესი იმაში მდგომარეობს, რომ საქონლური ფორმიდან იგი გარდაიქმნება ფულად ფორმად და ფულადი ფორმიდან საქონლურ ფორმად. ის გარემოება, რომ საქონლის გარდაქმნა ფულად აქ იმავე დროს საქონელში მოქცეული ზედმეტი ღირებულების რეალიზაციაა და რომ ფულის გარდაქმნა საქონლად იმავე დროს კაპიტალღირებულების გარდაქმნა ანუ უკუგარდაქმნა არის მისი წარმოების ელემენტების სახეობად — ეს არაფერს არ ცვლის იმაში, რომ აღნიშნული პროცესები, როგორც მიმოქცევის პროცესები, საქონელთა მარტივი მეტამორფოზის პროცესებია.

მიმოქცევის დრო და წარმოების დრო ერთი მეორეს გამორიცხავენ. თავისი მიმოქცევის დროის განმავლობაში კაპიტალი არ მოქმედებს როგორც მწარმოებლური კაპიტალი და ამიტომ არც საქონელს აწარმოებს და არც ზედმეტ ღირებულებას. თუ ჩვენ წრებრუნვას უმარტივეს ფორმაში განვიხილავთ, როდესაც მთელი კაპიტალღირებულება თვითეულ შემთხვევაში ერთბაშად გადადის ერთი ფაზიდან მეორეში, — ცხადია, რომ წარმოების პროცესი და, მაშასადამე, კაპიტალის ღირებულების თვითზრდა შეწყვეტილია მანამდე, ვიდრე მისი მიმოქცევა გრძელდება, და რომ ამ უკანასკნელის ხანგრძლიობის მიხედვით წარმოების პროცესის განახლება უფრო სწრაფად ან უფრო ნელა ხდება. პირიქით, თუ კაპიტალის სხვადასხვა ნაწილი ერთიმეორის მიყოლებით გაივლის წრებრუნვას, ასე რომ მთელი კაპიტალღირებულების წრებრუნვა თანმიმდევრობით მისი სხვადასხვა წილის წრებრუნვაში ხორციელდება, მაშინ ცხადია, რომ რაც უფრო ხანგრძლივია კაპიტალღირებულების შესაბამისი ნაწილების გაჩერება მიმოქცევის სფეროში, მით უფრო ნაკლები უნდა იყოს მისი ის ნაწილი, რომელიც მუდამ მოქმედებს წარმოების სფეროში. ამიტომ მიმოქცევის დროის გადიდება და შემცირება ზეგავლენას ახდენს როგორც უარყოფითი ზღვარი წარმოების დროის შემცირებასა თუ გადიდებაზე,

ანუ იმ ოდენობის შემცირებასა თუ გადიდებაზე, რომლითაც ამა თუ იმ სიდიდის კაპიტალი მოქმედებს როგორც მწარმოებლური კაპიტალი. რაც უფრო იდეალურია კაპიტალის მიმოქცევის მეტამორფოზები, ე. ი. რაც უფრო უთანატოლდება ან უახლოვდება ნულს მიმოქცევის დრო, მით უფრო მოქმედებს კაპიტალი, მით უფრო დიდი ხდება მისი მწარმოებლობა და მისი ღირებულების თვითზრდა. თუ, მაგალითად, კაპიტალისტი შეკვეთით მუშაობს, ისე, რომ მას პროდუქტის ჩაბარებისას უხდიან, და თუ ეს გადახდა მისი საკუთარი წარმოების საშუალებებით ხდება, მაშინ მიმოქცევის დრო უახლოვდება ნულს.

ამრიგად, კაპიტალის მიმოქცევის დრო საერთოდ ზღუდავს მისი წარმოების დროს და, მაშასადამე, მისი ღირებულების ზრდის პროცესს; ამასთან იგი ზღუდავს ამ უკანასკნელს მიმოქცევის დროის ხანგრძლიობის პროპორციულად. ეს ხანგრძლიობა კი შეიძლება ფრიად სხვადასხვა ზომით მატულობდეს ან კლებულობდეს და ამიტომ ფრიად სხვადასხვა ზომით ზღუდავდეს კაპიტალის წარმოების დროს. მაგრამ პოლიტიკური ეკონომია ხედავს მარტოოდენ გ ა რ ე გ ნ უ ლ გ ა მ ო ვ ლ ე ნ ა ს, სახელდობრ მიმოქცევის დროის გავლენას კაპიტალის ღირებულების ზრდის პროცესზე საერთოდ. ეს უარყოფითი გავლენა მას დადებით გავლენად მიაჩნია, იმიტომ რომ მისი შედეგები დადებითია. იგი მით უფრო ებღაუჭება ამ მოჩვენებითობას, რომ ეს უკანასკნელი თითქოს იმას ამტკიცებს, რომ კაპიტალს ღირებულების თვითზრდის მისტიკური წყარო აქვს, რომელიც დამოუკიდებელია კაპიტალის წარმოების პროცესისაგან და ამიტომ შრომის ექსპლოატაციისაგანაც, და რომელიც მისკენ მიმოქცევის სფეროდან მოედინება. შემდგომ ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ ტყუვდება თვით მეცნიერული ეკონომიაც კი ამ მოჩვენებითობით. ეს მოჩვენებითობა, როგორც შემდგომ დავინახავთ, ფეხს იკიდებს სხვადასხვა მოვლენების მეოხებით: 1) მოგების გამოანგარიშების კაპიტალისტური წესით, სადაც უარყოფითი მიზეზი დადებითი მიზეზის სახით გვევლინება, რადგან კაპიტალებისათვის დაბანდების სხვადასხვა სფეროებში, სადაც მხოლოდ მიმოქცევის დროა განსხვავებული, მიმოქცევის უფრო გრძელი დრო მოქმედებს როგორც ფასების აწევის საფუძველი,—მოკლედ, როგორც მოგებათა გათანაბრების ერთ-ერთი საფუძველი. 2) მიმოქცევის დრო შეადგენს გადაბრუნების დროის მხოლოდ ერთ მომენტს; გადაბრუნების დრო კი შეიცავს წარმოების დროს ან — შესაბამისად— კვლავწარმოების დროს. რაც გადაბრუნების დროის მიზეზითაა წარმოქმნილი, ისე ჩანს, თითქოს მიმოქცევის დროის მიზეზით იყოს წარმომდგარი. 3) საქონელთა გარდაქმნას ცვალებად კაპიტალად (ხელფასად) განაპირობებს მათი წინასწარი გადაქცევა ფულად. მაშა-

სადამე, კაპიტალის დაგროვებისას დამატებით ცვალებად კაპიტალად გარდაქმნა ხდება მიმოქცევის სფეროში ანუ მიმოქცევის დროს. ამიტომ ისე გვეჩვენება, თითქოს ამ უკანასკნელის მიზეზით იყოს წარმომდგარი მომხდარი დაგროვება.

მიმოქცევის სფეროში კაპიტალი, ამა თუ იმ თანმიმდევრობით, გაიცლის ორ მოპირისპირე ფაზას: ს — ფ და ფ — ს. ამრიგად, მისი მიმოქცევის დროც იყოფა ორ ნაწილად: იმ დროდ, რომელიც მას ესაჭიროება, რათა საქონლიდან ფულად გადაიქცეს, და იმ დროდ, რომელიც ესაჭიროება, რათა ფულიდან საქონლად გადაიქცეს. უკვე მარტივი საქონელმიმოქცევის ანალიზიდან ვიცით (წიგნი I, თავი III), რომ ს — ფ, გაყიდვა, საქონლის მეტამორფოზის უძნელესი ნაწილია და ამიტომ, ჩვეულებრივ პირობებში, მიმოქცევის დროის უდიდეს ნაწილს შეადგენს. ღირებულება ფულის სახით თავის ისეთ ფორმაში იმყოფება, რომელიც ყოველთვის შეიძლება სხვა ფორმად გარდაიქმნას. როცა კი ღირებულება საქონელშია განსახიერებული, მას მხოლოდ ფულად გარდაქმნის გზით შეუძლია მიიღოს ეს ფორმა, რომელიც უშუალო გაცვლადობისა და ამიტომ ყოველჟამს მოქმედებისათვის გამზადებულ ფორმას წარმოადგენს. მაგრამ კაპიტალის მიმოქცევის პროცესის დროს სტადიაში: ფ — ს საქმე შეეხება მის გარდაქმნას სხვადასხვა საქონლად, რომელნიც მწარმოებლური კაპიტალის განსაზღვრულ ელემენტებს შეადგენენ ამა თუ იმ საწარმოში. შესაძლებელია მოხდეს, რომ წარმოების საშუალებანი არ მოიპოვება ბაზარზე და აუცილებელია ჯერ მათი წარმოება, ან აუცილებელია მათი მოზიდვა შორეული ბაზრებიდან, ან ადგილი აქვს შეფერხებას მათს ჩვეულებრივ მიწოდებაში, ფასების ცვლილებას და სხვ., — ერთი სიტყვით, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მრავალ ისეთ გარემოებას, რომელნიც შეუმჩნეველია უბრალო ფორმაცვლაში ფ — ს, მაგრამ რომელნიც მიმოქცევის ამ ფაზის ნაწილისთვისაც ხან მეტ, ხან ნაკლებ დროს მოითხოვენ. როგორც ს — ფ და ფ — ს ერთმანეთისაგან გათიშულია დროში, ასევე შეიძლება მათი გათიშვა სივრცეშიც, ყიდვის ბაზარი და გაყიდვის ბაზარი შეიძლება სხვადასხვა ბაზარი იყოს სივრცის მიხედვით. მაგალითად, ფაბრიკებში შემყიდველი და გამყიდველი ხშირად ორი სხვადასხვა პირია. საქონელწარმოების დროს მიმოქცევა ისევე აუცილებელია, როგორც თვით წარმოება, მაშასადამე, მიმოქცევის აგენტებიც ისევე აუცილებელნი არიან, როგორც წარმოების აგენტები. კვლავწარმოების პროცესი შეიცავს კაპიტალის ორსავე ფუნქციას, მაშასადამე, ამ ფუნქციების წარმომადგენლობის აუცილებლობასაც, ამ ფუნქციებს შეიძლება ასრულებდეს თვით კაპიტალისტი ან მისი დაქირავებული მუშა, თუ

აგენტი. მაგრამ ეს სრულიადაც არაა საფუძველი იმისათვის, რომ მიმოქცევის აგენტები ავურიოთ წარმოების აგენტებში, ისევე როგორც არაა საფუძველი იმისათვის, რომ საქონლური და ფულადი კაპიტალის ფუნქციები ავურიოთ მწარმოებლური კაპიტალის ფუნქციებში. მიმოქცევის აგენტების გასტუმრება უნდა ხდებოდეს წარმოების აგენტების მიერ. ხოლო თუ კაპიტალისტები, რომელნიც ერთიმეორესგან ყიდულობენ და ერთმანეთს მიჰყიდიან ხოლმე, ამ აქტით არც პროდუქტებს ქმნიან და არც ღირებულებას, — ეს გარემოება სულაც არ იცვლება იმის გამო, რომ მათი საქმის მოცულობა შესაძლებლობას აძლევს, ან აიძულებს მათ, ყიდვა-გაყიდვის ფუნქციები სხვებს გადააკისრონ. ზოგ საწარმოში შემყიდველებს და გამყიდველებს ტანტიემების, მოგებაში წილის მიცემის გზით უხდიან. ფრაზა: მათ მომხმარებლები უხდიანო, საქმეს არა შველის. მომხმარებლებს გადახდა შეუძლიათ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თვით ისინი, როგორც წარმოების აგენტები, ეკვივალენტს აწარმოებენ საქონლის სახით ან მიითვისებენ მას წარმოების აგენტებისაგან ამა თუ იმ იურიდიული ტიტულის საფუძველზე (როგორც სამრეწველო ამხანაგობათა და სხვ. მონაწილენი) ანდა პირადი მომსახურების გაწევის გზით.

ს — ფ და ფ — ს შორის არსებობს განსხვავება, რასაც არაფერი აქვს საერთო საქონლისა და ფულის ფორმის განსხვავებასთან და წარმოების კაპიტალისტური ხასიათიდან გამომდინარეობს. თავისდათავად როგორც ს — ფ, ისე ფ — ს ამა თუ იმ ღირებულების უბრალო გარდაქმნაა ერთი ფორმიდან მეორე ფორმად. მაგრამ ს′ — ფ′ იმავე დროს რეალიზაციაა იმ ზედმეტი ღირებულებისა, რომელსაც ს′ შეიცავს. ასე არაა ფ — ს მიმართ. ამიტომ გაყიდვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყიდვა. ფ — ს ნორმალურ პირობებში აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ფ-ით გამოხატული ღირებულება გაიზარდოს, მაგრამ იგი არ წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების რეალიზაციას; იგი ზედმეტი ღირებულების წარმოების შესავალია და არა დასკვნითი აქტი მის მიმართ.

საქონლური კაპიტალის ს′ — ფ′ მიმოქცევას გარკვეულ ზღუდეს უდებს თვით საქონელთა არსებობის ფორმა, სახმარ ღირებულებათა სახით მათი არსებობა. ისინი თავიანთი ბუნებით წარმავალნი არიან. ამიტომ, თუ განსაზღვრული ვადის განმავლობაში ისინი არ შევლენ მწარმოებლურ ან ინდივიდუალურ მოხმარებაში, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათი დანიშნულება, სხვა სიტყვებით, თუ არ მოხდება მათი გაყიდვა განსაზღვრული დროის განმავლობაში, — ისინი ფუჭდებიან და თავიანთ სახმარ ღირებულებასთან ერთად კარგავენ საცვლელი

ღირებულების ნივთიერი მატარებლის თვისებას. მათში მოქცეული კაპიტალღირებულება მასზე მიზრდილ ზედმეტ ღირებულებასთან ერთად ჩკარგება. სახმარი ღირებულებანი წლობით შენარჩუნებული და თვითმზარდი კაპიტალღირებულების მატარებლად რჩებიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი გახუწყვეტელი განახლება და კვლავწარმოება ხდება, რამდენადაც მათ იმავე ან სხვა სახის სახმარი ღირებულებანი შეენაცვლებიან. მაგრამ სახმარ ღირებულებათა გაყიდვა მზამზარეულ საქონელთა ფორმით, მაშასადამე, მათი შესვლა გაყიდვის მეშვეობით მწარმოებლურ ან ინდივიდუალურ მოხმარებაში, წარმოადგენს მათი კვლავწარმოების მუდამ განახლებად პირობას. განსაზღვრული დროის განმავლობაში მათ უნდა გამოიცვალონ თავიანთი ძველი სახმარი ფორმა, რათა ახალში განაგრძონ არსებობა. საცვლელი ღირებულება შეინარჩუნება მისი სხეულის მხოლოდ ასეთი მუდმივი განახლების გზით. სხვადასხვა საქონლის სახმარი ღირებულებანი ფუჭდება უფრო სწრაფად ან უფრო ნელა; ამიტომ მათს წარმოებასა და მოხმარებას შორის შეიძლება განვლოს დროის მეტმა ან ნაკლებმა პერიოდმა; მაშასადამე, მათ შეუძლიათ, გაუნადგურებლად, უფრო დიდხანს თუ უფრო ცოტახანს იმყოფებოდნენ მიმოქცევის ფაზაში Ц — Ф საქონლური კაპიტალის სახით, შეუძლიათ აიტანონ საქონელთა სახით მიმოქცევის მეტნაკლებად ხანგრძლივი დრო. საქონლური კაპიტალის მიმოქცევის დროის საზღვარი, რომელიც თვით საქონლის სხეულის გაფუჭებითაა გაპირობებული, მიმოქცევის დროის ამ ნაწილის ან იმ მიმოქცევის დროის აბსოლუტური საზღვარია, რომლის განმავლობაშიც საქონლურ კაპიტალს შეუძლია იარსებოს როგორც ასეთს. რაც უფრო მალფუჭებადია საქონელი, რაც უფრო ჩქარა უნდა მოხდეს მისი მოხმარება და, მაშასადამე, წარმოების შემდეგ გაყიდვაც, მით უფრო ნაკლები მანძილით შეიძლება დაშორდეს იგი თავისი წარმოების ადგილს, მით უფრო, მაშასადამე, ვიწროა სივრცებრივად მისი მიმოქცევის სფერო, მით უფრო ლოკალური ხასიათისაა მისი გასაღების ბაზარი. ამიტომ, რაც უფრო მალფუჭებადია ესა თუ ის საქონელი, რაც უფრო დიდია მისი, როგორც საქონლის, მიმოქცევის აბსოლუტური შეზღუდვა, გაპირობებული მისი ფიზიკური თვისებებით, მით უფრო ნაკლებად გამოსადეგია იგი კაპიტალისტური წარმოების საგნად. ასეთი საქონელი შეიძლება კაპიტალისტური წარმოების საგანი გახდეს მხოლოდ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ანდა იმდენად, რამდენადაც ტრანსპორტის საშუალებათა განვითარება ამცირებს მანძილს. ხოლო რომელიმე საქონლის წარმოების, კონცენტრაციას მცირეოდენთა ხელში შეუძლია მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში შექმნას შედარებით დიდი ბაზარი ისეთი ნაწარმისთვისაც როგორიცაა, მაგალითად, დიდი ლუდსახდელი ქარხნების, რძის ფერმებისა და **სხვ. ნაწარმი.**

თავი მეექვსე

მიმოქცევის ხარჯები

I. მიმოქცევის წმინდა ხარჯები

1. ყიდვისა და გაყიდვის დრო.

კაპიტალის ფორმის გარდაქმნა საქონლიდან ფულად და ფულიდან საქონლად იმავე დროს კაპიტალისტის სავაჭრო გარიგებანია: ყიდვისა და გაყიდვის აქტებია. დრო, რომლის განმავლობაშიც კაპიტალის ფორმის ეს გარდაქმნა ხდება, სუბიექტურად, კაპიტალისტის თვალსაზრისით, გაყიდვისა და ყიდვის დროს წარმოადგენს, დროს, როდესაც კაპიტალისტი ბაზარზე მოქმედებს როგორც გამყიდველი და მყიდველი. როგორც კაპიტალის მიმოქცევის დრო მისი კვლავწარმოების დროის აუცილებელ მონაკვეთს შეადგენს, ისევე ის დრო, რომლის განმავლობაშიც კაპიტალისტი ყიდულობს და ყიდის, დაძრწის ბაზარზე, შეადგენს იმ დროის აუცილებელ მონაკვეთს, როდესაც იგი მოქმედებს როგორც კაპიტალისტი, ე. ი. როგორც პერსონიფიცირებული კაპიტალი. ეს დრო შეადგენს მისი მოსაქმეობის დროის ნაწილს.

{ რადგან ჩვენ დავუშვით, რომ საქონელთა ყიდვა და გაყიდვა მათი ღირებულების მიხედვით წარმოებს, ამიტომ ამ აქტების შესრულებისას ლაპარაკია ერთი და იმავე ღირებულების მხოლოდ გარდაქმნაზე ერთი ფორმიდან მეორე ფორმად, საქონლური ფორმიდან ფულად ფორმად და ფულადი ფორმიდან საქონლურ ფორმად, — ლაპარაკია მხოლოდ მდგომარეობის შეცვლაზე. თუ საქონელთა გაყიდვა მათი ღირებულების მიხედვით ხდება, ღირებულების სიდიდე უცვლელი რჩება როგორც მყიდველის, ისე გამყიდველის ხელში; იცვლება მხოლოდ მისი არსებობის ფორმა. ხოლო თუ საქონელთა გაყიდვა არ წარმოებს მათი ღირებულების მიხედვით, მაშინ უცვლელი რჩება გარდაქმნილ ღირებულებათა ჯამი; რაც ერთი მხარისათვის პლუსია, ის მეორე მხარისათვის მინუსია.

მაგრამ მეტამორფოზები ს — ფ და ფ — ს სავაჭრო გარიგებანია, რომელთაც ადგილი აქვთ მყიდველსა და გამყიდველს შორის; ამათ-

თვის საჭიროა დრო, რომ ერთმანეთთან მორიგდნენ, მით უმეტეს, რომ აქ წარმოებს ბრძოლა, სადაც თვითეული მხარე ცდილობს მეორე მოატყუოს; პირისპირ დგანან საქმოსნები, ხოლო «when greek meets greek then comes the tug of war» [«როდესაც ბერძენი ბერძენს შეხვდება, იწყება სასტიკი ბრძოლა»]. მდგომარეობის ცვლილება დროისა და სამუშაო ძალის დახარჯვას მოითხოვს, მაგრამ არა იმისათვის, რომ ამით ღირებულება შეიქმნას, არამედ იმისათვის, რომ მოხდეს ღირებულების გარდაქმნა ერთი ფორმიდან მეორე ფორმად; ამასთან საქმე სრულიადაც არ იცვლება იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში თვითეული მხარე ცდილობს ღირებულების ნამეტი რაოდენობა მიითვისოს. ეს შრომა, ორივე მხარის ბოროტი განზრახვით გადიდებული, ისევე არა ქმნის ღირებულებას, როგორც ის შრომა, რომელიც ამა თუ იმ სასამართლო პროცესის წარმოებაზე იხარჯება, არ ადიდებს დავის ობიექტის ღირებულებას. როლი ამ შრომისა, რომელიც აუცილებელ მომენტს წარმოადგენს მთლიანად აღებული კაპიტალისტური წარმოების პროცესში, სადაც ეს უკანასკნელი შეიცავს მიმოქცევასაც ანდა მიმოქცევა ჩართულია წარმოების პროცესში, — ამ შრომის როლი ისეთივეა, როგორც იმ მუშაობის როლი, რომელსაც ადგილი აქვს სითბოს წარმოსაქმნელად გამოყენებული რომელიმე ნივთიერების დაწვისას. დაწვისას შესრულებული ეს მუშაობა არ წარმოშობს სითბოს, თუმცა იგი დაწვის პროცესის აუცილებელ მომენტს შეადგენს. იმისათვის, რომ, მაგალითად, ნახშირი სათბობ მასალად გამოვიყენო, მე იგი უნდა შევუერთო ჟანგბადს და ამასთან მყარი მდგომარეობიდან აირივან მდგომარეობაში გადავიყვანო (რადგან ნახშირჟანგა აირში, დაწვის შედეგში, ნახშირი სწორედ აირის სახით მოიპოვება), მაშასადამე, მე უნდა გამოვიწვიო ფიზიკური არსებობის ფორმის ანუ ფიზიკური მდგომარეობის ცვლილება. ახალ შეერთებას წინ უნდა უძღოდეს ნახშირბადის მოლეკულების გამოყოფა, რომლებიც შეერთებულნი არიან ერთ მთლიან სხეულად, და ნახშირბადის თვით მოლეკულის დაშლა მის ცალკეულ ატომებად; ეს კი მოითხოვს გარკვეული ენერგიის დახარჯვას, რაც, ამგვარად, სითბოდ კი არ გარდაიქმნება, არამედ ერთმევა მას. ამიტომ, თუ საქონელმფლობელნი კაპიტალისტები არ არიან, არამედ დამოუკიდებელი უშუალო მწარმოებლები, ის დრო, რასაც ისინი ყიდვასა და გაყიდვას ანდომებენ, გამოაკლდება მათ სამუშაო დროს; აი რატომაა, რომ ისინი ყოველთვის ცდილობდნენ (როგორც ძველად, ისე შუა საუკუნეებში) უქმე დღეებზე გადაეტანათ ამგვარი ოპერაციები.

მოცულობას, რასაც აღწევს საქონელბრუნვა კაპიტალისტების ხელში, რა თქმა უნდა, არ შეუძლია, ეს შრომა, რომელიც ღირებულებას კი არ ქმნის, არამედ ღირებულების მხოლოდ ფორმაცვლას უწყობს ხელს, ღირებულების შემქმნელ შრომად გადააქციოს. ასევე ნაკლებ შეიძლება შრომის ასეთი გარდაქმნის სასწაული მოხდეს გადატანის მეოხებით, ე. ი. იმის მეოხებით, რომ მრეწველი კაპიტალისტები, იმის ნაცვლად, რომ თვითონ შეასრულონ ეს «დაწვის მუშაობა», ამას მათ მიერ გასტუმრებულ მესამე პირთა ერთადერთ მოსაქმეობად აქცევენ. რასაკვირველია, ეს მესამე პირნი თავიანთ სამუშაო ძალას არ გადასცემენ მათ განკარგულებაში მათი beaux yeux [ლამაზი თვალების] გულისათვის. ასევე რენტის ამკრეფისთვის, რომელიც რომელიმე მიწისმფლობელთან მსახურობს, ანდა ბანკის მოსამსახურისთვის სავსებით სულ ერთია ის გარემოება, რომ მათი შრომა ერთი ბეწოთიც კი არ ადიდებს არც რენტის ღირებულებას, არც იმ ოქროს ზოდების ღირებულებას, რაც ტომრებით გადაიტანება სხვა ბანკში).[10]

ყიდვა და გაყიდვა მთავარ ფუნქციად იქცევა კაპიტალისტისათვის, რომელიც სხვებს აიძულებს მისთვის იმუშაონ. რადგან იგი მრავალთა პროდუქტს ფართო საზოგადოებრივი მასშტაბით ითვისებს, ამიტომ მან ასეთივე მასშტაბით უნდა გაყიდოს ეს პროდუქტი და შემდეგ ხელახლა გადააქციოს ფულიდან წარმოების ელემენტებად. როგორც უწინ, ისე ახლაც ყიდვისა და გაყიდვის დრო არავითარ ღირებულებას არა ქმნის. აქ სავაჭრო კაპიტალის მოქმედების მეოხებით იქმნება ერთგვარი ილუზია. მაგრამ, თუნდაც რომ ეს ჯერჯერობით დაწვრილებით არ განვიხილოთ, თავისთავად ცხადია ერთი რამ: თუ რომელიმე ფუნქცია, რომელიც თავისთავად არამწარმოებლურია, მაგრამ კვლავწარმოების აუცილებელ მომენტს შეადგენს, შრომის დანაწილების გამო მრავალთა დამხმარე ფუნქციიდან მცირეოდენთა განსაკუთრებულ ფუნქციად, განსაკუთრებულ მოსაქმეობად იქცევა, — ამით თვით ფუნქციის ხასიათი არ შეიცვლება. შესაძლებელია, რომ ვაჭარი (რომელიც აქ განიხილება როგორც საქონელთა ფორმის გარდაქმნის უბრალო აგენტი, როგორც უბრალო მყიდველი და გამყიდველი) თავისი ოპერაციებით ამცირებს მ რ ა ვ ა ლ ი მწარმოებლისათვის იმ დროს, რასაც ისინი ყიდვასა და გაყიდვას ანდომებდნენ. ამ შემთხვევაში ის შეიძლება განვიხილოთ როგორც მანქანა, რომელიც ამცირებს ძალის უსარგებ-

---

[10] ფრჩხილებში ჩასმული ადგილი აღებულია VIII ხელნაწერის ბოლოში დართულ შენიშვნიდან. — ფ. ე.

ლო ხარჯვას ანუ ხელს უწყობს წარმოებისათვის დროის განთავისუფლებას[11].

საკითხის გამარტივების მიზნით (რადგან ჩვენ მხოლოდ შემდეგში განვიხილავთ ვაჭარს კაპიტალისტის სახით და სავაჭრო კაპიტალს) ვიგულისხმოთ, რომ ყიდვისა და გაყიდვის აგენტი არის ადამიანი, რომელიც თავის შრომას ყიდის. იგი თავის სამუშაო ძალას და სამუშაო დროს ხარჯავს ს — ფ და ფ — ს ოპერაციებზე. იგი ამით არსებობს ისევე, როგორც მეორე, მაგალითად, რთვით ან აბების დამზადებით არსებობს. იგი ასრულებს კვლავწარმოების პროცესში აუცილებელ (თუმცა არამწარმოებლურ) ფუნქციას, იმიტომ რომ თვით კვლავწარმოების პროცესი არამწარმოებლურ ფუნქციებსაც შეიცავს. იგი ისევე მუშაობს, როგორც ყოველი სხვა, მაგრამ მისი მუშაობის შინაარსი არ ქმნის არც ღირებულებას, არც პროდუქტს. თვით იგი წარმოების faux frai-ს [არამწარმოებლურ ხარჯებს] ეკუთვნის. მას სარგებლობა იმით კი არ მოაქვს, რომ არამწარმოებლურ ფუნქციას მწარმოებლურ ფუნქციად ან არამწარმოებლურ შრომას მწარმოებლურ შრომად გადააქცევს. სასწაული იქნებოდა, ფუნქციის ასეთი გადატანით ასეთი გარდაქმნის მოხდენა რომ შეიძლებოდეს. პირიქით, მას სარგებლობა იმით მოაქვს, რომ საზოგადოების სამუშაო ძალისა და სამუშაო დროის უფრო მცირე ნაწილი იხარჯება ამ არამწარმოებლურ ფუნქციაზე. კიდევ მეტი. ვიგულისხმოთ, რომ ის არის უბრალო დაქირავებული მუშა, თუნდაც ისეთი, რომლის შრომასაც უკეთესად ანაზღაურებენ. როგორიც უნდა იყოს მისი შრომის ანაზღაურება, თავისი დროის ერთ ნაწილს იგი, როგორც დაქირავებული მუშა, მუშ-

---

[11] «მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ხარჯები აუცილებელია, ისინი მაინც უნდა განვიხილოთ როგორც ზარალი» (Quesnay: «Analyse du Tableau Economique». In Daire, «Physiocrates», I ნაწილი, Paris, 1846, გვ. 71). კენეს თანახმად, «მოგება» რომელიც მოაქვს კონკურენციას ვაჭრებს შორის იმის გამო, რომ აიძულებს მათ «შეკვეცონ თავიანთი გასამრჯელო, ანუ თავიანთი მოგება... ნამდვილად რომ ვთქვათ, სხვა არაფერია, თუ არა ზარალის თავიდან აცილება (*privation de perte*) იმათთვის, ვინც უშუალოდ თვითონ ყიდის ან მყიდველ-მომხმარებელია. ხოლო ზარალის თავიდან აცილება არაა რეალური პროდუქტი ანუ ვაჭრობით მიღებული სიმდიდრის გადიდება, განვიხილავთ ამ ვაჭრობას თავისთავად, ტრანსპორტის ხარჯებისგან დამოუკიდებლად, თუ ტრანსპორტის ხარჯებთან დაკავშირებით» (გვ. 145, 146). «ვაჭრობის ხარჯების გასტუმრება ყოველთვის ხდება პროდუქტების გამყიდველთა ხარჯზე, რომელნიც, საშუამავლო ხარჯები რომ არ არსებობდეს (გვ. 163), მთლიანად მიიღებდნენ იმ ფასს, რასაც ამ პროდუქტებში იხდიან მყიდველები». «მესაკუთრენი და მწარმოებლები არიან «salariants» — გადამხდელები, ვაჭრები კი — «salariés», გასტუმრებულნი, რომელნიც დაქირავებულნი არიან» (გვ. 164) (*Quesnay*: «Problèmes économiques», in Daire, «Physiocrates,» I ნაწილი, Paris 1846).

თად მუშაობს. შესაძლოა, იგი იღებდეს ყოველდღიურად რვა საათის შრომით შექმნილ ღირებულებას, თვითონ კი მუშაობდეს ათი საათის განმავლობაში. ორი საათის ზედმეტი შრომა, რომელსაც იგი ასრულებს, ისევე არ აწარმოებს ღირებულებას, როგორც მისი რვა საათის აუცილებელი შრომა, თუმცა ამ აუცილებელი შრომის შესაბამისად გადაეცემა მას საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილი. ჯერ ერთი, უწინდებურად, თუ საზოგადოებრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, სამუშაო ძალა მთელი ათი საათის განმავლობაში მარტო მიმოქცევის მხოლოდ ამ ფუნქციის შესრულებაზე იხარჯება. სხვა რამისთვის, მწარმოებლური შრომისათვის, მისი გამოყენება არ შეიძლება. მეორეც, საზოგადოება არ იხდის ფასს ამ ორი საათის ზედმეტ შრომაში, თუმცა ეს დრო დახარჯულია ამ შრომის შემსრულებელი ინდივიდის მიერ. საზოგადოებას ამით არ ეძლევა არავითარი დამატებითი პროდუქტი ანუ დამატებითი ღირებულება. მაგრამ მიმოქცევის ხარჯები, რომელთა წარმომადგენელიც ეს ინდივიდია, მცირდება ერთი მეხუთედით: ათი საათიდან ჩამოდის რვაზე. საზოგადოება არავითარ ეკვივალენტს არ იხდის იმ აქტიური მიმოქცევის დროის ერთ მეხუთედში. რომლის აგენტიც ეს ინდივიდია. მაგრამ თუ ამ აგენტს გამოიყენებს კაპიტალისტი, მაშინ ორი საათის შრომის ფასგადაუხდელობის გამო მცირდება მ ი ს ი კაპიტალის მიმოქცევის ხარჯები, რომელნიც შეადგენენ გამონაქვითს მისი შემოსავლიდან. კაპიტალისტისათვის ეს დადებითი მოგებაა, იმიტომ რომ მისი კაპიტალის ღირებულების ზრდის უარყოფითი ფარგლები ვიწროვდება. ვიდრე წვრილი დამოუკიდებელი საქონელმწარმოებლები თავიანთი საკუთარი დროის ერთ ნაწილს ყიდვასა და გაყიდვაზე ხარჯავენ, ეს დრო წარმოადგენს ან მათი მწარმოებლური საქმიანობის ინტერვალებში დახარჯულ დროს, ანდა იმ დროს, რომელიც მათი წარმოების დროს ჩამოაკლდება.

ყველა გარემოებაში ამაზე მოხმარებული დრო წარმოადგენს მიმოქცევის ხარჯებს, რომელნიც არაფერს მატებენ გარდაქმნილ ღირებულებას. ეს არის ხარჯები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ ღირებულება საქონლური ფორმიდან ფულად ფორმად გარდაიქმნას. რამდენადაც კაპიტალისტური საქონელმწარმოებელი მიმოქცევის აგენტის სახით გვევლინება, იგი უშუალო საქონელმწარმოებლისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ უფრო დიდი ოდენობით ყიდის და ყიდულობს და ამიტომ უფრო დიდი მასშტაბით მოქმედებს როგორც მიმოქცევის აგენტი. მაგრამ თუ საწარმოს მოცულობა მას აიძულებს ან შესაძლებლობას აძლევს იყიდოს (დაიქირავოს) მიმოქცევის განსაკუთრებული აგენტები დაქირავებული მუშების სახით, — ამით საქმე

არსებითად არ იცვლება. სამუშაო ძალა და სამუშაო დრო რამდენადმე მინოქცევის პროცესზე უნდა დაიხარჯოს (რამდენადაც ეს პროცესი ფორმის უბრალო გარდაქმნას წარმოადგენს). მაგრამ ახლა ეს დახარჯვა კაპიტალის დამატებითი დახარჯვის სახით წარმოგვიდგება; ცვალებადი კაპიტალის ნაწილი უნდა დაიხარჯოს ამ სამუშაო ძალის საყიდლად, რომელიც მხოლოდ მიმოქცევის სფეროში მოქმედებს. კაპიტალის ასეთი ავანსად გაღება არც პროდუქტს ქმნის და არც ღირებულებას. იგი ამცირებს pro tanto იმ ზომას, რა ზომითაც ავანსებული კაპიტალი მწარმოებლურად მოქმედებს. ეს იგივეა, პროდუქტის ერთი ნაწილი რომ გადაქცეული იყოს ისეთ მანქანად, რომელსაც შეეძლება იყიდოს და გაყიდოს პროდუქტის დანარჩენი ნაწილი. ეს მანქანა წარმოადგენს გამონაქვითს პროდუქტიდან. იგი არ უწყობს ხელს წარმოების პროცესს, თუმცა შეუძლია შეამციროს სამუშაო ძალა, რომელიც მიმოქცევაში იხარჯება და ა. შ. იგი მიმოქცევის ხარჯების მხოლოდ ნაწილს შეადგენს.

2. დავთარწარმოება.

ნამდვილ ყიდვასა და გაყიდვასთან ერთად სამუშაო დრო იხარჯება დავთარწარმოებაზე, რაზედაც, გარდა ამისა, მიდის გასაგნობრივებული შრომაც: კალამი, მელანი, ქაღალდი, მაგიდა, კანტორის ხარჯები. მაშასადამე, ამ ფუნქციაზე იხარჯება, ერთი მხრივ, სამუშაო ძალა, შეორე მხრივ, — შრომის საშუალებანი. აქ საქმის ვითარება სავსებით ისეთივეა, როგორიც იმ დროის მიმართ, რაც ყიდვა-გაყიდვას ხმარდება.

კაპიტალი, როგორც ერთიანობა თავის წრებრუნვებში, როგორც მოძრაობაში მყოფი ღირებულება, წარმოების სფეროში იქნება ეს თუ მიმოქცევის სფეროს ორსავე ფაზაში, — კაპიტალი, როგორც ასეთი ერთიანობა, არსებობს მხოლოდ იდეალურად, საანგარიშო ფულის სახით, უწინარეს ყოვლისა საქონელმწარმოებლის ანუ კაპიტალისტური საქონელმწარმოებლის თავში. დავთარწარმოების მეოხებით, რომელიც აგრეთვე ფასების განსაზღვრას ანუ საქონელთა ფასების გამოანგარიშებას (ფასების კალკულაციას) შეიცავს, ეს მოძრაობა ფიქსირდება და კონტროლს უქვემდებარდება. ამ წესით წარმოების მოძრაობა და განსაკუთრებით ღირებულების ზრდა, — ამასთან საქონელი გამოდის მხოლოდ როგორც ღირებულების მატარებელი, როგორც სახელწოდება ნივთებისა, რომელთა იდეალური ღირებულებრივი არსებობა საანგარიშო ფულშია ფიქსირებული, — სიმბოლურად აისახება წარმოდ-

გენაში. ვიდრე ცალკეული საქონელმწარმოებელი დავთარს მხოლოდ გონებაში აწარმოებს (მაგალითად, გლეხი; მხოლოდ კაპიტალისტური მიწათმოქმედება წარმოშობს ფერმერს, რომელიც დავთარს აწარმოებს) ანდა მხოლოდ სხვათა შორის, წარმოებისგან თავისუფალ დროს, აწარმოებს დავთარს თავისი ხარჯების, შემოსავლის, გადასახდელის ვადებისა და სხვ. შესახებ, მანამდე, ცხადია, ეს მისი ფუნქცია და შრომის საშუალებანი, რომლებსაც, შესაძლებელია, იგი ამისათვის ხარჯავს, მაგალითად, ქაღალდი და სხვ., წარმოადგენენ სამუშაო დროისა და შრომის საშუალებათა დამატებითს დახარჯვას, რაც, მართალია, აუცილებელია, მაგრამ შეადგენს გამონაქვითს როგორც იმ დროიდან, რომელიც მას შეუძლია მწარმოებლურად გამოიყენოს, ისე შრომის იმ საშუალებებიდანაც, რომელნიც ნამდვილ წარმოების პროცესში მოქმედებენ, პროდუქტისა და ღირებულების წარმოქმნაში მონაწილეობენ[12]. თვით ფუნქციის ბუნება არ იცვლება არც იმ მოცულობის გამო, რომელსაც ის მოიპოვებს მით, რომ ამ ფუნქციის კონცენტრაცია ხდება კაპიტალისტური საქონელმწარმოებლის ხელში და მრავალი წვრილი საქონელმწარმოებლის ფუნქციის ნაცვლად გვევლინება ერთი კაპიტალისტის ფუნქციად, ფუნქციად დიდი მასშტაბის წარმოების პროცესში; არ იცვლება იგი არც იმ მწარმოებლური ფუნქციებისაგან გამოცალკევების გამო, რომელთა დანამატს იგი შეადგენდა, და არც იმის გამო, რომ იგი გამოიყოფა განსაკუთრებული აგენტების დამოუკიდებელ ფუნქციად, აგენტებისა, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ მისი შესრულება ეკისრებათ.

შრომის დანაწილება, რომელიმე ფუნქციის გამოყოფა დამოუკიდებელ ფუნქციად ჯერ კიდევ არ ხდის ამ უკანასკნელს პროდუქტისა და ღირებულების წარმომქმნელ ფუნქციად, თუ იგი ასეთი არ იყო თავისთავად, მაშასადამე, მანამდე, ვიდრე დამოუკიდებლობას მიაღწევდა. თუ კაპიტალისტი ახლად აბანდებს თავის კაპიტალს, მან ამ

[12] შუა საუკუნეებში მიწათმოქმედების შესახებ დავთრების წარმოებას ჩვენ ვხვდებით მხოლოდ მონასტრებში. მაგრამ ჩვენ დავინახეთ (წიგნი I), რომ უკვე ძველისძველ ინდურ თემებში არის ბუღალტერი მიწათმოქმედებისათვის. დავთრების წარმოება აქ თემის მოხელის განსაკუთრებულ ფუნქციადაა გამოცალკევებული. შრომის ასეთი დანაწილებით იზოგება დრო, შრომა და ხარჯები, მაგრამ წარმოება და წარმოების შესახებ დავთარწარმოება ისევე განსხვავებული რამ არის, როგორც განსხვავებულია ჯემის დატვირთვა და კონოსამენტი (სატვირთო ბარათი). ბუღალტრის სახით თემის სამუშაო ძალის ნაწილი მოცილებულია წარმოებას, და მისი მოქმედების ხარჯები ანაზღაურდება არა მისი საკუთარი შრომით, არამედ სათემო პროდუქტიდან გამონაქვითით. კაპიტალისტის ბუღალტრის მიმართ საქმის ვითარება ისეთივეა **mutatis mutandis** [სათანადო ცვლილებებით], **როგორც** ინდური თემის ბუღალტრის მიმართ. **(II ხელნაწერიდან).**

კაპიტალის ნაწილი უნდა მოიხმაროს ბუღალტრისა და სხვათა დასაქირავებლად და დავთარწარმოების საშუალებათა საყიდლად. თუ მისი კაპიტალი უკვე მოქმედებს, იმყოფება თავისი კვლავწარმოების მუდმივ პროცესში, მაშინ კაპიტალისტმა, როცა იგი საქონლური პროდუქტის ნაწილს ფულად აქცევს, ყოველთვის უნდა უკუგარდაქმნას ეს ნაწილი ბუღალტრად, ნოქრად და სხვ. კაპიტალის ეს ნაწილი ჩამოცილებულია წარმოების პროცესს და განეკუთვნება მიმოქცევის ხარჯებს, მთელი ამონაგებიდან გამონაქვითს. (ასევე უნდა ითქვას თვით სამუშაო ძალის შესახებ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ ფუნქციისათვის გამოიყენება.)

მაგრამ არსებობს მაინც ერთგვარი განსხვავება დავთარწარმოებიდან გამომდინარე ხარჯებსა, ე. ი. ამაზე სამუშაო დროის არამწარმოებლურ დახარჯვასა, ერთი მხრივ, და უბრალო ყიდვასა და გაყიდვაზე დახარჯული დროის ხარჯებს შორის, მეორე მხრივ. უკანასკნელნი გამომდინარეობენ წარმოების პროცესის მხოლოდ განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმიდან, — იქიდან, რომ ეს საქონლის წარმოების პროცესია. დავთარწარმოება როგორც ამ პროცესის კონტროლისა და აზრობრივი განზოგადების საშუალება მით უფრო აუცილებელი ხდება, რაც უფრო გაფართოებული საზოგადოებრივი მასშტაბით მიმდინარეობს პროცესი და რაც უფრო კარგავს იგი წმინდა ინდივიდუალურ ხასიათს; მაშასადამე, იგი უფრო აუცილებელია კაპიტალისტურ წარმოებაში, ვიდრე დაქსაქსულ ხელოსნურ და გლეხურ წარმოებაში, უფრო აუცილებელია კოლექტიური წარმოების დროს, ვიდრე კაპიტალისტური წარმოების დროს. მაგრამ დავთარწარმოების ხარჯები მცირდება წარმოების კონცენტრაციასთან ერთად და მცირდება მით უფრო, რაც უფრო იქცევა ეს დავთარწარმოება საზოგადოებრივ ანგარიშწარმოებად.

აქ ლაპარაკია მარტოოდენ მიმოქცევის იმ ხარჯების საყოველთაო ხასიათზე, რომელნიც მხოლოდ ფორმათა მეტამორფოზიდან გამომდინარეობენ. ზედმეტია შევეხოთ აქ ამ ხარჯების ყველა დეტალურ ფორმას. მაგრამ თუ რამდენად შეუძლიათ ამ «ფუნქციებს», რომელნიც ღირებულების ფორმათა წმინდა გარდაქმნის სფეროს ეკუთვნიან, მაშასადამე, წარმოების პროცესის განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმიდან გამომდინარეობენ, ფუნქციებს, რომელნიც ინდივიდუალური საქონელმწარმოებლისათვის მხოლოდ სწრაფწარმავალი და თითქმის შეუმჩნეველი მომენტებია და მისი მწარმოებლური ფუნქციების გვერდით მიმდინარეობენ ანდა მათთან გადახლართული არიან, — თუ რამდენად შეუძლიათ მათ ადამიანის გაოცება, როგორც კი ისინი

მიმოქცევის მასობრივი ხარჯების სახით მოგვევლინებიან, — ამას ნათლად გვიჩვენებს ფულის უბრალო მიღება-გაცემის მაგალითი, როცა ეს ოპერაციები გამოცალკევებული და კონცენტრირებულია დიდი მასშტაბით როგორც ბანკების და სხვათა განსაკუთრებული ფუნქცია ანდა როგორც მოლარის განსაკუთრებული ფუნქცია ინდივიდუალურ საწარმოში. მაგრამ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მიმოქცევის ეს ხარჯები თავიანთი სახის შეცვლით თავიანთ ხასიათს არ იცვლიან.

3. ფული.

იწარმოება ესა თუ ის პროდუქტი როგორც საქონელი თუ როგორც არა საქონელი, იგი ყოველთვის სიმდიდრის ნივთიერი ფორმაა, სახმარი ღირებულებაა, რომელიც იმისათვისაა განკუთვნილი, რომ ინდივიდუალურ ან მწარმოებლურ მოხმარებაში შევიდეს. მისი როგორც საქონლის ღირებულება იდეალურად არსებობს ფასში, რომელიც არაფერს ცვლის მის ნამდვილ სახმარ ფორმაში. ის გარემოება, რომ განსაზღვრული საქონელი, როგორიცაა ოქრო და ვერცხლი, ფულის სახით მოქმედებს და როგორც ასეთი მხოლოდ და მხოლოდ მიმოქცევის პროცესში იმყოფება (განძის სახით იქნება, რეზერვისა თუ სხვ. სახით იგი, თუმცა ფარულად, მაგრამ მაინც მიმოქცევის სფეროში რჩება), — ეს გარემოება საკუთარი წარმოების პროცესის განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმის, საქონელთა წარმოების პროცესის, პროდუქტია. რადგან კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე საქონელი პროდუქტის საყოველთაო ფორმად იქცევა; რადგან პროდუქტის დიდი უმრავლესობა საქონლის სახით იწარმოება და ამიტომ მან ფულის ფორმა უნდა მიიღოს; რადგან, მაშასადამე, საქონელთა მასა, ე. ი. საზოგადოებრივი სიმდიდრის ის ნაწილი, რომელიც საქონლის სახით მოქმედებს, განუწყვეტლივ იზრდება, — ამიტომ აქ მატულობს მიმოქცევის საშუალების, გადახდის საშუალების, რეზერვისა და სხვ. სახით მოქმედი ოქროსა და ვერცხლის რაოდენობაც. ეს ფულის სახით მოქმედი საქონელი არ შედის არც ინდივიდუალურ და არც მწარმოებლურ მოხმარებაში. ესაა ისეთ ფორმაში ფიქსირებული საზოგადოებრივი შრომა, რომელშიაც იგი უბრალო სამიმოქცევო მანქანის როლს ასრულებს. გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრის ნაწილი ამ არამწარმოებლურ ფორმაშია მოქცეული, ფულის განუწყვეტელი გაცვეთა მოითხოვს განუწყვეტლივ მის ანაზღაურებას ანუ პროდუქტის ფორმით გამოსახული საზოგადოებრივი შრომის სულ უფრო მეტი ნაწილის გარდაქმნას მეტი რაოდენობის ოქროდ

და ვერცხლად. ანაზღაურების ეს ხარჯები მნიშვნელოვნად დიდი კაპიტალისტურად განვითარებულ ერებში, რადგან სიმდიდრის ნაწილი, რომელიც საერთოდ ფულის ფორმაშია მოქცეული, დიდი მოცულობისაა. ოქრო და ვერცხლი როგორც ფულადი საქონელი საზოგადოებისათვის შეადგენს მიმოქცევის ხარჯებს, რომლებიც მხოლოდ წარმოების საზოგადოებრივი ფორმიდან გამომდინარეობენ. ეს საერთოდ საქონელწარმოების faux frais-ია [არამწარმოებლური ხარჯებია], რომლებიც საქონელწარმოებისა და, განსაკუთრებით კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად იზრდება. ეს საზოგადოებრივი სიმდიდრის ის ნაწილია, რომელიც მიმოქცევის პროცესს მსხვერპლად უნდა შეეწიროს[13].

II. შენახვის ხარჯები.

მიმოქცევის ხარჯები, რაც ღირებულების უბრალო ფორმაცვალებიდან, წმინდა სახით განხილული მიმოქცევიდან გამომდინარეობს, არ შედის საქონელთა ღირებულებაში. მათზე დახარჯული კაპიტალის ნაწილები წარმოადგენს (უბრალო გამონაქვითს მწარმოებლურად დახარჯული კაპიტალიდან, რამდენადაც ჩვენ კაპიტალისტი გვყავს მხედველობაში, და არამწარმოებლურად დახარჯულ სამუშაო ძალას, თუ მხედველობაში მივიღებთ მთელ საზოგადოებას). სხვა ბუნებისაა მიმოქცევის ის ხარჯები, რომელთაც ჩვენ ახლა განვიხილავთ. ეს ხარჯები შეიძლება გამომდინარეობდეს წარმოების იმ პროცესებიდან, რომელთა განგრძობა მხოლოდ მიმოქცევაში ხდება და რომელთა მწარმოებლურ ხასიათს, მაშასადამე, მიმოქცევის ფორმა მხოლოდ ჩქმალავს. მეორე მხრივ, თუ საზოგადოებრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ წმინდა ხარჯებს, ცოცხალი თუ გასაგნობრივებული შრომის არამწარმოებლურ დახარჯვას, მაგრამ მაინც სწორედ ამის გამო შეუძლიათ მათ ისე იმოქმედონ, რომ ინდივიდუალური კაპიტალისტისათვის ღირებულება და მისი საქონლის გასაყიდი ფასის წანაზატი შექმნან. ეს უკვე იქიდან გამომდინარეობს, რომ ასეთი ხარჯები სხვადასხვაა წარმოების სხვადასხვა სფეროში და

[13] «მიმოქცევაში მყოფი ფული წარმოადგენს ქვეყნის კაპიტალის გარკვეულ ნაწილს, რომელიც სრულიად მოცილებულია წარმოებას იმისათვის, რომ გაადვილდეს ან გადიდდეს დანარჩენი ნაწილის მწარმოებლობა; მაშასადამე, სიმდიდრის გარკვეული რაოდენობა ისევე აუცილებელია იმისათვის, რომ ოქრო აქციოს მიმოქცევის საშუალებად, როგორც აუცილებელია იგი იმისათვის, რომ გაკეთდეს მანქანა ყოველი სხვა წარმოების გასაადვილებლად» («Economist», ტ. V, გვ. 520).

ალაგ-ალაგ სხვადასხვა ინდივიდუალური კაპიტალებისათვის წარმოების ერთსა და იმავე სფეროშიც კი. საქონლის გასაყიდ ფასზე წანამატის მეოხებით მათი განაწილება იმ ოდენობით ხდება, რა ოდენობითაც ეს ხარჯები ინდივიდუალურ კაპიტალისტებს წილად ხვდებათ. მაგრამ ყოველ შრომას, რომელიც ღირებულებას მატებს, შეუძლია მიუმატოს ზედმეტი ღირებულებაც და კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე მიუმატებს კიდეც ყოველთვის ზედმეტ ღირებულებას, რადგან ღირებულება, რომელსაც ეს შრომა ქმნის, დამოკიდებულია მის საკუთარ სიდიდეზე, ხოლო ზედმეტი ღირებულება, რომელსაც იგი ქმნის, დამოკიდებულია კაპიტალისტის მხრივ შრომის ანაზღაურების ოდენობაზე. ამრიგად, ხარჯები, რომლებიც საქონელს აძვირებენ ისე, რომ მის სახმარ ღირებულებას არაფერს მატებენ, და, მაშასადამე, საზოგადოების თვალსაზრისით წარმოების faux frais [არამწარმოებლურ ხარჯებს] მიეკუთვნებიან, ინდივიდუალური კაპიტალისტებისათვის შეიძლება გამდიდრების წყაროს შეადგენდნენ. მეორე მხრივ, მიმოქცევის ამ ხარჯების არამწარმოებლური ხასიათი არ ისპობა იმით, რომ წანამატი, რასაც ეს ხარჯები ადებს საქონლის ფასს, მხოლოდ თანაბრად ანაწილებს ამ ხარჯებს. მაგალითად, დამზღვევი საზოგადოებანი ინდივიდუალური კაპიტალისტების დანაკარგს ანაწილებენ კაპიტალისტთა მთელ კლასს შორის. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ამ წესით გათანაბრებული სხვადასხვა დანაკარგი მაინც წინანდებურად დანაკარგად რჩება საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის მიმართ.

1. მარაგის შექმნა საერთოდ.

იმ დროს, როდესაც პროდუქტი საქონლური კაპიტალის სახით არსებობს ანუ ბაზარზე იმყოფება, ე. ი. იმ ინტერვალის განმავლობაში, რომელსაც ადგილი აქვს წარმოების პროცესსა, საიდანაც პროდუქტი გამოდის, და მოხმარების პროცესს შორის, რომელშიც იგი შედის, პროდუქტი საქონლურ მარაგს შეადგენს. როგორც საქონელი ბაზარზე და, მაშასადამე, მარაგის სახით, საქონლური კაპიტალი ორჯერ გვევლინება თვითეულ წრებრუნვაში: ერთხელ როგორც საქონლური პროდუქტი თვით მოძრაობაში მყოფი კაპიტალისა, რომლის წრებრუნვა განიხილება; მეორეჯერ, პირიქით, როგორც სხვა კაპიტალის საქონლური პროდუქტი, რომელიც ბაზარზე უნდა იმყოფებოდეს, რათა მისი ყიდვა და მწარმოებლურ კაპიტალად გადაქცევა შეიძლებოდეს. შეიძლება, რასაკვირველია, რომ ეს უკანასკნელი საქონლური კაპიტალი მხოლოდ დაკვეთით იწარმოებოდეს. მაშინ ადგილი აქვს შეწ-

ყველას მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ეს კაპიტალი იწარმოება. მაგრამ წარმოებისა და კვლავწარმოების პროცესის მსვლელობა მოითხოვს, რომ საქონელთა (წარმოების საშუალებათა) განსაზღვრული მასა მუდამ მოიპოვებოდეს ბაზარზე და, მაშასადამე, შეადგენდეს მარაგს. ასევე მწარმოებლური კაპიტალი შეიცავს სამუშაო ძალის შესყიდვასაც, და ფულადი ფორმა აქ მხოლოდ იმ საარსებო საშუალებათა ღირებულების ფორმაა, რომელთა უდიდესი ნაწილი მუშამ ბაზარზე უნდა იპოვოს. ამ პარაგრაფში ჩვენ უფრო დაწვრილებით შევეხებით აღნიშნულ საკითხს. მაგრამ აქ უკვე ნათელია შემდეგი. თუ ჩვენ დავდგებით მოძრაობაში მყოფი კაპიტალღირებულების თვალსაზრისზე, რომელიც საქონლურ პროდუქტად გადაიქცა და ახლა უნდა გაიყიდოს, ე. ი. ისევ ფულად უნდა გადაიქცეს, მაშასადამე, რომელიც ახლა ბაზარზე მოქმედებს საქონლური კაპიტალის სახით, მაშინ ის მდგომარეობა, როდესაც ეს საქონლური კაპიტალი მარაგს შეადგენს, მიზანშეუწონელი, იძულებითი გაჩერებაა ბაზარზე. რაც უფრო სწრაფად სრულდება გაყიდვა, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს კვლავწარმოების პროცესი. შეჩერება ს′ — ფ′-ის ფორმის გარდაქმნაში ხელს უშლის ნივთიერებათა რეალურ ცვლას, რაც კაპიტალის წრებრუნვაში უნდა შესრულდეს, იგი ხელს უშლის აგრეთვე კაპიტალის შემდგომ მოქმედებას მწარმოებლური კაპიტალის სახით. მეორე მხრივ, საქონლის მუდმივად არსებობა ბაზარზე, საქონლური მარაგი, ფ — ს-ითვის წარმოადგენს კვლავწარმოების პროცესის მიმდინარეობისა და ახალი თუ დამატებითი კაპიტალის დაბანდების პირობას.

საქონლური კაპიტალი რომ ბაზარზე გაჩერდეს საქონლური მარაგის სახით, ამისათვის საჭიროა შენობები, მაღაზიები, საქონლის საცავები, საქონლის საწყობები, საჭიროა, მაშასადამე, მუდმივი კაპიტალის დახარჯვა, ასევე გასტუმრება სამუშაო ძალისა, რომელიც აუცილებელია საცავებში საქონელთა დასალაგებლად. გარდა ამისა საქონელი ფუჭდება და სტიქიის მავნე გავლენას განიცდის. ამ გაფუჭებისაგან საქონლის დასაცავად საჭიროა დამატებითი კაპიტალის დახარჯვა ნაწილობრივ საგნობრივ ფორმაში არსებულ შრომის საშუალებებისათვის, ნაწილობრივ კი სამუშაო ძალისათვის[14].

---

[14] კორბეტმა 1841 წელს ასე გამოიანგარიშა ხორბლის შენახვის ხარჯები 9 თვის სეზონისათვის: $^1/_2$ % ხორბლის რაოდენობის დანაკარგად, 3% ხორბლის ფასის სარგებლად, 2% საწყობის ქირად, 1% ჩაყრისა და გადახიდვის ხარჯად, $^1/_2$ % გადმოტვირთვაზე მუშაობისთვის, სულ 7%, ანუ თუ ხორბლის ფასად 50 შილინგს ავიღებთ, 3 შილინგი და 6 პენსი კვარტერზე. (*Th. Corbet*: «An Inquiry into the Causes and Modes of the Wealth of Individuals etc». London 1841

ამრიგად, კაპიტალის არსებობა საქონლური კაპიტალის ფორმით. და, მაშასადამე, მისი არსებობა საქონლის მარაგის სახით იწვევს ხარჯებს, რომლებიც განეკუთვნება არა წარმოების სფეროს, ‹ არამედ მიმოქცევის სფეროს › და ამიტომ მიმოქცევის ხარჯებად ითვლება. მიმოქცევის ეს ხარჯები I პუნქტში აღნიშნული ხარჯებისგან იმით განსხვავდება, რომ ისინი გარკვეული ოდენობით შედიან საქონელთა ღირებულებაში და, მაშასადამე, აძვირებენ საქონელს. ყველა გარემოებაში კაპიტალი და სამუშაო ძალა, რომელნიც საქონლური მარაგის შენარჩუნებასა და შენახვას ემსახურებიან, ეცლება უშუალო წარმოების პროცესს. მეორე მხრივ, აქ გამოყენებული კაპიტალები, სამუშაო ძალის — როგორც კაპიტალის შემადგენელი ნაწილის — ჩათვლით, საზოგადოებრივი პროდუქტიდან უნდა ანაზღაურდეს. მათი დახარჯვა იმგვარადვე მოქმედებს, როგორც შრომის მწარმოებლური ძალის შემცირება, ასე რომ გარკვეული სასარგებლო ეფექტის მისაღებად უფრო დიდი რაოდენობის კაპიტალი და შრომაა საჭირო. ესაა — დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი ხ ა რ ჯ ე ბ ი.

რამდენადაც საქონლური მარაგის შექმნით გამოწვეული სამიმოქცევო ხარჯები გამომდინარეობს მხოლოდ იმ პერიოდის ხანგრძლიობიდან, რომლის განმავლობაშიც უკვე არსებული ღირებულებანი საქონლური ფორმიდან ფულად ფორმად გარდაიქმნებიან, მაშასადამე, რამდენადაც მიმოქცევის ხარჯები გამომდინარეობს წარმოების პროცესის განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმიდან (მხოლოდ იქიდან, რომ პროდუქტი იწარმოება როგორც საქონელი და ამიტომ მან უნდა განვლოს ფულად გარდაქმნა), — იმდენადვე ამ ხარჯების ხასიათი საკუთარი ემთხვევა I პუნქტში ჩამოთვლილი მიმოქცევის ხარჯების ხასიათს. მეორე მხრივ, საქონლის ღირებულება აქ შეინარჩუნება ან დიდდება მხოლოდ იმიტომ, რომ სახმარი ღირებულება, თვით პროდუქტი ჩაყენებულია განსაზღვრულ საგნობრივ პირობებში, რომლებიც კაპიტალის დახარჯვას იწვევენ, და ექვემდებარება ოპერაციებს, რომელთა მეოხებით დამატებითი შრომა სახმარ ღირებულებაზე ზემოქმედებას ახდენს. პირიქით, საქონლურ ღირებულებათა გამოანგარიშება, ამ პროცესის შესახებ დავთრების წარმოება, ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები არ მოქმედებენ სახმარ ღირებულებაზე, რაშიც საქონლუ-

---

[გვ. 140]. ლივერპულელი ვაჭრების მიერ რკინიგზის კომისიისთვის მიცემული ჩვენების თანახმად, ხორბლის შენახვის (წმინდა) არამწარმოებლური ხარჯები 1865 წელს შეადგენდა თვიურად 2 პენსს კვარტერზე, ანუ 9 — 10 პენსს ტონაზე (‹Royal Commission on Railways›, 1867, Evidence, გვ. 19, № 331).

რი ღირებულება არსებობს. ამ ხარჯებს მხოლოდ საქონლური ღირებულების ფორმასთან აქვთ საქმე. თუმცა, ამიტომ, ნაგულისხმევ შემთხვევაში ეს დამატებითი ხარჯები მარაგის შექმნისა (რომელიც აქ იძულებითია) ფორმის გარდაქმნის შეჩერებიდან და მისი აუცილებლობიდან გამომდინარეობს, მაგრამ ისინი მაინც განსხვავდებიან I პუნქტში განხილული დამატებითი ხარჯებისაგან იმით, რომ თვით მათი მიზანი ღირებულების ფორმის გარდაქმნა კი არაა, არამედ იმ ღირებულების შენარჩუნებაა, რომელიც არსებობს საქონელში როგორც პროდუქტში, როგორც სახმარ ღირებულებაში, და რომლის შენარჩუნება, ამიტომ, მხოლოდ პროდუქტის, თვით სახმარი ღირებულების შენარჩუნების გზით არის შესაძლებელი. საამარი ღირებულება აქ არც მაღლა იწევს, არც მატულობს, პირიქით, იგი კლებულობს. მაგრამ მის დაკლებას საზღვარი ედება და ეს ღირებულება შეინარჩუნება. აგრეთვე ავანსებული, საქონელში არსებული ღირებულებაც აქ არ მატულობს, მაგრამ ნას ემატება ახალი შრომა, როგორც გასაგნობრივებული, ისე ცოცხალიც.

შემდეგ, საჭიროა განვიხილოთ, თუ რამდენად გამომდინარეობს ეს დამატებითი ხარჯები იმ თავისებური ხასიათიდან, რაც აქვს საქონელწარმოებას საერთოდ და საქონელწარმოებას მის საყოველთაო აბსოლუტურ ფორმაში, ე. ი. კაპიტალისტურ საქონელწარმოებას; რამდენად, მეორე მხრივ, ისინი ყოველი საზოგადოებრივი წარმოების დამახასიათებელნი არიან და აქ, მაოლოდ კაპიტალისტური წარმოების შიგნით, განსაკუთრებულ სახეს, გამოვლინების განსაკუთრებულ ფორმას იღებენ.

ა. სმიტმა ზღაპრული შეხედულება წამოაყენა — მარაგის შექმნა კაპიტალისტური წარმოების დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენსო[18]. ნერმინდელი ეკონომისტები, მაგალითად, ლალორი, პირიქით, იმას ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად მარაგის შექმნა კლებულობსო. ეს გარემოება სისმონდის კაპიტალისტური წარმოების ჩრდილოვან მხარედაც კი მიაჩნია.

ნამდვილად კი მარაგი არსებობს სამ ფორმაში: მწარმოებლური კაპიტალის ფორმაში, ინდივიდუალური მოხმარების ფონდის ფორმაში და საქონლური მარაგის ანუ საქონლური კაპიტალის ფორმაში. როდესაც მატულობს მარაგი ერთ ფორმაში, შეფარდებით კლებულობს მეორე ფორმაში, თუმცა თავისი აბსოლუტური სიდიდის მიხედვით იგი იმავდროულად შეიძლება სამივე ფორმაში იზრდებოდეს.

---

[18] Book II. Introduction.

თავისთავად ცხადია, რომ სადაც წარმოების მიზანი საკუთარი მოთხოვნილების უშუალოდ დაკმაყოფილებაა, სადაც პროდუქტის მხოლოდ მცირე ნაწილი იწარმოება გასაცვლელად ანუ გასაყიდად, სადაც, მაშასადამე, საზოგადოებრივი პროდუქტი სრულიად არ იღებს ან მცირე ნაწილით იღებს საქონლის ფორმას, იქ მარაგი საქონლის სახით ანუ საქონლური მარაგი სიმდიდრის მხოლოდ მცირე და უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. მაგრამ მოხმარების ფონდი აქ შედარებით დიდია, განსაკუთრებით საკუთრივ საარსებო საშუალებათა ფონდი. საკმარისია მოვიგონოთ მხოლოდ ძველებური გლეხური მეურნეობა. პროდუქტის უდიდესი ნაწილი — სწორედ იმიტომ, რომ იგი მისი პატრონის ხელში რჩება, — აქ უშუალოდ, საქონლური მარაგის შეუდგენლად გადაიქცევა წარმოების სამარაგო საშუალებებად ან სამარაგო საარსებო საშუალებებად. იგი არ იღებს საქონლური მარაგის ფორმას, და სწორედ ამიტომ იმ საზოგადოებებში, რომელნიც ასეთ წარმოების წესზე არიან დაფუძნებულნი, ა. სმიტის თანახმად, არავითარი მარაგი არ არსებობს. ა. სმიტი ურევს მარაგის ფორმას თვით მარაგში და ფიქრობს, რომ საზოგადოება აქამდე დღევანდელი დღით ცხოვრობდა ანუ ხვალინდელი დღის შემთხვევითობის იმედით იყო[16]. ეს ბავშვური გაუგებრობაა.

მარაგი მწარმოებლური კაპიტალის ფორმაში არსებობს წარმოების საშუალებათა სახით, რომლებიც იმყოფება უკვე წარმოების პროცესში ან მწარმოებლის ხელში მაინც, ე. ი. ფარულად უკვე წარმოების პროცესში. ჩვენ უწინ დავინახეთ, რომ შრომის ნაყოფიერების განვითარებასთან ერთად, მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების

[16] ა. სმიტს წარმოუდგენია, რომ მარაგის შექმნა გამომდინარეობს მხოლოდ პროდუქტის საქონლად გარდაქმნიდან და მოხმარების მარაგის საქონლურ მარაგად გარდაქმნიდან; ნამდვილად კი ეს ფორმაცვალება იწვევს უძლიერეს კრიზისებს მწარმოებელთა მეურნეობაში იმ დროს, როცა წარმოება საკუთარი მოხმარებისათვის საქონელწარმოებაზე გადადის. ინდოეთში, მაგალითად, სულ უკანასკნელ დრომდე დარჩენილია «ჩვეულება, რომ პური, რომელიც უხვი მოსავლის წლებში იაფია, დიდი რაოდენობით შეინახონ ბელლებში» (Return. Bengal and Orissa Famine. H. of C. 1867, I, გვ. 230, № 74). ამერიკის სამოქალაქო ომის გამო უეცრად გაძლიერებულმა მოთხოვნამ ბამბაზე, ჯუტზე და სხვ. ინდოეთის მრავალ ნაწილში გამოიწვია ბრინჯის მოყვანის დიდი შეზღუდვა, ბრინჯის ფასების აწევა და ბრინჯის ძველი მარაგის გაყიდვა მწარმოებლების მიერ. ამას დაერთო 1864 — 66 წლებში ბრინჯის უმავალითო გაზიდვა ავსტრალიაში, მადაგასკარში და სხვ. აქედან — მწვავე ხასიათი 1866 წლის შიმშილობისა, რამაც მარტო ორისას ოლქში ერთი მილიონი ადამიანი იმსხვერპლა (l. c., 174, 175, 213, 214 და III: «Papers relating to the Famine in Behar», გვ. 32, 33, სადაც შიმშილის მიზეზთა შორის აღნიშნულია «ძველი მარაგის გამოლევა»). (II ხელნაწერიდან.)

წესის განვითარებასთან ერთად, — წესისა, რომელიც ყველა წინანდელი წარმოების წესზე უფრო ავითარებს საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურ ძალას, — მუდამ იზრდება მასა წარმოების საშუალებათა, რომელნიც შრომის საშუალებათა სახით ერთხელ და სამუდამოდ არიან ჩაბმულნი წარმოების პროცესში და მუდამ განმეორებით მოქმედებენ მასში მეტნაკლებ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (შენობები, მანქანები და სხვ.); ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ წარმოების ამ საშუალებათა ზრდა შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის განვითარების წანამძღვარიცაა და შედეგიც. არა მარტო აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი ზრდაც სიმდიდრისა ამ ფორმაში (შეად. წიგნი I, თავი XXIII, 2) უწინარეს ყოვლისა დამახასიათებელია კაპიტალისტური წარმოების წესისათვის. მაგრამ მუდმივი კაპიტალის არსებობის ნივთიერი ფორმები, წარმოების საშუალებანი, არა მარტო შრომის ამგვარი საშუალებებისგან შედგება, არამედ შრომის მასალისგანაც, რომელიც დამუშავების ფრიად სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება, და აგრეთვე დამხმარე მასალებისგან. წარმოების მასშტაბსა და კოოპერაციის, შრომის დანაწილების, მანქანების გამოყენებისა და სხვ. ნეოხებით შრომის მწარმოებლური ძალის ზრდასთან ერთად იზრდება იმ ნედლეულის, დამხმარე მასალისა და სხვ. მასა, რომელნიც ყოველდღიურ კვლავწარმოების პროცესში შედიან. ეს ელემენტები მზად უნდა მოიპოვებოდეს წარმოების ადგილას. ამრიგად, მოცულობა ამ მარაგისა, რომელიც მწარმოებლური კაპიტალის სახით არსებობს, აბსოლუტურად იზრდება. წარმოების პროცესი რომ უწყვეტად მიმდინარეობდეს, — სრულიად დამოუკიდებლად იმისგან, ხდება ამ მარაგის განახლება ყოველდღიურად თუ განსაზღვრულ ვადებში, — აუცილებელია, რომ წარმოების ადგილას მუდამ მოიპოვებოდეს ნედლი მასალის და სხვ. უფრო მეტი მარაგი, ვიდრე იგი მოიხმარება, მაგალითად, ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად. პროცესის უწყვეტობა მოითხოვს, რომ მისი პირობების არსებობა დამოკიდებული არ იყოს არც შესაძლებელ შეწყვეტაზე ყოველდღიურ შესყიდვათა დროს და არც იმაზე, რომ საქონლური პროდუქტის გაყიდვა ხდება ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად და ამის გამო მხოლოდ არარეგულარულად არის შესაძლებელი ამ პროდუქტის უკუგარდაქმნა მის წარმოების ელემენტებად. მაგრამ ცხადია, რომ მწარმოებლური კაპიტალი ფრიად სხვადასხვა ოდენობით შეიძლება იყოს ფარულ მდგომარეობაში, ანუ შეადგენდეს მარაგს. მაგალითად, დიდ განსხვავებას შეადგენს, მეფაბრიკე-მრთველმა ბამბის ან ნახშირის სამი თვის მარაგი უნდა იქონიოს თუ ერთი თვის. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მარაგი

შეიძლება შეფარდებით კლებულობდეს, თუმცა აბსოლუტურად იგი მატულობს.

ეს დამოკიდებულია სხვადასხვა პირობებზე; ეს პირობები არსებითად ნიშნავს უფრო დიდ სისწრაფეს, რეგულარობას და უზრუნველყოფილობას, რომლითაც შესაძლებელია ნედლი მასალის მოზიდვა იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ არასოდეს არ მოხდეს წარმოების პროცესის შეწყვეტა. რაც უფრო ნაკლებ სრულდება ეს პირობები, რაც უფრო, მაშასადამე, ნაკლებაა მოზიდვის უზრუნველყოფილი რეგულარობა და სისწრაფე, მით უფრო დიდი უნდა იყოს მწარმოებლის ხელში მწარმოებლური კაპიტალის ფარული ნაწილი, ე. ი. ნედლი მასალისა და სხვათა მარაგი, რომელიც ჯერ კიდევ გადამუშავების მოლოდინშია. ეს პირობები და, მაშასადამე, ამ ფორმაში არსებული მარაგიც შებრუნებულ შეფარდებაში იმყოფება კაპიტალისტური წარმოების და, ამიტომ, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების დონესთან.

მაგრამ ის, რაც აქ მარაგის შემცირებად გვეელინება (მაგალითად, ლალორის მოსაზრებათა მიხედვით), ნაწილობრივ წარმოადგენს მხოლოდ მარაგის შემცირებას საქონლური კაპიტალის ფორმაში, ანუ საკუთრივ საქონლური მარაგის შემცირებას. ეს, მაშასადამე, იმავე მარაგის მხოლოდ ფორმაცვალებაა. თუ, მაგალითად, ნახშირის რაოდენობა, რომელიც ყოველდღიურად იწარმოება ამა თუ იმ ქვეყანაში, დიდია, თუ, მაშასადამე, დიდია ნახშირის წარმოების მოცულობა და ენერგია, მაშინ მეფაბრიკე-მრთველს არ დასჭირდება ნახშირის დიდი საწყობი, რათა უზრუნველყოს თავისი წარმოების უწყვეტობა. ნახშირის მოზიდვის მუდმივი და რეგულარული განახლება ზედმეტად ხდის ამას. მეორე, სისწრაფე, რომლითაც ერთი პროცესის პროდუქტი შეიძლება წარმოების საშუალების სახით გადავიდეს მეორე პროცესში, დამოკიდებულია ტრანსპორტისა და კომუნიკაციის საშუალებათა განვითარებაზე. ამასთან აქ დიდ როლს ასრულებს ტრანსპორტის სიიაფე. მუდამ განახლებადი მოზიდვა, მაგალითად, ნახშირისა მაღაროებიდან სართავ საწარმომდე უფრო ძვირი იქნებოდა, ვიდრე ნახშირის უფრო დიდი რაოდენობით მომარაგება უფრო ხანგრძლივი დროისათვის შედარებით უფრო იაფი ტრანსპორტის პირობებში. ჩვენ ზიერ აქამდე განხილული ორივე ეს გარემოება თვით წარმოების პროცესიდან გამომდინარეობს. მესამე, გავლენას ახდენს საკრედიტო სისტემის განვითარება. რაც უფრო ნაკლებად არის მრთველი თავისი ბამბის, ნახშირისა და სხვ. მარაგის განახლებისას თავისი ნართის გაყიდვაზე დამოკიდებული, — და რაც უფრო განვითარებულია საკრედიტო სის-

ტემა, მით უფრო ნაკლებია ეს უშუალო დამოკიდებულება, — მით უფრო პატარა შეიძლება იყოს მისი მარაგის შეფარდებითი სიდიდე, რათა უზრუნველყოფილი იყოს არსებული მასშტაბით ნართის შეუწყვეტელი წარმოება, რათა დამოუკიდებელი გახადოს იგი ნართის გაყიდვის შემთხვევითობისგან. მეოთხე, მაგრამ მრავალი სახის ნედლეული, ნახევარფაბრიკატი და სხვ. დროის უფრო ხანგრძლივ პერიოდებს მოითხოვს საწარმოებლად; განსაკუთრებით ეს ითქმის ყველა სახის ნედლეულის შესახებ, რომელსაც მიწათმოქმედება იძლევა. მაშასადამე, წარმოების პროცესი რომ არ შეწყდეს, საჭიროა არსებობდეს ამ მასალის გარკვეული მარაგი მთელი იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაში ააალ პროდუქტს არ შეუძლია ძველის ადგილი დაიკავოს. თუ ეს მარაგი კლებულობს მრეწველი კაპიტალისტის ხელში, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი მატულობს საქონლური მარაგის სახით ვაჭრის ხელში. ტრანსპორტის საშუალებათა განვითარება შესაძლებელს ხდის, მაგალითად, ლივერპულიდან მანჩესტერში სწრაფად გადაიზიდოს ლივერპულის ნავსადგურში შემოზიდული ბამბა, ასე რომ მეფაბრიკეს შეუძლია, საჭიროებისამებრ, შეფარდებით პატარ-პატარა ოდენობით გააააპლოს თავისი ბამბის მარაგი. მაგრამ სამაგიეროდ ამ ბამბის მით უფრო დიდი მასა იქნება საქონლური მარაგის სახით ლივერპულის ვაჭრების ხელში. მაშასადამე, ეს არის მარაგის მხოლოდ ფორმაცვალება, რაც ლალორმა და სხვ. ვერ შეამჩნიეს. ხოლო თუ საზოგადოებრივ კაპიტალს განვიხილავთ, პროდუქტის იგივე რაოდენობა არსებობს აქ უწინდებურად მარაგის ფორმაში. ტრანსპორტის საშუალებათა განვითარებასთან ერთად ცალკე აღებული ქვეყნისათვის კლებულობს ის ოდენობა, რომელიც დამზადებული უნდა იყოს მარაგის საალთ, მაგალითად, მთელი წლისთვის საჭირო მასა. თუ ამერიკასა და ინგლისს შორის მრავალი ორთქლის და იალქნიანი გემი დადის, მაშინ უფრო ხშირად იქნება შესაძლებელი ინგლისში ბამბის მარაგის განაილება და, ამრიგად, კლებულობს ბამბის მარაგის საშუალო რაოდენობა, რომელიც ინგლისში უნდა ელაგოს. ასევე მოქმედებს მსოფლიო ბაზრის განვითარებაც და, მაშასადამე, ერთი და იმავე პროდუქტის მიღების წყაროების გამრავლებაც. პროდუქტი ნაწილ-ნაწილ შემოიზიდება სხვადასხვა ქვეყნიდან და სხვადასხვა ვადაში.

2. საკუთრივ საქონლის მარაგი.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე საქონელი პროდუქტის საყოველთაო ფორმა ხდება და ხდება მით უფრო, რაც უფრო ვითარდება ეს წარმოება მოცულობისა და სიღრ-

მის მხრივ. მაშასადამე, — მაშინაც კი, როდესაც წარმოების მოცულობა უცვლელია, — პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც საქონლის სახით არსებობს, ბევრად უფრო იზრდება, ვიდრე ეს წარმოების ადრინდელი წესების არსებობისას ანდა განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობისას იყო. მაგრამ ყოველი საქონელი, მაშასადამე, ყოველი საქონლური კაპიტალიც, რომელიც აგრეთვე მხოლოდ საქონელია, მაგრამ საქონელი როგორც კაპიტალღირებულების არსებობის ფორმა, — ყოველი საქონელი, რამდენადაც იგი თავისი წარმოების სფეროდან უშუალოდ მწარმოებლური ან ინდივიდუალური მოხმარების სფეროში არ გადადის, ე. ი. იმ ინტერვალში, როდესაც იგი ბაზარზე იმყოფება, საქონლური მარაგის ელემენტს შეადგენს. ამიტომ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად, — წარმოების მოცულობა უცვლელიც რომ იყოს, — იზრდება საქონლის მარაგი თავისდათავად (ე. ი. იზრდება პროდუქტის საქონლური ფორმის დამოუკიდებელ ფორმად გამოცალკევება და ფიქსირება). ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ეს მხოლოდ მარაგის ფორმაცვალებაა, ე. ი. ერთ მაარეზე მარაგი მატულობს საქონლურ ფორმაში, იმიტომ რომ მეორე მხარეზე, წარმოებისა თუ მოხმარების პირდაპირი მარაგის ფორმაში, იგი კლებულობს. ეს არის მარაგის მხოლოდ შეცვლილი საზოგადოებრივი ფორმა. თუ ამასთან ერთად მატულობს საქონლური მარაგის არა მარტო შეფარდებითი სიდიდე საზოგადოებრივ ერთობლივ პროდუქტთან შედარებით, არამედ მისი აბსოლუტური სიდიდეც, — ეს ხდება იმიტომ, რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად იზრდება ერთობლივი პროდუქტის მასაც.

კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად წარმოების მასშტაბი სულ უფრო ნაკლებად განისაზღვრება პროდუქტზე უშუალო მოთხოვნით და სულ უფრო მეტად — ინდივიდუალური კაპიტალისტის განკარგულებაში მყოფი კაპიტალის ოდენობით, მისი კაპიტალის მისწრაფებით ღირებულების ზრდისადმი და მისი წარმოების პროცესის უწყვეტობისა და გაფართოების აუცილებლობით. ამასთანავე აუცილებლად იზრდება წარმოების ყოველ ცალკეულ დარგში პროდუქტის მასა, რომელიც ბაზარზე იმყოფება საქონლის სახით და უნდა გასაღდეს. იზრდება საქონლური კაპიტალის მასა, რომელიც მეტნაკლებ ხანგრძლივი დროით ფიქსირებულია საქონლური კაპიტალის ფორმაში. ამიტომ იზრდება საქონლის მარაგი.

დასასრულ, საზოგადოების უდიდესი ნაწილი იქცევა დაქირავებულ მუშებად, ე. ი. ისეთ ადამიანებად, რომელთაც დღიდან დღემდე გააქვთ თავი, თავიანთი ხელფასი ყოველკვირეულად უნდა მიიღონ და ყოველდღე

უნდა დახარჯონ, რომლებმაც, მაშასადამე, მარაგის სახით უნდა ჰპოვონ თავიანთი საარსებო საშუალებანი. რაგინდ დენადი არ უნდა იყოს ამ მარაგის ცალკეული ელემენტები, ყოველ შემთხვევაში, მათი ნაწილი მუდამ უმოძრაოდ უნდა რჩებოდეს რათა მთელი მარაგი მუდამ დენადი იყოს.

ყველა ეს მომენტი გამომდინარეობს წარმოების ფორმიდან და მის მიერ ნაგულისხმევი ფორმაგარდაქმნილობიდან, რაც პროდუქტმა უნდა განვლოს ნიმოქცევის პროცესში.

როგორიც უნდა იყოს პროდუქტთა მარაგის საზოგადოებრივი ფორმა, მისი შენახვა მოითხოვს ხარჯებს: შენობებს, ჭურჭელს და სხვ., რაც პროდუქტის საცავებს შეადგენს; მოითხოვს აგრეთვე—პროდუქტის ბუნების მიხედვით — მეტ ან ნაკლებ წარმოების საშუალებებსა და შრომას, რომლებიც უნდა დაიხარჯოს მავნე გავლენათა თავიდან ასაცილებლად. რაც უფრო დიდია მარაგის საზოგადოებრივი კონცენტრაცია, მით უფრო ნაკლებია შედარებით ეს ხარჯები. ეს ხარჯები გასაგნობრივებულ თუ ცოცხალ ფორმაში ყოველთვის საზოგადოებრივი შრომის ნაწილს შეადგენს, — მაშასადამე, კაპიტალისტურ ფორმაში შეადგენს კაპიტალის დანახარჯს, — რომელიც არ მონაწილეობს პროდუქტის შექმნაში და ამიტომ გამონაქვითია პროდუქტიდან. ისინი, საზოგადოებრივი სიმდიდრის ეს დამატებითი ხარჯები, აუცილებელია. ისინი საზოგადოებრივი პროდუქტის შენახვის ხარჯებია, სულ ერთია, გამომდინარეობს ამ პროდუქტის არსებობა საქონლის მარაგის ელემენტის სახით მხოლოდ წარმოების საზოგადოებრივი ფორმიდან, მაშასადამე, პროდუქტის საქონლური ფორმიდან და მისი აუცილებელი ფორმაგარდაქმნილობიდან, თუ — საქონლის მარაგს ჩვენ მივიჩნევთ მხოლოდ მარაგის სპეციალურ ფორმად პროდუქტთა მარაგისა, რომელიც საერთოა ყველა საზოგადოებისათვის, თუნდაც მას არ გააჩნდეს საქონლის მარაგის ფორმა, პროდუქტთა მარაგის ეს ფორმა, რომელიც მიმოქცევის პროცესს ეკუთვნის.

ახლა საკითხავია: რამდენად შედის ეს ხარჯები საქონლის ღირებულებაში.

როდესაც კაპიტალისტმა წარმოების საშუალებებსა და სამუშაო ძალაზე ავანსებული თავისი კაპიტალი პროდუქტად, გასაყიდად განკუთვნილ მზა საქონლის მასად აქცია და ეს მასა გაუყიდავი უწყვია საწყობებში, მაშინ ამ დროის განმავლობაში შეჩერებულია არა მარტო მისი კაპიტალის ღირებულების ზრდის პროცესი. ამ მარაგის შენობებში შესანახად, აგრეთვე დამატებითი შრომისათვის და სხვ. გაწეული ხარჯები პირდაპირ დანაკარგს წარმოადგენს. მყიდველი, რომ-

ლიც, ბოლოს, გამოჩნდებოდა, სასაცილოდ აიგდებდა კაპიტალისტს, ამ უკანასკნელს რომ მისთვის ეთქვა: ჩემი საქონელი ექვსი თვის განმავლობაში გაუყიდავი ელაგა და მისი შენახვის გამო ამ ექვსი თვის განმავლობაში მე არა მარტო უქმად მედო ამდენი და ამდენი კაპიტალი, არამედ, გარდა ამისა, x დამატებითი ხარჯები გავწიეო. Tant pis pour vous [მით უარესი თქვენთვის], ეტყვის მყიდველი. თქვენ გვერდით მეორე გამყიდველია, რომლის საქონელი მხოლოდ გუშინწინაა დამზადებული. თქვენი საქონელი ჩაწოლილი საქონელია და, ალბათ, ცოტად თუ ბევრად გაფუჭებულია დროის გავლენით. ამიტომ თქვენ იგი თქვენს მეტოქეზე უფრო იაფად უნდა გაყიდოთო. საქონლის არსებობის პირობები სრულიადაც არ იცვლება იმის გამო, საქონელმწარმოებელი თავისი საქონლის ნამდვილი მწარმოებელია, თუ მისი კაპიტალისტური მწარმოებელია, ე. ი. არსებითად მის ნამდვილ მწარმოებელთა მიოლოდ წარმომადგენელია. მან თავისი ნივთი ფულად უნდა აქციოს. დამატებითი ხარჯები, რაც მისთვის გამოიწვია ამ ნივთის ფიქსირებამ მის საქონლურ ფორმაში, გამყიდველის პირადი საქმეა, რასთანაც საქონლის მყიდველს არავითარი საქმე არა აქვს. ეს უკანასკნელი მას არაფერს უხდის მისი საქონლის მიმოქცევის დროისათვის. მაშინაც კი, როდესაც კაპიტალისტი თავის საქონელს განზრახ აჩერებს და ბაზარზე არ გააქვს, ღირებულების ნამდვილი თუ მოსალოდნელი რევოლუციის დროს, — მაშინაც კი ღირებულების ამ რევოლუციის ნამდვილ განხორციელებაზე, კაპიტალისტის სპეკულაციის სისწორესა თუ უსწორობაზეა დამოკიდებული, მოახდენს თუ არა იგი თავისი დამატებითი ხარჯების რეალიზაციას. მაგრამ ღირებულების რევოლუცია მისი დამატებითი ხარჯის შედეგი როდია. ამრიგად, რამდენადაც მარაგის შექმნა მიმოქცევის შეჩერებას წარმოადგენს, ამით გამოწვეული დამატებითი ხარჯი საქონელს არ მატებს არავითარ ღირებულებას. მეორე მხრივ, არავითარი მარაგი არ შეიძლება არსებობდეს მიმოქცევის სფეროში ყოფნის გარეშე, — მეტი თუ ნაკლები დროის განმავლობაში კაპიტალის საქონლურ ფორმაში გაჩერების გარეშე; მაშასადამე, შეუძლებელია მარაგი მიმოქცევის შეუფერხებლად, — სწორედ ისე, როგორც შეუძლებელია ფულის მიმოქცევა ფულის რეზერვის შეუქმნელად. ამრიგად, საქონლის მარაგის გარეშე შეუძლებელია საქონელმიმოქცევა. თუ მარაგის შექმნის აუცილებლობა არ წარმოიშვება კაპიტალისტისათვის Ს — Ფ'-ში, სამაგიეროდ იგი მისთვის წარმოიშვება Ფ — Ს-ში; იგი წარმოიშვება არა მისი საქონლური კაპიტალისათვის, არამედ სხვა კაპიტალისტთა საქონლური კაპიტა-

ლისათვის, რომელნიც აწარმოებენ წარმოების საშუალებებს მისთვის და საარსებო საშუალებებს მისი მუშებისათვის.

ნებაყოფლობით ხდება მარაგის შექმნა თუ იძულებით, ე. ი. საქონელმწარმოებელი განზრახ ინახავს მარაგს, თუ მისი საქონელი შეადგენს მარაგს იმ წინააღმდეგობის გამო, რომელსაც თვით მიმოქცევის პროცესის პირობები უყენებენ წინ საქონლის გაყიდვას, — ეს თითქოს საქმეს არსებითად ვერ ცვლის. მაგრამ მაინც ამ საკითხის გადასაწყვეტად სასარგებლოა ვიცოდეთ, თუ რით განსხვავდება მარაგის ნებაყოფილობითი შექმნა იძულებითისაგან. მარაგის იძულებითი შექმნა გამომდინარეობს მიმოქცევის შეფერხებიდან ან იგივეა, რაც ეს შეფერხება, რომელიც დამოუკიდებელია საქონელმწარმოებლის წინასწარგანჭვრეტისაგან და ეწინააღმდეგება მის ნებას. რა ახასიათებს მარაგის ნებაყოფლობითს შექმნას? აქაც გამყიდველი უწინდებურად ცდილობს რაც შეიძლება მალე გაასაღოს თავისი საქონელი. იგი მუდამ მიმწოდებელია პროდუქტისა საქონლის სახით. მან თუ თავი შეიკავა პროდუქტის გაყიდვისგან, მაშინ ეს პროდუქტი შეადგენს საქონლური მარაგის მხოლოდ შესაძლებელ (δυνάμει) და არა ნამდვილ (ἐνεργείᾳ) ელემენტს. ორივე შემთხვევაში მისთვის საქონელი, როგორც ასეთი, მხოლოდ მატარებელია თავისი საცვლელი ღირებულებისა, და როგორც საცვლელ ღირებულებას საქონელს შეუძლია მოქმედება მხოლოდ თავისი საქონლის ფორმის მეოხებით, ამ ფორმის თავიდან მოცილებით და ამის შემდეგ ფულადი ფორმის მიღებით.

საქონლის მარაგი განსაზღვრული ოდენობის უნდა იყოს, რათა მოცემული პერიოდის განმავლობაში მოთხოვნის ოდენობას აკმაყოფილებდეს. ამასთან ივარაუდება მყიდველთა წრის მუდმივი გაფართოება. მაგალითად, იმისათვის, რომ საკმარისი იყოს ერთი დღისათვის, ბაზარზე მყოფი საქონლის ერთი ნაწილი ყოველთვის უნდა იყოს საქონლურ ფორმაში შეჩერებული, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი მიედინება, ფულად იქცევა. ამასთან ის ნაწილი, რომელიც შეჩერდება,— მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი მიედინება, — მუდამ კლებულობს, როგორც კლებულობს თვით მარაგის ოდენობა, სანამ იგი ბოლოს მთლიანად არ გაიყიდება. ამრიგად, საქონლის გაჩერება აქ მიღებულია მხედველობაში როგორც საქონლის გაყიდვის აუცილებელი პირობა. შემდეგ, ამ გაჩერებული საქონლის ოდენობა უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე არის გაყიდვის საშუალო ოდენობა ანუ მოთხოვნის საშუალო ოდენობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის საშუალო ოდენობის ნამეტი ვერ ჰპოვებდა დაკმაყოფილებას. მეორე მხრივ, მარაგი მუდამ უნდა განახლდეს, რადგან იგი მუდამ იხარჯება. ამ განახლების გან-

ხორციელება საბოლოო ანგარიშით შეიძლება მხოლოდ წარმოების საშუალებით, საქონლის მოზიდვით. საზღვარგარეთიდან მიიღება ეს საქონელი თუ არა, ამით საქმე სრულიად არ იცვლება. განახლება იმ დროის ხანგრძლიობაზეა დამოკიდებული, რომელიც საქონლის კვლავწარმოებისათვის არის საჭირო. საქონლის მარაგი მთელი ამ დროისათვის საკმარისი უნდა იყოს. ის გარემოება, რომ ეს მარაგი არ რჩება თავდაპირველი მწარმოებლის ხელში, არამედ სხვადასხვა საცავებს გაივლის, ბითუმად მოვაჭრიდან დაწყებული ცალობით მოვაჭრემდე, — ცვლის მხოლოდ საგნის გარეგნულ გამოვლენას და არა მის არსებით მხარეს. საზოგადოების თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ორივე შემთხვევაში კაპიტალის ნაწილი საქონლის მარაგის ფორმაში მანამდე რჩება, ვიდრე საქონელი მწარმოებლურ ან ინდივიდუალურ მოხმარების სფეროში არ შევა. თვით მწარმოებელი ცდილობს საქონლის მარაგი საწყობში იმ რაოდენობით იქონიოს, რაც მის საშუალო მოთხოვნას შეესაბამება, რათა დამოკიდებული არ იყოს უშუალოდ წარმოებაზე და უზრუნველყოფილი ჰყავდეს თავისთვის მუშტართა მუდმივი წრე. წარმოების პერიოდების შესაბამისად მყარდება ყიდვის ვადები, და საქონელი მეტი თუ ნაკლები დროის განმავლობაში ქმნის მარაგს, ვიდრე იგი ამგვარადვე ახალი ეგზემპლარებით არ იქნება შენაცვლებული. მხოლოდ მარაგის ასეთი შექმნით ხდება უზრუნველყოფილი მიმოქცევის პროცესის და, მაშასადამე, იმ კვლავწარმოების პროცესის მუდმივობა და უწყვეტობა, რომელიც მიმოქცევის პროცესსაც შეიცავს.

უნდა გავიხსენოთ, რომ ს′ — ფ′ შეიძლება ს მწარმოებლისთვის უკვე შესრულებული იყოს, თუმცა ს ჯერ კიდევ ბაზარზე იმყოფება. თვით მწარმოებელს რომ მოენდომებინა საწყობში ზეენახა საკუთარი საქონელი მანამდე, ვიდრე მისი გაყიდვა და საბოლოო მომხმარებლის ხელში გადასვლა არ მოხდებოდა, მას დასჭირდებოდა მოძრაობაში მოეყვანა ორმაგი კაპიტალი: ერთი — როგორც საქონლის მწარმოებელს, ხოლო მეორე — როგორც ვაჭარს. თვით საქონლისათვის — განვიხილავთ მას როგორც ცალკეულ საქონელს თუ როგორც საზოგადოებრივი კაპიტალის შემადგენელ ნაწილს — საქმე სრულიად არ იცვლება იმით, მარაგის შექმნის ხარჯების გაწევა საქონელმწარმოებლებს უხდებათ თუ — მთელ რიგ ვაჭრებს დაწყებული A-ით და გათავებული Z-ით.

რამდენადაც საქონლის მარაგი სხვა არაფერია, თუ არა საქონლური ფორმა მარაგისა, რომელიც, საზოგადოებრივი წარმოების ამა თუ იმ მასშტაბის პირობებში, თუ არ იარსებებდა როგორც საქონლის

მარაგი, სულ ერთია მაინც იარსებებდა ან როგორც მწარმოებლური მარაგი (წარმოების ფარული ფონდი), ან როგორც მოხმარების ფონდი (მოხმარების საშუალებათა რეზერვი), — რამდენადაც ეს ასეა, იმდენად ხარჯებიც, რასაც მარაგის შენახვა მოითხოვს, მაშასადამე, მარაგის შექმნის ხარჯები, ე. ი. ამაზე მოხმარებული გასაგნობრივებული თუ ცოცხალი შრომა — საზოგადოებრივი საწარმოო ფონდის თუ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდის შენახვის გადატანილი ხარჯებია მხოლოდ. საქონლის ღირებულების აწევა, რასაც ეს ხარჯები იწვევს, ანაწილებს მათ მხოლოდ pro rata [აროპორციულად] სხვადასხვა საქონელზე, რადგან ეს ხარჯები სხვადასხვა სახეობის საქონლისათვის სხვადასხვაა. მარაგის შექმნის ხარჯები წინანდებურად რჩება გამონაქვითად საზოგადოებრივი სიმდიდრიდან, თუმცა ისინი ამ სიმდიდრის არსებობის პირობას წარმოადგენენ.

საქონლის მარაგი ნორმალური მოვლენაა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი საქონელმიმოქცევის პირობას წარმოადგენს და საქონლის მიმოქცევაში აუცილებლობის გზით წარმომდგარ ფორმასაც კი, მაშასადამე, რამდენადაც მოჩვენებითი შეჩერება თვით მოძრაობის ფორმაა, — მსგავსად იმისა, როგორც ფულადი რეზერვის შექმნა ფულის მიმოქცევის პირობას წარმოადგენს. პირიქით, როდესაც თავის მიმოქცევის რეზერვუარებში შეჩერებული საქონელი ადგილს არ უნთავისუფლებს წარმოების შემდგომ ტალღას და, ამრიგად, რეზერვუარები ივსება, საქონლის მარაგიც იზრდება მიმოქცევის შეფერხების გამო; სწორედ ისე, როგორც იზრდება განძი, როდესაც ფულის მიმოქცევა შეფერხებას განიცდის. ამასთან სულ ერთია, ამ შეფერხებას მრეწველი კაპიტალისტის საცავებში აქვს ადგილი თუ ვაჭრის საწყობებში. ამ შემთხვევაში საქონლის მარაგი წარმოადგენს არა განუწყვეტელი გაყიდვის პირობას, არამედ იმის შედეგს, რომ საქონლის გაყიდვა არ ხერხდება. ხარჯები იგივე რჩება, მაგრამ რადგან ისინი ახლა გამომდინარეობენ მხოლოდ და მხოლოდ ფორმიდან, სახელდობრ საქონლის ფულად გადაქცევის აუცილებლობიდან და ამ მეტამორფოზის სიძნელიდან, — ამიტომ არ შედიან საქონლის ღირებულებაში, არამედ შეადგენენ გამონაქვითს, ღირებულების დანაკარგს ღირებულების რეალიზაციის დროს. რადგან მარაგის ნორმალური და ანორმალური ფორმები არ განსხვავდება ერთიმეორისგან ფორმის მიხედვით და ორივე მიმოქცევის შეფერხებას წარმოადგენს, ამიტომ შესაძლებელია ამ მოვლენათა ერთმანეთში არევა. და მათ მით უფრო შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ თვით წარმოების აგენტები, რომ მწარმოებლისათვის მისი კაპიტალის მიმოქცევის პროცესი შეიძლება

უწინდებურად მიმდინარეობდეს, თუმცა ვაჭართა ხელში გადასულ საქონელთა მიმოქცევის პროცესი შეფერხებულია. თუ წარმოებისა და მოხმარების მოცულობა იზრდება, მაშინ, სხვა გარემოებათა უცვლელობისას, იზრდება საქონლის მარაგიც. იგი განახლდება და შთაინთქმება წინანდელი სისწრაფით, მაგრამ მისი მოცულობა უფრო დიდი ხდება. ამრიგად, საქონლის მარაგის მოცულობა, მიმოქცევის შეფერხების გამო მეტისმეტად გაბერილი, შეიძლება შეცდომით კვლავწარმოების გაფართოების სიმპტომად მიიჩნიონ; ასეთი შეცდომა შესაძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკრედიტო სისტემის განვითარებასთან ერთად ნამდვილი მოძრაობის მისტიფიკაცია ხდება.

მარაგის შექმნის ხარჯებს შეადგენს: 1) პროდუქტის მასის რაოდენობრივი დაკლება (მაგალითად, ფქვილის მარაგის); 2) ხარისხის გაფუჭება; 3) გასაგნობრივებული და ცოცხალი შრომა, რომელსაც მოითხოვს მარაგის შენახვა.

III. ტრანსპორტის ხარჯები.

საჭირო არაა, რომ აქ განვიხილოთ მიმოქცევის ხარჯების ყველა დეტალი, როგორიცაა, მაგალითად, შეფუთვა, დახარისხება და სხვა. ზოგადი კანონი ისაა, რომ „მიმოქცევის ყველა ხარჯი, რომელიც მხოლოდ საქონლის ფორმის გარდაქმნიდან გამომდინარეობს, საქონელს არავითარ ღირებულებას არ მატებს. ეს მხოლოდ ღირებულების რეალიზაციის ხარჯებია, ანუ ხარჯები ღირებულების გადასატანად ერთი ფორმიდან მეორეში. ამ ხარჯებისათვის გაღებული კაპიტალი (მისდამი დაქვემდებარებული შრომის ჩათვლით) კაპიტალისტური წარმოების faux frais-ს [არამწარმოებლურ ხარჯებს] ეკუთვნის. ამ ხარჯების ანაზღაურება უნდა მოხდეს ზედმეტი პროდუქტიდან და ისინი, თუ კაპიტალისტთა მთელ კლასს მივიღებთ მხედველობაში, შეადგენენ გამონაქვითს ზედმეტი ღირებულებიდან ანუ ზედმეტი პროდუქტიდან, სრულიად ისე, როგორც ის დრო, რომელიც მუშას სჭირდება მის საარსებო საშუალებათა საყიდლად, მისთვის დაკარგულ დროს წარმოადგენს. მაგრამ ტრანსპორტის ხარჯები იმდენად დიდ როლს ასრულებენ, რომ საჭიროა ისინი აქ მოკლედ მაინც განვიხილოთ.

კაპიტალის წრებრუნვაში და საქონლის იმ მეტამორფოზში, რომელიც ამ წრებრუნვის ნაწილს შეადგენს, ხდება საზოგადოებრივი

შრომის ნივთიერებათა ცვლა. ეს ნივთიერებათა ცვლა შეიძლება განაპირობებდეს პროდუქტების ადგილცვლას, მათს ნამდვილ მოძრაობას ერთი ადგილიდან მეორე ადგილისკენ. მაგრამ საქონლის მიმოქცევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მისი ფიზიკური მოძრაობის გარეშეც და პროდუქტთა გადაზიდვას — საქონლის მიმოქცევის გარეშე, პროდუქტთა უშუალო გაცვლის გარეშეც კი. სახლი, რომელსაც A მიჰყიდის B, მიმოიქცევა როგორც საქონელი, მაგრამ როდი დასეირნობს. მოძრავი საქონლური ღირებულებანი, როგორიცაა, მაგალითად, ბამბა ან თუჯი, წინანდებურად საქონლის საწყობში რჩებიან მაშინ, როდესაც ისინი სპეკულანტთა მიერ ყიდვა-გაყიდვისას დუჟინობით მიმოქცევის სხვადასხვა პროცესებს ასრულებენ[17], ნამდვილად აქ მოძრაობს ნივთზე საკუთრების ტიტული და არა თვით ნივთი. მეორე მხრივ, მაგალითად, ინკების სახელმწიფოში სატრანსპორტო მრეწველობა დიდ როლს ასრულებდა, თუმცა საზოგადოებრივი პროდუქტი არც საქონლის სახით მიმოიქცეოდა და არც გაცვლითი ვაჭრობის მეშვეობით განაწილდებოდა.

ამიტომ, თუმცა სატრანსპორტო მრეწველობა კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე მიმოქცევის ხარჯების მიზეზად გვეჩვენება, მაგრამ მათი გამოვლინების ეს განსაკუთრებული ფორმა სრულიადაც არ ცვლის საქმის ვითარებას.

პროდუქტის რაოდენობა არ დიდდება მისი გადაზიდვის გამო. ყველა ის ცვლილება, რაც შესაძლებელია გადაზიდვით მოხდეს პროდუქტთა თვისებებში, მცირეოდენ გამონაკლისს გარდა, არ წარმოადგენს წინასწარ განზრახულ სასარგებლო ეფექტს, არამედ — აუცილებელი ბოროტებაა. მაგრამ საგანთა სახმარი ღირებულება ხორციელდება მხოლოდ მათს მოხმარებაში, ხოლო ამ მოხმარებამ შესაძლებელია აუცილებელი გახადოს მათი ადგილცვლა, მაშასადამე, სატრანსპორტო მრეწველობის დამატებითი წარმოების პროცესი. ამ მრეწველობაში დაბანდებული მწარმოებლური კაპიტალი, მაშასადამე, გადაზიდულ პროდუქტს ბატებს ღირებულებას, ნაწილობრივ ტრანსპორტის საშუალებათა ღირებულების გადატანის გამო, ნაწილობრივ კი სატრანსპორტო შრომის ხარჯვის შედეგად. ღირებულების ეს უკანასკნელი მინამატი, როგორც ყოველი კაპიტალისტური წარმოებისას, ხელფასის ანაზღაურებად და ზედმეტ ღირებულებად ნაწილდება.

ყოველ წარმოების პროცესში დიდ როლს ასრულებს შრომის საგნის ადგილცვლა და ამისთვის საჭირო შრომის საშუალებანი და

---

[17] შტორხი ასეთ მიმოქცევას «factice»-ს [ხელოვნურს] უწოდებს.

სამუშაო ძალა, — ბამბა, მაგალითად, საწეწი განყოფილებიდან გადაინაცვლებს სართავ განყოფილებაში, ნახშირი მაღაროდან მიწის ზედაპირზე ამოაქვთ. ასეთსავე მოვლენას, მხოლოდ უფრო დიდი მასშტაბით, ვხედავთ, როდესაც მზა პროდუქტი მზა საქონლის სახით გადადის წარმოების ერთი დამოუკიდებელი ადგილიდან მეორეზე, რომელიც პირველისგან სივრცეებრივად დაშორებულია. პროდუქტთა გადატანას წარმოების ერთი ადგილიდან მეორეზე მისდევს აგრეთვე მზა პროდუქტთა გადატანა წარმოების სფეროდან მოხმარების სფეროში. პროდუქტი მხოლოდ მაშინაა მზად მოხმარებისათვის, როდესაც იგი დაასრულებს ამ მოძრაობას.

როგორც წინათ იყო ნაჩვენები, საქონელწარმოების ზოგადი კანონი ასეთია: შრომის ნაყოფიერება და მის მიერ ღირებულების შექმნა შებრუნებულ შეფარდებაშია ერთიმეორის მიმართ. ეს ისევე შეეხება ტრანსპორტის მრეწველობას, როგორც ყოველ სხვა მრეწველობასაც. რაც უფრო ნაკლებია მკვდარი და ცოცხალი შრომის რაოდენობა, რომელიც საჭიროა საქონლის გადასაზიდად მოცემულ მანძილზე, მით უფრო დიდია შრომის მწარმოებლური ძალა, და პირიქით[18].

ღირებულების აბსოლუტური სიდიდე, რომელსაც ტრანსპორტი მატებს საქონელს, შებრუნებულ შეფარდებაშია, სხვა გარემოებათა უცვლელობისას, ტრანსპორტის მრეწველობის მწარმოებლურ ძალასთან და პირდაპირ შეფარდებაშია იმ მანძილთან, რასაც საქონელი გაივლის.

ღირებულების ის შეფარდებითი ნაწილი, რომელსაც, სხვა გარემოებათა უცვლელობისას, ტრანსპორტის ხარჯები მატებს საქონლის ფასს, პირდაპირ შეფარდებაშია საქონლის განფენილობასა და წონასთან

---

[18] რიკარდოს ციტატის სახით მოჰყავს სეის სიტყვები, რომელსაც ვაჭრობის მადლად ის მიაჩნია, რომ იგი ტრანსპორტის ხარჯებით აძვირებს პროდუქტებს ანუ მაღლა სწევს მათს ღირებულებას. «ვაჭრობა — ამბობს სეი — შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ საქონელი მისი წარმოშობის ადგილას და გადავზიდოთ იგი მოხმარების სხვა ადგილას; მაშასადამე, იგი შესაძლებლობას გვაძლევს საქონლის ღირებულება გავადიდოთ მთელი იმ სხვაობით, რომელიც არსებობს საქონლის ფასებს შორის პირველ და მეორე ადგილას». ამაზე რიკარდო შენიშნავს: «მართალია, მაგრამ როგორ მიემატება საქონელს დამატებითი ღირებულება? იმ გზით, რომ წარმოების ხარჯებს მიემატება, ჯერ ერთი, გადაზიდვის ხარჯები, მეორე, — ვაჭრის მიერ ავანსებული კაპიტალის მოგება. მაშასადამე, საქონელი მხოლოდ იმავე მიზეზითაა უფრო დიდი ღირებულების, როგორც ყოველი სხვა საქონელი შეიძლება უფრო დიდი ღირებულების გახდეს იმიტომ, რომ მის წარმოებასა და გადაზიდვაზე მეტი შრომა დაიხარჯა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მას მომხმარებელი იყიდდა. მაგრამ ეს არ შეიძლება ვაჭრობის ერთ-ერთ უპირატესობად ჩაითვალოს» (*Ricardo*: «Principles of Pol. Econ.», მე-3 გამოც. London 1821, გვ. 309, 310).

〈 და შებრუნებულ შეფარდებაშია მის ღირებულებასთან 〉. მაგრამ არსებობს მოდიფიკაციის მომადენი უამრავი გარემოება. ტრანსპორტი მოითხოვს, მაგალითად, სიფრთხილის მეტნაკლებ მნიშვნელოვან ღონისძიებებს და ამიტომ შრომისა და შრომის საშუალებათა მეტნაკლებ დახარჯვას იმის მიხედვით, თუ რამდენად შედარებით მტვრევადი, ფუჭებადი და ფეთქებადია პროდუქტი. აქ რკინიგზის მაგნატები უფრო დიდ გენიოსობას იჩენენ ფანტასტიკურ სახეობათა გამოგონებაში, ვიდრე ბოტანიკოსები და ზოოლოგები. მაგალითად, საქონლის კლასიფიკაცია, რაც ინგლისის რკინიგზებზეა მიღებული, მთელ ტომებს ავსებს და ზოგადი პრინციპის მიხედვით დამყარებულია იმ ტენდენციაზე, რომ საქონლის ბუნებრივი თვისებების უაღრესად სხვადასხვანაირი სიჭრელე აქციოს ამდენსავე მრავალრიცხოვან მანკად ტრანსპორტის თვალსაზრისით და მუდმივ საბაბად გამომძალველობისათვის. «შუშა, რომელიც უწინ crate (ყუთი განსაზღვრული ტევადობისა) 11 გირვ. სტერლ. ღირდა, ახლა, მრეწველობის წარმატებათა და შუშაზე ბაჟის მოსპობის გამო, 2 გირვ. სტერლ. ღირს, მაგრამ ტრანსპორტის ხარჯები ისევე ნაღალია, როგორც უწინ იყო, და კიდევ უფრო მაღალია არხებით გადაზიდვის პირობებში. უწინ შუშისა და მოსავარაყებელი შუშის საქონლის გადაზიდვა ბირმინგამიდან 50 მილის მანძილზე ტონა 10 შილინგი ღირდა. ახლა გადაზიდვის ფასი სამჯერაა გადიდებული საქონლის მტვრევადობით გამოწვეული რისკის საბაბით. მაგრამ რკინიგზის სამმართველო არ იხდის სწორედ იმას, რასაც ნამდვილად ამტვრევს»[19]. შემდეგ, ის გარემოება, რომ ღირებულების შეფარდებითი ნაწილი, რომელსაც ტრანსპორტის ხარჯები მატებენ საქონელს, შებრუნებულ შეფარდებაშია ამ უკანასკნელის ღირებულებასთან, რკინიგზის მაგნატებს განსაკუთრებულ საფუძველს აძლევს იმისათვის, რომ საქონელი დაბეგრონ. ისეთი ტარიფით, რომელიც პირდაპირ შეფარდებაშია საქონლის ღირებულებასთან. მრეწველთა და ვაჭართა ჩივილი ამ გარემოების გამო მოწმეთა ჩვენების ყოველ გვერდზე მეორდება აღნიშნულ მოხსენებაში.

კაპიტალისტური წარმოების წესი ამცირებს ცალკეული საქონლის სატრანსპორტო ხარჯებს როგორც ტრანსპორტისა და კომუნიკაციის საშუალებათა განვითარების გზით, ისე ტრანსპორტის კონცენტრაციის—მასშტაბის გადიდების გზით. იგი ადიდებს ცოცხალი და გასაგნობრივებული საზოგადოებრივი შრომის იმ ნაწილს, რომელიც საქონლის გადაზიდვაზე იხარჯება,—ადიდებს, ჯერ ერთი, იმით, რომ

[19] «Royal Commission on Railways»; ვვ. 31, № 630.

პროდუქტთა დიდძალ უმრავლესობას საქონლად აქცევს და, შემდეგ, იმით, რომ ადგილობრივი ბაზრების ადგილს შორეული ბაზრები იქერენ.

მიმოქცევა, ე. ი. საქონელთა ფაქტიური ტრიალი სივრცეში, ხორციელდება საქონლის გადახიდვის გზით. ტრანსპორტის მრეწველობა, ერთი მხრივ, შეადგენს წარმოების დამოუკიდებელ დარგს და ამიტომ მწარმოებლური კაპიტალის დაბანდების განსაკუთრებულ სფეროს. მეორე მხრივ, იგი განსხვავდება იმით, რომ გვევლინება წარმოების პროცესის გაგრძელებად მიმოქცევის პროცესის ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი და მიმოქცევის პროცესის ა თ ვ ი ს.

განყოფილება მეორე

კაპიტალის გადაბრუნება

თავი მეშვიდე

გადაბრუნების დრო და გადაბრუნების რიცხვი

როგორც დავინახეთ, ამა თუ იმ კაპიტალის მიმოქცევის ერთობლივი დრო მისი მიმოქცევის დროის და მისი წარმოების დროის ჯამს უდრის. ეს არის დროის მონაკვეთი იმ მომენტიდან, როდესაც კაპიტალღირებულების ავანსად გაღება ხდება განსაზღვრული ფორმით, იმ მომენტამდე, როდესაც მოძრაობაში მყოფი კაპიტალღირებულება უკუბრუნდება იმავე ფორმით.

კაპიტალისტური წარმოების განმსაზღვრელ მიზანს შეადგენს ყოველთვის ავანსებული ღირებულების ზრდა, სულ ერთია ეს ღირებულება მისი დამოუკიდებელი ფორმით, ე. ი. ფულადი ფორმითაა ავანსებული თუ საქონლის სახით, ასე რომ მის ღირებულებრივ ფორმას ავანსებულ საქონელთა ფასში მხოლოდ იდეალური დამოუკიდებლობა აქვს მოპოვებული. ორივე შემთხვევაში ეს კაპიტალღირებულება თავის წრებრუნვაში გაივლის არსებობის სხვადასხვა ფორმებს. მისი იგივეობა თავისთავთან დასტურდება კაპიტალისტის დავთრებში, ანუ საანგარიშო ფულის ფორმაში.

ფორმა ფ...ფ′-ს ავიღებთ თუ ფორმა წ...წ, ორივე ფორმა გამოხატავს: 1) რომ ავანსებული ღირებულება მოქმედებდა როგორც კაპიტალღირებულება და მან თვითზრდა განიცადა; 2) რომ თავისი პროცესის დამთავრების შემდეგ იგი უკუდაუბრუნდა იმ ფორმას, რომლითაც მან ეს პროცესი დაიწყო. ავანსებული ღირებულების, ფ, ზრდა და იმავე დროს კაპიტალის უკუდაბრუნება ამ ფორმასთან (ფულად ფორმასთან) ცხადად დასანახია ფ...ფ′-ში. მაგრამ იგივე ხდება მეორე ფორმაშიც. მართლაც, წ-ის ამოსავალი პუნქტია წარმოების

ელემენტების, ამა თუ იმ ღირებულების საქონელთა არსებობა; ფორმა შეიცავს ამ ღირებულების ზრდას (ს′ და ფ′) და უკუდაბრუნებას თავდაპირველ ფორმასთან, რადგან მეორე ₽-ში ავანსებულ ღირებულებას წარმოების ელემენტების კვლავ იგივე ფორმა აქვს მოპოვებული, რომლითაც იგი თავდაპირველად იყო ავანსებული.

უწინ ჩვენ დავინახეთ: «თუ წარმოებას კაპიტალისტური ფორმა აქვს, მაშინ კვლავწარმოებაც ასეთ ფორმას ატარებს. როგორც კაპიტალისტურ წარმოების წესში შრომის პროცესი მხოლოდ ღირებულების ზრდის პროცესის საშუალებად გვევლინება, სწორედ ასევე კვლავწარმოება გვევლინება მხოლოდ საშუალებად იმისა, რომ იკვლავწარმოებოდეს ავანსებული ღირებულება კაპიტალის სახით, ე. ი. თვითმზარდი ღირებულების სახით» (წიგნი I, თავი XXI) [კ. მ ა რ ქ ს ი: «კაპიტალი», ტ. I, ქართ. გამოც. 1954 წ, გვ. 713 — 714.].

სამი ფორმა: I) ფ...ფ′; II) ₽...₽ და III) ს′...ს′, ერთმანეთისგან შემდეგით განსხვავდებიან: II ფორმაში (₽... ₽) პროცესის განახლება, კვლავწარმოების პროცესი, გამოსახულია როგორც ნამდვილი, I ფორმაში კი — მხოლოდ როგორც შესაძლებელი. მაგრამ ორივე ეს ფორმა განირჩევა III ფორმისგან იმით, რომ ავანსებული კაპიტალღირებულება — ფულის სახით არის იგი ავანსებული თუ წარმოების ნივთიერი ელემენტების სახით — შეადგენს ამოსავალ პუნქტს და, ამიტომ, უკუდაბრუნების პუნქტსაც. ფ...ფ′ უკუდაბრუნებაა ფ′ = ფ + ფ′. თუ წარმოების პროცესი იმავე მასშტაბით განახლდება, — ფ ისევ ამოსავალ პუნქტს შეადგენს და ფ′ მასში არ შედის, არამედ მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ფ განიცადა ღირებულების თვითზრდა როგორც კაპიტალმა და ამიტომ ზედმეტი ღირებულება ფ წარმოშვა, მაგრამ იგი თავიდან მოიშორა. ₽...₽ ფორმაში ასევე ამოსავალ პუნქტს შეადგენს წარმოების ელემენტების — ₽ — ფორმაში ავანსებული კაპიტალღირებულება. ეს ფორმა შეიცავს კაპიტალღირებულების ზრდასაც. თუ მარტივ კვლავწარმოებას აქვს ადგილი, — იგივე კაპიტალღირებულება ხელახლა იწყებს თავის პროცესს იმავე ₽ ფორმაში. თუ დაგროვებას აქვს ადგილი, — პროცესს იწყებს ₽′ (ღირებულების სიდიდის მხრივ = ₽′ = ს′) როგორც გაზრდილი კაპიტალღირებულება. მაგრამ პროცესი ხელახლა იწყება ავანსებული კაპიტალღირებულებით თავდაპირველ ფორმაში, თუმცა უფრო დიდი კაპიტალღირებულებით, ვიდრე უწინ. პირიქით III ფორმაში კაპიტალღირებულება პროცესს იწყებს არა როგორც ავანსებული, არამედ როგორც უკვე ღირებულებაგაზრდილი, როგორც საქონლის ფორმაში მყოფი მთელი სიმდიდრე, რომლის მხოლოდ განსაზღვრულ ნაწილს შეადგენს ავანსებული კაპიტალ-

ღირებულება. უკანასკნელი ფორმა მნიშვნელოვანია მესამე განყოფილებისათვის, სადაც ცალკეული კაპიტალების მოძრაობა აღებულია საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებით. მაგრამ ამ ფორმით სარგებლობა არ შეიძლება, როდესაც ვიკვლევთ კაპიტალის გადაბრუნებას, რომელიც ყოველთვის იწყება კაპიტალღირებულების ავანსად გაღებით ან ფულის ფორმაში, ან საქონლის ფორმაში, და ყოველთვის განაპირობებს მიმოქცეული კაპიტალღირებულების უკუდაბრუნებას იმავე ფორმით, რომლითაც იგი ავანსებული იყო. I და II წრებრუნვიდან პირველით უნდა ვისარგებლოთ, თუ ყურადღებას მივაქცევთ უმთავრესად იმ გავლენას, რასაც გადაბრუნება ახდენს ზედმეტი ღირებულების წარმოქმნაზე, მეორეთი, როდესაც საკითხი ეხება გადაბრუნების გავლენას პროდუქტის წარმოქმნაზე.

ეკონომისტები ნაკლებად გამიჯნავდნენ ერთიმეორისგან წრებრუნვის სხვადასხვა ფორმებს, და ასევე ნაკლებად განიხილავდნენ ამ ფორმებს განცალკევებულად მათს მიმართებაში კაპიტალის გადაბრუნებასთან. ჩვეულებრივ იღებენ ფორმას ფ...ფ′, იმიტომ რომ იგი ბატონობს ცალკეულ კაპიტალისტზე და მას ემსახურება გაანგარიშებაში, თუნდაც რომ ფული მხოლოდ საანგარიშო ფულის სახით შეადგენდეს ამოსავალ პუნქტს. სხვები ამოსავალ პუნქტად იღებენ წარმოების ელემენტების სახით დახარჯვას და მოძრაობას იმ მომენტამდე განიხილავენ, როდესაც უკუდაბრუნება ხდება; ამასთან კრინტს არ სძრავენ ამ უკუდაბრუნების ფორმის შესახებ, ფულის სახით ხდება იგი თუ საქონლის სახით. მაგალითად: «ეკონომიური ციკლი,... ე. ი. წარმოების მთელი მსვლელობა, იმ დროიდან დაწყებული, როდესაც ადგილი აქვს დახარჯვას, იმ მომენტამდე, როდესაც უკუდაბრუნება ხდება. მიწათმოქმედებაში თესვის დრო ეკონომიური ციკლის დასაწყისია და მოსავლის აკრეფა— მისი დასასრული» («Economic Cycle... the whole course of production, from the time that outlays are made till returns are received. In agriculture seedtime is its commencement, and harvesting its ending». — S. P. Newman: «Elements of Pol. Econ». Andover and New York, გვ. 81). სხვები იწყებენ ს′-ით (III ფორმით): «შეიძლება ჩავთვალოთ, რომ წარმოებითი ურთიერთობის სამყარო მოძრაობს წრეში, რომელსაც ეკონომიურ ციკლს ვუწოდებთ და რომელშიც თვითეული მისი ბრუნვა მთავრდება როგორც კი საწარმო, თავისი ოპერაციების თანმიმდევრობითი რიგის შესრულების შემდეგ, ხელახლა უბრუნდება იმ პუნქტს, საიდანაც იგი დაიწყო. დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს ის პუნქტი, როდესაც კაპიტალისტი მიიღებს ფულად შემოსავალს, რომლის მეოხებით მას უკან უბრუნდება მისი კაპიტალი; ამ პუნქტი-

დან კაპიტალისტი ისევ იმაზე გადადის, რომ მოკრიბოს მუშები და გაუნაწილოს მათ ხელფასის სახით მათი საარსებო საშუალებანი ანუ, უფრო სწორად, ძალა ამ საშუალებათა მოსაპოვებლად; მიიღოს მათგან დამზადებული საგნები, რომელთა წარმოებას იგი ეწევა; გაიტანოს საგნები ბაზარზე და იქ დაამთავროს ამ მთელ რიგ მოძრაობათა წრებრუნვა მით, რომ გაყიდოს ეს საგნები და ამონაგებში მთელი თავისი კაპიტალის დანაბარჯის ანაზღაურება მიიღოს» (Th. Chalmers: «On Pol. Econ», მე-2 გამ. London 1832, გვ. 84 და შემ.).

როგორც კი ერთობლივი კაპიტალღირებულება, რომელიც ინდივიდუალურმა კაპიტალისტმა წარმოების ამა თუ იმ დარგში დააბანდა, თავისი მოძრაობის წრებრუნვას შეასრულებს, იგი ხელახლა აღმოჩნდება თავის თავდაპირველ ფორმაში და მას შეუძლია ახლა იგივე პროცესი გაიმეოროს. რათა ღირებულება გამარადისდეს და გაიზარდოს როგორც კაპიტალღირებულება, მან უნდა გაიმეოროს ხოლმე ეს წრებრუნვა. კაპიტალის სიცოცხლეში ცალკეული წრებრუნვა შეადგენს მხოლოდ ერთ მონაკვეთს, რომელიც მუდამ მეორდება, მაშასადამე, შეადგენს ერთ პერიოდს. Ф...Ф′ პერიოდის დასასრულს კაპიტალი კვლავ ფულადი კაპიტალის ფორმაში იმყოფება და ეს უკანასკნელი კაპიტალი ხელახლა გაივლის მთელ რიგ ფორმათა გარდაქმნას, რომელიც შეიცავს აგრეთვე მისი კვლავწარმოების ანუ ღირებულების ზრდის პროცესს. Ф...Ф პერიოდის დასასრულს კაპიტალი კვლავ იმყოფება წარმოების ელემენტების ფორმაში, რომელნიც მისი წრებრუნვის განახლების წანამძღვარს შეადგენენ. კაპიტალის წრებრუნვას, რომელიც განსაზღვრულია არა როგორც განცალკევებული აქტი, არამედ როგორც პერიოდული პროცესი, ეწოდება კაპიტალის გადაბრუნება. ამ გადაბრუნების ხანგრძლიობას განსაზღვრავს კაპიტალის წარმოების დროისა და მისი მიმოქცევის დროის ჯამი. დროის ეს ჯამი შეადგენს კაპიტალის გადაბრუნების დროს. მაშასადამე, იგი მოიცავს შუალედ დროს ერთობლივი კაპიტალღირებულების წრებრუნვის ერთ პერიოდსა და მეორე პერიოდს შორის; იგი აღნიშნავს პერიოდულობას კაპიტალის სიცოცხლის პროცესში, ანუ, თუ გნებავთ, ერთი და იმავე კაპიტალღირებულების ზრდის პროცესის ანუ წარმოების პროცესის განახლების, განმეორების დროს.

თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ინდივიდუალურ შემთხვევებს, რომელთაც შეუძლიათ ცალკეული კაპიტალისათვის დააჩქარონ ან შეამოკლონ გადაბრუნების დრო, კაპიტალების ეს გადაბრუნების დრო სხვადასხვაგვარია მათი დაბანდების სხვადასხვა სფეროების მიხედვით.

როგორც სამუშაო ძალის ფუნქციისათვის ბუნებრივ საზომ ერთეულს სამუშაო დღე შეადგენს, ასევე პროცესში მყოფი კაპიტალის გადაბრუნების ბუნებრივ საზომ ერთეულს წელიწადი შეადგენს. ამ საზომი ერთეულის ბუნებრივ ბაზისს ის გარემოება წარმოადგენს, რომ ზომიერ ზონაში, რომელიც კაპიტალისტური წარმოების სამშობლოა, მიწის უმნიშვნელოვანესი ნაყოფი წლიურ პროდუქტს შეადგენს.

თუ წელიწადს, როგორც გადაბრუნების დროის საზომ ერთეულს, აღვნიშნავთ g-ით, განსაზღვრული კაპიტალის გადაბრუნების დროს— g-ით, მისი გადაბრუნების რიცხვს — n-ით, მაშინ $n = \frac{g}{g}$, მაშასადამე, თუ, მაგალითად, g გადაბრუნების დრო 3 თვეს შეადგენს, მაშინ $n = \frac{12}{3} = 4$: კაპიტალი ასრულებს 4 გადაბრუნებას წელიწადში, ანუ გადაბრუნდება ოთხჯერ. თუ $g = 18$ თვეს, მაშინ $n = \frac{12}{18} = \frac{2}{3}$, ანუ კაპიტალი გაივლის წელიწადში თავისი გადაბრუნების დროის მხოლოდ $\frac{2}{3}$-ს. თუ მისი გადაბრუნების დრო რამდენიმე წელიწადს შეადგენს, მაშინ იგი, მაშასადამე, გამოიანგარიშება რამდენჯერმე აღებული ერთი წელიწადით.

კაპიტალისტისთვის მისი კაპიტალის გადაბრუნების დრო ის დროა, რომლის განმავლობაში მას ავანსებული უნდა ჰქონდეს თავისი კაპიტალი იმ მიზნით, რომ იგი გაიზარდოს ღირებულების მხრივ და თავდაპირველი ფორმით უკანვე დაუბრუნდეს მას.

ვიდრე ჩვენ იმ გავლენის უფრო ახლო გამოკვლევაზე გადავიდოდეთ, რასაც გადაბრუნება ახდენს წარმოების პროცესსა და ღირებულების ზრდის პროცესზე, საჭიროა განვიხილოთ ორი ახალი ფორმა, რომელიც კაპიტალს წარმოუდგება მიმოქცევის პროცესიდან და ზემოქმედებას ახდენს მისი გადაბრუნების ფორმაზე.

თავი მერვე

ძირითადი კაპიტალი და საბრუნავი კაპიტალი

1. ფორმის განსხვავებები

I წიგნის VI თავში ჩვენ დავინახეთ, რომ მუდმივი კაპიტალის ნაწილი ინარჩუნებს განსაზღვრულ სახმარ ფორმას, რომლითაც იგი შედის წარმოების პროცესში და ინარჩუნებს მას იმ პროდუქტთა მიმართ, რომელთა შექმნას იგი ხელს უწყობს. ამრიგად, მეტნაკლებ გრძელი პერიოდის განმავლობაში, მუდამ განმეორებულ შრომის პროცესებში, მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი ყოველთვის ასრულებს ისევ ერთსა და იმავე ფუნქციებს. ასეთია, მაგალითად, სამუშაო ნაგებობანი, მანქანები და სხვ., მოკლედ, — ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაერთებთ შ რ ო მ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა სახელწოდებით. მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი პროდუქტს თავის ღირებულებას იმ ოდენობით გადასცემს, რა ოდენობითაც იგი თავის საკუთარ სახმარ ღირებულებასთან ერთად თავის საკუთარ საცვლელ ღირებულებას კარგავს. ღირებულების ეს გადაცემა, ანუ წარმოების ასეთ საშუალებათა ღირებულების გადასვლა პროდუქტზე, რომლის შექმნაში ისინი მონაწილეობენ, განისაზღვრება საშუალო გამოანგარიშების საფუძველზე; იგი გაიზომება წარმოების საშუალების მოქმედების საშუალო ხანგრძლიობით, რომელიც მოიცავს დროს იმ მომენტიდან, როდესაც იგი პროცესში შედის, იმ მომენტამდე, როდესაც სრულიად ცვდება, კვდება და აუცილებელია ამგვარივე ახალი ეგზემპლარებით მისი შენაცვლება ანუ კვლავწარმოება.

ამრიგად, მუდმივი კაპიტალის ამ ნაწილის — საკუთრივ შრომის საშუალებათა — თავისებურება მდგომარეობს შემდეგში:

კაპიტალის ნაწილი ავანსად გაიღება მუდმივი კაპიტალის ფორმით, ე. ი. წარმოების საშუალებათა ფორმით, რომელნიც მოქმედებენ როგორც შრომის პროცესის ფაქტორები, ვიდრე ისინი ინარჩუნებენ იმ დამოუკიდებელი სახმარი ღირებულების ფორმას, რომლითაც შრომის პროცესში შედიან. მზა პროდუქტი და, მაშასადამე, პროდუქტის შემქმნელი ფაქტორებიც, რამდენადაც ისინი პროდუქტად არიან გადაქცეული, — წარმოების პროცესს გამოეცლება, რათა წარმოების სფეროდან მიმოქცევის სფეროში გადავიდეს საქონლის სახით. პირიქით, შრომის საშუალებანი, რაკი ერთხელვე შევლენ წარმოების სფეროში, არასოდეს არ ტოვებენ მას. მათი ფუნქცია მჭიდროდ აკავშირებს მათ წარმოების სფეროსთან. ავანსებული კაპიტალღირებულების ნაწილი ფიქსირდება ამ ფორმაში, რომელიც განისაზღვრება შრომის საშუალებათა ფუნქციით წარმოების პროცესში. შრომის საშუალების მოქმედებასა და აქედან გამომდინარე მის გაცვეთასთან ერთად მისი ღირებულების ერთი ნაწილი გადადის პროდუქტზე, მეორე ნაწილი კი ფიქსირებული რჩება შრომის საშუალებაში და, მაშასადამე, წარმოების პროცესში. ასე ფიქსირებული ღირებულება მუდამ კლებულობს. ვიდრე შრომის საშუალება თავის სამსახურს არ დაამთავრებს და, მაშასადამე, მისი ღირებულება მეტნაკლებ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ განაწილდება იმ პროდუქტთა მასაზე, რომელნიც მთელი რიგი მუდამ განმეორებული შრომითი პროცესებიდან გამომდინარეობენ. მაგრამ ვიდრე შრომის საშუალება მოქმედებს როგორც შრომის საშუალება, მაშასადამე, ვიდრე იგი შესანაცვლებელი არაა იმგვარივე ახალი ეგზემპლარით, — მუდმივი კაპიტალის ღირებულება მუდამ რჩება მასში ფიქსირებული, მაშინ როდესაც შრომის საშუალებაში თავდაპირველად ფიქსირებული ღირებულების მეორე ნაწილი პროდუქტზე გადადის და ამიტომ მიმოქცევა როგორც საქონლის მარაგის შემადგენელი ნაწილი. რაც უფრო დიდხანს ძლებს შრომის საშუალება, რაც უფრო ნელა ცვდება იგი, მით უფრო დიდხანს რჩება მუდმივი კაპიტალის ღირებულება ფიქსირებული ამ სახმარ ფორმაში. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს შრომის საშუალების გამძლეობის უნარი, ის პროპორცია, რომლითაც ეს საშუალება გადასცემს თავის ღირებულებას, ყოველთვის შებრუნებულ შეფარდებაშია მისი მოქმედების საერთო ხანგრძლიობასთან. თუ ერთნაირი ღირებულების ორი მანქანიდან ერთი ხუთ წელიწადში ცვდება და მეორე ათ წელიწადში, მაშინ თანატოლი პერიოდის განმავლობაში პირველი ორჯერ მეტ ღირებულებას გადასცემს, ვიდრე მეორე.

შრომის საშუალებაში ფიქსირებული კაპიტალღირებულების ეს ნაწილი ისევე მიმოიქცევა, როგორც ყოველი სხვა ნაწილი. ჩვენ საერთოდ დავინახეთ, რომ მთელი კაპიტალღირებულება მუდმივ მიმოქცევაში იმყოფება და ამიტომ მთელი კაპიტალი, ამ აზრით, საბრუნავ კაპიტალს წარმოადგენს. მაგრამ კაპიტალის აქ განხილული ნაწილის მიმოქცევა, თავისებურია. ჯერ ერთი, იგი თავის სახმარ ფორმაში არ მიმოიქცევა, მიმოიქცევა მხოლოდ მისი ღირებულება, თანაც მიმოქცევაში შედის მხოლოდ თანდათანობით ნაწილ-ნაწილ, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გადადის იგი კაპიტალის განსახილველი ნაწილიდან პროდუქტზე, რომელიც მიმოიქცევა როგორც საქონელი. ამ ნაწილის მოქმედების მთელი დროის განმავლობაში მისი ღირებულების გარკვეული წილი რჩება ყოველთვის მასში ფიქსირებული, ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას იმ საქონელთა მიმართ, რომელთა წარმოებას იგი ეხმარება. ამ თავისებურების მეოხებით მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი იძენს ძ ი რ ი თ ა დ ი [fixes] კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ფორმას. მის საპირისპიროდ, წარმოების პროცესში ავანსებული კაპიტალის ყველა სხვა ნივთიერი შემადგენელი ნაწილი შეადგენს ს ა ბ რ უ ნ ა ვ ანუ დ ე ნ ა დ კ ა პ ი ტ ა ლ ს [zirkulierendes oder flüssiges Kapital].

წარმოების საშუალებათა ნაწილი — სახელდობრ ისეთი დამხმარე მასალა, რომელიც თვით შრომის საშუალების მიერ მოიხმარება ამ უკანასკნელის მოქმედების დროს, როგორც, მაგალითად, ნახშირი ორთქლის მანქანის მიერ, ან რომელიც მხოლოდ ხელს უწყობს პროცესს, როგორც, მაგალითად, სანათი გაზი და სხვ., — წარმოების საშუალებათა ეს ნაწილი ნივთობრივად არ შედის პროდუქტში. მხოლოდ მისი ღირებულება შეადგენს პროდუქტის ღირებულების ნაწილს. პროდუქტის საკუთარ მიმოქცევასთან ერთად მიმოიქცევა წარმოების ასეთ საშუალებათა ღირებულებაც. ეს თავისებურება მათ საერთო აქვთ ძირითად კაპიტალთან. მაგრამ შრომის ყოველ პროცესში, რომელშიც ისინი შედიან, მათი მოხმარება მთლიანად ხდება და, მაშასადამე, შრომის ყოველი ახალი პროცესისათვის იმგვარივე ახალი ეგზემპლარებით უნდა მოხდეს მათი შენაცვლება მთლიანად. თავიანთი მოქმედების დროს ისინი არ ინარჩუნებენ თავიანთ დამოუკიდებელ სახმარ ფორმას. ამრიგად, მათი მოქმედების დროს კაპიტალღირებულების არც ერთი ნაწილი არ რჩება ფიქსირებული წარმოების ამ საშუალებათა წინანდელი სახმარი სახით, მათს ნატურალურ ფორმაში. იმ გარემოებამ, რომ დამხმარე მასალის ეს ნაწილი ნივთობრივად კი არ შედის პროდუქტში, არამედ მხოლოდ თავისი ღირებულების მიხედვით შედის როგორც ღირებულების ნაწილი პროდუქტის ღირებულებაში,

და რომ ამის გამო ასეთი მასალის მოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმოების სფეროსთან, — ამ გარემოებამ ზოგიერთი ეკონომისტი, მაგალითად, რამსეი, იქამდე მიიყვანა, რომ მათ (ერთმანეთში აურიეს რა ამავე დროს ძირითადი და მუდმივი კაპიტალი) ეს დამხმარე მასალა ძირითადი კაპიტალის კატეგორიას მიაკუთვნეს.

წარმოების საშუალებათა ის ნაწილი, რომელიც ნივთიერების სახით შედის პროდუქტში, მაშასადამე, ნედლეული და სხვ., ამის გამო ნაწილობრივ ისეთ ფორმებს იძენს, რომლებითაც მას შეუძლია შემდგომ მოხმარების საშუალებათა სახით შევიდეს ინდივიდუალურ მოხმარებაში. საკუთრივ შრომის საშუალებანი, ძირითადი კაპიტალის ნივთიერი მატარებელნი, მხოლოდ მწარმოებლურად მოიხმარება და არ შეიძლება შევიდეს ინდივიდუალურ მოხმარებაში, იმიტომ რომ არ შედის პროდუქტში ანუ იმ სახმარ ღირებულებაში, რომლის წარმოქმნასაც ხელს უწყობს, და პირიქით, ვიდრე მთლად არ გაცვდება, მის მიმართ თავის დამოუკიდებელ ფორმას ინარჩუნებს. გამონაკლისს შეადგენენ ტრანსპორტის საშუალებანი. სასარგებლო ეფექტი, რომელსაც ისინი იძლევიან თავიანთი მწარმოებლური მოქმედების დროს, მაშასადამე, წარმოების სფეროში ყოფნის დროს, ე. ი. გადაადგილება, შედის იმავდროულად — მაგალითად, მგზავრის — ინდივიდუალურ მოხმარებაში. ამ შემთხვევაში მგზავრი ისევე იხდის საფასურს მოხმარებისათვის, როგორც მოხმარების სხვა საშუალებათა გამოყენებისათვის. ჩვენ დავინახეთ, რომ ნედლი მასალა და დამხმარე მასალა ერთიმეორეს შეერწყმება — მაგალითად, ქიმიურ მრეწველობაში. ასევეა შრომის საშუალების, დამხმარე მასალისა და ნედლი მასალის მიმართაც. ასე, მაგალითად, მიწათმოქმედებაში ის ნივთიერებანი, რომლებიც ნიადაგის მელიორაციის მიზნითაა შეტანილი, ნაწილობრივ შედიან მცენარეულ პროდუქტში როგორც პროდუქტის წარმომქმნელი ფაქტორები. მეორე მხრივ, მათი მოქმედება განაწილდება ხანგრძლივ პერიოდზე, მაგალითად, 4 — 5 წელიწადზე. ამიტომ მათი ერთი ნაწილი ნივთიერების სახით შედის პროდუქტში და ამით იმავე დროს პროდუქტზე გადააქვს თავისი ღირებულება, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი თავისი ძველი სახმარი ფორმით რჩება და თავისი ღირებულების ფიქსირებასაც ამ ფორმაში ახდენს. იგი წინანდებურად განაგრძობს არსებობას წარმოების საშუალებათა სახით და ამიტომ ძირითადი კაპიტალის ფორმას ინარჩუნებს. მუშა პირუტყვის სახით ხარი ძირითად კაპიტალს წარმოადგენს. მაგრამ თუ იგი საჭმელად მოიხმარება, მაშინ ის უკვე აღარ მოქმედებს როგორც შრომის საშუალება, მაშასადამე, აღარ მოქმედებს როგორც ძირითადი კაპიტალი.

ის, რაც წარმოების საშუალებებზე დახარჯული კაპიტალღირებულების ნაწილს ძირითადი კაპიტალის ხასიათს ანიჭებს, მხოლოდ და მხოლოდ მისი ღირებულების მიმოქცევის თავისებური წესია. მიმოქცევის ეს განსაკუთრებული წესი გამომდინარეობს იმ განსაკუთრებული წესიდან, რომლითაც შრომის საშუალება გადასცემს პროდუქტს თავის ღირებულებას, ანუ იმ განსაკუთრებული როლიდან, რომელსაც წარმოების პროცესის დროს ასრულებს შრომის საშუალება როგორც ღირებულების შემქმნელი ფაქტორი. ხოლო ეს წესი, თავის მხრივ, თვითონ გამომდინარეობს შრომის სხვადასხვა საშუალების თავისებური მოქმედებიდან შრომის პროცესში.

ცნობილია, რომ ერთი და იგივე სახმარი ღირებულება შრომის ერთი პროცესიდან გამოდის პროდუქტის სახით, მეორეში კი შედის წარმოების საშუალების სახით. ამა თუ იმ პროდუქტს ძირითად კაპიტალად აქცევს მხოლოდ ის, რომ იგი შრომის საშუალების სახით მოქმედებს. პირიქით, რამდენადაც თვით ეს პროდუქტი ეს-არის პროცესიდან გამოდის, ამდენად იგი სრულიადაც არ წარმოადგენს ძირითად კაპიტალს. მაგალითად, მანქანა, როგორც მანქანათმშენებელი მეფაბრიკის პროდუქტი ან საქონელი, მის საქონლურ კაპიტალს ეკუთვნის. ძირითად კაპიტალად იგი გადაიქცევა მხოლოდ მყიდველის, კაპიტალისტის ხელში, რომელიც მას მწარმოებლურად გამოიყენებს.

ყველა სხვა გარემოების უცვლელობისას, ძირითადი კაპიტალის ფიქსაციის ხარისხი იზრდება შრომის საშუალების მოქმედების ხანგრძლიობასთან ერთად. სახელდობრ ამ ხანგრძლიობაზეა დამოკიდებული სიდიდე სხვაობისა შრომის საშუალებებში ფიქსირებულ კაპიტალღირებულებასა და ამ ღირებულების იმ ნაწილს შორის, რომელიც განმეორებულ შრომის პროცესებში გადაეცემა პროდუქტს. რაც უფრო ნელა ხდება ღირებულების ეს გადაცემა, — შრომის საშუალებიდან კი ღირებულება გადაიცემა ერთი და იმავე შრომითი პროცესის ყოველი განმეორებისას, — მით უფრო დიდია ფიქსირებული კაპიტალი, მით უფრო დიდია სხვაობა წარმოების პროცესში გამოყენებულ კაპიტალსა და მასში მოხმარებულ კაპიტალს შორის. როდესაც ეს სხვაობა ქრება, ეს იმას ნიშნავს, რომ შრომის საშუალებამ თავისი დრო მოჭამა და თავის სახმარ ღირებულებასთან ერთად ღირებულებაც დაკარგა. იგი აღარაა ღირებულების მატარებელი. რადგან შრომის საშუალება, მუდმივი კაპიტალის ყოველი სხვა ნივთიერი მატარებლის მსგავსად, პროდუქტს გადასცემს თავის ღირებულებას იმ ოდენობით, რა ოდენობითაც იგი თავის სახმარ ღირებულებასთან ერთად თავის ღირებულებასაც კარგავს, ამიტომ ცხადია, რომ, რაც უფრო ნელა იკარგება

მისი სახმარი ღირებულება, რაც უფრო დიდხანს ძლებს იგი წარმოების პროცესში, მით უფრო გრძელია პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მუდმივი კაპიტალის ღირებულება მასში ფიქსირებული რჩება.

თუ წარმოების საშუალებას, — რომელიც არ წარმოადგენს შრომის საშუალებას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მაგალითად, დამხმარე მასალა, ნედლეული, ნახევარფაბრიკატი და სხვ.,—ღირებულების გადაცემის მხრივ და, ამიტომ, თავისი ღირებულების მიმოქცევის წესის მარივ ისეთივე მდგომარეობა უკავია, როგორც შრომის საშუალებას, მაშინ იგი აგრეთვე ძირითადი კაპიტალის ნივთიერი მატარებელია, მისი არსებობის ფორმაა. ასეთია ნიადაგის უკვე მოხსენიებული ნიადაგის გაუმჯობესების შემთხვევა, როცა ნიადაგში შეაქვთ ქიმიური შემადგენელი ნაწილები, რომელთა მოქმედება წარმოების მრავალ პერიოდზე ან მრავალ წელიწადზე ვრცელდება. აქ ღირებულების ერთი ნაწილი განაგრძობს პროდუქტის გვერდით არსებობას თავისი დამოუკიდებელი სახით ანუ ძირითადი კაპიტალის სახით, მაშინ როდესაც ღირებულების მეორე ნაწილი პროდუქტზეა გადატანილი და ამიტომ მასთან ერთად მიმოიქცევა. ამ შემთხვევაში პროდუქტში შედის არა მხოლოდ ძირითადი კაპიტალის ღირებულების ნაწილი, არამედ ის სახმარი ღირებულებაც, ის სუბსტანციაც, რომელშიაც ღირებულების ეს ნაწილი არსებობს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ მთავარ შეცდომას — ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის კატეგორიების არევას მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის კატეგორიებში,—არევ-დარევა სხვა ცნებათა განსაზღვრაში, რასაც დღემდე ეკონომისტებთან ვხვდებით, დამყარებულია უწინარეს ყოვლისა შემდეგ გარემოებაზე.

განსაზღვრულ თვისებებს, რომლებიც შრომის საშუალებებს ნატურალური ფორმით გააჩნიათ, ისინი აქცევენ ძირითადი კაპიტალის უშუალო თვისებებად. ასეთია, მაგალითად, ფიზიკური უძრაობა ვთქვათ, სახლისა. მაგრამ ყოველთვის ადვილია იმის დამტკიცება, რომ შრომის სხვა საშუალებებს, რომელნიც როგორც ასეთები აგრეთვე ძირითად კაპიტალს წარმოადგენენ, საწინააღმდეგო თვისება აქვთ, — მაგალითად, ფიზიკური ძვრადობა, ვთქვათ, გემისა.

ან ეკონომიურ ფორმაგანსაზღვრულობას, რომელიც ღირებულების მიმოქცევიდან გამომდინარეობს, ისინი ურევენ ნივთისათვის დამახასიათებელ თვისებაში: თითქოს ნივთები, რომელნიც თავისდათავად საერთოდ კაპიტალს კი არ შეადგენენ, არამედ მხოლოდ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში იქცევიან ასეთად, შეიძლება უკვე თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ და თავისი ბუნებით წარმოადგენდნენ კაპიტალს ამა

თუ იმ განსაზღვრული, ძირითადი თუ საბრუნავი ფორმით. I წიგნის V თავში ჩვენ დავინახეთ, რომ წარმოების საშუალებანი შრომის ყოველ პროცესში, რაგვარ საზოგადოებრივ პირობებშიც უნდა მიმდინარეობდეს ეს პროცესი, ყოველთვის დაიყოფა შრომის საშუალებად და შრომის საგნად. მაგრამ, როგორც ეს წინა განყოფილებაში გავარკვიეთ, შრომის საშუალებაც და შრომის საგანიც მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობისას იქცევა კაპიტალად, თანაც — «მწარმოებლურ კაპიტალად». ამასთან შრომის საშუალებისა და შრომის საგნის განსხვავება, რომელიც შრომის პროცესის ბუნებიდან გამომდინარეობს, აისახება ახალ ფორმაში, — ძირითადი კაპიტალისა და საბრუნავი კაპიტალის განსხვავების ფორმაში. მხოლოდ ამ მომენტიდან იქცევა ძირითად კაპიტალად ნივთი, რომელიც შრომის საშუალების სახით მოქმედებს. თუ მას მისი ნივთიერი თვისებების მიხედვით შეუძლია შრომის საშუალების ფუნქციის გარდა სხვა ფუნქციაც შეასრულოს, მაშინ იგი, თავისი ფუნქციის სხვადასხვაობის მიხედვით, ან არის ძირითადი კაპიტალი და ან არ არის. პირუტყვი მუშა პირუტყვის სახით ძირითადი კაპიტალია, საკლავად ნასუქი პირუტყვი კი ნედლი მასალაა, რომელიც ბოლოს და ბოლოს მიმოქცევაში შედის პროდუქტის სახით, — მაშასადამე, ის არის არა ძირითადი, არამედ — საბრუნავი კაპიტალი.

მარტო ის მდგომარეობა, რომ წარმოების ესა თუ ის საშუალება მეტნაკლებ ხანგრძლივი დროით ფიქსირებულია შრომის განმეორებითს პროცესებში, რომელნიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, განუწყვეტლივ მიმდინარეობენ და, მაშასადამე, შეადგენენ წარმოების პერიოდს, — ე. ი. წარმოების მთელ დროს, რომელიც საჭიროა პროდუქტის დასამზადებლად, — ეს მდგომარეობა, ძირითადი კაპიტალის მსგავსად, მოითხოვს კაპიტალისტისაგან მეტნაკლებ ხანგრძლივი ვადით ავანსის გაღებას, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ვერ ხდის მისი კაპიტალის შესაბამის ნაწილს ძირითად კაპიტალად. თესლი, მაგალითად, ძირითადი კაპიტალი არაა; იგი მხოლოდ ნედლი მასალაა, რომელიც თითქმის მთელი წლითაა ფიქსირებული წარმოების პროცესში. ყოველი კაპიტალი, ვიდრე იგი მოქმედებს როგორც მწარმოებლური კაპიტალი, ფიქსირებულია წარმოების პროცესში, მაშასადამე, ამ პროცესში ფიქსირებულია მწარმოებლური კაპიტალის ყველა ელემენტიც, როგორიც უნდა იყოს ამ უკანასკნელთა ნატურალური ფორმა, მათი ფუნქცია და მათი ღირებულების მიმოქცევის წესი. ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავება არ წარმოდგება იქიდან, თუ რამდენად მეტი თუ ნაკლები დროის განმავლობაში იყო ფიქსირებული იგი

წარმოების პროცესის სახის ან მიზნად დასახული სასარგებლო ეფექტის მიხედვით[20].

შრომის საშუალებათა ნაწილი, რომელშიც შრომის საერთო პირობებიც შედის, ან მაშინ მიემაგრება განსაზღვრულ ადგილს, როდესაც იგი შრომის საშუალების სახით წარმოების პროცესში შედის, ან მაშინ, როდესაც ემზადება მწარმოებლური ფუნქციისათვის, როგორც, მაგალითად, მანქანები. ანდა შრომის საშუალებათა ნაწილი იმთავითვე იწარმოება ასეთ უმოძრაო, ადგილთან დაკავშირებულ ფორმაში, როგორც. მაგალითად, ნიადაგის მელიორაცია, ფაბრიკის შენობები, ბრძმედები, არხები, რკინიგზები და სხვ. შრომის საშუალების მუდმივი მიმაგრებულობა წარმოების პროცესთან, რომელშიც იგი უნდა მოქმედებდეს, აქ გაპირობებულია ამასთანავე მისი არსებობის ფიზიკური წესით. მეორე მხრივ, შრომის საშუალება შესაძლებელია მუდამ იცვლიდეს ადგილს ფიზიკურად, მოძრაობდეს, და, მიუხედავად ამისა, მაინც მუდამ წარმოების პროცესში იმყოფებოდეს, როგორც, მაგალითად, ორთქლმავალი, გემი, მუშა პირუტყვი და სხვ. არც უმოძრაობა აძლევს შრომის საშუალებას, პირველ შემთხვევაში, ძირითადი კაპიტალის ხასიათს და არც მოძრაობა ართმევს მას, მეორე შემთხვევაში, ამ ხასიათს. მაგრამ ის გარემოება, რომ შრომის საშუალებანი ადგილობრივადაა მიმაგრებული, მიწაშია ფესვებგადგმული, ძირითადი კაპიტალის ამ ნაწილს არგუნებს განსაკუთრებულ როლს ერთა ეკონომიაში. არ შეიძლება მათი გაგზავნა საზღვარგარეთ. შეუძლებელია მათი მიმოქცევა საქონლის სახით მსოფლიო ბაზარზე. ამ ძირითად კაპიტალზე საკუთრების ტიტულები შეიძლება იცვლებოდეს, შესაძლებელია ამ კაპიტალის ყიდვა და გაყიდვა წარმოებდეს და ამდენადვე იგი იდეალურად მიმოიქცეოდეს. საკუთრების ეს ტიტულები უცხო ბაზრებზედაც კი შეიძლება მიმოიქცეოდეს, მაგალითად, აქციების ფორმით. მაგრამ იმ პირთა ცვალებადობის გამო, რომელნიც ამგვარი ძირითადი კაპიტალის მესაკუთრენი არიან, არ შეიცვლება ამა თუ იმ ქვეყნის სიმდიდრის უძრავი, მატერიალურად ფიქსირებული ნაწილის დამოკიდებულება იმავე სიმდიდრის მოძრავ ნაწილთან[21].

ძირითადი კაპიტალის მიმოქცევის თავისებურებიდან გამომდინარეობს გადაბრუნების თავისებურება. ღირებულების ის ნაწილი, რო-

---

[20] იმ სიძნელის გამო, რასაც ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსაზღვრა წარმოადგენს, ბატონი ლორენც შტაინი ფიქრობს, ეს განსხვავება მხოლოდ გადმოცემის უფრო გასაადვილებლად ხდებაო.

[21] აქამდე ხელნაწერი IV. — აქედან ხელნაწერი II.

მელსაც გაცვეთის გამო კარგავს ძირითადი კაპიტალი თავის ნატურალურ ფორმაში, მიმოიქცევა როგორც პროდუქტის ღირებულების ნაწილი. თავისი მიმოქცევის გზით პროდუქტი საქონლიდან ფულად გადაიქცევა; მაშასადამე, ფულად გადაიქცევა შრომის საშუალების ღირებულების ის ნაწილიც, რომელსაც პროდუქტი მიმოაქცევს, და ამასთან ღირებულების ეს ნაწილი წვეთს ფულის სახით მიმოქცევიდან იმ ზომით, რა ზომითაც შრომის ეს საშუალება წყვეტს მოქმედებას წარმოების პროცესში როგორც ღირებულების მატარებელი. მაშასადამე, შრომის ამ საშუალების ღირებულება ახლა ორგვარ არსებობას იძენს. მისი ერთი ნაწილი დაკავშირებული რჩება შრომის საშუალების სახმარ ანუ ნატურალურ ფორმასთან, რომელიც წარმოების პროცესს ეკუთვნის, ხოლო მეორე ნაწილი სცილდება მას ფულის სახით. თავისი მოქმედების მსვლელობაში შრომის საშუალების ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ნატურალურ ფორმაში არსებობს, მუდამ კლებულობს, მაშინ როდესაც ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ფულად ფორმადაა გადაქცეული, მუდამ მატულობს, ვიდრე, ბოლოს, შრომის საშუალება თავის დროს არ მოჭამს და მთელი მისი ღირებულება, შრომის საშუალების ლეშს მოცილებული, ფულად არ გადაიქცევა. აქ აშკარავდება მწარმოებლური კაპიტალის ამ ელემენტის გადაბრუნების თავისებურება. მისი ღირებულების ფულად გარდაქმნა ფეხდაფეხ მისდევს იმ საქონლის ფულად გარდაქმნას, რომელიც მისი ღირებულების მატარებელია. მაგრამ მისი უკუგარდაქმნა ფულადი ფორმიდან სახმარ ფორმად შორდება საქონლის უკუგარდაქმნას ამ უკანასკნელის წარმოების სხვა ელემენტებად და განისაზღვრება, პირიქით, თვით შრომის საშუალების კვლავწარმოების პერიოდით, ე. ი. იმ დროით, რომლის განმავლობაშიც შრომის საშუალება თავის დროს მოჭამს და საჭირო ხდება მისი შენაცვლება იმავე სახის სხვა ეგზემპლარით. თუ მოქმედების ხანგრძლიობა რომელიმე, ვთქვათ, 10 000 გირვ. სტერლინგად ღირებული მანქანისა, მაგალითად, 10 წელიწადია, მაშინ იმ ღირებულების გადაბრუნების დრო, რომელიც თავდაპირველად ამ მანქანისათვის იყო ავანსებული, 10 წელიწადს შეადგენს. ამ დროის გასვლამდე მანქანას არ სჭირდება განახლება, იგი განაგრძობს მოქმედებას თავის ნატურალურ ფორმაში. ამავე დროს მისი ღირებულება მიმოიქცევა ნაწილ-ნაწილ, როგორც იმ საქონელთა ღირებულების ნაწილი, რომელთა განუწყვეტელ წარმოებას მანქანა ემსახურება, და, ამრიგად, თანდათან გარდაიქმნება ფულად, სანამ, ბოლოს, 10 წლის შემდეგ, მთლად არ გადაიქცევა ფულად და ფულიდან ხელახლა არ ვარდაიქმნება მანქანად, მაშასადამე, არ დაასრულებს თავის გადაბრუნებას.

კვლავწარმოების ამ მომენტის დადგომამდე მანქანის ღირებულება ჯერ თანდათან ფულადი სარეზერვო ფონდის სახით გროვდება.

მწარმოებლური კაპიტალის დანარჩენი ელემენტები შედგება ნაწილობრივ მუდმივი კაპიტალის იმ ელემენტებისგან, რომლებიც დამხმარე მასალისა და ნედლეულის სახით არსებობს, ნაწილობრივ კი — სამუშაო ძალაზე დახარჯული ცვალებადი კაპიტალისგან.

შრომის პროცესისა და ღირებულების ზრდის პროცესის ანალიზმა (წიგნი I, თავი V) დაგვანახვა, რომ მწარმოებლური კაპიტალის ეს სხვადასხვა შემადგენელი ნაწილი სრულიად სხვადასხვა როლს ასრულებს პროდუქტისა და ღირებულების წარმოქმნაში. მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილის ღირებულება, რომელიც დამამარე მასალებისგან და ნედლეულისაგან შედგება, — მსგავსად მისი იმ ნაწილისა, რომელიც შრომის საშუალებებისგან შედგება, — ხელახლა გვევლინება პროდუქტის ღირებულებაში, როგორც მხოლოდ გადატანილი ღირებულება, მაშინ როდესაც სამუშაო ძალა შრომის პროცესის მეშვეობით პროდუქტს მატებს თავისი ღირებულების ეკვივალენტს ანუ ნამდვილად აკვლავწარმოებს თავის ღირებულებას. შემდეგ: დამხმარე მასალების ერთი ნაწილი — სათბობი ნახშირი, სანათი გაზი და სხვ. — შრომის პროცესში მოიხმარება ისე, რომ პროდუქტში არ შედის. ნივთობრივად, მაშინ როდესაც მათი მეორე ნაწილი სხეულებრივად შედის პროდუქტში და მისი სუბსტანციის მასალას შეადგენს. მაგრამ ყველა ამ განსხვავებას მიმოქცევისათვის და, მაშასადამე, გადაბრუნების წესისათვისაც მნიშვნელობა არა აქვს. რამდენადაც დამამარე მასალა და ნედლეული მთლიანად მოიხმარება გარკვეული პროდუქტის წარმოქმნაზე, ამდენად მათ მთელი თავიანთი ღირებულება გადააქვთ პროდუქტზე. ამიტომ ეს ღირებულება მთლიანად შედის მიმოქცევაში პროდუქტის მეოხებით, გარდაიქმნება ფულად და ფულიდან უკუგარდაიქმნება საქონლის წარმოების ელემენტებად. მისი გადაბრუნება არ შეწყდება, როგორც ძირითადი კაპიტალის გადაბრუნება, მაგრამ შეუწყვეტლად გაივლის მისი ფორმების მთელ წრებრუნვას, ასე რომ მწარმოებლური კაპიტალის ეს ელემენტები მუდამ განახლდება in natura.

რაც შეეხება მწარმოებლური კაპიტალის ცვალებად შემადგენელ ნაწილს, რომელიც სამუშაო ძალაზე იხარჯება, — ამ სამუშაო ძალას ყიდულობენ განსაზღვრული ვადით. როგორც კი მას კაპიტალისტი იყიდის და წარმოების პროცესში ჩართავს, იგი წარადგენს მისი კაპიტალის შემადგენელ ნაწილს, სახელდობრ — კაპიტალის ცვალებად შემადგენელ ნაწილს. ეს სამუშაო ძალა მოქმედებს ყოველდღე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და ამ დროის განმავლობაში იგი

პროდუქტს მატებს არა მხოლოდ მთელ თავის დღიურ ღირებულებას, არამედ გარკვეულ ნაჭარბ ზედმეტ ღირებულებასაც, რომელსაც ჩვენ აქ ჯერჯერობით მხედველობის გარეშე ვტოვებთ. მას შემდეგ, რაც სამუშაო ძალა ნაყიდია, მაგალითად, ერთი კვირისათვის და მან იმოქმედა ამ ხნის განმავლობაში, მისი ყიდვა ყოველთვის უნდა განახლდეს განსაზღვრულ ვადებში. მისი ღირებულების ის ეკვივალენტი, რომელსაც სამუშაო ძალა მატებს პროდუქტს თავისი მოქმედების განმავლობაში და რომელიც პროდუქტის მიმოქცევის მეოხებით ფულად გარდაიქმნება, უნდა ასრულებდეს უკუგარდაქმნას ფულიდან სამუშაო ძალად, ანუ მუდამ უნდა შემოხაზავდეს თავისი ფორმების სრულ წრებრუნვას, ე. ი. უნდა გადაბრუნდეს ხოლმე, რათა უწყვეტი წარმოების წრებრუნვა არ შეწყდეს.

მაშასადამე, მწარმოებლური კაპიტალის ღირებულების ნაწილი, რომელიც სამუშაო ძალაშია დაავანსებული, მთლიანად გადადის პროდუქტზე (ზედმეტ ღირებულებას ჩვენ აქ ყოველთვის მხედველობის გარეშე ვტოვებთ), გაივლის მასთან ერთად მიმოქცევის სფეროს კუთვნილ ორსავე მეტამორფოზს და ასეთი მუდმივი განახლების გამო მუდამ ჩართული რჩება წარმოების პროცესში. ამიტომ, რაგინდ განსხვავებულიც არ უნდა იყოს სამუშაო ძალა დანარჩენში, ღირებულების წარმოქმნის მხრივ, მუდმივი კაპიტალის იმ შემადგენელი ნაწილებისაგან, რომელნიც ძ ი რ ი თ ა დ კ ა პ ი ტ ა ლ ს ა რ შ ე ა დ გ ე ნ ე ნ, ძირითადი კაპიტალისაგან განსხვავებით ღირებულების გადაბრუნების ეს წესი სამუშაო ძალასა და ამ შემადგენელ ნაწილებს შორის საერთოა. გადაბრუნების ამ საერთო ხასიათის გამო მწარმოებლური კაპიტალის ეს შემადგენელი ნაწილები, — სახელდობრ, მისი სამუშაო ძალასა და წარმოების იმ საშუალებებზე დახარჯული ღირებულების ნაწილები, რომელნიც ძირითად კაპიტალს არ შეადგენენ, — უპირისპირდებიან ძირითად კაპიტალს როგორც ს ა ბ რ უ ნ ა ვ ი, ანუ დ ე ნ ა დ ი, კაპიტალი.

როგორც ჩვენ უწინ დავინახეთ, ის ფული, რასაც კაპიტალისტი სამუშაო ძალის ხმარებისათვის უხდის მუშას, სინამდვილეში წარმოადგენს მხოლოდ მუშის აუცილებელ საარსებო საშუალებათა საყოველთაო ეკვივალენტურ ფორმას. ამდენადვე ცვალებადი კაპიტალი ნივთობრივად საარსებო საშუალებებისაგან შედგება. მაგრამ აქ, გადაბრუნების განხილვისას, ლაპარაკია ფორმაზე. კაპიტალისტი ყიდულობს არა მუშის საარსებო საშუალებებს, არამედ თვით მუშის სამუშაო ძალას. მისი კაპიტალის ცვალებად ნაწილს მუშის საარსებო საშუალებანი კი არ შეადგენს, არამედ მუშის სამუშაო ძალა, რომელიც მოქმედებაში

ვლინდება. შრომის პროცესში კაპიტალისტი მწარმოებლურად მოიხმარს თვით სამუშაო ძალას და არა მუშის საარსებო საშუალებებს. თვით მუშა თავის სამუშაო ძალაში მიღებულ ფულს საარსებო საშუალებებად გარდაქმნის, რათა ისინი შემდგომ სამუშაო ძალად უკუგარდაქმნას თავისი არსებობის შესანარჩუნებლად: სრულიად ისე, როგორც, მაგალითად, კაპიტალისტი თავის საარსებო საშუალებებად გარდაქმნის იმ ზედმეტი ღირებულების განსაზღვრულ ნაწილს, რასაც შეიცავს საქონელი, რომელსაც იგი ფულზე ყიდის, — და, მიუხედავად ამისა, არას გზით არ შეიძლება იმის თქმა, რომ მისი საქონლის მყიდველი მას საარსებო საშუალებებით ისტუმრებს. მაშინაც კი, როდესაც მუშას მისი ხელფასის ნაწილი საარსებო საშუალებების სახით, in natura, ეძლევა, მოცემული მომენტისათვის ეს წარმოადგენს მეორე გარიგებას. იგი თავის სამუშაო ძალას ყიდის განსაზღვრულ ფასად და ამავე დროს ხდება შეთანხმება, რომ იგი ამ ფასის ნაწილს საარსებო საშუალებების სახით მიიღებს. ამით იცვლება მხოლოდ გადახდის ფორმა, მაგრამ არა ის ფაქტი, რომ იგი ნამდვილად ყიდის თავის სამუშაო ძალას. ეს არის მეორე გარიგება, რასაც ადგილი აქვს არა მუშასა და კაპიტალისტს შორის, არამედ მუშასა, როგორც საქონლის მყიდველსა და კაპიტალისტს, როგორც საქონლის გამყიდველს, შორის, მაშინ როდესაც პირველ გარიგებაში მუშა საქონლის (თავისი სამუშაო ძალის) გამყიდველია და კაპიტალისტი — მისი მყიდველი; სრულიად ისე, როგორც მეფაბრიკე, რომელიც თავის საქონელს, მაგალითად, მანქანას, რკინის ქარხანას მიჰყიდის, და მოინდომებს ამ უკანასკნელისაგან მიიღოს სამაგიერო საქონელი, რკინა. მაშასადამე, საბრუნავ კაპიტალად, წინააღმდეგ ძირითადი კაპიტალისა, გადაიქცევა არა თვით საარსებო საშუალებანი მუშისა და არა მისი სამუშაო ძალა, არამედ მწარმოებლური კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც სამუშაო ძალაზე იხარჯება და რომელიც თავისი გადაბრუნების ფორმის მეოხებით მოიპოვებს საბრუნავი კაპიტალის ხასიათს, რაც საერთო აქვს ამ ნაწილს მუდმივი კაპიტალის ზოგ შემადგენელ ნაწილთან და რითაც უპირისპირდება იგი იმავე მუდმივი კაპიტალის ზოგიერთ სხვა შემადგენელ ნაწილს.

1. საბრუნავი კაპიტალის ღირებულება — სამუშაო ძალასა და წარმოების საშუალებებში — ავანსად გაიღება მხოლოდ იმ დროისათვის, რომლის განმავლობაშიც პროდუქტი მზადდება, ამასთან ეს ავანსად გაღება ხდება წარმოების იმ მასშტაბის შესაბამისად, რომელიც ძირითადი კაპიტალის მოცულობით განისაზღვრება. ეს ღირებულება მთლიანად შედის პროდუქტში, მაშასადამე, პროდუქტის გაყიდვის მეოხე-

ბით ისევ მთლიანად ბრუნდება უკან მიმოქცევიდან და ხელახლა შეიძლება მისი ავანსად გაღება. სამუშაო ძალა და წარმოების საშუალებანი, რომელთა სახით კაპიტალის საბრუნავი შემადგენელი ნაწილი არსებობს, მიმოქცევიდან ამოიღება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც არის ეს აუცილებელი მზა პროდუქტის წარმოებისა და გაყიდვისთვის, მაგრამ მუდამ უნდა ხდებოდეს მათი შენაცვლება და განახლება ხელახალი ყიდვის გზით, ფულადი ფორმიდან წარმოების ელემენტებად უკუგარდაქმნის გზით. თვითეულ ცალკე შემთხვევაში ისინი ნაკლები რაოდენობით ამოიღებიან ბაზრიდან, ვიდრე ძირითადი კაპიტალის ელემენტები, მაგრამ მით უფრო ხშირად უნდა მოხდეს მათი იქიდან ახლად და ახლად ამოღება, და მათზე დახარჯული კაპიტალის ავანსად გაღება შედარებით მოკლე პერიოდებში განახლდება. ამ განუწყვეტელ განახლებას მოსაშუალეობს (მუდმივი მიმოქცევა პროდუქტისა), რომლითაც მთელი მათი ღირებულება მიმოიქცევა. დასასრულ, ისინი განუწყვეტლივ შემოხაზავენ მეტამორფოზთა მთელ წრებრუნვას არა მარტო თავიანთი ღირებულების მიხედვით, არამედ თავიანთი ნატურალური ფორმის მიხედვითაც, ისინი საქონლიდან უკუგარდაიქმნებიან მუდამ ამავე საქონლის წარმოების ელემენტებად.

თავის საკუთარ ღირებულებასთან ერთად სამუშაო ძალა პროდუქტს მუდამ მატებს ზედმეტ ღირებულებას, გადაუხდელი შრომის განსახიერებას. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულება ისევე მიმოიქცევა მზა პროდუქტის მეშვეობით და გარდაიქმნება ფულად, როგორც პროდუქტის ღირებულების დანარჩენი ელემენტები. მაგრამ ჩვენ აქ ჯერჯერობით ყურადღების გარეშე ვტოვებთ ზედმეტ ღირებულებას, რადგან უწინარეს ყოვლისა საკითხი შეეხება კაპიტალღირებულების გადაბრუნებას და არა ზედმეტი ღირებულებისა, რომელიც იმავდროულად პირველთან ერთად გადაბრუნდება.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს შემდეგი:

1. ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ფორმაგანსაზღვრულობა გამომდინარეობს მხოლოდ წარმოების პროცესში მოქმედი კაპიტალღირებულების, ანუ მ წ ა რ მ ო ებ ლ უ რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გადაბრუნების სხვადასხვაობიდან. გადაბრუნების ეს სხვაობა, თავის მხრივ, გამომდინარეობს იმ წესის სხვაობიდან, რომლითაც მწარმოებლური კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელ ნაწილს თავისი ღირებულება გადააქვს პროდუქტზე და არა პროდუქტის ღირებულების წარმოებაში მათი მონაწილეობის სხვაობიდან ანდა არა მათი იმ დამახასიათებელი როლიდან, რასაც ისინი ღირებულების ზრდის პროცესში ასრულებენ. დასასრულ, სხვაობა პროდუქტზე ღირებულების გადაცემაში, და ამი-

ტომ იმ წესის სხვაობაც, რომლითაც ეს ღირებულება პროდუქტის მეშვეობით მიმოიქცევა და პროდუქტის მეტამორფოზთა გამო განახლდება თავის თავდაპირველ ნატურალურ ფორმაში, ეს სხვაობა გამომდინარეობს იმ ნივთიერი ფორმების სხვაობიდან, რომლებშიც მწარმოებლური კაპიტალი არსებობს და რომელთაგან ერთი ნაწილი მთლიანად მოიხმარება ცალკეული პროდუქტის წარმოებისას, მეორე ნაწილი კი მხოლოდ თანდათან გამოიყენება. მაშასადამე, მხოლოდ მწარმოებლური კაპიტალი შეიძლება დაიყოს ძირითად და საბრუნავ კაპიტალად. პირიქით, ეს დაპირისპირებულობა არ არსებობს სამრეწველო კაპიტალის ორი სხვა საარსებო წესისათვის, მაშასადამე, არ არსებობს არც საქონლური კაპიტალისათვის, არც ფულადი კაპიტალისათვის. იგი არ არსებობს არც ამ ორი ფორმის მწარმოებლური კაპიტალისადმი დაპირისპირებულობის სახით. იგი არსებობს მხოლოდ მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს და ა მ უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ს ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი. რაგინდ ძლიერადაც არ უნდა მოქმედებდნენ ფულადი კაპიტალი და საქონლური კაპიტალი — კაპიტალის სახით, რაგინდ დენადიც არ უნდა იყოს მათი მიმოქცევა ძირითადი კაპიტალის საპირისპიროდ, საბრუნავ კაპიტალად გადაქცევა მათ მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, როცა ისინი მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავ შემადგენელ ნაწილებად გარდაიქმნებიან. მაგრამ რადგან კაპიტალის ორივე ეს ფორმა მიმოქცევის სფეროშია დაბინადრებული, ამიტომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პოლიტიკურმა ეკონომიამ ა. სმიტის შემდეგ ის შეცდომა დაუშვა, რომ ისინი ერთ გროვაში მოაქცია მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავ ნაწილთან, შეაერთა «საბრუნავი კაპიტალის» კატეგორიაში. ნამდვილად კი ფულადი კაპიტალი და საქონლური კაპიტალი წარმოადგენს სამიმოქცევო კაპიტალს მწარმოებლური კაპიტალის საპირისპიროდ და არა საბრუნავ კაპიტალს ძირითადი კაპიტალის საპირისპიროდ.

2. კაპიტალის ძირითადი შემადგენელი ნაწილის გადაბრუნება, მაშასადამე, ამისათვის გადაბრუნების აუცილებელი დროც, მოიცავს კაპიტალის საბრუნავი შემადგენელი ნაწილების რამდენიმე გადაბრუნებას. იმავე დროის განმავლობაში, როდესაც ძირითადი კაპიტალი ერთხელ გადაბრუნდება, საბრუნავი კაპიტალი რამდენჯერმე გადაბრუნდება. მწარმოებლური კაპიტალის ღირებულების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს ძირითადი კაპიტალის ფორმაგანსაზღვრულობას, თუ წარმოების საშუალება, რომლის სახითაც იგი არსებობს, მთლიანად არ გაცვდება იმ დროის განმავლობაში, როცა პროდუქტი დამზადდება და წარმოების პროცესი-

დან გადმოისროლება საქონლის სახით. ღირებულების ერთი ნაწილი უნდა დარჩეს შენარჩუნებულ ძველ სახმარ ფორმასთან შეკავშირებული, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი მიმოქცევაში გადააქვს მზა პროდუქტს, რომლის მიმოქცევა, პირიქით, წარმოადგენს ამავე დროის საბრუნავი კაპიტალის შემადგენელი ნაწილების ერთობლივი ღირებულების მიმოქცევას.

3. მწარმოებლური კაპიტალის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ძირითად კაპიტალზეა დახარჯული, მთლიანად, ერთბაშად არის ავანსებული წარმოების საშუალებათა იმ ნაწილის მოქმედების მთელი ვადით, რომლისგანაც ძირითადი კაპიტალი შედგება. მაშასადამე, კაპიტალისტი ერთბაშად გადაისვრის ამ ღირებულებას მიმოქცევაში; მაგრამ ეს ღირებულება მხოლოდ ნაწილ-ნაწილ, თანდათან ამოიღება მიმოქცევიდან ღირებულების იმ ნაწილების რეალიზაციის გზით, რომელთაც ძირითადი კაპიტალი ნაწილ-ნაწილ და თანდათან მატებს საქონელთ. მეორე მხრივ: თვით წარმოების საშუალებანი, რომლებშიც მწარმოებლური კაპიტალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის ფიქსაცია ხდება, ერთბაშად ამოიღება მიმოქცევიდან, რათა თავიანთი მოქმედების მთელი ვადით ჩაებან წარმოების პროცესში; მაგრამ ისინი ამ დროის განმავლობაში არ მოითხოვენ შენაცვლებას იმგვარივე ეგზემპლარებით, არ მოითხოვენ კვლავწარმოებას. ისინი განაგრძობენ მეტნაკლებ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მონაწილეობას იმ საქონელთა შექმნაში, რომელნიც მიმოქცევაში გადაისროლებიან, ისე, რომ მიმოქცევას არ გამოაცლიან ელემენტებს თავიანთი საკუთარი განახლებისათვის. მაშასადამე, ამ დროის განმავლობაში ისინი არ მოითხოვენ კაპიტალისტისაგან ავანსის განმეორებას. დასასრულ, ძირითად კაპიტალზე დახარჯული კაპიტალღირებულება წარმოების იმ საშუალებათა მოქმედების განმავლობაში, რომლებშიც იგი არსებობს თავისი ფორმების წრებრუნვას გაივლის არა ნივთიერად, არამედ მხოლოდ თავისი ღირებულებით, და ამ სახითაც მხოლოდ ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით. [მაშასადამე, ძირითადი კაპიტალის ღირებულების ნაწილი განუწყვეტლივ მიმოიქცევა როგორც საქონლის ღირებულების ნაწილი და გარდაიქმნება ფულად, მაგრამ ფულიდან მისი უკუგარდაქმნა თავდაპირველ ნატურალურ ფორმად აღარ ხდება. ფულის ამ უკუგარდაქმნას წარმოების საშუალებათა ნატურალურ ფორმად ადგილი აქვს მხოლოდ (გადაბრუნების პერიოდის) ბოლოს, როცა წარმოების საშუალებანი მთლიანად გამოყენებულია.]

4. იმისათვის, რომ წარმოების პროცესი უწყვეტად მიმდინარეობდეს, საბრუნავი კაპიტალის ელემენტებიც ისევე მუდმივად უნდა იყოს

ფიქსირებული ამ პროცესში, როგორც ძირითადი კაპიტალის ელემენტები. მაგრამ ამგვარად ფიქსირებული ელემენტები პირველისა მუდამ განახლდება in natura (წარმოების საშუალებანი — იმგვარივე ახალი ეგზემპლარებით, სამუშაო ძალა — მუდამ განმეორებული ყიდვით); ხოლო რაც შეეხება ძირითადი კაპიტალის ელემენტებს, მათი არსებობის განმავლობაში არ ხდება არც თვითონ მათი განახლება და არც მათი ყიდვის აქტის განმეორება. წარმოების პროცესში მუდამ მოიპოვება ნედლეული და დამხმარე მასალა, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ძველი მასალა მთლიანად გამოიყენება მზა პროდუქტის შესაქმნელად, მუდამ ხდება მათი შენაცვლება იმავე სახის ახალი ეგზემპლარებით. ასევე წარმოების პროცესში მუდმივად მოიპოვება სამუშაო ძალა, მაგრამ — მხოლოდ იმის გამო, რომ მუდამ ხდება მისი ხელახალი ყიდვა, რასაც ხშირად პიროვნებათა ცვლაც ახლავს. პირიქით, მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც საბრუნავი კაპიტალის განმეორებულ გადაბრუნებას აქვს ადგილი, ერთი და იგივე შენობები, მანქანები და სხვ. განაგრძობენ მოქმედებას წარმოების განმეორებულ პროცესებში.

II. ძირითადი კაპიტალის შემადგენელი ნაწილები, ანაზღაურება, რემონტი, დაგროვება.

ერთსა და იმავე კაპიტალდაბანდებაში ძირითადი კაპიტალის ცალკეული ელემენტების სიცოცხლის ხანგრძლიობა სხვადასხვაა და ამიტომ მათი გადაბრუნების დროც სხვადასხვაა. რკინიგზაზე, მაგალითად, რელსებს, შპალებს, მიწის სამუშაოებს, სადგურის შენობებს, ხიდებს, გვირაბებს, ორთქლმავლებსა და ვაგონებს მოქმედების სხვადასხვა ხანგრძლიობა და კვლავწარმოების სხვადასხვა დრო აქვთ, მაშასადამე, სხვადასხვაა მათზე დაავანსებული კაპიტალის გადაბრუნების დროც. მთელი რიგი წლების განმავლობაში შენობები, ბაქნები, წყალსაცავები, გადასასვლელები, გვირაბები, მიწაჭრილები და მიწაყრილები, მოკლედ, — ყველაფერი, რასაც ინგლისის რკინიგზის მეურნეობაში works of art უწოდებენ, არ მოითხოვს განახლებას. ყველაზე მეტად ცვდება შემდეგი საგნები: ლიანდაგი და მოძრავი შემადგენლობა (rolling stock).

თავდაპირველად, თანამედროვე რკინიგზების აგებისას, გაბატონებული იყო აზრი, ფრიად გამოჩენილ პრაქტიკოს ინჟინერთა მიერ გაზიარებული, რომ რკინიგზა თავისი გამძლეობით ვითომ მარადიულია

და რელსების გაცვეთა იმდენად უმნიშვნელოა, რომ ფინანსური და პრაქტიკული მიზნისთვის იგი მხედველობაში მისაღები არ არ(ი)ს(ა); კარგი რელსების არსებობის ხანგრძლიობას 100 — 150 წლით განსაზღვრავდნენ. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ რელსის არსებობის ხანგრძლიობა, რომელიც, რა თქმა უნდა, ორთქლმავლების სისწრაფესა, მატარებლების წონასა და რიცხვზე, თვით რელსების სისქესა და მრავალ სხვა დამატებითს გარემოებაზეა დამოკიდებული, საშუალოდ 20 წელს არ აღემატება. ცალკეულ სადგურებთან, დიდი მიმოსვლის ცენტრებში, რელსები ყოველწლიურადაც კი ცვდება. 1867 წლიდან შემოიღეს ფოლადის რელსები, რომლებიც რკინისაზე თითქმის ორჯერ უფრო ძვირია, მაგრამ სამაგიეროდ ორჯერ და კიდევ უფრო მეტხანსაც ძლებს. ხის შპალების გამძლეობა უდრის 12 — 15 წელს. რაც შეეხება მოძრავ შემადგენლობას, აღმოჩნდა, რომ სატვირთო ვაგონები გაცილებით უფრო სწრაფად ცვდება, ვიდრე სამგზავრო. 1867 წელს ორთქლმავლის არსებობის ხანგრძლიობად 10 — 12 წელიწადს ანგარიშობდნენ.

გაცვეთას იწვევს, ჯერ-ერთი, თვით ხმარება. საერთოდ, რელსები ცვდება მატარებელთა რიცხვის პროპორციულად (R. C., № 17645)[22]. სისწრაფის გადიდებისას გაცვეთა სისწრაფის კვადრატზე უფრო დიდი პროპორციით იზრდებოდა, ე. ი. მატარებელთა გაორკეცებული სისწრაფის დროს გაცვეთა ოთხჯერ და უფრო მეტად იზრდებოდა (R. C., № 17046).

შემდეგ, გაცვეთას იწვევს ბუნების ძალთა ზეგავლენაც. ასე, შპალები ფუჭდება არა მარტო ნამდვილი გაცვეთის გამო, არამედ ლპობის გამოც. «გზის შენახვის ხარჯები დამოკიდებულია არა იმდენად სარკინიგზო მოძრაობით გამოწვეულ გაცვეთაზე, რამდენადაც ხის, რკინისა და სამშენებლო მასალის თვისებაზე, რომელნიც ატმოსფეროს ზემოქმედებას განიცდიან. ზამთრის მარტო ერთი მკაცრი თვე მეტ ზიანს მიაყენებს რკინიგზას, ვიდრე მთელი წლის მოძრაობა» (R. P. Williams: «On the Maintenance of Permanent Way». მოხსენება Institute of Civil Engineers-ში, 1867 წ. შემოდგომაზე).

დასასრულ, აქ, როგორც ყველგან მსხვილ მრეწველობაში, მორალური ხასიათის გაცვეთაც თავის როლს ასრულებს: 10 წლის გასვლის შემდეგ ჩვეულებრივ შესაძლებელია 30 000 გირვ. სტერლინგად ვაგო-

---

[22] R. C.-ით აღნიშნული ციტატები აღებულია «Royal Commission on Railways-იდან, Minutes of Evidence taken before the Commissioners. presented to both Houses of Parliament». London 1867.— კითხვები და პასუხები დანომრილია, და ეს ნომრები აქ აღნიშნულია.

ნებისა და ორთქმავლების ივავე რაოდენობის ყიდვა, რაც უწინ 40 000 გირვ. სტერლინგი ღირდა. ამრიგად, საჭირო ხდება ამ მასალაზე ფასდაწევის ანგარიში საბაზრო ფასის 25%-მდე, თუნდაც რომ სახმარი ღირებულების არავიცარი დაწევა არ მოხდარიყოს (Lardner: «Railway Economy»).

«მილებიან ხიდებს არ ანახლებენ მათს ახლანდელ ფორმაში» (იმიტომ რომ ამჟამად ასეთი ხიდების უკეთესი ფორმები არსებობს). «მათი ჩვეულებრივი შეკეთება, ცალკეული ნაწილების მოშორება და შეცვლა მიზანშეუწონელია» (W. P. Adams: «Roads and Rails». London 1862). მრეწველობის პროგრესის მეოხებით შრომის საშუალებების უმეტეს ნაწილში მუდმივად ხდება გადატრიალება. ამიტომ მათი აღდგენა ხდება არა თავდაპირველი ფორმით, არამედ გადატრიალების შედეგად მიღებული ფორმით. ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ ძირითადი კაპიტალის მასა განსაზღვრული ნატურალური ფორმითაა დაბანდებული საქმეში და მან ამ ფორმაში სიცოცხლის საშუალო ვადა უნდა გაატაროს, წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ მხოლოდ თანდათანობით ხდება ახალი მანქანების და სხვ. შემოღება და, ამიტომ, შეადგენს დაბრკოლებას შრომის გაუმჯობესებულ საშუალებათა სწრაფი და საყოველთაო შემოღებისათვის. მეორე მხრივ, საკონკურენციო ბრძოლა, განსაკუთრებით გადამწყვეტ გადატრიალებათა დროს, იძულებით იწვევს შრომის ძველ საშუალებათა გამოცვლას შრომის ახალი საშუალებებით ჯერ კიდევ მათი არსებობის ბუნებრივ დასასრულამდე. კატასტროფები, კრიზისები იწვევენ უმთავრესად საწარმოთა მოწყობილობის ასეთ იძულებით ნაადრევ განახლებას ფართო საზოგადოებრივი მასშტაბით.

გაცვეთას (მხედველობის გარეშე ვტოვებთ მორალურს) წარმოადგენს ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც ძირითადი კაპიტალი თავისი გამოყენების გამო თანდათანობით გადასცემს პროდუქტს, — გადასცემს იმ საშუალო ოდენობით, რა ოდენობითაც იგი თავის სახმარ ღირებულებას კარგავს.

ეს გამოყენება ნაწილობრივ ისეთი ხასიათისაა, რომ ძირითად კაპიტალს არსებობის განსაზღვრული საშუალო ხანგრძლიობა აქვს; იგი მთლიანად უნდა გაიღონ ავანსად ამ დროისათვის; ხოლო ამ ვადის გასვლისას კვლავ მთლიანად უნდა ანაზღაურდეს. შრომის ცოცხალი საშუალებებისათვის, მაგალითად ცხენებისათვის, კვლავწარმოების დრო თვით ბუნების მიერ არის დაწესებული. მათი, როგორც შრომის საშუალებათა, სიცოცხლის ხანგრძლიობა განისაზღვრება ბუნების კანონებით. როგორც კი ეს ვადა გავა, მთლიანად მოხმარებული

ეგზემპლარები ახლებით უნდა შეიცვალოს. ცხენი არ შეიცვლება ნაწილობრივად, იგი შეიცვლება მხოლოდ სხვა ცხენით.

ძირითადი კაპიტალის სხვა ელემენტები პერიოდული ანუ ნაწილობრივი განახლების შესაძლებლობას იძლევა. აქ ჩვენ ნაწილობრივი ანუ პერიოდული ანაზღაურება უნდა განვასხვაოთ საქმის თანდათანობითი გაფართოებისგან.

ძირითადი კაპიტალი შედგება ნაწილობრივ ერთგვაროვანი შემადგენელი ნაწილებისგან, რომელნიც ერთნაირი ხანგრძლიობის მქონენი არ არიან და ნაწილ-ნაწილ განახლდებიან სხვადასხვა პერიოდებში. ასე, რელსებს სადგურებთან უფრო ხშირად სჭირდება შეცვლა, ვიდრე დანარჩენ ხაზზე. ასევეა შპალებიც, რომლებსაც ლარდნერის გაანგარიშებით ბელგიის რკინიგზებზე 50-იან წლებში წლიურად 8% განახლება სჭირდებოდათ, და რომელთა განახლება, მაშასადამე, 12 წლის მანძილზე მთლიანად ხდებოდა. ამრიგად, მდგომარეობა აქ ასეთია: გარკვეული თანხა ავანსად გაიღება, მაგალითად, 10 წლით, განსაზღვრული სახის ძირითად კაპიტალზე. ეს ხარჯი გაიღება ერთბაშად. მაგრამ ამ ძირითადი კაპიტალის განსაზღვრული ნაწილი, რომლის ღირებულება პროდუქტში შევიდა და მასთან ერთად ფულად იქცა, ყოველ წელს ანაზღაურდება in natura, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი განაგრძობს არსებობას თავის თავდაპირველ ნატურალურ ფორმაში. აი, ეს ერთბაშად დახარჯვა და მხოლოდ ნაწილ-ნაწილ კვლავწარმოება ნატურალურ ფორმაში არის ის გარემოება, რომელიც განასხვავებს ამ კაპიტალს როგორც ძირითადს საბრუნავი კაპიტალისგან.

ძირითადი კაპიტალის სხვა ელემენტები შედგება არა ერთგვაროვანი ნაწილებისგან, რომლებიც არათანატოლ პერიოდებში ცვდება და ამიტომ მათი შეცვლა ერთსა და იმავე დროს არ უნდა მოხდეს. განსაკუთრებით ამას ადგილი აქვს მანქანების მიმართ. რაც ჩვენ ეს-არის აღვნიშნეთ ძირითადი კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელი ნიწილის არსებობის ხანგრძლიობის შესახებ, იგივე ითქმის აგრეთვე ერთი და იმავე მანქანის — ამ ძირითადი კაპიტალის როლის შემსრულებელი ელემენტის — სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის არსებობის ხანგრძლიობაზეც.

რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც ნაწილობრივ განახლებათა პროცესში წარმოება თანდათან ფართოვდება, ჩვენ ამის გამო აღვნიშნავთ შემდეგს. თუმცა, როგორც ჩვენ დავინახეთ, ძირითადი კაპიტალი განაგრძობს წარმოების პროცესში in natura მოქმედებას, მაგრამ მისი ღირებულების ნაწილი, მისი გაცვეთის საშუალო ოდენობის შესაბამი-

სად, მიმოიქცევა პროდუქტთან ერთად, გადაიქცევა ფულად, შეადგენს იმ ფულადი სარეზერვო ფონდის ელემენტს, რომლის დანიშნულებაა კაპიტალის ანაზღაურება, როდესაც დადგება ამ უკანასკნელის in natura კვლავწარმოების ვადა. ძირითადი კაპიტალის ღირებულების ეს ნაწილი, ამ გზით ფულად ქცეული, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქმის გასაფართოებლად ან მანქანებში ისეთ გაუმჯობესებათა შესატანად, რომელნიც გააძლიერებენ მათს ეფექტიანობას. ამრიგად, მეტნაკლები ხანგრძლიობის პერიოდებში ადგილი აქვს კვლავწარმოებას, და თანაც — თუ მას საზოგადოებრივი თვალსაზრისით განვიხილავთ— კვლავწარმოებას გაფართოებული მასშტაბით: ექსტენსიურად გაფართოებული მასშტაბით, თუ წარმოების არე ფართოვდება, ინტენსიურად გაფართოებული მასშტაბით, თუ წარმოების საშუალება უფრო ეფექტიანი ხდება. ეს კვლავწარმოება ფართო მასშტაბით გამომდინარეობს არა დაგროვებიდან, — ზედმეტი ღირებულების კაპიტალად გარდაქმნიდან, — არამედ იმ ღირებულების უკუგარდაქმნიდან, რომელიც განშტოვდა, გამოცალკევდა ფულის სახით ძირითადი კაპიტალის სხეულიდან და გარდაიქმნა იმავე გვარეობის ახალ — ან დამატებით ან უფრო ეფექტიან — ძირითად კაპიტალად. რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ამა თუ იმ საწარმოს სპეციფიკურ ხასიათზეა დამოკიდებული, შეუძლია თუ არა და რა ოდენობით შეუძლია მას ჰქონდეს ასეთი თანდათანობითი მატების უნარი. მაშასადამე, იმაზევეა დამოკიდებული, თუ რა ოდენობის სარეზერვო ფონდი უნდა დაგროვდეს, რათა შეიძლებოდეს მისი ამგვარად დაბანდება იმავე საქმეში, და რა ვადებში შეიძლება ეს დაბანდება მოხდეს. მეორე მხრივ, თუ რამდენადაა შესაძლებელი არსებულ მანქანებში დეტალების გაუმჯობესება, ეს, რასაკვირველია, დამოკიდებულია გაუმჯობესებათა ხასიათსა და თვით მანქანების კონსტრუქციაზე. მაგრამ თუ რამდენად მიიღება მხედველობაში იმთავითვე ეს პუნქტი, მაგალითად, რკინიგზის ნაგებობათა დროს, ამას გვიჩვენებს ადამსი: «მთელი კონსტრუქცია უნდა შეესაბამებოდეს იმ პრინციპს, რაც ფუტკრის სკაშია გაბატონებული: შეუზღუდველი გაფართოების უნარს. ყველა მეტისმეტად საფუძვლიანი და იმთავითვე სიმეტრიულად წარმოებული ნაგებობა საზიანოა, თუ გაფართოების შემთხვევაში საჭირო ხდება მათი დანგრევა» (გვ. 123).

ეს მეტწილად დამოკიდებულია მეპატრონის განკარგულებაში მყოფ ადგილებზე. ზოგი შენობის აგებისას შესაძლებელია ზევიდან სართულების დადგმა, სხვა შენობებისათვის კი აუცილებელია განში გაფართოება, მაშასადამე, მეტი მიწაა საჭირო. კაპიტალისტური წარმოების პირობებში, ერთი მხრივ, ბევრი სახსარი იფლანგება, მეორე მხრივ,

საქმის თანდათანობით გაფართოებისას ადგილი აქვს ამგვარი მიზანშეუწონელი განში გაფართოების მრავალ შემთხვევას (ნაწილობრივ, სამუშაო ძალის საზიანოდ), იმიტომ რომ აქ არაფერი არ კეთდება საზოგადოებრივი გეგმის თანახმად და ყველაფერი დამოკიდებულია უსასრულოდ სხვადასხვაგვარ გარემოებებზე, სახსრებზე და სხვ., რომელთაც ანგარიშს უწევს ცალკეული კაპიტალისტი. აქედან წარმოდგება მწარმოებლურ ძალთა დიდი გაფლანგვა.

ფულადი სარეზერვო ფონდის (ე. ი. ფულად უკუგარდაქმნილი ძირითადი კაპიტალის ნაწილის) ასე ნაწილ-ნაწილ ხელახლა დაბანდება ყველაზე უფრო ადვილი მიწათმოქმედებაშია. სივრცებრივად შემოსაზღვრულ წარმოების არეს კაპიტალის თანდათანობითი შთანთქმის ყველაზე მეტი უნარი აქვს. ასევეა იმ შემთხვევებშიც, როდესაც ადგილი აქვს ბუნებრივ გამრავლებას, როგორც, მაგალითად, შინაური პირუტყვის მოშენებისას.

ძირითადი კაპიტალი იწვევს განსაკუთრებულ ხარჯებს შენახვისათვის. შენახვა ნაწილობრივ თვით შრომითი პროცესის მეოხებით ხორციელდება. ძირითადი კაპიტალი ფუჭდება, თუ იგი შრომის პროცესში არ მოქმედებს (იხ. წიგნი I, თავი VI და თავი XIII: მანქანების გაცვეთა, რომელიც მათი უხმარობიდან გამომდინარეობს. ამიტომ ინგლისის კანონს პირდაპირ ზიანის მიყენებად (waste) მიაჩნია ის შემთხვევა, როდესაც იჯარით აღებული მიწის ნაკვეთების დამუშავება არ ხდება ქვეყნის ჩვეულებრივი წესით (W. A. Holdsworth, Barrister at Law: «The Law of Landlord and Tenant», London 1857, გვ. 96). ეს შენახვა, რომელიც შრომის პროცესში ხმარებიდან გამომდინარეობს, წარმოადგენს მუქთ ძღვენს, რასაც ცოცხალი შრომის ბუნება იძლევა. და ეს შემნახველი ძალა შრომისა ორგვარი ხასიათისაა. ერთი მხრივ, შრომა ინახავს შრომის მასალის ღირებულებას იმით, რომ ეს ღირებულება გადააქვს პროდუქტზე; მეორე მხრივ, რამდენადაც მას არ გადააქვს პროდუქტზე შრომის საშუალებათა ღირებულება, იგი მაინც ინახავს მათს ღირებულებასაც იმით, რომ ინახავს მათს სახმარ ღირებულებას და მათ წარმოების პროცესში ამოქმედებს.

მაგრამ ძირითადი კაპიტალი მოითხოვს აგრეთვე შრომის პირდაპირ დახარჯვასაც თავის შესანარჩუნებლად ჯეროვან მდგომარეობაში. მანქანები უნდა გაიწმინდოს დროგამოშვებით. აქ ლაპარაკია დამატებით შრომაზე, ურომლისოდაც ისინი გამოუსადეგნი გახდებიან მოსახმარად, ლაპარაკია იმ მავნე სტიქიურ გავლენათა უბრალოდ თავიდან აცილებაზე, რომელნიც განუყრელნი არიან წარმოების პროცესისგან, მაშასადამე, ლაპარაკია მანქანების შენახვაზე მუშაობის უნარმქონე

მდგომარეობაში ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობით. ძირითადი კაპიტალის არსებობის ნორმალური ხანგრძლიობა, თავისთავად იგულისხმება, იმ ვარაუდის საფუძველზეა განსაზღვრული, რომ განხორციელებული იქნება პირობები, რომელთა არსებობისას ამ კაპიტალს შეუძლია ნორმალურად იმოქმედოს ამ დროის განმავლობაში; ეს სრულიად ისევეა, როგორც ის, რომ, როცა ამბობენ ადამიანი საშუალოდ 30 წელიწადს ცოცხლობსო, იმასაც გულისხმობენ, რომ იგი პირსაც იბანს. მაშასადამე, აქ ლაპარაკია არა მანქანაში მოქცეული შრომის შენაცვლებაზე, არამედ მუდმივ დამატებით შრომაზე, რომელიც აუცილებელი ხდება მანქანის ხმარების გამო. ლაპარაკია არა იმ მუშაობაზე, რომელსაც მანქანა ასრულებს, არამედ იმ შრომაზე, რომელიც გამოიყენება მანქანაზე და რომლის მიმართ მანქანა წარმოების აგენტს კი არ წარმოადგენს, არამედ ნედლ მასალას. ამ შრომაზე დახარჯული კაპიტალი — თუმცა იგი არ შედის საკუთრივ შრომის პროცესში, რომლის მეოხებითაც პროდუქტი წარმოიშვება, — საბრუნავ კაპიტალს ეკუთვნის. ასეთი შრომა მუდამ უნდა იხარჯებოდეს წარმოებაში და ამიტომ მისი ღირებულებაც მუდამ უნდა ნაზღაურდებოდეს პროდუქტის ღირებულებით. ამ შრომაზე დახარჯული კაპიტალი საბრუნავი კაპიტალის იმ ნაწილს ეკუთვნის, რომელშაც საერთო დამატებითი ხარჯები უნდა დაფაროს და რომელიც წლიური საშუალო ანგარიშის მიხედვით ახლადშექმნილ ღირებულებაზეა გასანაწილებელი. ჩვენ დავინახეთ, რომ საკუთრივ მრეწველობაში ამ შრომას, რომელსაც გაწმენდა მოითხოვს, მუშები უსასყიდლოდ ასრულებენ, დასვენების დროს, მაგრამ სწორედ ამის გამო ხშირად თვით წარმოების პროცესის დროსაც, რაც მეტწილი უბედური შემთხვევების წყაროა. ეს შრომა არ იანგარიშება პროდუქტის ფასში. ამდენად მომხმარებელი მას უსასყიდლოდ იღებს. მეორე მხრივ, კაპიტალისტს ეზოგება მისი მანქანის შენახვის ხარჯები. გადამხდელია მუშა თავისი საკუთარი პიროვნებით, და ეს შეადგენს ერთ-ერთ საიდუმლოებას კაპიტალის თვითშენარჩუნების იმ საიდუმლოებათაგან, რომელნიც არსებითად ასაბუთებენ მუშის იურიდიულ პრეტენზიას მანქანის მიმართ და ხდიან მას მანქანის თანამესაკუთრედ თვით ბურჟუაზიული სამართლის თვალსაზრისითაც კი. მაგრამ წარმოების სხვადასხვა დარგებში, სადაც გასაწმენდად საჭირო ხდება მანქანების მოშორება წარმოების პროცესისგან და ამიტომ გაწმენდა არ შეიძლება სხვათა შორის ხდებოდეს, — ასეა მაგალითად, ორთქლმავლების მიმართ, — შენახვისათვის გაწეული შრომა მიეკუთვნება მიმდინარე ხარჯებს, ე. ი. საბრუნავი კაპიტალის ელემენტს შეადგენს. ორთქლმავალი, სულ დიდი, სამი დღის მუშაობის შემდეგ დეპოში

უნდა გაიგზავნოს და იქ გაიწმინდოს; რათა ქვაბი გამორეცხისას არ გაფუჭდეს, ჯერ იგი უნდა გაცივდეს (R. C., № 17823).

საკუთრივ რემონტი ანუ შეკეთების სამუშაოები მოითხოვს ისეთი კაპიტალისა და შრომის დახარჯვას, რომელთაც არ შეიცავს თავდაპირველად ავანსებული კაპიტალი და რომლებიც, მაშასადამე, არც შეიძლება — ყოველ შემთხვევაში მუდამ არ შეიძლება — ანაზღაურებული და დაფარული იქნეს ძირითადი კაპიტალის ღირებულების თანდათანობითი ანაზღაურების გზით. თუ, მაგალითად, ძირითადი კაპიტალის ღირებულება = 10 000 გირვ. სტერლინგს და მისი არსებობის მთელი ხანგრძლიობა = 10 წელიწადს, მაშინ ეს 10 000 გირვ. სტერლინგი, გადაიქცევა რა მთლად 10 წლის გასვლისას ფულად, აანაზღაურებს მხოლოდ თავდაპირველად დაბანდებული კაპიტალის ღირებულებას, მაგრამ არ აანაზღაურებს იმ კაპიტალს თუ შრომას, რომელიც ამ დროის განმავლობაში აბლად მიემატა სარემონტო სამუშაოებით. ეს არის ღირებულების დამატებითი შემადგენელი ნაწილი, მისი ავანსად გაღება ხდება არა ერთბაშად, არამედ საჭიროებისადა მიხედვით, და მისი ავანსების დაწყების სხვადასხვა მომენტი საგნის ბუნებისდა მიხედვით სრულიად შემთხვევითია. ყოველი ძირითადი კაპიტალი მოითხოვს კაპიტალის ასეთ შემდგომ, ნაწილ-ნაწილ და დამატებით ხარჯვას შრომის საშუალებებსა და სამუშაო ძალაზე.

დაზიანება, რასაც მანქანების და სხვათა ცალკეული ნაწილები განიცდიან, შემთხვევითი ხასიათისაა საგნის ბუნებისამებრ და ამიტომ ასევე შემთხვევითია მათ მიერ გამოწვეული შეკეთებაც. მაგრამ ამ შეკეთებათა მასიდან გამოიყოფა ორი სახის სარემონტო სამუშაო, რომელთაც ცოტად თუ ბევრად მუდმივი ხასიათი აქვთ და რომელნიც ძირითადი კაპიტალის არსებობის სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნებიან: საბავშვო ასაკის სხვადასხვა ავადმყოფობა და გაცილებით უფრო მრავალი ავადმყოფობა იმ ასაკისა, რომელიც გადაცილებულია სიცოცხლის შუა ხანს. რაგინდ სრულყოფილი კონსტრუქციისა არ უნდა იყოს მაგალითად, მანქანა, რომელიც შედის წარმოების პროცესში, პრაქტიკულად მისი ხმარებისას მაინც თავს იჩენს სხვადასხვა ნაკლი, რაც დამატებითი შრომით უნდა გამოსწორდეს. მეორე მხრივ, რაც უფრო გადააცილებს მანქანა თავისი სიცოცხლის შუა ხანს, მაშასადამე, რაც უფრო იზრდება ნორმალური გაცვეთა, რაც უფრო გამოიყენება და ბებრულად უძლურდება მასალა, რომლისგანაც მანქანა არის გაკეთებული, მით უფრო მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი ხდება სარემონტო სამუშაოები, რომლებიც აუცილებელია მანქანის არსებობის შესანარჩუნებლად მისი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობის

გასვლამდე: სწორედ ისე, როგორც მოხუცებულ ადამიანს, რათა უდროოდ არ მოკვდეს, მეტი ხარჯების გაწევა სჭირდება სამკურნალო დახმარებაზე, ვიდრე ჯანღონით სავსე ახალგაზრდა ადამიანს. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ სარემონტო სამუშაოები შემთხვევითი ხასიათისაა, ისინი არათანაბრად ნაწილდებიან ძირითადი კაპიტალის სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდებს შორის.

აქედან, ისევე როგორც საერთოდ მანქანისათვის საჭირო სარემონტო სამუშაოების შემთხვევითი ხასიათიდან გამომდინარეობს შემდეგი:

ერთი მხრივ, სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო სამუშაო ძალასა და შრომის საშუალებებზე გაწეული ნამდვილი ხარჯი შემთხვევითია, ისე როგორც შემთხვევითია თვით გარემოებანი, რომლებიც ამ რემონტს აუცილებელს ხდიან; აუცილებელი რემონტის ოდენობა სხვადასხვანაირადაა განაწილებული ძირითადი კაპიტალის არსებობის სხვადასხვა პერიოდებს შორის. მეორე მხრივ, ძირითადი კაპიტალის სიცოცხლის ხანგრძლიობის განსაზღვრისას იგულისხმება, რომ ეს კაპიტალი მუდამ დაცულია აქტიურ მდგომარეობაში, — ნაწილობრივ წმენდის საშუალებით (რაშიც შედის აგრეთვე სადგომების სუფთად შენახვა), ნაწილობრივ შეკეთების გზით, რაც სრულდება ყოველთვის, როდესაც ეს საჭიროა. ძირითადი კაპიტალის გაცვეთასთან დაკავშირებული ღირებულების გადატანა იანგარიშება მისი არსებობის საშუალო ხანგრძლიობის მიხედვით, მაგრამ ეს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა, თავის მხრივ, ნავარაუდევია იმის მიხედვით, რომ ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის ავანსად გაიღება მის ჯეროვან მდგომარეობაში შესანარჩუნებლად საჭირო დამატებითი კაპიტალი.

მეორე მხრივ, ასევე ცხადია, რომ დამატებითი კაპიტალისა და შრომის დახარჯვის გზით მიმატებული ეს ღირებულება არ შეიძლება საქონლის ფასში შევიდეს იმავე დროს, რა დროსაც ეს დახარჯვა წარმოებს. თუ მრთველს, მაგალითად, ამ კვირაში ბორბალი გაუტყდა ან ღვედი გაუწყდა, მას არ შეუძლია თავისი ნართი მიმდინარე კვირაში უფრო ძვირად გაყიდოს, ვიდრე ყიდდა წარსულ კვირაში. რთვის საერთო ხარჯები სრულიადაც არ შეცვლილა ამ უბედური შემთხვევის გამო, რასაც ადგილი ჰქონდა ცალკეულ ფაბრიკაში. როგორც საერთოდ ღირებულების განსაზღვრისას, აქაც გადამწყვეტია საშუალო ოდენობა. გამოცდილება გვიჩვენებს ასეთ უბედურ შემთხვევათა საშუალო რაოდენობას და შენარჩუნებისა და რემონტისათვის საჭირო იმ სამუშაოთა საშუალო ოდენობას, რომელთა შესრულებაც აუცილებელი ხდება წარმოების განსაზღვრულ დარგში დაბანდებული ძირითადი

კაპიტალის არსებობის საშუალო პერიოდის განმავლობაში. ეს საშუალო ხარჯი განაწილდება არსებობის საშუალო პერიოდზე და შესაბამისი ნაწილებით მიემატება პროდუქტის ფასს, მაშასადამე, ანაზღაურდება ამ პროდუქტის გაყიდვის გზით.

დამატებითი კაპიტალი, რომლის ანაზღაურება ამგვარად ხდება, საბრუნავ კაპიტალს შეადგენს, თუმცა მისი ხარჯვის წესს არარეგულარული ხასიათი აქვს. რადგან მანქანების ყოველი დაზიანების დაუყოვნებლივი გასწორება ფრიად მნიშვნელოვანია, ამიტომ ყოველ შედარებით დიდ ფაბრიკაში საკუთრივ ფაბრიკის მუშების გარდა არსებობს ინჟინრების, დურგლების, მექანიკოსების, ზეინკლებისა და სხვათა პერსონალი. მათი ხელფასი შეადგენს ცვალებადი კაპიტალის ნაწილს, და მათი შრომის ღირებულება ნაწილდება პროდუქტზე. მეორე მხრივ, წარმოების საშუალებებზე გასაწევი ხარჯების განსაზღვრა ხდება საშუალო ანგარიშის მიხედვით და ეს ხარჯები ამ ანგარიშის კვალობაზე ყოველთვის შედის პროდუქტში, როგორც ამ უკანასკნელის ღირებულების ნაწილი, თუმცა ფაქტიურად მათი დაავანსება ხდება არარეგულარულ ვადებში და, მაშასადამე, ასევე არარეგულარულ ვადებში ხდება მათი შესვლაც პროდუქტში, შესაბამისად ძირითად კაპიტალში. საკუთრივ რემონტზე დახარჯული ეს კაპიტალი რამდენადმე განსაკუთრებული სახეობის კაპიტალს შეადგენს: იგი არ შეიძლება მივაკუთვნოთ არც საბრუნავს და არც ძირითად კაპიტალს, მაგრამ მაინც შეიძლება უფრო პირველს მივაკუთვნოთ, რადგან იგი მიმდინარე ხარჯების კატეგორიაში შედის.

დავთარწარმოების წესი, რასაკვირველია, არაფერს არ ცვლის იმ საგანთა ნამდვილ კავშირურთიერთობაში, რომელთა შესახებაც დავთრები იწარმოება. მაგრამ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მეწარმეობის ბევრ დარგში ჩვეულებრივ მიღებულია რემონტის ხარჯები და ძირითადი კაპიტალის ნამდვილი გაცვეთა ერთად იანგარიშონ შემდეგნაირად. ვთქვათ, ავანსებული ძირითადი კაპიტალი შეადგენს 10 000 გირვ. სტერლინგს, მისი არსებობის ხანგრძლიობა — 15 წელიწადს; ამ შემთხვევაში წლიური გაცვეთა იქნება $666^2/_3$ გირვ. სტერლინგი. მაგრამ, ნაცვლად ამისა, გაცვეთას ანგარიშობენ მხოლოდ 10 წელიწადზე, ე. ი. წარმოებულ საქონელთა ფასს ძირითადი კაპიტალის გაცვეთისათვის $666^2/_3$ გირვ. სტერლინგის ნაცვლად 1 000 გირვანქა სტერლინგს უმატებენ ყოველწლიურად, ე. ი. სარემონტო სამუშაოებისათვის და სხვ. იქმნება $333^1/_3$ გირვ. სტერლინგის რაოდენობის რეზერვი (რიცხვები 10 და 15 მხოლოდ მაგალითისთვისაა აღებული). მაშასადამე, ასეთი თანხა იხარჯება საშუალოდ რემონტზე, რათა ძირითადმა კაპიტალმა

15 წელიწადს გაძლოს. ანგარიშის ასეთი წესი, რასაკვირველია, ხელს არ უშლის იმას, რომ ძირითადი კაპიტალი და რემონტზე დახარჯული დამატებითი კაპიტალი სხვადასხვა კატეგორიებს შეადგენენ. ამგვარი ანგარიშის საფუძველზე ივარაუდება, მაგალითად, რომ ორთქლის გემების მოვლაშენაავისა და ანაზღაურების მინიმალური ხარჯების წანამატი 15%-ს შეადგენს წელიწადში, მაშასადამე, კვლავწარმოების დრო = $6^2/_3$ წელიწადს. 60-იან წლებში ინგლისის Peninsular and Oriental C°-ს მმართველობა საამისო ხარჯების ანაზღაურებას წლიურად 16% ანდომებდა, რაც $6^1/_3$ წლის კვლავწარმოების დროს შეესაბამება. რკინიგზებზე ორთქლმავლის არსებობის საშუალო ხანგრძლიობა შეადგენს 10 წელიწადს, მაგრამ, რემონტის ჩათვლით, გაცვეთა ივარაუდება $12^1/_2$%-ად, რასაც არსებობის ხანგრძლიობა 8 წელიწადზე ჩამოჰყავს. სამგზავრო და საბარგო ვაგონებისათვის გაცვეთა იანგარიშება 9%-ით, მაშასადამე, არსებობის ხანგრძლიობას განსაზღვრავენ $11^1/_9$ წლით.

კანონმდებლობა, როცა საქმე შეეხება სახლებისა და სხვა ისეთი ობიექტების დაქირავების ხელშეკრულებებს, რომელნიც მათი მესაკუთრეებისათვის ძირითად კაპიტალს შეადგენენ და მათ მიერ ქირით გაიცემიან როგორც ასეთნი, — ყოველთვის ცნობს განსხვავებას დროისა და ბუნების სტიქიის გავლენით და თვით ნორმალური ხმარებით გამოწვეულ ნორმალურ გაცვეთასა და იმ შემთხვევითი ხასიათის რემონტს შორის, რაც დროგამოშვებით საჭიროა სახლის არსებობის ნორმალური ხანგრძლიობისა და ამ სახლით ნორმალური სარგებლობის განმავლობაში. როგორც საერთო წესი, პირველი სახის რემონტი ეკისრება მესაკუთრეს, მეორე სახის რემონტი კი — დამქირავებელს. შემდეგ, რემონტი იყოფა ჩვეულებრივ რემონტად და კაპიტალურ რემონტად. უკანასკნელი წარმოადგენს ძირითადი კაპიტალის ნაწილობრივ განახლებას მისი ნატურალური ფორმით და იგი ეკისრება აგრეთვე მესაკუთრეს, თუ ხელშეკრულება ამის პირდაპირ საწინააღმდეგოს არ მოითხოვს. ასე, მაგალითად, ინგლისის სამართლის თანახმად:

«დამქირავებელი ვალდებულია მხოლოდ დაიცვას შენობები წლიდან წლამდე ისეთ მდგომარეობაში, რომ შიგ ქარი და წვიმა არ შედიოდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია კაპიტალური რემონტის ჩაუტარებლად; და საერთოდ იგი ვალდებულია მხოლოდ ისეთი შეკეთებისათვის იზრუნოს, რომელსაც შეიძლება ჩვეულებრივი ეწოდოს. მაგრამ ამ მხრივაც მხედველობაშია მისაღები შენობის სათანადო ნაწილების ხნოვანება და საერთო მდგომარეობა იმ მომენტში, როდესაც დამქირავებელმა ისინი ჩაიბარა: მის ვალდებულებას არ შეადგენს არც ძველი და გაცვეთილი მასალის შეცვლა ახლით და არც იმ გარდუვალი გაუ-

ფასურების ანაზღაურება, რაც დროისა და რეგულარული სარგებლობის შედეგად წარმოიშვება» (Holdsworth: «Law of Landlord and Tenant», გვ. 90, 91).

როგორც გაცვეთის ანაზღაურებისგან, ისე მოვლა-შენახვისა და შეკეთების სამუშაოთაგან სრულიად განსხვავებულია დაზღვევა; ეს უკანასკნელი შეეხება იმ განადგურებას, რაც გამოწვეულია ბუნების არაჩვეულებრივი მოვლენებით, ხანძრით, წყალდიდობით და სხვ. იგი უნდა იფარებოდეს ზედმეტი ღირებულებიდან და წარმოადგენს გამონაქვითს ამ ღირებულებიდან. ანუ, თუ საქმეს მთელი საზოგადოების თვალსაზრისით განვიხილავთ, ყოველთვის ადგილი უნდა ჰქონდეს ნამეტ წარმოებას, ე. ი. წარმოებას უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე საჭიროა არსებული სიმდიდრის უბრალო ანაზღაურებისა და კვლავწარმოებისათვის; ასეთი წარმოება, თუ მთლად მხედველობის გარეშე დავტოვებთ მოსახლეობის მატებას, აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოების განკარგულებაში მოიპოვებოდეს წარმოების საშუალებანი იმ არაჩვეულებრივი განადგურების დასაფარავად, რასაც შემთხვევითობანი და ბუნების ძალები იწვევენ.

ნამდვილად კი ასანაზღაურებლად აუცილებელი კაპიტალის მხოლოდ ფრიად მცირე ნაწილია ფულად სარეზერვო ფონდში მოქცეული. უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს თვით წარმოების მასშტაბის გაფართოება, რომელიც ნაწილობრივ ნამდვილი გაფართოება, ნაწილობრივ კი ნორმალური ოდენობაა წარმოების იმ დარგებისათვის, რომელნიც ძირითად კაპიტალს აწარმოებენ. ასე, მაგალითად, მანქანათმშენებელი ფაბრიკა იმ ანგარიშით შენდება, რომ ერთი მხრივ, მისი მუშტრების ფაბრიკები ყოველწლიურად გაფართოვდება, და რომ მეორე მხრივ, ამ ფაბრიკების ნაწილი მუდამ საჭიროებს მთლიან ან ნაწილობრივ კვლავწარმოებას.

როგორც გაცვეთის, ისე სარემონტო ხარჯების განსაზღვრისას საზოგადოებრივი საშუალო ნორმის მიხედვით ჩვენ ვპოვებთ აუცილებლად დიდ განსხვავებებს წარმოების ერთსა და იმავე დარგში დაბანდებული ტოლი კაპიტალებისთვისაც კი, რომელნიც სხვა მხრივ ერთნაირ პირობებში იმყოფებიან. პრაქტიკაში ასეა, რომ ერთი კაპიტალისტის ხელში მანქანა და სხვ. ძლებს საშუალო პერიოდზე უფრო დიდხანს, მეორის ხელში კი არ ძლებს ამდენხანს. რემონტის ხარჯები ერთს საშუალოზე მეტი აქვს, მეორეს — ნაკლები და სხვა. მაგრამ საქონლის ფასზე წანამატი, რომელიც გაცვეთითა და რემონტის ხარჯებით განისაზღვრება, ერთი და იგივეა: იგი საშუალო სიდიდის მიხედვით განისაზღვრება. ამრიგად, ამ წანამატით ფასზე ერთი მეტს იღებს,

ვიდრე მან ნამდვილად დახარჯა დამატებით, მეორე — ნაკლებს. ეს, ისე როგორც ყველა სხვა გარემოება, რომელიც, სამუშაო ძალის ერთნაირი ექსპლოატაციის არსებობისას, განსხვავებულს ხდის სხვადასხვა კაპიტალისტთა მოგებას წარმოების ერთსა და იმავე დარგში, აძნელებს ზედმეტი ღირებულების ჭეშმარიტი ბუნების გაგებას.

საზღვარი საკუთრივ რემონტსა და ანაზღაურებას შორის მოვლა-შენახვის ხარჯებსა და განახლების ხარჯებს შორის მეტად თუ ნაკლებად პირობითია. აქედან წარმოდგება მუდმივი დავა, მაგალითად, სარკინიგზო საქმეში, განსაზღვრული ხარჯები რემონტს წარმოადგენენ თუ — ანაზღაურებას, მიმდინარე ხარჯიდან უნდა მოხდეს მათი დაფარვა თუ — ძირითადი კაპიტალიდან. რემონტის ხარჯების მიკუთვნება კაპიტალის ანგარიშისათვის, ნაცვლად შემოსავლის ანგარიშისა, წარმოადგენს ცნობილ საშუალებას, რომლის დახმარებით რკინიგზის მმართველობანი ხელოვნურად მაღლა სწევენ თავიანთ დივიდენდებს. მაგრამ ამ დარგშიც გამოცდილებამ უკვე მოგვცა ყველაზე არსებითი საყრდენი პუნქტები. ასე, მაგალითად, დამატებითი სამუშაო რკინიგზის არსებობის პირველ პერიოდში «სრულიადაც არ წარმოადგენს რემონტს; მასში უნდა ვხედავდეთ გზის ნაგებობის არსებით ელემენტს, მაშასადამე, ასეთი სამუშაო უნდა დაეკისროს კაპიტალის ანგარიშს, რადგან იგი გამომდინარეობს არა გაცვეთიდან ან მოძრაობის ნორმალური მოქმედებიდან, არამედ გამოწვეულია გზის ნაგებობის თავდაპირველი და გარდუვალი არასრულყოფილობით» (Lardner l. c., გვ. 40). «პირიქით, ერთადერთი სწორი მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ თვითეული წლის შემოსავლის ანგარიშს დაეკისროს ის გაუფასურება, რომელიც აუცილებლად დაკავშირებული იყო იმასთან, რომ მოპოვებული ყოფილიყო ეს შემოსავალი, — სულ ერთია, ნამდვილადაა დახარჯული სათანადო თანხა თუ — არა» (Captain Fitzmaurice: «Committee of Inquiry on Caledonian Railway», გადაბეჭდილია: «Money Marker Review»-ში, 1867).

პრაქტიკულად შეუძლებელი და უმიზნო ხდება ძირითადი კაპიტალის შენახვისა და ანაზღაურების გამიჯვნა ერთიმეორისგან სოფლის მეურნეობაში, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ამ უკანასკნელს ორთქლის ძალა ჯერ კიდევ არ გამოუყენებია. «იარაღ-ინვენტარის (ყოველგვარი სამიწათმოქმედო და სხვა სამუშაო და სამეურნეო იარაღების) სრული, მაგრამ არა უზომოდ დიდი, კომპლექტის არსებობისას, ამ ინვენტარის ყოველწლიურ გაცვეთას და შენარჩუნების ხარჯებს არსებული პირობების განსხვავების შესაბამისად ჩვეულებრივ ანგარიშობენ საშუალოდ მის შესაძენად დახარჯული კაპიტალის 15—25%-ით»;

(Kirchhof: «Handbuch der landwirtschaftlichen Betriebslehre». Dessau, 1852, გვ. 137).

როდესაც საქმე რკინიგზის მოძრავ შემადგენლობას შეეხება, სრულიად შეუძლებელი ხდება რემონტისა და ანაზღაურების ერთიმეორისგან გამიჯვნა. «ჩვენ შევინარჩუნებთ ჩვენს მოძრავ შემადგენლობას იმ რაოდენობით, რომელიც გვაქვს. ორთქლმავლების რა რიცხვიც გვაქვს, იმას შევინარჩუნებთ. თუ დროთა ვითარებაში ორთქლმავალი ისე უვარგისი ხდება, რომ უფრო ხელსაყრელია ახალი ავაგოთ, მაშინ შემოსავლის ხარჯზე ჩვენ ვაშენებთ ახალს, და ამასთან, რასაკვირველია, შემოსავალში ვწერთ იმ მასალის ღირებულებას, რომელიც ძველი მანქანიდან რჩება... რჩება საკმაოდ ბევრი... ბორბლები, ღერძები, ქვაბი, ერთი სიტყვით, რჩება ძველი ორთქლმავლის კარგა დიდი ნაწილი» (T. Gooch: «Chairman of Great Western Railway C°», R. C., № 17327 — 29). — «რემონტი ნიშნავს განახლებას; ჩემთვის სიტყვა «ანაზღაურება» არ არსებობს;... რაკი ერთხელ იყიდა რკინიგზის საზოგადოებამ ვაგონი ან ორთქლმავალი, მან ისინი ისე უნდა შეაკეთოს ხოლმე, რომ მათ სამუდამოდ შეეძლოთ სამსახური» (17784). «ორთქლმავლის ხარჯს ჩვენ ვანგარიშობთ $8^1/_2$ პენსს განარბენ ინგლისურ მილზე. ამ $8^1/_2$ პენსით ჩვენ ძალგვიძს სამუდამოდ შევინარჩუნოთ ორთქლმავლები. ჩვენ განვაახლებთ მანქანებს. თუ თქვენ მოინდომებთ მანქანის ხელახლა ყიდვას, მეტ ფულს დახარჯავთ, ვიდრე საჭიროა... ძველ მანქანაში ყოველთვის გამოინახება ორიოდე ბორბალი, ღერძი ან სხვა გამოსადეგი ნაწილი და ეს შესაძლებლობას იძლევა უფრო იაფად ავაგოთ მანქანა, რომელიც ისეთივე კარგი იქნება, როგორც სრულიად ახალი» (17790). «ახლა მე ყოველ კვირაში ვაწარმოებ ახალ ორთქლმავალს, ე. ი. ახალსავით კარგს, იმიტომ რომ მასში ქვაბი, ცილინდრი ან ჩარჩო ახალია» (17823. Archibald Sturrock: «Locomotive Superintendent of Great Northern Railway», R. C.-ში, 1867).

იგივე ითქმის ვაგონების შესახებაც: «დროთა ვითარებაში ორთქლმავლებისა და ვაგონების მარაგი განუწყვეტლივ განახლებას განიცდის; ხან ახალი ბორბლები ჩამოიცმის, ხან ახალი ჩარჩო კეთდება. ის ნაწილები, რომლებზედაც დამყარებულია მოძრაობა და რომლებიც ყველაზე უფრო განიცდიან გაცვეთას, თანდათან განახლდება; ამგვარად, მანქანები და ვაგონები შეიძლება იმდენჯერ შეკეთდნენ, რომ ბევრ მათგანში ძველი მასალის ნასახიც კი არ დარჩეს... მაშინაც კი, როდესაც ისინი სულ მთლად გამოუსადეგნი გახდებიან რემონტისათვის, ძველი ვაგო-

ნებიდან და ორთქლმავლებიდან ამოირჩევა ცალკეული ნაწილები და, ამრიგად, ისინი რკინიგზისათვის სულ მთლად არასოდეს არ იკარგებიან. ამიტომ მოძრავი კაპიტალი განუწყვეტელი კვლავწარმოების მდგომარეობაში იმყოფება; რაც რკინიგზის ლიანდაგისათვის ერთბაშად უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დროს, — სახელდობრ, როდესაც მთელი ხაზი ხელახლა დაიგება, — ის მოძრავი შემადგენლობისათვის სრულდება თანდათანობით, წლიდან წლამდე. მოძრავი შემადგენლობის არსებობა ხანგრძლივია, იგი განუწყვეტლივ გაახალგაზრდავებას განიცდის» (Lardner l. c., გვ. 115, 116).

ეს პროცესი, როგორც მას აქ ლარდნერი გვიხატავს რკინიგზის მიმართ, არ შეეფერება ცალკეულ ფაბრიკას, მაგრამ იგი გვაძლევს ძირითადი კაპიტალის გახუწყვეტელი, ნაწილობრივი, რემონტთან გადაბმული კვლავწარმოების სურათს მრეწველობის რომელიმე მთლიანად აღებულ დარგში, ან საერთოდ ერთობლივი წარმოების ფარგლებში, თუ ამ წარმოებას საზოგადოებრივი მასშტაბით განვიხილავთ.

აი კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, თუ რაოდენ ფართოდ შეუძლიათ მოქნილ გამგეობებს რემონტისა და ანაზღაურების ცნებებით თაღლითური თამაში დივიდენდების მისაღებად. რ. პ. ვილიამსის ზემოაღნიშნული მოხსენების თანახმად, ინგლისის რკინიგზის სხვადასხვა საზოგადოებანი მთელი რიგი წლებისათვის საშუალოდ შემდეგ თანხებს ჩამოსწერდნენ ხოლმე შემოსავლის ანგარიშიდან გზის ლიანდაგის და შენობების რემონტისა და შენარჩუნების ხარჯებისათვის (ყოველწლიურად გზის სიგრძის თვითეულ ინგლისურ მილზე):

London and North Western . . .	370	გირვ.	სტერლ.
Midland	225	«	»
London and South Western . . .	257	«	«
Great Northern	360	«	«
Lancaschire and Yorkshire . . .	377	«	«
South Eastern	263	«	«
Brighton	266	«	«
Manchester and Sheffield	200	«	«

ამ განსხვავებათა მხოლოდ მეტისმეტად მცირე ნაწილი გამომდინარეობს ნამდვილად გაღებული ხარჯების სხვაობიდან; ეს განსხვავებანი წარმოდგებიან თითქმის მხოლოდ და მხოლოდ გამოანგარიშების განსხვავებული წესიდან, — იქიდან, თუ სად გაატარებენ ამ ხარჯების მუხლებს: კაპიტალის ანგარიშში თუ შემოსავლის ანგარიშში. ვილიამსი

პირდაპირ ამბობს: «ხარჯის უფრო მცირე ციფრი ივარაუდება იმიტომ, რომ ეს საჭიროა კარგი დივიდენდისათვის, და უფრო დიდი ციფრი გამოიყენებენ იმიტომ, რომ არის უფრო დიდი შემოსავალიც, რომელსაც ამის ატანა შეუძლია».

გარკვეულ შემთხვევებში გაცვეთა და, მაშასადამე, მისი ანაზღაურებაც ისეთ სიდიდედ იქცევა, რომელიც პრაქტიკულად ნულს უახლოვდება, ასე რომ ანგარიშში მარტოოდენ რემონტის ხარჯები მიიღება. ის, რასაც ლარდნერი ამბობს ქვემოთ works of art — ის შესახებ რკინიგზებზე, შეეხება საერთოდ ყველა ისეთ მტკიცე ნაგებობას, როგორიცაა არხები, დოკები, რკინისა და ქვის ხიდები და სხვ. «გაცვეთა, რომელიც დროის ხანგრძლივი მოქმედების გამო თავს იჩენს უფრო გამძლე ნაგებობაშიც, თითქმის შეუმჩნევლად მოქმედებს შედარებით მოკლე პერიოდების განმავლობაში; მაგრამ ხანგრძლივი დროის, მაგალითად, საუკუნეების, გასვლის შემდეგ იგი აუცილებელს ხდის განახლებას, სრულს ან ნაწილობრივს, უაღრესად გამძლე ნაგებობისათვისაც კი. ეს შეუმჩნეველი გაცვეთა, გზის სხვა ნაწილების უფრო შესამჩნევ გაცვეთასთან შეფარდებით, შეიძლება შევადაროთ საუკუნეობრივ და პერიოდულ უთანაბრობას სამყაროს სხეულთა მოძრაობაში. დროის მოქმედება გზის უფრო მტკიცე ნაგებობებზე—ხიდებზე, გვირაბებზე, გადასასვლელებზე და სხვ. — იძლევა იმის მაგალითს, თუ რას შეიძლება ეწოდოს საუკუნეობრივი გაცვეთა. უფრო სწრაფი და შესამჩნევი გაუფასურება, რომლის გამოსწორება უფრო მოკლე პერიოდებში ხდება რემონტისა და ანაზღაურების გზით, პერიოდული უთანაბრობის ანალოგიურია. ყოველწლიური რემონტის ხარჯებში შედის იმ შემთხვევითი დაზიანების ანაზღაურებაც, რასაც დროგამოშვებით განიცდის გარეგანი მხარე შედარებით გამძლე ნაგებობისაც კი; მაგრამ ასეთი რემონტისგან დამოუკიდებლადაც ხანი ისე არ გადის, რომ ამგვარ ნაგებობაზე გავლენა არ იქონიოს, და ბოლოს და ბოლოს უნდა დადგეს მომენტი, რაგინდ შორსაც არ უნდა იყოს ივი, როდესაც ნაგებობის მდგომარეობა ახლად აგებას მოითხოვს. რაც შეეხება საქმის ფინანსურ და ეკონომიურ მხარეს, რა თქმა უნდა, ეს დრო შეიძლება შეტისმეტად დაშორებული იყოს, რის გამო ჩვენ მას მხედველობაში ვერ მივიღებთ პრაქტიკული ანგარიშის დროს» (Lardner, l. c., გვ. 38, 39).

ეს შეეხება ყველა საუკუნო გამძლეობის ისეთ ნაგებობას, სადაც, მაშასადამე, ავანსებული კაპიტალი არაა იმ ნაგებობათა გაცვეთის შესაბამისად თანდათანობით ასანაზღაურებელი, არამედ მხოლოდ წე-

სიერ მდგომარეობაში შენახვისა და რემონტის ყოველწლიური საშუალო ხარჯებია გადასატანი პროდუქტის ფასზე.

თუმცა, როგორც დავინახეთ, იმ ფულის დიდი ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად ან უფრო მოკლე პერიოდებშიც კი უკან ბრუნდება ძირითადი კაპიტალის ასანაზღაურებლად, ხელახლა უკუგარდაიქმნება ამ კაპიტალის ნატურალურ ფორმად, მაგრამ მაინც ყოველი ცალკეული კაპიტალისტისათვის აუცილებელია საამორტიზაციო ფონდი ძირითადი კაპიტალის იმ ნაწილისათვის, რომლისთვისაც მხოლოდ წლების გასვლის შემდეგ დადგება ერთბაშად კვლავწარმოების ვადა და რომელიც მაშინ მთლიანად შენაცვლებულ უნდა იქნეს. ძირითადი კაპიტალის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი უკვე თავისი თვისების გამო გამორიცხავს ნაწილობრივ კვლავწარმოებას. გარდა ამისა, როცა ნაწილობრივი კვლავწარმოება ისეთი წესით ხდება, რომ ძირითადი კაპიტალის გაუფასურებელ შედგენილობას მოკლე ინტერვალებში ახალი მიემატება, მაშინ აუცილებელია, წარმოების დარგის საეციფიკური ხასიათის მიხედვით, ფულის წინასწარი დაგროვება მეტი თუ ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ეს ანაზღაურება შესაძლებელი გახდებოდეს. ამისათვის არა კმარა ყოველი ფულადი თანხა, — ამისათვის განსაზღვრული ოდენობის ფულადი თანხაა საჭირო.

თუ ჩვენ ამას ისე განვიხილავთ, რომ ფულის მარტივ მიმოქცევას ვიგულისხმებთ და სრულიად მიედველობაში არ მივიღებთ საკრედიტო სისტემას, რომელიც შემდგომ იქნება გარკვეული, — მაშინ მოძრაობის მექანიზმი ასეთია: პირველ წიგნში (თავი III, 3a) ნაჩვენები ,იყო, რომ თუ საზოგადოებაში არსებული ფულის ერთი ნაწილი მუდამ უქმად ძევს განძის სახით, ხოლო მეორე ნაწილი მოქმედებს როგორც მიმოქცევის საშუალება, ან როგორც ნამდვილად მიმოქცევაში მყოფი ფულის უშუალო სარეზერვო ფონდი, მაშინ მუდმივ ცვლილებას განიცდის ის პროპორცია, რომლის მიხედვითაც ფულის ერთობლივი მასა ნაწილდება განძად და მიმოქცევის საშუალებად. ფული, რომელიც ჩვენს მაგალითში შედარებით მსხვილმა კაპიტალისტმა უნდა დააგროვოს საკმაოდ დიდი ოდენობის განძის სახით, ძირითადი კაპიტალის შესყიდვისას ერთბაშად გადაისროლება მიმოქცევაში. შემდეგ თვით ეს ფული ხელახლა დანაწილდება საზოგადოებაში მიმოქცევის საშუალებად და განძად. ამორტიზაციის ფონდის მეოხებით, რომელშიც ძირითადი კაპიტალის გაცვეთის შესაბამისად ამ კაპიტალის ღირებულება თავის ამოსავალ პუნქტს უკან უბრუნდება, — მიმოქცევაში მყოფი ფულის ნაწილი მეტნაკლებ ხანგრძლივი დროისათვის კვლავ შეადგენს განძს იმავე კაპიტალისტის ხელში, რომლის განძიც ძირი-

თადი კაპიტალის შესყიდვისას მიმოქცევის საშუალებად გადაიქცა და მისგან წავიდა. ჩვენ თვალწინ გვაქვს აქ მუდამ ცვალებადი განაწილება საზოგადოებაში არსებული განძისა, რომელიც რიგრიგობით მოქმედებს როგორც მიმოქცევის საშუალება და შემდეგ კვლავ განძის სახით გამოცალკევდება მიმოქცევაში მყოფი ფულის მასიდან. საკრედიტო სისტემის განვითარებასთან ერთად, რაც აუცილებლად მსხვილი მრეწველობისა და კაპიტალისტური წარმოების განვითარების პარალელურად მიმდინარეობს, ფული მოქმედებს უკვე არა როგორც განძი, არამედ როგორც კაპიტალი, მაგრამ — არა მისი მესაკუთრის ხელში, არამედ სხვა კაპიტალისტთა ხელში, რომელთა განკარგულებაშიც იგი გადადის.

თავი მეცხრე

ავანსებული კაპიტალის ერთობლივი გადაბრუნება. გადაბრუნების ციკლები

ჩვენ დავინახეთ, რომ მწარმოებლური კაპიტალის ძირითადი და საბრუნავი შემადგენელი ნაწილები სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა პერიოდებში გადაბრუნდება, და რომ ერთსა და იმავე საწარმოში მყოფი ძირითადი კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს ასევე გადაბრუნების სხვადასხვა პერიოდები აქვთ, მათი არსებობის, მაშასადამე, კვლავწარმოების, ხანგრძლიობის მიხედვით. (ერთსა და იმავე საწარმოში მყოფი საბრუნავი კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების გადაბრუნებაში ნამდვილი თუ მოჩვენებითი სხვადასხვაობის შესახებ იხ. ამ თავის ბოლოს 6 პუნქტში).

1. ავანსებული კაპიტალის ერთობლივი გადაბრუნება მისი სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების საშუალო გადაბრუნებაა; გამოანგარიშების წესი ქვემოთ არის აღნიშნული. რამდენადაც საქმე მხოლოდ დროის სხვადასხვა პერიოდს შეეხება, იმათგან საშუალოს გამოყვანაზე უფრო ადვილი, რასაკვირველია, არა არის რა; მაგრამ:

2. აქ ადგილი აქვს არა მარტო თვისებრივ განსხვავებას, არამედ რაოდენობრივსაც.

წარმოების პროცესში შემავალ საბრუნავ კაპიტალს პროდუქტზე გადააქვს მთელი თავისი ღირებულება და ამიტომ, რათა წარმოების პროცესი შეუწყვეტლად მიმდინარეობდეს, მუდამ უნდა ხდებოდეს მისი ანაზღაურება in natura პროდუქტის გაყიდვის გზით. წარმოების პროცესში შემავალ ძირითად კაპიტალს თავისი ღირებულების მხოლოდ ნაწილი (გაცვეთა) გადააქვს პროდუქტზე და, მიუხედავად გაცვეთისა, განაგრძობს მოქმედებას წარმოების პროცესში; ამიტომ იგი მხოლოდ

მეტნაკლებ ხანგრძლივ ინტერვალებში, ყოველ შემთხვევაში არა ისე ხშირად, როგორც საბრუნავი კაპიტალი, საჭიროებს in natura შენაცვლებას. შენაცვლების ეს აუცილებლობა, კვლავწარმოების ვადა, მარტო თვისებრივად როდია სხვადასხვა ძირითადი კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილებისათვის: როგორც ჩვენ ვნახეთ, უფრო ხანგრძლივად გამძლე, მრავალწლოვანი ძირითადი კაპიტალის ნაწილი ყოველ წელიწადს ან უფრო მოკლე ინტერვალებშიც შეიძლება ანაზღაურდეს და in natura მიემატოს ძველ ძირითად კაპიტალს; რაც შეეხება სხვა თვისების მქონე ძირითად კაპიტალს, მისი შენაცვლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთბაშად, მისი არსებობის ვადის გასვლისას.

ამიტომ საჭიროა ძირითადი კაპიტალის სხვადასხვა ნაწილის სხვადასხვა განსაკუთრებული გადაბრუნება დავიყვანოთ გადაბრუნების ერთგვაროვან ფორმამდე, ასე რომ ისინი ერთმეორისგან მხოლოდ რაოდენობრივად, გადაბრუნების ხანგრძლიობის მხრივ განსხვავდებოდნენ.

ამ თვისებრივ იგივეობას ადგილი არა აქვს, თუ ჩვენ ამოსავალ პუნქტად ავიღებთ განუწყვეტელი წარმოების პროცესის ₩...₩ ფორმას; ეს იმიტომ, რომ ₩-ის განსაზღვრული ელემენტები ყოველთვის უნდა განახლდეს in natura, სხვები კი — არა. მაგრამ ფორმა ₩...₩′ უეჭველად იძლევა გადაბრუნების ამ იგივეობას. ავიღოთ, მაგალითად, 10 000 გირვ. სტერლინგად ღირებული მანქანა, რომელიც 10 წელიწადს ძლებს და რომლიდანაც, მაშასადამე, ყოველწლიურად $^1/_{10} = 1\,000$ გირვ. სტერლ. უკუგარდაიქმნება ფულად. ეს 1 000 გირვ. სტერლ. ერთი წლის განმავლობაში გარდაიქმნა ფულადი კაპიტალიდან მწარმოებლურ კაპიტალად, შემდეგ საქონლურ კაპიტალად და ამ უკანასკნელიდან ისევ ფულად კაპიტალად. იგი თავის თავდაპირველ ფულად ფორმას დაუბრუნდა როგორც საბრუნავი კაპიტალი, — თუ ამ უკანასკნელს ჩვენ ამ ფორმაში განვიხილავთ, — და ახლა სავსებით სულ ერთია, უკუგარდაიქმნება წლის ბოლოს 1 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობის ფულადი კაპიტალი ისევ რომელიმე მანქანის ნატურალურ ფორმად თუ არა. ავანსებული მწარმოებლური კაპიტალის ერთობლივი გადაბრუნების გამოანგარიშებისას ჩვენ, ამიტომ, ყველა მისი ელემენტის ფიქსაციას ვახდენთ ფულად ფორმაში, ასე რომ ფულად ფორმასთან უკუდაბრუნება გადაბრუნების დამთავრებას წარმოადგენს. ჩვენ იმ ვარაუდიდან გამოვდივართ, რომ ღირებულება ყოველთვის ფულის სახითაა ავანსებული, თუნდაც რომ საქმე შეეხებოდეს განუწყვეტელ წარმოების პროცესს, როდესაც ღირებულების ეს ფულადი ფორმა მხოლოდ საანგარიშო ფულის ფორმას წარმოადგენს. ამ წესით ჩვენ შეგვიძლია საშუალო სიდიდე გამოვიყვანოთ.

3. აქედან გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ავანსებული მწარმოებლური კაპიტალის გაცილებით დიდი ნაწილი შედგება ძირითადი კაპიტალისაგან, რომლის კვლავწარმოების, მაშასადამე, გადაბრუნების დროც მრავალწლოვან ციკლს მოიცავს, — მაინც წლის განმავლობაში გადაბრუნებული კაპიტალღირებულება შეიძლება უფრო დიდი იყოს, ვიდრე ავანსებული კაპიტალის ერთობლივი ღირებულება, რაც იმის შედეგია, რომ საბრუნავი კაპიტალი წლის განმავლობაში რამდენჯერმე გადაბრუნდება.

ვთქვათ, ძირითადი კაპიტალი = 80 000 გირვ. სტერლინგს, მისი კვლავწარმოების დრო = 10 წელიწადს, ასე რომ 8 000 გირვ. სტერლ. ყოველწლიურად უკან უბრუნდება თავის ფულად ფორმას, ანუ ძირითადი კაპიტალი ასრულებს წელიწადში თავისი გადაბრუნების $^1/_{10}$-ს. საბრუნავი კაპიტალი უდრის, ვთქვათ, 20 000 გირვ. სტერლინგს და წელიწადში ხუთ გადაბრუნებას ასრულებს. მაშასადამე, ერთობლივი კაპიტალი = 100 000 გირვ. სტერლ.; გადაბრუნებული ძირითადი კაპიტალი = 8 000 გირვ. სტერლ.; გადაბრუნებული საბრუნავი კაპიტალი = 20 000 × 5 = 100 000 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, წლის განმავლობაში გადაბრუნებული კაპიტალი = 108 000 გირვ. სტერლ.,— ავანსებულ კაპიტალზე 8 000 გირვ. სტერლინგით მეტია. გადაბრუნდა კაპიტალის $1 + \frac{2}{25}$.

4. ნაშასადამე, ავანსებული კაპიტალის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გ ა დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა გამოცალკევდება მისი ნამდვილი კვლავწარმოების დროისგან, ანუ მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილების რეალური გადაბრუნების დროისაგან. მაგალითად, ვთქვათ 4 000 გირვ. სტერლ. რაოდენობის კაპიტალი გადაბრუნდება წელიწადში ხუთჯერ. ამ შემთხვევაში გადაბრუნებული კაპიტალი = 4 000 × 5 = 20 000 გირვ. სტერლინგს. მაგრამ ის, რაც ყოველი გადაბრუნების შემდეგ უკან ბრუნდება, რათა ხელახლა დაავანსდეს, სხვა არაფერია, თუ არა თავდაპირველად ავანსებული კაპიტალი 4 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. მისი სიდიდე არ იცვლება გადაბრუნების პერიოდების რიცხვის გამო, რომელთა განმავლობაში იგი ხელახლა მოქმედებს როგორც კაპიტალი (ზედმეტ ღირებულებას მხედველობაში არ ვიღებთ).

ამრიგად, მე-3 პუნქტის მაგალითში, ნავარაუდევის თანახმად, წლის ბოლოს უკან დაბრუნდა კაპიტალისტის ხელში: ა) ღირებულების თანხა 20 000 გირვ. სტერლინგისა, რასაც იგი ხელახლა ხარჯავს კაპიტა-

ლის საბრუნავ შემადგენელ ნაწილებზე და b) თანხა 8 000 გირვ. სტერლინგისა, რომელიც გაცვეთის გამო მოსცილდა ავანსებული ძირითადი კაპიტალის ღირებულებას; ამასთან იგივე ძირითადი კაპიტალი უწინდებურად განაგრძობს არსებობას წარმოების პროცესში, მაგრამ მისი ღირებულება 80 000 გირვ. სტერლინგიდან შემცირდა 72 000 გირვ. სტერლინგამდე. ამრიგად, საჭიროა წარმოების პროცესის განგრძობა კიდევ ცხრა წლის განმავლობაში, ვიდრე ავანსებული ძირითადი კაპიტალი თავის დროს მოჭამს, ამოწურავს თავის მოქმედებას როგორც პროდუქტისა და ღირებულების შემქმნელი ფაქტორი და საჭირო გახდება მისი განახლება. მაშასადამე, ავანსებულმა კაპიტალ-ღირებულებამ უნდა შეასრულოს გადაბრუნებათა განსაზღვრული ციკლი, მაგალითად, ამ შემთხვევაში ათწლიურ გადაბრუნებათა ციკლი,— და თანაც ამ ციკლს განსაზღვრავს გამოყენებული ძირითადი კაპიტალის არსებობის ხანგრძლიობა, მაშასადამე, მისი კვლავწარმოების დრო ანუ გადაბრუნების დრო.

ამრიგად, რა ოდენობითაც იზრდება კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად გამოყენებული ძირითადი კაპიტალის ღირებულების ოდენობა და არსებობის ხანგრძლიობა, იმავე ოდენობით ვითარდება მრეწველობისა და სამრეწველო კაპიტალის სიცოცხლე დაბანდების თვითეულ განსაკუთრებულ დარგში მრავალწლიურ სიცოცხლედ, — ვთქვათ, საშუალო ანგარიშით ათწლიურ სიცოცხლედ. თუ, ერთი მხრივ, ძირითადი კაპიტალის განვითარება ახანგრძლივებს ამ სიცოცხლეს, მეორე მხრივ, ეს უკანასკნელი მოკლდება იმ მუდმივი გადატრიალების გამო, რაც წარმოების საშუალებებში ხდება და რაც კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად აგრეთვე მუდამ მატულობს. ამასთან დაკავშირებულია წარმოების საშუალებათა ცვლილებაც და მათი მუდმივი განახლების აუცილებლობაც, იმის გამო, რომ ისინი ბევრად უფრო ადრე გაცვდებიან მორალურად, ვიდრე ფიზიკურად თავიანთ დროს მოსჭამდნენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსხვილი მრეწველობის გადამწყვეტ დარგებში სიცოცხლის ეს ციკლი ამჟამად საშუალოდ ათ წელიწადს შეადგენს. მაგრამ საქმე აქ განსაზღვრულ რიცხვში როდია. ყოველ შემთხვევაში ცხადია შემდეგი: მთელი რიგი წლების მომცველ, ერთმანეთთან დაკავშირებულ გადაბრუნებათა ამ ციკლში, რომლებშიაც კაპიტალი ჩაბმულია თავისი ძირითადი შემადგენელი ნაწილით, მოცემულია პერიოდული კრიზისების მატერიალური საფუძველი, სადაც მოსაქმეობა (Geschäft) თანმიმდევრობით განიცდის შესუსტების, საშუალო გაცხოველების, მძაფრი გაქანებისა და კრიზისის პერიოდებს. თუმცა პერიოდები,

როდესაც კაპიტალის დაბანდება ხდება, ფრიად სხვადასხვაა და სრულიად არ ემთხვევიან ერთმანეთს, მაგრამ მაინც კრიზისი ყოველთვის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს კაპიტალის ახალი დიდი დაბანდებისათვის. მაშასადამე, თუ განვიხილავთ მთლიანად აღებულ საზოგადოებას, კრიზისი ქმნის მეტად თუ ნაკლებად ახალ მატერიალურ საფუძველს გადაბრუნებათა შემდგომი ციკლისათვის [22]a.

5. გადაბრუნების გამოანგარიშების წესის შესახებ ვალაპარაკოთ ერთი ამერიკელი ეკონომისტი.

«წარმოების ზოგ დარგში მთელი ავანსებული კაპიტალი რამდენჯერმე გადაბრუნდება, ანუ მიმოიქცევა წლის განმავლობაში; ზოგ სხვა დარგში ერთი ნაწილი გადაბრუნდება ერთჯერ და უფრო მეტად, მეორე ნაწილი კი არ გადაბრუნდება ასე ხშირად. კაპიტალისტმა თავისი მოგება უნდა გამოიანგარიშოს იმ საშუალო პერიოდის მიხედვით, რომელიც სჭირდება მთელ მის კაპიტალს მის ხელში გასავლელად, ე. ი. ერთხელ გადასაბრუნებლად. ვთქვათ, ვინმემ გასაზღვრულ საწარმოში თავისი კააიტალის ნახევარი დააბანდა შენობებსა და მანქანებში, რომელთა განახლება ათ წელიწადში ერთხელ ხდება; ერთი მეოთხედი — იარაღებში და სხვ., რომელთა განახლება ორ წელიწადში ხდება, ხოლო უკანასკნელი მეოთხედი, რასაც იგი ხელფასსა და ნედლ მასალაზე ხარჯავს, ორჯერ გადაბრუნდება წელიწადში. მთელი მისი კაპიტალი, ვთქვათ, 50 000 დოლარს უდრის. ამ შემთხვევაში მისი წლიური დანახარჯი შეადგენს:

$\frac{50\,000}{2} = 25\,000$ დოლ. 10 წელიწადში $= 2\,500$ დოლ. 1 წელიწადში.

$\frac{50\,000}{4} = 12\,500$ « 2 « $= 6\,250$ « 1 «

$\frac{50\,000}{4} = 12\,500$ « $^1/_2$ « $= 25\,000$ « 1 «

1 წელიწადში $= 33\,750$ დოლარს

შაშასადამე, საშუალო დრო, რომლის განმავლობაშიც მთელი მისი კაპიტალი ერთხელ გადაბრუნდება, შეადგენს 16 თვეს... ავიღოთ მეორე

22 a «ყველაზე» წარმოება დაკავშირებულია გადაბრუნებასთან, რომელიც რამდენიმე დღეს მოიცავს, სასოფლო წარმოება კი, პირიქით, ისეთ გადაბრუნებასთან არის დაკავშირებული, რომელიც წლებს მოიცავს» (Adam G. Müller: «Die Elemente der Staatskunst». Berlin 1809, III, გვ. 178). ასეთია რომანტიკის გულუბრყვილო წარმოდგენა მრეწველობასა და მიწათმოქმედებაზე.

შემთხვევა: ვთქვათ, მთელი კაპიტალის — 50 000 დოლარის — ერთი მეოთხედი გადაბრუნდება 10 წელიწადში, მეორე მეოთხედი — 1 წელიწადში, დანარჩენი ნახევარი — ორჯერ წელიწადში. ამ შემთხვევაში წლიური დანახარჯი იქნება:

12 500 : 10 = 1 250 დოლ.
12 500 = 12 500
25 000 × 2 = 50 000

1 წელიწადში გადაბრუნებული = 63 750 დოლარს.

(Scrope: «Political Economy», გამომც. Alonzo Potter, New York 1841, გვ. 141, 142).

6. ნამდვილი და მოჩვენებითი სხვაობანი კაპიტალის სხვადასხვა ნაწილების გადაბრუნებაში. — იგივე სკროპი იქვე ამბობს: «კაპიტალი, რომელსაც მეფაბრიკე, მიწის მეპატრონე ან ვაჭარი ხელფასის გასასტუმრებლად ხარჯავს, ყველაზე უფრო სწრაფად მიმოიქცევა, რადგან ეს კაპიტალი, თუ ხელფასის გასტუმრება ყოველკვირეულად წარმოებს, შეიძლება ერთხელ გადაბრუნდეს კვირაში იმის საშუალებით, რომ გაყიდვიდან თუ განაღდებული ანგარიშებიდან შემოსავლის მიღება ასევე ყოველკვირეულად ხდება. ნედლეულზე ან მზა საქონლის მარაგზე დახარჯული კაპიტალი უფრო ნაკლები სისწრაფით მიმოიქცევა; ის შეიძლება ორჯერ ან ოთხჯერ გადაბრუნდეს წელიწადში, იმის მიხედვით, თუ რამდენი დრო გადის ნედლეულის ყიდვასა და საქონლის გაყიდვას შორის, — ჩვენ ვგულისხმობთ, რომ კრედიტის ვადა ყიდვისას და გაყიდვისას ერთნაირია. იარაღებსა და მანქანებში მოქცეული კაპიტალი კიდევ უფრო ნელა მიმოიქცევა, იმიტომ. რომ იგი, შეიძლება, ხუთ ან ათ წელიწადში მხოლოდ ერთხელ გადაბრუნდება. ე. ი. მოიხმარება და განახლდება; თუმცა ზოგი იარაღის მოხმარება უკვე ერთი რიგი ოპერაციების დამთავრებისას სავსებით ამოწურულია. კაპიტალი, რომელიც დახარჯულია შენობებზე, ფაბრიკებზე, საწყობებზე, ბეღლებზე, შარაგზებზე, სარწყავ ნაგებობებზე და სხვ., ერთი შეხედვით თითქოს სრულიად არ მიმოიქცევა. მაგრამ სინამდვილეში ეს ნაგებობანიც, რომელნიც ხელს უწყობენ წარმოებას, სავსებით ისევე ცვდებიან, როგორც წინათ ხსენებულნი; ამიტომ ისინი საჭიროებენ კვლავწარმოებას, რათა მწარმოებელს შეეძლოს თავისი ოპერაციების განგრძობა. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მათი მოხმარება და კვლავწარმოება უფრო ნელა ხდება, ვიდრე სხვა და-

ნარჩენების... მათში დაბანდებული კაპიტალი გადაბრუნდება, შესაძლოა, მხოლოდ 20 ან 50 წელიწადში» [გვ. 141 — 142].

სკროპი აქ იმ განსხვავებას საბრუნავი კაპიტალის განსაზღვრული ნაწილების მოძრაობაში, რომელიც ცალკეული კაპიტალისტისათვის გადახდის ვადებითა და საკრედიტო ურთიერთობითაა გაპირობებული, ურევს კაპიტალის ბუნებიდან გამომდინარე გადაბრუნებათა განსხვავებაში. იგი ამბობს, რომ ხელფასის გადახდა ყოველკვირეულად უნდა ხდებოდეს გაყიდვიდან ან ანგარიშების განაღდებიდან მიღებული ყოველკვირეული შემოსავლიდანო. ჯერ ერთი, აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ხელფასის მიმართ ადგილი აქვს განსხვავებებს გადახდის ვადის ხანგრძლიობის მიხედვით, ე. ი. იმ დროის ხანგრძლიობის მიხედვით, რომლის განმავლობაშიც მუშამ უნდა დააკრედიტოს კაპიტალისტი, მაშასადამე, იმის მიხედვით, თუ როგორია ხელფასის გადახდის ვადა: კვირეული, თვიური, სამთვიური, ნახევარწლიური და სხვ. აქ ძალაშია წინათ განვითარებული კანონი: «გადახდის საშუალებათა (ე. ი. ერთბაშად ავანსად გასაღები ფულადი კაპიტალის) საჭირო მასა შებრუნებულ შეფარდებაშია გადახდის პერიოდების ხანგრძლიობასთან» (წიგნი I, თავი III, 3 b). [შეად. კ. მ ა რ ქ ს ი: «კაპიტალი», ტ. I, ქართ, გამოც, 1954 წ., გვ. 182].

მეორე: კვირეულ პროდუქტში შედის არა მარტო მთელი ის ახალი ღირებულება, რაც მისი წარმოებისას ამ კვირის განმავლობაში გაწეული შრომითაა მიმატებული, არამედ იმ ნედლეულისა და დამხმარე მასალათა ღირებულებაც, რომლებიც ამ ერთი კვირის პროდუქტს მოხმარდა. პროდუქტთან ერთად მიმოიქცევა მასში მოქცეული ეს ღირებულებაც. ამ პროდუქტის გაყიდვის გამო იგი იღებს ფულად ფორმას და ახლა ისევ წარმოების იმავე ელემენტებად უნდა გადაიქცეს. ეს ერთნაირად შეეხება როგორც სამუშაო ძალას, ისე ნედლეულსა და დამხმარე მასალასაც. მაგრამ ჩვენ უკვე დავინახეთ (თავი VI, II, I) რომ წარმოების უწყვეტობა მოითხოვს წარმოების საშუალებათა მარაგს, განსხვავებულს წარმოების სხვადასხვა დარგისათვის, ასევე განსხვავებულს წარმოების ერთისა და იმავე დარგის საბრუნავი კაპიტალის ელემენტის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილებისათვის, მაგალითად, ნახშირისა და ბამბისათვის. ამიტომ, თუმცა ამ მასალების ანაზღაურება in natura მუდამ უნდა ხდებოდეს, მაგრამ აუცილებელი არაა განუწყვეტლივ ხდებოდეს მათი ხელახალი ყიდვა. თუ რაოდენ ხშირად განმეორდება ყიდვა, ეს დამოკიდებულია დამზადებული მარაგის სიდიდეზე და იმაზე, თუ რამდენხანს კმარა იგი, ვიდრე არ გამოილევა.

რაც შეეხება სამუშაო ძალას, აქ ასეთი მარაგის შექმნას ადგილი არა აქვს. ფულად უკუგარდაქმნა კაპიტალის იმ ნაწილისათვის, რომელიც შრომაზეა დახარჯული, ხელიხელჩაკიდებული მიმდინარეობს იმ ნაწილის უკუგარდაქმნასთან, რომელიც დამამარე მასალასა და ნედლეულზეა დახარჯული. მაგრამ ფულის უკუგარდაქმნა, ერთი მხრივ, სამუშაო ძალად და, მეორე, მხრივ, ნედლ მასალად ერთიმეორისგან განცალკევებულად წარმოებს, იმიტომ, რომ ამ ორი შემადგენელი ნაწილის ყიდვისა და გადახდის ვადები სხვადასხვაა: მათგან ერთის, როგორც საწარმოო მარაგის, ყიდვა ხდება შედარებით გრძელ ვადებში, მეორისა კი, სამუშაო ძალის, — შედარებით მოკლე ვადებში, მაგალითად, ყოველკვირეულად. მეორე მხრივ, გარდა საწარმოო მარაგისა, კაპიტალისტმა მზა საქონლის მარაგიც უნდა იქონიოს. გაყიდვის სიძნელეებსაც და სხვ. რომ თავი დავანებოთ, მას უხდება საქონლის განსაზღვრული რაოდენობის . დაკვეთით წარმოება. მაშინ როდესაც დაკვეთილის უკანასკნელი ნაწილი იწარმოება, მისი უკვე მზა ნაწილი საწყობშია გაჩერებული, ვიდრე მოელი დაკვეთა არ შესრულდება. სხვა განსხვავებანი საბრუნავი კაპიტალის გადაბრუნებაში მაშინ წარმოიშვება, როდესაც მის ცალკეულ ელემენტებს უფრო დიდხანს უხდება წარმოების მოსამზადებელ სტადიაში გაჩერება (ხის გაშრობა და სხვ.), ვიდრე სხვებს.

საკრედიტო სისტემა, რასაც სკროპი აქ იმოწმებს, ისევე როგორც სავაჭრო კაპიტალი, იწვევს ცალკეული კაპიტალისტისათვის გადაბრუნების მოდიფიკაციას. საზოგადოებრივი მასშტაბით კი იგი მის მოდიფიკაციას მხოლოდ იმდენად იწვევს, რამდენადაც აჩქარებს არა მარტო წარმოებას, არამედ მოხმარებასაც.

თავი მეათე

თეორიები ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის შესახებ. ფიზიოკრატები და ადამ სმიტი

კენე განასხვავებს ძირითად კაპიტალს საბრუნავისაგან როგორც avances primitives-ს [თავდაპირველ ავანსებს] და avances annuelles-ს [წლიურ ავანსებს]. იგი სწორად წარმოგვიდგენს ამ განსხვავებას როგორც ისეთს, რომელიც მწარმოებლური კაპიტალის, ე. ი. უშუალო წარმოების პროცესში ჩაბმული კაპიტალის ფარგლებში არსებობს. და რადგან მისთვის ერთადერთ ნამდვილ მწარმოებლურ კაპიტალს მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალი, ე. ი. მოიჯარის კაპიტალი წარმოადგენს, ამიტომ გამოდის, რომ ეს განსხვავებანიც მხოლოდ მოიჯარის კაპიტალს შეეხება. ამით აიხსნება ისიც, თუ რატომ იღებს იგი კაპიტალის ერთი ნაწილისათვის გადაბრუნების წლიურ პერიოდს, ხოლო მეორე ნაწილისათვის — უფრო ხანგრძლივს (ათწლიურს). თავიანთი მოძღვრების განვითარებისდა მიხედვით ფიზიოკრატებმა გზადაგზა ეს განსხვავებანი გადაიტანეს სხვა სახის კაპიტალზეც, სამრეწველო კაპიტალზე საერთოდ. საზოგადოებისათვის განსხვავება ყოველწლიურ და მრავალწლიურ ავანსებს შორის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ბევრი ეკონომისტი ადამ სმიტის შემდეგაც კი ისევ უბრუნდება ამ განსაზღვრას.

განსხვავება ორივე სახის ავანსებს შორის პირველად მაშინ წარმოიშვება, როდესაც ავანსებული ფული მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებადაა გადაქცეული. ეს განსხვავება არსებობს მხოლოდ და მხოლოდ მწარმოებლური კაპიტალის ფარგლებში. ამიტომ კენეს აზრად არ მოსდის მიაკუთვნოს ფული თავდაპირველ ან ყოველწლიურ ავანსებს. როგორც წარმოებისათვის განკუთვნილი ავანსები, — ე. ი.

როგორც მწარმოებლური კაპიტალი, — ეს ორივე სახის ავანსი უპირისპირდება როგორც ფულს, ისე ბაზარზე მყოფ საქონელსაც. შემდეგ, განსხვავება მწარმოებლური კაპიტალის ამ ორ ელემენტს შორის კენეს მართებულად დაჰყავს იმ წესის სხვადასხვაობამდე, რომლითაც ეს ელემენტები შედის მზა პროდუქტის ღირებულებაში, მაშასადამე, კენეს იგი დაჰყავს პროდუქტის ღირებულებასთან ერთად მათი ღირებულების მიმოქცევის წესის სხვადასხვაობამდე და, ამიტომ, მათი ანაზღაურების ანუ კვლავწარმოების წესის სხვადასხვაობამდე, როდესაც ერთი ელემენტის ღირებულება ანაზღაურდება მთლიანად ყოველ წელს, მეორის ღირებულება კი — ნაწილ-ნაწილ მეტნაკლებ ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში [23].

ერთადერთი პროგრესი, რასაც ა. სმიტი აღწევს ამ საკითხში, აღნიშნული კატეგორიების განზოგადებაა. ეს კატეგორიები მას გადაჰქვს არა მხოლოდ კაპიტალის სპეციალურ ფორმაზე, მოიჯარის კაპიტალზე, არამედ საერთოდ მწარმოებლური კაპიტალის ყოველ ფორმაზე. აქედან უკვე თავისთავად გამომდინარეობს, რომ ყოველწლიურსა და მრავალწლიურ გადაბრუნებას შორის არსებული განსხვავების ადგილს, — განსხვავებისა, რომელიც მიწათმოქმედებიდანაა აღებული, — იჭერს საერთოდ განსხვავება სხვადასხვადროულ გადაბრუნებათა შორის, ასე რომ ძირითადი კაპიტალის ერთი გადაბრუნება ყოველთვის მოიცავს საბრუნავი კაპიტალის ერთზე მეტ გადაბრუნებას, სულ ერთია, გრძელდება ეს უკანასკნელი ერთ წელიწადს, წელიწადზე ნაკლებ ხანს თუ წელიწადზე მეტ ხანს. ამრიგად, სმიტის ხელში avances

---

[23] შეად. Quesnay: «Analyse du Tableau Économique» («Physiocrates» გამოც. Daire, I ნაწილი, Paris 1846). იქ ნათქვამია, მაგალითად: «ყოველწლიური ავანსები შედგება ხარჯებისგან, რომელთაც მოითხოვს ყოველწლიურად სამიწათმოქმედო სამუშაოები. ეს ავანსები უნდა განვასხვავოთ თავდაპირველი ავანსებისაგან, რომელნიც სოფლის მეურნეობის მოწყობილობის ფონდს შეადგენენ» (გვ. 59). შემდგომდრორინდელი ფიზიოკრატები ავანსებს ხშირად პირდაპირ კაპიტალს უწოდებენ: «Capital ou avances.— Dupont de Nemours: «Origine et Progrés d'une science nouvelle», 1767 (Daire, I, გვ. 291); შემდეგ, ლე ტრონი წერს: «შრომის პროდუქტების მეტნაკლებ ხანგრძლივი გამძლეობის გამო ერი ფლობს სიმდიდრის მნიშვნელოვან ფონდს, რომელიც დამოუკიდებელია მისი ყოველწლიური კვლავწარმოებისაგან; ეს ფონდი შეადგენს დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილ, თავდაპირველად მრეწველობით ანაზღაურებულ კაპიტალს, რომელიც მუდამ განახლდება და იზრდება» (Daire, II, გვ. 928). — ტიურგო უკვე სისტემატურად ხმარობს სიტყვა კაპიტალს «ავანსების» ნაცვლად და კიდევ უფრო აიგივებს მრეწველთა ავანსებს მოიჯარეთა ავანსებთან (Turgot: «Réflexions sur la Formation et la Distribution des Richesses», 1766).

annuelles [ყოველწლიური ავანსები] იქცევა საბრუნავ კაპიტალად და **avances primitives** [თავდაპირველი ავანსები] — ძირითად კაპიტალად. **მაგრამ** კატეგორიათა ამ განზოგადებით შემოიფარგლება მის მიერ **წინ** გადადგმული ნაბიჯი. რაც შეეხება ამის შესრულებას, ამ მხრივ **იგი** ბევრად ჩამოუვარდება კენეს.

ბუნდოვანებას წარმოშობს უკვე ის უხეში ემპირიული ხერხი, რომ-ლითაც იწყებს სმიტი თავის გამოკვლევას: «არსებობს ორი სხვადასხვა წესი, რომლითაც შეიძლება კაპიტალის ისეთნაირად დაბანდება, რომ მან მის მფლობელს შემოსავალი ანუ მოგება მისცეს» (Wealth of Nation, წიგნი II, თავი I, გვ. 189. გამომც, Aberdeen, 1848 წ.).

ღირებულების ისეთი მოთავსების წესი, რომ იგი მოქმედებდეს როგორც კაპიტალი, რომ მას მისი პატრონისათვის მოჰქონდეს ზედ-მეტი ღირებულება, იმდენად სხვადასხვაა, იმდენადვე მრავალგვარია, რამდენადაც სხვადასხვა და მრავალგვარია კაპიტალის დაბანდების სფეროები. ეს არის საკითხი წარმოების იმ სხვადასხვა დარგისა, სადაც, შესაძლებელია კაპიტალის დაბანდება, მაგრამ ამგვარად ფორმულირე-ბული საკითხი კიდევ უფრო შორს მიდის. იგი შეიცავს იმ საკითხსაც თუ როგორაა შესაძლებელი, რომ ღირებულება, რომელიც მწარმოებ-ლური კაპიტალის სახით არც კია დაბანდებული, მოქმედებდეს მისი პატრონისათვის როგორც კაპიტალი, მაგალითად, როგორც სარგებელ-მომტანი კაპიტალი, სავაჭრო კაპიტალი და სხვ. ჩვენ აქ, ამ სახით, უსასრულოდ დავშორდით ანალიზის ნამდვილ საგანს, სახელდობრ. საკითხს: როგორ მოქმედებს მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს და-ნაწილება მის სხვადასხვა ელემენტებად მათს გადაბრუნებაზე, მათი დაბანდების სფეროთა სხვადასხვაობისგან დამოუკიდებლად.

ა. სმიტი უშუალოდ იქვე განაგრძობს: «ჯერ ერთი, იგი შეიძლება გამოვიყენოთ მიწის დასამუშავებლად, საქონლის გადასამუშავებლად ან საყიდლად და შემდგომ მოგებით გასაყიდად». ა. სმიტი აქ მხო-ლოდ იმას გვეუბნება, რომ კაპიტალი შეიძლება გამოვიყენოთ მიწათ-მოქმედებაში, მანუფაქტურაში და ვაჭრობაში. ამრიგად, იგი ლაპარა-კობს კაპიტალის დაბანდების სხვადასხვა სფეროზე და მათ შორის ისეთებზეც, სადაც, როგორც ვაჭრობაში, კაპიტალი არ შედის უშუა-ლო წარმოების პროცესში, მაშასადამე, არ მოქმედებს როგორც მწარმოებლური კაპიტალი. ამით სმიტი უკვე ტოვებს იმ საფუძველს, რასაც ფიზიოკრატები ეყრდნობოდნენ, როდესაც არკვევდნენ მწარ-მოებლური კაპიტალის განსხვავებებს და მათს გავლენას გადაბრუნე-ბაზე. დიახ, იგი მაგალითისათვის მაშინვე სავაჭრო კაპიტალს ასახელებს ისეთ საკითხში, სადაც ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ მ წ ა რ მ ო ე ბ-

ლ უ რ ი კაპიტალის ცალკეულ ნაწილთა განსხვავებებზე პროდუქტისა და ღირებულების შექმნის პროცესში, — განსხვავებებზე, რომელნიც, თავის მხრივ, წარმოშობენ განსხვავებებს კაპიტალის გადაბრუნებასა და კვლავწარმოებაში.

იგი განაგრძობს: «ამ წესით დაბანდებული კაპიტალი არც შემოსავალს აძლევს მის მფლობელს და არც მოგებას, ვიდრე იგი მის მფლობელობაში რჩება ან იმავე ფორმას ინარჩუნებს». — «ამ წესით დაბანდებული კაპიტალი»! მაგრამ სმიტი ლაპარაკობს კაპიტალზე, რომელიც დაბანდებულია მიწათმოქმედებაში ან მრეწველობაში, და შემდეგ იგი ამბობს, რომ ასე დაბანდებული კაპიტალი ძირითად და საბრუნავ კაპიტალად იყოფა! მაშასადამე, კაპიტალის ამ წესით დაბანდებას არ შეუძლია აქციოს იგი არც ძირითად და არც საბრუნავ კაპიტალად.

ან იქნებ მას იმის თქმა უნდოდა, რომ კაპიტალი, რომელიც იმისათვის გამოიყენება, რათა საქონელი აწარმოოს და შემდგომ ეს საქონელი მოგებით გაყიდოს, რომ ეს კაპიტალი საქონლად გადაქცევის შემდეგ უნდა გაიყიდოს და გაყიდვის გზით, ჯერ ერთი, გამყიდველის მფლობელობიდან მყიდველის მფლობელობაში გადავიდეს და, მეორე, საქონლის ნატურალური ფორმიდან ფულად ფორმად გარდაიქმნას და რომ, ამიტომ, იგი უსარგებლოა მ ი ს ი მფლობელისათვის, სანამ რჩება მის მფლობელობაში ან მფლობელისათვის იმავე ფორმას ინარჩუნებს. მაგრამ მაშინ ეს ნიშნავს შემდეგს: იგივე კაპიტალ ღირებულება, რომელიც უწინ მწარმოებლური კაპიტალის ფორმაში მოქმედებდა, იმ ფორმაში, რომელიც წარმოების პროცესს ეკუთვნის, ახლა მოქმედებს როგორც საქონლური კაპიტალი ან ფულადი კაპიტალი, — იმ ფორმებში, რომლებიც მიმოქცევის პროცესს ეკუთვნიან, — და ამიტომ აღარ წარმოადგენს არც ძირითადს და არც საბრუნავ კაპიტალს. ეს ერთნაირად ითქმის როგორც ღირებულების იმ ელემენტების შესახებ, რომლებიც პროდუქტს მიემატება ნედლეულისა და დამხმარე მასალის მეოხებით, მაშასადამე, საბრუნავი კაპიტალის მეოხებით, ისე იმ ელემენტების შესახებაც, რომელთა მიმატება შრომის საშუალებათა გაცვეთის გამო ხდება, მაშასადამე, ემატება ძირითადი კაპიტალის მეოხებით. ასეთი გზითაც ჩვენ ვერც ერთი ნაბიჯით ვერ ვუახლოვდებით ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის არსებული განსხვავების გარკვევას.

შემდეგ: «ვაჭრის საქონელი ვაჭარს არ აძლევს შემოსავალს ანუ მოგებას, ვიდრე მას იგი ფულზე არ გაყიდის, მაგრამ ფულიც ასევე ნაკლებად მისცემს მას სარგებლობას, ვიდრე ეს ფული კვლავ არ გაიცვ-

ლება საქონელზე. მისი კაპიტალი მუდამ მიდის მისგან ერთი ფორმით და უბრუნდება მას მეორე ფორმით, და მხოლოდ ასეთი მიმოქცევის საშუალებით, ანუ მთელი რიგი თანმიმდევრობითი გაცვლის გზით, შეუძლია კაპიტალს მოუტანოს მას განსაზღვრული მოგება. ამიტომ ასეთ კაპიტალს სავსებით მართებული იქნება საბრუნავი კაპიტალი ეწოდოს».

ა. სმიტი აქ საბრუნავ კაპიტალს უწოდებს იმას, რასაც მე მინდა სამიმოქცევო კაპიტალი ვუწოდო. ეს არის კაპიტალი იმ ფორმაში, რომელიც ეკუთვნის მიმოქცევის პროცესს, ფორმათა იმ ცვლას, რომელიც ხდება გაცვლის მეოხებით (ნივთიერების ცვლა და მფლობელის ცვლა), მაშასადამე ეს არის საქონლური და ფულადი კაპიტალი, წინაარმდეგ წარმოების პროცესის კუთვნილი ფორმისა, ე. ი. წინაარმდეგ მწარმოებლური კაპიტალის ფორმისა. ეს არ არის ორი სხვადასხვა სახე, რადაც მრეწველი კაპიტალისტი თავის კაპიტალს დაყოფს, არამედ სხვადასხვა ფორმებია, რომლებსაც ერთი და იგივე ავანსებული კაპიტალღირებულება თავის curriculum vitae-ში [სიცოცხლის მანძილზე] თანმიმდევრობით მუდამ ხელახლა მიიღებს და მოიცილებს ხოლმე. ა. სმიტი ამას ურევს — და ეს დიდი ნაბიჯია უკან ფიზიოკრატებთან შედარებით — ფორმის იმ განსხვავებებში, რასაც წარმოშობს კაპიტალღირებულების მიმოქცევის სფერო, როდესაც კაპიტალღირებულება თავისი წრებრუნვის თანმიმდევრულ სტადიებს გაივლის, წარმოშობს მაშინ, როცა კაპიტალღირებულება მწარმოებლური კაპიტალის ფორმაში იმყოფება; ამასთან მათ წარმოშობს ის სხვადასხვა წესი, რომლითაც მწარმოებლური კაპიტალის სხვადასხვა ელემენტები მონაწილეობენ ღირებულების შექმნის პროცესში და თავიანთი ღირებულება პროდუქტზე გადააქვთ. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, თუ რა შედეგები მოსდევს ამ ძირითად შერევას მწარმოებლურ კაპიტალსა და მიმოქცევის სფეროში მყოფ კაპიტალს (საქონლურ კაპიტალსა და ფულად კაპიტალს) შორის, ერთი მხრივ, და ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის, მეორე მხრივ. ძირითად კაპიტალში ავანსებული კაპიტალღირებულება ისევე მიმოიქცევა პროდუქტის მეოხებით, როგორც მიმოიქცევა საბრუნავ კაპიტალში ავანსებული ღირებულება, და საქონლური კაპიტალის მიმოქცევის მეშვეობით პირველი ისევე გადაიქცევა ფულად კაპიტალად, როგორც მეორე. განსხვავება მხოლოდ იქიდან წარმოდგება, რომ ძირითადი კაპიტალის ღირებულება მიმოიქცევა ნაწილ-ნაწილ და, მაშასადამე, ასევე ნაწილ-ნაწილ, მეტნაკლებ ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში, უნდა მოხდეს მისი ანაზღაურება, კვლავწარმოება მის ნატურალურ ფორმაში.

ის, რასაც ა. სმიტი აქ საბრუნავ კაპიტალად გულისხმობს, სხვა არაფერია, თუ არა სამიმოქცევო კაპიტალი, ე. ი. კაპიტალღირებულება მის იმ ფორმებში, რომლებიც მიმოქცევის პროცესს ეკუთვნიან (ე. ი. საქონლური და ფულადი კაპიტალი); ამას ამტკიცებს მის მიერ განსაკუთრებით უხეიროდ შერჩეული მაგალითი. იგი მაგალითისათვის იღებს იმ სახის კაპიტალს, რომელიც სრულიად არ ეკუთვნის წარმოების პროცესს, და მხოლოდ მიმოქცევის სფეროში ბინადრობს, მხოლოდ სამიმოქცევო კაპიტალისაგან წედგება: იგი იღებს სავაჭრო კაპიტალს.

თუ რა უაზრობაა ისეთი მაგალითით დაწყება, სადაც კაპიტალი საერთოდ არ მოქმედებს როგორც მწარმოებლური კაპიტალი, ამას თვით სმიტი პირდაპირ იქვე ამბობს: «ვაჭრის კაპიტალი სულ მთლად საბრუნავი კაპიტალია». მაგრამ განსხვავება საბრუნავსა და ძირითად კაპიტალს შორის გამომდინარეობს, როგორც იგი შემდგომ გვეუბნება, იმ არსებითი განსხვავებებიდან, რომელთაც ადგილი აქვს თვით მწარმოებლური კაპიტალის ფარგლებში. ერთი მხრივ, ა. სმიტს მხედველობაში აქვს ფიზიოკრატების მიერ დადგენილი განსხვავება, მეორე მხრივ, — იმ ფორმების განსხვავება, რომლებსაც კაპიტალღირებულება იღებს თავის წრებრუნვაში. ერთიც და მეორეც მას ერთმანეთში აქვს დომხალივით არეული.

მაგრამ როგორ შეიძლება მოგება წარმოიშვას ფულისა და საქონლის ფორმაცვალების გამო, ღირებულების უბრალო გარდაქმნის გამო ერთ-ერთი ამ ფორმიდან მეორე ფორმად, — ეს აბსოლუტურად გაუგებარია. ახსნა აქ შეუძლებელიცაა, იმიტომ რომ ა. სმიტი იწყებს სავაჭრო კაპიტალით, რომელიც მხოლოდ მიმოქცევის სფეროში მოძრაობს. ჩვენ ამას კიდევ დავუბრუნდებით, მანამდე კი მოვისმინოთ, რას ამბობს ა. სმიტი ძირითადი კაპიტალის შესახებ.

«მეორე, კაპიტალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნიადაგის გასაუმჯობესებლად, სასარგებლო მანქანებისა და სამუშაო იარაღების ან სხვა მსგავსი საგნების საყიდლად, რომლებიც შემოსავალს ანუ მოგებას იძლევიან მფლობელის გამოუცვლელად ან შემდგომი მიმოქცევის გარეშე. ამიტომ ასეთ კაპიტალს შეიძლება სრულიად მართებულად ეწოდოს ძირითადი კაპიტალი. სხვადასხვა მოსაქმეობა მოითხოვს ფრიად სხვადასხვა რაოდენობრივ თანაფარდობას მასში დაბანდებულ ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალებს შორის... თვითეული ხელოსნის ან მეფაბრიკის კაპიტალის განსაზღვრული ნაწილი ფიქსირებული უნდა იყოს სამუშაო იარაღების სახით. მაგრამ ეს ნაწილი ზოგ შემთხვევაში ძალიან მცირეა, ზოგში კიდევ ძალიან დიდი... ყველა ასეთი

ხელოსნის კაპიტალის გაცილებით დიდი ნაწილი მიმოიქცევა ან მათი მუშების ხელფასის სახით, ან მათ მიერ გამოყენებული მასალის ფასის სახით, და მათი ნაწარმის ფასში ანაზღაურდება გარკვეული მოგებით».

მოგების წყაროს ამ ბავშვურ-გულუბრყვილო განსაზღვრის შესახებაც რომ არაფერი ვთქვათ, სისუსტე და არევ-დარევა ჩანს უკვე შემდეგიდან: მანქანათმშენებელი მეფაბრიკისათვის, მაგალითად, მანქანა არის პროდუქტი, რომელიც მიმოიქცევა როგორც საქონლური კაპიტალი, მაშასადამე, თუ ა. სმიტის სიტყვებით ვიტყვით, «განშორდება, იცვლის მფლობელს, შემდგომ მიმოიქცევა. ამ შემთხვევაში, მისი საკუთარი განსაზღვრის თანახმად, მანქანა იქნებოდა არა ძირითადი კაპიტალი, არამედ საბრუნავი კაპიტალი. ეს არევ-დარევა კვლავ იქიდან წარმოდგება, რომ ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავებას, რასაც მწარმოებლური კაპიტალის სხვადასხვა ელემენტის სხვადასხვაგვარი მიმოქცევა წარმოშობს, სმიტი ურევს იმ განსხვავებულ ფორმებში, რასაც ერთი და იგივე კაპიტალი გაივლის, რამდენადაც იგი წარმოების პროცესში მოქმედებს როგორც მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი კაპიტალი, მიმოქცევის სფეროში კი — როგორც სამიმოქცევო კაპიტალი, ე. ი. როგორც საქონლური კაპიტალი ან ფულადი კაპიტალი. ამრიგად, ერთი და იგივე ნივთები იმ ადგილის მიხედვით, რომელიც მათ უჭირავთ კაპიტალის სასიცოცხლო პროცესში, ა. სმიტის მიხედვით, შეიძლება მოქმედებდეს როგორც ძირითადი კაპიტალი (როგორც შრომის საშუალებანი, მწარმოებლური კაპიტალის ელემენტები) და როგორც «საბრუნავი» კაპიტალი, საქონლური კაპიტალი (როგორც პროდუქტი, რომელიც წარმოების სფეროდან მიმოქცევის სფეროშია გადასროლილი.).

მაგრამ ა. სმიტი ერთბაშად ცვლის კაპიტალის დანაწილების მთელ საფუძველსაც კი და ეწინააღმდეგება იმას, რითაც რამდენიმე სტრიქონს ზევით მთელი გამოკვლევა დაიწყო. ეს ჩანს სახელდობრ შემდეგი ფრაზიდან: «არსებობს ორი სხვადასხვა წესი კაპიტალის ისე დასაბანდებლად, რომ მან მის მფლობელს შემოსავალი ანუ მოგება მისცეს», ე. ი. შეიძლება იგი დაბანდებულ იქნეს როგორც საბრუნავი, ან როგორც ძირითადი კაპიტალი. აქ, ცხადია, იგულისხმება სხვადასხვა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ კაპიტალთა გამოყენების სხვადასხვა წესი, კაპიტალებისა, რომელთა დაბანდებაც შესაძლებელია ან მრეწველობაში ან მიწათმოქმედებაში. მაგრამ შემდეგ ვკითხულობთ: «სხვადასხვა მოსაქმეობა მოითხოვს ფრიად სხვადასხვა რაოდენობრივ თანაფარდობას მასში დაბანდებულ ძირითადსა და საბრუნავ კაპი-

ტალებს შორის». ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი ახლა აღარ წარმოადგენს კაპიტალის სხვადასხვა დამოუკიდებელ დაბანდებას, იგი წარმოადგენს ერთი და იმავე მწარმოებლური კაპიტალის სხვადასხვა წილს, რომელიც დაბანდების სხვადასხვა სფეროში ამ კაპიტალის ერთობლივი ღირებულების სხვადასხვა ნაწილს შეადგენს. ესაა, მაშასადამე, განსხვავებანი, რომელნიც თვით მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი კაპიტალის სათანადო დანაწილებიდან გამომდინარეობენ და ამიტომ ძალა აქვთ მხოლოდ ამ კაპიტალის მიმართ. მაგრამ ამას კვლავ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ სავაჭრო კაპიტალი, როგორც მარტოოდენ საბრუნავი კაპიტალი, უპირისპირდება ძირითად კაპიტალს,— გავიხსენოთ სმიტის სიტყვები: «ვაჭრის კაპიტალი სავსებით და მთლიანად საბრუნავი კაპიტალია». ნამდვილად კი ესაა მხოლოდ მიმოქცევის სფეროში მოქმედი კაპიტალი და როგორც ასეთი საერთოდ უპირისპირდება წარმოების პროცესში ჩაბმულ მწარმოებლურ კაპიტალს, მაგრამ სწორედ ამიტომ მას არ შეუძლია დაუპირისპირდეს როგორც მწარმოებლური კაპიტალის დენადი (საბრუნავი) შემადგენელი ნაწილი მწარმოებლური კაპიტალის ძირითად შემადგენელ ნაწილს.

იმ მაგალითებში, რომლებსაც სმიტი იძლევა, იგი ძირითად კაპიტალად განსაზღვრავს შრომის იარაღებს, ხოლო საბრუნავ კაპიტალად კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც დახარჯულია ხელფასზე და ნედლეულზე, დამხმარე მასალების ჩათვლით, რაც «ნაწარმის ფასით უკან ბრუნდება გარკვეული მოგებით» (repaid with a profit by the price of work).

ამრიგად, უწინარეს ყოვლისა აქ სმიტს ამოსავალ პუნქტად აღებული აქვს შრომის პროცესის სხვადასხვა ელემენტები: სამუშაო ძალა (შრომა) და ნედლეული, ერთი მხრივ, შრომის იარაღები, მეორე მხრივ. მაგრამ შრომის პროცესის ეს შემადგენელი ელემენტები კაპიტალის შემადგენელი ნაწილებია, იმიტომ რომ მათზე დახარჯულია ღირებულების თანხა, რომელმაც კაპიტალის სახით უნდა იმოქმედოს. ამდენადვე ისინი მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი, ე. ი. წარმოების პროცესში მომქმედი კაპიტალის ნივთიერი ელემენტებია, არსებობის წესებია. მაშ რატომ ეწოდება ერთ ნაწილს ძირითადი? იმიტომ, რომ «კაპიტალის ზოგი ნაწილი ფიქსირებული უნდა იყოს შრომის იარაღებში». მაგრამ მისი მეორე ნაწილიც ხომ ასევე «ფიქსირებულია» ხელფასსა და ნედლეულში. შემდეგ, მანქანები და «შრომის იარაღები... ან სხვა მსგავსი ნივთები... შემოსავალს ანუ მოგებას იძლევიან მფლობელის გამოუცვლელად ან ყოველგვარი შემდგომი მიმოქცევის გარეშე. ამიტომ

ასეთ კაპიტალს სავსებით მართებულად შეიძლება ძირითადი კაპიტალი ეწოდოს».

მაგალითისთვის ავიღოთ სამთამადნო საქმე. ნედლი მასალა აქ სრულიად არ გამოიყენება, რადგან შრომის საგანი, მაგალითად, სპილენძი, ბუნების პროდუქტია, რომელიც ჯერ კიდევ უნდა მოვიპოვოთ შრომის მეოხებით. მოსაპოვებელი სპილენძი, პროცესის პროდუქტი, რომელიც შემდგომ მიმოიქცევა როგორც საქონელი, შესაბამისად როგორც საქონლური კაპიტალი, ჯერ კიდევ არ შეადგენს მწარმოებლური კაპიტალის ელემენტს. ამ კაპიტალის ღირებულების არავითარი ნაწილი არაა მასზე დახარჯული. მეორე მხრივ, წარმოების პროცესის სხვა ელემენტები, სამუშაო ძალა და დამხმარე მასალა, როგორიცაა ნახშირი, წყალი და სხვ., ასევე არ შედის ნივთიერად პროდუქტში. ნახშირი მთლიანად მოიხმარება და მხოლოდ მისი ღირებულება შედის პროდუქტში, სრულიად ისე, როგორც პროდუქტში შედის მანქანისა და სხვ. ღირებულების ნაწილი. დასასრულ, მუშა ისევე დამოუკიდებელი რჩება პროდუქტის, სპილენძის, მიმართ, როგორც მანქანა. მხოლოდ ღირებულება, რომელსაც მისი შრომა აწარმოებს, ახლა სპილენძის ღირებულების შემადგენელი ნაწილია. მაშასადამე, ამ მაგალითში მწარმოებლური კაპიტალის არც ერთი შემადგენელი ნაწილი არ იცვლის მფლობელს (masters) და არც ერთი ამ ნაწილთაგანი არ მიმოიქცევა შემდგომ, იმიტომ რომ არც ერთი არ შედის ნივთიერად პროდუქტში. სადღაა აქ საბრუნავი კაპიტალი? ა. სმიტის საკუთარი განსაზღვრის მიხედვით, სპილენძის მადნების დასამუშავებლად გამოსაყენებელი მთელი კაპიტალი მხოლოდ ძირითადი კაპიტალისაგან უნდა შედგებოდეს.

ავიღოთ ახლა სხვა მრეწველობა, რომელიც გამოიყენებს ნედლეულს, რაც პროდუქტის სუბსტანციას შეადგენს, და შემდეგ — დამხმარე მასალას, რომელიც პროდუქტში შედის ფიზიკურად და არა მხოლოდ ღირებულების მიხედვით, როგორც, მაგალითად, სათბობი ნახშირი: პროდუქტთან ერთად,—მაგალითად, ნართთან ერთად, — ნედლეულიც, ბამბა, რომლისგანაც ეს პროდუქტი შედგება, იცვლის მფლობელს და წარმოების პროცესიდან მოხმარების პროცესში გადადის. მაგრამ ვიდრე ბამბა მოქმედებს როგორც მწარმოებლური კაპიტალის ელემენტი, პატრონი მას კი არ ჰყიდის, არამედ გადაამუშავებს, მისგან ნართს აკეთებინებს. იგი მას ხელიდან არ უწვევს. ანუ, თუ სმიტის უხეშად მცდარ, ტრივიალურ გამოთქმას ვიხმართ, პატრონი არ იღებს მოგებას იმით, რომ პროდუქტს შორდება, რომ პროდუქტი მფლობელს იცვლის ანუ იგი პროდუქტს მიმოაქცევს. პატრონი ისევე არ მიმო-

აქცევს თავის მასალებს, როგორც არ მიმოაქცევს თავის მანქანებს. ეს მასალები სავსებით ისევეა ფიქსირებული წარმოების პროცესში, როგორც სართავი მანქანები და ფაბრიკის შენობები. მწარმოებლური კაპიტალის ნაწილი ხომ მუდამ ისევე ფიქსირებული უნდა იყოს ნახშირის, ბამბის და სხვ. ფორმაში, როგორც შრომის საშუალებათა ფორმაშიც. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ, მაგალითად, ნართის კვირეული წარმოებისათვის საჭირო ბამბა, ნახშირი და სხვ. ყოველთვის მთლიანად იხარჯება კვირეული პროდუქტის საწარმოებლად და, მაშასადამე, ყოველთვის უნდა შეიცვალოს ბამბის, ნახშირის და სხვ. ახალი ეგზემპლარებით; ამრიგად, მწარმოებლური კაპიტალის ეს ელემენტები, თუმცა თავისი სახეობით იდენტურნი რჩებიან, მაგრამ ყოველთვის იმავე სახის ახალი ეგზემპლარებისაგან შედგება, მაშინ როდესაც ერთი და იგივე ცალკეული სართავი მანქანა, ერთი და იგივე ცალკეული საფაბრიკო შენობა განაგრძობს წარმოების მთელ რიგ განმეორებულ კვირეულ პროცესებში მონაწილეობას ისე, რომ იმავე სახის ახალი ეგზემპლარით შეუნაცვლებელი რჩება. როგორც მწარმოებლური კაპიტალის ელემენტები, ამ კაპიტალის ყველა შემადგენელი ნაწილი მუდამ ფიქსირებულია წარმოების პროცესში, იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი არ შეიძლება უიმათოდ სრულდებოდეს. და მწარმოებლური კაპიტალის ყველა ელემენტი, ძირითადიც და საბრუნავიც, თანაბრად უპირისპირდება მწარმოებლური კაპიტალის სახით სამიმოქცევო კაპიტალს, ე. ი. საქონლურ კაპიტალს და ფულად კაპიტალს.

ასევეა სამუშაო ძალის მიმართაც. მწარმოებლური კაპიტალის ნაწილი მუდამ უნდა იყოს მასში ფიქსირებული, და ეს იგივე იდენტური სამუშაო ძალებია, იმავე მანქანებსავით, რომლებსაც იგივე კაპიტალისტი ყველგან უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოიყენებს. განსხვავება სამუშაო ძალასა და მანქანებს შორის ის კი არ არის, რომ მანქანას ერთხელ და სამუდამოდ ყიდულობენ ხოლმე (ამას არცა აქვს ადგილი, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა მანქანის ფასის გადახდა განაწილვადებით წარმოებს), ხოლო მუშას — არა, განსხვავება ის არის, რომ მუშის მიერ დახარჯული შრომა მთლიანად შედის პროდუქტის ღირებულებაში, მაშინ როდესაც მანქანის ღირებულება მხოლოდ ნაწილ-ნაწილ გადადის პროდუქტზე.

სმიტი ერთმანეთში ურევს სხვადასხვა განსაზღვრას, როდესაც იგი საბრუნავი კაპიტალის ძირითადი კაპიტალისადმი დაპირისპირებისას შემდეგს ამბობს: «ამ წესით დაბანდებული კაპიტალი არ აძლევს მის მფლობელს არც შემოსავალს, არც მოგებას, ვიდრე იგი მის მფლობელობაში რჩება ან იმავე ფორმას ინარჩუნებს». იგი საქონლის

იმ წმინდა ფორმალურ მეტამორფოზს, რომელსაც პროდუქტი, საქონლური კაპიტალი, ასრულებს მიმოქცევის სფეროში და რომელიც მოსაშუალეობს საქონელთა გადასვლას ხელიდან ხელში, აიგივებს იმ სხეულებრივ მეტამორფოზთან, რასაც მწარმოებლური კაპიტალის სხვადასხვა ელემენტები ასრულებენ წარმოების პროცესის განმავლობაში. საქონლის გარდაქმნას ფულად და ფულის გარდაქმნას საქონლად, ყიდვას და გაყიდვას, იგი აქ უყოყმანოდ ურევს წარმოების ელემენტების პროდუქტად გარდაქმნაში. მის მიერ მაგალითად აღებული საბრუნავი კაპიტალი სავაჭრო კაპიტალია, რომელიც საქონლიდან ფულად გარდაიქმნება, ფულიდან — საქონლად, ესაა საქონელმიმოქცევის დამახასიათებელი ფორმაცვალება ს — ფ—ს. მაგრამ მოქმედი სამრეწველო კაპიტალისათვის ამ ფორმაცვალებას მიმოქცევის პროცესში ის მნიშვნელობა აქვს, რომ საქონელი, რადაც ფული უკუგარდაიქმნება, წარმოების ელემენტია (შრომის საშუალებანი და სამუშაო ძალა), რომ, მაშასადამე, ამ ფორმაცვალების მეშვეობით ხორციელდება სამრეწველო კაპიტალის მოქმედების უწყვეტობა, ხორციელდება წარმოების პროცესი როგორც უწყვეტი პროცესი, ანუ როგორც კვლავწარმოების პროცესი. მთელი ეს ფორმაცვალება მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს სფეროში წარმოებს; სწორედ ფორმაცვალება მოსაშუალეობს საქონლის ნამდვილ გადასვლას ხელიდან ხელში. პირიქით, ის მეტამორფოზები, რომელთაც მწარმოებლური კაპიტალი გაივლის თავის წარმოების პროცესის ფარგლებში, შ რ ო მ ის პ რ ო ც ე ს ი ს დამახასიათებელ მეტამორფოზებია, აუცილებელნი იმისათვის, რომ წარმოების ელემენტები გადააქციოს პროდუქტად, რომლის წარმოებაც მიზნად არის დასახული. ა. სმიტი იმაზე ჩერდება, რომ წარმოების საშუალებათა ერთი ნაწილი (საკუთრივ შრომის საშუალებანი) შრომის პროცესში გამოიყენება (რასაც იგი მცდარად გამოთქვამს ამ სიტყვებით: «მოგებას აძლევს მის მფლობელს») ისე, რომ თავის ნატურალურ ფორმას არ იცვლის, მხოლოდ თანდათანობით ცვდება, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი, მასალები, იცვლება და სწორედ ამ ცვლილების მეოხებით ასრულებს თავის დანიშნულებას როგორც წარმოების საშუალება. მაგრამ ეს სხვადასხვა ფუნქცია, რომლებსაც მწარმოებლური კაპიტალის ელემენტები შრომის პროცესში ასრულებენ, შეადგენს ძირითადსა და არაძირითად კაპიტალს შორის არსებული განსხვავების მხოლოდ ამოსავალ პუნქტს და არა თვით ამ განსხვავებას, რაც უკვე ნათელია იქიდან, რომ ეს ფუნქცია თანაბრად არსებობს ყველა წარმოების წესისათვის, კაპიტალისტურისთვის და არაკაპიტალისტურისთვის. მაგრამ ამ სხვადასხვა ნივთიერ ფუნქციას შეესაბამება პროდუქტისათვის ღ ი რ ე ბ უ-

ლ ებ ი ს გ ა დ ა ც ე მ ა, რასაც, თავის მხრივ, შეესაბამება ღირებულების ანაზღაურება პროდუქტის გაყიდვის გზით; და მხოლოდ ესაა ის განსხვავება, რასაც ჩვენ ვეძებთ. ამრიგად, კაპიტალი ძირითადი კაპიტალია არა იმიტომ, რომ იგი ფიქსირებულია შრომის საშუალებებში, არამედ იმიტომ, რომ შრომის საშუალებებში დაბანდებული ღირებულების ერთი ნაწილი მათში რჩება ფიქსირებული, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი მიმოიქცევა როგორც პროდუქტის ღირებულების შემადგენელი ნაწილი.

«თუ იგი (კაპიტალი) გამოიყენება მომავალში მოგების მისაღებად, მან ეს მოგება უნდა მოიტანოს ან მასთან (მფლობელთან) დარჩენის, ან სხვის ხელში გადასვლის გზით. პირველ შემთხვევაში ეს ძირითადი კაპიტალი იქნება, მეორეში — საბრუნავი» (გვ. 189).

აქ, უწინარეს ყოვლისა, თვალში გვეცემა ტლანქად ემპირიული წარმოდგენა მოგებაზე — წარმოდგენა, რომელიც ჩვეულებრივი კაპიტალისტის შეხედულებიდანაა გადმოღებული და სრულიად ეწინააღმდეგება ა. სმიტის უფრო ღრმა ეზოტერულ თვალსაზრისს. პროდუქტის ფასი ანაზღაურებს როგორც მასალების, ისე სამუშაო ძალის ფასს, მაგრამ ამასთანავე შრომის იარაღების ღირებულების იმ ნაწილსაც, რომელიც პროდუქტზეა გადატანილი ამ იარაღების გაცვეთის გამო. ამ ანაზღაურებიდან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარმოიშვას მოგება. მთლიანად ანაზღაურდება პროდუქტის წარმოებისათვის ავანსებული ღირებულება გაყიდვის გზით თუ ნაწილ-ნაწილ, ერთბაშად თუ თანდათანობით, — ამას შეუძლია შეცვალოს ანაზღაურების მხოლოდ წესი და დრო, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში მათთვის საერთო რამ, ე. ი. ღირებულების ანაზღაურება, ვერ გადაიქცევა ზედმეტი ღირებულების შექმნად. აქ საფუძვლად აღებულია ის ჩვეულებრივი შეხედულება, თითქოს ზედმეტი ღირებულება — რაკი მისი რეალიზაცია მხოლოდ პროდუქტის გაყიდვის, მისი მიმოქცევის გზით ხდება — მხოლოდ გაყიდვიდან, მიმოქცევიდან წარმოდგებოდეს. ნამდვილად კი მოგების წარმოშობის ვითომდა სხვადასხვა წესი აქ მხოლოდ მცდარი ფრაზაა იმის გამოსათქმელად, რომ მწარმოებლური კაპიტალის სხვადასხვა ელემენტი სხვადასხვა როლს ასრულებს, მწარმოებლური ელემენტების სახით სხვადასხვაგვარად მოქმედებს შრომის პროცესში. და, ბოლოს, განსხვავება გამოჰყავთ არა შრომის პროცესიდან ანუ — შესაბამისად — ღირებულების ზრდის პროცესიდან, არა თვით მწარმოებლური კაპიტალის ფუნქციიდან, არამედ იქიდან, რომ თურმე ამ განსხვავებას მხოლოდ სუბიექტური მნიშვნელობა აქვს ცალკეული

კაპიტალისტისათვის, რომლისთვისაც კაპიტალის ერთი ნაწილი სასარგებლოა ერთი მიმართებით, მეორე ნაწილი — სხვა მიმართებით.

პირიქით, კენეს ეს განსხვავებანი გამოჰყავდა თვით კვლავწარმოების პროცესიდან და მის აუცილებელ კანონზომიერებათაგან. იმისათვის, რომ ეს პროცესი უწყვეტი იყოს, წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქტის ღირებულება მთლიანად უნდა ანაზღაურებდეს წლიური ავანსების ღირებულებას, მაშინ როდესაც ძირითადი კაპიტალის [Anlagekapital] ღირებულება უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ ნაწილ-ნაწილ, ასე რომ მხოლოდ მთელი რიგი წლების, მაგალითად, ათი წლის განმავლობაში მთლიანად ანაზღაურდება იგი და, მაშასადამე, მთლიანად იკვლავწარმოება კიდეც (შეიცვლება იმგვარივე ახალი ეგზემპლარებით). ა. სმიტი, ამრიგად, დიდ ნაბიჯს დგამს უკან კენესთან შედარებით.

მაშასადამე, ძირითადი კაპიტალის განსასაზღვრავად ა. სმიტს მხოლოდ ერთი რამ რჩება: ესაა შრომის საშუალება, რომელიც მისი მეშვეობით შექმნილი პროდუქტებისაგან განსხვავებით, არ იცვლის თავის ფორმას წარმოების პროცესში და კვლავ გამოიყენება წარმოებაში, ვიდრე მთლიანად არ გაცვდება. ამასთან აქ დავიწყებულია ის გარემოება, რომ მწარმოებლური კაპიტალის ყველა ელემენტი თავისი ნატურალური ფორმით (როგორც შრომის საშუალება, ნედლი მასალა და სამუშაო ძალა) ყოველთვის უპირისპირდება თვით საქონლის სახით მიმოქცევაში მყოფ პროდუქტს, და რომ განსხვავება იმ ნაწილსა, რომელიც მასალისა და სამუშაო ძალისგან შედგება, და იმ ნაწილს შორის, რომელიც შრომის საშუალებათაგან შედგება, სამუშაო ძალის მიმართ მხოლოდ ის არის, რომ მას ყოველთვის ხელახლა ყიდულობენ (და არა მთელი მისი არსებობის დროისათვის, როგორც შრომის საშუალების ყიდვისას), მასალის მიმართ კი ის არის, რომ შრომის პროცესში მოქმედებს არა ერთი და იგივე იდენტური მასალა, არამედ იმავე სახის მასალის ახალ-ახალი ეგზემპლარები. ამასთან ერთად ადვილად იქმნება ილუზია, თითქოს ძირითადი კაპიტალის ღირებულება არ შედიოდეს აგრეთვე მიმოქცევაში, თუმცა ა. სმიტმა წინათ, რასაკვირველია, განმარტა, რომ ძირითადი კაპიტალის გაცვეთა პროდუქტთა ფასის ნაწილს შეადგენს.

საბრუნავი კაპიტალის ძირითადი კაპიტალისადმი დაპირისპირებისას ა. სმიტი არ აღნიშნავს ხაზგასმით იმას, რომ ეს დაპირისპირებულობა მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც საბრუნავი კაპიტალი წარმოადგენს მწარმოებლური კაპიტალის იმ შემადგენელ ნაწილს, რაც

მ თ ლ ი ა ნ ა დ უნდა ანაზღაურდეს პროდუქტის ღირებულებიდან, მაშასადამე, მთლიანად უნდა მონაწილეობდეს პროდუქტის მეტამორფოზებში, მაშინ როდესაც ძირითადი კაპიტალის მიმართ ამას ადგილი არა აქვს. პირიქით, ა. სმიტი საბრუნავ კაპიტალს ურევს იმ ფორმებში, რომლებსაც კაპიტალი იღებს წარმოების სფეროდან მიმოქცევის სფეროში გადასვლისას, როცა იგი საქონლური კაპიტალის და ფულადი კაპიტალის სახით გამოდის. მაგრამ ორივე ეს ფორმა, საქონლური კაპიტალი და ფულადი კაპიტალი, შეიცავს მწარმოებლური კაპიტალის როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი ნაწილის ღირებულებას. ორივე წარმოადგენს სამიმოქცევო კაპიტალს წინააღმდეგ მწარმოებლური კაპიტალისა და არა საბრუნავ (დენად) კაპიტალს წინააღმდეგ ძირითადისა.

დასასრულ: იმ სრულიად მცდარ შეხედულებას, თითქოს მოგებას ქმნიდეს ძირითადი კაპიტალი, როდესაც იგი წარმოების პროცესში რჩება, ხოლო საბრუნავი კაპიტალი, როდესაც იგი წარმოების პროცესს ტოვებს და მიმოქცევის სფეროში შედის, შედეგად ახლავს შემდეგი: ის იგივეობა ფორმისა, რაც ცვალებად კაპიტალსა და მუდმივი კაპიტალის საბრუნავი ნაწილის გ ა დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა ს ახასიათებს, ჩქმალავს მათ არსებით განსხვავებას ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ზ რ დ ი ს ა და ზედმეტი ღირებულების შექმნის პროცესში, და, ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების მთელი საიდუმლოება კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება. საერთო სახელწოდება «საბრუნავი კაპიტალი» სპობს ამ არსებით განსხვავებას. ამ მხრივ კიდევ უფრო შორს წავიდნენ შემდგომდროინდელი ეკონომისტები, რომლებმაც ხელი ჩასჭიდეს არა ცვალებადი და მუდმივი, არამედ ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის დაპირისპირებულობას, როგორც არსებითსა და ერთადერთ განმასხვავებელ დაპირისპირებულობას.

მას შემდეგ, რაც ა. სმიტმა ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი დასახა როგორც ორი განსაკუთრებული წესი კაპიტალის დაბანდებისა, რომელთაგანაც თვითეულს თავისთავად მოაქვს მოგება, იგი ამბობს: «საბრუნავი კაპიტალის დაუხმარებლად, არც ერთ ძირითად კაპიტალს არ შეუძლია რაიმე შემოსავლის მოცემა. უაღრესად სასარგებლო მანქანები და სამუშაო იარაღები ვერაფერს ვერ აწარმოებენ საბრუნავი კაპიტალის გარეშე, რაც იძლევა მასალებს, რომელთა დასამუშავებლადაც მანქანები და სამუშაო იარაღები იხმარება, და საარსებო საშუალებას მუშებისათვის, რომლებიც ამ მანქანა-იარაღს გამოიყენებენ» (გვ. 188).

აქ ირკვევა, რას ნიშნავს წინანდელი გამოთქმები: «იძლევა შემოსავალს», «მოაქვს მოგება» და სხვ.; სახელდობრ, ეს ნიშნავს, რომ კაპიტალის ორივე ნაწილი პროდუქტის შემქმნელია.

ახლა ა. სმიტს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: «ფერმერის კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც საძიწაათმოქმედო იარაღებზეა დახარჯული, ძირითადი კაპიტალია და ის ნაწილი კი, რომელიც მომუშავე მსახურთა ხელფასად და შესანახადაა გამოყენებული, საბრუნავი კაპიტალია». (მაშასადამე, აქ ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავება მართებულად არის დაკავშირებული მხოლოდ მწარმოებლური კაპიტალის სხვადასხვა ბრუნვასთან, მისი სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების სხვადასხვა გადაბრუნებასთან.) «ფერმერი ღებულობს მოგებას პირველიდან იმით, რომ მას თავის მფლობელობაში აჩერებს, და მეორიდან იმით, რომ მას გასცემს. ფერმერის მუშა პირუტყვის ფასი ანუ ღირებულება ძირითადი კაპიტალია» (აქ კვლავ სწორია ის, რომ განსხვავების საფუძვლად აღებულია ღირებულება და არა ნივთიერი ელემენტი), «სწორედ ისე როგორც სამეურნეო იარაღების ღირებულება; მისი (მუშა პირუტყვის) ფურაჟი საბრუნავ კაპიტალს შეადგენს სწორედ ისე, როგორც მომუშავე მსახურთა სარჩო. ფერმერი მუშა პირუტყვიდან მოგებას იღებს, როცა იგი ხელში ჰყავს, ხოლო ფურაჟიდან — როცა მას გასცემს». (ფერმერი იტოვებს პირუტყვის საკვებს, არ ყიდის მას. იგი მას მოიხმარს როგორც პირუტყვის საკვებს, როდესაც თვით პირუტყვს იყენებს როგორც შრომის იარაღს. განსხვავება მხოლოდ ესაა: საკვები, რომელიც პირუტყვის შენახვაზე მიდის, მთლიანად მოიხმარება და ყოველთვის უნდა ანაზღაურდეს ახალი საკვებით მიწათმოქმედების პროდუქტიდან ან ამ უკანასკნელის გაყიდვის გზით, მაშინ როდესაც თვით პირუტყვის შენაცვლება მხოლოდ იმდენად ხდება, რამდენადაც მათი ცალკეული ეგზემპლარები მუშაობის უნარს კარგავენ»). «ფასიც და შენახვის ხარჯებიც პირუტყვისა, რომელსაც ყიდულობენ და ასუქებენ არა სამუშაოდ, არამედ გასაყიდად. — საბრუნავი კაპიტალია. ფერმერი მოგებას მიიღებს ამ პირუტყვის გაყიდვით». (ყოველი საქონელმწარმოებელი და, მაშასადამე, კაპიტალისტური მწარმოებელიც, ყიდის თავის პროდუქტს, თავისი წარმოების პროცესის შედეგს, მაგრამ ამის გამო ეს პროდუქტი ჯერ კიდევ არ იქცევა მისი მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი კაპიტალის არც ძირითად და არც საბრუნავ შემადგენელ ნაწილად. პირიქით, მისი პროდუქტი ახლა იმ ფორმაშია, რომლითაც იგი გამოიდევნება წარმოების პროცესიდან და უნდა მოქმედებდეს საქონლური კაპიტალის სახით. საკლავი პირუტყვი წარმოების პროცესში მოქმედებს როგორც ნედლი მასალა და არა როგორც შრომის იარაღი, როგორც მუშა პირუტყვი. ამიტომ იგი პროდუქტში შედის როგორც სუბსტანცია და მისი მთელი ღირებულება მთლიანად გადადის პროდუქტზე, ისევე როგორც დამხმარე მასალის (საკვების) ღირებულება.

სწორედ ამიტომ წარმოადგენს იგი მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავ ნაწილს და სრულიადაც არა იმიტომ, რომ გაყიდულ პროდუქტს — გასუქებულ პირუტყვს — იგივე ნატურალური ფორმა აქვს, როგორც ნედლ მასალას, ე. ი. ჯერ კიდევ გაუსუქებელ პირუტყვს. უკანასკნელი გარემოება სავსებით შემთხვევითია. იმავე დროს ა. სმიტს შეეძლო დაენახა ამ მაგალითიდან, რომ წარმოების ელემენტის ნივთობრივი ხასიათი კი არ აძლევს ამ ელემენტში მოქცეულ ღირებულებას ძირითადისა და საბრუნავის განსაზღვრას, არამედ მისი ფუნქცია წარმოების პროცესში). «თესლის მთელი ღირებულებაც, აგრეთვე, ძირითადი კაპიტალია. თუმცა იგი მინდორსა და ბეღელს შორის მიდი-მოდის, მაგრამ არასოდეს არ იცვლის პატრონს და ამიტომ არ მიმოიქცევა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ფერმერი მოგებას იღებს არა მისი გაყიდვის გზით, არამედ მისი გამრავლების გზით».

აქ სრული სიცხადით მჟღავნდება სმიტის მიერ დადგენილი განსხვავების მთელი უაზრობა. მისი თეორიის თანახმად, თესლი ძირითადი კაპიტალი იქნება, თუ ადგილი არა აქვს change of masters [პატრონის გამოცვლას], ე. ი. თუ თესლი უშუალოდ წლიური პროდუქტიდან ანაზღაურდება, პირდაპირ იქიდან აიღება. მაგრამ იგი, პირიქით, საბრუნავი კაპიტალი იქნება, თუ მთელი პროდუქტი გაიყიდება და ამ უკანასკნელის ღირებულების ნაწილი სხვისგან თესლის ყიდვაზე დაიხარჯება. ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს change of masters [პატრონის გამოცვლას], მეორეში — არა. სმიტი აქ კვლავ ურევს ერთმანეთში საბრუნავ კაპიტალს და საქონლურ კაპიტალს. პროდუქტი საქონლური კაპიტალის ნივთიერი მატარებელია. მაგრამ, რასაკვირველია, ასეთი მატარებელია მისი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ნამდვილად შედის მიმოქცევაში და ხელახლა არ შედის უშუალოდ იმავე წარმოების პროცესში, საიდანაც იგი პროდუქტის სახით გამოვიდა.

თესლი პროდუქტს უშუალოდ გამოაკლდება, როგორც ნაწილი, თუ მთელი პროდუქტი გაიყიღება და მისი ღირებულების ნაწილი სხვისგან ნაყიდ თესლად გარდაიქმნება, — ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ ანაზღაურებას, და ამ ანაზღაურების გზით არავითარი მოგება არ იქმნება. ერთ შემთხვევაში თესლი პროდუქტის დანარჩენ ნაწილთან ერთად საქონლის სახით შედის მიმოქცევაში, მეორე შემთხვევაში იგი აღინიშნება მხოლოდ ანგარიშწარმოებაში როგორც ავანსებული კაპიტალის ღირებულების შემადგენელი ნაწილი. მაგრამ ორივე შემთხვევაში იგი მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავ შემადგენელ ნაწილად რჩება. იგი მხოლოდ მოიხმარება პროდუქტის დასამ-

ზადებლად და მთლიანად უნდა ანაზღაურდეს ამ პროდუქტიდან, რათა შესაძლებელი გახდეს კვლავწარმოება.

«მაშასადამე, ნედლი მასალა და დამხმარე ნივთიერებანი კარგავენ დამოუკიდებელ ფორმას, რომლითაც ისინი, როგორც სახმარი ღირებულებანი, შრომის პროცესში შევიდნენ. სხვაგვარადაა საქმე საკუთრივ შრომის საშუალებების მიმართ. ინსტრუმენტი, მანქანა, ფაბრიკის შენობა, ჭურჭელი და სხვ. შრომის პროცესში მხოლოდ მანამდე გამოიყენებიან, სანამ თავიანთ თავდაპირველ სახეს ინარჩუნებენ, და ხვალაც სწორედ იმავე სახით შევლენ შრომის პროცესში, როგორც გუშინ. შრომის საშუალებანი ინარჩუნებენ თავიანთ საკუთარ სახეს პროდუქტის მიმართ როგორც თავისი სიცოცხლის მანძილზე, ე. ი. შრომის პროცესის განმავლობაში, ისე თავისი სიკვდილის შემდეგაც. მანქანების, იარაღების, სახელოსნოების და სხვ. გვამები წინანდებურად განაგრძობენ არსებობას იმ პროდუქტებისაგან განცალკევებულად, რომელთა წარმოშობასაც ისინი ხელს უწყობდნენ» (წიგნი I, თავი VI) (კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ. I, ქართ. გამოც. 1954 წ., გვ. 259).

ამ სხვადასხვა წესს, რომლითაც წარმოების საშუალებანი მოიხმარება პროდუქტის შესაქმნელად, როდესაც წარმოების ზოგი საშუალება პროდუქტის მიმართ ინარჩუნებს თავის დამოუკიდებელ სახეს, ზოგი კი მას იცვლის ან სრულიად კარგავს, — ამ განსხვავებას, რომელიც ახასიათებს შრომის პროცესს როგორც ასეთს, თუნდაც მის მიზანს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების — მაგალითად, პატრიარქალური ოჯახის მოთხოვნილების — დაკმაყოფილება შეადგენდეს, ყოველივე გაცვლის გარეშე, საქონელწარმოების გარეშე, — ა. სმიტი მცდარად წარმოგვიდგენს, რადგან, ჯერ ერთი, მას შემოაქვს აქ სრულიად უადგილო კატეგორია მოგებისა, რომელსაც წარმოების ზოგი საშუალება მფლობელს აძლევს, როდესაც ეს საშუალებანი თითავიანთ სახეს ინარჩუნებენო, ზოგი კი — როდესაც ამას კარგავენო; და, მეორე, იგი ერთმანეთში ურევს წარმოების ელემენტების ნაწილის ცვლილებებს შრომის პროცესში და ფორმის იმ ცვლილებას, რომელიც პროდუქტთა გაცვლის, საქონელმიმოქცევის სფეროს (ყიდვა = გაყიდვას) ახასიათებს და რომელიც ამავე დროს მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მიმართ საკუთრების ცვლას შეიცავს.

გადაბრუნება გულისხმობს, რომ კვლავწარმოება განხორციელებულია მიმოქცევის მოსაშუალეობით, მაშასადამე, პროდუქტის გაყიდვის მეშვეობით, მისი გარდაქმნით ფულად და ფულიდან უკუგარდაქმნით წარმოების ელემენტებად. მაგრამ რამდენადაც კაპიტალისტურ მწარმოებელს მისი საკუთარი პროდუქტის ნაწილი უშუალოდ კვლავ

ემსახურება წარმოების საშუალებად, ისე გამოდის, თითქოს მწარმოებელმა თავის თავს მიჰყიდა პროდუქტი, და სწორედ ასე აღინიშნება საქმის ვითარება მის ბუღალტერიაში. ამრიგად, კვლავწარმოების ეს ნაწილი ხორციელდება არა მიმოქცევის მოსაშუალეობით, არამედ უშუალოდ. მაგრამ პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც ამგვარად ხელახლა გამოიყენება წარმოების საშუალების სახით, ანაზღაურებს საბრუნავ კაპიტალს და არა ძირითადს, რამდენადაც 1) მისი ღირებულება მთლიანად შედის პროდუქტში და 2) იგი მთლად in natura ახალი პროდუქტიდან უნდა ანაზღაურდეს ახალი ეგზემპლარით.

ა. სმიტი გვეუბნება, რისგან შედგება საბრუნავი და ძირითადი კაპიტალი. იგი ჩამოგვითვლის იმ საგნებს, იმ ნივთიერ ელემენტებს, რომელნიც ძირითად კაპიტალს შეადგენენ, და იმათ, რომელნიც საბრუნავ კაპიტალს შეადგენენ, თითქოს საგნებს ასეთი დანიშნულება ნივთიერად, ბუნების მიერ ჰქონდეთ მინიჭებული, და თითქოს იგი, პირიქით, არ გამომდინარეობდეს ამ საგანთა განსაზღვრული ფუნქციიდან კაპიტალისტური წარმოების პროცესში. მაგრამ, მეორე მხრივ, ა. სმიტი შენიშნავს იმავე თავში (წიგნი II, თავი I), რომ თუმცა გარკვეულ საგანს, მაგალითად, საცხოვრებელ სახლს, რომელიც უშუალო მოხმარებისათვის არის განკუთვნილი, «შეუძლია შემოსავალი მისცეს მის მესაკუთრეს და, ამრიგად, შეასრულოს მისთვის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ფ უ ნ ქ ც ი ა, მაგრამ მას არ შეუძლია რაიმე შემოსავალი მისცეს საზოგადოებას, არც კაპიტალის ფუნქცია შეასრულოს მისთვის, და ამ გზით არ შეიძლება ოდნავადაც კი გადიდდეს მთელი ხალხის შემოსავალი» (გვ. 186). აქ ა. სმიტი, მაშასადამე, ნათლად გამოთქვამს იმ აზრს, რომ კაპიტალად ყოფნის თვისება ახასიათებს ნივთებს არა როგორც ასეთებს და არა ყველა გარემოებაში, არამედ იგი შეადგენს ფუნქციას, რასაც ეს ნივთები, გარემოებათა მიხედვით, ან ასრულებენ ან არ ასრულებენ. ხოლო რაც მართებულია საერთოდ კაპიტალის მიმართ, ის მართებულია მის ქვედანაყოფთა მიმართაც.

ერთი და იგივე ნივთი საბრუნავი ან ძირითადი კაპიტალის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციას ასრულებს ის შრომის პროცესში. მაგალითად, პირუტყვი, მუშა პირუტყვის (შრომის საშუალების) სახით, ფერმერისათვის წარმოადგენს ძირითადი კაპიტალის არსებობის ნივთიერ ფორმას; პირიქით, საკლავი პირუტყვის (ნედლი მასალის) სახით იგი მისი საბრუნავი კაპიტალის შემადგენელი ნაწილია. მეორე მხრივ, ერთი და იგივე ნივთი შეიძლება ხან მოქმედებდეს როგორც მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილი, ხან უშუალო მოხმარების ფონდს ეკუთვნოდეს. მაგალითად,

სახლი, როცა სამუშაო ადგილის ფუნქციას ასრულებს, მწარმოებლური კაპიტალის ძირითადი შემადგენელი ნაწილია; ხოლო როცა საცხოვრებელი სახლის ფუნქციას ასრულებს, მას სრულიადაც არა აქვს კაპიტალის ფორმა, იგი უბრალოდ საცხოვრებელი სახლია. შრომის ერთი და იგივე საშუალება ბევრ შემთხვევაში შეიძლება ხან ისე მოქმედებდეს როგორც წარმოების საშუალება, ხან კი როგორც მოხმარების საშუალება.

ასეთი იყო ერთი იმ შეცდომათაგანი, რომელნიც სმიტის შეხედულებიდან გამომდინარეობენ: ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის დამახასიათებელი თვისებების მიჩნევა ნივთების კუთვნილ თვისებებად. უკვე შრომის პროცესის ანალიზი («კაპიტალი», წიგნი I, თავი V) გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება შრომის საშუალებათა, შრომის მასალის, პროდუქტის განსაზღვრანი იმ სხვადასხვა როლის მიხედვით, რომელსაც ერთი და იგივე ნივთი ასრულებს ამ პროცესში. მაგრამ ძირითადი და არაძირითადი კაპიტალის განსაზღვრანი თავის მხრივ ემყარება გარკვეულ როლს, რომელსაც ეს ელემენტები ასრულებენ შრომის პროცესში და, მაშასადამე, ღირებულების შექმნის პროცესშიც.

გარდა ამისა, იმ ნივთების ჩამოთვლისას, რომლებისგანაც ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი შედგება, სრული სიცხადით აშკარავდება, რომ სმიტი კაპიტალის ძირითადსა და საბრუნავ შემადგენელ ნაწილებს შორის განსხვავებას, რასაც ადგილი და აზრი აქვს მხოლოდ მწარმოებლური კაპიტალის მიმართ (კაპიტალის მიმართ მის მწარმოებლურ ფორმაში), ურევს მწარმოებლურ კაპიტალსა და კაპიტალის მიმოქცევის პროცესის კუთვნილ ფორმებს შორის არსებულ განსხვავებაში: ეს ფორმებია საქონლური კაპიტალი და ფულადი კაპიტალი. იგი ამბობს იმავე ადგილას (გვ. 187, 188): «ამრიგად, საბრუნავი კაპიტალი შედგება... საარსებო საშუალებისა, მასალისა და ყოველგვარი მზა ნაწარმისაგან, რომლებიც სათანადო მოვაჭრეების ხელში იმყოფება, აგრეთვე მათი მიმოქცევისა და განაწილებისათვის საჭირო ფულისაგან და სხვ». — სინამდვილეში, თუ ჩვენ უფრო ახლოს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აქ, წინააღმდეგ ზემონათქვამისა, საბრუნავი კაპიტალი კვლავ გაიგივებულია საქონლურ კაპიტალთან და ფულად კაპიტალთან, ე. ი. კაპიტალის იმ ორ ფორმასთან, რომლებიც წარმოების პროცესს სრულიად არ ეკუთვნის და შეადგენს არა საბრუნავ (დენად) კაპიტალს წინააღმდეგ ძირითადისა, არამედ — სამიმოქცევო კაპიტალს წინააღმდეგ მწარმოებლური კაპიტალისა. მხოლოდ კაპიტალის ამ ფორმების გვერდით გვევლინებიან შემდგომ მწარ-

მოებლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც კვლავ ავანსდებიან მასალების (ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატების) შესაძენად და ნამდვილად ჩაებმებიან წარმოების პროცესში. ა. სმიტი ამბობს:

«...მესამე და უკანასკნელი ნაწილი იმ სამი ნაწილიდან, რომლებადაც ბუნებრივად ნაწილდება საზოგადოების ერთობლივი მარაგი, არის საბრუნავი კაპიტალი, რომლის დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი შემოსავალს იძლევა მხოლოდ მიმოქცევის შეოხებით ან პატრონის გამოცვლის გზით. იგი ასევე შედგება ოთხი ნაწილისგან: 1) ფულისგან...» (მაგრამ ფული არასოდეს არაა მწარმოებლური, წარმოების პროცესში მოქმედი კაპიტალის ფორმა. იგი მუდამ მხოლოდ ერთ იმ ფორმათაგანს წარმოადგენს, რომელთაც კაპიტალი იღებს თავისი მიმოქცევის პროცესში). — «2) საარსებო საშუალებათა მარაგისაგან, რომლებიც ყასბის, პირუტყვით მოვაჭრის, ფერმერის მფლობელობაში მოიპოვება... და რომელთა გაყიდვიდან ისინი მოგების მიღებას მოელიან...» «3) სრულიად ნედლი, ან მეტნაკლებ დამუშავებული მასალებისაგან, ტანისამოსის, ავეჯისა და შენობებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ არაა არც ერთ ამ სამ ფორმაში მოქცეული, მაგრამ რომლებიც ხელში აქვთ სოფლის მეურნეებს, მეფაბრიკეებს, აბრეშუმითა და მაუდით მოვაჭრეებს, ხე-ტყით მოვაჭრეებს, ხუროებსა და დურგლებს, მეაგურეებს და სხვ». და, ბოლოს, «4) პროდუქტისაგან, რომელიც თუმცა მზადაა და დასრულებულია, მაგრამ ჯერჯერობით კვლავ ვაჭრის ან მეფაბრიკის ხელშია».

პუნქტი 2 და 4 არაფერს არ შეიცავს, გარდა პროდუქტებისა, რომელნიც როგორც ასეთნი გამოსულნი არიან წარმოების პროცესიდან და უნდა გაიყიდონ; ერთი სიტყვით, ესაა პროდუქტები, რომელნიც მოქმედებენ ახლა როგორც საქონელნი და, ამიტომ, — შესაბამისად — როგორც საქონლური კაპიტალი, რომელთაც, მაშასადამე, ისეთი ფორმა აქვთ და ისეთი ადგილი უჭირავთ პროცესში, რომ არ შეადგენენ მწარმოებლური კაპიტალის ელემენტს, როგორიც არ უნდა იყოს მათი საბოლოო დანიშნულება, ე. ი. ისინი ბოლოს და ბოლოს მათი მიზნის (სახმარი ღირებულების) მიხედვით ინდივიდუალურ თუ მწარმოებლურ მოხმარებაში შედიან. მე-2 პუნქტში ეს პროდუქტები წარმოადგენენ კვების საშუალებებს, — მე-4-ში — ყველა სხვა მზა პროდუქტებს, რომელთაც, მაშასადამე, კვლავ შეადგენენ შრომის მზა საშუალებანი ან მოხმარების მზა საშუალებანი (სავა საგნები, ვიდრე პუნქტ 2-ში მოქცეული კვების საგნებია).

ის გარემოება, რომ ა. სმიტი ამასთან ვაჭარზეც ლაპარაკობს, ააშკარავებს მთელ მის აბნეულობას. რაკი მწარმოებელმა ვაჭარს მიჰყიდა თავისი პროდუქტი, ეს უკანასკნელი უკვე აღარ შეადგენს მწარმოებლის კაპიტალის არავითარ ფორმას საერთოდ. თუ საზოგადოების თვალსაზრისით განვიხილავთ, იგი, რასაკვირველია, ჯერ კიდევ საქონლური კაპიტალია, თუმცა უკვე სხვის ხელში იმყოფება და არა თავისი მწარმოებლის ხელში; მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს საქონლური კაპიტალია, იგი არ შეიძლება იყოს ძირითადი და არც საბრუნავი კაპიტალი.

ყოველ წარმოებაში, რომელსაც მწარმოებლის საკუთარი მოთხოვნილების უშუალო დაკმაყოფილება არა აქვს მიზნად, პროდუქტი უნდა მიმოიქცეოდეს როგორც საქონელი, ე. ი. უნდა გაიყიდოს, არა იმისათვის, რომ აქედან მოგება იქნეს მიღებული, არამედ იმისათვის, რომ მწარმოებელს საერთოდ არსებობა შეეძლოს. კაპიტალისტური წარმოების დროს ამას კიდევ ის გარემოება ერთვის, რომ საქონლის გაყიდვისას აგრეთვე მასში მოქცეული ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია ხდება. პროდუქტი გამოდის საქონლის სახით წარმოების პროცესიდან, მაშასადამე, აღარ წარმოადგენს ამ უკანასკნელის არც ძირითად და არც საბრუნავ ელემენტს.

სხვათა შორის ა. სმიტი აქ თვითონვე აბათილებს თავის აზრს. მზა პროდუქტები, როგორიც უნდა იყოს მათი ნივთიერი ფორმა თუ სახმარი ღირებულება, მათი სასარგებლო ეფექტი, აქ ყველანი წარმოადგენენ საქონლურ კაპიტალს, ე. ი. კაპიტალს ისეთ ფორმაში, რომელიც მიმოქცევის პროცესს ეკუთვნის. ეს პროდუქტები, როგორც ამ ფორმაში მყოფნი, სრულიად არ წარმოადგენენ მათი მფლობელის მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს; ეს, რასაკვირველია, სრულიად არ უშლის ხელს იმას, რომ ეს პროდუქტები გაყიდვისთანავე მწარმოებლური კაპიტალის, — სულ ერთია ძირითადის თუ საბრუნავის, — შემადგენელ ნაწილებად იქცევიან მყიდველის ხელში. აქ აშკარავდება, რომ იგივე ნივთები, რომლებიც განსაზღვრული დროის განმავლობაში ბაზარზე გვევლინებიან როგორც საქონლური კაპიტალი, წინააღმდეგ მწარმოებლური კაპიტალისა, შემდგომ, როგორც კი ისინი ბაზარს ჩამოშორდებიან, შეიძლება მოქმედებდნენ ან არ მოქმედებდნენ მწარმოებლური კაპიტალის ძირითადი თუ საბრუნავი შემადგენელი ნაწილის სახით.

მეფაბრიკე-ბამბისმრთველის პროდუქტი — ნართი — მისი კაპიტალის საქონლური ფორმაა, საქონლური კაპიტალია მისთვის. ნართს არ შეუძლია ხელახლა ამოქმედდეს როგორც მისი მწარმოებ-

ლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილი, არც შრომის მასალისა და არც შრომის საშუალების სახით. მაგრამ საქსოვი ფაბრიკის მფლობელის ხელში, რომელმაც ნართი იყიდა, იგი შეეზრდება მის მწარმოებლურ კაპიტალს როგორც ამ უკანასკნელის ერთ-ერთი საბრუნავი შემადგენელი ნაწილი. მრთველისათვის კი ნართი მატარებელია მისი კაპიტალის — როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი — ნაწილის ღირებულებისა (ზედმეტ ღირებულებას მხედველობაში არ ვიღებთ). ასევე მანქანა, როგორც პროდუქტი მანქანათა მეფაბრიკისა, ამ უკანასკნელისათვის მისი კაპიტალის საქონლური ფორმაა, მისი საქონლური კაპიტალია; და ვიდრე ეს მანქანა ამ ფორმაში რჩება, იგი არც საბრუნავი კაპიტალია და არც ძირითადი. როგორც კი ამ მანქანას იყიდის ერთ-ერთი მეფაბრიკე, რომელიც მას თავის წარმოებაში გამოიყენებს, იგი ხდება მწარმოებლური კაპიტალის ძირითადი ნაწილი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროდუქტი მისი სახმარი ფორმის მიხედვით შესაძლებელია ნაწილობრივ ხელახლა შევიდეს წარმოების საშუალების სახით იმავე პროცესში, საიდანაც გამოვიდა, მაგალ., ნახშირი ნახშირის წარმოებაში, — მაშინაც კი ნახშირ-პროდუქტის სწორედ ის ნაწილი, რომელიც გასაყიდადაა განკუთვნილი, არ წარმოადგენს არც საბრუნავ და არც ძირითად კაპიტალს — იგი საქონლური კაპიტალია.

მეორე მხრივ, შესაძლებელია პროდუქტს ისეთი სახმარი ფორმა ჰქონდეს, რაც მას სრულიად გამოუსადეგად ხდის იმისათვის, რომ მწარმოებლური კაპიტალის რომელიმე ელემენტი შეადგინოს, შრომის მასალის სახით იქნება ეს თუ შრომის საშუალების სახით. ასეთია, მაგალითად, რომელიმე საარსებო საშუალება. მაგრამ მაინც ასეთი პროდუქტი საქონლური კაპიტალია მისი მწარმოებლისათვის, ღირებულების მატარებელია როგორც ძირითადის, ისე საბრუნავი კაპიტალის, — პირველის ან მეორესი, იმისდა მიხედვით, მთლიანად თუ ნაწილ-ნაწილ უნდა ანაზღაურდეს მის წარმოებაში გამოყენებული კაპიტალი, მთლიანად თუ ნაწილ-ნაწილ გადაიტანს ეს უკანასკნელი თავის ღირებულებას პროდუქტზე.

ა. სმიტს მე-3 პუნქტში ნედლი მასალა (ნედლეული, ნახევარფაბრიკატი, დამხმარე მასალა) წარმოდგენილი აქვს, ერთი მხრივ, არა როგორც მწარმოებლურ კაპიტალში უკვე ჩართული შემადგენელი ნაწილი, არამედ არსებითად როგორც მხოლოდ განსაკუთრებული სახეობის სახმარი ღირებულებანი, რომელთაგანაც საერთოდ შედგება საზოგადოებრივი პროდუქტი, როგორც განსაკუთრებული სახეობის საქონელთა მასა მე-2 და მე-4 პუნქტში ჩამოთვლილ საზოგადოებრივი პროდუქტის სხვა ნივთიერ ელემენტებთან და საარსებო საშუალებებ-

თან ერთად. მეორე მხრივ, ეს ნედლი მასალები აღნიშნულია როგორც მწარმოებლურ კაპიტალში ჩართული და, მაშასადამე, როგორც უკანასკნელის ელემენტები, რომლებიც მწარმოებლის ხელში იმყოფება. არევ-დარევა აშკარავდება იმაში, რომ ისინი ნაწილობრივ განხილულია როგორც მწარმოებლების ხელში («ფერმერების, მეფაბრიკეების და სხვ. ხელში») მოქმედნი, ნაწილობრივ კი როგორც ვაჭრების («აბრეშუმით, მაუდით, ხე-ტყით მოვაჭრეების») და სხვ. ხელში მოქმედნი, რომელთათვისაც ის მასალები მხოლოდ საქონლურ კაპიტალს წარმოადგენენ და არა მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს.

ნამდვილად ა. სმიტი აქ საბრუნავი კაპიტალის ელემენტების ან ჩამოთვლაში სრულიად ივიწყებს ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის არსებულ განსხვავებას, რომელიც ძალაშია მხოლოდ მწარმოებლური კაპიტალის მიმართ. პირიქით, საქონლურ კაპიტალს და ფულად კაპიტალს, ე. ი. კაპიტალის ამ ორივე ფორმას, რაც მიმოქცევის პროცესს ეკუთვნის, იგი უპირისპირებს მწარმოებლურ კაპიტალს, მაგრამ ამასაც იგი მხოლოდ შეუგნებლად აკეთებს.

დამახასიათებელია, ბოლოს, ის, რომ ა. სმიტი საბრუნავი კაპიტალის შემადგენელი ნაწილების ჩამოთვლისას ივიწყებს სამუშაო ძალას. და ამას ორგვარი მიზეზი აქვს.

ჩვენ ეს-ეს არის დავინახეთ, რომ, თუ ფულად კაპიტალს მხედველობაში არ მივიღებთ, მაშინ ა. სმიტისათვის საბრუნავი კაპიტალი მხოლოდ სხვა სახელია საქონლური კაპიტალისათვის. მაგრამ რამდენადაც სამუშაო ძალა ბაზარზე მიმოიქცევა, იგი არაა კაპიტალი, არაა რაიმე ფორმა საქონლური კაპიტალისა. იგი საერთოდ არაა კაპიტალი; არც მუშა არის კაპიტალისტი, თუმცა მას ბაზარზე გააქვს საქონელი, სახელდობრ თავისი საკუთარი ტყავი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამუშაო ძალა გაიყიდა და წარმოების პროცესში ჩაება, — მაშასადამე, მას შემდეგ, რაც იგი აღარ მიმოიქცევა როგორც საქონელი, — იგი გახდა მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილი: ცვალებადი კაპიტალი როგორც ზედმეტი ღირებულების წყარო, მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავი ნაწილი მასზე — სამუშაო ძალაზე — დახარჯული კაპიტალღირებულების გადაბრუნების კვალობაზე. რადგან სმიტი აქ საბრუნავ კაპიტალს საქონლურ კაპიტალში ურევს, მას აღარ შეუძლია სამუშაო ძალა საბრუნავი კაპიტალის თავის რუბრიკაში მოაქციოს. ამიტომ ცვალებადი კაპიტალი გამოდის აქ იმ საქონელთა ფორმაში, რომელთაც მუშა ყიდულობს თავისი ხელფასით, — გამოდის საარსებო საშუალებათა ფორმაში. ამ ფორმაში კაპიტალღირებულება, რომელიც ხელფასზეა დახარჯული, სმიტის მიხედვით, ეკუთვნის სა-

ბრუნავ კაპიტალს. მაგრამ ის, რაც წარმოების პროცესს ჩაექსოვება, არის სამუშაო ძალა, არის თვით მუშა, და არა საარსებო საშუალებანი, რითაც მუშა თავის სიცოცხლეს ინარჩუნებს. თუმცა ჩვენ დავინახეთ (წიგნი 1, თავი XXI), რომ საზოგადოებრივი თვალსაზრისით თვით მუშის კვლავწარმოებაც მისი ინდივიდუალური მოხმარების გზით საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოების პროცესს ეკუთვნის. მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება ცალკეული, კარჩაკეტილი წარმოების პროცესის შესახებ, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ. «Acquired and useful abilities» (გვ. 187) [«მოპოვებული და სასარგებლო უნარი»], რომელსაც სმიტი ძირითადი კაპიტალის რუბრიკაში იხსენიებს, სინამდვილეში, პირიქით, საბრუნავი კაპიტალის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რამდენადაც ეს «abilities» [უნარი] დაქირავებული მუშისაა და რამდენადაც მუშა თავის შრომას ყიდის მის «abilities»-თან ერთად.

სმიტის დიდი შეცდომა ისაა, რომ იგი მთელ საზოგადოებრივ სიმდიდრეს ყოფს: 1. უშუალო მოხმარების ფონდად, 2. ძირითად კაპიტალად, 3. საბრუნავ კაპიტალად. ზემონათქვამის მიხედვით, მთელი სიმდიდრე უნდა დანაწილებულიყო: 1. მოხმარების ფონდად, რომელიც სრულიად არ შეადგენს მოქმედი საზოგადოებრივი კაპიტალის ნაწილს, თუმცა მის ნაწილებს ყოველთვის შ ე უ ძ ლ ი ა თ კაპიტალის სახით მოქმედება, და 2. კაპიტალად. ამის შესაბამისად სიმდიდრის ერთი ნაწილი მოქმედებს როგორც კაპიტალი, მეორე — როგორც არაკაპიტალი ანუ როგორც მოხმარების ფონდი. ამრიგად, ყოველი კაპიტალისათვის აქ გარდუვალ აუცილებლობას წარმოადგენს ის, რომ იგი იყოს ან ძირითადი ან საბრუნავი კაპიტალი, ისევე როგორც ძუძუმწოვარი ცხოველისათვის ბუნებრივი აუცილებლობაა ან ძუ იყოს ან ხვადი. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ერთიმეორისადმი დაპირისპირება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი კაპიტალის ელემენტების მიმართ, რომ, მაშასადამე, ამ უკანასკნელის გვერდით არსებობს კიდევ კაპიტალის მნიშვნელოვანი მასა — საქონლური კაპიტალი და ფულადი კაპიტალი, — რომელიც ისეთ ფორმაში იმყოფება, რომელშიც მას ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ი ყ ო ს არც ძირითადი და არც საბრუნავი კაპიტალი.

რადგან კაპიტალისტურ საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების პროდუქტთა მთელი მასა ბაზარზე მიმოიქცევა საქონლური კაპიტალის სახით,— გარდა პროდუქტის იმ ნაწილისა, რომელიც უშუალოდ იმავე ნატურალური ფორმით, ყიდვა-გაყიდვის გარეშე, ცალკეულ კაპიტა-

ლისტურ მწარმოებელთა მიერ კვლავ გამოიყენება როგორც წარმოების საშუალებანი, — ამიტომ ცხადია, რომ საქონლური კაპიტალიდან ამოღებულ უნდა იქნეს როგორც მწარმოებლური კაპიტალის ძირითადი და საბრუნავი ელემენტები, ისე მოხმარების ფონდის ყველა ელემენტიც. ფაქტიურად ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ წარმოების საშუალებანი, ისე როგორც მოხმარების საშუალებანიც, კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე გამოდიან თავდაპირველად საქონლური კაპიტალის სახით, თუნდაც მათ ის დანიშნულება ჰქონდეთ, რომ შემდგომ მოხმარების საშუალებებიდან წარმოების საშუალებებად იქნენ გამოყენებულნი; ასევე თვით სამუშაო ძალაც ბაზარზე მოიპოვება საქონლის სახით, თუმცა არა საქონლური კაპიტალის სახით.

აქედან წარმოდგება ცნებათა ახალი აღრევა სმიტთან. იგი ამბობს:

«ამ ოთხი ნაწილიდან» («მიმოქცევაში მყოფი» კაპიტალისა, ე. ი. საქონლური კაპიტალის და ფულადი კაპიტალის ფორმებში — მიმოქცევის პროცესის კუთვნილ ფორმებში — მყოფი კაპიტალისა, რომელიც, ამრიგად, ორი ნაწილისაგან შედგება, და რომელიც სმიტის ხელში ოთხად იქცევა იმიტომ, რომ იგი საქონლური კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს კვლავ ნივთიერი ნიშნების მიხედვით განასხვავებს), «ამ ოთხი ნაწილიდან სამი: სახელდობრ, საარსებო საშუალებანი, მასალა და მზა ნაწარმი, ყოველწლიურად ან მეტნაკლებ ხანგრძლივ პერიოდებში რეგულარულად ამოიღება საბრუნავი კაპიტალიდან და მოთავსდება ან ძირითად კაპიტალში ანდა უშუალო მოხმარებისათვის დანიშნულ მარაგში. ყოველი ძირითადი კაპიტალი თავდაპირველად საბრუნავიდან წარმოიშვება და მუდამ საჭიროებს ამავე წყაროდან შევსებას. ყოველი სასარგებლო მანქანა და შრომის იარაღი თავდაპირველად საბრუნავი კაპიტალიდან წარმოდგება, საბრუნავი კაპიტალი იძლევა მასალას, რისგანაც ისინი გაკეთდა, და საარსებო საშუალებებს მუშებისათვის, რომლებმაც ისინი დაამზადეს. ასევე მოითხოვენ ისინი ამგვარ კაპიტალს მუდმივი რემონტისათვის» (გვ. 188).

პროდუქტის იმ ნაწილის გამოკლებით, რომელსაც მწარმოებლები ყოველთვის უშუალოდ მოიხმარებენ წარმოების საშუალებათა სახით, კაპიტალისტური წარმოებისათვის ძალაშია შემდეგი ზოგადი დებულება: ყველა პროდუქტი ბაზარზე გამოდის საქონლის სახით და, მაშასადამე, კაპიტალისტისათვის მიმოქცევა როგორც მისი კაპიტალის საქონლური ფორმა, როგორც საქონლური კაპიტალი, მიუხედავად იმისა, უნდა იმოქმედონ თუ არა ამ პროდუქტებმა და შეუძლიათ თუ არა მათ თავიანთი ნატურალური ფორმის, მათი სახმარი ღირებულების

მიხედვით იმოქმედონ როგორც მწარმოებლური კაპიტალის (წარმოების პროცესის) ელემენტებმა, ე. ი. როგორც წარმოების საშუალებებმა და, მაშასადამე, როგორც მწარმოებლური კაპიტალის ძირითადმა ან საბრუნავმა ელემენტებმა, თუ მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ინდივიდუალური, არამწარმოებლური მოხმარების საშუალებათა სახით. ყველა პროდუქტი საქონლის სახით ბაზარზე გადაისროლება; ამიტომ წარმოების და მოხმარების ყველა საშუალება, მწარმოებლური და ინდივიდუალური მოხმარების ყველა ელემენტი ბაზრიდან ხელახლა ამოიღება ყიდვის გზით როგორც საქონელი. ეს ტრუიზმი (truism), რასაკვირველია, მართალია. მაშასადამე, ეს თანაბრად შეეხება მწარმოებლური კაპიტალის როგორც ძირითად, ისე საბრუნავ ელემენტებს. შრომის საშუალებებს და შრომის მასალებს ყველა მათს ფორმაში. (ამასთან სმიტი ივიწყებს, რომ არსებობენ მწარმოებლური კაპიტალის ელემენტები, რომლებიც თვით ბუნებითაა მოცემული და, მაშასადამე, პროდუქტებს არ წარმოადგენენ.) მანქანას სრულიად ისევე ყიდულობენ ბაზარზე, როგორც ბამბას. მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ ყოველი ძირითადი კაპიტალი თავდაპირველად საბრუნავიდან წარმოდგება, — ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ სმიტი სამიმოქცევო კაპიტალს ურევს საბრუნავში, ანუ დენადში, ე. ი. არაძირითად კაპიტალში. და ამასთან სმიტი თვითონვე აბათილებს თავის აზრს. მანქანები საქონლის სახით შეადგენენ, მისი სიტყვების თანახმად, მე-4 პუნქტში აღნიშნული საბრუნავი კაპიტალის ნაწილს. მათი წარმოშობა საბრუნავი კაპიტალიდან ნიშნავს, მაშასადამე, მხოლოდ იმას, რომ ისინი მოქმედებდნენ როგორც საქონლური კაპიტალი. ვიდრე იმოქმედებდნენ როგორც მანქანები, მაგრამ რომ ნივთიერად ისინი თავისთავიდან წარმოდგებიან; სწორედ ისევე, როგორც ბამბა მეფაბრიკე-ბამბისმრთველის საბრუნავი კაპიტალის ელემენტის სახით, იმ ბამბიდან წარმოდგება, რომელიც ბაზარზე მიმოიქცევა. ხოლო თუ სმიტს შემდგომ გადმოცემაში ძირითადი კაპიტალი იმ საფუძვლით გამოჰყავს საბრუნავიდან, რომ მანქანების ასაგებად საჭიროა შრომა და ნედლი მასალა, ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ ჯერ ერთი. ამისათვის საჭიროა აგრეთვე შრომის საშუალებანი, ე. ი. ძირითადი კაპიტალი, და, მეორე, ნედლი მასალის დასამზადებლადაც საჭიროა აგრეთვე ძირითადი კაპიტალი, მანქანები და სხვ., რადგან მწარმოებლური კაპიტალი ყოველთვის შეიცავს შრომის საშუალებებს, მაგრამ ყოველთვის არ შეიცავს შრომის მასალას. თვითონ სმიტი ამის შემდეგ იქვე ამბობს: «მიწა, მაღაროები და მეთევზეობა თავიანთი ექსპლოატაციისას მოითხოვენ როგორც ძირითად, ისე საბრუნავ კა-

პიტალს» (მაშასადამე, იგი აღიარებს, რომ ნედლი მასალის დასამუშავებლად საჭიროა არა მარტო საბრუნავი, არამედ ძირითადი კაპიტალიც); «და» (აქ ახალი შეცდომაა) «მათი პროდუქტი არა მარტო ამ კაპიტალებს ანაზღაურებს მოგებითურთ, არამედ *საზოგადოების ყველა სხვა კაპიტალსაც საერთოდ*» (გვ. 188). ეს სავსებით მცდარია. მათი პროდუქტი იძლევა ნედლ მასალას, დამხმარე მასალას და სხვ. მრეწველობის ყველა სხვა დარგისათვის. მაგრამ მათი ღირებულება როდი ანაზღაურებს ყველა სხვა საზოგადოებრივი კაპიტალის ღირებულებას; იგი ანაზღაურებს მხოლოდ მათს საკუთარ კაპიტალღირებულებას (+ზედმეტი ღირებულება). აქ კვლავ თავს იჩენს ფიზიოკრატების გავლენა ა. სმიტზე.

საზოგადოებრივი თვალსაზრისით სწორია, რომ საქონლური კაპიტალის ნაწილი, რაც ისეთი პროდუქტებისაგან შედგება, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ მხოლოდ შრომის საშუალებათა სახით, მართლაც ადრე თუ გვიან — თუ იგი საერთოდ უსარგებლოდ არაა წარმოებული და გაუყიდავი არ რჩება — ამოქმედდება კიდეც შრომის საშუალებათა სახით, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე ასეთი პროდუქტები, მას შემდეგ, რაც ისინი აღარ წარმოადგენენ საქონელს, თავიანთი დანიშნულებისამებრ საზოგადოებრივი მწარმოებლური კაპიტალის ძირითადი ნაწილის ნამდვილ ელემენტებად გადაიქცევიან ხოლმე.

აქ ადგილი აქვს ერთ განსხვავებას, რომელიც პროდუქტის ნატურალური ფორმიდან გამომდინარეობს.

მაგალითად, სართავ მანქანას არავითარი სახმარი ღირებულება არა აქვს, თუ იგი რთვისათვის არ მოიხმარება, თუ იგი წარმოების ელემენტად არ გამოიყენება, მაშასადამე, კაპიტალისტური თვალსაზრისით, თუ იგი არ მოქმედებს როგორც მწარმოებლური კაპიტალის ძირითადი ნაწილი. მაგრამ სართავი მანქანა მოძრავია. იგი შეიძლება გავიტანოთ იმ ქვეყნიდან, სადაც წარმოებულია, და გავყიდოთ უცხო ქვეყანაში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნედლ მასალებზე და სხვ. ან შამპანურზე გაცვლის გზით. ამ შემთხვევაში იგი მოქმედებს იმ ქვეყანაში, სადაც წარმოებული იყო, მხოლოდ როგორც საქონლური კაპიტალი, მაგრამ სრულიადაც არ მოქმედებს — თვით გაყიდვის შემდეგაც კი, როგორც ძირითადი კაპიტალი.

პირიქით, ის პროდუქტები, რომლებიც, ნიადაგზე მიჯაჭვის გამო, ლოკალიზებულია და ამიტომ მათი გამოყენება მხოლოდ ადგილობრივ შეიძლება, მაგალითად, ფაბრიკის შენობები, რკინიგზები, ხიდები, გვირაბები, დოკები და სხვ., მელიორაცია და სხვ., — ასეთი პრო-

დუქტები ფიზიკურად ვერ გაიტანება იმ სახით, როგორც ისინი არსებობენ. ისინი უძრავნი არიან. ისინი ან უსარგებლონი რჩებიან, ანდა, გაყიდვის შემდეგ, უნდა მოქმედებდნენ ძირითადი კაპიტალის სახით იმავე ქვეყანაში, სადაც წარმოებული არიან. თავიანთი კაპიტალისტური მწარმოებლისათვის, რომელიც სპეკულაციის მიზნით ფაბრიკებს აშენებს ან მიწებს აუმჯობესებს, რათა ისინი გაყიდოს (ან მოიჯარეჩამბარებლისათვის, რომელიც კომერციულ საფუძველზე აგებს რკინიგზებსა და ხიდებს) — ეს ნივთები წარმოადგენენ მწარმოებლის საქონლური კაპიტალის ფორმას, მაშასადამე, სმიტის თანახმად, — საბრუნავი კაპიტალის ფორმას. მაგრამ, თუ მთელი საზოგადოებრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, ეს ნივთები, რათა უსარგებლონი არ დარჩნენ, ბოლოს და ბოლოს თვით იმავე ქვეყანაში უნდა მოქმედებდნენ ძირითადი კაპიტალის სახით წარმოების პროცესში, რომელიც ფიქსირებულია ამ ნივთთა არსებობის ადგილზე. აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ უძრავი ნივთები, როგორც ასეთები, უკვე თავისდათავად ძირითად კაპიტალს შეადგენენ; ისინი, როგორც, მაგალითად, საცხოვრებელი სახლები, შეიძლება მოხმარების ფონდს ეკუთვნოდნენ და, მაშასადამე, საერთოდ საზოგადოებრივ კაპიტალში არ შედიოდნენ, თუმცა შეადგენენ კი ელემენტს საზოგადოებრივი სიმდიდრისას, რომლის მიმართ კაპიტალი მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს. ამ ნივთების მწარმოებელი, თუ სმიტისებურად ვიტყოდით, მოგებას იღებს მათი გაყიდვის გზით. მაშასადამე, ისინი საბრუნავ კაპიტალს წარმოადგენენ! მას, ვინც მათი პრაქტიკულად გამომყენებელია, ვინც მათი საბოლოო მყიდველია, შეუძლია ამ ნივთებით სარგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ წარმოების პროცესში გამოიყენებს. მაშასადამე, ისინი ძირითად კაპიტალს წარმოადგენენ!

საკუთრების ტიტული, მაგალითად, რკინიგზის მიმართ, შესაძლებელია ყოველდღიურად გადადიოდეს ხელიდან ხელში და მის მფლობელებს შეუძლიათ ამ ტიტულის გაყიდვის გზით საზღვარგარეთაც კი მიიღონ მოგება, ასე რომ საკუთრების ტიტული რკინიგზის მიმართ, წინაალმდეგ თვით რკინიგზისა, შეიძლება გატანილ იქნეს საზღვარგარეთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვით ეს ნივთები იმავე ქვეყანაში, სადაც ისინი ლოკალიზებულნი არიან, ან უქმად უნდა იყვნენ, ანდა უნდა მოქმედებდნენ მწარმოებლური კაპიტალის ძირითადი ნაწილის სახით. ასევე მეფაბრიკე A-ს შეუძლია მოგება მიიღოს იმ გზით, რომ თავის ფაბრიკას მიჰყიდის მეფაბრიკე B-ს, მაგრამ ეს

ხელს არ უშლის ფაბრიკას ახლა, ისე როგორც უწინ, მოქმედებდეს როგორც ძირითადი კაპიტალი.

მაშასადამე, თუ ადგილობრივად ფიქსირებული, ნიადაგისგან მოუშორებელი შრომის საშუალებანი თავიანთი დანიშნულების მიხედვით აუცილებლად იმავე ქვეყანაში უნდა მოქმედებდნენ ძირითადი კაპიტალის სახით, თუმცა შესაძლებელია ისინი მათი მწარმოებლისათვის მოქმედებდნენ როგორც საქონლური კაპიტალი და არ შეადგენდნენ მისი ძირითადი კაპიტალის ელემენტებს (ეს ძირითადი კაპიტალი მისთვის შედგება შრომის საშუალებებისგან, რომლებიც მას შენობების ასაგებად, რკინიგზების გასაყვანად და სხვ. ესაჭიროება),—აქედან სრულიადაც არ გამოდის პირიქითი დასკვნა, ვითომ ძირითად კაპიტალს აუცილებლად უძრავი ნივთები უნდა შეადგენდნენ. გემი და ორთქლმავალი მხოლოდ მოძრაობაში მოქმედებენ; მიუხედავად ამისა, ერთიც და მეორეც მოქმედებს როგორც ძირითადი კაპიტალი არა მათი მწარმოებლისათვის, არამედ მათი გამომყენებლისათვის. მეორე მარივ, მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავ შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ ისეთი ნივთები, რომელნიც ნამდვილად ფიქსირებული არიან წარმოების პროცესში, მასში ცოცხლობენ და ყვავებიან და, მასში შესვლის შემდეგ, არასოდეს აღარ ტოვებენ მას; ასეთია, მაგალითად, ნახშირი, რომელიც მანქანის მიერ მოიხმარება წარმოების პროცესში, გაზი, რომელიც მოიხმარება ფაბრიკის შენობის განათებისათვის და სხვ. ისინი საბრუნავნი არიან არა იმიტომ, რომ პროდუქტთან ერთად ტოვებენ წარმოების პროცესს და საქონლის სახით მიმოიქცევიან, არამედ იმიტომ, რომ მათი ღირებულება მთლიანად შედის საქონლის ღირებულებაში, რომლის წარმოებასაც ისინი ხელს უწყობენ, მაშასადამე, ეს ღირებულება მთლად უნდა ანაზღაურდეს გაყიდვის გზით.

ა. სმიტიდან მოყვანილ უკანასკნელ ციტატაში აღსანიშნავია კიდევ შემდეგი ფრაზა. «საბრუნავი კაპიტალი იძლევა... საარსებო საშუალებებს მუშებისათვის, რომლებმაც ისინი დაამზადეს» (მანქანები და სხვ.).

ფიზიოკრატები ხელფასისათვის ავანსებულ კაპიტალის ნაწილს სწორად აღნიშნავენ avances annuelles [ყოველწლიური ავანსების] სახელწოდებით, წინააღმდეგ avances primitives - ისა [თავდაპირველი ავანსებისა]. მეორე მარივ, ფერმერის მიერ გამოყენებული მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელ ნაწილად მათ მიაჩნიათ არა თვით სამუშაო ძალა, არამედ სოფლის მეურნეობის მუშებისათვის მიცემული საარსებო საშუალებანი («მუშების სარჩო», როგორც სმიტი

ამბობს). ეს მჭიდროდაა დაკავშირებული მათს სპეციფიკურ დოქტრინასთან. სახელდობრ, ღირებულების იმ ნაწილს, რასაც შრომა მატებს პროდუქტს (სავსებით ისე, როგორც ღირებულების იმ ნაწილსაც, რასაც ნედლი მასალა, შრომის იარაღები და მუდმივი კაპიტალის სხვა ნივთიერი შემადგენელი ნაწილები მატებენ პროდუქტს) ისინი ეიიჩნევენ როგორც იმ საარსებო საშუალებათა ღირებულების თანატოლს, რომლებიც მიეცა მუშებს და რომლებიც ამ უკანასკნელებმა უნდა მოიხმარონ, რათა მათ შეინარჩუნონ თავიანთი ფუნქცია როგორც სამუშაო ძალა. ფიზიოკრატებს თვით მათივე დოქტრინა უშლიდა ხელს მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის განსხვავების აღმოჩენაში. თუ შრომა აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას (თავისი საკუთარი ფასის კვლავწარმოების გარდა), — იგივე შრომა აწარმოებს მას მრეწველობაში სრულიად ისევე, როგორც მიწათმოქმედებაში. მაგრამ რადგან, ფიზიოკრატების სისტემის თანახმად, შრომა მარტო წარმოების ერთ დარგში, მიწათმოქმედებაში, აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას, ამიტომ ამ უკანასკნელს წარმოშობს არა შრომა, არამედ ბუნების განსაკუთრებული მოქმედება (დახმარება) ამ დარგში. და მხოლოდ ამიტომ წარმოადგენს მათთვის სამიწათმოქმედო შრომა მწარმოებლურ შრომას განსხვავებით შრომის სხვა სახეობათაგან.

ა. სმიტი მუშების საარსებო საშუალებებს განსაზღვრავს როგორც საბრუნავ კაპიტალს, წინააღმდეგ ძირითადი კაპიტალისა:

1. იმიტომ რომ საბრუნავ კაპიტალს, წინააღმდეგ ძირითადი კაპიტალისა, იგი ურევს კაპიტალის ფორმებში, რომლებიც მიმოქცევის სფეროს ეკუთვნის, ურევს სამიმოქცევო კაპიტალში; ეს არის შერევა, რაც უკრიტიკოდ მიიღეს მემკვიდრეობით შემდგომდროინდელმა ეკონომისტებმა. ამიტომ იგი ურევს საქონლურ კაპიტალს მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავ შემადგენელ ნაწილში; და თავისთავად ცხადია, რომ იქ, სადაც საზოგადოებრივი პროდუქტი საქონლის ფორმას იღებს, საარსებო საშუალებანი როგორც მუშების, ისე არამუშებისა, და მასალები, ისე როგორც თვით შრომის საშუალებანი, შეიძლება მივიღოთ მხოლოდ საქონლური კაპიტალიდან.

2. მაგრამ სმიტის აზრებში აქა-იქ ფიზიოკრატიული წარმოდგენაც გამოსჭვივის, თუმცა იგი მის საკუთარ აზრთა მსვლელობის ეზოტერულ — ნამდვილ მეცნიერულ — ნაწილს ეწინააღმდეგება.

ავანსებული კაპიტალი საერთოდ გადაიქცევა მწარმოებლურ კაპიტალად, ე. ი. იღებს წარმოების იმ ელემენტების ფორმას, რომელნიც თვითონ წინანდელი შრომის პროდუქტს წარმოადგენენ (მათ შორისაა სამუშაო ძალაც). მხოლოდ ამ ფორმაში შეუძლია მას

იმოქმედოს წარმოების პროცესში. და თუ თვით სამუშაო ძალის ადგილას, რადაც კაპიტალის ცვალებადი ნაწილი იქცა, მუშის საარსებო საშუალებებს ავიღებთ, ცხადია, რომ ეს საარსებო საშუალებანი, როგორც ასეთნი, ღირებულების შექმნის მხრივ არ განსხვავდებიან მწარმოებლური კაპიტალის სხვა ელემენტებისგან, ნედლი მასალის და მუშა პირუტყვის საკვებისაგან. სმიტი, მისდევს რა ფიზიოკრატების მაგალითს, ზემოთ ციტირებულ ადგილას ერთმანეთს უთანაბრებს კიდეც მათ. საარსებო საშუალებებს არ შეუძლიათ თვითონ თავიანთი ღირებულების გაზრდა ანუ მისთვის ზედმეტი ღირებულების მიმატება. მათი ღირებულება, ისევე როგორც მწარმოებლური კაპიტალის სხვა ელემენტების ღირებულება, შეიძლება მხოლოდ ხელახლა გამოვლინდეს პროდუქტის ღირებულებაში. მათ არ შეუძლიათ იმაზე მეტი ღირებულება მიუმატონ პროდუქტს, რაც თვით მათ აქვთ. ძირითადი კაპიტალისგან, რომელიც შრომის საშუალებებისგან შედგება, ისინი, ისევე როგორც ნედლი მასალა, ნახევარ-ფაბრიკატები და სხვ., მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ (ყოველ შემთხვევაში კაპიტალისტისათვის, რომელიც მათში ფასს იხდის) მთლიანად გამოიყენებიან პროდუქტის საწარმოებლად, რომლის შექმნაშიც ისინი მონაწილეობენ, რომ, მაშასადამე, მათი ღირებულება მთლიანად უნდა ანაზღაურდეს, მაშინ როდესაც ძირითადი კაპიტალის მიმართ ეს ხდება თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ. მაშასადამე, სამუშაო ძალისათვის (ანუ მუშის საარსებო საშუალებებისათვის) მწარმოებლური კაპიტალის ავანსებული ნაწილი მხოლოდ ნივთიერად განსხვავდება ახლა მწარმოებლური კაპიტალის სხვა ნივთიერი ელემენტებისაგან და არა თავისი როლით შრომისა და ღირებულების ზრდის პროცესში. იგი განსხვავდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შედის საბრუნავი კაპიტალის კატეგორიაში პროდუქტის შემქმნელი ობიექტური ფაქტორების (materials [მასალების], როგორც სმიტი ზოგადად ამბობს) ნაწილთან ერთად, განსხვავებით პროდუქტის შემქმნელი ობიექტური ფაქტორების მეორე ნაწილისგან, რომელიც ძირითადი კაპიტალის კატეგორიას განეკუთვნება.

იმ გარემოებას, რომ ხელფასზე დახარჯული ნაწილი კაპიტალისა მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავ ნაწილს ეკუთვნის და, წინააღმდეგ მწარმოებლური კაპიტალის ძირითადი ნაწილისა, მას გააჩნია დენადობის თვისება, რაც საერთოა მისთვის და პროდუქტის შემქმნელი საგნობრივი ფაქტორების ნაწილისათვის, ნედლეულისათვის და სხვ., — ამ გარემოებას აბსოლუტურად არავითარი კავშირი არა აქვს იმ როლთან, რასაც ასრულებს ღირებულების ზრდის პროცესში კაპიტალის ეს ცვალებადი ნაწილი მუდმივ ნაწილთან შედარებით. აქ

საქმე შეეხება მხოლოდ იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს ავანსებული კაპიტალღირებულების ამ ნაწილის ანაზღაურება, განახლება, ე. ი. როგორ უნდა მოხდეს მისი კვლავწარმოება პროდუქტის ღირებულებიდან მიმოქცევის მეშვეობით. სამუშაო ძალის ყიდვისა და განმეორებითი ყიდვის აქტები მიმოქცევის პროცესს ეკუთვნის. მაგრამ მხოლოდ წარმოების პროცესში გარდაიქმნება ხელფასზე დახარჯული ღირებულება (არა მუშისათვის, არამედ კაპიტალისტისათვის) განსაზღვრული, მუდმივი სიდიდიდან ცვალებად სიდიდედ, და საერთოდ მხოლოდ ამ გზით გარდაიქმნება ავანსებული ღირებულება კაპიტალღირებულებად, კაპიტალად, თვითმზარდ ღირებულებად. მაგრამ იმის გამო, რომ, სმიტის მსგავსად, მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავ შემადგენელ ნაწილად მიაჩნიათ არა ის ღირებულება, რომელიც სამუშაო ძალაზეა დახარჯული, არამედ ის ღირებულება, რომელიც მუშის საარსებო საშუალებებზე იხარჯება, შეუძლებელი ხდება ცვალებადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის განსხვავების გაგება, მაშასადამე, საერთოდ კაპიტალისტური წარმოების პროცესის გაგება. კაპიტალის ამ ნაწილის განსაზღვრა როგორც ცვალებადი კაპიტალისა, წინააღმდეგ პროდუქტის წემქმნელ საგნობრივ ფაქტორებზე დახარჯული მუდმივი კაპიტალისა, აქ სრულიად იმარხება იმ განსაზღვრით, რომელიც გვეუბნება, სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალის ნაწილი თავისი როლის მიხედვით მწარმოებლური კაპიტალის დენად ნაწილს ეკუთვნისო. ეს დამარხვა იმით გვირგვინდება, რომ სამუშაო ძალის ნაცვლად მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებად მუშის საარსებო საშუალებებია ჩამოთვლილი. არსებითად სავსებით სულ ერთია, სამუშაო ძალის ღირებულება ფულის სახით გაიღება ავანსად, თუ პირდაპირ საარსებო საშუალებათა სახით. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი შემთხვევა კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე მხოლოდ გამონაკლისი შეიძლება იყოს[24].

იმის გამო, რომ საბრუნავი კაპიტალის ამგვარად განსაზღვრა სმიტის მიერ დადგენილ იქნა როგორც გადამწყვეტი განსაზღვრა სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალღირებულების, —ეს იყო ფიზიოკრატული განსაზღვრა ფიზიოკრატების წანამძღვართა გარეშე,—სმიტმა

[24] თუ როგორ ძალიან დაიხშო თვით სმიტმა გზა იმ როლის სწორად გაგებისათვის, რომელსაც სამუშაო ძალა ღირებულების ზრდის პროცესში ასრულებს, ამას ამტკიცებს შემდეგი წინადადება, სადაც მუშების შრომა ფიზიოკრატების ყაიდაზე გათანაბრებულია მუშა პირუტყვის მუშაობასთან: «არა მარტო მისი» (ფერმერის) «მუშა-მოჯამაგირეები, არამედ მისი მუშა პირუტყვიც მწარმოებლური მომუშავეებია» (წიგნი II, თავი V, გვ. 243).

თავისი მიმდევრები მშვიდობიანად მიიყვანა იქამდე, რომ მათთვის სრულიად შეუძლებელი გახდა ცვალებად კაპიტალად შეეცნოთ კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც სამუშაო ძალაზე იხარჯება. უფრო ღრმა და სწორმა აზრებმა, რომლებიც თვით სმიტს გაბნეული აქვს სხვა ადგილას, ვერ გაიმარჯვა, და გამარჯვებული სწორედ მისი შეცდომა დარჩა. კიდევ მეტი, შემდგომდროინდელი მწერლები უფრო შორს წავიდნენ; მათთვის გადამწყვეტი განსაზღვრა კაპიტალის იმ ნაწილისა, რომელიც სამუშაო ძალაზეა დახარჯული, არა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნაწილი საბრუნავ კაპიტალს შეადგენს, წინააღმდეგ ძირითადისა,—მათ საბრუნავი კაპიტალის ძირითად დანიშნულებად ის გახადეს, რომ იგი მუშების საარსებო საშუალებებზე იხარჯება. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს მოძღვრება აუცილებელ საარსებო საშუალებათაგან შემდგარ მუშათა ფონდზე როგორც მუდმივ სიდიდეზე, რომელიც, ერთ მირივ, ფიზიკურად ზღუდავს მუშების წილს საზოგადოებრივ პროდუქტში და, მეორე მხრივ, მთელი თავისი მოცულობით სამუშაო ძალის ყიდვაზე უნდა დაიხარჯოს.

თავი მეთერთმეტე

თეორიები ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის შესახებ. რიკარდო

რიკარდო იხსენიებს განსხვავებას ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის მხოლოდ იმისათვის, რომ აღნიშნოს ღირებულების წესის გამონაკლისები, სახელდობრ ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელფასის ნორმას გავლენა აქვს ფასებზე. ამაზე ჩვენ მხოლოდ III წიგნში გვექნება ლაპარაკი.

მაგრამ ძირითადი გაუგებრობა იმთავითვე აშკარავდება შემდეგ ინდიფერენტულ შეტოლებაში: «ეს განსხვავება ძირითადი კაპიტალის გამძლეობის ხარისხში და ეს ცვლილება შეფარდებაში, რომლის მიხედვით ორი სახის კაპიტალის კომბინირება შეიძლება». [25]

ხოლო თუ ჩვენ ვიკითხავთ, რომელია ეს ორი სახის კაპიტალი,— აღმოჩნდება შემდეგი: «ასევე სხვადასხვანაირად შეიძლება კომბინირებული იყოს შეფარდება იმ კაპიტალსა, რომელმაც შრომა უნდა აანაზღაუროს, და იმ კაპიტალს შორის, რომელიც იარაღებსა, მანქანებსა და შენობებშია დაბანდებული» [26] [იქვე.] მაშასადამე, ძირითადი კაპიტალი უდრის შრომის საშუალებებს, და საბრუნავი კაპიტალი უდრის შრომაზე დახარჯულ კაპიტალს. ეს უხეირო გამოთქმა: კაპიტალი, რომელმაც «შრომა უნდა აანაზღაუროს», — ა. სმიტისგანაა აღებული. საბრუნავი კაპიტალი აქ, ერთი მხრივ, არეულია ცვალებად კაპიტალში, ე. ი. მწარმოებლური კაპიტალის იმ ნაწილში, რომელიც შრომაზეა დახარჯული. მაგრამ, მეორე მხრივ, რადგან დაპირისპი-

---

[25] «This difference in the degree of durability of fixed capital, and this variety in the proportions in which the two sorts of capital may be combined». — «Principles», გვ. 25.

[26] «The proportions too, in which the capital that is to support labour, and the capital that is invested in tools, machinery, and buildings, may be variously combined» — L. c.

რება აღებულია არა ღირებულების ზრდის პროცესიდან — მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი, — არამედ მიმოქცევის პროცესიდან (ძველი სმიტისებური არევ-დარევა), ამიტომ შედეგად მიიღება ორმაგად მცდარი განსაზღვრანი.

პირველი: განსხვავებანი ძირითადი კაპიტალის გამძლეობის ხარისხში და განსხვავებანი კაპიტალის შედგენილობაში მუდმივ და ცვალებად ნაწილებს რომ შეიცავს აქ მიჩნეულია როგორც ტოლფასოვანნი. მაგრამ უკანასკნელი განსხვავება განსაზღვრავს განსხვავებას ზედმეტი ღირებულების წარმოებაში; პირველი კი, პირიქით, რამდენადაც ღირებულების ზრდის პროცესი მიიღება მხედველობაში, შეეხება მხოლოდ იმ წესს, რომლის მეოხებითაც მოცემული ღირებულება წარმოების საშუალებიდან პროდუქტზე გადადის; ხოლო რამდენადაც მიმოქცევის პროცესია მხედველობაში მიღებული, ეს განსხვავება შეეხება მხოლოდ დახარჯული კაპიტალის განახლების პერიოდს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ პერიოდს, რომლისათვის ავანსებულია კაპიტალი. კაპიტალისტური წარმოების პროცესის შინაგანი მოძრაობის განჭვრეტის ნაცვლად მზა მოვლენების თვალსაზრისზე თუ დავდგებით, — დავინახავთ, რომ ეს განსხვავებანი მართლაც ემთხვევა ერთიმეორეს. წარმოების სხვადასხვა დარგში დაბანდებულ კაპიტალებს შორის საზოგადოებრივი ზედმეტი ღირებულების განაწილებაზე გავლენას ახდენენ განსხვავებანი სხვადასხვა პერიოდებისა, რომლებისთვის კაპიტალი ავანსებულია (მაგალითად, განსხვავება ძირითადი კაპიტალის არსებობის ხანგრძლიობისა), და განსხვავებანი კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში (მაშასადამე, განსხვავებაც მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის მიმოქცევაში); ერთიცა და მეორე განსხვავებაც თანაბრად უწყობს ხელს მოგების საყოველთაო ნორმის გათანაბრების და ღირებულების გადაქცევას წარმოების ფასებად.

მეორე. მიმოქცევის პროცესის თვალსაზრისით ერთ მხარეზეა შრომის საშუალებანი: ძირითადი კაპიტალი, მეორე მხარეზე — შრომის მასალა და ხელფასი: საბრუნავი კაპიტალი. პირიქით, შრომის პროცესისა და ღირებულების ზრდის პროცესის თვალსაზრისით ერთ მხარეზეა: წარმოების საშუალებანი (შრომის საშუალებანი და შრომის მასალა), ე. ი. მუდმივი კაპიტალი; მეორე მხარეზე — სამუშაო ძალა, ე. ი. ცვალებადი კაპიტალი. კაპიტალის ორგანული შედგენილობისათვის (წიგნი 1, თავი XXIII, 2) სავსებით სულ ერთია, მუდმივი კაპიტალის ღირებულების იგივე რაოდენობა მეტი შრომის საშუალებისგან და ნაკლები შრომის მასალისგან შედგება თუ ბევრი შრომის მასალისაგან და ნაკლები შრომის საშუალებისაგან: ყველაფერი დამო-

კიდებულია იმ შეფარდებაზე, რომელიც არსებობს წარმოების საშუალებებზე დახარჯულ კაპიტალსა და სამუშაო ძალაზე დახარჯულ კაპიტალს შორის. პირიქით: მიმოქცევის პროცესის თვალსაზრისით, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავების თვალსაზრისით, ასევე სავსებით სულ ერთია, რა შეფარდებით ნაწილდება საბრუნავი კაპიტალის ღირებულების მოცემული რაოდენობა შრომის მასალად და ხელფასად. პირველი თვალსაზრისით შრომის მასალა იმავე კატეგორიაში მოექცევა, რაშიაც შრომის საშუალება, წინააღმდეგ იმ კაპიტალღირებულებისა, რომელიც სამუშაო ძალაზეა დახარჯული. მეორე თვალსაზრისით სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალის ნაწილი, კაპიტალის იმ ნაწილთან ერთად, რომელიც შრომის მასალაზეა დახარჯული, მოთავსდება ერთ რუბრიკაში და უპირისპირდება შრომის საშუალებებზე დახარჯული კაპიტალის ნაწილს.

ამიტომ რიკარდოს შეხედულებით შრომის მასალაზე (ნედლეულსა და დამხმარე მასალაზე) დახარჯული ღირებულების კაპიტალის ნაწილი არც ერთ მხარეზე არ გვევლინება. იგი მთლად ქრება. იგი სახელდობრ არ უდგება ძირითადი კაპიტალის კატეგორიას, იმიტომ რომ თავისი მიმოქცევის წესით სავსებით ემთხვევა კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც სამუშაო ძალაზეა დახარჯული. მეორე მხრივ, იგი ვერ მიეკუთვნება საბრუნავი კაპიტალის კატეგორიას, იმიტომ რომ ამით გაბათილდებოდა ა. სმიტის მიერ გადმოცემული და რიკარდოს მიერ მდუმარედ შეთვისებული გაიგივება ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის დაპირისპირებისა მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის დაპირისპირებასთან. ამასთან, რიკარდო მეტისმეტად დიდი ლოგიკური ალღოს პატრონია, რათა მან ეს არ იგრძნოს, და ამიტომ კაპიტალის აღნიშნული ნაწილი მთლიანად და სავსებით ქრება მის ხელში.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ხელფასზე დახარჯულ კაპიტალს კაპიტალისტი, როგორც ამას პოლიტიკური ეკონომია გამოთქვამს, სხვადასხვა ვადებში აავანსებს, იმის მიხედვით, თუ როდის იხდის იგი ამ ხელფასს: მაგალითად, ყოველკვირეულად, ყოველთვიურად, თუ სამ თვეში ერთხელ და სხვ. სინამდვილეში საქმე პირიქით ხდება. მუშა ავანსად აძლევს კაპიტალისტს თავის შრომას ერთი კვირით, ერთი თვით, სამი თვით, — იმის მიხედვით, უხდიან მას ხელფასს ყოველკვირეულად, ყოველთვიურად თუ სამ თვეში ერთხელ. კაპიტალისტი რომ სამუშაო ძალას ყ ი დ უ ლ ო ბ დ ე ს, ნაცვლად იმისა, რომ მას ისტუმრებს მისი მოხმარების შემდეგ, მაშასადამე, იგი რომ მუშას წინასწარ უხდიდეს ხელფასს ერთი დღისათვის, ერთი კვირისათვის, ერთი თვისათვის, ან სამი თვისათვის, მაშინ შეიძლებოდა ლაპარაკი

ამ პერიოდებისათვის კაპიტალის ავანსად გაღების შესახებ. მაგრამ რადგან იგი იხდის მას შემდეგ, რაც შრომა უკვე დღეების, კვირეების, თვეების განმავლობაში გრძელდებოდა, ნაცვლად იმისა, რომ ეს შრომა მას ეყიდა და სასყიდელი იმ პერიოდისათვის გაეღო, რომლის განმავლობაშიაც იგი უნდა გრძელდებოდეს, ამიტომ საერთოდ აქ ჩვენს წინაშეა კაპიტალისტური quid pro quo: ავანსი, რასაც მუშა კაპიტალისტს აძლევს შრომის სახით, იქცევა ავანსად, რომელსაც კაპიტალისტი აძლევს მუშას ფულის სახით. საქმე სრულიადაც არ იცვლება იმის გამო, რომ კაპიტალისტი თვით პროდუქტს ან მის ღირებულებას (მასში მოქცეულ ზედმეტ ღირებულებასთან ერთად)—ამ პროდუქტის დამზადებისათვის საჭირო დროის სხვადასხვა ხანგრძლიობის, ანდა აგრეთვე მისი მიმოქცევისათვის საჭირო დროის სხვადასხვა ხანგრძლიობის მიხედვით — მეტნაკლებ ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ უკან იღებს მიმოქცევის სფეროდან, ანუ მის რეალიზაციას ახდენს. გამყიდველისათვის სავსებით სულ ერთია, თუ რა სურს მყიდველს მის საქონელს უყოს. კაპიტალისტს მანქანა უფრო იაფად არ უჯდება იმის გამო, რომ მან მთელი მისი ღირებულება ერთბაშად უნდა გაიღოს ავანსად, მაშინ როდესაც ეს ღირებულება მასთან უკუმოედინება მიმოქცევის პროცესიდან მხოლოდ თანდათანობით და ნაწილ-ნაწილ; ასევე უფრო ძვირად არ ყიდულობს იგი ბამბას იმის გამო, რომ ამ ბამბის ღირებულება მთლიანად შედის მისგან დამზადებული პროდუქტის ღირებულებაში და, მაშასადამე, მთლიანად და ერთბაშად ანაზღაურდება პროდუქტის გაყიდვის გზით.

დავუბრუნდეთ რიკარდოს.

1. ცვალებადი კაპიტალის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ აქ კაპიტალის განსაზღვრული, მოცემული (და, როგორც ასეთი, მუდმივი) ნაწილი, ღირებულების მოცემული ჯამი (იგულისხმება, რომ იგი უდრის სამუშაო ძალის ღირებულებას, თუმცა ამ შემთხვევაში სულ ერთია, ხელფასი სამუშაო ძალის ღირებულებას უდრის, მასზე დიდია თუ ნაკლები,) გაიცვლება ღირებულების მხრივ თვითმზარდ, ღირებულების შემქმნელ ძალაზე, — სამუშაო ძალაზე, რომელიც არა მარტო აკვლავწარმოებს თავის, კაპიტალისტის მიერ გადახდილ ღირებულებას, არამედ იმავე დროს აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას, ე. ი. ღირებულებას, რომელიც წინათ არ არსებობდა და რომელიც არავითარი ეკვივალენტით არაა გადახდილი. ეს დამახასიათებელი თვისება კაპიტალის იმ ნაწილისა, რომელიც ხელფასზეა დახარჯული, თვისება, რომელიც ამ კაპიტალს როგორც ცვალებად კაპიტალს განასხვავებს toto coelo [ყოველმხრივ] მუდმივი კაპიტალის-

გან, — ქრება, როგორც კი ხელფასზე დახარჯული ნაწილი კაპიტალისა მარტოოდენ მიმოქცევის პროცესის თვალსაზრისით განიხილება და ამრიგად იგი წარმოგვიდგება როგორც საბრუნავი კაპიტალი, დაპირისპირებული შრომის საშუალებებზე დახარჯული ძირითადი კაპიტალისადმი. ეს უკვე იქიდან გამომდინარეობს, რომ მაშინ ერთსა და იმავე რუბრიკაში — საბრუნავი კაპიტალის რუბრიკაში — სამუშაო ძალაზე დახარჯული ნაწილი კაპიტალისა ერთიანდება მუდმივი კაპიტალის ერთ ნაწილთან, რომელიც შრომის მასალაზეა დახარჯული, და უპირისპირდება მუდმივი კაპიტალის მეორე შემადგენელ ნაწილს, რომელიც შრომის საშუალებებზეა დახარჯული. ზედმეტი ღირებულება, ე. ი. სწორედ ის გარემოება, რაც დახარჯულ ღირებულების ჯამს კაპიტალად აქცევს, აქ სრულიად მხედველობის გარეშეა დატოვებული. ასევე მხედველობის გარეშეა დატოვებული ის გარემოებაც, რომ ღირებულების ნაწილი, რასაც ხელფასზე დახარჯული კაპიტალი მატებს პროდუქტს, ახლად არის წარმოებული (მაშასადამე, ნამდვილად კვლავწარმოებულია), მაშინ როდესაც ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც ნედლი მასალა მატებს პროდუქტს, ახლად კი არაა წარმოებული, ნამდვილად კი არაა კვლავწარმოებული, არამედ მხოლოდ შენარჩუნებულია, შენახულია პროდუქტის ღირებულებაში, და ამიტომ მხოლოდ ხელახლა გვევლინება როგორც პროდუქტის ღირებულების შემადგენელი ნაწილი. განსხვავება, როგორც იგი ახლა საბრუნავი და ძირითადი კაპიტალის დაპირისპირებულობის თვალსაზრისით წარმოგვიდგება, მდგომარეობს მხოლოდ შემდეგში: საქონლის საწარმოებლად გამოყენებულ შრომის საშუალებათა ღირებულება მხოლოდ ნაწილობრივ შედის საქონლის ღირებულებაში და ამიტომ ასევე ნაწილობრივ ანაზღაურდება საქონლის გაყიდვის გზით და მაშასადამე, საერთოდ ანაზღაურდება მხოლოდ ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით. მეორე მხრივ, საქონლის საწარმოებლად გამოყენებული სამუშაო ძალისა და შრომის საგნების (ნედლეულის და სხვ.) ღირებულება მთლიანად შედის საქონლის ღირებულებაში და ამიტომ მთლიანად ანაზღაურდება მისი გაყიდვის გზით. ამდენადვე მიმოქცევის პროცესის მიმართ კაპიტალის ერთი ნაწილი წარმოგვიდგება როგორც ძირითადი, მეორე — როგორც დენადი ანუ საბრუნავი. ორივე შემთხვევაში საქმე შეეხება მოცემული, ავანსებული ღირებულების გადატანას პროდუქტზე და მის ხელახლა ანაზღაურებას პროდუქტის გაყიდვის გზით. განსხვავება ახლა მხოლოდ იმაშია, რომ ერთ შემთხვევაში ღირებულების გადატანა და, მაშასადამე, ღირებულების ანაზღაურებაც, ხდება ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით, მეორე შემ-

თხვევაში კი — ერთბაშად. ამასთან ერთად გამქრალია კარდინალური განსხვავება ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის, მაშასადამე, გამქრალია ზედმეტი ღირებულების შექმნისა და კაპიტალისტური წარმოების მთელი საიდუმლოება, ე. ი. გამქრალია პირობები, რომელნიც კაპიტალად აქცევენ განსაზღვრულ ღირებულებას და იმ ნივთებს, რომლებშიც ეს ღირებულება პოულობს გამოსახულებას. კაპიტალის ყველა შემადგენელი ნაწილი აქ ერთიმეორისაგან განსხვავდება მხოლოდღა მიმოქცევის წესის მიხედვით (და საქონლის მიმოქცევას საქმე აქვს, რასაკვირველია, მხოლოდ უკვე არსებულ, მოცემულ ღირებულებასთან); ამასთან მიმოქცევის განსაკუთრებული წესი საერთოა როგორც ხელფასზე დახარჯული კაპიტალისათვის, ისე კაპიტალის იმ ნაწილისათვის, რომელიც ნედლ მასალაზე, ნახევარ-ფაბრიკატებზე და დამხმარე მასალაზეა დახარჯული, — წინააღმდეგ კაპიტალის იმ ნაწილისა, რომელიც დახარჯულია შრომის საშუალებებზე.

აქედან გასაგებია, თუ რატომ მოხდა რომ ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ინსტინქტურად ჩასჭიდა ხელი «მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის» კატეგორიების «ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის» კატეგორიებში სმიტისეულ აღრევას და მთელი საუკუნის განმავლობაში უკრიტიკოდ გადასცემდა ამ არევ-დარევას თაობიდან თაობას. ეს პოლიტიკური ეკონომია სრულიად აღარ განასხვავებს კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც ხელფასზეა დახარჯული, კაპიტალის იმ ნაწილისგან, რომელიც ნედლ მასალაზეა დახარჯული, და მხოლოდ ფორმალურად განასხვავებს მას მუდმივი კაპიტალისაგან, ე. ი. განასხვავებს მხოლოდ იმით, ნაწილ-ნაწილ მიმოიქცევა იგი პროდუქტთან ერთად, თუ მთლიანად. ამით ერთი დაკვრით ინგრევა კაპიტალისტური წარმოების ნამდვილი მოძრაობისა და, მაშასადამე, კაპიტალისტური ექსპლოატაციის გაგებისათვის აუცილებელი საფუძველი. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ავანსებული ღირებულება ხელახლა გვევლინება.

ა. სმიტისაგან არაკრიტიკულად გადმოღებული ეს არევ-დარევა რიკარდოს უფრო მეტად უშლის ხელს არა მარტო შემდგომდროინდელ აპოლოგეტებთან შედარებით, რომელთა მიზნებსაც ცნებათა არევა, პირიქით, ხელს უწყობს, არამედ თვით ა. სმიტთან შედარებითაც კი, ვინაიდან რიკარდო, წინააღმდეგ ა. სმიტისა, იცავს რა სინამდვილეში ა. სმიტის ეზოტერულ მოძღვრებას ა. სმიტისავე ეგზოტერული მოძღვრების წინააღმდეგ, — უფრო თანმიმდევრულად და უფრო მკვეთრად ავითარებს ღირებულებას და ზედმეტ ღირებულებას.

ფიზიოკრატებს ამ არევ-დარევის ნასახიც კი არ მოეპოვებათ. განსხვავება avances annuelles-სა და avances primitives-ს შორის შეეხება კაპიტალის, სპეციალურად სამიწათმოქმედო კაპიტალის, სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების კვლავწარმოების მხოლოდ სხვადასხვა პერიოდებს; ამასთანავე მათი შეხედულებანი ზედმეტი ღირებულების წარმოების შესახებ შეადგენენ მათი თეორიის ამ განსხვავებათაგან დამოუკიდებელ ნაწილს, და თანაც ნაწილს, რომელსაც ისინი წარმოგვიდგენენ როგორც თეორიის დედააზრს. ზედმეტი ღირებულების წარმოშობა ახსნილია აქ არა კაპიტალიდან, როგორც ასეთიდან, არამედ იგი მიეწერება კაპიტალის წარმოების მხოლოდ ერთ განსაზღვრულ სფეროს, მიწათმოქმედებას.

2. ყველაზე არსებითი გარემოება ცვალებადი კაპიტალის განსაზღვრისას — და მაშასადამე, ღირებულების რაიმე ჯამის გადაქცევისათვის კაპიტალად — ის არის, რომ კაპიტალისტი ღირებულების განსაზღვრულ, მოცემულ (და ამ აზრით მუდმივ) სიდიდეს ცვლის (სამუშაო ძალაზე; ღირებულებას ცვლის ღირებულების შემქმნელ ძალაზე) ; ღირებულების განსაზღვრულ რაოდენობას ცვლის ღირებულების წარმოებაზე, მის თვითზრდის პროცესზე. ფულით ისტუმრებს კაპიტალისტი მუშას თუ საარსებო საშუალებებით, — ამით ეს არსებითი განსაზღვრა სრულიად არ იცვლება. ამით იცვლება მხოლოდ კაპიტალისტის მიერ ავანსებული ღირებულების არსებობის წესი: ეს ღირებულება ერთ შემთხვევაში არსებობს ფულის სახით, და ამ ფულით მუშა თვითონ ყიდულობს ბაზარზე თავის საარსებო საშუალებებს, ხოლო მეორე შემთხვევაში — საარსებო საშუალებათა სახით, რომლებსაც მუშა უშუალოდ მოიხმარს. მართლაც, განვითარებული კაპიტალისტური წარმოება გულისხმობს, რომ მუშას ფულით უხდიან, ისე როგორც იგი საერთოდ გულისხმობს წარმოების პროცესს, რომლის მოსაშუალეა მიმოქცევის პროცესი, ე. ი. გულისხმობს ფულად მეურნეობას. მაგრამ ზედმეტი ღირებულების შექმნა — და, მაშასადამე, ღირებულების ავანსებული ჯამის კაპიტალიზაცია — არ გამომდინარეობს ხელფასის ანუ სამუშაო ძალის საყიდლად დახარჯული კაპიტალის არც ფულადი ფორმიდან და არც ნატურალური ფორმიდან. იგი გამომდინარეობს ღირებულების გაცვლიდან ღირებულების შემქმნელ ძალაზე, მუდმივი სიდიდის გადაქცევიდან ცვალებად სიდიდედ.

შრომის საშუალებათა მეტნაკლები ფიქსაცია დამოკიდებულია მათი გამძლეობის ხარისხზე, ე. ი. მათ ფიზიკურ თვისებებზე. მათი გამძლეობის ხარისხის მიხედვით ისინი, სხვა პირობების უცვლელობისას, ცვდებიან უფრო სწრაფად ან უფრო ნელა, მაშასადამე, უფრო დიდ

ან მოკლე ხანს მოქმედებენ ძირითადი კაპიტალის სახით. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მხოლოდ გამძლეობის ამ ფიზიკური თვისების გამო მოქმედებენ ძირითადი კაპიტალის სახით. ნედლეული ლითონის ფაბრიკებში ისევე გამძლეა, როგორც ის მანქანები, რომლებითაც ამ ნედლეულის დამუშავება ხდება, და უფრო გამძლეა, ვიდრე ამ მანქანების ბევრი შემადგენელი ნაწილი: ტყავი, ხე, და სხვ. მიუხედავად ამისა, ნედლეულად გამოყენებული ლითონი შეადგენს საბრუნავი კაპიტალის ნაწილს, ხოლო შრომის მოქმედი საშუალება, რომელიც, შეიძლება, იმავე ლითონისგან იყოს გაკეთებული, ძირითადი კაპიტალის ნაწილია. ამრიგად, აქ საგნის ნივთიერი, ფიზიკური ბუნება. მისი უფრო დიდი ან ნაკლები გამძლეობა კი არ არის ის, რის გამოც ერთი და იგივე ლითონი ერთ შემთხვევაში ძირითადი კაპიტალის, ხოლო მეორე შემთხვევაში საბრუნავი კაპიტალის რუბრიკაშია. პირიქით, ეს განსხვავება გამომდინარეობს იმ როლიდან, რომელსაც იგი წარმოების პროცესში ასრულებს ერთ შემთხვევაში როგორც შრომის საგანი, მეორეში — როგორც შრომის საშუალება.

შრომის საშუალების ფუნქცია წარმოების პროცესში მოითხოვს, საერთოდ რომ ვთქვათ, იმას, რომ ეს საშუალება მეტნაკლებ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ისევ და ისევ გამოიყენებოდეს შრომის განმეორებითს პროცესებში. მაშასადამე, უკვე მისი ფუნქციით განისაზღვრება მისი მასალის მეტი თუ ნაკლები გამძლეობა. მაგრამ იმ მასალის გამძლეობა, რომლისგანაც შრომის საშუალება არის გაკეთებული, თავისდათავად არ ხდის ამ უკანასკნელს ძირითად კაპიტალად. იგივე ნივთიერება ნედლი მასალის სახით საბრუნავი კაპიტალი ხდება; და ეკონომისტებისათვის, რომელნიც საქონლური კაპიტალისა და მწარმოებლური კაპიტალის განსხვავებას საბრუნავი და ძირითადი კაპიტალის განსხვავებაში ურევენ, იგივე ნივთიერება, იგივე მანქანა როგორც პროდუქტი წარმოადგენს საბრუნავ კაპიტალს, როგორც შრომის საშუალება, ძირითად კაპიტალს.

მართალია შრომის საშუალება ძირითად კაპიტალად იქცევა არა იმ მასალის გამძლეობის გამო, რომლისგანაც იგი გაკეთებულია, მაგრამ მისი როლი როგორც შრომის საშუალებისა მოითხოვს, რომ იგი შედარებით გამძლე მასალისაგან შედგებოდეს. ამრიგად, მისი ნივთიერების გამძლეობა პირობაა იმისა, რომ იგი მოქმედებდეს როგორც შრომის საშუალება, მაშასადამე, მატერიალური საფუძველიცაა მიმოქცევის იმ წესისა, რომელიც მას ძირითად კაპიტალად ხდის. სხვა თანაბარ პირობებში მისი მასალის მეტად თუ ნაკლებად სწრაფი გაც-

ვეთა ასვამს მას მეტი თუ ნაკლები ზომით გამძლეობის ბეჭედს და, მაშასადამე, არსებითად დაკავშირებულია მის, როგორც ძირითადი კაპიტალის, თვისებასთან.

თუ კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც სამუშაო ძალაზეა დახარჯული, მხოლოდ და მხოლოდ საბრუნავი კაპიტალის თვალსაზრისით განიხილება და, მაშასადამე, უპირისპირდება ძირითად კაპიტალს; თუ, ამიტომ, მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის განსხვავებანი არეულია ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავებებში, მაშინ სრულიად ბუნებრივია, რომ, — რაკი შრომის საშუალების ნივთიერი რეალობა მისი, როგორც ძირითადი კაპიტალის, სხვა ხასიათის არსებითი საფუძველია, — საბრუნავი კაპიტალის ხასიათი, წინააღმდეგ ძირითადისა, გამოვიყვანოთ სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალის ნივთიერი რეალობიდან და შემდეგ ხელახლა განვსაზღვროთ საბრუნავი კაპიტალი ცვალებადი კაპიტალის ნივთიერი რეალობის მეოხებით.

ხელფასზე დახარჯული კაპიტალის ნამდვილ მასალას წარმოადგენს თვით შრომა: მოქმედი, ღირებულების შემქმნელი სამუშაო ძალა, ცოცხალი შრომა, რომელიც კაპიტალისტმა მკვდარ, გასაგნობრივებულ შრომაზე გაცვალა და თავის კაპიტალს ჩააქსოვა, სწორედ ამის გამო მის ხელში მყოფი ღირებულება თვითმზარდ ღირებულებად იქცევა. მაგრამ კაპიტალისტი ღირებულების თვითზრდის ამ უნარს არ ყიდის. ეს უნარი ყოველთვის მხოლოდ მისი მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილია, მსგავსად მის შრომის საშუალებებისა, მაგრამ იგი არასოდეს არაა შემადგენელი ნაწილი მისი საქონლური კაპიტალისა, როგორიცაა, მაგალითად, მზა პროდუქტი, რომელსაც იგი ყიდის. წარმოების პროცესში, როგორც მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილები, შრომის საშუალებანი არ უპირისპირდებიან ძირითადი კაპიტალის სახით სამუშაო ძალას, ასევე შრომის მასალა და დამხმარე მასალა არ ემთხვევა მას საბრუნავი კაპიტალის სახით; სამუშაო ძალა ორთავეს უპირისპირდება როგორც პირადული ფაქტორი, მაშინ როდესაც ისინი საგნობრივ ფაქტორებს შეადგენენ, — ასეა შრომის პროცესის თვალსაზრისით. ორთავენი სამუშაო ძალას, ცვალებად კაპიტალს უპირისპირდებიან როგორც მუდმივი კაპიტალი, — ასეა ღირებულების ზრდის პროცესის თვალსაზრისით. ანუ, რაკი აქ ლაპარაკია ნივთიერ განსხვავებაზე, რამდენადაც იგი გავლენას ახდენს მიმოქცევის პროცესზე, საგანი ასე წარმოგვიდგება: იმ ღირებულების ბუნებიდან, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა გასაგნობრივებული შრომა, და მოქმედი სამუშაო ძალის ბუნებიდან, — ძალისა, რაც სხვა არაფერია, თუ არა შრომა, რომელიც გასაგნობრივდება —, ვამომ-

დინარეობს, რომ სამუშაო ძალა თავისი მოქმედების განმავლობაში განუწყვეტლივ ქმნის ღირებულებას და ზედმეტ ღირებულებას, — და ამასთან ის, რაც სამუშაო ძალის მხარეზე წარმოგვიდგება როგორც მოძრაობა, როგორც ღირებულების შექმნა, პროდუქტის მხარეზე წარმოგვიდგება უძრავ ფორმაში, როგორც უკვე შექმნილი ღირებულება. თუ სამუშაო ძალამ თავისი მოქმედება უკვე შეასრულა, კაპიტალი აღარ შედგება სამუშაო ძალისგან, ერთი მხრივ, და წარმოების საშუალებათაგან, მეორე მხრივ. კაპიტალღირებულება, რომელიც სამუშაო ძალაზე იყო დახარჯული, ახლა არის ღირებულება, რომელიც (+ ზედმეტი ღირებულება) პროდუქტს მიემატა. პროცესის გასამეორებლად აუცილებელია პროდუქტის გაყიდვა და აქედან აღებული ფულით განუწყვეტლივ სამუშაო ძალის ახლად და ახლად ყიდვა და მწარმოებლურ კაპიტალში მისი ჩაქსოვა. ეს ანიჭებს სამუშაო ძალაზე დახარჯულ კაპიტალის ნაწილს, ისე როგორც შრომის მასალაზე და სხვ. დახარჯულ მის ნაწილს, საბრუნავი კაპიტალის ხასიათს, წინააღმდეგ იმ კაპიტალისა, რომელიც შრომის საშუალებებში რჩება ფიქსირებული.

თუ, პირიქით, საბრუნავი კაპიტალის მეორად განსაზღვრას, რაც მას საერთო აქვს მუდმივ კაპიტალთან (ნედლ და დამხმარე მასალებთან), გადავაქცევთ კაპიტალის იმ ნაწილის არსებით განსაზღვრად, რაც სამუშაო ძალაზეა დახარჯული, — სახელდობრ, თუ გამოვალთ იქიდან, რომ საბრუნავ კაპიტალად გაღებული ღირებულება მთლად გადაიტანება პროდუქტზე, რომლის წარმოებაშიც ეს კაპიტალი მოიხმარება, და არა თანდათანობით და ნაწილ-ნაწილ, როგორც ამას ძირითადი კაპიტალის მიმართ აქვს ადგილი, რომ ეს ღირებულებაც, მაშასადამე, მთლად უნდა ანაზღაურდეს პროდუქტის გაყიდვის გზით, — მაშინ ხელფასზე დახარჯული კაპიტალის ნაწილიც, ნივთიერად უნდა შედგებოდეს არა მოქმედი სამუშაო ძალისგან, არამედ იმ ნივთიერი ელემენტებისგან, რომელთაც მუშა ყიდულობს თავისი ხელფასით, ე. ი. საზოგადოებრივი საქონლური კაპიტალის იმ ნაწილისაგან, რომელიც მუშის მოხმარებაში შედის, — იგი უნდა შედგებოდეს საარსებო საშუალებებისგან. ძირითადი კაპიტალი ასეთ შემთხვევაში შედგება შრომის საშუალებებისგან, რომლებიც შედარებით ნელა ცვდებიან და ამიტომ არ საჭიროებენ სწრაფ ანაზღაურებას, ხოლო სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალი შედგება უფრო სწრაფად ასანაზღაურებელი საარსებო საშუალებებისაგან, (რომელთაც ნაკლები ხანგრძლიობა აქვთ) .

მაგრამ უფრო სწრაფი ან უფრო ნელი გაცვეთის საზღვრები იშლება.

«საჭმელი და ტანისამოსი, რასაც მუშა მოიხმარს, შენობები, სადაც იგი მუშაობს, სამუშაო იარაღები, რომლებსაც ის მუშაობისას იყენებს, — ყოველივე ეს წარმავალი ხასიათისაა. მაგრამ არსებობს დიდი განსხვავება სხვადასხვა კაპიტალის გამძლეობის დროის მხრივ: ორთქლის მანქანა უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე გემი, გემი უფრო დიდხანს, ვიდრე მუშის ტანისამოსი, მუშის ტანისამოსი უფრო დიდხანს. ვიდრე საჭმელი, რომელსაც იგი მოიხმარს» [27].

ამასთან რიკარდოს ავიწყდება სახლი, სადაც მუშა ცხოვრობს. მისი ავეჯი, მისი მოხმარების იარაღები, როგორიცაა დანა-ჩანგალი. ჭურჭელი და სხვ., რომელთაც გამძლეობის მხრივ იგივე ხასიათი აქვთ, როგორიც შრომის საშუალებებს. იგივე ნივთები, ნივთთა იგივე კლასები ერთ შემთხვევაში გვეელინებიან როგორც მოხმარების საშუალებანი, მეორე შემთხვევაში — როგორც შრომის საშუალებანი.

განსხვავება, რიკარდოს სიტყვებით რომ ვთქვათ, მდგომარეობს შემდეგში: «იმისდა მიხედვით, კაპიტალი სწრაფად ცვდება და ხშირად მოითხოვს კვლავწარმოებას, თუ ნელა მოიხმარება, მას ან საბრუნავ კაპიტალს მივაკუთვნებთ ან ძირითად კაპიტალს» [28]).

ამას იგი უკეთებს შენიშვნას: «არაარსებითი დანაწილებაა, რომელშიც გამმიჯნავი ხაზის ზედმიწევნით გავლება შეუძლებელია[29]» [იქვე].

ამრიგად, ჩვენ კვლავ მივედით ფიზიოკრატებთან, რომელთათვის განსხვავება avances annuelles-სა და avances primitives-ს შორის იყო განსხვავება მოხმარების ხანგრძლიობაში და, მაშასადამე, გამოყენებული კაპიტალის კვლავწარმოების სხვადასხვა დროშიც. მხოლოდ ის. რაც მათ ხელში საზოგადოებრივი წარმოების მნიშვნელოვან მოვლენას გამოსახავს და «Tableau èconomique-ში» [«ეკონომიურ ცხრილში»] აგრეთვე მიმოქცევის პროცესთან დაკავშირებით არის გადმოცემული.

---

[27] «The food and clothing consumed by the labourer, the buildings in which he works, the implements with which his labour is assisted, are all of a perishable nature. There is, however, a vast difference in the time for which these different capitals will endure: a steam-engine will last longer than a ship, a ship than the clothing of the labourer, and the clothinq of the labourer longer than the food which he consumes». Ricardo etc., გვ. 26.

[28] «According as capital is rapidly perishable and requires to be frequently reproduced, or is of slow consumption, it is classed under the heads of circulating, or fixed capital» [გვ. 26].

[29] «A division not essential, and in which the line of demarcation cannot be accurately drawn» [გვ. 26].

აქ **სუბიექტურ** და, თვით რიკარდოსავე სიტყვებით, ზედმეტ განსხვავებად იქცევა.

რაკი შრომაზე დახარჯული კაპიტალის ნაწილი შრომის საშუალებებზე დახარჯული კაპიტალის ნაწილისაგან მხოლოდ თავისი კვლავწარმოების პერიოდით და, მაშასადამე, თავისი მიმოქცევის ხანგრძლიობით განსხვავდება; რაკი ერთი ნაწილი სრულიად ისე შედგება საარსებო საშუალებებისაგან, როგორც მეორე ნაწილი შრომის საშუალებებისგან, ასე რომ უკანასკნელნი პირველთაგან მხოლოდ უფრო მეტი გამძლეობით განირჩევიან, და ამასთან პირველნიც, თავის მხრივ, რასაკვირველია, გამძლეობის სხვადასხვა ხარისხის შემცველნი არიან,— რაკი ეს ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, სავსებით გამქრალია ყოველი **differentia specifica** [სპეციფიკური განსხვავება] სამუშაო ძალაზე დახარჯულ კაპიტალსა და წარმოების საშუალებებზე დახარჯულ კაპიტალს შორის.

ეს სავსებით ეწინააღმდეგება რიკარდოს მოძღვრებას ღირებულების შესახებ, ისევე როგორც ეწინააღმდეგება მის მოგების თეორიას, რომელიც ფაქტიურად ზედმეტი ღირებულების თეორიაა. რიკარდო საერთოდ განსხვავებას ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის მხოლოდ იმდენად განიხილავს, რამდენადაც მათ შორის არსებული სხვადასხვა რაოდენობრივი თანაფარდობა წარმოების სხვადასხვა დარგში თანაბარი სიდიდის კაპიტალების დაბანდებისას გავლენას ახდენს ღირებულების კანონზე; სახელდობრ, იგი განიხილავს, თუ როგორ აისახება პროდუქტის ფასებში ამ გარემოებათა გამო ხელფასის აწევა ან დაწევა. მაგრამ გამოკვლევის ამ შეზღუდულ ფარგლებშიც კი იგი, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის მუდმივსა და ცვალებად კაპიტალში არევის გამო, უდიდეს შეცდომებს უშვებს და ნამდვილად გამოკვლევის სრულიად მცდარი საფუძვლიდან გამოდის. სახელდობრ, 1) რამდენადაც სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალღირებულების ნაწილი საბრუნავი კაპიტალის რუბრიკაში მოექცევა, იგი შემცდარად ავითარებს თვით საბრუნავი კაპიტალის განსაზღვრას და შემცდარად არკვევს განსაკუთრებით იმ პირობებს, რომელთა მეოხებით შრომაზე დახარჯული კაპიტალის ნაწილი ამ რუბრიკაში ხვდება; 2) არეულია ერთმანეთში ის განსაზღვრა, რომლის თანახმად შრომაზე დახარჯული ნაწილი კაპიტალისა ცვალებადი კაპიტალია, და ის განსაზღვრა, რომლის თანახმად იგი წინააღმდეგ ძირითადი კაპიტალისა ხაბრუნავი კაპიტალია.

იმთავითვე ცხადია, რომ სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალის განსაზღვრა როგორც საბრუნავი ანუ დენადი კაპიტალისა მეორადი

განსაზღვრაა, რომელშიც გამქრალია მისი differentia specifica წარმოების პროცესში, რადგან ამ განსაზღვრაში, ერთი მხრივ, შრომაზე და ნედლეულზე და სხვ. დახარჯული კაპიტალები ტოლფასოვანნი არიან; რუბრიკას, რომელიც მუდმივი კაპიტალის ერთ ნაწილს აიგივეებს ცვალებად კაპიტალთან, არაფერი აქვს საერთო ცვალებადი კაპიტალის differentia specifica-სთან მუდმივი კაპიტალისაგან განსხვავებით. მეორე მხრივ, შრომაზე და შრომის საშუალებებზე დახარჯული კაპიტალის ნაწილები თუმცა უპირისპირდებიან ერთიმეორეს, მაგრამ სრულიადაც არა იმ მიმართებით, რომ ისინი სულ სხვადასხვა წესით შედიან ღირებულების წარმოებაში, არამედ იმ მიმართებით, რომ ორივესგან მათი ეს ღირებულება პროდუქტზე გადაიცემა, ოღონდ — დროის სხვადასხვა პერიოდებში.

ყველა ამ შემთხვევაში საქმე შეეხება იმას, თუ როგორ ხდება საქონლის წარმოების პროცესში დახარჯული ღირებულების — სულ ერთია, ხელფასი იქნება ეს, ნედლეულის ფასი თუ შრომის საშუალებათა ფასი, — გადატანა პროდუქტზე, მაშასადამე, მისი მიმოქცევა პროდუქტის მეოხებით და იმას, თუ როგორ უბრუნდება იგი ყიდვის გზით თავის ამოსავალ პუნქტს, ანუ როგორ ანაზღაურდება. ერთადერთი განსხვავება აქ ამ «როგორ»-შია, ამ ღირებულების გადატანისა და, მაშასადამე, მიმოქცევის განსაკუთრებულ წესში.

ფულით იხდიან სამუშაო ძალის ფასს, რომელიც ხელშეკრულებითაა წინასწარ განსაზღვრული, თუ საარსებო საშუალებებით, — ეს არაფერს არ ცვლის ამ ფასის ხასიათში. ორივე შემთხვევაში იგი მოცემული ოდენობაა, წინასწარ განსაზღვრული ფასია. მაგრამ, ცხადია, ხელფასის ფულით გადახდისას ეს ფული თვით არ შედის წარმოების პროცესში, როგორც ამას ადგილი აქვს წარმოების საშუალებათა მიმართ; ამ უკანასკნელთა არა მარტო ღირებულება, არამედ თვით ნივთიერებაც კი შედის წარმოების პროცესში. ხოლო თუ საარსებო საშუალებანი, რომელთაც მუშა თავისი ხელფასით ყიდულობს, პირდაპირ საბრუნავი კაპიტალის ნივთიერი სახით მოექცევა ერთ რუბრიკაში ნედლეულთან და სხვასთან ერთად და დაუპირისპირდება შრომის საშუალებებს, მაშინ ამით საქმე სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება. თუ, ერთი კატეგორიის ნივთების, ე. ი. წარმოების საშუალებათა ღირებულება წარმოების პროცესში პროდუქტზე გადაიტანება, მაშინ მეორე კატეგორიის ნივთების, ე. ი. საარსებო საშუალებათა ღირებულება ხელახლა გვევლინება სამუშაო ძალაში, რომელმაც ისინი მოიხმარა, და ამ სამუშაო ძალის ამოქმედების გზით კვლავ პროდუქტზე გადაიტანება. ორივე ამ შემთხვევაში ერთნაირადაა ლაპარაკი

იმაზე, რომ წარმოების განმავლობაში ავანსებული ღირებულებანი კვლავ უბრალოდ გვევლინებიან პროდუქტში. (ფიზიოკრატები ამას სერიოზულად იღებდნენ და ამიტომ უარყოფდნენ, რომ სამრეწველო შრომა ზედმეტ ღირებულებას ქმნის.) ასე, მაგალითად, უეილენდი უკვე ციტირებულ ადგილას ამბობს: «სულ ერთია, თუ რა ფორმით გვევლინება ხელახლა კაპიტალი... სხვადასხვაგვარი საზრდო, ტანისამოსი და ბინა, რაც აუცილებელია ადამიანის არსებობისა და კეთილცხოვრებისათვის, ასევე ცვლილებას განიცდის. ყველა ეს საგანი დროთა ვითარებაში მოიხმარება და მათი ღირებულება კვლავ გვევლინება» და სხვ. («Elements of polit. Econ», გვ. 31, 32) წარმოების საშუალებათა და საარსებო საშუალებათა სახით წარმოებაში ავანსებული კაპიტალღირებულებანი, ამ შეხედულების მიხედვით, თანაბრად გვევლინებიან ხელახლა პროდუქტის ღირებულებაში. ამ გზით კაპიტალისტური წარმოების პროცესი გადაქცეულია სრულყოფილ მისტერიად და პროდუქტში არსებული ზედმეტი ღირებულების წარმოშობა სრულიად გამოთიშულია მხედველობის არედან.

შემდეგ, ამითვე დასრულებულია ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის დამახასიათებელი ფეტიშიზმი, რომელიც საზოგადოებრივი წარმოების პროცესის მიერ ნივთებისათვის მინიჭებულ საზოგადოებრივ ეკონომიურ ხასიათს, ამ ნივთთა ნატურალურ, ნივთიერი ბუნებიდან გამომდინარე ხასიათად აქცევს. ასე, მაგალითად: «შრომის საშუალებანი ძირითადი კაპიტალია» — სქოლასტიკური განსაზღვრაა, რომელიც წინააღმდეგობებს და არევ-დარევას იწვევს. შრომის პროცესის განხილვისას (წიგნი I, თავი V) დამტკიცებული იყო, რომ ნივთიერი ელემენტების მოქმედება შრომის საშუალების, შრომის მასალის თუ პროდუქტის სახით მთლიანად დამოკიდებულია იმ როლზე, რასაც ისინი ასრულებენ ყოველ მოცემულ შემთხვევაში შრომის გარკვეულ პროცესში. სრულიად ასევე შრომის საშუალებანი მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენენ ძირითად კაპიტალს, თუ წარმოების პროცესი საერთოდ კაპიტალისტური წარმოების პროცესია და, მაშასადამე, წარმოების საშუალებანი საერთოდ კაპიტალია, თუ მათ კაპიტალის ეკონომიური განსაზღვრულობა, საზოგადოებრივი ხასიათი აქვთ; და მეორე, ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენენ ძირითად კაპიტალს, თუ მათ განსაკუთრებული წესით გადააქვთ პროდუქტზე თავიანთი ღირებულება. როდესაც ეს არაა, მაშინ ისინი შრომის საშუალებებად რჩებიან ისე, რომ არ წარმოადგენენ ძირითად კაპიტალს. ასევე დამამარე მასალა, მაგალითად, სასუქი, თუ იგი თავის ღირებულებას იმავე განსაკუთრებული წესით გადასცემს, როგორც

შრომის საშუალებათა უდიდესი ნაწილი, იგი ძირითად კაპიტალად გადაიქცევა, თუმცა შრომის საშუალებას არ წარმოადგენს. აქ ლაპარაკია არა ცნების განსაზღვრაზე, რომლის ფარგლებშიც შეიძლება მოვაქციოთ ნივთები. არა, ლაპარაკია გარკვეულ ფუნქციებზე, რომელთაც გარკვეულ კატეგორიებში უნდა ჰპოვონ თავიანთი გამოსახულება.

რაკი საარსებო საშუალებებს, როგორც ასეთებს, ყოველ გარემოებაში მიეწერება თვისება ხელფასზე დახარჯულ კაპიტალად ყოფნისა, ამიტომ ეს თვისება: «შრომის შენარჩუნება», to support labour (რიკარდო, გვ. 25) აგრეთვე ამ «საბრუნავი» კაპიტალის ხასიათად იქცევა. მაშასადამე, გამოდის, რომ საარსებო საშუალებანი, თუ ისინი «კაპიტალს» არ წარმოადგენენ, ვერ შეინარჩუნებენ სამუშაო ძალას; სინამდვილეში კი სწორედ ის გარემოება, რომ მათ კაპიტალის ხასიათი აქვთ, აძლევს მათ თვისებას შეინარჩუნონ კ ა პ ი ტ ა ლ ი სხვისი შრომის მეოხებით.

თუ საარსებო საშუალებანი როგორც ასეთნი საბრუნავ კაპიტალს წარმოადგენენ, — მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ხელფასადაა გადაქცეული — აქედან გამოდის შემდეგ ის, რომ ხელფასის სიდიდე დამოკიდებულია შეფარდებაზე მუშათა რიცხვსა და საბრუნავი კაპიტალის მოცემულ მასას შორის, — ესაა ეკონომისტების სანუკვარი დებულება, — მაშინ როდესაც სინამდვილეში საარსებო საშუალებათა მასა, რაც მუშას მიაქვს ბაზრიდან, და საარსებო საშუალებათა მასა, რაც კაპიტალისტს თავის განკარგულებაში აქვს საკუთარი მოხმარებისათვის, დამოკიდებულია შეფარდებაზე ზედმეტ ღირებულებასა და შრომის ფასს შორის.

რიკარდო, ისევე როგორც ბარტონი[29a], შეფარდებას ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის ყველგან ურევს შეფარდებაში საბრუნავსა და ძირითად კაპიტალს შორის. ჩვენ შემდგომ დავინახავთ, თუ როგორ აყალბებს ეს გარემოება მის გამოკვლევას მოგების ნორმის შესახებ.

შემდეგ, რიკარდო იმ განსხვავებებს, რომელთა წარმოშობა გადაბრუნების პროცესში სულ სხვა მიზეზების ზეგავლენით ხდება და არა ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავების გამო, აიგივებს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავებასთან. იგი ამბობს:

[29a] «Observations on the Circumstances which influence the Condition of the Labouring Classes of Society». London 1817. (სათანადო ადგილი ციტირებულია I წიგნში, გვ. 655, შენიშვნა 79(. [კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ. I, ქართ. გამოც. 1954 წ., გვ. 796. შენიშვნა 79.]

«უნდა შევნიშნოთ აგრეთვე, რომ საბრუნავი კაპიტალი ძალიან უთანატოლო დროის პერიოდებში შეიძლება მიმოიქცეოდეს ანუ უკან უბრუნდებოდეს მის გამომყენებელს. ფერმერის მიერ დასათესად ნაყიდი ხორბალი ძირითადი კაპიტალია იმ ხორბალთან შედარებით, რომელიც ხაბაზმა პურის გამოსაცხობად იყიდა. ერთი ხორბალს მიწაში ტოვებს და მას შეუძლია იგი უკან მიიღოს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ; მეორეს შეუძლია იგი დაფქვას და პურის სახით თავის მუშტრებს მიჰყიდოს, ასე რომ ერთი კვირის განმავლობაში მას კაპიტალი უთავისუფლდება, რათა მით იგივე ან რაიმე სხვა ოპერაცია დაიწყოს ხელახლა»[30].

აქ დამახასიათებელია ის, რომ ხორბალი, თუმცა იგი თესლის სახით საარსებო საშუალებას კი არ წარმოადგენს, არამედ ნედლ მასალას, მიეკუთვნება, ჯერ ერთი, საბრუნავ კაპიტალს, რადგან იგი თავისთავად საარსებო საშუალებაა, და, მეორე, ძირითად კაპიტალს, რადგან მისი უკუდაბრუნება ერთ წელიწადს გრძელდება. მაგრამ ამა თუ იმ წარმოების საშუალებას ძირითად კაპიტალად ხდის არა უფრო ნელი ან უფრო სწრაფი უკუდაბრუნება, არამედ პროდუქტზე მისი ღირებულების გადატანის განსაზღვრული წესი.

არევ-დარევა, რომელიც ა. სმიტიდან მომდინარეობს, ასეთ შედეგებს იძლევა:

1. განსხვავება ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის არეულია მწარმოებლური კაპიტალისა და საქონლური კაპიტალის განსხვავებაში. ასე, მაგალითად, ერთი და იგივე მანქანა საბრუნავი კაპიტალია, თუ იგი საქონლის სახით ბაზარზე იმყოფება, და ძირითადი კაპიტალია, თუ იგი წარმოების პროცესშია ჩართული. ამასთან სრულიად გაუგებარი რჩება, რატომ უნდა იყოს განსაზღვრული სახის კაპიტალი უფრო მეტად ძირითადი ან უფრო მეტად საბრუნავი კაპიტალი, ვიდრე ყოველი სხვა სახის კაპიტალი.

2. ყოველი საბრუნავი კაპიტალი გაიგივებულია ხელფასზე დახარჯულ ან დასახარჯავ კაპიტალთან. ასეა მაგალითად, ჯ. სტ. მილთან და სხვ.

---

[30] It is also to be observed that the circulating capital may circulate, or be returned to its employer, in very unequal times. The wheat bought by a farmer to sow is comparatively a fixed capital to the wheat purchased by a baker to make into loaves. The one leaves it in the ground, and can obtain no return for a year; the other can get it ground into flour, sell it as bread to his customers, and have his capital free, to renew the same, or commence any other employment in a week» (ib. 26, 27).

3. განსხვავება ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის, რასაც უკვე ბარტონი, რიკარდო და სხვები ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავებაში ურევენ, ბოლოს და ბოლოს დაყვანილია მთლიანად ამ უკანასკნელ განსხვავებამდე. იხ., მაგალითად, რამსეი, რომლისთვისაც წარმოების ყველა საშუალება, ნედლეული და სხვ., ისევე როგორც შრომის საშუალებანი, ძირითადი კაპიტალია და მხოლოდ ხელფასზე დახარჯული კაპიტალი წარმოადგენს საბრუნავ კაპიტალს. მაგრამ რადგან ეს დაყვანა სწორედ ამ ფორმაში ხდება, ნამდვილი განსხვავება მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის გაუგებარი რჩება.

4. უახლესი ინგლისელი, განსაკუთრებით შოტლანდიელი ეკონომისტების აზრით, როგორიცაა მაკლეოდი, პატერსონი და სხვ., რომელნიც ბანკირის ნოქრის წარმოუდგენლად შეჭღუდული თვალსაზრისით განიხილავენ ყველაფერს, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავება იქცევა money at call-ისა და money not at call-ის (ფულადი ანაბრების, რომელთა უკან მიღება შეიძლება წინასწარ განუცხადებლად ან მხოლოდ წინასწარი განცხადების შემდეგ) განსხვავებად.

თავი მეთოთხმეტე

სამუშაო პერიოდი

ავიღოთ წარმოების ორი დარგი, სადაც დაწესებულია ერთნაირი ხანგრძლიობის სამუშაო დღე, მაგალითად, ათსაათიანი შრომითი პროცესი; ვთქვათ, ესაა ბამბის რთვა და ორთქლმავალმშენებლობა. ერთი დარგი აქ ყოველდღიურად, ყოველკვირეულად იძლევა მზა პროდუქტის, ბამბის ნართის, გაესაზღვრულ რაოდენობას; მეორეში კი შრომის პროცესი, შესაძლოა, სამი თვის განმავლობაში უნდა მეორდებოდეს, რათა ერთი მზა პროდუქტი შექმნას, ერთი ორთქლმავალი ააგოს. ერთ შემთხვევაში პროდუქტის წარმოება თავისი ბუნებით წყვეტილია და ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად ხელახლა იწყება ერთი და იგივე მუშაობა. მეორე შემთხვევაში შრომის პროცესი უწყვეტია, მოიცავს ყოველდღიური შრომითი პროცესების შედარებით დიდ რიცხვს, რომელნიც თავიანთი შეერთებით, თავიანთი ოპერაციების უწყვეტობით მთლიანად მეტნაკლებ ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ იძლევიან მზა პროდუქტს. თუმცა დღიური შრომითი პროცესის ხანგრძლიობა აქაც იგივეა, მაგრამ ადგილი აქვს ძალიან მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოების აქტის ხანგრძლიობაში, ე. ი. ისეთი განმეორებული შრომითი პროცესების ხანგრძლიობაში, რომელნიც საჭირონი არიან იმისათვის, რომ შეიქმნას მზა პროდუქტი, გაიგზავნოს საქონლის სახით ბაზარზე, ე. ი. მწარმოებლური კაპიტალი საქონლურ კაპიტალად გადაიქცეს. ამრიგად, განსხვავებას ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის არავითარი კავშირი არა აქვს ამასთან. აღნიშნული განსხვავება მაშინაც კი დარჩებოდა, თუ წარმოების ორივე დარგში ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი სავსებით თანაბარი პროპორციით იქნებოდა გამოყენებული.

წარმოების აქტის ხანგრძლიობის ამ განსხვავებებს ადგილი აქვს არა მარტო წარმოების სავადასავა სფეროებს შორის, არამედ წარმოების ერთსა და იმავე სფეროშიც, იმისდა მიხედვით, თუ როგო-

რია დასამზადებელი პროდუქტის მოცულობა. ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლი უფრო მოკლე დროში აშენდება, ვიდრე უფრო მოზრდილი ფაბრიკა, და ამიტომ უწყვეტი შრომითი პროცესების ნაკლებ რიცხვს მოითხოვს. თუ ორთქლმავლის აგებას სამი თვე უნდება, ჯავშნოსნის აგება ერთ ან რამდენიმე წელიწადს მოითხოვს. პურის წარმოებას თითქმის წელიწადი სჭირდება, რქიანი პირუტყვის წარმოებას — რამდენიმე წელიწადი, ტყის გაშენება შეიძლება მოიცავდეს პერიოდს 12-დან 100 წლამდე; სასოფლო გზა იქნებ რამდენიმე თვეში გაკეთდეს, მაშინ როდესაც რკინიგზის გაყვანას წლები სჭირდება; ჩვეულებრივი ხალიჩის დამზადება იქნებ ერთ კვირაში შეიძლებოდეს, გობელენის დამზადებას კი წლები სჭირდება და სხვ. ამრიგად, წარმოების აქტის ხანგრძლიობის განსხვავებანი უსასრულოდ მრავალგვარია.

ტოლი კაპიტალების დაბანდებისას განსხვავებამ წარმოების აქტის ხანგრძლიობაში, ცხადია, უნდა წარმოშვას განსხვავება კაპიტალის გადაბრუნების სისწრაფეში, ე. ი. განსხვავება იმ პერიოდებში, რომლებისთვისაც მოცემული კაპიტალი ავანსებულია. ვთქვათ, მანქანური სართავი ფაბრიკა და ორთქლმავალმშენებელი ფაბრიკა ორივე ტოლი სიდიდის კაპიტალებს იყენებს და ორივეში კაპიტალის დაყოფა მუდმივ და ცვალებად კაპიტალად, აგრეთვე მისი დაყოფა ძირითად და საბრუნავ შემადგენელ ნაწილებად ერთნაირია; დასასრულ, ვთქვათ, სამუშაო დღე ერთნაირი ხანგრძლიობისაა და ერთნაირი პროპორციით იყოფა აუცილებელ და ზედმეტ შრომად. შემდეგ, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მიმოქცევიდან გამომდინარე ყველა გარემოება, რომლებიც ამ შემთხვევას არ შეეხება, ვიგულისხმოთ, რომ ორივე პროდუქტი, ნართი და ორთქლმავალი, დაკვეთით იწარმოება და მათი გადაადგილება ზეპროდუქტის ჩაბარებისას ხდება. კვირის ბოლოს მეფაბრიკე მრთველი (ჩვენ აქ მაედველობის გარეშე ვტოვებთ ზედმეტ ღირებულებას) უკან მიიღებს დაახარჯულ საბრუნავ კაპიტალს და აგრეთვე ძირითადი კაპიტალის გაცვეთილ ნაწილსაც, რაც ნართის ღირებულებაშია შესული. მაშასადამე, მას შეუძლია იმავე კაპიტალით იგივე წრებრუნვა ხელახლა გაიმეოროს. ამ კაპიტალმა თავისი გადაბრუნება დაასრულა. ორთქლმავალთა მეფაბრიკემ, პირიქით, სამი თვის განმავლობაში ყოველკვირეულად უნდა ხარჯოს ახალ-ახალი კაპიტალი ხელფასსა და ნედლ მასალაზე, და მხოლოდ სამი თვის შემდეგ, ორთქლმავლის ჩაბარების შემდეგ, საბრუნავი კაპიტალი, რომელიც თანდათან იარჯებოდა ამ დროის განმავლობაში ერთი და იმავე საწარმოო აქტისათვის, ერთი და იმავე საქონლის წარმოები-

სათვის, კვლავ მიიღებს იმ ფორმას, რომლითაც მას შეუძლია ხელახლა დაიწყოს თავისი წრებრუნვა; მანქანების გაცვეთა ამ სამი თვის განმავლობაში მას აგრეთვე მთლიად ახლა აუნაზღაურდება. ერთი ხარჯავს თავის კაპიტალს ერთი კვირით, მეორის დანაკარგი კი უდრის კვირეულ დანაკარგს, გამრავლებულს 12-ზე. თუ ვიგულისხმებთ, რომ ყველა სხვა პირობა თანაბარია, ერთს თორმეტჯერ მეტი საბრუნავი კაპიტალი უნდა ჰქონდეს თავის განკარგულებაში, ვიდრე მეორეს.

ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ ყოველკვირეულად ავანსებული კაპიტალები თანატოლია. როგორიც უნდა იყოს ავანსებული კაპიტალის სიდიდე, ერთ შემთხვევაში იგი ავანსად გაიღება ერთი კვირისათვის, მეორე შემთხვევაში თორმეტი კვირისათვის, და მთლიად ამ ვადების გასვლის შემდეგ შეიძლება იმის მეოხებით ხელახლა ოპერაციების წარმოება, იმავე ოპერაციის განმეორება ან რაიმე ახლის დაწყება.

განსხვავება გადაბრუნების სისწრაფეში ანუ იმ პერიოდის ხანგრძლიობაში, რომლისთვისაც კაპიტალი ავანსად უნდა გაიღონ და რომლის გასვლამდე იმავე კაპიტალღირებულებას არ შეუძლია შრომის ახალ პროცესს ანუ ღირებულების ზრდის

შაო დღის პროდუქტი აქ მხოლოდ ნაწილობრივი პროდუქტია, მისი შექმნა დღითიდღე გრძელდება და სამუშაო დროის მხოლოდ მეტ-ნაკლებ ხანგრძლივი პერიოდის დასასრულს მიიღებს იგი თავის დამთავრებულ სახეს, გახდება მზა სახმარი ღირებულება.

ამიტომ საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესის შეწყვეტა, შეფერხება, მაგალითად, კრიზისების გამო, ფრიად სხვადასხვა გავლენას ახდენს შრომის ისეთ პროდუქტებზე, რომელნიც ბუნებით წყვეტილი შრომის პროდუქტებს წარმოადგენენ, და ისეთებზე, რომელთა წარმოება შრომის მეტად თუ ნაკლებად გრძელ, ერთ მთლიან პერიოდს მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში ნართის, ნახშირისა და სხვ. განსაზღვრული რაოდენობის დღევანდელ წარმოებას ხვალ აღარ მოჰყვება ნართის, ნახშირისა და სხვ. ახალი წარმოება. მაგრამ სხვაგვარადაა საქმე გემების, შენობების, რკინიგზებისა და სხვ. მიმართ. აქ არა მარტო შუშაობა შეწყდება, არამედ შეწყდება წარმოების მთლიანი აქტიც. თუ მშენებლობა არ გრძელდება, მაშინ მის საწარმოებლად უკვე მოხმარებული წარმოების საშუალებანი და შრომა უსარგებლოდაა დახარჯული. თუნდაც იგი შემდეგ განახლდეს, შუალედ პერიოდში რაიმე დაზიანებას მაინც უეჭველად ექნება ადგილი.

მთელი სამუშაო პერიოდის განმავლობაში თითქოს ფენებად გროვდება ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც ძირითადი კაპიტალი ყოველდღიურად გადასცემს პროდუქტს ამ უკანასკნელის სრულ მომწიფებამდე. და აქ ამავე დროს თავს იჩენს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავება თავისი პრაქტიკული მნიშვნელობით. ძირითადი კაპიტალი შედარებით უფრო ხანგრძლივი დროისთვისაა წარმოების პროცესში ავანსებული, მას განაპლება არ სჭირდება ამ, შესაძლოა, მრავალწლიური ვადის გასვლამდე. ორთქლის მანქანას თავისი ღირებულება ყოველდღიურად ნაწილ-ნაწილ გადააქვს ნართზე, წყვეტილი შრომის პროცესის პროდუქტზე, თუ სამი თვის განმავლობაში ორთქლმავალზე, უწყვეტი საწარმოო აქტის პროდუქტზე, — ეს გარემოება სრულიად არაფერს არ ცვლის ორთქლის მანქანის საყიდლად საჭირო კაპიტალის დაბარჯვაში. ერთ შემთხვევაში მისი ღირებულება უკუმოედინება პატარ-პატარა დოზებით, მაგალითად, ყოველკვირეულად, ხოლო მეორე შემთხვევაში — უფრო დიდი ოდენობით, მაგალითად, სამ თვეში ერთხელ. მაგრამ ორივე შემთხვევაში ორთქლის მანქანა, შესაძლოა, 20 წელიწადში მხოლოდ ერთიელ განახლდეს. რაკი ყოველი ცალკეული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ორთქლის მანქანის ღირებულება პროდუქტის გაყიდვის გზით უკუმოედინება ნაწილ-ნაწილ, უფრო მოკლეა, ვიდრე მანქანის საკუთა-

რი არსებობის პერიოდი, იგივე მანქანა განაგრძობს მოქმედებას წარმოების პროცესში მთელი რიგი სამუშაო პერიოდების განმავლობაში.

სხვაგვარადაა საქმე ავანსებული კაპიტალის საბრუნავი შემადგენელი ნაწილების მიმართ. ამ კვირისათვის ნაყიდი სამუშაო ძალა ამავე კვირის განმავლობაში დაიხარჯა და პროდუქტში გასაგნობრივდა. ის გასტუმრებულ უნდა იქნეს ამ კვირის ბოლოს. და კაპიტალის ასეთი ხარჯვა სამუშაო ძალაზე ყოველკვირეულად მეორდება სამი თვის განმავლობაში, ასე რომ კაპიტალის ამ ნაწილის დახარჯვა ერთ კვირაში არ ათავისუფლებს კაპიტალისტს შრომის ხელახალი ყიდვისაგან მეორე კვირაში. სამუშაო ძალის გადასახდელად ყოველკვირეულად უნდა იხარჯებოდეს ახალ-ახალი დამატებითი კაპიტალი და — თუ ჩვენ ყურადღების გარეშე დავტოვებთ ყოველგვარ საკრედიტო ურთიერთობას — კაპიტალისტს, ცხადია, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გადაიხადოს ხელფასი სამი თვის პერიოდისათვის, თუმცა იგი მხოლოდ კვირეული დოზებით იხდის მას. ასევეა საბრუნავი კაპიტალის მეორე ნაწილის, ნედლეულისა და დამხმარე მასალის, მიმართაც. პროდუქტს შრომა ფენებად ედება ერთიმეორის მიყოლებით. არა მარტო დახარჯული საშუშაო ძალის ღირებულება, არამედ ზედმეტი ღირებულებაც განუწყვეტლივ გადაიტანება პროდუქტზე შრომის პროცესის განმავლობაში, ნაგრამ გადაიტანება დაუმთავრებელ პროდუქტზე, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს ზზა საქონლის სახე მიღებული და, მაშასადამე, არა აქვს მიმოქცევის უნარი. ასევე ითქმის ნედლეულსა და დამხმარე მასალებში მოქცეული კაპიტალღირებულების შესახებ, რომელიც ფენებად გადაიტანება პროდუქტზე.

სამუშაო პერიოდის მეტნაკლები ხანგრძლიობის მიხედვით, რაც დასამზადებელი პროდუქტის ან მისაღწევი სასარგებლო ეფექტის სპეციფიკური ბუნებით განისაზღვრება, საჭიროა საბრუნავი კაპიტალის (ხელფასის, ნედლეულისა და დამხმარე მასალის) განუწყვეტელი დამატებითი დაიარჯვა, ამასთან არც ერთი მისი ნაწილი არ იმყოფება მიმოქცევის უნარმქონე ფორმაში და, მაშასადამე, მას არ შეუძლია ერთი და იმავე ოპერაციის განმეორებას ემსახუროს; პირიქით, თვითეული ნაწილი თანმიმდევრობით დამკვიდრდება წარმოების სფეროში როგორც შექმნის პროცესში მყოფი პროდუქტის შემადგენელი ნაწილი, მწარმოებლური კაპიტალის ფორმით შეიკვრება. მაგრამ გადაბრუნების დრო უდრის კაპიტალის წარმოების დროისა და მიმოქცევის დროის ჯამს. ამრიგად, წარმოების დროის გაგრძელება ისევე ამცირებს კაპიტალის გადაბრუნების სისწრაფეს, როგორც ამცირებს მას

მიმოქცევის დროის გაგრძელება. მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებოა ორი გარემოება:

პირველი: წარმოების სფეროში უფრო ხანგრძლივად ყოფნა. მაგალითად, პირველ კვირაში შრომაზე, ნედლ მასალაზე და სხვ. ავანსებული კაპიტალი, ისე როგორც ძირითადი კაპიტალის ღირებულების ის ნაწილები, რომლებიც პროდუქტზეა გადატანილი, მთელი სამი თვის პერიოდის განმავლობაში რჩება წარმოების სფეროში დაკავებული და მათ, როგორც ჯერ კიდევ შექმნის პროცესში მყოფ დაუმთავრებელ პროდუქტთან შეერთებულთ, არ შეუძლიათ მიმოქცევაში შესვლა საქონლის სახით.

მეორე: რადგან წარმოების აქტისათვის საჭირო სამუშაო პერიოდი სამ თვეს გრძელდება და სინამდვილეში მხოლოდ ერთ შეკავშირებულ შრომის პროცესს შეადგენს, ამიტომ ყოველკვირეულად საბრუნავი კაპიტალის ახალ-ახალი დოზა უნდა მიემატოს წინანდელებს. მაშასადამე, ერთიმეორის მიყოლებით ავანსებული დამატებითი კაპიტალების მასა იზრდება სამუშაო პერიოდის გაგრძელებასთან ერთად.

ჩვენ ვიგულისხმეთ, რომ რთვასა და მანქანათმშენებლობაში დაბანდებული კაპიტალები თანაბარი სიდიდისაა, რომ ეს კაპიტალები თანაბარი პროპორციითაა დაყოფილი მუდმივ და ცვალებად კაპიტალად, აგრეთვე ძირითად და საბრუნავ კაპიტალად, რომ სამუშაო დღეები თანაბარი ხანგრძლიობისაა, მოკლედ: ყველა პირობა თანაბარია, გარდა სამუშაო პერიოდის ხანგრძლიობისა. პირველ კვირაში დანახარჯი ორივე შემთხვევისათვის ტოლია, მაგრამ მეფაბრიკე-მრთველის პროდუქტი შეიძლება გაიყიდოს და მიღებული თანხით შეიძლება ახალი სამუშაო ძალის, ახალი ნედლი მასალების და სხვ. ყიდვა, ერთი სიტყვით, წარმოება შეიძლება გაგრძელდეს და წარიმართოს იმავე მასშტაბით. პირიქით, მანქანათა მეფაბრიკეს შეუძლია მხოლოდ სამი თვის შემდეგ, როცა მისი პროდუქტის დაბზადება დამთავრდება, კვლავ აქციოს ფულად პირველ კვირაში დახარჯული საბრუნავი კაპიტალი და იმით ახალი ოპერაციები დაიწყოს. ამრიგად, ჯერ ერთი, განსხვავებას ადგილი აქვს ერთი და იმავე რაოდენობით დახარჯული კაპიტალის უკუმოდინების მხრივ. მეორე, სამი თვის განმავლობაში რთვასა და მანქანათმშენებლობაში ტოლი სიდიდის მწარმოებლური კაპიტალები იყო გამოყენებული, მაგრამ დახარჯული კაპიტალის სიდიდე მეფაბრიკე-მრთველისათვის და მანქანათმშენებლისათვის სრულიად სხვადასხვაა, იმიტომ რომ ერთ შემთხვევაში ერთი და იგივე კაპიტალი სწრაფად განახლდება და, მაშასადამე, მას შეუძლია ხელახლა გაიმეოროს იგივე ოპერაცია; მეორე შემთხვევაში იგი შედარე-

ბით მაოლოდ ნელა განახლდება და, მაშასადამე, მისი განახლების მომენტამდე ძველ კაპიტალს კაპიტალის ახალ-ახალი რაოდენობა განუწყვეტლივ უნდა მიემატოს. ამრიგად, სხვადასხვაა დროის ხანგრძლიობა, რომლის განმავლობაშიც კაპიტალის განსაზღვრული ნაწილები განახლდება, ანუ სხვადასხვაა იმ პერიოდების ხანგრძლიობა, რომლებისთვისაც კაპიტალი ავანსდება; სხვადასხვაა აგრეთვე კაპიტალის მასა (თუმცა ყოველდღიურად და ყოველკვირეულად თანაბარი კაპიტალები გამოიყენება), რომელიც შრომის პროცესის ხანგრძლიობის მიხედვით ავანსად უნდა იქნეს გაღებული. ეს გარემოება აღსანიშნავია, იმიტომ, რომ ზოგ შემთხვევაში, როგორც, მაგალითად, იმ შემთხვევებში, რომლებსაც ჩვენ შემდგომ თავში განვიხილავთ, იმ პერიოდის ხანგრძლიობა, რომლისთვისაც კაპიტალი ავანსდება, შეიძლება იზრდებოდეს, მაგრამ ისე, რომ ამის გამო მის პროპორციულად არ იზრდებოდეს ავანსად გასაღები კაპიტალის მასა. კაპიტალის ავანსება უნდა მოსდეს უფრო ხანგრძლივი დროისათვის, და კაპიტალის უფრო დიდი რაოდენობა მწარმოებლური კაპიტალის ფორმაში მოექცევა.

კაპიტალისტური წარმოების განუვითარებელ საფეხურზე საწარმონი, რომელნიც გრძელ სამუშაო პერიოდს და, მაშასადამე, ხანგრძლივი დროისათვის კაპიტალის დიდი რაოდენობით დახარჯვას მოითხოვენ, — განსაკუთრებით, თუ მათი განაორციელება მხოლოდ დიდი მასშტაბითაა შესაძლებელი, — ან სულ არ წარიმართებიან კაპიტალისტურად, როგორც, მაგალითად, გზების, არხებისა და სხვ. გაყვანა, რაც თემების ან სახელმწიფოს ხარჯზე ხდებოდა (ძველს დროში, რამდენადაც სამუშაო ძალაზეა ლაპარაკი, ასეთი სამუშაოები მეტწილად იძულებითი შრომით ხორციელდებოდა). ანდა ისეთი პროდუქტები, რომელთა დამზადება შედარებით ხანგრძლივ სამუშაო პერიოდს მოითხოვს, ფრიად უმნიშვნელო რაოდენობით იწარმოება თვით კაპიტალისტთა სახსრებით. მაგალითად, სახლის აშენებისას კერძო პირი, რომლისთვისაც სახლი შენდება, დროგამოშვებით ავანსებს აძლევს მშენებელ მეწარმეს. ფაქტიურად იგი სახლისთვის ნაწილ-ნაწილ იხდის წარმოების პროცესის წინსვლის კვალობაზე. პირიქით, განვითარებული კაპიტალიზმის ხანაში, როდესაც, ერთი მხრივ, კაპიტალი მასობრივად თავმოყრილია ცალკეულ პირთა ხელში, და, მეორე მხრივ, ცალკეულ კაპიტალისტთა გვერდით ჩნდება გაერთიანებული კაპიტალისტი (აქციონერთა საზოგადოება), და იმავე დროს განვითარებულია საკრედიტო საქმე, — კაპიტალისტური მშენებელი მეწარმე მთლოდ გამონაკლისის სახით აგებს შენობებს ცალკეულ კერძო პირთა დაკ-

ვეთით. იგი თავის სპეციალურ მოსაქმეობად იხდის მთელი რიგი სახლების, ქალაქის მთელი უბნების აგებას ბაზრისათვის, ისე როგორც ცალკეული კაპიტალისტები თავიანთ სპეციალურ მოსაქმეობად იხდიან რკინიგზების აგებას იჯარის წესით.

თუ რა გადატრიალება გამოიწვია კაპიტალისტურმა წარმოებამ ლონდონის სახლმშენებლობაში, ეს ჩანს ბანკების კომისიისათვის ერთი მშენებელი მეწარმის მიერ 1857 წელს მიცემული ჩვენებებიდან. მისი სიტყვების თანახმად, იმ დროს, როდესაც იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, სახლები მეტწილად დაკვეთით შენდებოდა და მეწარმეს თანხას შენების გარკვეული სტადიების დასრულებისდა მიხედვით ნაწილ-ნაწილ უხდიდნენ. სპეკულაციის მიზნით ძალიან ცოტა შენდებოდა; მეწარმენი მშენებლობას მაოლოდ იმისთვის ჰკიდებდნენ ხელს, რომ თავიანთი მუშებისათვის რეგულარული სამუშაო მიეცათ, რათა ისინი არ გაფანტულიყვნენ. უკანასკნელ 40 წელიწადში ყველაფერი ეს შეიცვალა. დაკვეთით ძალიან ცოტას აშენებენ. ვისაც ახალი სახლი სჭირდება, იგი ირჩევს ერთ-ერთს იმ სახლებიდან, რომლებიც სპეკულაციის მიზნითაა აშენებული ან შენდება. მეწარმე დამკვეთისათვის კი აღარ მუშაობს, არამედ — ბაზრისათვის; სავსებით ისე, როგორც ყოველი სხვა მრეწველი, იგი იძულებულია მზა საქონელი ჰქონდეს ბაზარზე. თუ წინათ მეწარმე იმავდროულად, ვთქვათ, სამ ან ოთხ სახლს აშენებდა სპეკულაციის მიზნით, ახლა მან მიწის დიდი ნაკვეთი უნდა იყიდოს (ე. ი. თუ კონტინენტურ გამოთქმას ვიხმართ, იჯარით აიღოს მეტწილად 99 წლის ვადით), ამ ნაკვეთზე 100-მდე ან 200-მდე სახლი ააგოს, და, ამრიგად, ჩაებას ისეთ მეწარმეობაში, რომელიც ოც-ორმოცდაათჯერ აღემატება მის ქონებას. სახსრებს მოიპოვებენ იპოთეკური სესხის აღების გზით და ფული მეწარმეს მის განკარგულებაში იმ ზომით ეძლევა, რა ზომითაც წინ იწეკს ცალკეული სახლების შენება. თუ დადგა კრიზისი, რომელიც ავანსების გადახდას შეაჩერებს, მაშინ ჩვეულებრივ მთელი საწარმო მოიშლება; უკეთეს შემთხვევაში სახლები დაუმთავრებელი რჩება ხელსაყრელი დროის მოლოდინში, უარეს შემთხვევაში კი ეს სახლები ნახევარ ფასად გაიყიდება საჯარო ვაჭრობით. ამჟამად არც ერთ მეწარმეს არ შეუძლია საქმის წინ წაწევა, თუ მშენებლობა სპეკულაციური მიზნით, — და ისიც დიდი მასშტაბით, — არ აწარმოვა. მოგება თვით მშენებლობიდან ფრიად მცირეა; მთავარი მოგება მდგომარეობს მიწის რენტის აწევაში, მშენებლობის ადგილის მოხერხებით არჩევასა და გამოყენებაში. ასეთი სპეკულაციის გზით, რაც სახლებზე მოთხოვნას წინასწარ ვარაუდობს, გაშენებულია მთელი ბელგრავია და ტიბურნია, აგრეთვე მრა-

ვალი ათასი ვილა ლონდონის ირგვლივ. (შემოკლებული სახით «Report from the Select Committee on Bank Acts»-იდან. ნაწ. I, 1857. Evidence, კითხვები 5413 — 5418, 5435 — 5436.)

ისეთ სამუშაოთა შესრულება, რომელნიც დიდი ხანგრძლიობის სამუშაო პერიოდს და საქმის დიდი მასშტაბით წარმართვას მოითხოვენ, კაპიტალისტურ მრეწველობას მთლიანად მაოლოდ მაწინ უვარდება ხელში, როდესაც კაპიტალის კონცენტრაცია უკვე ძალიან მნიშვნელოვნად არის განაორციელებული და როდესაც, მეორე მხრივ, საკრედიტო სისტემის განვითარება კაპიტალისტს მოხერხებულ გამოსავალს და საშუალებას აძლევს საკუთარი კაპიტალის ნაცვლად სხვისი კაპიტალი გაიღოს ავანსად, და, მაშასადამე, რისკიც სხვისი კაპიტალით გასწიოს. მაგრამ თავისთავად გასაგებია, რომ კაპიტალის გადაბრუნების სისწრაფესა და გადაბრუნების დროზე არავითარ გავლენას არ აბდენს ის გარემოება: წარმოებისათვის ავანსებული კაპიტალი მის გამომჯენებელს ეკუთვნის თუ არა.

(ცალკეული სამუშაო დღის პროდუქტის გამადიდებელი პირობები, როგორიცაა კოოპერაცია, შრომის დანაწილება, მანქანების გამოყენება, იმავე დროს ამოკლებს სამუშაო პერიოდს წარმოების ურთიერთ დაკავშირებული აქტების დროს.) ასე, მანქანა ამოკლებს საბლების, ხიდებისა და სხვ. აშენების პერიოდს; სამკალი და სალეწი მანქანა და სავ. ამოკლებს სამუშაო პერიოდს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ დამწიფებული მარცვალი მზა საქონლად გადაიქცეს. გაუმჯობესებული გემთმშენებლობა, ადიდებს რა გემების სისწრაფეს, ამოკლებს ნაოსნობაზე დაბარჯული კაპიტალის გადაბრუნების პერიოდს. მაგრამ ეს გაუმჯობესებანი, რომლებიც ამოკლებენ სამუშაო პერიოდს და, მაზასადამე, იმ დროს, რომლისათვის საბრუნავი კაპიტალის ავანსად გაღება უნდა მოხდეს, მეტწილად დაკავშირებულია ძირითადი კაპიტალის გადიდებულ ხარჯვასთან. მეორე მხრივ, განსაზღვრულ დარგებში სამუშაო პერიოდი შეიძლება შემოკლდეს კოოპერაციის უბრალო გაფართოების გზით; რკინიგზის გაყვანის დრო შემოკლდება იმით, რომ ფეაზე დააყენებენ მუშათა დიდ არმიებს და სამუშაოს ერთბაშად მრავალ ადგილას დაიწყებენ. გადაბრუნების პერიოდი მოკლდება აქ ავანსებული კაპიტალის გაზრდის გამო. წარმოების მეტი საშუალებანი და მეტი სამუშაო ძალა კაპიტალისტის მბრძანებლობაში უნდა იყოს გაერთიანებული.

ამრიგად, სამუშაო დროის შემოკლება მეტწილად დაკავშირებულია შედარებით მოკლე ვადით ავანსებული კაპიტალის გადიდებასთან, ასე რომ იმ ზომით, რა ზომითაც მოკლდება ავანსის ვადა, მატულობს

ავანსებული კაპიტალის მასა. ამის გამო უნდა გვახსოვდეს, რომ, საზოგადოებრივი კაპიტალის არსებული მასისაგან დამოუკიდებლად, აქ მთელი საქმე იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენადაა დაქსაქსული ან თავმოყრილი ინდივიდუალურ კაპიტალისტთა ხელში წარმოების საშუალებანი და საარსებო საშუალებანი, ან რამდენად აქვთ მათ ეს საშუალებანი თავიანთ განკარგულებაში, — მაშასადამე, რა მოცულობას მიაღწია უკვე კაპიტალის კონცენტრაციამ. რამდენადაც კრედიტი ხელს უწყობს კაპიტალის კონცენტრაციას ერთის ხელში, აჩქარებს და ადიდებს მას, იმდენადვე იგი ხელს უწყობს სამუშაო პერიოდისა და, მაშასადამე, გადაბრუნების დროის შემოკლებას.

წარმოების დარგებში, სადაც სამუშაო პერიოდი, სულ ერთია — უწყვეტია იგი თუ წყვეტილი, — გარკვეული ბუნებრივი პირობებითაა ნაკარნახევი, არ შეიძლება ამ პერიოდის შემოკლება ზემოაღნიშნული საშუალებების გზით. «გამოთქმა: უფრო სწრაფი გადაბრუნება, არ შეიძლება მივუყენოთ მარცვლეულის მოსავალს, რადგან აქ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გადაბრუნება წელიწადში. რაც შეეხება მეჯოგეობას, ჩვენ ვიკითხავთ მხოლოდ: როგორ უნდა მოხერადეს ორ თუ სამწლოვანი ცხვრების ან ოთხ თუ ხუთწლოვანი ხარების გადაბრუნების დაჩქარება?» (W. Walter Good: «Political, Agricultural, and Commercial Fallacies». London 1866, გვ. 325.)

თავისუფალი ფულის რაც შეიძლება ადრე მოპოვების აუცილებლობა (მაგალითად, რომელიმე მტკიცედ დადგენილი გადასაადელის გასასტუმრებლად, როგორიცაა გადასაადი, მიწის რენტა და სავ.) ამ საკითხს წყვეტს ამგვარად: მაგალითად, შინაური პირუტყვის გაყიდვა და დაკვლა,—მიწათმოქმედებისათვის დიდად საზიანოდ,—უფრო ადრე ხდება, ვიდრე იგი ეკონომიურად ნორმალურ ასაკს მიაღწევდეს; ეს ბოლოს და ბოლოს იწვევს კიდეც ხორცის ფასების გადიდებას. «ადამიანები, რომელნიც წინათ უმთავრესად შინაური პირუტყვის მოშენებას ეწეოდნენ და ზაფხულში Midland counties-ის საძოვრებით სარგებლობდნენ, ხოლო ზამთარში — აღმოსავლეთ საგრაფოების ბოსლებით... პურის ფასების რყევისა და დაცემის გამო ისე ჩამოქვეითდნენ, რომ ახლა მოხარულნი არიან, თუ შემთხვევა მიეცათ კარაქისა და ყველის მაღალი ფასებით ისარგებლონ; პირველი მათ ყოველკვირეულად ბაზარზე გამოაქვთ მიმდინარე ხარჯების დასაფარავად, ხოლო ყველზე ავანსებს იღებენ შემსყიდველისაგან, რომელიც პროდუქტს წაიღებს, როგორც კი იგი გადასაზიდად ვარგისი გახდება, და, რასაკვირველია, თავის საკუთარ ფასს აწესებს. ამავე მიზეზით და აგრეთვე იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობას პოლიტიკური ეკო-

ნომიის კანონები წარმართავენ, ხბოებს, რომლებსაც წინათ სარძეო მეურნეობის ოლქებიდან სამარეთისკენ გზავნიდნენ გასასუქებლად, ახლა ხშირად 8—9 დღე რომ შეუსრულდებათ, მაშინ კლავენ მასობრივად ბირმინგამის, მანჩესტერის, ლივერპულისა და სხვ. მეზობელი დიდი ქალაქების სასაკლაოებზე. პირიქით, ალაო რომ დაბეგრილი არ იყოს, არა მარტო მოიჯარენი მიიღებდნენ მეტ მოგებას, და, ამრიგად, შეძლებდნენ ახალგაზრდა პირუტყვის შენარჩუნებას, ვიდრე იგი არ მოიზრდებოდა და წონას არ მოიმატებდა, არამედ ის ადამიანებიც, რომელთაც ძროხები არ ჰყავთ, შეძლებდნენ ხბოების გამოსაკვებად რძის ნაცვლად ალაო გამოეყენებინათ. მაშინ ახალგაზრდა «ცხოველების ახლანდელი საშინელი ნაკლებობა... მეტწილად თავიდან იქნებოდა აცილებული. ახლა კი, როდესაც ამ წვრილ მეურნეებს ურჩევენ, ხბოები გამოკვებეთო, ისინი უპასუხებენ: ჩვენ კარგად ვიცით, რომ მათი გამოკვება რძით ხელსაყრელი იქნებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, ამისათვის ფულის დახარჯვა დაგვჭირდებოდა, ჩვენ კი ეს არ შეგვიძლია და, მეორეც, დიდხანს უნდა გვეცადნა, ვიდრე ჩვენს ფულს უკან მივიღებდით, მაშინ როდესაც სარძეო მეურნეობაში მას დაუყოვნებლივ ვიღებთ» (იქვე, გვ. 11, 12).

თუ გადაბრუნების გაგრძელებას ასეთი შედეგები აქვს წვრილი ინგლისელი ფერმერებისთვისაც კი, მაშინ ადვილი გასაგებია, რაოდენ დიდ შეფერხებას უნდა უქმნიდეს იგი კონტინენტის წვრილ გლეხებს.

სამუშაო პერიოდის ხანგრძლიობისა და, მაშასადამე, აგრეთვე იმ პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად, რომელიც აუცილებელია მიმოქცევისათვის ვარგისი საქონლის დასამზადებლად, გროვდება ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ძირითადი კაპიტალიდან პროდუქტზე თითქოს-ფენებად გადაიტანება, და ღირებულების ამ ნაწილის უკუმოდინება ყოვნდება. მაგრამ ეს დაყოვნება არ იწვევს ძირითადი კაპიტალის ახალ ხარჯვას. მანქანა განაგრძობს მოქმედებას წარმოების პროცესში დამოუკიდებლად იმისგან, უფრო სწრაფად მოედინება უკან ფულადი ფორმით გაცვეთილი ნაწილის ღირებულება თუ უფრო ნელა. სხვაგვარადაა საქმე საბრუნავი კაპიტალის მიმართ. არა მარტო დაბანდებული კაპიტალი უნდა იყოს დიდი ხნით დაკავებული საქმეში სამუშაო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად, არამედ მუდამ ახალ-ახალი კაპიტალიც უნდა ავანსდებოდეს ხელფასის, ნედლეულისა და დამამარე მასალებისათვის. მაშასადამე, დაყოვნებული უკუმოდინება სხვადასხვა გავლენას ახდენს ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალზე. «უფრო სწრაფად უკუმოედინება» თუ «უფრო ნელა», ძირითადი კაპიტალი მაინც განაგრძობს მოქმედებას. პირიქით, საბრუნავი კაპიტალი და-

ყოვნებული უკუმოდენის დროს კარგავს მიმოქცევის უნარს, როცა იგი გაუყიდავი ან დაუმთავრებელი, გასაყიდად ჯერ კიდევ გამოუსადეგი პროდუქტის ფორმითაა დაკავებული და არ მოიპოვება დამატებითი კაპიტალი იმისათვის, რომ მობდეს მისი განახლება in natura.— «მაშინ როდესაც გლეხი შიმშილობს, მისი პირუტყვი ლაღობს. საკმაოდ უწვიმია და საკვები ბალახი უხვად აღმოცენებულა. ინდოელი გლეხი შიმშილით მოკვდება მისი მსუქანი ხარის გვერდით. ცრუმორწმუნეობით ნაკარნახევი წესები სასტიკია ცალკეული ინდივიდის მიმართ, მაგრამ იცავს მთელ საზოგადოებას; მუშა პირუტყვის შენახვა უზრუნველყოფს მიწათმოქმედების წინსვლას და ამით სამერმისო საარსებო საშუალებათა და სიმდიდრის წყაროსაც. ინდოეთში ადამიანის შენაცვლება უფრო ადვილია, ვიდრე ხარისა, — ეს შეიძლება სასტიკი და სამწუხარო იყოს, მაგრამ ფაქტია» (Return, East India Madras and Orissa Famine № 4, გვ. 44). შეადარეთ ამას მანარა-დარმასესტრაში ნათქვამი: «უანგაროდ სიცოცხლის შეწირვას ქურუმის ან ძროხის შენარჩუნების მიზნით... შეუძლია უზრუნველყოს ამ დაბალი წარმოშობის ტომთა ნეტარება» (თავი X, § 62).

შეუძლებელია, რასაკვირველია, ხუთწლოვანი ცხოველის ბაზარზე გაყვანა, ვიდრე მას ხუთი წელი არ შეუსრულდება. მაგრამ განსაზღვრულ ფარგლებში შესაძლებელია მოვლის წესის შეცვლის გზით უფრო მოკლე დროში მოვამზადოთ ცხოველები მათი დანიშნულებისთვის. და სწორედ ამას მიაღწია კიდეც ბეკუელმა. წინათ ინგლისური ცხვრის, ისევე როგორც ფრანგული ცხვრის ოთხ თუ ხუთ წელზე ადრე დაკვლა ჯერ კიდევ 1855 წელს ხელსაყრელი არ იყო. ბეკუელის სისტემის თანახმად, ცხვრის გასუქება უკვე ერთ წელიწადში შეიძლება და, ყოველ შემთხვევაში, მეორე წლის გასვლამდე იგი სავსებით ზრდადასრულებულია. გულდასმით შერჩევის გზით ბეკუელმა, დიშლეი-გრენჯის ფერმერმა, ცხვრის ძვლების ჩონჩხი ცხვრის არსებობისათვის აუცილებელ მინიმუმამდე დაიყვანა. მის ცხვრებს ნიულეისტერის ცხვრები ეწოდებოდა. «მეცხვარეს ახლა შეუძლია სამი ცხვარი გამოიყვანოს ბაზარზე იმავე დროის განმავლობაში, რაც წინათ საჭირო იყო ერთის გამოზრდისათვის და ამასთან ეს ცხვრები, თუ წინანდელზე მაღლები არა, სამაგიეროდ, უფრო მსხვილი, უფრო ჩამრგვალებული არიან და ის ნაწილები აქვთ უფრო განვითარებული, რომელიც ყველაზე მეტ ხორცს იძლევა, ძვალი კი სწორედ იმდენი აქვთ, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ ფეხზე იდგნენ. თითქმის მთელი მათი წონა წმინდა ხორცია» (Lavergne: «The Rural Economy of England etc», 1855, გვ. 20).

სამუშაო პერიოდის შემმოკლებელი მეთოდები, ფრიად სხვადასხვა ზომითაა წარმოების სხვადასხვა დარგში გამოსაყენებელი და ისინი ვერ გაათანაბრებენ განსავავებებს სხვადასხვა სამუშაო პერიოდის ხანგრძლიობაში. ასე, — ჩვენს მაგალითზე რომ შევჩერდეთ, — ახალი სამუშაო მანქანების გამოყენების გზით ორთქლმავლის დამზადებისათვის აუცილებელი სამუშაო პერიოდი შეიძლება აბსოლუტურად შემოკლდეს. მაგრამ თუ იმავე დროს რთვის გაუმჯობესებული პროცესის მეოაებით ყოველდღიურად თუ ყოველკვირეულად კიდევ უფრო სწრაფად დიდდება მზა პროდუქტის რაოდენობა, მაშინ რთვასთან შედარებით, მანქანათმშენებლობაში სამუშაო პერიოდი მაინც გახანგრძლივებულია.

თავი მეცამეტე

წარმოების დრო

სამუშაო დრო ყოველთვის წარმოების დროა, ე. ი. ის დრო, რომლის განმავლობაშიც კაპიტალი წარმოების სფეროშია მოქცეული. მაგრამ, პირიქით, ყოველი დრო, რომლის განმავლობაშიც კაპიტალი წარმოების პროცესში იმყოფება, ამის გამო როდია უცილობლად სამუშაო პერიოდი.

აქ ლაპარაკია არა შრომის პროცესის შეწყვეტაზე, რაც თვით სამუშაო ძალის ბუნებრივი ზღუდეებით არის გაპირობებული, თუმცა ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ რა მნიშვნელოვან მოტივს წარმოადგენს შრომის პროცესის არაბუნებრივი გაგრძელებისა და დღე-ღამით უწყვეტი მუშაობის შემოღებისათვის მარტოოდენ ის გარემოება, რომ ძირითადი კაპიტალი — ფაბრიკის შენობები, მანქანები და სხვ. — შრომის პროცესის შეწყვეტისას უმოქმედოდ რჩება. აქ ლაპარაკია იმ შეწყვეტაზე, რომელიც დამოუკიდებელია შრომის პროცესის ხანგრძლიობისაგან და გაპირობებულია თვით პროდუქტის ბუნებით და მისი დამზადების წესით, — შეწყვეტაზე, რომლის განმავლობაშიც შრომის საგანი ბუნების მეტნაკლებ ხანგრძლივ პროცესებს ექვემდებარება, როცა მან ფიზიკური, ქიმიური, ფიზიოლოგიური ცვლილებები უნდა განიცადოს, შეწყვეტაზე, რომლის განმავლობაშიც მისი შრომის პროცესი სავსებით ან ნაწილობრივ შეჩერებულია.

ასე, მაგალითად, ახლად დაწურულმა ღვინომ ჯერ რამდენიმე ხანს უნდა იდუღოს და შემდეგ იგი ისევ რამდენიმე ხანს უნდა იყოს შენახული, რათა სრულყოფილობის განსაზღვრულ ხარისხს მიაღწიოს. ბევრ სამრეწველო დარგში პროდუქტი უნდა გაშრეს, მაგალითად, შეთუნეობაში, ან გარკვეულ გარემოებათა გავლენა უნდა განიცადოს, რათა მისი ქიმიური თვისება შეიცვალოს, როგორც, მაგალითად, სამთეთრებლოში. შემოდგომაზე დათესილი ხორბალი დაახლოებით ცხრა თვეს საჭიროებს დასაწიფებლად. დათესვასა და მკას შორის არსებულ პერიოდში შრომის პროცესი თითქმის მთლიანად შეწყვეტილია.

ტყის გაშენებაში, მას შემდეგ, რაც თესვა და ამისთვის აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია, თესლს, შეიძლება, მთელი საუკუნე დასჭირდეს იმისათვის, რომ მზა პროდუქტად იქცეს; მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მას შრომის მხოლოდ ძალიან უმნიშვნელო ზემოქმედება ესაჭიროება.

ყველა ამ შემთავეკაში წარმოების დროის მეტი წილის განმავლობაში დამატებითი შრომა მხოლოდ ალაგ-ალაგ დაიხარჯება. წინა თავში აღწერილი პირობები, როცა წარმოების პროცესში უკვე ჩართულ კაპიტალს დამატებითი კაპიტალი და შრომა უნდა მიემატოს, აქ მეტნაკლებ ხანგრძლივი შეწყვეტით ხორციელდება.

ამრიგად, ყველა ამ შემთხვევაში ავანსებული კაპიტალის წარმოების დრო ორი პერიოდისაგან შედგება; ერთი პერიოდია, როდესაც კაპიტალი შრომის პროცესში იმყოფება; მეორე პერიოდია, როდესაც კაპიტალის არსებობის ფორმა — დაუმთავრებელი პროდუქტის ფორმა — ბუნების პროცესთა ზემოქმედებას ექვემდებარება ისე, რომ შრომის პროცესში არ იმყოფება. საქმე სრულიადაც არ იცვლება იმის გამო, რომ ორივე ეს პერიოდი შეიძლება ალაგ-ალაგ ერთი მეორეზე გადაჯვარედინდეს და ერთი მეორეში სოლივით შეიჭრას. სამუშაო პერიოდი და წარმოების პერიოდი აქ ერთიმეორეს არ ემთხვევა. წარმოების პერიოდი უფრო დიდია, ვიდრე სამუშაო პერიოდი. მაგრამ მხოლოდ წარმოების პერიოდის დასრულებისას არის პროდუქტი მზა, დამწიფებული, და, მაშასადამე, შეიძლება მწარმოებლური კაპიტალის ფორმიდან საქონლური კაპიტალის ფორმად გარდაიქმნას. მაშასადამე, წარმოების დროის იმ ნაწილის ხანგრძლიობის შესაბამისად, რომელიც სამუშაო დროისაგან არ შედგება, ხანგრძლივდება კაპიტალის გადაბრუნების დროც. რამდენადაც წარმოების დროის გადანამეტი სამუშაო დროზე არ განისაზღვრება ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ბუნების კანონებით, როგორც ამას ადგილი აქვს ხორბლის დამწიფებისას, მუხის გაზრდისას და სხვ., გადაბრუნების პერიოდი ხშირად შეიძლება ცოტად თუ ბევრად შემოკლდეს წარმოების დროის ხელოვნურად შემოკლების გზით. ამას იწვევს, მაგალითად, ქიმიური გათეთრების შემოღება, ნაცვლად მინდვრად გათეთრებისა, ან უფრო სრულყოფილი საშრობი აპარატების შემოღება გაშრობის პროცესებში. ასევეა თრიმლვაში, სადაც ძველი მეთოდების არსებობისას 6—18 თვე იყო საჭირო იმისათვის, რომ თრიმლ-მეავა ტყავს გასჯდომოდა, ხოლო ახალი მეთოდების გამოყენებისას, როდესაც საჰაერო ტუმბო იხმარება, ეს დრო $1^1/_2$ — 2 თვემდე შემცირდა (J. G. Courcelle—Seneuil: ‹Traité théorique et pratique des Entreprises industrielles

etc». Paris, 1857, მე-2 გამ.). ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოების იმ დროის ხელოვნური შემოკლებისა, რომელიც მხოლოდ ბუნების პროცესებითაა შევსებული, იძლევა რკინის წარმოების ისტორია — განსაკუთრებით თუჯის ფოლადად გარდაქმნისა — უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში, 1780 წელს აღმოჩენილი პუდლინგების მეთოდით დაწყებული და ბესემერის პროცესით და იმ დროის შემდეგ შემოღებული სხვა უახლესი მეთოდებით გათავებული. წარმოების დრო კოლოსალურად შემოკლდა, მაგრამ იმავე ზომით გადიდდა ძირითადი კაპიტალის დაბანდებაც.

წარმოების დროისაგან სამუშაო დროის გადახრილობის თავისებურ მაგალითს იძლევა ფეხსაცმლის კალაპოტების ამერიკული ფაბრიკაცია. აქ დამატებითი ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი იმითაა გამოწვეული, რომ ხე დაახლოებით 18 თვე უნდა იდოს გასაშრობად, რათა დამზადებული კალაპოტი შემდეგ არ გამრუდდეს და მისი ფორმა არ შეიცვალოს. ამ ხნის განმავლობაში ხე არავითარ სხვა შრომის პროცესს არ ექვემდებარება. დაბანდებული კაპიტალის გადაბრუნების პერიოდი, მაშასადამე, განისაზღვრება არა მარტო იმ დროით, რომელიც საჭიროა თვით კალაპოტების ფაბრიკაციისათვის, არამედ იმ დროითაც, რომლის განმავლობაშიც კაპიტალი უქმად უნდა იდოს გასაშრობ ხეში. ხე 18 თვეს იმყოფება წარმოების პროცესში, ვიდრე იგი შეძლებდეს საკუთრივ შრომის პროცესში ჩაბმას. ეს მაგალითი ამავე დროს იმასაც გვიჩვენებს, თუ რაოდენ სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს ერთობლივი საბრუნავი კაპიტალის სხვადასხვა ნაწილის გადაბრუნების პერიოდები იმ გარემოებათა გამო, რომელთაც წარმოშობს არა მიმოქცევის სფერო, არამედ წარმოების პროცესი.

განსხვავება წარმოების დროსა და სამუშაო დროს შორის განსაკუთრებით ნათლად წარმოგვიდგება სოფლის მეურნეობაში. ჩვენს ზომიერ ჰავაში მიწა ერთხელ იძლევა მოსავალს. წარმოების პერიოდის (შემოდგომის ნათესისათვის საშუალოდ ცხრა თვის) შემოკლება თუ გაგრძელება დამოკიდებულია, თავის მხრივ, კარგი და ცუდი წლების ცვლაზე და ამიტომ არ შეიძლება მისი ზედმიწევნით წინასწარ გათვალისწინებაᲐ და კონტროლი, როგორც ეს საკუთრივ მრეწველობაშია შესაძლებელი. მხოლოდ თანაპროდუქტები, როგორიცაა რძე, ყველი და სხვ., შეიძლება მუდმივად იწარმოებოდეს და შედარებით მოკლე პერიოდებში იყიდებოდეს. სამუშაო დრო კი აქ ამგვარად წარმოგვიდგება: «გერმანიის სხვადასხვა ადგილებში, კლიმატური და გავლენის მომხდენი სხვა პირობების მიხედვით, სამუშაო დღეების

რიცხვი სამი მთავარი სამუშაო პერიოდისათვის საშუალოდ შეიძლება ასე გამოიხატოს: გაზაფხულის პერიოდისათვის შუა მარტიდან ან აპრილის დასაწყისიდან შუა მაისამდე 50—60 სამუშაო დღე; ზაფხულის პერიოდისათვის ივნისის დასაწყისიდან აგვისტოს ბოლომდე 55 — 80 და შემოდგომის პერიოდისათვის სექტემბრის დასაწყისიდან ოქტომბრის ბოლომდე ან ნოემბრის შუა ან ბოლო რიცხვებამდე 55 — 75 სამუშაო დღე. ზამთარს უწევს მაოლოდ ისეთი სამუშაოები, რომელთა შესრულება წლის ამ დროს შეიძლება: ასეთია სასუქების გატანა, შეშის მოზიდვა, საშენი მასალის ზიდვა, საბაზრო ტვირთის ზიდვა და სხვ.» (F. Kirchhof: «Handbuch der landwirtschafliechen Betriebslehre». Dresden, 1852, გვ. 160).

ამიტომ, რაც უფრო არახელსაყრელია ჰავა, მით უფრო მოკლეა სამუშაო პერიოდი სოფლის მეურნეობაში და, მაშასადამე, მით უფრო შემჭიდროებულია ის დრო, რომლის განმავლობაშიც კაპიტალი და შრომა იხარჯება. მაგალითად, რუსეთი. იქ ჩრდილოეთის ზოგ ადგილას მინდვრის სამუშაოები წლის განმავლობაში შესაძლებელია მხოლოდ 130 — 150 დღეს წარმოებდეს. გასაგებია, რა დანაკარგი იქნებოდა რუსეთისათვის, მისი ევროპული ნაწილის 65 მილიონი მოსახლეობიდან 50 მილიონი რომ უსაქმოდ რჩებოდეს ზამთრის ექვსი თუ რვა თვის განმავლობაში, როცა მინდვრის ყოველგვარი სამუშაო უნდა შეწყდეს. გარდა იმისა, რომ 200 000 გლეხი რუსეთის 10 500 ფაბრიკაში მუშაობს, სოფლებში ყველგან განვითარდა საკუთარი შინამრეწველობა. არსებობს სოფლები, სადაც გლეხები ყველანი თაობიდან თაობამდე არიან ფეიქრები, დაბაღები, მეწაღეები, ზეინკლები, ზედანეები და სხვ.; განსაკუთრებით ამას ადგილი აქვს მოსკოვის, ვლადიმირის, კალუგის, კოსტრომისა და პეტერბურგის გუბერნიებში. შევნიშნავთ გაკვრით, რომ ეს შინამრეწველობა უკვე სულ უფრო და უფრო იძულებული ხდება ემსახუროს კაპიტალისტურ წარმოებას; მაგალითად, ფეიქრებს დასაქსელს და მისაქსელს ვაჭრები აძლევენ უშუალოდ ან მათი აგენტების მეშვეობით (შემოკლებით ამოღებულია შემდეგი წყაროდან: «Reports by H. M. Secretaries of Embassy and Legation, on the Manufactures, Commerce etc.» № 8, 1865, გვ. 86, 87). აქედან ჩანს, რომ წარმოების პერიოდისა და სამუშაო პერიოდის ერთიმეორისგან დაშორება, როცა უკანასკნელი პერიოდი პირველის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს, შეადგენს ბუნებრივ საფუძველს მიწათმოქმედების შეერთებისათვის სოფლურ დამხმარე სარეწებთან და რომ, მეორე მხრივ, ეს უკანასკნელნი, თავისთავად, საყრდენ პუნქტად ხდებიან კაპიტალისტისათვის, რომელიც იქ პირველად შემყიდველის

სახით შეიჭრება. როდესაც შემდგომ კაპიტალისტური წარმოება გამოყოფს მანუფაქტურას მიწათმოქმედებისგან, სოფლის მუშა სულ უფრო დამოკიდებული ხდება თავის, მანამდე შემთხვევი ი ხასიათის, დამხმარე მოსაქმეობაზე და მისი მდგომარეობა, ამის გამო, უარესდება. კაპიტალისათვის, როგორც ჩვენ შემდგომ დავინახავთ, გადაბრუნებაში ყველა განსხვავება გათანატოლდება, მუშისთვის კი — არა.

საკუთრივ მრეწველობის მეტწილ დარგებში, როგორიცაა სამთამადნო საქმე, ტრანსპორტი და სხვ., წარმოება თანაბრად მიმდინარეობს, წლიდან წლამდე თანაბარი სამუშაო დრო იხარჯება და, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფასების რყევას, შეფერაებას საწარმოს საქმიანობის მსვლელობაში და სხვ. მსგავს არანორმალურ მოვლენებს, — მაშინ მიმოქცევის ყოველდღიურ პროცესში შემავალი კაპიტალის დანახარჯიც დროის მიხედვით თანაბრად ნაწილდება. ასევე, ბაზრის სხვა პირობების უცვლელობისას, საბრუნავი კაპიტალის უკუმოდინება ანუ მისი განახლება წლის განმავლობაში თანაბრად ნაწილდება. პირიქით, იმ დარგებში, სადაც სამუშაო დრო წარმოების დროის მხოლოდ ნაწილს შეადგენს, საბრუნავი კაპიტალის ხარჯვის უდიდეს უთანაბრობას აქვს ადგილი წლის სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში, მაშინ როდესაც მისი უკუმოდინება ხდება მხოლოდ ერთბაშად, იმ მომენტში, რომელიც ბუნების პირობებითაა განსაზღვრული. ამრიგად, აქ, საწარმოთა თანატოლი მასშტაბისა და ავანსებული საბრუნავი კაპიტალის ტოლი ოდენობის პირობებში, ეს უკანასკნელი უფრო დიდი რაოდენობით და უფრო დიდი ხნით უნდა გაიღონ ავანსად, ვიდრე უწყვეტი სამუშაო პერიოდების მქონე საწარმოებში. ძირითადი კაპიტალის არსებობის ხანგრძლიობა აქ აგრეთვე უფრო მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ დროისაგან, რომლის განმავლობაშიც იგი სამდვილად მოქმედებს მწარმოებლურად. რასაკვირველია, რაკი ადგილი აქვს განსხვავებას სამუშაო დროსა და წარმოების დროს შორის, მაშინ გამოყენებული ძირითადი კაპიტალის მოხმარების დროც მუდამ შეწყდება მეტნაკლებ ხანგრძლივი პერიოდებით, ასე ხდება, მაგალითად, მიწათმოქმედებაში მუშა პირუტყვის, შრომის იარაღებისა და მანქანების მიმართ. რამდენადაც ეს ძირითადი კაპიტალი მუშა პირუტყვისაგან შედგება, იგი განუწყვეტლივ მოითხოვს საკვების და სხვ. თანაბარ ან თითქმის თანაბარ ხარჯვას იმ დროის განმავლობაშიც, როცა პირუტყვი მუშაობს, და მაშინაც, როცა იგი არ მუშაობს. რაც შეეხება შრომის უსულო საშუალებებს, აქაც მათი მოუხმარებლობა იწვევს გარკვეული ოდენობით მათი ღირებულების დაკარგვას. ამრიგად, ადგილი აქვს საერთოდ პროდუქტის გაძვირებას, რადგან

პროდუქტზე ღირებულების გადაცემა გამოიანგარიშება არა იმ დროის მიხედვით, რა ჯერ ძირითადი კაპიტალი მოქმედებს, არამედ იმ დროის მიხედვით, როგორ განმავლობაში იგი ღირებულებას კარგავს. წარმოების ამ დარგებში ძირითადი კაპიტალის უმოქმედობა, სულ ერთია, დაკავშირებულია იგი მიმდინარე ხარჯებთან თუ არა, ისევე შეადგენს პირობას მისი გამოყენებისათვის, როგორც, მაგალითად, ბამბის განსაზღვრული რაოდენობის დაკარგვა რთვის პროცესის დროს; ასევე ყოველ შრომის პროცესში, რომელიც ნორმალურ ტექნიკურ პირობებში სრულდება, სამუშაო ძალის არამწარმოებლური, მაგრამ გარდუვალი, ხარჯვა სავსებით ისევე ჩაითვლება ანგარიშში, როგორც მწარმოებლური ხარჯვაც. ყოველი გაუმჯობესება, რომელიც ამცირებს შრომის საშუალებების, ნედლი მასალისა და სამუშაო ძალის არამწარმოებლურ ხარჯვას, იმავე დროს პროდუქტის ღირებულებასაც ამცირებს.

სოფლის მეურნეობაში შეერთებულია ორივე ფაქტორი: შედარებით ხანგრძლივი სამუშაო პერიოდი და სამუშაო დროსა და წარმოების დროს შორის არსებული დიდი განსხვავება. ჰოდსკინი მართებულად შენიშნავს ამის შესახებ: «განსხვავება დროისა» (თუმცა იგი აქ არ განასხვავებს სამუშაო დროს წარმოების დროისაგან), «რომელიც საჭიროა სოფლის მეურნეობის პროდუქტის დასამზადებლად, იმ დროისაგან, რომელიც საჭიროა შრომის სხვა დარგებში, მთავარი მიზეზია სოფლის მეურნეთა დიდი დამოკიდებულებისა. მათ არ შეუძლიათ თავიანთი საქონელი წელიწადზე ადრე გაიტანონ ბაზარზე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მათ სესხი უნდა აიღონ ხოლმე ისეთ მწარმოებელთაგან, როგორიცაა მეწაღე, თერძი, მჭედელი, ურმის მკეთებელი და მრავალი სხვა მწარმოებელი, რომელთა პროდუქტებსაც ისინი საჭიროებენ და რომლებიც შეიძლება რამდენიმე დღეში ან კვირაში დამზადდეს. ამ ბუნებრივი გარემოების გამო და შრომის სხვა დარგებში სიმდიდრის უფრო სწრაფი გადიდების გამო მიწათმფლობელებს, რომელთაც მონოპოლიზებული აქვთ სახელმწიფოს მთელი მიწა, და გარდა ამისა კანონმდებლობის მონოპოლიაც მიითვისეს, მაინც არ ძალუძთ იხსნან თავიანთი თავი, თავიანთი მსახურნი და მოჯარენი იმ ხვედრისაგან, რაც მათ ქვეყანაში ყველაზე უფრო დამოკიდებულ ადამიანებად ხდის» (Thomas Hodgskin «Popular Political Economy». London 1827, გვ. 147, შენიშვნა).

ყველა მეთოდი, რომელთა მეოხებით მიწათმოქმედებაში, ნაწილობრივ ხელფასსა და შრომის საშუალებებზე დანახარჯი უფრო თანაბრად ნაწილდება წლის განმავლობაში, ნაწილობრივ კი მოკლდება გადაბრუნების დრო, რადგან სხვადასხვაგვარი პროდუქტები იწარ-

მოება, რაც შესაძლებელს ხდის მოსავლის აღებას წლის სხვადასხვა დროს, — ყველა ასეთი მეთოდი მოითხოვს წარმოებაში ავანსებული, ხელფასზე, სასუქზე, თესლზე და სხვ. დახარჯული საბრუნავი კაპიტალის გადიდებას. ასე ხდება ანეულიანი სამმინდვრიანი მეურნეობიდან უანეულო ნაყოფცვლადს მეურნეობაზე გადასვლის დროს. ასეა ფლანდრიაში cultures dérobées-ს შემთხვევაში. Cultures dérobées-ისთვის ძირნაყოფა მცენარეებს იყენებენ; ერთი და იგივე მინდორი ჯერ იძლევა ხორბალს, სელს, რაპსს ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ხოლო მოსავლის აღების შემდეგ ითესება ძირნაყოფა მცენარეები, პირუტყვის გამოკვების მიზნით. ეს სისტემა, რომლის დროს რქიანი პირუტყვი ყოველთვის ბოსლებში შეიძლება იყოს, იძლევა სასუქის მნიშვნელოვანი დაგროვების შესაძლებლობას და ამგვარად იქცევა ნაყოფცვლადი მეურნეობის საყრდენად. ქვიშნარ ადგილებში დამუშავებული ფართობის ერთ მესამედზე მეტი cultures dérobées-ს აქვს დაკავებული; შედეგი სწორედ ისეთი გამოდის, თითქოს დამუშავებული ფართობი ერთი მესამედით ყოფილიყოს გადიდებული. ძირნაყოფა მცენარეების გვერდით მოჰყავთ აგრეთვე იონჯა და სხვა საკვები ბალახები. «მიწათმოქმედება, რომელიც ისე ინტენსიურად წარიმართება, რომ იგი მებოსტნეობაში გადადის, თავისთავად გასაგებია, კაპიტალის შედარებით მნიშვნელოვან დაბანდებას მოითხოვს. ინგლისში კაპიტალის დაბანდებას ანგარიშობენ 250 ფრანკის რაოდენობით ჰექტარზე. ფლანდრიაში კაპიტალის დაბანდებას 500 ფრანკის რაოდენობით ჰექტარზე ჩვენი გლეხები, ალბათ, მეტისმეტად მცირედ მიიჩნევდნენ» («Essais sur l'Économie Rurale de la Belgique par Émile de Laveleye». Paris 1863, გვ. 45, 46, 48).

ავიღოთ, ბოლოს, ტყის გაშენება. — «ტყის მოშენება არსებითად გახსხვავდება მეტწილ დანარჩენ წარმოებათაგან იმით, რომ აქ ბუნების ძალა დამოუკიდებლად მოქმედებს და ბუნებრივი განახლებისას არაა საჭირო ადამიანის ან კაპიტალის ძალის გამოყენება. სხვათა შორის ტყის ხელოვნურად გაშენების შემთხვევაშიც კი ადამიანისა და კაპიტალის ძალის გამოყენება ბუნების ძალის მოქმედებასთან შედარებით ძალიან მცირეა. გარდა ამისა, ტყე ხარობს ისეთ ნიადაგსა და ადგილებზეც, სადაც ხორბლეული არ მოდის ან მისი წარმოება ხელსაყრელი აღარაა. მაგრამ მეურნეობის წესიერად წარმართვისათვის, ტყის გაშენება აგრეთვე უფრო დიდ ფართობს მოითხოვს, ვიდრე ხორბლეული კულტურა, რადგან პატარა პარცელებზე არ შეიძლება ტყის დანაწილება რაციონალურ სატყეო უბნებად, თითქმის შეუძლებელი ხდება დამატებითი სარგებლობის მიღება, უფრო ძნელია ტყის

დაცვა და სხვ. მაგრამ წარმოების პროცესი დაკავშირებულია აგრეთვე ისეთ გრძელ პერიოდებთან, რომ იგი კერძო მეურნეობის გეგმების ფარგლებს სცილდება, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში იგი ადამიანის სიცოცხლის საზღვარსაც კი სცილდება. ტყის ნაკვეთების შესაძენად დახარჯულ კაპიტალს» (საზოგადოებრივი წარმოების პირობებში ეს კაპიტალი აღარაა საჭირო, და საკითხი მხოლოდ იმას შეეხება, თუ რამდენი მიწა შეუძლია საზოგადოებას მოაკლოს სახნავებსა და სათიბებს ტყის წარმოებისათვის) «შესაბამისი ნაყოფი მხოლოდ დიდი ხნის გასვლის შემდეგ მოაქვს და გადაბრუნდება მხოლოდ ნაწილობრივ, სრული გადაბრუნება კი ზოგიერთი ჯიშის ხეების შემცველი ტყეებისათვის მოითხოვს 150 წლამდე ხანგრძლივობის პერიოდს. გარდა ამისა, წესიერი სატყეო მეურნეობა მოითხოვს, რომ ყოველთვის არსებობდეს ხელუხლებელი ტყის ისეთი მარაგი, რომელიც 10—40-ჯერ აღემატება იმას, რაც ყოველწლიურად მოიჭრება. ამიტომ იმას, ვინც სხვა შემოსავალს მოკლებულია და მხოლოდ ტყის მნიშვნელოვანი ფართობი აქვს, არ შეუძლია წესიერი სატყეო მეურნეობის წარმართვა» (Kirchhof, გვ. 58).

წარმოების ხანგრძლივი დრო (რომელიც შედარებით მხოლოდ მცირე ზომით შეიცავს სამუშაო დროს) და მასთან დაკავშირებული გადაბრუნების პერიოდების ხანგრძლივობა ტყის გაშენებას ხდის არახელსაყრელ დარგად კერძო და, მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოებისათვის, რადგან ეს უკანასკნელი არსებითად კერძო წარმოებაა, თუნდაც ცალკეული კაპიტალისტის ნაცვლად ასოციაციაში გაერთიანებული კაპიტალისტი გამოდიოდეს სამოქმედო ასპარეზზე. კულტურისა და საერთოდ მრეწველობის განვითარებამ იმთავითვე ტყეების ისეთი ენერგიული განადგურებით გამოიჩინა თავი, რომ ამასთან შედარებით ის, რაც მან ტყის შესანარჩუნებლად და გასაშენებლად გააკეთა, უსასრულოდ მცირე სიდიდეს წარმოადგენს.

განსაკუთრებით საყურადღებოა კირხჰოფის ზემომოყვანილი ციტატის შემდეგი ადგილი: «გარდა ამისა, წესიერი სატყეო მეურნეობა მოითხოვს, რომ ყოველთვის არსებობდეს ცოცხალი ხის ისეთი მარაგი, რომელიც 10—40-ჯერ აღემატება ყოველწლიურად მოჭრილი ხეების რაოდენობას». ეს იმას ნიშნავს, რომ ერთგზისი გადაბრუნება მოდის 10—40 და მეტ წელიწადზე.

ასევეა მეცხოველეობაშიც. ჯოგის ერთი ნაწილი (პირუტყვის მარაგი) წარმოების პროცესში რჩება, მაშინ როდესაც მისი მეორე ნაწილი წლიური პროდუქტის სახით გაიყიდება. აქ ყოველწლიურად გადაბრუნდება კაპიტალის მხოლოდ ერთი ნაწილი, სრულიად ისე,

როგორც ეს ხდება ძირითადი კაპიტალის, მანქანების, მუშა პირუტყვის და სხვ. მიმართ. თუმცა ეს კაპიტალი დიდი ხნით წარმოების პროცესში ფიქსირებული კაპიტალია და ამიტომ ერთობლივი კაპიტალის გადაბრუნებას ახანგრძლივებს, ნაგრამ იგი მაინც არ წარმოადგენს ძირითად კაპიტალს კატეგორიული აზრით.

ის, რასაც აქ მარაგი ეწოდება, — ცოცხალი ხის ან პირუტყვის განსაზღვრული რაოდენობა, — პირობითი აზრით იმყოფება წარმოების პროცესში (იმავდროულად შრომის საშუალებისა და შრომის მასალის სახით); მისი კვლავწარმოების ბუნებრივი პირობების შესაბამისად, წესიერად წარმართული მეურნეობის პირობებში მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს ამ ფორმაში, მარაგის ფორმაში.

მსგავს გავლენას ახდენს გადაბრუნებაზე მეორეგვარი მარაგი, რომელიც მარტოოდენ პოტენციურ მწარმოებლურ კაპიტალს შეადგენს, მაგრამ თავისი მეურნეობის ბუნების გამო იგი მეტნაკლებ დიდი რაოდენობით უნდა იყოს დაგროვილი და, მაშასადამე, უფრო ხანგრძლივი დროით უნდა იყოს ავანსებული წარმოებისათვის, თუმცა იგი მხოლოდ თანდათანობით შედის წარმოების აქტიურ პროცესში. «ძას მიეკუთვნება, მაგალითად, სასუქი, სანამ იგი მინდორზე არაა გატანილი, აგრეთვე მარცვლეული, თივა და სხვ. და საარსებო საშუალებათა ისეთი მარაგი, რომელიც შედის პირუტყვის წარმოებაში. «საწარმოს კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი მეურნეობის მარაგშია მოქცეული. მაგრამ ამ უკანასკნელმა შეიძლება მეტნაკლები ზომით დაკარგოს თავისი ღირებულება, თუკი მისი შენარჩუნებისათვის საჭირო დაცვითი ღონისძიებანი ჯეროვნად არ იქნება შესრულებული; მეთვალყურეობის ნაკლებობის გამო შესაძლებელია პროდუქტის მარაგის ნაწილი სულაც დაიკარგოს მეურნეობისათვის. ამ მხრივ, მაშასადამე, განსაკუთრებულად საჭიროა ბეღლების, საბძლების, ხორბლეულის ხაროებისა და სარდაფების გულდასმითი მეთვალყურეობა, აგრეთვე საჭიროა ყოველთვის მარაგის საწყობების საგულდაგულო დაკეტვა, გარდა ამისა მათი სუფთად შენახვა, ჰაერის გაწმენდა და სხვ.; ბეღლებში შენახული ხორბლეული და სხვა ნაყოფი დროგამოშვებით ჯეროვნად უნდა იქნეს ანიავებული, კართოფილი და ჭარხალი უნდა იყოს დაცული როგორც ყინვისაგან, ისე წყლისაგან და ლპობისაგან» (Kirchhof, გვ. 292). «საკუთარი მეურნეობის საჭიროების გამოანგარიშებისას, განსაკუთრებით იმის გამოანგარიშებისას, რაც პირუტყვის გამოსაკვებადაა საჭირო, რისთვისაც განაწილება უნდა ხდებოდეს მოსავლისა და მიზნის მიხედვით, მხედველობაში უნდა

იყოს მიღებული არა მარტო მოთხოვნილების დაფარვა, არამედ ისიც, რომ გარკვეული მარაგი დარჩეს გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის. და თუ აღმოჩნდა, რომ მოთხოვნილების მთლიანად დაფარვა საკუთარი მეურნეობის ნაწარმით შეუძლებელია, მაშინ უწინარეს ყოვლისა მეურნემ უნდა მოისაზროს, ხომ არ შეიძლება ამ ნაკლებობის დაფარვა სხვა პროდუქტებით (სუროგატებით) ან, ყოველ შემთხვევაში, იმის სანაცვლოდ, რაც აკლია, ხომ არ შეიძლება ამ უკანასკნელთა იაფად ყიდვა. თუ, მაგალითად, თივა არასაკმარისი აღმოჩნდა, შეიძლება მის ადგილას თივანარევი ძირების გამოყენება. საერთოდ მეურნე ამ შემთხვევაში მუდამ ანგარიშს უნდა უწევდეს სხვადასხვა ნაწარმის დანიშნულებას და საბაზრო ფასს და ამის მიხედვით უნდა წყვეტდეს საკითხს მოხმარების შესახებ; თუ, მაგალითად, შვრია ძვირია, ხოლო ცერცვისა და ჭვავის ფასი შედარებით დაბალია, მაშინ სარფიანად შეიძლება შვრიის ნაწილის შენაცვლება ცერცვით ან ჭვავით ცხენების საკვებად და ამის შედეგად დაზოგილი შვრიის გაყიდვა» (იქვე, გვ. 300).

ზემოთ, მარაგის შექმნის განხილვისას, აღნიშნული იყო, რომ საჭიროა განსაზღვრული, მეტნაკლებ დიდი რაოდენობა პოტენციური მწარმოებლური კაპიტალისა, ე. ი. განსაზღვრული რაოდენობა წარმოებისათვის განკუთვნილ წარმოების საშუალებებისა, რაც მეტნაკლებ დიდი რაოდენობით უნდა მოიპოვებოდეს მარაგად და თანდათანობით უნდა შედიოდეს წარმოების პროცესში. ამასთან აღნიშნული იყო, რომ მოცემულ საწარმოში ან განსაზღვრული მოცულობის კაპიტალისტურ წარმოებაში ამ საწარმოო მარაგის ოდენობა დამოკიდებულია მისი განახლების მეტ თუ ნაკლებ სიძნელეზე, საქონლის მომწოდებელი ბაზრების შედარებითს სიახლოვეზე, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის საშუალებათა განვითარებაზე და სხვ. ყველა ამ გარემოებას გავლენა აქვს კაპიტალის იმ მინიმუმზე, რომელიც უნდა მოიპოვებოდეს საწარმოო მარაგის ფორმაში, მაშასადამე, გავლენა აქვს დროის ხანგრძლიობაზე, რომლისათვის კაპიტალი უნდა ავანსდებოდეს, და ერთგზის ავანსად გასაღები კაპიტალის მასის მოცულობაზე. ეს მოცულობა, რომელიც, მაშასადამე, გავლენას ახდენს გადაბრუნებაზეც, გაპირობებულია იმ დროის მეტნაკლები ხანგრძლიობით, რომლის განმავლობაშიც საბრუნავი კაპიტალი დაკავებულია საწარმოო მარაგის ფორმაში როგორც მთლიანად პოტენციური მწარმოებლური კაპიტალი. მეორე მხრივ, რამდენადაც ეს შეჩერება დამოკიდებულია სწრაფი ანაზღაურების მეტნაკლებ შესაძლებლობაზე, ბაზრის პირობებზე და სხვ., იგი თვით წარმოდგება მიმოქცევის დროიდან, იმ გარემოებებიდან,

რომელნიც მიმოქცევის სფეროს ეკუთვნიან. «შემდეგ, ინვენტარის ყველა ისეთი საგანი ან ხელსაწყო, როგორიცაა ხელით სამუშაო იარაღები, საცრები, კალათები, თოკები, ღერძის წასასმელი, ლურსმანი და სხვ., აუცილებელი ანაზღაურების შემთხვევისათვის მარაგად უნდა მოიპოვებოდეს მით უფრო მეტი რაოდენობით, რაც უფრო ნაკლებია ახლო-მახლო ამ ნივთების სწრაფად შეძენის შესაძ ებლობა. დასასრულ, ყოველწლიურად ზამთრის განმავლობაში მთელი ინვენტარი გულდასმით უნდა გაისინჯოს და საჭიროა იმისათვის ზრუნვა, რომ რაც აუცილებლად შესაესები და გასასწორებელია, დაუყოვნებლივ შესრულდეს. თუ რამდენად დიდი ან პატარა უნდა იყოს საერთოდ მარაგი ინვენტარის საჭიროებისათვის, ეს უმთავრესად ადგილობრივ პირობებზეა დამოკიდებული. იქ, სადაც ახლო-მახლო არც ხელოსნებია და არც სავაჭრო დუქნები, უფრო დიდი მარაგია საჭირო, ვიდრე იქ, სადაც ადგილობრივ ან ძალიან ახლოს ხელოსანიცაა და დუქანიც. მაგრამ სხვა პირობების უცვლელობისას, საჭირო მარაგის დიდი რაოდენობით ერთბაშად შეძენას ჩვეულებრივ ის სარგებლობა მოაქვს, რომ იაფად ხდება შესყიდვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამისათვის ხელსაყრელი მომენტია შერჩეული; თუმცა, რასაკვირველია, ამით ერთბაშად გამოეცლება საწარმოს საბრუნავ კაპიტალს მნიშვნელოვანი თანხა, ურომლისოდაც მეურნეობას ყოველთვის როდი შეუძლია იოლად გავიდეს» (Kirchhof, გვ. 301).

წარმოების დროსა და სამუშაო დროს შორის განსხვავებას, როგორც დავინახეთ, შეიძლება ფრიად სხვადასხვა შემთხვევებში ჰქონდეს ადგილი. საბრუნავი კაპიტალი შეიძლება წარმოების პერიოდში იმყოფებოდეს, ვიდრე იგი საკუთრივ შრომის პროცესში შევიდოდეს (კალაპოტების ფაბრიკაცია); ან იგი წარმოების პროცესში იმყოფება მას შემდეგ, რაც მან უკვე განვლო საკუთრივ შრომითი პროცესი (ღვინო, თესვა); ანდა წარმოების დროს ზოგჯერ შეწყვეტს ხოლმე სამუშაო დრო (მემინდვრეობა, ტყის გაშენება); მიმოქცევის უნარმქონე პროდუქტის დიდი ნაწილი წარმოების აქტიურ პროცესში რჩება, მაშინ როდესაც მისი გაცილებით პატარა ნაწილი წლიურ მიმოქცევაში შედის (ტყის გაშენება, პირუტყვის მოშენება); მეტნაკლები ხანგრძლიობა იმ ვადისა, რა ვადითაც საბრუნავი კაპიტალი უნდა დაიხარჯოს პოტენციური მწარმოებლური კაპიტალის ფორმაში და რა ვადითაც, მაშასადამე, კაპიტალის უფრო დიდი ან ნაკლები მასა უნდა დაიხარჯოს ერთბაშად, — გაპირობებულია ნაწილობრივ თვით წარმოების პროცესის ხასიათი (მიწათმოქმედება), ნაწილობრივ კი დამო-

კიდებულია ბაზრების და სხვ. სიახლოვეზე, — მოკლედ, ისეთ გარემოებებზე, რომელნიც მიმოქცევის სფეროს ეკუთვნიან.

შემდგომ (წიგნი III) ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ უაზრო თეორიებამდე მიიყვანა მაკ-კულოხი, ჯემს მილი და სხვები სამუშაო დროისა და მისგან გადაბრილი საწარმოო დროის გაიგივების ცდამ,— ცდამ, რომელიც, თავის მხრივ, ღირებულების თეორიის მცდარი გამოყენებიდან გამომდინარეობს.

გადაბრუნების ციკლი, რომელიც ჩვენ წინათ განვიხილეთ, წარმოების პროცესში ავანსებული ძირითადი კაპიტალის ხანგრძლიობით არის მოცემული. რადგან ეს ციკლი წელთა მეტნაკლებ დიდ რიცხვს მოიცავს, ამიტომ იგი მოიცავს აგრეთვე ძირითადი კაპიტალის მთელ რიგ წლიურ ან — შესაბამისად — წლის განმავლობაში განმეორებულ გადაბრუნებებს.

მიწათმოქმედებაში გადაბრუნების ასეთი ციკლი თესლბრუნვის სისტემიდან წარმოდგება. «იჯარის ვადის ხანგრძლიობა ყოველ შემთხვევაში არ უნდა იყოს არსებული თესლბრუნვის სისტემის შესაბამისი გადაბრუნების დროზე უფრო მოკლე — მაშასადამე, სამმინდვრიანი მეურნეობის არსებობისას ჩვენ ყოველთვის საქმე გვაქვს რიცხვებთან: 3, 6, 9 და ა. შ. ხოლო თუ სამმინდვრიანი სისტემისას წმინდა ანეულს მიმართავენ, მაშინ თვითეული მინდორი ექვსი წლის განმავლობაში მხოლოდ ოთხჯერ დამუშავდება, ამასთან დამუშავების წლებში იგი ითესება რიგრიგობით შემოდგომაზე და გაზაფხულზე და — თუ ამის ნებას იძლევა ან ამას მოითხოვს ნიადაგის თვისება — თანმიმდევრულად ხორბლით და ჭვავით, ქერით და შვრიით. ერთი სახეობის ხორბლეული ერთსა და იმავე მიწაზე იძლევა მეტ ან ნაკლებ მოსავალს, ვიდრე მეორე სახეობის, თვითეულს სხვა ღირებულება აქვს და სხვა ფასშიც გაიყიდება. ამიტომ რაკი მინდვრის მოსავალი სხვადასხვანაირია დამუშავების ამა თუ იმ წელიწადში, გადაბრუნების პირველ ნახევარში (პირველ სამ წელიწადში) მოსავალი ისეთივე როდი იქნება, როგორც გადაბრუნების მეორე ნახევარში. საშუალო გამოსავალიც კი არ იქნება ერთნაირი გადაბრუნების პირველსა და მეორე ნახევარში, რადგან ნაყოფიერება არა მარტო ნიადაგის ღირსებაზეა დამოკიდებული, არამედ — ამინდზეც; ასევე ფასებიც სხვადასხვა ცვალებად პირობებზეა დამოკიდებული. თუ ჩვენ ახლა მინდვრის მოსავალს გამოვიანგარიშებთ გადაბრუნების მთელი ექვსწლიანი პერიოდის საშუალო ნაყოფიერების მიხედვით, და იმავე პერიოდის საშუალო

ფასების მიხედვით, მივიღებთ ერთობლივ მოსავალს გადაბრუნების როგორც პირველი, ისე მეორე ნახევრისათვის. მაგრამ ეს ასე არ იქნება, თუ ჩვენ შემოსავალი გადაბრუნების დროის მხოლოდ პირველი ნახევრისათვის, ე. ი. მხოლოდ სამი წლისათვის, გამოვიანგარიშეთ, რადგან მაშინ წლიური ერთობლივი შემოსავლის სიდიდე არათანაბარი იქნება. აქედან გამომდინარეობს, რომ იჯარის ვადის ხანგრძლიობა სამმინდვრიანი სისტემის არსებობისას, სულ ცოტა, ექვსი წლით მაინც უნდა იყოს განსაზღვრული. მაგრამ მოიჯარისთვისაც და მემამულისთვისაც გაცილებით უფრო სასურველი და ხელსაყრელია, რომ იჯარის ვადა მრავალჯერად საიჯარო ვადას {sic!} უდრიდეს და, ამრიგად, სამმინდვრიანი მეურნეობის არსებობისას 6-ის ნაცვლად შეადგენდეს 12, 18 და მეტ წელიწადს, ხოლო შვიდმინდვრიანი მეურნეობის შემთხვევაში 7-ის ნაცვლად — 14, 28 წელიწადს» (Kirchhof, გვ. 117, 118).

(ხელნაწერში ამ ადგილას სწერია: «ინგლისის ნაყოფცვლადი მეურნეობა. აქ შენიშვნა უნდა გაკეთდეს“).

თავი მეთოთხმეტე

მიმოქცევის დრო

ჩვენ მიერ აქამდე განხილული ყველა გარემოება, რომელიც განასხვავებს წარმოების სხვადასხვა დარგში დაბანდებული სხვადასხვა კაპიტალის მიმოქცევის პერიოდებს და, მაშასადამე, იმ პერიოდებსაც, რომელთა განმავლობაში კაპიტალი უნდა ავანსდებოდეს, წარმოიშვება თვით წარმოების პროცესში, როგორც ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავება, სამუშაო პერიოდების და სხვ. განსხვავება. მაგრამ კაპიტალის გადაბრუნების დრო უდრის მისი წარმოების დროისა და მიმოქცევის, ანუ ცირკულაციის, დროის ჯამს. ამიტომ თავისთავად გასაგებია, რომ მიმოქცევის დროის სხვადასხვა ხანგრძლიობა განსხვავებულს ხდის გადაბრუნების დროსა და, მაშასადამე, გადაბრუნების პერიოდის ხანგრძლიობასაც. ეს ცხადზე უცხადესი გახდება, თუ ერთმანეთს შევადარებთ ორ სხვადასხვა კაპიტალდაბანდებას, სადაც სხვადასხვაა მხოლოდ მიმოქცევის დრო, ხოლო გადაბრუნების მოდიფიკაციის მომხდენი ყველა სხვა გარემოება იდენტურია, ანდა თუ ავიღებთ განსაზღვრულ კაპიტალს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსაზღვრული შეფარდებით და ასევე განსაზღვრულ სამუშაო პერიოდით და სხვ., და ჰიპოტეზურად შევცვლით მხოლოდ მიმოქცევის დროს.

მიმოქცევის დროის ერთი მონაკვეთი — შედარებით ყველაზე მნიშვნელოვანი—შედგება გაყიდვის დროისაგან, იმ პერიოდისაგან, როდესაც კაპიტალი საქონლური კაპიტალის მდგომარეობაში იმყოფება. ამ ვადის შეფარდებითი სიდიდის შესაბამისად გრძელდება ან მოკლდება მიმოქცევის დრო და, მაშასადამე, გადაბრუნების პერიოდიც საერთოდ. შენახვის ხარჯებისა და სხვ. გამო შესაძლებელია აუცილებელი გახდეს კაპიტალის დამატებითი დახარჯვა. იმთავითვე ცხადია, რომ მზა საქონლის გაყიდვისათვის საჭირო დრო შეიძლება ფრიად სხვადასხვა იყოს ცალკეული კაპიტალისტებისთვის მეწარმეობის ერთსა და იმავე დარგში, მაშასადამე, სხვადასხვა იყოს არა მარტო იმ კაპი-

ტალების მასებისთვის, რომლებიც წარმოების სხვადასხვა დარგშია დაბანდებული, არამედ აგრეთვე სხვადასხვა დამოუკიდებელი კაპიტალებისთვისაც, რომელნიც სინამდვილეში მხოლოდ წარმოების ერთსა და იმავე სფეროში დაბანდებული ერთობლივი კაპიტალის დამოუკიდებლად ქცეულ ნაწილებს შეადგენენ. სხვა პირობების უცვლელობისას გაყიდვის პერიოდი ერთი და იმავე ინდივიდუალური კაპიტალისთვის შეიცვლება ხოლმე ბაზრის ურთიერთობის საყოველთაო რყევის ან წარმოების განსაკუთრებულ დარგში ამ ურთიერთობის რყევის შესაბამისად. ამაზე ჩვენ აქ მეტს არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ უბრალო ფაქტს: ყველა იმ გარემოებას, რაც კი საერთოდ წარმოების სხვადასხვა დარგში დაბანდებული კაპიტალების გადაბრუნების პერიოდებში განსხვავებას იწვევს, შედეგად მოსდევს განსხვავება მეწარმეობის ერთსა და იმავე დარგში [Geschäftszweig] მოთავსებული სხვადასხვა ცალკეული კაპიტალების გადაბრუნებაშიც. ეს მაშინ ხდება, როცა ზემოხსენებული გარემოებანი ინდივიდუალურად მოქმედებენ (თუ, მაგალითად, ერთ კაპიტალისტს შესაძლებლობა აქვს თავის კონკურენტზე უფრო სწრაფად გაყიდოს; თუ ერთი უფრო გამოიყენებს სამუშაო პერიოდის შემმოკლებელ მეთოდებს, ვიდრე მეორე, და სხვ.).

ერთ-ერთ მიზეზს, რაც მუდამ იწვევს განსხვავებას გაყიდვის დროში და, ამიტომ, საერთოდ გადაბრუნების დროშიც, წარმოადგენს საქონლის გაყიდვის ბაზრის დაშორება მისი დამზადების ადგილიდან. მთელი იმ დროის განმავლობაში, რომელიც სჭირდება საქონლის მიტანას ბაზრამდე, კაპიტალი შებოჭილია საქონლური კაპიტალის მდგომარეობაში: თუ საქონელი დაკვეთით იწარმოება, — ჩაბარების მომენტამდე, ხოლო თუ დაკვეთით არ იწარმოება, ბაზრამდე მისატანად საჭირო დროს ემატება კიდევ ის დრო, რომლის განმავლობაშიც საქონელი ბაზარზე იმყოფება გაყიდვის მოლოდინში. კომუნიკაციისა და ტრანსპორტის საშუალებათა გაუმჯობესება აბსოლუტურად ამოკლებს საქონელთა გზაში ყოფნის პერიოდს, მაგრამ ვერ სპობს ამ პერიოდის ხანგრძლიობიდან გამომდინარე შეფარდებით განსხვავებას სხვადასხვა საქონლური კაპიტალის მიმოქცევის დროში ანდა აგრეთვე ერთი და იმავე საქონლური კაპიტალის იმ სხვადასხვა ნაწილების მიმოქცევის დროში, რომელნიც სხვადასხვა ბაზარზე დაეხეტებიან. მაგალითად, გაუმჯობესებული იალქნიანი გემები და ორთქლის გემები, რომელნიც გადაზიდვისათვის საჭირო დროს ამცირებენ, ამცირებენ მას როგორც ახლო მდებარე, ისე შორს მდებარე ნავსადგურებამდე. შეფარდებითი განსხვავება რჩება, თუმცა იგი ხშირად მცირ-

დება. მაგრამ, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის საშუალებათა განვითარების გამო შეფარდებითი განსხვავებანი შეიძლება ისეთი წესით შეიცვალოს, რომელიც გეოგრაფიულ მანძილს არ შეესაბამება. მაგალითად, რკინიგზამ, რომელიც წარმოების ადგილიდან მოსახლეობის მთავარ ნიდა ცენტრამდე მიდის, შეიძლება ახლო მდებარე ნიდა პუნქტი, რომელთანაც რკინიგზა არ მიდის, აბსოლუტურად ან რელატიურად დაშორებულ პუნქტად აქციოს გეოგრაფიულად უფრო დაშორებულთან შედარებით; იმავე გარემოების გამო ასევე შეიძლება შეიცვალოს წარმოების ადგილების სიშორეც უდიდესი გამსაღებელი ბაზრებისგან, რითაც აიხსნება წარმოების ძველი ცენტრების დაქვეითება და ახლების აღმოცენება, რაც შედეგად ახლავს ტრანსპორტისა და კომუნიკაციის საშუალებათა ცვლილებას. (ამას ერთვის კიდევ ის, რომ ტრანსპორტი შედარებით უფრო იაფი ჯდება შორ მანძილზე, ვიდრე მოკლე მანძილზე). ტრანსპორტის საშუალებათა განვითარებასთან ერთად არა მარტო სივრცეში მოძრაობის სისწრაფე იზრდება და, ამის გამო, მოკლდება სივრცებრივი სიშორე დროის მიხედვით. არა მარტო მიმოსვლის საშუალებების მასა ვითარდება, ასე რომ, მაგალითად, ბევრი გემი იმავდროულად მიდის ერთი და იმავე ნავსადგურისკენ, ბევრი მატარებელი იმავდროულად მოძრაობს სხვადასხვა რკინიგზაზე ორ პუნქტს შორის; ხდება ისიც, რომ, მაგალითად, სატვირთო გემები მთელი კვირის განმავლობაში ერთიმეორის მიყოლებით მიდიან ლივერპულიდან ნიუ-იორკში, ან, მაგალითად, სატვირთო მატარებლები დღეღამის სხვადასხვა საათებში მიდიან მანჩესტერიდან ლონდონში. თუმცა ამ უკანასკნელი გარემოების გამო, ტრანსპორტის საშუალებათა ამა თუ იმ ტვირთზიდვის უნარიანობის პირობებში, აბსოლუტური სისწრაფე—მაშასადამე, მიმოქცევის დროის შესაბამისი ნაწილი, — სრულიადაც არ იცვლება, მაგრამ შეიძლება საქონელი თანმიმდევრული რაოდენობით იგზავნებოდეს ერთიმეორის მომდევნო უფრო მოკლე პერიოდებში და ამგვარად თანმიმდევრობით ხდებოდეს მისი გადატანა ბაზარზე ისე, რომ არ დაგროვდეს პოტენციური საქონლური კაპიტალის სახით, რომელიც უფრო დიდი რაოდენობით გაგზავნას ელის. ამიტომ უკუმოდინებაც უფრო მოკლე თანმიმდევრულ პერიოდებზე ნაწილდება, ასე რომ ერთი ნაწილი მუდამ ფულად კაპიტალად გარდაიქმნება, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი საქონლური კაპიტალის სახით მიმოიქცევა. უკუმოდინების ასე რამდენიმე თანმიმდევრულ პერიოდებზე განაწილების გამო მოკლდება ერთობლივი მიმოქცევის დრო და, ამიტომ, მოკლდება გადაბრუნებაც. უწინარეს ყოვლისა, მეტნაკლები ზომით იზრდება ტრანსპორტის

საშუალებათა მოქმედების ინტენსივობა; მაგალითად, რკინიგზის მატარებელთა რიცხვი იზრდება, ერთი მხრივ, იმდენად, რამდენადაც წარმოების ადგილზე უფრო მეტი პროდუქტი მზადდება, რამდენადაც ეს ადგილი წარმოების უფრო დიდ ცენტრად იქცევა და ამასთან იზრდება უკვე არსებული გამსაღებელი ბაზრების მიმართულებით, მაშასადამე, წარმოებისა და მოსახლეობის მსხვილი ცენტრების მიმართულებით, საექსპორტო ნავსადგურების მიმართულებით და სხვა. მაგრამ, მეორე მხრივ, პირიქით, მიმოსვლა-მიმოზიდვის ეს განსაკუთრებული სიადვილე და მისი მეოხებით კაპიტალის აჩქარებული გადაბრუნება (რამდენადაც იგი გაპირობებულია მიმოქცევის დროით) აჩქარებს, ერთი მხრივ, წარმოების ცენტრებისა და, მეორე მხრივ, გასაღების ბაზრების კონცენტრაციას. განსაზღვრულ პუნქტებში ადამიანთა და კაპიტალის მასების ამგვარ კონცენტრაციასთან ერთად ვითარდება კაპიტალის ამ მასების კონცენტრაცია მცირეოდენთა ხელში. ამავე დროს ადგილი აქვს წარმოებისა და ბაზრის პუნქტების ხელახალ გადაწყვეას და გადანაცვლებას მათი შეფარდებითი მდებარეობის ცვლილების გამო, რასაც იწვევს მიმოსვლის საშუალებებში მომადარი ცვლილება. წარმოების რომელიმე ადგილი, რომელსაც განსაკუთრებული უპირატესობა ჰქონდა შარაგზის ან არხის პირას თავისი მდებარეობის გამო, ახლა დარჩენილია ერთადერთი სარკინიგზო შტოს პირას, რომელიც მოქმედებს მხოლოდ შედარებით დიდი პაუზებით, მაშინ როდესაც მეორე ადგილს, რომელიც წინათ მთავარ სამიმოსვლო გზებს სრულიად დაცილებული იყო, ახლა რამდენიმე გზის საკვანძო პუნქტი უჭირავს. მეორე ადგილი ვითარდება, ხოლო პირველი დაცემას განიცდის. ამრიგად, ტრანსპორტის საშუალებებში მომხდარი ცვლილება წარმოშობს ადგილობრივ ცვლილებას საქონელთა მიმოქცევის დროში, ყიდვისა და გაყიდვის პირობებში და სხვ., ან სხვაგვარად ანაწილებს უკვე არსებულ ადგილობრივ სხვადასხვაობას. ამ გარემოების მნიშვნელობა კაპიტალის გადაბრუნებისათვის აშკარავდება იმ დავაში, რომელიც სხვადასხვა ადგილების ვაჭართა და მრეწველთა წარმომადგენლებს აქვთ რკინიგზების სამმართველოებთან (იხ., მაგალითად, ზემოთ ციტირებული ლურჯი წიგნი «Railway Committee»).

წარმოების ყველა ის დარგი, რომელიც თავისი პროდუქტის ხასიათის მიხედვით, იძულებულია უმთავრესად ადგილობრივ გასაღებას დაეყრდნოს, როგორც მაგალითად, ლუდის გამოხდა, ამიტომ განსაკუთრებით ვითარდება მოსახლეობის მთავარ ცენტრებში. კაპიტალის უფრო სწრაფი გადაბრუნება ნაწილობრივ აწონასწორებს აქ წარმოების ზოგიერთი პირობის — მშენებლობის ადგილის და სხვ. — სიძვირეს.

თუ, ერთი მხრივ, კაპიტალისტური წარმოების პროგრესთან ერთად ტრანსპორტისა და კომუნიკაციის საშუალებათა განვითარება ამოკლებს საქონელთა მოცემული რაოდენობისათვის მიმოქცევის დროს, მეორე მხრივ, იგივე პროგრესი და ტრანსპორტისა და კომუნიკაციის საშუალებათა განვითარიბით შექმნილი შესაძლებლობა, პირიქით, იწვევს სულ უფრო შორეული ბაზრებისათვის, ერთი სიტყვით, მსოფლიო ბაზრისათვის მუშაობის აუცილებლობას. გზაში მყოფი და შორეული ბაზრებისკენ გაგზავნილი საქონელთა მასა კოლოსალურად იზრდება, მაშასადამე, აბსოლუტურად და რელატიურად იზრდება საზოგადოებრივი კაპიტალის ის ნაწილიც, რომელიც მეტნაკლებ ხანგრძლივი ვადით რჩება საქონლური კაპიტალის სტადიაში, მიმოქცევის დროის ფარგლებში. ამით იმავდროულად იზრდება საზოგადოებრივი სიმდიდრის ის ნაწილიც, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირ წარმოების საშუალებად იქნეს გამოყენებული, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის საშუალებებად და მათი მოქმედებისთვის საჭირო ძირითად და საბრუნავ კაპიტალად იხარჯება.

მარტოოდენ დროის შეფარდებითი ხანგრძლიობა, რომლის განმავლობაშიც საქონელი გზაშია წარმოების ადგილიდან გასაღების ადგილამდე, იწვევს განსხვავებას მიმოქცევის დროის არა მარტო პირველ ნაწილში, გაყიდვის დროში, არამედ მეორე ნაწილშიც, მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებად ფულის უკუგარდაქმნაში, ყიდვის დროში. მაგალითად, საქონელი იგზავნება ინდოეთში. ეს გრძელდება, მაგალითად, ოთხ თვეს. ვიგულისხმოთ, რომ გაყიდვის დრო = 0, ე. ი. საქონელი იგზავნება დაკვეთით და ფულს ჩაბარებისას უხდიან მწარმოებლის აგენტს. ფულის უკუგადმოგზავნა (აქ სულ ერთია, რა ფორმაში გადმოიგზავნება ეს ფული) გრძელდება კვლავ ოთხ თვეს. ამრიგად, გაივლის სულ რვა თვე, ვიდრე იმავე კაპიტალს შესაძლებლობა მიეცემოდეს ხელახლა მწარმოებლური კაპიტალის სახით იმოქმედოს, და, მაშასადამე, ვიდრე ამით იგივე ოპერაცია განახლდებოდეს. ამგვარად გამოწვეული განსხვავებანი გადაბრუნებაში შეადგენენ ერთ-ერთ მატერიალურ საფუძველს კრედიტის სხვადასხვა ვადებისათვის, იმის მსგავსად, როგორც საზღვაო ვაჭრობა, მაგალითად, ვენეციასა და გენუაში, საერთოდ საკუთრივ საკრედიტო სისტემის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. «1847 წლის კრიზისმა შესაძლებლობა მისცა ბანკებსა და სავაჭრო ფირმებს შეემოკლებინათ ინდოეთის და ჩინეთის თამასუქების ვადები (დრო, რომელიც სჭირდება თამასუქების გადაგზავნ-გადმოგზავნას ამ ქვეყნებსა და ევროპას შორის) 10 თვიდან დაწერის თარიღის მეძდეგ 6 თვემდე წარდგენის შემდეგ; ახლა,

20 წლის გასვლის შემდეგ, როდესაც მიმოსვლა უფრო სწრაფია და ტელეგრაფი მოქმედებს, საჭიროა ამ ვადის შემდგომი შემოკლება 6 თვიდან წარდგენის შემდეგ 4 თვემდე დაწერის თარიღის შემდეგ, ეს შემოკლება პირველი ნაბიჯი იქნება ვადის შემდგომი შემოკლებისათვის წარდგენის შემდეგ 4 თვემდე. იალქნიანი გემი კალკუტიდან კეთილი იმედის კონცხის შემოვლით ლონდონამდე მისვლას საშუალოდ 90 დღე უნდება. ვადა წარდგენის დღიდან ოთხი თვის შემდეგ იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ გემის მგზავრობა დაახლოებით 150 დღეს უდრის. არსებული ვადა წარდგენის დღიდან 6 თვის შემდეგ უდრის თამასუქის გადაგზავნ-გადმოგზავნის, ვთქვათ, 210 დღის ხანგრძლივობას» («London Economist», 1866 წ. 16 ივნისი). — პირიქით, «ბრაზილიაში თამასუქის ვადა ჯერ კიდევ ორი და სამი თვეა წარდგენის შემდეგ, თამასუქები ანტვერპენიდან (ლონდონზე) გაიცემა 3 თვის ვადით დღიდან დაწერისა, და თვით მანჩესტერიდან და ბრედფორდიდან თამასუქები გაიცემა ლონდონზე 3 თვით და მეტი ვადით. უსიტყვო შეთანხმების საფუძველზე ვაჭარს საკმაო შესაძლებლობა ეძლევა იმისათვის, რომ თავისი საქონლის რეალიზაცია თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში იმ დროისათვის მაინც მოახდინოს, როდესაც ამ საქონელზე გაცემულ თამასუქებს ვადა გაუდის. ამიტომ ინდოეთის თამასუქების ვადა არაა ზომაგადაჭარბებული. რეალიზაცია ინდოეთის პროდუქტებისა, რომელთაც ლონდონში მეტწილად ისე ჰყიდიან, რომ გადახდის ვადად სამი თვეა დათქმული, არ შეიძლება — თუ ცოტაოდენ დროს გაყიდვისათვის ვიანგარიშებთ — ხუთ თვეზე უფრო მოკლე დროში; გარდა ამისა, საშუალოდ კიდევ ხუთი თვე გადის ინდოეთში მათი ყიდვის მომენტიდან ინგლისის საწყობებში მათ ჩაბარებამდე. ჩვენ აქ გვაქვს ათი თვის პერიოდი, მაშინ როდესაც საქონელზე გაცემული თამასუქების ვადა არ აღემატება შვიდ თვეს» (იქვე, 1866 წ. 30 ივნისი). «1866 წლის 2 ივლისს ლონდონის ხუთმა დიდმა ბანკმა, რომლებსაც უმთავრესად ინდოეთთან და ჩინეთთან აქვთ კავშირურთიერთობა, აგრეთვე პარიზის Comptoir d'Escompte-მა, განაცხადეს, რომ 1867 წლის 1 იანვრიდან მათი განყოფილებანი და სააგენტოები აღმოსავლეთში იყიდიან და გაყიდიან მხოლოდ ისეთ თამასუქებს, რომლებიც გაცემული იქნება არა უმეტეს ოთხი თვის ვადით წარდგენის დღიდან (იქვე, 7 ივლისი 1866 წ.). მაგრამ ამ ვადის შემოკლების გატარება არ ნახერხდა და იძულებული გახდნენ მასზე ხელი აეღოთ (მას შემდეგ სუეცის არხმა ყოველივე ამაში რევოლუცია მოახდინა).

გასაგებია, რომ საქონლის მიმოქცევის უფრო გრძელი პერიოდის არსებობისას იზრდება გასაღების ბაზარზე ფასების ცვლილების რისკი, რადგან გრძელდება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ფასების შეცვლა.

განსხვავება მიმოქცევის დროში, — ნაწილობრივ ინდივიდუალური განსხვავება წარმოების ერთი და იმავე დარგის სხვადასხვა ცალკეულ კაპიტალებს შორის, ნაწილობრივ განსხვავება წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის გადახდის სხვადასხვა ვადებთან დაკავშირებით, სახელდობრ მაშინ, როდესაც ადგილი არა აქვს დაუყოვნებლივ ნაღდ გადახდას, — ეს განსხვავება გამომდინარეობს გადახდის სხვადასხვა ვადებიდან ყიდვისა და გაყიდვის დროს. საკრედიტო საქმისათვის ამ მაიშვნელოვან საკითხს ჩვენ აქ უფრო დაწვრილებით აღარ განვიხილავთ.

ჩაბარების ხელშეკრულებათა მოცულობაზე, რაც კაპიტალისტური წარმოების მოცულობასა და მასშტაბთან ერთად იზრდება, დამოკიდებულია აგრეთვე განსხვავებანი გადაბრუნების დროში. ჩაბარების ხელშეკრულება როგორც გარიგება მყიდველსა და გამყიდველს შორის ისეთი ოპერაციაა, რომელიც ბაზარს, მიმოქცევის სფეროს ეკუთვნის. აქედან წარმომდგარი განსხვავებანი გადაბრუნების დროში გამომდინარეობენ, მაშასადამე, მიმოქცევის სფეროდან, მაგრამ ისინი უშუალოდ ახდენენ გავლენას წარმოების სფეროზე და ამასთან ყოველგვარი გადახდის ვადებისა და საკრედიტო ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. ნაღდად გადახდის დროსაც კი. მაგალითად, ნახშირი, ბამბა, ნართი და სხვ. გაყოფადი პროდუქტებია. ყოველი დღე იძლევა მზა პროდუქტის განსაზღვრულ რაოდენობას. მაგრამ თუ მეფაბრიკე-მრთველი ან მაღაროს მფლობელი კისრულობს პროდუქტთა ისეთი მასის ჩაბარებას, რომელიც თანმიმდევრული სამუშაო დღეების, ვთქვათ, ოთხკვირეულ ან ექვსკვირეულ პერიოდს მოითხოვს, მაშინ კაპიტალის ავანსად გაღების დროის ხანგრძლიობის მიმართ ეს სრულიად იგივეა, თითქოს ამ შრომის პროცესში ოთხი ან ხუთი კვირის უწყვეტი პერიოდი ყოფილიყო შემოღებული. აქ, რასაკვირველია, ნაგულისხმევია, რომ პროდუქტის მთელი დაკვეთილი მასა ერთბაშად ჩასაბარებელია, ანდა რომ მისი გადახდა მხოლოდ მთლიანად ჩაბარების შემდეგ უნდა მოხდეს. ამრიგად, თვითეულმა დღემ, ცალკე აღებულმა, მზა პროდუქტის განსაზღვრული რაოდენობა მოგვცა. მაგრამ ეს მზა მასა ყოველთვის მხოლოდ ნაწილია იმ მასისა, რომელიც ჩასაბარებელია ხელშეკრულების თანახმად. ამ შემთხვევაში, თუ დაკვეთილი საქონლის უკვე გამზადებული ნაწილი აღარ იმყოფება

წარმოების პროცესში, იგი ყოველ შემთხვევაში საწყობში ძევს როგორც პოტენციური კაპიტალი.

გადავიდეთ ახლა მიმოქცევის დროის მეორე პერიოდზე: ყიდვის დროზე ან დროის იმ მონაკვეთზე, რომლის განმავლობაშიც კაპიტალი ფულადი ფორმიდან ხელახლა გადაიქცევა მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებად. ამ პერიოდის განმავლობაში კაპიტალი უფრო დიდხანს თუ უფრო ცოტახანს უნდა გაჩერდეს ფულადი კაპიტალის მდგომარეობაში, მაშასადამე, ავანსებული ერთობლივი კაპიტალის განსაზღვრული ნაწილი განუწყვეტლივ უნდა იმყოფებოდეს ფულადი კაპიტალის მდგომარეობაში, თუმცა ეს ნაწილი მუდამ ცვალებადი ელემენტებისგან შედგება. მაგალითად, რომელიმე განსაზღვრულ საწარმოში ავანსებული ერთობლივი კაპიტალიდან ფულადი კაპიტალის ფორმაში უნდა იმყოფებოდეს $n \times 100$ გირვ. სტერლინგი, ასე რომ, მაშინ როდესაც ამ $n \times 100$ გირვ. სტერლინგის ყველა შემადგენელი ნაწილი განუწყვეტლივ გარდაიქმნება მწარმოებლურ კაპიტალად, ეს ჯამი მაინც მუდამ ხელახლა შეივსება მიმოქცევიდან მოდინებით, რეალიზებული საქონლური კაპიტალიდან მოდინებით. ამრიგად, ავანსებული კაპიტალის ღირებულების განსაზღვრული ნაწილი მუდამ იმყოფება ფულადი კაპიტალის მდგომარეობაში, მაშასადამე, ისეთ ფორმაში, რომელიც ეკუთვნის არა მისი წარმოების სფეროს, არამედ მისი მიმოქცევის სფეროს.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ბაზრის სიშორით გამოწვეული გაგრძელება დროისა, რომლის განმავლობაშიც კაპიტალი საქონლური კაპიტალის ფორმაშია შებოჭილი, იწვევს პირდაპირ ფულის უკუმოდინების დაგვიანებას, მაშასადამე, აგვიანებს კაპიტალის გადაქცევას ფულადი კაპიტალიდან მწარმოებლურ კაპიტალად.

შემდეგ, რაც შეეხება საქონლის ყიდვას, ჩვენ დავინახეთ (თავი VI), რომ ყიდვისათვის საჭირო დრო, უფრო დიდი ან ნაკლები დაშორება ნედლი მასალის მთავარი მომწოდებელი წყაროებისგან აიძულებს კაპიტალისტს შეისყიდოს ნედლი მასალა უფრო ხანგრძლივი პერიოდებისათვის და შეინახოს იგი გაძოყენებისათვის გამოსადეგ საწარმოო მარაგის ფორმით, ფარული ანუ პოტენციური მწარმოებლური კაპიტალის ფორმით; რომ, ამრიგად, ეს გარემოება, თუ სხვა მხრივ წარმოების მასშტაბი უცვლელი რჩება, ადიდებს იმ კაპიტალის მასას, რომელიც ერთბაშად უნდა იქნეს ავანსად გაღებული და იმ დროს, რა დროითაც მისი ავანსად გაღება უნდა მოხდეს.

მსგავსი გავლენა აქვთ მეწარმეობის სხვადასხვა დარგებში იმ მეტ-ნაკლებ ხანგრძლივ პერიოდებს, როდესაც ნედლი მასალა უფრო

დიდი რაოდენობით გადაისროლება ბაზარზე. ასე, მაგალითად, ლონდონში ადგილი აქვს ყოველ საგ თვეში მატყლის დიდ აუქციონებს, რომლებიც გადამწყვეტ გავლენას ახდენენ მთელ მატყლის ბაზარზე; პირიქით, ბამბის ბაზარი განახლდება მოსავლიდან მოსავლამდე საერთოდ განუწყვეტლივ, თუმცა არა ყოველთვის თანაბრად. ასეთი პერიოდები განსაზღვრავს ამ ნედლი მასალის შესყიდვის მთავარ ვადებს და განსაკუთრებით გავლენას ახდენს სპეკულაციურ შესყიდვაზე, რომელიც იწვევს მეტნაკლებ ხანგრძლივ დაავანსებას, წარმოების ამ ელემენტებისათვის, — გავლენას ახდენს სწორედ ისე, როგორც წარმოებული საქონლის ბუნება გავლენას ახდენს პროდუქტის სპეკულაციურ, განზრახ, მეტნაკლებ ხანგრძლივ შეჩერებაზე პოტენციური კაპიტალის ფორმაში. «ამრიგად, სოფლის მეურნეც რამდენადმე სპეკულანტი უნდა იყოს, მაშასადამე, მან, დროის ვითარებისდა მიხედვით, თავი უნდა შეიკავოს საკუთარი პროდუქტების გაყიდვისაგან»... ამის შემდეგ ჩამოთვლილია რამდენიმე ზოგადი წესი... «პროდუქტების გასაღებისას მთავარი შედეგი მაინც პიროვნებაზე, თვით პროდუქტზე და ადგილზეა დამოკიდებული. როცა მოაერხებისა და ბედის (!) მქონე მეურნე საკმაო კაპიტალითაცაა აღჭურვილი, მას ვერ გაკიცხავთ, თუ არაჩვეულებრივად დაბალი ფასების არსებობისას თავის მოსავალს შეინახავს და თუნდაც ერთ წელიწადს არ გაყიდის; ხოლო, პირიქით, ვისაც კაპიტალი და საერთოდ (!) სპეკულაციის უნარი აკლია, იგი ეცდება არსებული საშუალო ფასი მიიღოს და, მაშასადამე, გაყიდის კიდეც, როგორც კი ამის შემთხვევა მიეცემა. მატყლის გაჩერება ერთ წელზე მეტხანს თითქმის ყოველთვის მხოლოდ საზარალოა, მაშინ როდესაც ხორბლეულისა და ზეთეულის თესლის შენახვა რამდენიმე წელიწადს შეიძლება მათი თვისებისა და ღირსებისათვის ზიანის მიუყენებლად. ისეთ აროდუქტებს, რომელთა ფასიც მოკლე პერიოდებში ჩვეულებრივ დიდ აწევ-დაწევას განიცდის, როგორც, მაგალითად, ზეთეულის თესლი, სვია, გოქნოს გირჩა და სხვ., სრული უფლებით შეინახავენ და არ გაყიდიან იმ წლებში, როდესაც მათი ფასი წარმოების ფასზე დაბლა დგას. ყველაზე ნაკლებ უნდა დააყოვნოს მეურნემ ისეთი საგნების გაყიდვა, რომლებიც ყოველდღიურ შესანახ ხარჯებს იწვევენ, როგორც ნასუქი პირუტყვი, ან რომლებიც შეიძლება გაფუჭდეს, როგორც ხილი, კარტოფილი და სხვ. ზოგ ადგილებში პროდუქტს წლის განსაზღვრულ დროს საშუალოდ ყველაზე დაბალი ფასი აქვს, სხვა დროს, პირიქით, — ყველაზე მაღალი; ასე, მაგალითად, ხორბლის საშუალო ფასი ზოგ ადგილას მარტინის დღეებში უფრო დაბალია, ვიდრე ზობიდან აღდგომამდე. შემდეგ კიდევ,

სხვა ადგილას ზოგიერთი პროდუქტის კარგად გაყიდვა მხოლოდ წლის განსაზღვრულ დროს შეიძლება, როგორც, მაგალითად, მატყლის გაყიდვა ბაზრობებზე იმ ადგილებში, სადაც ბაზრობის გარეშე მატყლით ვაჭრობა უმნიშვნელოა და სხვ.» (Kirchhof, გვ. 302).

მიმოქცევის დროის მეორე ნახევრის განხილვისას, რომლის განმავლობაშიც ფული უკუგარდაიქმნება მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებად, მხედველობაში მისაღებია არა მარტო თვით ეს გარდაქმნა, თავისთავად აღებული, არა მარტო ის დრო, რომლის განმავლობაშიც ფული უკუმოედინება, ბაზრის სიშორისდა მიხედვით, სადაც პროდუქტის გაყიდვა ხდება; მხედველობაში მისაღებია უწინარეს ყოვლისა ის ოდენობა, რა ოდენობითაც ავანსებული კაპიტალის ერთი ნაწილი მუდამ ფულად ფორმაში, ფულადი კაპიტალის მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს.

თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ ყოველგვარ სპეკულაციას, იმ საქონლის შესყიდვის ოდენობა, რომელიც მუდამ უნდა მოიპოვებოდეს საწარმოო მარაგის სახით, დამოკიდებულია ამ მარაგის განახლების ვადებზე, მაზასადამე, — გარემოებებზე, რომლებიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ბაზრის პირობებზე და, ამიტომ, სხვადასხვაა სხვადასხვა ნედლი მასალისათვის და სხვ.; ამრიგად, აქ დროგამოშვებით საჭირო ხდება ერთბაშად ფულის შედარებით უფრო დიდი რაოდენობით ავანსად გაღება. ფული უკუმოედინება, კაპიტალის გადაბრუნების შესაბამისად, უფრო სწრაფად ან უფრო ნელა, მაგრამ ყოველთვის — ნაწილ-ნაწილ. მისი ერთი ნაწილი ასევე მუდამ ხელახლა იხარჯება შედარებით მოკლე პერიოდებში, სახელდობრ ის ნაწილი, რომელიც უკუგარდაიქმნება ხელფასად. მაგრამ მეორე ნაწილი, ნედლ მასალად და სხვ. უკუგარდასაქმნელი ნაწილი, შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უნდა გროვდებოდეს შესყიდვის ან გადახდისათვის განკუთვნილი სარეზერვო ფონდის სახით. მაშასადამე, ეს ნაწილი არსებობს ფულადი კაპიტალის ფორმაში, თუმცა მოცულობა, რომლითაც იგი არსებობს როგორც ასეთი, მუდამ იცვლება.

შემდგომ თავში ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ იწვევენ სხვა გარემოებანი — სულ ერთია, წარმოების პროცესიდან გამომდინარეობენ ისინი თუ მიმოქცევის პროცესიდან — იმის აუცილებლობას, რომ ავანსებული კაპიტალის განსაზღვრული ნაწილი ფულად ფორმაში იმყოფებოდეს. საერთოდ კი უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომისტებს დიდი მიდრეკილება აქვთ დაივიწყონ, რომ საწარმოში საჭირო კაპიტალის ერთი ნაწილი არა მარტო გაივლის რიგრიგობით სამ ფორმას: ფულადი კაპიტალის, მწარმოებლური კაპიტალისა და საქონლური კაპი-

ტალის ფორმას, არამედ მისი სხვადასხვა ნაწილი მუდამ ამ ფორმებში არსებობს ერთიმეორის გვერდით, თუმცა ამ ნაწილების შეფარდებითი სიდიდე მუდამ იცვლება. ეკონომისტები ივიწყებენ სახელდობრ იმ ნაწილს, რომელიც მუდამ არსებობს ფულადი კაპიტალის სახით, თუმცა სწორედ ეს გარემოებაა ფრიად მნიშვნელოვანი ბურჟუაზიული მეურნეობის გასაგებად და ამიტომ პრაქტიკაშიც თავს იჩენს როგორც ასეთი.

თავი მეთხუთმეტე

გადაბრუნების დროის გავლენა ავანსად გასალები კაპიტალის სიდიდეზე

ამ თავში და შემდგომ, მეთექვსმეტე, თავში ჩვენ ვიკვლევთ გადაბრუნების დროის გავლენას კაპიტალის ღირებულების ზრდაზე.

ავიღოთ საქონლური კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს, მაგალითად, ცხრა კვირის სამუშაო პერიოდის პროდუქტს. თუ ჩვენ ჯერ-ჯერობით მბედველობის გარეშე დავტოვებთ როგორც პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც მას მიემატა ძირითადი კაპიტალის საშუალო გაცვეთის გამო, ისე ზედმეტ ღირებულებასაც, რომელიც მას მიემატა წარმოების პროცესში, მაშინ გამოვა, რომ ამ პროდუქტის ღირებულება უდრის მის საწარმოებლად ავანსებული საბრუნავი კაპიტალის ღირებულებას, ე. ი. ხელფასისა და პროდუქტის წარმოებაზე დახარჯული ნედლეულისა და დამხმარე მასალის ღირებულებას. ვთქვათ, ეს ღირებულება უდრის 900 გირვ. სტერლინგს. ასე რომ კვირეული დანახარჯი 100 გირვ. სტერლინგს შეადგენს. მაშასადამე, წარმოების პერიოდი, რომელიც აქ სამუშაო პერიოდს ემთხვევა, 9 კვირას შეადგენს. ამასთან, სულ ერთია ვიგულისხმებთ იმას, რომ ლაპარაკია სამუშაო პერიოდზე, რომელიც განუყოფადი პროდუქტისათვის იხარჯება, თუ უწყვეტ სამუშაო პერიოდზე, რომელიც გაყოფადი პროდუქტისათვის იხარჯება: ეს სულ ერთია იმდენად, რამდენადაც ბაზარზე ერთბაშად გაყოფადი პროდუქტის ისეთი რაოდენობა გაიტანება, რომელიც 9 კვირის შრომა ღირს. მიმოქცევის დრო გრძელდება 3 კვირას. მაშასადამე, მთელი გადაბრუნების პერიოდი გრძელდება 12 კვირას. 9 კვირის გასვლის შემდეგ ავანსებული მწარმოებლური კაპიტალი გადაიქცევა საქონლურ კაპიტალად. მაგრამ შემდეგ იგი კიდევ 3 კვირას იმყოფება მიმოქცევის პერიოდში. მაშასადამე, წარმოების ახალი პერიოდი შესაძლებელია დაიწყოს ხელახლა მხოლოდ მე-13 კვირის დასაწყისში, და წარმოება უნდა შეჩერებულიყო 3 კვირით ანუ მთელი გადაბრუნების დროის ერთი მეოთ-

ხედის განმავლობაში. აქაც კვლავ სულ ერთია, ვიგულისხმებთ, რომ ეს შეჩერება გრძელდება საშუალოდ იმდენს ხანს, ვიდრე საქონელი არ გაიყიდება, თუ ეს დრო გაპირობებულია ბაზრის სიშორით ან გაყიდული საქონლისათვის გადახდის ვადებით. წარმოება რომ ყოველ 3 თვეში 3 კვირის განმავლობაში შეჩერებულიყო, მაშინ იგი წელიწადში შეჩერებული იქნებოდა 4 × 3 = 12 კვირას = 3 თვეს = წლიური გადაბრუნების პერიოდის 1/4-ს. ამიტომ წარმოების შეუწყვეტლად კვირიდან კვირამდე განგრძობა იმაევ მასშტაბით შესაძლებელია მხოლოდ ორი გზით.

ან წარმოების მასშტაბი უნდა შეიკვეცოს ისე, რომ 900 გირვ. სტერლინგი საკმაო იყოს მუშაობის სრული მსვლელობისათვის როგორც სამუშაო პერიოდის დროს, ისე პირველი გადაბრუნების სამიმოქცევო დროის განმავლობაშიც. მაშინ მე-10 კვირის დასაწყისიდან დაიწყება მეორე სამუშაო პერიოდი, მაშასადამე, მეორე გადაბრუნების პერიოდი, — დაიწყება მანამდე, ვიდრე პირველი გადაბრუნების პერიოდი დასრულდებოდეს, იმიტომ რომ გადაბრუნების პერიოდი თორმეტკვირიანია, ხოლო სამუშაო პერიოდი — ცხრაკვირიანი. 12 კვირაზე განაწილებული 900 გირვ. სტერლინგი იძლევა 75 გირვ. სტერლინგს კვირაზე. ცხადია, უწინარეს ყოვლისა, რომ საწარმოს ასეთი შეკვეცილი მასშტაბი საერთოდ გულისამობს ძირითადი კაპიტალის შეცვლილ ოდენობას, მაშასადამე, გულისხმობს საწარმოს დაბანდებათა შეკვეცას. შემდეგ, ჯერ კიდევ საკითხავია, შეიძლება თუ არა საერთოდ ასეთი შეკვეცა მოადეს, რადგან სხვადასხვა საწარმოში წარმოების განვითარების შესაბამისად არსებობს კაპიტალდაბანდების გარკვეული ნორმალური მინიმუმი, და თუ ეს დაბანდება ამ მინიმუმზე ნაკლებია, მაშინ ცალკეული საწარმო კარგავს კონკურენციის გაწევის უნარს. თვით ეს ნორმალური მინიმუმი განუწყვეტლივ იზრდება კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად და, მაშასადამე, მუდმივი არაა. მაგრამ ყოველთვის ამ მოცემულ ნორმალურ მინიმუმსა და მუდამ გაფართოებაში მყოფ ნორმალურ მაქსიმუმს შორის არის მრავალი შუალედი საფეხური, — შუაგული, რომელიც შესაძლებელს ხდის კაპიტალის დაბანდებას ფრიად სხვადასხვა ოდენობით. ამიტომ, ამ შუაგულის ფარგლებში, შესაძლებელია შემცირების მოხდენა, რომლის საზღვარს ყოველთვის მოცემული ნორმალური მინიმუმი წარმოადგენს. — იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება შეფერხებულია, ბაზრები გავსებულია, ნედლეული გაძვირებულია და სხვ., ძირითადი კაპიტალის სიდიდის უცვლელობისას, საბრუნავი კაპიტალის ხარჯვის შემცირება ხდება სამუშაო დროის შეზღუდვის

გზით, ასე რომ მუშაობა წარმოებს, მაგალითად, ნახევარ დღეს; სრულიად ასევე აყვავების პერიოდებში, როცა ძირითადი კაპიტალის სიდიდე მოცემულია, საბრუნავი კაპიტალის მეტისმეტი გაფართოება ხდება ნაწილობრივ სამუშაო დროის გაგრძელების გზით, ნაწილობრივ მისი ინტენსიფიკაციის გზით. საწარმოებში, სადაც ასეთი რყევა წინდაწინვეა ნავარაუდევი, საქმეს შველიან ნაწილობრივ ზემოაღნიშნული საშუალებებით, ნაწილობრივ მუშების უფრო დიდი რიცხვის იმავდროულად გამოყენებით, რაც დაკავშირებულია სათადარიგო ძირითადი კაპიტალის გამოყენებასთან, მაგალითად, რკინიგზებზე სათადარიგო ორთქლმავლების გამოყენებასთან და სხვ. მაგრამ აქ, სადაც ნორმალურ პირობებს ვგულისხმობთ, ასეთ არანორმალურ რყევას არ განვიხილავთ.

ამრიგად, იმისათვის, რომ წარმოება უწყვეტი გახდეს, აქ ერთი და იმავე საბრუნავი კაპიტალის ხარჯვა განაწილებულია უფრო ხანგრძლივ დროზე,—12 კვირაზე ნაცვლად 9-ისა. მაშასადამე, დროის თვითეულ მოცემულ მონაკვეთში შემცირებული მწარმოებლური კაპიტალი მოქმედებს; მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავი ნაწილი შემცირებულია 100-დან 75-მდე, ანუ ერთი მეოთხედით. ერთობლივი ჯამი, რომლითაც 9 კვირის სამუშაო პერიოდის განმავლობაში მოქმედი მწარმოებლური კაპიტალი მცირდება, უდრის $25 \times 9 = 225$ გირვ. სტერლინგს, ანუ 900 გირვ. სტერლინგის $^1/_4$-ს. მაგრამ მიმოქცევის დროის შეფარდება გადაბრუნების პერიოდთან უწინდებურად შეადგენს $^3/_{12} = ^1/_4$. საქედან გამომდინარეობს: რომ წარმოება არ შეწყდეს საქონლურ კაპიტალად გადაქცეული მწარმოებლური კაპიტალის მიმოქცევის დროის განმავლობაში, რომ იგი, პირიქით, განუწყვეტლივ გრძელდებოდეს კვირიდან კვირამდე, ამის მიღწევა შეიძლება, — თუ ამისათვის განსაკუთრებული საბრუნავი კაპიტალი არ მოიაოვება, — მხოლოდ წარმოების შემცირებით, მოქმედი მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავი შემადგენელი ნაწილის შემცირებით. კაპიტალის საბრუნავი ნაწილი, რომელიც ამგვარად განთავისუფლდა წარმოების გასაგრძობად მიმოქცევის დროის განმავლობაში, ისე შეეფარდება ერთობლივ ავანსებულ საბრუნავ კაპიტალს, როგორც მიმოქცევის დრო შეეფარდება გადაბრუნების პერიოდს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ძალაში რჩება წარმოების მხოლოდ ისეთი დარგების მიმართ. სადაც შრომის პროცესი ერთნაირი მასშტაბით სრულდება კვირიდან კვირამდე, სადაც, მაშასადამე, საჭირო არაა, როგორც ამას ადგილი აქვს მიწათმოქმედებაში, სხვადასხვა სამუშაო პერიოდში კაპიტალის სხვადასხვა რაოდენობის დახარჯვა.

მაგრამ, პირიქით, თუ ვიგულისხმებთ, რომ საწარმოს ხასიათი გამორიცხავს წარმოების მასშტაბის და, ამიტომ, აგრეთვე ყოველკვირეულად ავანსად გასაღები საბრუნავი კაპიტალის ოდენობის შემცირების შესაძლებლობას, მაშინ წარმოების უწყვეტობა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ დამატებითი საბრუნავი კაპიტალის საშუალებით, ზემოაღნიშნულ მაგალითში დამატებითი 300 გირვ. სტერლინგის საშუალებით. 12-კვირიანი გადაბრუნების პერიოდის განმავლობაში თანმიმდევრობით ავანსებული იქნება 1 200 გირვ. სტერლინგი, რომელთაგან 300 შეადგენს ერთ მეოთხედ ნაწილს, როგორც 3 კვირა — 12-ის მიმართ. 9 კვირის სამუშაო პერიოდის გასვლის შემდეგ 900 გირვ. სტერლინგი კაპიტალღირებულება გარდაიქმნება მწარმოებლური კაპიტალის ფორმიდან საქონლური კაპიტალის ფორმად. ამ კაპიტალღირებულების სამუშაო პერიოდი დასრულებულია, მაგრამ ამავე კაპიტალით არ შეიძლება სამუშაო პერიოდის განახლება. იმ სამი კვირის განმავლობაში, როდესაც ეს კაპიტალი მიმოქცევის სფეროში იმყოფება და საქონლური კაპიტალის სახით მოქმედებს, იგი წარმოების პროცესის მიმართ ისეთ მდგომარეობაშია, თითქოს საერთოდ არ არსებობდეს. აქ ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ ყველა საკრედიტო ურთიერთობას და ამიტომ ვგულისხმობთ, რომ კაპიტალისტი მხოლოდ საკუთარი კაპიტალით წარმართავს მეურნეობას. მაგრამ როდესაც პირველი სამუშაო პერიოდისათვის ავანსებული კაპიტალი, წარმოების პროცესის დასრულების შემდეგ, 3 კვირას მიმოქცევის პროცესში რჩება, ამ დროს მოქმედებს დამატებით დახარჯული კაპიტალი 300 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, ასე რომ წარმოების უწყვეტობა არ ირღვევა.

აქ აღსანიშნავია შემდეგი:

პირველი: თავდაპირველად ავანსებული 900 გირვ. სტერლინ. რაოდენობის კაპიტალის სამუშაო პერიოდი დასრულდა 9 კვირის გასვლის შემდეგ და ეს კაპიტალი უკუმოედინება არა უადრეს 3 კვირისა, მაშასადამე, მხოლოდ მე-13 კვირის დასაწყისში. მაგრამ ახალი სამუშაო პერიოდი დაუყოვნებლივ იწყება 300 გირვ. სტერლინგი დამატებითი კაპიტალით. სწორედ ამით მყარდება წარმოების უწყვეტობა.

მეორე: თავდაპირველი 900 გირვ. სტერლინგი კაპიტალის ფუნქციები და ფუნქციები 9-კვირიანი სამუშაო პერიოდის დასასრულს ახლად დამატებული 300 გირვ. სტერლინგი კაპიტალისა, რომელიც მეორე სამუშაო პერიოდს იწყებს უშუალოდ პირველის გათავების შემდეგ, — ეს ფუნქციები პირველ გადაბრუნების პერიოდში ზედმიწევ-

ნით გამიჯნულია ერთიმეორისაგან ან, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება გამიჯნული იყოს, მაშინ როდესაც მეორე გადაბრუნების პერიოდის მსვლელობაში ისინი, პირიქით, ერთმანეთს გადაეჯვარედინებიან.

წარმოვიდგინოთ საქმის ვითარება უფრო თვალსაჩინოდ.

პირველი გადაბრუნების პერიოდი გრძელდება 12 კვირას. პირველი სამუშაო პერიოდი — 9 კვირას; მასში ავანსებული კაპიტალის გადაბრუნება მთავრდება მე-13 კვირის დასაწყისში. უკანასკნელი 3 კვირის განმავლობაში მოქმედებს 300 გირვ. სტერლინგი დამატებითი კაპიტალი, რომელიც იწყებს მეორე 9-კვირიან სამუშაო პერიოდს.

მეორე გადაბრუნების პერიოდი. მე-13 კვირის დასაწყისში 900 გირვ. სტერლინგი უკუმოდენილია და შეუძლია ახალი გადაბრუნება დაიწყოს. მაგრამ მეორე სამუშაო პერიოდი უკვე დაიწყო დამატებითი 300 გირვ. სტერლინგით მე-10 კვირაში; მე-13 კვირის დასაწყისში ამ კაპიტალს უკვე დასრულებული აქვს სამუშაო პერიოდის მესამედი, 300 გირვ. სტერლინგი მწარმოებლური კაპიტალი ან იქცა პროდუქტად. რადგან მეორე სამუშაო პერიოდის დასამთავრებლად კიდევ მხოლოდ 6 კვირაა საჭირო, ამიტომ უკუმოდენილი 900 გირვ. სტერლინგი კაპიტალის მხოლოდ ორი მესამედი, სახელდობრ 600 გირვ. სტერლ. შეიძლება შევიდეს მეორე სამუშაო პერიოდის წარმოების პროცესში. თავდაპირველი 900 გირვ. სტერლინგიდან განთავისუფლდა 300 გირვ. სტერლინგი, რათა იგივე როლი შეასრულოს, რასაც პირველ სამუშაო პერიოდში ასრულებდა დამატებითი 300 გირვ. სტერლინგი კაპიტალი. მეორე გადაბრუნების პერიოდის მე-6 კვირის ბოლოს დამთავრებულია მეორე სამუშაო პერიოდი. მასზე დახარჯული კაპიტალი — 900 გირვ. სტერლ. — უკან დაბრუნდება 3 კვირის შემდეგ, ე. ი. — მეორე 12-კვირიან გადაბრუნების პერიოდის მე-9 კვირის ბოლოს. იმ სამი კვირის განმავლობაში, რომელიც მისი მიმოქცევის დროს შეადგენს, საქმეში ებმება 300 გირვ. სტერლინგი განთავისუფლებული კაპიტალი. ამით მეორე გადაბრუნების პერიოდის მე-7 კვირაში, ანუ წლის მე-19 კვირაში, იწყება კაპიტალის — 900 გირვ. სტერლინგის — მესამე სამუშაო პერიოდი.

მესამე გადაბრუნების პერიოდი. მეორე გადაბრუნების პერიოდის მე-9 კვირის ბოლოს 900 გირვ. სტერლინგი ხელახლა უკუმოედინება. მაგრამ მესამე სამუშაო პერიოდი უკვე დაიწყო წინა გადაბრუნების პერიოდის მე-7 კვირაში, და მისი 6 კვირა უკვე გავლილია. ამიტომ იგი გაგრძელდება კიდევ მხოლოდ 3 კვირას. ამრიგად, უკანდაბრუნებული 900 გირვ. სტერლინგიდან მხოლოდ 300 გირვ. სტერლინგი

შევა წარმოების პროცესში. მეოთხე სამუშაო პერიოდი ავსებს ამ გადაბრუნების პერიოდის დანარჩენ 9 კვირას და, ამრიგად, წლის მე-37 კვირიდან იწყება იმავდროულად მეოთხე გადაბრუნების პერიოდი და მეხუთე სამუშაო პერიოდი.

გამოანგარიშების გასამარტივებლად ვიგულისხმოთ, რომ სამუშაო პერიოდი გრძელდება 5 კვირას, მიმოქცევის დრო — 5 კვირას, მაშასადამე, გადაბრუნების პერიოდი — 10 კვირას; წელიწადად ჩავთვალოთ 50 კვირა. ვთქვათ, კვირაში იხარჯება 100 გირვანქა სტერლინგი კაპიტალი. მაშასადამე, სამუშაო პერიოდი მოითხოვს 500 გირვ. სტერლინგ საბრუნავ კაპიტალს, და მიმოქცევის დრო მოითხოვს კიდევ 500 გირვ. სტერლინგ დამატებით კაპიტალს. მაშინ სამუშაო პერიოდები და გადაბრუნების პერიოდები ასე გამოისახება:

1	სამ.	პერ.	1—5	კვირა	(500	გირვ.	სტერლ.	საქ.)	უკან	დაბრუნდება მე-10 კვირის ბოლოს
2	«		6—10	«	(500	«	«	«)	« 15	« «
3	«		11—15	«	(500	«	«	«)	« 20	« «
4	«		16—20	«	(500	«	«	«)	« 25	« «
5	«		21—25	«	(500	«	«	«)	« 30	« «

და ა. შ.

თუ მიმოქცევის დრო = 0, მაშასადამე, გადაბრუნების პერიოდი უდრის სამუშაო პერიოდს, მაშინ წელიწადში გადაბრუნებათა რიცხვი უდრის სამუშაო პერიოდების რიცხვს. მაშასადამე, ხუთკვირიან სამუშაო პერიოდში ეს რიცხვი იქნებოდა $\frac{50}{5}$ კვირა = 10, ხოლო გადაბრუნებული კაპიტალის ღირებულება იქნებოდა = 500 × 10 = 5 000. ცხრილში, სადაც მიმოქცევის დროდ აღებულია 5 კვირა, წლიურად წარმოებული საქონლის ღირებულებაც ასევე შეადგენს 5 000 გირვ. სტერლინგს, მაგრამ აქედან $\frac{1}{10}$ = 500 გირვ. სტერლინგს, ყოველთვის იმყოფება საქონლური კაპიტალის სახით და უკუმოედინება მხოლოდ 5 კვირის შემდეგ. ამ შემთხვევაში წლის ბოლოს მეათე სამუშაო პერიოდის (46—50 სამუშაო კვირის) პროდუქტი თავისი გადაბრუნების დროის მხოლოდ ნახევარს დაასრულებს, ამასთან მისი მიმოქცევის დრო შემდგომი წლის პირველ 5 კვირას მოუწევს.

ავიღოთ კიდევ მესამე მაგალითი: სამუშაო პერიოდი უდრის 6 კვირას, მიმოქცევის დრო — 3 კვირას. შრომის პროცესში ყოველკვირეულად ავანსდება 100 გირვ. სტერლინგი.

I-ლი სამუშაო პერიოდი: 1-ლი—6 კვირა. მე-6 კვირის ბოლოს გვექნება 600 გირვ. სტერლინგი საქონლური კაპიტალი, რომელიც ფულის სახით უკან დაბრუნდება მე-9 კვირის ბოლოს.

II-2 სამუშაო პერიოდი: მე-7—12 კვირა. მე-7—9 კვირის განმავლობაში ავანსად გაიღება 300 გირვ. სტერლინგი დამატებითი კაპიტალი. მე-9 კვირის ბოლოს უკან დაბრუნდება 600 გირვ. სტერლინგი. აქედან მე-10—12 კვირის განმავლობაში ავანსად გაიღება 300 გირვ. სტერლინგი; მაშასადამე, მე-12 კვირის ბოლოს არსებობს თავისუფალი 300 გირვ. სტერლინგი და 600 გირვ. სტერლინგი საქონლური კაპიტალი, რომელიც ფულის სახით უკან დაბრუნდება მე-15 კვირის ბოლოს.

III-3 სამუშაო პერიოდი: მე-13—18 კვირა. მე-13—15 კვირაში ავანსად გაიღება ზემოაღნიშნული 300 გირვ. სტერლინგი, შემდეგ უკუმოედინება 600 გირვ. სტერლინგი, საიდანაც 300 გირვ. სტერლინგი ავანსდება მე-16—18 კვირისათვის. მე-18 კვირის ბოლოს 300 გირვ. სტერლინგი თავისუფალია ფულის სახით; 600 გირვ. სტერლინგი არსებობს საქონლური კაპიტალის სახით, რომელიც ფულის სახით უკუმოედინება 21-ე კვირის ბოლოს (იხ. ამ შემთხვევის უფრო დაწვრილებითი განხილვა ქვევით, 11 პუნქტში.)

ამრიგად, 9 სამუშაო პერიოდის (= 54 კვირის) განმავლობაში წარმოებული იქნება 600 × 9 = 5 400 გირვ. სტერლინგის საქონელი. მე-9 სამუშაო პერიოდის ბოლოს კაპიტალისტს ექნება 300 გირვ. სტერლინგი ფულად და 600 გირვ. სტერლინგი საქონლად, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია თავისი მიმოქცევის დრო.

ამ სამი მაგალითის შედარებისას ჩვენ ვხედავთ, ჯერ ერთი, რომ მხოლოდ მეორე მაგალითში ხდება თანმიმდევრობითი ცვლა 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობის I კაპიტალისა და ასევე 500 გირვ. სტერლ. რაოდენობის II დამატებითი კაპიტალისა, ასე რომ კაპიტალის ეს ორი ნაწილი ერთმანეთისაგან განცალკევებულად მოძრაობს; ეს კი მხოლოდ იმის გამო ხდება ასე, რომ აქ ნაგულისხმევია სრულიად განსაკუთრებული შემთხვევა, საველდობრ ის, რომ სამუშაო პეოიოდი და მიმოქცევის დრო გადაბრუნების პერიოდის ორ თანატოლ ნახევარს შეადგენს. ყველა სხვა შემთხვევაში, როგორიც არ უნდა იყოს უთანატოლობა გადაბრუნების დროის იმ ორ პერიოდს შორის, ორივე კაპიტალის მოძრაობანი უკვე მეორე გადაბრუნების პერიოდიდან გადაეჯვარედინებიან ერთმაეთს როგორც I და III მაგალითში. ამ შემთხვევაში დამატებითი კაპიტალი II კაპიტალ I-ის ნაწილთან

ერთად შეადგენს იმ კაპიტალს, რომელიც მოქმედებს მეორე გადაბრუნების პერიოდში, მაშინ როდესაც კაპიტალ I-ის დანარჩენი ნაწილი თავისუფლდება კაპიტალ II-ის თავდაპირველი ფუნქციისათვის. საქონლური კაპიტალის მიმოქცევის დროის განმავლობაში მოქმედი კაპიტალი ამ შემთხვევაში არაა იგივე კაპიტალი II, რომელიც თავდაპირველად იყო ავანსებული ამ მიზნისათვის, მაგრამ უდრის მას ღირებულებით და ავანსებული ერთობლივი კაპიტალის ისეთსავე წილს შეადგენს.

მეორე: კაპიტალი, რომელიც მოქმედებდა სამუშაო პერიოდის განმავლობაში, უქმად ძევს მიმოქცევის პერიოდის განმავლობაში. მეორე მაგალითში კაპიტალი მოქმედებს სამუშაო პერიოდის 5 კვირის განმავლობაში და უქმად ძევს 5-კვირიანი მიმოქცევის დროის განმავლობაში. მაშასადამე, წლის განმავლობაში დროის საერთო რაოდენობა, როდესაც კაპიტალი I უქმად ძევს, შეადგენს ამ შემთხვევაში ნახევარ წელიწადს. ამ დროისათვის მაშინ საქმეში ებმება დამატებითი კაპიტალი II, რომელიც, მაშასადამე, ამ შემთხვევაში თავის მხრივაც უმოქმედოდ რჩება ნახევარ წელიწადს. მაგრამ დამატებითი კაპიტალი, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ წარმოება უწყვეტად მიმდინარეობდეს მიმოქცევის დროის განმავლობაში, განისაზღვრება არა მიმოქცევის დროის ერთობლივი სიდიდით ანუ მიმოქცევის დროის მთელი ჯამით წლის განმავლობაში, არამედ მხოლოდ მიმოქცევის დროის შეფარდებით გადაბრუნების პერიოდთან. (აქ, რასაკვირველია, იგულისხმება, რომ ყველა გადაბრუნება თანაბარ პირობებში ხდება.) ამიტომ II მაგალითში საჭიროა დამატებითი კაპიტალი 500 გირვ. სტერლინგისა და არა 2 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. ეს მარტივად იქიდან გამომდინარეობს, რომ დამატებითი კაპიტალიც ისევე წედის გადაბრუნებაში, როგორც თავდაპირველად ავანსებული კაპიტალი, და, მაშასადამე, სრულიად ისე, როგორც ეს უკანასკნელი, თავის რაოდენობას აანაზღაურებს გადაბრუნებათა რიცხვით.

მესამე: თუ წარმოების დრო სამუშაო დროზე უფრო ხანგრძლივია, ამით არაფერი არ შეიცვლება აქ განხილულ გარემოებაში. ამით, რა თქმა უნდა, გაგრძელდება ერთობლივი გადაბრუნების პერიოდები, მაგრამ გადაბრუნების პერიოდის ამ გაგრძელების გამო შრომის პროცესისათვის არავითარი დამატებითი კაპიტალი არ იქნება საჭირო. დამატებითი კაპიტალის მიზანი მხოლოდ ისაა, რომ შეავსოს მიმოქცევის დროით წარმოქმნილი ხარვეზები შრომის პროცესში; მაშასადამე, მან უნდა დაიცვას წარმოება იმ შეფერხებათაგან, რომელთაც მიმოქცევის დრო წარმოშობს. ხოლო შეფერხებანი, რომელთაც წარ-

მოების განსაკუთრებული პირობები წარმოშობენ, შეიძლება თავიდან აცილებულ იქნენ სხვა გზით, რომლის განხილვას ჩვენ აქ არ შევუდგებით. პირიქით, არსებობს ისეთი საწარმოები, სადაც მუშაობა წარმოებს მხოლოდ დროდადრო, დაკვეთით, სადაც, მაშასადამე, სამუშაო პერიოდებს შორის შეიძლება ადგილი ჰქონდეს შეწყვეტებს. ასეთ საწარმოებში დამატებითი კაპიტალის აუცილებლობა მოიხსნება pro tanto. მეორე მხრივ, სეზონური მუშაობის მეტწილ შემთხვევებში არსებობს აგრეთვე განსაზღვრული მიჯნა კაპიტალის უკუდაბრუნებისთვის. იგივე მუშაობა შემდგომ წელს ვერ განახლდება იმავე კაპიტალით, თუ ამ კაპიტალის მიმოქცევის დრო ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. პირიქით, მიმოქცევის დრო შესაძლებელია უფრო მოკლეც იყოს, ვიდრე შუალედი დროა წარმოების ერთი პერიოდიდან მეორემდე. ამ შემთხვევაში კაპიტალი უქმად ძევს, თუკი იგი ამ შუალედ დროში სხვანაირად არ იქნა გამოყენებული.

მეოთხე: ერთი სამუშაო პერიოდისათვის ავანსებული კაპიტალი, ვთქვათ, 600 გირვ. სტერლინგი III მაგალითში, ნაწილობრივ დაიხარჯება მუდმივი საბრუნავი კაპიტალის სახით ნედლეულსა და დამხმარე მასალაზე, სამუშაო პერიოდისათვის საჭირო საწარმოო მარაგზე, ნაწილობრივ კი ცვალებადი საბრუნავი კაპიტალის სახით, ე. ი. თვით შრომის გასასტუმრებლად. მუდმივი საბრუნავი კაპიტალის სახით დახარჯული ნაწილი შეიძლება არსებობდეს საწარმოო მარაგის ფორმაში სხვადასხვა ხანგრძლიობით, მაგალითად, შეიძლება ნედლი მასალა არ მოიმარაგო მთელი სამუშაო პერიოდისათვის, ნახშირის შეძენა შეიძლება ყოველ ორ კვირაში. მაგრამ — რადგან აქ კრედიტი ჯერ კიდევ არ იგულისხმება— კაპიტალის ეს ნაწილი, რამდენადაც იგი საწარმოო მარაგის ფორმაში არ იმყოფება, მზა სახით უნდა რჩებოდეს ფულის ფორმაში, რათა მოთხოვნილებისდა მიხედვით საწარმოო მარაგად გადაიქცეს. ეს სრულიადაც არა ცვლის 6 კვირისათვის ავანსებული მუდმივი საბრუნავი კაპიტალის სიდიდეს. პირიქით, — თუ სათვალავში არ მივიღებთ ფულის მარაგს გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის, საკუთრივ სარეზერვო ფონდს დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად, — ხელფასი გაიცემა უფრო მოკლე პერიოდებში, მეტწილად ყოველკვირეულად. მაშასადამე, თუ კაპიტალისტი მუშას ვერ აიძულებს უფრო ხანგრძლივი ვადით აძლიოს მას ავანსად თავისი შრომა, მაშინ მას ხელფასისათვის საჭირო კაპიტალი ფულადი ფორმით უნდა ჰქონდეს. მაშასადამე, კაპიტალის უკუმოდინებისას მისი ერთი ნაწილი ფულადი ფორმით უნდა გაჩერ-

დეს შრომის გასასტუმრებლად, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი შეიძ-ლება საწარმოო მარაგად გადაიქცეს.

დამატებითი კაპიტალი სრულიად ისევე დაიყოფა, როგორც თავ-დაპირველი კაპიტალი. მაგრამ იგი კაპიტალ I-ისგან (თუ საკრედიტო ურთიერთობას მხედველობაში არ მივიღებთ) განსხვავდება შემდეგით: იმისათვის, რომ მისი გამოყენება შეიძლებოდეს საკუთარ სამუშაო პერიოდში, საჭიროა იგი ავანსებული იყოს კაპიტალ I-ის პირველი სამუშაო პერიოდის მთელი ხანგრძლიობის განმავლობაში,—პერიოდი-ა, რომელშიაც იგი არ შედის. შესაძლებელია, რომ იგი უკვე ამ დროის განმავლობაში, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ, გადაიქცეს მუდმივ საბრუნავ კაპიტალად, რომელიც მთელი გადაბრუნების პე-რიოდისთვისაა ავანსებული. თუ რამდენად მიიღებს იგი ამ ფორმას ან რამდენად გაჩერდება დამატებითი ფულადი კაპიტალის ფორმით იმ მომენტამდე, როდესაც ეს გარდაქმნა აუცილებელი გახდება,—ეს და-მოკიდებულია ნაწილობრივ მეწარმეობის განსაზღვრულ დარგთა განსაკუთრებულ საწარმოო პირობებზე, ნაწილობრივ ადგილობრივ გა-რემოებებზე, ნაწილობრივაც ნედლეულის ფასების რყევაზე და სხვ. თუ საზოგადოებრივ ერთობლივ კაპიტალს განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ამ დამატებითი კაპიტალის მეტნაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველთვის იქნება შედარებით ხანგრძლივი დროისათვის ფულადი კაპიტალის მდგომარეობაში. პირიქით, რაც შეეხება კაპიტალ II-ის ნაწილს, რომელიც ხელფასისათვის გაიღება ავანსად, იგი ყოველთვის მხოლოდ თანდათანობით გადაიქცევა სამუშაო ძალად, ზედარებით მოკლე სამუშაო პერიოდების დასრულებისა და სამუშაო ძალის გას-ტუმრების კვალობაზე. მაშასადამე, კაპიტალ II-ის ეს ნაწილი ფულა-დი კაპიტალის ფორმაში იმყოფება მთელი სამუშაო პერიოდის განმ-ავლობაში, ვიდრე იგი სამუშაო ძალად გადაქცევის გზით მწარმოებ-ლური კაპიტალის სახით არ ამოქმედდება.

მაშასადამე, ეს შემოერთება დამატებითი კაპიტალისა, რომელიც საჭიროა კაპიტალ I-ის მიმოქცევის დროის წარმოების დროდ გარ-დასაქმნელად, არა მარტო ადიდებს ავანსებული კაპიტალის ოდენობას და იმ დროის ხანგრძლიობას, რომლისთვისაც აუცილებლად ავანსად გაიღება ერთობლივი კაპიტალი, არამედ ადიდებს განსაკუთრებით ავანსებული კაპიტალის იმ ნაწილსაც, რომელიც ფულადი მარაგის სახით არსებობს, მაშასადამე, ფულადი კაპიტალის მდგომარეობაში იმყოფება და პოტენციური ფულადი კაპიტალის ფორმა აქვს.

ამასვე აქვს ადგილი,—როგორც საწარმოო მარაგის, ისე ფულადი კაპიტალის ფორმით ავანსად გაღების მიმართ, — თუ რომ მიმოქცე-

ვის დროით გამოწვეული დაყოფა კაპიტალისა ორ ნაწილად: კაპიტალად პირველი სამუშაო პერიოდისათვის და შემნაცვლებელ კაპიტალად მიმოქცევის დროისათვის, გამოწვეულია არა დახარჯული კაპიტალის გადიდებით, არამედ წარმოების მასშტაბის შემცირებით. წარმოების მასშტაბთან შედარებით კიდევ უფრო მატულობს აქ ფულადი ფორმით შებოჭილი კაპიტალი.

კაპიტალის ასეთი დაყოფით თავდაპირველ მწარმოებლურ კაპიტალად და დამატებით კაპიტალად მიღწეულია საერთოდ სამუშაო პერიოდების უწყვეტი თანმიმდევრობა, მიღწეულია ის, რომ ავანსებული კაპიტალის თანაბარი სიდიდის ნაწილი მუდამ მოქმედებს როგორც მწარმოებლური კაპიტალი.

დავაკვირდეთ ახლა II მაგალითს. მუდამ წარმოების პროცესში მყოფი კაპიტალი შეადგენს 500 გირვ. სტერლინგს. რადგან სამუშაო პერიოდი = 5 კვირას, ამიტომ 50 კვირის განმავლობაში (რომლებიც წელიწადად გვაქვს მიღებული) ეს კაპიტალი მუშაობაში იქნება 10-ჯერ. ამიტომ პროდუქტიც, თუ ზედმეტ ღირებულებას მხედველობაში არ მივიღებთ, უდრის 10×500=5 000 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, უშუალოდ და განუწყვეტლივ წარმოების პროცესში მომუშავე კაპიტალის თვალსაზრისით, — 500 გირვ. სტერლ. კაპიტალღირებულების თვალსაზრისით, — მიმოქცევის დრო სრულიად გამქრალი გვეჩვენება. გადაბრუნების პერიოდი ემთხვევა სამუშაო პერიოდს: მიმოქცევის დრო უტოლდება ნულს.

პირიქით, 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალის მწარმოებლური მოქმედება რეგულარულად რომ დაბრკოლებულიყო ხუთკვირიანი წარმოების დროით, ასე რომ იგი მხოლოდ მთელი 10-კვირიანი გადაბრუნების პერიოდის გასვლის შემდეგ გამადარიყო ისევ წარმოების უნარმქონე, მაშინ წლის 50 კვირის განმავლობაში ჩვენ გვექნებოდა 5 ათკვირიანი გადაბრუნება; ისინი შეიცავენ ხუთკვირიან წარმოების პერიოდს, მაშასადამე, სულ წარმოების 25 კვირას 500×5=2 500 გირვ. სტერლ. რაოდენობის ერთობლივი პროდუქტით; გარდა ამისა 5 ხუთკვირიან მიმოქცევის პერიოდს, მაშასადამე, მთელი მიმოქცევის დრო აგრეთვე 25 კვირის ხანგრძლიობისაა. თუ ჩვენ აქ ვამბობთ: 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალი წელიწადში 5-ჯერ გადაბრუნდა,—თვალსაჩინო და ნათელია, რომ თვითეული პერიოდის ნახევრის განმავლობაში ეს 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალი სრულიად არ მოქმედებდა როგორც მწარმოებლური კაპიტალი და რომ, საერთო ანგარიშით, იგი მოქმედებდა მხოლოდ ერთი ნახევარწლის

განმავლობაში, ხოლო წლის მეორე ნახევარში სრულიად არ მოქმედებდა.

ჩვენს მაგალითში ამ 5 მიმოქცევის პერიოდისათვის საქმეში ებმება შემნაცვლებელი 500 გირვ. სტერლინგი დამატებითი კაპიტალი და ამის გამო გადაბრუნება 2 500-დან 5 000 გირვ. სტერლინგამდე დიდდება. მაგრამ სამაგიეროდ ავანსებული კაპიტალიც ახლა 1 000 გირვ. სტერლინგს შეადგენს ნაცვლად 500 გირვ. სტერლინგისა. 5 000, გაყოფილი 1 000-ზე, უდრის 5-ს, მაშასადამე, 10-ის ნაცვლად არის 5 გადაბრუნება. სინამდვილეში ასეც იანგარიშება. მაგრამ, როდესაც ამბობენ 1 000 გირვ. სტერლინგი კაპიტალი წლის განმავლობაში 5-ჯერ გადაბრუნდაო, კაპიტალისტის ცარიელ თავში ქრება მოგონება მიმოქცევის დროისა და წარმოიშვება არეული წარმოდგენა, თითქოს ეს კაპიტალი 5 თანმიმდევრული გადაბრუნების განმავლობაში მუდამ წარმოების პროცესში მოქმედებდეს. მაგრამ თუ ჩვენ ვამბობთ, 1 000 გირვ. სტერლ. კაპიტალი 5-ჯერ გადაბრუნდაო, — ამაში შესულია როგორც მიმოქცევის დრო, ისე წარმოების დროც. მართლაც, 1 000 გირვ. სტერლინგს წარმოების პროცესში განუწყვეტლივ რომ ემოქმედნა, მაშინ, ჩვენი ვარაუდის თანახმად, პროდუქტი უნდა ყოფილიყო 10 000 გირვ. სტერლინგი ნაცვლად 5 000-ისა. მაგრამ იმისათვის, რომ 1 000 გირვ. სტერლინგი განუწყვეტლივ წარმოების პროცესში იყოს, ასევე საჭირო იქნებოდა საერთოდ 2 000 გირვ. სტერლინგის ავანსად გაღება. ეკონომისტები, რომელთაც საერთოდ არ მოეპოვებათ ნათელი აზრი გადაბრუნების მექანიზმის შესახებ, მუდამ მხედველობიდან უშვებენ სწორედ იმ მთავარ მომენტს, რომ წარმოებას უწყვეტი მსვლელობა ექნება მხოლოდ იმ პირობით, თუ წარმოების პროცესში ფაქტიურად სამრეწველო კაპიტალის მხოლოდ ნაწილი იქნება მუდამ ჩაბმული. ვიდრე ერთი ნაწილი წარმოების პერიოდში იმყოფება, მეორე ნაწილი მუდამ მიმოქცევის პერიოდში უნდა იმყოფებოდეს. ანუ, სხვა სიტყვებით, ერთ ნაწილს შეუძლია მწარმოებელური კაპიტალის სახით მოქმედება მხოლოდ იმ პირობით, თუ მეორე ნაწილი, საქონლური კაპიტალის ან ფულადი კაპიტალის ფორმაში მყოფი, ჩამოცილებულია საკუთრივ წარმოებას. ამის მხედველობიდან გაშვება ნიშნავს იმას, რომ საერთოდ ფულადი კაპიტალის მნიშვნელობა და როლი ვერ შევამჩნიოთ.

ჩვენ ახლა უნდა გაბოვიკვლიოთ, რა სხვაობა აღმოჩნდება გადაბრუნებაში იმასთან დაკავშირებით, თუ გადაბრუნების პერიოდის ორივე ნაკვეთი — სამუშაო პერიოდი და მიმოქცევის პერიოდი — ერთ შემთხვევაში ერთმანეთის ტოლია, ხოლო მეორე შემთხვევაში

სამუშაო პერიოდი მიმოქცევის პერიოდზე უფრო დიდი ან უფრო პატარაა, და, შემდეგ, უნდა გამოვიკვლიოთ, როგორ მოქმედებს ეს გარემოება კაპიტალის შებოჭვაზე ფულადი კაპიტალის ფორმით.

ვიგულისხმოთ, რომ ყოველკვირეულად ავანსად გასაღები კაპიტალი ყველა შემთხვევაში უდრის 100 გირვ. სტერლინგს, ხოლო გადაბრუნების პერიოდი — 9 კვირას; მაშასადამე, თვითეული გადაბრუნების პერიოდისათვის ავანსად გასაღები კაპიტალი უდრის 900 გირვ. სტერლინგს.

I. სამუშაო პერიოდი უდრის მიმოქცევის პერიოდს

ეს შემთხვევა, თუმცა იგი სინამდვილეში მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება, გამოკვლევის ამოსავალ პუნქტად უნდა ავიღოთ, იმიტომ რომ ურთიერთობანი აქ უაღრესად მარტივად და ცხადად წარმოგვიდგება.

ორი კაპიტალი (კაპიტალი I, რომელიც ავანსდება პირველი სამუშაო პერიოდისათვის, და დამატებითი კაპიტალი II, რომელიც კაპიტალ I-ის მიმოქცევის პერიოდის განმავლობაში მოქმედებს) ერთიმეორეს ცვლის თავიანთ მოძრაობაში ისე, რომ ერთიმეორეს არ გადაეჯვარედინება. ამიტომ, პირველი პერიოდის გამოკლებით, თვითეული ამ ორი კაპიტალიდან მხოლოდ თავისი საკუთარი გადაბრუნების პერიოდისათვის ავანსდება. ვთქვათ, გადაბრუნების პერიოდი არის, როგორც შემდეგ მაგალითებშია, 9 კვირა; მაშასადამე, სამუშაო პერიოდი და მიმოქცევის პერიოდი — თვითეული — უდრის $4^1/_2$ კვირას. მაშინ ჩვენ გვექნება შემდეგი წლიური სქემა:

ცხრილი .

კაპიტალი I:

გადაბრუნების პერიოდები	სამუშაო პერიოდები	ავანსებულია	მიმოქცევის პერიოდები
I. 1— 9 კვირა	1— $4^1/_2$ კვირა	450 გირვ. სტერლ.	$4^1/_2$— 9 კვირა
II. 10—18 »	10—$13^1/_2$ »	450 » »	$13^1/_2$—18 »
III. 19—27 »	19—$22^1/_2$ »	450 » »	$22^1/_2$—27 »
IV. 28—36 »	28—$31^1/_2$ »	450 » »	$31^1/_2$—36 »
V. 37—45 »	37—$40^1/_2$ »	450 » »	$40^1/_2$—45 »
VI. 46—(54) »	46—$49^1/_2$ »	450 » »	$49^1/_2$—(54)[31] »

[31] კვირეები, რომლებიც გადაბრუნების მეორე წელიწადშია გადასული, ფრჩხილებშია მოქცეული.

კაპიტალი II:

გადაბრუნების პერიოდები	სამუშაო პერიოდები	ავანსებულია	მიმოქცევის პერიოდები
I. $4^1/_2$—$13^1/_2$ კვირა	$4^1/_2$— 9 კვირა	450 გირვ. სტერლ.	10—$13^1/_2$ კვირა
II. $13^1/_2$—$22^1/_2$ »	$13^1/_2$—18 »	450 » »	19—$22^1/_2$ »
III. $22^1/_2$—$31^1/_2$ »	$22^1/_2$—27 »	450 » »	23—$31^1/_2$ »
IV. $31^1/_2$—$40^1/_2$ »	$31^1/_2$— 36 »	450 » »	37—$40^1/_2$ »
V. $40^1/_2$—$49^1/_2$ »	$40^1/_2$—45 »	450 » »	46 $49^1/_2$ »
VI. $49^1/_2$—($58^1/_2$) »	$49^1/_2$—(54) »	450 » »	(55—$58^1/_2$) »

51 კვირის განმავლობაში, რასაც ჩვენ აქ წელიწადად ვთვლით, I კაპიტალმა დაამთავრა ექვსი სრული სამუშაო პერიოდი, მაშასადამე, აწარმოვა $450 \times 6 = 2\,700$ გირვ. სტერლინგის საქონელი, ხოლო II კაპიტალმა ხუთ სრულ სამუშაო პერიოდში აწარმოვა $450 \times 5 = 2\,250$ გირვ. სტერლინგის საქონელი. გარდა ამისა, II კაპიტალმა წლის უკანასკნელ $1^1/_2$ კვირაში (50-ე კვირის ნახევრიდან 51-ე კვირის ბოლომდე) აწარმოვა კიდევ 150 გირვ. სტერლინგის საქონელი— სულ 51 კვირაში წარმოებულია 5 100 გირვ. სტერლინგის ერთობლივი პროდუქტი. მაშასადაე, რაც შეეხება ზედმეტი ღირებულების უშუალო წარმოებას, რომელიც მხოლოდ სამუშაო პერიოდის განმავლობაში იწარმოება, 900 გირვ. სტერლ. ერთობლივი კაპიტალი გადაბრუნდებოდა $5^2/_3$-ჯერ ($900 \times 5^2/_3 = 5\,100$ გირვ. სტერლ.). მაგრამ თუ ჩვენ ნამდვილ გადაბრუნებას განვიხილავთ, დავინახავთ, რომ კაპიტალი I გადაბრუნდა $5^2/_3$-ჯერ, რადგან 51-ე კვირის ბოლოს მას თავისი მეექვსე გადაბრუნების პერიოდის კიდევ 3 კვირა აქვს დასასრულებელი: $450 \times 5^2/_3 = 2\,550$ გირვ. სტერლ.; კაპიტალი II კი გადაბრუნდა $5^1/_6$-ჯერ, რადგან თავისი მეექვსე გადაბრუნების პერიოდის მხოლოდ 1½ კვირა დაასრულა, მაშასადამე, ამ პერიოდის კიდევ 7½ კვირა შემდგომ წელიწადს მოუწევს: $450 \times 5^1/_6 = 2\,325$ გირვ. სტერლინგს; ნამდვილი ერთობლივი გადაბრუნება უდრის 4 875 გირვ. სტერლინგს.

კაპიტალ I და კაპიტალ II ჩვენ განვიხილავთ, როგორც ორი ერთიმეორისგან სრულიად დამოუკიდებელ კაპიტალს. თავიანთ მოძრაობაში ისინი სრულიად დამოუკიდებელნი არიან; ეს მოძრაობანი ერთმანეთს ავსებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კაპიტალების სამუშაო პერიოდები და მიმოქცევის პერიოდები უშუალოდ რიგრიგობით ცვლიან ხოლმე ერთიმეორეს. ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც

ორი სრულიად დამოუკიდებელი კაპიტალი, სხვადასხვა კაპიტალისტის კუთვნილი კაპიტალი.

I კაპიტალმა განვლო თავისი 5 სრული გადაბრუნება და მეექვსე გადაბრუნების ორი მესამედი. წლის ბოლოს იგი იმყოფება საქონლური კაპიტალის ფორმაში, რომლის ნორმალური რეალიზაციისათვის კიდევ 3 კვირაა საჭირო. ამ დროის განმავლობაში მას არ შეუძლია წარმოების პროცესში შესვლა. იგი მოქმედებს როგორც საქონლური კაპიტალი; იგი მიმოიქცევა. მას თავისი უკანასკნელი გადაბრუნების პერიოდის მხოლოდ ⅔ აქვს გავლილი. ამის გამოსახვა შეიძლება ასე: იგი გადაბრუნდა მხოლოდ ⅔-ჯერ, მთელი მისი ღირებულების მხოლოდ ⅔-მა დაამთავრა სრული გადაბრუნება. ჩვენ ვამბობთ: 450 გირვ. სტერლინგი 9 კვირაში ასრულებს თავის გადაბრუნებას, მაშასადამე, 300 გირვ. სტერლინგი თავის გადაბრუნებას 6 კვირაში ასრულებს. გამოსახვის ეს წესი უგულებელყოფს ორგანულ შეფარდებას გადაბრუნების დროის ორ სპეციფიკურად სხვადასხვა შემადგენელ ნაწილს შორის. ზუსტი აზრი გამოთქმისა, რომ 450 გირვ. სტერლინგის რაოდენობით ავანსებულმა კაპიტალმა 5⅔ გადაბრუნება შეასრულა, მხოლოდ ისაა, რომ მან შეასრულა 5 სრული გადაბრუნება და მეექვსის მხოლოდ ⅔. პირიქით, გამოთქმაში: გადაბრუნებული კაპიტალი უდრის ავანსებულ კაპიტალს, აღებულს 5⅔-ჯერ, მაშასადამე, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში უდრის 450 გირვ. სტერლ. × 5⅔ = 2 550 გირვ. სტერლ., — ამ გამოთქმაში სწორია ის, რომ თუ ამ 450 გირვ. სტერლინგ კაპიტალს მეორე 450 გირვ. სტერლინგი კაპიტალი არ შეავსებდა, მაშინ სინამდვილეში ერთი მისი ნაწილი უნდა ყოფილიყო წარმოების პროცესში, ხოლო მეორე ნაწილი მიმოქცევის პროცესში. თუ გადაბრუნების დრო გადაბრუნებული კაპიტალის მასით გვინდა გამოვსახოთ, შეგვიძლია მხოლოდ და მხოლოდ არსებული ღირებულების (სინამდვილეში მზა პროდუქტის ღირებულების) მასით გამოვსახოთ იგი. ის გარემოება, რომ ავანსებული კაპიტალი არ იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომელშიაც მას შეუძლია ხელახლა დაიწყოს წარმოების პროცესი, იმით გამოისახება, რომ მისი მხოლოდ ნაწილი იმყოფება წარმოებისათვის გამოსაყენებელ მდგომარეობაში, ანუ გამოისახება იმით, რომ კაპიტალი, რათა იგი უწყვეტი წარმოების მდგომარეობაში იმყოფებოდეს, წარმოებისა და მიმოქცევის პერიოდების ურთიერთ შეფარდების შესაბამისად, უნდა დაიყოს ნაწილებად, რომელთაგან ერთი მუდამ წარმოების პროცესში იქნებოდა, ხოლო მეორე — მუდამ მიმოქცევის პროცესში. ამ შემთხვევაში იგივე კანონი მოქმედებს, რომლის თანახმადაც უწყვე-

ტად მოქმედი მწარმოებლური კაპიტალის მასას განსაზღვრავს მიმოქ-ცევის დროის შეფარდება გადაბრუნების დროსთან.

წლის 51-ე კვირის ბოლოს, რომელსაც ჩვენ აქ წლის დასასრულად ვგულისხმობთ, II კაპიტალიდან 150 გირვ. სტერლინგი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი პროდუქტის წარმოებაზეა ავანსებული. მისი შემდგომი ნაწილი ჯერ კიდევ საბრუნავი მუდმივი კაპიტალის — ნედლეულის და სხვ. — ფორმაში იმყოფება, ე. ი. ისეთ ფორმაში, რომლითაც შეუძლია მას მოქმედება წარმოების პროცესში როგორც მწარმოებლურ კაპიტალს, ხოლო მესამე ნაწილი ფულად ფორმაში იმყოფება; იგი უდრის — სულ ცოტა — ხელფასის თანხას სამუშაო პერიოდის დანარჩენი ნაწილისათვის (3 კვირისათვის), მაგრამ ამის გაცემა ხდება მხოლოდ თვითეული კვირის ბოლოს. თუმცა ახალი წლის დამდეგს, მაშასადამე, გადაბრუნებათა ახალი ციკლის დასაწყისში, კაპიტალის ეს ნაწილი იმყოფება არა მწარმოებლური კაპიტალის ფორმაში, არამედ ფულადი კაპიტალის ფორმაში, რომლითაც მას წარმოების პროცესში შესვლა არ შეუძლია, მაგრამ მაინც, როგორც კი ახალი გადაბრუნება დაიწყება, საბრუნავი ცვალებადი კაპიტალი, ე. ი. ცოცხალი სამუშაო ძალა, უკვე მოქმედებს წარმოების პროცესში. ეს მოვლენა იქიდან მომდინარეობს, რომ თუმცა სამუშაო ძალას სამუშაო პერიოდის დასაწყისში, ვთქვათ, ყოველკვირეულად ყიდულობენ და იგი თავიდანვე მოიხმარება, მაგრამ მას გაისტუმრებენ მხოლოდ კვირის ბოლოს. ფული ამ შემთხვევაში მოქმედებს როგორც გადახდის საშუალება. ამიტომ, ერთი მხრივ, იგი როგორც ფული ჯერ კიდევ კაპიტალისტის ხელში იმყოფება, მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, სამუშაო ძალა, საქონელი, რადაც ფული გარდაიქმნება, უკვე წარმოების პროცესში მოქმედებს; ამრიგად, ერთი და იგივე კაპიტალ-ღირებულება აქ ორჯერ გვევლინება.

თუ ჩვენ მხოლოდ სამუშაო პერიოდებს განვიხილავთ, მაშინ:

კაპიტალი I აწარმოებს $450 \times 6 = 2\,700$ გირვ. სტერლინგს

« II « $450 \times 5\frac{1}{3} = 2\,400$ » »

მაშასადამე, სულ . . . $900 \times 5\frac{2}{3} = 5\,100$ გირვ. სტერლინგს.

ამრიგად, 900 გირვ. სტერლინგის რაოდენობით ავანსებული მთელი კაპიტალი წელიწადში $5\frac{2}{3}$-ჯერ მოქმედებდა მწარმოებლური კაპიტალის სახით. ზედმეტი ღირებულების წარმოებისათვის სულ ერთია, რიგრიგობით მოქმედებს მთელ დროს პირველი 450 გირვ. სტერლინგი წარმოების პროცესში და მეორე 450 გირვ. სტერლინგი მიმოქცევის პროცესში, თუ 900 გირვ. სტერლ. $4\frac{1}{2}$ კვირას წარმოების

პროცესში მოქმედებს, ხოლო შემდგომ 4½ კვირას მიმოქცევის პროცესში.

პირიქით, თუ ჩვენ განვიხილავთ გადაბრუნების პერიოდებს, მაშინ:

I	კაპიტალის გადაბრუნება	$450 \times 5\frac{2}{3} = 2\,550$	გირვ. სტერლ.
II	» »	$450 \times 5\frac{1}{6} = 2\,325$	» »
მაშასადამე, მთელი კაპიტალის	»	$900 \times 5\frac{5}{11} = 4\,875$	გირვ. სტერლ.

მთელი კაპიტალის გადაბრუნების რიცხვი ხომ უდრის I და II კაპიტალის გადაბრუნებულ თანხათა ჯამს, გაყოფილს I და II კაპიტალის ჯამზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალები I და II, ერთმანეთისგან დამოუკიდებელნიც რომ იყვნენ, მაინც წარმოების ერთსა და იმავე სფეროში ავანსებული საზოგადოებრივი კაპიტალის სხვადასხვა დამოუკიდებელი ნაწილები იქნებოდნენ. მაშასადამე, წარმოების ამ სფეროში საზოგადოებრივი კაპიტალი რომ მ ხ ო ლ ო დ I და II კაპიტალისგან შედგებოდეს, საზოგადოებრივი კაპიტალის გადაბრუნებისათვის ამ სფეროში იგივე ანგარიში იქნებოდა გამოსაყენებელი, რომელიც ჩვენ აქ გამოვიყენეთ ერთი და იმავე კერძო კაპიტალის ორი, I და II, შემადგენელი ნაწილისათვის. თუ შემდგომ განვაგრძობთ, ასეთივე გაანგარიშება შეიძლება მოვახდინოთ საზოგადოებრივი კაპიტალის ყოველი ნაწილის მიმართ, რომელიც წარმოების რომელიმე განსაკუთრებულ სფეროშია დაბანდებული. საბოლოოდ კი მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის გადაბრუნებათა რიცხვი უდრის წარმოების სხვადასხვა სფეროში გადაბრუნებული კაპიტალის ჯამს, გაყოფილს წარმოების ამ სფეროებში ავანსებული კაპიტალის ჯამზე.

შემდეგ, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც აქ ერთსა და იმავე კერძო საწარმოში I და II კაპიტალებს უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სხვადასხვა გადაბრუნების წლები აქვთ (რადგან II კაპიტალის გადაბრუნების ციკლი 4½ კვირით უფრო გვიან იწყება, ვიდრე I კაპიტალისა, და ამიტომ I კაპიტალის წელიწადი 4½ კვირით უფრო ადრე თავდება, ვიდრე II კაპიტალისა), ისევე სხვადასხვა ინდივიდუალური კაპიტალებიც წარმოების ერთსა და იმავე სფეროში თავიანთ ოპერაციებს დროის სრულიად სხვადასხვა მონაკვეთებში იწყებენ და, ამიტომ, თავიანთ წლიურ გადაბრუნებასაც წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს ამთავრებენ. მაგრამ საკმარისია აქაც საშუალო ოდენობის ისეთივე გამოანგარიშება ჩავატაროთ, როგორიც ზემოთ გამოვიყენეთ I და II კაპიტალის მიმართ, რათა საზოგადოე-

ბრივი კაპიტალის სხვადასხვა დამოუკიდებელი ნაწილის გადაბრუნების წლები გადაბრუნების ერთ საერთო წელზე დავიყვანოთ.

II. სამუშაო პერიოდი მიმოქცევის პერიოდზე უფრო დიდია

ნაცვლად იმისა, რომ რიგრიგობით ერთმა მეორე შეცვალოს, I და II კაპიტალის სამუშაო პერიოდები და გადაბრუნების პერიოდები გადაეჯვარედინება ერთიმეორეს. იმავე დროს კაპიტალი თავისუფლდება, რასაც უწინ განხილულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ცვლის იმას, რომ ახლაც, როგორც წინათ, 1) მთელი ავანსებული კაპიტალის სამუშაო პერიოდების რიცხვი უდრის კაპიტალის ორივე ავანსებული ნაწილის წლიური პროდუქტის ღირებულების ჯამს, გაყოფილს მთელ ავანსებულ კაპიტალზე, და 2) მთელი კაპიტალის გადაბრუნებათა რიცხვი უდრის ორივე გადაბრუნებული თანაის ჯამს, გაყოფილს ორივე ავანსებული კაპიტალის ჯამზე. აქაც ჩვენ კაპიტალის ორივე ნაწილი ისე უნდა განვიხილოთ, თითქოს გადაბრუნების მოძრაობანი, რომელთაც ისინი ასრულებენ, სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ ერთიმეორისაგან.

ანრიგად, ჩვენ კვლავ ვგულისხმობთ, რომ შრომის პროცესისათვის ყოველკვირეულად ავანსდება 100 გირვ. სტერლინგი. სამუშაო პერიოდი გრძელდება 6 კვირას; მაშასადამე, ყოველთვის საჭიროა 600 გირვ. სტერლინგის ავანსად გაღება (კაპიტალი I). მიმოქცევის პერიოდია 3 კვირა; მაშასადამე, გადაბრუნების პერიოდი წინანდებურად 9 კვირაა. 300 გირვ. სტერლინგის რაოდენობის II კაპიტალი X საქმეში ებმება I კაპიტალის მიმოქცევის სამკვირეული პერიოდის განმავლობაში. თუ ორთავეს განვიხილავთ როგორც ერთიმეორისგან დამოუკიდებელ კაპიტალს, მაშინ წლიური გადაბრუნების სქემა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

ცხრილი II.

კაპიტალი I, 600 გირვ. სტერლ.

გადაბრუნების პერიოდები	სამუშაო პერიოდები	ავანსებულია	მიმოქცევის პერიოდები
I. 1— 9 კვირა	1— 6 კვირა	600 გირვ. სტერლ.	7— 9 კვირა
II. 10—18 »	10—15 »	600 » »	16—18 »
III. 19—27 »	19—24 »	600 » »	25—27 »
IV. 28—36 »	28—33 »	600 » »	34—36 »
V. 37—45 »	37—42 »	600 » »	43—45 »
VI. 46—(54) »	46—51 »	600 » »	(52—54) »

დამატებითი კაპიტალი II, 300 გირვ. სტერლ.

გადაბრუნების პერიოდები	სამუშაო პერიოდები	ავანსებულია	მიმოქცევის პერიოდები
I. 7—15 კვირა	7— 9 კვირა	300 გირვ. სტერლ.	10—15 კვირა
II. 16—24 »	16 - 18 »	300 » »	19—24 »
III. 25 - 33 »	25 —27 »	300 » »	28 —33 »
IV. 34—42 »	34—36 »	300 » »	37—42 »
V. 43—51 »	43—45 »	300 » »	46—51 »

წარმოების პროცესი მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს ერთნაირი მასშტაბით. ორივე კაპიტალი, I და II, ერთიმეორისგან სრულიად გათიშული რჩება. მაგრამ იმისათვის, რომ ისინი ასე გათიშულად წარმოგვედგინა, ჩვენ უნდა გაგვეწყვიტა მათი ნამდვილი გადაჯვარედინება და გადახლართვა და ამით ზეგვეცვალა გადაბრუნების რიცხვიც. სახელდობრ, ზემოთ მოცემული ცხრილის თანახმად, გადაბრუნდება:

კაპიტალი I $600 \times 5\frac{2}{3} = 3\,400$ გირვ. სტერლ., და
» II $300 \times 5 = 1\,500$ » »

მაშასადამე, მთელი კაპიტალი ...$900 \times 5\frac{4}{9} = 4\,900$ გირვ. სტერლ. მაგრამ ეს არაა სწორი, იმიტომ რომ, როგორც დავინახავთ, წარმოებისა და მიმოქცევის ნამდვილი პერიოდები აბსოლუტურად როდი ემთხვევა ზემოაღნიშნული სქემის პერიოდებს, რომელ სქემაშიც მთავარი ისაა, რომ ორივე კაპიტალი, I და II, ერთიმეორისგან დამოუკიდებლად წარმოგვედგინა.

სინამდვილეში კი კაპიტალ II-ს არა აქვს კაპიტალი I-ისაგან განცალკევებული, განსაკუთრებული სამუშაო და სამიმოქცევო პერიოდები. სამუშაო პერიოდი გრძელდება 6 კვირას, მიმოქცევის პერიოდი—3 კვირას. რადგან კაპიტალი II მხოლოდ 300 გირვ. სტერლინგს უდრის, მას შეუძლია შეავსოს სამუშაო პერიოდის მხოლოდ ნაწილი. ეს ასეც არის. მე-6 კვირის ბოლოს 600 გირვ. სტერლინგად ღირებული პროდუქტი შედის მიმოქცევაში და მე-9 კვირის ბოლოს უკან ბრუნდება ფულის ფორმით. ამასთან ერთად მე-7 კვირის დამდეგს მოქმედებას იწყებს კაპიტალი II და შემდგომი სამუშაო პერიოდის მოთხოვნილებას ფარავს მე-7—9 კვირის განმავლობაში. მაგრამ, ჩვენი ვარაუდის თანახმად, მე-9 კვირის ბოლოს სამუშაო პერიოდი მხოლოდ სანახევროდაა დამთავრებული. მაშასადამე, მე-10 კვირის დამ-

დეგს ხელახლა იწყებს მოქმედებას ახლახან უკუდაბრუნებული კაპიტალი I 600 გირვ. სტერლინგის რაოდენობით და თავისი 300 გირვ. სტერლინგის ავანსად გაღებით დაფარავს მე-10—12 კვირისათვის საჭირო ხარჯებს. ამით მთავრდება მეორე სამუშაო პერიოდი. მიმოქცევაში იმყოფება 600 გირვ. სტერლინგად ღირებული პროდუქტი; ეს 600 გირვანქა სტერლინგი მე-15 კვირის ბოლოს უკან დაბრუნდება; მაგრამ, გარდა ამისა, არის კიდევ განთავისუფლებული 300 გირვ. სტერლინგი, II კაპიტალის თავდაპირველი თანხა, — რომელსაც შეუძლია იმოქმედოს შემდგომი სამუშაო პერიოდის პირველ ნახევარში, მაშასადამე, მე-13—15 კვირაში. ამ უკანასკნელის დასრულების შემდეგ ისევ უკან ბრუნდება 600 გირვ. სტერლინგი; აქედან 300 გირვ. სტერლინგი იკმარებს ამ ს მუშაო პერიოდის დასრულებამდე, ხოლო. 300 გირვ. სტერლ. თავისუფალი რჩება შემდგომი პერიოდისათვის.

მაშასადამე, საქმე ამგვარად მიმდინარეობს:

I გადაბრუნების პერიოდი: 1-ლი—9 კვირა.

1-ლი სამუშაო პერიოდი: 1-ლი—6 კვირა. მოქმედებს კაპიტალი I, 600 გირვ. სტერლინგი.

1-ლი მიმოქცევის პერიოდი: მე-7—9 კვირა. მე-9 კვირის ბოლოს უკუმოედინება 600 გირვ. სტერლინგი.

II გადაბრუნების პერიოდი: მე-7—15 კვირა.

მე-2 სამუშაო პერიოდი: მე-7—12 კვირა.

პირველი ნახევარი: მე-7—9 კვირა. მოქმედებს კაპიტალი II, 300 გირვ. სტერლინგი. მე-9 კვირის ბოლოს 600 გირვ. სტერლინგი უკუმოედინება ფულის სახით (კაპიტალი I).

მეორე ნახევარი: მე-10—12 კვირა. მოქმედებს I კაპიტალის 300 გირვ. სტერლინგი.

I კაპიტალის დანარჩენი 300 გირვ. სტერლინგი თავისუფალი რჩება.

მე-2 მიმოქცევის პერიოდი. მე-13—15 კვირა.

მე-15 კვირის ბოლოს 600 გირვ. სტერლინგი (რომლის ერთი ნახევარი I კაპიტალიდან, ხოლო მეორე ნახევარი II კაპიტალიდან შეიქმნა), უკუმოედინება ფულის სახით.

III გადაბრუნების პერიოდი: მე-13—21 კვირა.

მე-3 სამუშაო პერიოდი: მე-13—18 კვირა.

პირველი ნახევარი: მე-13—15 კვირა. განთავისუფლებული 300 გირვ. სტერლინგი იწყებს მოქმედებას. მე-15 კვირის ბოლოს 600 გირვ. სტერლინგი უკუმოედინება ფულის სახით.

მეორე ნახევარი: მე-16—18 კვირა. უკანდაბრუნებული 600 გირვ. სტერლინგიდან 300 გირვ. სტერლინგი მოქმედებს, დანარჩენი 300 გირვ. სტერლინგი კვლავ თავისუფალი რჩება.

მე-3 მიმოქცევის პერიოდი: მე-19—21 კვირა, რომლის ბოლოს 600 გირვ. სტერლინგი კვლავ უკან ბრუნდება; ამ 600 გირვ. სტერლინგში კაპიტალი I და კაპიტალი II ახლა შერწყმულია ისე, რომ მათი ერთიმეორისაგან გამორჩევა შეუძლებელია.

ამრიგად, მე-51 კვირის ბოლომდე გამოდის 600 გირვ. სტერლ. კაპიტალის გადაბრუნების რვა სრული პერიოდი (I: 1-ლი—9 კვირა; II: მე-7—15; III: მე-13—21; IV: მე-19—27; V: მე-25—33; VI: მე-31—39; VII: მე-37—45; VIII: მე-43—51 კვირა). მაგრამ რადგან 49-ე—51-ე კვირა მიმოქცევის მერვე პერიოდზე მოდის, ამიტომ 300 გირვ. სტერლინგის რაოდენობის გა თავისუფლებული კაპიტალი ამ დროის განმავლობაში წარმოებაში უნდა ჩაებას და მისი მსვლელობა განაგრძოს. ამით გადაბრუნება წლის ბოლოს ასეთი სახით წარმოგვიდგება: 600 გირვანქა სტერლინგმა თავისი წრებრუნვა რვაჯერ შეასრულა, ეს შეადგენს 4 800 გირვ. სტერლინგს. ამას უნდა მივუმატოთ უკანასკნელი სამი კვირის (49-ე — 51-ის) პროდუქტი, მაგრამ ამან თავისი 9-კვირიანი წრებრუნვის მხოლოდ მესამედი შეასრულა, მაშასადამე, გადაბრუნების ჯამში ჩასარიცხავია მისი თანხის მხოლოდ ერთი მესამედი, 100 გირვ. სტერლინგი. ამრიგად, თუ 51-კვირიანი წლის პროდუქტი უდრის 5 100 გირვ. სტერლინგს, გადაბრუნებული კაპიტალი შეადგენს მხოლოდ 4 800 + 100 = 4 900 გირვ. სტერლინგს; მაშასადამე, 900 გირვ. სტერლინგის რაოდენობით ავანსებული მთელი კაპიტალი გადაბრუნდა $5^{1}/_{9}$-ჯერ, ე. ი. ცოტათი მეტად, ვიდრე I შემთხვევაში.

განხილულ მაგალითში ნაგულისხმევია შემთხვევა, როდესაც სამუშაო დრო შეადგენს გადაბრუნების პერიოდის ⅔-ს, ხოლო მიმოქცევის დრო—⅓-ს, მაშასადამე, სამუშაო დრო მიმოქცევის დროის უბრალო ჯერადია. აქ საკითხავია: ექნება თუ არა ადგილი კაპიტალის ზემოაღნიშნულ განთავისუფლებას სხვა პირობებშიც.

ვიგულისხმოთ, რომ სამუშაო პერიოდი = 5 კვირას, მიმოქცევის დრო = 4 კვირას, ყოველკვირეულად ავანსად გასაღები კაპიტალი = = 100 გირვ. სტერლინგს.

I გადაბრუნების პერიოდი: 1-ლი—9 კვირა.

1-ლი სამუშაო პერიოდი: 1-ლი—5 კვირა. მოქმედებს კაპიტალი I = 500 გირვ. სტერლინგი.

1-ლი მიმოქცევის პერიოდი: მე-6 — 9 კვირა. მე-9 კვირის ბოლოს 500 გირვ. სტერლინგი უკუმოედინება ფულის სახით.

II გადაბრუნების პერიოდი: მე-6 — 14 კვირა.

მე-2 სამუშაო პერიოდი: მე-6 — 10 კვირა.

პირველი ნაწილი: მე-6 — 9 კვირა. მოქმედებს კაპიტალი II = 400 გირვ. სტერლ. მე-9 კვირის ბოლოს ფულის სახით უკუმოედინება კაპიტალი I = 500 გირვ. სტერლინგი.

მე-2 ნაწილი: მე-10 კვირა. უკანდაბრუნებული 500 გირვ. სტერლინგიდან მოქმედებს 100 გირვ. სტერლინგი. დანარჩენი 400 გირვ. სტერლინგი თავისუფალი რჩება შემდგომი სამუშაო პერიოდისათვის.

მე-2 მიმოქცევის პერიოდი: მე-11 — 14 კვირა. მე-14 კვირის ბოლოს 500 გირვ. სტერლინგი უკუმოედინება ფულის სახით.

მე-14 კვირის ბოლომდე (მე-11 — 14) მოქმედებს უწინ განთავისუფლებული 400 გირვ. სტერლინგი. შემდგომ უკან დაბრუნებული 500 გირვ. სტერლინგიდან 100 გირვ. სტერლინგი შეავსებს იმ თანხას, რაც აუცილებელია მესამე სამუშაო პერიოდის (მე-11 — 15 კვირის) საჭიროებისათვის, ასე რომ ხელახლა თავისუფლდება 400 გირვ. სტერლინგი მეოთხე სამუშაო პერიოდისათვის. იგივე მოვლენა მეორდება თვითეულ სამუშაო პერიოდში, რომლის დასაწყისში ყოველთვის მოიპოვება 400 გირვ. სტერლინგი, რომელიც საკმარისია პირველი 4 კვირისათვის. მე-4 კვირის ბოლოს უკუმოედინება ფულის სახით 500 გირვ. სტერლინგი. რომლიდანაც უკანასკნელი კვირისათვის მხოლოდ 100 გირვ. სტერლინგია საჭირო; დანარჩენი 400 გირვ. სტერლინგი თავისუფლდება შემდგომი სამუშაო პერიოდისთვის.

ავიღოთ, შემდეგ, 7-კვირიანი სამუშაო პერიოდი 700 გირვ. სტერლინგის რაოდენობის I კაპიტალით, 2-კვირიანი მიმოქცევის პერიოდი 200 გირვ. სტერლინგის რაოდენობის II კაპიტალით.

ამ შემთხვევაში პირველი გადაბრუნების პერიოდი გრძელდება 1-ლი—9 კვირის განმავლობაში, ამათში პირველი სამუშაო პერიოდია 1-ლი — 7 კვირა 700 გირვ. სტერლინგი ავანსებული კაპიტალით, ხოლო მიმოქცევის პირველი პერიოდია მე-8 — 9 კვირა. მე-9 კვირის ბოლოს 700 გირვ. სტერლინგი უკუმოედინება ფულის სახით.

მეორე გადაბრუნების პერიოდი, მე-8—16 კვირა, შეიცავს მეორე სამუშაო პერიოდს, მე-8 — 14 კვირას. აქედან მე-8 და მე-9 კვირის მოთხოვნილება იფარება II კაპიტალით. მე-9 კვირის ბოლოს უკუმოედინება წინანდელი 700 გირვ. სტერლინგი; აქედან 500 გირვ. სტერლინგი საქმეში მოიხმარება სამუშაო პერიოდის ბოლომდე (მე-10—

14 კვირა); 200 გირვ. სტერლინგი თავისუფალი რჩება შემდგომი სამუშაო პერიოდისათვის. მეორე მიმოქცევის პერიოდი გრძელდება მე-15—16 კვირას; მე-16 კვირის ბოლოს ხელახლა უკუმოედინება 700 გირვ. სტერლინგი. შემდეგ თვითეულ სამუშაო პერიოდში მეორდება იგივე მოვლენა. მოთხოვნილება კაპიტალზე პირველი ორი კვირის განმავლობაში იფარება 200 გირვ. სტერლინგით, რომელიც წინა სამუშაო პერიოდის ბოლოს განთავისუფლდა; მე-2 კვირის ბოლოს უკუმოედინება 700 გირვ. სტერლინგი, მაგრამ ჯერ სამუშაო პერიოდის მთოლოდ 5 კვირა გავიდა, ასე რომ მას მხოლოდ 500 გირვ. სტერლინგის დახარჯვა შეუძლია, მაშასადამე, 200 გირვ. სტერლინგი მუდამ თავისუფალი რჩება შემდგომი სამუშაო პერიოდისათვის.

ამრიგად, ირკვევა, რომ ჩვენს შემთხვევაში, სადაც ნავარაუდევი იყო, რომ სამუშაო პერიოდი მიმოქცევის პერიოდზე უფრო დიდია, თვითეული სამუშაო პერიოდის ბოლოს ყველა გარემოებაში, მოიპოვება თავისუფალი ფულადი კაპიტალი, რომელიც იმავე რაოდენობისაა, რა რაოდენობისაცაა მიმოქცევის პერიოდისათვის ავანსებული კაპიტალი II. ჩვენს სამ მაგალითში კაპიტალი II უდრიდა: პირველში 300 გირვ. სტერლინგს, მეორეში — 400 გირვ. სტერლინგს; მესამეში — 200 გირვ. სტერლინგს; ამის შესაბამისად თვითეული სამუშაო პერიოდის ბოლოს განთავისუფლებული კაპიტალი თანმიმდევრობით შეადგენდა 300, 400 და 200 გირვ. სტერლინგს.

III. სამუშაო პერიოდი მიმოქცევის პერიოდზე ნაკლებია

ჩვენ ჯერ კვლავ 9-კვირიან გადაბრუნების პერიოდს ვგულისხმობთ; აქედან 3 კვირა შეადგენს სამუშაო პერიოდს, რომლისათვისაც კაპიტალისტის განკარგულებაშია კაპიტალი I=300 გირვ. სტერლინგს. ვთქვათ, მიმოქცევის პერიოდი გრძელდება 6 კვირას. ამ 6 კვირისათვის საჭიროა 600 გირვ. სტერლინგის რაოდენობის დამატებითი კაპიტალი, რომელიც ჩვენ კვლავ შეგვიძლია დავყოთ ორ კაპიტალად, თითო 300 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, ამასთან თვითეული მათგანი ერთ სამუშაო პერიოდს ავსებს. მაშინ ჩვენ გვაქვს სამი კაპიტალი, თითო 300 გირვ. სტერლინგის რაოდენობით; აქედან 300 გირვ. სტერლ. ყოველთვის დაბანდებულია წარმოებაში, ხოლო 600 გირვ. სტერლინგი მიმოიქცევა.

ცხრილი III.

კაპიტალი I.

გადაბრუნების პერიოდები	სამუშაო პერიოდები	მიმოქცევის პერიოდები
I. 1— 9 კვირა	1— 3 კვირა	4— 9 კვირა
II. 10—18 »	10—12 »	13—18 »
III. 19—27 »	19—21 »	22—27 »
IV. 28—36 »	28—30 »	31—36 »
V. 37—45 »	37—39 »	40—45 »
VI. 46—(54) »	46—48 »	49—(54) »

კაპიტალი II:

გადაბრუნების პერიოდები	სამუშაო პერიოდები	მიმოქცევის პერიოდები
I. 4—12 კვირა	4— 6 კვირა	7—12 კვირა
II. 13—21 »	13—15 »	16—21 »
III. 22—30 »	22—24 »	25—30 »
IV. 31—39 »	31—33 »	34—39 »
V. 40—48 »	40—42 »	43—48 »
VI. 49—(57) »	49—51 »	(52—57) »

კაპიტალი III:

გადაბრუნების პერიოდები	სამუშაო პერიოდები	მიმოქცევის პერიოდები
I. 7—15 კვირა	7— 9 კვირა	10—15 კვირა
II. 16—24 »	16—18 »	19—24
III. 25—33 »	25 27 »	28—33 »
IV. 34—42 »	34—36 »	37—42 »
V. 43—51 »	43—45 »	46—51 »

ჩვენ აქ გვაქვს ზუსტად I შენთხვევის მსგავსი სურათი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა ნაცვლად ორისა სამი კაპიტალი რიგ-რიგობით ცვლის ერთმანეთს. კაპიტალების გადაჯვარედინებას ანუ გადახლართვას ადგილი არა აქვს; ყოველ ცალკეულ კაპიტალს შეიძ-ლება განცალკევებულად ვადევნოთ თვალყური წლის ბოლომდე. მა-

შასადამე, აქაც, ისევე როგორც I შემთხვევაში, ადგილი არა აქვს კაპიტალის განთავისუფლებას სამუშაო პერიოდის ბოლოს. კაპიტალი I მთლიანად დახარჯულია მე-3 კვირის ბოლოს, მთლიანად უკუმოდინება მე-9 კვირის ბოლოს და ხელახლა იწყებს მოქმედებას მე-10 კვირის დამდეგს. იგივე შეეხება II და III კაპიტალებსაც. სწორი და სრული ცვლა ერთი კაპიტალისა მეორეთი გამორიცხავს კაპიტალების ყოველგვარ განთავისუფლებას.

ერთობლივი გადაბრუნება გამოიანგარიშება ასე:

კაპიტალი I	300	გირვ.	სტერლ.	× 5⅔ = 1 700	გირვ.	სტერლინგი.
» II	300	»	»	× 5⅓ = 1 600	»	»
» III	300	»	»	× 5 = 1 500	»	»
მთელი კაპიტალი	900	გირვ.	სტერლ.	× 5⅓ = 4 800	გირვ.	სტერლინგი.

ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი. სადაც მიმოქცევის პერიოდი არ წარმოადგენს სამუშაო პერიოდის ზუსტ ჯერადს; მაგალითად, სამუშაო პერიოდი 4 კვირაა, მიმოქცევის პერიოდი — 5 კვირა; ამ შემთხვევაში წესაბამისი კაპიტალთა ოდენობა იქნებოდა: კაპიტალი I = 400 გირვ. სტერლინგს, კაპიტალი II = 400 გირვ. სტერლინგს, კაპიტალი III = 100 გირვ. სტერლინგს. ჩვენ ვიძლევით მხოლოდ პირველი სამი გადაბრუნების სქემას:

ცხრილი IV.

კაპიტალი I:

გადაბრუნების პერიოდები	სამუშაო პერიოდები	მიმოქცევის პერიოდები
I. 1—9 კვირა	1—4 კვირა	5—9 კვირა
II. 9—17 »	9. 10—12 »	13—17 »
III. 17—25 »	17. 18—20 »	21—25 »

კაპიტალი II:

გადაბრუნების პერიოდები	სამუშაო პერიოდები	მიმოქცევის პერიოდები
I. 5—13 კვირა	5—8 კვირა	9—13 კვირა
II. 13—21 »	13. 14—16 »	17—21 »
III. 21—29 »	21. 22—24 »	25—29 »

კაპიტალი III:

გადაბრუნების პერიოდები	სამუშაო პერიოდები	მიმოქცევის პერიოდები
I. 9—17 კვირა	9 კვირა	10—17 კვირა
II. 17—25 »	17 »	18—25 »
III. 25—33 »	25 »	26—33 »

კაპიტალების გადახლართვას აქ ადგილი აქვს იმდენად, რამდენადაც სამუშაო პერიოდი III კაპიტალისა, რომელიც საკმარისია მხოლოდ ერთი კვირისათვის და რომელსაც ამიტომ დამოუკიდებელი სამუშაო პერიოდი არა აქვს, ემთხვევა I კაპიტალის პირველ სამუშაო კვირას. მაგრამ სამაგიეროდ როგორც I კაპიტალის, ისე II კაპიტალის სამუშაო პერიოდის დასასრულს თავისუფლდება III კაპიტალის ტოლი თანხა 100 გირვ. სტერლინგის ოდენობით. მართლაც, თუ III კაპიტალი I კაპიტალის პირველ და ყველა მომდევნო სამუშაო პერიოდს პირველ კვირას შეავსებს და ამ პირველი კვირის ბოლოს მთელი I კაპიტალი, 1400 გირვ. სტერლინგი, უკუმოედინება, მაშინ I კაპიტალის სამუშაო პერიოდის დანარჩენი ნაწილი უდრის სულ 3 კვირას და კაპიტალის სათანადო დანახარჯი შეადგენს 300 გირვ. სტერლინგს. ამგვარად განთავისუფლებული 100 გირვ. სტერლინგი საკმარისი იქნება შემდეგ II კაპიტალის იმ სამუშაო პერიოდის პირველი კვირისათვის, რომელიც უშუალოდ მოსდევს მას; ამ კვირის ბოლოს უკუმოედინება მთელი II კაპიტალი 400 გირვ. სტერლინგის რაოდენობით; მაგრამ რადგან უკვე დაწყებულ სამუშაო პერიოდს კიდევ მხოლოდ 300 გირვ. სტერლინგის შთანთქმა შეუძლია, ამიტომ მისი დასრულების შემდეგ კვლავ თავისუფალი რჩება 100 გირვ. სტერლინგი და ასე შემდგომ. მაგასადამე, იმ შემთხვევაში, როდესაც მიმოქცევის დრო არ წარმოადგენს სამუშაო პერიოდის უბრალო ჯერადს, სამუშაო პერიოდის ბოლოს ხდება კაპიტალის განთავისუფლება; ამასთან ეს განთავისუფლებული კაპიტალი უდრის კაპიტალის იმ ნაწილს, რომელმაც უნდა შეავსოს ის დრო, რომლითაც მიმოქცევის პერიოდი მეტია სამუშაო პერიოდზე ან სამუშაო პერიოდის ჯერადზე.

ყველა გამოკვლეულ შემთხვევაში ნავარაუდევი იყო, რომ სამუშაო პერიოდი და მიმოქცევის დრო მთელი წლის განმავლობაში იგივე რჩებოდა თვითეულ აქ განხილულ საწარმოში. ეს ვარაუდი აუცილებელი იყო, რაკი ჩვენ გვინდოდა გამოგვერკვია მიმოქცევის დროის გავლენა გადაბრუნებასა და ავანსებული კაპიტალის სიდიდეზე. საქმე

სრულიად არ ბცვლება იმის გამო, რომ ასეთი ვარაუდი სინამდვილეში არ ხორციელდება ასე უცილობლად და ხშირად იგი სულაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

მთელ ამ განყოფილებაში ჩვენ განვიხილავდით მხოლოდ საბრუნავი კაპიტალის გადაბრუნებას და არა ძირითადისას. ამის მიზეზი კი უბრალოდ ის იყო, რომ განხილულ საკითხს არავითარი კავშირი არა აქვს ძირითად კაპიტალთან. წარმოების პროცესში გამოყენებული შრომის საშუალებანი და სხვ. მხოლოდ იმდენად წარმოადგენენ ძირითად კაპიტალს, რამდენადაც მათი ხმარების დროის ხანგრძლიობა საბრუნავი კაპიტალის გადაბრუნების პერიოდზე უფრო დიდია, რამდენადაც ის დრო, რომლის განმავლობაშიც ეს შრომის საშუალებანი განაგრძობენ სამსახურს მუდამ განმეორებულ შრომის პროცესებში. უფრო დიდია, ვიდრე საბრუნავი კაპიტალის გადაბრუნების პერიოდი, რამდენადაც იგი, მაშასადამე, საბრუნავი კაპიტალის n გადაბრუნების პერიოდებს უდრის. უფრო გრძელი იქნება მთელი დრო, რომელსაც საბრუნავი კაპიტალის გადაბრუნების ეს n პერიოდები შეადგენენ, თუ უფრო მოკლე, ეს სულ ერთია, მწარმოებლური კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ავანსებული იყო ამ დროისათვის ძირითადი კაპიტალის სახით, მაინც არ იქნება ამ დროის ფარგლებში ხელახლა ავანსებული. მწარმოებლური კაპიტალის ეს ნაწილი განაგრძობს მოქმედებას თავისი წინანდელი სახმარი ფორმით. განსხვავება მხოლოდ შემდეგში მდგომარეობს: საბრუნავი კაპიტალის თვითეულ გადაბრუნების პერიოდში შემავალი ცალკეული სამუშაო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად, ძირითადი კაპიტალი თავისი თავდაპირველი ღირებულების მეტ თუ ნაკლებ ნაწილს გადასცემს ამ სამუშაო პერიოდის პროდუქტს, და თვითეულ გადაბრუნების პერიოდში შემავალი მიმოქცევის დროის ხანგრძლიობის შესაბამისად, ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ძირითადმა კაპიტალმა პროდუქტს გადასცა, უფრო სწრაფად ან უფრო ნელა უკუმოედინება ფულის სახით. ბუნება საგნისა, რომელსაც ჩვენ ამ განყოფილებაში ვარკვევთ, — მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავი ნაწილის გადაბრუნება, — გამომდინარეობს კაპიტალის თვით ამ ნაწილის ბუნებიდან. ერთ სამუშაო პერიოდში გამოყენებული საბრუნავი კაპიტალის ახალ სამუშაო პერიოდში გამოყენება არ შეიძლება, ვიდრე იგი არ დაამთავრებს თავის გადაბრუნებას, არ გადაიქცევა საქონლურ კაპიტალად, აქედან — ფულად კაპიტალად და ამ უკანასკნელიდან—ისევ მწარმოებლურ კაპიტალად. ამიტომ, იმისათვის, რომ პირველ სამუშაო პერიოდს დაუყოვნებლივ და უწყვეტად მიჰყვებოდეს მეორე პერიოდი, საჭიროა კაპიტალის ხელახლა ავანსად

ვალება და მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავ ელემენტებად გარდაქმნა, და ამასთან ისეთი რაოდენობით, რაც საკმარისია პირველი სამუშაო პერიოდისათვის ავანსებული საბრუნავი კაპიტალის სამიმოქცევო პერიოდის შედეგად წარმოქმნილი ხარვეზების ამოსავსებად. სწორედ აქედან გამომდინარეობს საბრუნავი კაპიტალის სამუშაო პერიოდის ხანგრძლიობის გავლენა შრომის პროცესის მასშტაბზე ამა თუ იმ წარმოებაში და იმაზე, თუ როგორ ნაწილდება ავანსებული კაპიტალი, ე. ი. გავლენა კაპიტალის დამატებით ავანსად გასაღები ძველი ნაწილების სიდიდეზე. მაგრამ ეს სწორედ ის არის, რაც ამ განყოფილებაში ჩვენი გამოკვლევის საგანს შეადგენდა.

IV. შედეგები

აქამდე ჩატარებულ გამოკვლევიდან გამომდინარეობს შემდეგი:

1) *A*. ის სხვადასხვა ნაწილი, რომლებადაც კაპიტალი უნდა დაიყოს, რათა მისი ერთი ნაწილი განუწყვეტლივ იყოს სამუშაო პერიოდში, მაშინ როდესაც სხვა ნაწილები მიმოქცევის პერიოდში იქნებიან, — ეს სხვადასხვა ნაწილი, როგორც დამოუკიდებელი კერძო კაპიტალები, ორ შემთხვევაში ცვლის ერთიმეორეს: 1) თუ სამუშაო პერიოდი უდრის მიმოქცევის პერიოდს, მაშასადამე, თუ გადაბრუნების პერიოდი ორ თანაბარ ნაკვეთად იყოფა; 2) თუ მიმოქცევის პერიოდი სამუშაო პერიოდზე უფრო ხანგრძლივია, მაგრამ ამავე დროს სამუშაო პერიოდის უბრალო ჯერადს წარმოადგენს, ასე რომ ერთი მიმოქცევის პერიოდი = *n* სამუშაო პერიოდს, სადაც *n* მთელი რიცხვი უნდა იყოს. ამ შემთხვევებში თანმიმდევრობით ავანსებული კაპიტალის არც ერთი ნაწილი არ თავისუფლდება.

2) *B*. პირიქით, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც: 1) მიმოქცევის პერიოდი სამუშაო პერიოდზე უფრო დიდია და მის უბრალო ჯერადს არ წარმოადგენს და 2) როდესაც სამუშაო პერიოდი მიმოქცევის პერიოდზე უფრო დიდია, — ამ შემთხვევებში თვითეული სამუშაო პერიოდის ბოლოს, მეორე გადაბრუნებიდან დაწყებული, მუდამ და პერიოდულად განთავისუფლდება მთელი საბრუნავი კაპიტალის განსაზღვრული ნაწილი. ამასთან, თუ სამუშაო პერიოდი მიმოქცევის პერიოდზე უფრო დიდია, ეს განთავისუფლებული კაპიტალი უდრის მთელი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც მიმოქცევის პერიოდისათვის არის ავანსებული, ხოლო თუ მიმოქცევის პერიოდი სამუშაო პერიოდზე უფრო დიდია, ეს კაპიტალი უდრის კაპიტალის იმ ნაწილს,

რომელმაც უნდა შეავსოს მიმოქცევის პერიოდის ნამეტი სამუშაო პერიოდთან ან სამუშაო პერიოდების ჯერადთან შედარებით.

C. აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალისათვის, თუ მას მისი საბრუნავი ნაწილის მიხედვით განვიხილავთ, კაპიტალის განთავისუფლება უნდა წარმოადგენდეს ზოგად წესს, ხოლო წარმოების პროცესში თანმიმდევრობით მოქმედი კაპიტალის ნაწილების უბრალო მონაცვლეობა — გამონაკლისს. ეს იმიტომ, რომ სამუშაო პერიოდისა და მიმოქცევის პერიოდის ტოლობას ანუ მიმოქცევის პერიოდის ტოლობას სამუშაო პერიოდის უბრალო ჯერადთან, — გადაბრუნების პერიოდის ორი შემადგენელი ნაწილის ამ მართებულ პროპორციულობას — არავითარი კავშირი არა აქვს საგნის ბუნებასთან და ამიტომ საერთოდ და მთლიანად მას მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

მაშასადამე, ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებრივი საბრუნავი კაპიტალისა, რომელიც წლის მანძილზე რამდენიმე გადაბრუნებას ასრულებს, წლიური გადაბრუნების ციკლის განმავლობაში პერიოდულად მიიღებს განთავისუფლებული კაპიტალის ფორმას.

შემდეგ, ცხადია, რომ, თუ ყველა სხვა გარემოებას უცვლელად ვიგულისხმებთ, ამ განთავისუფლებული კაპიტალის სიდიდე იზრდება შრომის პროცესის მოცულობასთან ანუ წარმოების მასშტაბთან ერთად, მაშასადამე, იზრდება საერთოდ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად. *B*. 2)-ით აღნიშნულ შემთხვევაში — იმიტომ, რომ იზრდება მთელი ავანსებული კაპიტალი; *B*. 1)-ით აღნიშნულ შემთხვევაში — იმიტომ, რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად იზრდება მიმოქცევის პერიოდის ხანგრძლიობა, მაშასადამე, გადაბრუნების პერიოდის ხანგრძლიობაც იმ შემთხვევებში <როცა სამუშაო პერიოდი ნაკლებია მიმოქცევის პერიოდზე და როცა არ არსებობს მართებული შეფარდება ორივე პერიოდს შორის>.

პირველ შემთხვევაში ყოველკვირეულად უნდა დახარჯულიყო, მაგალითად, 100 გირვ. სტერლინგი. ექვსკვირეული სამუშაო პერიოდისთვის — 600 გირვ. სტერლინგი, სამკვირეული მიმოქცევის პერიოდისთვის — 300 გირვ. სტერლინგი, სულ — 900 გირვ. სტერლინგი. აქ ყოველთვის განთავისუფლდება 300 გირვ. სტერლინგი. პირიქით, თუ ყოველკვირეულად 300 გირვ. სტერლინგი იხარჯება, ჩვენ გვაქვს სამუშაო პერიოდისათვის 1 800 გირვ. სტერლინგი, მიმოქცევის პერიოდისათვის 900 გირვ. სტერლინგი, მაშასადამე, პერიოდულად განთავისუფლდება უკვე 900 გირვ. სტერლინგი ნაცვლად 300 გირვ. სტერლინგისა.

D. ნთელი კაპიტალი, მაგალითად, 900 გირვ. სტერლინგი, უნდა გაიყოს ორ ნაწილად: როგორც წინათ, 600 გირვ. სტერლ. სამუშაო პერიოდისათვის და 300 გირვ. სტერლ. მიმოქცევის პერიოდისათვის. ის ნაწილი, რომელიც ნამდვილად იხარჯება შრომის პროცესში, ამის გამო შემცირდება ერთი მესამედით, 900 გირვ. სტერლინგიდან ჩამოვა 600 გირვ. სტერლინგზე, და ამიტომ წარმოების მასშტაბი შემცირდება ერთი მესამედით. მეორე მხრივ, 300 გირვ. სტერლინგი მოქმედებს მხოლოდ იმისათვის, რომ სამუშაო პერიოდი არ შეწყდეს, რომ წლის ყოველ კვირაში შეიძლებოდეს 100 გირვ. სტერლინგის ხარჯვა შრომის პროცესში.

აბსტრაქტულად რომ ვთქვათ, სულ ერთია: 600 გირვ. სტერლინგი $8 \times 6 = 48$ კვირის განმავლობაში (პროდუქტი = 4 800 გირვ. სტერლ.) მუშაობს, თუ მთელი 900 გირვ. სტერლინგი კაპიტალი იხარჯება შრომის პროცესში 6 კვირის განმავლობაში და შემდეგ უქმად ძევს სამკვირეული მიმოქცევის პერიოდის განმავლობაში. უკანასკნელ შემთხვევაში ეს კაპიტალი 48 კვირის განმავლობაში $6 \times 5^1/_3 = 32$ კვირას იმუშავებდა (პროდუქტი = $900 \times 5^1/_3 = 4\,800$ გირვ. სტერლინგს) და 16 კვირას უქმად იდებოდა. მაგრამ, — თუნდაც რომ მხედველობაში არ მივიღოთ ძირითადი კაპიტალის უფრო მნიშვნელოვანი გაფუმჭება 16 კვირეული უმოქმედობის განმავლობაში და იმ შრომის გაძვირება, რომლის გადახდაც მთელი წლის მანძილზე უნდა ხდებოდეს, თუმცა იგი წლის მხოლოდ ერთი ნაწილის განმავლობაში მოქმედებს, — წარმოების პროცესის ასეთი რეგულარული შეწყვეტა საერთოდ შეუთავსებადია თანამედროვე მსხვილი მრეწველობის წარმართვასთან. თვით ეს უწყვეტობა ერთგვარი მწარმოებლური ძალაა შრომისა.

თუ ახლა უფრო ახლოს განვიხილავთ განთავისუფლებულ კაპიტალს, რომლის მოქმედება სინამდვილეში ვადაგადადებულია, აღმოჩნდება, რომ მის მნიშვნელოვან ნაწილს მუდამ უნდა ჰქონდეს ფულადი კაპიტალის ფორმა. შევჩერდეთ ასეთ მაგალითზე: სამუშაო პერიოდი 6 კვირაა, მიმოქცევის პერიოდი — 3 კვირა, კვირაში იხარჯება 100 გირვ. სტერლინგი. მეორე სამუშაო პერიოდის შუაში, მე-9 კვირის ბოლოს, უკუმოედინება 600 გირვ. სტერლინგი, რომლიდანაც მხოლოდ 300 გირვ. სტერლინგი უნდა დაიხარჯოს სამუშაო პერიოდის დანარჩენი ნაწილის განმავლობაში. მაშასადამე, მეორე სამუშაო პერიოდის ბოლოს ამ თანხიდან განთავისუფლდება 300 გირვ. სტერლინგი. რა მდგომარეობაში იმყოფება ეს 300 გირვ. სტერლინგი? ვიგულისხმოთ, რომ $^1/_3$ უნდა დაიხარჯოს ხელფასზე, $^2/_3$ — ნედლეულსა და დამხმარე

მასალაზე. მაშასადამე, უკანდაბრუნებული 600 გირვ. სტერლინგიდან ხელფასისთვის განკუთვნილი 200 გირვ. სტერლინგი არის ფულად ფორმაში, ხოლო 400 გირვ. სტერლინგი — საწარმოო მარაგის ფორმაში, მწარმოებლური კაპიტალის მუდმივი ნაწილის საბრუნავი ელემენტების ფორმაში. მაგრამ რადგან II სამუშაო პერიოდის მეორე ნახევრისათვის ამ საწარმოო მარაგის მხოლოდ ნახევარია საჭირო, ამიტომ მისი მეორე ნახევარი 3 კვირის განმავლობაში იმყოფება ჭარბი საწარმოო მარაგის ფორმაში, ე. ი. მარაგისა, რომელიც ერთი სამუშაო პერიოდის მოთხოვნილებას აღემატება. მაგრამ კაპიტალისტმა იცის, რომ უკან დაბრუნებული კაპიტალის ამ ნაწილიდან (= 400 გირვ. სტერლ.) მომდინარე სამუშაო პერიოდისათვის მას სჭირდება მხოლოდ ნახევარი = 200 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, ბაზრის პირობებზე იქნება დამოკიდებული, ამ 200 გირვ. სტერლინგს მაშინვე გადააქცევს იგი მთლიანად ან მხოლოდ ნაწილობრივ ისევ ჭარბ საწარმოო მარაგად თუ, ბაზრის უფრო ხელსაყრელი პირობების მოლოდინში, ამ თანხას იგი მთლად ან ნაწილობრივ გააჩერებს ფულადი კაპიტალის სახით. მეორე მხრივ, თავისთავად იგულისხმება, რომ ხელფასად დასახარჯავი ნაწილი = 200 გირვ. სტერლინგს, ფულად ფორმაში იქნება გაჩერებული. კაპიტალისტს, მას შემდეგ, რაც მან სამუშაო ძალა იყიდა, არ შეუძლია ეს ძალა საქონლის საწყობში დადოს ნედლი მასალის მსგავსად. მან იგი წარმოების პროცესში უნდა ჩააბას და ყოველი კვირის ბოლოს გაისტუმროს. მაშასადამე, 300 გირვ. სტერლინგი განთავისუფლებული კაპიტალიდან ყოველ შემთხვევაში ამ 100 გირვ. სტერლინგს ექნება განთავისუფლებული, ე. ი. ისეთი ფულადი კაპიტალის ფორმა, რომელიც სამუშაო პერიოდისათვის არაა საჭირო. ამრიგად, ფულადი კაპიტალის სახით განთავისუფლებული კაპიტალი უნდა უდრიდეს, სულ ცოტა, კაპიტალის ცვალებად ნაწილს. ხელფასზე დახარჯულს; ამ ფულადი კაპიტალის მაქსიმუმმა შეიძლება მიაღწიოს მთელი განთავისუფლებული კაპიტალის ჯამს. სინამდვილეში მისი ოდენობა მუდამ ირყევა ამ მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის.

მარტოოდენ გადაბრუნების მოძრაობის მექანიზმის გამო ასე განთავისუფლებული ფულადი კაპიტალი (იმ ფულადი კაპიტალის გვერდით, რომელიც ძირითადი კაპიტალის თანმიმდევრული უკუმოდინების გზით წარმოიქმნება, და იმ ფულად კაპიტალთან ერთად, რომელიც ყოველ შრომის პროცესში საჭიროა ცვალებადი კაპიტალისათვის) მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რამდენადაც საკრედიტო სისტემა ვითარდება, და ამავე დროს ამ უკანასკნელის ერთ-ერთ საფუძველს უნდა შეადგენდეს.

დავუშვათ, რომ ჩვენს მაგალითში მიმოქცევის დრო მოკლდება სამიდან ორ კვირამდე. ეს, ვთქვათ, ნორმალური მოვლენა კი არაა, არამედ ხელსაყრელი კონიუნქტურის, გადახდის ვადების შემოკლებისა და სხვათა შედეგია. 600 გირვ. სტერლინგი კაპიტალი, რომელიც სამუშაო პერიოდის განმავლობაში დაისარჯა, უკუმოედინება ერთი კვირით ადრე, ვიდრე საჭიროა, მაშასადამე, იგი ამ კვირისათვის განთავისუფლებულია. შემდეგ, სამუშაო პერიოდის შუაში, როგორც უწინ, თავისუფლდება 300 გირვ. სტერლინგი (იმ 600 გირვ. სტერლინგის ნაწილი), მაგრამ თავისუფლდება 4 კვირით ნაცვლად 3 კვირისა. მაშასადამე, ფულის ბაზარზე იმყოფება ერთი კვირის განმავლობაში 600 გირვ. სტერლინგი, ხოლო 300 გირვ. სტერლინგი იმყოფება 4 კვირის განმავლობაში, ნაცვლად 3 კვირისა. რადგან ეს შეეხება არა მარტო ერთ კაპიტალისტს, არამედ ბევრს, და რადგან ეს ხდება სხვადასხვა დროს წარმოების სხვადასხვა დარგში, ამიტომ ბაზარზე მეტი თავისუფალი ფულადი კაპიტალი ჩნდება. თუ ასეთი მდგომარეობა შედარებით დიდხანს გაგრძელდა, წარმოება გაფართოვდება, სადაც კი პირობები ამის შესაძლებლობას იძლევა. ნასესხები ფულით მოსაქმე კაპიტალისტები ნაკლებ მოთხოვნას წაუყენებენ ფულის ბაზარს, რაც, ისევე როგორც გადიდებული მიწოდება, შეამსუბუქებს მდგომარეობას ამ ბაზარზე; ანდა, ბოლოს, თანხები, რომლებიც მიმოქცევის მექანიზმისათვის ზედმეტი გახდა, საბოლოოდ გადაისროლება ფულის ბაზარზე.

მიმოქცევის დროის 3-დან 2 კვირამდე და, მაშასადამე, გადაბრუნების პერიოდის 9-იდან 8 კვირამდე შემოკლების გამო ავანსებული კაპიტალის $^1/_9$ ზედმეტი ხდება. ექვსკვირიანი სამუშაო პერიოდი შეიძლება ახლა ისევე უწყვეტად მიმდინარეობდეს 800 გირვ. სტერლინგით, როგორც უწინ 900 გირვ. სტერლინგით მიმდინარეობდა. ამიტომ საქონლური კაპიტალის ღირებულების ნაწილი = 100 გირვ. სტერლ., რაკი ერთხელ უკუგარდაიქმნა ფულად, ამ მდგომარეობაში რჩება როგორც ფულადი კაპიტალი, და აღარ მოქმედებს როგორც ნაწილი წარმოების პროცესისათვის ავანსებული კაპიტალისა. მაშინ როდესაც წარმოება წინანდელი მასშტაბით გრძელდება და სხვა უცვლელ პირობებში, როგორიცაა ფასები და სხვ., ავანსებული კაპიტალის ღირებულების ჯამი 900 გირვ. სტერლინგიდან 800 გირვ. სტერლინგამდე მცირდება; თავდაპირველად ავანსებული ღირებულების ნაშთი 100 გირვ. სტერლინგის რაოდენობით გამოიყოფა ფულადი კაპიტალის ფორმით. როგორც ასეთი იგი გადის ფულის ბაზარზე და აქ მოქმედი კაპიტალის დამატებითს ნაწილს შეადგენს.

აქედან ჩანს, თუ როგორ შეიძლება შეიქმნას ნაჭარბი ფულადი კაპიტალისა,—ნაჭარბი არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ფულადი კაპიტალის მოთხოვნა მის მოწოდებაზე უფრო დიდია; ასეთი ნაჭარბი ყოველთვის შეფარდებითი ნაჭარბია, რასაც ადგილი აქვს, მაგალითად, «მელანქოლიურ პერიოდში», რომლითაც კრიზისის გათავების შემდეგ ახალი ციკლი იწყება. არა, ეს არის ნაჭარბი იმ აზრით, რომ ავანსებული კაპიტალლირებულების განსაზღვრული ნაწილი ზედმეტია ერთობლივი საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესის (რომელიც მიმოქცევის პროცესსაც შეიცავს) გასაგრძობად და ამიტომ გამოიყოფა ფულადი კაპიტალის ფორმით; ეს არის ნაჭარბი, რომელიც წარმოიქმნება წინანდელი მასშტაბით წარმოებისას და წინანდელი ფასების არსებობისას მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ <მოკლდება მიმოქცევის დრო და შესაბამისად მოკლდება გადაბრუნების პერიოდი>. მეტია თუ ნაკლები მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა, — ამას ამ შემთხვევაში არავითარი გავლენა არა აქვს.

ვიგულისხმოთ, რომ მიმოქცევის პერიოდი, პირიქით, გრძელდება. ვთქვათ, 3-დან 5 კვირამდე. მაშინ უკვე შემდგომი გადაბრუნებისას ავანსებული კაპიტალი უკუმოედინება ორი კვირით უფრო გვიან. ამ სამუშაო პერიოდის წარმოების პროცესის უკანასკნელი ნაწილი აღარ შეიძლება წარიმართოს თვით ავანსებული კაპიტალის გადაბრუნების მექანიზმით. ამ მდგომარეობის უფრო გახანგრძლივებისას შეიძლება დაიწყოს წარმოების პროცესის შეკუმშვა, — შეკუმშვა იმ მოცულობისა, რომლითაც იგი წარიმართება, — ისე როგორც წინა შემთხვევაში დაიწყო მისი გაფართოება. მაგრამ იმისათვის, რომ წარმოების პროცესი წინანდელი მასშტაბით გაგრძელდეს, აუცილებელია ავანსებული კაპიტალის გადიდება ამ გახანგრძლივებული მიმოქცევის მთელი პერიოდისათვის $^2/_9$-ით, ე. ი. 200 გირვ. სტერლინგით. ამ დამატებითი კაპიტალის მიღება მხოლოდ ფულის ბაზრიდან შეიძლება. თუ მიმოქცევის პერიოდი გაგრძელდა მეწარმეობის ერთ ან რამდენიმე მსხვილ დარგში, მაშინ მას შეუძლია ზეგავლენა იქონიოს ფულის ბაზარზე. თუკი ამ გავლენას არ აქარწყლებს სხვა საპირისპირო გავლენა. ამ შემთხვევაშიც ცხადი და ნათელია, რომ ასეთი ზეგავლენა, ისე როგორც წინათ განხილული ნაჭარბის წარმოქმნა, სრულიად არაა დაკავშირებული არც საქონელთა ფასების ცვლილებასთან, არც არსებული სამიმოქცევო საშუალებათა მასის ცვლილებასთან.

{ამ თავის დასაბეჭდად გამზადებამ ცოტა სიძნელე როდი შეგვიქმნია თუმცა მარქსი მეტად ძლიერი იყო ალგებრულ გამოანგარიშებაში. მაგრამ მას არ ემარჯვებოდა რიცხვებით ანგარიში, განსაკუთრებით

სავაჭრო ანგარიში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რვეულების სქელი შეკვრა, სადაც თვით მის მიერ მრავალ მაგალითზე დაწვრილებითაა ჩატარებული სავაჭრო ანგარიშწარმოების ყველა წესი. მაგრამ ანგარიშწარმოების ცალკეული წესების ცოდნა და ვაჭრის ყოველდღიურ პრაქტიკულ ანგარიშწარმოებაში ვარჯიშობა სრულიადაც ერთი და იგივე არაა, და, ამრიგად, მარქსი დაიბნა გადაბრუნებათა გამოანგარიშებებში, ასე რომ დაუმთავრებელის გვერდით მას ბოლოს და ბოლოს ზოგი რამ უსწორო და წინააღმდეგობის შემცველი გამოუვიდა. ზემოთ დაბეჭდილ ცხრილებში მე დავტოვე მხოლოდ ის, რაც ყველაზე მარტივი და არითმეტიკულად მართებულია, და ასე მოვიქეცი უმთავრესად შემდეგი მოსაზრებების გამო.

ამ თავსატეხ გამოანგარიშებათა არასწორი შედეგების წყალობით ბარქსმა ერთ — ჩემი აზრით — ფაქტიურად მცირემნიშვნელოვან გარემოებას დაუმსახურებელი მნიშვნელობა მიაკუთვნა. მე მხედველობაში მაქვს ის, რასაც იგი ფულადი კაპიტალის «განთავისუფლებას» უწოდებს. საქმის ნამდვილი ვითარება, ზემოაღნიშნული ვარაუდების თანახმად, ასეთია:

როგორიც არ უნდა იყოს სამუშაო პერიოდისა და მიმოქცევის დროის ხანგრძლიობის შეფარდება, მაშასადამე, I კაპიტალის შეფარდება II კაპიტალთან, — სულ ერთია, პირველი გადაბრუნების დასრულების შემდეგ კაპიტალისტს, სამუშაო პერიოდის ხანგრძლიობის თანატოლ ინტერვალებში, უკან უბრუნდება ფულად ფორმაში თვითეული სამუშაო პერიოდისათვის საჭირო კაპიტალი, — მაშასადამე, თანხა, რომელიც უდრის I კაპიტალს.

თუ სამუშაო პერიოდი = 5 კვირას, მიმოქცევის დრო = 4 კვირას, I კაპიტალი = 500 გირვ. სტერლინგს, მაშინ 500 გირვ. სტერლინგი ფულადი თანხა ყოველთვის უკუმოედინება მე-9, მე-14, მე-19, 24-ე, 29-ე და სხვ. კვირის ბოლოს.

თუ სამუშაო პერიოდი = 6 კვირას, მიმოქცევის დრო = 3 კვირას, I კაპიტალი = 600 გირვ. სტერლინგს, მაშინ 600 გირვ. სტერლინგი ყოველთვის უკუმოედინება მე-9, მე-15, 21-ე, 27-ე, 33-ე და სხვ. კვირის ბოლოს.

დასასრულ, თუ სამუშაო პერიოდი = 4 კვირას, მიმოქცევის დრო = = 5 კვირას, I კაპიტალი = 400 გირვ. სტერლინგს, მაშინ 400 გირვ. სტერლინგი ყოველთვის უკუმოედინება მე-9, მე-13, მე-17, 21-ე, 25-ე და სხვ. კვირის ბოლოს.

არის თუ არა ამ უკან დაბრუნებული ფულის ნაწილი მიმდინარე სამუშაო პერიოდისათვის ზედმეტი, მაშასადამე, განთავისუფლებულია

თუ არა, და რა სიდიდისაა იგი, — ეს არავითარ განსხვავებას არ ქმნის. იგულისხმება, რომ წარმოება მიმდინარეობს უწყვეტად იმავე მასშტაბით, ხოლო იმისათვის, რომ ეს ასე მოხდეს, აუცილებლად უნდა მოიპოვებოდეს ფული, მაშასადამე, იგი უნდა უკუმოედინებოდეს, სულ ერთია, «განთავისუფლებულია» იგი თუ არა. თუ წარმოება შეწყდა, განთავისუფლებაც შეწყდება.

სხვა სიტყვებით: ფულის განთავისუფლება, მაშასადამე, ფულადი ფორმით ფარული, მხოლოდ პოტენციური კაპიტალის წარმოქმნა, რა თქმა უნდა, ხდება, მაგრამ ეს ხდება ყველა გარემოებაში და არა მარტო იმ განსაკუთრებულ პირობებში, რომლებიც ტექსტში დაწვრილებით არის აღნიშნული; თანაც იგი უფრო დიდი მასშტაბით ხდება, ვიდრე ეს ტექსტშია ნავარაუდევი. საბრუნავი I კაპიტალის მიმართ მრეწველი კაპიტალისტი თვითეული გადაბრუნების ბოლოს სრულიად იმავე მდგომარეობაში იმყოფება, როგორც საწარმოს დაარსებისას: მას კვლავ ხელთ აქვს მთლიანად და ერთბაშად საბრუნავი კაპიტალი <ფულადი კაპიტალის სახით>, მაშინ როდესაც მისი ხელახლა მწარმოებლურ კაპიტალად გადაქცევა მას მხოლოდ თანდათან შეუძლია.

ტექსტში მთავარია იმის დასაბუთება, რომ, ერთი მხრივ, სამრეწველო კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი მუდამ უნდა არსებობდეს ფულადი ფორმით, მეორე მხრივ, — კიდევ უფრო მნიშვნელოვანმა ნაწილმა დროდადრო ფულადი ფორმა უნდა მიიღოს. ეს ჩემი დამატებითი შენიშვნები მარტოოდენ სიმტკიცეს თუ მატებს ამ დასაბუთებას. — ფ. ე.)

V. ფასების ცვლილების გავლენა

ზემოთ ჩვენ ვგულისხმობდით, ერთი მხრივ, უცვლელ ფასებს, წარმოების უცვლელ მასშტაბს, მეორე მხრივ, მიმოქცევის დროის შემოკლებას ან გაგრძელებას. ახლა, პირიქით, ვიგულისხმოთ გადაბრუნების პერიოდის უცვლელი ხანგრძლიობა, წარმოების უცვლელი მასშტაბი, მაგრამ, მეორე მხრივ, ფასების ცვლილება, ე. ი. <მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავი ელემენტების ფასების, ე. ი. ნედლი და დამხმარე მასალის და შრომის ფასების> ან მათგან ორი პირველი ელემენტის ფასების დაცემა ან ზრდა. ვთქვათ, ნედლეულის და დამხმარე მასალის ფასი, აგრეთვე ხელფასი სანახევროდ დაეცა. მაშინ ჩვენს მაგალითში საჭირო იქნებოდა ყოველკვირეულად 50 გირვ. სტერლინგი ნაცვლად 100-ისა, ხოლო გადაბრუნების ცხრაკვირიანი პერიოდისათვის — 450

გირვ. სტერლინგი კაპიტალის ავანსად გაღება ნაცვლად 900-ისა. ავანსებული კაპიტალღირებულების 450 გირვ. სტერლინგი უწინარეს ყოვლისა გამოიყოფა როგორც ფულადი კაპიტალი, მაგრამ წარმოების პროცესი გაგრძელდება იმავე მასშტაბით, იმავე გადაბრუნების პერიოდით და მისი წინანდელი დანაწილებით სამუშაო პერიოდად და მიმოქცევის პერიოდად. პროდუქტის წლიური რაოდენობაც წინანდელი დარჩება, მაგრამ მისი ღირებულება სანახევროდ შემცირდება. ეს ცვლილება, რასაც თან ახლავს იმავდროული ცვლილება ფულადი კაპიტალის მიწოდებაში და მის მოთხოვნაში, არაა გამოწვეული არც მიმოქცევის დაჩქარებით და არც მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობის ცვლილებით. პირიქით. მწარმოებლური კაპიტალის ელემენტების ღირებულების—შესაბამისად ფასის—სანახევროდ დაცემას, უწინარეს ყოვლისა, ის გავლენა ექნებოდა, რომ საწარმო X-ის წინანდელი მასშტაბით წარსამართავად ავანსად უნდა გაღებულიყო სანახევროდ შემცირებული კაპიტალღირებულება; და რადგან X საწარმო ამ კაპიტალღირებულებას აავანსებს უწინარეს ყოვლისა ფულადი ფორმით, ე. ი. როგორც ფულად კაპიტალს, — ამიტომ, იგი, მაშასადამე, ფულის წინანდელი რაოდენობის მხოლოდ ნახევარს გადაისვრიდა ბაზარზე. წარმოების ელემენტების ფასების დაცემის შედეგად მიმოქცევაში გადასროლილი ფულის რაოდენობა შემცირდებოდა. ასეთი იქნებოდა პირველი შედეგი.

მაგრამ, მეორე: თავდაპირველად ავანსებული კაპიტალღირებულების, 900 გირვ. სტერლინგის, ნახევარი, ე. ი. 450 გირვ. სტერლინგი, რომელიც: a) რიგრიგობით ფულადი კაპიტალის, მწარმოებლური კაპიტალისა და საქონლური კაპიტალის ფორმას მიიღებდა, b) ერთსა და იმავე დროს ყოველთვის დარჩებოდა ნაწილობრივ ფულადი კაპიტალის ფორმით, ნაწილობრივ მწარმოებლური კაპიტალის ფორმით, ნაწილობრივ კი საქონლური კაპიტალის ფორმით, ამასთან ეს ნაწილები ერთიმეორის გვერდით იქნებოდნენ; ეს ნახევარი გამოიყოფოდა X საწარმოს წრებრუნვიდან და, ამიტომ, ბაზარზე გავიდოდა როგორც დამატებითი ფულადი კაპიტალი, მასზე გავლენას მოახდენდა როგორც დამატებითი შემადგენელი ნაწილი. ეს განთავისუფლებული ფული. 450 გირვ. სტერლინგი, მოქმედებს როგორც ფულადი კაპიტალი არა იმიტომ, რომ იგი X საწარმოს წარსამართავად ზედმეტი ფული გახდა, არამედ იმიტომ, რომ იგი თავდაპირველი კაპიტალღირებულების შემადგენელი ნაწილია და, მაშასადამე, უნდა განაგრძოს მოქმედება როგორც კაპიტალმა და არ უნდა დაიხარჯოს როგორც მიმოქცევის უბრალო საშუალება. უახლოესი ფორმა, რამაც ეს ფული კაპიტალად

უნდა აამოქმედოს, — ესაა მისი ფულის ბაზარზე გადასროლა როგორც ფულადი კაპიტალისა. მეორე მხრივ, შეიძლებოდა აგრეთვე წარმოების მასშტაბი (თუ ძირითად კაპიტალს მხედველობაში არ მივიღებთ) გაორკეცებულიყო. იმავე ავანსებული კაპიტალით, ე. ი. 900 გირვ. სტერლინგით შეიძლებოდა მაშინ წარმოების პროცესის წარმართვა გაორკეცებული მასშტაბით.

მეორე მხრივ, თუ მწარმოებლური კაპიტალის საბრუნავი ელემენტების ფასები სანაცვლოდ გადიდდებოდა, მაშინ ყოველკვირეულად 100 გირვ. სტერლინგის ნაცვლად საჭირო იქნებოდა 150 გირვ. სტერლინგი, მაშასადამე, 900 გირვ. სტერლინგის ნაცვლად — უკვე 1 350 გირვ. სტერლინგი. საწარმოს იმავე მასშტაბით წარმართვისათვის საჭირო იქნებოდა 450 გირვ. სტერლ. დამატებითი კაპიტალი, და ეს, ფულის ბაზრის მდგომარეობის მიხედვით, pro tanto მეტ ან ნაკლებ დაწოლას მოახდენდა ამ ბაზარზე. თუ ბაზარზე ყველა თავისუფალი კაპიტალის მიმართ უკვე წაყენებული იქნებოდა მოთხოვნა, მაშინ თავს იჩენდა გაძლიერებული კონკურენცია თავისუფალი კაპიტალის მოსაპოებლად. კაპიტალის ნაწილი უქმად რომ დებულიყო, იგი pro tanto სამოქმედოდ იქნებოდა გაწვეული.

მაგრამ შესაძლებელია მესამე შემთხვევაც: წარმოების მოცემული მასშტაბის არსებობისას, გადაბრუნების სისწრაფის უცვლელობისას და საბრუნავი მწარმოებლური კაპიტალის ელემენტების ფასების უცვლელობისას, X საწარმოს პროდუქტთა ფასები შეიძლება დაეცეს ან გადიდდეს. თუ X საწარმოს მიერ წარმოებულ საქონელთა ფასი დაეცა, მაშინ ფასი 600 გირვ. სტერლინგი საქონლური კაპიტალისა, რომელსაც იგი მუდამ მიმოქცევის პროცესში გადაისროდა ხოლმე, დაეცემა, მაგალითად, 500 გირვ. სტერლინგამდე. მაშასადამე, ავანსებული კაპიტალის ღირებულების მეექვსედი მიმოქცევის პროცესიდან უკან არ ბრუნდება; იგი იკარგება ამ პროცესში (საქონლურ კაპიტალში მოქცეული ზედმეტი ღირებულება აქ მხედველობაში არ მიიღება). მაგრამ რადგან წარმოების ელემენტების ღირებულება — და სათანადოდ ფასი — წინანდელი რჩება, ამიტომ უკანდაბრუნებული 500 გირვ. სტერლინგი საკმარისია მხოლოდ იმისათვის, რომ აანაზღაუროს $^5/_6$ იმ 600 გირვ. სტერლინგი კაპიტალისა, რომელიც მუდამ წარმოების პროცესშია ჩაბმული. მაშასადამე, იმისათვის, რომ წარმოება წინანდელი მასშტაბით გაგრძელდეს, საჭირო იქნებოდა 100 გირვ. სტერლ. დამატებითი ფულადი კაპიტალის დახარჯვა.

პირიქით: თუ X საწარმოს პროდუქტთა ფასმა აიწია, მაშინ 600 გირვ. სტერლინგის რაოდენობის საქონლური კაპიტალის ფასიც

აიწევს, მაგალითად, 700 გირვ. სტერლინგამდე. მისი ფასის ერთი მეშვიდედი = 100 გირვ. სტერლ., არ მომდინარეობს წარმოების პროცესიდან, არ ყოფილა მასში ავანსებული, არამედ მიმოქცევის პროცესიდან მოედინება, მაგრამ მწარმოებლური ელემენტების ასანაზღაურებლად მხოლოდ 600 გირვ. სტერლინგია საჭირო; მაშასადამე, 100 გირვ. სტერლინგი თავისუფლდება.

იმ მიზეზების შესწავლა, თუ რატომ შემოკლდება ან გაგრძელდება პირველ შემთხვევაში გადაბრუნების პერიოდი, რატომ მაღლა იწევს ან ეცემა მეორე შემთხვევაში ნედლი მასალისა და შრომის ფასები, ხოლო მესამე შემთხვევაში წარმოებულ პროდუქტთა ფასები, — არ შედის იმ საკითხთა წრეში, რომელთაც ჩვენ აქამდე ვიკვლევდით.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ საკითხთა წრეში შედის შემდეგი:

I შემთხვევა. წარმოების უცვლელი მასშტაბი, წარმოების ელემენტებისა და პროდუქტების უცვლელი ფასები, ცვლილება მიმოქცევის პერიოდსა და, მაშასადამე, გადაბრუნების პერიოდში.

ჩვენს მაგალითში ნაგულისხმევის თანახმად, მიმოქცევის პერიოდის შემოკლების გამო $^1/_9$-ით ნაკლები ავანსებული მთელი კაპიტალია საჭირო; ამიტომ ეს კაპიტალი 900 გირვ. სტერლინგიდან 800 გირვ. სტერლინგამდე მცირდება და 100 გირვ. სტერლინგის რაოდენობის ფულადი კაპიტალი გამოიყოფა.

X საწარმო წინანდებურად იმავე ექვს კვირაში იმავე 600 გირვ. სტერლინგის ღირებულების პროდუქტს იძლევა, და რადგან მუშაობა მთელ წელიწადს უწყვეტად მიმდინარეობს, იგი იძლევა 51 კვირაში წინანდელი რაოდენობის პროდუქტს, რომლის ღირებულებაც 5 100 გირვ. სტერლინგს შეადგენს. მაშასადამე, იმ პროდუქტის ოდენობისა და ფასის მხრივ, რომელსაც საწარმო მიმოქცევაში გადაისვრის, არავითარ ცვლილებას არა აქვს ადგილი, ასევე არ ხდება ცვლილება არც იმ ვადების მხრივ. რა ვადებშიც გადაისვრის იგი პროდუქტს ბაზარზე. მაგრამ გამოყოფილია 100 გირვ. სტერლინგი, რადგან მიმოქცევის პერიოდის შემოკლების გამო წინანდელ 900 გირვ. სტერლინგის ნაცვლად პროცესს აკმაყოფილებს მხოლოდ 800 გირვ. სტერლინგის რაოდენობით ავანსებული კაპიტალი. გამოყოფილი კაპიტალის ეს 100 გირვ. სტერლინგი ფულადი კაპიტალის ფორმით არსებობს. მაგრამ იგი სრულიადაც არ წარმოადგენს ავანსებული კაპიტალის ისეთ ნაწილს, რომელიც ფულადი კაპიტალის ფორმით მუდამ უნდა

მოქმედებდეს. წარმოვიდგინოთ, რომ ავანსებული საბრუნავი I კაპიტალიდან, რომელიც = 600 გირვ. სტერლინგს, $^4/_5$, ე. ი. 480 გირვ. სტერლინგი, ყოველთვის წარმოების მასალაზე იხარჯება და $^1/_5$, ე. ი. 120 გირვ. სტერლინგი — ხელფასზე. მაშასადამე, ყოველ-კვირეულად 80 გირვ. სტერლინგი იხარჯება წარმოების მასალაზე, 20 გირვ. სტერლინგი—ხელფასზე. ამგვარადვე კაპიტალი II = 300 გირვ. სტერლინგს, უნდა დაიყოს $^4/_5$-ად = 240 გირვ. სტერლინგს, წარმოების მასალისათვის და $^1/_5$-ად = 60 გირვ. სტერლინგს, ხელფასისათვის. ხელფასზე დასახარჯი კაპიტალი მუდამ უნდა ავანსდებოდეს ფულადი სახით. როგორც კი საქონლური პროდუქტი, რომლის საერთო ღირებულება 600 გირვ. სტერლინგია, ხელახლა გადაიქცევა ფულად ფორმად, როგორც კი იგი გაიყიდება, — აქედან 480 გირვ. სტერლინგი შეიძლება გადაიქცეს წარმოების მასალად (საწარმოო მარაგად), მაგრამ 120 გირვ. სტერლინგი ინარჩუნებს თავის ფულად ფორმას, რათა გამოყენებულ იქნეს ხელფასის გასასტუმრებლად 6 კვირის განმავლობაში. ეს 120 გირვ. სტერლინგი წარმოადგენს უკან დასაბრუნებელი კაპიტალის, 600 გირვ. სტერლინგის, იმ მინიმუმს, რომელიც მუდამ უნდა განახლდეს და ანაზღაურდეს ფულადი კაპიტალის ფორმით და ამიტომ მუდამ უნდა მოიპოვებოდეს როგორც ავანსებული კაპიტალის ფულადი ფორმით მოქმედი ნაწილი.

ახლა, თუ იმ 300 გირვ. სტერლინგიდან, რომელიც პერიოდულად თავისუფლდება სამი კვირით და ასევე პერიოდულად დაიყოფა 240 გირვ. სტერლინგად საწარმოო მარაგისათვის და 60 გირვ. სტერლინგად ხელფასისათვის, მიმოქცევის დროის შემოკლების გამო 100 გირვ. სტერლინგი ფულადი კაპიტალის ფორმით გამოიყოფა და გადაბრუნების მექანიზმიდან სრულიად გამოვარდება, — ისმის კითხვა: საიდან მოდის ფული ამ 100 გირვ. სტერლ. ფულადი კაპიტალისათვის? მხოლოდ მეხუთედი ნაწილით შედგება ეს 100 გირვ. სტერლინგი გადაბრუნებათა ფარგლებში პერიოდულად განთავისუფლებული ფულადი კაპიტალისაგან. მაგრამ $^4/_5$ = 80 გირვ. სტერლინგს, უკვე ანაზღაურებულია იმავე ღირებულების დამატებითი საწარმოო მარაგით. რანაირად გარდაიქმნება ეს დამატებითი საწარმოო მარაგი ფულად, და საიდან მოდის ფული ამ გარდაქმნისათვის?

რაკი მიმოქცევის დრო შემოკლდა, — ზემოაღნიშნული 600 გირვ. სტერლინგიდან 480 გირვ. სტერლინგის ნაცვლად მხოლოდ 400 გირვ. სტერლინგი გარდაიქმნება საწარმოო მარაგად. დანარჩენი 80 გირვ. სტერლინგი ჩერდება თავის ფულად ფორმაში და ხელფასისათვის განკუთვნილ ზემოხსენებულ 20 გირვ. სტერლინგთან ერთად შეადგენს

ამ გამოყოფილ 100 გირვ. სტერლინგ კაპიტალს. თუმცა ეს 100 გირვ. სტერლინგი 600 გირვ. სტერლინგის საქონლური კაპიტალის ყიდვის საშუალებით მიმოქცევიდან მოდის და ახლა ამ უკანასკნელს სცილდება, რადგან იგი ხელახლა აღარ იხარჯება ხელფასისა და წარმოების ელემენტებზე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფულადი ფორმით გამოსული, ეს 100 გირვ. სტერლინგი კვლავ იმავე ფორმაში აღმოჩნდება, რა ფორმითაც იყო იგი თავდაპირველად მიმოქცევაში გადასროლილი. დასაწყისში საწარმოო მარაგსა და ხელფასზე 900 გირვ. სტერლ. ფული დაიხარჯა. ახლა იმავე წარმოების პროცესის შესასრულებლად საჭიროა მხოლოდ 800 გირვ. სტერლინგი. ამის გამო ფულადი ფორმით გამოყოფილი 100 გირვ. სტერლინგი ახლა შეადგენს ახალ, დაბანდების მაძიებელ ფულად კაპიტალს, ფულის ბაზრის ახალ შემადგენელ ნაწილს. თუმცა იგი უკვე წინათაც პერიოდულად იმყოფებოდა ხოლმე მწარმოებლური განთავისუფლებული ფულადი კაპიტალისა და დამატებითი მწარმოებლური კაპიტალის ფორმაში, მაგრამ თვით ეს ფარული მდგომარეობა წარმოების პროცესის შესრულების პირობა იყო, რადგან იგი მისი უწყვეტობის პირობაც იყო. ახლა ეს 100 გირვ. სტერლინგი უკვე საჭირო აღარაა ამისათვის და ამიტომ იგი ახალ ფულად კაპიტალს, ფულის ბაზრის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, თუმცა სრულიადაც არ შეადგენს არც არსებული საზოგადოებრივი ფულადი მარაგის დამატებითს ელემენტს (რადგან ეს 100 გირვ. სტერლინგი არსებობდა საწარმოს დაწყებისას და ამ უკანასკნელის მიერ იქნა მიმოქცევაში გადასროლილი) და არც ახლად დაგროვილ განძს.

ახლა ეს 100 გირვ. სტერლინგი ფაქტიურად ამოიღება მიმოქცევიდან, რამდენადაც იგი შეადგენს ავანსებული ფულადი კაპიტალის ნაწილს, რომელიც იმავე საწარმოში ველარ პოულობს გამოყენებას. მაგრამ ეს ამოღება მხოლოდ იმიტომაა შესაძლებელი, რომ ერთი კვირით დაჭარდა საქონლური კაპიტალის გადაქცევა ფულად, ხოლო ამ ფულისა—მწარმოებლურ კაპიტალად, ს′ — ფ — ს-ად, მაშასადამე, დაჭარდა ამ პროცესში მოქმედი ფულის მიმოქცევაც. აღნიშნული 100 გირვ. სტერლინგი მიმოქცევას მოსცილდა იმიტომ, რომ იგი საჭირო აღარაა X კაპიტალის გადაბრუნებისათვის.

აქ ნაგულისხმევია, რომ ავანსებული კაპიტალი მის გამომყენებელს ეკუთვნის. იგი რომ ნასესხები იყოს, ამით არაფერი არ შეიცვლებოდა. მიმოქცევის დროის შემოკლებისას მეწარმეს 900 გირვ. სტერლინგის ნაცვლად მხოლოდ 800 გირვ. სტერლ. სესხება დასჭირდებოდა. კრედიტორისათვის უკანდაბრუნებული 100 გირვ. სტერლინგი წინანდებურად 100 გირვ. სტერლინგ ახალ ფულად კაპიტალს შეადგენს,

მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა იგი Y ის ხელში იმყოფება და არა X-ისა. შემდეგ, თუ X კაპიტალისტი კრედიტით იღებდა 480 გირვ. სტერლინგის ღირებულების საწარმოო მასალას, ასე რომ თვითონ მას ფულად მხოლოდ 120 გირვ. სტერლინგის ავანსება სჭირდებოდა ხელფასისათვის, ახლა მას შეუძლია 80 გირვ. სტერლინგით ნაკლები საწარმოო მასალა აიღოს სესხად, და ეს 80 გირვ. სტერლინგი წარმოადგენს, ამრიგად, კრედიტის გამცემი კაპიტალისტის ნამეტ საქონლურ კაპიტალს, მაშინ როდესაც X კაპიტალისტს 20 გირვ. სტერლინგი გამოეყოფოდა ფულად.

დამატებითი საწარმოო მარაგი შემცირებულია ახლა $^1/_3$-ით. როგორც 300 გირვ. სტერლინგის $^4/_5$, იგი უდრიდა II დამატებით კაპიტალს = 240 გირვ. სტერლინგს; ახლა უდრის მხოლოდ 160 გირვ. სტერლინგს, ე. ი. წარმოადგენს 2 კვირის დამატებით მარაგს და არა 3 კვირისა. იგი ახლა განახლდება ყოველ 2 კვირაში ნაცვლად 3-ისა. მაგრამ ამასთანავე მხოლოდ 2 კვირისთვის და არა 3-ისა. ამრიგად, შესყიდვები, მაგალითად, ბამბის ბაზარზე მეორდება უფრო ხშირად და უფრო პატარ-პატარა რაოდენობით. ბაზრიდან ბამბის იგივე რაოდენობა ამოიღება, რადგან პროდუქტის მასა უცვლელი რჩება. მაგრამ შესყიდვები სხვაგვარად ნაწილდება დროის მიხედვით და უფრო ხანგრძლივდება. ვიგულისხმოთ, მაგალითად, რომ საქმე შეეხება 3 და 2 თვეს; ბამბის წლიური მოხმარება უდრის, ვთქვათ, 1 200 ნაკრაულს. პირველ შემთხვევაში გაიყიდება:

1 იანვარს	300	ნაკრაული,	რჩება	საწყობში 900	ნაკრაული
1 აპრილს	300	»	»	» 600	»
1 ივლისს	300	»	»	» 300	»
1 ოქტომბერს	300	»	»	» 0	»

პირიქით, მეორე შემთხვევაში:

1 იანვარს	გაიყიდება	200,	საწყობშია	1000	ნაკრაული
1 მარტს	»	200,	»	800	»
1 მაისს	»	200,	»	600	»
1 ივლისს	»	200,	»	400	»
1 სექტემბერს	»	200,	»	200	»
1 ნოემბერს	»	200,	»	0	»

მაშასადამე, ბამბაზე დახარჯული ფული უკან ბრუნდება სრულად მხოლოდ ერთი თვით უფრო გვიან, — ნოემბერში, ოქტომბრის ნაცვლად. ამრიგად, თუ მომოქცევის დროისა და მასთან ერთად გადაბრუნების შემოკლების გამო, ფულადი კაპიტალის ფორმით გამოიყოფა

ავანსებული კაპიტალის $^1/_9 = 100$ გირვ. სტერლინგს, და თუ ეს 100 გირვ. სტერლინგი შედგება 80 გირვ. სტერლინგისაგან, რომელიც წარმოადგენს ყოველკვირეულად ხელფასის გადასახდელად განკუთვნილ პერიოდად ნამეტ კაპიტალს, და 80 გირვ. სტერლინგისაგან, რომელიც პერიოდულად ჩნდება როგორც ნამეტი საწარმოო მარაგი ერთი კვირისათვის, — მაშინ მეფაბრიკის საწარმოო მარაგის ნამეტის ამ 80 გირვ. სტერლინგის შემცირებას შეესაბამება ბამბით მოვაჭრის საქონლის მარაგის გადიდება. იგივე ბამბა მით უფრო დიდხანს დევს ამ უკანასკნელის საწყობში საქონლის სახით, რაც უფრო ნაკლებ ხანს დევს მეფაბრიკის საწყობში საწარმოო მარაგის სახით.

აქამდე ჩვენ ვგულისხმობდით, რომ X საწარმოში მიმოქცევის დროის შემოკლება გამომდინარეობს იქიდან, რომ X უფრო სწრაფად ყიდის თავის საქონელს ან უფრო სწრაფად ღებულობს მასში ფულს, შესაბამისად კრედიტის შემთხვევაში იქიდან, რომ გადახდის ვადა მოკლდება. მაშასადამე, მიმოქცევის დროის ეს შემოკლება გამომდინარეობს საქონლის უფრო სწრაფი გაყიდვიდან, საქონლური კაპიტალის უფრო სწრაფი გარდაქმნიდან ფულად კაპიტალად, მიმოქცევის პროცესის პირველი ფაზიდან ს′ — ფ. იგი შეიძლება აგრეთვე გამომდინარეობდეს მეორე ფაზიდან. ფ — ს, მაშასადამე, იმავდროული ცვლილებიდან, სულ ერთია, სამუშაო პერიოდში იქნება ეს ცვლილება თუ მიმოქცევის დროში *Y*, *Z* და სხვა კაპიტალებისა, რომელნიც *X* კაპიტალისტს მისი საბრუნავი კაპიტალის საწარმოო ელემენტებს აწოდებენ.

მაგალითად, თუ ბამბა, ნახშირი და სხვ. ძველი სატრანსპორტო პირობების არსებობისას 3 კვირას იმყოფება გზაში თავისი წარმოების ადგილიდან ან საწყობებიდან X კაპიტალისტის წარმოების ადგილამდე, X-ის საწარმოო მარაგის მინიმუმი საკმარისი უნდა იყოს 3 კვირისათვის მაინც, მანამდე, ვიდრე ახალი მარაგი მოვიდოდეს. ვიდრე ბამბა და ნახშირი გზაშია, ისინი ვერ შეასრულებენ წარმოების საშუალებათა როლს. ისინი ამ დროს, პირიქით, წარმოადგენენ შრომის საგანს სატრანსპორტო მრეწველობისათვის და მასში ჩაბმული კაპიტალისათვის. ისინი შეადგენენ აგრეთვე ნახშირის მრეწველის ან ბამბით მოვაჭრის საქონლურ კაპიტალს, რომელიც თავის მიმოქცევას ასრულებს. ვთქვათ, ტრანსპორტის გაუმჯობესების გამო გზაში ყოფნის დრო შემცირდა 2 კვირამდე. ამ გზით შეიძლება საწარმოო მარაგი სამკვირეულიდან ორკვირეულ მარაგად იქცეს. მასთან ერთად განთავისუფლდება ამისათვის ავანსებული დამატებითი კაპიტალი 80 გირვ. სტერლინგის რაოდენობით და აგრეთვე 20 გირვ. სტერლინგის რაოდენობის კაპიტალი,

რომელიც ხელფასისათვის იყო განკუთვნილი, რადგან გადაბრუნებული კაპიტალი — 600 გირვ. სტერლინგი — ერთი კვირით უფრო ადრე ბრუნდება უკან.

მეორე მხრივ, თუ, მაგალითად, შემოკლდა იმ კაპიტალის სამუშაო პერიოდი, რომელიც ნედლეულს იძლევა (რისი მაგალითებიც წინა თავებშია მოცემული), მაშასადამე, თუ გაიზარდა ნედლეულის განახლების შესაძლებლობა, მაშინ საწარმოო მარაგი შეიძლება შემცირდეს, დროის მანძილი განახლების ერთი პერიოდიდან მეორემდე შეიძლება შემოკლდეს.

თუ, პირიქით, მიმოქცევის დრო და ამიტომ გადაბრუნების პერიოდი ხანგრძლივდება, მაშინ საჭიროა დამატებითი კაპიტალის ავანსად გაღება,—თვით კაპიტალისტის ჯიბიდან, თუ მას დამატებითი კაპიტალი აქვს. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს კაპიტალი დაბანდებული იქნება ამა თუ იმ ფორმით, როგორც ნაწილი ფულის ბაზარზე მყოფი კაპიტალისა; ეს კაპიტალი რომ თავისუფლად გამოვიყენოთ, საჭიროა მისი განთავისუფლება ძველი ფორმიდან, მაგალითად, აქციების გაყიდვა, ანაბრების გამოტანა, ასე რომ აქაც თავს იჩენს არაპირდაპირი გავლენა ფულის ბაზარზე. ანდა კაპიტალისტმა უნდა ისესხოს ეს დამატებითი კაპიტალი. რაც შეეხება დამატებითი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც ხელფასისთვისაა საჭირო, იგი ნორმალურ პირობებში ყოველთვის ფულადი კაპიტალის სახით უნდა გაიღონ ავანსად, და X კაპიტალისტი, თავის მხრივ, ახდენს ამრიგად, ერთგვარ პირდაპირ ზეგავლენას ფულის ბაზარზე. კაპიტალის იმ ნაწილისათვის, რომელიც საწარმოო მასალაში უნდა დაბანდდეს, ფულადი კაპიტალის სახით ავანსება აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალისტმა ეს მასალა ნაღდი ფულით უნდა შეიძინოს. თუ მას მასალის მიღება კრედიტით შეუძლია, ეს არ ახდენს პირდაპირ გავლენას ფულის ბაზარზე, რადგან დამატებითი კაპიტალი მაშინ პირდაპირ ავანსდება როგორც საწარმოო მარაგი და არა იმთავითვე როგორც ფულადი კაპიტალი. თუ კრედიტორი X-ისგან მიღებულ თამასუქს თავის მხრივ პირდაპირ ბაზარზე გაიტანს, სადისკონტოდ წარადგენს და სხვ., ეს მოახდენს არაპირდაპირ, მეორე პირის მეშვეობით განხორციელებულ ზეგავლენას ფულის ბაზარზე. მაგრამ თუ იგი ამ თამასუქს გამოიყენებს იმისათვის, რომ ამით, მაგალითად, შემდგომ გადასახდელი ვალი დაფაროს, მაშინ ეს დამატებით ავანსებული კაპიტალი ვერ მოახდენს ვერც პირდაპირ და ვერც არაპირდაპირ გავლენას ფულის ბაზარზე.

II შემთხვევა. წარმოების მასალის ფასი იცვლება, ყველა სხვა გარემოება უცვლელია.

ჩვენ ზემოთ ვგულისხმობდით, რომ 900 გირვ. სტერლინგი მთელი კაპიტალიდან $^4/_5 = 720$ გირვ. სტერლ., იხარჯება წარმოების მასალაზე და $^1/_5 = 180$ გირვ. სტერლ., — ხელფასზე.

თუ წარმოების მასალის ფასი სანახევროდ დაეცა, მას ექვსკვირეული სამუშაო პერიოდისათვის 480 გირვ. სტერლინგის ნაცვლად დასჭირდება მხოლოდ 240 გირვ. სტერლინგი და № II დამატებითი კაპიტალისათვის 240 გირვ. სტერლინგის ნაცვლად მხოლოდ 120 გირვ. სტერლინგი. მაშასადამე, I კაპიტალი მცირდება 600 გირვ. სტერლინგიდან $240 + 120 = 360$ გირვ. სტერლინგამდე, და II კაპიტალი — 300 გირვ. სტერლინგიდან $120 + 60 = 180$ გირვ. სტერლინგამდე. მთელი კაპიტალი 900 გირვ. სტერლინგიდან მცირდება $360 + 180 = 540$ გირვ. სტერლინგამდე. მაშასადამე, გამოიყოფა 360 გირვ. სტერლინგი.

ეს გამოყოფილი და ახლა საქმეში ჩაუბმელი ფულადი კაპიტალი, რომელიც, ამიტომ, დაბანდებას ეძებს ფულის ბაზარზე, სხვა არაფეოია, თუ არა ნაწილი 900 გირვ. სტერლინგი კაპიტალისა, რომელიც თავდაპირველად ფულადი კაპიტალის სახით იყო ავანსებული და ზედმეტი შეიქნა წარმოების იმ ელემენტების ფასის დაცემის გამო, რომლებადაც იგი პერიოდულად უკუგარდაიქმნება, — ზედმეტი შეიქნა, რაკი საწარმო არ ფართოვდება და წინანდელი მასშტაბით წარიმართება. თუ ფასის ეს დაცემა გამოწვეულია არა შემთხვევითი გარემოებებით (მაგალითად, განსაკუთრებულად უხვი მოსავლით, გადამეტებული მოზიდვით და სხვ.), არამედ მწარმოებლური ძალის გადიდებით იმ დარგში, რომელიც ნედლ მასალას იძლევა, მაშინ ეს ფულადი კაპიტალი აბსოლუტური ნაზრდი იქნებოდა ფულის ბაზრისათვის, საერთოდ ფულად ფორმაში მყოფი თავისუფალი კაპიტალისათვის, იმიტომ რომ იგი აღარ იქნებოდა გამოყენებული კაპიტალის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი.

III შემთხვევა. ცვლილება თვით პროდუქტის საბაზრო ფასში.

აქ ფასის დაცემისას კაპიტალის ნაწილი იკარგება და ამიტომ იგი უნდა ანაზღაურდეს ფულადი კაპიტალის ახალი ავანსებით. გამყიდველის ეს დანაკარგი შესაძლებელია კვლავ მოიგოს მყიდველმა. პირ-

დაპირ, თუ პროდუქტის საბაზრო ფასი მხოლოდ შემთხვევითი კონიუნქტურის გამო დაეცა და შემდგომ ისევ მაღლა იწევს თავის ნორმალურ ფასამდე. არაპირდაპირ, თუ ფასის ცვლილება გამოწვეულია ღირებულების ცვლილებით, რაც ძველ პროდუქტზეც მოქმედებს, და თუ ეს პროდუქტი წარმოების ელემენტის სახით კვლავ შედის წარმოების სხვა სფეროში და pro tanto აქ კაპიტალს ათავისუფლებს. ორივე შემთხვევაში X-ისთვის დაკარგული კაპიტალი, რომლის ასანაზღაურებლად იგი ფულის ბაზარზე ზეგავლენას ახდენს, შესაძლებელია X-ს მისმა მოსაქმე მეგობრებმა მიაწოდონ როგორც ახალი დამატებითი კაპიტალი. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ გადატანას.

პირიქით, თუ პროდუქტის ფასმა აიწია, მაშინ ხდება მიმოქცევის სფეროდან კაპიტალის იმ ნაწილის მითვისება, რომელიც ავანსებული არ იყო. ეს არაა წარმოების პროცესში ავანსებული კაპიტალის ორგანული ნაწილი და ამიტომ, თუ წარმოება არ ფართოვდება, იგი შეადგენს გამოყოფილ ფულად კაპიტალს. რადგან აქ იგულისხმება, რომ პროდუქტის ელემენტთა ფასები მოცემულია მანამდე, ვიდრე იგი როგორც ფულადი კაპიტალი ბაზარზე გამოვა, ამიტომ შესაძლებელია აქ ფასის ცვლილება ღირებულების ნამდვილი ცვლილებით იყოს გამოწვეული, რამდენადაც ეს ცვლილება უკუიმოქმედებდა, მაგალითად, თუ შემდგომ ნედლი მასალის ფასი აიწევდა. ამ შემთხვევაში კაპიტალისტი X მოგებას ნახავდა თავის პროდუქტში, რომელიც მიმოიქცევა საქონლური კაპიტალის სახით, და საწარმოო მარაგში, რომელიც მას ხელთ აქვს. ეს მოგება მას მისცემდა დამატებით კაპიტალს, რომელიც ახლა, წარმოების ელემენტების ახალი აწეული ფასების არსებობისას, საჭირო ხდება მისი საწარმოს განსაგრძობად.

ანდა ფასების აწევა მხოლოდ დროებითია. მაშინ ის, რაც X კაპიტალისტისათვის საჭირო ხდება როგორც დამატებითი კაპიტალი, მეორე მხარისთვის აღმოჩნდება განთავისუფლებულ კაპიტალად, რამდენადაც X-ის პროდუქტი წარმოადგენს წარმოების ელემენტს მეწარმეობის სხვა დარგებისათვის. რაც ერთმა დაკარგა, ის მეორემ მოიგო.

ᲗᲐᲠᲘ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲘ.

ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

1. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲜᲝᲠᲛᲐ

ვიგულისხმოთ საბრუნავი კაპიტალი 2 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, თანაც ისეთი, რომლის $^4/_5$ = 2 000 გირვ. სტერლინგი შეადგენს მუდმივ კაპიტალს (წარმოების მასალები) და $^1/_5$ = 500 გირვ. სტერლინგი — ცვალებადს, რომელიც ხელფასზე იხარჯება.

გადაბრუნების პერიოდი, ვთქვათ, = 5 კვირას; სამუშაო პერიოდი = = 4 კვირას, მიმოქცევის პერიოდი = 1 კვირას. მაშინ კაპიტალი I = = 2 000 გირვ. სტერლინგს, და შედგება 1 600 გირვ. სტერლინგ მუდმივი კაპიტალისაგან და 400 გირვ. სტერლინგ ცვალებადი კაპიტალისაგან; კაპიტალი II = 500 გირვ. სტერლინგს, აქედან 400 გირვ. სტერლინგი მუდმივი კაპიტალია და 100 გირვ. სტერლინგი ცვალებადი. ყოველ სამუშაო კვირაში იხარჯება 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალი. 50-კვირიანი წლის განმავლობაში იწარმოება წლიური პროდუქტი 50 × 500 = 25 000 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, კაპიტალი I — 2 000 გირვ. სტერლ. — მუდამ სამუშაო პერიოდში გამოყენებული, გადაბრუნდება $12\,^1/_2$-ჯერ, $2\,000 \times 12\,^1/_2 = 25\,000$ გირვ. სტერლინგს. ამ 25 000 გირვ. სტერლინგიდან $^4/_5$ = 20 000 გირვ. სტერლინგს, რაც არის წარმოების საშუალებებზე დახარჯული, მუდმივი კაპიტალი და $^1/_5$ = 5 000 გირვ. სტერლინგი, — ცვალებადი ხელფასზე დახარჯული კაპიტალი. პირიქით, 2 500 გირვ. სტერლინგი მთელი კაპიტალი გადაბრუნდება $\frac{25\,000}{2\,500} = 10$-ჯერ.

წარმოების დროს დახარჯულ ცვალებად საბრუნავ კაპიტალს მხოლოდ იმდენად შეუძლია ხელახლა იმოქმედოს მიმოქცევის პროცესში, რამდენადაც გაიყიდება პროდუქტი, რომელშიაც კვლავწარმო-

ებულია მისი ღირებულება, რამდენადაც იგი საქონლური კაპიტალიდან გარდაიქმნება ფულად კაპიტალად, რომელიც ხელახლა უნდა დაიხარჯოს სამუშაო ძალის გადასახდელად. მაგრამ ასევეა საქმე წარმოებაში დახარჯული მუდმივი საბრუნავი კაპიტალის (წარმოების მასალის) მიმართაც, რომლის ღირებულება ხელახლა გვეელინება პროდუქტში როგორც ამ უკანასკნელის ღირებულების ნაწილი. ორივე ამ ნაწილის— საბრუნავი კაპიტალის ცვალებადი და მუდმივი ნაწილის — საერთო თვისება და მათი განსხვავება ძირითადი კაპიტალისაგან მდგომარეობს არა იმაში, რომ პროდუქტზე გადატანილი მათი ღირებულება მიმოიქცევა საქონლური კაპიტალის მეშვეობით, ე. ი. საქონლის სახით პროდუქტის მიმოქცევის გზით. პროდუქტის ღირებულების გარკვეული ნაწილი, და თანაც პროდუქტისა, რომელიც მიმოიქცევა საქონლის სახით, საქონლური კაპიტალის ღირებულების გარკვეული ნაწილი ყოველთვის შედგება ძირითადი კაპიტალის გაცვეთილი ნაწილისაგან, ე. ი. ძირითადი კაპიტალის ღირებულების იმ ნაწილისაგან, რომელიც ამ კაპიტალმა წარმოების დროს პროდუქტზე გადაიტანა. მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ძირითადი კაპიტალი განაგრძობს მოქმედებას წარმოების პროცესში თავისი ძველი სახმარი ფორმით საბრუნავი კაპიტალის (= საბრუნავ მუდმივ კაპიტალს + საბრუნავი ცვალებადი კაპიტალი) გადაბრუნების პერიოდების მეტნაკლებ ხანგრძლივი ციკლის განმავლობაში; მაშინ როდესაც ყოველი ცალკეული გადაბრუნების პირობაა ანაზღაურება მთელი საბრუნავი კაპიტალისა, რომელიც წარმოების სფეროდან საქონლური კაპიტალის ფორმით მიმოქცევის სფეროში გადავიდა. მიმოქცევის პირველი ფაზა, Ц′ — Ф′, საერთოა საბრუნავი მუდმივი კაპიტალისა და საბრუნავი ცვალებადი კაპიტალისათვის. მეორე ფაზაში ისინი განცალკევდებიან ერთმანეთისგან. ერთი ნაწილი ფულისა, რადაც საქონელი უკუგარდაიქმნა, საწარმოო მარაგად (საბრუნავ მუდმივ კაპიტალად) გარდაიქმნება. ამ მარაგის შემადგენელი ნაწილების ყიდვის სხვადასხვა ვადების შესაბამისად შესაძლებელია ამ ფულის ერთი ნაწილი უფრო ადრე გადაიქცეს წარმოების მასალებად, მეორე ნაწილი კი უფრო გვიან, მაგრამ საბოლოოდ მთელი ეს ფული იხარჯება წარმოების ამ მასალებზე. საქონლის გაყიდვით მიღებული ფულის მეორე ნაწილი რჩება ფულადი მარაგის სახით და თანდათანობით იხარჯება წარმოების პროცესში ჩაბმული სამუშაო ძალის გასასტუმრებლად. იგი საბრუნავ ცვალებად კაპიტალს შეადგენს. მიუხედავად ამისა, კაპიტალის გადაბრუნებისას, — მისი გარდაქმნისას პროდუქტად, პროდუქტიდან საქონლად, საქონლიდან ფულად ყოველთვის ხდება მისი პირველი თუ მეორე ნაწილის სრული ანაზღაურება.

სწორედ ამ საფუძვლით იყო, რომ ჩვენ წინა თავში საბრუნავი კაპიტალის — მუდმივის და ცვალებადის — გადაბრუნებას განვიხილავდით ცალ-ცალკე ან ერთად, ძირითადი კაპიტალის მხედველობაში მიუღებლად.

იმ საკითხში, რომელიც ახლა უნდა გავარკვიოთ, ჩვენ გვმართებს ერთი ნაბიჯი კიდევ გადავდგათ წინ და საბრუნავი კაპიტალის ცვალებადი ნაწილი ისე განვიხილოთ, თითქოს მარტოოდენ იგი შეადგენდეს მთელ საბრუნავ კაპიტალს; ე. ი. ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ მუდმივ საბრუნავ კაპიტალს, რომელიც ცვალებად ნაწილთან ერთად ასრულებს გადაბრუნებას.

ავანსებულია 2 500 გირვ. სტერლინგი, და წლიური პროდუქტის ღირებულება = 25 000 გირვ. სტერლინგს. მაგრამ საბრუნავი კაპიტალის ცვალებადი ნაწილი შეადგენს 500 გირვ. სტერლინგს, ამიტომ 25 000 გირვ. სტერლინგში მოქცეული ცვალებადი კაპიტალი უდრის $\frac{25\,000}{5}$ = 5 000 გირვ. სტერლინგს. თუ 5 000 გირვ. სტერლინგს გავყოფთ 500-ზე, მივიღებთ გადაბრუნების რიცხვს 10-ს, — სწორედ ისევე როგორც მთელი 2 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალისათვის.

ეს საშუალო გაანგარიშება, რომლის თანახმად წლიური პროდუქტის ღირებულება გაიყოფა ავანსებული კაპიტალის ღირებულებაზე და არა ამ კაპიტალის იმ ნაწილის ღირებულებაზე, რომელიც მუდამ ერთ სამუშაო პერიოდშია გამოყენებული (მაშასადამე, ჩვენს მაგალითში არა 400-ზე, არამედ 500-ზე, არა კაპიტალ I-ზე, არამედ კაპიტალ I + კაპიტალ II-ზე), — ეს საშუალო გაანგარიშება აბსოლუტურად ზუსტია აქ, სადაც საქმე მხოლოდ ზედმეტი ღირებულების წარმოებას შეეხება. შემდგომ ჩვენ დავინახავთ, რომ იგი, სხვა თვალსაზრისით განხილული, მთლად ზუსტი არაა, როგორც საერთოდ ეს საშუალო გაანგარიშება არაა მთლად ზუსტი. ე. ი. იგი საკმარისია კაპიტალისტის პრაქტიკული მიზნებისათვის, მაგრამ არ გამოსახავს ზედმიწევნით და შესაბამისად ყველა იმ რეალურ გარემოებას, რაც გადაბრუნებასთან ახლავს.

აქამდე ჩვენ სრულიად არ ვიღებდით მხედველობაში საქონლური კაპიტალის ღირებულების ერთ ნაწილს, სახელდობრ მასში მოქცეულ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც წარმოების პროცესში შეიქნა და პროდუქტს შეუსისხლხორცდა. ჩვენ ახლა სწორედ ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

თუ ვიგულისხმებთ, რომ ყოველკვირეულად დახარჯული 100 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი აწარმოებს 100 % = 100 გირვ.

სტერლ. ზედმეტ ღირებულებას, მაშინ 5-კვირიანი გადაბრუნების პერიოდში დახარჯული 500 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი აწარმოებს 500 გირვ. სტერლინგ ზედმეტ ღირებულებას, ე. ი. სამუშაო დღის ნახევარი ზედმეტი შრომისაგან შედგება.

ხოლო თუ 500 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი 500 გირვ. სტერლინგ ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს, მაშინ 5 000 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი აწარმოებს $500 \times 10 = 5\,000$ გირვ. სტერლ. ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ ავანსებული ცვალებადი კაპიტალი = 500 გირვ. სტერლინგს. წლის განმავლობაში წარმოებული ზედმეტი ღირებულების მთელი მასის შეფარდებას ავანსებული ცვალებადი კაპიტალის ღირებულების ჯამთან ჩვენ ვუწოდებთ ზედმეტი ღირებულების წლიურ ნორმას. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ეს ნორმა შეადგენს $\frac{5\,000}{500} = 1\,000\,\%$. თუ ამ ნორმას უფრო ღრმა ანალიზს გავუკეთებთ, დავინახავთ, რომ იგი უდრის ზედმეტი ღირებულების ნორმას, რასაც ავანსებული კაპიტალი აწარმოებს გადაბრუნების ერთი პერიოდის განმავლობაში, გამრავლებულს ცვალებადი კაპიტალის გადაბრუნებათა რიცხვზე (რომელიც მთელი საბრუნავი კაპიტალის გადაბრუნებათა რიცხვს ემთხვევა).

გადაბრუნების ერთი პერიოდის განმავლობაში ავანსებული ცვალებადი კაპიტალი მოცემულ შემთხვევაში = 500 გირვ. სტერლინგს; მის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულებაც ასევე = 500 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმა გადაბრუნების ერთი პერიოდის განმავლობაში $= \frac{500\,m}{500\,v} = 100\,\%$. ეს 100 %, გამრავლებული 10-ზე, გადაბრუნებათა რიცხვზე წელიწადში, იძლევა $\frac{5\,000\,m}{500\,v} = 1\,000\,\%$-ს.

ეს შეეხება ზედმეტი ღირებულების წლიურ ნორმას. ხოლო რაც შეეხება ზედმეტი ღირებულების მასას, რომელიც გადაბრუნების განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში მიიღება, — ეს მასა უდრის ამ პერიოდის განმავლობაში ავანსებული ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას, აქ = 500 გირვ. სტერლინგს, გამრავლებულს ზედმეტი ღირებულების ნორმაზე, აქ, მაშასადამე, $500 \times \frac{100}{100} = 500 \times 1 = 500$ გირვ. სტერლინგს. ავანსებული კაპიტალი 1 500 გირვ. სტერლინგი რომ ყოფილიყო, მაშინ ზედმეტი ღირებულების იგივე ნორმის არსებობის პირობებში ზედმეტი ღირებულების მასა იქნებოდა: $1\,500 \times \frac{100}{100} = 1\,500$ გირვ. სტერლინგი.

ცვალებად კაპიტალს 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, რომელიც წელიწადში ათჯერ გადაბრუნდება და წლის განმავლობაში 5 000 გირვ. სტერლ. ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს, კაპიტალს, რომლისათვის, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა = = 1 000 %-ს, ჩვენ კაპიტალ *A*-ს ვუწოდებთ.

წარმოვიდგინოთ ახლა, რომ მეორე ცვალებადი კაპიტალი *B*, 5 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, ავანსად გაიღეს მთელი წლისათვის (ე. ი. ამ შემთხვევაში 50 კვირისათვის) და ამიტომ მხოლოდ ერთხელ გადაბრუნდება წელიწადში. წარმოვიდგინოთ შემდეგ, რომ წლის ბოლოს პროდუქტის ფასს იმავე დღეს გადაიხდიან, რა დღესაც იგი მზად არის, რომ, ამრიგად, ფულადი კაპიტალი, რადაც ეს უკანასკნელი გარდაიქმნება, იმავე დღეს ბრუნდება უკან. მაშასადამე, მიმოქცევის პერიოდი აქ = *O*, გადაბრუნების პერიოდი = სამუშაო პერიოდს, სახელდობრ 1 წელიწადს. წინა შემთხვევის მსგავსად, შრომის პროცესში ყოველკვირა იმყოფება 100 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი, ხოლო 50 კვირაში — 5 000 გირვ, სტერლინგი. შემდეგ, ზედმეტი ღირებულების ნორმა, ვთქვათ, არის იგივე = 100 %, ე. ი. სამუშაო დღის ერთნაირი ხანგრძლიობისას მისი ნახევარი შედგება ზედმეტი შრომისაგან. თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ 5 კვირას, დაბანდებული ცვალებადი კაპიტალი იქნება 500 გირვ. სტერლინგი, ზედმეტი ღირებულების ნორმა = 100 %, მაშასადამე, 5 კვირის განმავლობაში წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა = 500 გირვ. სტერლინგს. რაოდენობა სამუშაო ძალისა, რომლის ექსპლოატაციაც აქ ხდება, და მისი ექსპლოატაციის ხარისხი აქ, ნაგულისხმევის მიხედვით, სავსებით იგივეა, რაც *A* კაპიტალის შემთხვევაში.

გამოყენებული ცვალებადი კაპიტალი 100 გირვ. სტერლინგის რაოდენობით ყოველ კვირაში აწარმოებს 100 გირვ. სტერლინგ ზედმეტ ღირებულებას, ამიტომ 50 კვირაში გამოყენებული კაპიტალი 100 × 50 = 5 000 გირვ. სტერლ. აწარმოებს 5 000 გირვ. სტერლინგ ზედმეტ ღირებულებას. წლიურად წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა ისეთივეა, როგორც წინა შემთხვევაში = 5 000 გირვ. სტერლინგს, მაგრამ ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა სავსებით განსხვავებულია. იგი უდრის წლის განმავლობაში წარმოებულ ზედმეტ ღირებულებას, გაყოფილს ავანსებულ ცვალებად კაპიტალზე: $\frac{5\,000\,m}{5\,000\,v}$ = = 100 %-ს, მაშინ როდესაც იგი წინათ *A* კაპიტალისთვის უდრიდა 1 000 %-ს.

A კაპიტალის, ისე როგორც *B* კაპიტალის შემთხვევაში ჩვენ ყოველკვირეულად ვხარჯავდით 100 გირვ. სტერლინგ ცვალებად კაპიტალს; ღირებულების ზრდის ხარისხი ანუ ზედმეტი ღირებულების ნორმა ისეთივეა, = 100 %; ცვალებადი კაპიტალის ოდენობაც იგივეა, = 100 გირვ. სტერლინგს. სავსებით იმავე რაოდენობის სამუშაო ძალის ექსპლოატაციას აქვს ადგილი, ექსპლოატაციის ოდენობა და ხარისხი ორივე შემთხვევაში ერთნაირია, სამუშაო დღეები ტოლია და თანაბრად ნაწილდება აუცილებელ შრომად და ზედმეტ შრომად. წლის განმავლობაში გამოყენებული ცვალებადი კაპიტალის ჯამი ტოლი სიდიდისაა = 5 000 გირვ. სტერლ.; მას მოძრაობაში მოჰყავს შრომის იგივე მასა და ორი ტოლი კაპიტალით მოძრაობაში მოყვანილი სამუშაო ძალიდან გამოაქვს ზედმეტი ღირებულების იგივე მასა, 5 000 გირვ. სტერლინგი. და მაინც *A* და *B* კაპიტალების ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმების სხვაობა 900 % შეადგენს.

რა თქმა უნდა, ეს მოვლენა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ზედმეტი ღირებულების ნორმა დამოკიდებულია არა მხოლოდ იმ სამუშაო ძალის მასასა და ექსპლოატაციის ხარისხზე, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ცვალებად კაპიტალს, არამედ, გარდა ამისა, რაღაც აუხსნელ, მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე გავლენებზე; და მართლაც, ამ მოვლენას ასე განმარტავდნენ, და მან, თუმცა არა თავის ამ წმინდა, არამედ თავის უფრო რთულ და ფარულ ფორმაში (მოგების წლიური ნორმის ფორმაში) ოციანი წლების დასაწყისიდან სრული არევ-დარევა გამოიწვია რიკარდოს სკოლაში.

ამ მოვლენის საკვირველება უმალვე გაქრება, თუ ჩვენ კაპიტალ *A*-ს და კაპიტალ *B*-ს არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ ნამდვილად ჩავაყენებთ სრულიად იდენტურ პირობებში. პირობები იდენტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცვალებადი კაპიტალი *B* იმავე დროის განმავლობაში იხარჯება მთელი თავისი ოდენობით სამუშაო ძალის გასასტუმრებლად, რა დროშიც კაპიტალი *A*.

მაშინ 5 000 გირვ. სტერლინგი კაპიტალი *B* იხარჯება 5 კვირის განმავლობაში, ყოველკვირეულად 1 000 გირვ. სტერლინგის ხარჯვა წელიწადში 50 000 გირვ. სტერლინგს შეადგენს. ზედმეტი ღირებულება მაშინ, ჩვენი ვარაუდის თანახმად, უდრის აგრეთვე 50 000 გირვ. სტერლინგს. გადაბრუნებული კაპიტალი = 50 000 გირვ. სტერლ., გაყოფილი ავანსებულ კაპიტალზე = 5 000 გირვ. სტერლინგზე, გვაძლევს გადაბრუნების რიცხვს = 10-ს. ზედმეტი ღირებულების ნორმა = $= \frac{5\,000\,m}{5\,000\,v} = 100\,\%$, გამრავლებული გადაბრუნების რიცხვზე 10-ზე,

გვაძლევს ზედმეტი ღირებულების წლიურ ნორმას $= \frac{50\,000\,m}{50\,000\,v} = \frac{10}{1} =$ $= 1\,000\,\%$-ს. ამრიგად, ახლა ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმები იდენტურია *A*-სა და *B*-სთვის, სახელდობრ 1 000 %, მაგრამ ზედმეტი ღირებულების მასა *B*-სთვის 50 000 გირვ. სტერლინგია, *A*-სთვის კი — 5 000 გირვ. სტერლინგი; წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასები ახლა ისევე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც ავანსებული კაპიტალღირებულებანი *A* და *B*, სახელდობრ, როგორც 5 000 : 500 = = 10 : 1. მაგრამ სამაგიეროდ *B* კაპიტალმა იმავე დროის განმავლობაში 10-ჯერ მეტი სამუშაო ძალა მოიყვანა მოძრაობაში, ვიდრე *A* კაპიტალმა.

მხოლოდ ის კაპიტალი ქმნის ზედმეტ ღირებულებას, რომელიც ნამდვილად გამოიყენება შრომის პროცესში და მხოლოდ მის მიმართ არის ძალაში ზედმეტი ღირებულების შესახებ მოცემული ყველა კანონი, მაშასადამე, ის კანონიც, რომ ზედმეტი ღირებულების მასა, მოცემული ნორმის არსებობისას, ცვალებადი კაპიტალის შეფარდებითი სიდიდით განისაზღვრება.

თვით შრომითი პროცესი გაიზომება დროით. სამუშაო დღის მოცემული ხანგრძლიობისას (როგორც აქ, სადაც ჩვენ კაპიტალ *A*-ს და კაპიტალ *B*-ს იდენტურ პირობებში ვაყენებთ, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ სხვაობა ზედმეტი ღირებულების წლიურ ნორმაში), სამუშაო კვირა შედგება სამუშაო დღეების განსაზღვრული რიცხვისაგან. ანდა ჩვენ შეგვიძლია ერთი რომელიმე სამუშაო პერიოდი, მაგალითად, აქ ხუთკვირიანი, განვიხილოთ როგორც 300 საათის შემცველი მთლიანი სამუშაო დღე, თუ სამუშაო დღე = 10 საათს, ხოლო კვირა = 6 სამუშაო დღეს. მაგრამ შემდეგ ეს რიცხვი უნდა გავამრავლოთ მუშების რიცხვზე, რომელნიც ყოველდღე იმავდროულად გამოიყენებიან შრომის ერთსა და იმავე პროცესში. თუ ეს რიცხვი იქნებოდა, მაგალითად, 10, მაშინ სამუშაო კვირა იქნებოდა $60 \times 10 = 600$ საათი, ხოლო ხუთკვირიანი სამუშაო პერიოდი $= 600 \times 5 = 3\,000$ საათი. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების იმავე ნორმის არსებობისას და სამუშაო დღის იმავე ხანგრძლიობისას ტოლი სიდიდის ცვალებადი კაპიტალები მაშინ გამოიყენება, თუ იმავე დროის განმავლობაში მოძრაობაში მოიყვანება სამუშაო ძალის ტოლი მასები (რაც გამოიანგარიშება იმავე ფასის მქონე ერთი სამუშაო ძალის გამრავლებით ამ ძალების რიცხვზე).

დავუბრუნდეთ ახლა ჩვენს თავდაპირველ მაგალითებს. ორსავე — *A*-სა და *B*-ს — შემთხვევაში ტოლი სიდიდის ცვალებადი კაპიტალები

გამოიყენება წლის ყოველი კვირის განმავლობაში, 100 გირვ. სტერლინგი კვირაში. გამოყენებული, შრომის პროცესში ნამდვილად მოქმედი ცვალებადი კაპიტალები, ამიტომ, ტოლია, მაგრამ ავანსებული ცვალებადი კაპიტალები სრულიადაც არ არიან ტოლნი. *A*-ს მაგალითში ყოველი 5 კვირისთვის ავანსად გაიღება 500 გირვ. სტერლინგი, რომლიდანაც ყოველკვირეულად გამოიყენება 100 გირვ. სტერლინგი. *B*-ს მაგალითში პირველი ხუთკვირიანი პერიოდისათვის ავანსად გასაღებია 5 000 გირვ. სტერლინგი, მაგრამ აქედან ყოველკვირეულად გამოიყენება მხოლოდ 100 გირვ. სტერლინგი, მაშასადამე, 5 კვირაში — მხოლოდ 500 გირვ. სტერლინგი, რაც ავანსებული კაპიტალის $^1/_{10}$ უდრის. მეორე ხუთკვირიან პერიოდში ავანსად გასაღებია 4 500 გირვ. სტერლინგი, მაგრამ გამოიყენება მხოლოდ 500 გირვ. სტერლინგი და სხვა. განსაზღვრული პერიოდისათვის ავანსებული ცვალებადი კაპიტალი გადაიქცევა გამოყენებულ, ე. ი. ნამდვილად თავისი ფუნქციის შემსრულებელ და მოქმედ ცვალებად კაპიტალად მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ნამდვილად შედის ამ პერიოდის დროის მონაკვეთებში, რომლებიც შრომის პროცესითაა შევსებული, რამდენადაც იგი ნამდვილად მოქმედებს შრომის პროცესში. შუალედ პერიოდში, როდესაც მისი ერთი ნაწილი იმისათვის გაიღება ავანსად, რომ მან შემდგომ დროში ჰპოვოს გამოყენება, ეს ნაწილი თითქოს სრულიად არ არსებობს შრომის პროცესისათვის და მას არავითარი გავლენა არა აქვს არც ღირებულებისა და არც ზედმეტი ღირებულების შექმნაზე. ასეა, მაგალითად, 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობის *A* კაპიტალის შემთხვევაში. იგი 5 კვირითაა ავანსებული, მაგრამ შრომის პროცესში აქედან ყოველკვირა თანმიმდევრობით შედის მხოლოდ 100 გირვ. სტერლინგი. პირველ კვირაში გამოიყენება მისი $^1/_5$; $^4/_5$ ავანსებულია ისე, რომ არ გამოიყენება; თუმცა 4 შემდგომი კვირის შრომითი პროცესისათვის მისი მარაგად ყოფნა და ამიტომ მისი ავანსად გაღება აუცილებელია.

გარემოებანი, რომელნიც ავანსებული და გამოყენებული ცვალებადი კაპიტალის შეფარდებაში სხვაობას ქმნიან, ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის არსებობისას, გავლენას ახდენენ ზედმეტი ღირებულების წარმოებაზე მხოლოდ იმდენად და მხოლოდ მით, რომ ისინი იწვევენ სხვაობას ცვალებადი კაპიტალის იმ რაოდენობაში, რომელიც შეიძლება განსაზღვრულ პერიოდში, მაგალითად, 1 კვირაში, 5 კვირაში და სხვ., ნამდვილად იქნეს გამოყენებული. ავანსებული ცვალებადი კაპიტალი მოქმედებს როგორც ცვალებადი კაპიტალი მხოლოდ იმდენად და იმ დროის განმავლობაში, რამდენადაც და როდესაც

იგი ნამდვილად გამოიყენება; მაგრამ არა იმ დროის განმავლობაში, როდესაც იგი ავანსებული რჩება მარაგის სახით ისე, რომ ნამდვილ გამოყენებას ვერ პოულობს. მაგრამ ყველა გარემოება, რაც კი ავანსებული და გამოყენებული ცვალებადი კაპიტალის შეფარდებაში სხვაობას ქმნის, ბოლოს და ბოლოს გამოისახება გადაბრუნების პერიოდების სხვაობით (რომელიც განისაზღვრება ან სამუშაო პერიოდის, ან მიმოქცევის პერიოდის, ანდა ერთის და მეორის სხვაობით). ზედმეტი ღირებულების წარმოების კანონი ის არის, რომ ზედმეტი ღირებულების თანაბარი ნორმის არსებობისას მომქმედი ცვალებადი კაპიტალის ტოლი მასები ზედმეტი ღირებულების ტოლ მასებს აწარმოებენ. მაშასადამე, თუ *A* და *B* კაპიტალები დროის თანატოლ მონაკვეთებში ზედმეტი ღირებულების ნორმის თანატოლობისას ცვალებადი კაპიტალის ტოლ მასებს გამოიყენებენ, მათ თანატოლი დროის განმავლობაში ზედმეტი ღირებულების ტოლი მასები უნდა აწარმოონ, რაგინდ განსხვავებულიც არ უნდა იყოს განსაზღვრული დროის განმავლობაში გამოყენებული ამ ცვალებადი კაპიტალის შეფარდება იმავე დროის განმავლობაში ავანსებულ ცვალებად კაპიტალთან და, მაშასადამე, რაგინდ განსხვავებულიც არ უნდა იყოს წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასების შეფარდება საერთოდ ავანსებულ ცვალებად კაპიტალთან და არა მარტო გამოყენებულ ცვალებად კაპიტალთან. ამ შეფარდების სხვაობა სრულიად არ ეწინააღმდეგება ზედმეტი ღირებულების წარმოების ჩვენ მიერ გადმოცემულ კანონებს, არამედ, პირიქით, ადასტურებს მათ და მათს გარდუვალ შედეგს წარმოადგენს.

განვიხილოთ *B* კაპიტალის წარმოების პირველი ხუთკვირიანი პერიოდი. მე-5 კვირის ბოლოს გამოყენებული და მოხმარებულია 500 გირვ. სტერლინგი. პროდუქტის ღირებულება = 1 000 გირვ. სტერლინგს, მაშასადამე, $\frac{500}{500} = 100\,\%$, სრულიად ისე, როგორც *A* კაპიტალის შემთხვევაში. ის გარემოება, რომ *A* კაპიტალის შემთხვევაში ზედმეტი ღირებულება რეალიზებულია ავანსებულ კაპიტალთან ერთად, *B*-ს შემთხვევაში კი არა, ჩვენ სრულიად არ გვაინტერესებს აქ, სადაც ჯერ ლაპარაკია მხოლოდ ზედმეტი ღირებულების წარმოებასა და მის შეფარდებაზე ცვალებად კაპიტალთან, რომელიც ავანსებულია ამ ზედმეტი ღირებულების წარმოების დროს. პირიქით, თუ გამოვიანგარიშებთ *B*-ში ზედმეტი ღირებულების შეფარდებას არა ავანსებული 5 000 გირვ. სტერლინგი კაპიტალის იმ ნაწილთან, რომელიც გამოყენებული და მოხმარებულია ამ ზედმეტი ღირებულების წარმოების დროს, არამედ მთელ ამ ავანსებულ კაპიტალთან, — მივიღებთ $\frac{500\,m}{5000\,v} = \frac{1}{10} = 10\,\%$. ამ-

რიგად, — *B* კაპიტალისათვის 10 %-ს და *A* კაპიტალისთვის 100%-ს, ე. ი. 10-ჯერ მეტს. თუ ამის გამო ვინმე იტყოდა: ასეთი სხვაობა ზედმეტი ღირებულების ნორმაში ტოლი კაპიტალებისათვის, რომელთაც მოძრაობაში მოჰყავთ თანაბარი რაოდენობის შრომა, და ამასთან შრომა, რომელიც თანაბარ ნაწილებად იყოფა გადახდილ და გადაუხდელ შრომად, — ასეთი სხვაობა ზედმეტი ღირებულების წარმოების კანონებს ეწინააღმდეგებაო, ამის პასუხი მარტივი იქნებოდა, და ამ პასუხს მივიღებდით ფაქტიურ პირობებზე უბრალო თვალის გადავლებით: *A*-სთვის გამოსახულებას პოულობს ზედმეტი ღირებულების ნამდვილი ნორმა, ე. ი. 500 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალით 5 კვირის განმავლობაში წარმოებული ზედმეტი ღირებულების შეფარდება ამ 500 გირვ. სტერლ. ცვალებად კაპიტალთან. *B*-სთვის კი, პირიქით, გამოანგარიშება წარმოებს იმ წესით, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც ზედმეტი ღირებულების წარმოებასთან და არც ამ უკანასკნელის შესაბამისად ზედმეტი ღირებულების ნორმის განსაზღვრასთან. 500 გირვ. სტერლინგი ზედმეტი ღირებულება, რაც 500 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალითაა წარმოებული, გამოიანგარიშება, სახელდობრ, არა 500 გირვ. სტერლინგ ცვალებად კაპიტალთან დაკავშირებით, რომელიც ავანსებულია ამ ზედმეტი ღირებულების წარმოების დროს, არამედ 5 000 გირვ. სტერლინგ კაპიტალთან დაკავშირებით, რომლის $^9/_{10}$-ს, 4 500 გირვ. სტერლინგს, არავითარი საქმე არა აქვს ამ 500 გირვ. სტერლინგი ზედმეტი ღირებულების წარმოებასთან, პირიქით, იგი მხოლოდ თანდათანობით უნდა ამოქმედდეს შემდგომი 45 კვირის განმავლობაში; მაშასადამე, იგი სრულიად არ არსებობს ამ პირველი 5 კვირის წარმოებისათვის, რომელსაც აქ განვიხილავთ. ამრიგად, ამ შემთხვევაში სხვაობა *A* და *B* — კაპიტალების ზედმეტი ღირებულების ნორმაში არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

შევადაროთ ახლა ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმები *A* და *B* კაპიტალებისათვის. *B* კაპიტალისათვის ჩვენ გვაქვს $\frac{5\,000\ m}{5\,000\ v} = 100\%$; *A* კაპიტალისათვის $\frac{5\,000\ m}{500\ v} = 1\,000\%$. მაგრამ ზედმეტი ღირებულების ნორმების შეფარდება იგივეა, რაც უწინ იყო. მაშინ ჩვენ გვქონდა: $\frac{B \text{ კაპიტალის ზედმეტი ღირებულების ნორმა}}{A \text{ კაპიტალის ზედმეტი ღირებულების ნორმა}} = \frac{10\ \%}{100\%}$, ახლა კი გვაქვს: $\frac{A \text{ კაპიტალის ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა}}{B \text{ კაპიტალის ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა}} = \frac{100\%}{1\,000\%}$, მაგრამ $\frac{10\%}{100\%} = \frac{100\%}{1\,000\%}$, მაშასადამე, შეფარდება იგივეა, რაც უწინ იყო.

მაგრამ ახლა პრობლემა შეტრიალდა. *B* კაპიტალის წლიური ნორმა: $\frac{5\,000\,m}{5\,000\,v} = 100\%$ არ წარმოადგენს სრულიად არავითარ გადახრილობას,—მოჩვენებითი ხასიათის გადახრილობასაც კი—ჩვენთვის ცნობილი იმ კანონებისგან, რომლებიც შეეხება წარმოებას და მის შესაბამის ზედმეტი ღირებულების ნორმას. წლის განმავლობაში ავანსებული და მწარმოებლურად მოხმარებულია 5 000 *v*, რომელმაც 5 000 *m* აწარმოვა. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმას გამოსახავს ზემოაღნიშნული წილადი $\frac{5\,000\,m}{5\,000\,v} = 100\%$. წლიური ნორმა ემთხვევა ზედმეტი ღირებულების ნამდვილ ნორმას. მაშასადამე, ამჟამად არა კაპიტალი *B*, როგორც უწინ, არამედ კაპიტალი *A* წარმოადგენს ანომალიას, რომელიც ახსნას მოითხოვს.

ჩვენ აქ გვაქვს ზედმეტი ღირებულების ნორმა $\frac{5\,000\,m}{5\,00\,v} = 1\,000\%$. მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში 500 *m*, 5 კვირის პროდუქტი, გამოიანგარიშებოდა 5 000 გირვ. სტერლინგ ავანსებულ კაპიტალზე, რომლის $^9/_{10}$ არ ყოფილა ამ ზედმეტი ღირებულების წარმოებაში გამოყენებული, ახლა 5 000 *m* გამოიანგარიშება 500 *v*-ზე, ე. ი. იმ ცვალებადი კაპიტალის $^1/_{10}$-ზე, რომელიც 5 000 *m*-ის წარმოებაში ნამდვილად იყო გამოყენებული; იმიტომ რომ 5 000 *m* არის პროდუქტი 500 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალისა, რომელიც მწარმოებლურად იყო მოხმარებული 50 კვირის განმავლობაში, და არა 500 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალისა, რომელიც მოხმარებული იყო მხოლოდ ერთი ხუთკვირიანი პერიოდის განმავლობაში. პირველ შემთხვევაში 5 კვირის განმავლობაში წარმოებული ზედმეტი ღირებულება გამოიანგარიშებოდა 50 კვირისათვის ავანსებულ კაპიტალზე, ე. ი. 5 კვირის განმავლობაში მოხმარებულ კაპიტალთან შედარებით ათჯერ უფრო დიდ კაპიტალზე; ახლა 50 კვირაში წარმოებული ზედმეტი ღირებულება გამოიანგარიშება კაპიტალზე, რომელიც ავანსებული იყო 5 კვირისათვის, ე. ი. კაპიტალზე, რომელიც ათჯერ უფრო ნაკლებია 50 კვირის განმავლობაში მოხმარებულ კაპიტალზე.

კაპიტალი *A*, 500 გირვ. სტერლინგი, არასოდეს არ გაიღება ავანსად 5 კვირაზე უფრო ხანგრძლივი ვადით. 5 კვირის ბოლოს ეს კაპიტალი უკუმოედინება და მას შეუძლია იგივე პროცესი წლის განმავლობაში ათჯერ გაიმეოროს ათჯერ გადაბრუნების გზით. აქედან გამომდინარეობს ორგვარი დასკვნა.

პ ი რ ვ ე ლ ი: ავანსებული კაპიტალი *A* მხოლოდ ხუთჯერ უფრო დიდია კაპიტალის იმ ნაწილზე, რომელიც მუდამ გამოიყენება ერთი

კვირის წარმოების პროცესში. პირიქით, კაპიტალი *B*, რომელიც მხოლოდ ერთხელ გადაბრუნდება 50 კვირაში და, მაშასადამე, 50 კვირისათვის უნდა ავანსდებოდეს 50-ჯერ უფრო დიდია კაპიტალის იმ ნაწილზე, რომელიც შეიძლება მუდამ გამოყენებულ იქნეს ერთი კვირის განმავლობაში. ამიტომ გადაბრუნება ცვლის შეფარდებას წარმოების პროცესისათვის წლის განმავლობაში ავანსებულ კაპიტალსა და წარმოების განსაზღვრული პერიოდისათვის, მაგალითად, ერთი კვირისათვის, მუდამ გამოყენებულ კაპიტალს შორის. აქ ჩვენ გვაქვს პირველი შემთხვევა, როდესაც 5-კვირეული ზედმეტი ღირებულება გამოიანგარიშება არა ამ 5 კვირის განმავლობაში გამოყენებულ კაპიტალზე, არამედ 50 კვირის განმავლობაში გამოყენებულ, ათჯერ უფრო დიდ კაპიტალზე.

მ ე ო რ ე: *A* კაპიტალის გადაბრუნების ხუთკვირიანი პერიოდი შეადგენს წლის მხოლოდ $^1/_{10}$, მაშასადამე, წელიწადი შეიცავს გადაბრუნების 10 ასეთ პერიოდს და ამ პერიოდებში 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალი *A* მუდამ ხელახლა გამოიყენება. გამოყენებული კაპიტალი აქ უდრის 5 კვირისათვის ავანსებულ კაპიტალს, გამრავლებულს წელიწადში მომხდარი გადაბრუნების პერიოდების რიცხვზე. წლის განმავლობაში გამოყენებული კაპიტალი = 500 × 10 = 5 000 გირვ. სტერლინგს. წლის განმავლობაში ავანსებული კაპიტალი = $\frac{5\,000}{10}$ = 500 გირვ. სტერლინგს. მართლაც, თუმცა 500 გირვ. სტერლინგი მუდამ ხელახლა გამოიყენება, მაგრამ ყოველთვის ყოველ 5 კვირაში იგივე 500 გირვ. სტერლინგი ავანსდება. მეორე მხრივ, *B* კაპიტალის შემთხვევაში, თუმცა 5 კვირის განმავლობაში მხოლოდ 500 გირვ. სტერლინგი გამოიყენება და ამ 5 კვირისათვის ავანსდება მაგრამ, რადგან გადაბრუნების პერიოდი აქ = 50 კვირას, ამიტომ წლის განმავლობაში გამოყენებული კაპიტალი უდრის კაპიტალს, ავანსებულს არა 5 კვირისათვის, არამედ 50 კვირისათვის. ყოველწლიურად წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა კი, ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის არსებობისას, შეესაბამება წლის განმავლობაში გამოყენებულ კაპიტალს და არა წლის განმავლობაში ავანსებულს კაპიტალს. მაშასადამე, ამ 5 000 გირვ. სტერლინგი კაპიტალისათვის, რომელიც ერთხელ გადაბრუნდება, ზედმეტი ღირებულების ეს მასა უფრო დიდი როდია, ვიდრე 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალისათვის, რომელიც ათჯერ გადაბრუნდება, და აღნიშნული მასა მხოლოდ იმიტომაა ასე დიდი, რომ ის კაპიტალი, რომელიც ერთხელ გადაბრუნდება წელიწადში, თვითონ ათჯერ უფრო დიდია იმ კაპიტალზე, რომელიც წელიწადში ათჯერ გადაბრუნდება.

წლის განმავლობაში გადაბრუნებული ცვალებადი კაპიტალი, — მაშასადამე, წლიური პროდუქტის ნაწილი ანდა ამ უკანასკნელის ტოლფასი ნაწილი წლიური დანახარჯისა, — წარმოადგენს წლის განმავლობაში ნამდვილად გამოყენებულ, მწარმოებლურად მოხმარებულ ცვალებად კაპიტალს. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ წლიურად გადაბრუნებული ცვალებადი კაპიტალი *A* და წლიურად გადაბრუნებული ცვალებადი კაპიტალი *B* ტოლნი არიან და მათი გამოყენება ღირებულების ზრდის თანაბარ პირობებში ხდება, მაშასადამე, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა თანაბარია ორივესთვის, მაშინ თანაბარი უნდა იყოს ორივესთვის წლიურად წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასაც; მაშასადამე, — რადგან გამოყენებული კაპიტალის მასები თანაბარია, — ასევე თანაბარი უნდა იყოს წელიწადზე გამოანგარიშებული ზედმეტი ღირებულების ნორმაც, რამდენადაც ეს ნორმა გამოისახება ამ ფორმულით:

$$\frac{\text{წლიურად წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა}}{\text{წლიურად გადაბრუნებული ცვალებადი კაპიტალი}}$$

. ანუ თუ ზოგადად გამოვთქვამთ: როგორიც არ უნდა იყოს გადაბრუნებული ცვალებადი კაპიტალების შეფარდებითი სიდიდე, წლის განმავლობაში წარმოებული ზედმეტი ღირებულების მათი ნორმა განისაზღვრება ზედმეტი ღირებულების იმ ნორმით, რომელსაც შესაბამისი კაპიტალები იძლეოდნენ საშუალო სამუშაო პერიოდებში (მაგალითად, საშუალოდ კვირაში ან საშუალოდ დღეში).

ასეთია ერთადერთი შედეგი, რომელიც გამომდინარეობს ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და ზედმეტი ღირებულების ნორმის განსაზღვრის კანონებიდან.

დავაკვირდეთ ახლა, რას გამოსახავს შეფარდება:

$$\frac{\text{წლის განმავლობაში გადაბრუნებული კაპიტალი}}{\text{ავანსებული კაპიტალი}}$$

(ამასთან ჩვენ, როგორც უკვე ნათქვამი იყო, მხოლოდ ცვალებადი კაპიტალი გვაქვს მხედველობაში). განაყოფი გვაძლევს წლის განმავლობაში ავანსებული კაპიტალის გადაბრუნების რიცხვს.

A კაპიტალისთვის ჩვენ გვაქვს:

$$\frac{\text{5 000 გირვ. სტერლ. წლიურად გადაბრუნებული კაპიტალი}}{\text{500 გირვ. სტერლ. ავანსებული კაპიტალი}}$$

; *B* კაპიტალისთვის:

$$\frac{\text{5 000 გირვ. სტერლ. წლიურად გადაბრუნებული კაპიტალი}}{\text{5 000 გირვ. სტერლ. ავანსებული კაპიტალი}}$$

ორივე შეფარდებაში მრიცხველი გამოსახავს ავანსებულ კაპიტალს, გამრავლებულს გადაბრუნებათა რიცხვზე; *A* კაპიტალისათვის 500×10,

B კაპიტალისთვის 5 000 × 1. ანდა გამრავლებულს წლის მიმართ აღებული გადაბრუნების დ რ ო ი ს შებრუნებულ წილადზე. გადაბრუნების დრო *A*-სთვის არის წლის $\frac{1}{10}$; შებრუნებული წილადია წლის $\frac{10}{1}$, მაშასადამე, $500 \times \frac{10}{1} = 5\,000$; *B*-სთვის — $5\,000 \times \frac{1}{1} = 5\,000$. მნიშვნელი გამოსახავს გადაბრუნებულ კაპიტალს, გამრავლებულს გადაბრუნებათა რ ი ც ხ ვ ი ს შებრუნებულ წილადზე: *A*-სთვის $5\,000 \times \frac{1}{10}$; *B*-სთვის $5\,000 \times \frac{1}{1}$.

წლის განმავლობაში გადაბრუნებული ორივე ცვალებადი კაპიტალის მიერ მოძრაობაში მოყვანილი შრომის სათანადო მასა (გადახდილი და გადაუხდელი შრომის ჯამი) აქ თანაბარია, იმიტომ რომ თვით გადაბრუნებული კაპიტალები და მათი ღირებულების ზრდის ნორმებიც თანაბარია.

წლიურად გადაბრუნებული კაპიტალის შეფარდება ავანსებულ ცვალებად კაპიტალთან გვიჩვენებს: 1) შეფარდებას, რომელშიც ავანსად გასაღები კაპიტალი იმყოფება განსაზღვრულ სამუშაო პერიოდში გამოყენებული ცვალებადი კაპიტალის მიმართ. თუ გადაბრუნებათა რიცხვი = 10, როგორც *A* კაპიტალის შემთხვევაში, და წელიწადად 50 კვირას ჩავთვლით, მაშინ გადაბრუნების დრო = 5 კვირას. ამ 5 კვირისათვის უნდა გაიღონ ავანსად ცვალებადი კაპიტალი და 5 კვირისათვის ავანსებული ეს კაპიტალი ხუთჯერ უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე ერთი კვირის განმავლობაში გამოყენებული ცვალებადი კაპიტალი. ე. ი. ერთი კვირის განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ავანსებული კაპიტალის მხოლოდ $^1/_5$ (აქ 500 გირვ. სტერლ.). პირიქით, *B* კაპიტალის შემთხვევაში, სადაც გადაბრუნებათა რიცხვი = $\frac{1}{1}$, გადაბრუნების დრო უდრის 1 წელს = 50 კვირას. ავანსებული კაპიტალის შეფარდება ყოველკვირეულად გამოყენებულ კაპიტალთან უდრის, მაშასადამე, 50 : 1. ეს შეფარდება რომ *B*-სთვის ისეთივე ყოფილიყო, რაც *A*-სთვის, მაშინ *B*-ს 100 გირვანქა სტერლინგის ნაცვლად კვირაში 1 000 გირვ. სტერლინგი დასჭირდებოდა. 2) აქედან გამომდინარეობს, რომ *B*-მ ათჯერ უფრო დიდი კაპიტალი (5 000 გირვ. სტერლ.) გამოიყენა, ვიდრე *A*-მ, იმ მიზნით, რომ ცვალებადი კაპიტალის იგივე მასა, მაშასადამე, — ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის არსებობისას, — შრომის (გადახდილის და გადაუხდელის) იგივე მასა მოიყვანოს მოძრაობაში და, ამრიგად, წლის განმავლობაში აგ-

რეთვე ზედმეტი ღირებულების იგივე მასა აწარმოოს, რა მასასაც *A* აწარმოებს. ზედმეტი ღირებულების ნამდვილი ნორმა გამოხატავს მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში გამოყენებული ცვალებადი კაპიტალის შეფარდებას იმავე დროის განმავლობაში წარმოებულ ზედმეტ ღირებულებასთან; ანუ, სხვა სიტყვებით, იგი გამოხატავს გადაუხდელი შრომის მასას, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ამ დროის განმავლობაში გამოყენებულ ცვალებად კაპიტალს. მას აბსოლუტურად არავითარი კავშირი არა აქვს ცვალებადი კაპიტალის იმ ნაწილთან, რომელიც ავანსებულია იმ დროის განმავლობაში, როდესაც მას გამოყენება ვერ უპოვნია, და, ამიტომ, მას ასევე არავითარი კავშირი არა აქვს კაპიტალების განსაზღვრული დროის განმავლობაში ავანსებული ნაწილისა და იმავე დროის განმავლობაშია გამოყენებული ნაწილის შეფარდებასთან, — გადაბრუნების პერიოდის მეოხებით სხვადასხვა კაპიტალებისათვის სახუშეცვლილ და დიფერენცირებულ შეფარდებასთან.

პირიქით, იქიდან, რაც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, გამომდინარეობს, რომ ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში ემთავეა ზედმეტი ღირებულების ნამდვილ ნორმას, რომელიც ზრომის ექსპლოატაციის ხარისხს გამოსახავს: სახელდობრ, იმ შემთხვევაში, როდესაც ავანსებული კაპიტალი მხოლოდ ერთხელ გადაბრუნდება წელიწადში. ამიტომ ავანსებული კაპიტალი უდრის წლის განმავლობაში გადაბრუნებულ კაპიტალს, ე. ი. წლის განმავლობაში წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასის შეფარდება წლის განმავლობაში მის საწარმოებლად გამოყენებულ კაპიტალთან თანამთხვევი და იდენტურია წლის განმავლობაში წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასის შეფარდებისა წლის განმავლობაში ავანსებულ კაპიტალთან.

A) ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა უდრის

$$\frac{\text{წლის განმავლობაში წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა}}{\text{ავანსებული ცვალებადი კაპიტალი}}$$

. მაგრამ წლის განმავლობაში წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა უდრის ზედმეტი ღირებულების ნამდვილ ნორმას, გამრავლებულს მის საწარმოებლად გამოყენებულ ცვალებად კაპიტალზე. ზედმეტი ღირებულების წლიური მასის საწარმოებლად გამოყენებული კაპიტალი უდრის ავანსებულ კაპიტალს, გამრავლებულს მის გადაბრუნებათა რიცხვზე, რომელსაც ჩვენ *n*-ით აღვნიშნავთ. ამიტომ ფორმულა *A* გადაიქცევა შემდეგ ფორმულად:

B) ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა უდრის

$$\frac{\text{ზედმ. ღირებ. ნამდვილ ნორმას} \times \text{ავანსებულ ცვალებად კაპიტალზე} \times n}{\text{ავანსებული ცვალებადი კაპიტალი}}.$$ მაგალითად, *B* კაპიტალისათვის $= \frac{100\% \times 5\,000 \times 1}{5\,000}$, ანუ 100 %. მხოლოდ თუ $n = 1$, ე. ი. თუ ავანსებული ცვალებადი კაპიტალი მარტო ერთხელ გადაბრუნდება წელიწადში, მაშასადამე, თუ იგი უდრის წლის განმავლობაში გამოყენებულ ანუ გადაბრუნებულ კაპიტალს, მხოლოდ ამ შემთხვევაში უდრის ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა ზედმეტი ღირებულების ნამდვილ ნორმას.

თუ ჩვენ ზედმეტი ღირებულების წლიურ ნორმას აღვნიშნავთ M'-ით, ზედმეტი ღირებულების ნამდვილ ნორმას m-ით, ავანსებულ ცვალებად კაპიტალს v-თი, გადაბრუნების რიცხვს — n-ით, მაშინ $M' = \frac{m' vn}{v} = m' n$; მაშასადამე, $M' = m'n$, და მხოლოდ იმ შემთხვევაში $= m'$, თუ $n = 1$; მაშასადამე, $M' = m \times 1 = m'$.

შემდეგ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა ყოველთვის $= m' n$, ე. ი. უდრის ზედმეტი ღირებულების ნამდვილ ნორმას, რომელიც წარმოებულია გადაბრუნების ერთ პერიოდში ამ პერიოდის განმავლობაში მოხმარებული ცვალებადი კაპიტალით, — გამრავლებულს წლის განმავლობაში ამ ცვალებადი კაპიტალის გადაბრუნებათა რიცხვზე, ანუ გამრავლებულს (რაც იგივეა) მისი გადაბრუნების დროის — თუ ამ გადაბრუნების დროდ ავიღებთ წელიწადს როგორც ერთეულს — შებრუნებულ წილადზე. (თუ ცვალებადი კაპიტალი ათჯერ გადაბრუნდება წელიწადში, მისი გადაბრუნების დრო $= {}^1/_{10}$ წელიწადს; მაშასადამე, მისი გადაბრუნების დროის შებრუნებული წილადი $= \frac{10}{1} = 10$.)

შემდეგ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს: $M' = m'$, თუ $n = 1$. M' მეტია m'-ზე, თუ n მეტია 1-ზე, ე. ი. თუ ავანსებული კაპიტალი ერთზე მეტჯერ გადაბრუნდება წელიწადში, ანუ თუ გადაბრუნებული კაპიტალი ავანსებულზე მეტია.

დასასრულ, M' ნაკლებია m-ზე, თუ n ნაკლებია 1-ზე, ე. ი. თუ წლის განმავლობაში გადაბრუნებული კაპიტალი ავანსებული კაპიტალის მხოლოდ ნაწილს შეადგენს, მაშასადამე, თუ გადაბრუნების პერიოდი ერთ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდება.

ერთ წუთს შევჩერდეთ უკანასკნელ შემთხვევაზე.

შევინარჩუნოთ ჩვენი წინანდელი მაგალითის ყველა წანამძღვარი, მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ გადაბრუნების პერიოდი გაგრძელებულია

55 კვირამდე. შრომის პროცესი მოითხოვს ყოველკვირეულად 100 გირვ. სტერლინგ ცვალებად კაპიტალს, მაშასადამე, 5 500 გირვ. სტერლინგს გადაბრუნების პერიოდისათვის, და აწარმოებს ყოველკვირეულად 100 m-ს; მაშასადამე, m' უდრის, ისე როგორც ზეწინ, 100%. გადაბრუნების რიცხვი n აქ $= \frac{50}{55} = \frac{10}{11}$ იმიტომ, რომ გადაბრუნების დრო $1 + \frac{1}{10}$ (წელიწადი მიღებული გვაქვს 50-კვირიანად) $= \frac{11}{10}$ წელიწადს.

$$M' = \frac{100\% \times 5\,500 \times {}^{10}/_{11}}{5\,500} = 100 \times \frac{10}{11} = \frac{1\,000}{11} = 90\frac{10}{11}\%,$$ მაშასადამე ნაკლებია 100%-ზე. მართლაც, ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა რომ 100% ყოფილიყო, 5 500 v-ს ერთ წელიწადში უნდა ეწარმოებინა 5 500 m, მაშინ როდესაც ამისათვის საჭიროა $\frac{11}{10}$ წელიწადი ეს 5 500 v აწარმოებს წლის განმავლობაში მხოლოდ 5 000 m-ს, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა $= \frac{5\,000\,m}{5\,500\,v} = \frac{10}{11} = 90\frac{10}{11}\%$.

ამიტომ ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა, ანუ წლის განმავლობაში წარმოებული ზედმეტი ღირებულების შეფარდება საერთოდ ავანსებულ ცვალებად კაპიტალთან (წლის განმავლობაში გადაბრუნებული ცვალებადი კაპიტალისაგან განსხვავებით) არ არის მარტო სუბიექტური დაპირისპირება, იგი თვით კაპიტალის ნამდვილი მოძრაობით არის გამოწვეული. წლის ბოლოს A კაპიტალის მფლობელს უკან დაუბრუნდა მის მიერ ავანსებული ცვალებადი კაპიტალი = 500 გირვ. სტერლინგს, და გარდა ამისა 5 000 გირვ. სტერლინგი ზედმეტი ღირებულება. არა წლის განმავლობაში გამოყენებული კაპიტალის მასა, არამედ ის მასა, რომელიც მას პერიოდულად უკან უბრუნდება, გამოხატავს მის მიერ ავანსებული კაპიტალის ოდენობას. აქ განხილული საკითხისათვის, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას არსებობს თუ არა კაპიტალი წლის ბოლოს ნაწილობრივ საწარმოო მარაგის სახით, ნაწილობრივ საქონლური თუ ფულადი კაპიტალის სახით, და რა პროპორციითაა იგი ამ სხვადასხვა ნაწილებად დაყოფილი. B კაპიტალის მფლობელს უკან დაუბრუნდა 5 000 გირვ. სტერლინგი, მის მიერ ავანსებული კაპიტალი, და კიდევ 5 000 გირვ. სტერლინგი ზედმეტი ღირებულება. C კაპიტალის (ჩვენ მიერ უკანასკნელად განხილული 5 500 გირვ. სტერლინგის) მფლობელისათვის წარმოებულია წლის განმავლობაში 5 000 გირვ. სტერლინგი ზედმეტი ღირებულება (დაიხარჯა 5 000 გირვ. სტერლინგი და ზედმეტი ღირებულების ნორმა 100%), მაგრამ მის მიერ ავანსებული კაპიტალი ჯერ

კიდევ არ დაბრუნებულა უკან, ისევე როგორც არ დაბრუნებულა მის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება.

$M' = m'n$ გამოხატავს, რომ გადაბრუნების ერთი პერიოდის განმავლობაში გამოყენებული ცვალებადი კაპიტალისათვის ძალაში მყოფი ნორმა ზედმეტი ღირებულებისა:

$$\frac{\text{გადაბრუნების ერთი პერ. განმავლობაში წარმოებული ზედმ. ღირ. მასა}}{\text{გადაბრუნების ერთი პერიოდის განმავ. გამოყენებული ცვალებადი კაპიტალი}}$$ უნდა

გამრავლდეს გადაბრუნების პერიოდების რიცხვზე, ანუ ავანსებული ცვალებადი კაპიტალის კვლავწარმოების პერიოდების რიცხვზე, — პერიოდების რიცხვზე, რომლებშიც იგი განაახლებს თავის წრებრუნვას.

ჩვენ I წიგნის IV თავში («ფულის გადაქცევა კაპიტალად») და შემდეგ I წიგნის XXI თავში («მარტივი კვლავწარმოება») უკვე დავინახეთ, რომ კაპიტალღირებულება საერთოდ ავანსებულია და არა დახარჯული, რადგან ეს ღირებულება, თავისი წრებრუნვის სხვადასხვა ფაზების გავლის შემდეგ, ისევ უბრუნდება თავის ამოსავალ პუნქტს, და თანაც — ზედმეტი ღირებულებით გამდიდრებული. ეს ახასიათებს მას როგორც ავანსებულ კაპიტალღირებულებას. დრო, რომელიც გაივლის მისი მოძრაობის ამოსავალი პუნქტიდან მისი უკუდაბრუნების მომენტამდე, არის ის დრო, რომლისთვისაც იგი ავანსებულია. მთელი წრებრუნვა, რომელსაც კაპიტალღირებულება გაივლის და რომელიც გაიზომება დროით ამ უკანასკნელის ავანსად გაღებიდან მის უკან დაბრუნებამდე, შეადგენს მის გადაბრუნებას, ხოლო ამ გადაბრუნების ხანგრძლიობა შეადგენს გადაბრუნების პერიოდს. როდესაც ეს პერიოდი გაივლის და წრებრუნვა დასრულდება, — იმავე კაპიტალღირებულებას შეუძლია ხელახლა დაიწყოს იგივე წრებრუნვა, მაშასადამე, ხელახლა განიცადოს ღირებულების თვითზრდა, აწარმოოს ზედმეტი ღირებულება. თუ ცვალებადი კაპიტალი, როგორც A-ს შემთხვევაში ათჯერ გადაბრუნდება წელიწადში, მაშინ წლის განმავლობაში ავანსებული ერთი და იგივე კაპიტალი ათჯერ აწარმოებს ზედმეტი ღირებულების ისეთსავე მასას, რომელიც გადაბრუნების ერთ პერიოდს შეესაბამება.

ჩვენ უნდა გავარკვიოთ ავანსის ხასიათი კაპიტალისტური საზოგადოების თვალსაზრისით.

კაპიტალი A, რომელიც ათჯერ გადაბრუნდება წლის განმავლობაში, ათჯერ არის წლის განმავლობაში ავანსებული. ყოველი ახალი გადაბრუნების პერიოდისათვის იგი ხელახლა გაიღება ავანსად. მაგრამ, ამასთან ერთად, A არასოდეს არ გაიღებს ავანსად იმავე 500 გირვ. სტერლინგ კაპიტალღირებულებაზე მეტს, და მას არსებითად წარმოების პროცე-

სისთვის, რომელიც ჩვენი განხილვის საგანია, არასოდეს არა აქვს თავის განკარგულებაში 500 გირვ. სტერლინგზე მეტი. როგორც კი ეს 500 გირვ. სტერლინგი ერთ წრებრუნვას დაასრულებს, *A* კაპიტალისტი ხელახლა დააწყებინებს მას ასეთსავე წრებრუნვას. კაპიტალი თავისი ბუნების მიხედვით კაპიტალის ხასიათს სწორედ იმით ინარჩუნებს, რომ წარმოების მუდამ განმეორებულ პროცესებში მოქმედებს როგორც კაპიტალი. იგი ამ შემთხვევაში არასოდეს არ ავანსდება 5 კვირაზე მეტი ხნით. თუ გადაბრუნება მეტ ხანს გაგრძელდა, კაპიტალი აღარ იკმარებს. თუ გადაბრუნების დრო შემოკლდა, კაპიტალის ნაწილი ჭარბი გახდება. ავანსებულია არა ათი კაპიტალი თითო 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, არამედ ერთი კაპიტალი 500 გირვ. სტერლინგის ოდენობით თანმიმდევრულ ინტერვალებში ათჯერ გაიღება ავანსად. ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა, ამიტომ, გამოიანგარიშება არა ათჯერ ავანსებულ 500 გირვ. სტერლინგ კაპიტალზე, ანუ 5 000 გირვ. სტერლინგზე, არამედ ერთხელ ავანსებულ 500 გირვ. სტერლინგზე: სავსებით ისე, როგორც 1 ტალერი, რომელიც ათჯერ მიმოიქცევა, ყოველთვის მხოლოდ მიმოქცევაში მყოფ ერთ ტალერს წარმოადგენს. თუმცა იგი 10 ტალერის ფუნქციას ასრულებს. მაგრამ იმ ხელში, რომელშიც იგი ყოველი გარიგებისას იმყოფება, იმავე ერთი ტალერის ღირებულებად რჩება.

ასევე კაპიტალი *A* ყოველი უკუდაბრუნებისას და აგრეთვე წლის ბოლოს უკუდაბრუნებისას გვიჩვენებს, რომ მისი მფლობელი ყოველთვის მხოლოდ იმავე 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალღირებულებით მოქმედებს. ამიტომაც მას ყოველთვის მხოლოდ 500 გირვ. სტერლინგი უბრუნდება. მის მიერ ავანსებული კაპიტალი ამიტომ არასოდეს არ აღემატება 500 გირვ. სტერლინგს. ამიტომ ავანსებული 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალი შეადგენს იმ წილადის მნიშვნელს, რომელიც ზედმეტი ღირებულების წლიურ ნორმას გამოხატავს. ჩვენ მისთვის ზემოთ შემდეგი ფორმულა გვქონდა: $M' = \frac{m'vn}{v} = m'n$. რადგან ზედმეტი ღირებულების ნამდვილი ნორმა $m' = \frac{m}{v}$, უდრის ზედმეტი ღირებულების მასას, გაყოფილს იმ ცვალებად კაპიტალზე, რომელმაც იგი აწარმოვა, ამიტომ $m'n$-ში ჩვენ შეგვიძლია ჩავსვათ m' მნიშვნელობა, ე. ი. $\frac{m}{v}$, და მაშინ მივიღებთ სხვა ფორმულას: $M' = \frac{mn}{v}$.

მაგრამ თავისი ათგზისი გადაბრუნებით, და, ამიტომ, თავისი ავანსების ათგზისი განახლებით 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალი ათჯერ

უფრო დიდი კაპიტალის, 5 000 გირვ. სტერლინგი კაპიტალის, ფუნქციას ასრულებს; სავსებით ისე, როგორც 500 ტალერი მონეტა, რომელიც წელიწადში ათჯერ მიმოიქცევა, იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც 5 000, რომელიც ერთხელ მიმოიქცევა.

II. ცალკეული ცვალებადი კაპიტალის გადაბრუნება

«როგორიც უნდა იყოს წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ფორმა, ეს პროცესი უნდა იყოს განუწყვეტელი, ე. ი. მან პერიოდულად მუდამ ხელახლა ერთი და იგივე სტადიები უნდა გაიაროს... ამიტომ ყოველი საზოგადოებრივი წარმოების პროცესი, განხილული მუდმივ კავშირში და მისი განახლების განუწყვეტელ დინებაში, არის იმავე დროს კვლავწარმოების პროცესი... როგორც კაპიტალღირებულების პერიოდული ნამატი, ანუ მოქმედი კაპიტალის პერიოდული ნაყოფი, ზედმეტი ღირებულება იღებს კაპიტალიდან წარმომდგარი შემოსავლის ფორმას» (წიგნი I, თავი XXI). [შეად. კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც. 1954 წ. გვ. 713—714.]

ჩვენ გვაქვს *A* **კაპიტალის** 10 ხუთკვირიანი გადაბრუნების პერიოდი; პირველ გადაბრუნების პერიოდში ავანსად გაიღება 500 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი, ე. ი. ყოველკვირეულად 100 გირვ. სტერლინგი გაიცვლება სამუშაო ძალაზე, ასე რომ გადაბრუნების პირველი პერიოდის ბოლოს სამუშაო ძალაზე დაიარჯულია 500 გირვ. სტერლინგი. ეს 500 გირვ. სტერლინგი, რომელიც თავდაპირველად ავანსებული ერთობლივი კაპიტალის ნაწილს შეადგენდა, უკვე აღარ არსებობს კაპიტალის სახით. იგი დახარჯულია ხელფასზე. მუშები, თავის მხრივ, მას ხარჯავენ, როდესაც თავისთვის საარსებო საშუალებებს ყიდულობენ; მაშასადამე, მოიხმარებენ 500 გირვ. სტერლინგის ღირებულების საარსებო საშუალებებს. ამრიგად, ისპობა ამ ღირებულების ჯამის შესაბამისი საქონლის მასა (მუშის დანაზოგი, მაგალითად, ფულის და სხვ. სახით, აგრეთვე არაა კაპიტალი). ეს საქონელთა მასა მუშისათვის არამწარმოებლურად მოიხმარება, თუ მიედეველობაში არ მივიღებთ იმას, რომ იგი ამ უკანასკნელის სამუშაო ძალას — მაშასადამე, კაპიტალისტის აუცილებელ იარაღს—შრომისუნარიან მდგომარეობაში ინახავს. მაგრამ, მეორე, კაპიტალისტისათვის ეს 500 გირვ. სტერლ. გაცვლილია იმავე ღირებულების (შესაბამისად ფასის) სამუშაო ძალაზე. სამუშაო ძალას კაპიტალისტი მწარმოებლურად მოიხმარს შრომის პროცესში. მე-5 კვირის ბოლოს უკვე არსებობს ახლად შექმნილი ღირებულება 1 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. ამის ნახევარი, 500 გირვ. სტერლინგი, წარმოადგენს სამუშაო ძალის გადასახდელად დახარჯული

ცვალებადი კაპიტალის კვლავწარმოებულ ღირებულებას. მეორე ნახევარში, 500 გირვ. სტერლინგი, ახლად წარმოებული ზედმეტი ღირებულებაა. მაგრამ ის ხუთკვირეული სამუშაო ძალა, რომელზედაც გაცვლის გზით კაპიტალის ნაწილი ცვალებად კაპიტალად გადაიქცა, აგრეთვე დახარჯულია, მოხმარებულია, თუმცა — მწარმოებლურად. შრომა, რომელიც გუშინ მოქმედებდა, არ არის ის შრომა, რომელიც დღეს მოქმედებს. მისი ღირებულება, პლუს მის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულება, ახლა არსებობს როგორც თვით სამუშაო ძალისგან განსავავებული ნივთის, პროდუქტის, ღირებულება. მაგრამ იმის გამო, რომ პროდუქტი ფულად გადაიქცევა, მისი ღირებულების ნაწილი, რომელიც ავანსებული ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას უდრის, შეიძლება ხელახლა გაიცვალოს სამუშაო ძალაზე და ამიტომ მას ხელახლა შეუძლია ცვალებადი კაპიტალის სახით იმოქმედოს. აქ სრულიად უმნიშვნელოა ის გარემოება, რომ კაპიტალღირებულებით, რომელიც არა მარტო კვლავწარმოებულია, არამედ ფულად ფორმად უკუგარდაქმნილიცაა, დაიქირავებენ იმავე მუშებს, ე. ი. სამუშაო ძალის იმავე მატარებელთ. შესაძლებელია, კაპიტალისტმა გადაბრუნების მეორე პერიოდში ძველი მუშების ნაცვლად ახალი მუშები გამოიყენოს.

მაშასადამე, ნამდვილად გადაბრუნების 10 ხუთკვირიან პერიოდში ხელფასზე თანმიმდევრობით დახარჯება 5 000 გირვ. სტერლინგი და არა 5 500 გირვანქა სტერლინგი კაპიტალი, და ამ ხელფასს მუშები ხელახლა დახარჯავენ საარსებო საშუალებებზე. ამ წესით ავანსებული 5 000 გირვ. სტერლინგი კაპიტალი მოხმარებულია. იგი აღარ არსებობს უკვე. მეორე მხრივ, წარმოების პროცესს თანმიმდევრობით ჩაერთვის სამუშაო ძალა არა 500 გირვ. სტერლინგის, არამედ 5 000 გირვ. სტერლინგის ღირებულებისა; ეს სამუშაო ძალა არა მარტო აკვლავწარმოებს თავის საკუთარ ღირებულებას = 5 000 გირვ. სტერლინგს, არამედ იგი აწარმოებს კიდევ ნამეტის სახით 5 000 გირვ. სტერლინგ ზედმეტ ღირებულებას. 500 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი, რომელიც გადაბრუნების მეორე პერიოდში ავანსდება, არაა იდენტური იმ 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალისა, რომელიც გადაბრუნების პირველ პერიოდში იყო ავანსებული. ეს უკანასკნელი მოხმარებულია, დახარჯულია ხელფასზე. მაგრამ იგი ა ნ ა ზ ღ ა უ რ ე ბ უ ლ ი ა 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობის ახალი ცვალებადი კაპიტალით, რომელიც გადაბრუნების პირველ პერიოდში წარმოებული იყო საქონლურ ფორმაში და უკუგარდაიქმნა ფულად ფორმად. მაშასადამე, ეს ახალი 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალი წარმოადგენს გადაბრუნების პირველ პერიოდში ახლად წარმოებულ საქონელთა მასის ფულად

ფორმას. ის გარემოება, რომ კაპიტალისტის ხელში ისევ მოიპოვება სწორედ ისეთივე ფულადი თანხა 500 გირვ. სტერლ. რაოდენობით, ე. ი., თუ ზედმეტ ღირებულებას მხედველობაში არ მივიღებთ, სწორედ იმდენივე ფულადი კაპიტალი, რამდენიც მან თავდაპირველად გაიღო ავანსად, — ეს გარემოება ჩრდილავს იმ ფაქტს, რომ კაპიტალისტი ახლად წარმოებული კაპიტალით მოქმედებს (რაც შეეხება საქონლური კაპიტალის ღირებულების სხვა შემადგენელ ნაწილებს, რომელნიც კაპიტალის მუდმივ ნაწილებს ანაზღაურებენ, — მათი ღირებულება ახლად კი არ იწარმოება, არამედ მხოლოდ ამ ღირებულების არსებობის ფორმა იცვლება). — ავიღოთ გადაბრუნების მესამე პერიოდი. აქ ცხადია, რომ მესამეჯერ ავანსებული 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალი ძველი კაპიტალი კი არ არის, არამედ ახლად წარმოებული კაპიტალია, იმიტომ რომ იგი ფულადი ფორმაა გადაბრუნების მეორე პერიოდში წარმოებულ და არა გადაბრუნების პირველ პერიოდში წარმოებულ საქონელთა მასისა, ე. ი. საქონელთა მასის იმ ნაწილისა, რომლის ღირებულება უდრის ავანსებული ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას. გადაბრუნების პირველ პერიოდში წარმოებულ საქონელთა მასა გაყიდულია. მისი ღირებულების ნაწილი, რომელიც ავანსებული კაპიტალის ღირებულების ცვალებად ნაწილს უდრის, გაიცვალა სამუშაო ძალაზე და გადაბრუნების მეორე პერიოდში და მან აწარმოვა ახალი საქონელთა მასა, რომელიც ისევ გაიყიდა და რომლის ღირებულების ერთი ნაწილი გადაბრუნების მესამე პერიოდში ავანსებულ 500 გირვ. სტერლინგ კაპიტალს შეადგენს.

და ამგვარად მიმდინარეობს საქმე გადაბრუნების ათი პერიოდის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ახლად წარმოებულ საქონელთა მასა (რომელთა ღირებულება, რამდენადაც იგი ცვალებად კაპიტალს ანაზღაურებს, აგრეთვე ახლად წარმოებულია და არა მარტო ხელახლა გვევლინება, როგორც ეს კაპიტალის მუდმივი საბრუნავი ნაწილის მიმართ ხდება) ყოველ ხუთ კვირაში ბაზარზე გადაისროლება, რათა ამით წარმოების პროცესში მუდამ ახალი სამუშაო ძალა ჩაებას.

ამრიგად, ავანსებული 500 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალის ათგზისი გადაბრუნებით იმას კი არ აღწევენ, რომ ეს 500 გირვ. სტერლ. კაპიტალი შეიძლება ათჯერ იქნეს მწარმოებლურად მოხმარებული და არც იმას, რომ 5 კვირისათვის საკმარისი ცვალებადი კაპიტალი 50 კვირის განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს. პირიქით, 50 კვირაში გამოიყენება 500×10 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი, და 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალი ყოველთვის საკმარისი იქნება მხოლოდ 5 კვირისათვის და 5 კვირის გასვლის

შემდეგ იგი უნდა ანაზღაურდეს ახლად წარმოებული 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალით. ამას ადგილი აქვს როგორც *A* კაპიტალისათვის, ისე *B* კაპიტალისთვისაც. მაგრამ აქ იწყება განსხვავება.

პირველი 5-კვირიანი პერიოდის ბოლოს *A* კაპიტალისტი, ისევე როგორც *B* კაპიტალისტი, ავანსად გაიღებს და დახარჯავს 500 გირვ. სტერლინგ ცვალებად კაპიტალს. *A*-მაც და *B*-მაც მისი ღირებულება სამუშაო ძალად აქცია და აანაზღაურა იგი პროდუქტის იმ ღირებულების ნაწილით, რომელიც ამ სამუშაო ძალამ ახლად აწარმოვა. ნაწილით. რომელიც უდრის ავანსებული ცვალებადი კაპიტალის— 500 გირვ. სტერლინგის — ღირებულებას. როგორც *B*-სთვის, ისე *A*-სთვისაც სამუშაო ძალამ არა ოუ აანაზღაურა 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით დახარჯული ცვალებადი კაპიტალის ღირებულება იმდენივე ახალი ღირებულებით, არამედ მიუმატა მას აგრეთვე ზედმეტი ღირებულება,—ჩვენი ნაგულისხმევის თანახმად, იმავე ოდენობის ზედმეტი ღირებულება.

მაგრამ ახლად შექმნილი ღირებულება, რომელიც ავანსებულ ცვალებად კაპიტალს ანაზღაურებს და მის ღირებულებას ზედმეტ ღირებულებას მატებს, *B*-ს არა აქვს იმ ფორმით, რომლითაც მას ხელახლა შეუძლია მოქმედება როგორც მწარმოებლურ კაპიტალს, შესაბამისად — როგორც ცვალებად კაპიტალს. *A*-ს კი იგი სწორედ ამ ფორმით აქვს. პირველ 5 კვირაში და შემდგომ თანმიმდევრობით ყოველ 5 კვირაში დახარჯული ცვალებადი კაპიტალი, თუმცა იგი ანაზღაურებულია ახლად წარმოებული ღირებულებით პლუს ზედმეტი ღირებულება, წლის ბოლომდე *B*-ს ხელთ აქვს არა იმ ფორმაში, რა ფორმითაც ამ კაპიტალს შეუძლია ხელახლა იმოქმედოს მწარმოებლური კაპიტალის, სათანადოდ — ცვალებადი კაპიტალის სახით. მისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თუმცა ახალი ღირებულებითაა ანაზღაურებული, მაშასადამე, განახლებულია, მაგრამ მისი ღირებულების ფ ო რ მ ა (აქ ღირებულების აბსოლუტური ფორმა, მისი ფულადი ფორმა) არაა განახლებული.

ამრიგად, მეორე ხუთკვირიანი პერიოდისათვის (და ამგვარადვე თანმიმდევრულად თვითეული 5 კვირისათვის წლის განმავლობაში) სრულიად ისევე უნდა არსებობდეს მარაგის სახით შემდგომი 500 გირვ. სტერლინგი, როგორც არსებობდა იგი პირველი პერიოდისათვის. მაშასადამე, — თუ საკრედიტო ურთიერთობას მხედველობაში არ მივიღებთ, — წლის დასაწყისში მარაგად უნდა მოიპოვებოდეს 5 000 გირვ. სტერლინგი ფარული ავანსებული კაპიტალის სახით, თუმცა

იგი ნამდვილად წლის განმავლობაში მხოლოდ თანდათანობით დაიხარჯება, სამუშაო ძალად გარდაიქმნება.

A-ს ხელში, პირიქით, — რაკი წრებრუნვა, ავანსებული კაპიტალის გადაბრუნება, უკვე დამთავრებულია, — ამნაზღაურებელი ღირებულება უკვე პირველი 5 კვირის გასვლის შემდეგ მოიპოვება ისეთი ფორმით, რომლითაც მას შეუძლია მოძრაობაში მოიყვანოს ახალი სამუშაო ძალა 5 კვირისათვის: იგი იმყოფება თავის თავდაპირველ ფულად ფორმაში.

A-სთვის, ისე როგორც *B*-სთვის, მეორე 5 კვირიან პერიოდში ახალი სამუშაო ძალა მოიხმარება და ამ სამუშაო ძალის გასასტუმრებლად 500 გირვ. სტერლინგი ახალი კაპიტალი იხარჯება. საარსებო საშუალებანი, რომლებიც მუშებმა პირველი 500 გირვ. სტერლინგით იყიდეს, მოხმარებულია, ყოველ შემთხვევაში მათი შესაბამისი ღირებულება კაპიტალისტს ხელიდან გაუქრა. მეორე 500 გირვ. სტერლინგით ახალი სამუშაო ძალა შეისყიდება, ახალი საარსებო საშუალებანი გამოეცლება ბაზარს. მოკლედ, — იხარჯება ახალი კაპიტალი 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით და არა ძველი. მაგრამ *A*-სთვის ეს 500 გირვ. სტერლინგი ახალი კაპიტალი ფულადი ფორმაა ახლად წარმოებული ღირებულებისა, რომელიც წინათ დახარჯულ 500 გირვ. სტერლინგს ანაზღაურებს. *B*-სთვის ეს ამნაზღაურებელი ღირებულება იმყოფება ისეთ ფორმაში, რომელშიც მას არ შეუძლია ცვალებადი კაპიტალის სახით მოქმედება. იგი არსებობს, მაგრამ არა ცვალებადი კაპიტალის ფორმით. ამიტომ წარმოების პროცესის განსაგრძობად შემდგომ 5 კვირაში აქ აუცილებლად ფულადი ფორმით უნდა მოიპოვებოდეს და ავანსებული უნდა იყოს 500 გირვ. სტერლინგი დამატებითი კაპიტალი. ამრიგად, 50 კვირის განმავლობაში როგორც *A*, ისე *B* ერთნაირი ოდენობის კაპიტალს ხარჯავენ, ერთნაირი რაოდენობის სამუშაო ძალას ისტუმრებენ და მოიხმარენ. მაგრამ *B* ამ ძალის გასასტუმრებლად ავანსად უნდა გაიღოს ისეთი კაპიტალი, რომელიც ამ სამუშაო ძალის მთელ ღირებულებას — 5 000 გირვ. სტერლინგს—უდრის. *A* კი მას თანდათანობით იხდის იმ ღირებულებიდან, რომელიც მუდამ განახლდება ხოლმე ფულად ფორმაში, იწარმოება ყოველი 5 კვირის განმავლობაში და ანაზღაურებს ყოველი 5 კვირისათვის ავანსებულ კაპიტალს 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. მაშასადამე, აქ არასოდეს არ ავანსდება ფულადი კაპიტალი 5 კვირაზე მეტი ხნით, ე. ი. არასოდეს არ ავანსდება პირველი 5 კვირისათვის ავანსებულ 500 გირვანქა სტერლინგ კაპიტალზე უფრო დიდი კაპიტალი. ეს 500 გირვ. სტერლინგი საკმარისია მთელი წლი-

სათვის. ამიტომ ცხადია, რომ როცა შრომის ექსპლოატაციის ხარისხი თანაბარია, ზედმეტი ღირებულების ნამდვილი ნორმა თანაბარია, *A*-ს და *B*-ს წლიური ნორმები შებრუნებულ შეფარდებაში უნდა იმყოფებოდნენ იმ ცვალებადი კაპიტალების სიდიდის მიმართ, რომელთა ავანსად გაღება აუცილებელი იყო წლის განმავლობაში სამუშაო ძალის თანაბარი მასის მოძრაობაში მოსაყვანად. $A: \frac{5\,000m}{500v} = 1\,000\%$ და $B: \frac{5\,000m}{5\,000m} = 100\%$. მაგრამ 500 v : 5 000 v = 1 : 10 = 100% : 1 000%.

განსხვავება გამომდინარეობს გადაბრუნების პერიოდების სხვაობიდან, ე. ი. იმ პერიოდების სხვაობიდან, რომელთა გასვლის შემდეგ განსაზღვრული დროის განმავლობაში გამოყენებული ცვალებადი კაპიტალის ამნაზღაურებელ ღირებულებას ხელახლა შეუძლია კაპიტალის სახით, მაშასადამე, ახალი კაპიტალის სახით, ამოქმედდეს. *B*-სთვის, ისე როგორც *A*-სთვის, ადგილი აქვს ერთი და იმავე პერიოდების განმავლობაში გამოყენებული ცვალებადი კაპიტალის ღირებულების თანაბარ ანაზღაურებას. ადგილი აქვს აგრეთვე ზედმეტი ღირებულების თანატოლ ზრდას იმავე პერიოდების განმავლობაში. მაგრამ *B*-სთვის, თუმცა ყოველ 5 კვირაში 500 გირვ. სტერლინგი ღირებულების ანაზღაურება ხდება და თან 500 გირვ. სტერლინგი ზედმეტი ღირებულების დამატებით, — ამნაზღაურებელი ღირებულება მაინც არ შეადგენს ახალ კაპიტალს, იმიტომ რომ იგი ფულად ფორმაში არ იმყოფება. *A*-სთვის კი არათუ ძველი ღირებულებაა ანაზღაურებული ახლით, არამედ ამასთანავე იგი აღდგენილია კვლავ მისი ფულადი ფორმით, მაშასადამე, ანაზღაურებულია როგორც მოქმედების უნარმქონე ახალი კაპიტალი.

ამნაზღაურებელი ღირებულების უფრო ადრე თუ უფრო გვიან გადაქცევა ფულად, მაშასადამე, იმ ფორმად, რომლითაც ცვალებადი კაპიტალი ავანსდება, ცხადია, სრულიად უმნიშვნელო გარემოებაა თვით ზედმეტი ღირებულების წარმოებისათვის. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია გამოყენებული კაპიტალის სიდიდეზე და შრომის ექსპლოატაციის ხარისხზე. მაგრამ აღნიშნული გარემოება ცვლის ავანსად გაღებული ფულადი კაპიტალის სიდიდეს, რომელიც აუცილებელია წლის განმავლობაში განსაზღვრული რაოდენობის სამუშაო ძალის მოძრაობაში მოსაყვანად, მაშასადამე. იგი განსაზღვრავს ზედმეტი ღირებულების წლიურ ნორმას.

III. ცვალებადი კაპიტალის გადაბრუნება საზოგადოებრივი თვალსაზრისით

განვიხილოთ საგანი ერთ წუთს საზოგადოებრივი თვალსაზრისით. ვთქვათ, ერთი მუშა კვირაში ღირს 1 გირვ. სტერლინგი, სამუშაო დღე = 10 საათს. *A*-ს, ისე როგორც *B*-ს, დასაქმებული ჰყავს წლის განმავლობაში 100 მუშა (100 გირვ. სტერლინგი კვირაში 100 მუშაზე შეადგენს 5 კვირისათვის 500 გირვ. სტერლინგს, ხოლო 50 კვირისათვის 5 000 გირვ. სტერლინგს); ისინი მუშაობენ 6 დღეს კვირაში, თვითეული — 60 სამუშაო საათს. ამრიგად, 100 მუშა იმუშავებს კვირაში 6 000 სამუშაო საათს, ხოლო 50 კვირაში — 300 000 სამუშაო საათს. ეს სამუშაო ძალა ყადაღადადებულია როგორც *A*-ს, ისე *B*-ს მიერ, და, მაშასადამე, მისი სხვა რამეზე დახარჯვა საზოგადოებას არ შეუძლია. ამ მხრივ საქმე საზოგადოებრივი თვალსაზრისით ერთნაირადაა როგორც *A*-სთან, ისე *B*-სთან. შემდეგ: *A*-სთან, ისე როგორც *B*-სთან, 100 მუშა წელიწადში 5 000 გირვ. სტერლინგ ხელფასს იღებს (მაშასადამე, ერთად 200 მუშა იღებს 10 000 გირვ. სტერლინგს) და მათ მიაქვთ საზოგადოებისგან ამ თანხის შესაბამისი საარსებო საშუალებანი. ამ მხრივაც საქმე საზოგადოებრივი თვალსაზრისით ერთნაირადაა როგორც *A*-სთან, ისე *B*-სთან. რადგან ორივე შემთხვევაში მუშები ხელფასს ყოველკვირეულად იღებენ, ამიტომ მათ საარსებო საშუალებანიც ყოველკვირეულად მიაქვთ საზოგადოებისგან, რისთვისაც ისინი ორივე შემთხვევაში ყოველკვირეულადვე გადაისვრიან მიმოქცევაში ფულად ეკვივალენტს. მაგრამ აქ იწყება განსხვავება.

პ ი რ ვ ე ლ ი: ფული, რომელსაც *A*-ს მუშა გადაისვრის მიმოქცევაში, წარმოადგენს არა მარტო მისი სამუშაო ძალის ღირებულების ფულად ფორმას, როგორც *B*-ს მუშისათვის (სინამდვილეში გადახდის საშუალებას უკვე გაწეული შრომისათვის); უკვე საწარმოს გახსნის შემდეგ გადაბრუნების მეორე პერიოდიდან დაწყებული, იგი ფულადი ფორმაა მ ი ს მ ი ე რ ვ ე ა ხ ლ ა დ შ ე ქ მ ნ ი ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა (სამუშაო ძალის ფასს პლუს ზედმეტი ღირებულება), რომელიც გადაბრუნების პირველ პერიოდშია წარმოებული; ამ ღირებულებით ხდება მისი შრომის გადახდა გადაბრუნების მეორე პერიოდის განმავლობაში. *B*-სთან ეს ასე არაა. თუმცა მუშის მიმართ ფული აქაც წარმოადგენს გადახდის საშუალებას მის მიერ უკვე გაწეული შრომისათვის, მაგრამ ამ გაწეული შრომის გადახდა წარმოებს არა საკუთრივ ამ შრომის მიერ ახლად შექმნილი ღირებულებით, რომელიც

ფულად არის ჩცეული (არა თვით ამ შრომის მიერ წარმოებული ღირებულების ფულადი ფორმით). ამას შეიძლება ადგილი ექნეს მხოლოდ მეორე წლიდან, როდესაც A-ს მუშის შრომა გადახდილი იქნება ამ მუშის მიერ წარსულ წელს ახლად შექმნილი ღირებულებით, რომელიც ფულადაა ქცეული.

ანიტომ, რაც უფრო მოკლეა კაპიტალის გადაბრუნების პერიოდი, რაც უფრო მოკლე პერიოდებში განახლდება ხოლმე მისი კვლავწარმოების ვადები წლის განმავლობაში, მით უფრო სწრაფად გარდაიქმნება კაპიტალის ცვალებადი ნაწილი, რომელიც თავდაპირველად გაიღო ავანსად კაპიტალისტმა ფულადი ფორმით, იმ ახლად წარმოებული ღირებულების (რაც, გარდა ამისა, ზედმეტ ღირებულებას შეიცავს) ფულად ფორმად, რომელიც მუშამ შექმნა ამ ცვალებადი კაპიტალის ასანაზღაურებლად; მაშასადამე, მით უფრო მოკლეა დრო, რომლისათვის კაპიტალისტმა საკუთარი ფონდიდან ავანსად უნდა გაიღოს ფული, მით უფრო პატარაა წარმოების მოცემულ მასშტაბთან შედარებით ის კაპიტალი, რომელსაც იგი საერთოდ ავანსად გაიღებს; და მით უფრო დიდია შეფარდებით ზედმეტი ღირებულების მასა, რასაც იგი, ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის არსებობისას, წლის განმავლობაში ამოქაჩავს. ეს იმიტომ, რომ მას მით უფრო ხშირად შეუძლია იყიდოს ნუშა მის მიერვე ახლად შექმნილი ღირებულების ფულადი ფორმით, მით უფრო ხშირად შეუძლია მისი შრომა ხელახლა აამოქმედოს.

წარმოების მოცემული მასშტაბის არსებობისას ავანსებული ცვალებადი კაპიტალის (ისე როგორც საერთოდ საბრუნავი კაპიტალის) აბსოლუტური სიდიდე მცირდება, ხოლო ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა იზრდება გადაბრუნების პერიოდის შემოკლების პროპორციულად. ავანსებული კაპიტალის მოცემული სიდიდისას წარმოების მასშტაბი და, მაშასადაც, ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის არსებობისას გადაბრუნების ერთ პერიოდში წარმოებული ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური მასა იზრდება ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმის გადიდებასთან ერთად, რაც გამოწვეულია კვლავწარმოების პერიოდების შემოკლებით. საერთოდ აქამდე ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ გადაბრუნების პერიოდის სხვადასხვა სიდიდის შესაბამისად სულ სხვადასხვა მოცულობის ფულადი კაპიტალი უნდა გაიღონ ავანსად იმისათვის, რომ შრომის ექსპლოატაციის ერთი და იმავე ხარისხის არსებობისას მოძრაობაში მოიყვანონ მწარმოებლური საბრუნავი კაპიტალისა და შრომის ერთი და იგივე მასა.

მ ე ო რ ე, — და ეს დაკავშირებულია პირველ განსხვავებასთან, — *B* კაპიტალისტის მუშა, ისე როგორც *A* კაპიტალისტის მუშა, საარსებო საშუალებებს ყიდულობს ცვალებადი კაპიტალით, რომელიც მის ხელში მიმოქცევის საშუალებად იქცევა. მას არა მარტო მიაქვს, მაგალითად, ხორბალი ბაზრიდან, არამედ ანაზღაურებს კიდეც მას ფულადი ეკვივალენტით. მაგრამ რადგან ის ფული, რომელსაც *B*-ს მუშა ბაზრიდან წაღებულ თავის საარსებო საშუალებებში იხდის, ან წარმოადგენს იმ ახლადშექმნილი ღირებულების ფულად ფორმას, რომელიც მან წლის განმავლობაში ბაზარზე გადაისროლა, როგორც ამას ადგილი აქვს *A*-ს მუშის შემთხვევაში, ამიტომ თუმცა იგი საარსებო საშუალებათა გამყიდველს კი აძლევს ფულს, მაგრამ არ აძლევს არავითარ საქონელს, — არც წარმოების საშუალებებს, არც საარსებო საშუალებებს, — რომლებიც შეუძლია მას მიღებული ფულით იყიდოს, რასაც პირიქით, ადგილი აქვს *A*-ს მუშის შემთხვევაში. ამიტომ ბაზარზე შეისყიდიან: სამუშაო ძალას, საარსებო საშუალებებს ამ სამუშაო ძალისთვის, ძირითად კაპიტალს *B* კაპიტალისტის მიერ გამოყენებულ შრომის საშუალებათა სახით, წარმოების მასალებს, და ყოველივე ამის ასანაზღაურებლად ბაზარზე გაიტანენ ეკვივალენტს ფულის სახით; მაგრამ წლის განმავლობაში ბაზარზე არავითარ პროდუქტს არ გაიტანენ იმისათვის; რომ ანაზღაურდეს ბაზრიდან წაღებული მწარმოებლური კაპიტალის ნივთიერი ელემენტები. თუ ჩვენ წარმოვიდგენთ არა კაპიტალისტურ საზოგადოებას, არამედ კომუნისტურს, მაშინ უწინარეს ყოვლისა სრულიად ქრება ფულადი კაპიტალი, მაშასადამე, გარიგებათა ყოველი შენიღბვაც, რაც ფულადი კაპიტალის მეოხებით ჩნდება. აქ უბრალოდ საქმე იმას შეეხება, რომ საზოგადოებამ წინასწარ იანგარიშოს, რამდენი შრომა, წარმოების საშუალება და საარსებო საშუალება შეუძლია მას რაიმე ზიანის გარეშე დახარჯოს წარმოების ისეთ დარგებზე, რომელნიც, როგორც, მაგალითად, რკინიგზების გაყვანა, დიდხანს, წელიწადს ან მეტ ხანს, არ იძლევიან არც წარმოების საშუალებებს, არც საარსებო საშუალებებს, არც საერთოდ რაიმე სასარგებლო ეფექტს, მაგრამ, რასაკვირველია მთელ წლიურ წარმოებას გამოაცლიან შრომასაც, წარმოების საშუალებებსაც და საარსებო საშუალებებსაც. პირიქით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც საზოგადოებრივი გაგება მხოლოდ post festum იჩენს თავს, შეიძლება და მუდამ უნდა ჰქონდეს ადგილი დიდ დარღვევებს. ერთი მხრივ, ზეგავლენა ფულის ბაზარზე, ხოლო, პირიქით, ფულის ბაზრის კარგი მდგომარეობა, თავის მხრივ, ქმნის მრავალ ისეთ საწარმოს, მაშასადამე, სწორედ ისეთ გარემოებებს, რომელნიც შემ-

დგომ წარმოშობენ დაძაბულობას ფულის ბაზარზე. ფულის ბაზარი დაძაბულობას განიცდის იმიტომ, რომ აქ მუდამ საჭიროა ფულადი კაპიტალის დიდი მასშტაბით ავანსად გაცემა ხანგრძლივი დროით. ჩვენ სრულიად არას ვამბობთ იმაზე, რომ მრეწველები და ვაჭრები თავიანთი საქმის წარმართვისათვის საჭირო ფულად კაპიტალს სარკინიგზო და სხვ. სპეკულაციაში გაუშვებენ და ამას ინაზღაურებენ ფულის ბაზარზე სესხის აღების ჯზით. — მეორე მხრივ: დაძაბულობას განიცდის საზოგადოების განკარგულებაში მყოფი მწარმოებლური კაპიტალი. რადგან მწარმოებლური კაპიტალის ელემენტები მუდამ გაიტანება ბაზრიდან და ამის სამაგიეროდ ბაზარზე მხოლოდ ფულად ეკვივალენტს გადაისვრიან, — იზრდება გადახდისუნარიანი მოთხოვნა, რაც თავის მხრივ მიწოდების არავითარ ელემენტს არ შეიცავს. აქედან წარმოდგება როგორც საარსებო საშუალებათა, ისე საწარმოს მასალის ფასების აწევა. თანაც ასეთ დროში ჩვეულებრივ ვითარდება აციოტაჟი, და ადგილი აქვს კაპიტალის მნიშვნელოვან გადანაცვლებას. სპეკულანტების, მოიჯარე—ჩამბარებლების, ინჟინრების, ადვოკატების და სხვ. ხროვა მდიდრდება. ისინი ქმნიან მოხმარების საგნების გაძლიერებულ მოთხოვნას ბაზარზე, ამასთან ერთად მაღლა იწევს ხელფასი. რაც შეეხება კვების საგნების მოთხოვნას, იგი, რასაკვირველია, დიდ ბიძგს აძლევს სოფლის მეურნეობას. მაგრამ რადგან ამ კვების საგნების გამრავლება არ შეიძლება უცებ, ერთი წლის განმავლობაში, ამიტომ იზრდება მათი შემოზიდვა, როგორც საერთოდ უცხოეთის სასურსათო პროდუქტების (ყავის, შაქრის, ღვინისა და სხვ.) და ფუფუნების საგნების შემოზიდვა. აქედან გამომდინარეობს გადაჭარბებული შემოზიდვა და სპეკულაცია საიმპორტო ვაჭრობის ამ ნაწილში. მეორე მხრივ, მრეწველობის იმ დარგებში, სადაც წარმოების სწრაფად გადიდება შესაძლებელია (საკუთრივ მანუფაქტურული მრეწველობა, სამთამადნო წარმოება და სხვ.), ფასების აწევა იწვევს უეცარ გაფართოებას, რასაც მალე კრახი მოჰყვება. იგივე ზეგავლენა თავს იჩენს შრომის ბაზარზე, რის გამოც წარმოების ახალ დარკებში ჩაებმება დიდი მასები ფარული შეფარდებითი ჭარბმოსახლეობისა და უკვე დასაქმებული მუშებისაც კი. საერთოდ ისეთი დიდი მასშტაბის საწარმონი, როგორც რკინიგზებია, შრომის ბაზრიდან მიიზიდავენ მუშახელის გარკვეულ რაოდენობას, რომელიც მხოლოდ ზოგიერთი დარგიდან შეიძლება მოედინებოდეს, მაგალითად, სოფლის მეურნეობიდან, სადაც მარტოოდენ ღონიერ ჭაბუკებს გამოიყენებენ. ამ მოვლენას ადგილი აქვს მას შემდეგაც კი, რაც ახალი საწარმონი უკვე წარმოების მუდმივ დარგებად იქცნენ და, მაშასადამე, მას შემდეგ,

რაც უკვე შეიქმნა მათთვის საჭირო მოხეტიალე მუშების ფენა. მაგალითად, ეს ხდება, როგორც კი რკინიგზის მშენებლობა უცებ საშუალოზე უფრო დიდი მასშტაბით გაიშლება. მაშინ შთაინთქმება მუშათა სარეზერვო არმიის ნაწილი, რომლის ზემოქმედებითაც ხელფასი უფრო დაბალ დონეზე ჩერდებოდა. ამ შემთხვევაში ხელფასი საერთოდ მაღლა იწევს შრომის ბაზრის იმ ნაწილებშიც კი, სადაც მუშები წინათაც ადვილად შოულობდნენ სამუშაოს. ეს გრძელდება მანამდე, ვიდრე გარდუვალი კრახი ხელახლა არ გაათავისუფლებს მუშათა სარეზერვო არმიას; მაშინ ხელფასი მის მინიმუმზე და უფრო დაბლაც ეცემა [32].

რამდენადაც გადაბრუნების პერიოდის მეტი თუ ნაკლები ხანგრძლიობა დამოკიდებულია სამუშაო პერიოდზე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ე. ი. ბაზრისათვის პროდუქტის დასამზადებლად საჭირო პერიოდზე, იგი ემყარება წარმოების იმ მატერიალურ პირობებს, რომლებიც ყოველთვის გარკვეულად მოცემულია სხვადასხვა კაპიტალდაბანდებისათვის. ამ პირობებს მიწათმოქმედებაში უფრო წარმოების ბუნებრივი პირობების ხასიათი აქვს, ხოლო მანუფაქტურაში და მეტწილ მომპოვებელ მრეწველობაში ისინი იცვლებიან თვით წარმოების პროცესის საზოგადოებრივ განვითარებასთან ერთად.

რამდენადაც სამუშაო პერიოდის ხანგრძლიობა საქონლის ჩაბარების ოდენობაზეა დამოკიდებული (იმ რაოდენობრივ მოცულობაზე, რომლითაც პროდუქტი საქონლის სახით ჩვეულებრივად ბაზარზე გადაისროლება), მას პირობითი ხასიათი აქვს. მაგრამ თვით ამ პირობითობის მატერიალურ ბაზისს წარმოების მასშტაბი შეადგენს,

---

[32] ხელნაწერში აქ შემდგომ ჯასავითარებლად ასეთი შენიშვნაა ჩართული: «წინააღმდეგობა კაპიტალისტური წარმოების წესში: მუშებს როგორც საქონლის მყიდველთ, მნიშვნელობა აქვთ ბაზრისათვის. მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებას ის ტენდენცია აქვს, რომ ისინი, როგორც თავიანთი საქონლის — სამუშაო ძალის — გამყიდველნი, შეზღუდოს ფასის მინიმუმით. — შემდგომი წინააღმდეგობა: ის პერიოდები [die Epochen], როცა კაპიტალისტური წარმოება იძულებულია მთელი თავისი ძალღონე დაძაბოს, აღმოჩნდება ხოლმე, როგორც წესი, ჭარბწარმოების პერიოდებად, რადგან წარმოების შესაძლებლობანი არასოდეს არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმდენად, რომ ამით შეიძლებოდეს მეტი ღირებულების არა მარტო წარმოება, არამედ რეალიზაციაც; მაგრამ საქონლის გაყიდვა, საქონლური კაპიტალის რეალიზაცია, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების რეალიზაციაც, შემოფარგლულია არა საერთოდ საზოგადოების სამომხმარებლო მოთხოვნილებებით, არამედ ისეთი საზოგადოების სამომხმარებლო მოთხოვნილებებით, რომლის დიდი უმრავლესობა მუდამ ღარიბია და მუდამ ღარიბი უნდა დარჩეს. მაგრამ ეს მხოლოდ შემდგომ განყოფილებას ეკუთვნის».

და, ამიტომ, იგი შემთხვევითი ხასიათისაა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩვენ განცალკევებულად განვიხილავთ მას.

დასასრულ, რამდენადაც გადაბრუნების პერიოდის ხანგრძლიობა მიმოქცევის პერიოდის ხანგრძლიობაზეა დამოკიდებული, იგი ნაწილობრივ გაპირობებულია ბაზრის კონიუნქტურათა მუდმივი ცვლილებით, გაყიდვის მეტნაკლები სიადვილით და აქედან გამომდინარე პროდუქტის ნაწილობრივ უფრო ახლობელ ან უფრო შორეულ ბაზარზე გადასროლის აუცილებლობით. თუ საერთოდ მოთხოვნის მოცულობას მხედველობაში არ მივიღებთ, ფასების მოძრაობა აქ მთავარ როლს ასრულებს: ფასების დაწევისას გაყიდვა განზრახ შეგიზღუდება, მაშინ როდესაც წარმოება წინანდებურად მიმდინარეობს; პირიქითაა ფასების აწევისას, როდესაც წარმოება და გაყიდვა ერთიმეორეს ფეხდაფეხ მისდევს, ან როდესაც საქონელი შეიძლება წინდაწინ გაიყიდოს. მაგრამ საკუთრივ მატერიალურ ბაზისად უნდა ჩაითვალოს წარმოების ადგილის დაშორება გამსაღებელი ბაზრისაგან.

მაგალითად, ინგლისური ბამბის ქსოვილი ან ნართი ინდოეთში გააქვთ გასაყიდად. ვთქვათ, ვაჭარი, რომელიც ექსპორტს ეწევა, უხდის ინგლისელ ბამბის მეფაბრიკეს (იგი ამას ხალისით მხოლოდ მაშინ აკეთებს, როცა ფულის ბაზრის მდგომარეობა ხელსაყრელია. მაგრამ თუ მეფაბრიკე თვითონ აინაზღაურებს თავის ფულად კაპიტალს საკრედიტო ოპერაციების გზით, მაშინ საქმე ასე ადვილად აღარ მიმდინარეობს). ექსპორტერი თავის ბამბეულ საქონელს შემდგომ ინდოეთის ბაზარზე ყიდის, საიდანაც მას უკანვე უბრუნდება მის მიერ ავანსებული კაპიტალი. კაპიტალის ამ უკან დაბრუნების მომენტამდე საქმის მდგომარეობა სავსებით ისეთია, როგორც იმ შემთხვევაში, როცა სამუშაო პერიოდის ხანგრძლიობა საჭიროდ ხდის ახალი ფულადი კაპიტალის ავანსად გაღებას, რათა წარმოების პროცესი წინანდელი მასშტაბით მიმდინარეობდეს. ფულადი კაპიტალი, რითაც მეფაბრიკე თავის მუშებს ისტუმრებს და აგრეთვე თავისი საბრუნავი კაპიტალის დანარჩენ ელემენტებს განაახლებს, არ წარმოადგენს მის მიერ წარმოებული ნართის ფულად ფორმას. ამას ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ნართის ღირებულება ინგლისში დაბრუნდება ფულის ან პროდუქტის სახით. ეს ფულადი კაპიტალი, ისე როგორც უწინ, დამატებითი კაპიტალია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მეფაბრიკის ნაცვლად მას ავანსად გაიღებს ვაჭარი, რომელმაც, შესაძლოა, ეს ფული თავის მხრივ საკრედიტო ოპერაციების მეოხებით მიიღო. სწორედ ასევე მანამდე, ვიდრე ამ ფულს ბაზარზე გადაისვრიან ან

ამის იმავდროულად, ინგლისის ბაზარზე არ გადაისვრიან დამატებით პროდუქტს, რომლის ყიდვაც ამ ფულით შეიძლება და რომელსაც შეუძლია მწარმოებლურ ან პირად მოხმარებაში შევიდეს. თუ ასეთი მდგომარეობა დიდი ხნით და შედარებით დიდი მასშტაბით იკიდებს ფეხს, — მას იგივე შედეგები უნდა მოჰყვეს, რა შედეგებიც უწინ სამუშაო პერიოდის გაგრძელებას მოჰყვებოდა ხოლმე.

შესაძლებელია, თვით ინდოეთშიც ნართი კვლავ კრედიტით გაიყიდოს. ამ კრედიტით ინდოეთში პროდუქტს იყიდიან და ნართის საზღაურად ინგლისში გაგზავნიან, ანდა იმავე თანხის თამასუქებს გადაგზავნიან. თუ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდება, იგი ინდოეთის ფულის ბაზარზე დაძაბულობას გამოიწვევს, და ეს კი ინგლისზე იმგვარად იმოქმედებს, რომ შესაძლებელია აქ კრიზისი გამოიწვიოს. კრიზისი, თავის მხრივ, თუნდაც იგი ძვირფასი ლითონების ინდოეთში გატანასთანაც იყოს დაკავშირებული, იწვევს ამ ქვეყანაში ახალ კრიზისს ინგლისის იმ სავაჭრო სახლებისა და მათი განყოფილებების გაკოტრების გამო ინდოეთში, რომელთაც კრედიტს აძლევდნენ ინდოეთის ბანკები. ამგვარად კრიზისი ერთსა და იმავე დროს წარმოიშვება როგორც იმ ბაზარზე, რომლის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ არის ვაჭრობის ბალანსი, ისე იმ ბაზარზე, რომლის ს ა ს ა რ გ ებ ლ ო დ ა ც არის იგი. ეს მოვლენა შეიძლება კიდევ უფრო რთული იყოს. მაგალითად, ინგლისმა ინდოეთში ვერცხლის ზოდები გაგზავნა, მაგრამ ინდოეთის ინგლისელი კრედიტორები იქ წარადგენენ ახლა თავიანთ მოთხოვნებს, და ინდოეთმა მალე ისევ ინგლისში უნდა გაგზავნოს თავისი ვერცხლის ზოდები.

შესაძლებელია ინდოეთისაკენ საექსპორტო ვაჭრობა და ინდოეთიდან საიმპორტო ვაჭრობა დაახლოებით გაწონასწორდეს, თუმცა უკანასკნელს (ისეთ განსაკუთრებულ გარემოებათა გამოკლებით, როგორიცაა ბამბის გაძვირება და სხვ.) მისი მოცულობის მხრივ პირველი განსაზღვრავს და სტიმულს აძლევს. ვაჭრობის ბალანსი ინგლისსა და ინდოეთს შორის შეიძლება გაწონასწორებულად გვეჩვენებოდეს ან მხოლოდ მცირე რყევას გვიჩვენებდეს ერთი ან მეორე მხარისაკენ. მაგრამ როგორც კი იფეთქებს კრიზისი ინგლისში, აღმოჩნდება, რომ ბამბეული საქონელი გაუყიდავი აწყვია ინდოეთის საწყობებში (მაშასადამე, იგი საქონლური კაპიტალიდან ფულად არ გადაქცეულა, — ჭარბწარმოება ამ მხრივ) და რომ, მეორე მხრივ, ინგლისში არა მარტო გაუყიდავი აწყვია ინდოეთის პროდუქტთა მარაგი, არამედ გაყიდული და მოხმარებული მარაგის დიდი ნაწილიც ჯერ კიდევ სრულიად გადაუხდელია. ამიტომ ის, რაც კრიზისად გვევლინება

ფულად ბაზარზე, სინამდვილეში გამოსახავს ანომალიებს თვით წარმოებისა და კელავწარმოების პროცესში.

მ ე ს ა მ ე: რაც შეეხება თვით გამოყენებულ საბრუნავ კაპიტალს (ცვალებადსა და მუდმივს), გადაბრუნების პერიოდის ხანგრძლიობა, რამდენადაც იგი სამუშაო პერიოდის ხანგრძლიობიდან გამომდინარეობს, ქმნის შემდეგ განსხვავებას: წლის განმავლობაში რამდენიმე გადაბრუნების დროს შესაძლებელია ცვალებადი ან მუდმივი საბრუნავი კაპიტალის ელემენტს ამავე კაპიტალის საკუთარი პროდუქტი იძლეოდეს, როგორც, მაგალითად, ნახშირის წარმოებაში, მზა ტანსაცმლის სახელოსნოებში და ა. შ., ხოლო სხვა შემთხვევაში ეს შეუძლებელია, შეუძლებელია წლის განმავლობაში მაინც.

ᲗᲐᲠᲗᲘ ᲛᲔᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲔ

ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲥᲪᲔᲕᲐ

ჩვენ აქ დავინახეთ, რომ სხვაობა გადაბრუნების პერიოდში მაშინაც კი ქმნის სხვაობას ზედმეტი ღირებულების წლიურ ნორმაში, როდესაც წლიურად წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა უცვლელი რჩება.

მაგრამ შემდეგ აუცილებლად წარმოიშობა განსხვავება ზედმეტი ღირებულების კაპიტალიზაციაში, დაგროვებაში, და ამდენადვე აგრეთვე, ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობისას, წლის განმავლობაში წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასაში.

აღვნიშნავთ უწინარეს ყოვლისა, რომ *A* კაპიტალს (წინა თავის მაგალითში) მიმდინარე პერიოდული შემოსავალი აქვს, მაშასადამე, იმ გადაბრუნების პერიოდის გამოკლებით, რომელიც საქმის დასაწყისში ხდება, კაპიტალისტი საკუთარ მოხმარებას წლის განმავლობაში ფარავს ზედმეტი ღირებულების თავისივე წარმოებით, და მას აღარ სჭირდება ამისათვის საკუთარი ფონდიდან ავანსად გაღება, პირიქით, ამ უკანასკნელს ადგილი აქვს *B* კაპიტალის მიმართ. თუმცა იგი დროის იმავე პერიოდების განმავლობაში იმდენსავე ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს, რამდენსაც *A*, მაგრამ მისი ზედმეტი ღირებულება არაა რეალიზებული, და ამიტომ მისი მოხმარება არ შეიძლება არც ინდივიდუალურად და არც მწარმოებლურად. რამდენადაც საქმე პირად მოხმარებას შეეხება, ამისათვის წინასწარ ივარაუდება შემდგომ მისაღები ზედმეტი ღირებულება. ამ მოხმარებისათვის ავანსად უნდა გაიღონ საგანგებო ფონდი.

აქ ახალ შუქზე გვევლინება აგრეთვე მწარმოებლური კაპიტალის ერთი ნაწილი, რომლის მოთავსებაც გარკვეულ რუბრიკაში ძნელია, სახელდობრ ძირითადი კაპიტალის რემონტისათვის და წესიერ მდგომარეობაში დაცვისათვის საჭირო დამატებითი კაპიტალი.

A-სთან კაპიტალის ეს ნაწილი — არც მთლიანად, არც მეტწილად — წარმოების დასაწყისში ავანსად არ გაიღება. A კაპიტალისტს არ სჭირდება თავის განკარგულებაში ჰქონდეს კაპიტალის ეს ნაწილი, მას შეუძლია სულაც არ ჰქონდეს იგი. მას თვით საქმე წარმოშობს იმით, რომ ზედმეტი ღირებულება უშუალოდ გადაიქცევა კაპიტალად, ე. ი. იმით, რომ იგი პირდაპირ გამოიყენება როგორც კაპიტალი. რემონტისა და სხვ. საჭირო ხარჯების დაფარვა შეიძლება ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილით, რომელიც წლის განმავლობაში არათუ წარმოებულია პერიოდულად, არამედ რეალიზებულიცაა. ამრიგად, იმ კაპიტალის ნაწილს, რომელიც საჭიროა საქმის წარმართვისათვის მისი თავდაპირველი მასშტაბით, ქმნის თვით მოქმედებაში მყოფი საწარმო ზედმეტი ღირებულების გარკვეული ნაწილის კაპიტალიზაციის გზით. ეს შეუძლებელია *B* კაპიტალისტისათვის. კაპიტალის ნაწილი, რომელზედაც აქ ლაპარაკია, მის ხელში უნდა შეადგენდეს თავდაპირველად ავანსებული კაპიტალის ნაწილს. ორივე შემთხვევაში კაპიტალის ეს ნაწილი კაპიტალისტის დავთრებში აღნიშნული იქნება როგორც ავანსებული კაპიტალი, რაც იგი კიდეც არის სინამდვილეში, რადგან ჩვენი ვარაუდის თანახმად, ის შეადგენს იმ მწარმოებლური კაპიტალის ნაწილს, რომელიც აუცილებელია მოცემული მასშტაბით საქმის წარსამართავად. მაგრამ ფრიად დიდია განსხვავება იმაში, თუ რომელი ფონდიდან გაიღება იგი ავანსად. *B*-ს ხელში ის ნამდვილად შეადგენს თავდაპირველად ავანსებული კაპიტალის ან იმ კაპიტალის ნაწილს, რომელიც მას მუდამ უნდა მოეპოვებოდეს განკარგულებაში. პირიქით, *A*-ს ხელში იგი შეადგენს კაპიტალის სახით გამოყენებული ზედმეტი ღირებულების ნაწილს. ეს უკანასკნელი შემთხვევა გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება, რომ არათუ დაგროვილი კაპიტალი, არამედ თავდაპირველად ავანსებული კაპიტალის ნაწილიც შეიძლება იყოს უბრალოდ კაპიტალიზებული ზედმეტი ღირებულება.

კრედიტის განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო დახლართული ხდება თავდაპირველად ავანსებული კაპიტალის და კაპიტალიზებული ზედმეტი ღირებულების ურთიერთობა. მაგალითად, *A* სესხულობს *C* ბანკირისაგან იმ მწარმოებლური კაპიტალის ნაწილს, რომლითაც იგი იწყებს ან განაგრძობს საქმეს წლის განმავლობაში. თავდაპირველად მას არა აქვს საქმის წარსამართავად საკმაო საკუთარი კაპიტალი, ბანკირი *C* მას სესხად აძლევს თანხას, რომელიც შედგება მარტოოდენ ზედმეტი ღირებულებისაგან, რაც დეპოზიტად შეიტანეს ბანკში *D*, E, *F* და სხვ. მეწარმეებმა. *A*-ს თვალსაზრისით, აქ ჯერ კიდევ

არაა ლაპარაკი დაგროვილ კაპიტალზე. სინამდვილეში კი D, E, F და სხვათათვის A წარმოადგენს მხოლოდ აგენტს, რომელიც მათ მიერ მითვისებული ზედმეტი ღირებულების კაპიტალიზაციას ახდენს.

I წიგნის XXII თავში ჩვენ დავინახეთ, რომ დაგროვება, ზედმეტი ღირებულების გადაქცევა კაპიტალად, თავისი რეალური შინაარსის მიხედვით გაფართოებული მასშტაბით კვლავწარმოების პროცესია, სულ ერთია ეს გაფართოება ექსტენსიურად გამოიხატება ძველი ფაბრიკებისათვის ახლების მიმატებით, თუ საწარმოს დღემდე არსებული მასშტაბის ინტენსიური გაფართოებით.

წარმოების მასშტაბის გაფართოება შეიძლება პატარ-პატარა დოზებით ხდებოდეს, იმ შემთხვევებში, როცა ზედმეტი ღირებულების ნაწილი ისეთ გაუმჯობესებათათვის გამოიყენება, რომელნიც ან მხოლოდ მაღლა სწევენ გამოყენებული შრომის ნაყოფიერებას, ან ამასთან ერთად შრომის უფრო ინტენსიური ექსპლოატაციის შესაძლებლობას იძლევიან. ანდა, — იქ, სადაც სამუშაო დღე კანონით განსაზღვრული არაა, — წარმოების მასშტაბის გასაფართოებლად საკმარისია საბრუნავი კაპიტალის დამატებითი დახარჯვა (წარმოების მასალასა და ხელფასზე), ძირითადი კაპიტალის გაუდიდებლად, რომლის მოხმარების დღიური დრო, ამრიგად, მხოლოდ ხანგრძლივდება, მაშინ როდესაც მისი გადაბრუნების პერიოდი შესაბამისად მოკლდება. ანდა, თუ ბაზრის კონიუნქტურა ამას ხელს უწყობს, კაპიტალიზებული ზედმეტი ღირებულება იძლევა ნედლ მასალაზე სპეკულაციის გაწევის შესაძლებლობას, ისეთი ოპერაციების შესრულების შესაძლებლობას, რომლებისთვისაც საკმარისი არ იქნებოდა თავდაპირველად ავანსებული კაპიტალი, და ა. შ.

მაგრამ ცხადია, რომ იქ, სადაც გადაბრუნების პერიოდების შედარებით დიდ რიცხვს თან მოჰყვება ზედმეტი ღირებულების უფრო ხშირი რეალიზაცია წლის განმავლობაში, უნდა დადგეს პერიოდები, როდესაც არც სამუშაო დღის გაგრძელება შეიძლება და არც ნაწილობრივ გაუმჯობესებათა მოხდენა; მეორე მხრივ, მთელი საწარმოს გაფართოება პროპორციული მასშტაბით შესაძლებელია მხოლოდ იმ მეტნაკლებ ვიწრო ფარგლებში, რომლებიც გაპირობებულია ნაწილობრივ საწარმოს, მაგალითად, შენობათა საერთო ხასიათით <ნაწილობრივ დასამუშავებელი მინდვრის მოცულობით, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში>; თანაც ამისთვის ისე დიდი დამატებითი კაპიტალია საჭირო, რომ ზედმეტი ღირებულების მხოლოდ მრავალწლიურ დაგროვებას შეუძლია მისი მოცემა.

ამრიგად, ნამდვილი დაგროვების, ანუ ზედმეტი ღირებულების მწარმოებლურ კაპიტალად გარდაქმნის გვერდით (და გაფართოებული მასშტაბით შესაბამისი კვლავწარმოების გვერდით) მიმდინარეობს ფულის დაგროვება, ზედმეტი ღირებულების ნაწილის თავმოყრა ფარული ფულადი კაპიტალის სახით, რომელიც მხოლოდ შემდგომ, როდესაც იგი გარკვეულ მოცულობას მიაღწევს, უნდა ამოქმედდეს დამატებითი აქტიური კაპიტალის სახით.

ასე წარმოგვიდგება საქმის ´ვითარება ცალკეული კაპიტალისტის თვალსაზრისით. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად იმავდროულად ვითარდება კრედიტის სისტემა. ფულადი კაპიტალი, რომელიც კაპიტალისტს ჯერ კიდევ არ შეუძლია გამოიყენოს თავის საკუთარ საწარმოში, გამოიყენება სხვების მიერ, რომელნიც მას ამისათვის სარგებელს უხდიან. ეს კაპიტალი მოქმედებს მისთვის როგორც ფულადი კაპიტალი სპეციფიკური აზრით, როგორც მწარმოებლური კაპიტალისგან განსხვავებული სახეობის კაპიტალი. მაგრამ სხვის ხელში იგი მოქმედებს როგორც კაპიტალი. ცხადია, რომ ზედმეტი ღირებულების უფრო ხშირი რეალიზაციისას და მისი წარმოების მასშტაბის გადიდებისას იზრდება ის პროპორცია, რომლითაც ახალი ფულადი კაპიტალი, ანუ ფული კაპიტალის სახით ფულის ბაზარზე გადაისროლება და აქედან, ყოველ შემთხვევაში მეტწილად მაინც, გაფართოებული წარმოების მიერ შთაინთქმება.

უმარტივესი ფორმა, რომლითაც შეიძლება ეს დამატებითი ფარული ფულადი კაპიტალი გამოისახოს, არის განძის ფორმა. შესაძლებელია, ეს განძი დამატებითი ოქრო ან ვერცხლი იყოს, რომელიც მიღებულია ძვირფას ლითონთა მწარმოებელ ქვეყნებთან პირდაპირი ან არაპირდაპირი გაცვლის გზით. და მხოლოდ ამ წესით იზრდება აბსოლუტურად ამა თუ იმ ქვეყანაში ფულადი განძი. მეორე მხრივ, შესაძლებელია, — და ასეთია შემთხვევათა უმრავლესობა, — რომ ეს განძი წარმოადგენდეს მარტოოდენ შინაური მიმოქცევიდან ამოღებულ ფულს, რომელმაც ცალკეული კაპიტალისტების ხელში განძის ფორმა მიიღო. შესაძლებელია, შემდეგ, რომ ეს ფარული ფულადი კაპიტალი შედგებოდეს უბრალოდ ღირებულების ნიშნებისაგან, — ჩვენ აქ ჯერ კიდევ მხედველობის გარეშე ვტოვებთ საკრედიტო ფულს, — ანდა უბრალო, კანონიერი დოკუმენტებით დადასტურებული პრეტენზიებისაგან (იურიდიული ტიტულებისგან) კაპიტალისტების მხრივ მესამე პირთა მიმართ. ყველა ამ შემთხვევაში, როგორიც უნდა იყოს ამ დამატებითი ფულადი კაპიტალის არსებობის ფორმა, ეს კაპიტალი, რამდენადაც იგი კაპიტალია in spe [სამერმისო კაპიტალი], სხვა

არაფერია, თუ არა კაპიტალისტის დამატებითი და მარაგად შენახული იურიდიული ტიტული საზოგადოების სამერმისო, დამატებითს წლიურ წარმოებაზე.

«ამრიგად, რაოდენობრივად განხილული ნამდვილად დაგროვილი სიმდიდრის მასა, სრულიად უმნიშვნელოა იმ საზოგადოების მწარმოებლურ ძალებთან შედარებით, რომელსაც ეს სიმდიდრე ეკუთვნის, ცივილიზაციის რა საფეხურზედაც უნდა იმყოფებოდეს ეს საზოგადოება, ანდა ამავე საზოგადოების სულ მხოლოდ რამდენიმე წლის ნამდვილ მოხმარებასთან შედარებით; იგი იმდენად უმნიშვნელოა, რომ კანონმდებლებისა და ეკონომისტების მთავარი ყურადღება მიქცეული უნდა ყოფილიყო მწარმოებლურ ძალებზე და მათს მომავალ თავისუფალ განვითარებაზე და არა, როგორც აქამდე იყო, მარტოოდენ დაგროვილ სიმდიდრეზე, რომელიც თვალს სჭრის ადამიანს. ეგრეთწოდებული დაგროვილი სიმდიდრის შეუდარებლად დიდი ნაწილი მხოლოდ ნომინალურია და შედგება არა ისეთი ნამდვილი საგნებისაგან, როგორიცაა გემები, სახლები, ბამბეული საქონელი, მიწის მელიორაცია, არამედ უბრალო იურიდიული ტიტულებისაგან, პრეტენზიებისაგან საზოგადოების სამერმისო წლიური მწარმოებლური ძალების მიმართ, იურიდიული ტიტულებისგან, რაც წარმოშობილი და გამარადისებულია იმ საშუალებებითა და დაწესებულებებით, რომლებიც არაუზრუნველყოფილი მდგომარეობის დამახასიათებელია... სარგებლობა ასეთი საგნებით (დაგროვილი ფიზიკური ნივთებით, ანუ ნამდვილი სიმდიდრით) როგორც უბრალო საშუალებით მათ მფლობელთა მიერ იმ სიმდიდრის მისათვისებლად, რაც ჯერ კიდევ უნდა შეიქმნას საზოგადოების სამერმისო მწარმოებლური ძალების მიერ, — ეს სარგებლობა მათ განაწილების ბუნებრივი კანონებით წაერთმეოდა თანდათან, ძალადობის გამოუყენებლად; კოოპერაციული შრომის (co-operative labour) დახმარებით იგი მათ რამდენიმე წლის განმავლობაში წაერთმეოდა» (William Thompson: «Inquiry into the Principles of the Distribution of Wealth». London, 1850, გვ. 453.— ეს წიგნი პირველად გამოვიდა 1824 წელს).

«მხოლოდ ცოტაოდენი უფიქრდება, უმრავლესობა კი სულაც ვერ ხვდება, თუ რაოდენ მცირეა, თავისი ოდენობის თუ ზემოქმედების ძალის მხრივ, საზოგადოების ფაქტიური დაგროვება კაცობრიობის მწარმოებლურ ძალებთან შედარებით, ადამიანთა ერთი თაობის სულ რამდენიმე წლის ჩვეულებრივ მოხმარებასთან შედარებითაც კი. მიზეზი ცხადია, მაგრამ ზემოქმედება ფრიად საზიანოა. სიმდიდრე, რომელიც წლიურად მოიხმარება, ისპობა მის მოხ-

მარებასთან ერთად; იგი თვალწინ არის მხოლოდ ერთ წამს და შთაბეჭდილებას ახდენს მხოლოდ იმ ხნის განმავლობაში, როცა იმით ტკბებიან ან როცა მას მოიხმარებენ. მაგრამ სიმდიდრის ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ ნელ-ნელა მოიხმარება: ავეჯი, მანქანები, შენობები, ჩვენ თვალწინ დგას ბავშვობიდან სიბერემდე როგორც გამძლე ძეგლები ადამიანთა გამრჯელობისა. იმის გამო, რომ მესაკუთრენი ფლობენ საზოგადოებრივი სიმდიდრის ამ მტკიცე, გამძლე, მხოლოდ ნელ-ნელა მოსახმარებელ ნაწილს, — მიწასა და ნედლ მასალას, რასაც შრომა უნდა შეუერთდეს, და სამუშაო იარაღებს, რითაც შრომა უნდა შესრულდეს, სახლებს, რომლის ჭერქვეშაც შრომობს ადამიანი, — ასეთი მფლობელობის გამო საგნების მესაკუთრენი თავის სასარგებლოდ დაეუფლებიან საზოგადოების ყველა ნამდვილად მწარმოებელ მუშაკთა წლიურ მწარმოებლურ ძალებს, რაგინდ უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ეს საგნები ამ შრომის მიერ მუდამ განმეორებით წარმოებულ პროდუქტებთან შედარებით. ბრიტანეთისა და ირლანდიის მოსახლეობა შეადგენს 20 მილიონს; თითო ადამიანის — მამაკაცის, ქალის და ბავშვის — საშუალო მოხმარება უდრის, ალბათ, დაახლოებით 20 გირვ. სტერლინგს; ამიტომ შრომის პროდუქტი, რომელიც ყოველწლიურად მოიხმარება, შეადგენს სიმდიდრეს დაახლოებით 400 მილიონი გირვ. სტერლინგს. ამ ქვეყნების დაგროვილი კაპიტალის ერთობლივი ჯამი არ აღემატება, სავარაუდო გაანგარიშებით, 1 200 მილიონს, ანუ შრომის გასამკეცებულ პროდუქტს; თუ თანატოლად გავყოფთ, მივიღებთ 60 გირვ. სტერლინგ კაპიტალს ხულზე. მაგრამ ჩვენთვის აქ მნიშვნელოვანია უფრო შეფარდება, ვიდრე ამ სავარაუდო რიცხვების მეტ-ნაკლებ ზუსტი აბსოლუტური ჯამი. ამ ერთობლივი კაპიტალის სარგებელი საკმარისი იქნებოდა მთელი მოსახლეობის შესანახად მისი ცხოვრების ახლანდელ დონეზე დაახლოებით ორ თვეს წელიწადში, ხოლო თვით მთელი დაგროვილი კაპიტალი (თუ მისი მყიდველი აღმოჩნდებოდა) საკმარისი იქნებოდა უშრომლად ამ მოსახლეობის შესანახად სამი წლის განმავლობაში! ამ დროის გასვლის შემდეგ ადამიანები, სახლებს, ტანსაცმელსა და საჭმელს მოკლებულნი, დაიღუპებოდნენ ანდა იმათ მონებად გადაიქცეოდნენ, ვინც ისინი სამი წლის განმავლობაში შეინახა. როგორც 3 წელიწადი შეეფარდება ერთი ჯანმრთელი თაობის სიცოცხლის ხანგრძლიობას, ვთქვათ, 40 წელიწადს, ისე შეეფარდება ნამდვილი სიმდიდრის სიდიდე და მნიშვნელობა, თვით უმდიდრესი ქვეყნის დაგროვილი კაპიტალი, ამ ქვეყნის მწარმოებლურ ძალას, ადამიანთა მხოლოდ ერთი მოდგმის მწარმოებლურ ძალებს; შეეფარ-

დება არა იმას, რის წარმოებასაც ისინი შეძლებდნენ გონივრული წესწყობილების პირობებში, ყველასთვის ერთნაირი უზრუნველყოფილობის და განსაკუთრებით კოოპერაციული შრომის არსებობისას, არამედ იმას, რასაც ისინი სინამდვილეში აბსოლუტურად აწარმოებენ არასრულყოფილ წესწყობილებაში, როცა არ არსებობს საერთო უზრუნველყოფილობა და ამის გამო ადამიანს სულის მხნეობა ეკარგება!... და იმისათვის, რომ არსებული კაპიტალის ეს მოჩვენებითი უზარმაზარი მასა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ამ მასის საშუალებით მოპოვებული განკარგულება წლიური შრომის პროდუქტებზე და მონოპოლია ამ პროდუქტების მიმართ შენარჩუნებული და გამარადისებული გახდეს იძულებითი განაწილების მის დღევანდელ მდგომარეობაში, — ამისათვის უნდა გამარადისდეს მთელი ეს საშინელი მექანიზმი, მანკიერება, ბოროტმოქმედება და ტანჯვა, რაც არაუზრუნველყოფილობითაა წარმოშდგარი. არაფრის დაგროვება არ შეიძლება უიმისოდ, თუ ჯერ აუცილებელი მოთხოვნილებანი არ იქნა დაკმაყოფილებული, და ადამიანის მიდრეკილებათა დიდი ნაკადი დაკმაყოფილებისაკენ მიისწრაფვის; ამით აიხსნება შეფარდებითი მცირე ოდენობა საზოგადოების ნამდვილი სიმდიდრისა ყოველ მოცემულ მომენტში. ესაა წარმოებისა და მოხმარების მარადიული წრებრუნვა. ასეთი კოლოსალური რაოდენობით წლიური წარმოებისა და მოხმარების პირობებში ძნელად თუ მოხერხდებოდა ის, რომ ერთ მუჭა დაგროვებას ადგილი არა ჰქონოდა; და მთავარი ყურადღება მაინც მიქცეული იყო არა იმ მწარმოებლურ ძალთა მასაზე, არამედ ამ ერთ მუჭა დაგროვებაზე. მაგრამ ეს მცირეოდენი დაგროვება მიტაცებულ იქნა მცირეოდენთა მიერ და მათ იგი აქციეს შრომის იმ პროდუქტების მითვისების იარაღად, რომლებსაც მუდამ წლითიწლამდე ისევ და ისევ ადამიანთა დიდი უმრავლესობა აწარმოებს. ამით აიხსნება ასეთი იარაღის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ამ მცირერიცხოვან ადამიანთათვის... ნაციონალური წლიური პროდუქტის დაახლოებით ერთი მესამედი ახლა მწარმოებელთ წაერთმევა საზოგადოებრივი გადასახდელის სახელწოდებით და არამწარმოებლურად მოიხმარება იმ ადამიანთა მიერ, რომელნიც არ იძლევიან ამისათვის არავითარ ეკვივალენტს, ე. ი. ისეთს, რომელსაც ეკვივალენტის მნიშვნელობა ჰქონდეს მწარმოებელთათვის... უამრავი ადამიანის თვალი გაოცებით შესცქერის სიმდიდრის დაგროვილ მასებს, განსაკუთრებით თუ ისინი მცირეოდენთა ხელშია თავმოყრილი. მაგრამ ყოველწლიურად წარმოებული პროდუქტთა მასები, როგორც ძლიერი ნაკადის მარადიული და უთვალავი ზვირთები, მიგორავენ ამის გვერდით და სამუდამოდ

იკარგებიან მოხმარების ოკეანეში. და მაინც ეს მარადიული მოხმარება განაპირობებს ადამიანთა მთელი მოდგმის არა მარტო ყველა სიამოვნებას, არამედ არსებობასაც. უწინარეს ყოვლისა ამ წლიური პროდუქტის რაოდენობა და მისი განაწილება უნდა გახდეს გამოკვლევის საგანი. ნამდვილი დაგროვება სრულიად მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა, და ამ მნიშვნელობასაც იგი თითქმის მხოლოდ იმ გავლენის გამო მოიპოვებს, რაც მას წლიური პროდუქტის განაწილებაზე აქვს... ნამდვილი დაგროვება და განაწილება მუდამ განიხილება აქ (ტომპსონის ნაწარმოებში) მწარმოებლურ ძალასთან მიმართებაში, როგორც ამ ძალისადმი დაქვემდებარებულნი. თითქმის ყველა სხვა სისტემაში მწარმოებლური ძალა განიხილებოდა მის მიმართებაში დაგროვებასთან და განაწილების არსებული წესის გამარადისებასთან, როგორც მათდამი დაქვემდებარებული. განაწილების ამ არსებული წესის შენარჩუნებასთან შედარებით ყურადღების ღირსადაც კი არ ითვლება მუდამ განახლებული სიღატაკე თუ კეთილდღეობა ადამიანთა მთელი მოდგმისა. ძალადობის, მოტყუებისა და შემთხვევითობის შედეგთა გამარადისებას უწოდეს უშიშროება; და ამ მოჭორილი უშიშროების შენარჩუნებას კაცობრიობის ყველა მწარმოებლური ძალა უმოწყალოდ ეწირება მსხვერპლად» (იქვე, გვ. 440—443).

შესაძლებელია კვლავწარმოების მხოლოდ ორი ნორმალური შემთხვევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დარღვევის შემთხვევებს, რომელნიც მოცემული მასშტაბით მიმდინარე კვლავწარმოებასაც კი აბრკოლებენ.

ან მარტივ კვლავწარმოებას აქვს ადგილი.

ანდა ზედმეტი ღირებულების კაპიტალიზაციას, დაგროვებას.

I. მარტივი კვლავწარმოება

მარტივი კვლავწარმოების დროს ზედმეტ ღირებულებას, რომელიც წარმოებული და რეალიზებულია ყოველწლიურად ან — თუ რამდენიმე გადაბრუნება ხდება — წლის განმავლობაში პერიოდულად, მისი მესაკუთრეები, კაპიტალისტები ინდივიდუალურად, ე. ი. არაწარმოებლურად მოიხმარებენ.

ის გარემოება, რომ პროდუქტის ღირებულება ნაწილობრივ ზედმეტი ღირებულებისგან შედგება, ნაწილობრივ — ღირებულების იმ ნაწილისგან, რომელსაც ქმნის პროდუქტში კვლავწარმოებული ცვალებადი კაპიტალი პლუს პროდუქტზე დახარჯული მუდმივი კაპიტა-

ლი, — აბსოლუტურად არაფერს ცვლის იმ ერთობლივი პროდუქტის არც რაოდენობასა და არც ღირებულებაში, რომელიც საქონლური კაპიტალის სახით მუდამ მიმოქცევაში შედის და ასევე მუდამ გამოიცლება მას იმისათვის, რომ მწარმოებლური ან ინდივიდუალური მოხმარების საგანი გახდეს, ე. ი. იმისათვის, რომ წარმოების საშუალება ან მოხმარების საშუალება იყოს. თუ მუდმივ კაპიტალს მხედველობაში არ მივიღებთ, ეს გარემოება გავლენას ახდენს მხოლოდ წლიური პროდუქტის განაწილებაზე მუშებსა და კაპიტალისტებს შორის.

ამიტომ მარტივი კვლავწარმოების დროსაც კი ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილი მუდამ უნდა არსებობდეს ფულის სახით და არა პროდუქტის სახით, იმიტომ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ შეიძლება მოხმარების მიზნით ფულიდან პროდუქტად გარდაიქმნას. ზედმეტი ღირებულების ეს გარდაქმნა მისი თავდაპირველი საქონლური ფორმიდან ფულად ჩვენ აქ უფრო საფუძვლიანად უნდა გამოვიკვლიოთ. საქმის გასამარტივებლად წარმოვიდგინოთ პრობლემის უმარტივესი ფორმა, სახელდობრ მხოლოდ და მხოლოდ ლითონის ფულის მიმოქცევა, ფულისა, რომელიც ნამდვილ ეკვივალენტს წარმოადგენს.

თანახმად მარტივი საქონელმიმოქცევის კანონებისა, რომლებიც წინათ იყო გადმოცემული (წიგნი I, თავი III), ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ლითონის ფულის მასა საკმარისი უნდა იყოს არა მხოლოდ საქონელთა მიმოქცევისათვის. იგი საკმარისი უნდა იყოს იმ შემთხვევისთვისაც, როცა ადგილი აქვს ფულის ტრიალის რყევას, რაც ნაწილობრივ მიმოქცევის სისწრაფის ცვალებადობიდან გამომდინარეობს, ნაწილობრივ — საქონელთა ფასების ცვლილებიდან, ნაწილობრივ კი იმ სხვადასხვა და ცვალებადი პროპორციიდან, რომლის მიხედვით ფული მოქმედებს როგორც გადახდის საშუალება ან როგორც საკუთრივ მიმოქცევის საშუალება. შეფარდება, რომლის მიხედვით ფულის არსებული რაოდენობა იყოფა განძად და მიმოქცევაში მყოფ ფულად, მუდამ იცვლება, მაგრამ ფულის ეს მასა ყოველთვის უდრის განძისა და მიმოქცევაში მყოფი ფულის სახით არსებული ფულის ჯამს. ფულის ეს მასა (ძვირფას ლითონთა მასა) წარმოადგენს საზოგადოების თანდათან დაგროვილ განძს. რამდენადაც ამ განძის ნაწილი ისპობა გაცვეთის გამო, იგი ყოველწლიურად ხელახლა უნდა ანაზღაურდეს, როგორც ყოველი სხვა პროდუქტი. ეს ასე ხდება კიდეც სინამდვილეში ქვეყნის წლიური პროდუქტის ნაწილის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გაცვლით ოქრო-ვერცხლის მწარმოებელი ქვეყნების პროდუქტზე. მაგრამ გარიგების ეს ინტერ-

ნაციონალური ხასიათი ჩქმალავს ამ გარიგების მარტივ მიმდინარეობას. ამიტომ, რათა პრობლემა მის უმარტივეს და უცხადეს გამოსახულებამდე დავიყვანოთ, საჭიროა ვიგულისხმოთ, რომ ოქრო-ვერცხლის წარმოებას ადგილი აქვს თვით იმავე ქვეყანაში, რომ, მაშასადამე, ოქრო-ვერცხლის წარმოება ყოველი ქვეყნის ერთობლივი საზოგადოებრივი წარმოების ნაწილს შეადგენს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ოქროსა და ვერცხლს, რაც ფუფუნების საგნებისათვის იწარმოება, მათი წლიური წარმოების მინიმუმი უნდა უდრიდეს ფულადი ლითონების გაცვეთას, რაც გამოწვეულია ფულის ყოველწლიური მიმოქცევით. შემდეგ: თუ წლიურად წარმოებულ და მიმოქცეულ საქონელთა მასის ღირებულების ჯამი იზრდება, უნდა გაიზარდოს აგრეთვე ოქრო-ვერცხლის წლიური წარმოება, რამდენადაც მიმოქცევაში მყოფ საქონელთა ღირებულების მასისა და მათი მიმოქცევისათვის (და შესაბამისი განძის შექმნისათვის) საჭირო ფულადი მასის კომპენსაცია არ ხდება ფულის ტრიალის უფრო დიდი სისწრაფით და ფულის, როგორც გადახდის საშუალების, უფრო ფართო მოქმედებით, ე. ი. ყიდვა-გაყიდვიდან გამომდინარე გადასახდელთა უფრო ხშირი ურთიერთი დაფარვით ნამდვილი ფულის ჩაურევლად.

ამრიგად, საზოგადოებრივი სამუშაო ძალის ნაწილი და საზოგადოებრივი წარმოების საშუალებათა ნაწილი ყოველწლიურად უნდა იხარჯებოდეს ოქრო-ვერცხლის წარმოებაზე.

რადგან აქ მარტივი კვლავწარმოება იგულისხმება, კაპიტალისტები, რომელნიც ოქრო-ვერცხლის წარმოებას ეწევიან, თავიანთ წარმოებას საზღვრავენ ოქრო-ვერცხლის მხოლოდ წლიური საშუალო გაცვეთითა და აქედან გამომდინარე მათი საშუალო მოხმარების ფარგლებით. თავიანთ ზედმეტ ღირებულებას, რასაც ისინი, ნავარაუდევის თანახმად, ყოველწლიურად მოიხმარებენ ისე, რომ აქედან საკაპიტალიზაციოდ არაფერს ტოვებენ, პირდაპირ მიმოქცევაში გადაისვრიან ფულადი ფორმით, რაც მათთვის ნატურალური ფორმაა და არა პროდუქტის გარდაქმნილი ფორმა, როგორც ეს წარმოების სხვა დარგებშია.

შემდეგ: რაც შეეხება ხელფასს, — ფულად ფორმას, რომლითაც კაპიტალი ავანსად გაიღება, — იგი აქ ანაზღაურდება ასევე არა პროდუქტის გაყიდვის გზით, მისი ფულად გადაქცევის გზით, არამედ თვით პროდუქტით, რომლის ნატურალურ ფორმას იმთავითვე ფულადი ფორმა წარმოადგენს.

დასასრულ, ასევე ემართება პროდუქტის — ძვირფასი ლითონის — იმ ნაწილს, რომელიც პერიოდულად მოხმარებული მუდმივი კაპიტალის — როგორც მუდმივი საბრუნავი კაპიტალის, ისე წლის განმავლობაში მოხმარებული მუდმივი ძირითადი კაპიტალის — ღირებულებას უდრის.

განვიხილოთ ძვირფასი ლითონის წარმოებაში დაბანდებული კაპიტალის წრებრუნვა — შესაბამისად გადაბრუნება — უწინარეს ყოვლისა ფორმით: Ф — С...Ф...Ф′. რამდენადაც Ф — С-ში С შედგებარა მარტო სამუშაო ძალისა და წარმოების საშუალებებისაგან, არამედ აგრეთვე ძირითადი კაპიტალისაგან, რომლის ღირებულების მხოლოდ ნაწილია მოხმარებული Ф-ში, — ცხადია, რომ Ф′ — პროდუქტი — ფულადი თანხაა, რომელიც უდრის ხელფასზე დახარჯულ ცვალებად კაპიტალს, პლუს წარმოების საშუალებებზე დახარჯული საბრუნავი მუდმივი კაპიტალი, პლუს ღირებულების ნაწილი, რომელიც გაცვეთილ ძირითად კაპიტალს შეესაბამება, პლუს ზედმეტი ღირებულება. თუ ოქროს საყოველთაო ღირებულების უცვლელობისას ეს თანხა ნაკლებია, ეს იმის მოპასწავებელი იქნებოდა, რომ ოქროს სარეწავები არამწარმოებლურადაა დაყენებული ანდა — თუ ამ მოვლენამ საყოველთაო ხასიათი მიიღო — ოქროს ღირებულება, შედარებით საქონელთან, რომლის ღირებულება არ იცვლება, მომავალში მაღლა აიწევდა, ე. ი. საქონელთა ფასები დაეცემოდა, მაშასადამე, მომავალში ფულადი თანხა, რომელიც Ф — С-ში იხარჯება, ნაკლები გახდებოდა.

თუ ჩვენ უწინარეს ყოვლისა განვიხილავთ მხოლოდ Ф-ში, Ф—С... Ф... — Ф′-ის ამოსავალ პუნქტში, ავანსებული კაპიტალის საბრუნავ ნაწილს, დავინახავთ, რომ განსაზღვრული ფულადი თანხა ავანსად გაიღება, მიმოქცევაში გადაისროლება სამუშაო ძალის გასასტუმრებლად და წარმოების მასალების საყიდლად. მაგრამ ამ კაპიტალის წრებრუნვით იგი მიმოქცევიდან ისევე აღარ ამოიღება იმისათვის, რომ ხელახლა იქნეს მასში გადასროლილი. პროდუქტი თავისი ნატურალური ფორმით უკვე ფულია, მაშასადამე, მას არ სჭირდება გაცვლის საშუალებით, მიმოქცევის პროცესის საშუალებით ფულად გადაქცევა. იგი წარმოების პროცესიდან მიმოქცევის სფეროში შედის არა საქონლური კაპიტალის სახით, რომელიც ფულად კაპიტალად უნდა გარდაიქმნას, არამედ — როგორც ფულადი კაპიტალი, რომელიც უნდა უკუგარდაიქმნას მწარმოებლურ კაპიტალად, ე. ი. რომელმაც ხელახლა უნდა იყიდოს სამუშაო ძალა და წარმოების მასალები. სამუშაო ძალასა და წარმოების საშუალებებზე მოხმარებული საბრუ-

ნავი კაპიტალის ფულადი ფორმა ანაზღაურდება არა პროდუქტის გაყიდვის გზით, არამედ თვით პროდუქტის ნატურალური ფორმით; მაშასადამე, ანაზღაურების საშუალებას წარმოადგენს არა მიმოქცევიდან პროდუქტის ღირებულების ხელახლა ამოღება ფულადი ფორმით, არამედ დამატებითი, ახლად წარმოებული ფული.

ვიგულისხმოთ, რომ ეს საბრუნავი კაპიტალი = 500 გირვ. სტერლინგს, გადაბრუნების პერიოდი = 5 კვირას, სამუშაო პერიოდი = 4 კვირას, მიმოქცევის პერიოდი მხოლოდ = 1 კვირას. ფული ნაწილობრივ იმთავითვე უნდა გაიღონ ავანსად საწარმოო მარაგისათვის 5 კვირით, ნაწილობრივ კი იგი მარაგად უნდა რჩებოდეს ხელფასის თანდათანობით გადასახდელად. მე-6 კვირის დამდეგს უკან ბრუნდება 400 გირვ. სტერლინგი და თავისუფლდება 100 გირვ. სტერლინგი. ეს მეორდება მუდამ. აქ, როგორც უწინ, გადაბრუნების გარკვეული დროის განმავლობაში 100 გირვ. სტერლინგი ყოველთვის განთავისუფლებულ ფორმაში იქნება. მაგრამ იგი დამატებითი ახლად წარმოებული ფულისგან შედგება, სწორედ ისე, როგორც დანარჩენი 400 გირვ. სტერლინგი. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს 10 გადაბრუნება წელიწადში, და წარმოებული წლიური პროდუქტი = 5 000 გირვ. სტერლ. ოქროს (მიმოქცევის პერიოდი შედგება აქ არა იმ დროისაგან, რომელსაც მოითხოვს საქონლის გარდაქმნა ფულად, არამედ იმ დროისაგან, რომელიც სჭირდება ფულის გარდაქმნას წარმოების ელემენტებად).

ყოველი სხვა 500 გირვ. სტერლინგი კაპიტალისათვის, რომელიც იმავე პირობებში გადაბრუნდება, მუდმივად განახლებული ფულადი ფორმა გარდაქმნილი ფორმაა წარმოებული საქონლური კაპიტალისა, რომელიც ყოველი 4 კვირის შემდეგ მიმოქცევაში გადაისროლება და გაყიდვის გზით — მაშასადამე, პერიოდულად ფულის ისეთი რაოდენობის ამოღების გზით, როგორიც თავდაპირველად შევიდა პროცესში — მუდამ ხელახლა იღებს ფულის ფორმას. პირიქით, აქ გადაბრუნების ყოველ პერიოდში ახალი დამატებითი ფულის მასა 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით თვით წარმოების პროცესიდან გადაისროლება მიმოქცევაში, რათა აქედან მუდამ წარმოების მასალები და სამუშაო ძალა გაიტანოს. მიმოქცევაში გადასროლილი ეს ფული შემდეგ უკან აღარ გამოეცლება მიმოქცევას ამავე კაპიტალის წრეგბრუნვით, არამედ, პირიქით, მუდამ მრავლდება ახლად წარმოებული ოქროს მასებით.

თუ ჩვენ ამ საბრუნავი კაპიტალის ცვალებად ნაწილს განვიხილავთ და ვიგულისხმებთ, რომ იგი, ისევე როგორც ზემოთ, 100

გირვ. სტერლინგს უდრის, აღმოჩნდება, რომ ჩვეულებრივ საქონელ-წარმოებაში ეს 100 გირვ. სტერლინგი, ათგზისი გადაბრუნებისას, საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მუდამ გაისტუმროს სამუშაო ძალა. აქ, ოქროს წარმოებაში, საკმაოა იგივე თანხა: მაგრამ უკან დაბრუნებული 100 გირვ. სტერლინგი, რითაც ყოველ 5 კვირაში სამუშაო ძალა გაისტუმრება, წარმოადგენს არა ამ სამუშაო ძალის პროდუქტის გარდაქმნილ ფორმას, არამედ მუდამ განახლებადი პროდუქტის ნაწილს. ოქროს მწარმოებელი თავის მუშებს სასყიდელს უხდის თვით მათ მიერვე წარმოებული ოქროს ნაწილით. ამრიგად, 1 000 გირვ. სტერლინგი, რომელიც ყოველწლიურად ასე იხარჯება სამუშაო ძალაზე და რომელსაც მუშები მიმოქცევაში გადაისვრიან, მიმოქცევის გზით არ უბრუნდება უკან თავის ამოსავალ პუნქტს.

შემდეგ, რაც შეეხება ძირითად კაპიტალს, საწარმოს პირველ-მოწყობის დროს საჭიროა შედარებით დიდი ფულადი კაპიტალის დახარჯვა, მაშასადამე, ეს კაპიტალი მიმოქცევაში გადაისროლება. როგორც ყოველი ძირითადი კაპიტალი, იგი მხოლოდ ნაწილ-ნაწილ ბრუნდება უკან რამდენიმე წლის განმავლობაში. მაგრამ იგი როგორც პროდუქტის, ოქროს, უშუალო ნაწილი უკან ბრუნდება არა პროდუქტის გაყიდვისა და ამის გამო ამ პროდუქტის ფულად გადაქცევის გზით. მაშასადამე, იგი თანდათან იღებს თავის ფულად ფორმას არა მიმოქცევიდან ფულის ამოღების საშუალებით, არამედ პროდუქტის სათანადო ნაწილის დაგროვების გზით. ამგვარად აღდგენილი ფულადი კაპიტალი არაა ფულადი თანხა, მიმოქცევიდან თანდათან ამოღებული იმ ფულადი თანხის დასაფარავად, რაც თავდაპირველად იყო გადასროლილი მიმოქცევაში ძირითადი კაპიტალის შესაძენად. ეს ფულის დამატებითი რაოდენობაა.

დასასრულ, რაც შეეხება ზედმეტ ღირებულებას, იგი თავის მხრივ უდრის იმ ახალი ოქრო-პროდუქტის ნაწილს, რომელიც გადაბრუნების თვითეულ ახალ პერიოდში გადაისროლება მიმოქცევაში, რათა ჩვენი ნაგულისხმევის თანახმად, დახარჯულ იქნეს არამწარმოებლურად, საარსებო საშუალებებისა და ფუფუნების საგნების საყიდლად.

მაგრამ, ჩვენი ვარაუდის თანახმად, ოქროს მთელი ეს წლიური წარმოება—რითაც ბაზარს განუწყვეტლივ გამოეცლება სამუშაო ძალა და წარმოების მასალები, მაგრამ არა ფული, და რაც ამ ბაზარს მუდამ დამატებითი ფულით ამარაგებს — მხოლოდ ანაზღაურებს წლის განმავლობაში გაცვეთილ ფულს, მაშასადამე ხელს უწყობს იმას, რომ საზოგადოებაში არ შემცირდეს ფულის ის რაოდენობა, რომელიც

თუმცა ცვალებადი პროპორციით, მაგრამ მუდამ ორი ფორმით არსებობს: განძის ფორმით და მიმოქცევაში მყოფი ფულის ფორმით.

[საქონელმიმოქცევის კანონის თანახმად, ფულის საერთო მასა უნდა უდრიდეს მიმოქცევისათვის საჭირო ფულის მასას. პლუს განძის ფორმაში მყოფი ფულის რაოდენობა, რომელიც მიმოქცევის შეკუმშვისა თუ გაშლის მიხედვით მატულობს ან კლებულობს, განსაკუთრებით კი გადახდის საშუალებათა სარეზერვო ფონდის შექმნას ემსახურება. ფულით გადახდილ უნდა იქნეს საქონელთა ღირებულება, რამდენადაც ადგილი არა აქვს გადასახდელთა ურთიერთ დაფარვას.] ის გარემოება, რომ ამ ღირებულების გარკვეული ნაწილი ზედმეტი ღირებულებისაგან შედგება, ე. ი. საქონლის გამყიდველს იგი არად უღირს, სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას. ვთქვათ, მწარმოებლები ყველანი წარმოების საშუალებათა დამოუკიდებელი მესაკუთრენი არიან. მაშასადამე, მიმოქცევას ადგილი აქვს თვით უშუალო მწარმოებლებს შორის. თუ ყურადღების გარეშე დავტოვებთ მათი კაპიტალის ნუდმივ ნაწილს, (მაწინ მათი წლიური ახლადშექმნილი ღირებულება კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებული მდგომარეობის ანალოგიურად) შეიძლებოდა დაგვეყო ორ ნაწილად: a ნაწილად, რომელიც ნელოდ ანაზღაურებს მათ აუცილებელ საარსებო საშუალებებს, და b ნაწილად, რომელსაც ისინი ნაწილობრივ ფუფუნების საგნებზე ხარჯავენ, ნაწილობრივ კი წარმოების გასაფართოებლად ხმარობენ. a ნაწილი ამ შემთხვევაში წარმოადგენს ცვალებად კაპიტალს, b — ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ ამ დანაწილებას არავითარი გავლენა არ ექნებოდა ფულის იმ მასის სიდიდეზე, რომელიც საჭიროა მათი მთელი პროდუქტის მიმოქცევისათვის. სხვა თანაბარ პირობებში მიმოქცევაში მყოფი საქონელთა მასის ღირებულება იგივე იქნებოდა, მაშასადამე, იგივე იქნებოდა ამ ღირებულებისათვის საჭირო ფულის მასაც. ასევე გადაბრუნების პერიოდების თანაბარი დანაწილებისას მწარმოებლებს ისეთივე ფულადი მარაგი უნდა ჰქონოდათ, ე. ი. ფულადი ფორმით ნუდამ უნდა ჰქონოდათ თავიანთი კაპიტალის ისეთივე ნაწილი, რადგან, ჩვენი ნავარაუდევის თანახმად, მათი წარმოება უწინდებურად საქონელწარმოება იქნებოდა. მაშასადამე, ის გარემოება, რომ საქონლის ღირებულების ნაწილი ზედმეტი ღირებულებისაგან შედგება, სრულიად არ ცვლის ფულის მასას, რომელიც აუცილებელია საქმის წარსაპართავად.

ტუკის ერთი მოწინააღმდეგე, რომელიც ჩასჭიდებია ფორმას ფ — ს — ფ′, ეკითხება მას: როგორ ახერხებს კაპიტალისტი მიმოქცევიდან ყოველთვის მეტი ფული იმოიღოს, ვიდრე იგი მასში გადა-

ისვრისო. გასაგებია. აქ ლაპარაკია არა ზედმეტი ღირებულების შ ე ქ მ ნ ა ზ ე. ზედმეტი ღირებულების შექმნა, რაც ერთადერთ საიდუმლოებას შეადგენს, კაპიტალისტური თვალსაზრისით თავისთავად გასაგებია. გამოყენებული ღირებულების ჯამი ხომ კაპიტალი არ იქნებოდა, იგი რომ ზედმეტი ღირებულებისი არ მდიდრდებოდეს. მაშასადამე, რადგან იგი, ნავარაუდევის თანახმად, კაპიტალია, ზედმეტი ღირებულება თავისთავად იგულისხმება.

საკითხი, მაშასადამე, ის კი არ არის, თუ საიდან მოდის ზედმეტი ღირებულება, არამედ ის, თუ საიდან მოდის ფული, რადაც ზედმეტი ღირებულება გადაიქცევა.

მაგრამ ბურჟუაზიული ეკონომიისათვის ზედმეტი ღირებულების არსებობა თავისთავად იგულისხმება. მაშასადამე, იგულისხმება არა მარტო იგი, არამედ მასთან ერთად იგულისხმება ისიც, რომ მიმოქცევაში გადასროლილი საქონელთა მასის ნაწილი ზედმეტი ღირებულებისგან შედგება, მაშასადამე, ისეთ ღირებულებას წარმოადგენს, რომელიც კაპიტალისტს მიმოქცევაში არ გადაუსროლია თავის კაპიტალთან ერთად; რომ, მაშასადამე, კაპიტალისტი თავის პროდუქტთან ერთად მიმოქცევაში გადაისვრის გარკვეულ ნამეტს თავის კაპიტალთან შედარებით, ხოლო შემდგომ ისევ გამოაქვს მას მიმოქცევიდან ეს ნამეტი.

საქონლური კაპიტალი, რომელსაც კაპიტალისტი მიმოქცევაში გადაისვრის, უფრო დიდი ღირებულებისაა (საიდან წარმოდგება იგი, ეს არაა ახსნილი ან გაგებული, მაგრამ c'est un fait [იგი ფაქტია] ბურჟუაზიული ეკონომიის თვალსაზრისით), ვიდრე მწარმოებლური კაპიტალი, რომელიც ან გამოიტანა მიმოქცევიდან სამუშაო ძალის სახით ანუ წარმოების საშუალებანი. აქიტომ ამ ნაგულისხმევის მიხედვით ცხადია, რატომ არა მარტო *A* კაპიტალისტს, არამედ აგრეთვე *B*, *C*, *D* და სხვ. კაპიტალისტებს შეუძლიათ თავიანთი საქონლის გაცვლის გზით ყოველთვის მეტი ღირებულება გამოიტანონ მიმოქცევიდან, ვიდრე იმ კაპიტალის ღირებულებაა, რომელიც ავანსებული იყო თავდაპირველად და შემდეგ სულ ახლად და ახლად ავანსდება. *A*, *B*, *C*, *D* და სხვ. კაპიტალისტები შუდამ გადაისვრიან მიმოქცევაში საქონლური კაპიტალის ფორმით — ეს ოპერაცია ისე მრავალმხრივია, როგორც მრავალგვარია დამოუკიდებლად მოქმედი კაპიტალები — უფრო დიდ საქონლურ ღირებულებას, ვიდრე მათ იქიდან გამოაქვთ მწარმოებლური კაპიტალის ფორმით. მაშასადამე, ისინი ყოველთვის უნდა ისაწილებდნენ ერთმანეთს შორის ღირებულების ჯამს, რომელიც მათი, — შესაბამისად მათ მიერ ავანსებული, — მწარ-

მოებლური კაპიტალების ღირებულების ჯამს უდრის (ე. ი. თვითეულს თავის მხრივ უნდა გამოჰქონდეს მიმოქცევიდან მწარმოებლური კაპიტალი); და ასევე ისინი ყოველთვის უნდა ინაწილებდნენ ერთმანეთს ზორის ღირებულების იმ ჯამს, რომელსაც ისინი ყოველი მხრიდან გადაისვრიან მიმოქცევაში საქონლური ფორმით, — გადაისვრიან როგორც საქონლური ღირებულების სათანადო ნაჭეტს მისი წარმოების ელემენტების ღირებულებასთან შედარებით.

ბაგრამ საქონლური კაპიტალი, ვიდრე იგი უკუგბრდაიქმნებოდეს მწარმოებლურ კ[illegible]ალად და ვიდრე მასში მოქცეული ზედმეტი ღირებულება დაიხარჯებოდეს, ფულად უნდა გადაიქცეს. საიდან მოდის ამისთვის ფული? ეს კითხვა ერთი შეხედვით ძველ კითხვად გვეჩვენება, და ვერც ტუკს და ვერც სხვა ეინმეს დღემდე მასზე პასუხი ვერ გაუცია.

ვთქვათ, ფულად ფორმაში ავანსებული 500 გირვ. სტერლინგი საბრუნავი კაპიტალი, როგორიც არ უნდა იყოს მისი ბრუნვის პერიოდი, შეადგენს საზოგადოების, ე. ი. კაპიტალისტთა კლასის, მთელ საბრუნავ კაპიტალს. ზედმეტი ღირებულება, ვთქვათ, უდრის 100 გირვ. სტერლინგს. რანაირად შეუძლია კაპიტალისტთა მთელ კლასს მუდამ 600 გირვ. სტერლინგის გამოტანა მიმოქცევიდან, თუ იგი მხოლოდ 500 გირვ. სტერლინგს გადაისვრის მასში?

მას შემდეგ, რაც 500 გირვ. სტერლინგი ფულადი კაპიტალი მწარმოებლურ კაპიტალად გადაიქცა, ეს უკანასკნელი გადაიქცევა წარმოების პროცესში 600 გირვ. სტერლინგის საქონლურ ღირებულებად, და, ამრიგად, მიმოქცევაში იმყოფება არა მხოლოდ 500 გირვ. სტერლინგის საქონლური ღირებულება, რომელიც თავდაპირველად ავანსებულ ფულად კაპიტალს უდრის, არამედ 100 გირვ. სტერლინგი ახლად წარმოებული ზედმეტი ღირებულებაც.

ეს დამატებითი ზედმეტი ღირებულება 100 გირვ. სტერლინგის რაოდენობით გადასროლილია მიმოქცევაში საქონლური ფორმით. ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. ბაგრამ ასეთი ოპერაციის მეოხებით შეუძლებელია მივიღოთ დამატებითი ფული ამ დამატებითი საქონლური ღირებულების მიმოქცევისათვის.

ნურავინ შეეცდება რაიმე მოხერხებული ფანდებით გვერდი აუაროს ამ სიძნელეს.

მაგალითად, ამ სახით: რაც შეეხება მუდმივ საბრუნავ კაპიტალს, ცხადია, რომ ყველანი ერთსა და იმავე დროს არ ხარჯავენ მას. იმ დროს, როდესაც *A* კაპიტალისტი თავის საქონელს ყიდის, მაშასადამე, ავანსებული კაპიტალი მისთვის ფულად ფორმას იღებს, *B*

მყიდველისათვის, პირიქით, კაპიტალი, რომელიც ფულად ფორმაში იმყოფება, მის წარმოების საშუალებათა ფორმას იღებს, სწორედ იმ საშუალებათა ფორმას, რომელსაც *A* აწარმოებს. ივავე აქტის საშუალებით, რომლითაც *A* მის მიერ წარმოებულ საქონლურ კაპიტალს ხელახლა ფულად ფორმას აძლევს, *B* თავის კაპიტალს ხელახლა მწარმოებლურ ფორმას აძლევს, ფულადი ფორმიდან მას წარმოების საშუალებებად და სამუშაო ძალად აქცევს; ერთი და იგივე ფულადი თანხა ორმხრივ პროცესში მოქმედებს, როგორც ყოველ მარტივ ყიდვაში, ს—ფ. მეორე მხრივ, თუ *A* ფულს ხელახლა წარმოების საშუალებებად აქ ცვევს, იგი ამ საშუალებებს ყიდულობს *C*-სგან, და ეს უკანასკნელი იმ ფულით *B*-ს უხდის და სხვ. საქმე ახსნილი იქნებოდა ამგვარად. მიგრამ:

ჩვენ მიერ განხილული ყველა კანონი (წიგნი I, თავი III) იმ ფულის რაოდენობის შესახებ, რომელიც საქონელმიმოქცევაში მიმოიქცევა, სრულიადაც არ იცვლება წარმოების პროცესის კაპიტალისტური ხასიათის გამო.

მაშასადამე, როდესაც ამბობენ, ფულადი ფორმით ავანსად გასაღები საბრუნავი კაპიტალი საზოგადოებისა 500 გირვ. სტერლინგს შეადგენსო, ამასთან უკვე მხედველობაში აქვთ, რომ, ერთი მხრივ, ეს არის თანხა, რომელიც იმავდროულად იყო ავანსებული, მაგრამ რომ, მეორე მხრივ, ამ თანხას 500 გირვ. სტერლინგზე მეტი მწარმოებლური კაპიტალი მოჰყავს მოძრაობაში, რადგან იგი სხვადასხვა მწარმოებლური კაპიტალის ფულადი ფონდის როლს ასრულებს რიგრიგობით. მაშასადამე, ახსნა ეს წესი უკვე არსებულად გულისხმობს იმ ფულს, რომლის არსებობაც მან უნდა ახსნას.

შეიძლებოდა, შემდეგ, ამის თქმაც: *A* კაპიტალისტი ისეთ საგნებს აწარმოებს, რომლებსაც *B* კაპიტალისტი ინდივიდუალურად, არამწარმოებლურად მოიხმარს. მაშასადამე, *B*-ს ფული *A*-ს საქონლურ კაპიტალს აქცევს ფულად, და ამგვარად ერთი და იგივე ფულადი თანხა *B*-ს ზედმეტი ღირებულებისა და *A*-ს საბრუნავი მუდმივი კაპიტალის ფულად გარდაქმნას ემსახურება. მაგრამ აქ კიდევ უფრო პირდაპირაა ნაგულისხმევი წინასწარ იმ კითხვის გადაწყვეტა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს. სახელდობრ, საიდან იღებს *B* ამ ფულს თავისი შემოსავლის დასაფარავად? როგორ აქცია ფულად თვით მან თავისი პროდუქტის ეს ნაწილი, ეს ზედმეტი ღირებულება?

შემდეგ, შეიძლებოდა იმის თქმა, რომ საბრუნავი ცვალებადი კაპიტალის ნაწილი, რომელსაც *A* მუდამ ავანსად აძლევს თავის მუშებს, მუდამ უკანვე უბრუნდება მას მიმოქცევიდან; და მხოლოდ

იმისი განსაზღვრული ცვალებადი ნაწილი რჩება თვით მას მუდამ ხელფასის გადასახდელად. ფულის დახარჯვისა და მისი უკან დაბრუნების მომენტებს შორის კი გაივლის განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაშიც ხელფასზე გაცემული ფული შეიძლება, სხვათა შორის, ზედმეტი ღირებულების ფულად გარდაქმნასაც ემსახუროს. მაგრამ, ჯერ-ერთი, ჩვენ ვიცით, რომ რაც უფრო ხანგრძლივია ეს დრო, მით უფრო დიდი უნდა იყოს ფულადი ბარაკის მასა, რომელიც *A* კაპიტალისტა მუდამ in petto [მზად] უნდა ჰქონდეს. მეორე, მუშა ხარჯავს ფულს, ყიდულობს ამ ფულით სხვადასხვა საქონელს, მაშასადამე, pro tanto ფულად აქცევს ამ სხვადასხვა საქონელში ჩოქცეულ ზედმეტ ღირებულებას. მაშასადამე. იგივე ფული, რომელიც ცვალებადი კაპიტალის ფორმით ავანსდება, pro tanto ზედმეტი ღირებულების ფულად გარდაქმნასაც ემსახურება. არ შევდივართ ამ საკითხის უფრო ღრმად განხილვაში და აქ მაოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: კაპიტალისტთა მთელი კლასისა და მათზე დამოკიდებულ არამწარმოებელ პირთა მოხმარება მუშათა კლასის მოხმარების იმავდროულად და პარალელურად მიმდინარეობს. მაშასადამე, იმავე დროს, როდესაც მუშები ბიმოქცევაში გადაისვრიან თავიანთ ფულს, კაპიტალისტებმაც მიმოქცევაში უნდა გაუშვან ფული, რათა თავიანთი ზედმეტი ღირებულება შეინარჩუნონ სახით დაახარჯონ; მაშასადამე, ამისათვის ფული ამოღებულ უნდა იქნეს მიმოქცევიდან. ამრიგად, ახსნა, რომელიც ესარის მოცემული იყო, შეამცირებდა მხოლოდ აუცილებელი ფულის რაოდენობას, მაგრამ ვერ მოსპობდა მის აუცილებლობას.

დასასრულ, შეიძლებოდა ამის თქმა: ძირითადი კაპიტალის პირველი დაბანდების დროს მიმოქცევაში ხომ ყოველთვის ფულის დიდი რაოდენობა გადაისროლება და თანაც ამ ფულს მაოლოდ თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ, წლების განმავლობაში ამოიღებს ისევ მიმოქცევიდან ის, ვინც იგი მასში გადაისროლა. განა ეს თანხა არ კმარა იმისათვის, რომ ზედმეტი ღირებულება ფულად იქცეს? — ამაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ 500 გირვ. სტერლ. თანხა (რომელიც შეიცავს განძის შექმნასაც აუცილებელი სარეზერვო ფონდისათვის), შესაძლოა, უკვე გულისხმობს იმის შესაძლებლობას, რომ იგი გამოყენებული იქნება როგორც კაპიტალი, თუ იმის მიერ არა, ვინც იგი გადაისროლა მიმოქცევაში, ვინმე სხვის მიერ მაინც. გარდა ამისა, უკვე ნაგულისხმევია, რომ ძირითად კაპიტალად გამოსაყენებელი პროდუქტების შესაძენად დახარჯული თანაით გადახდილია აგრეთვე ამ პროდუქტებში მოქცეული ზედმეტი ღირებულება, და საკითხი სწორედ ისაა, თუ საიდან მოდის ეს ფული.

ზოგადი პასუხი უკვე მოცემულია: თუ 1 000×X გირვ. სტერლინგის საქონელთა მასა უნდა მიმოიქცევოდეს, ამ მიმოქცევისათვის აუცილებელი ფულის რაოდენობა სრულიად არ იცვლება იმის გამო, შეიცავს ამ საქონელთა მასის ღირებულება ზედმეტ ღირებულებას თუ არა, წარმოებულია საქონელთა ეს მასა კაპიტალისტურად თუ არა. მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, თ ვ ი თ პ რ ო ბ ლ ე მ ა ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს. თუ სხვა პირობებია მოცემული, — ფულის ტრიალის სისწრაფე და სხვ,— 1 000×X გირვ. სტერლინგის საქონლური ღირებულების მიმოქცევისათვის საჭიროა ფულის განსაზღვრული თანხა, რომელიც სრულიად არაა დამოკიდებული იმ გარემოებაზე, ამ ღირებულების დიდი თუ მცირე ნაწილი ხვდება ამ საქონელთა უშუალო მწარმოებლებს. რამდენადაც აქ პრობლემა არსებობს, იგი ემთხვევა საერთო პრობლემას: საიდან მოდის ფულის თანხა, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ქვეყანაში საქონელთა მიმოქცევისთვის.

მაგრამ, კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მაინც იქნება ისეთი ი ლ უ ზ ი ა, თითქოს აქ განსაკუთრებული პრობლემა არსებობდეს. სახელდობრ, ამოსავალ პუნქტს, საიდანაც ფული მიმოქცევაში გადაისროლება, აქ კაპიტალისტი წარმოადგენს. ფული, რომელსაც მუშა თავის საარსებო საშუალებათა საყიდლად ხარჯავს, ჯერ არსებობს როგორც ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმა და ამიტომ თავდაპირველად კაპიტალისტის ნიერ მიმოქცევაში გადაისროლება როგორც სამუშაო ძალის ყიდვის ანუ გადახდის საშუალება. გარდა ამისა, კაპიტალისტი მიმოქცევაში გადაისვრის ფულს, რომელიც მისთვის თავდაპირველად მისი მუდმივი—ძირითადი და საბრუნავი—კაპიტალის ფულად ფორმას შეადგენდა; იგი ფულს ხარჯავს როგორც ყიდვის ანუ გადახდის საშუალებას შრომის საშუალებებსა და წარმოების მასალებზე. ამის გარეშე კაპიტალისტი აღარ წარმოადგენს მიმოქცევაში მყოფი ფულის მასის ამოსავალ პუნქტს. მაგრამ საერთოდ არსებობს მხოლოდ ორი ამოსავალი პუნქტი: კაპიტალისტი და მუშა. ყოველი კატეგორიის მესამე პირებმა ფული ამ ორი კლასისაგან უნდა მიიღონ რაიმე სამსახურისათვის, ანდა ისინი, რამდენადაც სამაგიერო სამსახურის გაუწევლად იღებენ ფულს, თანამფლობელნი არიან ზედმეტი ღირებულებისა რენტის, სარგებლისა და სხვ. ფორმით. იმ გარემოებას, რომ ზედმეტი ღირებულება არ რჩება მთლიანად მრეწველი კაპიტალისტის ჯიბეში და რომ იგი მან სხვა პირებს უნდა გაუნაწილოს, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ჩვენ მიერ განსახილველ საკითხთან. საკითხი აქ ისაა, თუ როგორ გადააქცევს კაპიტალისტი თავის ზედმეტ ღირებულებას ფულად, და

ბრა ის, თუ როგორ ნაწილდება შემდგომ აქედან აღებული ფული. მაშასადამე, ჩვენს შემთხვევაში კაპიტალისტი ჯერ კიდევ ზედმეტი ღირებულების ერთადერთ მფლობელად უნდა მივიჩნიოთ. ხოლო რაც შეეხება მუშას, — უკვე ითქვა, რომ იგი მხოლოდ მეორადი ამოსავალი პუნქტია, ხოლო კაპიტალისტი — პირველადი ამოსავალი პუნქტი იმ ფულისა, რომელიც მუშამ მიმოქცევაში გადაისროლა. ფული, რომელიც უწინ ავანსებული იყო როგორც ცვალებადი კაპიტალი, უკვე თავის მეორე მიმოქცევას ასრულებს, როდესაც მას მუშა საარსებო საშუალებათა ფასის გადასახდელად ხარჯავს.

ანრიგად, კაპიტალისტთა კლასი ფულის მიმოქცევის ერთადერთ ამოსავალ პუნქტად რჩება. თუ მას წარმოების საშუალებათა გადასახდელად 400 გირვ. სტერლინგი სჭირდება, ხოლო სამუშაო ძალის ჯასასტუმრებლად 100 გირვ. სტერლინგი, იგი მიმოქცევაში გადაისვრის 500 გირვ. სტერლინგს. მაგრამ პროდუქტში მოქცეული ზედმეტი ღირებულება, როცა ზედმეტი ღირებულების ნორმა 100%-ია, ტოლია 100 გირვ. სტერლინგ ღირებულებას. რანაირად შეუძლია კაპიტალისტთა კლასს მუდამ ჯამოჭრილდეს მიმოქცევიდან 600 გირვ. სტერლინგი, თუ იგი მასში მუდამ მხოლოდ 500 გირვ. სტერლინგს გადასვრის? ამაჯრისგან არაფერი იქნება. კაპიტალისტთა მთელ კლასს არ შეუძლია გამოიტანოს მიმოქცეიდან რაიმე, რაც უწინ არ ყოფილა მასში გადასროლილი.

ამ ჩვენ მსჯველობის გარეშე ვტოვებთ იმ გარემოებას, რომ 400 გირვ. სტერლინგი ფულადი თანხა, შეიძლება, თუ ათგზის გადაბრუნებას აქვს ადგილი — საკმარისი იყოს 4 000 გირვ. სტერლინგი ღირებულების წარმოების საშუალებათა და 1 000 გირვ. სტერლინგი ღირებულების ბრუნვის მიმოქცევისათვის, ხოლო დანარჩენი 100 გირვ. სტერლინგი ასევე საკმარისი იყოს 1 000 გირვ. სტერლინგი ზედმეტი ღირებულების მიმოქცევისთვის. ფულადი თანხის ასეთი შეფარდება საქონელთა ღირებულებასთან, რომელიც ამ თანხის მეოხებით მიმოიქცევა, სრულიადაც არ ცვლის საქმეს. პრობლემა იგივე რჩება. ერთი და იგივე მონეტა რამდენჯერმე რომ არ შემობრუნდებოდეს, მაშინ საჭირო იქნებოდა კაპიტალის სახით 5 000 გირვ. სტერლინგის გადასროლა მიმოქცევაში, ხოლო 1 000 გირვ. სტერლინგი საჭირო იქნებოდა ზედმეტი ღირებულების ფულად გადაქცევისათვის. იბადება კითხვა: საიდან მოდის ეს უკანასკნელი ფული, 1 000 გირვ. სტერლინგი იქნება იგი თუ 100 გირვ. სტერლინგი? ყოველ შემთხვევაში იგი წარმოადგენს ნამეტს მიმოქცევაში გადასროლილ ფულად კაპიტალთან შედარებით.

ნამდვილად კი, რაგინდ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ეს ერთი შეხედვით, თვით კაპიტალისტთა კლასი გადაისვრის მიმოქცევაში იმ ფულს, რომელიც საქონელში მოქცეული ზედმეტი ღირებულების რეალიზაციას ემსახურება. მაგრამ nota bene: იგი ამას გადაისვრის მიმოქცევაში არა როგორც ავანსებულ ფულს, მაშასადამე, არა როგორც კაპიტალს. იგი ხარჯავს მას როგორც ყიდვის საშუალებას თავისი ინდივიდუალური მოხმარებისათვის. მაშასადამე, ეს ფული არაა კაპიტალისტთა კლასის მიერ ავანსად გაღებული, თუმცა ეს კლასი ამ ფულის მიმოქცევის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს.

ავიღოთ ცალკეული კაპიტალისტი, რომელიც თავის საქმეს იწყებს, მაგალითად, ფერმერი. პირველი წლის განმავლობაში იგი ავანსად გაიღებს, ვთქვათ, 5 000 გირვ. სტერლინგ ფულად კაპიტალს წარმოების საშუალებებისა (4 000 გირვ. სტერლ.) და სამუშაო ძალის (1 000 გირვ. სტერლ.) ფასის გადასახდელად. ზედმეტი ღირებულების ნორმა, ვთქვათ, არის 100%, ფერმერის მიერ მითვისებული ზედმეტი ღირებულება = 1 000 გირვ. სტერლინგს. ზემოაღნიშნული 5 000 გირვ. სტერლინგი შეიცავს მთელ იმ ფულს, რასაც ფერმერი გაიღებს ავანსად ფულადი კაპიტალის სახით. მაგრამ ადამიანმა უნდა იცხოვროს, ფერმერი კი წლის ბოლომდე არავითარ ფულს არ იღებს. მისი მოხმარება უდრის, ვთქვათ, 1 000 გირვ. სტერლინგს. ეს ფული მას უნდა ჰქონდეს. თუმცა იგი აშბობს, ეს 1 000 გირვ. სტერლინგი ჩემთვის უნდა გავიღო წლის განმავლობაში ავანსადო, მაგრამ ეს დაავანსება— რასაც აქ მარტო სუბიექტური მნიშვნელობა აქვს — მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პირველ წელიწადს მან თავისი პირადი მოხმარება თავის ჯიბიდან უნდა დაფაროს და არა თავისი მუშების მუქთი წარმოებიდან. იგი ამ ფულს არ გაიღებს ავანსად როგორც კაპიტალს. იგი მას ხარჯავს, იხდის იმ საარსებო საშუალებების ეკვივალენტად, რომლებსაც მოიხმარს. ამ ღირებულებას იგი ხარჯავს ფულის სახით, მიმოქცევაში გადაისვრის და იქიდან საქონელღირებულებათა სახით გამოაქვს. ეს საქონელღირებულებანი მან მოიხმარა. მაშასადამე, მისი ყოველგვარი ურთიერთობა მათს ღირებულებასთან შეწყვეტილია. ფული, რომლითაც მან ეს ღირებულება გადაიხადა, არსებობს როგორც მიმოქცევაში მყოფი ფულის ელემენტი. მაგრამ ამ ფულის ღირებულება პროდუქტების სახით მან გამოაცალა მიმოქცევას და პროდუქტებთან ერთად, რომლებშიაც ეს ღირებულება არსებობდა, მათი ღირებულებაც მოსპობილია. იგი სულ გათავებულია. მაგრამ, აი, წლის ბოლოს ფერმერი მიმოქცევაში გადაისვრის 6 000 გირვ. სტერლინგ საქონელღირებულებას და ყიდის მას. ამით მას უკან უბრუნდება:

1) მის მიერ ავანსებული 5 000 გირვ. სტერლინგი ფულადი კაპიტალი; 2) ფულად ქცეული ზედმეტი ღირებულება 1 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. მან ავანსად გაიღო 5 000 გირვ. სტერლინგი როგორც კაპიტალი, მიმოქცევაში გადაისროლა იგი, და ახლა მიმოქცევიდან გამოაქვს 6 000 გირვ. სტერლინგი: 5 000 გირვ. სტერლინგი — კაპიტალის სანაცვლოდ და 1 000 გირვ. სტერლინგი — ზედმეტი ღირებულება. უკანასკნელი 1 000 გირვ. სტერლინგი ფულად იქცა იმ ფულის საშუალებით, რომელიც თვით მან — არა როგორც კაპიტალისტმა, არამედ როგორც მომამარებელმა — გადაისროლა მიმოქცევაში, და ავანსად კი არ გაიღო, არამედ დახარჯა. იგი ახლა მას უკან უბრუნდება როგორც მის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების ფულადი ფორმა. ამიერიდან ეს ოპერაცია მეორდება ყოველწლიურად. მაგრამ მეორე წლიდან დაწყებული ის 1 000 გირვ. სტერლინგი, რასაც იგი პირადად ხარჯავს, წარმოადგენს მუდამ მის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების გარდაქმნილ ფორმას, ფულად ფორმას. ფერმერი ყოველწლიურად ხარჯავს ამ თანხას და ეს უკანასკნელი ასევე ყოველწლიურად უკან უბრუნდება მას.

მისი კაპიტალი რომ უფრო ხშირად გადაბრუნებულიყო წელიწადში, ამით საქმე სრულიად არ შეიცვლებოდა, მაგრამ შეიცვლებოდა, რასაკვირველია, დროის ხანგრძლივობა და, მაშასადამე, იმ თანხის ოდენობაც, რომელიც კაპიტალისტს მის მიერ ავანსებულ ფულად კაპიტალზე ზედმეტად უნდა გადაესროლა მიმოქცევაში თავისი ინდივიდუალური მოხმარებისათვის.

ამ ფულს კაპიტალისტი მიმოქცევაში გადაისვრის არა კაპიტალის სახით. მაგრამ კაპიტალისტს ხომ სწორედ ის ახასიათებს, რომ ზედმეტი ღირებულების უკან დაბრუნებამდე მას შეუძლია იმ საშუალებებით იარსებოს, რომლებიც მას გააჩნია.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობდით, რომ ფულადი თანხა, რასაც კაპიტალისტი მიმოქცევაში გადაისვრის მისი კაპიტალის პირველ უკუმოდინებამდე თავისი ინდივიდუალური მოხმარების დასაფარავად, სწორედ უდრის მის მიერ წარმოებულ და, ამიტომ, ფულად გადაქცეულ ზედმეტ ღირებულებას. ცხადია, ასეთი ვარაუდი ცალკეულ კაპიტალისტის მიმართ ნებისმიერია. მაგრამ, რაკი ჩვენ მარტივ კვლავწარმოებას ვგულისხმობთ, იგი სწორი უნდა იყოს კაპიტალისტთა მთელი კლასის მიმართ. ის მხოლოდ იმას გამოთქვამს, რასაც ეს უკანასკნელი ვარაუდი, სასელდობრ, რომ მთელი ზედმეტი ღირებულება — და მხოლოდ იგი — მოიხმარება არამწარმოებლურად, მაშასადამე,

თავდაპირველი კაპიტალის უმცირესი ნაწილიც კი არ იხარჯება არამწარმოებლურად.

ზემოთ ნაგულისხმევი იყო, რომ ძვირფას ლითონთა მთელი წარმოება (=500 გირვ. სტერლ.) საკმარისია მხოლოდ იმისათვის, რომ ფულის გაცვეთა აანაზღაუროს.

ოქროს მწარმოებელი კაპიტალისტები ოქროთი იღებენ მთელ თავიანთ პროდუქტს, როგორც მის იმ ნაწილს, რომელიც მუდმივ დაცვალებად კაპიტალს ანაზღაურებს, ისე იმ ნაწილსაც, რომელიც ზედმეტი ღირებულებისგან შედგება. მაშასადამე, საზოგადოებრივი ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილი შედგება ოქროსაგან და არა ისეთი პროდუქტისაგან, რომელიც მხოლოდ მიმოქცევის პროცესში იქცევა ოქროდ. ეს ნაწილი იმთავითვე ოქროსაგან შედგება და მიმოქცევაში გადაისროლება, რათა იქიდან პროდუქტები გამოიტანოს. იგივე ითქმის ამ შემთხვევაში ხელფასზე, ცვალებად კაპიტალზე და ავანსებული მუდმივი კაპიტალის ანაზღაურებაზე. მაშასადამე, თუ კაპიტალისტთა კლასის ერთი ნაწილი მიმოქცევაში გადაისვრის საქონლურ ღირებულებას, რომელიც უფრო დიდია (ზედმეტი ღირებულების ოდენობით), ვიდრე მათ მიერ ავანსებული ფულადი კაპიტალი, სამაგიეროდ კაპიტალისტთა მეორე ნაწილი მიმოქცევაში გადაისვრის ფულად ღირებულებას, რომელიც უფრო დიდია (ზედმეტი ღირებულების ოდენობით), ვიდრე საქონლური ღირებულება, რომელიც მათ მუდამ გამოაქვთ მიმოქცეკიდან ოქროს საწარმოებლად. თუ კაპიტალისტთა ერთ ნაწილს მუდამ მეტი ფული გამოაქვს მიმოქცევიდან, ვიდრე შეაქვს მასში, სამაგიეროდ კაპიტალისტთა იმ ნაწილს, რომელიც ოქროს აწარმოებს, მუდამ მეტი ფული შეაქვს მიმოქცევაში, ვიდრე გამოაქვს იქიდან წარმოების საშუალებათა სახით.

თუმცა ამ 500 გირვ. სტერლინგი ღირებულების ოქრო-პროდუქტის ნაწილი ოქროს მწარმოებელთა ზედმეტ ღირებულებას შეადგენს, მაგრამ მთელი ჯამი მაინც მხოლოდ იმ ფულს ანაზღაურებლადაა განკუთვნილი, რომელიც აუცილებელია საქონელმიმოქცევისათვის; ამასთან საკუთრივ სულ ერთია, რამდენი დასჭირდება ამ ჯამიდან საქონელთა ზედმეტი ღირებულების ფულად გარდაქმნას და რამდენი— მათი ღირებულების სხვა შემადგენელი ნაწილების ფულად გარდაქმნას.

საქმეს სრულიად არ შეცვლის ოქროს წარმოების მოცემული ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში გადატანა. საზოგადოებრივი სამუშაო ძალისა და საზოგადოებრივ წარმოების საშუალებათა ნაწილი *A* ქვეყანაში

გარდაქმნილია პროდუქტად, მაგალითად, 500 გირვ. სტერლინგი ღირებულების ტილოდ, რომელიც *B* ქვეყანაში გაიზიდება ოქროს საყიდლად. *A* ქვეყანაში ამგვარად გამოყენებული მწარმოებლური კაპიტალი ისევე არ გადაისვრის საქონელს, — რომელიც დაპირისპირებულია ფულისადმი, — *A*-ს ბაზარზე, როგორც არ გადაისროდა მას პირდაპირ ოქროს წარმოებაში რომ ყოფილიყო გამოყენებული. ეს *A*-ს პროდუქტი გამოისახება 500 გირვ. სტერლ. ოქროში და შედის *A* ქვეყნის მიმოქცევაში მხოლოდ როგორც ფული. საზოგადოებრივი ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რასაც ეს პროდუქტი შეიცავს, არსებობს უშუალოდ ფულის სახით და *A* ქვეყნისათვის იგი არასოდეს არ არსებობს სხვანაირად, თუ არა ფულის სახით. თუმცა ოქროს მწარმოებელი კაპიტალისტებისათვის პროდუქტის მხოლოდ ერთი ნაწილი წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას, ხოლო მეორე ნაწილი კაპიტალს ანაზღაურებს, მაგრამ საკითხს: ამ ოქროს რა რაოდენობა ანაზღაურებს — თუ განზე დავტოვებთ საბრუნავ მუდმივ კაპიტალს — ცვალებად კაპიტალს და რა რაოდენობა წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას, — ამ საკითხს წყვეტს მაოლოდ და მხოლოდ ის სათანადო შეფარდება, რა შეფარდებაშიც იყოფება ხელფასი და ზედმეტი ღირებულება მიმოქცევაში ნყოფ საქონელთა ღირებულებასთან. ნაწილი, რომელიც ზედმეტ ღირებულებას შეადგენს, ნაწილდება კაპიტალისტთა კლასის სხვადასხვა წევრებს შორის. თუმცა ღირებულების ამ ნაწილს ისინი მუდამ ხარჯავენ ინდივიდუალური მოხმარებისათვის და ხელახლა ღებულობენ ახალი პროდუქტის გაყიდვის გზით, — სწორედ ეს ყიდვა-გაყიდვა იწვევს იმ ფულის მიმოქცევას მათ შორის, რომელიც აუცილებელია ზედმეტი ღირებულების ფულად გადაქცევისთვის, — მაგრამ საზოგადოებრივი ზედმეტი ღირებულების განსაზღვრული ნაწილი, თუმცა ცვალებადი რაოდენობით, მაინც იმყოფება ფულის სახით კაპიტალისტთა ჯიბეში, სწორედ ისე, როგორც ხელფასის ნაწილი, ყოველ შეგთხვევაში კვირის რამდენიმე დღის განმავლობაში, მუშის ჯიბეში იმყოფება ფულის ფორმით. და ეს ნაწილი არაა შემოფარგლული ფულადი პროდუქტის იმ ნაწილით, რომელიც თავდაპირველად ოქროს მწარმოებელ კაპიტალისტთა ზედმეტ ღირებულებას შეადგენდა; როგორც ნათქვამი იყო, იგი შემოფარგლულია იმ პროპორციით, რომლის მიხედვით ზემოაღნიშნული 500 გირვ. სტერლინგის პროდუქტი ნაწილდება საერთოდ კაპიტალისტებსა და მუშებს შორის და რომლის მიხედვით სამიმოქცევოდ განკუთვნილი საქონელთა მარაგი ზედმეტი ღირებულებისა და ღირებულების სხვა ნაწილებისაგან შედგება.

მაგრამ ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც არსებობს არა სხვა საქონელთა სახით, არამედ ფულის სახით ამ სხვა საქონელთა გვერდით, მხოლოდ იმდენად შედგება ყოველწლიურად წარმოებული ოქროს ნაწილისაგან, რამდენადაც ოქროს წლიური წარმოების ნაწილი მიმოქცევა ზედმეტი ღირებულების სარეალიზაციოდ. ფულის მეორე ნაწილი, რომელიც განუწყვეტლივ ცვალებადი ოდენობით კაპიტალისტთა კლასის ხელში იმყოფება როგორც მისი ზედმეტი ღირებულების ფულადი ფორმა, არ შეადგენს წლიურად წარმოებული ოქროს ელემენტს და იგი ამა თუ იმ ქვეყანაში წინათ დაგროვილი ფულადი მასის ნაწილია.

ჩვენი ნაგულისხმევის თანახმად, ოქროს წლიური წარმოება 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით სწორედ საკმარისია მხოლოდ იმისათვის, რომ ფულის ყოველწლიური გაცვეთა აანაზღაუროს. ამიტომ, თუ ჩვენ მხედველობაში ვიქონიებთ მხოლოდ ამ 500 გირვ. სტერლინგს და ყურადღებას არ მივაქცევთ წლიურად წარმოებულ საქონელთა მასის იმ ნაწილს, რომლის მიმოქცევას წინათ დაგროვილი ფული ემსახურება, — საქონლურ ფორმაში წარმოებული ზედმეტი ღირებულება უკვე იმიტომ პოულობს ფულს მიმოქცევაში თავისი თავის ამ ფულად გარდასაქმნელად, რომ მეორე მხარეზე ყოველწლიურად იწარმოება ზედმეტი ღირებულება ოქროს ფორმით, ასევე ითქმის 500 გირვ. სტერლინგის ოქრო-პროდუქტის სხვა ნაწილების შესახებ, რომლებიც ავანსებულ ფულად კაპიტალს ანაზღაურებენ.

ჩვენ აქ ორი რამ უნდა შევნიშნოთ.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, ჯერ-ერთი: კაპიტალისტების მიერ ფულის სახით დახარჯული ზედმეტი ღირებულება, ისე როგორც მათ მიერ ფულის სახით ავანსებული ცვალებადი და სხვა მწარმოებლური კაპიტალი სინამდვილეში მუშების, სახელდობრ ოქროს წარმოებაში დასაქმებული მუშების, პროდუქტია. ისინი ახლად აწარმოებენ როგორც ოქრო-პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც მათ «ავანსად ეძლევა» ხელფასის სახით, ისე ოქრო-პროდუქტის იმ ნაწილსაც, რომელიც უშუალოდ ოქროს მწარმოებელ კაპიტალისტთა ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს. ბოლოს, რაც შეეხება ოქრო-პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც მხოლოდ ანაზღაურებს მის საწარმოებლად ავანსებულ მუდმივ კაპიტალღირებულებას, — იგი ხელახლა გვეელინება ფულად ფორმაში (საერთოდ პროდუქტში) მხოლოდ მუშების წლიური შრომის მეოხებით. თავდაპირველად, წარმოების დაწყებისას, კაპიტალისტმა ეს ღირებულება ისეთი ფულის სახით გაიღო, რომელიც ახლად კი არ იყო წარმოებული, არამედ იმ ფულადი მასის ნაწილს

შეადგენდა, რომელიც საზოგადოებაში მიმოიქცევა. პირიქით, რამდენადაც ეს ღირებულება ახალი პროდუქტით, დამატებითი ოქროთი, ანაზღაურდება, იგი უკვე მუშის წლიურ პროდუქტს წარმოადგენს. კაპიტალისტის მხრივ ავანსად გაღება აქაც გვეელინება მხოლოდ როგორც ფორმა, რომელიც იქიდან წარმოდგება, რომ მუშა არაა თავის წარმოების საშუალებათა მესაკუთრე და მას წარმოების დროს თავის გაპარგულებაში არ მოეპოვება სხვა მუშების მიერ წარმოებული საარსებო საშუალებანი.

მეორე: რაც შეეხება ფულის იმ მასას, რომელიც არსებობს ამ ყოველწლიური გაცვეთის ამნაზღაურებელი 500 გირვ. სტერლინგისაგან დამოუკიდებლად, ნაწილობრივ განძის ფორმით, ნაწილობრივ მიმოქცევაში მყოფი ფულის ფორმით, — მის მიმართ საქმე ისე უნდა იყოს, — ე. ი. უნდა ყოფილიყო თავდაპირველად, — როგორც ეს ამ 500 გირვ. სტერლინგის მიმართ არის ყოველწლიურად. ამ პუნქტს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ ქვეგანყოფილების დასასრულს. მანამდე კი რამდენიმე სხვა შენიშვნა.

ბრუნვის განხილვისას ჩვენ დავინახეთ, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, ბრუნვის პერიოდების სიგრძის ცვლილებასთან ერთად იცვლება ფულადი კაპიტალის მასაც, რომელიც აუცილებელია წარმოების იმავე მასშტაბით წარმართვისათვის. მაშასადამე, ფულის მიმოქცევის ელასტიკურობა საკმაოდ დიდი უნდა იყოს, რათა იგი შეეგუოს გადაბრუნების პერიოდების გაგრძელებისა და შემოკლების ცვალებადობას.

ზემდეგ, თუ ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ სხვა პირობები, მათ შორის სამუშაო დღის ხანგრძლიობა, ინტენსივობა და ნაყოფიერება უცვლელია. იცვლება მხოლოდ ახლად შექმნილი ღირებულების განაწილება ხელფასსა და ზედმეტ ღირებულებას შორის, ანუ რომ ან ხელფასი იზრდება და ზედმეტი ღირებულება მცირდება, ან პირიქით, — ეს არავითარ გავლენას არ მოახდენს მიმოქცევაში მყოფი ფულის მასაზე. ეს ცვლილება შეიძლება მოხდეს ისე, რომ მიმოქცევაში მყოფი ფულის მასის არავითარ გადიდებას ან შემცირებას არ ჰქონდეს ადგილი. განვიხილოთ განსაკუთრებით ის შემთხვევა, როდესაც ხელფასი საყოველთაოდ მაღლა იწევს და ამიტომ — ზემოთ ნაგულისხმევ პირობებში — ზედმეტი ღირებულების ნორმა საყოველთაოდ ეცემა; ამასთან, ასევე ნაგულისხმევის თანახმად, ადგილი არა აქვს არავითარ ცვლილებას მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასის

ღირებულებაში. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, იზრდება ფულადი კაპიტალი, რომელიც ავანსად უნდა გაიღონ როგორც ცვალებადი კაპიტალი, მაშასადამე, იზრდება ფულის მასაც, რომელიც ამ ფუნქციას ემსახურება. მაგრამ სწორედ იმდენად, რამდენადაც ცვალებადი კაპიტალის ფუნქციისათვის საჭირო ფულის მასა იზრდება, — კლებულობს ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე, მისი რეალიზაციისათვის საჭირო ფულის მასაც. საქონლური ღირებულების რეალიზაციისათვის საჭირო ფულის მასაზე, ისე როგორც თვით ამ საქონლურ ღირებულებაზე, ეს არავითარ გავლენას არ ახდენს. საქონლის წარმოების ხარჯების ფასი მაღლა იწევს ცალკეული კაპიტალისტისათვის, მაგრამ საქონლის საზოგადოებრივი წარმოების ფასი უცვლელი რჩება. აქ იცვლება — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ღირებულების მუდმივ ნაწილს — მხოლოდ ის პროპორცია, რომლის მიხედვით საქონელთა წარმოების ფასი ხელფასად და მოგებად ნაწილდება.

მაგრამ, შეიძლება გვითხრან, უფრო დიდი ცვალებადი კაპიტალის დახარჯვა (რასაკვირველია, იგულისხმება, რომ ფულის ღირებულება უცვლელია) ნიშნავს იმას, რომ ფულად საშუალებათა უფრო დიდი რაოდენობა მუშების ხელში გადადისო. ამის შედეგი იქნება მუშების მხრივ საქონლის მოთხოვნის გადიდება. შემდგომი შედეგი იქნება საქონელთა ფასის აწევა. — ანდა შეიძლება გვითხრან: თუ ხელფასი აიწევს, კაპიტალისტებიც თავიანთ საქონელთა ფასებს ასწევენო. ორივე შემთხვევაში ხელფასის საყოველთაო აწევა იწვევს საქონელთა ფასების აწევას. ამიტომ საქონელმიმოქცევისათვის საჭირო იქნება ფულის უფრო დიდი მასა, სულ ერთია, რითაც არ უნდა აიხსნას ფასების აწევა.

პასუხი პირველ ძოსაზრებაზე: ხელფასის აწევის გამო იზრდება განსაკუთრებით აუცილებელ საარსებო საშუალებათა მოთხოვნა მუშების მხრივ. გაცილებით უფრო ნაკლებად იზრდება მათი მოთხოვნა ფუფუნების საგნებზე ან ისეთ ნაწარმზე, რომელიც წინათ არ ფიქრობდა მათი მოხმარების სფეროში. აუცილებელ საარსებო საშუალებებზე უეცარი და დიდი მასშტაბით გაძლიერებული მოთხოვნა აუცილებლად დაუყოვნებლივ გამოიწვევს მათი ფასის აწევას. ამის შედეგი იქნება ის, რომ საზოგადოებრივი კაპიტალის უფრო დიდი ნაწილი გამოკენებული იქნება აუცილებელ საარსებო საშუალებათა საწარმოებლად, უფრო პატარა ნაწილი — ფუფუნების საგნების საწარმოებლად, რადგან უკანასკნელთა ფასი ეცემა ზედმეტი ღირებულების შემცირებისა და, მაშასადამე, ფუფუნების საგნებზე კაპიტალისტების მოთხოვნის შემცირების გამო. პირიქით, რამდენადაც მუშები თვითონ ყიდულობენ ფუფუნების საგნებს, მათი ხელფასის აწევა — ამ ფარგლებში — გავლე-

ნას არ მოახდენს საარსებო საშუალებათა ფასის აწევაზე, არამედ შეცვლის მხოლოდ ფუფუნების საგანთა მყიდველების შემადგენლობას. ახლა მუშაობა მოხმარებაში ფუფუნების უფრო მეტი საგნები შედის, ვიდრე აქამდე შედიოდა, ხოლო კაპიტალისტთა მოხმარებაში—შედარებით უფრო ნაკლები. Voila tout [ესაა და ეს.] რამდენიმე ხნის რყევის შემდეგ მიმოქცევაში აღმოჩნდება იმავე ღირებულების საქონელთა მასა, როგორც უწინ. — რაც შეეხება ხანმოკლე რყევას, მას მხოლოდ ის შედეგი ექნება, რომ დაუბანდებელი ფულადი კაპიტალი, რომელიც მანამდე გამოყენებას სპეკულაციურ საბირჟო საქმიანობაში ან უცხოეთში ეძებდა, ახლა მიმოქცევაში შევა ქვეყნის შიგნით.

პასუხი მეორე მოსაზრებაზე: კაპიტალისტურ მწარმოებელთა ნებასურვილზე რომ იყოს დამოკიდებული მათი საქონლის ფასების აწევა, ამას ისინი ხელფასის აუწევლადაც შეძლებდნენ და იზამდნენ კიდეც. ხელფასი არასოდეს არ აიწევდა საქონელთა ფასების დაცემისას. კაპიტალისტთა კლასი არასოდეს არ გაუწევდა ტრედუნიონებს წინააღმდეგობას, რადგან მას ყოველთვის და ყველა გარემოებაში შეეძლებოდა გაეკეთებინა ის, რასაც ახლა გამონაკლისის სახით, განსაზღვრულ, განსაკუთრებულ, ასე ვთქვათ, ადგილობრივ პირობებში აკეთებს ნამდვილად. საველდობრ: ესარგებლნა ხელფასის ყოველი აწევით იმისათვის, რომ უფრო მეტად აეწია საქონლის ფასები, მაშასადამე, უფრო დიდი მოგება ჩაეჯიბა.

იმის მტკიცება, რომ კაპიტალისტებს შეუძლიათ ფუფუნების საგნების ფასის აწევა, რადგან მოთხოვნა ამ საგნების მიმართ მცირდებაო (იმის შედეგად, რომ შემცირდა მოთხოვნა კაპიტალისტების მხრივ, რომელთაც ამ საგნებისათვის განკუთვნილი ყიდვის საშუალებები შეუმცირდათ), მოთხოვნისა და მიწოდების კანონის სრულიად ორიგინალური გამოყენება იქნებოდა. რამდენადაც ადგილი აქვს ფუფუნების საგანთა მყიდველების არა უბრალო შენაცვლებას, კაპიტალისტების შენაცვლებას მუშებით, — ხოლო თუ ამ შენაცვლებას ადგილი აქვს, ბაშინ მუშების მარივ მოთხოვნა არ იწევევს საარსებო საშუალებათა ფასის აწევას, იმიტომ რომ მუშები აუცილებელ საარსებო საშუალებებზე ვეღარ დახარჯავენ დამატებითი ხელფასის იმ ნაწილს, რომელსაც ფუფუნების საგნებზე ხარჯავენ, — ამდენად ფუფუნების საგნების ფასი ეცემა მოთხოვნის შემცირების გამო. ამის შედეგი იქნება კაპიტალის ამოღება ფუფუნების საგანთა წარმოებიდან მანამდე, ვიდრე მათი მიწოდება არ შემცირდება იმ ოდენობამდე, რომელიც შეესაბამება მათ შეცვლილ როლს საზოგადოებრივ წარმოების პროცესში. წარმოების ასეთ შემცირებასთან ერთად მათი ფასები, თუ ღირებუ-

ლება უცვლელი რჩება, ისევ მაღლა აიწევს თავის ნორმალურ დონემდე. მანამდე, ვიდრე ეს შეკვეცა, ანუ გაწონასწორების პროცესი მიმდინარეობს, საარსებო საშუალებათა წარმოება, მათი ფასების აწევისას, მუდამ მიიზიდავს იმდენსავე დამატებით კაპიტალს, რამდენიც სხვა დარგებს მოსცილდება. ეს გაგრძელდება მანამდე, ვიდრე მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. მაშინ ისევ მყარდება წონასწორობა, და მთელი პროცესის ბოლო ის არის, რომ საზოგადოებრივი კაპიტალი, მაშასადამე, ფულადი კაპიტალიც, შეცვლილი პროპორციით განაწილდება აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოებასა და ფუფუნების საგნების წარმოებას შორის.

მთელი ეს საწინააღმდეგო შენიშვნა კაპიტალისტებისა და მათი სიკოფანტ-ეკონომისტების ფუჭი გასროლაა.

ასეთი ფუჭი გასროლისათვის საბაბს იძლევა სამგვარი ფაქტი:

1) ფულის მიმოქცევის საყოველთაო კანონია, რომ თუ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა ფასების ჯამი მატულობს, — ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს საქონელთა წინანდელი ან გადიდებული მასისათვის, — სხვა პირობების უცვლელობისას მიმოქცევაში მყოფი ფულის მასაც იზრდება. და აი, შედეგს ურევენ მიზეზში. ხელფასი იზრდება აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასების აწევასთან ერთად (თუმცა იშვიათად იზრდება, ხოლო ფასების აწევის პროპორციულად იგი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იზრდება). მისი ზრდა საქონელთა ფასების აწევის შედეგია და არა მიზეზი.

2) ხელფასის ნაწილობრივი ან ადგილობრივი აწევის შემთხვევაში — ე. ი. როდესაც მის აწევას ადგილი აქვს მხოლოდ წარმოების ცალკეულ დარგებში — შეიძლება მის გამო მოხდეს ამ დარგების პროდუქტთა ფასების აწევა ადგილობრივ. მაგრამ ესეც კი მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, იმაზე, რომ ხელფასი ამ შემთხვევაში უზომოდ არ დაცემულა და ამიტომ, მოგების ნორმა უზომოდ არ ამაღლებულა, რომ ბაზარი ამ საქონელთათვის არ მცირდება ფასების აწევის გამო (მაშასადამე, მათი ფასების ასაწევად საჭირო არაა მათი მიწოდების წინასწარი შემცირება) და სხვ.

3) ხელფასის საყოველთაო აწევისას მაღლა იწევს წარმოებულ საქონელთა ფასი მრეწველობის იმ დარგებში, სადაც ცვალებადი კაპიტალი სჭარბობს, ხოლო სამაგიეროდ ეცემა იმ დარგებში, სადაც მუდმივი — შესაბამისად — ძირითადი კაპიტალი სჭარბობს.

მარტივი საქონელმიმოქცევის გამოკვლევისას (წიგნი I, თავი III, 2) აღმოჩნდა, რომ თუმცა საქონელთა ყოველი განსაზღვრული

რაოდენობის მიმოქცევის პროცესში ფულადი ფორმა მხოლოდ სწრაფწარმავალ მოვლენას წარმოადგენს, მაგრამ მაინც ფული, რომელიც საქონლის მეტამორფოზის დროს ერთის ხელში ქრება, აუცილებლად გადადის მეორის ხელში; მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა ადგილი აქვს საქონელთა არა მარტო ერთმანეთზე გაცვლას ყველა მიმართულებით ან მათ ურთიერთშენაცვლებას, არამედ, გარდა ამისა, ამ შენაცვლებას მოსაშუალეობს და თან სდევს ფულის დალექვა ყველა მიმართულებით. «ერთი საქონლის მეორე საქონლით შეცვლის გამო მესამე პირს ხელში შერჩება ფულადი საქონელი. მიმოქცევა განუწყვეტლივ იწურავს ფულის ოფლს» (წიგნი I, თავი III, 2). [კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. I., ქართ. გამოც. 1954 წ., გვ. 146.] სრულიად იდენტური ფაქტი კაპიტალისტური საქონელწარმოების საფუძველზე ისე გამოისახება, რომ კაპიტალის ნაწილი მუდამ არსებობს ფულადი კაპიტალის ფორმით, ხოლო ზედმეტი ღირებულების ნაწილი ასევე მუდამ იმყოფება ფულადი ფორმით მის მფლობელთა ხელში.

თუ ამას მხედველობის გარეშე დავტოვებთ, ფულის წრებრუნვა, — ე. ი. ფულის უკუდაბრუნება მის ამოსავალ პუნქტთან, — რამდენადაც იგი კაპიტალის გადაბრუნებაში მომენტს შეადგენს, — ფულის მიმოქცევისადმი[33] სრულიად განსხვავებული, დაპირისპირებული მოვლენაა, რადგან ეს უკანასკნელი გამოსახავს ფულის მუდმივ დაშორებას ამოსავალი პუნქტიდან მთელ რიგ ხელში

[33] თუმცა ფიზიოკრატები კიდევ ურევენ ერთმანეთში ამ ორ მოვლენას, მაგრამ მათ მაინც პირველებმა მიაქციეს ყურადღება ფულის უკუდაბრუნებას მის ამოსავალ პუნქტთან როგორც კაპიტალის მიმოქცევის არსებით ფორმას, როგორც მიმოქცევის ფორმას, რომელიც მოსაშუალეობს კვლავწარმოებას. «დააკვირდით «Tableau économique»-ს [«ეკონომიურ ცხრილს»] და დაინახავთ, რომ მწარმოებელი კლასი იძლევა ფულს, რომლითაც სხვა კლასები მისგან პროდუქტებს ყიდულობენ, და რომ ესენი მას ამ ფულს უკან უბრუნებენ, როდესაც შემდგომ წელში მასთან მოდიან და იმავე პროდუქტებს შეისყიდიან... მაშასადამე, თქვენ აქ არ ხედავთ არავითარ სხვა წრებრუნვას, გარდა იმ წრებრუნვისა, სადაც ადგილი აქვს დახარჯვას, რომელსაც მოსდევს კვლავწარმოება, და კვლავწარმოებას, რომელსაც მოსდევს დახარჯვა;—ამ წრებრუნვას გაივლის ფულის მიმოქცევა, სადაც ფული დანახარჯისა და კვლავწარმოების საზომს წარმოადგენს» (Quesnay: «Problèmes économiques», Daire-ში, «Physiocr.», I, გვ. 208, 209). — «კაპიტალების ამ მუდმივ დაავანსებას და მათს მუდმივ უკუდაბრუნებას უნდა ეწოდოს ფულის მიმოქცევა, ეს სასარგებლო და ნაყოფიერი მიმოქცევა, რომელიც აცხოველებს საზოგადოების ყოველგვარ შრომას, იცავს მოძრაობას და სიცოცხლეს პოლიტიკურ სხეულში და რომელიც სრულიად სამართლიანად შეიძლება შევადაროთ სისხლის მიმოქცევას ცხოველის სხეულში» (Turgot: «Réflexions etc.», Oeuvres, გამ. Daire, I, გვ. 45).

ვავლის გზით. (წიგნი I, თავი III). მაგრამ აჩქარებული ბრუნვა eo ipso [დაავისთავად] შეიცავს აჩქარებულ მიმოქცევას.

უწინარეს ყოვლისა, რაც შეეხება ცვალებად კაპიტალს: თუ, მაგალითად, 500 გირვ. სტერლინგი ფულადი კაპიტალი ცვალებადი კაპიტალის ფორმით ათჯერ გადაბრუნდება წლის განმავლობაში, ცხადია, რომ მიმოქცევადი ფულადი მასის ეს ნაწილი მოსაშუალეობს ათჯერ უფრო მეტ ღირებულების ჯამს = 5 000 გირვ. სტერლინგს მიმოაქცევს. იგი კაპიტალისტსა და მუშებს შორის წელიწადში ათჯერ მიმოიქცევა. წლის განმავლობაში მუშას ათჯერ ეძლევა სასყიდელი და თვითონაც ათჯერ გადაიხდის მიმოქცევადი ფულადი მასის იმავე ნაწილით. თუ წარმოების იმავე მასშტაბის არსებობისას ცვალებადი კაპიტალი მხოლოდ ერთხელ გადაბრუნდებოდა წელიწადში, მაშინ ადგილს ექნებოდა 5 000 გირვ. სტერლინგის მხოლოდ ერთგზის მიმოქცევას.

შემდეგ: ვთქვათ, საბრუნავი კაპიტალის მუდმივი ნაწილი = 1 000 გირვ. სტერლინგს. თუ კაპიტალი ათჯერ გადაბრუნდება, მაშინ კაპიტალისტი ათჯერ გაყიდის წელიწადში თავის საქონელს, მაშასადამე, ამ საქონლის ღირებულების მუდმივ საბრუნავ ნაწილსაც. მიმოქცევადი ფულადი მასის (= 1 000 გირვ. სტერლ.) ერთი და იგივე ნაწილი წელიწადში ათჯერ გადადის თავის მფლობელთა ხელიდან კაპიტალისტის ხელში. ათჯერ ხდება ამ ფულის გადანაცვლება ხელიდან ხელში. მეორე: კაპიტალისტი ათჯერ ყიდულობს წელიწადში წარმოების საშუალებებს; ეს კვლავ შეადგენს მიმოქცევის ათ აქტს, ფულის ათ გადანაცვლებას ერთი ხელიდან მეორე ხელში. 1000 გირვ. სტერლ. ფულის საშუალებით მრეწველი კაპიტალისტი 10 000 გირვ. სტერლინგი ღირებულების საქონელს ყიდის და შემდეგ ისევ ყიდულობს 10 000 გირვ. სტერლინგის საქონელს. 1 000 გირვ. სტერლინგის ოცჯერ მიმოქცევის გზით 20 000 გირვ. სტერლინგის საქონლის მარაგი მიმოიქცევა.

დასასრულ, აჩქარებული ბრუნვის დროს ფულის ის ნაწილიც უფრო ჩქარა მიმოიქცევა, რომელიც ზედმეტი ღირებულების რეალიზაციას ემსახურება.

მაგრამ თავის მხრივ ფულის უფრო სწრაფი მიმოქცევა არ გულისხმობს აუცილებლად კაპიტალის უფრო სწრაფ ბრუნვას, და მაშასადამე, ფულის უფრო სწრაფ ბრუნვასაც, ე. ი. არ გულისხმობს კვლავწარმოების პროცესის შემოკლებას და უფრო სწრაფ განახლებას.

ფულის უფრო სწრაფ მიმოქცევას ადგილი აქვს ყოველთვის, როდესაც ფულის იმავე რაოდენობით გარიგებათა უფრო დიდი რაოდენობა სრულდება. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს კაპიტალის კვლავწარმოების პერიოდების უცვლელობის პირობებშიც კი ფულის მიმოქცევის ტექნიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგად. შემდეგ: შეიძლება ადგილი ჰქონდეს გარიგებათა რიცხვის გადიდებას და მათში ფულის მიმოქცევა არ გამოსახავდეს ნამდვილ საქონელგაცვლას (საპირჟო გარიგებანი სხვაობაზე და სხვ.). მეორე მხრივ, შეიძლება ფულის მიმოქცევას სულაც არ ჰქონდეს ადგილი. მაგალითად, იქ, სადაც სოფლის მეურნე თვითონ არის მემამულე, ადგილი არა აქვს მიმოქცევას მოიჯარესა და მიწათმფლობელთა შორის. სადაც მრეწველი კაპიტალისტი თვითონ არის კაპიტალის მესაკუთრე, იქ ადგილი არა აქვს მიმოქცევას მრეწველ კაპიტალისტსა და კრედიტორს შორის.

•

რაც შეეხება ფულადი განძის თავდაპირველ შექმნას ამა თუ იმ ქვეყანაში და მის მითვისებას მცირეოდენთა მიერ, — საჭირო არაა აქ მას დაწვრილებით შევეხოთ.

კაპიტალისტური წარმოების წესი,—რომლის ბაზისს წარმოადგენს დაქირავებული შრომა, ისე როგორც მუშის გასტუმრება ფულით და საერთოდ ნატურალური გადასახდელის გარდაქმნა ფულად გადასახდელად, — შეიძლება უფრო ფართო მასშტაბით, ღრმად და სრულყოფილად განვითარდეს მხოლოდ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია ფულის საკმაო რაოდენობა მიმოქცევისათვის და ამით გაპირობებული განძის (სარეზერვო ფონდის და სხვ.) შესაქმნელად. ეს არის ისტორიული წანამძღვარი, თუმცა საქმე ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჯერ განძის საკმაო რაოდენობა იქმნება, ხოლო შემდეგ კაპიტალისტური წარმოება იწყება. არა, ეს უკანასკნელი ვითარდება მისი პირობების განვითარებასთან ერთად, და ერთ-ერთ ასეთ პირობას წარმოადგენს ძვირფას ლითონთა საკმაო მიწოდება. ამიტომ ძვირფას ლითონთა გაძლიერებული მოზიდვა, მე-16 საუკუნიდან დაწყებული, არსებით მომენტს შეადგენს კაპიტალისტური წარმოების განვითარების ისტორიაში. მაგრამ რამდენადაც საქმე შეეხება შემდგომი ფულადი მასალის აუცილებელ მიწოდებას კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველზე, აქ, ერთი მხრივ, ზედმეტი ღირებულება მიმოქცევაში გადაისროლება პროდუქტის სახით იმ ფულის გარეშე, რომელიც აუცილებელია ზედმეტი ღირებულების ფულად გადაქცევისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ზედმეტი ღირებულება გადაისროლება მიმოქცე-

ვაში ოქროს სახით ისე, რომ პროდუქტი წინასწარ არ არის ფულად გადაქცეული.

დამატებითი საქონელი, რომელიც ფულად უნდა გადაიქცეს ერთ მხარეზე, მისთვის აუცილებელ ფულად თანხას იმიტომ პოულობს, რომ მეორე მხარეზე, არა გაცვლის საშუალებით, არამედ თვით წარმოების მიერ, მიმოქცევაში გადაისროლება დამატებითი ოქრო (ან ვერცხლი). რომელიც საქონლად უნდა გადაიქცეს.

II. დაგროვება და გაფართოებული კვლავწარმოება

ცხადია, რომ რამდენადაც დაგროვება გაფართოებული მასშტაბით მიმდინარე კვლავწარმოების ფორმით ხდება, იგი ფულის მიმოქცევის თვალსაზრისით არავითარ ახალ პრობლემას არ წარმოადგენს.

უწინარეს ყოვლისა, რაც შეეხება დამატებით ფულად კაპიტალს, რომელიც საჭიროა მზარდი მწარმოებლური კაპიტალის მოქმედებისათვის, — მას იძლევა რეალიზებული ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც კაპიტალისტები მიმოქცევაში გადაისვრიან როგორც ფულად კაპიტალს და არა როგორც შემოსავლის ფულად ფორმას. ფული უკვე კაპიტალისტის ხელშია. მხოლოდ მისი გამოყენებაა სხვაგვარი.

მაგრამ დამატებითი მწარმოებლური კაპიტალის შედეგად, როგორც ამ კაპიტალის პროდუქტი, მიმოქცევაში გადაისროლება საქონლის დამატებითი მასა. საქონლის ამ დამატებით მასასთან ერთად მიმოქცევაში გადასროლილია მისი რეალიზაციისათვის საჭირო ფული, სახელდობრ იმდენად, რამდენადაც საქონელთა ამ მასის ღირებულება მისი წარმოების დროს მოხმარებული მწარმოებლური კაპიტალის ღირებულებას უდრის. სწორედ ფულის ეს დამატებითი მასა გაიღება ავანსად როგორც დამატებითი ფულადი კაპიტალი და ამიტომ იგი უკან უბრუნდება კაპიტალისტს მისი კაპიტალის გადაბრუნების მეოხებით. აქ კვლავ იგივე საკითხი წამოიჭრება, როგორც უწინ. საიდან მოდის დამატებითი ფული იმ დამატებითი ზედმეტი ღირებულების სარეალიზაციოდ, რომელიც ახლა საქონლის ფორმით არსებობს.

საერთო პასუხი კვლავ იგივეა. მიმოქცევაში მყოფი საქონელთა მასის ფასების ჯამი გადიდდა არა იმიტომ, რომ მოცემულ საქონელთა მასის ფასებმა აიწია, არამედ იმიტომ, რომ ახლა მიმოქცევაში მყოფი საქონელთა მასა წინათ მიმოქცევაში ყოფილ საქონელთა მასაზე უფრო დიდია, თანაც ეს სხვაობა ფასების დაწევით არ წონასწორდება. დამატებითი ფული, რაც აუცილებელია ამ უფრო დიდი ღირებულების

მქონე უფრო მეტ საქონელთა მასის მიმოქცევისათვის, უნდა მოპოვებულ იქნეს ან შიმოქცევაში მყოფი ფულადი მასის გაძლიერებული ეკონომიით, — სულ ერთია, გადასახდელთა ურთიერთი გაბათილების გზით იქნება ეს მიღწეული თუ სხვა საშუალებებით, რომელნიც ერთი და იმავე მონეტის ტრიალს დააჩქარებენ, — ანდა იმით, რომ ფული განძის ფორმიდან გადაიქცევა მიმოქცევაში მყოფი ფულის ფორმად. უკანასკნელი გულისხმობს არა მარტო იმას, რომ კაპიტალი, რომელიც უქმად იდო, მოქმედებას იწყებს როგორც ყიდვის ან გადახდის საშუალება; ან არა მარტო იმას, რომ უკვე სარეზერვო ფონდის სახით მოქმედი ფულადი კაპიტალი, როცა იგი თავის მფლობელისათვის სარეზერვო ფონდის ფუნქციას ასრულებს, აქტიურად მიმოიქცევა საზოგადოებისათვის (მაგალითად, მაშინ, როდესაც ბანკებში შეტანილია ანჯბრებად, რომლებიც მუდამ სესხად გაიცემა), მაშასადამე, ორგვარ ფუნქციას ასრულებს, — არამედ, იმასაც გულისხმობს, რომ ადგილი აქვს მონეტის სახით შეჩერებული სარეზერვო ფონდების ეკონომიას.

«იმისათვის, რომ ფულმა მუდმივად იდინოს მონეტის სახით, მონეტა მუდამ ფულის სახით უნდა ილექებოდეს. მონეტის მუდმივ ტრიალს განაპირობებს მისი მუდმივი შეჩერება მეტნაკლები რაოდენობით მონეტის სარეზერვო ფონდების სახით, რომელნიც ყველგან მიმოქცევის სფეროში წარმოიშვებიან და ამასთანავე ერთად განაპირობებენ ამ მიმოქცევას; ამ ფონდების წარმოქმნა, განაწილება, გაქრობა და კვლავ წარმოქმნა მუდამ იცვლება, მათი მყოფობა მუდამ ქრება, მათ გაქრობას მუდამ აქვს ადგილი. მონეტის ეს განუწყვეტელი გარდაქმნა ფულად და ფულისა მონეტად ადამ სმიტმა იმგვარად გამოხატა, რომ თვითეულ საქონელმფლობელს იმ განსაკუთრებულ საქონელთან ერთად, რომელსაც იგი ყიდის, მუდამ უნდა ჰქონდეს მარაგის სახით იმ საყოველთაო საქონლის განსაზღვრული რაოდენობა, რომლითაც იგი ყიდულობს. ჩვენ ვნახეთ, რომ მიმოქცევაში ს—ფ—ს მეორე წევრი ფ—ს ნაწილდება მთელ რიგ ყიდვის აქტებად, რომელთა შესრულებაც ერთბაშად კი არა, არამედ თანმიმდევრობით ხდება დროში, ასე რომ ფ-ის ერთი ნაწილი მონეტის სახით ტრიალებს, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი ისვენებს ფულის სახით. ფული აქ ნამდვილად მხოლოდ შეჩერებული მონეტაა, და მომოქცევაში მყოფი მონეტური მასის ცალკეული შემადგენელი ნაწილები მუდამ გვევლინებიან შენაცვლებით—ხან ერთი ფორმით, ხან მეორეთი, მაშასადამე, მიმოქცევის საშუალების ეს პირველი გარდაქმნა ფულად თვით ფულის ტრიალის მხოლოდ ტექნიკურ მომენტს გამოხატავს» (Karl Marx: «Zur Krilik der Politischen Oekonomie», 1859, გვ. 105, 106. [შეად.

კ. მ ა რ ქ ს ი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». ქართ. გამოც. 1953 წ., გვ. 163—164.] გამოთქმა «მონეტა» ფულისადმი დაპირისპირებით აქ იხმარება იმ ფულის აღსანიშნავად, რომელიც წინააღმდეგ მისი სხვა ფუნქციებისა, უბრალო მიმოქცევის საშუალების სახით მოქმედებს.

თუ ყველა ეს საშუალება არ კმარა, დამატებითი ოქროს წარმოებას უნდა ექნეს ადგილი, ანდა — რაც საბოლოოდ იმავეს ნიშნავს — დამატებითი პროდუქტის ნაწილი პირდაპირ ან არაპირდაპირ გაიცვლება ოქროზე, — ძვირფას ლითონთა მწარმოებელი ქვეყნების პროდუქტზე.

სამუშაო ძალისა და საზოგადოებრივ წარმოების საშუალებათა მთელი ჯამი, რაც ოქროს და ვერცხლის, როგორც მიმოქცევის ინსტრუმენტების, ყოველწლიურ წარმოებაზე იხარჯება, შეადგენს კაპიტალისტური და საერთოდ საქონლის წარმოებაზე დამყარებული წარმოების წესის არამწარმოებლური ხარჯების (faux frais) საკმაოდ დიდ ნაწილს. იგი საზოგადოებრივი გამოყენებისაგან გამოთიშავს შესაძლებელ, დამატებით წარმოებისა და მოხმარების საშუალებების, ე. ი. ნამდვილი სიმდიდრის შესაბამის ნაწილს. რამდენადაც წარმოების მოცემული მასშტაბის უცვლელობისას ან მისი გაფართოების მოცემული ზომის არსებობისას მიმოქცევის ამ ძვირი მექანიზმის ხარჯები მცირდება, იმდენადვე მატულობს ამის გამო საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალა. მაშასადამე, რამდენადაც ასეთ ზეგავლენას ახდენენ ის დამხმარე საშუალებანი, რომელნიც საკრედიტო სისტემასთან ერთად ვითარდებიან, ისინი უშუალოდ ამრავლებენ კაპიტალისტურ სიმდიდრეს ან იმით, რომ საზოგადოებრივი წარმოების და შრომის პროცესის დიდი ნაწილი ნამდვილი ფულის სრულიად ჩაურევლად სრულდება, ან იმით, რომ ნამდვილად მიმოქცევაში მყოფი ფულადი მასის მოქმედების უნარი მატულობს.

ამით გადაწყვეტილია უაზრო კითხვაც იმის შესახებ, იქნებოდა თუ არა შესაძლებელი კაპიტალისტური წარმოება თავისი ახლანდელი მოცულობით საკრედიტო სისტემის გარეშე (თუნდ რომ მხოლოდ ამ თვალსაზრისით განვიხილოთ), ე. ი. მხოლოდ ლითონური მიმოქცევის პირობებში. ცხადია, არა. პირიქით, მას ძვირფას ლითონთა წარმოების მოცულობით ზღვარი დაედებოდა. მეორე მხრივ, არ უნდა შევქმნათ არავითარი მითური წარმოდგენა საკრედიტო სისტემის მწარმოებლური ძალის შესახებ, რამდენადაც კრედიტი ფულადი კაპიტალის თავისუფალი გამოყენების ანუ ამოქმედების შესაძლებლობას იძლევა. ამ აზრის შემდგომ განვითარებას აქ არ შევუდგებით.

ახლა ჩვენ უნდა განვიხილოთ ის შემთხვევა, როდესაც ადგილი არა აქვს ნამდვილ დაგროვებას, ე. ი. წარმოების მასშტაბის უშუალო გაფართოებას, არამედ როდესაც რეალიზებული ზედმეტი ღირებულების ნაწილი მეტნაკლებ ხანგრძლივი დროისათვის გროვდება ფულადი სარეზერვო ფონდის სახით, რათა შემდგომ მწარმოებლურ კაპიტალად გადაიქცეს.

რამდენადაც ამგვარად დაგროვილი ფული დამატებით ფულს წარმოადგენს, საქმე თავისთავად გასაგებია. იგი შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ იმ ნამეტ ოქროს ნაწილს, რომელიც ოქროს მწარმოებელი ქვეყნებიდანაა შემოზიდული. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოში უკვე აღარაა ის ეროვნული პროდუქტი, რომლის მაგივრად შემოზიდულია ეს ოქრო. პროდუქტი გატანილია საზღვარგარეთ ოქროზე გაცვლის გზით.

პირიქით, თუ ვიგულისხმებთ, რომ სახელმწიფოში წინანდებურად ფულის იგივე მასაა დარჩენილი, მაშინ ის ფული, რომელიც დაგროვილია და გროვდება, მიმოქცევიდან მოედინება; მხოლოდ მისი ფუნქციაა შეცვლილი. მიმოქცევადი ფულიდან იგი იმ ფარულ ფულად კაპიტალად იქცევა, რომელიც თანდათანობით იქმნება.

ფული, რომელიც აქ გროვდება, გაყიდულ საქონელთა ფულადი ფორმაა, თანაც მათი ღირებულების იმ ნაწილის ფულადი ფორმა, რომელიც მათი მფლობელებისათვის ზედმეტ ღირებულებას გამოხატავს (აქ ნაგულისხმევია, რომ საკრედიტო სისტემა არ არსებობს). კაპიტალისტმა, რომელმაც ეს ფული დააგროვა, გაყიდა pro tanto და აღარ იყიდა.

თუ ამ გარემოებას ცალკეული შემთხვევის სახით წარმოვიდგენთ, იგი არავითარ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. კაპიტალისტთა ერთი ნაწილი ხელში იტოვებს იმ ფულის ნაწილს, რომელიც მან თავისი პროდუქტის გაყიდვით მიიღო, ისე რომ ამ ფულით ბაზარზე პროდუქტს არ ყიდულობს. კაპიტალისტთა მეორე ნაწილი კი, პირიქით, პროდუქტად აქცევს მთელ თავის ფულს გარდა იმ ფულადი კაპიტალისა, რომელიც მას მუდამ უკან უბრუნდება და აუცილებელია წარმოების წარმართვისათვის. ბაზარზე გადასროლილი პროდუქტის ნაწილი, რომელიც ზედმეტი ღირებულების მატარებელია, შედგება წარმოების საშუალებებისაგან ან ცვალებადი კაპიტალის რეალური ელემენტებისაგან, აუცილებელი საარსებო საშუალებებისგან. მაშასადამე, იგი შეიძლება მაშინვე გამოიყენონ წარმოების გასაფართოებლად. აქ ხომ სრულიადაც არ იგულისხმება, რომ კაპიტალისტთა ერთი ნაწილი ფულად კაპიტალს აგროვებს. ხოლო მეორე ნაწილი თავის

ზედმეტ ღირებულებას მთლიანად მოიხმარს; აქ მხოლოდ ის იგულისხმება, რომ ერთი ნაწილი აგროვებს ფულადი ფორმით, ქმნის ფარულ ფულად კაპიტალს, ხოლო მეორე ნაწილი ნამდვილად აგროვებს, ე. ი. წარმოების მასშტაბს აფართოებს, თავის მწარმოებლურ კაპიტალს ნამდვილად ადიდებს. არსებული ფულის მასა ყოველთვის საკმარისია მიმოქცევის მოთხოვნილებათათვის, თუნდაც რომ რიგრიგობით კაპიტალისტთა ერთი ნაწილი ფულს აგროვებდეს, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი წარმოების მასშტაბს აფართოებს, და პირიქით. ამასთან ფულის დაგროვება ერთ მხარეზე შეიძლება ისე სრულდებოდეს, რომ ნაღდი ფული არ იყოს, მარტოოდენ ვალის მოთხოვნათა დაგროვების გზით.

მაგრამ სიძნელე ჩნდება მაშინ, როდესაც ჩვენ ფულადი კაპიტალის დაგროვებას ვიგულისხმებთ არა როგორც ცალკეულ შემთხვევას, არამედ როგორც საერთო მოვლენას კაპიტალისტთა კლასისათვის. ჩვენი ნავარაუდევის თანახმად, — მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების საყოველთაო ბატონობის პირობებში, — ამ კლასის გარდა საერთოდ არ არსებობს სხვა კლასი, გარდა მუშათა კლასისა. ყველაფერი, რასაც მუშათა კლასი ყიდულობს უდრის მისი ხელფასის ჯამს. კაპიტალისტთა მთელი კლასის მიერ ავანსებული ცვალებადი კაპიტალის თანხას. ეს ფული უკან უბრუნდება კაპიტალისტებს მათი პროდუქტის მუშათა კლასისადმი მიყიდვის გზით. ამის გამო მათი ცვალებადი კაპიტალი კვლავ თავის ფულად ფორმას იღებს. ვთქვათ. ცვალებადი კაპიტალის ჯამი, ე. ი. არა წლის განმავლობაში ავანსებული, არამედ ნამდვილად გამოყენებული ცვალებადი კაპიტალის ჯამი = 100 გირვ. სტერ. XX-ით; იმ საკითხისათვის, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — ბრუნვის სისწრაფისდა მიხედვით, — წლის განმავლობაში ასეთი ღირებულების ცვალებადი კაპიტალის ავანსად გასაღებად ბევრი ფულია საჭირო თუ ცოტა. ამ 100 გირვ. სტერლ. XX კაპიტალისტთა კლასი ყიდულობს სამუშაო ძალის გარკვეულ რაოდენობას, ანუ ხელფასს აძლევს მუშების გარკვეულ რიცხვს,—ეს არის პირველი გარიგება. მუშები ამ თანხით კაპიტალისტებისაგან ყიდულობენ საქონლის გარკვეულ რაოდენობას, და თანხა 100 გირვ. სტერლ. XX უკან უბრუნდება კაპიტალისტებს, — ეს არის მეორე გარიგება. ეს მეორდება მუდამ. მაშასადამე, თანხა 100 გირვ. სტერლ. XX არასოდეს არ აძლევს მუშათა კლასს შესაძლებლობას იყიდოს პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს, — რომ არაფერი ვთქვათ იმ ნაწილზე, რომელიც კაპიტალისტთა კლასისათვის ზედმეტ ღირებულე-

ბას წარმოადგენს. 100 გირვ. სტერლ. X X-ით მუშებს შეუძლიათ საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების ყოველთვის მხოლოდ იმ ნაწილის ყიდვა, რომელიც უდრის ღირებულების ნაწილს, რითაც ავანსებული ცვალებადი კაპიტალის ღირებულება გამოიხატება.

თუ მეედველობის გარეშე დავტოვებთ იმ შემთხვევას, როდესაც ფულის ეს ყოველმხრივი დაგროვება მხოლოდ დამატებით შემოზიდული ძვირფასი ლითონის განაწილებას გამოხატავს, — სულ ერთია, როგორი პროპორციითაც არ უნდა განაწილდეს იგი სხვადასხვა ცალკეულ კაპიტალისტებს შორის, — მაშინ საკითხავია: რანაირად უნდა დააგროვოს ფული კაპიტალისტების მთელმა კლასმა.

ყოველმა მათგანმა უნდა გაყიდოს პროდუქტის ნაწილი და სამაგიეროდ კი არაფერი არ იყიდოს. რასაკვირველია, არავითარი საიდუმლოება არაა იმაში, რომ ისინი ყველანი ფლობენ გარკვეულ ფულად ფონდს, რასაც მიმოქცევაში გადაისვრიან როგორც მიმოქცევის საშუალებას თავიანთი მოხმარებისათვის, და რომ შემდგომ თვითეულ მათგანს ხელახლა უკანვე უბრუნდება მიმოქცევიდან ამ ფონდის გარკვეული ნაწილი. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ფულადი ფონდი არსებობს სწორედ როგორც ზედმეტი ღირებულების ფულად გადაქცევის მეოხებით წარმოქმნილი მიმოქცევის ფონდი და სრულიადაც არა როგორც ფარული ფულადი კაპიტალი.

თუ საქმეს განვიხილავთ ისე, როგორც იგი სინამდვილეში ხდება, ფარული ფულადი კაპიტალი, რომელიც შემდგომი ხმარებისათვის გროვდება, შედგება:

1) ანაბრებისგან ბანკებში. ეს ანაბრები შეადგენს ნამდვილად ბანკის განკარგულებაში მყოფი ფულადი თანხის შედარებით მცირე ნაწილს. აქ მხოლოდ ნომინალურადაა ფულადი კაპიტალი დაგროვილი. ნამდვილი დაგროვება კი ფულადი მოთხოვნებია, რომელთა ფულად გადაქცევა მხოლოდ იმიტომაა შესაძლებელი (რამდენადაც ისინი როდისმე ფულად იქცევიან), რომ წონასწორობა მყარდება უკუმოთხოვნილ ფულსა და ანაბრად შეტანილ ფულს შორის. ფულის სახით კი ბანკს შედარებით მხოლოდ მცირე თანხა მოეპოვება.

2) სახელმწიფო ქაღალდებისგან. ეს ქაღალდები საერთოდ კაპიტალი კი არაა, არამედ მარტოოდენ ვალის მოთხოვნებია ერის წლიური პროდუქტის მიმართ.

3) აქციებისაგან. რამდენადაც აქ მარტოოდენ სპეკულაციასთან არა გვაქვს საქმე, ეს აქციები წარმოადგენს მფლობელობის ტიტულს კომპანიის კუთვნილი ნამდვილი კაპიტალის მიმართ და მოწმობას ამ კაპიტალიდან ყოველწლიურად მომდინარე ზედმეტი ღირებულების მისაღებად.

ყველა ამ შემთხვევაში ფულის არავითარი დაგროვება არ ხდება: ის, რაც ერთ მხარეზე ფულის დაგროვებად გვევლინება, მეორე მხარეზე ფულის მუდმივ, ნამდვილ ხარჯვად წარმოგვიდგება. მესაკუთრე ხარჯავს ფულს, თუ ამ უკანასკნელის მოვალე სხვა ვინმე, — ეს სრულიადაც არ ცვლის საქმეს.

კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე განძის წარმოქმნა არასოდეს არ შეადგენს თავისთავად მიზანს, იგი ან მიმოქცევის შეფერხების შედეგია, — როდესაც ჩვეულებრივზე უფრო დიდი ფულის რაოდენობა განძის ფორმას მიიღებს, — ან ბრუნვით გამოწვეული დაგროვებისა, ანდა, დასასრულ, ეს განძი გამოხატავს ფულადი კაპიტალის წარმოქმნას, — ჯერჯერობით ფარულ ფორმაში, — რომლის დანიშნულება ისაა, რომ მან მწარმოებლური კაპიტალის სახით იმოქმედოს.

ამიტომ, თუ, ერთი მხრივ, ფულად რეალიზებული ზედმეტი ღირებულების ნაწილი მიმოქცევიდან ამოიღება და განძის სახით დაგროვდება, — მეორე მხრივ, იმავდროულად ზედმეტი ღირებულების მეორე ნაწილი მუდამ მწარმოებლურ კაპიტალად გადაიქცევა. თუ იმ შემთხვევას გამოვრიცხავთ, როდესაც ხდება დამატებითი ძვირფასი ლითონის განაწილება კაპიტალისტთა კლასს შორის, ფულადი ფორმით დაგროვებას არასოდეს არა აქვს ადგილი ერთსა და იმავე დროს ყველა პუნქტზე.

ყველაფერი ის, რაც წლიური პროდუქტის იმ ნაწილის შესახებ ითქმის, რომელიც ზედმეტ ღირებულებას საქონლის ფორმით გამოხატავს, ითქმის აგრეთვე წლიური პროდუქტის მეორე ნაწილის შესახებაც. მისი მიმოქცევისათვის საჭიროა გარკვეული ფულადი თანხა. ეს ფულადი თანხა ისევე ეკუთვნის კაპიტალისტთა კლასს, როგორც წლიურად წარმოებული საქონლის მასა, რომელიც ზედმეტ ღირებულებას გამოხატავს. მას თავდაპირველად თვით კაპიტალისტთა კლასი გადაისვრის მიმოქცევაში. იგი მუდამ ხელახლა განაწილდება ხოლმე კაპიტალისტებს შორის თვით მიმოქცევის გზით. როგორც საერთოდ მონეტის მიმოქცევისას, ამ მასის ერთი ნაწილი მუდამ შეჩერდება ხოლმე ხან ერთ, ხან მეორე პუნქტში, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი განუწყვეტლივ მიმოიქცევა. საქმის ვითარებას სრულიად არ ცვლის ის გარემოება, როცა ფულს ნაწილობრივ განზრახ შეაჩერებენ, რათა ფულადი კაპიტალი შექმნან.

ჩვენ აქ მხედველობის გარეშე დავტოვეთ ის განსაკუთრებული შემთხვევები მიმოქცევის სფეროში, როდესაც ერთი კაპიტალისტი ხელთ იგდებს მეორე კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულების ნაწილს

და კაპიტალის ნაწილსაც კი, როდესაც, მაშასადამე, ხდება როგორც ფულადი, ისე მწარმოებლური კაპიტალის ცალმხრივი დაგროვება და ცენტრალიზაცია. ასე, მაგალითად, მოპოვებული ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომელსაც *A* კაპიტალისტი აგროვებს ფულადი კაპიტალის სახით, შეიძლება წარმოადგენდეს *B* კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულების ნაწილს, რომელიც ამ უკანასკნელს უკან არ უბრუნდება.

ბანყოფილება მესამე

საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის კვლავწარმოება და მიმოქცევა

თავი მეთვრამეტე [88]

შესავალი

1. გამოკვლევის საგანი

კაპიტალის უშუალო წარმოების პროცესი წარმოადგენს შრომის პროცესს და ღირებულების ზრდის პროცესს, ე. ი. პროცესს, რომლის შედეგი საქონლური პროდუქტია, ხოლო განმსაზღვრელი მოტივი — ზედმეტი ღირებულების წარმოება.

კაპიტალის კვლავწარმოების პროცესი მოიცავს როგორც ამ უშუალო წარმოების პროცესს, ისე საკუთრივ მიმოქცევის პროცესის ორივე ფაზას, ე. ი. მოიცავს მთელ წრებრუნვას, რომელიც, როგორც პერიოდული პროცესი, რომელიც განსაზღვრულ პერიოდებში მუდამ ხელახლა განმეორებული პროცესია, კაპიტალის ბრუნვას შეადგენს.

განვიხილავთ ჩვენ წრებრუნვას ფორმაში ფ...ფ′ თუ ფორმაში წ... წ, თვით უშუალო წარმოების პროცესი წ ყოველთვის ამ წრებრუნვის მხოლოდ ერთ რგოლს შეადგენს. ერთ ფორმაში ეს პროცესი გვევლინება როგორც მიმოქცევის პროცესის მოსაშუალე რგოლი, მეორე ფორმაში მიმოქცევის პროცესი გვევლინება როგორც წარმოების პროცესის მოსაშუალე რგოლი. ამ პროცესის მუდმივი განახლება, კაპიტალის მუდმივი განმეორებითი გამოსვლა მწარმოებლური კაპიტალის სახით ორივე შემთხვევაში გაპირობებულია იმ გარდაქმნით, რასაც კაპიტალი მიმოქცევის პროცესში განიცდის. მეორე მხრივ, მუდამ ისევ და ისევ განახლებული წარმოების პროცესი პირობაა იმ გარდაქმნათა, რომელთაც კაპიტალი მუდამ ახლად

[88] II ხელნაწერიდან.

და ახლად განიცდის მიმოქცევის სფეროში, — პირობაა იმისა, რომ იგი ხან ფულადი კაპიტალის სახით გვევლინება, ხან კი — საქონლური კაპიტალის სახით.

მაგრამ ყოველი ცალკეული კაპიტალი შეადგენს საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის მხოლოდ გამოცალკევებულ, ასე ვთქვათ, ინდივიდუალური სიცოცხლით დაჯილდოებულ ნაწილს, ისევე როგორც ყოველი ცალკეული კაპიტალისტი წარმოადგენს კაპიტალისტთა კლასის მაოლოდ ინდივიდუალურ ელემენტს. საზოგადოებრივი კაპიტალის მოძრაობა შედგება მისი გამოცალკევებული წილადი ნაწილების მოძრაობათა ერთობლიობისგან, ინდივიდუალური კაპიტალების ბრუნვათა ერთობლიობისგან. როგორც ცალკეული კაპიტალის მეტამორფოზი წარმოადგენს რგოლს საქონელთა სამყაროს მეტამორფოზების — საქონელთა მიმოქცევის — მწკრივში, ისე ინდივიდუალური კაპიტალის მეტამორფოზი, მისი ბრუნვა შეადგენს რგოლს საზოგადოებრივი კაპიტალის წრებრუნვაში.

ეს ერთობლივი პროცესი მოიცავს როგორც მწარმოებლურ მოხმარებას (უშუალო წარმოების პროცესს) ფორმის იმ გარდაქმნებთან ერთად (გაცვლასთან ერთად, თუ საქმეს ნივთიერი თვალსაზრისით განვიხილავთ), რომელნიც მას მოსაშუალეობენ, ისე აგრეთვე ინდივიდუალურ მოხმარებას მისი მოსაშუალე ფორმაგარდაქმნასთან ანუ გაცვლასთან ერთად. იგი მოიცავს, ერთი მხრივ, ცვალებადი კაპიტალის გარდაქმნას სამუშაო ძალად და, მაშასადამე, სამუშაო ძალის ნართვასაც კაპიტალისტურ წარმოების პროცესში. აქ მუშა გამოდის როგორც თავისი საქონლის — სამუშაო ძალის — გამყიდველი, ხოლო კაპიტალისტი — როგორც ამ სამუშაო ძალის მყიდველი. მაგრამ, მეორე მხრივ, საქონელთა გაყიდვა აქ გულისხმობს მათ ყიდვასაც მუმუშათა კლასის მიერ, მაშასადამე, მათ ინდივიდუალურ მოხმარებას. აქ მუშათა კლასი გამოდის როგორც მყიდველი, ხოლო კაპიტალისტები გამოდიან როგორც გამყიდველნი, რომლებიც თავიანთ საქონელს მუშებს მიჰყიდიან.

საქონლური კაპიტალის მიმოქცევა შეიცავს ზედმეტი ღირებულების მიმოქცევასაც, მაშასადამე, ყიდვა-გაყიდვის აქტებსაც, რომელთა მეშვეობით კაპიტალისტების ინდივიდუალური მოხმარება, ზედმეტი ღირებულების მოხმარება ხორციელდება.

ინდივიდუალური კაპიტალების წრებრუნვა მათს კავშირში საზოგადოებრივ კაპიტალთან, ე. ი. წრებრუნვა, განხილული მის ერთობლიობაში, მოიცავს, მაშასადამე, არა მარტო კაპიტალების მიმოქცევას, არამედ საყოველთაო საქონელმიმოქცევასაც. უკანასკნელი შეიძ-

ლება თავდაპირველად მხოლოდ ორი შემადგენელი ნაწილისგან შედგებოდეს: 1) კაპიტალის საკუთრივ წრებრუნვისაგან და 2) ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალ საქონელთა წრებრუნვისგან, მაშასადამე, იმ საქონელთა წრებრუნვისგან, რომლებშიაც მუშა ხარჯავს თავის ხელფასს, ხოლო კაპიტალისტი — თავის ზედმეტ ღირებულებას (ან თავისი ზედმეტი ღირებულების ნაწილს). რა თქმა უნდა, კაპიტალის წრებრუნვა მოიცავს ზედმეტი ღირებულების მიმოქცევასაც, რამდენადაც ზედმეტი ღირებულება საქონლური კაპიტალის ნაწილს შეადგენს, ასევე ცვალებადი კაპიტალის გადაქცევას სამუშაო ძალად, ხელფასის გასტუმრებას. მაგრამ ამ ზედმეტი ღირებულების და ხელფასის დახარჯვა საქონელზე არ შედის რგოლად კაპიტალის მიმოქცევაში, მიუხედავად იმისა, რომ ხელფასის ხარჯვა სულ ცოტა მიმოქცევას მაინც განაპირობებს.

I წიგნში კაპიტალისტური წარმოების პროცესი განხილულია როგორც განცალკევებული აქტის სახით, ისე აგრეთვე კვლავწარმოების პროცესის სახით: ზედმეტი ღირებულების წარმოება და თვით კაპიტალის წარმოება. ფორმისა და ნივთიერების ცვლილება, რასაც კაპიტალი მიმოქცევის პროცესში განიცდის, ჩვენ ავიღეთ როგორც წანამძღვარი, რომელზედაც უფრო მეტ ხანს აღარ შევჩერებულვართ. ამრიგად, ჩვენ ვგულისხმობდით, რომ, ერთი მხრივ, კაპიტალისტი თავის პროდუქტს მისი ღირებულების მიხედვით ყიდის და, მეორე მხრივ, იგი პოულობს მიმოქცევის სფეროში წარმოების მატერიალურ საშუალებებს იმისათვის, რომ ხელახლა დაიწყოს პროცესი ანუ შეუწყვეტლივ განაგრძოს იგი. ერთადერთი აქტი მიმოქცევის სფეროში, რომელზედაც ჩვენ შევჩერდით, იყო სამუშაო ძალის ყიდვისა და გაყიდვის აქტი, რაც კაპიტალისტური წარმოების ძირითად პირობას წარმოადგენს.

II წიგნის პირველ განყოფილებაში განხილულია ის სხვადასხვა ფორმა, რასაც კაპიტალი ღებულობს თავის წრებრუნვაში, და თვით ამ წრებრუნვის განსხვავებული ფორმები. I წიგნში განხილულ სამუშაო დროს ახლა მიემატა მიმოქცევის დრო.

მეორე განყოფილებაში წრებრუნვა განხილულია როგორც პერიოდული მოძრაობა, ე. ი. როგორც კაპიტალის ბრუნვა. ერთი მხრივ, ნაჩვენებია, თუ როგორ გაივლიან კაპიტალის (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის) შემადგენელი ნაწილები ფორმების წრებრუნვას სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა წესით; მეორე მხრივ, გამოკვლეულია ის გარემოებანი, რომლებიც სამუშაო პერიოდისა და მიმოქცევის პერიოდის სხვადასხვა ხანგრძლიობას განაპირობებენ. გამოაშკარავდა ის გავლენა, რაც წრებრუნვის პერიოდსა და მისი შემადგენე-

ლი ნაწილების სხვადასხვა შეფარდებას აქვს როგორც თვით წარმოების პროცესის მოცულობაზე, ისე ზედმეტი ღირებულების წლიურ ნორმაზეც. მართლაც. თუ პირველ განყოფილებაში უმთავრესად განიხილებოდა ის თანმიმდევრული ფორმები, რომლებსაც კაპიტალი თავის წრებრუნვაში მუდამ იღებს და უკუაგდებს, — მეორე განყოფილებაში ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ ხდება, რომ ფორმების ამ დინებასა და თანმიმდევრულ ცვლაში მოცემული სიდიდის კაპიტალი იმავდროულად, თუმცა ცვალებადი ოდენობით, ნაწილდება სხვადასხვა ფორმებად: მწარმოებლურ კაპიტალად, ფულად კაპიტალად და საქონლურ კაპიტალად; ამასთან ეს ფორმები არათუ რიგრიგობით შეენაცვლებიან ერთიმეორეს, არამედ ერთობლივი კაპიტალღირებულების სხვადასხვა ნაწილი მუდამ ერთიმეორის გვერდით იმყოფება და ამ სხვადასხვა მდგომარეობაში მოქმედებს. განსაკუთრებით ფულადმა კაპიტალმა გამოავლინა ისეთი თავისებურება, რაც I წიგნში არ ჩანდა. ჩვენ აღმოვაჩინეთ გარკვეული კანონები, რომელთა თანახმად მოცემული კაპიტალის სხვადასხვა სიდიდის შემადგენელი ნაწილები— ბრუნვის პირობების მიხედვით — მუდამ ფულადი კაპიტალის ფორმით უნდა ავანსდებოდეს და განახლდებოდეს, რათა მოცემული ოდენობის მწარმოებლურმა კაპიტალმა განუწყვეტლივ იმოქმედოს.

მაგრამ როგორც პირველ, ისე მეორე განყოფილებაში ლაპარაკი იყო მუდამ მხოლოდ ინდივიდუალურ კაპიტალზე, საზოგადოებრივი კაპიტალის გამოცალკევებული ნაწილის მოძრაობაზე.

მაგრამ ინდივიდუალური კაპიტალის წრებრუნვანი გადაეხლართებიან ერთმანეთს, გულისამობენ და განაპირობებენ ერთიმეორეს და სწორედ ამ გადახლართვის მეოხებით ქმნიან საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის მოძრაობას. როგორც მარტივი საქონელმიმოქცევისას საქონლის ერთობლივი მეტამორფოზი გვევლინებოდა რგოლად საქონელთა სამყაროს მეტამორფოზების ჯაჭვში, ისე ახლა ინდივიდუალური კაპიტალის მეტამორფოზი გვევლინება რგოლად საზოგადოებრივი კაპიტალის მეტამორფოზების ჯაჭვში. მაგრამ თუ მარტივი საქონელმიმოქცევა სრულიადაც არ შეიცავდა აუცილებლად კაპიტალის მიმოქცევას, რადგან იგი არაკაპიტალისტური წარმოების საფუძველზე შეიძლება მიმდინარეობდეს, — საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის წრებრუნვა, როგორც უკვე შევნიშნეთ, შეიცავს საქონელმიმოქცევასაც, რაც ცალკეული კაპიტალის წრებრუნვის სფეროს გარეთ იმყოფება, ე. ი. შეიცავს იმ საქონელთა მიმოქცევასაც, რომელნიც კაპიტალს არ წარმოადგენენ.

ახლა უნდა განვიხილოთ ინდივიდუალური კაპიტალების, როგორც საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის შემადგენელი ნაწილების, მიმოქცევის პროცესი (რომელიც თავის ერთობლიობაში კვლავწარმოების პროცესის ფორმაა), ე. ი. ამ საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის მიმოქცევის პროცესი.

II. ფულადი კაპიტალის როლი

{თუმცა ქვემოაღნიშნული საკითხი მაოლოდ ამ განყოფილების შემდგომ ნაწილს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენ მაინც ახლავე გამოვიკვლიოთ ფულადი კაპიტალი როგორც საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის შემადგენელი ნაწილი.}

ინდივიდუალური კაპიტალის განხილვისას გამომჟღავნდა ფულადი კაპიტალის ორი მაარე.

პირველი: იგი წარმოადგენს იმ ფორმას, რომლითაც თვითეული ინდივიდუალური კაპიტალი სცენაზე გამოდის, იწყებს თავის აროცესს როგორც კაპიტალი. ამიტომ იგი გვევლინება როგორც primus motor, რომელიც ბიძგს აძლევს მთელ პროცესს.

მეორე: ბრუნვის პერიოდის სავადასავა ხანგრძლიობისა და მისი ორივე შემადგენელი ნაწილის — სამუშაო პერიოდისა და მიმოქცევის პერიოდის — სავადასხვა შეფარდების მიიედვით, ავანსებული კაპიტალღირებულების იმ შემადგენელი ნაწილის შეფარდებითი სიდიდე, რომელიც მუდამ ავანსებული და განახლებული უნდა იქნეს ფულადი ფორმით, იცვლება მწარმოებლური კაპიტალის მიმართ, რომელიც მას მოძრაობაში მოჰყავს, ე. ი. წარმოების მუდმივი მასშტაბის მიმართ. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ეს შეფარდება, ყველა გარემოებაში მოძრაობაში მყოფი კაპიტალღირებულების ის ნაწილი, რომელსაც მუდამ შეუძლია იმოქმედოს მწარმოებლური კაპიტალის სახით, შეზღუდულია ავანსებული კაპიტალღირებულების იმ ნაწილით, რომელიც მუდამ უნდა არსებობდეს ფულადი ფორმით მწარმოებლური კაპიტალის გვერდით. აქ ლაპარაკია მაოლოდ ნორმალურ ბრუნვაზე, აბსტრაქტულ საშუალო სიდიდეზე. ამასთან მაედველობის გარეშეა დატოვებული დამატებითი ფულადი კაპიტალი, რომელიც აუცილებელია მიმოქცევის შეფერხებათა გასაწონასწორებლად.

პ ი რ ვ ე ლ ი პ უ ნ ქ ტ ი ს ა თ ვ ი ს. საქონელწარმოება გულისხმობს საქონელმიმოქცევას, საქონელმიმოქცევა კი გულისხმობს, რომ საქო-

ნელი გამოსახულებას პოულობს ფულში, გულისხმობს ფულის მიმოქცევას; საქონლის გაორადება საქონლად და ფულად პროდუქტის საქონლის სახით გამოსახვის კანონია. ასევე როგორც საზოგადოებრივი, ისე ინდივიდუალური თვალსაზრისით განხილული კაპიტალისტური საქონელწარმოება გულისხმობს კაპიტალის არსებობას ფულადი ფორმით ანუ ფულადი კაპიტალის არსებობას primus motor-ის სახით თვითეული ახლად დაწყებული საქმისათვის და მუდმივი ძრავას სახით. საბრუნავი კაპიტალი კერძოდ გულისხმობს, რომ დროის მოკლე შუალედებში მუდამ ხელახლა ჩნდება ფულადი კაპიტალი ძრავას სახით. მთელი ავანსებული კაპიტალღირებულება, ე. ი. კაპიტალის ყველა შემადგენელი ნაწილი, რომელიც საქონელთაგან შედგება: სამუშაო ძალა, შრომის საშუალებანი და წარმოების მასალები, მუდამ ისევ და ისევ უნდა იყიდონ ფულით. რასაც აქ ინდივიდუალურ კაპიტალზე ვამბობთ, იგივე ითქმის საზოგადოებრივ კაპიტალზე, რომელიც მოქმედებს მხოლოდ მრავალი ინდივიდუალური კაპიტალის სახით. მაგრამ, როგორც უკვე I წიგნში იყო ნაჩვენები, აქედან სრულიადაც არ გაგომდინარეობს, რომ კაპიტალის მოქმედების არე, წარმოების მასშტაბი, კაპიტალისტურ საფუძველზეც კი, თავისი ა ბ ს ო ლ უ ტ 'უ რ ი' საზღვრების მიხედვით მოქმედი ფულადი კაპიტალის ოდენობაზე იყოს დამოკიდებული.

კაპიტალს ჩაერთვის წარმოების ელემენტები, რომელთა ელასტიკურობა, გაოკვეულ ფარგლებში, დამოკიდებული არაა ავანსებული ფულადი კაპიტალის სიდიდეზე. სამუშაო ძალის თანაბარი ანაზღაურების პირობებში იგი შეიძლება ექსტენსიურად ან ინტენსიურად უფრო ძლიერ ექსპლოატაციას ექვემდებარებოდეს. თუ ამ უფრო ძლიერი ექსპლოატაციის დროს ფულადი კაპიტალი დიდდება (ე. ი. დიდდება ხელფასი),—იგი არ დიდდება ექსპლოატაციის გადიდების პროპორციულად, მაშასადამე, სრულიად არ დიდდება pro tanto [პროპორციულად].

ბუნების მასალა, რომლის ექსპლოატაცია მწარმოებლურად ხდება და რომელიც კაპიტალის ღირებულების ელემენტს არ შეადგენს, — მიწა, ზღვა, ნადანი, ტყეები და სხვ., — იმავე რიცხვის სამუშაო ძალთა უფრო მეტი დაძაბვით შეიძლება ინტენსიურად თუ ექსტენსიურად უფრო ძლიერად იქნეს ექსპლოატირებული ავანსებული ფულადი კაპიტალის გაუდიდებლად. ამრიგად, მწარმოებლური კაპიტალის რეალური ელემენტები იზრდება ისე, რომ საჭირო არაა დამატებითი ფულადი კაპიტალის ავანსად გაღება. თუ ეს უკანასკნელი საჭირო ხდება დამატებითი დამხმარე მასალისათვის, მაშინ ფულადი კაპიტა-

ლი, რომლის სახითაც მწარმოებლური კაპიტალი ავანსად გაიღება, არ დიდდება მწარმოებლური კაპიტალის მოქმედების გაფართოების პროპორციულად, მაშასადამე, იგი სრულიადაც არ დიდდება pro tanto.

შრომის ერთი და იგივე საშუალება, ე. ი. ერთი და იგივე ძირითადი კაპიტალი შეიძლება უფრო ეფექტიურად იქნეს გამოყენებული, როგორც მისი დღიური მოხმარების დროის გაგრძელებით, ისე მისი გამოყენების ინტენსივობის გადიდებით, ისე რომ საჭირო არ იქნება დამატებითი ფულის დახარჯვა ძირითადი კაპიტალისათვის., ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ ძირითადი კაპიტალის უფრო სწრაფ ბრუნვას, მაგრამ სამაგიეროდ მისი კვლავწარმოების ელემენტების მიწოდებაც უფრო სწრაფად ხდება.

ბუნების მასალასაც რომ ყურადღება არ მივაქციოთ, წარმოების პროცესში შეიძლება ჩართულ იქნეს შეტნაკლები ეფექტიანობით მოქმედი აგენტების სახით ბუნების ძალები, რომელთაც ღირებულება არა აქვთ. მათი ეფექტიანობის ხარისხი დამოკიდებულია მათი გამოყენების მეთოდებსა და მეცნიერების პროგრესზე, რაც კაპიტალისტს ასევე არაფერი არ უჯდება.

იგივე ითქმის სამუშაო ძალის საზოგადოებრივ კომბინირებაზე წარმოების პროცესში და იმ დახელოვნებაზე, რაც ინდივიდუალურ მუშებს აქვთ შეძენილი. კერი ანგარიშობს აქედან, რომ მიწის მესაკუთრე არასოდეს არ იღებს საკმარისად, რადგან მას არ უხდიან მთელ იმ კაპიტალს და — შესაბამისად — მთელ იმ შრომას, რომელიც უხსოვარი დროიდან იხარჯება ნიადაგში, რათა მას ახლანდელი ნაყოფიერება მინიჭებოდაო. (იმ ნაყოფიერებაზე, რაც მიწას წაერთმევა, რასაკვირველია, კრინტი არაა დაძრული.) ამის მიხედვით ყოველ ცალკეულ მუშას სასყიდელი უნდა მისცე�ოდა იმ შრომის შესაბამისად, რაც ადამიანთა მთელმა მოდგმამ დახარჯა იმისათვის, რომ ველური ადამიანი თანამედროვე მექანიკოსად ექცია. სწორედ პირიქით უნდა გვემსჯელნა: თუ ვიანგარიშებთ ყველა იმ გადაუხდელ, მაგრამ მიწის მესაკუთრისა და კაპიტალისტის მიერ ფულად ქცეულ შრომას, რომელიც მიწის ნიადაგშია მოქცეული, გამოვა, რომ მიწაში მოქცეული მთელი კაპიტალი ბევრჯერ და ბევრჯერ არის დაბრუნებული, და თანაც სავახშო პროცენტებით, რომ, მაშასადამე, მიწის საკუთრება უკვე ბევრჯერ და ბევრჯერ გამოსყიდულია საზოგადოების მიერ.

შრომის მწარმოებლური ძალის გადიდება, რამდენადაც იგი კაპიტალღირებულებათა დამატებით დახარჯვას არ გულისხმობს, თუმცა უწინარეს ყოვლისა, მხოლოდ პროდუქტის მასას გაადიდებს, მაგ-

რამ არა მის ღირებულებას; გამონაკლისს შეადგენს ის შემთხვევა, როდესაც მწარმოებლური ძალის გადიდება იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ იმავე შრომით მეტი მუდმივი კაპიტალის კვლავწარმოება და, მაშასადამე, ამ გადიდებული კაპიტალის ღირებულების შენარჩუნება ხდებოდეს. მაგრამ ამავე დროს შრომის მწარმოებლური ძალის გადიდება ქმნის ახალ მასალას კაპიტალისათვის, მაშასადამე, საფუძველს კაპიტალის გაძლიერებული დაგროვებისათვის.

რამდენადაც თვით საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაცია და, მაშასადამე, შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის გადიდება მოითხოვს, რომ წარმოება დიდი მასშტაბით წარიმართებოდეს და ამიტომ ცალკეული კაპიტალისტები ფულადი კაპიტალის დიდ მასებს გაიღებდნენ ავანსად, — ეს ნაწილობრივ ხდება კიდეც, როგორც უკვე I წიგნშია ნაჩვენები, კაპიტალების ცენტრალიზაციით მცირეოდენთა ხელში,—და ამასთან სრულიად აუცილებელი არაა, რომ ადგილი ჰქონდეს მოქმედ კაპიტალღირებულებათა მოცულობის აბსოლუტურ გადიდებას და, მაშასადამე, აგრეთვე იმ ფულადი კაპიტალის მოცულობის გადიდებას, რომლის საბითაც კაპიტალღირებულებათა ავანსად გაღება წარმოებს. ცალკეული კაპიტალების სიდიდე შეიძლება მცირეოდენთა ხელში ცენტრალიზაციის გამო გაიზარდოს, ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს ამ კაპიტალების საზოგადოებრივი ჯამის ზრდას. ეს ცალკეული კაპიტალების მაოლოდ შეცვლილი განაწილებაა.

დასასრულ, წინა განყოფილებაში ნაჩვენები იყო, რომ ბრუნვის პერიოდის შემოკლება შესაძლებლობას იძლევა მოძრაობაში მოვიყვანოთ ან ნაკლები ფულადი კაპიტალით იგივე მწარმოებლური კაპიტალი, ან იმავე ფულადი კაპიტალით მეტი მწარმოებლური კაპიტალი.

მაგრამ ყველაფერი ეს, ცხადია, სრულიად არ შეეხება საკუთრივ ფულადი კაპიტალის საკითხს. ეს გვიჩვენებს მაოლოდ, რომ ავანსებული კაპიტალი — მოცემული ღირებულების ჯამი, რომელიც თავის თავისუფალ ფორმაში, ღირებულების ფორმაში, გარკვეული ფულადი თანხისგან შედგება — მის მწარმოებლურ კაპიტალად გადაქცევის შემდეგ შეიცავს მწარმოებლურ შესაძლებლობებს, რომელთა ფარგლები არ განისაზღვრება ამ კაპიტალის ღირებულების სიდიდით, არამედ მათ, გარკვეულ ფარგლებში, შეუძლიათ იმოქმედონ ექსტენსივობის ან ინტენსივობის სავადასავა ხარისხით. თუ წარმოების ელემენტების — წარმოების საშუალებათა და სამუშაო ძალის — ფასები მოცემულია, ამით უკვე განსაზღვრულია ფულადი კაპიტალის ოდენობა,

რომელიც საჭიროა ამ, საქონელთა სახით არსებული, წარმოების ელემენტების საყიდლად. სავა სიტყვებით: განსაზღვრულია ავახსად გასაღები კაპიტალის ღირებულების სიდიდე. მაგრამ მოცულობა, რომლითაც ეს კაპიტალი მოქმედებს როგორც ღირებულებისა და პროდუქტის შემქმნელი ფაქტორი, ელასტიკურია და ცვალებადი.

მ ე ო რ ე პ უ ნ ქ ტ ი ს ა თ ვ ი ს. თავისთავად გასაგებია, რომ საზოგადოებრივი შრომისა და წარმოების საშუალებათა ის ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად ოქროს საწარმოებლად ან საყიდლად უნდა დაიხარჯოს, რათა გაცვეთილი მონეტა აანაზღაუროს, წარმოადგენს pro tanto გამონაკლებს საზოგადოებრივი წარმოებიდან. ხოლო რაც შეეხება ფულის ღირებულებას, რომელიც ნაწილობრივ მიმოქცევის საშუალების საით მოქმედებს, ნაწილობრივ კი განძის სახით, რაკი იგი უკვე არსებობს, მოპოვებულია, — მას ადგილი უჭირავს სამეშაო ძალის, წარმოებული წარმოების საშუალებებისა და სიმდიდრის ბუნებრივი წყაროების გვერდით. იგი არ შეიძლება ამ უკანასკნელთა საზღვრად მივიჩნიოთ. ს

ლის ბაზარზე შექმნილი შეფერხებანი იწვევენ ასეთ საწარმოთა საქმიანობის შეჩერებას, ხოლო ასეთი საწარმონი, თავის მხრივ, შეფერხებას იწვევენ ფულის ბაზარზე.

საზოგადოებრივი წარმოების საფუძველზე უნდა განისაზღვროს, თუ რა მასშტაბით შეიძლება შესრულდეს ასეთი ოპერაციები, რომელთაც დიდი ხნით მიაქვთ სამუშაო ძალა და წარმოების საშუალებანი ისე, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი სასარგებლო ეფექტის სახით რაიმე პროდუქტს არ იძლევიან; უნდა განისაზღვროს, თუ რა მასშტაბით შეიძლება ასეთი ოპერაციების შესრულება ისე, რომ ზიანი არ განიცადონ წარმოების იმ დარგებმა, რომელნიც განუწყვეტლივ ან რამდენჯერმე წელიწადში არა მარტო მიიზიდავენ სამუშაო ძალას და წარმოების საშუალებებს, არამედ იძლევიან კიდეც საარსებო საშუალებებსა და წარმოების საშუალებებს. საზოგადოებრივი წარმოების დროს, ისევე როგორც კაპიტალისტური წარმოების დროს, მუშები, რომელნიც შედარებით მოკლე სამუშაო პერიოდების მქონე წარმოების დარგებში არიან დასაქმებულნი, მხოლოდ მოკლე დროით წაიღებენ პროდუქტებს ისე, რომ სამაგიეროდ რაიმე ახალ პროდუქტს არ იძლევიან; ხანგრძლივი სამუშაო პერიოდების მქონე წარმოების დარგებს კი უფრო დიდი ხნით მიაქვთ განუწყვეტლივ პროდუქტები, ვიდრე თვით დაიწყებდნენ პროდუქტების მოცემას. მაშასადამე, ეს გარემოება გამომდინარეობს სათანადო შრომითი პროცესის ნივთობრივი პირობებიდან და არა მისი საზოგადოებრივი ფორმიდან. საზოგადოებრივი წარმოების პირობებში ფულადი კაპიტალი ქრება. საზოგადოება სამუშაო ძალას და წარმოების საშუალებებს ანაწილებს წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის. მწარმოებლებს შეუძლიათ მიიღონ, ასე ვთქვათ, ქაღალდის მოწმობები, რითაც ისინი საზოგადოებრივი მოხმარების მარაგიდან წაიღებენ პროდუქტებს იმ რაოდენობით, რაც მათს სამუშაო დროს შეესაბამება. ეს მოწმობები არაა ფული. ისინი არ მიმოიქცევიან.

ამრიგად, რამდენადაც ფულადი კაპიტალის მოთხოვნილება სამუშაო პერიოდის ხანგრძლიობიდან გამომდინარეობს, იგი გაპირობებულია ორი გარემოებით. პ ი რ ვ ე ლ ი: ფული საერთოდ წარმოადგენს იმ ფორმას, რომლითაც უნდა გამოვიდეს ყოველი ინდივიდუალური კაპიტალი (კრედიტს ჩვენ მსედველობაში არ ვიღებთ), რათა მწარმოებლურ კაპიტალად გადაიქცეს; ეს გამომდინარეობს კაპიტალისტური წარმოების რაობიდან, საერთოდ საქონელწარმოებიდან. მ ე ო რ ე: საჭირო ფულადი ავანსის სიდიდე (და იმ ვადის ხანგრძლიობა, რა ვადითაც ფულადი თანხა ავანსად გაიღება) გაპირობებულია იმ გა-

რემოებით, რომ მეტნაკლებ ხანგრძლივი დროის განმავლობაში საზოგადოებას ყოველთვის გამოეთიშება სამუშაო ძალა და წარმოების საშუალებანი, ამასთან მთელი ამ ხნის განმავლობაში მას არ ეძლევა არავითარი პროდუქტი, რომლის ფულად გადაქცევაც შესაძლებელი იყოს. პირველი გარემოება, სახელდობრ, ის, რომ ავანსად გასაღები კაპიტალი ფულადი ფორმით უნდა გაიღონ ავანსად, არ ისპობა თვით ამ ფულის ფორმით, ე. ი. იმით, ლითონის ფულია იგი, საკრედიტო ფული თუ ღირებულების ნიშანი და სხვა. მეორე გარემოებაზე არავითარ გავლენას არ ახდენს ის, თუ რაგვარი ფულადი სახსრებით ან წარმოების რა ფორმის შეოხებით გამოეთიშება შრომა, საარსებო საშუალებანი და წარმოების საშუალებანი და წაიღება ისე, რომ მიმოქცევაში არავითარი ეკვივალენტი არ იქნება გადასროლილი.

თავი მეცხრამეტე[35]

წინანდელი წარმოდგენანი საგანზე

1. ფიზიოკრატები

კენე «Tableau économique»-ში [«ეკონომიურ ცხრილში»] რამდენიმე ფართო ხაზით გვიჩვენებს, თუ როგორ განაწილდება ეროვნული წარმოების წლიური პროდუქტი განსაზღვრული ღირებულებისა მიმოქცევის მეოხებით ისე, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, შესაძლებელი იყოს ამ პროდუქტის მარტივი კვლავწარმოება, ე. ი. კვლავწარმოება წინანდელი მასშტაბით. წარმოების პერიოდის ამოსავალ პუნქტს შეადგენს არსებითად უკანასკნელი წლის მოსავალი. მიმოქცევის უამრავი ინდივიდუალური აქტი თავიდანვე გაერთიანებულია მათს დამახასიათებელ-საზოგადოებრივ მასობრივ მოძრაობაში, — მიმოქცევაში საზოგადოების მსხვილ, ფუნქციურად განსაზღვრულ ეკონომიურ კლასებს შორის. ჩვენ აქ გვაინტერესებს შემდეგი: ერთობლივი პროდუქტის ერთი ნაწილი,—რაც ყოველი სხვა ნაწილის მსგავსად მოხმარების საგნის სახით წარსული წლის შრომის ახალ შედეგს წარმოადგენს, — იმავე დროს მხოლოდ ძველი კაპიტალღირებულების მატარებელია, რომელიც ხელახლა გვევლინება წინანდელი ნატურალური ფორმით. იგი არ მიმოიქცევა, არამედ მის მწარმოებელთა, ფერმერთა კლასის ხელში რჩება, რათა კაპიტალის სახით ხელახლა დაიწყოს იქ მოქმედება. წლიური პროდუქტის ამ ნაწილში, კენე ისეთ ელემენტებსაც ათავსებს, რომლებიც მუდმივ კაპიტალს არ მიეკუთვნებიან, მაგრამ იგი საგნის დედაარსს სწვდება თავისი ჰორიზონტის შეზღუდულობის მეოხებით; ამ ჰორიზონტისათვის მიწათმოქმედება ადამიანის შრომის გამოყენების იმ ერთადერთ სფეროს წარმოადგენს, რომელიც ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს, მაშასადამე, იგი, კაპიტალისტური თვალსაზრისის თანახმად, შრომის ერთადერთი ნამდვილად მწარმოებლური სფეროა. კვლავწარმოების ეკონომიური პროცესი, როგორიც უნდა იყოს მისი სპეციფიკურად საზოგადოებ-

[35] აქ იწყება ხელნაწერი VIII.

რივი ხასიათი, ამ დარგში (მიწათმოქმედებაში) ყოველთვის გადაეხლართება კვლავწარმოების ბუნებრივ პროცესს. ამ უკანასკნელის ცხადად დასანაცი პირობები შუქს ფენენ პირველის პირობებსაც და თავიდან გვაცილებენ აზრის იმ არევ-დარევას, რასაც მიმოქცევის მირაჟი იწვევს.

სისტემის ეტიკეტი განსხვავდება სხვა საქონელთა ეტიკეტისგან, სხვათა შორის, მით, რომ იგი არა მარტო მყიდველს ატყუებს, არამედ — ზშირად გამყიდველსაც. თვით კენეს და მის ყველაზე მახლობელ მოწაფეებს სწამდათ თავიანთი ფეოდალური აბრა, ისე როგორც დღესაც სწამთ იგი ჩვენს სასკოლო მეცნიერებს. სინამდვილეში კი ფიზიოკრატიული სისტემა კაპიტალისტური წარმოების პირველ სისტემატურ კონცეფციას წარმოადგენს. სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენელი — ფერმერთა კლასი — ხელმძღვანელობს მთელ ეკონომიურ მოძრაობას. მიწათმოქმედება წარიმართება კაპიტალისტურად, ე. ი. როგორც კაპიტალისტური ფერმერის მსავილი საწარმო; მიწის უშუალო დამმუშავებელია დაქირავებული მუშა. წარმოება ქმნის არა მარტო მოხმარების საგნებს, არამედ მათ ღირებულებასაც; მაგრამ წარმოების მამოძრავებელი მოტივია ზედმეტი ღირებულების მიღება, რომლის დაბადების ადგილს წარმოადგენს წარმოების სფერო და არა მიმოქცევის სფერო. იმ სამი კლასიდან, რომელნიც მიმოქცევათა მოსაშუალეობით განხორციელებული საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესს ნატარებლად გამოდიან, «მწარმოებლური» შრომის უშუალო ექსპლოატატორი, ზედმეტი ღირებულების მწარმოებელი, კაპიტალისტური ფერმერი, განსხვავდება ამ ზედმეტი ღირებულების უბრალო მიმთვისებელისაგან.

ფიზიოკრატიული სისტემის კაპიტალისტურმა ხასიათმა უკვე მისი აყვავების პერიოდში გამოიწვია ოპოზიცია, ერთი მხრივ, ლენგესი და მაბლისა და, მეორე მხრივ, წვრილი თავისუფალი მიწათმფლობელობის დამცველებისა.

ა. სმიტმა კვლავწარმოების პროცესის ანალიზში უკან გადადგა ნაბიჯი[36], და ეს მით უფრო გვეცემა თვალში, რომ იგი დანარჩენში არათუ შემდგომ ავითარებს კენეს სწორ ანალიზს, მაგალითად, აზოგადებს მის «avances primitives»-ს [თავდაპირველ ავანსებს] და «avances annuelles»-ს [ყოველწლიურ ავანსებს] «ძირითად» და «საბრუნავ»

[36] «კაპიტალი», ტომი I, მე-2 გამოც. გვ. 612, შენიშ. 32 [კ. მ ა რ ქ ს ი: «კაპიტალი», ტ. I, ქართ. გამოც. 1954 წ., გვ. 745, შენ. 32].

კაპიტალად [37], არამედ ალაგ-ალაგ სავსებით ფიზიოკრატიულ შეცდომებში ვარდება. იმ მიზნით, რომ დაამტკიცოს, მაგალითად, ფერმერი მეტ ღირებულებას აწარმოებს, ვიდრე რომელიმე სხვა ჯურის კაპიტალისტი, იგი ამბობს: «ტოლი სიდიდის არც ერთ სხვა კაპიტალს არ მოჰყავს მოძრაობაში მწარმოებლური შრომის უფრო დიდი რაოდენობა, ვიდრე ფერმერის კაპიტალს. არათუ მისი მუშა-მოჯამაგირენი, არამედ მისი მუშა-პირუტყვიც მწარმოებელი მომუშავეებისაგან შედგება». (სასიამოვნო ქათინაურია მუშა-მოჯამაგირისათვის!) «გარდა ამისა მიწათმოქმედებაში ბუნებაც მ უ შ ა ო ბ ს ადამიანთან ერთად; და თუმცა ბ უ ნ ე ბ ი ს მ უ შ ა ო ბ ა ა რ ა ვ ი თ ა რ ხ ა რ ჯ ებ ს ა რ ი წ ვ ე ვ ს, მაგრამ მის პროდუქტს მაინც აქვს თავისი ღ ი რ ე ბ უ ლ ებ ა ს წ ო რ ე დ ი ს ე, რ ო გ ო რ ც უ ა ღ რ ე ს ა დ ძ ვ ი რ ი მ უ შ ებ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ს. მიწათმოქმედების უმნიშვნელოვანეს ოპერაციებს, თითქოს, მიზნად აქვთ არა იმდენად ბუნების ნაყოფიერების გადიდება, — თუმცა ეს ოპერაციები ამასაც აკეთებენ, — რამდენადაც ამ ნაყოფიერების წარმართვა ადამიანისათვის უაღრესად სასარგებლო მცენარეების წარმოებისაკენ. კვრინჩხნარით და ჯაგნარით მოცული მინდორი ხშირად მცენარეულობის იმდენსავე რაოდენობას იძლევა, რამდენსაც საუკეთესოდ დამუშავებული ვენახი ან პურის ყანა. მცენარეების დარგვა და დამუშავება მოქმედებს უფრო ბუნების აქტიური ნაყოფიერების რეგულირებაზე, ვიდრე ამ ნაყოფიერების გაცხოველებაზე; მას შემდეგ, რაც ყველა ეს სამუშაო დამთავრებულია, ბუნების წილად კიდევ დიდი სამუშაო რჩება. ამრიგად, მიწათმოქმედებაში დასაქმებული მუშები და მუშა-პირუტყვი (!), მანუფაქტურის მუშების მსგავსად, არა მარტო ისეთი ღირებულების კვლავწარმოებას ახორციელებენ, რომელიც უდრის მათს საკუთარ მოხმარებასა და მათ გამომყენებელ კაპიტალს კაპიტალისტის მოგებითურთ, არამედ გაცილებით უფრო მეტსაც. ფერმერის კაპიტალსა და მთელ მის მოგებაზე ზედმეტად ისინი რეგულარულად ახორციელებენ კიდევ მიწათმფლობელის რენტის კვლავწარმოებას. ეს რენტა შეიძლება განვიხილოთ როგორც ბუნების იმ ძალების პროდუქტი, რომლებით სარგებლობასაც

[37] აქაც მას ზოგიერთმა ფიზიოკრატმა, უწინარეს ყოვლისა ტიურგომ, გაუკაფა გზა. ეს უკანასკნელი უკვე უფრო ხშირად, ვიდრე კენე და სხვა ფიზიოკრატები, ხმარობს სიტყვა «კაპიტალს» «avances»-ს ნაცვლად და კიდევ უფრო აიგივებს მანუფაქტურისტებისა და ფერმერების avances-სა და capitaux-ს. მაგალითად: «ამ უკანასკნელთა (მეწარმე მანუფაქტურისტების) მსგავსად, ისინი (les fermiers, ე. ი. კაპიტალისტური ფერმერები) უნდა იღებდნენ მათი კაპიტალების უკუდაბრუნების გარდა და სხვ.». (T u r g o t: «Oeuvres», გამ. Daire, პარიზი 1844, ტ. I, გვ. 40).

მიწათმფლობელი ფერმერს უთმობს. რენტა მეტი ან ნაკლებია იმის მიხედვით, თუ ამ ძალთა რა სიდიდეა ნაგულისხმევი, სხვა სიტყვებით, — ნიადაგის ნაგულისხმევი, ბუნებრივი ან ხელოვნურად გამოწვეული ნაყოფიერების მიხედვით. იგი ბუნების პროდუქტია, რომელიც რჩება ყოველივე იმის გამოკლების ან ანაზღაურების შემდეგ, რაც ადამიანის ხელით შექმნილად შეიძლება მივიჩნიოთ. იგი იშვიათადაა ერთობლივი პროდუქტის მეოთხედზე ნაკლები და ხშირად მის მესამედზე მეტია. მანუფაქტურაში გამოყენებული მწარმოებლური შრომის ასეთსავე რაოდენობას არასოდეს არ შეუძლია ესოდენ დიდი კვლავწარმოების მოცემა. მანუფაქტურაში ბუნება არას აკეთებს, ადამიანი კი — ყველაფერს; და კვლავწარმოება ყოველთვის უნდა იყოს მისი განმახორციელებელი მოქმედი ფაქტორების სიძლიერის პროპორციული. ამიტომ მიწათმოქმედებაში დაბანდებულ კაპიტალს არა მარტო მწარმოებლური შრომის უფრო დიდი რაოდენობა მოჰყავს მოძრაობაში, ვიდრე მანუფაქტურაში გამოყენებულ სხვა რომელიმე ტოლი რაოდენობის კაპიტალს, არამედ იგი მის მიერ გამოყენებული მწარმოებლური შრომის რაოდენობასთან შეფარდებით ამა თუ იმ ქვეყნის მიწისა და შრომის წლიურ პროდუქტს, მის მცხოვრებთა ნამდვილ სიმდიდრესა და შემოსავალს გაცილებით მეტ ღირებულებას მატებს ვიდრე მანუფაქტურაში გამოყენებული კაპიტალი» (წიგნი II, თავი 5, გვ. 242).

ა. სმიტი II წიგნის 1 თავში ამბობს: «თესლის მთელი ღირებულებაც, სწორად რომ ვთქვათ, ძირითად კაპიტალს შეადგენს». მაშასადამე, აქ კაპიტალი—კაპიტალღირებულებას; იგი არსებობს «ძირითად» ფორმაში. «თესლი, თუმცა» მინდორსა და ბეღელს შორის მიდი-მოდის, მაინც არასოდეს არ იცვლის მეპატრონეს და ამიტომ არ მიმოიქცევა ნამდვილად. ფერმერი თავის მოგებას იღებს არა მისი გაყიდვის გზით, არამედ «მისი მინამატის გზით» (გვ. 186). სმიტის შეზღუდულობა აქ იმაშია, რომ იგი ვერ ხედავს იმას, რასაც უკვე ჯენე ხედავდა — მუდმივი კაპიტალის ღირებულების განმეორებით გამოცხადებას განახლებულ ფორმაში, მაშასადამე, ვერ ხედავს კვლავწარმოების პროცესის მნიშვნელოვან მომენტს; იგი ხედავს მხოლოდ ზედმეტ ილუსტრაციას — და ამასთან მცდარს — მის მიერ დამყარებული განსხვავებისთვის საბრუნავსა და ძირითად კაპიტალს შორის. — როცა სმიტი «avances primitives»-ს და «avances annuelles»-ს «fixed capital»-ად და «circulating capital»-ად თარგმნის, იგი ნაბიჯს დგამს წინ სიტყვა «კაპიტალის» ხმარებაში; ამ ცნებას იგი აზოგადებს, დამოუკიდებელს ხდის მას «სამიწათმოქმედო» გამოყენების სფეროსადმი იმ განსაკუთ-

რებული ყურადღებისავან, რაც დამახასიათებელია ფიზიოკრატებისათვის; მაგრამ იგი ნაბიჯს უკან დგამს, როცა «ძირითადსა» და «საბრუნავ» კაპიტალს შორის არსებულ განსხვავებას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს და ამ აზრს მტკიცედ იცავს.

II. ადამ სმიტი

1) სმიტის ზოგადი დებულებანი

ა. სმიტი I წიგნის 6 თავში, 42 გვერდზე ამბობს: «ყოველ საზოგადოებაში თვითეული საქონლის ფასი ამ სამი ნაწილიდან (იელფასი, მოგება, მიწის რენტა) ბოლოს და ბოლოს დაიშლება ერთ-ერთ ან ყველა ამ სამ ნაწილად; და ყოველ განვითარებულ საზოგადოებაში სამივე ეს ნაწილი, მეტად თუ ნაკლებად შედის საქონელთა დიდძალი უმრავლესობის ფასში[38]; ან, როგორც ეს ქვემოთ არის ნათქვამი (გვ. 63): «ხელფასი, მოგება და მიწის რენტა სამი თავდაპირველი წყაროა ყოველი შემოსავლის, ისევე როგორც ყოველი საცვლელი ღირებულებისა». ქვემოთ ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ა. სმიტის მოძღვრებას «საქონელთა ფასის» ანუ, შესაბამისად, «ყოველი საცვლელი ღირებულების შემადგენელი ნაწილების» წესაებ. — წემდეგ ნათქვამია: «თუ ეს მართებულია ყოველი განსაკუთრებული, ცალკე აღებული საქონლის მიმართ, იგი მართებული უნდა იყოს იმ საქონელთა ერთობლიობის მიმართაც, რომელნიც შეადგენენ თვითეული ქვეყნის მიწისა და შრომის მთელ წლიურ პროდუქტს. ამ წლიური პროდუქტის ერთობლივი ფასი ანუ საცვლელი ღირებულება უნდა დაიშალოს იმავე სამ ნაწილად, და განაწილდეს ქვეყნის სხვადასხვა მცხოვრებთა შორის ან როგორც ხელფასი მათი შრომისათვის, ან როგორც მათი კაპიტალის მოგება, ან როგორც მათი მიწათმფლობელობის «რენტა» (წიგნი II, თავი 2, გვ. 190).

---

[38] რათა მკითხველი შეცდომაში არ შეიყვანოს ფრაზამ «საქონელთა დიდძალი უმრავლესობის ფასში», აღვნიშნავთ შემდეგ ადგილს, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ განმარტავს თვით სმიტი ამ გამოთქმას: მაგალითად, ზღვის თევზის ფასში არ შედის რენტა, მასში შედის მხოლოდ ხელფასი და მოგება; scotch pebbles-ის [შოტლანდიის კენჭების] ფასში შედის მხოლოდ ხელფასი, სახელდობრ: «შოტლანდიის ზოგიერთ ნაწილში ღარიბი ადამიანები საქმეს იმით იქმნიან, რომ ზღვის პირას აგროვებენ ჭრელ კენჭებს, რომლებიც შოტლანდიის კენჭების სახელწოდებითაა ცნობილი. ფასი, რომელსაც მათ ქვის მთლელები ამ კენჭებში აძლევენ, მხოლოდ მათი ხელფასისგან შედგება, რადგან არც მიწის რენტა და არც მოგება ამ ფასის არავითარ ნაწილს არ შეადგენს».

მას შემდეგ, რაც ა. სმიტმა ამგვარად ყველა, ცალ-ცალკე აღებული, საქონლის ფასი, ისე როგორც «თვითეული ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის... მთელი ფასი ანუ საცვლელი ღირებულება» დაქირავებული მუშის, კაპიტალისტის და მიწის მესაკუთრის შემოსავალთა სამ წყაროდ — ხელფასად, მოგებად და მიწის რენტად დაშალა, მას მაინც დასჭირდა კონტრაბანდული გზით მეოთხე ელემენტის, სახელდობრ კაპიტალის ელემენტის, ჩართვა. ეს ხდება მთლიან და წმინდა შემოსავალს შორის განსავავების დამყარების გზით: «ამა თუ იმ დიდი ქვეყნის ყველა მცხოვრებთა ბ რ უ ტ ო შემოსავალი [მთლიანი შემოსავალი] შეიცავს მათი მიწისა და შრომის ე რ თ ო ბ ლ ი ვ წ ლ ი უ რ პ რ ო დ უ ქ ტ ს; ნეტო შემოსავალი [წმინდა შემოსავალი] — იმ ნაწილს, რომელიც მათ განკარგულებაში რჩება, ჯერ-ერთი, მათი ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს და, მეორე, მათი ს ა ბ რ უ ნ ა ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს შ ე ნ ა ხ ვ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი ს გ ა მ ო კ ლ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ; ანუ იმ ნაწილს, რომელიც მათ, მათი კაპიტალის ხელშეუყარებლად, შეუძლიათ თავიანთ მოხმარების მარაგს მიაკუთვნონ, ანდა დაიარჯონ თავის შესანაიად, თავის კომფორტისა და სიამოვნებისთვის. მათი ნამდვილი სიმდიდრე აგრეთვე არა მათი ბრუტო შემოსავლის, არამედ მათი ნეტო შემოსავლის პროპორციულია» (იქვე, გვ. 190).

ამაზე ჩვენ შევნიშნავთ:

1) ა. სმიტი აქ არკვევს უეჭველად მაოლოდ მარტივ კვლავწარმოებას და არა გაფართოებული მასშტაბით კვლავწარმოებას, ანუ დაგროვებას. იგი ლაპარაკობს მაოლოდ მოქმედი კაპიტალის შესანაი ხარჯებზე (maintaining). «წმინდა» შემოსავალი უდრის — საზოგადოების, გინდ ინდივიდუალური კაპიტალისტის — წლიური პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება «მოხმარების ფონდში» შევიდეს, მაგრამ ამ ფონდის მოცულობა ხელშეუხებლად უნდა ტოვებდეს მოქმედ კაპიტალს (encroach upon capital). მაშასადამე, როგორც საზოგადოებრივი, ისე ინდივიდუალური პროდუქტის ნაწილი არ დაიშლება არც ხელფასად, არც მოგებად ან მიწის რენტად, იგი დაიშლება კაპიტალად.

2) ა. სმიტი თავის საკუთარ თეორიას გაურბის სიტყვების თამაშის საშუალებით, იმით, რომ განსხვავებას ამყარებს gross და net revenue-ს შორის, მთლიანსა და წმინდა შემოსავალს შორის. ინდივიდუალური კაპიტალისტი, ისე როგორც კაპიტალისტთა მთელი კლასი, ანუ ეგრეთწოდებული ერი, წარმოებაში დაიარჯული კაპიტალის სამაგიეროდ იღებს საქონლურ პროდუქტს. ამ პროდუქტის ღირებულე-

ბა, — რომელიც შეიძლება გამოვხატოთ თვით ამ პროდუქტის პროპორციული ნაწილებით, — ერთი მხრივ, ანაზღაურებს დახარჯულ კაპიტალღირებულებას, მაშასადამე, შეადგენს შემოსავალს ანუ, სიტყვასიტყვით, revenue-ს (revenue მიმღეობაა სიტყვისა revenir, რაც ნიშნავს ხელახლა დაბრუნებას), მაგრამ, nota bene, შეადგენს Capital—Revenue-ს, ანუ კაპიტალ-შემოსავალს. მეორე მხრივ, ამ საქონლური პროდუქტის ღირებულების შემადგენელი ნაწილები, რომლებიც «განაწილდება ქვეყნის სხვადასხვა მცხოვრებთ შორის ან როგორც ხელფასი მათი შრომისთვის, ან როგორც მათი კაპიტალის მოგება, ან როგორც მათი მიწათმფლობელობის რენტა», შეადგენენ იმას, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივ შემოსავალი ეწოდება. ამიტომ მთელი პროდუქტის ღირებულება — ინდივიდუალური კაპიტალისაა იგი თუ მთელი ქვეყნისა — შეადგენს ვინმეს შემოსავალს; მაგრამ იგი შეადგენს, ერთი მხრივ, — კაპიტალ-შემოსავალს, მეორე მხრივ, — ამისგან განსხვავებულ «revenue»-ს. ამრიგად, ის, რაც განზე იყო დატოვებული საქონლის ღირებულების დაშლისას მის შემადგენელ ნაწილებად, ხელახლა შემოაქვთ უკანა კარებიდან, ორაზროვანი სიტყვა «revenue»-ს საშუალებით. მაგრამ «შემოსავლად მიღება» შეიძლება პროდუქტის მხოლოდ ისეთი შემადგენელი ნაწილების, რომლებიც მასში უკვე არსებობენ. იმისათვის, რომ კ ა პ ი ტ ა ლ ი შემოსავლის სახით შემოვიდეს, იგი წინასწარ უნდა დაიხარჯოს.

ა. სმიტი შემდეგ ამბობს: «მოგების მინიმალური ჩვეულებრივი ნორმა ყოველთვის რამდენადმე უნდა აღემატებოდეს იმას, რაც საკმარისია კაპიტალის ყოველგვარი გამოყენებისას მოსალოდნელი შემთხვევითი დანაკარგის ასანაზღაურებლად. მარტო ეს ნამეტია ის, რაც წმინდა ანუ ნეტო-მოგებას წარმოადგენს». (განა იქნება ისეთი კაპიტალისტი, რომელსაც მოგებად კაპიტალის აუცილებელი დანახარჯი ესმოდეს?). «იმაში, რასაც მთლიან მოგებას უწოდებენ, ხშირად შედის არა მარტო ეს ნამეტი, არამედ ასეთი არაჩვეულებრივი დანაკარგებისათვის შემონახული ნაწილიც» (წიგნი I, თავი 9, გვ. 72). მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მთლიანი მოგების ნაწილის სახით განხილული ზედმეტი ღირებულების ნაწილი წარმოების დაზღვევის ფონდს უნდა ქმნიდეს. ამ დაზღვევის ფონდს ქმნის ნაწილი ზედმეტი შრომისა, რომელიც ამ აზრით უშუალოდ აწარმოებს კაპიტალს, ე. ი. კვლავწარმოებისათვის განკუთვნილ ფონდს. რაც შეეხება ხარჯს ძირითადი კაპიტალისა და სხვ. «შესანახად» (იხ. ზემოთ ციტირებული ადგილები), — მოხმარებული ძირითადი კაპიტალის ანაზღაურება ახლით არ წარმოადგენს ახალ კაპიტალდაბანდებას; იგი ძველი კაპი-

ტალღირებულების მხოლოდ განახლებაა ახალი ფორმით. ხოლო რაც შეეხება ძირითადი კაპიტალის რემონტის ხარჯებს, რასაც ა. სმიტი ასევე შენახვის ხარჯებს მიაკუთვნებს, — ისინი შედიან ავანსებული კაპიტალის ფასში. ის, რომ კაპიტალისტს არ სჭირდება კაპიტალის ამ ნაწილის ერთბაშად მოთავსება საქმეში, რომ იგი მას კაპიტალის მოქმედების დროს ათავსებს საქმეში მხოლოდ თანდათანობით და საჭიროებისამებრ, და მას შეუძლია კიდეც უკვე ჩაჯიბული მოგება ამ მიზნისათვის გამოიყენოს, — ეს გარემოება სრულიად არ ცვლის ამ მოგების წყაროს. ღირებულების ის შემადგენელი ნაწილი, საიდანაც ეს მოგება მომდინარეობს, მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ მუშა ზედმეტ შრომას იძლევა როგორც დაზღვევის, ისე სარემონტო ფონდისთვისაც.

ა. სმიტი მოგვითხრობს შემდეგ, რომ წმინდა შემოსავლიდან, ე. ი. შემოსავლიდან ამ სიტყვის სპეციფიკური მნიშვნელობით, უნდა გამოირიცხოს მთელი ძირითადი კაპიტალი და აგრეთვე საბრუნავი კაპიტალის მთელი ის ნაწილი, რომელიც საჭიროა ძირითადი კაპიტალის შენახვისა და რემონტისათვის, ისევე როგორც მისი განახლებისათვის, — ე. ი. არსებითად უნდა გამოირიცხოს მთელი კაპიტალი, რომელიც არ იმყოფება მოხმარების ფონდისათვის განკუთვნილ ნატურალურ ფორმაში.

«ძირითადი კაპიტალის შესანახად გაწეული ყველა ხარჯი, ცხადია, უნდა გამოირიცხოს საზოგადოების წმინდა შემოსავლიდან. ამ შემოსავალში არასგზით არ შეიძლება შედიოდეს შემადგენელ ნაწილებად არც ნედლი მასალა, რაც საჭიროა სასარგებლო მანქანებისა და სამრეწველო იარაღების შესანარჩუნებლად სათანადო მდგომარეობაში... არც იმ შრომის პროდუქტი, რომელიც საჭიროა ამ ნედლი მასალისათვის სათანადო სახის მისაცემად. ამ შრომის ფ ა ს ი, რა თქმა უნდა, შეიძლება შეადგენდეს ამ შემოსავლის ნაწილს, რადგან ამ შრომაში დასაქმებულ მუშებს შეუძლიათ თავიანთი ხელფასის მთელი ღირებულება მოაქციონ იმ მარაგში, რომელიც მათი უშუალო მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. მაგრამ სხვა სახის შრომისათვის როგორც «ფ ა ს ი» (ე. ი. ამ შრომისთვის გადახდილი საფასური) «ი ს ე პ რ ო დ უ ქ ტ ი», (რომელშიაც ეს შრომაა განაორციელებული), «შედის ამ მოხმარების მარაგში! ფასი შედის მუშების მოხმარების მარაგში, პროდუქტი კი იმ სხვა ადამიანთა მოხმარების მარაგში, რომელთა არსებობა უმჯობესდება, კომფორტი და სიამოვნება იზრდება ამ მუშების შრომის მეოხებით» (წიგნი II, თავი 2, გვ. 190, 191).

ა. სმიტი აქაწყდება ფრიად მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოების საშუალებათა წარმოებაში დასაქმებულ მუშებსა და იმ მუშებს შორის, რომელნიც მოხმარების საშუალებათა უშუალო წარმოებაში არიან დასაქმებულნი. პირველი კატეგორიის მუშების საქონლური პროდუქტის ღირებულება შეიცავს შემადგენელ ნაწილს, რომელიც უდრის ხელფასთა ჯამს, ე. ი. კაპიტალის იმ ნაწილის ღირებულებას, რაც სამუშაო ძალის საყიდლადაა დაბარჯული; ღირებულების ეს ნაწილი არსებობს ფიზიკურად როგორც იმ წარმოების საშუალებათა გარკვეული ნაწილი, რომელნიც ამ მუშებმა აწარმოეს. მათ მიერ ხელფასის საით მიღებული ფული მათთვის შემოსავალს შეადგენს, მაგრამ მათს შრომას არც თვით მათთვის, არც სვეებისათვის, არ შეუქმნია ისეთი პროდუქტები, რომლებიც გამოსადეგი იყოს მოხმარებისათვის. მაშასადამე, თკით ეს პროდუქტები არ შეადგენენ წლიური პროდუქტის იმ ნაწილის ელემენტს, რომლის დანიშნულებაა მოგვცეს მოამარების საზოგადოებრივი ფონდი; მაოლოდ ამ ფონდითაა შესაძლებელი «წმინდა შემოსავლის» რეალიზაცია. ა. სმიტს ავიწყდება დაუმატოს, რომ აქ ხელფასის შესახებ ნათქვამი თანაბრად შეეხება წარმოების საშუალებათა ღირებულების იმ შემადგენელ ნაწილსაც, რომელიც როგორც ზედმეტი ღირებულება მოგებისა და რენტის კატეგორიების სახით მრეწველი კაპიტალისტის (პირველ რიგში) შემოსავალს შეადგენს. ღირებულების ეს ზემადგენელი ნაწილებიც მოხმარებისათვის გამოუსადეგი წარმოების საშუალებათა საით არსებობენ; მაოლოდ იმის შემდეგ, როცა ისინი ფულად გადაიქცევიან, შეუძლიათ მათ ასწიონ თავიანთი ფასის შესაბამისი რაოდენობა მოხმარების იმ საშუალებათა, რომლებიც წარმოებულია მეორე კატეგორიის მუშების მიერ, და გადაიტანონ იგი ამ წარმოების საშუალებათა მფლობელების ინდივიდუალური მოხმარების ფონდში. მაგრამ ა. სმიტს მით უფრო მართებდა გარკვეულიყო იმაში, რომ წარმოების იმ საშუალებათა ღირებულების ნაწილი, რომლებიც ყოველწლიურად იწარმოება, ნაწილი, რომელიც უდრის წარმოების ამ სფეროში მოქმედ საწარმოო საშუალებათა ღირებულებას, — ე. ი. უდრის წარმოების იმ საშუალებათა ღირებულებას, რომლებითაც წარმოების საშუალებანი მზადდება, — მაშასადამე ღირებულების ნაწილი, რომელიც უდრის აქ გამოყენებული მუდმივი კაპიტალის ღირებულებას, აბსოლუტურად შეუძლებელია წარმოადგენდეს შემოსავლის შემქმნელი ღირებულების შემადგენელ ნაწილს, — შეუძლებელია არა მარტო იმ ნატურალური ფორმის გამო, რომლითაც ეს ნაწილი არსებობს, არამედ იმის გამოც, რომ იგი კაპიტალის სახით მოქმედებს.

მეორე კატეგორიის მუშების მიმართ, ე. ი. იმათ მიმართ, რომელნიც უშუალოდ მოხმარების საშუალებებს აწარმოებენ, ა. სმიტის განსაზღვრანი არაა საკმაოთ ზუსტი. იგი ამბობს, სახელდობრ, რომ ასეთი სახის შრომის დარგებში უშუალო მოხმარების ფონდში შედის (go to) შრომის ფასიც და პროდუქტიც: «ფ ა ს ი (ე. ი. ხელფასის სახით მიღებული ფული) — მ უ შ ე ბ ი ს მოხმარების ფონდში, და პ რ ო დ უ ქ ტ ი — ს ხ ვ ა ა დ ა მ ი ა ნ თ ა) (that of other people) მოხმარების ფონდში, რომელთა არსებობა უმჯობესდება, კომფორტი და სიამოვნება იზრდება ამ მუშების შრომის მეოხებით». მაგრამ მუშას არ შეუძლია არსებობა თავისი შრომის «ფ ა ს ი თ», ფულით, რომლითაც მას მისი ხელფასი ეძლევა; იგი ამ ფულის რეალიზაციას ახდენს, როცა ამით მოხმარების საშუალებებს ყიდულობს; ეს უკანასკნელნი შეიძლება ნაწილობრივ იმ სახის საქონელთაგან შედგებოდეს, რომელნიც თვით მუშამ აწარმოვა.. მეორე მხრივ, მისი საკუთარი პროდუქტი შეიძლება ისეთი იყოს, რომ იგი მხოლოდ შრომის ექსპლოატატორთა მოხმარებაში შედიოდეს.

მას შემდეგ, რაც ა. სმიტმა ძირითადი კაპიტალი ასე მთლად გამორიცხა ქვეყნის «netto revenue»-დან [«წმინდა შემოსავლიდან»], იგი განაგრძობს:

«თუმცა, ამრიგად, ძირითადი კაპიტალის შენახვის ყველა დანახარჯი აუცილებლად გამოირიცხება საზოგადოების წმინდა შემოსავლიდან, მაგრამ არ შეიძლება ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდეს ადგილი საბრუნავი კაპიტალის შესანახი ხარჯების მიმართ. იმ ოთხი ნაწილიდან, რომლებიც საბრუნავ კაპიტალს შეადგენენ: ფული, საარსებო საშუალებანი, ნედლი მასალა და მზა პროდუქტები, უკანასკნელი სამი ნაწილი, როგორც უკვე ითქვა, რეგულარულად ამოიღება იქიდან და გადაიტანება ან საზოგადოების ძირითად კაპიტალში, ანდა უშუალო მოხმარებისთვის განკუთვნილ მარაგში. მოხმარებისათვის გამოსადეგი საგნების ის ნაწილი, რომელიც პირველის» {ძირითადი კაპიტალის} «შესანახად არ გამოიყენება, მთლად მიდის უკანასკნელში» {უშუალო მოხმარებისათვის განკუთვნილ მარაგში} «და შეადგენს საზოგადოების წმინდა შემოსავლის ნაწილს. ამიტომ საბრუნავი კაპიტალის ამ სამი ნაწილის შენახვას საზოგადოების წმინდა შემოსავლიდან არ მიაქვს წლიური პროდუქტის არავითარი ნაწილი, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც აუცილებელია ძირითადი კაპიტალის შესავსებად და ასანაზღაურებლად» (წიგნი II, თავი 2, გვ. 192).

თქმა იმისა, რომ საბრუნავი კაპიტალის ნაწილი, რაც წარმოების საშუალებათა წარმოებას არ ემსახურება, მოხმარების საშუალე-

ბათა წარმოებაში, ე. ი. წლიური პროდუქტის იმ ნაწილში შედის, რომელიც საზოგადოების მოამარების ფონდის შესადგენად არის განკუთვნილი, — ეს მაოლოდ ტავტოლოგიაა. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რაც უშუალოდ ამას მოსდევს:

«საზოგადოების საბრუნავი კაპიტალი ამ მხრივ განსხვავდება ცალკეული პიროვნების საბრუნავი კაპიტალისაგან. ცალკეული პიროვნების საბრუნავი კაპიტალი მთლიანად გამორიცხულია მისი წმინდა შემოსავლიდან და არასოდეს არ შეიძლება ამ უკანასკნელის ნაწილს შეადგენდეს; ცალკეული პიროვნების წმინდა შემოსავალი მხოლოდ და მაოლოდ მისი მოგებისაგან შეიძლება შედგებოდეს. მაგრამ თუმცა ყოველი ცალკეული პიროვნების საბრუნავი კაპიტალი იმ საზოგადოების საბრუნავი კაპიტალის ნაწილს შეადგენს, რომელსაც ეს პიროვნება ეკუთვნის, მაგრამ ამის გამო სულაც არაა აუცილებლად გამორიცხული კაპიტალისათვის იმის შესაძლებლობა, რომ იგი საზოგადოების წმინდა შემოსავლის ნაწილს შეადგენდეს. თუმცა ყველა ის საქონელი, რაც წვრილი ვაჭრის დუქანში აწყვია, სრულიადაც არ შეიძლება მიეკუთვნოს ამ ვაჭრის საკუთარ, უშუალო მოამარებისთვის განკუთვნილ მარაგს, მაგრამ ყველა ეს საქონელი მაინც შეიძლება ეკუთვნოდეს სხვა ადამიანთა მოხმარების ფონდს, რომელნიც სავა წყაროებიდან მიღებული შემოსავლით რეგულარულად უნაზღაურებენ ვაჭარს მის საქონელთა ღირებულებას მოგებითურთ, და უნაზღაურებენ ისე, რომ ეს არ იწვევს არც ვაჭრის კაპიტალისა და არც მათი კაპიტალის შემცირებას» (იქვე).

ამრიგად, აქედან გამომდინარეობს:

1) როგორც ძირითადი კაპიტალი და მისი კვლავწარმოებისა (ფუნქციას იგი ივიწყებს) და შენახვისთვის აუცილებელი საბრუნავი კაპიტალი, ისე მოხმარების საშუალებათა წარმოებაში მოქმედი საბრუნავი კაპიტალიც თვითეული ინდივიდუალური კაპიტალისტისა მთლიანად გამორიცაულია მ ი ს ი წმინდა შემოსავლიდან, რომელიც მხოლოდ მის მოგებათაგან შეიძლება შედგებოდეს. მაშასადამე, მისი საქონლური პროდუქტის ნაწილი, რომელიც მისი კაპიტალის ამნაზღაურებელია, არ შეიძლება დაიშალოს ღირებულების შემადგენელ ნაწილებად, რომლებიც მისთვის შემოსავალს შეადგენენ.

2) თვითეული ინდივიდუალური კაპიტალისტის საბრუნავი კაპიტალი შეადგენს საზოგადოების საბრუნავი კაპიტალის ნაწილს, სავსებით ისევე როგორც თვითეული ინდივიდუალური ძირითადი კაპიტალიც.

3) საზოგადოების საბრუნავ კაპიტალს, თუმცა იგი მხოლოდ ინდივიდუალური საბრუნავი კაპიტალების ჯამს წარმოადგენს, აქვს განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც მას განასხვავებს თვითეული ინდივიდუალური კაპიტალისტის საბრუნავი კაპიტალისაგან. უკანასკნელი ვერასოდეს ვერ შეადგენს ინდივიდუალური კაპიტალისტის შემოსავლის ნაწილს; პირველის ნაწილი (სახელდობრ, რომელიც მოხმარების საშუალებათაგან შედგება), პირიქით, შეიძლება იმავე დროს საზოგადოების შემოსავლის ნაწილსაც შეადგენდეს, ანუ, როგორც ა. სმიტი ამბობდა წინათ, აუცილებელი არაა, რომ კაპიტალის ეს ნაწილი საზოგადოების წმინდა შემოსავალს ამცირებდეს წლიური პროდუქტის ნაწილის ოდენობით. სინამდვილეში ის, რასაც ა. სმიტი აქ საბრუნავ კაპიტალს უწოდებს, შედგება ყოველწლიურად წარმოებული საქონლური კაპიტალისგან, რომელსაც მოხმარების საშუალებათა მწარმოებელი კაპიტალისტები ყოველწლიურად მიმოქცევაში გადაისვრიან. მთელი ეს მათი წლიური საქონლური პროდუქტი მოხმარებისათვის გამოსადეგი საგნებისგან შედგება და ამიტომ შეადგენს ფონდს, რომელშიაც რეალიზაციას პოულობს ანუ რომელზედაც იხარჯება საზოგადოების წმინდა შემოსავალი (ხელფასის ჩათვლით). წვრილი ვაჭრის დუქანში დაწყობილი საქონლის ნაცვლად ა. სმიტს მაგალითისათვის უნდა აეღო მრეწველი კაპიტალისტების საწყობებში დაწყობილი საქონელთა მასები.

ა. სმიტს რომ ერთ მთლიან შეხედულებად ჩამოეყალიბებინა ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრები, რომელნიც მას ეკვიატებოდნენ წინათ იმ კაპიტალის კვლავწარმოების განხილვისას, რომელსაც იგი ძირითად კაპიტალს უწოდებს, და ახლა იმ კაპიტალის კვლავწარმოების განხილვისას, რომელსაც საბრუნავ კაპიტალს უწოდებს, — იგი შემდეგ შედეგამდე მივიდოდა:

I. საზოგადოებრივი წლიური პროდუქტი ორი განყოფილებისგან შედგება: პირველი მოიცავს წარმოების საშუალებებს, მეორე — მოხმარების საშუალებებს; ეს ორი განყოფილება ცალცალკეა განსახილველი.

II. წლიური პროდუქტის იმ ნაწილის ერთობლივი ღირებულება, რომელიც წარმოების საშუალებებისგან შედგება, შემდეგნაირად განაწილდება: ღირებულების ერთი ნაწილი წარმოადგენს მთლოდ წარმოების იმ საშუალებათა ღირებულებას, რომლებიც წარმოების ამ საშუალებებზე დაიხარჯა, მაშასადამე, ეს არის კაპიტალ-ღირებულება, რომელიც კვლავ გვევლინება გაპაალებული ფორმით; მეორე ნაწილი უდრის სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალის ღი-

რებულებას, ე. ი. იმ ხელფასის ჯამს, რაც გაცემულია წარმოების ამ სფეროს კაპიტალისტების მიერ. დასასრულ, ღირებულების მესამე ნაწილი შეადგენს ამ კატეგორიის მრეწველი კაპიტალისტების მოგებათა — მიწის რენტის ჩათვლით — წყაროს.

პირველი შემადგენელი ნაწილი, — ა. სმიტის თანახმად, ყველა ამ პირველ ქვედანაყოფში მოქმედი ყველა ინდივიდუალური კაპიტალის კვლავწარმოებული ძირითადი ნაწილი, — «ცხადია, გამოირიცხება და ვერასოდეს ვერ შეადგენს წმინდა შემოსავლის ნაწილს», ინდივიდუალური კაპიტალისტისაა ეს შემოსავალი თუ საზოგადოების. იგი მუდამ მოქმედებს როგორც კაპიტალი და არასოდეს — როგორც შემოსავალი. ამ მარივ თვითეული ინდივიდუალური კაპიტალისტის «ძირითადი კაპიტალი» არაფრით არ განსხვავდება საზოგადოების ძირითადი კაპიტალისგან. მაგრამ სხვა ნაწილები საზოგადოების წლიური პროდუქტისა, რომელიც წარმოების საშუალებებისგან შედგება, — ღირებულების ნაწილები, რომლებიც, მაშასადამე, წარმოების ამ საშუალებათა ერთობლივი მასის ჯერადი ნაწილების სახით არსებობენ, — მართალია, იმავე დროს შეადგენს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ს ა მ წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ყ ვ ე ლ ა ა გ ე ნ ტ ი ს ა თ ვ ი ს: ხელფასს მუშებისთვის, მოგებას და რენტას კაპიტალისტებისთვის. მაგრამ ეს ნაწილები ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს შეადგენს არა შემოსავალს, არამედ კაპიტალს, თუმცა საზოგადოების წლიური პროდუქტი მხოლოდ იმ ინდივიდუალურ კაპიტალისტთა პროდუქტების ჯამია, რომელნიც ამ საზოგადოებას ეკუთვნიან. ამ ნაწილებს მეტწილად უკვე თავიანთი ბუნების მიხედვით მოქმედება შეუძლიათ მხოლოდ წარმოების საშუალებათა სახით, და იმათგან ისინიც კი, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ მოხმარების საშუალებათა სახით ემოქმედნათ, იმისათვის არიან განკუთვნილნი, რომ ნედლ ან დამხმარე მასალად იქნენ გამოყენებული ახალ წარმოებაში. ისინი მოქმედებენ როგორც ასეთი, მაშასადამე, როგორც კაპიტალი, — მაგრამ არა მათ მწარმოებელთა ხელში, არამედ, მათ გამომყენებელთა ხელში, სახელდობრ:

III. მეორე ქვედანაყოფის კაპიტალისტთა, მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა უშუალო მწარმოებელთა ხელში. ისინი ამ კაპიტალისტებს უნაზღაურებენ მოხმარების საშუალებათა წარმოებაზე გამოყენებულ კაპიტალს, რამდენადაც ეს კაპიტალი არ გარდაიქმნება სამუშაო ძალად, ე. ი. რამდენადაც იგი არ წარმოადგენს ამ მეორე ქვედანაყოფის (მუშათა ხელფასის ჯამს). ეს მოხმარებული კაპიტალი კი, რომელიც ახლა საარსებო საშუალებათა სახით მათს მწარმოებელ

კაპიტალისტთა ხელში იმყოფება, თავის მხრივ, — საზოგადოებრივი თვალსაზრისით, — შეადგენს მოხმარების ფონდს, რომელშიც პირველი ქვედანაყოფის კაპიტალისტები და მუშები თავიანთი შემოსავლის რეალიზაციას ახდენენ.

ა. სმიტს რომ ამ ზომამდე განეგრძო ანალიზი, მას მხოლოდ ცოტაღა დააკლდებოდა იმისათვის, რომ მთელი პრობლემა გადაეწყვიტა. იგი არსებითად სულ ახლოს იყო საკითხის ახსნასთან, რადგან მან უკვე შეამჩნია, რომ ღირებულების განსაზღვრული ნაწილები ერთი სახის (წარმოების საშუალებანი) საქონლური კაპიტალებისა, რომლებისგანაც საზოგადოების წლიური ერთობლივი პროდუქტი შედგება, თუმცა შემოსავალს შეადგენს მათს წარმოებაში ჩაბმული ინდივიდუალური მუშებისა და კაპიტალისტებისთვის, მაგრამ არ შეადგენს საზოგადოების შემოსავლის შემადგენელ ნაწილს; მაშინ როდესაც სხვა სახის (საარსებო საშუალებანი) ღირებულების ნაწილი თუმცა კაპიტალღირებულებას შეადგენს ამ ნაწილის ინდივიდუალური მესაკუთრეებისათვის, — კაპიტალისტებისათვის, რომელნიც კაპიტალის დაბანდების ამ სფეროში მოსაქმეობენ, — მაგრამ მაინც საზოგადოებრივი შემოსავლის მხოლოდ ნაწილს შეადგენს.

მაგრამ ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარეობს შემდეგი:

პირველი: თუმცა საზოგადოებრივი კაპიტალი ინდივიდუალური კაპიტალების ჯამს უდრის მხოლოდ და, მაშასადამე, საზოგადოების წლიური საქონლური პროდუქტიც (ანუ საქონლური კაპიტალი) ამ ინდივიდუალური კაპიტალების საქონლური პროდუქტების ჯამს უდრის; თუმცა, ამიტომ, საქონლის ღირებულების დაშლა მის შემადგენელ ნაწილებად, რაც სწორია ყოველი ინდივიდუალური საქონლური კაპიტალისთვის, სწორი არ უნდა იყოს და ‹ საბოლოო ანგარიშით მართლაც სწორია › მთელი საზოგადოების საქონლური კაპიტალისთვისაც, მაგრამ მაინც გამოვლინების ის ფორმა, რომლითაც ეს შემადგენელი ნაწილები გვევლინებიან ინდივიდუალური კაპიტალისტის თვალსაზრისით, განსხვავებულია გამოვლინების იმ ფორმისაგან, რომლითაც ისინი გვევლინებიან კვლავწარმოების ერთობლივ საზოგადოებრივ პროცესში.

მეორე: მარტივი კვლავწარმოების საფუძველზეც კი ადგილი აქვს არა მარტო ხელფასის (ცვალებადი კაპიტალის) და ზედმეტი ღირებულების წარმოებას, არამედ ახალი მუდმივი კაპიტალღირებულების პირდაპირ წარმოებასაც; თუმცა სამუშაო დღე მხოლოდ ორი ნაწილისგან შედგება: ერთია ის ნაწილი, რომლის განმავლობაში მუშა

ცვალებად კაპიტალს ანაზღაურებს, სინამდვილეში თავისი სამუშაო-ძალის შესყიდვის ეკვივალენტს აწარმოებს, და მეორეა ის ნაწილი, რომლის განმავლობაში იგი ზედმეტ ღირებულებას (მოგებას, რენტას და სხვ.) აწარმოებს. — სწორედ ის ყოველდღიური შრომა, რომელიც წარმოების საშუალებათა კვლავწარმოებაზე იხარჯება — და რომლის ღირებულება ხელფასად და ზედმეტ ღირებულებად დაიყოფა, — სწორედ ეს შრომა ხორციელდება წარმოების ახალ საშუალებებში, რომელნიც მოხმარების საშუალებათა წარმოებაზე დახარჯული კაპიტალის მუდმივ ნაწილს ანაზღაურებენ.

მთავარი სიძნელენი, რომელთა უდიდესი ნაწილი უკვე ახსნილია აქამდე მოცემულ განმარტებაში, წარმოგვიდგებიან არა დაგროვების განაილვის, არამედ მარტივი კვლავწარმოების განხილვის დროს. აი, ამიტომაა, რომ, როდესაც ლაპარაკია საზოგადოების წლიური პროდუქტის მოძრაობაზე და მის კვლავწარმოებაზე, რომელსაც მიმოქცევა მოსაშუალეობს, ა. სმიტი (წიგნი II) და წინათ კენე («Tableau économique») მარტივი კვლავწარმოებიდან გამოდიოდნენ.

---

2) სმიტის მიერ საცვლელი ღირებულების დაშლა v + m-ად

ა. სმიტის დოგმის თანახმად, ფასი ანუ საცვლელი ღირებულება (exchangeable value) ყოველი ცალკეული საქონლის და, მაშასადამე, ერთად აღებული ყველა საქონლისა, რომელნიც საზოგადოების წლიურ პროდუქტს შეადგენენ (იგი მართებულად გულისხმობს ყველგან კაპიტალისტურ წარმოებას), შედგება სამი შემადგენელი ნაწილისაგან (component parts) ანუ დაიშლება (resolves itself into): ხელფასად, მოგებად და რენტად. ეს დოგმა შეიძლება დავიყვანოთ იმაზე, რომ საქონლური ღირებულება = v + m, ე. ი. უდრის ავანსებული ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას პლუს ზედმეტი ღირებულება. მოგებისა და რენტის ეს დაყვანა იმ საერთო მთლიანობაზე, რომელსაც ჩვენ m-ს ვუწოდებთ, შეგვიძლია მოვახდინოთ პირდაპირ ა. სმიტის დებულებების თანახმად; ეს ჩანს შემდეგი ციტატებიდან, რომლებშიაც ჯერ გამოვტოვებთ ყველა მეორეხარისხოვან პუნქტს, ე. ი. განსაკუთრებით ყველა მოჩვენებით, ან ნამდვილ გადახრას დოგმისაგან, რომლის თანახმად საქონლის ღირებულება მხოლოდ და მხოლოდ იმ ელემენტებისგან შედგება, რომელთაც ჩვენ v + m-ით აღვნიშნავთ.

მანუფაქტურაში «ღირებულება, რასაც მუშები მასალებს მატებენ, დაიშლება... ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი ისტუმრებს მათს ხელფასს, მეორე — მათი დამქირავებლის მოგებას მთელ იმ კაპიტალზე, რომელიც მან მასალასა და ხელფასზე გაიღო ავანსად» (წიგნი I, თავი 6, გვ. 41), — «თუმცა მანუფაქტურის მუშას თავისი ხელფასი დამქირავებლისაგან ეძლევა ავანსად, მაგრამ სინამდვილეში ეს ხელფასი დამქირავებელს არაფერი არ უჯდება, რადგან ჩვეულებრივ ამ ხელფასის ღირებულება უკან უბრუნდება მას მოგებასთან ერთად იმ საგნის გადიდებულ ღირებულებაში, რომელსაც მუშის შრომა მოხმარდა» (წიგნი II, თავი 3, გვ. 221). კაპიტალის (stock) ნაწილი, რომელიც იხარჯება «მწარმოებლური შრომის შესანახად... მას შემდეგ, რაც მან მისთვის {დამქირავებლისათვის} კაპიტალის ფუნქცია შეასრულა... შემოსავალს შეადგენს მათთვის {მუშებისათვის}». (წიგნი II, თავი 3, გვ. 223).

ზემოაღნიშნულ თავში, საიდანაც ჩვენ ციტატა ავიღეთ, ა. სმიტი პირდაპირ ამბობს: «თვითეული ქვეყნის მიწისა და შრომის მთელი წლის ნაყოფი... თავისთავად (naturally) იყოფა ორ ნაწილად. ამ ნაწილებიდან ერთი, და ხშირად უდიდესი, უწინარეს ყოვლისა განკუთვნილია იმისათვის, რომ აანაზღაუროს კაპიტალი და განაახლოს საარსებო საშუალებანი, ნედლი მასალა და მზა პროდუქტები, რომლებიც კაპიტალიდანაა აღებული; მეორე ნაწილი განკუთვნილია იმისათვის, რომ შეადგინოს შემოსავალი, იქნება ეს ამ კაპიტალის მესაკუთრისათვის, როგორც მისი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ო გ ე ბ ა, თუ რომელიმე სხვა პირისათვის, როგორც მისი მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს რ ე ნ ტ ა» (გვ. 222). კაპიტალის მხოლოდ ერთი ნაწილი, როგორც ჩვენ უწინ გავიგეთ ა. სმიტისაგან, შეადგენს იმავე დროს შემოსავალს ვინმესთვის, სახელდობრ ის ნაწილი, რომელიც დახარჯულია მწარმოებლური შრომის საყიდლად. ეს ნაწილი — ცვალებადი კაპიტალი — ჯერ ასრულებს «კაპიტალის ფუნქციას» მეწარმის ხელში და მის სასარგებლოდ, შემდეგ «შეადგენს შემოსავალს» თვით მწარმოებელი მუშისთვის. კაპიტალისტი თავისი კაპიტალღირებულების ნაწილს გარდაქმნის სამუშაო ძალად და სწორედ ამით გარდაქმნის მას ცვალებად კაპიტალად; ამ გარდაქმნის მეოხებით არა მარტო კაპიტალის ეს ნაწილი, არამედ მთელი მისი კაპიტალი მოქმედებს როგორც სამრეწველო კაპიტალი. მუშა — სამუშაო ძალის გამყიდველი — იღებს მის ღირებულებას ხელფასის სახით. მის ხელში სამუშაო ძალა წარმოადგენს გასაყიდად ვარგის საქონელს, — საქონელს, რომლის გაყიდვით იგი ცხოვრობს და რომელიც, მაშასადამე,

მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროს შეადგენს. სამუშაო ძალა ცვალებადი კაპიტალის სახით მოქმედებს მაოლოდ მისი მყიდველი კაპიტალისტის ხელში, და თვით ნაყიდობის ფასის ავანსება კაპიტალისტის მიერ მაოლოდ მოჩვენებითია, რადგან ამ ფასის შესაბამისი ღირებულება უკვე წინათ ჩააბარა მას მუშამ,

მას შემდეგ, რაც ა. სმიტმა გვიჩვენა, ამრიგად, რომ პროდუქტის ღირებულება მანუფაქტურაში = v + m (სადაც m = კაპიტალისტის მოგებას), იგი გვეუბნება, რომ მიწათმოქმედებაში მუშები, გარდა «იმ ღირებულების კვლავწარმოებისა, რაც უდრის მათს საკუთარ მოხმარებას და კაპიტალს, რომელიც მათ სამუშაოს აძლევს» {ცვალებად კაპიტალს} «კაპიტალისტის მოგებითურთ», გარდა «ფერმერის კაპიტალისა და მთელი მისი მ ო გ ე ბ ი ს ა, რეგულარულად ახორციელებენ მიწათმფლობელის რენტის კვლავწარმოებასაც» (წიგნი II, თავი 5, გვ. 243). იმ გარემოებას, რომ რენტა მიწათმფლობელის ხელში მიდის, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საკითხისათვის, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ. რენტა, ვიდრე იგი მიწათმფლობელის ხელში მოხვდებოდეს, ჯერ ფერმერის, ე. ი. მრეწველი კაპიტალისტის ხელში უნდა არსებობდეს. ვიდრე რენტა ვისიმე შემოსავალი გახდებოდეს, იგი პროდუქტის ღირებულების შემადგენელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. მაშასადამე, რენტაც და მოგებაც თვით ა. სმიტისათვის მაოლოდ ზედმეტი ღირებულების შემადგენელი ნაწილებია, რომლებიც მუდამ იკვლავწარმოება მწარმოებელი მუშის მიერ მის საკუთარ ხელფასთან ერთად, ე. ი. ცვალებადი კაპიტალის ღირებულებასთან ერთად. მაშასადამე, რენტა და მოგება ზედმეტი ღირებულების, m-ის, ნაწილებია და, ამრიგად, ა. სმიტის მიხედვით ყველა საქონლის ფასი დაიშლება v + m-ად.

დოგმა, რომლის თანახმად ყველა საქონლის (მაშასადამე, აგრეთვე წლიური პროდუქტის) ფასი დაიშლება ხელფასად, პლუს მოგება, პლუს მიწის რენტა, — ეს დოგმა შიგადაშიგ სმიტის ნაწარმოებში, სახელდობრ მის ეზოტერულ ნაწილში ისეთ ფორმასაც კი იღებს, რომ ყოველი საქონლის ღირებულება და, მაშასადამე, საზოგადოების წლიური საქონლური პროდუქტის ღირებულებაც = v + m, უდრის სამუშაო ძალაზე დახარჯულ და მუშის მიერ მუდამ კვლავწარმოებულ კაპიტალღირებულებას, პლუს მუშების მიერ მათი შრომით მიმატებული ზედმეტი ღირებულება.

ა. სმიტის ეს საბოლოო შედეგი ააშკარავებს იმავე დროს — იხ. ქვემოთ — შემადგენელი ნაწილების იმ ცალმხრივი ანალიზის წყაროს, რასაც სმიტი აწარმოებს შემადგენელი ნაწილების მიმართ, რომლება-

დაც შეიძლება დაიშალოს საქონლური ღირებულება. თვითეული ამ შემადგენელი ნაწილის სიდიდის და მათი ღირებულების და მისი განსაზღვრისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ ეს შემადგენელი ნაწილები იმავე დროს წარმოებაში მოქმედი სხვადასხვა კლასის შემოსავლის წყაროს შეადგენენ.

როცა ა. სმიტი ლაპარაკობს: «ხელფასი, მოგება და მიწის რენტა სამი თავდაპირველი წყაროა ყოველი შემოსავლისა, ისევე როგორც ყოველი საცვლელი ღირებულებისა. ყოველი სხვა შემოსავალი საბოლოო ანგარიშით ერთ-ერთი მათგანიდან გამომდინარეობს» (წიგნი I, თავი 6, გვ. 48), — აქ უწესრიგოდაა თავმოყრილი ყოველგვარი quid pro quo.

1) საზოგადოების ყველა წევრს, ვინც პირდაპირ მონაწილეობას არ იღებს კვლავწარმოებაში, შრომით თუ უშრომლად, შეუძლია მიიღოს წლიური საქონლური პროდუქტიდან თავისი წილი, ე. ი. თავისი მოხმარების საშუალებანი, უწინარეს ყოვლისა მხოლოდ იმ კლასების ხელიდან, რომელთაც პირველ რიგში ხვდება პროდუქტი: მწარმოებელი მუშების, მრეწველი კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელების ხელიდან. ამდენად მათი შემოსავალი მატერიალურად [materialiter] მომდინარეობს ხელფასიდან (მწარმოებელი მუშების ხელფასიდან), მოგებიდან და მიწის რენტიდან და ამიტომ წარმოადგენს წარმოებულ შემოსავალს ამ პირველადი შემოსავლის მიმართ. მაგრამ, მეორე მხრივ, — ასეთი აზრით — წარმოებულ შემოსავალს მისი მიმღებნი იღებენ თავიანთი საზოგადოებრივი ფუნქციის გამო როგორც მეფეები, ხუცები, პროფესორები, მეძავები, ჯარისკაცები და სხვ., და მათ შეუძლიათ, მაშასადამე, ამ თავიანთ ფუნქციებში დაინახონ თავიანთი შემოსავლის პირველადი წყარო.

2) აქ კი კულმინაციურ პუნქტს აღწევს ა. სმიტის სასაცილო შეცდომა: მას შემდეგ, რაც მან იმით დაიწყო, რომ სწორად განსაზღვრა საქონლის ღირებულების შემადგენელი ნაწილები და იმ ახლადშექმნილი ღირებულების ჯამი, რომელიც ამ ნაწილებშია განხორციელებული, შემდეგ მან ცხადყო, თუ როგორ შეადგენენ ეს შემადგენელი ნაწილები ამდენივე რაოდენობის სხვადასხვა შემოსავლის წყაროებს [39]; მას შემდეგ, რაც მან, ამრიგად, შემოსავალი ღირებულებიდან გამოიყვანა, — იგი პირუკუ მოქმედებს და შემოსავალს აქცევს «შემადგე-

[39] მე ვტოვებ ამ წინადადებას სიტყვასიტყვით ისე, როგორც ხელნაწერშია, თუმცა იგი ამ კავშირში თითქოს ეწინააღმდეგება როგორც წინათ ნათქვამს, ისე იმასაც, რაც მას უშუალოდ მოსდევს. ამ მოჩვენებითი წინააღმდეგობის გადაწყვეტა მოცემულია ქვემოთ № 4-ში: «კაპიტალი და შემოსავალი ა. სმიტის სისტემაში». — ფ. ე.

ნელი ნაწილებიდან» (components parts) «ყოველი საცვლელი ღირებულების პირველწყაროებად, და ეს მის სისტემაში გაბატონებულ წარმოდგენად რჩება; ამით იგი ფართოდ უღებს კარებს ვულგარულ ეკონომიას (იხ. ჩვენი როშერი).

---

3) კაპიტალის მუდმივი ნაწილი

ვნახოთ ახლა, რა ჯადოსნობის საშუალებით ცდილობს ა. სმიტი კაპიტალის ღირებულების მუდმივი ნაწილი განდევნოს საქონლური ღირებულებიდან.

«ხორბლის ფასის ნაწილი, მაგალითად, ხმარდება მიწათმფლობელის რენტის გადახდას». ღირებულების ამ შემადგენელი ნაწილის წარმოშობას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმ გარემოებასთან, რომ ამ ნაწილს უხდიან მიწათმფლობელს და იგი ამ უკანასკნელისთვის შემოსავალს შეადგენს რენტის სახით, ისე როგორც ღირებულების სავა შემადგენელი ნაწილების წარმოშობას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმასთან, რომ ეს სხვა ნაწილები შემოსავლის წყაროებს შეადგენენ მოგებისა და ხელფასის სახით.

«მეორე ნაწილი იხდის იმ მუშების ხელფასს და სარჩოს» {და მუშა პირუტყვის სარჩოსო! უმატებს იგი , «რომელნიც ხორბლის წარმოებაში მოსაქმეობდნენ, ხოლო მესამე ნაწილი იხდის ფერმერის მოგებას. ეს სამი ნაწილი, როგორც ჩანს» { seem, — ნამდვილად ასე ჩ ა ნ ს} «ან უშუალოდ ან საბოლოო ანგარიშით შეადგენს ხორბლის მთელ ფასს» [40]. მთელი ეს ფასი, ე. ი. მისი სიდიდის განსაზღვრა, სრულიად არაა დამოკიდებული მისი განაწილებისაგან სამი კატეგორიის პირთა შორის. «შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აუცილებელია კიდევ მეოთხე ნაწილი ფერმერის კაპიტალის ასანაზღაურებლად, ე. ი. მისი მუშა პირუტყვის და სხვა სამიწათმოქმედო იარაღების გაცვეთის ასანაზღაურებლად. მაგრამ მაედველობაში უნდა მივიღოთ, რომ რაიმე სამიწათმოქმედო იარაღის, მაგალითად, მუშა-ცხენის, ფასი, თავის მხრივ, ზემოაღნიშნული სამი ნაწილისგან შედგება: იმ მიწის რენტისაგან,

---

[40] ჩვენ სრულიად არას ვამბობთ იმაზე, რომ ადამს ,განსაკუთრებით უხერხული მაგალითის შერჩევა გამოუვიდა. ხორბლის ღირებულება მხოლოდ იმის გამო დაიშლება ხელფასად, მოგებად და რენტად, რომ მუშა პირუტყვის მიერ შექმული საკვები მასალა წარმოდგენილია როგორც მუშა პირუტყვის ხელფასი, მუშა პირუტყვი კი — როგორც დაქირავებული მუშები, მაშასადამე, თავის მხრივ დაქირავებული მუშაც, — როგორც მუშა პირუტყვი (დამატება II ხელნაწერიდან).

რომლითაც ცხენი გამოიკვება, ცხენის მოვლაზე გაწეული შრომისგან და ფერმერის მოგებისგან, ფერმერისა, რომელიც ამ მიწის რენტასაც და ამ შრომის საფასურსაც ავანსად იძლევა. ამიტომ, თუმცა ხორბლის ფასმა შეიძლება აანაზღაუროს როგორც ცხენის ფასი, ისე მისი შენახვის ხარჯებიც, მაგრამ მთელი ფასი მაინც, უშუალოდ ან საბოლოო ანგარიშით, დაიშლება იმავე სამ ნაწილად: მიწის რენტად, შრომად» (იგი გულისხმობს ხელფასს) «და მოგებად» (წიგნი 1, თავი 6, გვ. 42).

ეს არის სიტყვასიტყვით ყველაფერი, რასაც ამბობს ა. სმიტი თავისი საოცარი დოქტრინის დასასაბუთებლად. მისი დასაბუთება მდგომარეობს ერთი და იმავე მტკიცების განმეორებაში. მაგალითად, იგი თანახმაა დაუშვას, რომ ხორბლის ფასი შედგება არა მარტო v+m-ისაგან, არამედ, გარდა ამისა, წარმოების იმ საშუალებათა ფასისაგანაც, რომლებიც ხორბლის წარმოებას მოსმარდა, მაშასადამე, იმ კაპიტალირებულებისაგან, რომელიც ფერმერს სამუშაო ძალაზე არ დაუხარჯავს. მაგრამ, — ამბობს იგი, — წარმოების ყველა ამ საშუალებათა ფასებიც, თავის მხრივ, დაიშლება, ხორბლის ფასის მსგავსად, v + m-ად; ა. სმიტს ავიწყდება დაუმატოს: გარდა ამისა, დაიშლება წარმოების იმ საშუალებათა ფასად, რომლებიც მათს საკუთარ წარმოებაზეა დახარჯული. იგი წარმოების ერთი დარგიდან მეორე დარგში გვგზავნის, და მეორიდან — კიდევ მესამეში. მტკიცება, რომ საქონელთა მთელი ფასი «უშუალოდ» ან «საბოლოო ანგარიშით» (ultimately) v + m-ად დაიშლებაო, — მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იქნებოდა თავის დაძვრენის უბრალო ფანდი, თუ დამტკიცებული იქნებოდა, რომ იმ საქონლურ პროდუქტებს, რომელთა ფასი უშუალოდ იშლება c (წარმოების მოხმარებული საშუალებების ფასად) + v + m, ბოლოს და ბოლოს, კომპენსაცია ეძლევა საქონლური პროდუქტებით, რომელნიც ანაზღაურებენ ამ «მოხმარებულ წარმოების საშუალებებს» მთელი მათი მოცულობით და რომელნიც, თავის მხრივ. წინააღმდეგ პირველი საქონლური პროდუქტებისა, იწარმოებიან მხოლოდ ცვალებადი კაპიტალის დახარჯვის გზით, ე. ი. მარტო სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალით. ამ შემთხვევაში უკანასკნელი საქონლური პროდუქტების ფასი უშუალოდ იქნებოდა v + m. ამიტომ პირველი საქონლური პროდუქტების ფასიც c + v + m, სადაც c კაპიტალის მუდმივი ნაწილია, ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა დაშლილი ყოფილიყო v + m-ად. თვითონ ა. სმიტიც არ ფიქრობდა, რომ იგი ასეთ დასაბუთებას იძლეოდა თავისი მაგალითით scotch pebbles-ის [ქენჭების] მომგროვებელთა შესახებ, რომელნიც,

სხვათა შორის, მისი მტკიცების თანახმად: 1) არავითარ ზედმეტ ღირებულებას არ ქმნიან, არამედ მხოლოდ საკუთარ ხელფასს აწარმოებენ; 2) არავითარ წარმოების საშუალებებს არ ხმარობენ (თუმცა ისინიც ხმარობენ წარმოების საშუალებებს კალათების, ტომრებისა და სხვა ჭურჭლის სახით კენჭების წასაღებად).

ჩვენ უკვე წინათ დავინახეთ, რომ ა. სმიტი თვითვე აპირქვავებს შემდგომ თავის საკუთარ თეორიას, და ამას ისე აკეთებს, რომ შეგნებული არა აქვს თავისი წინააღმდეგობანი. მაგრამ ამ წინააღმდეგობათა წყარო სწორედ მის მეცნიერულ ამოსავალ პუნქტებში უნდა ვეძიოთ. შრომაზე გაცვლილი კაპიტალი თავის საკუთარ ღირებულებაზე მეტ ღირებულებას აწარმოებს. რანაირად? იმის გამო, ამბობს ა. სმიტი, რომ მუშები წარმოების პროცესის განმავლობაში მათ მიერ დამუშავებულ საგნებს ისეთ ღირებულებას მატებენ, რაც მათი საკუთარი ნაყიდობის ფასის ეკვივალენტის გარდა ქმნის ზედმეტ ღირებულებას (მოგებას და რენტას), რომელიც წილად ხვდება არა მათ, არამედ მათი შრომის გამომყენებელთ. მაგრამ ეს არის ყველაფერი, რასაც ისინი იძლევიან და რისი მოცემაც მათ შეუძლიათ. ის, რაც სწორია ერთი დღის სამრეწველო შრომის შესახებ, სწორია იმ შრომის მიმართაც, რომელიც კაპიტალისტთა მთელ კლასს წლის განმავლობაში მოჰყავს მოძრაობაში. ამიტომ საზოგადოების მიერ ახლადშექმნილი წლიური ღირებულების ერთობლივი მასა შეიძლება დაიშალოს მაოლოდ v + m-ად, — ეკვივალენტად, რომლითაც მუშები ანაზღაურებენ იმ კაპიტალღირებულებას, რაც მათივე საკუთარი ნაყიდობის ფასის სახითაა დახარჯული, და დამატებითს ღირებულებად, რომელიც მათ ზედმეტად თავიანთ დამქირავებელს უნდა შეუქმნან. მაგრამ საქონელთა ღირებულების ორივე ეს ელემენტი იმავე დროს შეადგენს შემოსავლის წყაროებს სხვადასხვა კლასისათვის, რომელნიც კვლავწარმოებაში მონაწილეობენ: პირველი — ხელფასს, მუშების შემოსავალს; მეორე — ზედმეტ ღირებულებას, რომლიდანაც ერთ ნაწილს მრეწველი კაპიტალისტი თავისთვის იტოვებს მოგების სახით, ხოლო მეორე ნაწილს გაიღებს რენტის სახით, როგორც მიწის მესაკუთრის შემოსავალს. ამრიგად, საიდანღა უნდა გაჩნდეს კიდევ ღირებულების ერთი შემადგენელი ნაწილი, როდესაც წლის განმავლობაში ახლადშექმნილი ღირებულება არავითარ სხვა ელემენტებს არ შეიცავს, გარდა v + m-ისა? ჩვენ აქ მარტივი კვლავწარმოების ნიადაგზე ვდგევართ. რაკი შრომის მთელი წლიური ჯამი დაიშლება შრომად, რომელიც აუცილებელია სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალღირებულების საკვლავწარმოებლად, და შრომად, რომელიც

აუცილებელია ზედმეტი ღირებულების შესაქმნელად, — საიდანღა უნდა გაჩნდეს საერთოდ შრომა იმ კაპიტალღირებულების საწარმოებლად, რომელიც სამუშაო ძალაზე არაა დახარჯული?

საქმის ვითარება ასეთია:

1) ა. სმიტი საქონლის ღირებულებას განსაზღვრავს შრომის იმ რაოდენობით, რასაც დაქირავებული მუშა მატებს (adds) შრომის საგანს. იგი სიტყვასიტყვით ამბობს: «მასალებსო», იმიტომ რომ იგი ლაპარაკობს მანუფაქტურაზე, რომელიც თვითონ გადაამუშავებს უკვე შრომის პროდუქტებს; მაგრამ ეს სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას. ღირებულება, რომელსაც მუშა საგანს მატებს (და ეს «adds» თვით ადამის გამოთქმაა), სრულიად არაა დამოკიდებული იმ გარემოებაზე, ჰქონდა თუ არა ღირებულება ამ მომატებამდე თვით ამ საგანს, რომელსაც ღირებულება ემატება. ამრიგად, მუშა ქმნის ახალ ღირებულებას საქონლის ფორმით; ამ ახლადშექმნილი ღირებულების ნაწილი, ა. სმიტის თანახმად, წარმოადგენს, ერთი მხრივ, მუშის ხელფასის ეკვივალენტს; მაშასადამე, ეს ნაწილი განისაზღვრება მუშის ხელფასის ღირებულების სიდიდით; იმის მიხედვით, უფრო დიდია თუ პატარა ეს ხელფასი, მუშამ მეტი ან ნაკლები შრომა უნდა მიუმატოს საგანს, რათა თავისი ხელფასის ტოლი ღირებულება აწარმოოს ანუ აკვლავწარმოოს. მაგრამ, მეორე მხრივ, მუშა საგანს მატებს შემდგომ შრომას, რომელიც ზემოგანსაზღვრული შრომის გადანამეტია და რომელიც ზედმეტ ღირებულებას ქმნის მისი დამქირავებელი კაპიტალისტისათვის. მთლიანად კაპიტალისტის ხელში რჩება ეს ზედმეტი ღირებულება, თუ მისი ნაწილი კაპიტალისტმა მესამე პირთ უნდა დაუთმოს, — ეს გარემოება სრულიად არაფერს არ ცვლის დაქირავებული მუშის მიერ მიმატებული ზედმეტი ღირებულების არც თვისებრივსა (რომ იგი საზოგადოდ ზედმეტი ღირებულებაა) და არც რაოდენობრივ (სიდიდის აზრით) ხასიათში. იგი ისეთივე ღირებულებაა, როგორც პროდუქტის ღირებულების ყოველი სხვა ნაწილი, მაგრამ განსხვავდება იმით, რომ მუშას მასში არავითარი ეკვივალენტი არ მიუღია და ამ ეკვივალენტს იგი ვერც შემდგომ მიიღებს; კაპიტალისტი კი, პირიქით, ამ ღირებულებას უეკვივალენტოდ მიითვისებს. საქონლის მთელი ღირებულება განისაზღვრება შრომის იმ რაოდენობით, რომელიც მუშამ მის წარმოებაზე დახარჯა; ამ მთელი ღირებულების ერთი ნაწილი იმითაა განსაზღვრული, რომ იგი ხელფასის ღირებულებას უდრის, ე. ი. მის ეკვივალენტს წარმოადგენს. ამიტომ მეორე ნაწილი, ზედმეტი ღირებულება, აუცილებლად ასევე განსაზღვრული, სახელდობრ იგი უდრის პროდუქტის მთელ ღირებუ-

ლებას, მინუს პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ხელფასის ეკვივალენტს წარმოადგენს; მაშასადამე, იგი უდრის საქონლის წარმოებისას შექმნილი ახალი ღირებულების ნამეტს პროდუქტში მოქცეული ღირებულების იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც ხელფასის ეკვივალენტს უდრის.

2) ის, რაც იმ საქონლის მიმართ ითქმის, რომელსაც ყოველი ცალკეული მუშა აწარმოებს ცალკეულ სამრეწველო საწარმოში, უნდა ითქვას აგრეთვე მთლიანად აღებული წარმოების ყველა დარგის წლიური პროდუქტის მიმართაც. ის, რაც ძალაშია ინდივიდუალური მწარმოებელი მუშის დღიური შრომის მიმართ, ძალაში რჩება აგრეთვე მთელი მწარმოებელი მუშათა კლასის მიერ მოძრაობაში მოყვანილი წლიური შრომის მიმართაც. ეს შრომა «აფიქსირებს» (სმიტის გამოთქმაა) წლიურ პროდუქტში მთელ ღირებულებას, რომელიც წლის განმავლობაში დახარჯული შრომის რაოდენობით განისაზღვრება. და ეს მთელი ღირებულება იყოფა ორ ნაწილად: ერთი ნაწილი განისაზღვრება წლიური შრომის იმ რაოდენობით, რომლითაც მუშათა კლასი თავისი წლიური ხელფასის ეკვივალენტს ქმნის, სინამდვილეში კი თვით ამ ხელფასს ქმნის; მეორე ნაწილი განისაზღვრება დამატებითი წლიური შრომით, რომლითაც მუშა ზედმეტ ღირებულებას ქმნის კაპიტალისტთა კლასისათვის. მაშასადამე, წლის მანძილზე ახლადშექმნილი ღირებულება, რასაც წლიური პროდუქტი შეიცავს, მთლიანად ორი ელემენტისაგან შედგება: მუშათა კლასის მიერ მიღებული წლიური ხელფასის ეკვივალენტისაგან და კაპიტალისტთა კლასისათვის შექმნილი წლიური ზედმეტი ღირებულებისაგან. მაგრამ წლიური ხელფასი შეადგენს მუშათა კლასის შემოსავალს, ზედმეტი ღირებულების წლიური ჯამი — კაპიტალისტთა კლასის შემოსავალს; ამრიგად, ღირებულების ორივე ნაწილი გამოხატავს (და ეს თვალსაზრისი სწორია, როცა ლაპარაკია მარტივ კვლავწარმოებაზე) შეფარდებით წილს წლიურ მოხმარების ფონდში და რეალიზაციას პოულობს მასში. მაშასადამე, არსად ადგილი არ რჩება მუდმივი კაპიტალღირებულებისათვის, იმ კაპიტალის საკვლავწარმოებლად, რომელიც წარმოების საშუალებათა ფორმით მოქმედებს. მაგრამ ა. სმიტი თავისი ნაწარმოების შესავალში გარკვევით ამბობს, რომ საქონლური ღირებულების ყველა ნაწილი, რომელიც შემოსავლის სახით მოქმედებს, ემთხვევა წლიური შრომის პროდუქტს, რომელიც წინასწარ განკუთვნილია საზოგადოებრივი მოხმარების ფონდისათვის: «ამრიგად, ამ პირველი ოთხი წიგნის მიზანს შეადგენს იმის გარკვევა, თუ რაში მდგომარეობდა საერთოდ ხალხის შემოსავალი ანუ როგორი იყო იმ ფონდე-

ბის ბუნება, რომლებიც სხვადასხვა საუკუნეში და სხვადასხვა ხალხში შეადგენდა მათს წლიურ მოხმარებას» (გვ. 12). და შესავლის პირველსავე წინადადებაში ნათქვამია: «ყოველი ერის წლიური შრომა არის ის თავდაპირველი ფონდი, რომელიც აძლევს მას ყველა აუცილებელ საარსებო საშუალებას და კომფორტის საგნებს, რასაც იგი წლის განმავლობაში მოიიმარს და რაც ყოველთვის შედგება ან ამ შრომის უშუალო პროდუქტებისაგან, ან იმ საგნებისაგან, რომლებიც ამ პროდუქტებზე გაცვლის გზით სხვა ერებისაგან შეიძინება» (გვ. 11).

ა. სმიტის პირველი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აიგივებს წლიური პროდუქტის ღირებულებას და წლის განმავლობაში ახლადშექმნილ ღირებულებას. უკანასკნელი წარმოადგენს მხოლოდ გასული წლის შრომის პროდუქტს; პირველი კი შეიცავს, გარდა ამისა, ღირებულების ყველა იმ ელემენტს, რაც მოხმარებული იყო წლიური პროდუქტის წარმოებაზე, მაგრამ წარმოებული იყო წინა წელში და ნაწილობრივ უფრო წინანდელ წლებშიც: წარმოების საშუალებებს, რომელთა ღირებულება მხოლოდ ხელახლა გვევლინება და რომლებიც, რაც შეეხება მათს ღირებულებას, არც წარმოებული ყოფილა და არც კვლავწარმოებული იმ შრომით, რომელიც უკანასკნელი წლის განმავლობაში დაიხარჯა. ორი სხვადასხვა რამის ასეთი შერევით ა. სმიტი განზე აგდებს წლიური პროდუქტის ღირებულების მუდმივ ნაწილს. თვით ეს შერევა შედეგია მეორე შეცდომისა მის ძირითადს კონცეფციაში: იგი არ განასავავებს თვით შრომის ორად ხასიათს, — შრომას, რამდენადაც იგი სამუშაო ძალის ხარჯვას წარმოადგენს და ამით ღირებულებას ქმნის და შრომას, რამდენადაც იგი კონკრეტული, სასარგებლო შრომის სახით მოხმარების საგნებს (საამარ ღირებულებას) ქმნის. წლიურად წარმოებულ საქონელთა ერთობლივი ჯამი, ე. ი. მთელი წლიური პროდუქტი, პროდუქტია იმ სასარგებლო შრომისა, რომელიც უკანასკნელი წლის განმავლობაში მოქმედებდა; ყველა ეს საქონელი მაოლოდ იმის გამო არსებობს, რომ საზოგადოებრივად გამოყენებული შრომა დახარჯული იყო სავადასავა საიის სასარგებლო შრომის მრავალგვარ გასშტოებულ სისტემაში; მხოლოდ ამის გამოა, რომ მთელ მათ ღირებულებაში კვლავ გამოცხადებული ახალი ნატურალური ფორმით შენარჩუნებულია წარმოების იმ საშუალებათა ღირებულება, რომლებიც მათს წარმოებაზე იყო მოიმარებული. მაშასადამე, ერთობლივი წლიური პროდუქტი შედეგია წლის განმავლობაში დახარჯული სასარგებლო შრომისა; მაგრამ წლიური პროდუქტის ღირებულების მაოლოდ ნაწილია წლის

განმავლობაში შექმნილი; ეს ნაწილია წლის განმავლობაში ახლადშექმნილი ღირებულება [Wertprodukt], რომლითაც გამოხატულია წლის განმავლობაში ამოქმედებული შრომის ჯამი.

მაშასადამე, როდესაც ა. სმიტი ზემოთ ციტირებულ ადგილას ამბობს: «ყოველი ერის წლიური შრომა არის ის თავდაპირველი ფონდი, რომელიც აძლევს მას ყველა აუცილებელ საარსებო საშუალებას და კომფორტის საგნებს, რასაც იგი წლის განმავლობაში მოიხმარს და სხვ.», — იგი ცალმარივად დგება უბრალოდ იმ სასარგებლო შრომის თვალსაზრისზე, რომელმაც, რა თქმა უნდა, ყველა ამ საარსებო საშუალებას მისცა მოხმარებისათვის გამოსადეგი ფორმა. მაგრამ იგი ამასთან ივიწყებს, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა შრომის იმ საშუალებათა და შრომის იმ საგნების დაუხმარებლად, რომლებიც წინანდელი წლების მიერ იყო გადმოცემული, და რომ ამიტომ «წლიურ შრომას», რამდენადაც იგი ღირებულებას ქმნიდა, სულაც არ შეუქმნია მის მიერ დამზადებული პროდუქტის მთელი ღირებულება; იგი ივიწყებს, რომ ახლადშექმნილი ღირებულება პროდუქტის ღირებულებაზე ნაკლებია.

— თუ ა. სმიტს არ შეიძლება ვუსაყვედუროთ, რომ იგი ამ ანალიზში მხოლოდ იმ საზღვრამდე წავიდა, სადამდეც მივიდა ყველა მისი მიმდევარი (თუმცა საკითხის სწორი გადაწყვეტის ცდა უკვე ფიზიოკრატებს მოეპოვებათ), — არ შეიძლება არ ითქვას, რომ შემდგომ იგი, პირიქით, გზააბნეული დადის ქაოსში, უმთავრესად იმიტომ, რომ საერთოდ საქონლის ღირებულების მის «ეზოტერულ» გაგებას მუდამ გადაეჯვარედინება ხოლმე ეგზოტერული გაგება, რომელიც მეტწილ შემთხვევაში სჭარბობს, თუმცა მეცნიერული ალღო აიძულებს მას დრო და დრო კვლავ ეზოტერული თვალსაზრისი წამოაყენოს წინ.

---

4) კაპიტალი და შემოსავალი ა. სმიტის სისტემაში

ყოველი საქონლის (და, ამიტომ, აგრეთვე წლიური პროდუქტის) ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ ხელფასის ეკვივალენტს შეადგენს, უდრის კაპიტალისტის მიერ ხელფასისათვის ავანსებულ კაპიტალს, ე. ი. უდრის მის მიერ ავანსებული მთელი კაპიტალის ცვალებად შემადგენელ ნაწილს. ავანსებული კაპიტალღირებულების ამ შემადგენელ ნაწილს კაპიტალისტი უკანვე იღებს იმ საქონლის ღირებულების ახლად წარმოებული შემადგენელი ნაწილის მეოხებით,

რომელიც დაქირავებულმა მუშებმა შექმნეს. იმ აზრით გაიღებს ავანსად კაპიტალისტი ცვალებად კაპიტალს, რომ იგი ფულით უხდის მუშას პროდუქტის ნაწილს, რაც მუშას წილად ერგება, — პროდუქტისა, რომელიც ჯერ მზად არ არის გასაყიდად, ანდა თუმცა მზად არის, მაგრამ ჯერ გაყიდული არაა კაპიტალისტის მიერ, თუ გაისტუმრებს იგი მუშას იმ ფულით, რომელიც მან მუშის მიერ წარმოებული საქონლის გაყიდვის გზით მიიღო უკვე, ან იმ ფულით, რაც მან კრედიტის საშუალებით აიღო წინასწარ, — ყველა ამ შემთხვევაში კაპიტალისტი ხარჯავს ცვალებად კაპიტალს, რომელიც მუშებს უბრუნდება ფულის სახით. მაგრამ, მეორე მხრივ, ყველა ამ შემთხვევაში კაპიტალისტი ფლობს ამ კაპიტალღირებულების ეკვივალენტს თავის საქონელთა ღირებულების იმ ნაწილის სახით, რომლითაც მუშამ ახლად აწარმოვა თავისივე ხვედრი წილი მთელი ღირებულებისა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომლითაც მან საკუთარი ხელფასის ღირებულება აწარმოვა. ნაცვლად იმისა, რომ ღირებულების ეს ნაწილი მუშას მის მიერვე წარმოებული პროდუქტის ნატურალური ფორმით მისცეს, კაპიტალისტი მას ამ ნაწილს ფულით უხდის. ამრიგად, კაპიტალისტისთვის მის მიერ ავანსებული კაპიტალღირებულების ცვალებადი შემადგენელი ნაწილი არსებობს საქონლის ფორმით, მაშინ როდესაც მუშამ მის მიერ გაყიდული სამუშაო ძალის ეკვივალენტი ფულადი ფორმით მიიღო.

მაშასადამე, იმ დროს, როდესაც კაპიტალისტის მიერ ავანსებული სამუშაო ძალის ყიდვის გზით ცვალებად კაპიტალად ქცეული კაპიტალის ნაწილი თვით წარმოების პროცესში ასრულებს თავის ფუნქციას როგორც ამოქმედებული სამუშაო ძალა, იმ დროს, როდესაც ამ ძალის დახარჯვის მეოხებით ავანსებული კაპიტალის ცვალებადი ნაწილი ახალი ღირებულების სახით ხელახლა იწარმოება საქონლის ფორმით, ე. ი. იკვლავწარმოება, — მაშასადამე, ხდება ავანსებული კაპიტალღირებულების კვლავწარმოება, ე. ი. ახალი წარმოება! — მუშა ხარჯავს მის მიერ გაყიდული სამუშაო ძალის ღირებულებას — შესაბამისად ფასს — საარსებო საშუალებებზე, თავისი სამუშაო ძალის კვლავწარმოების საშუალებებზე. ფულის თანხა, რომელიც ცვალებად კაპიტალს უდრის, შეადგენს მის ისეთ შემოსავალს (revenue), რომლის მიღება მხოლოდ მანამდე გრძელდება, ვიდრე მუშას შეუძლია თავისი სამუშაო ძალა კაპიტალისტს მიჰყიდოს.

დაქირავებული მუშის საქონელი, თვით მისი სამუშაო ძალა — მოქმედებს საქონლის სახით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი კაპიტალისტის კაპიტალს ჩაერთვის, — მოქმედებს როგორც კაპიტალი;

მეორე მხრივ, ფულადი კაპიტალის სახით სამუშაო ძალის სასყიდლად დახარჯული კაპიტალი მოქმედებს როგორც შემოსავალი სამუშაო ძალის გამყიდველის, დაქირავებული მუშის ხელში.

აქ ერთი მეორეში გადახლართულია მიმოქცევისა და წარმოების სხვადასხვა პროცესი, და ამ პროცესების ერთმანეთისაგან გამიჯვნას ა. სმიტი ვერ ახერხებს.

პირველი. მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს პროცესის კუთვნილი აქტები: მუშა თავის საქონელს—სამუშაო ძალას—მიჰყიდის კაპიტალისტს; ფული, რომლითაც კაპიტალისტი ამ ძალას ყიდულობს, შეადგენს მისთვის ღირებულების გადიდების მიზნით დაბანდებულ ფულს, მაშასადამე, ფულად კაპიტალს; ეს კაპიტალი დახარჯული როდია, არამედ ავანსებულია. (ამაშია «ავანსების» — ფიზიოკრატების avance-ის ჭეშმარიტი აზრი, სრულიად დამოუკიდებლად იმისგან, თუ საიდან იღებს კაპიტალისტი ფულს. კაპიტალისტისათვის ავანსებულია ყოველი ღირებულება, რასაც იგი გაიღებს წარმოების პროცესის საჭიროებისათვის, სულ ერთია, — ხდება ეს მანამდე თუ post festum. იგი ავანსებულია თვით წარმოების პროცესისათვის.) აქ ხდება მხოლოდ ის, რასაც ადგილი აქვს საქონლის ყოველი გაყიდვისას; გამყიდველი გასცემს სახმარ ღირებულებას (ამ შემთხვევაში სამუშაო ძალას) და მიიღებს მის ღირებულებას ფულის სახით (გაანაღდებს მის ფასს); მყიდველი გასცემს თავის ფულს და მასში მიიღებს თვით საქონელს, — ამ შემთხვევაში სამუშაო ძალას.

მეორე. ნაყიდი სამუშაო ძალა ახლა წ ა რ მ ო ე ბ ი ს პროცესში შეადგენს მოქმედი კაპიტალის ნაწილს, თვით მუშა კი მოქმედებს აქ მხოლოდ როგორც ამ კაპიტალის განსაკუთრებული ნატურალური ფორმა, რომელიც განსხვავდება წარმოების საშუალებათა ნატურალური ფორმით არსებული ელემენტებისაგან. პროცესის განმავლობაში მუშა მის მიერ პროდუქტად ქცეულ წარმოების საშუალებებს თავისი სამუშაო ძალის დახარჯვის გზით მატებს ღირებულებას, რომელიც უდრის მისი სამუშაო ძალის ღირებულებას (ზედმეტ ღირებულებას მოედველობაში არ ვიღებთ); მაშასადამე, იგი კაპიტალისტისათვის საქონლის ფორმით აკვლავწარმოებს კაპიტალის იმ ნაწილს, რაც კაპიტალისტმა ავანსად მისცა ან რაც მან ავანსად უნდა მისცეს მუშას ხელფასის სახით; მუშა აწარმოებს კაპიტალისტისათვის ამ ხელფასის ეკვივალენტს. მაშასადამე, იგი აკვლავწარმოებს კაპიტალისტისათვის კაპიტალს, რომელიც კაპიტალისტს შეუძლია ხელახლა «გაიღოს ავანსად» სამუშაო ძალის სასყიდლად.

მესამე. მაშასადამე, საქონლის გაყიდვისას გასაყიდი ფასის ნაწილი კაპიტალისტს უნაზღაურებს მის მიერ ავანსებულ ცვალებად კაპიტალს და ამით შესაძლებლობა ეძლევა კაპიტალისტს ხელახლა იყიდოს სამუშაო ძალა, ხოლო მუშას—ხელახლა გაყიდოს იგი.

საქონელთა ყველა ამ ყიდვა-გაყიდვის აქტების დროს—რამდენადაც ლაპარაკია მაოლოდ თვით ამ გარიგებებზე — სავსებით სულ ერთია, რას უზამს გამყიდველი თავის საქონელში აღებულ ფულს და რას უზამს მყიდველი ნაყიდ მოამარების საგნებს. მაშასადამე, რამდენადაც საქმე მიმოქცევის პროცესს შეეხება, სავსებით სულ ერთია აგრეთვე ის გარემოება, რომ კაპიტალისტის მიერ ნაყიდი სამუშაო ძალა აკვლავწარმოებს კაპიტალღირებულებას კაპიტალისტისათვის, და რომ, მეორე მხრივ, სამუშაო ძალის გაყიდვის გზით აღებული ფული შემოსავალს შეადგენს მუშისათვის. მუშის სავაჭრო საგნის—მისი სამუშაო ძალის—ღირებულების სიდიდეზე სრულიად არავითარი გავლენა არა აქვს არც იმ გარემოებას, რომ ეს ღირებულება «შემოსავალს» შეადგენს მუშისათვის, და არც იმას, რომ მისი სავაჭრო საგნის მოხმარება მყიდველის მიერ კაპიტალღირებულებას აკვლავწარმოებს ამ მყიდველისათვის.

რადგან სამუშაო ძალის ღირებულება — ე. ი. ამ საქონლის ადეკვატური გასაყიდი ფასი—ამ ძალის კვლავწარმოებისათვის აუცილებელი შრომის რაოდენობით განისაზღვრება, ხოლო თვით ეს შრომის რაოდენობა განსაზღვრულია შრომის იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა მუშის აუცილებელ საარსებო საშუალებათა საწარმოებლად, ე. ი. მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად,—ამიტომ ხელფასი იქცევა შემოსავლად, რომლითაც უნდა იარსებოს მუშამ.

სრულიად მცდარია ის, რასაც ა. სმიტი ამბობს (გვ. 223): «კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ნ ა წ ი ლ ი, რომელიც დახარჯულია მწარმოებლური შრომის შესანახად,... მას შემდეგ, რაც მან მისთვის {კაპიტალისტისათვის} კაპიტალის ფუნქცია შეასრულა... «შეადგენს შემოსავალს მათთვის {მუშებისათვის}. ფ უ ლ ი, რომლითაც კაპიტალისტი მის მიერ ნაყიდი სამუშაო ძალის ფასს იხდის, «ემსახურება მას იმით, რომ კაპიტალის ფუნქციას ასრულებს», რამდენადაც კაპიტალისტი ამ ფულის მეოხებით თავისი კაპიტალის ნივთობრივ შემადგენელ ნაწილებს სამუშაო ძალას შეუერთებს, და მაოლოდ ეს ხდის საერთოდ შესაძლებლად, რომ მისმა კაპიტალმა მწარმოებლური კაპიტალის საათი იმოქმედოს. უნდა განვასხვავოთ შემდეგი: მუშისთკის სამუშაო ძალა ს ა ქ ო ნ ე ლ ი ა, და არა კაპიტალი; იგი ქმნის მუშისათვის შემოსავალს რამდენადაც ამ უკანასკნელს შეუძლია მუდამ გაიმეოროს მისი გაყიდვა; კაპიტალის

სახით სამუშაო ძალა მოქმედებს გაყიდვის შ ე მ დ ე გ, კაპიტალისტის ხელში, თვით წარმოების პროცესის დროს. ამასთან სამუშაო ძალა აქ ორგვარ სამსახურს ეწევა: მუშისათვის იგი საქონელია, რომელიც მისი ღირებულების მიხედვით გაიყიდება; მისი მყიდველი კაპიტალისტისათვის იგი ღირებულებისა და სახმარი ღირებულების მწარმოებელი ძალაა. მაგრამ ფულს მუშა კაპიტალისტისაგან იღებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან თავისი სამუშაო ძალა მოსახმარებლად კაპიტალისტს გადასცა, მას შემდეგ, რაც ეს ძალა უკვე რეალიზებულია შრომის პროდუქტის ღირებულებაში. კაპიტალისტს ეს ღირებულება მანამდე აქვს ხელთ, ვიდრე მას გაისტუმრებდეს. მაშასადამე, ფული არ მოქმედებს ორჯერ: ჯერ როგორც ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმა, შემდეგ კი — როგორც ხელფასი. ორჯერ მოქმედებს სამუშაო ძალა: ჯერ ერთი, როგორც ს ა ქ ო ნ ე ლ ი საშუაო ძალის გაყიდვისას (გადასახდელი ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას ფული მხოლოდ ღირებულების იდეალური საზომის როლს ასრულებს, თანაც სრულიადაც არაა აუცილებელი, რომ იგი კაპიტალისტის ხელში იყოს); მეორე, წარმოების პროცესში, სადაც სამუშაო ძალა კაპიტალისტის განკარგულებაშია და მოქმედებს როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი, ე. ი. როგორც სახმარი ღირებულებისა და ღირებულების შემქმნელი ელემენტი. სამუშაო ძალამ უკვე საქონლის ფორმით შექმნა ის ეკვივალენტი, რითაც მუშა უნდა გაისტუმრონ, მან ეს ეკვივალენტი მანამდე შექმნა, ვიდრე კაპიტალისტი მას მუშას ფულადი ფორმით გადაუხდის. ამრიგად, მუშა თვითონ ქმნის გადახდის ფონდს, საიდანაც კაპიტალისტი მუშას ისტუმრებს. მაგრამ ეს ყველაფერი როდია.

ფულს, რასაც მუშა იღებს, იგი თავისი სამუშაო ძალის შესანარჩუნებლად ხარჯავს, მაშასადამე, — თუ კაპიტალისტთა კლასს და მუშათა კლასს მათს ერთობლივობაში განვიხილავთ, — ამ ფულს მუშა ხარჯავს იმისათვის, რ ო მ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ს შეუნარჩუნდეს იარაღი, მხოლოდ რომლის საშუალებითაც შეუძლია მას დარჩეს კაპიტალისტი.

ამრიგად, სამუშაო ძალის მუდმივი ყიდვა-გაყიდვა ამარადისებს, ერთი მარივ, სამუშაო ძალას როგორც კაპიტალის ელემენტს; ამის გამო კაპიტალი წარმოგვიდგება როგორც შემქმნელი საქონელთა, მოხმარების საგანთა, რომელთაც ღირებულება აქვთ; ამავე მიზეზით, შემდეგ კაპიტალის ნაწილი, რომელიც სამუშაო ძალას ყიდულობს, მუდამ აღდგება თვით ამ სამუშაო ძალის მიერ წარმოებული პროდუქტით, და, მაშასადამე, თვით მუშა ქმნის მუდამ კაპიტალის იმ ფონდს, საიდანაც მას გაისტუმრებენ. მეორე მხრივ, სამუშაო ძალის მუდმივი გაყიდვა ხდება მუშის სიცოცხლის შენარჩუნების წყარო,

რომელიც მუდამ ისევ და ისევ განახლდება, და ამგვარად მისი სამუშაო ძალა გვეკლინება, როგორც ძველი ავლა-დიდება, რომლის მეობებით მუშა იღებს შემოსავალს, რითაც იგი არსებობს. შემოსავალი ამ შემთხვევაში მაოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადგილი აქვს ღირებულებათა მითვისებას საქონლის (სამუშაო ძალის) მუდამ განმეორებული გაყიდვის გზით, ამასთან თვით ეს ღირებულებანი გასაყიდი საქონლის მუდმივ კვლავწარმოებას ემსაურებიან. და ამდენად ა. სმიტი მართალია, როცა ამბობს, მუშის შემოსავლის წყაროდ იქცევა თვით მუშის მიერ შექმნილი პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომლისათვის კაპიტალისტი მუშას ეკვივალენტს აძლევს ხელფასის სახითო. მაგრამ ეს გარემოება არაფერს არ ცვლის საქონლის ღირებულების ამ ნაწილის არც ბუნებაში და არც სიდიდეში; სრულიად ისე, როგორც წარმოების საშუალებათა ღირებულებაში არაფერი არ იცვლება იმის გამო, რომ ისინი კაპიტალღირებულებათა სახით მოქმედებენ ან როგორც სწორი ხაზის ბუნება და სიდიდე არ იცვლება იმის გამო, მოქმედებს ეს ხაზი სამკუთხედის საფუძვლის სახით თუ ელიფსის დიამეტრის სახით. სამუშაო ძალის ღირებულება წინანდებურად ისევე დამოუკიდებლად განისაზღვრება ამ გარემოებისგან, როგორც წარმოების საშუალებათა ღირებულებაც. საქონლის ღირებულების ეს ნაწილი არც შემოსავლისგან შ ე დ გ ე ბ ა, როგორც მისი ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი თავისთავადი ფაქტორისაგან, და არც შემოსავლად დ ა ი შ ლ ე ბ ა. თუმცა ეს მუშის მიერ მუდამ კვლავწარმოებული ახალი ღირებულებაᲜ მისთვის შემოსავლის წყაროს შეადგენს, მაგრამ მისი შემოსავალი, ამის გამო არ შეადგენს მის მიერ წარმოებული ახალი ღირებულების შემადგენელ ნაწილს. მუშის მიერ შექმნილი ახალი ღირებულების იმ წილის სიდიდე, რასაც მას უბდიან, განსაზღვრავს მისი შემოსავლის ღირებულების სიდიდეს, და არა პირიქით. ის გარემოება, რომ ახლადშექმნილი ღირებულების ეს ნაწილი მისთვის შემოსავალს შეადგენს, მიგვითითებს მაოლოდ იმაზე, თუ რა ემართება ამ ნაწილს, მიგვითითებს მისი გამოყენების ხასიათზე, და მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც მის წარმოშობასთან, და არც ყოველი სხვა ღირებულების წარმოშობასთან. თუ მე ყოველკვირეულად ათ ტალერს ვიღებ,—ჩემ მიერ ამ ყოველკვირეული შემოსავლის მიღების ფაქტი არაფერს არ ცვლის ამ ათი ტალერის არც ღირებულების ბ უ ნ ე ბ ა შ ი და არც მათს ს ი დ ი დ ე შ ი. როგორც ყოველი სავა საქონლის ღირებულება, სამუშაო ძალის ღირებულებაც განისაზღვრება იმ შრომის რაოდენობით, რომელიც აუცილებელია მისი კვლავწარმოებისათვის; ამ საქონლის (სამუშაო ძალის) დამახასიათებელია ის

გარემოება, რომ შრომის ეს რაოდენობა განისაზღვრება მუშის აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულებით, ანუ იგი უდრის შრომას, რომელიც აუცილებელია თვით მუშის საარსებო პირობების კვლავწარმოებისათვის. მაგრამ ეს გარემოება სულაც არაა უფრო დამახასიათებელი სამუშაო ძალის ღირებულებისათვის, ვიდრე მუშა პირუტყვის ღირებულებისათვის. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ იგი განისაზღვრება ამ პირუტყვის საარსებო საშუალებათა ღირებულებით, ე. ი. ადამიანის შრომის მასით, რომელიც აუცილებელია ამ საარსებო საზუალებათა საწარმოებლად.

მაგრამ მთელი იმ უბედურების მიზეზი, რაც ა. სმიტს ამ საკითხში თავს ატყდება, «revenue»-ს [«შემოსავლის»] კატეგორიაა. სხვადასხვა სახის შემოსავალი შეადგენს სმიტისათვის წლიურად წარმოებული, ახლადშექმნილი საქონლის ღირებულების «component parts»-ს, შემადგენელ ნაწილებს, მაშინ როდესაც, პირიქით, ის ორი ნაწილი, რომლებადაც ეს საქონლის ღირებულება ნაწილდება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ი ს ა თ ვ ი ს, — მის მიერ შრომის ყიდვისას ფულადი ფორმით ავანსებული კაპიტალის ეკვივალენტი და ღირებულების მეორე ნაწილი, რომელიც აგრეთვე მას ეკუთვნის, თუმცა მან იგი მუქთად მიიღო, ე. ი. ზედმეტი ღირებულება,—ეს ორი ნაწილი შემოსავლის წყაროს შეადგენს. ცვალებადი კაპიტალის ეკვივალენტი ხელახლა გაიღება ავანსად სამუშაო ძალის საყიდლად და ამდენად შემოსავალს შეადგენს მუშისათვის მძსი ხელფასის სახით; მეორე ნაწილს — ზედმეტ ღირებულებას—არავითარი ავანსებული კაპიტალის ნაწილი არა აქვს ასანაზღაურებელი კაპიტალისტისათვის და ამიტომ კაპიტალისტს შეუძლია დახარჯოს იგი მოხმარების საგნებზე (მოხმარების აუცილებელ საგნებზე და აგრეთვე ფუფუნების საგნებზე), შეუძლია მოიხმაროს როგორც შემოსავალი, ნაცვლად იმისა, რომ რაიმე სახის კაპიტალღირებულებად გადააქციოს. ამ შემოსავლის წანამძღვარს წარმოადგენს თვით საქონლის ღირებულება, და ამ საქონლის ღირებულების შემადგენელი ნაწილები კაპიტალისტის თვალში მხოლოდ იმდენად განსხვავდებიან ერთიმეორისგან, რამდენადაც ისინი ან ეკვივალენტს შეადგენენ ავანსებული ცვალებადი კაპიტალღირებულებისათვის, ან ნამეტს ავანსებულ ცვალებად კაპიტალთან შ ე დ ა რ ე ბ ი თ. ორივე ნაწილი შედგება მხოლოდ და მხოლოდ სამუშაო ძალისაგან, რომელიც საქონლის წარმოების დროს დაიხარჯა და რომელიც შრომის პროცესში ამოქმედდა. ეს ნაწილები წარმოადგენენ ხარჯვას და არა შემოსავალს ანუ revenue-ს, ისინი წარმოადგენენ შრომის ხარჯვას.

ამ quid pro quo-ს შესაბამისად, სადაც შემოსავალი საქონლის ღირებულების წყაროდ იქცევა, ნაცვლად იმისა, რომ საქონლის ღირებულება შემოსავლის წყაროს წარმოადგენდეს, — ისე გვეჩვენება, რომ საქონლური ღირებულება «შედგენილია» სხვადასხვა სახის შემოსავლისაგან; ეს სხვადასხვა შემოსავალი განისაზღვრება ერთიმეორისგან დამოუკიდებლად და საქონლის ერთობლივი ღირებულება ამ სხვადასხვა შემოსავლის ღირებულების სიდიდეთა ჯამით განისაზღვრება. მაგრამ იბადება კითხვა: როგორ განისაზღვრება სათითაოდ ამ შემოსავალთა ღირებულება, რომლებისგანაც უნდა წარმოიშვას საქონლის ღირებულება? რაც შეეხება ხელფასს, მისი განსაზღვრა შეიძლება, იმიტომ რომ იგი წარმოადგენს სათანადო საქონლის, სამუშაო ძალის, ღირებულებას, ეს უკანასკნელი კი (მსგავსად ყოველი სხვა საქონლის ღირებულებისა) განისაზღვრება იმ შრომით, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის კვლავწარმოებისათვის. მაგრამ საკითხავია, როგორ განისაზღვრება ზედმეტი ღირებულება ანუ, ა. სმიტის თანახმად, მისი ორი ფორმა: მოგება და მიწის რენტა? და აქ კი ადგილი აქვს ცარიელ ყბედობას. ხელფასი და ზედმეტი ღირებულება (შესაბამისად ხელფასი და მოგება) ა. სმიტს ხან ისე წარმოუდგენია, როგორც შემადგენელი ნაწილები, რომლებისგანაც შედგება საქონლის ღირებულება, შესაბამისად—ფასი, ხან კი—და ხშირად თითქმის იმავე წუთში—ისე როგორც ნაწილები, რომლებადაც საქონლის ფასი «დაიშლება» (resolves itself); ეს კი, პირიქით, იმას ნიშნავს, რომ საქონლის ღირებულება წინასწარაა მოცემული და რომ ამ უკვე მოცემული ღირებულების სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა შემოსავლის ფორმით მოუწევს სხვადასხვა პირს, რომელნიც მონაწილეობას იღებენ წარმოების პროცესში. მაგრამ ეს სრულიადაც არაა იმის მომასწავებელი, რომ ღირებულება ამ სამი «შემადგენელი ნაწილისაგან» არის შემდგარი. მე შემიძლია სხვადასხვა სწორი ხაზის სიდიდე დამოუკიდებლად განვსაზღვრო და შემდეგ ამ სამი ხაზისაგან როგორც «შემადგენელი ნაწილებისგან» მეოთხე სწორი ხაზი შევადგინო, რომლის სიდიდე სამი ხაზის სიდიდეს უდრის; მაგრამ ეს სრულიადაც არაა იგივე პროცედურა, მე რომ, მეორე მხრივ, მოცემული სწორი ხაზი მქონებოდა ხელთ და ეს ხაზი, ამა თუ იმ მიზნით, სამ სხვადასხვა ნაწილად დამეყო, ასე ვთქვათ «დამეშალა». პირველ შემთხვევაში ხაზის სიდიდე ყოველთვის იცვლება იმ სამი ხაზის სიდიდის ცვლილებასთან ერთად, რომელთა ჯამს იგი შეადგენს; უკანასკნელ შემთხვევაში კი ხაზის სამი ნაწილის სიდიდე იმთავითვე შემოფარგლულია იმით, რომ ისინი მოცემული სიდიდის ხაზის ნაწილებს შეადგენენ.

მაგრამ თუ ჩვენ ნამდვილად დავეყრდნობით იმას, რაც ა. სმიტის გადმოცემაში სწორია, სახელდობრ: რომ წ ლ ი უ რ ი შ რ ო მ ი თ ა ხ ლ ა დ შ ე ქ მ ნ ი ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, რასაც საზოგადოების წლიური საქონლის პროდუქტი (როგორც ყოველი ცალკეული საქონელი ან დღიური, კვირეული და სხვ. პროდუქტები) შეიცავს, უდრის ავანსებული ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას (ე. ი. ღირებულების ნაწილს, რომელიც კვლავ სამუშაო ძალის საყიდლადაა განკუთვნილი), პლუს ზედმეტი ღირებულება, რომლის რეალიზაციაც კაპიტალისტს შეუძლია— მარტივი კვლავწარმოებისა და სხვა თანაბარი პირობების არსებობისას—მოახდინოს თავისი ინდივიდუალური მოხმარების საგნებში; თუ დავიხსომებთ შემდეგ, რომ ა. სმიტს ერთმანეთში აქვს არეული შრომა, რამდენადაც იგი ღირებულებას ქმნის, სამუშაო ძალის ხარჯვას წარმოადგენს, და შრომა, რამდენადაც იგი საამარ ღირებულებას ქმნის, ე. ი. სასარგებლო, მიზანშეწონილი ფორმით იხარჯება, — მაშინ ა. სმიტის მთელი წარმოდგენა ნიშნავს შემდეგს: ყოველი საქონლის ღირებულება შრომის პროდუქტია, მაშასადამე, წლიური შრომის პროდუქტის ღირებულებაც ანუ წლიური საზოგადოებრივი საქონლური პროდუქტის ღირებულებაც შრომის პროდუქტია. მაგრამ რადგან ყოველი შრომა ნაწილდება: 1) აუცილებელ სამუშაო დროდ, რომლის განმავლობაში მუშა მარტოოდენ მისი სამუშაო ძალის საყიდლად ავანსებული კაპიტალის ეკვივალენტს აკვლავწარმოებს, და 2) ზედმეტ შრომად, რითაც იგი კაპიტალისტს უქმნის ღირებულებას, რომლისთვისაც კაპიტალისტი არავითარ ეკვივალენტს არ იხდის, მაშასადამე, კაპიტალისტს ზედმეტ ღირებულებას უქმნის; ამრიგად, ყოველი საქონლის ღირებულება შეიძლება მხოლოდ ამ ორ სხვადასხვა შემადგენელ ნაწილად დაიშალოს და საბოლოო ანგარიშით იგი შეადგენს ხელფასის სახით მუშათა კლასის შემოსავალს, ზედმეტი ღირებულების სახით კი—კაპიტალისტთა კლასის შემოსავალს. ხოლო რაც შეეხება მუდმივ კაპიტალღირებულებას, ე. ი. წარმოების იმ საშუალებათა ღირებულებას, რომლებიც წლიური პროდუქტის წარმოებას მოხმარდა, თუმცა არ შეიძლება იმის თქმა (გარდა ასეთი ფრაზისა: კაპიტალისტი მას თავისი საქონლის გაყიდვისას მყიდველს უანგარიშებსო), თუ რანაირად შედის ეს ღირებულება ახალი პროდუქტის ღირებულებაში, მაგრამ რადგან თვით წარმოების საშუალებანი შრომის პროდუქტს წარმოადგენენ, ამიტომ საბოლოო ანგარიშით — ultimately — ღირებულების ეს ნაწილი კვლავ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ცვალებადი კაპიტალის ეკვივალენტისაგან და ზედმეტი ღირებულებისაგან: აუცილებელი შრომისა და ზედმეტი შრომის პროდუქტისაგან.

თუ წარმოების ამ საშუალებათა ღირებულებანი მათს გამომყენებელთა ხელში მოქმედებენ როგორც კაპიტალღირებულებანი, ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ისინი «თავდაპირველად», ხოლო თუ მათ საფუძვლიანად განვიხილავთ ბოლომდე, სხვების ხელში, — თუნდაც წინათ, — შეიძლება დაშლილიყვნენ ღირებულების იმავე ორ ნაწილად, ე. ი. შემოსავლის ორ სხვადასხვა წყაროდ.

ყოველივე ამაში სწორი ის არის, რომ საზოგადოებრივი კაპიტალის, ე. ი. ინდივიდუალური კაპიტალების ერთობლიობის მოძრაობაში საქმე სხვაგვარად წარმოგვიდგება, ვიდრე ცალკე აღებული თვითეული ინდივიდუალური კაპიტალისათვის, მაშასადამე, ვიდრე წარმოგვიდგება ყოველი ცალკეული კაპიტალისტის თვალსაზრისით. უკანასკნელისთვის საქონლის ღირებულება დაიშლება 1) მუდმივ ელემენტად (მეოთხე ელემენტად, როგორც სმიტი ამბობს) და 2) ხელფასის და ზედმეტი ღირებულების, ანუ, შესაბამისად, ხელფასის, მოგებისა და მიწის რენტის ჯამად. საზოგადოებრივი თვალსაზრისით, პირიქით, სმიტის მეოთხე ელემენტი, მუდმივი კაპიტალღირებულება, ქრება.

5) დასკვნები

ის უაზრო ფორმულა, რომ სამი სახის შემოსავალი: ხელფასი, მოგება, რენტა, საქონლის ღირებულების სამ «შემადგენელ ნაწილს» შეადგენს, ა. სმიტის მიხედვით გამომდინარეობს იმ უფრო დასაჯერებელი ფორმულიდან, რომლის მიხედვით საქონლური ღირებულება დაიშლება (resolves itself) ამ სამ შემადგენელ ნაწილად. მაგრამ ესეც მცდარია მაშინაც კი, თუ ვიგულისხმებთ, რომ საქონლის ღირებულება შეიძლება დაიყოს მხოლოდ სამუშაო ძალის ეკვივალენტად და ამ ძალის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებად. მაგრამ ეს შეცდომაც აქ კვლავ უფრო ღრმა, სწორ საფუძველს ეყრდნობა. კაპიტალისტური წარმოება იმაზეა დაფუძნებული, რომ მწარმოებელმა მუშამ საკუთარი სამუშაო ძალა კაპიტალისტს უნდა მიჰყიდოს როგორც თავისი საქონელი, და რომ კაპიტალისტის ხელში ეს სამუშაო ძალა შემდგომ მოქმედებს მხოლოდ როგორც კაპიტალისტის მწარმოებლური კაპიტალის ელემენტი. მიმოქცევის სფეროს კუთვნილი ეს გარიგება — სამუშაო ძალის გაყიდვა და ყიდვა—წარმოადგენს არა მარტო შესავალს წარმოების პროცესისათვის, არამედ განსაზღვრავს კიდეც implicite მის სპეციფიკურ ხასიათს. სახმარი ღირებულების წარმოება, და საქონლის წარმოებაც კი (რადგან ეს წარმოება შეიძლება დამოუკიდე-

ბელი მწარმოებელი მუშის მიერაც სრულდებოდეს), აქ მარტოოდენ საშუალებაა აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების საწარმოებლად კაპიტალისტისათვის. ამიტომ წარმოების ანალიზის დროს ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ განსაზღვრავს აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოება 1) ყოველდღიური შრომის პროცესის ხანგრძლიობას, 2) კაპიტალისტური წარმოების პროცესის მთელ საზოგადოებრივ და ტექნიკურ წყობას. თვით ამ წარმოების პროცესში ხორციელდება განსხვავება ღირებულების (მუდმივი კაპიტალღირებულების) უბრალო შენარჩუნებასა, ავანსებული ღირებულების (სამუშაო ძალის ეკვივალენტის) კვლავწარმოებასა და ზედმეტი ღირებულების წარმოებას შორის, ე. ი. ღირებულებისა, რომლისთვისაც კაპიტალისტს არც უწინ გაუღია ავანსად რაიმე ეკვივალენტი და არც post festum [შემდგომ] გაიღებს ავანსად მას.

თუმცა მითვისება ზედმეტი ღირებულებისა, რომელიც წარმოადგენს ნამეტს კაპიტალისტის მიერ ავანსებულ ღირებულებასთან შედარებით, სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვით იწყება, იგი მაინც ისეთი აქტია, რომელიც თვით წარმოების პროცესში სრულდება და ამ უკანასკნელის არსებით მომენტს შეადგენს.

თვით შესავალი აქტი, რომელიც მიმოქცევის აქტს წარმოადგენს: სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა, თავის მხრივ, დამყარებულია წარმოების ელემენტების განაწილებაზე, რომელიც წინ უძღვის საზოგადოებრივი პროდუქტების განაწილებას და ამ უკანასკნელის წანამძღვარს წარმოადგენს, დამყარებულია სახელდობრ სამუშაო ძალის, როგორც მუშის საქონლის გამოყოფაზე წარმოების საშუალებებისაგან, როგორც არამუშის საკუთრებისაგან.

მაგრამ ამასთან ერთად ზედმეტი ღირებულების ეს მითვისება ანუ ღირებულების წარმოების ეს დაყოფა ავანსებული ღირებულების კვლავწარმოებად და იმ ახალი ღირებულების (ზედმეტი ღირებულების) წარმოებად, რომლის ანაზღაურებაც არავითარი ეკვივალენტით არ ხდება, სრულიად არაფერს არ ცვლის არც თვითონ ღირებულების სუბსტანციაში და არც ღირებულების წარმოების ბუნებაში. ღირებულების სუბსტანცია არის და იქნება მუდამ მხოლოდ დახარჯული სამუშაო ძალა — შრომა, ამ შრომის განსაკუთრებული სასარგებლო ხასიათისაგან დამოუკიდებლად, — და ღირებულების წარმოება სხვა არაფერია, თუ არა სამუშაო ძალის ამ ხარჯვის პროცესი. ასე, ყმა ხარჯავს ექვსი დღის განმავლობაში თავის სამუშაო ძალას, მუშაობს ექვს დღეს, და სამუშაო ძალის ამ ხარჯვის—როგორც ასეთის—თვით ფაქტის, ზიმართ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ ყმა, მა-

გალითად, ამ სამუშაო დღეებიდან სამ დღეს თავისთვის მუშაობს საკუთარ ნაკვეთზე და დანარჩენ სამ დღეს—მემამულისათვის მის მიწაზე. ყმის ნებაყოფლობითი შრომა თავისთვის და იძულებითი შრომა ბატონისათვის ორივე თანაბრად შრომაა; განვიხილავთ ჩვენ ყმის ექვსი დღის შრომას მის მიერ შექმნილ ღირებულებათა მიმართ თუ მის მიერ შექმნილი სასარგებლო პროდუქტების მიმართ, ამ შრომაში ვერავითარ განსხვავებას ვერ ვპოვებთ. მის შრომაში განსხვავება ეხება მხოლოდ იმ სხვადასხვა ურთიერთობას, რომელიც იწვევს მისი სამუშაო ძალის ხარჯვას ექვსი დღის სამუშაო დროის ორი ნახევრის განმავლობაში. სრულიად ასეთივეა საქმის ვითარება დაქირავებული მუშის აუცილებელი და ზედმეტი შრომის მიმართაც.

წარმოების პროცესი ჩაქრება საქონელში. ის ფაქტი, რომ საქონლის წარმოებაზე სამუშაო ძალაა დახარჯული, გვევლინება ახლა როგორც საქონლის ნივთობრივი თვისება, — თვისება საქონლისა, რომ მას აქვს ღირებულება; ამ ღირებულების სიდიდე გაიზომება დახარჯული შრომის სიდიდით; საქონლის ღირებულება არც სხვა რამედ დაიშლება და არც სხვა რაიმესაგან შედგება. თუ მე განსაზღვრული სიდიდის სწორი ხაზი გავავლე,—ამით მე უწინარეს ყოვლისა «ვაწარმოვე» პირდაპირი ხაზი (მართალია, მხოლოდ სიმბოლურად, რაც მე წინასწარ ვიცი) იმ ნახაზის საშუალებით, რომლის შესრულება ხდება გარკვეული ჩემგან დამოუკიდებელი წესების (კანონების) თანახმად. თუ მე ამ ხაზს დავყოფ სამ ნაკვეთად (რომლებიც შეიძლება კვლავ გარკვეულ ამოცანას შეესაბამებოდეს), — თვითეული ამ სამი ნაკვეთიდან უწინდებურად სწორი ხაზი რჩება და მთელი ხაზი, რომლის ნაწილებს ისინი შეადგენენ, არ გადაიქცევა ამ დაყოფის გამო სწორი ხაზისაგან განსხვავებულ რამედ, მაგალითად, რაიმე სახის მრუდე ხაზად. ასევე მე ვერ შევძლებ მოცემული სიდიდის ხაზი დავყო ისე, რომ ამ ნაწილების ჯამი მეტი იყოს თვით დაუყოფელ ხაზზე; მაშასადამე, დაუყოფელი ხაზის სიდიდეც განსაზღვრული არაა ხაზის ნაწილების ნებისმიერად განსაზღვრული სიდიდეებით. პირიქით, ამ ნაწილთა შეფარდებითი სიდიდე იმთავითვე შემოფარგლულია იმ ხაზის საზღვრებით, რომლის ნაწილებსაც ისინი შეადგენენ.

კაპიტალისტის მიერ წარმოებული საქონელი ამ მხრივ არაფრით არ განსხვავდება დამოუკიდებელი მუშების, ან მშრომელთა თემების [Arbeitergemeinden], ან მონების მიერ წარმოებული საქონლისაგან. მაგრამ ჩვენ მიერ განსახილველ შემთხვევაში შრომის მთელი პროდუქტი, ისე როგორც მთელი მისი ღირებულებაც, კაპიტალისტს ეკუთვნის. ყოველი სხვა მწარმოებლის მსგავსად, კაპიტალისტმა ჯერ გაყიდ-

ვის გზით საქონელი ფულად უნდა აქციოს, რათა ამით შემდგომი მანიპულაციების ჩატარება შეძლოს: მან საქონელი საყოველთაო ეკვივალენტის ფორმად უნდა გარდაქმნას.

განვიხილოთ საქონლური პროდუქტი, ვიდრე იგი ფულად გადაიქცეოდეს. იგი მთლიანად კაპიტალისტს ეკუთვნის. მეორე მხრივ, როგორც შრომის სასარგებლო პროდუქტი, როგორც სახმარი ღირებულება, იგი სავსებით წარსული შრომითი პროცესის პროდუქტია; მაგრამ ეს არ ითქმის მის ღირებულებაზე. ამ ღირებულების ერთი ნაწილი წარმოების იმ საშუალებათა მხოლოდ ახალი ფორმით კვლავმოვლენილი ღირებულებაა, რომლებიც საქონლის წარმოებაზე დაიხარჯა; ეს ღირებულება არ ყოფილა წარმოებული ამ საქონლის წარმოების პროცესის განმავლობაში; იმიტომ, რომ წარმოების საშუალებებს ეს ღირებულება ჰქონდათ წარმოების პროცესამდე, მისგან დამოუკიდებლად; ისინი ამ პროცესში შევიდნენ როგორც ამ ღირებულების მატარებელნი; განახლდა და შეიცვალა მხოლოდ მისი ღირებულების გამოვლინების ფორმა. საქონლის ღირებულების ეს ნაწილი შეადგენს კაპიტალისტისათვის მის მიერ ავანსებული მუდმივი კაპიტალღირებულების იმ ნაწილის ეკვივალენტს, რომელიც საქონლის წარმოების განმავლობაში დაიხარჯა. წინათ იგი არსებობდა წარმოების საშუალებათა ფორმაში; ახლა იგი არსებობს როგორც ახლად წარმოებული საქონლის ღირებულების შემადგენელი ნაწილი. როგორც კი საქონელი ფულად იქცა, ეს ახლა ფულის სახით არსებული ღირებულება ხელახლა უნდა გადაიქცეს წარმოების საშუალებებად, თავის იმ თავდაპირველ ფორმად, რომელიც განისაზღვრება წარმოების პროცესით და იმ ფუნქციით, რასაც ეს ღირებულება ასრულებს ამ პროცესში. საქონლის ღირებულების ხასიათში არაფერი არ იცვლება იმით, რომ ეს ღირებულება კაპიტალის სახით მოქმედებს.

საქონლის ღირებულების მეორე ნაწილი იმ სამუშაო ძალის ღირებულებაა, რომელსაც მუშა მიჰყიდის კაპიტალისტს. იგი განისაზღვრება, ისევე როგორც წარმოების საშუალებათა ღირებულება, იმ წარმოების პროცესისაგან დამოუკიდებლად, რომელშიც სამუშაო ძალა უნდა შევიდეს და, ვიდრე სამუშაო ძალა წარმოების პროცესში შევიდოდეს, ეს ღირებულება ფიქსირდება მიმოქცევის აქტში, სამუშაო ძალის ყიდვასა და გაყიდვაში. თავისი მოქმედებით, თავისი სამუშაო ძალის ხარჯვით, დაქირავებული მუშა აწარმოებს იმ ღირებულების თანაბარ საქონლურ ღირებულებას, რომელიც კაპიტალისტმა მუშას უნდა გადაუხადოს მისი სამუშაო ძალით სარგებლობისათვის. მუშა კაპიტალისტს აძლევს ამ ღირებულებას საქონლით, კაპიტალისტი კი

მუშას ამ ღირებულებას უხდის ფულით. ის გარემოება, რომ საქონლის ღირებულების ეს ნაწილი კაპიტალისტისათვის წარმოადგენს მის მიერ ავანსებული ცვალებადი კაპიტალის მხოლოდ ეკვივალენტს, სრულიად არაფერს არ ცვლის იმ ფაქტში, რომ მოცემული ღირებულება წარმოების პროცესის განმავლობაში ახლადშექმნილი საქონლის ღირებულებაა, რომელიც მხოლოდ იმისაგან შედგება, რისგანაც ზედმეტი ღირებულება,—სახელდობრ იგი შედგება სამუშაო ძალის დახარჯვისაგან. ამ ფაქტზე არავითარ გავლენას არ ახდენს ის გარემოებაც, რომ სამუშაო ძალის ღირებულება, რასაც კაპიტალისტი მუშას უხდის ხელფასის სახით, შემოსავლის ფორმას იღებს მუშისათვის, და რომ ამის მეოხებით გამუდმებით იკვლავწარმოება არა მარტო სამუშაო ძალა, არამედ დაქირავებული მუშათა კლასიც როგორც ასეთი და ამასთან ერთად იკვლავწარმოება მთელი კაპიტალისტური წარმოების საფუძველიც.

მაგრამ ღირებულების ამ ორი შემადგენელი ნაწილის ჯამი ჯერ კიდევ არ შეადგენს მთელ საქონლურ ღირებულებას. რჩება ნამეტი ორივე ნაწილთან შედარებით: ზედმეტი ღირებულება. ეს უკანასკნელი, ისევე როგორც ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ხელფასისათვის ავანსებულ ცვალებად კაპიტალს ანაზღაურებს, წარმოადგენს წარმოების პროცესის დროს მუშის მიერ ახლადშექმნილ ღირებულებას — შედეგებულ შრომას. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ მთელი პროდუქტის მესაკუთრეს, კაპიტალისტს, იგი არაფერი არ უღირს. ეს უკანასკნელი გარემოება სინამდვილეში ნებას აძლევს კაპიტალისტს მოიხმაროს ეს ღირებულება როგორც შემოსავალი, თუ მას არ სჭირდება სხვა თანამონაწილეებს უწილადოს იგი, — როგორც, მაგალითად, მიწის რენტა მიწათმფლობელებს, თანაც ამ შემთხვევაში სათანადო ნაწილები ასეთ მესამე პირთა შემოსავალს შეადგენენ. სწორედ ეს გარემოება იყო მამოძრავებელი მოტივი იმისა, თუ რატომ მოჰკიდა ხელი საერთოდ ჩვენმა კაპიტალისტმა საქონლის წარმოებას. მაგრამ არც მისი თავდაპირველი კეთილი განზრახვა ზედმეტი ღირებულების ჩაჯიბვისა, არც შემდგომი დახარჯვა ამ ზედმეტი ღირებულებისა შემოსავლის სახით მის მიერ და სხვების მიერ სრულიად არავითარ გავლენას არ ახდენს ზედმეტ ღირებულებაზე როგორც ასეთზე. ყოველივე ეს არაფერს არ ცვლის იმაში, რომ იგი შედეგებული გადაუხდელი შრომაა, ასევე არაფერს არ ცვლის მის სიდიდეში, რომელიც სულ სხვა პირობებით განისაზღვრება.

მაგრამ თუ ა. სმიტს უნდოდა, როგორც იგი ამას სჩადის კიდეც, საქონლის ღირებულების განხილვისას გაერკვია აგრეთვე მისი სხვა-

დასხვა ნაწილების როლი ერთობლივ კვლავწარმოების პროცესში,— ცხადია, რომ რაკი ამ საქონლის ღირებულების განსაზღვრული ნაწილები მოქმედებენ როგორც შემოსავალი, სხვა ნაწილებიც ასევე მუდმივ მოქმედებენ როგორც კაპიტალი, და ამიტომ სმიტის ლოგიკის თანახმად, ისინი მიჩნეული უნდა ყოფილიყვნენ საქონლის ღირებულების შემადგენელ ნაწილებად ანუ იმ ნაწილებად, რომლებადაც საქონლის ღირებულება დაიშლება.

ა. სმიტი აიგივებს საქონელწარმოებას საერთოდ კაპიტალისტურ საქონელწარმოებასთან; წარმოების საშუალებანი იმთავითვე «კაპიტალს» წარმოადგენენ, შრომა იმთავითვე დაქირავებული შრომაა და ამიტომ «სასარგებლო და მწარმოებელი მუშების რიცხვი ყველგან... პროპორციულია იმ კაპიტალის სიდიდისა, რომელიც გამოიყენება მათთვის სამუშაოს მისაცემად» («to the quantity of capital stock which is employed in setting them to work». Introduction, გვ. 12). ერთი სიტყვით, შრომის პროცესის სხვადასხვა ფაქტორი, როგორც საგნობრივი, ისე პირადი, იმთავითვე გვეელინება კაპიტალისტური წარმოების პერიოდის დამახასიათებელი ნიღბით. ამიტომ საქონლის ღირებულების ანალიზი უშუალოდ ემთხვევა იმის გარკვევას, თუ რამდენად შეადგენს ეს ღირებულება, ერთი მხრივ, დახარჯული კაპიტალის უბრალო ეკვივალენტს და, მეორე მხრივ, «თავისუფალ» ღირებულებას, რომელიც არავითარ ავანსებულ კაპიტალღირებულებას არ ანაზღაურებს, ე. ი. რამდენად შეადგენს იგი ზედმეტ ღირებულებას. ამრიგად, ამ თვალსაზრისით ერთიმეორესთან შედარებული საქონლის ღირებულების ნაწილები თვალსა და ხელს შუა გადაიქცევიან მის დამოუკიდებელ «შემადგენელ ნაწილებად» და, ბოლოს, «ყოველი ღირებულების წყაროებად». შემდგომ დასკვნას წარმოადგენს ის, რომ საქონლის ღირებულება შედგება სხვადასხვა სახის შემოსავლისაგან ანუ იგი «დაიშლება» რიგრიგობით სხვადასხვა სახის შემოსავლად, ასე რომ შემოსავალი კი არ შედგება საქონლის ღირებულებისაგან, არამედ საქონლის ღირებულება შედგება «შემოსავალთაგან». მაგრამ ის გარემოება, რომ საქონლის ღირებულება შემდგომ მოქმედებს ვინმეს შემოსავლის სახით, ამ ღირებულების ბუნებას ისევე არ ცვლის, როგორც საქონლის ღირებულების — როგორც ასეთის — ბუნებას ან ფულის — როგორც ასეთის — ბუნებას არ ცვლის ის გარემოება, რომ ისინი კაპიტალღირებულების სახით მოქმედებენ. საქონელი, რომელთანაც საქმე აქვს ა. სმიტს, იმთავითვე საქონლური კაპიტალია (რომელიც, გარდა საქონლის წარმოებაზე დახარჯული კაპიტალღირებულებისა, ზედმეტ ღირებულებასაც შეიცავს), მაშასადამე, იგი კა-

პიტალისტურად წარმოებული საქონელია, კაპიტალისტური წარმოების პროცესის შედეგია. ამიტომ საჭირო იყო ამ უკანასკნელის და მასთან ერთად აგრეთვე მასში შემავალი ღირებულების ზრდისა და ღირებულების წარმოქმნის პროცესის წინასწარი ანალიზი. მაგრამ რადგან თვით კაპიტალისტური წარმოების პროცესის წანამძღვარს, თავის მხრივ, საქონელმიმოქცევა წარმოადგენს, ამიტომ ხსენებული პროცესის გადმოცემა მოითხოვს, რომ წინასწარ და მისგან დამოუკიდებლად საქონლის ანალიზი იყოს გაკეთებული. მაშინაც კი, როდესაც ა. სმიტი დროგამოშვებით «ეზოტერულად» სწორ გზას ადგება ხოლმე, იგი მუდამ მხედველობაში იღებს ღირებულების წარმოებას მხოლოდ გზადაგზა საქონლის ანალიზის დროს, ე. ი. საქონლური კაპიტალის ანალიზის დროს.

III. ზემდგომდროინდელი ეკონომისტები [41]

რიკარდო თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ა. სმიტის თეორიას. «ეჭვი არ არის იმაში, რომ ქვეყნის ყველა პროდუქტი მოიხმარება, მაგრამ წარმოუდგენლად დიდი განსხვავებაა: მოიხმარებენ ამ პროდუქტებს ისინი, ვინც რაიმე სხვა ღირებულებას აკვლავწარმოებს, თუ ისინი, ვინც ამას არ აკეთებს. როდესაც ჩვენ ვამბობთ, შემოსავალი შემოინახება და კაპიტალს მიემატებაო, ამით იმას ვგულისხმობთ, რომ შემოსავლის ნაწილს, რაც კაპიტალს მიემატება, ნაცვლად არამწარმოებლებისა მწარმოებელი მუშები მოიხმარენ» («Principles», გვ. 163).

მართლაც, რიკარდომ მთლიანად მიიღო ა. სმიტის თეორია იმის შესახებ, რომ საქონლის ფასი დაიშლება ხელფასად და ზედმეტ ღირებულებად (ანუ ცვალებად კაპიტალად და ზედმეტ ღირებულებად). იგი მას ეკამათება მხოლოდ 1) ზედმეტი ღირებულების შემადგენელი ნაწილების შესახებ; ზედმეტი ღირებულების აუცილებელი ელემენტებიდან იგი გამორიცხავს მიწის რენტას; 2) რიკარდო საქონლის ფასს შ ლ ი ს ამ შემადგენელ ნაწილებად. მაშასადამე, ღირებულების სიდიდე მისთვის არის prius-ი [წინასწარ არსებული]. რიკარდო გულისხმობს, რომ შემადგენელი ნაწილების ჯამი მოცემული სიდიდეა, იგი ამ სიდიდიდან გამოდის ა. სმიტისაგან განსხვავებით, რომელსაც ხშირად, თავისი საკუთარი უფრო ღრმა შეხედულების წინააღმდეგ, საქონლის ღირებულების სიდიდე post festum შემადგენელი ნაწილების შეკრების გზით გამოჰყავს.

---

[41] აქედან დაწყებული თავიხ ბოლომდე დანართი II ხელნაწერიდან.

რამსეი რიკარდოს წინააღმდეგ შენიშნავს: «რიკარდოს ავიწყდება, რომ მთელი პროდუეტი არ ნაწილდება მარტო ხელფასად და მოგებად და რომ მისი ერთი ნაწილი აუცილებელია ძირითადი კაპიტალის ასანაზღაურებლად» («An Essay on the Distribution of Wealth». Edinburgh 1836, გვ. 174). რამსეი ძირითად კაპიტალად იმასვე გულისხმობს, რასაც მე მუდმივ კაპიტალად ვგულისხმობ: «ძირითადი კაპიტალი არსებობს ისეთი ფორმით, რომლითაც იგი თუმცა ხელს უწყობს დამუშავებაში მყოფი საქონლის წარმოებას, მაგრამ არ უწყობს ხელს მუშების შენახვას» (გვ. 59).

ა. სმიტი ამაედრებული იყო იმ აუცილებელი დასკვნის წინააღმდეგ, რომელიც გამომდინარეობს მისივე მტკიცებიდან, რომ საქონლის ღირებულება, და, მაშასადამე, საზოგადოებრივი წლიური პროდუქტის ღირებულებაც, დაიშლება ხელფასად და ზედმეტ ღირებულებად, ე. ი. უბრალო შემოსავლებად — იმ დასკვნის წინააღმდეგ, რომლის თანახმად შესაძლებელი იქნებოდა მთელი წლიური პროდუქტის მოხმარება. ორიგინალური მოაზროვნენი არასოდეს არ აკეთებენ აბსურდულ დასკვნებს. ამას ისინი სეებს და მაკ-კულოხებს უთმობენ.

მართლაც, სეი ძალიან ადვილად წყვეტს ამ საკითხს. ის, რაც ერთისთვის ავანსებული კაპიტალია, მეორისათვის შემოსავალს, წმინდა პროდუქტს წარმოადგენს ან ასეთი იყო; განსხვავება მთლიანსა და წმინდა პროდუქტს შორის სავსებით სუბიექტურია, და «ამრიგად ყველა პროდუქტის ერთობლივი ღირებულება განაწილებულია საზოგადოებაში როგორც შემოსავალი» (Say: Traité d' Économie Politique» 1817, II, გვ. 64). «ყოველი პროდუქტის ერთობლივი ღირებულება შედგება მიწათმფლობელების, კაპიტალისტებისა და მრეწველობაში მომუშავეთა მოგებისაგან «{ხელფასი აქ აღნიშნულია როგორც profits des industrieux!}», რომლებმაც ხელი შეუწყვეს მის წარმოებას. ამიტომაა, რომ საზოგადოების შემოსავალი უდრის წ ა რ მ ო ე ბ უ ლ მ თ ლ ი ა ნ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს და არა მიწის წმინდა პროდუქტს, როგორც ამას ფიქრობდა ეკონომისტების სექტა «{ფიზიოკრატები}» (გვ. 63).

სეის ეს აღმოჩენა, სხვათა შორის, პრუდონმაც მიითვისა.

შტორხი, რომელიც აგრეთვე პრინციპში იღებს ა. სმიტის დოქტრინას, ფიქრობს, რომ სმიტის მოძღვრების გამოყენება, ისე, როგორც ის სეიმ გამოიყენა, ვერ უძლებს კრიტიკას. «თუ ვაღიარებთ, რომ ერის შემოსავალი უდრის მის მთლიან პროდუქტს, აქედან კაპიტალის «{უნდა ვთქვა: მუდმივი კაპიტალის}» გამოუკლებლად, მაშინ ისიც უნდა მიგვეღო, რომ ამ ერს შეუძლია არამწარმოებლურად მოიხმაროს

წლიური პროდუქტის მთელი ღირებულება თავისი მომავალი შემოსავლისათვის რაიმე ზიანის მიუყენებლად... პროდუქტები, რომლებიც ერის კაპიტალს «მუდმივ კაპიტალს» შეადგენს, არ შეიძლება მოხმარებულ იქნას» (Storch: «Considérations sur la nature du revenu national». Paris 1824, გვ. 150).

მაგრამ შტორხს დაავიწყდა ეთქვა, როგორ ეგუება კაპიტალის ამ მუდმივი ნაწილის არსებობა ფასის იმ ანალიზს, რომელიც მან სმიტისაგან გადმოიღო და რომლის თანახმად საქონლის ღირებულება შეიცავს მხოლოდ ხელფასს და ზედმეტ ღირებულებას, მაგრამ არ შეიცავს კაპიტალის არავითარ მუდმივ ნაწილს. მხოლოდ სეის წყალობით ხდება მისთვის ცხადი, რომ ფასის ამ ანალიზს მივყავართ აბსურდულ შედეგებამდე, და მისი საკუთარი უკანასკნელი სიტყვა ამ საკითხის შესახებ ასეთია: «შეუძლებელია აუცილებელი ფასი მის უმარტივეს ელემენტებად დაიშალოსო» («Cours d'Économie Politique», Petersbourg 1815, II, გვ. 141).

სისმონდის, რომელიც განსაკუთრებით ცდილობდა გაერკვია კაპიტალისა და შემოსავლის დამოკიდებულება და რომელმაც ამ დამოკიდებულების განსაკუთრებული ფორმულირება თავის «Nouveaux Principes»-ის differentia specifica-დ აქცია, არ უთქვამს არც ერთი მეცნიერული სიტყვა, არ შეუტანია არც ერთი ატომი პრობლემის გადაწყვეტაში.

ბარტონი, რამსეი და შერბიულიე ცდილობენ სმიტის კონცეფციის გაგებაზე მაღლა დადგნენ; მაგრამ მათი ცდა მარცხით მთავრდება, რადგან ისინი პრობლემას იმთავითვე ცალმხრივად აყენებენ. რაკი გარკვეულ მიჯნას ვერ ავლებენ მუდმივი და ცვალებადი კაპიტალღირებულების განსხვავებასა და ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავებას შორის.

ჯონ სტიუარტ მილიც ჩვეული მედიდურობით იმეორებს ა. სმიტის დოქტრინას, რომელიც ა. სმიტისაგან მის მიმდევრებს მემკვიდრეობით გადაეცა.

შედეგი: ცნებათა სმიტისებური აღრევა დღემდე განაგრძობს არსებობას, და სმიტის დოგმა არის პოლიტიკური ეკონომიის ორთოდოქსალური სიმბოლო სარწმუნოებისა.

თავი მეოცე

მარტივი კვლავწარმოება

I. საკითხის დაყენება

თუ ჩვენ განვიხილავთ[42] საზოგადოებრივი კაპიტალის წლიურ მოქმედებას მისი შედეგის მხრივ, — მაშასადამე, თუ განვიხილავთ იმ ერთობლივი კაპიტალის წლიურ მოქმედებას, რომლის მიმართ ინდივიდუალური კაპიტალები მხოლოდ ნაწილებს წარმოადგენენ, ამასთან ამ ნაწილების მოძრაობა, რაც მათი ინდივიდუალური მოძრაობაა, იმავე დროს წარმოადგენს აუცილებელ შემადგენელ რგოლს ერთობლივი კაპიტალის მოძრაობაში, ე. ი. თუ განვიხილავთ საქონლურ პროდუქტს, რომელსაც საზოგადოება იძლევა წლის განმავლობაში, — მაშინ ცხადი გახდება, თუ როგორ მიმდინარეობს საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოების პროცესი, რა დამახასიათებელი ნიშნები განასხვავებენ კვლავწარმოების ამ პროცესს ინდივიდუალური კაპიტალის კვლავწარმოების პროცესისაგან და რა ნიშნებია საერთო ორივესათვის. წლიური პროდუქტი შეიცავს როგორც საზოგადოებრივი პროდუქტის იმ ნაწილებს, რომელნიც კაპიტალს ანაზღაურებენ, — საზოგადოებრივი ‹ წარმოება, შესაბამისად › კვლავწარმოება, — ისე იმ ნაწილებს, რომელნიც მოხმარების ფონდში შედიან, რომლებსაც მუშები და კაპიტალისტები მოიხმარენ, მაშასადამე, შეიცავს, როგორც მწარმოებლურ, ისე ინდივიდუალურ მოხმარებას. კვლავწარმოება მოიცავს ‹ როგორც საქონელთა სამყაროს კვლავწარმოებას, ისე › კაპიტალისტთა კლასისა და მუშათა კლასის კვლავწარმოებასაც (ე. ი. შენარჩუნებას), მაშასადამე, წარმოების ერთობლივი პროცესის კაპიტალისტური ხასიათის კვლავწარმოებასაც.

ცხადია, ჩვენ ანალიზი უნდა გავუკეთოთ მიმოქცევის ფიგურას

$$ს' — \begin{cases} ფ — ს \ldots წ \ldots ს'; \\ ფ — ს \end{cases}$$

ამასთან აქ მოხმარება აუცილებლად გარკვეულ როლს ასრულებს, ვინაიდან ამოსავალი პუნქტი: $ს' = ს + ს$, საქონლური კაპიტალი, შეიცავს როგორც მუდმივ და ცვალებად კაპი-

[42] II ხელნაწერიდან.

ტალღირებულებას, ისე ზედმეტ ღირებულებას. ამიტომ მისი მოძრაობა შეიცავს როგორც ინდივიდუალურ, ისე მწარმოებლურ მოხმარებას. წრებრუნვებში: ფ—ს... წ ... ს′—ფ′ და ფ ... ს′ — ფ′—ს... ფ. ამოსავალ და ბოლო პუნქტს წარმოადგენს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მოძრაობა: ამაში, რასაკვირველია, ჩართულია მოხმარებაც, რადგან საქონელი, პროდუქტი, უნდა გაიყიდოს. მაგრამ რაკი იგულისხმება, რომ ეს შესრულებულია, ცალკეული კაპიტალის მოძრაობისათვის სულ ერთია, რა მოუვა შემდგომ ამ საქონელს. პირიქით, ს′... ს′ მოძრაობისას საზოგადოებრივი კვლავწარმოების პირობები სწორედ იმით გაიგება, რომ აუცილებლად ნაჩვენები იქნება, თუ რა მოუვა ამ ერთობლივი პროდუქტის — ს′ — ღირებულების თვითეულ ნაწილს. აქ ერთობლივი კვლავწარმოების პროცესი ისევე შეიცავს მიმოქცევის მეშვეობით განხორციელებულ მოხმარების პროცესს, როგორც თვით კაპიტალის კვლავწარმოების პროცესსაც.

იმ მიზნისათვის, რაც ჩვენ გვაქვს დასახული, კვლავწარმოების პროცესი უნდა განვიხილოთ ს′-ის ღირებულების ცალკეული შემადგენელი ნაწილების როგორც ღირებულების ანაზღაურების, ისე ნატურალური ფორმის ანაზღაურების თვალსაზრისით. ჩვენ ახლა უკვე ვეღარ დავკმაყოფილდებით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ცალკეული კაპიტალის პროდუქტის ღირებულების ანალიზის დროს, იმ ვ ა რ ა უ დ ი თ, რომ ცალკეულ კაპიტალისტს შეუძლია თავისი საქონლური პროდუქტის გაყიდვის მეოხებით თავისი კაპიტალის შემადგენელი ნაწილები ჯერ ფულად აქციოს და შემდეგ საქონლის ბაზარზე წარმოების ელემენტების ხელახლა ყიდვის გზით უკუაქციოს მწარმოებლურ კაპიტალად. რამდენადაც წარმოების ეს ელემენტები თავიანთი ბუნების მიხედვით ნივთებს წარმოადგენენ, ისინი ისევე შეადგენენ საზოგადოებრივი კაპიტალის შემადგენელ ნაწილს, როგორც ის ინდივიდუალური მზა პროდუქტი, რომელიც მათზე გაიცვლება და მათი საშუალებით ანაზღაურდება. მეორე მხრივ, საზოგადოებრივი საქონლური პროდუქტის იმ ნაწილის მოძრაობა, რომელიც მოიხმარება მუშის მიერ მისი ხელფასის ხარჯვისას და კაპიტალისტის მიერ ზედმეტი ღირებულების ხარჯვისას, არათუ წარმოადგენს აუცილებელ შემადგენელ რგოლს ერთობლივი პროდუქტის მოძრაობაში, არამედ გადაეხლართება კიდეც ინდივიდუალური კაპიტალების მოძრაობას, და ამიტომ ეს პროცესი ვერ აიხსნება იმით, რომ ჩვენ მას მარტივად ვიგულისხმებთ.

ჩვენს წინ უშუალოდ ასეთი საკითხი დგას: როგორ ანაზღაურდება წარმოებაში მოხმარებული კ ა პ ი ტ ა ლ ი თავისი ღირებულების <და თავისი მატერიალური ფორმის> მიხედვით წლიური პროდუქტიდან,

და როგორ გადაებლართება ანაზღაურების ეს პროცესი ზედმეტი ღირებულების მოხმარებას კაპიტალისტების მიერ და ხელფასის მოხმარებას მუშების მიერ? მაშასადამე, ლაპარაკია პირველ რიგში მარტივ კვლავწარმოებაზე. შემდეგ, იგულისხმება არა მხოლოდ ის, რომ პროდუქტების გაცვლა მათი ღირებულების მიხედვით წარმოებს, არამედ ისიც, რომ მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილების ღირებულებაში არავითარი რევოლუცია არ ხდება. სხვათა შორის, რამდენადაც ადგილი აქვს ფასების გადახრას ღირებულებისაგან, ამ გარემოებას არ შეუძლია რაიმე გავლენის მოხდენა საზოგადოებრივი კაპიტალის მოძრაობაზე. ამ შემთხვევაში პროდუქტთა წინანდელი რაოდენობა გაიცვლებოდა საერთო ჯამში ერთიმეორეზე, თუმცა აქ ცალკეულ კაპიტალისტებს ღირებულების ისეთი წილი შეხვდებოდათ, რაც არ იქნებოდა მათი შესაბამისი ავანსებისა და ცალკე თვითეული მათგანის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასის პროპორციული. ხოლო რაც შეეხება ღირებულებაში მომხდარ რევოლუციებს, რამდენადაც მათ საყოველთაო ხასიათი აქვთ და თანაბრად ნაწილდებიან, ისინი არავითარ ცვლილებას არ იწვევენ წლიური ერთობლივი პროდუქტის ღირებულების შემადგენელ ნაწილებს შორის არსებულ შეფარდებაში. პირიქით, თუ მათ ნაწილობრივი ხასიათი აქვთ და არათანაბრად ნაწილდებიან, მაშინ ისინი მოასწავებენ შეფერხებას, რომელიც, ჯერ-ერთი, შეიძლება გავიგოთ როგორც ასეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მას განვიხილავთ როგორც გადახრილობას ღირებულების უცვლელი შეფარდებიდან; ხოლო, მეორე, რაკი დამტკიცებულია კანონი, რომლის თანახმად წლიური პროდუქტის ერთი ნაწილი მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს, მეორე — ცვალებადს, ამ კანონში ვერაფერს შეცვლიდა მუდმივი კაპიტალის ან ცვალებადი კაპიტალის ღირებულებაში მომხდარი რევოლუცია. იგი შეცვლიდა მხოლოდ ღირებულების იმ ნაწილების შეფარდებითს სიდიდეს, რომელნიც ამა თუ იმ წილის სახით მოქმედებენ, რადგან თავდაპირველ ღირებულებათა ადგილს ახალი ღირებულებანი დაიკავებდნენ.

ვიდრე ჩვენ კაპიტალის—როგორც ინდივიდუალური კაპიტალის—ღირებულების წარმოებას და ამ კაპიტალის პროდუქტის ღირებულებას განვიხილავდით, ჩვენი ანალიზისათვის საქონლური პროდუქტის ნატურალური ფორმა სრულიად უმნიშვნელო გარემოება იყო, — სულ ერთი იყო, შედგებოდა იგი მანქანებისაგან, ხორბლისა თუ სარკეებისაგან. ყველა ეს ნატურალური ფორმა ჩვენთვის ყოველთვის მაგალითი იყო მხოლოდ, და წარმოების ყოველი დარგი, რომელიც კი უნდა აგვეღო, თანაბრად შეიძლებოდა საილუსტრაციოდ გამომდგა-

რიყო. ჩვენ საქმე გვქონდა თვით უშუალო წარმოების პროცესთან, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წარმოგვიდგება როგორც ინდივიდუალური კაპიტალის პროცესი. რამდენადაც ჩვენ კაპიტალის კვლავწარმოება გვქონდა მიედველობაში, საკმარისი იყო გვეგულისხმნა, რომ საქონლური პროდუქტის ნაწილი, რომელიც კაპიტალღირებულებას წარმოადგენს, მიმოქცევის სფეროში შესაძლებლობას პოულობს უკუგადაიქცეს თავის წარმოების ელემენტებად და, მაშასადამე, ხელახლა მიიღოს მწარმოებლური კაპიტალის ფორმა; სრულიად ასევე ჩვენთვის საკმარისი იყო გვეგულისხმნა, რომ მუშა და კაპიტალისტი პოულობენ ბაზარზე საქონელს, რაშიაც ისინი ხელფასსა და ზედმეტ ღირებულებას ხარჯავენ. მაგრამ გადმოცემის ეს წმინდა ფორმალური ხერხი აღარაა საკმარისი, როდესაც ჩვენ საზოგადოებრივ ერთობლივ კაპიტალს და მისი პროდუქტის ღირებულებას განვიხილავთ. პროდუქტის ღირებულების ერთი ნაწილის უკუგადაქცევა კაპიტალად, მეორე ნაწილის შესვლა კაპიტალისტთა კლასისა და მუშათა კლასის ინდივიდუალურ მოხმარებაში შეადგენს გარკვეულ მოძრაობას თვით პროდუქტის ღირებულებაში, რომლითაც ერთობლივი კაპიტალის შედეგი გამოიხატა. და ეს მოძრაობა არა მარტო ღირებულების ანაზღაურებაა, არამედ ნატურალური ფორმის ანაზღაურებაცაა, და ამიტომ ეგი იმდენადვეა გაპირობებული საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების შემადგენელ ნაწილთა ურთიერთშეფარდებით, რამდენადაც გაპირობებულია იგი აგრეთვე მათი სასმარი ღირებულებით, მათი ნატურალური ფორმით.

მარტივი კვლავწარმოება[43], კვლავწარმოება უცვლელი მასშტაბით, აბსტრაქციას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც, ერთი მხრივ, კაპიტალისტურ საფუძველზე რაიმე დაგროვების ანუ გაფართოებული მასშტაბით კვლავწარმოების არარსებობა დაუჯერებელი ვარაუდია, მეორე მხრივ, ურთიერთობანი, რომლებშიაც იწარმოება, არ რჩება აბსოლუტურად უცვლელი სხვადასხვა წლებში (და სწორედ ესაა ნაგულისხმევი). ნაგულისხმევია, რომ გარკვეული ღირებულების საზოგადოებრივი კაპიტალი როგორც წარსულ წელს, ისე ამ წელსაც ახლად და ახლად იძლევა საქონლის ღირებულებათა იმავე მასას და აკმაყოფილებს მოთხოვნილებათა იმავე რაოდენობას, თუნდაც რომ საქონელთა ფორმები კვლავწარმოების პროცესში კიდეც იცვლებოდეს. მაშინაც კი, როცა დაგროვება ხდება, მარტივი კვლავწარმოება ყოველთვის შეადგენს ამ დაგროვების ნაწილს, მაშასადამე, იგი შეიძლება განვიხი-

[43] VIII ხელნაწერიდან.

ლოთ თავისდათავად, იგი დაგროვების რეალური ფაქტორია. წლიური პროდუქტის ღირებულება შეიძლება შემცირდეს, თუმცა სახმარ ღირებულებათა მასა უცვლელი რჩება; ღირებულება შეიძლება უცვლელი დარჩეს, თუმცა სახმარ ღირებულებათა მასა კლებულობს; ღირებულების მასა და კვლავწარმოებულ სახმარ ღირებულებათა მასა შეიძლება ერთსა და იმავე დროს კლებულობდეს. ყველაფერი ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვლავწარმოება მომდინარეობს ან უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე უწინ, ანდა გაუარესებულ პირობებში, რომელთაც შეიძლება შედეგად ჰქონდეს არასრულყოფილი—არასაკმარისი—კვლავწარმოება. მაგრამ ყველაფერი ეს შეიძლება შეეხოს მხოლოდ კვლავწარმოების სხვადასხვა ელემენტების რაოდენობრივ მხარეს, მაგრამ არა იმ როლს, რასაც ისინი ასრულებენ ერთობლივ პროცესში კვლავმწარმოებელი კაპიტალის ან კვლავწარმოებული შემოსავლის სახით.

II. საზოგადოებრივი წარმოების ორი ქვედანაყოფი [44]

საზოგადოების ერთობლივი პროდუქტი და, მაშასადამე, ერთობლივი წარმოებაც იყოფა ორ დიდ ქვედანაყოფად:

I. წარმოების საშუალებანი, საქონელნი, რომელთაც ის ფორმა აქვთ, რითაც უნდა შევიდნენ ისინი ან ყოველ შემთხვევაში შეუძლიათ შევიდნენ, მწარმოებლურ მოხმარებაში.

II. მოხმარების საშუალებანი, სხვადასხვა საქონელი, რომელთაც ის ფორმა აქვთ, რითაც ისინი კაპიტალისტთა კლასისა და მუშათა კლასის ინდივიდუალურ მოხმარებაში შედიან.

თვითეულ ამ ქვედანაყოფის კუთვნილი წარმოების ყველა სხვადასხვა დარგი შეადგენს წარმოების ერთადერთ დიდ დარგს: ერთ შემთხვევაში წარმოების საშუალებათა წარმოების დარგს, მეორე შემთხვევაში მოხმარების საშუალებათა წარმოების დარგს. წარმოების ამ ორი დარგიდან თვითეულში გამოყენებული ერთობლივი კაპიტალი შეადგენს საზოგადოებრივი კაპიტალის განსაკუთრებულ მსხვილ ქვედანაყოფს.

თვითეულ ქვედანაყოფში კაპიტალი იყოფა ორ შემადგენელ ნაწილად.

1) ცვალებადი კაპიტალი. ეს კაპიტალი, ღირებულების მხრივ განხილული, უდრის ამ წარმოების დარგში გამოყენებული საზოგადოებრივი სამუშაო ძალის ღირებულებას, მაშასადამე, უდრის

[44] არსებითად II ხელნაწერიდან. სქემა VIII ხელნაწერიდან.

ამ სამუშაო ძალაში გადახდილ ხელფასთა ჯამს. ნატურალური ფორმის მხრივ განხილული, იგი შედგება თვით ამოქმედებული სამუშაო ძალისაგან, ე. ი. ცოცხალი შრომისაგან, რომელიც ამ კაპიტალღირებულებას მოძრაობაში მოჰყავს.

2) მუდმივი კაპიტალი, ე. ი. ღირებულება წარმოების ყველა საშუალებათა, რომლებიც ამ დარგში წარმოების მიზნით გამოიყენება. წარმოების ეს საშუალებანი, თავის მხრივ, იყოფა ძირითად კაპიტალად: მანქანები, სამუშაო იარაღები, შენობები, მუშა პირუტყვი და სხვ., და საბრუნავ მუდმივ კაპიტალად: წარმოების მასალები, როგორიცაა ნედლი და დამამარე მასალები, ნახევარფაბრიკატები და სხვ.

ღირებულება მთელი წლიური პროდუქტისა, რომელიც ამ კაპიტალის საშუალებითაა წარმოებული თვითეულ ამ ორ ქვედანაყოფში, იყოფა ღირებულების იმ ნაწილად, რომელიც წარმოადგენს წარმოებაში მოხმარებულ და თავისი ღირებულების მიხედვით პროდუქტზე მხოლოდ გადატანილ მუდმივ კაპიტალს c, და ღირებულების იმ ნაწილად, რომელიც მიმატებულია მთელი შრომით წლის განმავლობაში. ეს უკანასკნელი ნაწილი კვლავ იყოფა ავანსებული ცვალებადი კაპიტალის ანაზღაურებად და იმ ნამეტად, რაც ამ ცვალებად კაპიტალს აღემატება და ზედმეტ ღირებულებას m შეადგენს. მაშასადამე, ყოველი ცალკეული საქონლის ღირებულების მსგავსად, ერთობლივი წლიური პროდუქტის ღირებულებაც თვითეულ ქვედანაყოფში იყოფა $c + v + m$.

ღირებულების ნაწილი c, რომელიც წარმოებაში მოხმარებულ მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს, არ ემთხვევა წარმოებაში გამოყენებული მუდმივი კაპიტალის ღირებულებას. მართალია, წარმოების მასალა მთლიანად მოიხმარება და ამიტომ მისი ღირებულება მთლიანად გადაიტანება პროდუქტზე. მაგრამ გამოყენებული ძირითადი კაპიტალის მხოლოდ ნაწილი მოიხმარება მთლიანად და, მაშასადამე. მხოლოდ ამ ნაწილის ღირებულება გადაიტანება პროდუქტზე. ძირითადი კაპიტალის სხვა ნაწილი — მანქანები, შენობები და სხვ. — არსებობს და წინანდებურად განაგრძობს მოქმედებას, თუმცა მისი ღირებულება წლიური გაცვეთის გამო შემცირებულია. როდესაც ჩვენ პროდუქტის ღირებულებას განვიხილავთ, ძირითადი კაპიტალის ეს ნაწილი, რომელიც მოქმედებას განაგრძობს, ჩვენთვის არ არსებობს. იგი შეადგენს ახლად წარმოებული საქონლის ღირებულებისაგან დამოუკიდებელს, მის გვერდით არსებულ კაპიტალღირებულების ნაწილს. ეს გამოირკვა უკვე მაშინ, როდესაც ჩვენ ცალკეული კაპიტალის

პროდუქტის ღირებულებას განვიხილავდით (წიგნი 1, თავი VI). მაგრამ აქ ჩვენ ჯერჯერობით მხედველობის გარეშე უნდა დავტოვოთ განხილვის ის წესი, რომელიც იქ იყო გამოყენებული. ცალკეული კაპიტალის პროდუქტის ღირებულების განხილვისას ჩვენ დავინახეთ, რომ ღირებულება, რასაც ძირითადი კაპიტალი კარგავს გაცვეთის გამო, გადაიტანება გაცვეთის დროს წარმოებულ საქონლურ პროდუქტზე—სულ ერთია, ამ დროის განმავლობაში ძირითადი კაპიტალის ნაწილი in natura ამ გადატანილი ღირებულებიდან ანაზღაურდება თუ არა. პირიქით, აქ, საზოგადოებრივი ერთობლივი პროდუქტისა და მისი ღირებულების განხილვისას, ჩვენ იძულებული ვართ, დროებით მაინც, მხედველობის გარეშე დავტოვოთ ღირებულების ის ნაწილი, რომელიც წლის განმავლობაში ძირითადი კაპიტალის გაცვეთის გამო წლიურ პროდუქტზე გადაიტანება, რამდენადაც ეს ძირითადი კაპიტალი წლის განმავლობაში აუცილებელ in natura არ ანაზღაურებულა. ამ თავის ერთ-ერთ შემდგომ განყოფილებაში ჩვენ ამ პუნქტს სპეციალურად განვიხილავთ.

ჩვენ ამ ნაწილის ჩვენს გამოკვლევას საფუძვლად დავუდებთ აქემას, სადაც c = მუდმივ კაპიტალს, v = ცვალებად კაპიტალს, m = ხედმეტ ღირებულებას და ღირებულების ზრდის შეფარდება $\frac{m}{v}$ მიღებულია 100%-ად. რიცხვები შეიძლება ნიშნავდეს მილიონებს მარკებით, ფრანკებით ან გირვანქა სტერლინგებით.

I. წარმოების საშუალებათა წარმოება:

კაპიტალი ..... $4\,000_c + 1\,000_v = 5\,000$,

საქონლური პროდუქტი ... $4\,000_c + 1\,000_v + 1\,000_m = 6\,000$,

რომელიც არსებობს წარმოების საშუალებათა სახით.

II. მოხმარების საშუალებათა წარმოება:

კაპიტალი ..... $2\,000_c + 500_v = 2\,500$,

საქონლური პროდუქტი ... $2\,000_c + 500_v + 500_m = 3\,000$,

რომელიც არსებობს მოხმარების საშუალებათა სახით.

თუ შევაჯამებთ, მთელი წლიური საქონლური პროდუქტი იქნება:

I. $4\,000_c + 1\,000_v + 1\,000_m = 6\,000$ წარმოების საშუალებათა სახით.

II. $2\,000_c + 500_v + 500_m = 3\,000$ მოხმარების საშუალებათა სახით.

ერთობლივი ღირებულება = 9 000, ამასთან, ნაგულისხმევის თანახმად, აქედან გამორიცხულია ძირითადი კაპიტალი, რომელიც თავისი ნატურალური ფორმით განაგრძობს მოქმედებას.

თუ ჩვენ ახლა გამოვიკვლევთ გარდაქმნებს, რომლებიც აუცილებელია მარტივი კვლავწარმოების საფუძველზე, როდესაც მთელი ზედმეტი ღირებულება არამწარმოებლურად მოიხმარება, და ამასთან ჯერ ყურადღების გარეშე დავტოვებთ ამ გარდაქმნების მოსაშუალე ფულის მიმოქცევას, მივიღებთ უწინარეს ყოვლისა სამ არსებით დასაყრდენ პუნქტს.

1) 500_v, II ქვედანაყოფის, მუშების ხელფასი, და 500_m, ამავე ქვედანაყოფის კაპიტალისტთა ზედმეტი ღირებულება, მოხმარების საშუალებებზე უნდა დაიხარჯოს. მაგრამ მათი ღირებულება არსებობს მოხმარების საშუალებებში, რომელთა ღირებულება უდრის 1 000 და რომელნიც II ქვედანაყოფის კაპიტალისტების ხელში ანაზღაურებენ ავანსებულ 500_v-ს და წარმოადგენენ 500_m-ს. მაშასადამე, II ქვედანაყოფის ხელფასი და ზედმეტი ღირებულება გაიცვლება II ქვედანაყოფის ფარგლებში II-ის პროდუქტზე. ამასთან ერთად II-ის ერთობლივი პროდუქტიდან $(500_v + 500_m) = 1\,000$ ქრება მოხმარების საშუალებების სახით.

2) ქვედანაყოფის $1\,000_v + 1\,000_m$ უნდა დაიხარჯოს აგრეთვე მოხმარების საშუალებებზე, ე. ი. II ქვედანაყოფის პროდუქტზე. მაშასადამე, ისინი უნდა გაიცვალოს ამ პროდუქტის დანარჩენ ნაწილზე, ჯამით მათს თანატოლ, კაპიტალის მუდმივ ნაწილზე $2\,000_c$-ის რაოდენობით. სამაგიეროდ II ქვედანაყოფი იღებს ამის თანატოლ ჯამს წარმოების საშუალებათა სახით, I-ის პროდუქტს, რომელშიაც განხორციელებულია ამ I-ის ღირებულება $1\,000_c + 1\,000_m$-ის რაოდენობით. ამასთან ერთად ქრება ანგარიშიდან 2 000 II_c და $(1\,000_v + 1\,000_m)$ I.

3) რჩება კიდევ 4 000 I_c. ეს მოქცეულია წარმოების საშუალებებში, რომელთა გამოყენება შეიძლება მხოლოდ I ქვედანაყოფში და რომელნიც გამოიყენებიან იქ მოხმარებული მუდმივი კაპიტალის ასანაზღაურებლად; ამიტომ მათ მიმართ საქმე თავდება I-ის კაპიტალისტთა შორის ურთიერთგაცვლით, ისევე როგორც II $(500_v + 500_m)$-ის მიმართ საქმე დასრულდა II მუშებსა და კაპიტალისტებს შორის ან ცალკეულ კაპიტალისტებს შორის ურთიერთგაცვლით.

ამას ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ მომდევნო მოვლენათა უკეთ ვაგების მიზნით შევეეთ.

III. გაცვლა ორ ქვედანაყოფს შორის: $I_{(v+m)}$-ის გაცვლა II_c-ზე [45].

ჩვენ ვიწყებთ მსხვილი გაცვლით ორ ქვედანაყოფს შორის. $(1\,000_v + 1\,000_m)$ I—ეს ღირებულებანი, რომელნიც მათ მწარმოებელთა ხელ-

[45] აქედან ისევ VIII ხელნაწერიდან.

ში არსებობენ წარმოების საშუალებათა ნატურალური ფორმით, გაიცვლება 2 000 II_c-ზე, ღირებულებაზე, რომელიც მოხმარების საშუალებათა ნატურალური ფორმით არსებობს. ამით კაპიტალისტებმა II ქვედანაყოფის თავისი მუდმივი კაპიტალი = 2 000 მოხმარების საშუალებათა ფორმიდან ისევ მოხმარების საგნების წარმოების საშუალებათა ფორმად გადააქციეს, — იმ ფორმად, რომლითაც ამ კაპიტალს შეუძლია იმოქმედოს შრომის პროცესის ფაქტორის სახით, ხოლო ღირებულების ზრდის მიმართ — მუდმივი კაპიტალღირებულების სახით. მეორე მხრივ, ამის მეოხებით სამუშაო ძალის ეკვივალენტი I-ში (1 000 I_v) და I-ის კაპიტალისტთა ზედმეტი ღირებულება (1 000 I_m) რეალიზებულია მოხმარების საშუალებებში; ერთიც და მეორეც წარმოების საშუალებათა თავიანთი ნატურალური ფორმიდან გარდაქმნილია ისეთ ფორმად, რომელშიც შეიძლება მათი მოხმარება შემოსავლის სახით.

მაგრამ ეს ურთიერთგარდაქმნა ხორციელდება ფულის მიმოქცევის გზით, რომელიც მას იმდენადვე მოსაშუალეობს, რამდენადაც ძის გაგებას აძნელებს, მაგრამ რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, იმიტომ რომ კაპიტალის ცვალებადი ნაწილი სულ ახლად და ახლად უნდა გამოდიოდეს ფულადი ფორმით, როგორც ფულადი კაპიტალი, რომელიც ფულადი ფორმიდან სამუშაო ძალად გარდაიქმნება. წარმოების ყველა დარგში, რომელნიც იმავდროულად ერთიმეორის გვერდით მოქმედებენ საზოგადოების მთელ პერიფერიაზე, სულ ერთია, ეკუთვნიან ისინი I თუ II კატეგორიას, ცვალებადი კაპიტალი ავანსად უნდა გაიღებოდეს ფულადი ფორმით. კაპიტალისტი ყიდულობს სამუშაო ძალას, ვიდრე იგი წარმოების პროცესში შევიდოდეს, მაგრამ ისტუმრებს მას მხოლოდ ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში, მას შემდეგ, რაც ეს სამუშაო ძალა უკვე დაიხარჯა საამარი ღირებულების წარმოებაზე. პროდუქტის ღირებულების დანარჩენი ნაწილის მსგავსად, კაპიტალისტს ეკუთვნის ის ნაწილიც, რომელიც სამუშაო ძალის გასასტუმრებლად დახარჯული ფულის ეკვივალენტს შეადგენს, პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ცვალებად კაპიტალღირებულებას წარმოადგენს. პროდუქტის ღირებულების თვით ამ ნაწილით მუშამ უკვე ჩააბარა კაპიტალისტს თავისი ხელფასის ეკვივალენტი. მაგრამ საქონლის უკუგარდაქმნა ფულად, მისი გაყიდვა, კვლავ აღუდგენს კაპიტალისტს მის ცვალებად კაპიტალს ფულადი კაპიტალის სახით, რომელიც მას შეუძლია ხელახლა გაიღოს ავანსად სამუშაო ძალის საყიდლად.

ამრიგად, I ქვედანაყოფში ყველა კაპიტალისტმა მუშებს გადაუხადა 1 000 გირვ. სტერლინგი (მე ვამბობ გირვ. სტერლინგი მეთქი უბრალოდ იმის აღსანიშნავად, რომ ეს ღირებულების ფ ულ ა დ ი ფ ო რ მ ა ა)-1 000„ — I ქვედანაყოფის პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილისათვის, რომელიც უკვე არსებობს ν სახით, ე. ი. მუშების მიერ წარმოებულ წარმოების საშუალებათათვის. მუშები ამ 1 000 გირვ. სტერლინგით ყიდულობენ იმავე ღირებულების მოხმარების საშუალებებს II ქვედანაყოფის კაპიტალისტებისაგან და ამრიგად II ქვედანაყოფის მუდმივი კაპიტალის ნახევარს აქცევენ ფულად; II-ის კაპიტალისტები, თავის მხრივ, ამ 1 000 გირვ. სტერლინგით ყიდულობენ 1 000-ის ღირებულების წარმოების საშუალებებს I ქვედანაყოფის კაპიტალისტებისაგან; ამით ამ უკანასკნელთა ცვალებადი კაპიტალღირებულება = = 1 000„, რომელიც არსებობდა როგორც მათი პროდუქტის ნაწილი წარმოების საშუალებათა ნატურალურ ფორმაში, ისევ ფულადაა გადაქცეული და ახლა I ქვედანაყოფის კაპიტალისტების ხელში შეიძლება ხელახლა მოქმედებდეს როგორც ფულადი კაპიტალი, რომელიც გადაიქცევა სამუშაო ძალად, მაშასადამე, მწარმოებლური კაპიტალის ყველაზე არსებით ელემენტად. ამგვარად, მათი საქონლური კაპიტალის ნაწილის რეალიზაციის გამო, მათი ცვალებადი კაპიტალი უკუმიედინება მათთან ფულადი ფორმით.

რაც შეეხება ფულს, რომელიც აუცილებელია I საქონლური კაპიტალის ~~ν~~ ნაწილის გასაცვლელად II ქვედანაყოფის კაპიტალის მუდმივი ნაწილის მეორე ნახევარზე, — იგი შეიძლება სხვადასხვა წესით გაიღონ ავანსად. ეს მიმოქცევა სინამდვილეში მოიცავს ყიდვა-გაყიდვის აქტების უამრავ რაოდენობას, აქტებისა, რომელთაც ორივე კატეგორიის ინდივიდუალური კაპიტალისტები ასრულებენ; ამასთან ფული ყველა გარემოებაში უნდა მომდინარეობდეს ამ კაპიტალისტებიდან, რადგან ჩვენ უკვე დავასრულეთ ანგარიში ფულის იმ რაოდენობასთან, რომელიც მუშებმა მიმოქცევაში გადაისროლეს. ხან II ქვედანაყოფის კაპიტალისტს შეუძლია იმ ფულადი კაპიტალის ნაწილით, რომელიც მას მოეპოვება მწარმოებლური კაპიტალის გვერდით, წარმოების საშუალებანი იყიდოს I ქვედანაყოფის კაპიტალისტებისგან; ხან კი, პირიქით, I ქვედანაყოფის კაპიტალისტს შეუძლია იმ ფულადი ფონდის ნაწილით, რომელიც განკუთვნილია პირადი ხარჯებისათვის და არა კაპიტალის სახით დასახარჯავად, მოხმარების საგხები იყიდოს II ქვედანაყოფის კაპიტალისტებისაგან. როგორც ზემოთ I და II განყოფილებაში იყო ნაჩვენები, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყველა გარემოებაში კაპიტალისტს მწარმოებლურ კააპიტალთან ერთად

ხელთა აქვს განსაზღვრული ფულადი მარაგი—ავანსის გასაღებად იქნება ის განკუთვნილი, თუ შემოსავლის დასახარჯავად. წარმოვიდგინოთ, — ჩვენი მიზნისათვის პროპორციას აქ სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, — რომ ფულის ნახევარს II ქვედანაყოფის კაპიტალისტები ავანსად გაიღებენ წარმოების საშუალებათა ყიდვისათვის თავიანთი მუდმივი კაპიტალის ასანაზღაურებლად, მეორე ნახევარს კი I ქვედანაყოფის კაპიტალისტები ხარჯავენ მოხმარებისათვის. ამ შემთხვევაში II ქვედანაყოფი ავანსად გაიღებს 500 გირვ. სტერლინგს, ყიდულობს ამ თანხით I-ისგან წარმოების საშუალებებს და ინაზღაურებს in natura (ზემოაღნიშნული 1 000 გირვ. სტერლინგის ჩათვლით, რაც I ქვედანაყოფის მუშებიდან მომდინარეობს) მუდმივი კაპიტალის $^3/_4$; I ქვედანაყოფი ამ წესით მიღებული 500 გირვ. სტერლინგით ყიდულობს II-ისგან მოხმარების საშუალებებს; ამით I ქვედანაყოფის საქონლური კაპიტალის იმ ნაწილის ნახევარმა, რომელიც *m*-ისგან შედგება, შეასრულა მიმოქცევა ს—ფ—ს, და ამ ქვედანაყოფის პროდუქტი, ამრიგად, რეალიზებულია მოხმარების ფონდში. ამ მეორე პროცესის გამო 500 გირვ. სტერლინგი უკან ბრუნდება II-ის ხელში როგორც ფულადი კაპიტალი, რომელსაც ფლობენ II ქვედანაყოფის კაპიტალისტები თავის მწარმოებლურ კაპიტალთან ერთად. მეორე მხრივ, I ჯერ კიდევ პროდუქტის სახით საწყობში მდებარე საქონლური კაპიტალის *m* ნაწილის ნახევრის ანგარიშზე, წინასწარ—ვიდრე იგი გაიყიდებოდეს— ხარჯავს ფულს 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით II-ისგან მოხმარების საშუალებათა შესასყიდლად. ამავე 500 გირვ. სტერლინგით II წარმოების საშუალებებს ყიდულობს I-ისგან და ამგვარად ინაზღაურებს in natura მთელ თავის მუდმივ კაპიტალს (1 000 + 500 + 500 = 2 000), მაშინ როდესაც I-მა მთელი თავისი ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია მოახდინა მოხმარების საშუალებებში. საერთო ჯამში 4 000 გირვ. სტერლინგი თანხის საქონელთა გაცვლა შესრულდებოდა 2 000 გირვ. სტერლინგი ფულის მიმოქცევით; ამასთან უკანასკნელი თანხის სიდიდე მთლოდ იმითაა გაპირობებული, რომ, როგორც ეს ჩვენ მიერაა ნაგულისხმევი, მთელი წლიური პროდუქტის გაცვლა ხდება ერთბაშად, რამდენიმე დიდი მასის სახით. ამასთანავე მნიშვნელოვანია აქ მთლოდ ის გარემოება, რომ II-ემ არათუ ხელახლა გარდაქმნა წარმოების საშუალებათა ფორმად მოხმარების საშუალებათა ფორმით კვლავწარმოებული თავისი მუდმივი კაპიტალი, არამედ, გარდა ამისა, მას უკან დაუბრუნდა 500 გირვ. სტერლინგი, რომელიც მან მიმოქცევისათვის ავანსად გაიღო წარმოების საშუალებათა შესასყიდად; და რომ სწორედ ასევე I-მა არათუ ხელახლა

მიიღო ფულადი ფორმით მის მიერ წარმოების საშუალებათა ფორმით კვლავწარმოებული ცვალებადი კაპიტალი როგორც ფულადი კაპიტალი, რომელიც ხელახლა შეიძლება უშუალოდ გარდაიქმნას სამუშაო ძალად, არამედ, გარდა ამისა, მას უკან დაუბრუნდა ის 500 გირვ. სტერლინგი, რომელიც მან, თავისი კაპიტალის ზედმეტი ღირებულების ნაწილის გაყიდვამდე, წინასწარ დახარჯა მოხმარების საშუალებათა შესასყიდად. მაგრამ ეს 500 გირვ. სტერლ. მას უკან უბრუნდება არა მომბდარი დახარჯვის გამო, არამედ მისი საქონლური პროდუქტის იმ ნაწილის შემდგომი გაყიდვის გამო, რომელიც მისი ზედმეტი ღირებულების ნახევარს შეიცავს.

ორივე შემთხვევაში არა მარტო II-ის მუდმივი კაპიტალი ხელახლა გარდაიქმნება პროდუქტის ფორმიდან წარმოების საშუალებათა ნატურალურ ფორმად, რომელშიაც მარტოოდენ შეუძლია მას იმოქმედოს კაპიტალის სახით; და ასევე არა თუ I-ის ცვალებადი კაპიტალი გარდაიქმნება ფულად ფორმად, ხოლო ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომელიც განხორციელებულია I-ის წარმოების საშუალებებში, გარდაიქმნება ისეთ ფორმად, რომელშიაც იგი გამოსადეგია მოხმარებისათვის და შეიძლება მოხმარებულ იქნეს როგორც შემოსავალი, არამედ, გარდა ამისა, II ქვედანაყოფში უკუმოედინება 500 გირვ. სტერლ. ფულადი კაპიტალი, რომელიც ავანსებული იყო მის მიერ წარმოების საშუალებათა საყიდლად, მანამდე, ვიდრე გაიყიდებოდა შესაბამისი, ამ 500 გირვ. სტერლინგის ამნაზღაურებელი ნაწილი მუდმივი კაპიტალის ღირებულებისა, ნაწილი, რომელიც მოხმარების საშუალებათა ფორმაში იმყოფება; და, შემდეგ, I-ს უკან უბრუნდება 500 გირვ. სტერლინგი, რომელიც მან, დაასწრო რა სამერმისო გაყიდვას, წინასწარ დახარჯა მოხმარების საშუალებათა საყიდლად. თუ II-ს უკან უბრუნდება ის ფული, რომელიც მის მიერ ავანსებული იყო მისი საქონლური პროდუქტის მუდმივი ნაწილის ანგარიშზე, ხოლო I-ს უკან უბრუნდება ის ფული, რომელიც ავანსებული იყო მისი საქონლური პროდუქტის იმ ნაწილის ანგარიშზე, რომელიც ზედმეტ ღირებულებას შეიცავს, — ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც ერთი, ისე მეორე კატეგორიის კაპიტალისტებმა კიდევ ხუთას-ხუთასი გირვ. სტერლინგი ფული გადაისროლეს მიმოქცევაში: ერთი კატეგორიისამ — II-ის საქონლურ ფორმაში არსებული მუდმივი კაპიტალის გარდა, მეორე კატეგორიისამ — I-ის საქონლურ ფორმაში არსებული ზედმეტი ღირებულების გარდა. საბოლოოდ მათ სავსებით გაუსწორეს ერთმანეთს ანგარიში თავიანთი სათანადო საქონლური ეკვივალენტების გაცვლის მეოხებით. ის ფული, რომელიც, როგორც ამ საქონელ-

თა გაცვლის საშუალება, მათ მიმოქცევაში გადაისროლეს თავიანთ საქონელთა ღირებულების ჯამზე ზედმეტად, თვითეულ მათგანს უკან უბრუნდება მიმოქცევიდან იმ წილის pro rata [პროპორციულად], რომელიც თვითეულმა მათგანმა მიმოქცევაში გადაისროლა. ამით ისინი ერთი გროშითაც კი არ გამდიდრებულან. II-ს ჰქონდა მუდმივი კაპიტალი = 2 000 მოხმარების საშუალებათა ფორმით + 500 ფულად; ახლა მას წინანდებურად აქვს 2 000 — წარმოების საშუალებებში და 500 — ფულად; ასევე I-ს აქვს, როგორც უწინ, ზედმეტი ღირებულება 1 000-ის რაოდენობით (საქონელთაგან, წარმოების საშუალებებიდან, რომლებიც ახლა მოხმარების ფონდად არიან გადაქცეული) + 500 ფულად. — საერთო დასკვნა ასეთია: იმ ფულიდან, რასაც მრეწველი კაპიტალისტები მიმოქცევაში გადაისვრიან თავიანთ საკუთარ საქონელთა მიმოქცევის განსახორციელებლად, — ხდება ამ ფულის გადასროლა საქონლის ღირებულების მუდმივი ნაწილის ანგარიშზე თუ საქონელში არსებული ზედმეტი ღირებულების ანგარიშზე, რამდენადაც ეს ზედმეტი ღირებულება იხარჯება როგორც შემოსავალი, — ამ ფულიდან სათანადო კაპიტალისტებს უკან უბრუნდება იმდენი, რამდენიც იყო მათ მიერ ავანსებული ფულის მიმოქცევისათვის.

რაც შეეხება I ქვედანაყოფის ცვალებადი კაპიტალის უკუგარდაქმნას ფულად ფორმად, ეს კაპიტალი ამ I ქვედანაყოფის კაპიტალისტებისთვის, მას შემდეგ, რაც მათ იგი ხელფასზე დახარჯეს, არსებობს — თავდაპირველად საქონლის ფორმით, რომლითაც ჩააბარეს იგი მათ მუშებმა. კაპიტალისტებმა იგი მუშებს გადაუხადეს ფულადი ფორმით, როგორც ამ უკანასკნელთა სამუშაო ძალის ფასი. ამდენად მათ გადაიხადეს თავიანთი საქონლური პროდუქტის ღირებულების ის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უდრის ფულის სახით დახარჯულ ამ ცვალებად კაპიტალს. ამიტომ ისინი საქონლური პროდუქტის ამ ნაწილის მესაკუთრენიც არიან. მაგრამ კაპიტალისტების მიერ გამოყენებული ნაწილი მუშათა კლასისა სულაც არ წარმოადგენს წარმოების იმ საშუალებათა მყიდველს, რომლებიც ამ მუშების მიერაა წარმოებული; მუშათა ეს ნაწილი II-ის მიერ წარმოებულ მოხმარების საშუალებათა მყიდველია. მაშასადამე, სამუშაო ძალის გასასტუმრებლად ფულის სახით ავანსებული კაპიტალი პირდაპირ როდი უბრუნდება უკან I ქვედანაყოფის კაპიტალისტებს. ყიდვის აქტების მეოხებით, რომლებსაც მუშები ასრულებენ, იგი გადადის იმ საქონელთა კაპიტალისტური მწარმოებლების ხელში, რომლებიც აუცილებელია და საზოგადოდ ხელმისაწვდომია მუშათა წრისთვის, მაშასადამე, გადა-

დის II ქვედანაყოფის კაპიტალისტების ხელში, და მხოლოდ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელნი ფულს წარმოების საშუალებათა საყიდლად გამოიყენებენ, — მხოლოდ ამ მოხვეული გზით უბრუნდება უკან ეს ფული I ქვედანაყოფის კაპიტალისტებს.

გამოდის, რომ მარტივი კვლავწარმოების პირობებში I-ის საქონლური კაპიტალის ღირებულების ჯამი $v+m$ (და, მაშასადამე, I-ის ერთობლივი პროდუქტის სათანადო პროპორციული ნაწილიც) უნდა უდრიდეს მუდმივ კაპიტალ II_c, რომელიც II ქვედანაყოფის ერთობლივი საქონლური პროდუქტის პროპორციული ნაწილის სახით გამოცალკევდება; ანუ $I_{(v+m)} = II_c$.

IV. გაცვლა II ქვედანაყოფის ფარგლებში. აუცილებელი საარსებო საშუალებანი და ფუფუნების საგნები

II ქვედანაყოფის საქონლური პროდუქტის ღირებულებიდან გამოსაკვლევია კიდევ შემადგენელი ნაწილები $v+m$. მათ განხილვას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხთან, რომელსაც ჩვენ აქ ვარკვევთ: სახელდობრ, რამდენად რჩება ძალაში თვითეული ინდივიდუალური, კაპიტალისტურად წარმოებული საქონლური პროდუქტის ღირებულების დაშლა $c+v+m$-ად წლიური ერთობლივი პროდუქტის ღირებულების მიმართაც, თუნდა v რომ ეს დაშლა გამოვლინების სხვადასხვა ფორმის მეშვეობით იყოს გამოსახული. ამ საკითხს წყვეტს, ერთი მხრივ, $I_{(v+m)}$-ის გაცვლა II_c-ზე და, მეორე მხრივ, შემდგომი დროისთვის გადადებული გამოკვლევა იმისა, თუ როგორ იკვლავწარმოება I-ის წლიურ საქონლურ პროდუქტში I_c. რადგან $II_{(v+m)}$ მოხმარების საგნების ნატურალური ფორმით არსებობს; რადგან ცვალებადი კაპიტალი, რომელიც ავანსად ეძლევა მუშებს სამუშაო ძალის გასასტუმრებლად, ამ უკანასკნელთა მიერ საერთოდ და მთლიანად მოხმარების საშუალებებზე უნდა იხარჯებოდეს, და რადგან საქონელთა ღირებულების ნაწილი m, რაკი ჩვენ მარტივ კვლავწარმოებას ვგულისხმობთ, ფაქტიურად მოხმარების საშუალებებზე იხარჯება როგორც შემოსავალი, ამიტომ prima facie [ერთი შეხედვით] ცხადია, რომ II—ქვედანაყოფის მუშები ამავე ქვედანაყოფის კაპიტალისტებისგან მიღებული ხელფასით გამოისყიდიან თავიანთი საკუთარი პროდუქტის ნაწილს იმ ფულადი ღირებულების ოდენობის შესაბამისად, რაც მათ ხელფასის სახით მიიღეს. ამრიგად, II ქვედანაყოფის კაპიტალისტები უკუგარდაქმნიან ფულად ფორმად თავიანთ ფულად კაპიტალს, რომელიც სამუშაო ძალის გასასტუმრებლად იყო ავანსებული; მდგომარეობა სრულიად ისეთია, როგორიც იქნებოდა,

კაპიტალისტებს რომ ღირებულების უბრალო ნიშნებით [Wertmarken] გადაეხადათ მუშებისათვის. როგორც კი მუშები ღირებულების ამ ნიშნების რეალიზაციას მოახდენენ საქონლური პროდუქტის იმ ნაწილის ყიდვის გზით, რომელიც მათ მიერ არის წარმოებული და კაპიტალისტებს ეკუთვნის, ღირებულების ეს ნიშნები უკანვე დაუბრუნდება კაპიტალისტებს; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სინამდვილეში ეს ნიშნები არა მარტო წარმოადგენენ ღირებულებას, არამედ შეიცავენ კიდეც ამ ღირებულებას ოქროს ან ვერცხლის ფორმით. ჩვენ შემდგომ უფრო დაწვრილებით გამოვიკვლევთ ფულადი ფორმით ავანსებული ცვალებადი კაპიტალის ამგვარ უკუდაბრუნებას, რომელიც ხორციელდება იმ პროცესის გზით, სადაც მუშათა კლასი გვევლინება როგორც მყიდველი და კაპიტალისტთა კლასი — როგორც გამყიდველი. აქ კი საქმე შეეხება სხვა საკითხს, რომელიც უნდა გაირკვეს ცვალებადი კაპიტალის ამოსავალ პუნქტთან ამ უკუდაბრუნებასთან დაკავშირებით.

საქონელთა წლიური წარმოების II ქვედანაყოფი შედგება მრეწველობის უაღრესად მრავალსახოვანი დარგებისაგან, რომელნიც — მათს პროდუქტებთან დაკავშირებით — ორ დიდ ქვეგანყოფილებად შეიძლება დაიყოს;

a) მოხმარების საშუალებანი, რომელნიც მუშათა კლასის მოხმარებაში შედიან და, რამდენადაც ისინი აუცილებელი საარსებო საშუალებებია, აგრეთვე კაპიტალისტთა კლასის მოხმარების ნაწილს შეადგენენ, თუმცა ამ შემთხვევაში ისინი ხშირად განსხვავდებიან ხარისხით და ღირებულებით მუშების მოხმარების საშუალებებისგან. ჩვენი მიზნისთვის შეგვიძლია მთელი ეს ქვედანაყოფი ერთ რუბრიკაში მოვაქციოთ: ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი მოხმარების საშუალებანი, ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმას, სათანადო პროდუქტი, მაგალითად, თამბაქო, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით აუცილებელ მოხმარების საშუალებას წარმოადგენს თუ არა; საკმარისია, რომ იგი ჩვეულების თანახმად მოხმარების აუცილებელი საშუალებაა.

b) ფ უ ფ უ ნ ე ბ ი ს საგნები, რომელნიც მხოლოდ კაპიტალისტთა კლასის მოხმარებაში შედიან, მაშასადამე, მათი გაცვლა შეიძლება მხოლოდ იმ დასახარჯ ზედმეტ ღირებულებაზე, რომელიც არასოდეს არ ხვდება მუშას. პირველი რუბრიკის მიმართ ცხადია, რომ ცვალებადი კაპიტალი, რომელიც ამ რუბრიკისადმი კუთვნილი სახის საქონელთა საწარმოებლად იყო ავანსებული, ფულადი ფორმით უკან უნდა დაუბრუნდეს პირდაპირ II ქვედანაყოფის კაპიტალისტთა იმ ნაწილს (მაშასადამე, II*a* კაპიტალისტებს), რომელიც ამ აუცილებელ

საარსებო საშუალებებს აწარმოებს. კაპიტალისტები ამ საარსებო საშუალებებს მიჰყიდიან თავიანთ მუშებს იმ ცვალებადი კაპიტალის თანხის რაოდენობით, რომელიც მუშებს მიეცა ხელფასის სახით. ამ II*a* ქვეგანყოფილების კაპიტალისტების მიმართ ეს უკუდაბრუნება წარმოადგენს უშუალო უკუდაბრუნებას, რაგინდ მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს ის გარიგებანი აქ მონაწილე სხვადასხვა სამრეწველო დარგის კაპიტალისტებს შორის, რომელთა საშუალებით ეს უკუდაბრუნებული ცვალებადი კაპიტალი ნაწილდება pro rata. ეს არის მიმოქცევის პროცესები, რომელთა მიმოქცევის საშუალებებსაც უშუალოდ იძლევა მუშების მიერ დახარჯული ფული. მაგრამ სხვაგვარადაა საქმე II*b* ქვეგანყოფილების მიმართ. ახლადშექმნილი ღირებულების მთელი ის ნაწილი, რასთანაც გვაქვს ჩვენ აქ საქმე II$b_{(v+m)}$, არსებობს ფუფუნების საგნების ნატურალური ფორმით, ე. ი. ისეთი საგნების ფორმით, რომელთა ყიდვაც მუშათა კლასს არ შეუძლია, ისე როგორც არ შეუძლია I$_v$ იმ საქონლის ღირებულების ყიდვა, რომელიც წარმოების საშუალებათა ფორმით არსებობს; თუმცა ეს ფუფუნების საგნებიც და ეს წარმოების საშუალებანიც ამ მუშების პროდუქტებს წარმოადგენენ. მაშასადამე, ის უკუმოდინება, რომლითაც ამ ქვეგანყოფილებაში ავანსებული ცვალებადი კაპიტალი კაპიტალისტურ მწარმოებლებს უბრუნდება თავისი ფულადი ფორმით, არ შეიძლება ხდებოდეს უშუალოდ, იგი უნდა მოხდეს მეშვეობითი გზით, როგორც I$_v$ შემთხვევაშია.

ვიგულისხმოთ, მაგალითად, როგორც უწინ, რომ II ქვედანაყოფისათვის: $v=500$, $m=500$, მაგრამ ცვალებადი კაპიტალი და მისი შესაბამისი ზედმეტი ღირებულება, ვთქვათ ნაწილდება ამგვარად:

ქვეგანყოფილება *a*, აუცილებელი საარსებო საშუალებანი: $v=400$, $m=400$; მაშასადამე, საქონელთა მასა აუცილებელ მოხმარების საშუალებათა სახით $400_v+400_m=800$ ღირებულებისაა, ანუ

II*a* (400_v+400_m).

ქვეგანყოფილება *b*: ფუფუნების საგნები $100_v+100_m=200$ ღირებულებისაა, ანუ II*b* (100_v+100_m).

II*b* ქვეგანყოფილების მუშებმა თავიანთი სამუშაო ძალის საფასურად, მიიღეს ფულად 100, ვთქვათ, — 100 გირვ. სტერლინგი; ამით ისინი ყიდულობენ II*a* კაპიტალისტებისაგან 100 გირვ. სტერლინგის მოხმარების საშუალებებს. კაპიტალისტთა ეს კატეგორია მაშინ ამ ღირებულების რაოდენობით ყიდულობს II*b*-ის საქონელს, რის მეოხებით II*b* კაპიტალისტებთან ფულადი ფორმით უკუმოედინება მათი ცვალებადი კაპიტალი.

II *a* კაპიტალისტებს, მათს საკუთარ მუშებთან გაცვლის შედეგად ფულადი ფორმით უკვე ისევ აქვთ 400_v; გარდა ამისა, მათი პროდუქტის იმ ნაწილის მეოთაედი, რომელიც ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს, გადავიდა II *b*-ს მუშების ხელში და მასში მიღებულ იქნა ფუფუნების საქონელი II *b* (100_v).

თუ ჩვენ ახლა ვიგულისხმებთ, რომ II *a* და II *b* კაპიტალისტების ერთიან შემოსავლის ხარჯვის განაწილება აუცილებელ საარსებო საშუალებებსა და ფუფუნების საგნებზე თანაბარი შეფარდებით ხდება, ე. ი. ვიგულისხმებთ, რომ ამ ორი ჯგუფიდან თვითეული ხარჯავს $^3/_5$-ს საარსებო საშუალებებზე და $^2/_5$-ს ფუფუნების საგნებზე, იმ შემთხვევაში II *a* ქვეგანყოფილების კაპიტალისტები ზედმეტი ღირებულების — თავიანთი 400_m რაოდენობის შემოსავლის — $^3/_5$, მაშასადამე 240 ხარჯავენ თავიანთ საკუთარ პროდუქტებზე, აუცილებელ საარსებო საშუალებებზე, ხოლო $^2/_5 = 160$ ფუფუნების საგნებზე. II *b* ქვეგანყოფილების კაპიტალისტებიც თავიანთ ზედმეტ ღირებულებას $= 100_m$ ასევე გაანაწილებენ: $^3/_5 = 60$ აუცილებელ საშუალებებზე და $^2/_5 = 40$ ფუფუნების საგნებზე; უკანასკნელი საგნები მათი საკუთარი ქვედანაყოფის ფარგლებში იწარმოება და საღდება.

160 გირვ. სტერლინგის ღირებულების ფუფუნების საგნები, რომლებსაც იღებს (II *a*)$_m$, II *a* კაპიტალისტებთან შემდეგნაირად მოედინება: (II *a*) 400_m-იდან, როგორც დავინახეთ, 100, რომელიც აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფორმაში იმყოფება, გაიცვალა ტოლ ჯამზე (II *b*)$_v$, რომელიც ფუფუნების საგნების სახით არსებობს, ხოლო დანარჩენი 60, აუცილებელ საარსებო საშუალებათა სახით, გაიცვალა ფუფუნების საგანთა სახით (II *b*) 60_m. ამრიგად, საერთო ჯამი წარმოგვიდგება ასე:

$$\text{II } a : 400_v + 400_m; \quad \text{II } b : 100_v + 100_m.$$

1) 400_v (*a*) მოიხმარება II *a*-ს მუშების მიერ, რომელთა პროდუქტის (აუცილებელ საარსებო საშუალებათა) ნაწილს წარმოადგენს ეს 400_v (*a*); მუშები მას ყიდულობენ მათივე ქვეგანყოფილების კაპიტალისტური მწარმოებლებისგან. ამით უკან უბრუნდება ამ მწარმოებლებს 400 გირვ. სტერლინგი ფულად, უკან უბრუნდება მათი ცვალებადი კაპიტალღირებულება 400-ის რაოდენობით, რაც ხელფასის სახით ამავე მუშებს მიეცა; ამ თანხით კაპიტალისტებს შეუძლიათ ხელახლა იყიდონ სამუშაო ძალა.

2) 400_m (*a*) ნაწილი, რომელიც უდრის 100_v (*b*)-ს, მაშასადამე, წარმოადგენს (*a*) ზედმეტი ღირებულების $^1/_4$, რეალიზაციას პოულობს

ფუფუნების საგნებში შემდეგნაირად: (*b*) მუშებმა მიიღეს მათივე (*b*) ქვეგანყოფილების კაპიტალისტებისაგან 100 გირვ. სტერლინგი ხელფასად; ამით ისინი ყიდულობენ (*a*)-ს $^1/_{4m}$, ე. ი. საქონელს, რომელიც აუცილებელი საარსებო საშუალებებისგან შედგება; *a* კაპიტალისტები ამ ფულით ყიდულობენ ღირებულების იმავე ჯამის ფუფუნების საგნებს = 100_v (*b*), ე. ი. ფუფუნების საგანთა მთელი წარმოების ნახევარს. ამით *b* კაპიტალისტებს უკან უბრუნდება მათი ცვალებადი კაპიტალი ფულადი ფორმით, და სამუშაო ძალის ყიდვის განახლებით მათ შეუძლიათ ხელახლა დაიწყონ თავიანთი კვლავწარმოება, რადგან მთელი მუდმივი კაპიტალი II-ის მთელი კატეგორიისა უკვე ანაზღაურებულია $I_{(v+m)}$ გაცვლით II *c*-ზე. მაშასადამე, ფუფუნების ქვეგანყოფილებაში მოქმედი მუშების სამუშაო ძალა მხოლოდ იმიტომ შეიძლება ხელახლა გაიყიდოს, რომ ამ მუშების საკუთარი პროდუქტის ნაწილი, რომელიც შექმნილია როგორც მათი ხელფასის ეკვივალენტი, II *a* კაპიტალისტების მიერ შეტანილია თავიანთ მოხმარების ფონდში, გადაქცეულია ფულად. (ასევე ითქმის სამუშაო ძალის გაყიდვაზეც I-ის შემთხვევაში; რადგან ის II *c*, რაზედაც $I_{(v+m)}$ გაიცვლება, შედგება როგორც ფუფუნების საგნებისაგან, ისე აუცილებელი საარსებო საშუალებებისაგან, და ის, რაც $I_{(v+m)}$-ის მეოხებით განახლდება, შედგება როგორც ფუფუნების, ისე აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოების საშუალებათაგან.)

3) გადავდივართ გაცვლაზე *a* და *b* შორის, რამდენადაც იგი წარმოადგენს გაცვლას მხოლოდ ორივე ქვეგანყოფილების კაპიტალისტებს შორის. *a* ქვეგანყოფილების ცვალებადი კაპიტალისა (400_v) და ზედმეტი ღირებულების ნაწილის (100_m), აგრეთვე *b* ქვეგანყოფილების ცვალებადი კაპიტალის (100_v) შესახებ ზემოაღნიშნულით ჩვენ ყველაფერი ვთქვით. შემდეგ, ჩვენ ვგულისხმობდით, რომ კაპიტალისტების მიერ შემოსავლის ხარჯვის საშუალო შეფარდება ორივე კატეგორიაში შეადგენს $^2/_5$-ს ფუფუნების საგნებისათვის და $^3/_5$-ს აუცილებელი საარსებო საშუალებებისათვის. ამიტომ ფუფუნებისთვის უკვე დახარჯულ 100-ს გარდა მთელ *a* ქვეგანყოფილებას ფუფუნებისთვის რჩება კიდევ 60 და იმავე პროპორციით, ე. ი. 40, *b* ქვეგანყოფილებას.

ამრიგად, (II *a*)$_m$ განაწილდება ასე: 240 საარსებო საშუალებებისათვის და 160 ფუფუნების საგნებისათვის = 240 + 160 = 400_m (II *a*).

(II *b*)$_m$ განაწილდება ასე: 60 საარსებო საშუალებებისათვის და 40 ფუფუნებისათვის: 60 + 40 = 100_m (II *b*). უკანასკნელ 40-ს ეს ქვედანაყოფი იღებს მოსახმარებლად თავისი საკუთარი პროდუქტი-

დან (თავისი ზედმეტი ღირებულების $^2/_5$-ს): 60-ს საარსებო საშუალებებისათვის იგი იღებს იმ გზით, რომ თავისი ზედმეტი პროდუქტის 60-ს გაცვლის 60_m (a)-ზე.

მაშასადამე, II' ქვედანაყოფის კაპიტალისტთათვის ჩვენ გვაქვს (ამასთან $v + m$ ქვეგანყოფილებაში a არსებობს აუცილებელი საარსებო საშუალებების სახით, ქვეგანყოფილებაში b — ფუფუნების საგნების სახით):

II a $(400_v + 400_m)$ + II b $(100_v + 100_m) = 1\,000$; მოძრაობის გზით რეალიზაცია ხდება ასე: 500_v $(a + b)$ {რეალიზდება 400_v (a)-ში და 100_m (a)-ში} + 500_m $(a + b)$ {რეალიზდება 300_m (a) + 100_v (b) + 100_m (b)-ში} = 1 000.

a-სა და b-სთვის, თუ თვითეულს თავისთავად განვიხილავთ, რეალიზაცია იღებს ასეთ სახეს:

$$a)\ \frac{v}{400_v\ (a)} + \frac{m}{240_m\ (a) + 100_v\ (b) + 60_m\ (b)} = 800$$

$$b)\ \frac{v}{100_m\ (a)} + \frac{m}{60_m\ (a) + 40_m\ (b)}\ \ldots = \frac{200}{1\,000.}$$

თუ სიმარტივისათვის ერთნაირ შეფარდებას ვიგულისხმებთ ცვალებად და მუდმივ კაპიტალს შორის (რაც, სხვათა შორის, სულაც არაა აუცილებელი), მაშინ 400_v (a)-ზე მოდის მუდმივი კაპიტალი = = 1 600, ხოლო 100_v (b)-ზე მუდმივი კაპიტალი = 400, და II-ისთვის ჩვენ გვექნება შემდეგი ორი ქვეგანყოფილება a და b:

II a) $1\,600_c + 400_v + 400_m = 2\,400.$

II b) $400_c + 100_v + 100_m = 600.$

და ერთად:

$2\,000_c + 500_v + 500_m = 3\,000.$

ამის შესაბამისად 2 000 II_c ქვედანაყოფიდან, რომელიც მოხმარების საშუალებებში არსებობს და 2 000 I $(v + m)$-ზე გაიცვლება, 1 600 გაიცვლება აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოების საშუალებებზე და 400 — ფუფუნების საგნების წარმოების საშუალებებზე.

ამრიგად, ეს 2 000 I $(v + m)$, თავის მხრივ, დაიშლებოდა $(800_v + 800_m)$ I-ად a-სთვის = 1 600 აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოების საშუალებებს, და $(200_v + 200_m)$ I-ად b-სთვის = 400 ფუფუნების საგნების წარმოების საშუალებებს.

არა მხოლოდ საკუთრივ შრომის საშუალებათა, არამედ ნედლი და დამხმარე მასალების და სხვ. მნიშვნელოვანი ნაწილი ორივე განყოფილებისთვის ერთგვაროვანია. მაგრამ რაც შეეხება მთელი პრო-

დუქტის $I_{(v+m)}$ ღირებულების სხვადასხვა ნაწილის გაცვლას, — ამ დაყოფას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. როგორც ზემოაღნიშნული 800 I_v-ს ისე 200 I_v-ს რეალიზაცია ხდება იმის გამო, რომ ხელფასი იხარჯება 1 000 II_c მოხმარების საშუალებებზე, მაშასადამე, ამ ხელფასისთვის ავანსებული ფულადი კაპიტალი უკუდაბრუნებისას თანაბრად განაწილდება I ქვედანაყოფის კაპიტალისტურ მწარმოებლებს შორის, ამასთან მათ pro rata ხელახლა აუნაზღაურდება თავიანთი ავანსებული ცვალებადი კაპიტალი ფულის სახით. მეორე მხრივ, რაც შეეხება 1 000 I_m-ის რეალიზაციას, ამ შემთხვევაშიც კაპიტალისტები თანაბრად (მათი m-ის სიდიდის პროპორციულად) გაიტანენ თავიანთ ნაწილებს II_c-ს = 1 000 მთელი მეორე ნახევრიდან, გაიტანენ 600 II a-ს და 400 II b-ს მოხმარების საშუალებათა სახით; მაშასადამე, იმათ, რომელნიც IIa-ს მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებენ:

480 ($^3/_5$)-ს 600_c (II a)-დან და 320 ($^2/_5$)-ს 400_c (II b)-დან = 800;

იმათ, რომელნიც II b-ის მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებენ:

120 ($^3/_5$)-ს 600_c (IIa)-დან და 80 ($^2/_5$)-ს 400_c (II b)-დან = 200.

ჯამი = 1 000.

აქ როგორც I, ისე II ქვედანაყოფისთვის ნებისმიერად აღებულია მხოლოდ ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან, აგრეთვე ისიც, რომ ეს შეფარდება თანაბარია I და II ქვედანაყოფისა და აგრეთვე მათი ქვეგანყოფილებისათვის. რაც შეეხება ამ თანაბრობას, მას აქ მხოლოდ გამარტივებისათვის ვგულისამობთ და თუ სხვადასხვა პროპორციას ვივარაუდებდით, ეს პრობლემის პირობებსა და მის გადაწყვეტაში აბსოლუტურად არაფერს არ შეცვლიდა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, თუ მარტივ კვლავწარმოებას ვიგულისხმებთ, აუცილებლად ასეთ შედეგს მივიღებთ:

1) ბალი ღირებულება, რომელიც შექმნილია წლიური შრომით წარმოების საშუალებათა ნატურალური ფორმით (და რომელიც შეიძლება დაიშალოს $v + m$-ად), უდრის მოხმარების საშუალებათა ფორმით კვლავწარმოებულ მუდმივ კაპიტალღირებულებას — c-ს, რომელიც შექმნილია წლიური შრომის მეორე ნაწილით და შესულია პროდუქციის ღირებულებაში. თუ ეს წლიური შრომის მეორე ნაწილით ახლადშექმნილი ღირებულება II_c-ზე ნაკლები იქნებოდა, მაშინ II ვერ აანაზღაურებდა მთლიანად თავის მუდმივ კაპიტალს; თუ იგი უფრო დიდი იქნებოდა, ნამეტი გამოუყენებელი დარჩებოდა. ორივე შემთხვევაში დაირღვეოდა მარტივი კვლავწარმოების წანამძღვარი.

2) თუ წლიური პროდუქტი მოხმარების საშუალებათა ფორმითაა კვლავწარმოებული, მაშინ მის წარმოებაზე ფულადი ფორმით ავანსებული ცვალებადი კაპიტალი v შეიძლება რეალიზებულ იქნას მისი მიმღებლების მიერ, — რამდენადაც ესენი ფუფუნების საგანთა მწარმოებელი მუშები არიან, — აუცილებელ საარსებო საშუალებათა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელშიაც prima facie განხორციელებულია ამ უკანასკნელთა კაპიტალისტური მწარმოებლების ზედმეტი ღირებულება. მაშასადამე, ფუფუნების საგნების წარმოებაზე დახარჯული v თავისი ღირებულების სიდიდით უდრის m-ის შესაბამის ნაწილს, რომელიც აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფორმითაა წარმოებული, და ამიტომ იგი ნაკლები უნდა იყოს მთელ ამ m-ზე — ე. ი. ნაკლები უნდა იყოს (II a) m-ზე; — და მხოლოდ m-ის ამ ნაწილში აღნიშნული v-ის რეალიზაციის გზით ფუფუნების საგნების კაპიტალისტურ მწარმოებლებს უკან უბრუნდება მათ მიერ ფულადი ფორმით ავანსებული ცვალებადი კაპიტალი. ეს მოვლენა სრულიად ანალოგიურია I$_{(v+m)}$ რეალიზაციისა II c-ში; განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მეორე შემთხვევაში (II b) v რეალიზაციას პოულობს (II a) $_m$-ის ნაწილში, რომელიც ღირებულების სიდიდით = (II b) $_v$. ეს ურთიერთთობანი თვისებრივად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა წლიური ერთობლივი პროდუქტის ყოველი განაწილებისას, რამდენადაც ეს პროდუქტი ნამდვილად შედის წლიური კვლავწარმოების პროცესში, რომელიც მიმოქცევის მეშვეობით ხორციელდება. I$_{(v+m)}$-ის რეალიზაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ II$_c$-ში. ხოლო II$_c$, რომელიც თავის ფუნქციას ასრულებს როგორც მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილი, თავის მხრივ შეიძლება განაღლდეს მხოლოდ ამ რეალიზაციის მეოხებით; ასევე (II b)-ის რეალიზაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ (II a) $_m$-ის ნაწილში, და მხოლოდ ამ გზით შეუძლია (II b) $_v$-ს კვლავ უკუგარდაიქმნას ფულადი კაპიტალის ფორმად. თავისთავად იგულისხმება, რომ აქ აღნიშნულს ძალა აქვს მხოლოდ იმ პირობით, თუ ყოველივე ეს ნამდვილად თვით კვლავწარმოების პროცესის შედეგია, მაშასადამე, თუ, მაგალითად, II b კაპიტალისტები ფულად კაპიტალს v-სათვის კრედიტის გზით არ იღებენ რაიმე სხვა წყაროებიდან. პირიქით, რაც შეეხება რაოდენობრივ მაარეს, წლიური პროდუქტის სხვადასხვა ნაწილის გაცვლას ისეთი პროპორციულობით, როგორც ეს ზემოთ არის წარმოდგენილი, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც წარმოების მასშტაბი და ღირებულებრივი შეფარდებანი უცვლელი რჩება და რამდენადაც ეს

მტკიცედ ჩამოყალიბებული შეფარდებანი საგარეო ვაჭრობის ზეგავლენით არ იცვლებიან.

თუ ა. სმიტის ყაიდაზე ამბობენ, რომ $I_{(v+m)}$ იშლება II_c-დ და II_c იშლება $I_{(v+m)}$-ად, ანუ როგორც თვითონ სმიტი ჩვეულებრივ კიდევ უფრო ხშირად და კიდევ უფრო შეუსაბამოდ ამბობს ხოლმე: $I_{(v+m)}$ შეადგენს II_c-ს ფასის (შესაბამისად ღირებულების, იგი ამბობს value in exchange) შემადგენელ ნაწილებსო, ხოლო II_c შეადგენს $I_{(v+m)}$-ს ღირებულების მთელ შემადგენელ ნაწილსო, მაშინ ასევე შეიძლებოდა იმის თქმაც და უნდა გვეთქვა კიდეც, რომ $(II\ b)_v$ იშლება $(II\ a)_m$-ად, ან $(II\ a)_m$ იშლება $(II\ b)_v$-ად, ან $(II\ b)_v$ შეადგენს $II\ a$ ზედმეტი ღირებულების შემადგენელ ნაწილს, და vice versa [პირიქით]: ზედმეტი ღირებულება დაიშლებოდა, ამრიგად, ხელფასად, შესაბამისად ცვალებად კაპიტალად, ცვალებადი კაპიტალი კი შეადგენდა ზედმეტი ღირებულების «შემადგენელ ნაწილს». ამ შეუსაბამობას მართლაც ხშირად ვხვდებით ა. სმიტის ნაწერში, რადგან სმიტის მიხედვით ხელფასი განისაზღვრება აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულებით, ამ საქონელთა ღირებულება კი, თავის მხრივ, კვლავ განისაზღვრება მათში მოქცეული ხელფასის (ცვალებადი კაპიტალის) ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების ჯამით. სმიტის ყურადღება იმდენადაა მიპყრობილი ამ ნაწილებზე, რომლებადაც კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე შეიძლება ერთი სამუშაო დღის განმავლობაში ახლადშექმნილი ღირებულება დაიშალოს — სახელდობრ $v + m$-ად, — რომ იგი სრულიად ივიწყებს იმ გარემოებას, რომ მარტივი საქონელგაცვლისას სრულიად არა აქვს მნიშვნელობა იმას, სხვადასხვა ნატურალურ ფორმით არსებული ეკვივალენტები გადახდილი შრომისგან შედგება თუ გადაუხდელისგან, რადგან ეს ეკვივალენტები ორივე შემთხვევაში მათს წარმოებაზე დახარჯული თანაბარი რაოდენობის შრომად ღირან; და ასევე ივიწყებს იგი იმასაც, რომ სრულიად არა აქვს მნიშვნელობა წარმოადგენს თუ არა რომელიმე A-ს საქონელი წარმოების საშუალებას და რომელიმე B-ს საქონელი მოხმარების საშუალებას, ან იმოქმედებს თუ არა გაყიდვის შემდეგ ერთი საქონელი კაპიტალის შემადგენელი ნაწილის სახით, ხოლო მეორე, პირიქით, მოხმარების ფონდში შევა და, secundum Adam [ადამის შეხედულების თანაიმად], მოხმარებული იქნება როგორც შემოსავალი. ის, თუ როგორ გამოიყენებს ინდივიდუალური მყიდველი თავის საქონელს, არ შედის საქონელგაცვლის ფარგალში, მიმოქცევის სფეროში, და არ ეხება საქონლის ღირებულებას. ეს სრულიადაც არ იცვლება იმის გამო, რომ საზოგადოების მთელი წლი-

ური პროდუქტის მიმოქცევის ანალიზის დროს აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ პროდუქტის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის გამოყენების განსაზღვრული ხასიათი, მათი მოიმარების მომენტი.

(II b)$_s$-ის გაცვლისას (II a)$_m$-ის ტოლ ღირებულებიან ნაწილზე, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, და იმ შემდგომი გაცვლისას, რასაც ადგილი აქვს (II a)$_m$-სა და (II b) $_m$-ს შორის, სრულიადაც არ იგულისხმება, რომ კაპიტალისტები — II a-ს და II b-ს ცალკეული კაპიტალისტები, თუ კაპიტალისტთა სათანადო ჯგუფები — ერთნაირი პროპორციით ჰყოფენ თავიანთ ზედმეტ ღირებულებას აუცილებელი მოხმარების საგნებსა და ფუფუნების საგნებს შორის. ერთმა შეიძლება მეტი დახარჯოს ერთი სახის მოხმარებაზე, მეორემ — მეორეზე. რაკი მარტივი კვლავწარმოების ნიადაგზე ვრჩებით, ჩვენ მაოლოდ იმას ვგულისხმობთ, რომ ღირებულების ჯამი, რომელიც მთელ ზედმეტ ღირებულებას უდრის, რეალიზდება მოხმარების ფონდში. ამრიგად, საზღვრები მოცემულია. თვითეული ქვედანაყოფის ფარგალში ერთს შეუძლია a-ზე დახარჯოს მეტი, მეორეს — b-ზე; მაგრამ აქ შეიძლება ამის ურთიერთკომპენსაცია მოხდეს, ასე რომ კაპიტალისტთა კატეგორიები a და b, თუ თვითეულ მათგანს მთლიანად ავიღებთ, თანაბარი პროპორციით მონაწილეობენ a-სა და b-ში. მაგრამ ღირებულების შეფარდებანი — a და b კატეგორიის მწარმოებელთა პროპორციული წილი II ქვედანაყოფის პროდუქტის ერთობლივ ღირებულებაში, — მაშასადამე, განსაზღვრული რაოდენობრივი შეფარდებაც წარმოების იმ ღარგებს შორის, რომელნიც იმ პროდუქტებს იძლევიან, — ეს შეფარდებანი აუცილებლობის გზით შეადგენენ მოცემულ სიდიდეს თვითეული კონკრეტული შემთხვევისათვის; ჰიპოთეზურია მაოლოდ ის შეფარდება, რომელიც მაგალითისთვისაა აღებული; თუ სხვაგვარ შეფარდებას ვიგულისხმებთ, ამით თვისებრივ მომენტებში არაფერი არ შეიცვლება; შეიცვლებოდა მხოლოდ რაოდენობრივი განსაზღვრანი. მაგრამ თუ რაიმე გარემოების გამო ნამდვილი ცვლილება მოხდებოდა a და b პროპორციულ სიდიდეში, მაშინ შესაბამისად შეიცვლებოდა მარტივი კვლავწარმოების პირობებიც.

იმ გარემოებიდან, რომ (II b)$_s$-ის რეალიზაცია (II a)$_m$-ის ეკვივალენტურ ნაწილში ხდება, გამოდის ასეთი დასკვნა: იმ ზომით, რა ზომითაც იზრდება წლიური პროდუქტის ნაწილი, რომელიც ფუფუნების საგნებისაგან შედგება, მაშასადამე, იმ ზომით, რა ზომითაც

მატულობს შრომის რაოდენობა, რასაც ფუფუნების საგანთა წარმოება შთანთქავს, იმავე ზომით (II *b*)$_{\beta}$-ზე ავანსებული ცვალებადი კაპიტალის უკუგარდაქმნა ფულად კაპიტალად, რომელიც ხელახლა იმოქმედებს როგორც ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმა, და ამით II *b*-ში დასაქმებული მუშათა კლასის არსებობა და კვლავწარმოება, ამ ნაწილისთვის აუცილებელ მოხმარების საშუალებათა მიღებისა,—გაპირობებულია კაპიტალისტთა კლასის მფლანგველობით, მათი ზედმეტი ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილის ფუფუნების საგნებად გარდაქმნით.

ყოველი კრიზისი სწრაფად ამცირებს ფუფუნების საგანთა მოხმარებას; იგი აყოვნებს, აგვიანებს (II*b*)$_{\beta}$-ის უკუგარდაქმნას ფულად კაპიტალად, შესაძლებელს ხდის მხოლოდ ნაწილობრივ უკუგარდაქმნას და მით ქუჩაში აგდებს იმ მუშების ნაწილს, რომელნიც ფუფუნების საგნებს აწარმოებენ, და ამავე დროს, მეორე მარივ, სწორედ ამით აფერხებს და ამცირებს იგი აუცილებელი მოხმარების საგნების გაყიდვას. აღარას ვამბობთ არამწარმოებელი მუშების დათხოვნაზე, რაც იმავდროულად ხდება, მუშებისა, რომელნიც თავიანთი სამსახურისათვის კაპიტალისტებისაგან ღებულობენ ამ უკანასკნელთა მიერ ფუფუნებაზე დანახარჯის ნაწილს (თვით ეს მუშები pro tanto ფუფუნების საგანს წარმოადგენენ) და რომელნიც დიდ მონაწილეობას იღებენ სწორედ აუცილებელ საარსებო საშუალებათა და სხვ. მოამარებაშიც. პირიქით ხდება აყვავების პერიოდში და განსაკუთრებით სპეკულაციის აყვავების პერიოდში, როდესაც ფულის შეფარდებითი, საქონელში გამოსახული ღირებულება ეცემა უკვე სხვა მიზეზების გამო (ამასთან საერთოდ ადგილი არა აქვს ნამდვილ რევოლუციას ღირებულებაში), მაშასადამე, საქონელთა ფასი, მათი საკუთარი ღირებულებისგან დამოუკიდებლად, მაღლა იწევს. ამასთან მატულობს არა მარტო აუცილებელ საარსებო საშუალებათა მოხმარება; მუშათა კლასი (რომლის რიგებშიც ახლა აქტიურად შედის მთელი მისი სარეზერვო არმია) დროებით მონაწილეობას იღებს სხვა დროს მისთვის ხელმიუწვდომელ ფუფუნების საგნების მოხმარებაშიც, აგრეთვე იმ კატეგორიის აუცილებელ საარსებო საშუალებათა მოხმარებაში, რომელნიც სხვა დროს მეტწილად მაოლოდ კაპიტალისტთა კლასისთვის შეადგენენ «აუცილებელ» მოხმარების საშუალებებს; ეს კი, თავის მარივ, ფასების აწევას იწვევს.

წმინდა ტავტოლოგიაა იმის თქმა, რომ კრიზისები გადახდისუნარიანი მოხმარების ანუ გადახდისუნარიან მომმარებელთა ნაკლებობიდან გამომდინარეობსო. კაპიტალისტურმა სისტემამ იცის მიო-

ლოდ ისეთი მოხმარება, რომლისთვისაც გადაიხდიან, გამონაკლისს წარმოადგენს sub forma pauperis [მათაოვარის მოხმარება] ან «თაღლითის» მოხმარება. ის გარემოება, რომ საქონელი არ იყიდება, მაოლოდ იმას ნიშნავს, რომ მისთვის არ მოიპოვებიან გადახდისუნარიანი მყიდველები, ე. ი. მომიმარებლები (რადგან საქონელს საბოლოოდ მწარმოებლური ან ინდივიდუალური მოიმარებისათვის ყიდულობენ). როცა ცდილობენ ამ ტავტოლოგიას გარეგნულად უფრო ღრმა დასაბუთების სახე მისცენ მით, რომ ამტკიცებენ: მუშათა კლასი თავისი საკუთარი პროდუქტის მეტისმეტად მცირე ნაწილს იღებსო, და, რომ მაშასადამე, ამ სავალალო მდგომარეობას ეშველება იმით, თუ მუშა პროდუქტის უფრო დიდ წილს მიიღებსო, ე. ი. თუ მისი ხელფასი გაიზრდებაო, — ამის საპასუხოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ ყოველ კრიზისს ამზადებს სწორედ ისეთი პერიოდი, როცა ხელფასი საყოველთაოდ მაღლა იწევს და მუშათა კლასი ნამდვილად უფრო დიდ წილს იღებს წლიური პროდუქტის იმ ნაწილიდან, რომელიც მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. ასეთ პერიოდს, — ადამიანის საღი და «მარტივი» (!) აზრის ამ რაინდთა თვალსაზრისით, — პირიქით, უნდა დაეშორებინა კრიზისი. ამრიგად, ცხადია, რომ კაპიტალისტური წარმოება შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებიც დამოკიდებული არაა კეთილ თუ ბოროტ ნებაზე და რომლებიც მუშათა კლასის შეფარდებით კეთილდღეობას შესაძლებელს ხდიან მხოლოდ დროებით და ისიც მუდამ მაოლოდ ქარიშხლის მაუწყებლის სახით [47].

წინათ ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ განაპირობებს პროპორციული თანაფარდობა აუცილებელ მოხმარების საშუალებათა წარმოებასა და ფუფუნების საგანთა წარმოებას შორის II(v+m)-ის დაყოფას II *a*-სა და II *b*-ს შორის, — მაშასადამე, II *c*-ის დაყოფასაც (II*a*)*c*-სა და (IIb) *c*-ს შორის. ამრიგად, ამ დაყოფას ძირითადი მნიშვნელობა აქვს წარმოების ხასიათისა და რაოდენობრივ შეფარდებისათვის და იგი წარმოადგენს მომენტს, რომელიც არსებითად წარმოების მთელ აგებულებას განსაზღვრავს.

მარტივ კვლავწარმოებას არსებითად თავის მიზნად აქვს მოხმარება, თუმცა ზედმეტი ღირებულების მიღება აქაც ინდივიდუალურ კაპიტალისტთა მამოძრავებელ მოტივს წარმოადგენს; მაგრამ ზედმეტი ღირებულება — როგორიც არ უნდა იყოს მისი შეფარდებითი სიდი-

---

[47] **Ad notam** [საყურადღებოდ] **როდბერტუსის კრიზისების თეორიის მოსალოდნელ მომხრეთათვის. — ფ. ე**

დე — ბოლოს და ბოლოს აქ კაპიტალისტთა ინდივიდუალურ მოხმარებას უნდა ემსახუროს.

რამდენადაც მარტივი კვლავწარმოება ნაწილია, თანაც უმნიშვნელოვანესი ნაწილი, გაფართოებული მასშტაბით მიმდინარე ყოველი წლიური კვლავწარმოებისაც, ეს მოტივი — ინდივიდუალური მოხმარება — რჩება, გამოდის რა გამდიდრების მოტივის თანალებითაც და გამდიდრების მოტივის, როგორც ასეთის, წინააღმდეგაც. სინამდვილეში საქმე უფრო დახლართულად წარმოგვიდგება, რადგან ნადავლის — კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულების — მონაწილენი (partners) გამოდიან როგორც კაპიტალისტისგან დამოუკიდებელი მომხმარებლები.

V. ფულის მიმოქცევა როგორც გაცვლის მუსაშუალე რგოლი

რამდენადაც ჩვენ აქამდე საქმის ვითარებას გავეცანით, მიმოქცევა მწარმოებელთა სხვადასხვა კატეგორიებს შორის მიმდინარეობდა შემდეგი სქემის მიხედვით:

1) I კატეგორიასა და II კატეგორიას შორის:

I. $4\,000_c + 1\,000_v + 1\,000_m$.

II. . . . . $2\,000\,c$ . . . $+ 500_v + 500_m$.

ამრიგად, დასრულებულია მიმოქცევა $II_c = 2\,000$, რომელიც გაცვლილია I $(1\,000_v + 1\,000_m)$-ზე.

რადგან ჩვენ $4\,000\ I_c$ ჯერჯერობით განზე ვტოვებთ, რჩება კიდევ $v+m$ მიმოქცევა II კატეგორიის ფარგლებში. ეს II $_{(v+m)}$ II a და II b ქვეგანყოფილებებს შორის ასე დანაწილდება:

2) II. $500_v + 500_m = a\ (400_v + 400_m) + b\ (100_v + 100_m)$.

400_v (a) მიმოიქცევა მისი საკუთარი ქვეგანყოფილების ფარგლებში; მუშები, რომლებსაც ეს 400_v (a) იელფასად მისცენ, ამ თანხით ყიდულობენ მათ მიერვე წარმოებულ აუცილებელ საარსებო საშუალებებს თავიანთი დამქირავებლებისგან, IIa-ს კაპიტალისტებისგან.

რადგან ორივე ქვეგანყოფილების კაპიტალისტები მათი ზედმეტი ღირებულების $^3/_5$-ს II a-ს პროდუქტებზე (აუცილებელ საარსებო საშუალებებზე) ხარჯავენ და $^2/_5$-ს — II b-ს პროდუქტებზე (ფუფუნების საგნებზე), ამიტომ a-ს ზედმეტი ღირებულების $^3/_5$, ე. ი. 240, II a თვით ქვეგანყოფილების ფარგლებში მოიიმარება; ასევე $^2/_5$ b-ს ზედმეტი ღირებულებისა (რომელიც წარმოებულია და არსებობს ფუფუნების საგანთა სახით) მოიხმარება II b ქვეგანყოფილების ფარგლებში.

მაშასადამე, II a და II b შორის კიდევ რჩება გასაცვლელი:

II a-ს მხარეზე: 160_m,

II *b*-ს მხარეზე: $100_v + 60_m$. ეს პროდუქტები ფარავენ ერთმანეთს. II *b*-ს მუშები მათ მიერ ფულადი ხელფასის სახით მიღებული 100_v-თი ყიდულობენ II *a*-ს 100 თანხის შესაბამის აუცილებელ საარსებო საშუალებებს. II *b*-ს კაპიტალისტები, თავის მხრივ, თავიანთი ზედმეტი ღირებულების $^3/_5$-ის ჯამის $= 60_m$ შესაბამის აუცილებელ საარსებო საშუალებებს ყიდულობენ II*a*-სგან. ამით II *a*-ს კაპიტალისტები იღებენ საჭირო ფულს იმისათვის, რომ, როგორც ზემოთ იყო ნაგულისხმევი, თავიანთი ზედმეტი ღირებულების $^2/_5 = 160_m$ დახარჯონ II *b*-ს მიერ წარმოებულ ფუფუნების საქონელზე (100_v-ზე, რომელიც გადახდილი ხელფასის ამნაზღაურებელი პროდუქტის სახით აქვთ II *b* კაპიტალისტებს და 60_m-ზე). ამრიგად, ვღებულობთ შემდეგ სქემას:

3) II *a*. $[400_v] + \underline{[240_m] + 160_m}$

b . . . . . $100_v + 60_m + [40_m]$,

სადაც ფრჩხილებში ის სიდიდეებია მოქცეული, რომლებიც მათი საკუთარი ქვეგანყოფილების ფარგლებში მიმოიქცევა და მოიხმარება.

ის ფაქტი, რომ ცვალებადი კაპიტალის სახით ავანსებული ფულადი კაპიტალი უშუალოდ უკან უბრუნდება მხოლოდ II *a* კაპიტალისტებს, რომელნიც აუცილებელ საარსებო საშუალებებს აწარმოებენ, მხოლოდ განსაკუთრებული პირობებით სახეშეცვლილ გამოვლინებაა იმ ზოგადი კანონისა, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საქონელმწარმოებელთ, რომელთაც ფული ავანსად გაიღეს მიმოქცევისათვის, ეს ფული უკან უბრუნდებათ საქონელმიმოქცევის ნორმალური მსვლელობის დროს. აქედან — შევნიშნავთ გაკვრით — გამომდინარეობს, რომ, თუ საქონელმწარმოებლის უკან საერთოდ ფულადი კაპიტალისტი დგას, რომელიც მრეწველ კაპიტალისტს ხელახლა აძლევს ავანსად ფულად კაპიტალს (ამ სიტყვის უაღრესად ზუსტი მნიშვნელობით, მაშასადამე, კაპიტალღირებულებას ფულადი ფორმით), მაშინ ამ ფულის უკუმოდინების ნამდვილ პუნქტს ამ ფულადი კაპიტალისტის ჯიბე წარმოადგენს. ამ წესით, თუმცა ფული თავის მიმოქცევისას მეტად თუ ნაკლებად ყველა ხელში გაივლის, მაგრამ მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა ეკუთვნის ფულადი კაპიტალის ქვედანაყოფს, რომელიც ბანკების და სავ. სახით არის მოწყობილი და კონცენტრირებული; ის წესი, რომლითაც ეს ქვედანაყოფი თავის კაპიტალს ავანსად იძლევა, განაპირობებს საბოლოო ანგარიშით ამ კაპიტალის მუდმივ უკუმოდინებას მასთან ფულადი ფორმით, თუმცა ამის მოსაშუალე რგოლს წარმოადგენს სამრეწველო კაპიტალის კვლავ უკუგარდაქმნა ფულად კაპიტალად.

საქონელთა მიმოქცევისათვის ყოველთვის აუცილებელია ორი რამ: საქონელი, რომელიც მიმოქცევაში გადაისროლება, და ფული, რომელიც მიმოქცევაში გადაისროლება. «მიმოქცევის პროცესი არ ამოიწურება, როგორც ეს ხდება პროდუქტების უშუალო გაცვლის დროს, სახმარი ღირებულების ადგილის შეცვლით და ხელიდან ხელში გადასვლით. ფული არ ქრება იმის გამო, რომ საბოლოოდ იგი ერთი საქონლის მეტამორფოზების მწკრივიდან გამოვარდება. იგი სულ მუდამ ილექება საქონელთა მიერ მიმოქცევაში დაცლილ ადგილას», და სხვ. (წიგნი I, თავი III, გვ. 92) [კ. მ ა რ ქ ს ი: «კაპიტალი», ტ. I, ქართ. გამოც. 1954 წ., გვ. 146].

მაგალითად, II_e და $I_{(v+m)}$ შორის მიმოქცევის განხილვისას ჩვენ ვგულისხმობდით, რომ ამ მიმოქცევისათვის 500 გირვ. სტერლინგს II გაიღებს ავანსად ფულადი ფორმით. მიმოქცევის იმ პროცესების უსასრულო რიცხვში, რომლებადაც დაიშლება მიმოქცევა მწარმოებელთა მსხვილ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის, ხან ერთი ჯგუფის წარმომადგენელი გამოდის პირველად მყიდველის როლში და ხან მეორე ჯგუფისა, — მაშასადამე, ეს წარმომადგენლები ფულს გადაისვრიან მიმოქცევაში. თუ სრულიად მხედველობის გარეშე დავტოვებთ ინდივიდუალურ გარემოებებს, ეს გაპირობებულია უკვე წარმოების პერიოდებისა და, მაშასადამე, სხვადასხვა საქონლური კაპიტალის ბრუნვის სხვადასხვაობით. ამრიგად, II ყიდულობს 500 გირვ. სტერლინგით I-ისგან ღირებულების იმავე ჯამის შესაბამის წარმოების საშუალებებს, ხოლო I ყიდულობს II-ისგან 500 გირვ. სტერლინგის მოხმარების საშუალებებს; მაშასადამე, ფული უკუმოედინება II-თან; ეს უკანასკნელი სრულიადაც არ მდიდრდება ამ უკუმოდენის მეოხებით. ჯერ მან გადაისროლა მიმოქცევაში 500 გირვ. სტერლინგი და გამოიტანა იქიდან იმავე ღირებულების ჯამის შესაბამისი საქონელი, შემდეგ იგი ყიდის 500 გირვ. სტერლინგის საქონელს და გამოაქვს მიმოქცევიდან იმავე ღირებულების ჯამის შესაბამისი ფული; ამგვარად უკუმოედინება 500 გირვ. სტერლინგი. ფაქტიურად II ქვედანაყოფმა ამ გზით მიმოქცევაში გადაისროლა 500 გირვ. სტერლინგი ფული და 500 გირვ. სტერლინგის საქონელი = 1 000 გირვ. სტერლ.; მას გამოაქვს მიმოქცევიდან 500 გირვ. სტერლინგის საქონელი და 500 გირვ. სტერლინგი ფული. (I)-ის 500 გირვ. სტერლ. საქონლისა და (II)-ის 500 გირვ. სტერლ. საქონლის გაცვლისათვის მიმოქცევა საჭიროებს მხოლოდ 500 გირვ. სტერლინგ ფულს; მაშასადამე, ვინც სხვისი საქონლის ყიდვისას ავანსად გაიღო ფული, იგი საკუთარი საქონლის გაყიდვისას უკანვე იღებს ამ ფულს. ამიტომ, I-ს რომ ჯერ

II-ისგან 500 გირვ. სტერლინგის საქონელი ეყიდნა და შემდეგ II-ისთვის 500 გირვ. სტერლინგის საქონელი მიეყიდნა, მაშინ 500 გირვ. სტერლინგი დაუბრუნდებოდა I-ს და არა II-ს.

ხელფასზე დახარჯული ფული, ე. ი. ფულადი ფორმით ავანსებული ცვალებადი კაპიტალი, I ქვედანაყოფში უკან ბრუნდება ამ ფორმით არა უშუალოდ, არამედ არაპირდაპირ, მოხვეული გზით. პირიქით, II ქვედანაყოფში 500 გირვ. სტერლ. ხელფასი უშუალოდ უბრუნდება მუშებისგან კაპიტალისტებს, ისე როგორც საერთოდ ეს უკუდაბრუნება უშუალოა, ყოველთვის, როდესაც ყიდვა და გაყიდვა ერთსა და იმავე პირებს შორის იმნაირად მეორდება, რომ ისინი რიგრიგობით ერთიმეორის პირისპირ დგანან როგორც საქონელთა მყიდველნი და გამყიდველნი. II ქვეგანაყოფის კაპიტალისტი ფულით ისტუმრებს სამუშაო ძალას; ამით იგი სამუშაო ძალას ჩართავს თავის კაპიტალში და მხოლოდ მიმოქცევის ამ აქტის მეოხებით, რომელიც მისთვის მარტოოდენ ფულადი კაპიტალის მწარმოებლურ კაპიტალად გარდაქმნაა, იგი მრეწველი კაპიტალისტის სახით უპირისპირდება მუშას, როგორც თავის დაქირავებულ მუშას. მაგრამ მუშა, რომელიც პირველ სტადიაში გამყიდველი, საკუთარი სამუშაო ძალით მოვაჭრე იყო, შემდეგ მეორე სტადიაში უპირისპირდება საქონლის გამყიდველ კაპიტალისტებს როგორც მყიდველი, როგორც ფულის მფლობელი. ამ გზით კაპიტალისტს უკან უბრუნდება ხელფასზე დახარჯული ფული. რამდენადაც ამ საქონელთა გაყიდვა დაკავშირებული არაა მოტყუებასთან და სხვ., არამედ აქ საქონლისა და ფულის სახით ეკვივალენტების გაცვლა ხდება, ეს გაყიდვა არ წარმოადგენს ისეთ პროცესს, რომლის საშუალებითაც კაპიტალისტი მდიდრდება. კაპიტალისტი მუშას არ უხდის ორჯერ: ჯერ ფულით და შემდეგ საქონლით; როდესაც მუშა ფულს კაპიტალისტის საქონელზე გაცვლის, მისი ფული მასვე უბრუნდება;

მაგრამ ცვალებად კაპიტალად გადაქცეული ფულადი კაპიტალი — ე. ი. ხელფასისათვის ავანსებული ფული — მთავარ როლს თვით ფულის მიმოქცევაში ასრულებს: რადგან მუშათა კლასს ხელფასიდან ხელფასამდე ძლივს გააქვს თავი და, მაშასადამე, მას არ შეუძლია მრეწველ კაპიტალისტებს რამდენადმე გრძელი ვადით მისცეს კრედიტი. ამიტომ, რაგინდ სხვადასხვა არ უნდა იყოს კაპიტალების ბრუნვის პერიოდები მრეწველობის სხვადასხვა დარგში, საზოგადოების მრავალ, ტერიტორიულად განსხვავებულ პუნქტებზე ცვალებადი კაპიტალის ფულის სახით ავანსად გაღება უნდა ხდებოდეს იმავდროულად გარკვეულ მოკლე ვადებში, მაგალითად, ყოველკვირეუ-

ლად და სხვ., შედარებით მალ-მალე განმეორებულ პერიოდებში (რაც უფრო მოკლეა ეს პერიოდები, მით უფრო შედარებით ნაკლები შეიძლება იყოს ფულის მთელი ის თანხა, რომელიც ამ არხის გზით ერთბაშად გადაისროლება მიმოქცევაში). ამ სახით ავანსებული ფულადი კაპიტალი კაპიტალისტური წარმოების ყველა ქვეყანაში შეადგენს პროპორციულად გადამწყვეტ წილს მთლიანად აღებულ მიმოქცევაში, მით უმეტეს, რომ იგივე ფული, — ვიდრე იგი ამოსავალ პუნქტს უკან დაუბრუნდებოდეს, — უაღრესად მრავალგვარ არხში გაივლის და როგორც მიმოქცევის საშუალება უამრავ სხვა ოპერაციას ასრულებს.

განვიხილოთ ახლა მიმოქცევა $I_{(v+m)}$ და II_c-ს შორის სხვა თვალსაზრისით.

I კაპიტალისტები ავანსად გაიღებენ ხელფასის გადასახდელად 1 000 გირვ. სტერლინგს, რომლითაც მუშები 1 000 გირვ. სტერლინგის საარსებო საშუალებებს ყიდულობენ II ქვედანაყოფის კაპიტალისტებისაგან, ხოლო ესენი თავის მხრივ, ამ ფულით წარმოების საშუალებებს ყიდულობენ I კაპიტალისტებისაგან. ახლა ამ უკანასკნელთ უკან დაუბრუნდა მათი ცვალებადი კაპიტალი ფულადი ფორმით, მაშინ როდესაც II კაპიტალისტებმა თავიანთი მუდმივი კაპიტალის ნახევარი საქონლური კაპიტალის ფორმიდან უკუგარდაქმნეს მწარმოებლურ კაპიტალად. II კაპიტალისტები I-ისაგან წარმოების საშუალებათა მიღების მიზნით ფულის სახით ავანსად გაიღებენ შემდეგ 500 გირვ. სტერლინგს; I კაპიტალისტები ფულს II-ის მოხმარების საშუალებებზე ხარჯავენ; ამრიგად ეს 500 გირვ. სტერლინგი უკან უბრუნდება II კაპიტალისტებს; ესენი ამ ფულს ხელახლა გაიღებენ ავანსად, რათა ისევ მწარმოებლურ ნატურალურ ფორმად გადააქციონ უკანასკნელი მეოთხედი თავიანთი მუდმივი კაპიტალისა, რომელიც საქონლად არის ქცეული. ეს ფული კვლავ უკუმიედინება I-თან და ხელახლა წაიღებს II-ისაგან ამ თანხის შესაბამის მოხმარების საშუალებებს; ამით 500 გირვ. სტერლინგი უკან უბრუნდება II-ს; ამ ქვედანაყოფის კაპიტალისტებს ახლა წინანდებურად ხელთ აქვთ 500 გირვ. სტერლინგი ფულად და 2 000 გირვ. სტერლინგი მუდმივი კაპიტალი, რომელიც ახლა საქონლური კაპიტალის ფორმიდან ხელახლა მწარმოებლურ კაპიტალადაა ქცეული. 5 000 გირვ. სტერლინგის საქონლის მასის მიმოქცევა შესრულდა 1 500 გირვ. სტერლ. ფულით; სახელდობრ: 1) I უხდის მუშებს 1 000 გირვ. სტერლინგს იმავე ღირებულების სამუშაო ძალისთვის; 2) მუშები ამ 1 000 გირვ. სტერლინგით ყიდულობენ II-ისგან

საარსებო საშუალებებს; 3) II იმავე ფულით წარმოების საშუალებებს ყიდულობს I-ისგან, რომლისთვისაც ამით ხელახლა აღდგენილია 1 000 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი ფულადი ფორმით; 4) II ყიდულობს 500 გირვ. სტერლინგით I-ისგან წარმოების საშუალებებს; 5) I იმავე 500 გირვ. სტერლინგით მოხმარების საშუალებებს ყიდულობს II-ისგან; 6) II იმავე 500 გირვ. სტერლინგით წარმოების საშუალებებს ყიდულობს I-ისგან; 7) I იმავე 500 გირვ. სტერლინგით საარსებო საშუალებებს ყიდულობს II-ისგან. II-ს უკან უბრუნდება 500 გირვ. სტერლინგი, რომელიც მან, გარდა 2 000 გირვ. სტერლინგისა საქონლის სახით, მიმოქცევაში გადაისროლა და რომლისათვის მას არავითარი ეკვივალენტი არ გამოუტანია მიმოქცევიდან[48].

ამრიგად, გაცვლა მიმდინარეობს ამ სახით:

1) I იხდის 1 000 გირვ. სტერლ. ფულს სამუშაო ძალისთვის, მაშასადამე, საქონლისთვის — 1 000 გირვ. სტერლინგს.

2) მუშები თავიანთი 1 000 გირვ. სტერლინგი ხელფასით II-ისგან ყიდულობენ მოხმარების საშუალებებს; მაშასადამე, საქონელს — 1 000 გირვ. სტერლ.

3) მუშებისგან მიღებული 1 000 გირვ. სტერლინგით II ყიდულობს I-ისგან იმავე ღირებულების წარმოების საშუალებებს; მაშასადამე, საქონელს = 1 000 გირვ. სტერლ.

ამით I-ს უკან დაუბრუნდა 1 000 გირვ. სტერლ. ფული როგორც ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმა.

4) 500 გირვ. სტერლინგით II ყიდულობს I-ისგან წარმოების საშუალებებს; მაშასადამე, საქონელს = 500 გირვ. სტერლ.

5) იმავე 500 გირვ. სტერლინგით I ყიდულობს II-ისგან მოხმარების საშუალებებს; მაშასადამე, საქონელს = 500 გირვ. სტერლ.

6) იმავე 500 გირვ. სტერლინგით II ყიდულობს I-ისგან წარმოების საშუალებებს; მაშასადამე, საქონელს = 500 გირვ. სტერლ.

7) იმავე 500 გირვ. სტერლინგით I ყიდულობს II-ისგან მოხმარების საშუალებებს; მაშასადამე, საქონელს = 500 გირვ. სტერლ.

გაცვლილი საქონლური ღირებულების ჯამი = 5 000 გირვ. სტერლ.

500 გირვ. სტერლინგი, II-ის მიერ ავანსებული ყიდვის მიზნით, უკანვე დაუბრუნდა მას.

შედეგი ასეთია:

---

[48] გადმოცემა აქ რამდენადმე განსხვავდება იმისგან, რომელიც ზემოთ (502—503 გვერდზე) არის მოცემული. იქ I-იც გადაისვრის მიმოქცევაში 500 გირვ. სტერლინგ დამოუკიდებელ თანხას. აქ მარტო II იძლევა დამატებითს ფულად მასალას მიმოქცევისთვის. მაგრამ საბოლოოდ ეს მაინც არაფერს ცვლის. — ფ. ე.

1) I ქვედანაყოფს ფულადი ფორმით აქვს 1 000 გირვ. სტერლინგის ცვალებადი კაპიტალი, რომელიც თავდაპირველად მან ავანსად გაიღო მიმოქცევისათვის; გარდა ამისა, მან თავისი ინდივიდუალური მოხმარებისთვის საკუთარი საქონლური პროდუქტის სახით დახარჯა 1 000 გირვ. სტერლინგი, ე. ი. დახარჯა ფული, რომელიც მიიღო 1 000 გირვ. სტერლინგის ღირებულების წარმოების საშუალებათა გაყიდვით.

მეორე მხრივ, ის ნატურალური ფორმა, რადაც ფულადი ფორმით არსებული ცვალებადი კაპიტალი უნდა გარდაიქმნას, — ე. ი. სამუშაო ძალა, მოხმარების მეშვეობით შენარჩუნებულია, კვლავწარმოებულია და ისევ არსებობს როგორც მის მფლობელთა ერთადერთი სავაჭრო საგანი, რომელიც მათ უნდა გაყიდონ, თუ სურთ იარსებონ. მაშასადამე კვლავწარმოებულია ურთიერთობაც დაქირავებულ მუშებსა და კაპიტალისტებს შორის.

2) II ქვედანაყოფის მუდმივი კაპიტალი ანაზღაურებულია in natura, და 500 გირვ. სტერლინგი, რომელიც ამავე II-ის მიერ ავანსებული იყო მიმოქცევისათვის, უკან დაუბრუნდა მასვე.

I ქვედანაყოფის მუშებისთვის მიმოქცევა მარტივი მიმოქცევაა ს—ფ—ს: $\overset{1}{\text{ს}}$ (სამუშაო ძალა) — $\overset{2}{\text{ფ}}$ (1 000 გირვ. სტერლ., I-ის ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმა I)— $\overset{3}{\text{ს}}$ (აუცილებელი საარსებო საშუალებანი 1 000 გირვ. სტერლინგის თანხისა); ეს 1 000 გირვ. სტერლინგი ამავე ღირებულების ოდენობით ფულად აქცევს საქონლის — საარსებო საშუალებათა — ფორმით არსებულ II-ის მუდმივ კაპიტალს.

II ქვედანაყოფის კაპიტალისტებისათვის ეს პროცესი წარმოადგენს განსაკუთრებულ აქტს ს — ფ, მათი საქონლური პროდუქტის ნაწილის გარდაქმნას ფულად ფორმად, საიდანაც იგი უკუგარდაიქმნება მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელ ნაწილებად,—სახელდობრ მათთვის აუცილებელ წარმოების საშუალებათა ნაწილად.

წარმოების საშუალებათა დანარჩენი ნაწილის საყიდლად ფ (500 გირვ. სტერლინგის) ავანსად გაღებისას II-ის კაპიტალისტები წინასწარ აიღებენ II_c-ს იმ ნაწილის ფულად ფორმას, რომელიც ჯერ კიდევ საქონლის (მოხმარების საშუალებათა) ფორმით არსებობს; აქტში ფ—ს, სადაც II ყიდულობს ფ-ით და I ყიდის ს, ფული (II) მწარმოებლური კაპიტალის ნაწილად გადაიქცევა, მაშინ როდესაც ს (I) შეასრულებს აქტს ს — ფ, გადაიქცევა ფულად; მაგრამ ეს ფული I-ისთვის წარმოადგენს არა კაპიტალღირებულების შემადგენელ ნა-

წილს, არამედ ფულადქცეულ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც მხოლოდ მოხმარების საშუალებებზე იხარჯება.

მიმოქცევაში: ფ — ს... წ...—ს′ — ფ′ პირველი აქტი, ფ — ს, ერთი კაპიტალისტის აქტს წარმოადგენს, უკანასკნელი აქტი, ს′ — ფ′ (ან აქტის ნაწილი), — მეორისას. თვით საქონელმიმოქცევისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ეს ს, რომლის მეოხებით ფ მწარმოებლურ კაპიტალად გადაიქცევა, ს გამყიდველისთვის (რომელიც, მაშასადამე, ამ ს ფულად აქცევს) კაპიტალის მუდმივ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალის ცვალებად შემადგენელ ნაწილს, თუ ზედმეტ ღირებულებას.

რაც შეეხება I ქვედანაყოფს, მისი საქონლური პროდუქტის შემადგენელ ნაწილ $v + m$-თან დაკავშირებით, ამ ქვედანაყოფს მეტი ფული გამოაქვს მიმოქცევიდან, ვიდრე მასში გადაისროლა. ჯერ ერთი, მას უკან უბრუნდება მისი 1 000 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი; მეორე, იგი ყიდის (იხ. ზემოთ გაცვლა № 4) 500 გირვ. სტერლინგის წარმოების საშუალებებს; ამით მისი ზედმეტი ღირებულების ნახევარი ფულად იქცევა; შემდეგ (გაცვლა № 6) იგი ქვლავ ყიდის 500 გირვ. სტერლინგის წარმოების საშუალებებს, თავისი ზედმეტი ღირებულების მეორე ნახევარს, და ამით უკვე მთელი ზედმეტი ღირებულება მიმოქცევას გამოეცლება ფულადი ფორმით; მაშასადამე, თანმიმდევრულად: 1) ცვალებადი კაპიტალი უკუგარდაიქმნა ფულად = 1 000 გირვ. სტერლინ.; 2) ზედმეტი ღირებულების ნახევარი ფულად იქცა = 500 გირვ. სტერლინ.; 3) ზედმეტი ღირებულების მეორე ნახევარი = 500 გირვ. სტერლ. ამრიგად, ფულად იქცა ჯამი $1\,000_v + 1\,000_m = 2\,000$ გირვ. სტერლინგს. თუმცა I-მა (მხედველობაში არ ვიღებთ შემდგომ განსახილველ გაცვლას, რომელიც I_c ქვლავწარმოებას მოსაშუალეობს) მხოლოდ 1 000 გირვ. სტერლინგი გადაისროლა მიმოქცევაში, მიმოქცევიდან კი მან ორჯერ მეტი გამოიტანა. რასაკვირველია, ეს ფულად ქცეული (ფ გარდაქმნილი) m სწრაფად ქრება სხვის ხელში (II) იმის გამო, რომ ეს ფული მოხმარების საშუალებებზე იხარჯება. I-ის კაპიტალისტებმა ფ ულ ის სახით მხოლოდ იმდენი გამოიტანეს მიმოქცევიდან, რამდენიც მათ გადაისროლეს ღირებულების მიხედვით მასში ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა სახით; ის გარემოება, რომ ეს ღირებულება ზედმეტი ღირებულებაა, ე. ი. კაპიტალისტებს არად უღირთ, აბსოლუტურად არაფერს ცვლის თვით ამ საქონელთა ღირებულებაში; მაშასადამე, ეს გარემოება სრულიად უმნიშვნელოა, რამდენადაც საქმე შეეხება ღირებულების გარდაქმნას საქონელმიმოქცევაში. ზედმეტი ღირებულების ყოფნა ფულადი ფორ-

მით, რა თქმა უნდა, ისევე სწრაფწარმავალია, როგორც ყველა სხვა ფორმა, რომელთაც გაივლის ავანსებული კაპიტალი თავის გარდაქმნათა პროცესში. იგი გრძელდება სწორედ იმდენ ხანს, რამდენიც გადის I-ის საქონლის ფულად გარდაქმნიდან მის მომდევნო გარდაქმნამდე — I-ის ფულის II-ის საქონლად გარდაქმნამდე.

ჩვენ რომ გვეგულისხმნა უფრო მოკლე გადაბრუნებანი — ან, თუ საკითხს მარტივი საქონელმიმოქცევის თვალსაზრისით განვიხილავთ, მიმოქცევაში მყოფი ფულის უფრო სწრაფი ტრიალი, — მაშინ კიდევ უფრო ნაკლები ფული იქნებოდა საკმარისი გასაცვლელი საქონლის ღირებულებათა მიმოქცევისთვის; ფულის რაოდენობა, როცა თანამიმდევრულ გაცვლათა რიცხვი მოცემულია, ყოველთვის განისაზღვრება მიმოქცევაში მყოფ საქონელთა ფასების, შესაბამისად, ღირებულებათა ჯამით. ამასთან არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა პროპორციით შედგება ღირებულებათა ეს ჯამი ზედმეტი ღირებულებისაგან, ერთი მხრივ, და კაპიტალღირებულებისაგან, მეორე მხრივ.

თუ ჩვენს მაგალითში — I ხელფასს წელიწადში ოთხჯერ გადაიხდიდა, მაშინ 250 × 4 = 1 000. მაშასადამე, 250 გირვ. სტერლინგი ფულად საკმარისი იქნებოდა I_v — $^1/_4$ II_c-ს მიმოქცევისათვის და ცვალებად კაპიტალ I_v-სა და I-ის სამუშაო ძალას შორის მიმოქცევისთვის. ასევე მიმოქცევა I_m და II_c შორის რომ ოთხი გადაბრუნების გზით სრულდებოდეს, ამისთვის აუცილებელი იქნებოდა მხოლოდ 250 გირვ. სტერლინგი, მაშასადამე, 5 000 გირვ. სტერლინგის თანხის საქონელთა მიმოქცევისათვის საერთოდ საჭირო იქნებოდა ფულადი თანხა, შესაბამისად ფულადი კაპიტალი 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. ამ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ფულად გადაქცევა მოხდებოდა არა ორჯერ თანმიმდევრული ნახევარ-ნახევრით, არამედ ოთხჯერ თანმიმდევრული მეოთხედ-მეოთხედით.

თუ № 4-ით აღნიშნულ გაცვლაში მყიდველად II-ს ნაცვლად I გამოდის, და, მაშასადამე, თუ იგი 500 გირვ. სტერლ. ფულს ამავე ღირებულების სიდიდის მოხმარების საშუალებებზე ხარჯავს, მაშინ № 5-ით აღნიშნულ გაცვლაში II ყიდულობს იმავე 500 გირვ. სტერლინგით წარმოების საშუალებებს: 6) I ყიდულობს იმავე 500 გირვ. სტერლინგით მოხმარების საშუალებებს; 7) II ყიდულობს იმავე 500 გირვ. სტერლინგით წარმოების საშუალებებს; მაშასადამე, 500 გირვ. სტერლინგი საბოლოოდ უკან უბრუნდება I-ს, როგორც წინათ უბრუნდებოდა იგი II-ს. ზედმეტი ღირებულება აქ ფულად იქცევა იმ ფულის საშუალებით, რომელსაც ამ ზედმეტი ღირებულების კაპიტალისტური მწარმოებელი ხარჯავს თავის პირად მოხმარებაზე და რომე-

ლიც წარმოადგენს წინასწარ აღებულ შემოსავალს, წინასწარ აღებულს იმ ზედმეტი ღირებულებიდან, რომელიც ჯერ კიდევ გასაყიდ საქონელშია მოქცეული. ზედმეტი ღირებულების ფულად გადაქცევა 500 გირვ. სტერლინგის უკუმოდინების გზით როდი ხდება; I-მა ხომ, გარდა 1 000 გირვ. სტერლინგისა, I_v-ის საქონლის სახით, № 4-ით აღნიშნული გაცვლის დასასრულს მიმოქცევაში გადაისროლა ფულად 500 გირვ. სტერლინგი, და ეს ფული, როგორც ვიცით, დამატებითი ფული იყო და არა საქონლის გაყიდვიდან მიღებული ფული. თუ ეს ფული უკან უბრუნდება I-ს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელმა ამით დაიბრუნა თავისი დამატებითი ფული, და არა იმას, რომ მან ფულად აქცია ზედმეტი ღირებულება. I-ის ზედმეტი ღირებულების ფულად გადაქცევა ხდება მხოლოდ საქონელ I_m-ის გაყიდვის გზით, რომელშიაც ეს ზედმეტი ღირებულებაა მოქცეული, და ზედმეტი ღირებულების ყოფნა ფულის სახით ყოველთვის გრძელდება მხოლოდ მანამდე, ვიდრე საქონლის გაყიდვის გზით მიღებული ფული ხელახლა არ დაიხარჯება მოხმარების საშუალებებზე.

დამატებითი ფულით (500 გირვ. სტერლინგით) I ყიდულობს II-ისგან მოამარების საშუალებებს; ეს ფული I-მა დახარჯა და მასში ეკვივალენტი მიიღო II-ის საქონლის სახით; პირველად ფული უკუმოედინება იმის გამო, რომ II ყიდულობს I-ისგან 500 გირვ. სტერლინგის საქონელს; მაშასადამე, ფული უკუმოედინება როგორც I-ის მიერ გაყიდული საქონლის ეკვივალენტი, მაგრამ ამ საქონელში I-ს არაფერი დაუხარჯავს, მაშასადამე, იგი შეადგენს ზედმეტ ღირებულებას I-ისთვის, და, ამრიგად, თვით მის მიერ მიმოქცევაში გადასროლილი ფული ფულად აქცევს მის საკუთარ ზედმეტ ღირებულებას; ასევე I-მა თავის მეორე ყიდვის შემთხვევაში (№ 6) თავისი ეკვივალენტი II-ს საქონლის სახით მიიღო. თუ ვიგულისხმებთ, რომ II არ ყიდულობს (№ 7)I-ისგან წარმოების საშუალებებს, — მაშინ I ნამდვილად გადაიხდიდა 1 000 გირვ. სტერლინგს მოხმარების საშუალებებში,—მთელ თავის ზედმეტ ღირებულებას დახარჯავდა როგორც შემოსავალს,—სახელდობრ 500-ს თავისი I საქონლის (წარმოების საშუალებათა) სახით და 500-ს ფულად; პირიქით, მას დარჩებოდა კიდევ საწყობში 500 გირვ. სტერლინგის საქონელი I (წარმოების საშუალებათა სახით) და დახარჯული ექნებოდა 500 გირვ. სტერლ. ფულად.

პირიქით, II თავისი მუდმივი კაპიტალის სამ მეოთხედს უკუგარდაქმნიდა საქონლური კაპიტალის ფორმიდან მწარმოებლურ კაპიტალად; დანარჩენ მეოთხედს—ფულადი კაპიტალის ფორმად (500 გირვ.

სტერლ.), ფაქტიურად უქმად მდებარე ფულად, ანუ ფულად, რომელმაც შეწყვიტა თავისი მოქმედება და მოლოდინის მდგომარეობაში იმყოფება. თუ ეს მდგომარეობა გაგრძელდება, II იძულებული გახდება ერთი მეოთხედით შეამციროს კვლავწარმოების მასშტაბი. — რაც შეეხება ამ 500-ს წარმოების საშუალებათა სახით, რომელიც I-ს შერჩა ხელში, იგი არ წარმოადგენს საქონლურ ფორმაში არსებულ ზედმეტ ღირებულებას; მან დაიკავა იმ ავანსებული 500 გირვ. სტერლ. ფულის ადგილი, რომელიც I-ს ჰქონდა საქონლის ფორმით არსებულ თავის 1 000 გირვ. სტერლ. ზედმეტ ღირებულებასთან ერთად. როგორც ფული იგი ისეთი ფორმითაა, რომლის რეალიზაციაც ყოველთვის შეიძლება; როგორც საქონელი იგი დროებით რჩება გაუყიდავი. აქედან ცხადია, რომ მარტივი კვლავწარმოება,—სადაც ანაზღაურებულ უნდა იქნას მწარმოებლური კაპიტალის ყოველი ელემენტი, როგორც II-ში, ისე I-ში, — შესაძლებელი რჩება აქ მხოლოდ იმ პირობით, თუ 500 ოქროს ჩიტი ისევ დაუბრუნდება I-ს, რომელმაც ისინი პირველად გამოაფრინა.

თუ კაპიტალისტი (აქ ჩვენ ჯერ კიდევ მრეწველ კაპიტალისტებთან გვაქვს საქმე, რომელნიც ამავე დროს ყველა სხვების წარმომადგენელნი არიან) ფულს მოხმარების საშუალებებზე დახარჯავს, ეს მისთვის იმას ნიშნავს, რომ ეს ფული გათავდა, მან განვლო გზა ყოველი ხორციელისა. თუ ფული მას უკან დაუბრუნდება, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ იგი ამ ფულს საქონლის მეშვეობით, ე. ი. თავისი საქონლური კაპიტალის მეშვეობით — გამოტაცებს მიმოქცევას. როგორც ღირებულება მთელი მისი წლიური საქონლური პროდუქტისა (რომელიც მისთვის = საქონლურ კაპიტალს), ისე ამ უკანასკნელის თვითეული ელემენტის ღირებულება, ე. ი. ყოველი ცალკეული საქონლის ღირებულება, მისთვის შესაძლებელია დაიშალოს მუდმივ კაპიტალღირებულებად, ცვალებად კაპიტალღირებულებად და ზედმეტ ღირებულებად. მაშასადამე, ფულად გადაქცევა ყოველი ერთეულისა იმ საქონელთაგან (რომელნიც ელემენტების სახით საქონლურ პროდუქტს შეადგენენ) იმავე დროს ფულად გადაქცევაა ზედმეტი ღირებულების იმ გარკვეული წილისა, რასაც მთელი საქონლური პროდუქტი შეიცავს. ამრიგად მოცემული შემთხვევისათვის სიტყვა-სიტყვით მართალია ის, რომ კაპიტალისტმა თვითონ გადაისროლა ფული მიმოქცევაში,—სახელდობრ, როდესაც იგი მოხმარების საშუალებებზე დახარჯა,—რის მეოხებითაც ფულად იქცევა, ანუ რეალიზდება მისი ზედმეტი ღირებულება. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია ფულის არა ერთსა და იმავე ერთეულებზე, არამედ წკრიალა მონეტის

რაოდენობაზე, რომელიც უდრის იმ ჯამს (ან იმ ჯამის ნაწილს), რაც მან თავის პირად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გადაისროლა მიმოქცევაში.

პრაქტიკაში ეს ორნაირი წესით ხდება: თუ საწარმო მხოლოდ მიმდინარე წელს გაიხსნა, კარგა ხანი გაივლის, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე თვე, ვიდრე კაპიტალისტს შესაძლებლობა მიეცემა თავის პირად მოხმარებაზე დახარჯოს თვით საწარმოს შემოსავლიდან მიღებული ფული. მაგრამ იგი ამის გამო ერთი წუთითაც არ გადადებს თავის მოხმარებას. ის თვითონ აძლევს თავის თავს ავანსად (ამასთან სავსებით სულ ერთია, ამ ავანსს იგი თავის ჯიბიდან გაიღებს თუ— კრედიტის გზით სხვისი ჯიბიდან მიიღებს) ფულს მისაღები ზედმეტი ღირებულების ანგარიშზე; მაგრამ ამით იგი ავანსად იძლევა მიმოქცევის საშუალებასაც იმ ზედმეტი ღირებულების სარეალიზაციოდ, რომელიც შემდგომ უნდა იქნას რეალიზებული. პირიქით, თუ საწარმო საკმაოდ დიდი ხანია რეგულარულად მოქმედებს, მაშინ გადასახდელი და შემოსავალი სხვადასხვა ვადებზე განაწილდება წლის განმავლობაში. მაგრამ კაპიტალისტის მოხმარება განუწყვეტლივ მიმდინარეობს, მას წინასწარ ითვალისწინებენ და მის მოცულობას ანგარიშობენ გარკვეული პროპორციით ჩვეულებრივი ან სავარაუდო შემოსავლის მიმართ. საქონელთა ყოველი ნაწილის გაყიდვისას რეალიზდება წლის განმავლობაში საწარმოებელი ზედმეტი ღირებულების ნაწილიც. მაგრამ თუ მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ იმდენი წარმოებული საქონელი გაიყიდება, რამდენიც აუცილებელია მასში მოქცეული მუდმივი და ცვალებადი კაპიტალღირებულების ასანაზღაურებლად, ან თუ ფასები ისე დაეცემა, რომ მთელი წლიური საქონლური პროდუქტის გაყიდვისას მხოლოდ მასში მოქცეული ავანსებული კაპიტალღირებულების რეალიზაცია მოხდებოდა, მაშინ ფულის ხარჯვაში ნათლად წარმოგვიდგება წინასწარ გათვალისწინების ხასიათი, მერმისში მისაღები ზედმეტი ღირებულების ვარაუდი. ჩვენი კაპიტალისტი თუ გაკოტრდა, მისი კრედიტორები და სასამართლო დაიწყებენ იმის კვლევა-ძიებას, იყო თუ არა მის მიერ წინასწარ გათვალისწინებულ ხარჯებში დაცული სათანადო პროპორცია მისი საწარმოს მოცულობის მიმართ და შემოსავლის — ზედმეტი ღირებულების — მიმართ, რომელიც ჩვეულებრივ ანუ ნორმალურად ამ მოცულობას შეესაბამება.

მაგრამ თუ კაპიტალისტთა მთელ კლასს ავიღებთ, ის დებულება, რომ მან თვითონ უნდა გადაისროლოს მიმოქცევაში ფული თავისი ზედმეტი ღირებულების სარეალიზაციოდ (შესაბამისად თავისი კაპი-

ტალის, მუდმივის და ცვალებადის, მიმოქცევისთვისაც), არათუ პარადოქსული არაა, არამედ იგი მთელი მექანიზმის აუცილებელ პირობას წარმოადგენს; ვინაიდან აქ არსებობს მხოლოდ ორი კლასი: მუშათა კლასი, რომელსაც მხოლოდ თავისი სამუშაო ძალა გააჩნია, და კაპიტალისტთა კლასი, რომლის მონოპოლიურ მფლობელობაშია როგორც საზოგადოებრივი წარმოების საშუალებანი, ისე ფულიც. პარადოქსი იქნებოდა ის, თუ მუშათა კლასი პირველ რიგში თავის სახსრებიდან ავანსად გაიღებდა იმ ფულს, რომელიც აუცილებელია ⟨ საქონელთა მიმოქცევისათვის, მაშასადამე, აგრეთვე ⟩ საქონელში მოქცეული ზედმეტი ღირებულების რეალიზაციისათვის. ინდივიდუალური კაპიტალისტი კი ამ ავანსად გაღებას ყოველთვის ასრულებს მხოლოდ ისეთი ფორმით, რომ იგი მოქმედებს როგორც მყიდველი, ფულს ან ხარჯავს მოხმარების საშუალებათა საყიდლად ან ავანსად გაიღებს ფულს თავისი მწარმოებლური კაპიტალის ელემენტების—სამუშაო ძალის თუ წარმოების საშუალებათა — საყიდლად. იგი ყოველთვის ფულს მხოლოდ ეკვივალენტზე გასცემს. იგი მიმოქცევას ფულით იმავე წესით აავანსებს, რა წესითაც აავანსებს თავის საქონელს. ორივე შემთხვევაში იგი მოქმედებს როგორც ფულისა და საქონლის ამოსავალი პუნქტი.

საქმის ნამდვილ მსვლელობას ორი გარემოება აბუნდოვანებს.

1) სამრეწველო კაპიტალის მიმოქცევის პროცესში გვევლინება სავაჭრო კაპიტალი (რომლის პირველ ფორმას ყოველთვის ფული შეადგენს, რადგან ვაჭარი როგორც ასეთი არავითარ «პროდუქტს» ანუ «საქონელს» არ აწარმოებს) და ფულადი კაპიტალი, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის კაპიტალისტთა მანიპულაციების საგანი.

2) დაშლა ზედმეტი ღირებულებისა—რაც პირველ რიგში ყოველთვის მრეწველი კაპიტალისტის ხელში უნდა მოხვდეს — სხვადასხვა კატეგორიებად, რომელთა წარმომადგენელნი არიან მრეწველი კაპიტალისტის გვერდით მიწათმფლობელნი (მიწის რენტისათვის), მევახშე (სარგებლისათვის) და სხვ., შემდეგ მთავრობა და [მისი მოხელეები, რენტიერები და სხვ. ეს ვაჟბატონები მრეწველი კაპიტალისტის მიმართ გამოდიან როგორც მყიდველნი და ამდენად ისინი მის საქონელს ფულად აქცევენ; ისინი pro parte [მათი წილის შესაბამისად] «ფულს» გადაისვრიან მიმოქცევაში, მრეწველი კაპიტალისტი კი ამ ფულს ამათგან იღებს. ამასთან მუდამ ივიწყებენ, რა წყაროდან მიიღეს მათ ეს ფული და საიდან იღებენ მას ყოველთვის ხელახლა.

VI. I ქვედანაყოფის მუდმივი კაპიტალი [48a]

გამოსაკვლევად გვრჩება კიდევ I ქვედანაყოფის მუდმივი კაპიტალი = 4 000 I_c. ეს ღირებულება უდრის წარმოების საშუალებათა ღირებულებას, რომელიც I საქონლურ პროდუქტში ხელახლა გვევლინება, ე. ი. წარმოების იმ საშუალებათა ღირებულებას, რომლებიც ამ საქონლური მასის წარმოებას მოხმარდა. ეს ღირებულება, რომელიც ხელახლა - გვევლინება, რომელიც I წარმოების პროცესში არ შექმნილა, არამედ ერთი წლით ადრე შეევიდა მასში როგორც მუდმივი ღირებულება, როგორც მის წარმოების საშუალებათა გარკვეული სიდიდის ღირებულება, — ახლა არსებობს I საქონლური მასის მთელ იმ ნაწილში, რომელიც არაა შთანთქმული II ქვედანაყოფის მიერ; ამასთან, ღირებულება ამ საქონელთა მასისა, რომელიც ამგვარად I კაპიტალისტების ხელშია დარჩენილი, = მთელი მათი წლიური საქონლური პროდუქტის $^2/_3$-ს. ცალკეული კაპიტალისტის შესახებ, რომელიც რაიმე განსაკუთრებული სახის წარმოების საშუალებებს აწარმოებს, ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა: იგი თავის საქონლურ პროდუქტს ყიდისო, ფულად აქცევსო. როდესაც იგი თავის პროდუქტს ფულად აქცევს, კვლავ ფულად აქცევს მისი ღირებულების მუდმივ ნაწილსაც. ღირებულების ამ ფულად გარდაქმნილი ნაწილით იგი შემდეგ ისევ ყიდულობს საქონლის სხვა გამყიდველთაგან წარმოების საშუალებებს თავისთვის, ანუ თავისი პროდუქტის ღირებულების მუდმივ ნაწილს ისეთ ნატურალურ ფორმად აქცევს, რომელშიაც მას ხელახლა შეუძლია იმოქმედოს მწარმოებლური მუდმივი კაპიტალის სახით. პირიქით, ჩვენს ახლანდელ შემთხვევაში ასეთი ვარაუდი ეუძლებელია. I ქვედანაყოფის კაპიტალისტთა კატეგორია მოიცავს წარმოების საშუალებათა მწარმოებელი კაპიტალისტების მთელ ერთობლიობას. გარდა ამისა, 4 000-ის ღირებულების საქონლური პროდუქტი, რომელიც კაპიტალისტებს დარჩა ხელში, წარმოადგენს საზოგადოებრივი პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც არავითარ სხვა ნაწილზე არ შეიძლება გაიცვალოს, რადგან წლიური პროდუქტის არავითარი ასეთი სხვა ნაწილი აღარ არსებობს. ამ 4 000-ის გამოკლებით, მთელმა ნაშთმა უკვე მონახა თავისი ადგილი; ერთი ნაწილი შთანთქა მოხმარების საზოგადოებრივმა ფონდმა, მეორე ნაწილით უნდა ანაზღაურდეს მუდმივი კაპიტალი II ქვედანაყოფისა, რომელმაც უკვე ყველაფერი გაცვალა, რაც კი შეიძლებოდა მის განკარგულებაში ყოფილიყო I ქვედანაყოფთან გასაცვლელად.

---

[48] აქედან II ხელნაწერიდან.

სიძნელე სულ უბრალოდ ამოიხსნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელი I ქვედანაყოფის საქონლური პროდუქტი თავისი ნატურალური ფორმით წარმოების საშუალებათაგან, ე. ი. თვით მუდმივი კაპიტალის ნივთიერი ელემენტებისაგან შედგება. აქ იგივე მოვლენა მეორდება, რაც წინათ II-ის შემთხვევაში, გამომჟღავნდა, მხოლოდ სხვა ასპექტში. II-ში მთელი საქონლური პროდუქტი მოხმარების საშუალებებისგან შედგებოდა; ამიტომ მისი ნაწილი, რომელიც გაიზომება ამ საქონლურ პროდუქტში მოქცეული ხელფასით პლუს ზედმეტი ღირებულება, შეიძლებოდა მოხმარებულიყო მისი საკუთარი მწარმოებლების მიერ. აქ კი, I-ში, მთელ საქონლურ პროდუქტს შეადგენენ წარმოების საშუალებანი, ნაგებობანი, მანქანები, საცავები, ნედლი და დამხმარე მასალები და სხვ. ამიტომ მათმა იმ ნაწილმა, რომელიც ამ სფეროში გამოყენებულ მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს, შეიძლება მისი ნატურალური ფორმით დაუყოვნებლივ იწყოს მოქმედება მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილის სახით. რამდენადაც იგი მიმოქცევაში შედის, იგი მიმოიქცევა I ქვედანაყოფის ფარგლებში. II-ში საქონლური პროდუქტის ნაწილი in natura მოიხმარება ინდივიდუალურად მისი საკუთარი მწარმოებლების მიერ, I-ში, პირიქით, პროდუქტის ნაწილი in natura მოიხმარება მწარმოებლურად მისი კაპიტალისტური მწარმოებლების მიერ.

I საქონლური პროდუქტის ნაწილში = 4 000$_c$, მუდმივი კაპიტალღირებულება, რომელიც ამ ქვედანაყოფშია მოხმარებული, ხელახლა გვევლინება და ამასთან ისეთი ნატურალური ფორმით, რომელშიაც მას დაუყოვნებლივ შეუძლია ისევ დაიწყოს მოქმედება მწარმოებლური მუდმივი კაპიტალის სახით. II-ში 3 000-ის ღირებულების საქონლური პროდუქტის ნაწილი, რომლის ღირებულება უდრის ხელფასს პლუს ზედმეტი ღირებულება (= 1 000), უშუალოდ შედის II-ის კაპიტალისტებისა და მუშების ინდივიდუალურ მოხმარებაში, მაშინ როდესაც ამ საქონლური ღირებულების კაპიტალღირებულება (= 2 000), პირიქით, არ შეიძლება კვლავ შევიდეს II-ის კაპიტალისტთა მწარმოებლურ მოხმარებაში, არამედ I-თან გაცვლის გზით უნდა ანაზღაურდეს.

პირიქით, I ქვედანაყოფში 6 000-ის ღირებულების საქონლური პროდუქტის ნაწილი, რომლის ღირებულება უდრის ხელფასს პლუს ზედმეტი ღირებულება (= 2 000), არ შედის მის მწარმოებელთა ინდივიდუალურ მოხმარებაში და არც შეუძლია შევიდეს თავისი ნატურალური ფორმის მიხედვით. ჯერ უნდა მოხდეს ამ ნაწილის გაცვლა II-თან. პირიქით, ამ პროდუქტის ღირებულების მუდმივი ნაწილი, = = 4 000, ისეთ ნატურალურ ფორმაში იმყოფება, რომელშიაც მას —

თუ I-ის კაპიტალისტთა მთელ კლასს მივიღებთ მხედველობაში — შეუძლია კვლავ უშუალოდ იმოქმედოს ამ კლასისთვის მუდმივი კაპიტალის სახით. სხვა სიტყვებით: I ქვედანაყოფის მთელი პროდუქტი შედგება სახმარ ღირებულებათაგან, რომელთაც, თავიანთი ნატურალური ფორმის მიხედვით, — კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობისას, — მხოლოდ მუდმივი კაპიტალის ელემენტების სახით შეუძლიათ სამსახური. მაშასადამე, ამ 6 000-ის ღირებულების პროდუქტიდან ერთი მესამედი (2 000) ანაზღაურებს II ქვედანაყოფის მუდმივ კაპიტალს, და დანარჩენი $^2/_3$—I ქვედანაყოფის მუდმივ კაპიტალს.

I-ის მუდმივი კაპიტალი შედგება კაპიტალის მრავალი სხვადასხვა ჯგუფისაგან, რომლებიც დაბანდებულია წარმოების საშუალებათა მწარმოებელ სხვადასხვა დარგში: ამდენი და ამდენი ბრძმედებში, ამდენი და ამდენი ქვანახშირის მაღაროებში და სხვ. კაპიტალის თვითეული ეს ჯგუფი ანუ თვითეული ეს საზოგადოებრივი ჯგუფური კაპიტალი, თავის მხრივ, შედგება დამოუკიდებლად მოქმედი ცალკეული კაპიტალების მეტი ან ნაკლები რაოდენობისაგან. ჯერ ერთი, საზოგადოების კაპიტალი, მაგალითად, 7 500 (რაც შეიძლება მილიონებს და სხვ. ნიშნავდეს), იყოფა კაპიტალის სხვადასხვა ჯგუფებად; 7 500-ის რაოდენობის საზოგადოებრივი კაპიტალი დაყოფილია განსაკუთრებულ ნაწილებად, რომელთაგან თვითეული დაბანდებულია წარმოების განსაკუთრებულ დარგში; საზოგადოებრივი კაპიტალღირებულების ნაწილი, რომელიც წარმოების თვითეულ განსაკუთრებულ დარგშია დაბანდებული, ნატურალური ფორმის მიხედვით შედგება ნაწილობრივ თვითეული განსაკუთრებული საწარმოო სფეროს წარმოების საშუალებათაგან, ნაწილობრივ ამ სფეროში საქმის წარმოებისათვის აუცილებელი და შესაბამისად კვალიფიციური სამუშაო ძალისაგან, რომელიც სახეშეცვლილია შრომის დანაწილების გამო, იმ მუშაობის სპეციფიური ხასიათისდა მიხედვით, რაც მან წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროში უნდა შეასრულოს. საზოგადოებრივი კაპიტალის ნაწილი, რომელიც წარმოების თვითეულ განსაკუთრებულ დარგშია დაბანდებული, თავის მხრივ, შედგება ამ დარგში დაბანდებული, დამოუკიდებლად მოქმედი ცალკეული კაპიტალების ჯამისგან. თავისთავად გასაგებია, რომ ეს თანაბრად შეეხება ორივე ქვედანაყოფს, როგორც I-ს, ისე II-ს.

რაც შეეხება მუდმივ კაპიტალღირებულებას, რომელიც I-ში ხელახლა გვევლინება მისი საქონლური პროდუქტის ფორმით, — იგი ნაწილობრივ კვლავ შედის წარმოების საშუალებათა სახით წარმოების იმ განსაკუთრებულ სფეროში (ან ინდივიდუალურ საწარმოშიც კი),

საიდანაც იგი პროდუქტის სახით გამოდის; მაგალითად, მარცვალი მარცვლეულის წარმოებაში, ნახშირი ნახშირის წარმოებაში, რკინა მანქანების სახით რკინის წარმოებაში და სხვ.

რამდენადაც ცალკეული პროდუქტები, რომლებისგანაც I-ის კაპიტალდირებულება შედგება, უშუალოდ არ შედის კვლავ თავის განსაკუთრებულ ანუ ინდივიდუალურ წარმოების სფეროში, ისინი მარტოოდენ ადგილს იცვლიან. ისინი შედიან ნატურალური ფორმით I ქვედანაყოფის წარმოების სხვა სფეროში, მაშინ როდესაც I ქვედანაყოფის წარმოების სხვა სფეროების პროდუქტი მათ ანაზღაურებს in natura. ეს არის ამ პროდუქტების უბრალო ადგილცვლა. ნაცვლად I-ის ერთი ჯგუფისა ისინი ყველანი მეორე ჯგუფში შედიან კვლავ როგორც ფაქტორები, რომელნიც მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებენ. რამდენადაც აქ ადგილი აქვს გაცვლას I-ის ცალკეულ კაპიტალისტებს შორის, იგი წარმოადგენს მუდმივი კაპიტალის ერთი ნატურალური ფორმის გაცვლას მუდმივი კაპიტალის მეორე ნატურალურ ფორმაზე, ერთი სახეობის წარმოების საშუალებათა გაცვლას მეორე სახეობის წარმოების საშუალებებზე. ესაა I-ის მუდმივი კაპიტალის სხვადასხვა ინდივიდუალური ნაწილების ურთიერთგაცვლა. პროდუქტები, რამდენადაც ისინი უშუალოდ არ გამოიყენებიან წარმოების საშუალებათა სახით თავიანთ საკუთარ წარმოების დარგებში, გადადიან თავიანთ წარმოების ადგილიდან სხვა ადგილას და ამგვარად ერთმანეთს ანაზღაურებენ. სხვა სიტყვებით (მსგავსად იმისა, რასაც ადგილი ჰქონდა II-ში ზედმეტი ღირებულების მიმართ): თვითეულ კაპიტალისტს I-ში იმ შეფარდებით, რა შეფარდებითაც იგი თანამფლობელია ამ 4 000 ღირებულების მუდმივი კაპიტალისა, ამ საქონლური მასიდან გამოაქვს წარმოების შესაბამისი საშუალებანი, რომლებიც მას ესაჭიროება. წარმოება რომ საზოგადოებრივი ყოფილიყო და არა კაპიტალისტური, — ცხადია, I-ის პროდუქტები, კვლავწარმოების მიზნით, არანაკლები მუდმივობით განაწილდებოდა ხელახლა როგორც წარმოების საშუალებანი ამ ქვედანაყოფის წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის: ერთი ნაწილი უშუალოდ დარჩებოდა წარმოების იმ სფეროში, საიდანაც იგი გამოვიდა პროდუქტის სახით, ხოლო მეორე, პირიქით, გადავიდოდა წარმოების სხვა ადგილებში, და ამგვარად ამ ქვედანაყოფის წარმოების სხვადასხვა პუნქტებს შორის ადგილი ექნებოდა მუდმივ მოძრაობას საპირისპირო მიმართულებით.

VII. ცვალებადი კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება ორივე ქვედანაყოფში

ამრიგად, წლის განმავლობაში წარმოებულ მოხმარების საშუალებათა ერთობლივი ღირებულება უდრის II-ში ამავე წლის განმავლობაში კვლავწარმოებულ ცვალებად კაპიტალღირებულებას პლუს ახლად წარმოებული ზედმეტი ღირებულება II (ე. ი. უდრის წლის განმავლობაში II ქვედანაყოფში წარმოებულ ღირებულებას), პლუს წლის განმავლობაში კვლავწარმოებული ცვალებადი კაპიტალღირებულება I და ახლად წარმოებული ზედმეტი ღირებულება I (მაშასადამე, პლუს წლის განმავლობაში I ქვედანაყოფში წარმოებული ღირებულება).

მაშასადამე, თუ მარტივ კვლავწარმოებას ვიგულისხმებთ, წლიურად წარმოებულ მოხმარების საშუალებათა ერთობლივი ღირებულება უდრის ახლადშექმნილ წლიურ ღირებულებას, ე. ი. უდრის წლის განმავლობაში საზოგადოებრივი შრომით წარმოებულ მთელ ღირებულებას, — და უნდა უდრიდეს კიდეც, რადგან მარტივი კვლავწარმოების პირობებში მთელი ეს ღირებულება მოიხმარება.

მთელი საზოგადოებრივი სამუშაო დღე იყოფა ორ ნაწილად: 1) აუცილებელ შრომად; იგი ქმნის წლის განმავლობაში 1 500 რაოდენობის ღირებულებას; 2) ზედმეტ შრომად; იგი ქმნის 1 500 რაოდენობის დამატებითს ღირებულებას, ანუ ზედმეტ ღირებულებას. ამ ღირებულებათა ჯამი = 3 000, უდრის წლიურად წარმოებულ მოხმარების საშუალებათა ღირებულებას 3 000 რაოდენობით. ამრიგად, წლის განმავლობაში წარმოებულ მოხმარების საშუალებათა ერთობლივი ღირებულება უდრის იმ მთელ ღირებულებას, რასაც აწარმოებს ერთობლივი საზოგადოებრივი სამუშაო დღე წლის განმავლობაში, უდრის საზოგადოებრივი ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას პლუს საზოგადოებრივი ზედმეტი ღირებულება, ე. ი. უდრის მთელ წლიურ ახალ პროდუქტს.

ნაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თუმცა ღირებულების ეს ორივე სიდიდე ფარავს ერთიმეორეს, მაინც II-ის საქონელთა — მოხმარების საშუალებათა — მთელი ღირებულება სრულიადაც არ ყოფილა საზოგადოებრივი წარმოების ამ ქვედანაყოფში წარმოებული. ისინი ერთიმეორეს ფარავენ, რადგან II-ში კვლავ გამოვლინებული მუდმივი კაპიტალღირებულება უდრის I-ში ახლად წარმოებულ ღირებულებას (ცვალებად კაპიტალს პლუს ზედმეტი ღირებულება); ამიტომ $I_{(v+m)}$-ს შეუძლია იყიდოს II-ის პროდუქტის ნაწილი, რომელიც ამ პროდუქტის მწარმოებელთათვის (II ქვედანაყოფში) მუდმივ კაპიტალღირებულებას წარმოადგენს. აქედან ჩანს, თუ რატომაა, რომ, თუმცა II

ქვედანაყოფის კაპიტალისტებისათვის მათი პროდუქტის ღირებულება $c+v+m$-ად იყოფა, საზოგადოებრივი თვალსაზრისით ამ პროდუქტის ღირებულება შეიძლება დაიყოს $v+m$-ად. საქმის ვითარება ასეთია სახელდობრ იმიტომ, რომ II_c აქ უდრის $I_{(v+m)}$ და საზოგადოებრივი პროდუქტის ორივე ეს შემადგენელი ნაწილი. მათი გაცვლის გზით თავიანთ ნატურალურ ფორმებს ერთიმეორეს უცვლის, ასე რომ ამ გაცვლითი აქტის შემდეგ II_c კვლავ არსებობს წარმოების საშუალებათა სახით, ხოლო $I_{(v+m)}$ მოხმარების საშუალებათა სახით.

აი, სწორედ ამ გარემოებამ მისცა ა. სმიტს საბაბი ემტკიცებინა, წლიური პროდუქტის ღირებულება $v+m$-ად იშლებაო. ეს მართებულია: 1) მხოლოდ წლიური პროდუქტის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც მოხმარების საშუალებებისგან შედგება; 2) მართებულია არა იმ აზრით, რომ მთელი ეს ღირებულება II-ში იწარმოება და რომ, მაშასადამე, პროდუქტის ღირებულება უდრის II-ში ავანსებულ ცვალებად კაპიტალს პლუს II-ში წარმოებული ზედმეტი ღირებულება. ეს მართებულია მხოლოდ იმ აზრით, რომ $II_{(c+v+m)} = II_{(v+m)} + I_{(v+m)}$, ანუ იმიტომ, რომ $II_c = I_{(v+m)}$.

აქედან შემდეგი გამომდინარეობს:

თუმცა საზოგადოებრივი სამუშაო დღე (ე. ი. მთელი წლის განმავლობაში მთელი მუშათა კლასის მიერ დახარჯული შრომა), მსგავსად ყოველი ინდივიდუალური სამუშაო დღისა, მიოლოდ ორ ნაწილად იყოფა, სახელდობრ აუცილებელ შრომად პლუს ზედმეტი შრომა; თუმცა, ამიტომ, ამ სამუშაო დღით წარმოებული ღირებულებაც მხოლოდ ორ ნაწილად იყოფა, სახელდობრ ცვალებად კაპიტალღირებულებად, ე. ი. ღირებულების იმ ნაწილად, რომლითაც მუშა თავისივე კვლავწარმოების საშუალებებს ყიდულობს, და ზედმეტ ღირებულებად, რომელიც კაპიტალისტს თავისი საკუთარი ინდივიდუალური მოხმარებისთვის შეუძლია დახარჯოს. მაგრამ მაინც, თუ საქმეს საზოგადოების თვალსაზრისით შევხედავთ, საზოგადოებრივი სამუშაო დღის ნაწილი ა ხ ა ლ ი მ უ დ მ ი ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა ზ ე იხარჯება, სახელდობრ ისეთი პროდუქტების წარმოებაზე, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ შრომის პროცესში წარმოების საშუალებათა სახით იმოქმედოს და, მაშასადამე, შრომის პროცესის თანმხლები ღირებულების ზრდის პროცესში მუდმივი კაპიტალის სახით. ჩვენი ნაგულისხმევის თანახმად, მთელი საზოგადოებრივი სამუშაო დღე გამოისახება 3 000 ფუნტადი ღირებულებით, საიდანაც მხოლოდ $^1/_3 = 1\,000$, იწარმოება II ქვედანაყოფში, რომელიც მოხმარების საშუალებებს აწარმოებს, ე. ი.

საქონელს, რომელშიც საბოლოო ანგარიშით საზოგადოების მთელი ცვალებადი კაპიტალღირებულებისა და მთელი ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია ხდება. მაშასადამე, ამ ნაგულისხმევის თანახმად, საზოგადოებრივი სამუშაო დღის $^2/_3$ გამოიყენება ახალი მუდმივი კაპიტალის საწარმოებლად. თუმცა I ქვედანაყოფის ინდივიდუალური კაპიტალისტებისა და მუშების თვალსაზრისით საზოგადოებრივი სამუშაო დღის ეს $^2/_3$ მხოლოდ ცვალებადი კაპიტალღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების წარმოებას ემსახურება სავსებით ისევე, როგორც საზოგადოებრივი სამუშაო დღის უკანასკნელი მესამედი II ქვედანაყოფში, მაგრამ მაინც, თუ საქმეს საზოგადოების თვალსაზრისით შევხედავთ და აგრეთვე მას პროდუქტის სახმარი ღირებულების მიხედვით განვიხილავთ, — საზოგადოებრივი სამუშაო დღის ეს $^2/_3$ მხოლოდ იმ მუდმივი კაპიტალის ანაზღაურებას იძლევა, რომელიც მწარმოებლური მოხმარების პროცესშია ჩაბმული ან უკვე მოხმარებული. ინდივიდუალური თვალსაზრისითაც, თუმცა სამუშაო დღის ეს $^2/_3$ აწარმოებს მთელ იმ ღირებულებას, რომელიც უდრის მხოლოდ ცვალებად კაპიტალღირებულებას პლუს ზედმეტი ღირებულება მის მწარმოებელთათვის, მაგრამ იგი არ აწარმოებს არავითარ ისეთი სახის სახმარ ღირებულებას, რომელზედაც შეიძლებოდეს ხელფასის ან ზედმეტი ღირებულების დახარჯვა; სამუშაო დღის ამ $^2/_3$ პროდუქტი წარმოების საშუალებაა.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი სამუშაო დღის არც ერთი ნაწილი, არც I-ში და არც II-ში, არ ემსახურება იმ მუდმივი კაპიტალის ღირებულების წარმოებას, რომელიც გამოიყენება წარმოების ამ ორ დიდ სფეროში და მათში მოქმედებს. ისინი აწარმოებენ მხოლოდ დამატებითს ღირებულებას, 2 000 $I_{(c+m)}$ + 1 000 $II_{(c+m)}$, — დამატებითს მუდმივი კაპიტალღირებულებისადმი = 4 000 I_c + 2 000 II_c. ახალი ღირებულება, რომელიც წარმოებულია წარმოების საშუალებათა სახით, ჯერ კიდევ არაა მუდმივი კაპიტალი. მისი დანიშნულება მხოლოდ ისაა, რომ მომავალში იმოქმედოს მუდმივი კაპიტალის სახით.

II ქვედანაყოფის ერთობლივი პროდუქტი — მოხმარების საშუალებანი, — მისი სახმარი ღირებულების მიხედვით, კონკრეტულად, მის ნატურალურ ფორმაში განხილული, წარმოადგენს იმ საზოგადოებრივი სამუშაო დღის მესამედის პროდუქტს, რომელიც II-ში დაიხარჯა. ეს არის პროდუქტი სხვადასხვა შრომისა მათს ისეთ კონკრეტულ ფორმებში, როგორიცაა ფეიქრის შრომა, მეპურის შრომა და სხვ., რომელნიც გამოყენებული იყო ამ ქვედანაყოფში, პროდუქტი

ამ შრომისა, რამდენადაც ეს უკანასკნელი მოქმედებს, როგორც შრომის პროცესის სუბიექტური ელემენტი. პირიქით, რაც შეეხება ამ II პროდუქტის ღირებულების მუდმივ ნაწილს, იგი მხოლოდ ხელახლა გვევლინება ახალი სახმარი ღირებულების სახით, ახალი ნატურალური ფორმით, მოხმარების საშუალებათა ფორმით, მაშინ როდესაც უწინ იგი წარმოების საშუალებათა ფორმით არსებობდა. შრომის პროცესის მეოხებით მისი ღირებულება გადატანილია მისი ძველი ნატურალური ფორმიდან ახალ ნატურალურ ფორმაზე. მაგრამ პროდუქტის ამ $^2/_3$-ის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, = 2 000, წარმოებული არ არის II-ის ღირებულების ზრდის პროცესში, რომელიც ამ წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

სწორედ ისე, როგორც II-ის პროდუქტი, შრომის პროცესის თვალსაზრისით განხილული, შედეგია ახლად მოქმედი ცოცხალი შრომისა და წარმოების იმ საშუალებათა, რომელნიც ამ შრომასთან მოცემულად იგულისხმება და რომლებშიც როგორც თავის საგნობრივ პირობებში ეს უკანასკნელი ხორციელდება, სწორედ ასევე, ღირებულების ზრდის პროცესის თვალსაზრისით, II-ის პროდუქტის ღირებულება, = 3 000, შედგება ახალი ღირებულებისგან, რომელიც საზოგადოებრივი სამუშაო დღის ახლად მიმატებული $^1/_3$-ით არის წარმოებული ($500_v + 500_m = 1\,000$), და მუდმივი ღირებულებისგან, რომელშიაც აქ განსახილველი II-ის წარმოების პროცესამდე განვლილი საზოგადოებრივი დღის $^2/_3$-ია გასაგნობრივებული. II-ის პროდუქტის ღირებულების ეს ნაწილი გამოისახება თვით პროდუქტის ერთი ნაწილით. იგი არსებობს მოხმარების საშუალებათა გარკვეულ რაოდენობაში 2 000-ის ღირებულებით, რაც = საზოგადოებრივი სამუშაო დღის $^2/_3$-ს. ესაა ის ახალი სახმარი ფორმა, რომელშიაც ხელახლა გვევლინება ღირებულების აღნიშნული ნაწილი. ამრიგად, მოხმარების საშუალებათა ნაწილის, = 2 000 II_c, გაცვლა I-ის წარმოების საშუალებებზე, = I (1 000$_v$ + 1 000$_m$), წარმოადგენს არსებითად ერთობლივი სამუშაო დღის $^2/_3$-ის—რომელიც ამ წლის შრომის ნაწილს კი არ შეადგენს, არამედ განვლილია ამ წლის დაწყებამდე—გაცვლას ამ წელს ახლად მიმატებული სამუშაო დღის $^1/_3$-ზე. ამ წლის საზოგადოებრივი სამუშაო დღის $^2/_3$ ვერ იქნებოდა მუდმივი კაპიტალის წარმოებაზე გამოყენებული და იმავე დროს ცვალებადი კაპიტალღირებულების პლუს ზედმეტი ღირებულების შემადგენელი ამ კაპიტალის მწარმოებელთათვის, იგი რომ არ იცვლებოდეს წლიურად მოხმარების საშუალებათა ღირებულების იმ ნაწილზე, რაშიაც მოქცეულია ამ წლამდე — და არა ამ წლის განმავლობაში — დახარჯული და რეალიზე-

ბული სამუშაო დღის $^2/_3$. ესაა ამ წლის სამუშაო დღის $^2/_3$-ის გაცვლა სამუშაო დღის $^2/_3$-ზე, რომელიც ამ წლამდეა დახარჯული. გაცვლა მიმდინარე წლის სამუშაო დროსა და წინა წლის სამუშაო დროს შორის. მაშასადამე, ეს იძლევა იმ ამოცანის ახსნას, თუ რატომაა, რომ მთელი საზოგადოებრივი სამუშაო დღის განმავლობაში ახლად შექმნილი ღირებულება შეიძლება დაიშალოს ცვალებად კაპიტალღირებულებად პლუს ზედმეტი ღირებულება, თუმცა ამ სამუშაო დღის $^2/_3$ დახარჯულია არა ისეთი საგნების წარმოებაზე, რომლებშიაც შეიძლება ცვალებადი კაპიტალის ან ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია მოხდეს, არამედ, პირიქით, დახარჯულია წარმოების ისეთ საშუალებათა წარმოებაზე, რომლებიც წლის განმავლობაში მოხმარებული კაპიტალის ანაზღაურებას ემსახურება. ეს უბრალოდ იმით აიხსნება, რომ II-ის პროდუქტის ღირებულების ის $^2/_3$, რომელშიაც I-ის კაპიტალისტები და მუშები მათ მიერ წარმოებული ცვალებადი კაპიტალღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების რეალიზაციას ახდენენ (და რაც წლიური პროდუქტის მთელი ღირებულების $^2/_9$-ს შეადგენს), — ღირებულების მხრივ განხილული, წარმოადგენს იმ საზოგადოებრივი სამუშაო დღის $^2/_3$ პროდუქტს, რომელმაც განვლო ამ წლის წინათ.

თუმცა I და II საზოგადოებრივი პროდუქტის ჯამი, წარმოების საშუალებანი და მოხმარების საშუალებანი, — განხილულნი მათი სახმარი ღირებულების მიხედვით, კონკრეტულად, მათს ნატურალურ ფორმაში, — მიმდინარე წლის შრომის პროდუქტს წარმოადგენენ, მაგრამ წარმოადგენენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თვით ეს შრომა განიხილება როგორც სასარგებლო, კონკრეტული შრომა, და არა როგორც სამუშაო ძალის დახარჯვა, როგორც ღირებულების შემქმნელი შრომა. ამასთან პირველი სწორია მხოლოდ იმ აზრით, რომ წარმოების საშუალებანი მხოლოდ მათდამი მიმატებული, მათი მამოძრავებელი ცოცხალი შრომის საშუალებით გადაიქცნენ ახალ პროდუქტად, მიმდინარე წლის პროდუქტად. პირიქით, თუ არ იქნებოდა წარმოების საშუალებანი, რომელნიც მიმდინარე შრომისაგან დამოუკიდებლად არსებობენ, თუ არ იქნებოდა შრომის საშუალებანი და წარმოების მასალა, — მაშინ მიმდინარე წლის შრომა ვერ გადაიქცეოდა პროდუქტად.

VIII. ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲙᲕᲔᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘ

რაც შეეხება პროდუქტის ერთობლივ ღირებულებას 9 000 რაოდენობით და იმ კატეგორიებს, რომლებადაც იგი დაიყოფა, მისი ანალიზი არ წარმოადგენს უფრო დიდ სიძნელეს, ვიდრე ცალკეული

კაპიტალის პროდუქტის ღირებულების ანალიზი, — პირიქით, იგი ამ უკანასკნელის იდენტურია.

საზოგადოების მთელი წლიური პროდუქტი ჩვენს მაგალითში სამ ერთწლიან საზოგადოებრივ სამუშაო დღეს შეიცავს. თვითეული ამ სამუშაო დღის ღირებულების გამოსახულება = 3 000; ამიტომ მთელი პროდუქტის ღირებულების გამოსახულება = 3 000 × 3 = 9 000.

შემდეგ, წარმოების იმ ერთწლიანი პროცესის დაწყებამდე, რომლის პროდუქტს ჩვენ აქ ანალიზს ვუკეთებთ, მთელი ამ სამუშაო დროიდან განვლო: I ქვედანაყოფში $^4/_3$ სამუშაო დღემ (ახლადშექმნილი ღირებულება 4 000) და II ქვედანაყოფში $^2/_3$ სამუშაო დღემ (ახლადშექმნილი ღირებულება 2 000). სულ განვლო ორმა საზოგადოებრივმა სამუშაო დღემ, რომლის ახლადშექმნილი ღირებულება = 6 000. ამიტომ აქ ჩვენ გვაქვს 4 000 I_c + 2 000 II_c, = 6 000$_c$, როგორც წარმოების საშუალებათა ღირებულება, ანუ მუდმივი კაპიტალის ღირებულება, რომელიც ხელახლა გვეველინება საზოგადოებრივი პროდუქტის მთელ ღირებულებაში.

შემდეგ, I ქვედანაყოფში ახლად მიმატებული საზოგადოებრივი წლიური სამუშაო დღიდან $^1/_3$ წარმოადგენს აუცილებელ შრომას. ე. ი. შრომას, რომელიც ცვალებადი კაპიტალის—1 000 I_v ღირებულებას ანაზღაურებს და I-ში გამოყენებული შრომის ფასს იხდის. ასევე II-ში საზოგადოებრივი სამუშაო დღის $^1/_6$ წარმოადგენს აუცილებელ შრომას, რომელიც იძლევა ღირებულებას 500 ოდენობით. მაშასადამე, 1 000 I_v + 500 II_v = 1 500$_v$, საზოგადოებრივი სამუშაო დღის ნახევრის ღირებულებრივი გამოსახულება, წარმოადგენს ამ წლის განმავლობაში მიმატებული ერთობლივი სამუშაო დღის იმ პირველი ნახევრის ღირებულებრივ გამოსახულებას, რომელიც აუცილებელი შრომისგან შედგება.

დასასრულ, I-ში ერთობლივი სამუშაო დღის $^1/_3$, ახლადშექმნილი ღირებულება = 1 000, წარმოადგენს ზედმეტ შრომას; II-ში სამუშაო დღის $^1/_6$, ახლადშექმნილი ღირებულება = 500, წარმოადგენს ზედმეტ შრომას; ორივე ეს ერთად შეადგენს ახლად მიმატებული ერთობლივი სამუშაო დღის მეორე ნახევარს. ამიტომ მთელი წარმოებული ზედმეტი ღირებულება = 1 000 I_m + 500 II_m = 1 500$_m$

ამრიგად:

საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების მუდმივი კაპიტალნაწილი (c):

ამ წარმოების პროცესამდე დახარჯული ორი სამუშაო დღე. ღირებულებრივი გამოსახულება = 6 000.

წლის განმავლობაში დახარჯული აუცილებელი შრომა (v):

წლიურ წარმოებაში დახარჯული ნახევარი სამუშაო დღე. ღირებულებრივი გამოსახულება = 1 500.

წლის განმავლობაში დახარჯული ზედმეტი შრომა (m):

წლიურ წარმოებაში დახარჯული ნახევარი სამუშაო დღე. ღირებულებრივი გამოსახულება = 1 500.

წლიური შრომით ახლადშექმნილი ღირებულება ($v+m$) = 3 000.

პროდუქტის ერთობლივი ღირებულება ($c+v+m$) = 9 000.

მაშასადამე, სიძნელე მდგომარეობს არა თვით საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების ანალიზში. იგი წარმოიშვება საზოგადოებრივი პროდუქტის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შემადგენელი ნაწილების შედარებისას მის ნ ი ვ თ ო ბ რ ი ვ შემადგენელ ნაწილებთან.

ღირებულების მუდმივი ნაწილი, რომელიც მხოლოდ ხელახლა გვეევლინება, უდრის ამ პროდუქტის იმ ნაწილის ღირებულებას, რომელიც წ ა რ მ ო ე ბ ი ს საშუალებათაგან შედგება; იგი განხორციელებულია საზოგადოებრივი პროდუქტის ამ ნაწილში.

წლის განმავლობაში ახლად შექმნილი ღირებულება, $=v+m$, უდრის საზოგადოებრივი პროდუქტის იმ ნაწილის ღირებულებას, რომელიც მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი ს გ ა ნ შედგება; იგი ხორცშესხმულია პროდუქტის ამ ნაწილში.

მაგრამ თუ ყურადღებას არ მივაქცევთ იმ გამონაკლისებს, რომელთაც ამ შემთხვევისათვის მნიშვნელობა არა აქვთ, წარმოების საშუალებანი და მოხმარების საშუალებანი წარმოადგენენ სრულიად სხვადასხვა სახის საქონელს, სრულიად სხვადასხვა ნატურალური თუ სახმარი ფორმის პროდუქტებს, მაშასადამე, სრულიად სხვადასხვა კონკრეტული სახის შრომის პროდუქტებს. შრომა, რომელიც მანქანებს გამოიყენებს საარსებო საშუალებების საწარმოებლად, სრულიად განსხვავებულია იმ შრომისაგან, რომელიც მანქანებს აკეთებს. ისე ჩანს, თითქოს მთელი წლის ერთობლივი სამუშაო დღე, რომლის ღირებულებრივი გამოსახულება = 3 000, დახარჯულია მოხმარების საშუალებათა წარმოებაზე = 3 000, რომლებშიაც ხელახლა ღირებულების არავითარი მუდმივი ნაწილი არ ვლინდება, რადგან ეს $3\,000 = 1\,500_v + 1\,500_m$, დაიშლება მხოლოდ ცვალებად კაპიტალღირებულებად + ზედმეტი ღირებულება. მეორე მხრივ, მუდმივი კაპიტალღირებულება = 6 000, ხელახლა გვეევლინება მოხმარების საშუალებებისგან სრულიად განსხვავებული პროდუქტების სახით, —

წარმოების საშუალებათა სახით, ამავე დროს ისე ჩანს, თითქოს ამ ახალი პროდუქტების წარმოებაზე საზოგადოებრივი სამუშაო დღის არც ერთი ნაწილი არ იყოს დახარჯული; პირიქით, ისე ჩანს, თითქოს მთელი სამუშაო დღე მხოლოდ ისეთი სახის სხვადასხვა შრომისგან შედგებოდეს, რომელთა შედეგს წარმოადგენენ არა წარმოების საშუალებანი, არამედ მოხმარების საშუალებანი. საიდუმლოება უკვე ახსნილია. წლიური შრომით ახლადშექმნილი ღირებულება უდრის II ქვედანაყოფის პროდუქტის ღირებულებას, ახლად წარმოებულ მოხმარების საშუალებათა მთელ ღირებულებას. მაგრამ ამ პროდუქტის ღირებულება $^2/_3$-ით უფრო დიდია წლიური შრომის იმ ნაწილზე, რომელიც დახარჯულია (II ქვედანაყოფის) მოხმარების საშუალებათა წარმოებაში. მათს წარმოებაზე წლიური შრომის მხოლოდ $^1/_3$-ია დახარჯული. ამ წლიური შრომის $^2/_3$ დახარჯულია წარმოების საშუალებათა წარმოებაზე, მაშასადამე I ქვედანაყოფში. ამ დროის განმავლობაში I-ის მიერ ახლადშექმნილი ღირებულება, რომელიც ტოლია I-ში წარმოებული ცვალებადი კაპიტალღირებულებისა პლუს ზედმეტი ღირებულება, უდრის II-ის მუდმივ კაპიტალღირებულებას. რომელიც ხელახლა გვევლინება მოხმარების საშუალებათა სახით II ქვედანაყოფში. მაშასადამე, ეს სიდიდენი შეიძლება ერთიმეორეზე გაიცვალოს, მათ შეუძლიათ in natura ერთმანეთის ანაზღაურება. ამიტომ II-ის მოხმარების საშუალებათა მთელი ღირებულება უდრის I+II მიერ ახლადშექმნილი ღირებულების ჯამს, ანუ $II_{(c+v+m)} = I_{(v+m)} + II_{(v+m)}$, ე. ი. უდრის იმ ახალი ღირებულების ჯამს, რომელიც წარმოებულია წლიური შრომის მიერ $v+m$ ფორმაში.

მეორე მხრივ, წარმოების საშუალებათა (I) მთელი ღირებულება უდრის იმ მუდმივი კაპიტალღირებულების ჯამს, რომელიც ხელახლა გვევლინება წარმოების საშუალებათა (I) ფორმით და მოხმარების საშუალებათა (II) ფორმით, მაშასადამე, უდრის იმ მუდმივი კაპიტალღირებულების ჯამს, რომელიც ხელახლა გვევლინება საზოგადოების მთელ პროდუქტში. მთელი ეს ღირებულება უდრის ღირებულებრივ გამოსახულებას $^4/_3$ სამუშაო დღისა, რომელიც I-ის წარმოების პროცესამდეა დახარჯული, და ღირებულებრივ გამოსახულებას $^2/_3$ სამუშაო დღისა, რომელიც II-ის წარმოების პროცესამდეა დახარჯული, ე. ი. უდრის სულ ორი ერთობლივი სამუშაო დღის ღირებულებრივ გამოსახულებას.

ამრიგად, საზოგადოებრივი წლიური პროდუქტის ანალიზის დროს სიძნელე იქიდან წარმოიშვება, რომ ღირებულების მუდმივი ნაწილი სრულიად სხვაგვარ პროდუქტებში—წარმოების საშუალებებში—გამოისახე-

ბა, ვიდრე ღირებულების ამ მუდმივი ნაწილისადმი მიმატებული ახალი ღირებულება $v+m$, რომელიც მოხმარების საშუალებათა ფორმაში გამოისახება. ეს გარეგნულად ასე მოჩანს, თითქოს მოხმარებულ პროდუქტთა მასის $^2/_3$—თუ მათ ღირებულების მარივ შეეხედავთ—კვლავ იმყოფება ახალ ფორმაში, გვეელინება როგორც ახალი პროდუქტი, თუმცა მის წარმოებაზე საზოგადოებას არავითარი შრომა არ დაუხარჯავს. ცალკეული კაპიტალის მიმართ ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს. ყოველი ინდივიდუალური კაპიტალისტი გამოიყენებს განსაზღვრული კონკრეტული სახის შრომას, რომელიც პროდუქტად 〈 გარკვეული ნატურალური ფორმის პროდუქტად 〉 გარდაქმნის თავის შესაბამის წარმოების საშუალებებს. ვთქვათ, მაგალითად, კაპიტალისტი მანქანათმშენებელია, წლის განმავლობაში დახარჯული მუდმივი კაპიტალი = 6 000$_c$, ცვალებადი კაპიტალი = 1 500$_v$, ზედმეტი ღირებულება = 1 500$_m$; პროდუქტი = 9 000; ვთქვათ, ამ პროდუქტს შეადგენს 18 მანქანა, რომელთაგანაც თვითეული = 500. მთელი პროდუქტი არსებობს აქ ერთი და იმავე ფორმით, მანქანების ფორმით. (თუ მანქანათმშენებელი რამდენიმე სახეობის მანქანებს აწარმოებს, მაშინ თვითეული მათგანის ანგარიშს ცალკე შეადგენენ). მთელი საქონლური პროდუქტი წარმოადგენს წლის განმავლობაში მანქანათმშენებლობაზე დახარჯული შრომის პროდუქტს, ერთი და იმავე კონკრეტული სახის შრომის კომბინირებას ერთ და იმავე წარმოების საშუალებებთან. ამიტომ პროდუქტის ღირებულების სხვადასხვა ნაწილი გამოისახება ერთსა და იმავე ნატურალურ ფორმაში: 12 მანქანაში მოქცეულია 6 000$_c$, 3 მანქანაში — 1 500$_v$, 3 მანქანაში — 1 500$_m$. აქ ცხადია, რომ 12 მანქანის ღირებულება უდრის 6 000$_c$ არა იმიტომ, რომ ამ 12 მანქანაში განსახიერებულია მხოლოდ შრომა, რომელიც მანქანათმშენებლობამდე დახარჯულა, და განსახიერებული არაა ის შრომა, რაც მანქანათმშენებლობაზე დაიხარჯა. 18 მანქანისთვის საჭირო წარმოების საშუალებათა ღირებულება თავისთავად არ გარდაქმნილა 12 მანქანად, მაგრამ ამ 12 მანქანის ღირებულება (რომელიც, თავის მხრივ, 4 000$_c$ + 1 000$_v$ + 1 000$_m$-ისაგან შედგება) უდრის 18 მანქანაში მოქცეული მუდმივი კაპიტალღირებულების მთელ ღირებულებას. ამიტომ მანქანათმშენებელმა 18 მანქანიდან 12 უნდა გაყიდოს, რათა აინაზღაუროს მის მიერ დახარჯული მუდმივი კაპიტალი, რომელიც მას 18 ახალი მანქანის კვლავწარმოებისათვის ესაჭიროება. პირიქით, საქმის ახსნა შეუძლებელი იქნებოდა, შედეგი რომ,—თუმცა გამოყენებული შრომა მხოლოდ მანქანათმშენებლობაში გამოყენებული შრომისგან შედგება, — ასეთი ყოფილიყო: ერთი მხრივ, 6 მანქანა = 1 500$_v$ + 1 500$_m$,

მეორე მხრივ, რკინა, სპილენძი, ხრახნი, ღვედი და სხვ. 6 000₰ საერთო ღირებულებისა, ე. ი. მანქანათა წარმოების საშუალებანი მათს ნატურალურ ფორმაში, რომლებსაც მანქანათმშენებელი ცალკეული კაპიტალისტი, როგორც ცნობილია, თვითონ არ აწარმოებს, მაგრამ, რომელნიც მან მიმოქცევის პროცესის საშუალებით უნდა აინაზღაუროს. და, მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით ისე გვეჩვენება, თითქოს საზოგადოებრივი წლიური პროდუქტის კვლავწარმოება ასეთი უაზრო წესით სრულდებოდეს.

ინდივიდუალური კაპიტალის პროდუქტს, ე. ი. საზოგადოებრივი კაპიტალის ყოველი დამოუკიდებლად მოქმედი, საკუთარი სიცოცხლით დაჯილდოებული ნაწილის პროდუქტს, რაიმე ნებისმიერი ნატურალური ფორმა აქვს. ერთადერთი პირობა ის არის, რომ მას მართლა უნდა ჰქონდეს მოხმარების ფორმა, სახმარი ღირებულება, რომელიც მას ბეჭედს ასვამს როგორც საქონელთა სამყაროს წევრს, რომელსაც მიმოქცევის უნარი შესწევს. ამასთან სრულიად უმნიშვნელო და შემთხვევითია ის გარემოება, შეუძლია თუ არა მას წარმოების საშუალების სახით ხელახლა შევიდეს იმავე წარმოების პროცესში, საიდანაც გამოვიდა პროდუქტის სახით, მაშასადამე, აქვს თუ არა ამ პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილს, რომლითაც კაპიტალის მუდმივი ნაწილი გამოისახება, ისეთი ნატურალური ფორმა, რომელშიაც მას ფაქტიურად შეუძლია ხელახლა იმოქმედოს მუდმივი კაპიტალის სახით. თუ ეს ასე არაა, მაშინ პროდუქტის ღირებულების აღნიშნული ნაწილი გაყიდვისა და ყიდვის გზით ხელახლა გარდაიქმნება ამ პროდუქტის წარმოების საგნობრივი ელემენტების ფორმად და ამით იკვლავწარმოება მუდმივი კაპიტალი იმ ნატურალური ფორმით, რომლითაც მას შეუძლია იმოქმედოს როგორც ასეთს.

სხვაგვარადაა საქმე საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის პროდუქტის მიმართ. კვლავწარმოების ყველა საგნობრივი ელემენტი თავის ნატურალური ფორმით თვით ამ პროდუქტის ნაწილებს უნდა შეადგენდეს. დახარჯული მუდმივი ნაწილი კაპიტალისა შეიძლება ერთობლივი წარმოებით ანაზღაურდეს მაოლოდ იმდენად, რამდენადაც კაპიტალის მთელი მუდმივი ნაწილი პროდუქტში ხელახლა გვევლინება წარმოების იმ საშუალებათა ფორმით, რომელთაც ნამდვილად შეუძლიათ იმოქმედონ მუდმივი კაპიტალის სახით. ამიტომ — რაკი მარტივ კვლავწარმოებას ვგულისხმობთ — პროდუქტის იმ ნაწილის ღირებულება, რომელიც წარმოების საშუალებებისგან შედგება, უნდა უდრიდეს საზოგადოებრივი კაპიტალის ღირებულების მუდმივ ნაწილს.

შემდეგ: თუ საქმეს ინდივიდუალური თვალსაზრისით განვიხილავთ, კაპიტალისტი ახლად მიმატებული შრომით აწარმოებს მის პროდუქტში შემავალ მხოლოდ თავის ცვალებად კაპიტალს პლუს ზედმეტი ღირებულება, მაშინ როდესაც ღირებულების მუდმივი ნაწილი ახლად მიმატებული შრომის კონკრეტული ხასიათის მეოხებით გადაიტანება პროდუქტზე.

თუ საქმეს საზოგადოებრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, საზოგადოებრივი სამუშაო დღის ის ნაწილი, რომელიც წარმოების საშუალებებს აწარმოებს, მაშასადამე, უმატებს მათ ახალ ღირებულებას და გადააქვს მათზე წარმოების იმ საშუალებათა ღირებულება, რომელნიც მათს წარმოებაზე დაიხარჯა, — ეს ნაწილი აწარმოებს მხოლოდ ახალ მუდმივ კაპიტალს; ამ ახალი მუდმივი კაპიტალის დანიშნულება ისაა, რომ აანაზღაუროს როგორც I-ში, ისე II-ში, წარმოების ძველი საშუალებების სახით მოხმარებული მუდმივი კაპიტალი. ეს ნაწილი აწარმოებს მხოლოდ პროდუქტს, რომელიც მწარმოებლურ მოხმარებაში შესასვლელადაა განკუთვნილი. მაშასადამე, ამ პროდუქტის მთელი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელსაც შეუძლია მხოლოდ მუდმივი კაპიტალის სახით იმოქმედოს ხელახლა, შეუძლია მხოლოდ ხელახლა იყიდოს მუდმივი კაპიტალი მისი ნატურალური ფორმით, და რომელიც, მაშასადამე, — თუ საქმეს საზოგადოებრივი თვალსაზრისით განვიხილავთ—ვერ დაიშლება ვერც ცვალებად კაპიტალად და ვერც ზედმეტ ღირებულებად. — მეორე მხრივ, საზოგადოებრივი სამუშაო დღის ის ნაწილი, რომელიც მოხმარების საშუალებებს აწარმოებს, არ აწარმოებს არავითარ ნაწილს საზოგადოებრივი კაპიტალის ასანაზღაურებლად. ის აწარმოებს მხოლოდ იმ პროდუქტებს, რომელნიც თავიანთი ნატურალური ფორმის მიხედვით განკუთვნილნი არიან იმისათვის, რომ I-სა და II ქვეგანყოფილებების ცვალებადი კაპიტალის ღირებულება და ზედმეტი ღირებულება რეალიზაციას ემსახურონ.

როდესაც ლაპარაკია საკითხის საზოგადოებრივი თვალსაზრისით განხილვაზე, მაშასადამე, როდესაც განიხილება საზოგადოებრივი ერთობლივი პროდუქტი, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოებასაც და ინდივიდუალურ მოხმარებასაც, არ უნდა გავყვეთ პრუდონის მანერას, რომელიც მან ბურჟუაზიული ეკონომიიდან გადმოიღო, და საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს კაპიტალისტური წარმოების წესის მქონე საზოგადოება, en bloc, მთლიანად აღებული, კარგავს ამ თავის სპეციფიკურ, ისტორიულ-ეკონომიურ ხასიათს. პირიქით. ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს

ერთობლივ კაპიტალისტთან. ერთობლივი კაპიტალი წარმოგვიდგება, ასე ვთქვათ, ერთად აღებული ცალკეული კაპიტალისტების სააქციო კაპიტალის სახით. აქციონერთა ამ საზოგადოებას ის საერთო აქვს მრავალ სხვა აქციონერულ საზოგადოებასთან, რომ ყველამ იცის თუ რა შეიტანა მან მასში, მაგრამ არ იცის, რას გამოიტანს იქიდან.

IX. უკუგადახედვა ა. სმიტსა, შტორხსა და რამსეიზე.

საზოგადოებრივი პროდუქტის ერთობლივი ღირებულება შეადგენს $9\,000 = 6\,000_c + 1\,500_v + 1\,500_m$, სხვა სიტყვებით: 6 000 განკუთვნილია წარმოების საშუალებათა ღირებულების კვლავწარმოებისათვის, ხოლო 3 000 — მოხმარების საშუალებათა კვლავწარმოებისათვის. მაშასადამე, საზოგადოებრივი შემოსავლის ღირებულება $(v+m)$ შეადგენს ერთობლივი პროდუქტის ღირებულების მხოლოდ $^1/_3$-ს, და მხოლოდ ღირებულების ამ ერთი მესამედის ოდენობის საქონელი, პროდუქტები, შეუძლიათ საერთოდ მომხმარებლებს—მუშებსა და კაპიტალისტებს— აიღონ საზოგადოებრივი ერთობლივი პროდუქტიდან და ჩართონ თავიანთი მოხმარების ფონდში. პირიქით, პროდუქტის ღირებულების 6 000, $= {}^2/_3$, წარმოადგენს მუდმივი კაპიტალის ღირებულებას, კაპიტალისა, რომელიც in natura უნდა ანაზღაურდეს. მაშასადამე. წარმოების საშუალებანი, ამ თანხის შესაბამისი ოდენობით, ხელახლა უნდა ჩაერთოს წარმოების ფონდს. ამის აუცილებლობას ხედავს შტორხი, თუმცა ვერ ასაბუთებს მას: «ცხადია, რომ წლიური პროდუქტის ღირებულება იყოფა ნაწილობრივ კაპიტალად, ნაწილობრივ მოგებად და რომ წლიური პროდუქტის ღირებულების თვითეული ეს ნაწილი რეგულარულად ყიდულობს პროდუქტებს, რომლებიც ერს ესაჭიროება როგორც თავისი კაპიტალის აღსადგენად, ისე თავისი მოხმარების ფონდის ასანაზღაურებლად... პროდუქტები, რომლებიც ერის კ ა პ ი ტ ა ლ ს შეადგენენ, მ ო უ ხ მ ა რ ე ბ ა დ ი პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ა (Storch: «Considérations sur la nature du revenu national». პარიზი 1824, გვ. 150).

მაგრამ ა. სმიტმა ეს საარაკო დოგმა — რაც დღემდე სჯერათ— წამოაყენა არა მარტო იმ უკვე აღნიშნული ფორმით, რომლის თანახმად თითქოს მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულება დაიშლება შემოსავლად, — ხელფასად პლუს ზედმეტი ღირებულება,— ანუ, როგორც იგი გამოთქვამს, ხელფასად პლუს მოგება (სარგებელი) პლუს მიწის რენტა. მან წამოაყენა იგი აგრეთვე იმ კიდევ უფრო პოპულარული ფორმით, რომ საბოლოო ანგარიშით (ultimately) მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ლ ე ბ მ ა უნდა გადაუხადონ მწარმოებლებს პ რ ო დ უ ქ ტ ი ს

მ თ ე ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა. ეს დღემდე დარჩენილია ერთ-ერთ ყველაზე უდავო გავრცელებულ აზრად ანუ—კიდევ მეტი—ერთ-ერთ მარადიულ ჭეშმარიტებად პოლიტიკური ეკონომიის ეგრეთწოდებული ნეცნიერებისათვის. ცდილობენ ასეთი წარმოდგენა თვალსაჩინო გაადონ შემდეგი თითქოს დამაჯერებელი ხერხის საშუალებით. ავიღოთ რაიმე საგანი, მაგალითად, ტილოს პერანგები. მრთველმა, რომელიც სელის ნართს ართავს, უწინარეს ყოვლისა უნდა გადაუხადოს სელის მომყვანს სელის მთელი ღირებულება, ე. ი. თესლი, სასუქი, მუშაპირუტყვის საკვები და სხვ., ღირებულების იმ ნაწილთან ერთად, რომელსაც ამ პროდუქტს გადასცემს სელის მომყვანს ძირითადი კაპიტალი, როგორიცაა: ნაგებობანი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და სხვ.; უნდა გადაუხადოს ხელფასი, რომელიც გაცემულია სელის წარმოების დროს; ზედმეტი ღირებულება (მოგება, მიწის რენტა), რომელიც სელშია მოქცეული; დასასრულ, ხარჯები სელის გადაზიდვისა მისი წარმოების ადგილიდან სართავ სახელოსნომდე. შემდეგ ფეიქარმა უნდა დაუბრუნოს სელის მრთველს არათუ სელის ეს ფასი, არამედ აგრეთვე მანქანების, შენობების და სხვ. ნაწილი, მოკლედ, ძირითადი კაპიტალის ნაწილი, რომელიც სელზეა გადატანილი, შემდეგ—რთვის პროცესში მოხმარებული ყველა დამხმარე მასალა, მრთველების ხელფასი, ზედმეტი ღირებულება და სხვ., — და ასე მიდის საქმე შემდგომ მთეთრებლის მიმართ, დამზადებული ტილოს სატრანსპორტო ხარჯების მიმართ, ბოლოს, პერანგების მეფაბრიკის მიმართ, რომელმაც ყველა იმ წინანდელი მწარმოებლის ფასი გადაიხადა, რომლებმაც მას მხოლოდ ნედლი მასალა ჩააბარეს. მის ფაბრიკაში ადგილი აქვს ღირებულების შემდგომ მიმატებას: ნაწილობრივ იმ ძირითადი კაპიტალის ღირებულების ხარჯზე, რომელიც შრომის საშუალებების, დამამარე მასალისა და სხვ. სახით იხარჯება პერანგების ფაბრიკაციაზე, ნაწილობრივ კი ამ ფაბრიკაციაზე დახარჯული შრომის მეოხებით, რომელიც მატებს პერანგების მკეთებელი მუშების ხელფასის ღირებულებას პლუს პერანგების მეფაბრიკის ზედმეტი ღირებულება. მთელი ეს პროდუქტი — პერანგები, ბოლოს და ბოლოს, ღირს, ვთქვათ, 100 გირვ. სტერლ., და ამ ციფრით, ვთქვათ, გამოისახება წლიური პროდუქტის მთელი ღირებულების ის წილი, რასაც საზოგადოება პერანგებზე ხარჯავს. პერანგების მომხმარებლები იხდიან 100 გირვ. სტერლინგს, მაშასადამე, წარმოების მთელ იმ საშუალებათა ღირებულებას, რაც პერანგებშია მოქცეული, აგრეთვე ხელფასს პლუს ზედმეტი ღირებულება სელის მომყვანისა, მრთველისა, ფეიქრისა, მთეთრებლისა, პერანგების მეფაბრიკისა, ისე როგორც ყველა

ტრანსპორტერისა. ეს სავსებით სწორია. ეს ისეთი რამ არის, რაც, მართლაც, ყველა ბავშვისათვის გასაგებია. მაგრამ შემდეგ ამბობენ: ასეა საქმე ყველა საქონლის ღირებულების მიმართო. უნდა ვთქვათ: ასეა საქმე ყველა მოხმარების საშუალებათა ღირებულების მიმართ, საზოგადოებრივი პროდუქტის იმ ნაწილის ღირებულების მიმართ, რომელიც მოპმარების ფონდში შედის, მაშასადამე, საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილის მიმართ, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს როგორც შემოსავალი. ყველა ამ საქონელთა ღირებულების ჯამი, რასაკვირველია, უდრის მათზე მოხმარებულ ყველა წარმოების საშუალებათა (კაპიტალის მუდმივი ნაწილების) ღირებულებას პლუს უკანასკნელად მიმატებული შრომით შექმნილი ღირებულება (ხელფასი პლუს ზედმეტი ღირებულება). მაშასადამე, მომხმარებელთა ერთობლიობას შეუძლია გადაიაადოს ღირებულების ეს ჯამი, რადგან თუმცა ყოველი ცალკეული საქონლის ღირებულება $c+v+m$-ისგან შედგება, მაგრამ მოპმარების ფონდში შემავალ ყველა საქონლის ღირებულების ერთობლივი ჯამი, თავისი მაქსიმალური ოდენობით, შეიძლება უდრიდეს საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც $v+m$-ად იშლება, ე. ი, უდრიდეს ღირებულებას, რომელიც წლის განმავლობაში დახარჯულმა შრომამ მიუმატა უკვე არსებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებას, — მუდმივ კაპიტალღირებულებას. მაგრამ რაც შეეხება უკანასკნელს, მუდმივ კაპიტალღირებულებას,— ჩვენ დავინახეთ, რომ იგი საზოგადოებრივი პროდუქტის მასიდან ანაზღაურდება ორგვარად. ჯერ ერთი, გაცვლის გზით II-ის კაპიტალისტების მხრივ, რომელნიც მოხმარების საშუალებებს აწარმოებენ, I-ის კაპიტალისტებთან, რომელნიც წარმოების საშუალებებს აწარმოებენ. და სწორედ აქ არის იმ ფრაზის წყარო, რომელიც ამბობს, რაც ერთისთვის კაპიტალია, ის მეორისთვის შემოსავალი არისო. მაგრამ საქმის ნამდვილი მდგომარეობა ასეთი როდია. 2000 II_c, რომელიც არსებობს 2 000 ღირებულების მოხმარების საშუალებათა სახით, II-ის კაპიტალისტებისათვის მუდმივ კაპიტალღირებულებას შეადგენს. მაშასადამე, თვით ამ კაპიტალისტებს არ შეუძლიათ ეს მოიამარონ, თუმცა პროდუქტი თავისი ნატურალური ფორმის მიაედვით განკუთვნილია მოხმარებისათვის. მეორე მხრივ, 2000 $I_{(v+m)}$ წარმოადგენს ხელფასს პლუს ზედმეტი ღირებულება, რომელიც წარმოებულია I-ის კაპიტალისტებისა და მუშების მიერ. იგი არსებობს წარმოების საშუალებათა ნატურალური ფორმით, ისეთი ნივთების ფორმით, რომლებშიაც მისი საკუთარი ღირებულება არ შეიძლება მოხმარებულ იქნას. მაშასადამე,

ჩვენ აქ გვაქვს ღირებულების ჯამი 4 000-ის რაოდენობით, (რომლიდანაც მხოლოდ 2 000-ის მოხმარება შეიძლება) და რომლიდანაც — როგორც გაცვლამდე, ისე გაცვლის შემდეგ — ნახევარი ანაზღაურებს მხოლოდ მუდმივ კაპიტალს, მეორე ნახევარი კი მხოლოდ შემოსავალს შეადგენს. — მაგრამ, მეორე, I ქვედანაყოფის მუდმივი კაპიტალი ანაზღაურდება in natura ნაწილობრივ I-ის კაპიტალისტებს შორის გაცვლის გზით, ნაწილობრივ კი ყოველ ცალკეულ საწარმოში in natura ანაზღაურების გზით.

ფრაზა, რომელიც ამბობს, წლიური პროდუქტის მთელი ღირებულება საბოლოო ანგარიშით მომხმარებლებმა უნდა გადაიხადონონ. მხოლოდ მაშინ იქნებოდა სწორი, თუ რომ მომხმარებლად ორი სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებს ვიგულისხმებდით: ინდივიდუალურ მომხმარებლებს და მწარმოებლურ მომმარებლებს. მაგრამ თუ პროდუქტის ერთი ნაწილი მწარმოებლურად უნდა იქნას მოხმარებული. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მან კ ა პ ი ტ ა ლ ი ს სახით უნდა ი მ ო ქ მ ე დ ო ს და იგი არ შეიძლება მ ო ხ მ ა რ ე ბ უ ლ იქ ნ ა ს შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს სახით.

თუ ჩვენ ერთობლივი პროდუქტის ღირებულებას, = 9 000, დავყოფთ 6 000$_c$ + 1 500$_v$ + 1 500$_m$-ად და 3 000$_{(v+m)}$ მხოლოდ შემოსავლის სახით განვიხილავთ, მაშინ, პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება. თითქოს ცვალებადი კაპიტალი გაქრა, და საზოგადოებრივი თვალსაზრისით განხილული კაპიტალი მხოლოდ მუდმივი კაპიტალისაგან შედგება. ვინაიდან: ის, რაც თავდაპირველად 1 500$_v$ სახით გვევლინებოდა, დაიშალა საზოგადოებრივი შემოსავლის ერთ ნაწილად, — ხელფასად, მუშათა კლასის შემოსავლად, — და ამით გაქრა ამ ნაწილის — როგორც კაპიტალის — ხასიათი. მართლაცდა რამსეის ეს დასკვნა გამოჰყავს. მისი აზრით, კაპიტალი, საზოგადოებრივად განხილული, მხოლოდ ძირითადი კაპიტალისგან შედგება, მაგრამ ძირითად კაპიტალად რამსეის ესმის მუდმივი კაპიტალი, ღირებულებათა მასა, რომელსაც წარმოების საშუალებანი შეიცავენ, სულ ერთია. იქნება წარმოების ეს საშუალებანი შრომის საშუალებანი თუ შრომის მასალა, როგორც ნედლი მასალა, ნახევარფაბრიკატი, დამიმარე მასალა და სხვ. ცვალებად კაპიტალს იგი საბრუნავს უწოდებს: «საბრუნავი კაპიტალი შედგება მხოლოდ და მხოლოდ საარსებო საშუალებებისგან და სხვა აუცილებელი საგნებისგან, რომლებიც ავანსად ეძლევა მუშებს, ვიდრე მათი შრომის პროდუქტი დამთავრდებოდეს... მხოლოდ ძირითადი კაპიტალი, და არა საბრუნავი, წარმოადგენს, თუ სწორად ვიტყვით, ნაციონალური სიმდიდრის წყაროს... საბრუნავი

კაპიტალი არ არის წარმოებაში უშუალოდ მოქმედი ძალა. მას საერთოდ არა აქვს მისთვის არსებითი მნიშვნელობა; იგი მხოლოდ პირობაა, რომელიც აუცილებელი გახდა ხალხის მასის სავალალო სიღარიბის გამო... ნაციონალური თვალსაზრისით მხოლოდ ძირითადი კაპიტალი შეადგენს წარმოების ხარჯების ელემენტს» (Ramsay, l. c., გვ. 23 — 26 passim). რამსეი უფრო დაახლოებით ასე განმარტავს ძირითად კაპიტალს, რადაც იგი მუდმივ კაპიტალს გულისხმობს: «ხანგრძლიობა დროისა, რომლის განმავლობაში ამ შრომის» (სახელდობრ რაიმე საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომის) «პროდუქტის ნაწილი არსებობდა ძირითადი კაპიტალის სახით, ე. ი. ისეთი ფორმით, რომელშიაც იგი თუმცა ეხმარება სამერმისო საქონლის წარმოებას, მაგრამ არ გამოიყენება მუშების შესანახავად» (გვ. 59).

აქ ჩვენ კვლავ ვხედავთ იმ არევ-დარევას, რომელიც ა. სმიტმა შექმნა იმით, რომ მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის განსხვავება ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავებაში ჩაახრჩო. რამსეის მუდმივი კაპიტალი შედგება შრომის საშუალებებისგან, მისი საბრუნავი კაპიტალი — საარსებო საშუალებებისგან; ერთიც და მეორეც მოცემული ღირებულების საქონელია; არც ერთსა და არც მეორეს არ შეუძლია ზედმეტი ღირებულება აწარმოოს.

X. კაპიტალი და შემოსავალი: ცვალებადი კაპიტალი და ხელფასი [49]

მთელი წლიური კვლავწარმოება, ამ წლის მთელი პროდუქტი ამ წლის სასარგებლო შრომის პროდუქტს წარმოადგენს. მაგრამ ამ ერთობლივი პროდუქტის ღირებულება უფრო დიდია, ვიდრე მისი ღირებულების ის ნაწილი, რომელშიც ხორციელდება წლიური შრომა, როგორც ამ წლის განმავლობაში დახარჯული სამუშაო ძალა. ეს წლიური ახალი ღირებულება, ამ წლის განმავლობაში საქონლის სახით ახლადშექმნილი ღირებულება, ნაკლებია, ვიდრე პროდუქტის ღირებულება, ვიდრე მთელი წლის განმავლობაში დამზადებული საქონლის მასის ერთობლივი ღირებულება. ის სხვაობა, რასაც მივიღებთ, თუ წლიური პროდუქტის ერთობლივი ღირებულებიდან მიმდინარე წლის შრომით მიმატებული ღირებულების გამოკლების შემდეგ, წარმოადგენს არა ნამდვილად კვლავწარმოებულ ღირებულებას, არამედ ღირებულებას, რომელიც მხოლოდ არსებობის ახალი ფორმით გვევლინება ხელახლა, ღირებულებას, წლიურ პრო-

[49] აქედან VIII ხელნაწერის მიხედვით.

დუქტზე გადატანილს ამ პროდუქტზე ადრე არსებული ღირებულებიდან, რომელიც—მიმდინარე წლის საზოგადოებრივი შრომის პროცესში მოქმედი მუდმივი კაპიტალის შემადგენელი ნაწილების ხანგრძლიობის მიხედვით, შეიძლება მეტნაკლებ შორეული წარმოშობისა იყოს და რომელიც შეიძლება წარმოების წინა წლებში ან მთელი რიგი წინა წლების განმავლობაში შექმნილ საშუალებათა ღირებულებიდან მომდინარეობდეს. ყოველ შემთავევაში იგი წარმოადგენს ღირებულებას, რომელიც წინა წლის წარმოების საშუალებებიდან მიმდინარე წლის პროდუქტზეა გადატანილი.

თუ ავიღებთ ჩვენს სქემას, — I და II შორის და II-ის ფარგლებში, იმ ელემენტების გაცვლის შემდეგ, რომლებიც წინათ განვიხილეთ, — ჩვენ გვექნება:

I) $4\,000_c + 1\,000_v + 1\,000_m$ (უკანასკნელი 2 000-ის რეალიზაცია ხდება II_c მოხმარების საშუალებებში) $= 6\,000$.

II) $2\,000_c$ (კვლავწარმოებულია $I_{(v+m)}$-ზე გაცვლით) $+ 500_v + 500_m = 3\,000$.

ღირებულების ჯამი $= 9\,000$.

წლის განმავლობაში ახლად წარმოებული ღირებულება მოქცეულია მაოლოდ v-სა და m-ში. მაშასადამე, ამ წლის განმავლობაში ახლად შექმნილი ღირებულების ჯამი უდრის $v+m$ ჯამს, $= 2\,000$ $I_{(v+m)} + 1\,000$ $II_{(v+m)} = 3\,000$. ამ წლის პროდუქტის ღირებულების ყველა დანარჩენი ნაწილი წარმოადგენს მაოლოდ წარმოების იმ წინანდელ საშუალებათა ღირებულებიდან გადმოტანილ ღირებულებას, რომლებიც წლიურ წარმოებაზე დაიხარჯა. გარდა 3 000-ის ღირებულებისა, მიმდინარე წლის შრომას არავითარი სხვა ღირებულება არ უწარმოებია; ეს არის წლის განმავლობაში მის მიერ მთელი ახლად შექმნილი ღირებულება.

მაგრამ 2 000 $I_{(v+m)}$, როგორც ჩვენ დავინახეთ, უნაზღაურებს II ქვედანაყოფს მის 2 000 II_c წარმოების საშუალებათა ნატურალური ფორმით. მაშასადამე, I ქვედანაყოფში დახარჯული წლიური შრომის ორმა მესამედმა ხელახლა აწარმოვა მუდმივი კაპიტალი II, —როგორც მთელი მისი ღირებულება, ისე მისი ნატურალური ფორმა. მაშასადამე, თუ საქმეს საზოგადოებრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, წლის განმავლობაში დახარჯული შრომის ორი მესამედის მიერ შექმნილია ახალი მუდმივი კაპიტალღირებულება და რეალიზებულია II ქვედანაყოფის შესაბამისი ნატურალური ფორმით. მაშასადამე, საზოგადოებრივი წლიური შრომის უდიდესი ნაწილი დახარჯულია ახალი მუდმივი კაპიტალის (წარმოების საშუალებათა სახით არსებული კაპიტალ-

ღირებულების) წარმოებაზე იმ მუდმივი კაპიტალღირებულების ასანაზღაურებლად, რომელიც დაიხარჯა მოხმარების საშუალებათა წარმოებაზე. ამ მხრივ კაპიტალისტურ საზოგადოებას ველურისაგან განასხვავებს არა ის, როგორც სენიორი[50] ფიქრობს, თითქოს ველურის პრივილეგიას და თავისებურებას ის შეადგენდეს, რომ იგი გარკვეული დროის განმავლობაში თავის შრომას ისეთნაირად ხარჯავს, რომ ეს შრომა მას არ უქმნის იმგვარ ნაყოფს, რომლის შემოსავლად, ე. ი. მოხმარების საშუალებებად გადაქცევა შეიძლებოდეს. ნამდვილად განსხვავება შემდეგში მდგომარეობს:

a) კაპიტალისტური საზოგადოება მის განკარგულებაში არსებული წლიური შრომის უფრო დიდ ნაწილს იყენებს წარმოების საშუალებათა (მაშასადამე, მუდმივი კაპიტალის) საწარმოებლად, რომლებიც არც ხელფასის ფორმით შეიძლება დაიშალოს შემოსავლად და არც ზედმეტი ღირებულების ფორმით; მათ შეუძლიათ იმოქმედონ მხოლოდ კაპიტალის სახით.

b) როდესაც ველური მშვილდს, ისარს, ქვის ჩაქუჩს, ცულს, კალათს და სხვ. აკეთებს, მან ძალიან კარგად იცის, რომ ასე გამოყენებული დრო მან მოახმარა არა მოხმარების საშუალებათა დამზადებას, ე. ი. რომ მან დააკმაყოფილა თავისი მოთხოვნილება წარმოების საშუალებებზე და მეტი არაფერი. გარდა ამისა, ველური დიდ ეკონომიურ ცოდვას ჩადის თავისი სრული გულგრილობით დროის ხარჯვის მიმართ; მაგალითად, იგი, როგორც ტეილორი[51] მოგვითხრობს, ხშირად მთელ თვეს ანდომებს ერთი ისრის დამზადებას.

ის ჩვეული წარმოდგენა, რომლის საშუალებით ეკონომისტების ერთი ნაწილი ცდილობს გვერდი აუაროს თეორიულ სიძნელეს, ე. ი. რეალური კავშირურთიერთობის გაგებას, ის ჩვეული წარმოდგენა, ვითომ, რაც ერთისთვის კაპიტალს წარმოადგენს, ის მეორისთვის შემოსავალია, და პირიქით,—ეს წარმოდგენა ნაწილობრივ მართებულია, მაგრამ სავსებით მცდარი ხდება (მაშასადამე, დაკავშირებულია გაცვლის მთელი იმ პროცესის მცდარ გაგებასთან, რომელიც წარმოებს წლიური კვლავწარმოების დროს, ე. ი. აგრეთვე იმის ფაქტიური სა-

---

[50] «როდესაც ველური მშვილდისარს აკეთებს, მაშინ იგი მრეწველობას ეწევა, მაგრამ დათმენას არ მისდევს» (Senior: «Principes fondamentaux de l'Econ. Pol.», trad. Arrivabene, პარიზი 1836, გვ. 342—343). «რაც უფრო წინ მიდის საზოგადოება, მით უფრო მეტ დათმენას მოითხოვს იგი» (იქვე გვ. 312). [შეად. კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ.I, ქართ. გამოც. 1954 წ. გვ. 753].

[51] E. B. Tylor: «Forschungen über die Urgeschichte der Menschheit». თარგმანი ჰ. მიულერისა, ლაიფციგი, უთარიღო, გვ. 240.

ფუძვლის მცდარ გაგებასთან, რაც ნაწილობრივ სწორია აღნიშნულ წარმოდგენაში), როგორც კი მას საყოველთაობის ხასიათს ანიჭებენ.

ჩვენ ახლა შევაჯამებთ ყველა ფაქტიურ ურთიერთობას, რაზედაც დამყარებულია ამ წარმოდგენის ნაწილობრივი სისწორე, და მყისვე გამომჟღავნდება ამ ურთიერთობათა მცდარი გაგება.

1) ცვალებადი კაპიტალი მოქმედებს როგორც კაპიტალი კაპიტალისტის ხელში და მოქმედებს როგორც შემოსავალი დაქირავებული მუშის ხელში.

ცვალებადი კაპიტალი არსებობს ჯერ კაპიტალისტის ხელში როგორც ფულადი კაპიტალი; იგი მოქმედებს როგორც ფულადი კაპიტალი, როდესაც ამ კაპიტალით კაპიტალისტი სამუშაო ძალას ყიდულობს. ვიდრე იგი მას ხელთა აქვს ფულადი ფორმით, იგი სხვა არაფერია, თუ არა ფულადი ფორმით არსებული გარკვეული ღირებულება, მაშასადამე, იგი არის მუდმივი და არა ცვალებადი სიდიდე. იგი მხოლოდ პოტენციურადაა ცვალებადი კაპიტალი, — სწორედ იმის გამო, რომ მას გააჩნია უნარი გადაიქცეს სამუშაო ძალად. ნამდვილი ცვალებადი კაპიტალი იგი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავის ფულად ფორმას მოიცილებს, მას შემდეგ, რაც სამუშაო ძალად გადაიქცევა და ეს სამუშაო ძალა მოქმედებას იწყებს კაპიტალისტურ პროცესში როგორც მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილი.

ფული, რომელიც მოქმედებდა კაპიტალისტისთვის როგორც ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმა, ახლა მოქმედებს მუშის ხელში როგორც ფულადი ფორმა მისი ხელფასისა, რასაც იგი საარსებო საშუალებებად აქცევს, მაშასადამე, როგორც ფულადი ფორმა მისი შემოსავლისა, რასაც იგი იღებს თავისი სამუშაო ძალის ისევ და ისევ განმეორებული გაყიდვის გზით.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ იმ უბრალო ფაქტთან, რომ მყიდველის — აქ კაპიტალისტის — ფული მისი ხელიდან გამყიდველის — აქ სამუშაო ძალის გამყიდველის, მუშის — ხელში გადადის. ეს არ არის ცვალებადი კაპიტალი, რომელიც ორჯერ მოქმედებს, — როგორც კაპიტალი კაპიტალისტისთვის და როგორც შემოსავალი მუშისთვის, — ეს არის ერთი და იგივე ფული, რომელიც ჯერ არსებობს კაპიტალისტის ხელში როგორც მისი ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმა, მაშასადამე, როგორც პოტენციური ცვალებადი კაპიტალი, და რომელიც, როდესაც მას კაპიტალისტი სამუშაო ძალად გადააქცევს, გაყიდული სამუშაო ძალის ეკვივალენტის როლს ასრულებს მუშის ხელში. მაგრამ ის, რომ ერთსა და იმავე ფულს გამყიდველი სხვაგვარად გამო-

ყენებს, ვიდრე მყიდველი, — ეს საქონლის ყოველი ყიდვისა და გაყიდვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს.

აპოლოგეტი-ეკონომისტები საქმის ვითარებას ყალბად გვიხატავენ, რასაც უკეთ დავინახავთ, თუ ჩვენ ჯერჯერობით სრულიად ყურადღების გარეშე დავტოვებთ შემდგომ განვითარებულ მსჯელობას და ყურადღებას მივაქცევთ მაოლოდ და მხოლოდ მიმოქცევის აქტს; ფ—სძ (=ფ—ს) ფულის გარდაქმნას სამუშაო ძალად კაპიტალისტი მყიდველის მხრივ, სძ — ფ (=ს — ფ), საქონელ სამუშაო ძალის გარდაქმნას ფულად გამყიდველის, მუშის, მხრივ. ისინი ამბობენ: ერთი და იმავე ფულის მეობებით აქ ორი კაპიტალის რეალიზაცია ხდებაო; მყიდველი—კაპიტალისტი—თავის ფულად კაპიტალს ცოცხალ სამუშაო ძალად აქცევს, რომელსაც იგი თავის მწარმოებლურ კაპიტალს ჩაურთავს; მეორე მხრივ, გამყიდველი—მუშა — თავის საქონელს — სამუშაო ძალას — ფულად აქცევს, რომელსაც იგი ხარჯავს როგორც შემოსავალს, რის მეოხებითაც იგი სწორედ ისეთ მდგომარეობაში დგება, რომ შეუძლია ისევ და ისევ გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა და ამგვარად შეინარჩუნოს იგი; მაშასადამე, მისი სამუშაო ძალა თვით არის მისი კაპიტალი საქონლის ფორმით, რომელიც მისი შემოსავლის მუდმივ წყაროს წარმოადგენსო. სინამდვილეში კი მუშის სამუშაო ძალა მისი ავლა-დიდებაა (რომელიც მუდამ განახლებაშია, კვლავწარმოებაშია) და არა მისი კაპიტალი. იგი ერთადერთი საქონელია, რომელიც მას შეუძლია მუდამ გაყიდოს და უნდა გაყიდოს, რათა იცხოვროს, და რომელიც მოქმედებს როგორც კაპიტალი (ცვალებადი) მხოლოდ მყიდველის, კაპიტალისტის, ხელში. ის გარემოება, რომ ადამიანი მუდამ იძულებულია სულ ახლად და ახლად მიჰყიდოს მესამე პირს თავისი სამუშაო ძალა, ე. ი. თავისი თავი, ამტკიცებს, აღნიშნული ეკონომისტების თანახმად, იმას, რომ იგი კაპიტალისტია, რადგან მას მუდამ უხდება «საქონლის» (თავისი თავის) გაყიდვა. ამ აზრით მონაც კაპიტალისტი ხდება, თუმცა მას ერთხელ და სამუდამოდ ყიდის მესამე პირი როგორც საქონელს. რადგან ამ საქონლის — მუშა-მონის — ბუნება ისეთია, რომ მყიდველი მას არათუ ყოველდღიურად ამუშავებს ხელახლა, არამედ საარსებო საშუალებებსაც აძლევს, რომელთა მეოხებით ამ მუშა-მონას ისევ და ისევ შეუძლია მუშაობა. (შეად. ამის შესახებ სისმონდი და სეი წერილებში მალთუსისადმი).

2) ამრიგად, რაც 1 000 I_v + 1 000 I_m გაცვლაში 2 000 II_c-ზე მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს ერთისთვის (2 000 II_c), ის ცვალებადი კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე, საერთოდ შემოსა-

ვალი ხდება მეორისათვის; ხოლო რაც ცვალებადი კაპიტალი და ზედმეტი ღირებულებაა (2 000 $I_{(v+m)}$), მაშასადამე, საზოგადოდ შემოსავალია ერთისთვის, ის მუდმივი კაპიტალი ხდება მეორისათვის.

განვიხილოთ ჯერ I_v გაცვლა II_c-ზე, ამასთან უწინარეს ყოვლისა მუშის თვალსაზრისით.

I ქვედანაყოფის ყველა მუშამ თავისი სამუშაო ძალა მიჰყიდა I-ის ერთობლივ კაპიტალისტს 100-ად; ამ ღირებულებას მას უხდიან ფულით, ხელფასის სახით. ამ ფულით მუშა ყიდულობს II ქვედანაყოფისგან ღირებულების იმავე ჯამის საარსებო საშუალებებს. მას პირისპირ უდგას II ქვედანაყოფის კაპიტალისტი მხოლოდ როგორც საქონელთა გამყიდველი და სხვა არაფერი, თუნდაც რომ მუშა თავისი საკუთარი კაპიტალისტისგან ყიდულობდეს, როგორც, მაგალითად, ზემოთ (გვ. 400) [ამ გამოცემის გვ. 507—508] 500 II_v გაცვლის შემთხვევაში. მიმოქცევის ფორმა, რომელსაც გაივლის მისი საქონელი, სამუშაო ძალა, არის ფორმა მარტივი საქონელმიმოქცევისა, რომელიც ეწესახურება მხოლოდ ზოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მოხმარებას. ს (სამუშაო ძალა) — ფ — ს (მოხმარების საშუალებანი, საქონელი II). ამ მიმოქცევის აქტის შედეგი ასეთია: რათა იგი შენარჩუნებულ იქნეს როგორც სამუშაო ძალა I კაპიტალისტისთვის და რათა თვით მანვე თავი შეინახოს ზემდგომისთვის სამუშაო ძალის სახით, მუშამ ისევ და ისევ უნდა გაიმეოროს პროცესი ს*ძ* (ს) — ფ — ს. მისი ხელფასის რეალიზაცია ხდება მოხმარების საშუალებებში, იგი იხარჯება როგორც შემოსავალი და, თუ მუშათა კლასს ავიღებთ მთლიანად, ისევ და ისევ იხარჯება როგორც შემოსავალი.

განვიხილოთ ახლა იგივე I_v გაცვლა II_c-ზე კაპიტალისტის თვალსაზრისით. II-ის მთელი საქონლური პროდუქტი შედგება მოხმარების საშუალებათაგან, მაშასადამე, ნივთებისაგან, რომლებიც განკუთვნილია იმისათვის, რომ შევიდეს წლიურ მოხმარებაში, ე. ი. ემსახუროს ვინმეს — აქ განხილულ შემთხვევაში I ყველა მუშის — შემოსავლის რეალიზაციას. მაგრამ II ყველა კაპიტალისტისთვის მისი საქონლური კაპიტალის ნაწილი, = 2 000, წარმოადგენს ახლა მისი მწარმოებლური კაპიტალის მუდმივი კაპიტალ-ღირებულების საქონლად გარდაქმნილ ფორმას; ეს კაპიტალი ამ საქონლური ფორმიდან ხელახლა უნდა გარდაიქმნას იმ ნატურალურ ფორმად, რომელშიაც მას კვლავ მწარმოებლური კაპიტალის მუდმივი ნაწილის სახით შეუძლია იმოქმედოს. აქამდე

II ქვედანაყოფის კაპიტალისტმა იმას მიაღწია, რომ თავისი საქონლის ფორმით (მოხმარების საშუალებებში) კვლავწარმოებული კაპიტალღირებულების ნახევარი (=1 000) I-ის მუშებზე გაყიდვის გზით უკუგარდაქმნა ფულად ფორმად. ამრიგად, მუდმივი კაპიტალღირებულების II_c ამ პირველ ნახევრად, გარდაიქმნა არა ცვალებადი კაპიტალი I_v, არამედ ფული, რომელიც I-ისთვის ფულადი კაპიტალის სახით მოქმედებდა სამუშაო ძალაზე გაცვლისას, მოხვდა ამ გზით სამუშაო ძალის გამყიდველის მფლობელობაში, რომლისთვისაც იგი კაპიტალს კი არ წარმოადგენს, არამედ შემოსავალს ფულადი ფორმით, ე. ი. დაიხარჯება როგორც მოხმარების საშუალებათა ყიდვის საშუალება. მეორე მხრივ, ფულს=1 000, რომელიც II კაპიტალისტებს I მუშებისგან შემოუვიდა, არ შეუძლია იმოქმედოს II-ის მწარმოებლური კაპიტალის მუდმივი ელემენტის სახით. იგი ჯერ კიდევ კაპიტალისტის საქონლური კაპიტალის მხოლოდ ფულადი ფორმაა, რომელიც მუდმივი კაპიტალის ძირითად ან საბრუნავ შემადგენელ ნაწილებად უნდა გადაიქცეს. ამრიგად, II იმ ფულით, რომელიც I მუშებისგან, მისი საქონლის მყიდველებისგან მიიღო, ყიდულობს 1 000-ის წარმოების საშუალებებს I-ისგან. ამ გზით მუდმივი კაპიტალღირებულება II მთელი მისი ჯამის სანახევროდ განახლებულია ნატურალური ფორმით, რომელშიაც მას კვლავ შეუძლია იმოქმედოს II-ის მწარმოებლური კაპიტალის ელემენტის სახით. აქ მიმოქცევის ფორმა იყო ს — ფ — ს: მოხმარების საშუალებანი 1 000 ღირებულებისა — ფული = 1 000 — წარმოების საშუალებანი 1 000 ღირებულებისა.

მაგრამ ს — ფ — ს ამ შემთხვევაში წარმოადგენს კაპიტალის მოძრაობას. ს, რომელიც მუშებს მიჰყიდეს, გარდაიქმნება ფ-ად, და ეს ფ გარდაიქმნება წარმოების საშუალებებად; ეს არის უკუგარდაქმნა საქონლიდან ამ საქონლის შემქმნელ ნივთობრივ ელემენტებად. მეორე მხრივ, როგორც II-ის კაპიტალისტი I-ის მიმართ მხოლოდ საქონლის მყიდველია, ისევე აქ I-ის კაპიტალისტი მოქმედებს II-ის მიმართ მხოლოდ როგორც საქონლის გამყიდველი. თავდაპირველად I ქვედანაყოფმა 1 000 ფულით, რომლის დანიშნულებაა ცვალებადი კაპიტალის სახით იმოქმედოს, იყიდა 1 000 ღირებულების სამუშაო ძალა; მაშასადამე, მან მიიღო ეკვივალენტი თავის $1\ 000_v$-ისთვის, რომელიც გასცა ფულადი ფორმით; ფული ახლა ეკუთვნის მუშას, რომელიც მას II-ისგან ყიდვის აქტებზე ხარჯავს; I შეუძლია ეს ფული, რომელიც ამრიგად II-ის სალაროში შევიდა, უკან მიიღოს მხოლოდ

ამ გზით, რომ იგი მას თავის ბადეში მოაქცევს ღირებულების იმავე ჯამის საქონელთა გაყიდვის საშუალებით.

პირველად I ჰქონდა განსაზღვრული ფულადი თანხა = 1 000, რომლის დანიშნულება იყო ემოქმედნა კაპიტალის ცვალებადი ნაწილის სახით: იგი მოქმედებს როგორც ასეთი იმის მეოხებით, რომ გადაიქცევა იმავე ღირებულების მქონე სამუშაო ძალად. მუშამ კი ჩაბარა წარმოების პროცესის შედეგად 6 000 ღირებულების საქონლის მასა (წარმოების საშუალებანი), რომლის $^1/_6$ ანუ 1000 თავისი ღირებულების მიხედვით წარმოადგენს ფულის სახის ავანსებული კაპიტალის ცვალებადი ნაწილის ეკვივალენტს. როგორც წინათ, თავისი ფულადი ფორმით, ისე ახლა, თავისი საქონლური ფორმით, ცვალებადი კაპიტალღირებულება არ მოქმედებს ცვალებადი კაპიტალის სახით; მას შეუძლია ასე იმოქმედოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ცოცხალ სამუშაო ძალად გარდაიქმნება, და მხოლოდ იმ დროის განმავლობაში, ვიდრე ეს სამუშაო ძალა მოქმედებს წარმოების პროცესში. ფულის სახით ცვალებადი კაპიტალღირებულება მხოლოდ პოტენციური ცვალებადი კაპიტალი იყო. მაგრამ იგი ისეთი ფორმით არსებობდა, რომელშიაც უშუალოდ შეიძლებოდა მისი სამუშაო ძალად გარდაქმნა. საქონლის სახით იგივე ცვალებადი კაპიტალღირებულება ჯერ კიდევ მხოლოდ პოტენციური ფულადი ღირებულებაა; მისი ხელახლა აღდგენა თავდაპირველი ფულადი ფორმით მხოლოდ საქონლის გაყიდვის გზით შეიძლება, ე. ი. ამ შემთხვევაში იმით, რომ II იყიდის 1 000-ის საქონელს I-ისგან. მიმოქცევის მოძრაობა აქ ასეთია: 1 000, (ფული) — სამუშაო ძალა 1 000 ღირებულებისა — 1 000 საქონლის სახით (ცვალებადი კაპიტალის ეკვივალენტი) 1 000, (ფული); მაშასადამე, — ფ — ს . . . ს — ფ (= ფ — სძ . . . ს — ფ). თვით წარმოების პროცესი, რომელიც ს . . . ს შორის ძევს, არ ეკუთვნის მიმოქცევის სფეროს; იგი არ გვევლინება წლიური კვლავწარმოების სხვადასხვა ელემენტის ერთმანეთზე გაცვლაში, თუმცა ეს გაცვლა შეიცავს მწარმოებლური კაპიტალის ყველა ელემენტის კვლავწარმოებას, როგორც მისი მუდმივი, ისე ცვალებადი ელემენტის, — სამუშაო ძალის კვლავწარმოებას. ამ გაცვლის ყველა აგენტი გვევლინება მხოლოდ მყიდველად ან გამყიდველად ანდა ორივედ ერთად; მუშები წარმოადგენენ მასში მხოლოდ საქონლის მყიდველებს; კაპიტალისტები — რიგრიგობით მყიდველებს და გამყიდველებს; და განსაზღვრულ ფარგლებში — მხოლოდ საქონლის ცალმხრივ მყიდველებს ან საქონლის ცალმხრივ გამყიდველებს.

შედეგი ასეთია: I თავისი კაპიტალის ღირებულების ცვალებადი ნაწილი ხელახლა ფულადი ფორმით აქვს, საიდანაც მარტოოდენ შეიძლება იგი უშუალოდ გადაიქცეს სამუშაო ძალად, ე. ი. ეს ნაწილი აქვს მას კვლავ იმ ერთადერთი ფორმით, რომელშიაც ნამდვილად შეიძლება მისი როგორც მწარმოებლური კაპიტალის ცვალებადი ელემენტის ავანსად გაღება. მეორე მხრივ, იმისათვის, რომ მუშამ შეძლოს ხელახლა გამოვიდეს საქონლის მყიდველად, იგი ახლა ჯერ უნდა გამოვიდეს კვლავ საქონლის გამყიდველად, თავისი სამუშაო ძალის გამყიდველად.

II ქვედანაყოფის ცვალებადი კაპიტალის (500 II_v) მიმართ მიმოქცევის პროცესი წარმოების ერთი და იმავე ქვედანაყოფის კაპიტალისტებსა და მუშებს შორის წარმოგვიდგება ისეთი ფორმით, რომელიც მოკლებულია მოსაშუალე რგოლებს, — რამდენადაც ჩვენ ამ პროცესს განვიხილავთ მთელ II კაპიტალისტებსა და მთელ II მუშებს შორის მიმდინარე პროცესად.

II ქვედანაყოფის ყველა კაპიტალისტი ავანსად გაიღებს 500$_v$ იმავე თანხად ღირებულების სამუშაო ძალის საყიდლად; ამ შემთხვევაში ყველა კაპიტალისტი მყიდველია, ყველა მუშა — გამყიდველი. შემდეგ მუშა იმ ფულით, რაც მან თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით მიიღო, ვამოდის როგორც მყიდველი მის მიერვე წარმოებულ საქონელთა ერთი ნაწილისა. მაშასადამე, კაპიტალისტი აქ გამყიდველია. სამუშაო ძალის საყიდლად გადახდილი ფული მუშამ აუნაზღაურა კაპიტალისტს II ქვედანაყოფში წარმოებული საქონლური კაპიტალის ნაწილით, სახელდობრ 500$_v$-ით საქონლის სახით; ახლა კაპიტალისტს საქონლის ფორმით იგივე v აქვს, რაც მას წინათ, სამუშაო ძალად გარდაქმნამდე, ფულადი ფორმით ჰქონდა; მეორე მხრივ, მუშამ თავისი სამუშაო ძალის რეალიზაცია მოახდინა ფულში, ხოლო ახლა კვლავ ახდენს ამ ფულის რეალიზაციას იმით, რომ მას ხარჯავს როგორც შემოსავალს თავისი მოხმარების დასაკმაყოფილებლად, მის მიერვე წარმოებულ მოხმარების საშუალებათა ნაწილის საყიდლად. ეს არის მუშის ფულადი შემოსავლის გაცვლა მის მიერვე საქონლის ფორმით კვლავწარმოებულ საქონლის შემადგენელ ნაწილზე, 500$_v$-ზე, რომელიც კაპიტალისტს ეკუთვნის. ამრიგად ეს ფული უკან უბრუნდება II ქვედანაყოფის კაპიტალისტს როგორც მისი ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმა. შემოსავლის ეკვივალენტური ღირებულება ფულადი ფორმით აქ ანაზღაურებს საქონლის ფორმით არსებულ ცვალებად კაპიტალღირებულებას.

კაპიტალისტი არ მდიდრდება იმით, რომ იგი სამუშაო ძალის ყიდვისას მუშისათვის მიცემულ ფულს ხელახლა გამოაცლის მუშას ეკვივალენტური საქონლის მასის მიყიდვის გზით. არსებითად იგი ორჯერ გადაუხდიდა მუშას სასყიდელს. ჯერ რომ მისთვის 500 გადაეხადა მისი სამუშაო ძალის ყიდვისას და შემდეგ, გარდა ამისა, კიდევ მუქთად მიეცა 500 ღირებულების საქონლური მასა, რაც მან მუშას აწარმოებინა. პირიქით, მუშას რომ კაპიტალისტისთვის მხოლოდ 500 ეწარმოებინა საქონლის სახით, ე. ი. ეკვივალენტი თავისი 500-ად ღირებული სამუშაო ძალისა, კაპიტალისტს ამ ოპერაციის შემდეგ იგივე ავლა-დიდება დარჩებოდა, რაც მანამდე ჰქონდა. მაგრამ მუშამ აქ 3 000 ღირებულების პროდუქტი აკვლავწარმოვა; მან შეინახა პროდუქტის ღირებულების მუდმივი ნაწილი, ე. ი. პროდუქტზე დახარჯულ წარმოების საშუალებათა ღირებულება = 2 000, გადააქცია რა ისინი ახალ პროდუქტად; გარდა ამისა, ამ მოცემულ ღირებულებას მან მიუმატა ღირებულება 1 000 (v + m) რაოდენობით. (წარმოდგენას იმის შესახებ, თითქოს კაპიტალისტი მდიდრდებოდეს იმ აზრით, რომ ფულის სახით 500 უკუმოდინების მეოხებით იგი ზედმეტ ღირებულებას იღებსო, ავითარებს დესტიუტ-დე-ტრასი, რაზედაც ჩვენ უფრო დაწვრილებით ლაპარაკი გვექნება ამ თავის XIII განყოფილებაში.)

II ქვედანაყოფის მუშების მიერ 500 ღირებულების მოხმარების საშუალებათა ყიდვის გამო, II კაპიტალისტს 500 II, ღირებულება, რაც მას ჯერჯერობით საქონლის სახით ჰქონდა, ისევ უკან უბრუნდება ფულის სახით, იმ ფორმით, რა ფორმითაც მან იგი თავდაპირველად ავანსად გაიღო. გარიგების უშუალო შედეგს, როგორც ყოველი სხვა საქონლის გაყიდვისას, წარმოადგენს მოცემული ღირებულების გარდაქმნა საქონლის ფორმიდან ფულად ფორმად. ამ გარიგების მეშვეობით მომხდარი უკუდაბრუნებაც ფულისა მის ამოსავალ პუნქტთან არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ მოვლენას. II ქვედანაყოფის კაპიტალისტს რომ ფულად 500-ით საქონელი ეყიდა I კაპიტალისტისაგან და შემდეგ, თავის მხრივ, 500 თანხის საქონელი I-ისთვის მიეყიდა, მაშინაც მას 500 უკან დაუბრუნდებოდა ფულის სახით. ეს 500 ფულად მხოლოდ 1 000 ღირებულების საქონლური მასის გაცვლისთვის იქნებოდა გამოყენებული და, წინათ აღნიშნული ზოგადი კანონის თანახმად, უკანვე დაუბრუნდებოდა იმას, ვინც ფული მიმოქცევაში გადაისროლა ამ საქონლური მასის გასაცვლელად.

მაგრამ ის 500, რომელიც II კაპიტალისტს უკან დაუბრუნდა ფულის სახით, იმავე დროს წარმოადგენს პოტენციურ ცვალებად კაპი-

ტალს ფულადი ფორმით. რატომაა ასე? ფული, მაშასადამე, ფულადი კაპიტალიც, პოტენციური ცვალებადი კაპიტალია მხოლოდ იმიტომ და იმდენად, რადგან და რამდენადაც იგი შეიძლება სამუშაო ძალად გარდაიქმნას. II კაპიტალისტთან ამ ფულის უკუდაბრუნებას თან ახლავს II სამუშაო ძალის უკუდაბრუნება ბაზარზე. ფულის და სამუშაო ძალის უკუდაბრუნება მოპირისპირე პოლუსებზე, — მაშასადამე, ამ 500 ფულის ხელახლა გამოჩენაც არა მხოლოდ ფულის სახით, არამედ ცვალებადი კაპიტალის სახითაც ფულადი ფორმით, — გაპიროებებულია ერთი და იმავე პროცედურით. ფული, = 500, უკან უბრუნდება II კაპიტალისტს, იმიტომ რომ მან მიჰყიდა II მუშას 500 თანხის მოხმარების საშუალებანი, მაშასადამე, იმიტომ, რომ მუშამ დახარჯა თავისი ხელფასი და ამგვარად შეინახა თავი და ოჯახი და მასთან ერთად თავისი სამუშაო ძალაც. იმისათვის, რომ შემდეგშიც იარსებოს, შემდეგშიც გამოვიდეს საქონლის მყიდველად, მან ხელახლა უნდა გაჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა. მაშასადამე, ამ 500 ფულის უკუდაბრუნება II კაპიტალისტთან ამავე დროს არის უკუდაბრუნება — შესაბამისად შენარჩუნება — სამუშაო ძალისა როგორც საქონლისა, რომლის ყიდვა შეიძლება ამ 500 ფულით, და ამიტომ უკუდაბრუნება ამ 500 ფულის როგორც პოტენციური ცვალებადი კაპიტალისა.

რაც შეეხება II*b* ქვეგანყოფილებას, რომელიც ფუფუნების საგნებს აწარმოებს, მისი v — (II b)$_v$ — მიმართ საქმის ვითარება ისეთივეა, როგორც I$_v$ შესახებ. ფული, რომელიც II *b* კაპიტალისტებს მათს ცვალებად კაპიტალს განუახლებს ფულად ფორმაში, მოედინება მათთან შემოვლითი გზით, II *a* კაპიტალისტების ხელში გავლით. მაგრამ მაინც განსხვავებას წარმოადგენს: მუშები თავიანთ საარსებო საშუალებებს უშუალოდ იმ კაპიტალისტურ მწარმოებელთაგან ყიდულობენ, რომლებსაც თავიანთი სამუშაო ძალა უნდა მიჰყიდონ, თუ სხვა კატეგორიის კაპიტალისტებისგან, რომელთა მეშვეობით ფული პირველთ უკან უბრუნდება შემოვლითი გზით. რადგან მუშათა კლასს ხელფასიდან ხელფასამდე გააქვს თავი, ამიტომ იგი ყიდულობს, ვიდრე ყიდვა შეუძლია. სხვაგვარადაა საქმე კაპიტალისტთან, მაგალითად, 1 000 II$_c$ გაცვლისას 1 000 I$_v$-ზე. კაპიტალისტი ისე როდი ცხოვრობს, რომ ხელფასიდან ხელფასამდე გაჰქონდეს თავი. მისთვის მამოძრავებელი მოტივი ისაა, რომ თავისი კაპიტალის ღირებულება რაც შეიძლება გაადიდოს. ამიტომ, თუ შეიქმნება რაიმე ისეთი გარემოება, რომლის მიზეზით II კაპიტალისტი თავისთვის ხელსაყრელად მიჩნევს არ განაახლოს დაუყოვნებლივ თავისი მუდმივი კაპიტალი და, ნაწი-

ლობრივ მაინც, გააჩეროს ეს კაპიტალი ფულადი ფორმით უფრო დიდი ხნით, მაშინ ამ 1 000 I_c (ფულადი) უკუმოდინება I-თან გვიანდება: გვიანდება, მაშასადამე, 1 000 I_v აღდგენაც ფულადი ფორმით, და I კაპიტალისტს შეუძლია წინანდელი მასშტაბით მუშაობა განაგრძოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას თავის განკარგულებაში აქვს სათადარიგო ფული, ისე როგორც საერთოდ საჭიროა არსებობდეს სარეზერვო კაპიტალი ფულის სახით, რათა შეიძლებოდეს მუშაობის განუწყვეტლივ განგრძობა, მიუხედავად იმისა, უფრო სწრაფად ხდება ცვალებადი კაპიტალის ღირებულების უკუდაბრუნება ფულის სახით, თუ უფრო ნელა.

როდესაც მიმდინარე წლიური კვლავწარმოების სხვადასხვა ელემენტის გაცვლას ვიკვლევთ, საჭიროა გამოვიკვლიოთ აგრეთვე წარსული წლიური შრომის შედეგიც, შედეგი უკვე დამთავრებული წლის შრომისა. წარმოების პროცესი, რომლის შედეგს ეს წლიური პროდუქტი წარმოადგენს, განვლილი პროცესია, იგი განსახიერებულია მის პროდუქტში; მაშასადამე, მით უფრო შეეხება ეს მიმოქცევის პროცესს, რომელიც წინ უძღვის წარმოების პროცესს, ან მის პარალელურად მიმდინარეობს, მით უფრო შეეხება იგი პოტენციური ცვალებადი კაპიტალის გარდაქმნას ნამდვილ ცვალებად კაპიტალად, ე. ი. სამუშაო ძალის ყიდვასა და გაყიდვას. შრომის ბაზარი აღარ შეადგენს საქონლის იმ ბაზრის ნაწილს, რომელიც აქ ჩვენს წინ არის. აქ მუშამ არა მხოლოდ გაყიდა უკვე თავისი სამუშაო ძალა, არამედ მან კაპიტალისტს საქონლის სახით, გარდა ზედმეტი ღირებულებისა, თავისი სამუშაო ძალის ფასის ეკვივალენტი ჩააბარა; მეორე მხრივ, ხელფასი მას უკვე ჯიბეში აქვს, და გაცვლის აქტის შესრულებისას იგი მხოლოდ საქონლის (მოხმარების საშუალებათა) მყიდველის როლში გამოდის. მაგრამ, თავის მხრივ წლიური პროდუქტი უნდა შეიცავდეს კვლავწარმოების ყველა ელემენტს, მან უნდა აღადგინოს მწარმოებლური კაპიტალის ყველა ელემენტი, — მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა, მისი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, ცვალებადი კაპიტალი. და ჩვენ მართლაც დავინახეთ, რომ ცვალებადი კაპიტალის მიმართ გაცვლის შედეგი ასეთია: მუშა, როგორც საქონლის მყიდველი, თავისი ხელფასის დახარჯვის გზით და ნაყიდი საქონლის მოხმარების გზით ინარჩუნებს და აკვლავწარმოებს თავის სამუშაო ძალას როგორც ერთადერთ საქონელს, რომელიც მან უნდა გაყიდოს; როგორც ამ სამუშაო ძალის საყიდლად კაპიტალისტის მიერ ავანსებული ფული უბრუნდება კაპიტალისტს, ისევე უბრუნდება შრომის ბაზარს სამუშაო ძალა, როგორც ამ ფულზე გასაცვლელი საქონელი; ამის შედე-

გად — აქ სპეციალურად 1 000 I$_v$ შემთხვევაში, — ჩვენ ვიღებთ იმას, რომ I-ის კაპიტალისტების მხარეზე არის 1 000$_v$ ფულად, მის მოპირისპირე, I მუშის მხარეზე — 1 000 ღირებულების სამუშაო ძალა. ასე რომ I მთელი კვლავწარმოების პროცესი შეიძლება ხელახლა დაიწყოს. ეს არის გაცვლის პროცესის ერთი შედეგი.

მეორე მხრივ, I მუშების მიერ ხელფასის დახარჯვამ II-ისგან წაიღო 1 000 თანხის მოხმარების საშუალებანი და ისინი ამ გზით საქონლური ფორმიდან ფულად ფორმად გარდაქმნა; ამ ფულადი ფორმიდან ისინი II-მ უკუგარდაქმნა თავისი მუდმივი კაპიტალის ნატურალურ ფორმად, და ეს მოახდინა იმ გზით, რომ I-ისაგან იყიდა საქონელი — 1 000$_v$; ამით I უბრუნდება მისი ცვალებადი კაპიტალ-ღირებულება ისევ ფულადი ფორმით.

I ცვალებადი კაპიტალი სამ ისეთ გარდაქმნას განიცდის, რაც სრულიად არ ვლინდება წლიური პროდუქტის გაცვლისას ანდა ვლინდება მხოლოდ ოდნავი მინიშნების სახით.

1) პირველი ფორმა, 1 000 I$_v$ ფულად, რაც იმავე ღირებულების სამუშაო ძალად გარდაიქმნება. თვით ეს გარდაქმნა არ ვლინდება საქონელთა გაცვლაში I და II შორის, მაგრამ მისი შედეგი ვლინდება იმაში, რომ I მუშები 1 000 ფულით უპირისპირდებიან II-ის საქონელთა გამყიდველს, სწორედ ისე, როგორც II მუშები 500 ფულით უპირისპირდებიან საქონლის ფორმით არსებული 500 II$_v$ საქონელთა გამყიდველს.

2) მეორე ფორმა, — ერთადერთი ფორმა, რომელშიც ცვალებადი კაპიტალი ნამდვილად განიცდის ცვლილებას, მოქმედებს როგორც ცვალებადი, რომელშიაც ღირებულების შემქმნელი ძალა გამოდის მასზე გაცვლილი, მოცემული ღირებულების ადგილას, — ეს ფორმა მარტოოდენ წარმოების პროცესს ეკუთვნის, რომელიც უკვე განვლილი პროცესია.

3) მესამე ფორმა, რომელშიაც ცვალებადი კაპიტალი როგორც ასეთი დადასტურდა წარმოების პროცესის შედეგში, არის წლის განმავლობაში ახლად შექმნილი ღირებულება, მაშასადამე, I-ისთვის = = 1 000$_v$ + 1 000$_m$ = 2 000 I $_{(v+m)}$. მისი თავდაპირველი ღირებულების ადგილას, = 1 000 ფულად, გამოვიდა ორჯერ უფრო დიდი ღირებულება, = 2 000 საქონლის სახით. ამიტომაც ცვალებადი კაპიტალღირებულება 1 000 = საქონლის სახით, შეადგენს იმ ღირებულების მხოლოდ ნახევარს, რომელიც შექმნა ცვალებადმა კაპიტალმა როგორც მწარმოებლური კაპიტალის ელემენტმა. ეს 1 000 I$_v$ საქონლის სახით ზუსტი ეკვივალენტია ერთობლივი კაპიტალის იმ — თავისი დანიშნულე-

ბით — ცვალებადი ნაწილისა, რომელიც თავდაპირველად ავანსად გაიღო I-მა 1 000$_{ფ}$ ფულის სახით; მაგრამ ეს 1 000$_{ფ}$, რომელიც საქონლის ფორმით არსებობს, მხოლოდ პოტენციურადაა ფული (ნამდვილ ფულად იქცევა მხოლოდ გაყიდვის გზით) და, მაშასადამე, მით უფრო ნაკლებ არის უშუალოდ ცვალებადი ფულადი კაპიტალი. ბოლოს და ბოლოს იგი იქცევა ასეთად საქონელი 1 000 I$_{ფ}$ გაყიდვის გზით, როცა II$_{ფ}$ მყიდველის როლში გამოდის, და იმის მეოხებით, რომ სამუშაო ძალა დაუყოვნებლივ გვევლინება კვლავ როგორც გასაყიდი საქონელი, როგორც მასალა, რადაც შეიძლება 1 000$_{ფ}$ ფული გარდაიქმნას.

ყველა ამ გარდაქმნის დროს I კაპიტალისტს ცვალებადი კაპიტალი ყოველთვის ხელში უჭირავს: 1) დასაწყისში როგორც ფულადი კაპიტალი; 2) შემდეგ როგორც მისი კუთვნილი მწარმოებლური კაპიტალის ელემენტი; 3) უფრო გვიან როგორც მისი საქონლური კაპიტალის ღირებულების ნაწილი, მაშასადამე, — საქონლის ღირებულების სახით; 4) ბოლოს, კვლავ ფულის სახით, რომელსაც პირისპირ უდგას სამუშაო ძალა, რადაც იგი შეიძლება გარდაიქმნას. შრომის პროცესის განმავლობაში კაპიტალისტს ხელთა აქვს ცვალებადი კაპიტალი, როგორც მოქმედი, ღირებულების შემქმნელი სამუშაო ძალა, მაგრამ არა როგორც მოცემული სიდიდის ღირებულება; მაგრამ რადგან კაპიტალისტი მუშას სასყიდელს ყოველთვის მხოლოდ მას შემდეგ უხდის, რაც უკანასკნელის ძალამ განსაზღვრული, მეტნაკლებ ხანგრძლივი დროის განმავლობაში უკვე იმოქმედა, ამიტომ, ვიდრე სამუშაო ძალის საფასურს გადაიხდიდეს, კაპიტალისტს უკვე ხელთა აქვს ამ ძალის მიერ თავის თავის ასანაზღაურებლად შექმნილი ღირებულება პლუს ზედმეტი ღირებულება.

რადგან ცვალებადი კაპიტალი ამა თუ იმ ფორმით ყოველთვის კაპიტალისტის ხელში რჩება, ამიტომ არას გზით არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს კაპიტალი ვინმესთვის შემოსავლად გადაიქცევა. პირიქით, 1 000 I$_{ფ}$ საქონლის სახით ფულად გარდაიქმნება იმ გზით, რომ მას იყიდის II ქვედანაყოფი, რომელსაც ამით in natura აუნაზღაურდება თავისი მუდმივი კაპიტალის ნახევარი.

შემოსავლად იშლება არა ცვალებადი კაპიტალი I, ფულის სახით არსებული 1 000$_{ფ}$. ეს ფული, როგორც კი იგი სამუშაო ძალად გარდაიქმნება, აღარ მოქმედებს როგორც I ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმა, — ისე როგორც ყოველი სხვა საქონლის გამყიდველის ფულიც აღარ წარმოადგენს მის კუთვნილ რამეს, როგორც კი იგი რომელიმე გამყიდველის საქონლად გარდაიქმნება. გარდაქმნა, რასაც

განიცდის მუშათა კლასის ხელში ხელფასად მიღებული ფული, გარდაქმნაა არა ცვალებადი კაპიტალისა, არამედ მუშათა კლასის სამუშაო ძალის ღირებულებისა, რომელიც ფულად გადაიქცა: სავსებით ისე, როგორც მუშის მიერ ახლად შექმნილი ღირებულების (2 000 I (v + m)) გარდაქმნა მხოლოდ კაპიტალისტის კუთვნილი საქონლის გარდაქმნაა, რაც მუშას სრულიად არ შეეხება. მაგრამ კაპიტალისტს— და კიდევ უფრო მეტად მის თეორიულ განმმარტებელს, ეკონომისტს— ძნელად შეუძლია თავი დააღწიოს იმ ფანტაზიას, რომ მუშის გასასტუმრებლად გაცემული ფული კიდევ მისი, კაპიტალისტის, ფულია. თუ კაპიტალისტი ოქროს მწარმოებელია, მაშინ ღირებულების ცვალებადი ნაწილი, — ე. ი. ის ეკვივალენტი საქონლის სახით, რომელიც მას შრომის ნაყიდობის ფასს უნაზღაურებს, — თვითონ გამოდის უშუალოდ ფულადი ფორმით და, მაშასადამე, მას შეუძლია ხელახლა, უკუდაბრუნების შემოვლითი გზის გაუვლელად, იმოქმედოს ცვალებადი ფულადი კაპიტალის სახით. ხოლო რაც შეეხება მუშას II-ში, თუ ფუფუნების საგნების მწარმოებელ მუშებს მხედველობის გარეშე დავტოვებთ, — თვით 500_v არსებობს მუშის მოხმარებისათვის განკუთვნილ იმ საქონელთა სახით, რომლებსაც მუშა, განხილული როგორც ერთობლივი მუშა, უშუალოდ ყიდულობს კვლავ იმავე ერთობლივი კაპიტალისტისაგან, ვისაც მან თავისი სამუშაო ძალა მიჰყიდა. II კაპიტალის ღირებულების ცვალებადი ნაწილი თავისი ნატურალური ფორმის მიხედვით შედგება მოხმარების საშუალებათაგან, რომლებიც მეტწილად მუშათა კლასის მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. მაგრამ ის, რასაც მუშა ამ ფორმაში ხარჯავს, წარმოადგენს არა ცვალებად კაპიტალს, არამედ ხელფასს, მუშის ფულს, რომელიც სწორედ ამ მოხმარების საშუალებებში თავისი რეალიზაციის მეოხებით აღადგენს კაპიტალისტისთვის ცვალებად კაპიტალს 500 II_v ფულადი ფორმით. ცვალებადი კაპიტალი II_v კვლავწარმოებულია მოხმარების საშუალებებში, ისევე როგორც მუდმივი კაპიტალი 2 000 II_c; როგორც ერთი ვერ დაიშლება შემოსავლად, ისე მეორეც. ორივე შემთხვევაში შემოსავლად დაიშლება ხელფასი.

მაგრამ ის გარემოება, რომ ხელფასის შემოსავლის სახით დახარჯვით ხდება აღდგენა ერთ შემთხვევაში 1 000 II_c — ასევე ამ შემოვლითი გზით 1 000 I_v — და მეორე შემთხვევაში 500 II_v, მაშასადამე, ხდება მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ფულადი კაპიტალის სახით აღდგენა (უკანასკნელი ნაწილობრივ პირდაპირი, ნაწილობრივ არაპირდაპირი უკუდაბრუნების გზით), — ეს გარემოება მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს წლიური პროდუქტის გაცვლაში.

XI. ძირითადი კაპიტალის ანაზღაურება

წლიური კვლავწარმოების გაცვლათა გადმოცემისას დიდ სიძნელეს წარმოადგენს შემდეგი. თუ იმ უმარტივეს ფორმას ავიღებთ, რომლითაც აისახება საქმის ვითარება, ჩვენ გვექნება:

(I). $4\,000_c + 1\,000_v + 1\,000_m +$

(II). $2\,000_c + 500_v + 5\,00_m = 9\,000$,

რაც ბოლოს და ბოლოს ასე დაიშლება:

$4\,000\ I_c + 2\,000\ II_c + 1\,000\ I_v + 500\ II_v + 1\,000\ I_m + 5\,00\ II_m = 6\,000_c + 1\,500_v + 1\,500_m = 9\,000$. მუდმივი კაპიტალის ღირებულების ნაწილი. სახელდობრ რამდენადაც ეს კაპიტალი საკუთრივ შრომის საშუალებებისაგან შედგება (როგორც წარმოების საშუალებათა განსაკუთრებული ქვედანაყოფი), გადატანილია შრომის საშუალებებიდან შრომის პროდუქტზე (საქონელზე); ეს შრომის საშუალებანი განაგრძობენ მოქმედებას მწარმოებლური კაპიტალის ელემენტების სახით, ამასთან ისინი თავიანთ ძველ ნატურალურ ფორმას ინარჩუნებენ; მათი გაცვეთა, ღირებულების ის დანაკარგი, რასაც ისინი თანდათანობით განიცდიან მათი მოქმედების დროს განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, — აი, ეს გვევლინება ხელახლა როგორც შრომის ამ საშუალებათა მეოხებით წარმოებულ საქონელთა ღირებულების ელემენტი, რომელიც შრომის იარაღიდან შრომის პროდუქტზე გადაიტანება. მაშასადამე, რამდენადაც საქმე წლიურ კვლავწარმოებას შეეხება, აქ მხედველობაში მისაღებია იმთავითვე ძირითადი კაპიტალის მხოლოდ ისეთი შემადგენელი ნაწილები, რომელთა არსებობა ერთ წელიწადზე მეტხანს გრძელდება. თუ ამ ნაწილების არსებობის ხანგრძლიობა ერთი წლით შემოიფარგლება, მაშინ აუცილებელია მათი მთლიანად ანაზღაურება და განახლება წლიური კვლავწარმოების გზით, და ამიტომ აქ დასმული საკითხი მათ სრულიად არ შეეხება. შეიძლება მოხდეს — და ხშირად ასეც ხდება, — რომ მანქანებისა და ძირითადი კაპიტალის სხვა უფრო ხანგრძლივად გამძლე ფორმების გარკვეული ცალკე ორგანოები მთლიან ანაზღაურებას საჭიროებენ წლის მანძილზე, თუმცა შენობის თუ მანქანის მთელი სხეული დიდხანს ძლებს. ეს ცალკე ორგანოები ძირითადი კაპიტალის იმავე ელემენტების კატეგორიას ეკუთვნის, რომელთა ანაზღაურება წლის განმავლობაში უნდა მოხდეს.

საქონელთა ღირებულების ეს ელემენტი არასგზით არ უნდა ავურიოთ რემონტის ხარჯებში. როდესაც საქონელი გაიყიდება, ღირებულების ეს ელემენტი, როგორც სხვები, ფულად იქცევა, ფულად გარდაიქმნება; მაგრამ მისი ფულად გარდაქმნის შემდეგ აშკარავდება

მისი განსხვავება ღირებულების სხვა ელემენტებისაგან. საქონლის წარმოებაზე მოხმარებული ნედლი და დამამარე მასალა უნდა ანაზღაურდეს in natura, რათა საქონლის კვლავწარმოება ხელახლა დაიწყოს (რათა საერთოდ საქონელთა წარმოების პროცესი უწყვეტი იყოს); საქონლის წარმოებაზე დახარჯული სამუშაო ძალა ასევე ახალი სამუშაო ძალით უნდა ანაზღაურდეს. მაშასადამე, საქონელში აღებული ფული სულ ახლად და ახლად უნდა გარდაიქმნას მწარმოებლური კაპიტალის ამ ელემენტებად, ფულადი ფორმიდან საქონლურ ფორმად. საქმე სრულიადაც არ იცვლება, თუ, მაგალითად, ნედლ და დამხმარე მასალას გარკვეულ ვადებში ყიდულობენ ბლომად, ასე რომ ამით საწარმოო მარაგი იქმნება, მაშასადამე, თუ გარკვეული დროის განმავლობაში საჭირო არაა წარმოების ამ საშუალებათა ხელახლა ყიდვა და ამის გამო, ვიდრე ისინი მოიპოვებიან, საქონლის გაყიდვით მიღებული ფული — რამდენადაც იგი ამ მიზანს ემსახურება — შეიძლება დაგროვდეს, ასე რომ მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი დროებით გვეელინება ფულადი კაპიტალის სახით, რომლის აქტიური მოქმედება ვადაგადადებულია. ეს კაპიტალი არ არის შემოსავალი, ეს არის მწარმოებლური კაპიტალი, რომელიც დროებითაა შეჩერებული ფულად ფორმაში. წარმოების საშუალებათა განახლებას მუდამ უნდა ჰქონდეს ადგილი, თუმცა ამ განახლების ფორმა — მიმოქცევის მიმართ—შეიძლება სხვადასხვა იყოს. ხელახალი ყიდვა, მიმოქცევის ოპერაცია, რომლის საშუალებით მათი განახლება, ანაზღაურება ხდება, შეიძლება შედარებით ხანგრძლივ ვადებში მიმდინარეობდეს: ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ერთბაშად ფულის დიდ დაბანდებას, რის კომპენსაციას წარმოადგენს წარმოების სათანადო მარაგი; ანდა შეიძლება ეს ოპერაცია მოკლე, ერთიმეორის მომდევნო ვადებში სრულდებოდეს: ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სწრაფად ერთიმეორის მომდევნო, შედარებით პატარ-პატარა ოდენობის ფულის ხარჯვას. წარმოების მარაგი კი მცირეა. თვით საქმის ვითარებას ეს სრულიადაც არ ცვლის. ასევე ხდება სამუშაო ძალის მიმართაც. სადაც წარმოება უწყვეტად მიმდინარეობს წლის განმავლობაში, იქ სულ ერთი და იმავე მასშტაბით წარმოებს დახარჯული სამუშაო ძალის ანაზღაურება ახლით; სადაც მუშაობა სეზონურია ანდა სხვადასხვა პერიოდში შრომის სხვადასხვა რაოდენობა გამოიყენება, როგორც მიწათმოქმედებაში — იქ ამის შესაბამისად ადგილი აქვს სამუშაო ძალის შესყიდვას ხან ნაკლები, ხან მეტი რაოდენობით. პირიქით, საქონლის გაყიდვით მიღებული ფული, რამდენადაც იგი ფულად აქცევს საქონლის ღირებულების ნაწილს, რომელიც უდრის ძირითადი კაპიტალის გაცვეთას, ვერ გადაიქცევა

კვლავ იმ მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელ ნაწილად, რომლის ღირებულების დანაკარგს იგი ანაზღაურებს. იგი დაილექება მწარმოებლური კაპიტალის გვერდით და ფულადი ფორმით რჩება. ფულის ასეთი დალექვა მეორდება, ვიდრე გავიდოდეს კვლავწარმოების წელთა მეტნაკლებ დიდი რიცხვიდან შემდგარი პერიოდი, რომლის განმავლობაშიაც მუდმივი კაპიტალის ძირითადი ელემენტი თავისი ძველი ნატურალური ფორმით განაგრძობს მოქმედებას წარმოების პროცესში. იმ დროისათვის, როდესაც ძირითადი ელემენტი — შენობები, მანქანები და სხვ. — თავის არსებობას დაასრულებს, წარმოების პროცესში მოქმედების უნარს დაჰკარგავს, ამ დროისთვის მისი ღირებულება უკვე მის გვერდით არსებობს, სავსებით ანაზღაურებული ფულის სახით: იმ ფულად დანალექთა, ღირებულებათა ჯამის სახით, რომლებიც ძირითადი კაპიტალიდან თანდათან გადატანილ იქნენ მისი მონაწილეობით წარმოებულ საქონელზე და რომლებიც საქონელთა გაყიდვის გზით ფულად ფორმაში გადავიდნენ. ეს ფული შემდეგ იმას ემსახურება, რომ აანაზღაუროს in natura ძირითადი კაპიტალი (ან მისი ელემენტები, რადგან მის სხვადასხვა ელემენტს არსებობის სხვადასხვა ხანგრძლიობა აქვს) და ამ გზით ნამდვილად განაახლოს მწარმოებლური კაპიტალის ეს შემადგენელი ნაწილი. მაშასადამე, ეს ფული მუდმივი კაპიტალღირებულების ნაწილის, მისი ძირითადი ნაწილის ფულად ფორმას წარმოადგენს. ამრიგად განძის ეს შექმნა თვით არის ელემენტი კაპიტალისტური კვლავწარმოების პროცესისა, იგი ძირითადი კაპიტალის ან მისი ცალკეული ელემენტების ღირებულების კვლავწარმოება და ფულადი ფორმით შეგროვებაა მანამდე, ვიდრე ძირითად კაპიტალს თავისი დრო არ მოუჭამია და, მაშასადამე, მთელი თავისი ღირებულება არ გადაუცია წარმოებულ საქონელთათვის, ხოლო მაშინ კი იგი in natura უნდა ანაზღაურდეს. მაგრამ როგორც კი ეს ფული, უკუგარდაიქმნება ძირითადი კაპიტალის ახალ ელემენტებად, რათა კაპიტალის მწყობრიდან გამოსული ელემენტები აანაზღაუროს, — იგი მხოლოდ კარგავს განძის ფორმას და, ამიტომ, კვლავ აქტიურად შედის კაპიტალის კვლავწარმოების პროცესში, რომელსაც მიმოქცევა მოსაშუალეობს.

როგორც მარტივი საქონელმიმოქცევა არ შეიძლება გაიგივებულ იქნას პროდუქტთა უბრალო გაცვლასთან, ისევე წლიური საქონლური პროდუქტის გარდაქმნა არ შეიძლება დავიყვანოთ მისი სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის უბრალო, უშუალო ურთიერთგაცვლაზე. ფული ასრულებს მასში სპეციფიკურ როლს, რომელიც განსაკუთრებით ძირითადი კაპიტალღირებულების კვლავწარმოების წესშიც პოულობს

თავის გამოსახულებას. (შემდგომ საჭირო იქნება გამოვიკვლიოთ, როგორ გამოისახებოდა ეს სხვაგვარად, თუ ვიგულისხმებთ, რომ წარმოება კოლექტიურია და მას არა აქვს საქონელწარმოების ფორმა).

ახლა, თუ ძირითად სქემას დავუბრუნდებით, ჩვენ გვაქვს II ქვედანაყოფისათვის: $2\,000_c + 5\,00_v + 500_m$. წლის განმავლობაში წარმოებული მოხმარების საშუალებანი მთლიანად აღებული უდრის აქ 3 000 ღირებულებას; და თვითეული იმ სხვადასხვა საქონლური ელემენტისგან, რომლებისგანაც საქონელთა ჯამი შედგება, მისი ღირებულების მხრივ იყოფა $^2/_{3c} + {}^1/_{6v} + {}^1/_{6m}$-ად, ანუ პროცენტობით $66^2/_{3c} + 16^2/_{3v} + 16^2/_{3m}$-ად. II ქვედანაყოფის საქონელთა სხვადასხვა სახეობანი შეიძლება სხვადასხვა პროპორციით შეიცავდნენ მუდმივ კაპიტალს; ასევე შეიძლება მუდმივი კაპიტალის ძირითადი ნაწილი მათში სხვადასხვა იყოს; ასევეა კაპიტალის ძირითადი ნაწილების სიცოცხლის ხანგრძლიობაც, მაშასადამე, წლიური გაცვეთაც ანუ ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მათ pro rata გადააქვთ საქონელზე, რომლის წარმოებაში ისინი მონაწილეობენ. ყველაფერი ეს აქ უმნიშვნელო გარემოებას წარმოადგენს. საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესის მიმართ აქ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გაცვლას II და I ქვედანაყოფებს შორის. მაგრამ II და I ქვედანაყოფები აქ ერთიმეორეს უპირისპირდებიან მაოლოდ მათს საზოგადოებრივ მასობრივ შეფარდებაში; ამიტომ II-ის საქონლური პროდუქტის (მხოლოდ ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა განსახილველი საკითხისთვის) ღირებულების c — ნაწილის პროპორციული სიდიდე წარმოადგენს იმ საშუალო შეფარდებას, რომელიც მიიღება, თუ II-ში შემავალ ყველა წარმოების დარგს ერთად შევაჯამებთ.

თვითეული სახეობა იმ საქონელთაგან (და ესენი მეტწილად ერთი და იმავე სახეობისანი არიან), რომელთა ერთობლივი ღირებულება ასეა გამოსახული: $2\,000_c + 5\,00_v + 5\,00_m$, თანაბრად უდრის თავისი ღირებულების მიხედვით $66\ ^2/_3\%_c + 16\ ^2/_3\%_v + 16\ ^2/_3\%_m$. ეს შეეხება ყოველ 100 ერთეულ საქონელს, იქნება იგი გამოსახული c, v, თუ m.

საქონელნი, რომლებშიც $2\,000_c$ არის განხორციელებული, თავის მხრივ, შეიძლება ღირებულების მიხედვით დაიშალოს:

1) $1\,333\ ^1/_{3c} + 333^1/_{3v} + 333\ ^1/_{3m} = 2\,000_c$ — ად, ასევე შეიძლება 500_v დაიშალოს:

2) $333\ ^1/_{3c} + 83\ ^1/_{3v} + 83^1/_{3m} = 500_v$ - ად;

ბოლოს, 500_m შეიძლება დაიშალოს:

3) $333\ ^1/_{3c} + 83\ ^1/_{3v} + 83\ ^1/_{3m} = 500_m$ - ად.

ახლა, თუ ჩვენ შევკრებთ 1, 2 და 3-ში მოქცეულ c-ებს, მივიღებთ $1\,333^1/_3c + 333^1/_3c + 333^1/_3c = 2\,000$. ასევე $333^1/_3v + 83^1/_3v + 83^1/_3v = 500$, და ასევე m-ის მიმართ. ყველა ამ ღიდიდეთა შეკრება გვაძლევს წინანდებურად ერთობლივ ღირებულებას 3 000 რაოდენობით.

ამრიგად, მთელი მუდმივი კაპიტალღირებულება, რომელიც მოქცეულია II-ის 3 000-ის ღირებულების საქონელთა მასაში, მოქცეულია $2\,000_c$-ში, და არც $5\,00_v$, არც 500_m, არ შეიცავს ამ ღირებულების არც ერთ ატომს. ასევე ითქმის, თავის მხრივ, v-ზე და m-ზეც.

სხვა სიტყვებით: II საქონელთა მასის მთელი ის ნაწილი, რომელიც მუდმივ კაპიტალღირებულებას გამოსახავს და ამიტომ კვლავ უნდა გარდაიქმნას ან მის ნატურალურ ფორმად, ან მის ფულად ფორმად, არსებობს $2\,000_c$-ში. მაშასადამე, ყველაფერი ის, რაც შეეხება II საქონელთა მუდმივი ღირებულების გაცვლას, შემოფარგლულია 2 000 II_c მოძრაობით; და ეს გაცვლა შესაძლებელია მხოლოდ $I(1\,000_v + 1\,000_m)$-ზე.

ასევე ყველაფერი ის, რაც შეეხება I ქვედანაყოფში შემავალი მუდმივი კაპიტალღირებულების გაცვლას, უნდა შემოიფარგლოს 4 000 I_c განხილვით.

1) გაცვეთით გამოწვეული ღირებულების დანაკლისის ანაზღაურება ფულადი ფორმით

თუ ჩვენ ახლა უწინარეს ყოვლისა ავიღებთ:

I. $4\,000_c + 1\,000_v + 1\,000_m$

II. . . . . $2\,000_c + 5\,00_v + 5\,00_m$,

მაშინ 2 000 II_c გაცვლა იმავე ღირებულების $I(1\,000_v + 1\,000_m)$ ინის მომასწავებელი იქნებოდა, რომ 2 000 II_c in natura მთლად ხელახლა გარდაიქმნა II მუდმივი კაპიტალის იმ ნატურალურ შემადგენელ ნაწილებად, რომლებიც I ქვედანაყოფმა აწარმოვა. მაგრამ საქონლის ღირებულება 2 000, რომელშიაც მუდმივი კაპიტალი არსებობს, შეიცავს ელემენტს, რომელიც ფარავს ძირითადი კაპიტალის ღირებულების დანაკარგს, და რომელიც მაშინვე კი არაა in natura ასანაზღაურებელი, არამედ ფულად უნდა გადაიქცეს; ეს ფული კი თანდათან გროვდება საერთო ჯამად მანამდე, ვიდრე არ დადგება ძირითადი კაპიტალის მისი ნატურალური ფორმით განახლების ვადა. თვითეული წელიწადი სიკვდილის წელიწადია ძირითადი კაპიტალისთვის, რომელიც უნდა ანაზღაურდეს ამა თუ იმ ცალკეულ საწარმოში ან მრეწველობის ამა თუ იმ დარგში; ერთსა და იმავე ინდივიდუალურ კაპიტალში უნდა ანაზღაურდეს ძირითადი კა-

პიტალის ესა თუ ის ნაწილი (რადგან მის ნაწილებს სიცოცხლის სხვადასხვა ხანგრძლიობა აქვთ). როდესაც ჩვენ წლიურ კვლავწარმოებას განვიხილავთ, — თუნდაც მარტივი მასშტაბით წარმართულს, ე. ი. ყოველგვარი დაგროვებისაგან აბსტრაჰირებას მოვახდენთ, — ჩვენ ვიწყებთ არა ab ovo [დასაბამიდან]; ჩვენ მიერ აღებული წელიწადი ერთ-ერთია მრავალთაგან, იგი არაა კაპიტალისტური წარმოების დაბადების პირველი წელიწადი. ამრიგად, სხვადასხვა კაპიტალი, დაბანდებული II ქვედანაყოფის წარმოების მრავალფეროვან დარგებში, სხვადასხვა ასაკისაა, და მსგავსად იმისა, როგორც წარმოების ამ დარგებში მოქმედი პირნი ყოველ წელიწადს კვდებიან, ძირითადი კაპიტალების მასები ყოველწლიურად აღწევენ თავიანთი სიცოცხლის დასასრულს და აუცილებელი ხდება მათი ანაზღაურება in natura დაგროვილი ფულადი ფონდიდან. ამდენად 2 000 II_c გაცვლა 2 000 $I_{(v+m)}$-ზე შეიცავს 2 000 II_c გარდაქმნას მისი საქონლური ფორმიდან (მოხმარების საშუალებათა ფორმიდან) ნატურალურ ელემენტებად, რომლებიც შედგება არა მარტო ნედლი და დამხმარე მასალებისაგან, არამედ აგრეთვე ძირითადი კაპიტალის ნატურალური ელემენტებისგან — მანქანების, სამუშაო იარაღების, ნაგებობათა და სხვა ელემენტებისაგან. ამიტომ გაცვეთა, რომელიც 2 000 II_c ღირებულებაში ფულად უნდა ანაზღაურდეს, სულაც არ შეესაბამება მოქმედი ძირითადი კაპიტალის ოდენობას, რადგან ამ უკანასკნელის ნაწილი ყოველ წელიწადს უნდა ანაზღაურდეს in natura; ამით კი ის იგულისხმება, რომ წინა წლებში ამ ანაზღაურებისათვის აუცილებელი ფული II ქვედანაყოფის კაპიტალისტთა ხელში დაგროვდა. მაგრამ ეს ვარაუდი ერთნაირად რჩება ძალაში როგორც მიმდინარე წლის მიმართ, ისე გასული წლების მიმართაც.

I $(1\,000_v + 1\,000_m)$-სა და 2 000 II_c შორის გაცვლაში უნდა აღინიშნოს უწინარეს ყოვლისა, რომ ღირებულების ჯამი $I_{(v+m)}$ არ შეიცავს ღირებულების რაიმე მუდმივ ელემენტს, მაშასადამე, არ შეიცავს აგრეთვე ღირებულების ელემენტს გაცვეთის ასანაზღაურებლად, ე. ი. იმ ღირებულების ასანაზღაურებლად, რაც გადატანილია მუდმივი კაპიტალის ძირითადი შემადგენელი ნაწილიდან იმ სხვადასხვა საქონელზე, რომელთა ნატურალურ ფორმაშიც $v+m$ არსებობს. პირიქით, II_c-ში ეს ელემენტი არსებობს, და ეს არის სწორედ ნაწილი ღირებულების იმ ელემენტისა, რომელიც ძირითადი კაპიტალის მეოხებითაა წარმომდგარი, ნაწილი, რომელიც უშუალოდ კი არ უნდა ვარდაიქმნას ფულადი ფორმიდან ნატურალურ ფორმად, არამედ ჯერ ფულადი ფორმით უნდა შეჩერდეს. ამიტომ, როდესაც ჩვენ

განვიხილავთ I (1 000$_v$ + 1 000$_m$) გაცვლას 2 000 II$_c$-ზე, მაშინვე წავაწყდებით იმ დაბრკოლებას, რომ წარმოების საშუალებები I, რომელთა ნატურალური ფორმით არსებობს 2 000 $_{(v+m)}$, მთელი მათი ღირებულების ჯამით: 2 000-ით გაცვლილ უნდა იქნას ეკვივალენტზე, რომელიც II მოხმარების საშუალებათა სახით არსებობს; მაგრამ, მეორე მხრივ, მოხმარების საშუალებანი 2 000 II$_c$ არ შეიძლება მთელი თავისი ღირებულების ჯამით გაცვლილ იქნას წარმოების საშუალებებზე: I (1 000$_v$ + 1 000$_m$)-ზე, იმიტომ რომ მათი ღირებულების ჯერადი ნაწილი — რომელიც უდრის ასანაზღაურებელ გაცვეთას ანუ ძირითადი კაპიტალის ღირებულების დანაკარგს — ჯერ უნდა დაილექოს ფულის სახით; ეს ფული კი უკვე აღარ მოქმედებს ხელახლა როგორც მიმოქცევის საშუალება კვლავწარმოების მიმდინარე წლიური პერიოდის განმავლობაში; აქ კი მხოლოდ ეს განიხილება. მაგრამ ფული, რომლის საშუალებით გაცვეთის ელემენტი II$_c$-ში მოქცეული საქონლის ღირებულება 2 000 ფულად იქცევა, — ეს ფული შეიძლება მხოლოდ I-დან მოვიდეს, რადგან II თვითონ არ შეუძლია თავისი თავის გასტუმრება, არამედ ეს გასტუმრება სწორედ მისი საქონლის გაყიდვის გზით უნდა მოხდეს, და რადგან, ნაგულისხმევის თანახმად, I $_{(v+m)}$ საქონელთა მთელ ჯამს: 2 000 II$_c$ ყიდულობს; მაშასადამე, ამ ყიდვის გზით I ქვედანაყოფმა აღნიშნული გაცვეთა ფულად უნდა აქციოს II-ისთვის. მაგრამ, წინათ გარკვეული კანონის თანახმად, მიმოქცევისათვის ავანსებული ფული უკან უბრუნდება კაპიტალისტურ მწარმოებელს, რომელიც შემდგომ ამავე რაოდენობას საქონლის სახით მიმოქცევაში გადაისვრის. ცხადია, I ქვედანაყოფს, როდესაც იგი II$_c$ ყიდულობს, არ შეუძლია მისცეს II ქვედანაყოფს 2 000-ის საქონელი და გარდა ამისა კიდევ ერთხელ და სამუდამოდ დამატებითი ფულადი თანხა (მისცეს ისე, რომ ეს უკანასკნელი მას უკანვე არ დაუბრუნდეს გაცვლის ოპერაციის გზით). საერთოდ ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საქონელთა მასა II$_c$ მის ღირებულებაზე მეტად იყიდება. თუ II-მ თავისი 2 000$_c$ ნამდვილად გაცვალა I (1 000$_v$ + 1 000$_m$)-ზე, მაშინ იგი I-ს ვეღარაფერს მოსთხოვს, და ფული, რომელიც ამ გაცვლის დროს მიმოიქცევა, უკან უბრუნდება I ან II იმისდა მიხედვით, თუ რომელმა მათგანმა გადაისროლა ეს ფული მიმოქცევაში, ე. ი. რომელი მათგანი გამოვიდა პირველად როგორც მყიდველი. ამასთან II ამ შემთხვევაში თავის საქონლურ კაპიტალს მთელი მისი ღირებულებით უკუგარდაქმნიდა წარმოების საშუალებათა ნატურალურ ფორმად, მაშინ როდესაც ნაგულისხმევია, რომ საქონლური კაპიტალის ჯერადი ნაწილი, მისი გაყიდვის შემდეგ, მიმდინარე წლიური კვლავწარმოების

პერიოდში ვერ გარდაიქმნება ფულიდან შესაბამისი მუდმივი კაპიტალის ძირითადი შემადგენელი ნაწილების ნატურალურ ფორმად. მაშასადამე, II მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუბრუნდებოდა სხვაობა ფულის სახით, თუ იგი მიჰყიდდა I 2 000-ის საქონელს, ხოლო I-ისგან 2 000-ზე ნაკლებს იყიდიდა, მაგალითად, მხოლოდ 1 800; მაშინ I სალდო უნდა დაეფარა 200 ფულად, რომელიც მას უკან არ დაუბრუნდებოდა, რადგან ეს ფული, მიმოქცევისათვის ავანსებული, არ იქნებოდა მის მიერ მიმოქცევიდან ხელახლა გამოტანილი მასში 200-ის რაოდენობის საქონელთა გადასროლის გზით. ამ შემთხვევაში II-ისთვის ჩვენ გვექნებოდა ფულადი ფონდი მისი ძირითადი კაპიტალის გაცვეთის ანგარიშზე; მაგრამ მეორე მხარეზე, I-ის მხარეზე, გვექნებოდა წარმოების საშუალებათა ჭარბწარმოება 200 თანხის რაოდენობით, და ამით დაირღვევოდა სქემის მთელი ბაზისი, სახელდობრ კვლავწარმოება უცვლელი მასშტაბით, სადაც, მაშასადამე, იგულისხმება სრული პროპორციულობა წარმოების სხვადასხვა სისტემებს შორის. ჭრთი სიძნელე მოშორებული იქნებოდა მეორით, ბევრად უფრო უსიამოვნო სიძნელით.

რადგან ეს პრობლემა განსაკუთრებულ სიძნელეებს შეიცავს და დღემდე იგი საერთოდ არ ყოფილა ეკონომისტების მიერ გარკვეული, ამიტომ ჩვენ თანმიმდევრულად განვიხილავთ ყველა შესაძლებელ (ყოველ შემთხვევაში ერთი შეხედვით შესაძლებელ) ახსნას ანუ, უფრო სწორად, თვით პრობლემის დაყენებას.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ ეს-არის ვიგულისხმეთ, რომ II-მ მიჰყიდოს I-ს 2 000, ხოლო I-ისგან უნდა იყიდოს მხოლოდ 1800 საქონელი. საქონლის ღირებულება 2 000 II_c-ში მოქცეულია 200 გაცვეთის ასანაზღაურებლად, რაც ფულის სახით განძად უნდა იქცეს; ამგვარად, ღირებულება 2 000 II_c დაიშლებოდა 1 800-ად, რომელიც გაიცვლებოდა I-ის წარმოების საშუალებებზე, და 200-ად გაცვეთის ასანაზღაურებლად, რომელიც (მას შემდეგ, რაც 2 000$_c$ I-ს მიჰყიდეს) ფულის სახით შეჩერდება, ანუ თავისი ღირებულების მხრივ 2 000 II_c იქნებოდა $= 1\,800_c + 200_c\,(d)$, სადაც $d =$ déchet-ს [გაცვეთას].

ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა გაგვეხილა:

$$\text{გაცვლა I. } \underbrace{1000_v + 1000_m}$$

$$\text{II. } \quad 1\,800_c + 200_c\ (d).$$

1 000 გირვ. სტერლინგით, რომელიც მუშებმა მიიღეს მათი სამუშაო ძალის გასასტუმრებლად ხელფასის სახით, I ყიდულობს მოხმარების საშუალებებს 1 000 II_c; II იმავე 1000 გირვ. სტერლინგით

ყიდულობს წარმოების საშუალებებს 1000 I_p. ამრიგად, I კაპიტალისტებთან უკუმოედინება მათი ცვალებადი კაპიტალი ფულადი ფორმით, და მათ შეუძლიათ ამ კაპიტალით უახლოეს წელში ღირებულების იმავე ჯამის სამუშაო ძალა იყიდონ, ე. ი. თავიანთი მწარმოებლური კაპიტალის ცვალებადი ნაწილი in natura აანაზღაურონ. — შემდეგ, ავანსებული 400 გირვ. სტერლინგით II ყიდულობს წარმოების საშუალებებს I_m-ს, ხოლო I_m იმავე 400 გირვ. სტერლინგით ყიდულობს მოხმარების საშუალებებს II_c-ს. ამრიგად, II მიერ მიმოქცევისათვის ავანსებული 400 გირვ. სტერლ. უკან დაუბრუნდა II კაპიტალისტებს, მაგრამ უკან დაუბრუნდა მხოლოდ როგორც გაყიდული საქონლის ეკვივალენტი. ავანსებული 400 გირვ. სტერლინგით I ყიდულობს მოხმარების საშუალებებს; II ყიდულობს I-ისგან 400 გირვ. სტერლინგის წარმოების საშუალებებს, რითაც ეს 400 გირვ. სტერლინგი უკან უბრუნდება I-ს. მაშასადამე, აქამდე ანგარიში ასეთია:

I გადაისვრის მიმოქცევაში $1\,000_v + 800_m$ საქონლის სახით; შემდეგ გადაისვრის მიმოქცევაში ფულის სახით: 1 000 გირვ. სტერლინგს ხელფასად და 400 გირვ. სტერლინგს II-თან გასაცვლელად. გაცვლის დასრულების შემდეგ I აქვს: $1\,000_v$ ფულად, 800_m გარდაქმნილი 800 II_c-დ (მოხმარების საშუალებებად) და 400 გირვ. სტერლინგი ფულად.

II გადაისვრის მიმოქცევაში $1\,800_c$ საქონლის (მოხმარების საშუალებების) სახით და 400 გირვ. სტერლინგს — ფულად; გაცვლის დასრულების შემდეგ მას აქვს: 1 800 საქონელი I-ის (წარმოების საშუალებათა) სახით და 400 გირვ. სტერლინგი ფულად.

ჩვენ ახლა I მხარეზე კიდევ გვაქვს 200_m (წარმოების საშუალებათა სახით), II მხარეზე 200_c (d)$_c$ (მოხმარების საშუალებათა სახით).

ნაგულისხმევის თანახმად, I ყიდულობს 200 გირვ. სტერლინგით მოხმარების საშუალებებს c (d) — 200-ის ღირებულების ოდენობით; მაგრამ II ამ 200 გირვ. სტერლინგს აჩერებს, რადგან იგი 200_c (d) გაცვეთას წარმოადგენს, მაშასადამე, არაა უშუალოდ ისევ წარმოების საშუალებებად გარდასაქმნელი. ამრიგად, 200 I_m ვერ გაიყიდება; I-ის ასანაზღაურებელი ზედმეტი ღირებულების $^1/_{10}$ ვერ პოულობს რეალიზაციას, ვერ გარდაიქმნება წარმოების საშუალებათა თავისი ნატურალური ფორმიდან მოხმარების საშუალებათა ნატურალურ ფორმად.

ეს არა მარტო იმას ეწინააღმდეგება, რომ ნაგულისხმევია კვლავწარმოება მარტივი მასშტაბით; ეს თავისთავადაც არაა ჰიპოთეზა იმის ასახსნელად, თუ რატომ ხდება 200_c (d)-ს გადაქცევა ფულად; პირიქით, ეს იმის მომასწავებელია, რომ ამ გადაქცევის ახსნა საერთოდ შეუძლებელია. რადგან ვერ ხერხდება იმის დამტკიცება, თუ

როგორ შეიძლება 200_c (d) ფულად გადაიქცეს, ამიტომ იგულისხმება, რომ I-მა კეთილი უნდა ინებოს და იგი ფულად აქციოს, სწორედ იმიტომ, რომ მას არ შეუძლია თავისი საკუთარი ნაშთი 200_m ფულად გადააქციოს. თუ ამაში გაცვლის მექანიზმის ნორმალურ ოპერაციას დავინახავდით, — ეს სავსებით იგივე იქნებოდა, გვეგულისხმა თითქოს 200 გირვ. სტერლინგი ციდან ცვივა ყოველწლიურად, რათა რეგულარულად 200_c (d) ფულად აქციოს.

მაგრამ ასეთი ჰიპოთეზის უაზრობა თვალში ასე პირდაპირ არ გვეცემა, როდესაც I_m არ გვევლინება თავისი არსებობის პრიმიტიული ფორმით, — სახელდობრ როგორც წარმოების საშუალებათა ღირებულების შემადგენელი ნაწილი, მაშასადამე, როგორც იმ საქონელთა ღირებულების შემადგენელი ნაწილი, რომელთა რეალიზაცია კაპიტალისტურმა მწარმოებლებმა გაყიდვის გზით უნდა მოახდინონ და ფულად აქციონ, — არამედ ნაცვლად ამისა ეს I_m აღმოჩნდება კაპიტალისტების თანამოზიარეთა ხელში, მაგალითად, როგორც მიწის რენტა მიწის მესაკუთრეთა ხელში, ანდა როგორც სარგებელი ფულის გამსესხებელთა ხელში. მაგრამ თუ საქონელში მოქცეული ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მრეწველმა კაპიტალისტმა მიწის რენტის სახით ან სარგებლის სახით უნდა მისცეს ზედმეტი ღირებულების თანამესაკუთრეებს, თუ ეს ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ საღდება თვით საქონელთა გაყიდვის გზით, მაშინ ეს ნიშნავს აგრეთვე რენტის ან სარგებლის გადახდის დასასრულს, და ამიტომ მიწის მესაკუთრეებს ან სარგებლის მიმღებთ არ შეუძლიათ რენტისა და სარგებლის ხარჯვის მეოხებით dei ex machina-ს როლი შეასრულონ, რათა ნებისმიერ გარდაქმნან ფულად წლიური კვლავწარმოების განსაზღვრული ნაწილები. ასეთივეა საქმის მდგომარეობა იმ ხარჯვის შესახებ, რასაც ეწევიან მთელი ეგრეთწოდებული არამწარმოებელი მუშაკები — სახელმწიფო მოხელეები, ექიმები, ადვოკატები და სხვ. და საერთოდ ყველა ის, ვინც «დიდი საზოგადოების» სახით ეკონომისტებს იმ «სამსახურს» უწევს, რომ მათ მიერ აუხსნელს ხსნის.

ასევე ნაკლებ შველის საქმეს, როდესაც, ნაცვლად უშუალო გაცვლისა I-სა და II-ს შორის — თვით კაპიტალისტურ მწარმოებელთა ორ დიდ ქვედანაყოფს შორის, — ვაჭარს იშველიებენ როგორც შუამავალს და მისი «ფულის» საშუალებით გვერდს უვლიან ყველა სიძნელეს. მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში 200 I_m საბოლოოდ უნდა გასაღდეს II-ის მრეწველი კაპიტალისტების ხელში გადასვლით. ამ 200 I_m-მა შეიძლება მთელ რიგ ვაჭართა ხელში გაიაროს, — და მაინც უკანასკნელი ვაჭარი, ჰიპოთეზის თანახმად, იმავე მდგომარეობაში

აღმოჩნდება II-ის მიმართ, რომელშიაც I-ის კაპიტალისტური მწარმოებლები იმყოფებოდნენ დასაწყისში, ე. ი. მათ არ შეუძლიათ 200 I_m მიჰყიდონ II; და ბედკრულ ნაყიდობის თანხას არ შეუძლია იგივე პროცესი განაახლოს I-ისთვის.

აქედან ვხედავთ, რამდენად აუცილებელია — თუნდაც რომ განზე გადავდოთ ჩვენი მთავარი მიზანი — კვლავწარმოების პროცესის განხილვა მისი ძირითადი ფორმით, რომელშიაც საქმის გამაბუნდოვანებელი ყველა დამატებითი გარემოება ჩამოცილებულია, — სავსებით აუცილებელი იმისთვის, რომ თავიდან მოვიშოროთ მცდარი ფანდები, რომელნიც «მეცნიერული» ახსნა-განმარტების ილუზიას ჰქმნიან, როდესაც თავიდანვე ანალიზის საგნად ხდიან საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესს მის დახლართულ კონკრეტულ ფორმაში.

მაშასადამე, ის კანონი, რომლის თანახმად კაპიტალისტური მწარმოებლების მიერ მიმოქცევისათვის ავანსებული ფული კვლავწარმოების ნორმალური მიმდინარეობისას (მარტივი მასშტაბით იქნება იგი წარმართული თუ გაფართოებული მასშტაბით) თავის ამოსავალ პუნქტს უნდა უბრუნდებოდეს (ამასთან სულ ერთია, ფული კაპიტალისტურ მწარმოებლებს ეკუთვნის, თუ ნასესხებია მათ მიერ), — ეს კანონი ერთხელ და სამუდამოდ გამორიცხავს იმ ჰიპოთეზას, რომ 200 II_c (d) ფულად იქცევა I-ის მიერ ავანსებული ფულის მეოხებით.

2) ძირითადი კაპიტალის ანაზღაურება in natura

ახლახან განხილული ჰიპოთეზის თავიდან აცილების შემდეგ რჩება კიდევ მხოლოდ ისეთი შესაძლებლობანი, რომელნიც, გარდა გაცვეთილი ნაწილის ფულით ანაზღაურებისა, შეიცავენ აგრეთვე მთლად დრომოჭმული ძირითადი კაპიტალის ანაზღაურებასაც in natura.

აქამდე ჩვენ ვგულისხმობდით:

a) რომ 1 000 გირვ. სტერლინგს, რაც I-მა ხელფასის სახით გადაიხადა, მუშები იმავე ღირებულების II_c-ზე ხარჯავენ, ე. ი. რომ ისინი ამ 1 000 გირვ. სტერლინგით მოხმარების საშუალებებს ყიდულობენ.

ის გარემოება, რომ აქ 1 000 გირვ. სტერლინგი ავანსებულია ფულის სახით I-ის მიერ, მხოლოდ ფაქტის უბრალო კონსტატაციაა. სათანადო კაპიტალისტურმა მწარმოებლებმა მუშებს ფულით უნდა გადაუხადონ ხელფასი; ამ ფულს შემდეგ მუშები ხარჯავენ საარსებო საშუალებებზე და საარსებო საშუალებათა გამყიდველთათვის იგი, თავის მხრივ, მიმოქცევის საშუალების როლს ასრულებს მათი მუდ-

ბივი კაპიტალის გარდაქმნისას საქონლური კაპიტალიდან მწარმოებლურ კაპიტალად. ეს ფული, მართალია, მრავალ არხში გაივლის (წვრილი ვაჭრები, სახლმფლობელები, გადასახადთა ამკრეფნი, არამწარმოებელი მუშაკები, როგორიც არიან ექიმები და სხვ., რომელთაც თვით მუშა საჭიროებს) და ამიტომ იგი მთოლოდ ნაწილობრივ მიედინება უშუალოდ I ქვედანაყოფის მუშების ხელიდან II ქვედანაყოფის კაპიტალისტთა ხელში. მიმდინარეობამ შეიძლება მეტნაკლებ შეჩერება განიცადოს, ამიტომ შეიძლება ახალი ფულადი რეზერვები გახდეს აუცილებელი კაპიტალისტთა მხარეზე. მაგრამ ყოველივე ეს ძირითადი ფორმის განხილვისას მხედველობაში არ მიიღება.

b) ნაგულისხმევი იყო, რომ ერთ შემთხვევაში I გაიღებს ავანსად II-ისგან საქონლის საყიდლად შემდგომ 400 გირვ. სტერლინგს ფულად, რაც მას უკან უბრუნდება, მეორე შემთხვევაში კი II გაიღებს ავანსად I-ისგან საყიდლად 400 გირვ. სტერლინგს, რაც მას უკან უბრუნდება. ამის დაშვება აუცილებელია, რადგან ნებისმიერი იქნებოდა, თუ პირიქით ვიგულისხმებდით, რომ I ქვედანაყოფის კაპიტალისტები ან II ქვედანაყოფის კაპიტალისტები ცალმხრივად გაიღებენ ავანსად მიმოქცევისათვის ფულს, რომელიც აუცილებელია საქონელთა გაცვლისათვის. რადგან წინა პარაგრაფში 1) ნაჩვენები იყო, რომ უარსაყოფია როგორც უაზრო ის ჰიპოთეზა, რომლის თანახმად I გადაისვრის მიმოქცევაში დამატებით ფულს, რაც საჭიროა 200 II_c (d) ფულად გარდაქმნისათვის, ამიტომ, ცხადია, კიდევ რჩება მხოლოდ ერთი ჰიპოთეზა, რომელიც კიდევ უფრო უაზროდ გვეჩვენება: II თვითონ გადაისვრის მიმოქცევაში ფულს, რომლის მეოხებითაც ფულად იქცევა საქონლის ღირებულების ის ნაწილი, რომელმაც ძირითადი კაპიტალის გაცვეთა უნდა აანაზღაურის. მაგალითად, ღირებულების ნაწილი, რომელიც ბ-ნი x-ის სართავმა მანქანამ დაჰკარგა წარმოებაში, ხელახლა გვეელინება როგორც ნართის ღირებულების ნაწილი; რაც სართავ მანქანას ერთ მხარეზე ღირებულების მხრივ აკლდება გაცვეთის გამო, ის X-ს ფულად უნდა დაუგროვდეს მეორე მხარეზე. ვთქვათ, X ყიდულობს, მაგალითად, 200 გირვ. სტერლინგის ბამბას Y-ისგან, და ამგვარად მიმოქცევისათვის ავანსად გაიღებს 200 გირვ. სტერლინგს ფულის სახით: Y ყიდულობს მისგან იმავე 200 .გირვ. სტერლინგით ნართს, და ეს 200 გირვ. სტერლინგი ახლა X-ისთვის სართავი მანქანის გაცვეთის ანაზღაურების ფონდს წარმოადგენს. ეს იგივე იქნებოდა, X-მა რომ, თავისი წარმოებისგან, ამ წარმოების პროდუქტისა და მისი გაყიდვისგან დამოუკიდებლად, in petto (მზად) იქონიოს 200 ჯირვ. სტერლინგი იმისათვის, რომ თავის თავს გადაუხადოს სართავი

მანქანის ღირებულების დანაკარგი, ე. ი. მან რომ, გარდა მისი მანქანის ღირებულების დანაკარგისა 200 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, კიდევ თავის ჯიბიდან 200 გირვ. სტერლინგი დაუმატოს ყოველწლიურად იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს შესაძლებლობა ჰქონდეს ახალი სართავი მანქანა იყიდოს.

მაგრამ უაზრობა მაოლოდ მოჩვენებითია. II ქვედანაყოფი შედგება კაპიტალისტებისგან, რომელთა ძირითადი კაპიტალი თავისი კვლავწარმოების სულ სხვადასხვა სტადიაში იმყოფება. ზოგიერთთათვის უკვე დამდგარია ვადა, როდესაც ძირითადი კაპიტალი მთლიანად უნდა ანაზღაურდეს in natura, სხვებისთვის ძირითადი კაპიტალი ცოტად თუ ბევრად დაშორებულია ამ სტადიას; ამ უკანასკნელი ჯგუფის ყველა წევრისთვის საერთო ის გარემოებაა, რომ მათი ძირითადი კაპიტალი არ იკვლავწარმოება რეალურად, ე. ი. არ ხდება მისი განახლება in natura, ანუ იმავე სახის ახალი ეგზემპლარით ანაზღაურება, არამედ მისი ღირებულება თანმიმდევრობით გროვდება ფულის სახით. პირველი ჯგუფი კი მთლად (ან ნაწილობრივ, რაც აქ სულ ერთია) იმავე მდგომარეობაში იმყოფება, როგორც თავისი საწარმოს გახსნის დროს, როდესაც კაპიტალისტები ბაზარზე გამოვიდნენ ფულადი კაპიტალით, რათა ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, (ძირითად და საბრუნავ) მუდმივ კაპიტალად გადაექციათ, ხოლო, მეორე მხრივ,— სამუშაო ძალად, ცვალებად კაპიტალად. წინანდებურად მათ ახლა ეს ფულადი კაპიტალი ხელახლა უნდა ავანსად გაიღონ მიმოქცევისათვის, მაშასადამე, უნდა ავანსად გაიღონ მუდმივი ძირითადი კაპიტალის ღირებულება სრულიად ისევე, როგორც საბრუნავი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულება.

ამრიგად, ივარაუდება, რომ 400 გირვ. სტერლინგიდან, რომელსაც II ქვედანაყოფის კაპიტალისტები მიმოქცევაში გადაისვრიან I-თან გაცვლის მიზნით, ნახევარი მომდინარეობს II-ის ისეთი კაპიტალისტებისგან, რომლებმაც უნდა განაახლონ თავიანთ საქონელთა საშუალებით არა მარტო წარმოების ის თავიანთი საშუალებანი, რომელნიც საბრუნავ კაპიტალს ეკუთვნიან, არამედ თავიანთი ფულის საშუალებით უნდა განაახლონ ასევე თავიანთი ძირითადი კაპიტალიც in natura, მაშინ როდესაც II ქვედანაყოფის კაპიტალისტთა მეორე ნახევარი თავისი ფულით მხოლოდ თავისი მუდმივი კაპიტალის საბრუნავ ნაწილს ანაზღაურებს in natura, მაგრამ არ განაახლებს თავის ძირითად კაპიტალს in natura. ასეთი ვარაუდის დროს არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს ის, რომ უკან დაბრუნებული 400 გირვ. სტერლინგი (იგი უკან ბრუნდება როდესაც I ამ თანხით მოხმარების

საშუალებებს ყიდულობს) სხვადასხვაგვარად ნაწილდება II კაპიტალისტთა ამ ორ ჯგუფს შორის. იგი უკან ბრუნდება II ქვედანაყოფში, მაგრამ უკან ბრუნდება არა ერთ და იმავე კაპიტალისტთა ხელში, არამედ სხვაგვარად ნაწილდება ამავე ქვედანაყოფის ფარგლებში, იგი მისი ერთი ნაწილიდან მეორეზე გადადის.

II კაპიტალისტების ერთმა ნაწილმა, გარდა წარმოების საშუალებათა იმ ნაწილისა, რომელიც ბოლოს და ბოლოს მათივე საქონლითაა დაფარული, 200 გირვ. სტერლინგი ფული გადააქცია ძირითადი კაპიტალის ახალ ელემენტებად in natura. მათი ამ წესით დახარჯული ფული — ისევე როგორც საწარმოს დასაწყისში — მთელი რიგი წლების განმავლობაში უკან უბრუნდება მათ მიმოქცევიდან როგორც გაცვეთის შესაბამისი შემადგენელი ნაწილი ამ ძირითადი კაპიტალით წარმოებულ საქონელთა ღირებულებისა.

პირიქით, II ქვედანაყოფის კაპიტალისტების მეორე ნაწილს 200 გირვ. სტერლინგით არავითარი საქონელი არ მიუღია I-ისგან, არამედ ეს უკანასკნელი უხდის მას იმ ფულით, რომლითაც II კაპიტალისტთა პირველმა ნაწილმა ძირითადი კაპიტალის ელემენტები იყიდა. II კაპიტალისტთა ერთ ნაწილს კვლავ ხელთ აქვს თავისი ძირითადი კაპიტალღირებულება განახლებული ნატურალური ფორმით, მეორე ნაწილი კი ჯერ კიდევ იმას ცდილობს, რომ ეს ღირებულება ფულადი ფორმით დააგროვოს, რათა შემდგომ თავისი ძირითადი კაპიტალი აანაზღაუროს in natura.

დებულება, რომლიდანაც ჩვენ უნდა გამოვიდეთ, ასეთია: წინანდელ გაცვლათა შემდეგ ორივე მხრივ გასაცვლელ საქონელთა ნაშთი არის I-ისთვის 400_m, II-ისათვის 400_c[52]. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ II ავანსად გაიღებს 400 ფულად ამ 800-ად ღირებულ საქონელთა გაცვლისთვის. ამ 400-ის ნახევარი (=200) ყველა გარემოებაში უნდა დაიხარჯოს II_c ნაწილის მიერ, რომელმაც 200 ფულად დააგროვა როგორც გაცვეთის შესაბამისი ღირებულება და რომელმაც ახლა ხელახლა უნდა გარდაქმნას იგი თავისი ძირითადი კაპიტალის ნატურალურ ფორმად.

სრულიად ისე, როგორც მუდმივი კაპიტალღირებულება, ცვალებადი კაპიტალღირებულება და ზედმეტი ღირებულება — რომლებადაც შეიძლება დაიშალოს II-ის და I-ის საქონლური კაპიტალის ღირებულება—შეიძლება გამოიხატოს თვით II-ის—შესაბამისად I-ის—საქონელთა

[52] ციფრები კვლავ არ ეთანხმება წინათ აღებულ ვარაუდს. მაგრამ ეს მაინც სულ ერთია, რადგან აქ საქმე მხოლოდ შეფარდებაშია. — ფ. ე.

განსაკუთრებულ პროპორციულ წილთა სახით, — სრულიად ასევე შეიძლება გამოიხატოს თვით მუდმივი კაპიტალღირებულების ფარგლებში ღირებულების ის ნაწილიც, რომელიც ჯერ არაა ძირითადი კაპიტალის ნატურალურ ფორმად გარდასაქმნელი, არამედ ჯერ კიდევ თანდათან უნდა დაგროვდეს ფულადი ფორმით როგორც განძი. II-ის საქონელთა ჯანსაზღვრული რაოდენობა (მაშასადამე, ჩვენს მაგალითში ნაშთის ნახევარი = 200) მხოლოდ ატარებს გაცვეთის ამ ღირებულებას, რომელიც გაცვლის გზით ფულად უნდა დაილექოს. (II-ის კაპიტალისტთა პირველმა ნაწილმა, რომელიც ძირითად კაპიტალს განაახლებს in natura, — იმ საქონლურ მასაში მოქცეული გაცვეთის ამ ღირებულების შესაბამის ნაწილთან ერთად, რომლიდანაც აქ მხოლოდ ნაშთიღაა დარჩენილი — შეიძლება ამგვარად კიდეც მოახდინა თავისთვის გაცვეთის შესაბამისი ღირებულების ნაწილის რეალიზაცია; მაგრამ კაპიტალისტთა ამ ნაწილს, ამრიგად, ფულის სახით სარეალიზაციოდ კიდევ რჩება 200).

რაც შეეხება II-ის მიერ ამ საბოლოო ოპერაციის დროს მიმოქცევაში გადასროლილი 400 გირვ. სტერლინგის მეორე ნახევარს (= 200), — ამ ნაევრით წარმოებს მუდმივი კაპიტალის საბრუნავი შემადგენელი ნაწილების ყიდვა I-ისგან. ამ 200 გირვ. სტერლინგის ნაწილი, შესაძლებელია, II კაპიტალისტთა ორივე ნაწილმა გადაისროლა მიმოქცევაში ან მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელიც ღირებულების ძირითად შემადგენელ ნაწილს არ განაახლებს in natura.

ამრიგად, 400 გირვ. სტერლინგით I-ისგან მიაქვთ: 1) 200 გირვ. სტერლინგის ჯამის შესაბამისი საქონელი, რომელიც მხოლოდ ძირითადი კაპიტალის ელემენტებისგან შედგება, 2) 200 გირვ. სტერლინგის ჯამის შესაბამისი საქონელი, რომელიც მხოლოდ II-ის მუდმივი კაპიტალის საბრუნავ ნაწილს ანაზღაურებს ნატურალური ფორმით. I-მა ახლა გაყიდა მთელი თავისი წლიური საქონლური პროდუქტი, რამდენადაც ეს-II-ს უნდა მიჰყიდოს; მაგრამ ამ პროდუქტის ერთი მეხუთედის ღირებულება, 400 გირვ. სტერლ., ახლა მის ხელში არსებობს ფულადი ფორმით. მხოლოდ ეს ფული წარმოადგენს ფულად ქცეულ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც შემოსავლის სახით მოხმარების საშუალებებზე უნდა დაიხარჯოს. ამგვარად, I ამ 400 გირვ. სტერლინგით ყიდულობს II-ისგან მთელ საქონლურ ღირებულებას = = 400. მაშასადამე, ფული II-ის საქონლის მოძრაობაში მოყვანით, უკუმოედინება II-თან.

ვივარაუდოთ ახლა სამი შემთხვევა. ამასთან II კაპიტალისტთა ის ნაწილს, რომელიც ძირითად კაპიტალს ანაზღაურებს in natura, ეუ-

წოდოთ «1 ნაწილი», ხოლო იმას, რომელიც ძირითადი კაპიტალის გაცვეთის ღირებულებას ფულადი ფორმით აგროვებს, ვუწოდოთ «2 ნაწილი». სამი შემთხვევა შემდეგია: a) განსაზღვრულმა წილმა იმ 400-დან, რომელიც როგორც ნაშთი კიდევ არსებობს საქონელთა სახით II-თან, უნდა აანაზღაუროს მუდმივი კაპიტალის საბრუნავი ნაწილების გარკვეული წილი 1 ნაწილისთვის და 2 ნაწილისთვის (ვთქვათ, ნახევარ-ნახევარი); b) 1 ნაწილმა უკვე გაყიდა მთელი თავისი საქონელი, მაშასადამე, 2 ნაწილმა კიდევ უნდა გაყიდოს 400; c) 2 ნაწილმა ყველაფერი გაყიდა, გარდა 200-ისა, რომელიც გაცვეთის ღირებულებას შეიცავს.

მაშინ ჩვენ მივიღებთ შემდეგ დანაწილებას:

a) საქონლის ღირებულებიდან = 400$_c$, რომელიც ჯერ კიდევ ხელთ აქვს II-ს, 1 ნაწილს ეკუთვნის 100 და 2 ნაწილს — 300; ამ 300-იდან 200 წარმოადგენს გაცვეთას. ამ შემთხვევაში იმ 400 გირვ. სტერლინგი ფულიდან, რასაც ახლა I უკან აბრუნებს II-ის საქონელთა მისაღებად, 1 ნაწილის მიერ თავდაპირველად დახარჯული იყო 300, სახელდობრ 200 ფულად, რომლითაც მან I-ისგან წამოიღო ძირითადი კაპიტალის ელემენტები in natura, და 100 აგრეთვე ფულად I-თან საქონელთა გაცვლის განსახორციელებლად; პირიქით, 2 ნაწილმა ამ 400-იდან ავანსად გაიღო მხოლოდ $^1/_4$, ე. ი. 100, — ასევე I-თან საქონელთა გაცვლის განსახორციელებლად.

ამრიგად, ამ 400 ფულიდან 1 ნაწილმა ავანსად გაიღო 300 და 2 ნაწილმა — 100.

მაგრამ ამ 400-იდან უკან უბრუნდება:

1 ნაწილს: 100, მაშასადამე, ავანსებული ფულის მხოლოდ $^1/_3$. მაგრამ ამ დანარჩენი $^2/_3$-ის სამაგიეროდ მას განახლებული აქვს 200 ღირებულების ძირითადი კაპიტალი. კაპიტალის ამ ძირითადი ელემენტისათვის, რომლის ღირებულება 200-ია, მან I ფული მისცა, მაგრამ არ მიუცია არავითარი დამატებითი საქონელი. რამდენადაც საქმე ეხება ფულის სახით არსებულ ამ 200, 1 ნაწილი უპირისპირდება I-ქვედანაყოფს მხოლოდ როგორც მყიდველი, მაგრამ შემდეგში აღარ უპირისპირდება როგორც გამყიდველი. მაშასადამე, ეს ფული არ შეიძლება უკან დაუბრუნდეს 1 ნაწილს; წინააღმდეგ შემთხვევაში ისე გამოვიდოდა, რომ მან საჩუქრად მიიღო I-ისგან ძირითადი კაპიტალის ელემენტები. — რაც შეეხება 1 ნაწილის მიერ ავანსებული ფულის უკანასკნელ მესამედს, 1 ნაწილი გამოდის პირველად როგორც თავისი მუდმივი კაპიტალის საბრუნავი შემადგენელი ნაწილების მყიდველი. ამავე ფულით I ყიდულობს 1 ნაწილისაგან მისი

საქონლის ნაშთს 100-ის ღირებულების ოდენობით. მაშასადამე, ფული უკან უბრუნდება მას (II-ის 1 ნაწილს), იმიტომ რომ იგი გამოდის როგორც საქონლის გამყიდველი, იმწამსვე მას შემდეგ, რაც მყიდველის სახით გამოვიდა. ფული რომ უკან არ ბრუნდებოდეს, ისე გამოვიდოდა, რომ II ქვედანაყოფმა (1 ნაწილმა) 100-ის ღირებულების საქონლისთვის ჯერ მისცა I-ს 100 ფულად და შემდეგ კიდევ გარდა ამისა 100 საქონლით, — მაშასადამე, აჩუქა მას თავისი საქონელი.

პირიქით, 2 ნაწილს, რომელმაც დახარჯა 100 ფულის სახით, უკან უბრუნდება 300; 100 — იმიტომ, რომ მან პირველად როგორც მყიდველმა გადაისროლა მიმოქცევაში 100 ფულად და შემდეგ იგი როგორც გამყიდველმა უკან დაიბრუნა; 200 — იმიტომ, რომ იგი მოქმედებს მხოლოდ როგორც გამყიდველი 200 ღირებულების საქონლისა, მაგრამ არა როგორც მყიდველი. მაშასადამე, ფული არ შეიძლება უკან დაუბრუნდეს I-ს, მაშასადამე, ძირითადი კაპიტალის გაცვეთა დაფარულია II-ის (1 ნაწილის) მიერ ძირითადი კაპიტალის ელემენტების საყიდლად მიმოქცევაში გადასროლილი ფულით; მაგრამ 2 ნაწილი მას მიიღებს არა როგორც 1 ნაწილის ფულს, არამედ როგორც ფულს, რომელიც I-ქვედანაყოფს ეკუთვნის.

b) ამ ნაგულისხმევის .მიხედვით II_c ნაშთი ისე განაწილდება, რომ 1 ნაწილს ეკუთვნის 200 ფულად და 2 ნაწილს — 400 საქონლით.

1 ნაწილმა ყველა თავისი საქონელი გაყიდა, მაგრამ 200 ფულად წარმოადგენს მისი მუდმივი კაპიტალის იმ ძირითადი შემადგენელი ნაწილის გარდაქმნილ ფორმას, რომელიც მან უნდა განაახლოს in natura. მაშასადამე, 1 ნაწილი აქ გამოდის მხოლოდ როგორც მყიდველი და თავისი ფულის სანაცვლოდ იღებს ღირებულების იმავე ჯამის საქონელ I-ს ძირითადი კაპიტალის ნატურალური ელემენტების სახით. 2 ნაწილმა მიმოქცევაში უნდა გადაისროლოს (თუ I-ს ფული ავანსად არ გაუღია საქონელთა გაცვლისათვის I-სა და II-ს შორის) მაქსიმუმი მხოლოდ 200 გირვ. სტერლინგი, რადგან თავისი საქონლის ღირებულების ნახევრის რაოდენობით იგი I-ის მიმართ მხოლოდ გამყიდველია და არა მყიდველი.

მიმოქცევიდან 2 ნაწილს უკან უბრუნდება 400 გირვ. სტერლინგი: 200 — იმიტომ, რომ იგი მან ავანსად გაიღო როგორც მყიდველმა და მას იგი უკან იღებს როგორც 200 საქონლის გამყიდველი; 200 — იმიტომ, რომ მან 200 ღირებულების საქონელი I-ს მიჰყიდა ისე, რომ მას არ წაუღია I-ისაგან საქონლის შესაბამისი ეკვივალენტი.

c) 1 ნაწილს აქვს 200 ფულად და 200_c საქონლის სახით; 2 ნაწილს — 200_c (d) საქონლის სახით.

ამ ნაგულისხმევის მიხედვით 2 ნაწილს ფულის სახით არავითარი ავანსად გაღება არ სჭირდება, იმიტომ რომ იგი I-ის მიმართ საერთოდ მყიდველის სახით კი აღარ მოქმედებს, არამედ მხოლოდ გამყიდველის სახით, მაშასადამე, მან უნდა იცადოს, ვიდრე მისგან იყიდიან.

1 ნაწილი ავანსად გაიღებს 400 გირვ. სტერლინგს ფულად; 200 — I-თან საქონლის ურთიერთგაცვლისათვის, 200 — როგორც I ქვედანაყოფის საქონლის ცალმხრივი მყიდველი I-ისა. ამ უკანასკნელი 200 გირვ. სტერლ. ფულით იგი ძირითადი კაპიტალის ელემენტებს ყიდულობს.

200 გირვ სტერლ. ფულით I ყიდულობს 200-ის საქონელს 1 ნაწილისგან, რომელსაც ამით უკან უბრუნდება მის მიერ საქონელთა ამ გაცვლისათვის ავანსებული 200 გირვ. სტერლინგი ფულის სახით; დანარჩენი 200 გირვ სტერლინგით — რომელიც მან აგრეთვე 1 ნაწილისგან მიიღო — I ყიდულობს 200-ის საქონელს 2 ნაწილისაგან, რის გამო ამ უკანასკნელისათვის ფულის სახით დაილექება მისი ძირითადი კაპიტალის გაცვეთა.

საქმე სრულიადაც არ შეიცვლებოდა, თუ ვიგულისხმებდით, რომ c, შემთხვევაში არა II (1 ნაწილი), არამედ I ავანსად გაიღებს ფულს 200-ის რაოდენობით არსებულ საქონელთა გაცვლისათვის. თუ შემდგომ I ქვედანაყოფი ჯერ 200-ის საქონელს იყიდის II-ისგან, 2 ნაწილისგან, — იგულისხმება, რომ ამ უკანასკნელს მხოლოდღა ეს საქონლის ნაშთი აქვს გასაყიდი, — 200 გირვ. სტერლინგი უკან არ დაუბრუნდება I-ს, იმიტომ რომ II, 2 ნაწილი, აღარ გამოდის კვლავ როგორც მყიდველი; მაგრამ II-ემ, 1 ნაწილმა, შემდეგ 200 გირვ. სტერლ. ფულით უნდა იყიდოს, აგრეთვე 200-ის საქონელი უნდა გაცვალოს, მაშასადამე, საერთოდ 400 უნდა გაუცვალოს I-ს. მაშინ 200 გირვ. სტერლინგი ფულად უკან დაუბრუნდება I-ს II-ისგან, 1 ნაწილისგან. თუ I ქვედანაყოფმა იგი ისევ დახარჯა II-ქვედანაყოფის, 1 ნაწილისგან 200-ის საქონლის საყიდლად, — იგი მას უკან დაუბრუნდება, როდესაც II, 1 ნაწილი, 400-ს საქონლის მეორე ნახევარს წაიღებს I-ისგან. 1 ნაწილმა (II) 200 გირვ. სტერლ. ფული დახარჯა როგორც ძირითადი კაპიტალის ელემენტების უბრალო მყიდველმა; ამიტომ ეს ფული მას უკან არ უბრუნდება, არამედ იმას ემსახურება, რომ II-ის, 2 ნაწილის, საქონელთა ნაშთი 200_c ფულად აქციოს; მაშინ როდესაც საქონლის გაცვლისთვის დახარჯული ფული, 200 გირვ. სტერლინგი, I-ს უკან უბრუნდება არა II-ის 2 ნაწილისგან, არამედ II-ის 1 ნაწი-

ლისგან. მისი 400 ოდენობის საქონლისთვის მას უკან დაუბრუნდა საქონლური ეკვივალენტი 400 ოდენობით; მას უკან დაუბრუნდა აგრეთვე მის მიერ 800 ოდენობის საქონლის გაცვლისათვის ავანსებული 200 გირვ. სტერლ. ფული, — და, ამრიგად, ყველაფერი წესრიგზეა.

სიძნელე, რომელიც წამოიჭრა გაცვლისას:

I. $\frac{1\,000_{ф} + 1\,000_{т}}{2\,000_{ф}}$, დაყვანილ იქნა სიძნელეზე ნაშთების გაცვლისას

II.

I. . . . . 400$_{т}$

II. (1) 200 ფული + 200$_{ф}$ საქონელი + (2) 200$_{ф}$ საქონელი, ანუ, საქმე რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ:

I. 200$_{т}$ + 200$_{т}$.

II. (1) 200 ფული + 200$_{ф}$ საქონელი + (2) 200$_{ф}$ საქონელი.

რადგან II-ისთვის, 1 ნაწილისთვის, 200$_{ф}$ საქონელი იცვლება 200 I$_{т}$-ზე (საქონელზე) და რადგან მთელი ფული, რომელიც 400 საქონლის ამ გაცვლისას მიმოქცევა I-სა და II-ს შორის, უკან უბრუნდება იმას, ვინც იგი ავანსად გაიღო, — I-ს ან II-ს, — ამიტომ ეს ფული, როგორც I-სა და II-ს შორის გაცვლის ელემენტი არსებითად არ წარმოადგენს იმ პრობლემის ელემენტს, რომელთანაც ჩვენ აქ საქმე გვაქვს. ანუ, საქმე რომ სხვაგვარად წარმოვიდგინოთ: თუ ვიგულისხმებთ, რომ გაცვლაში 200 I$_{т}$ (საქონელსა) და 200 II$_{ф}$ (II-ის, 1 ნაწილის საქონელს) შორის ფული მოქმედებს როგორც გადახდის საშუალება და არა როგორც ყიდვის საშუალება, მაშასადამე, აგრეთვე არა როგორც «მიმოქცევის საშუალება» ვიწრო აზრით, მაშინ ცხადი იქნება, — რადგან საქონელნი 200 I$_{т}$ და 200 II$_{ф}$ (1 ნაწილისა) ტოლნი არიან ღირებულების სიდიდით, — რომ წარმოების საშუალებანი 200 ღირებულებისა იცვლება 200 ღირებულების მოხმარების საშუალებებზე, რომ ფული აქ მხოლოდ იდეალურად მოქმედებს და სინამდვილეში საჭირო არაა რაიმე ფულის გადასროლა მიმოქცევაში ბალანსის გასასწორებლად ამა თუ იმ მხარეზე. მაშასადამე, პრობლემა მისი წმინდა სახით მხოლოდ მაშინ წარმოგვიდგება, როდესაც ჩვენ ორივე მაარეზე, I-სა და II-ზე, წავშლით საქონელ 200 I$_{т}$ და მის ეკვივალენტს — საქონელ 200 II$_{ф}$ (1 ნაწილისას).

ამრიგად, თანაბარი ღირებულების მქონე ამ ორი (I და II) ურთიერთ დამფარველი საქონლის მასის თავიდან მოცილების შემდეგ გაცვლისთვის რჩება ისეთი ნაშთი, რომელშიაც პრობლემა წარმოგვიდგება წმინდა სახით, სახელდობრ:

I. 200_m საქონელი.
II. (1) 200_c ფული + (2) 200_v საქონელი.

აქ ცხადია: II, 1 ნაწილი, 200 ფულით ყიდულობს 200 I_m — თავისი ძირითადი კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს; ამის მეოხებით II-ის, 1 ნაწილის, ძირითადი კაპიტალი განახლებულია in natura და I-ის ზედმეტი ღირებულება, 200 ღირებულებისა, საქონლური ფორმიდან (წარმოების საშუალებებიდან და სახელდობრ ძირითადი კაპიტალის ელემენტებიდან) გარდაქმნილია ფულად ფორმად. ამ ფულით I ყიდულობს მოხმარების საშუალებებს II-ისგან, 2 ნაწილისგან, და შედეგი II-ისთვის ისეთია, რომ 1 ნაწილისთვის მისი მუდმივი კაპიტალის ძირითადი შემადგენელი ნაწილი განახლებულია in natura: და რომ 2 ნაწილისთვის ს

პირველი შემთხვევა.

I. 200_m.

II. (1)220_c (ფულად) + (2) 200_c (საქონლით).

აქ 200 გირვ. სტერლ. ფულით II_c (1) ყიდულობს 200 I_m საქონელს, და I იმავე ფულით ყიდულობს 200 II_c (2) საქონელს, მაშასადამე, ძირითადი კაპიტალის იმ შემადგენელ ნაწილს, რომელიც უნდა დაილექოს ფულის სახით; ეს ნაწილი ამით ფულადაა ქცეული. მაგრამ 20 II_c (1) ფულის სახით არ შეუძლია უკუგარდაიქმნას ძირითად კაპიტალად in natura.

ამ გასაჭირს თითქოს შეიძლება ეშველოს, თუ ვიგულისხმებთ, რომ I_m-ის ნაშთი უდრის არა 200, არამედ 220, ასე რომ წინანდელი გაცვლით 2 000 I-იდან საქმე გათავებულია არა 1 800 მიმართ, არამედ მხოლოდ 1 780 მიმართ. ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნება:

I. 220_m.

II. (1) 220_c (ფულით) + (2) 200_c (საქონლით).

II_c, 1 ნაწილი, 220 გირვ. სტერლინგი ფულით ყიდულობს 220 I_m და შემდეგ I 200 გირვ. სტერლინგით ყიდულობს 200 II_c (2) საქონელს. მაგრამ მაშინ I მხარეზე რჩება 20 გირვ. სტერლინგი ფულად, — ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომელიც I შეუძლია მხოლოდ ფულის სახით გააჩეროს, მაგრამ არ შეუძლია მოხმარების საშუალებებზე დახარჯოს. ამგვარად სიძნელემ მხოლოდ გადაინაცვლა II_c (1 ნაწილი)-იდან I_m-ზე.

ვიგულისხმოთ ახლა, რომ II_c, 1 ნაწილი, პირიქით, ნაკლებია, ვიდრე II_c (2 ნაწილი), მაშასადამე:

მეორე შემთხვევა.

I. 200_m (საქონლით).

II. (1) 180_c (ფულით) + (2) 200_c (საქონლით).

II (1 ნაწილი) 180 გირვ. სტერლ. ფულით ყიდულობს 180 I_m საქონელს; I ამ ფულით ყიდულობს II (2 ნაწილი)-სგან იმავე ღირებულების საქონელს, მაშასადამე, 180 II_c (2)-ს; რჩება ერთ მხარეზე 20 I_m გაუყიდავი და ასევე მეორე მხარეზე 20 II_c (2); 40 ღირებულების ეს საქონელი ვერ გარდაიქმნება ფულად.

იმის დაშვება, რომ ნაშთი I = 180, ეს სრულიადაც ვერ გვიშველიდა; მართალია, მაშინ I-ში ნამეტი არ დარჩებოდა, მაგრამ II_c-ში (2 ნაწილში) უწინდებურად დარჩებოდა ნამეტი 20, რომელიც ვერ გაიყიდება, ვერ გარდაიქმნება ფულად.

პირველ შემთხვევაში, სადაც II (1) უფრო დიდია, ვიდრე II (2), II_c (1) მხარეზე რჩება ნამეტი ფულად, რომელიც ვერ გარდაიქმნება ძირითად კაპიტალად, ანუ — თუ ვიგულისხმებთ, რომ ნაშთი $I_m = II_c$ (1), — I_m მხარეზე აღმოჩნდება იგივე ნამეტი ფულად, რომელიც ვერ გარდაიქმნება მოხმარების საშუალებებად.

მეორე შემთხვევაში, სადაც II_c (1) ნაკლებია, ვიდრე II_c (2), 200 I_m და II_c (2) მხარეზე აღმოჩნდება ფულადი დეფიციტი და ორივე მხარეზე ასეთივე ნამეტი საქონლის სახით, ანუ — თუ ვიგულისხმებთ, რომ $I_m = II_c$ (2) — რჩება ფულადი დეფიციტი და ნამეტი საქონლის სახით II_c (2) მხარეზე.

თუ ვიგულისხმებდით, I_m და II_c (1) ნაშთები ყოველთვის თანაბარია, — რადგან დაკვეთები განსაზღვრავენ წარმოებას და კვლავწარმოებაში სრულიად არაფერი შეიცვლება იმის გამო, თუ მიმდინარე წელს II და I მუდმივი კაპიტალის მეტი ძირითადი შემადგენელი ნაწილები იწარმოება, ხოლო შემდგომ წელს — მეტი საბრუნავი შემადგენელი ნაწილები, — მაშინ პირველ შემთხვევაში I_m მხოლოდ იმ პირობით შეიძლებოდა გარდაქმნილიყო მოხმარების საშუალებებად, თუ I_m-ით I იყიდდა II-ისგან ზედმეტი ღირებულების ნაწილს, მაშასადამე, თუ ამ უკანასკნელს I კი არ მოიხმარდა, არამედ ფულის სახით დააგროვებდა; მეორე შემთხვევაში გაჭირვებას მხოლოდ იმით ეშველებოდა, თუ I თვითონ დახარჯავდა ფულს, — რაც ჩვენ მიერ უკუგდებულ ჰიპოთეზას წარმოადგენს.

თუ II_c (1) მეტია II_c (2)-ზე, I_m-ში ფულადი ნამეტის რეალიზაციისათვის აუცილებელია უცხოეთიდან საქონლის შემოზიდვა. თუ II_c (1) ნაკლებია II_c (2)-ზე, — მაშინ, პირიქით, აუცილებელია II საქონლის (მოხმარების საშუალებათა) გაზიდვა, რათა II_c გაცვეთილი ნაწილის რეალიზაცია მოხდეს წარმოების საშუალებათა სახით. მაშასადამე, ორსავე შემთხვევაში აუცილებელია საგარეო ვაჭრობა.

თუნდაც დავუშვათ, რომ უცვლელი მასშტაბით წარმართული კვლავწარმოების განხილვისას აუცილებელია იმის დაშვება, რომ მრეწველობის ყველა დარგის მწარმოებლობა, მაშასადამე, მათი საქონლური პროდუქტების პროპორციული თანაფარდობაც უცვლელი რჩება, — უკანასკნელი ორი შემთხვევა, სადაც II_c (1) უფრო დიდია ან ნაკლებია II_c (2)-ზე, მაინც მუდამ საინტერესო იქნებოდა გაფართოებული მასშტაბით წარმართული წარმოების შესწავლისას, სადაც ამ შემთხვევებს უეჭველად შეიძლება ადგილი ექნეს.

3) ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

რაც შეეხება ძირითადი კაპიტალის ანაზღაურებას, საერთოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი:

თუ, — რაკი ვიგულისხმებთ, რომ ყველა სხვა გარემოება, მაშასადამე, არა მიოლოდ წარმოების მასშტაბი, არამედ კერძოდ შრომის ნაყოფიერებაც უცვლელი რჩება, — მიმდინარე წელში ძირითადი ელემენტის: II_c უფრო დიდი ნაწილი კვდება, ვიდრე წინა წელში, მაშასადამე, აგრეთვე უფრო დიდი ნაწილი უნდა განახლდეს in natura, მაშინ ძირითადი კაპიტალის იმ ნაწილმაც, რომელიც სიკვდილის გზაზეა დამდგარი და მისი სიკვდილის მომენტამდე ჯერჯერობით ფულად არის ასანაზღაურებელი, უნდა იკლოს იმავე პროპორციით, რადგან, ნაგულისხმევის თანახმად, II-ში მოქმედი კაპიტალის ძირითადი ნაწილის ჯამი, (აგრეთვე ღირებულების ჯამიც) იგივე რჩება. მაგრამ ამას თან ახლავს შემდეგი გარემოება. პ ი რ ვ ე ლ ი: თუ I საქონლური კაპიტალის უფრო დიდი ნაწილი II_c ძირითადი კაპიტალის ელემენტებისგან შედგება, მაშინ შესაბამისად ნაკლები ნაწილი შედგება II_c საბრუნავი შემადგენელი ნაწილებისგან. რადგან I ერთობლივი წარმოება II_c-სთვის უცვლელი რჩება. თუ ერთი ნაწილი იზრდება, მეორე ნაწილი მცირდება, და პირიქით. მაგრამ, მეორე მხრივ, II ქვედანაყოფის ერთობლივი წარმოებაც წინანდელ სიდიდეს ინარჩუნებს. მაგრამ, როგორაა ეს შესაძლებელი მისი ნედლეულის, ნახევარფაბრიკატის, დამხმარე მასალის (ე. ი. II ძირითადი კაპიტალის საბრუნავი ელემენტების შემცირებისას? მ ე ო რ ე: ფულადი ფორმით ხელახლა აღდგენილი II_c ძირითადი კაპიტალის უფრო დიდი ნაწილი მიედინება I-თან, რათა ფულადი ფორმიდან ნატურალურ ფორმად უკუგარდაიქმნას. მაშასადამე, I-ისკენ მეტი ფული მიედინება, — გარდა იმ ფულისა, რაც I-სა და II-ს შორის საქონელთა უბრალო გაცვლისთვის მიმოიქცევა; მიედინება მეტი ფული, რომელიც მოსაშუალეობს არა საქონელთა ურთიერთგაცვლას, არამედ ცალმხრივად გამოდის მხოლოდ ყიდვის საშუალების ფუნქციის შემსრულებლად. ამავე დროს კი პროპორციულად შემცირდებოდა II_c საქონელთა მასა, რომელიც გაცვეთის ღირებულებას ანაზღაურებს, მაშასადამე, შემცირდება II ქვედანაყოფის იმ საქონელთა მასა, რომელიც I ქვედანაყოფის საქონლად კი არ უნდა გარდაიქმნას, არამედ მხოლოდ I-ის ფულად. I-ს მეტი ფული მიუვიდოდა II-ისგან როგორც ყიდვის უბრალო საშუალება და II ნაკლები საქონელი ექნებოდა, რომლის მიმართ I ქვედანაყოფი იმოქმედებდა მხოლოდ როგორც მყიდველი. I_m უფრო

დიდი ნაწილი ვერ გარდაიქმნებოდა II-ის საქონლად, რადგან I, უკვე გარდაქმნილია II საქონლად, I$_m$ ეს ნაწილი უნდა დარჩენილიყო ფულადი ფორმით.

პირიქითი შემთხვევა, — როდესაც II მკვდარი ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოება განსაზღვრულ წელიწადში ნაკლებია და, პირიქით, გაცვეთის ამნაზღაურებელი ნაწილი უფრო დიდია — ზემოთ ნათქვამის შემდეგ აღარ საჭიროებს შემდგომ განხილვას.

და, ამრიგად, უცვლელი მასშტაბით წარმართული კვლავწარმოების მიუხედავად, ადგილი ექნებოდა კრიზისს, — წარმოების კრიზისს.

ერთი სიტყვით: თუ მარტივი კვლავწარმოებისა და უცვლელ გარემოებათა არსებობისას, — სახელდობრ, შრომის ნაყოფიერების ერთობლივი სიდიდისა და ინტენსივობის უცვლელობისას, — ჩვენ ვიგულისხმებდით არა მუდმივ პროპორციას მკვდარ (გასაახლებელ) ძირითად კაპიტალსა და იმ ძირითად კაპიტალს შორის, რომელიც ძველი ნატურალური ფორმით განაგრძობს არსებობას (რომელიც მარტოოდენ თავისი გაცვეთის ასანაზღაურებლად პროდუქტებს მატებს ღირებულებას), მაშინ ერთ შემთხვევაში საკვლავწარმოებელი საბრუნავი შემადგენელი ნაწილების მასა იგივე დარჩებოდა, მაგრამ გაიზრდებოდა საკვლავწარმოებელი ძირითადი შემადგენელი ნაწილების მასა; მაშასადამე, ერთობლივი წარმოება I უნდა გაზრდილიყო ანდა, ფულადი ურთიერთობაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ადგილი ექნებოდა კვლავწარმოების დეფიციტს.

მეორე შემთხვევაში: თუ in natura საკვლავწარმოებელი ძირითადი კაპიტალი II-ის პროპორციული სიდიდე დაიკლებდა, მაშასადამე, იმავე პროპორციით მოიმატებდა II ძირითადი კაპიტალის ის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ჯერჯერობით ფულადაა ასანაზღაურებელი. მაშინ მუდმივი კაპიტალი II-ის იმ საბრუნავი შემადგენელი ნაწილების მასა, რომლებიც I-ის მიერაა კვლავწარმოებული, უცვლელი დარჩებოდა, ხოლო საკვლავწარმოებელი ძირითადი ნაწილების მასა, პირიქით, დაიკლებდა. ამრიგად, გვექნებოდა ან შემცირება I-ის ერთობლივი წარმოებისა, ანდა ნამეტი (როგორც უწინ იყო დეფიციტი) და თან ისეთი ნამეტი, რომელიც ფულად ვერ გადაიქცევა.

მართალია, პირველ შემთხვევაში იგივე შრომა, ნაყოფიერების. ხანგრძლიობისა და ინტენსივობის გადიდებისას, შეძლებდა უფრო დიდი პროდუქტის მოცემას, და ამრიგად შესაძლებელი იქნებოდა დეფიციტის დაფარვა პირველ შემთხვევაში; მაგრამ ასეთი ცვლილება ვერ მოხდებოდა შრომისა და კაპიტალის გადაუნაცვლებლად I-ის წარმოების ერთი დარგიდან მეორეში, ხოლო ყოველი ასეთი გადა-

ნაცვლება დაუყოვნებლივ გამოიწვევდა მოშლილობას. და, მეორე I მოუხდებოდა (რამდენადაც შრომის ხანგრძლიობა და ინტენსივობა მოიმატებდა) მეტი ღირებულების გაცვლა II ნაკლებ ღირებულებაზე, მაშასადამე, ადგილი ექნებოდა I პროდუქტის გაუფასურებას.

პირიქით იქნებოდა მეორე შემთხვევაში, სადაც I იძულებულია თავისი წარმოება შეკვეცოს, რაც კრიზისს ნიშნავს მასში დასაქმებული მუშებისა და კაპიტალისტებისთვის, ანდა იგი იძლევა გადანამეტს, რაც ისევ კრიზისს მოასწავებს. თავისდათავად ასეთი გადანამეტი უბედურება კი არა, სასარგებლო მოვლენაა, მაგრამ იგი კაპიტალისტურ წარმოებაში უბედურებაა.

ორივე შემთხვევაში საგარეო ვაჭრობას შეეძლო შველა: პირველ შემთხვევაში — რათა ფულადი ფორმით შეჩერებული საქონელი I გარდაექმნა მოხმარების საშუალებებად, მეორე შემთხვევაში—რათა საქონლის სახით არსებული გადანამეტი გაესაღებინა. მაგრამ საგარეო ვაჭრობა, — რამდენადაც იგი მარტო ელემენტებს (ღირებულების მიხედვითაც) როდი ანაზღაურებს, — ახდენს მხოლოდ წინააღმდეგობათა გადანაცვლებას უფრო ფართო სფეროში, აძლევს მათ უფრო ფართო გასაქანს.

თუ კვლავწარმოების კაპიტალისტურ ფორმას უკუვაგდებთ, მაშინ საქმის ვითარება ისეთ სახეს მიიღებს, რომ ძირითადი კაპიტალის (აქ მოხმარების საშუალებათა წარმოებაში მოქმედი ძირითადი კაპიტალის) იმ ნაწილის სიდიდე, რომელიც კვდება და ასანაზღაურებელია in natura, იცვლება სხვადასხვა თანმიმდევრულ წლებში. თუ ეს ნაწილი ერთ წელიწადში ძალიან დიდია (აღემატება საშუალო მოკვდაობას, მსგავსად ადამიანთა მოკვდაობისა), მაშინ შემდგომ წელს იგი, უეჭველია, შესაბამისად უფრო ნაკლები იქნება. თუ ვიგულისხმეთ, რომ დანარჩენი პირობები არ შეცვლილა, მაშინ ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების და დამამარე მასალის რაოდენობა, რაც აუცილებელია მოხმარების საშუალებათა წლიური წარმოებისათვის, არ კლებულობს ამის გამო. მაშასადამე, წარმოების საშუალებათა მთელი წარმოება ერთ შემთხვევაში უნდა გადიდებულიყო, მეორეში — შემცირებულიყო. ამ გარემოებას შეიძლება ეშველოს მხოლოდ განუწყვეტელი შეფარდებითი ჭარბწარმოებით: ერთი მხრივ, იწარმოება გარკვეული რაოდენობით იმაზე მეტი ძირითადი კაპიტალი, ვიდრე უშუალოდაა საჭირო. მეორე მხრივ, იქმნება ნედლი მასალისა და სხვ. მარაგი, რომელიც აღემატება უშუალო წლიურ მოთხოვნილებას (ეს განსაკუთრებით შეეხება საარსებო საშუალებებს). ასეთი სახის ჭარბწარმოება მოასწავებს საზოგადოების კონტროლს მისი საკუთარი კვლავწარმოების

მატერიალური საშუალებებისადმი. მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ჭარბწარმოება ანარქიის ელემენტია.

ძირითადი კაპიტალის ეს მაგალითი — კვლავწარმოების მასშტაბის უცვლელობისას — დამაჯერებელია. შეუსაბამობა ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის წარმოებაში ეკონომისტების ერთ-ერთი აჩემებული მიზეზია კვლავწარმოების კრიზისების ასახსნელად. ის, რომ ასეთი შეუსაბამობა შეიძლება და უნდა წარმოიშვას ძირითადი კაპიტალის უბრალო შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ი ს დროს; რომ იგი შეიძლება და უნდა წარმოიშვას იდეალური ნორმალური წარმოების პირობებშიც, უკვე მოქმედი საზოგადოებრივი კაპიტალის მარტივი კვლავწარმოების დროს, — ეს გარემოება მათთვის ახალ რამეს წარმოადგენს.

XII. ფულის მასალის კვლავწარმოება

აქამდე ჩვენ სრულიად ყურადღებას არ ვაქცევდით ერთ მომენტს, სახელდობრ ოქროს და ვერცხლის წლიურ კვლავწარმოებას. როგორც უბრალო მასალა ფუფუნების საგნებისა, მოვარაყებისა და სხვ. ოქრო და ვერცხლი ისევე არ იქნებოდა აქ სპეციალურად მოხსენებული, როგორც სხვა რომელიმე პროდუქტი. პირიქით, როგორც ფულის მასალა და, მაშასადამე, როგორც პოტენციური ფული, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ფულის მასალად ჩვენ აქ, გამარტივებისათვის, ვიღებთ მხოლოდ ოქროს.

ოქროს მთელი წლიური წარმოება, შედარებით, ძველი მონაცემებით, შეადგენდა 800—900 ათას გირვანქას=მრგვალი რიცხვით 1100 ან 1250 მილიონ მარკას. ზეტბერის[63] თანახმად კი იგი 1871—75 წლებში საშუალოდ შეადგენდა მხოლოდ 170 675 კილოგრამს, რომლის ღირებულება დამრგვალებულად — 476 მილიონ მარკას უდრიდა. აქედან ავსტრალია მრგვალ რიცხვებში იძლეოდა 167, შეერთებული შტატები — 166, რუსეთი — 93 მილიონ მარკას. ნაშთი ნაწილდება სხვადასხვა ქვეყნებს შორის 10 მილიონ მარკაზე ნაკლები ჯამით თვითეულზე. ვერცხლის წლიური წარმოება იმავე პერიოდის განმავლობაში შეადგენდა 2 მილიონ კილოგრამზე ცოტათი ნაკლებს, 354 1/2 მილიონი მარკის ღირებულებით; აქედან მექსიკა მრგვალი რიცხვით იძლეოდა 108, შეერთებული შტატები — 102, სამხრეთ-ამერიკა — 67-ს, გერმანია — 26 მილიონს და სხვ.

იმ ქვეყნებიდან, სადაც კაპიტალისტური წარმოებაა გაბატონებული, მხოლოდ შეერთებული შტატებია ოქროსა და ვერცხლის მწარმოებე-

---

[63] A d. S o e t b e e r: «Edelmetall-Produktion» Gotha 1879.

ლი; ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები თითქმის მთელ თავიანთ ოქროს და თავიანთი ვერცხლის უდიდეს ნაწილს ღებულობენ ავსტრალიიდან, შეერთებული შტატებიდან, მექსიკიდან, სამხრეთ-ამერიკიდან და რუსეთიდან.

მაგრამ ოქროს მადნები ჩვენ გადაგვაქვს კაპიტალისტური წარმოების იმ ქვეყანაში, რომლის წლიურ კვლავწარმოებას ჩვენ აქ ანალიზს ვუკეთებთ, და ამას ჩავდივართ შემდეგი მოსაზრებით:

კაპიტალისტური წარმოება საერთოდ არ არსებობს საგარეო ვაჭრობის გარეშე. ხოლო თუ ვიგულისხმებთ ნორმალურ წლიურ კვლავწარმოებას მოცემული მასშტაბით, ამით უკვე ისიც იგულისხმება, რომ საგარეო ვაჭრობა მხოლოდ ცვლის ადგილობრივ ნაწარმს სხვა სახმარი ან ნატურალური ფორმის ნაწარმით, და ამასთან არ ახდენს გავლენას ღირებულების შეფარდებაზე, მაშასადამე, ღირებულების არც იმ შეფარდებაზე, რომლის მიხედვით ერთმანეთზე იცვლება ორი კატეგორია: წარმოების საშუალებანი და მოხმარების საშუალებები, ისე როგორც არ ახდენს გავლენას მუდმივი კაპიტალის, ცვალებადი კაპიტალის და ზედმეტი ღირებულების შეფარდებაზე, რომლებადაც თვითეული ეს კატეგორია შეიძლება დაიშალოს. აშრიგად, წლიურად კვლავწარმოებულ პროდუქტთა ღირებულების ანალიზის დროს ამ ანალიზში საგარეო ვაჭრობის შეტანას შეუძლია მხოლოდ დახლართოს საქმე და იგი არ იძლევა რაიმე ახალ მომენტს არც თვით პრობლემისათვის, არც მისი გადაწყვეტისათვის. მაშასადამე, იგი სრულიად მაედველობის გარეშე უნდა დავტოვოთ; ამიტომაც ოქრო აქ უნდა განვიხილოთ როგორც წლიური კვლავწარმოების უშუალო ელემენტი და არა როგორც გაცვლის გზით გარედან შემოტანილი საქონლური ელემენტი.

ოქროს წარმოება, ისევე როგორც საერთოდ ლითონის წარმოება, ეკუთვნის I ქვედანაყოფს, რომელიც წარმოების საშუალებათა წარმოებას მოიცავს. დავუშვათ, რომ ოქროს წლიური წარმოება = 30 (გაადვილებისთვის; ფაქტიურად კი ეს ციფრი ძალიან დიდია ჩვენი სქემის რიცხვებთან შედარებით); ვთქვათ, ეს ღირებულება შეიძლება დაიშალოს $20_c + 5_v + 5_m$-ად; 20_c უნდა გაიცვალოს I_c სხვა ელემენტებზე, და ეს შემდგომ უნდა განვიხილოთ; ხოლო $5_v + 5_m$ (I) უნდა გაიცვალოს II_c ელემენტებზე, ე. ი. მოხმარების საშუალებებზე.

რაც შეეხება 5_v, ყოველი საწარმო, რომელიც ოქროს აწარმოებს, იწყებს იმით, რომ სამუშაო ძალას ყიდულობს: არა თვით მის მიერ წარმოებული ოქროთი, არამედ ქვეყანაში მარაგის სახით არსებული ფულის განსაზღვრული ნაწილით. მუშები ამ 5_v მოხმარების საშუალე-

ბებს იძენენ II-ისგან და ეს უკანასკნელი ამ ფულით წარმოების საშუალებებს ყიდულობს I-ისგან. ვთქვათ, II ყიდულობს I-ისგან 2-ის შესაბამის ოქროს როგორც ფულის მასალას და სხვ. (თავისი მუდმივი კაპიტალის შემადგენელ ნაწილს); ამ შემთხვევაში 2$_{ფ}$ უკან უბრუნდება ოქროს მწარმოებელ I-ს იმ ფულის სახით, რომელიც უკვე წინათ ეკუთვნოდა მიმოქცევას. თუ II შემდეგ სრულიად აღარ ყიდულობს მასალას I-გან, სამაგიეროდ I ყიდულობს II-ისგან, ფულის სახით გადაისვრის რა თავის ოქროს მიმოქცევაში, რადგან ოქროთი ყოველი საქონლის ყიდვა შეიძლება. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ I აქ გამოდის არა როგორც გამყიდველი, არამედ მხოლოდ როგორც მყიდველი. I ქვედანაყოფის ოქროს მაძიებელთ ყოველთვის შეუძლიათ თავიანთი საქონლის გასაღება; ეს საქონელი ყოველთვის იმყოფება ისეთი ფორმით, რომლითაც იგი უშუალოდ შეიძლება გაიცვალოს.

ვიგულისხმოთ, რომ მეფაბრიკე-მრთველმა 5$_{ფ}$ გადაუხადა თავის მუშებს; მუშებმა კი ამის სამაგიეროდ მას ჩააბარეს — თუ მეედველობაში არ მივიღებთ ზედმეტ ღირებულებას — პროდუქტად ნართი=5; მუშები 5-ით ყიდულობენ II$_{c}$-ისგან, ეს უკანასკნელი ყიდულობს 5-ით ფულად I-ისგან ნართს, და ამგვარად 5$_{ფ}$ უკან უბრუნდება ფულის სახით ნართის მრთველს. პირიქით, ნაგულისხმევ შემთხვევაში I$_{ო}$ (ასე ვუწოდრთ ოქროს მწარმოებელს) ავანსად აძლევს თავის მუშებს ფულის სახით 5$_{ფ}$, რომელიც უკვე წინათ ეკუთვნოდა მიმოქცევას; მუშები ფულს საარსებო საშუალებებზე ხარჯავენ; მაგრამ 5-იდან მხოლოდ I$_{ო}$-ს 2 უბრუნდება უკან II-ისგან. მაგრამ I$_{ო}$, ისე როგორც ნართის მრთველს, შეუძლია ხელახლა დაიწყოს კვლავწარმოების პროცესი; ვინაიდან მისმა მუშებმა მას ჩააბარეს ოქროს სახით 5, რომლიდანაც 2 მან გაყიდა, დანარჩენი 3 ხელთ აქვს ოქროს სახით, — მაშასადამე, მას ისღა რჩება, რომ ეს უკანასკნელი მოაჭრევინოს მონეტად[54] ან ბანკნოტებად გადააქციოს, რათა პირდაპირ, II-ს მხრივ შემდგომი მოსაშუალების გაუწევლად, ხელში ჰქონდეს მთელი თავისი ცვალებადი კაპიტალი ფულადი ფორმით.

მაგრამ უკვე წლიური კვლავწარმოების ამ პირველი პროცესის დროს მოხდა ცვლილება იმ ფულის რაოდენობაში, რომელიც ნამდვილად თუ პოტენციურად მიმოქცევას ეკუთვნის. ჩვენ ვიგულისხმეთ, რომ II$_{ფ}$ იყიდა 2$_{ფ}$ (I$_{ო}$) როგორც მასალა, ხოლო 3, თავის მხრივ,

---

[54] «ოქროს ზოდის (gold bullion) მნიშვნელოვანი რაოდენობა... ოქროს მაძიებელთ პირდაპირ მიაქვთ სან-ფრანცისკოს ზარაფხანაში».— Reports of H. M. Secretaries of Embassy and Legation», 1879, ნაწილი III, გვ. 337.

$I_{ო}$ — მ დახარჯა II-ის ფარგლებში როგორც ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმა. მაშასადამე, ფულის იმ რაოდენობიდან, რომელიც ფულის ახალი წარმოების საშუალებითაა მოცემული, 3 დარჩა II-ის ფარგლებში და უკან არ დაბრუნებია I-ს. ნაგულისხმევის თანახმად, II-მ დაიკმაყოფილა თავისი მოთხოვნილება ფულის მასალაზე. 3 რჩება მის ხელში როგორც ოქროს განძი. რადგან ეს ვ არ შეიძლება II მუდმივი კაპიტალის რაიმე ელემენტს შეადგენდეს და რადგან, შემდეგ, II უკვე წინათ ჰქონდა საკმაო ფულადი კაპიტალი სამუშაო ძალის საყიდლად, რადგან, შემდეგ, ამ დამატებით 3 $_{ო}$. გაცვეთის ელემენტის გამოკლებით, არავითარი ფუნქცია არა აქვს შესასრულებელი II_{c} ფარგლებში (მას შეიძლებოდა ის როლი შეესრულებინა, რომ pro tanto დაეფარა გაცვეთის ელემენტი იმ შემთხვევაში, თუ II_{c} (1) ნაკლები იქნებოდა, ვიდრე II_{c} (2), რაც შემთხვევითი მოვლენაა); რადგან, მეორე მხრივ, სწორედ გაცვეთის ელემენტის გამოკლებით, მთელი საქონლური პროდუქტი II_{c} უნდა გაიცვალოს წარმოების საშუალებებზე $I_{(v+m)}$ — ამიტომ ეს ფული მთლიანად გადასატანია II_{c}-იდან II_{m}-ში, აუცილებელ საარსებო საშუალებათა სახით არსებობს ეს უკანასკნელი თუ ფუფუნების საშუალებათა სახით, და, პირიქით, სათანადო საქონლის ღირებულება გადასატანია II_{m}-იდან II_{c}-ში. შედეგი: ზედმეტი ღირებულების ნაწილი გროვდება როგორც ფულადი განძი.

კვლავწარმოების მეორე წელიწადში, თუ წლიურად წარმოებული ოქროს იგივე პროპორცია გამოიყენება უწინდებურად როგორც მასალა, 2 კვლავ დაუბრუნდება $I_{ო}$-ს და 3 ანაზღაურდება in natura, ე. ი. ისევ განთავისუფლდება II-ში განძის სახით და სხვ.

ცვალებადი კაპიტალის შესახებ საერთოდ: $I_{ო}$ კაპიტალისტს როგორც ყოველ სხვა კაპიტალისტს, მუდამ უხდება ფულის სახით ამ კაპიტალის ავანსად გაღება სამუშაო ძალის საყიდლად. ამ *v*-თი არა მან, არამედ მისმა მუშებმა უნდა იყიდონ II-ისგან; მაშასადამე, არასოდეს არ შეიძლება ისეთ შემთხვევას ექნეს ადგილი, რომ იგი მყიდველად გამოვიდეს, ე. ი. ფული გადაისროლოს II-ში ისე, თუ ამ II-ის ინიციატივა არაა. მაგრამ რამდენადაც II მისგან მასალას ყიდულობს, რამდენადაც მან თავისი მუდმივი კაპიტალი II_{c} უნდა გარდაქმნას ოქროს მასალად, $(I_{ო})_{c}$ ნაწილი მას უკან უბრუნდება II-ისგან იმგვარადვე, როგორც I-ის სხვა კაპიტალისტებს; ხოლო რამდენადაც ამას ადგილი არა აქვს, $I_{ო}$ თავის *v* ოქროს სახით უშუალოდ თავისი პროდუქტიდან ინაზღაურებს. მაგრამ იმდენადვე, რამდენადაც მას ფულის სახით ავანსებული *v* უკან არ უბრუნდება II-ისგან, უკვე არსებულ მიმოქცევის საშუალებათა ნაწილი (ფული, რომელიც I-ისაგან

უკან დაუბრუნდა II, I კი არ დაუბრუნებია) II-ში განძად გარდაიქმნება და ამიტომ II-ის ზედმეტი ღირებულების ნაწილი არ იხარჯება მოხმარების საშუალებებზე. რადგან გამუდმებით აქვს ადგილი ოქროს ახალი მადნების დამუშავებას ან ძველებში მუშაობის განახლებას, ამიტომ I_o მიერ v-ზე დასახარჯავი ფულის განსაზღვრული ნაწილი ყოველთვის შეადგენს ოქროს ახალ წარმოებამდე არსებული ფულის იმ რაოდენობის ნაწილს, რომელიც I_o-სგან მისი მუშების მეშვეობით გადაისროლება II-ში და, რამდენადაც II-იდან უკან არ უბრუნდება I_o, იგი წარმოადგენს იქ განძის შექმნის ელემენტს.

რაც შეეხება $(I_o)_m$, — I_o ყოველთვის შეუძლია აქ გამოვიდეს მყიდველის სახით; მას მიმოქცევაში შეაქვს m ოქროს სახით და სამაგიეროდ გამოაქვს იქიდან მოხმარების საშუალებანი II_c; II-ში ოქრო ნაწილობრივ გამოიყენება როგორც მასალა, მაშასადამე, მოქმედებს, როგორც II მწარმოებლური კაპიტალის მუდმივი შემადგენელი ნაწილის — c — ნამდვილი ელემენტი; ხოლო რამდენადაც ამას ადგილი არა აქვს, ეს ოქრო კვლავ ხდება განძის შექმნის ელემენტი II_m ნაწილის სახით, რომელიც ფულის ფორმაშია შეჩერებული. აქედან ჩანს, — თუნდაც მხედველობის გარეშე დავტოვოთ შემდგომ განსახილველი[55] I_o — თუ როგორ გულისხმობს მარტივი კვლავწარმოებაც კი, თუმცა აქ დაგროვება ამ სიტყვის ნამდვილი აზრით, ე. ი. გაფართოებული მასშტაბით კვლავწარმოებაც კი გამორიცხულია, — როგორ გულისხმობს მაინც აუცილებლად ფულის დაგროვებას, ანუ განძის შექმნას. და რადგან ეს ყოველ წელს მეორდება, — ამით აიხსნება ის ვარაუდი, რომლიდანაც ჩვენ გამოვდიოდით კაპიტალისტური წარმოების განხილვისას: ვარაუდი იმისა, რომ კვლავწარმოების დასაწყისში I და II კაპიტალისტთა ხელში იმყოფება ფულად საშუალებათა ისეთი რაოდენობა, რაც საქონელთა გაცვლას შეესაბამება. ასეთ დაგროვებას ადგილი აქვს იმ ოქროს გამორიცხვის შემდეგაც კი, რომელიც იკარგება მიმოქცევაში მყოფი ფულის გაცვეთის გამო.

თავისთავად გასაგებია, რომ რაც უფრო დიდი ხნისაა კაპიტალისტური წარმოება, მით უფრო დიდია ყოველმარივ დაგროვილი ფულის მასა და, მაშასადამე, მით უფრო მცირეა შეფარდებით ის წილი, რასაც ოქროს ახალი წლიური წარმოება მატებს ამ მასას, თუმცა ეს მინამატი თავისი აბსოლუტური ოდენობით შეიძლება მნიშვნელოვანი

---

[55] ხელნაწერში არ მოიპოვება გამოკვლევა ახლად წარმოებული ოქროს იმ გაცვლის შესახებ, რასაც ადგილი აქვს I ქვედანაყოფის მუდმივი კაპიტალის ფარგლებში. — ფ. ე.

იყოს. დავუბრუნდეთ ერთხელ კიდევ ზოგადად იმ მოსაზრებას, რომელიც ტუკის წინააღმდეგ იყო მიმართული: როგორაა შესაძლებელი, რომ თვითეულ კაპიტალისტს გამოჰქონდეს წლიური პროდუქტიდან ზედმეტი ღირებულება ფულად, ე. ი. გამოჰქონდეს მიმოქცევიდან მეტი ფული, ვიდრე მასში გადაუსროლია, — როგორაა ეს შესაძლებელი, როცა თვით კაპიტალისტთა კლასი საბოლოო ანგარიშით ის წყაროა, საიდანაც საერთოდ ფული გადაისროლება მიმოქცევაში?

წინათ ნათქვამის (თავი XVII) შეჯამების საფუძველზე ამის საპასუხოდ შევნიშნავთ შემდეგს:

1) ერთადერთი აქ აუცილებელი წანამძღვარი: რომ საერთოდ, საკმაო ფული მოიპოვება იმისათვის, რათა წლიური კვლავწარმოების მასის ელემენტების გაცვლა მოხდეს, — სრულიად არ ირყევა იმ გარემოების გამო, რომ საქონლის ღირებულების ნაწილი ზედმეტი ღირებულებისგან შედგება. თუ ვიგულისხმებდით, რომ მთელი წარმოება თვით მუშებს ეკუთვნის და, მაშასადმე, ზედმეტი შრომა მხოლოდ თვით მათთვის არის ზედმეტი შრომა, და არა კაპიტალისტებისთვის, — მიმოქცევაში მყოფი საქონლის ღირებულების მასა იგივე დარჩებოდა და, სხვა გარემოებათა უცვლელობისას, მისი მიმოქცევისთვის საჭირო იქნებოდა ფულის იგივე რაოდენობა. ამრიგად, ორივე შემთხვევაში საკითხი მხოლოდ იმას შეეხება, თუ საიდან მიიღება ფული მთელი ამ საქონლური ღირებულების გაცვლისათვის? — და სრულიადაც არა იმას, თუ საიდან მიიღება ფული ზედმეტი ღირებულების ფულად გადაქცევისათვის?

რასაკვირველია, ყოველი ცალკეული საქონელი — ერთხელ კიდევ ვუბრუნდებით ამას — შედგება $c+v+m$-ისგან, და, მაშასადმე, მთელი საქონლის მასის მიმოქცევისათვის აუცილებელია, ერთი მხრივ, განსაზღვრული ფულადი თანხა კაპიტალის: $c+v$ მიმოქცევისათვის და, მეორე მხრივ, — სხვა ფულადი თანხა კაპიტალისტების შემოსავლის, ზედმეტი ღირებულების m მიმოქცევისათვის. როგორც ცალკეული კაპიტალისტებისთვის, ისე მთელი კლასისათვის, ფული, რომლითაც კაპიტალის ავანსად გაღება ხდება, განსხვავდება იმ ფულისგან, რომლითაც შემოსავალი იხარჯება. საიდან მიიღება ეს უკანასკნელი ფული? სულ მარტივი გზით: იმ ფულადი მასიდან, რომელიც კაპიტალისტთა კლასის ხელშია; მაშასადმე, საერთოდ და მთლიანად მთელი იმ ფულიდან, რაც საზოგადოებაში მოიპოვება. ‹ ერთი ნაწილი მოქმედებს ფულადი კაპიტალის სახით, მეორე ნაწილი › ემსახურება კაპიტალისტთა შემოსავლის მიმოქცევას. ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ ყოველი კაპიტალისტი, რომელიც ახალ საწარმოს აწყობს და ფულს თავის შესანახად

მოხმარების საშუალებებზე ხარჯავს, შემდგომ როგორც კი საწარმო ამუშავდება, კვლავ ხელთ იგდებს ამ ფულს როგორც ისეთ ფულს, რომელიც მისი ზედმეტი ღირებულების ფულად გადაქცევას ემსახურება. მაგრამ, საერთოდ თუ ვიტყვით, მთელი სიძნელე ორი წყაროდან მომდინარეობს.

პირველი: თუ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ კაპიტალის მიმოქცევას და ბრუნვას, მაშასადამე, კაპიტალისტსაც განვიხილავთ მხოლოდ როგორც კაპიტალის პერსონიფიკაციას — არა როგორც კაპიტალისტურ მომხმარებელს და ადამიანს, რომელსაც განცხრომით ცხოვრება უყვარს, — მაშინ ჩვენ თუმცა დავინახავთ, რომ იგი მუდამ გადაისვრის მიმოქცევაში ზედმეტ ღირებულებას როგორც თავისი საქონლური კაპიტალის შემადგენელ ნაწილს, მაგრამ ვერასოდეს ვერ ვნახავთ მის ხელში ფულს როგორც შემოსავლის ფორმას; ვერასოდეს ვერ ვნახავთ, რომ იგი მიმოქცევაში ფულს გადაისროდეს ზედმეტი ღირებულების მოხმარების მიზნით.

მეორე: როდესაც კაპიტალისტთა კლასი მიმოქცევაში გადაისვრის გარკვეულ ფულად თანხას შემოსავლის სახით, ისე გვეჩვენება, თითქოს იგი ეკვივალენტს იხდიდეს წლიური ერთობლივი პროდუქტის შესაბამისი ნაწილისათვის და, მაშასადამე, ეს უკანასკნელი აღარ წარმოადგენდეს ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ ზედმეტი პროდუქტი, რომელშიაც ზედმეტი ღირებულებაა წარმოდგენილი, არაფერი არ უღირს კაპიტალისტთა კლასს. როგორც კლასი, იგი მას ფლობს და მით სარგებლობს მუქთად, და ფულის მიმოქცევა ვერაფერს შეცვლის ამაში. ცვლილება, რომელსაც ეს მიმოქცევა იწვევს, უბრალოდ იმაში მდგომარეობს, რომ თვითეული კაპიტალისტი, ნაცვლად იმისა, რომ მოიხმაროს თავისი ზედმეტი პროდუქტი in natura, რაც უმრავლეს შემთხვევაში სრულიად შეუძლებელია, წლიური საზოგადოებრივი პროდუქტის მთელი ჯამიდან ამოიღებს და მიითვისებს მის მიერ მისაკუთრებული ზედმეტი ღირებულების ჯამის შესაბამისად ყოველგვარ საქონელს. მაგრამ მიმოქცევის მექანიზმმა გვიჩვენა, რომ თუ კაპიტალისტთა კლასი მიმოქცევაში გადაისვრის ფულს შემოსავლის დასახარჯავად, ამ კლასს აგრეთვე ისევ გამოაქვს მიმოქცევიდან ეს ფული და, ამრიგად, ხელახლა შეუძლია დაიწყოს იგივე პროცესი; რომ, მაშასადამე, იგი, თუ მას განვიხილავთ როგორც კაპიტალისტთა კლასს, უწინდებურად ფლობს ამ ფულად თანხას, რომელიც აუცილებელია ზედმეტი ღირებულების ფულად გადაქცევისათვის. ამრიგად, თუ კაპიტალისტს არა მარტო გამოაქვს საქონლის ბაზრიდან თავისი მოხმარების ფონდისთვის ზედმეტი ღირებულება საქონელთა ფორმით,

არამედ ამავე დროს უკან იღებს იმ ფულსაც, რომლითაც მან ეს საქონელი იყიდა, — მაშინ ცხადია, რომ მან უეკვივალენტოდ გამოაცალა საქონელი მიმოქცევას. ეს საქონელი მას არაფერი არ ულირს, თუმცა მასში ფულს იხდის. თუ მე ერთი გირვანქა სტერლინგით საქონელს ვყიდულობ, და საქონლის გამყიდველი უკან მიბრუნებს ერთ გირვანქას ზედმეტი პროდუქტისათვის, რომელიც არა მიღირდა რა, — ცხადია, მე მუქთად მიმიღია საქონელი. ამ ოპერაციის მუდმივი განმეორება არაფერს არ ცვლის იმაში, რომ მე მუდამ გამომაქვს მიმოქცევიდან საქონელი და მუდამ ვფლობ გირვანქა სტერლინგს, თუმცა საქონლის მისაღებად დროებით ვშორდები ამ უკანასკნელს. კაპიტალისტი უკან იღებს ყოველთვის ამ ფულს როგორც ფულად ქცეულ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც მას არა ულირდა რა.

ჩვენ დავინახეთ, რომ ა. სმიტის მიხედვით საზოგადოებრივი პროდუქტის ერთობლივი ღირებულება დაიყვანება შემოსავალზე, $v+m$-ზე, მაშასადამე, იგულისხმება, რომ მუდმივი კაპიტალღირებულება ნულს უდრის. აქედან აუცილებლად გამომდინარეობს, რომ წლიური შემოსავლის მიმოქცევისათვის საჭირო ფული საკმარისია მთელი წლიური პროდუქტის მიმოქცევისთვისაც; რომ, მაშასადამე, ჩვენს შემთხვევაში, 3000-ად ღირებულ მოხმარების საშუალებათა მიმოქცევისათვის აუცილებელი ფული საკმარისია 9000-ად ღირებული მთელი წლიური პროდუქტის მიმოქცევისთვისაც. ასეთია სინამდვილეში ა. სმიტის შეხედულება და ამ შეხედულებას იმეორებს თ. ტუკი. ეს მცდარი წარმოდგენა შემოსავლის ფულად გადაქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის შეფარდებაზე ფულის იმ რაოდენობასთან, რომელიც მთელ საზოგადოებრივ პროდუქტს მიმოაქცევს, აუცილებელი შედეგია გაუგებრად, მოუსაზრებლად მიღებული წარმოდგენისა იმის შესახებ, თუ რა წესით იკვლავწარმოება და ყოველწლიურად ნაზღაურდება წლიური ერთობლივი პროდუქტის სხვადასხვა ნივთიერი და ღირებულებრივი ელემენტი. ამიტომ ეს წარმოდგენა უკვე უკუგდებულია.

მოვუსმინოთ თვით სმიტსა და ტუკს.

სმიტი — II წიგნის 2 თავში — ამბობს: «თვითეული ქვეყნის მიმოქცევა შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: მიმოქცევად ვაჭრებს შორის და მიმოქცევად ვაჭრებსა და მომმარებლებს შორის. თუმცა ერთი და იგივე ფულის ნიშნები — ქაღალდისა ან ლითონის — ხან ერთ მიმოქცევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას და ხან მეორეში, მაგრამ მაინც ეს ორი მიმოქცევა მუდამ ერთსა და იმავე დროს სრულდება ერთიმეორის გვერდით და თვითეული მათგანი, რათა მსვლელობა ჰქონდეს, საჭიროებს ამა თუ იმ სახის ფულის განსაზღვრულ რაოდე-

ნობას. სხვადასხვა ვაჭრებს შორის მიმოქცეულ საქონელთა ღირებულება არასოდეს არ შეიძლება აღემატებოდეს ვაჭრებსა და მომხმარებლებს შორის მიმოქცეულ საქონელთა ღირებულებას, რადგან რაც უნდა იყიდონ ვაჭრებმა, ეს, საბოლოო ანგარიშით, მომხმარებლებს უნდა მიჰყიდონ. რადგან მიმოქცევას ვაჭრებს შორის ბითუმად გაცვლის ხასიათი აქვს, ამიტომ იგი საერთოდ მოითხოვს საკმაოდ დიდ თანხას თვითეული ცალკე გარიგებისათვის. პირიქით, მიმოქცევას ვაჭრებსა და მომხმარებლებს შორის მეტწილად ცალობრივი გაცვლის ხასიათი აქვს და იგი მოითხოვს ხშირად მხოლოდ ძალიან მცირე ფულად თანხებს; ერთი შილინგი და ნახევარი პენიც კი ზოგჯერ საკმარისია. მაგრამ წვრილი თანხები ბევრად უფრო სწრაფად მიმოიქცევა, ვიდრე მსხვილი თანხები... ამიტომ, თუმცა ყველა მომხმარებლის მიერ წლის განმავლობაში ნაყიდი საქონელი ღირებულების მხრივ სულ ცოტა» (ეს «სულ ცოტა» კარგია!) «უდრის ყველა ვაჭრის მიერ ნაყიდ საქონელს, მაგრამ პირველი მაინც, როგორც წესი, ფულის ბევრად ნაკლები რაოდენობით შეიძლება შესრულდეს» და სხვ.

ადამის ამ ადგილის შესახებ თ. ტუკი შენიშნავს («An Inquiry into the Currency Principle», London 1844, გვ. 34—36 და შემდ.): «ეჭვი არაა, რომ აქ გავლებული განსხვავება არსებითად სწორია... გაცვლა ვაჭრებსა და მომხმარებლებს შორის შეიცავს აგრეთვე ხელფასის გაცემასაც; ხელფასი კი მომხმარებლების მთავარ შემოსავალს (the principal means) შეადგენს... ყველა გაცვლა ვაჭრებს შორის, ე. ი. ყველა გაყიდვა, დაწყებული მწარმოებლიდან ან იმპორტერიდან, მანუფაქტურის და სხვათა შუალედი პროცესების ყველა გრადაციის გავლით და გათავებული ცალობით მოვაჭრით ან ვაჭარ-ექსპორტერით, შეიძლება დაყვანილ იქნას კაპიტალის გადატანასთან დაკავშირებულ მოძრაობამდე. მაგრამ კაპიტალის გადატანა არ გულისხმობს აუცილებლად და პრაქტიკაში არც იწვევს ნამდვილად იმას, რომ დიდი რაოდენობით გაცვლის აქტების შესრულებისას ადგილი ჰქონდეს ბანკნოტების ან მონეტების ნამდვილ გადაცემას, — მე მაედვეულობაში მაქვს მატერიალური გადაცემა და არა ფიქციური... ვაჭრებს შორის ურთიერთგაცვლის საერთო ჯამი საბოლოო ანგარიშით უნდა განისაზღვრებოდეს და შემოიფარგლებოდეს ვაჭრებსა და მომხმარებლებს შორის წარმოებულ გაცვლათა ჯამით.»

უკანასკნელი დებულება რომ განცალკევებულად გვხვდებოდეს, შეიძლებოდა გვეფიქრა, ტუკი აქ მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ არსებობს გარკვეული თანაფარდობა ვაჭრების ურთიერთგაცვლასა და ვაჭრისა და მომხმარებლის გაცვლას შორის, — სხვა სიტყვებით, არ-

სებობს შეფარდება წლიური ერთობლივი შემოსავლის ღირებულებასა და იმ კაპიტალის ღირებულებას შორის, რომლითაც ეს შემოსავალი იწარმოება. მაგრამ ეს ასე არაა. იგი გარკვევით ემხრობა ა. სმიტის შეხედულებას. ამიტომ მიმოქცევის მისი თეორიის განსაკუთრებული კრიტიკა ზედმეტია.

2) ყოველი სამრეწველო კაპიტალი დასაწყისში ერთბაშად გადაისვრის ხოლმე ფულს მიმოქცევაში მთელი თავისი ძირითადი შემადგენელი ნაწილისთვის, რაც მას მხოლოდ თანდათანობით, მთელი რიგი წლების განმავლობაში, გამოაქვს იქიდან თავისი წლიური პროდუქტის გაყიდვის საშუალებით. მაშასადამე, თავდაპირველად იგი მიმოქცევაში გადაისვრის მეტ ფულს, ვიდრე გამოიტანს იქიდან. ეს მეორდება ყოველთვის, როცა ერთობლივი კაპიტალის in natura განახლება ხდება; ეს მეორდება ყოველ წელს განსაზღვრული რაოდენობის საწარმოთათვის, რომელთა ძირითადი კაპიტალი in natura არის გასაახლებელი; ეს ნაწილობრივ მეორდება ყოველი რემონტის დროს, ძირითადი კაპიტალის ყოველი ნაწილობრივი განახლების დროს. მაშასადამე, თუ ერთ მხარეს მიმოქცევიდან მეტი ფული გამოაქვს, ვიდრე მასში გადაისროლა, სამაგიეროდ მეორე მხარე პირიქით იქცევა.

მრეწველობის ყველა დარგში, რომელშიაც წარმოების პერიოდი (როგორც სამუშაო პერიოდისგან განსხვავებული) შედარებით უფრო ხანგრძლივ დროს მოიცავს, კაპიტალისტური მწარმოებლები ამ პერიოდის განმავლობაში გამუდმებით გადაისვრიან მიმოქცევაში ფულს,— ნაწილობრივ გამოყენებული სამუშაო ძალის გასასტუმრებლად, ნაწილობრივ კი მოსახმარებელ წარმოების საშუალებათა საყიდლად; ამგვარად ბაზარს გამოეცლება წარმოების საშუალებანი პირდაპირ, მოხმარების საშუალებები კი — ნაწილობრივ არაპირდაპირ, მუშების ჯიერ, რომელნიც თავიანთ ხელფასს ხარჯავენ, ნაწილობრივ პირდაპირ, თვით კაპიტალისტების მიერ, რომელნიც თავიანთ მოხმარებას სრულიადაც არ გადადებენ ხოლმე; ამავე დროს ეს კაპიტალისტები თავდაპირველად ბაზარზე არ ისვრიან რაიმე ეკვივალენტს საქონლის სახით. მათ მიერ მიმოქცევაში გადასროლილი ფული ამ პერიოდის განმავლობაში ფულად აქცევს საქონლის ღირებულებას, მასში მოქცეული ზედმეტი ღირებულების ჩათვლით. ეს მომენტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება განვითარებული კაპიტალისტური წარმოების დროს, ხანგრძლივ საწარმოებში, რომლებსაც აწყობენ აქციონერთა საზოგადოებანი და სხვ., როგორიცაა რკინიგზებისა და არხების გაყვანა, დოკების, დიდი საქალაქო შენობების,

რკინის გემების აგება, ნიადაგის დრენაჟის მოწყობა დიდი მოცულობით და სხვ.

3) მაშინ როდესაც სხვა კაპიტალისტებს — თუ არ ჩავთვლით ძირითად კაპიტალზე გაწეულ დანახარჯს — მიმოქცევიდან მეტი ფული გამოაქვთ, ვიდრე მათ სამუშაო ძალისა და საბრუნავი ელემენტების ყიდვისას მასში გადაისროლეს, ოქროს და ვერცხლის მწარმოებელი კაპიტალისტები,—თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ძვირფას ლითონს, რომელიც ნედლ მასალად გამოიყენება, — მხოლოდ ფულს გადაისვრიან მიმოქცევაში, ხოლო იქიდან მარტო საქონელი გამოაქვთ. მუდმივი კაპიტალი, გაცვეთილი ნაწილის გამოკლებით, ცვალებადი კაპიტალის უდიდესი ნაწილი და მთელი ზედმეტი ღირებულება, იმ განძის გამოკლებით, რომელიც შეიძლება მათს საკუთარ ხელში გროვდებოდეს,—ყოველივე ეს ფულის სახით გადაისროლება მიმოქცევაში.

4) ერთი მხრივ, საქონელთა სახით მიმოიქცევა ყოველგვარი ნივთი, რომელიც მიმდინარე წელს არაა წარმოებული: მიწის ნაკვეთები, სახლები და სხვ.; შემდეგ, პროდუქტები, რომელთა წარმოების პერიოდი ერთ წელიწადზე მეტ დროს მოიცავს: პირუტყვი, ხე-ტყე, ღვინო და სხვ. ამ და სხვა მოვლენების მიმართ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, გარდა უშუალო მიმოქცევისათვის საჭირო ფულადი თანხისა, მუდამ მოიპოვება ფარულ, უმოქმედო მდგომარეობაში გარკვეული რაოდენობა <ფულისა>, რომელსაც, როცა ბიძგს მიიღებს, შეუძლია ამოქმედდეს. ასეთი პროდუქტების ღირებულებაც მიმოიქცევა ხშირად ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით, მაგალითად, სახლების ღირებულება ქირის სახით რიგი წლების განმავლობაში.

მეორე მხრივ, ფულის მიმოქცევა კვლავწარმოების პროცესის ყველა მოძრაობას როდი მოსაშუალებს. წარმოების მთელი პროცესი, როგორც კი შეძენილია მისი ელემენტები, მიმოქცევიდან გამორიცხულია. შემდეგ, გამორიცხულია ყოველი პროდუქტი, რომელსაც უშუალოდ მოიხმარს თვით მწარმოებელი,—სულ ერთია ინდივიდუალურად მოიხმარს მას თუ მწარმოებლურად, რასაც აგრეთვე მიეკუთვნება სოფლის მუშებისთვის სურსათის მიცემა ნატურით.

ამრიგად, ფულის ის მასა, რომლის მეშვეობითაც წლიური პროდუქტი მიმოიქცევა, უკვე მოიპოვება საზოგადოებაში, თანდათანობითაა დაგროვილი. იგი, იმ ოქროს გამოკლებით, რომელიც, ვთქვათ, გაცვეთილ მონეტებს ანაზღაურებს, არ ეკუთვნის მიმდინარე წლის განმავლობაში ახლადშექმნილ ღირებულებას.

ჩვენს გადმოცემაში ნავარაუდევია მხოლოდ და მხოლოდ ძვირფასი ლითონური ფულის მიმოქცევა, ამასთან კვლავ ნავარაუდევია მიმოქ-

ცევის უმარტივესი ფორმა — ნაღდად ყიდვისა და გაყიდვის სახით; თუმცა მარტივი ლითონური მიმოქცევის საფუძველზე ფული შეიძლება მოქმედებდეს გადახდის საშუალების სახითაც და ისტორიულად ნამდვილად ასეც მოქმედებდა, და ამ საფუძველზე განვითარდა საკრედიტო სისტემა და მისი მექანიზმის განსაზღვრული მხარეები.

ეს ვარაუდი აღებულია არა მხოლოდ მეთოდოლოგიური მოსაზრებების გამო, რომელთა მნიშვნელობა უკვე იქიდან ჩანს, რომ როგორც ტუკი და მისი სკოლა, ისე მისი მოწინააღმდეგენი თავიანთ კამათში ბანკნოტების მიმოქცევის განხილვისას მუდამ იძულებული იყვნენ წმინდა ლითონური მიმოქცევის ჰიპოთეზას დაბრუნებოდნენ. ისინი იძულებული იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ post festum, მაგრამ ამას აკეთებდნენ ძალიან ზერელედ, რაც აუცილებელი იყო, რადგან გამოტოვალი პუნქტი, ამრიგად მხოლოდ მეორეხარისხოვანი გარემოების როლს ასრულებს ანალიზში.

მაგრამ უმარტივესი განხილვა ფულის მიმოქცევისა, რომელიც აქ წარმოდგენილია მისი თავდაპირველი ფორმით, — და ეს მიმოქცევა აქ წლიური კვლავწარმოების პროცესის იმანენტური მომენტია — გვიჩვენებს:

a) თუ ვიგულისხმებთ განვითარებულ კაპიტალისტურ წარმოებას, მაშასადამე, დაქირავებული შრომის სისტემის ბატონობას, მაშინ ფულადი კაპიტალი, ცხადია, მთავარ როლს ასრულებს, რამდენადაც იგი წარმოადგენს იმ ფორმას, რომლითაც ცვალებადი კაპიტალის ავანსად გაღება ხდება. იმდენადვე, რამდენადაც დაქირავებული შრომის სისტემა ვითარდება, ყოველი პროდუქტი გარდაიქმნება საქონლად და ამიტომ — ზოგიერთ მნიშვნელოვან გამონაკლისს გარდა — მან მთლად უნდა განვლოს ფულად გარდაქმნა როგორც თავისი მოძრაობის ფაზა. მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა საკმარისი უნდა იყოს საქონელთა ასე ფულად გადაქცევისათვის, და ამ მასის უდიდესი ნაწილი მოცემულია ხელფასის სახით, იმ ფულის სახით, რომელიც ბრეწველი კაპიტალისტების მიერ ავანსად გაღებულია როგორც ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმა სამუშაო ძალის გასასტუმრებლად და მუშების ხელში მოქმედებს — უმეტესწილად — მხოლოდ როგორც მიმოქცევის საშუალება (ყიდვის საშუალება). ეს არის სრული დაპირისპირებულობა ნატურალური მეურნეობისადმი, რომელსაც გაბატონებული ადგილი უკავია პიროვნული დამოკიდებულების ყოველგვარი სისტემის (ბატონყმობის ჩათვლით) საფუძველზე და კიდევ უფრო მეტნაკლებ პრიმიტიული თემების საფუძველზე, სულ ერთია, დაკავშირებულია ამ თემებთან დამოკიდებულების და მონობის ურთიერთობა თუ არა.

მონობის სისტემაში ფულადი კაპიტალი, რომელიც სამუშაო ძალის საყიდლად იხარჯება, ასრულებს ძირითადი კაპიტალის ფულადი ფორმის როლს; ამ კაპიტალის ანაზღაურება ხდება თანდათანობით, მონის სიცოცხლის აქტიური პერიოდის გასვლის შემდეგ. ამიტომ ათენელები იმ მოგებას, რასაც მონათმფლობელი იღებდა უშუალოდ, თავისი მონის სამრეწველო გამოყენების გზით, ან არაპირდაპირ, სხვა მრეწველისადმი (მაგალითად, მაღაროებში სამუშაოდ) მისი მიქირავების გზით, განიხილავდნენ მხოლოდ როგორც ავანსებული ფულადი კაპიტალის სარგებელს (ამორტიზაციითურთ), — სწორედ ისევე, როგორც კაპიტალისტურ წარმოებაში ზედმეტი ღირებულების ნაწილს, პლუს ძირითადი კაპიტალის გაცვეთა, მრეწველი კაპიტალისტი ანგარიშობს როგორც სარგებელს და თავისი ძირითადი კაპიტალის ანაზღაურებას; სწორედ ისევე, როგორც ეს წესად აქვთ იმ კაპიტალისტებს, რომელნიც ძირითად კაპიტალს (სახლებს, მანქანებს და სხვ.) აქირავებენ. უბრალო შინამონები, აუცილებელ სამსახურს ეწევიან ისინი თუ მარტოოდენ საზეიმო ფუფუნებისათვის გამოიყენებიან, აქ მხედველობაში არ მიიღება, — ისინი შეესაბამებიან ჩვენს შინამოსამსახურეთა კლასს. მაგრამ მონობის სისტემასაც, — რამდენადაც იგი მწარმოებლური შრომის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს მიწათმოქმედებაში, მანუფაქტურაში, ნაოსნობაში და სხვ., როგორც ეს იყო საბერძნეთის განვითარებულ სახელმწიფოებსა და რომში, — შენარჩუნებული აქვს ნატურალური მეურნეობის ელემენტი. თვით მონების ბაზარი მუდამ ღებულობს თავისი საქონლის — სამუშაო ძალის — შევსებას ომის, მეკობრეობისა და სხვ. საშუალებით, და ეს მეკობრეობა, თავის მხრივ, არ საჭიროებს მიმოქცევის პროცესის მოსაშუალეობას, არამედ წარმოადგენს სხვისი სამუშაო ძალის ნატურალურ მითვისებას პირდაპირი ფიზიკური იძულების გზით. შეერთებულ შტატებშიც კი, მას შემდეგ, რაც შუალედი ტერიტორია დაქირავებული შრომის მქონე ჩრდილოეთის შტატებსა და მონათმფლობელ სამხრეთის შტატებს შორის სამხრეთისათვის მონების მოშენების ტერიტორიად გადაიქცა. მაშასადამე, სადაც მონათა ბაზარზე გადასროლილი მონა თვით გახდა წლიური კვლავწარმოების ელემენტი, — ეს დროთა ვითარებაში საკმარისი აღარ აღმოჩნდა, და ამიტომ ბაზრის შესავსებად დიდხანს განაგრძობდა არსებობას აფრიკული მონათვაჭრობა.

b) კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე სტიქიურად მიმდინარე მიქცევა და მოქცევა ფულისა წლიური პროდუქტის გაცვლის დროს; ერთგზისი ავანსად გაღება ძირითადი კაპიტალებისა მთელი მათი ღირებულებით და ამ ღირებულების გამოტანა მიმოქცევიდან, რაც

თანამიმდევრობით, წარმოების მრავალწლიური პერიოდების განმავლობაში ხდება. მაშასადამე, მათი თანდათანობითი აღდგენა ფულადი ფორმით წლიურად განძის შექმნის გზით, — განძის შექმნისა, რომელიც თავისი არსებით სრულიად განსხვავებულია იმ განძის შექმნისაგან, რაც მის პარალელურად მიმდინარეობს და ოქროს ყოველწლიურ ახალ წარმოებაზეა დამყარებული; სხვადასხვა ხანგრძლიობა დროისა, რომლისთვისაც, საქონელთა წარმოების პერიოდების ხანგრძლიობის მიხედვით, უნდა ხდებოდეს ფულის ავანსად გაღება და, მაშასადამე, ამ ფულის უკვე წინასწარ მუდამ განძის სახით ხელახალი დაგროვება მანამდე, ვიდრე საქონლის გაყიდვის საშუალებით ფული მიმოქცევიდან შეიძლება გამოტანილ იქნას; ფულის ავანსად გაღების დროის სხვადასხვა ხანგრძლიობა, რაც უკვე მარტო იქიდანაც გამომდინარეობს, რომ წარმოების ადგილის დაშორება გასაღების ბაზრისაგან სხვადასხვანაირია; ასევე სხვადასხვაობაა ფულადი თანხების სიდიდესა და უკან დაბრუნების ვადებში იმისდა მიხედვით, თუ როგორია საწარმოო მარაგის მდგომარეობა ან შეფარდებითი სიდიდე სხვადასხვა საწარმოში და საწარმოს ერთი და იმავე დარგის სხვადასხვა ინდივიდუალურ კაპიტალისტებთან, მაშასადამე, სხვადასხვაობა მუდმივი კაპიტალის ელემენტების შესყიდვის ვადებში, — და ყველაფერი ეს კვლავწარმოების წლის მანძილზე — საკმარისია მხოლოდ სტიქიური მოძრაობის ყველა ეს სხვადასხვა ელემენტი გამოცდილებამ შენიშნოს და მათ ყურადღება მიაქციოს და — ისინი გეგმაზომიერად იქნებიან გამოყენებული როგორც საკრედიტო სისტემის დამხმარე საშუალებისათვის, ისე სესხად გასაცემი კაპიტალების ნამდვილად ბადეში მოსაქცევად.

ამას ერთვის კიდევ განსხვავება იმ დარგებს შორის, რომელთა წარმოება საერთოდ ნორმალურ პირობებში უწყვეტად მიმდინარეობს ერთი და იმავე მასშტაბით, და ისეთ დარგებს შორის, რომელნიც წლის სხვადასხვა პერიოდებში სხვადასხვა ოდენობით გამოიყენებენ სამუშაო ძალას, როგორც, მაგალითად, სოფლის მეურნეობა.

XIII. დეზტიუტ დე-ტრასის კვლავწარმოების თეორია [16]

პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელთა იმ არევდარეული და იმავე დროს მკვეხარა მოუაზრებლობის მაგალითს, რასაც ისინი საზოგადოებრივი კვლავწარმოების განხილვისას იჩენენ, წარმოადგენს დიდი ლოგიკოსი დესტიუტ დე-ტრასი (შეად. წიგნი I, თავი IV, შენ.

[16] II ხელნაწერიდან.

30) [ქართ. გამოც. 1954 წ., გვ. 209], რომელსაც რიკარდოც კი სერიოზულად ეპყრობა და ფრიად გამოჩენილ მწერალს უწოდებს [a very distinguished writer] («Priciples», გვ. 333).

ეს გამოჩენილი მწერალი შემდეგ განმარტებას იძლევა მთელი საზოგადოებრივი კვლავწარმოებისა და მიმოქცევის პროცესის შესახებ:

«შემეკითხებიან, როგორ იღებენ ასეთ დიდ მოგებას მრეწველი მეწარმენი და ვისგან შეიძლება ისინი მას იღებდნენო. მე ვპასუხობ: ისინი ამას იმით აღწევენ, რომ ყველაფერს, რასაც აწარმოებენ, უფრო ძვირად ყიდიან, ვიდრე მათ წარმოება უღირთ; აღწევენ იმით, რომ იგი უნდა:

1) მიჰყიდონ ერთმანეთს თავიანთი მოხმარების მთელი იმ ნაწილის შესაბამისად, რაც მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაა განკუთვნილი და რასაც ისინი თავიანთი მოგების ნაწილით ისტუმრებენ;

2) მიჰყიდონ დაქირავებულ მუშებს, როგორც იმ მუშებს, რომლებსაც ისინი ქირაობენ, ისე იმათაც, რომლებსაც უქმი კაპიტალისტები ქირაობენ; ამ გზით ისინი უკანვე მიიღებენ დაქირავებული მუშებისაგან ამ უკანასკნელთა მთელ ხელფასს, გარდა, იმ მცირეოდენი ნაწილისა, რომელიც, შეიძლება, მათ დანაზოგის სახით დარჩეთ;

3) მიჰყიდონ უქმ კაპიტალისტებს, რომელნიც მათ უხდიან თავიანთი შემოსავლის იმ ნაწილით, რაც მათ ჯერ კიდევ არ მიუციათ დაქირავებული მუშებისათვის, რომლებსაც ისინი უშუალოდ ამუშავებენ; ასე რომ მთელი ის რენტა, რასაც მეწარმენი ყოველწლიურად უხდიან მუქთ კაპიტალისტებს, ამა თუ იმ გზით უკან უბრუნდება პირველთ» (Destutt de Tracy: «Graité de la volonté et de ses effets». Paris 1826, გვ. 239).

ამრიგად, კაპიტალისტები მდიდრდებიან, ჯერ ერთი, მით, რომ ერთმანეთს ატყუებენ ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილის გაცვლისას, რომელიც მათ განკუთვნილი აქვთ თავიანთი პირადი მოხმარებისათვის ანუ რომელსაც ისინი მოიხმარებენ როგორც შემოსავალს. ე. ი. თუ მათი ზედმეტი ღირებულების ეს ნაწილი, შესაბამისად—მათი მოგების ნაწილი, = 400 გირვ. სტერლინგს, — ეს 400 გირვ. სტერლინგი იქცევა, ვთქვათ, 500 გირვ. სტერლინგად იმ გზით, რომ ამ 400 გირვ. სტერლინგის თვითეული თანამონაწილე თავის წილს 25%-ით უფრო ძვირად მიჰყიდის მეორეს. რადგან ამას ყველა აკეთებს, — შედეგი იგივეა, თითქოს მათ ერთმანეთისთვის ნამდვილი ღირებულების მიხედვით მიეყიდნათ. მხოლოდ 400 გირვ. სტერლინგის საქონლის ღირებულების მიმოქცევისთვის სჭირდებათ მათ ფულის მასა 500 გირვ. სტერ-

ლინგის რაოდენობით, და ეს, უფრო გაღარიბების მეთოდია, ვიდრე გამდიდრებისა, რადგან მათ მთელი თავიანთი ქონების დიდი ნაწილი უნდა შეინახონ არამწარმოებლურად მიმოქცევის საშუალებათა უსარგებლო ფორმით. მთელი ეს ამბავი იმას მოასწავებს, რომ კაპიტალისტებს, მათი საქონელთა ფასის საერთო ნომინალური გადიდების მიუხედავად, მხოლოდ 400 გირვ. სტერლინგის ღირებულების საქონელთა მასა შეუძლიათ თავიანთ შორის გაინაწილონ თავიანთი პირადი მოხმარებისათვის, მაგრამ ისინი ერთმანეთს ასიამოვნებენ და 400 გირვ. სტერლინგის საქონლის ღირებულების მიმოქცევას ფულის ისეთი რაოდენობით ახორციელებენ, რომელიც საჭიროა 500 გირვ. სტერლინგის საქონლის ღირებულების მიმოქცევისათვის.

ჩვენ სრულიად ყურადღების გარეშე ვტოვებთ იმას, რომ აქ ნაგულისხმევია «მათი მოგების ნაწილი» და, მაშასადამე, საერთოდ იმ საქონელთა მარაგი, რომელშიაც მოგება არსებობს. მაგრამ დესტიუტს სწორედ იმის ახსნა სწადია, თუ საიდან მომდინარეობს ეს მოგება. ფულის მასა, რომელიც აუცილებელია მოგების მიმოქცევისათვის. სავსებით მეორეხარისხოვან საკითხს წარმოადგენს. საქონელთა მასა. რომლითაც მოგებაა გამოსახული, თითქოს იქიდან წარმოდგება, რომ კაპიტალისტები ამ მასას არათუ მიჰყიდიან ერთმანეთს, თუმცა უკვე ესეც ძალიან კარგი და ღრმა რამ არის, არამედ ყველანი უფრო ძვირად მიჰყიდიან ერთმანეთს. ამრიგად, ჩვენ ახლა ვიცით კაპიტალისტების გამდიდრების ერთი წყარო. ეს მოასწავებს «ენტსპექტორი ბრეზიგის» საიდუმლოებას: რომ დიდი სიღარიბე დიდი pauvretè-დან [სიღარიბიდან] მომდინარეობს.

2) შემდეგ, იგივე კაპიტალისტები მიჰყიდიან «დაქირავებულ მუშებს, როგორც იმ მუშებს, რომლებსაც ისინი ქირაობენ, ისე იმათაც, რომლებსაც უქმი კაპიტალისტები ქირაობენ; ამ გზით ისინი უკანვე მიიღებენ დაქირავებული მუშებისგან ამ უკანასკნელთა მთელ ხელფასს. გარდა იმ მცირეოდენი ნაწილისა, რომელიც, შეიძლება, მათ დანაზოგის სახით დარჩეთ».

უკუმოდინება კაპიტალისტებთან იმ ფულადი კაპიტალისა, რომლის ფორმითაც მათ მუშებს მისცეს ავანსად ხელფასი, ბ-ნი დესტიუტის თანახმად, ასეთ კაპიტალისტთა გამდიდრების მეორე წყაროს შეადგენს.

ამრიგად, თუ კაპიტალისტთა კლასმა მუშებს ხელფასად მისცა, მაგალითად, 100 გირვ. სტერლინგი და შემდეგ იგივე მუშები იმავე 100 გირვ. სტერლინგის ღირებულების საქონელს ყიდულობენ იმავე კაპიტალისტთა კლასისაგან, და ამიტომ 100 გირვ. სტერლინგის თანხა,

რაც კაპიტალისტებმა როგორც სამუშაო ძალის მყიდველებმა ავანსად გაიღეს, უკან უბრუნდება მათ, როცა ისინი 100 გირვ. სტერლინგის საქონელს მუშებს მიჰყიდიან, — მაშინ კაპიტალისტები მ დ ი დ რ დ ე ბ ი ა ნ ამის მეოხებით. საღი გონების თვალსაზრისით თითქოს ისე გამოდის, რომ კაპიტალისტები ამ პროცედურის საშუალებით კვლავ ფლობენ 100 გირვ. სტერლინგს, რაც მათ ამ პროცედურამდე ჰქონდათ. პროცედურის დასაწყისში მათ ჰქონდათ 100 გირვ. სტერლინგი ფულად; ამ 100 გირვ. სტერლინგით მათ იყიდეს სამუშაო ძალა. ნაყიდი შრომა ამ 100 გირვ. სტერლ. ფულის სამაგიეროდ აწარმოებს საქონელს, რამდენადაც ჩვენ აქამდე ვიცით, 100 გირვ. სტერლინგის ღირებულებისას. მუშებისადმი 100 გირვ. სტერლინგის საქონლის მიყიდვის გზით კაპიტალისტები უკან იღებენ 100 გირვ. სტერლ. ფულს. მაშასადამე, კაპიტალისტებს კვლავ აქვთ 100 გირვ. სტერლ. ფული, მუშებს კი—100 გირვ. სტერლინგის საქონელი, რაც თვით მათ მიერ არის ნაწარმოები. ძნელი გასაგებია, როგორ უნდა გამდიდრდნენ ამით კაპიტალისტები. 100 გირვ. სტერლ. ფული რომ მათ უკან არ უბრუნდებოდეს, მაშინ მათ, ჯერ ერთი, უნდა გადაეხადათ მუშებისათვის ამ უკანასკნელთა შრომაში 100 გირვ. სტერლინგი ფულად და, მეორე, მათთვის მუქთად მიეცათ ამ შრომის პროდუქტი, მოხმარების საშუალებანი 100 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. ამრიგად, ფულის უკუდაბრუნებით შეიძლებოდა — სულ დიდი - დიდი — იმის ახსნა, თუ რატომ არ ღარიბდებიან კაპიტალისტები ამ ოპერაციის გამო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა იმის ახსნა, თუ რატომ მდიდრდებიან ისინი აღნიშნული ოპერაციით.

რასაკვირველია, სხვა საკითხია, თუ როგორაა, რომ კაპიტალისტებს 100 გირვ. სტერლინგი აქვთ, და რატომაა, რომ მუშები იძულებულნი არიან თავიანთი სამუშაო ძალა გაცვალონ ამ 100 გირვ. სტერლინგზე, ნაცვლად იმისა, რომ თვით აწარმოონ თავიანთ ანგარიშზე საქონელი. მაგრამ ეს ისეთი რამეა, რაც დესტიუტის ყალიბის მოაზროვნესთვის თავისთავად გასაგებია.

თვით დესტიუტი მთლად კმაყოფილი როდია ამ ახსნით. მას ხომ ჩვენთვის არ უთქვამს, გამდიდრებას ის იწვევს, რომ 100 გირვ. სტერლ. ფულადი თანხა იხარჯება და შემდეგ 100 გირვ. სტერლ. ფულადი თანხა უკან ბრუნდება, ე. ი. იმის გამო, რომ 100 გირვ. სტერლ. ფული უკუმოედინებაო; ეს უკუმოდინება ხომ მარტო იმის მაჩვენებელია, თუ რატომ არ იკარგება ეს 100 გირვ. სტერლინგი ფული. მან შემდეგი თქვა: კაპიტალისტები მით მდიდრდებიან, «რომ ყველაფერს,

რასაც აწარმოებენ, უფრო ძვირად ყიდიან, ვიდრე მათ წარმოება უღირთ».

ამრიგად, გამოდის, რომ კაპიტალისტები მუშებთან გარიგების საფუძველზე იმის გამო მდიდრდებიან, რომ მუშებს უფრო ძვირად მიჰყიდიან პროდუქტებს. ძალიან კარგი! «ისინი იხდიან ხელფასს... და მათ ყველაფერი ეს უკან უბრუნდება ყველა ამ ადამიანის მიერ გაწეული ხარჯვის გამო, რომელნიც მათში» (პროდუქტებში) «უფრო ძვირს იხდიან, ვიდრე ეს პროდუქტები ამ უკანასკნელთ» (კაპიტალისტებს) «დაუჯდათ ამ ხელფასის საშუალებით» (გვ. 240). ამრიგად, კაპიტალისტები მუშებს 100 გირვ. სტერლ. ხელფასს უხდიან და შემდეგ მიჰყიდიან მუშებს მათსავე საკუთარ პროდუქტს 120 გირვ. სტერლინგად, ასე რომ არა მარტო 100 გირვ. სტერლინგი უბრუნდება უკან კაპიტალისტებს, არამედ კიდევ 20 გირვ. სტერლინგი მოიგება? ეს შეუძლებელია. მუშებს მხოლოდ იმ ფულით შეუძლიათ გადახდა, რომელიც მათ ხელფასის სახით მიიღეს. თუ მათ 100 გირვ. სტერლ. ხელფასი მიიღეს, მათ შეუძლიათ იყიდონ მხოლოდ 100 გირვ. სტერლინგის საქონელი და არა 120 გირვ. სტერლინგისა. მაშასადამე, ამ გზით საქმე არ გამოდის. მაგრამ არის კიდევ სხვა გზა. მუშები კაპიტალისტებისგან ყიდულობენ 100 გირვ. სტერლინგით საქონელს, მაგრამ სინამდვილეში იღებენ მხოლოდ 80 გირვ. სტერლინგის ღირებულების საქონელს. ამიტომ მუშები უეჭველად მოატყუეს და 20 გირვ. სტერლინგით ნაკლები მისცეს. კაპიტალისტი კი უეჭველად გამდიდრდა 20 გირვ. სტერლინგით, იმიტომ რომ მან ფაქტიურად სამუშაო ძალაში მის ღირებულებაზე 20%-ით ნაკლები გადაიხადა, ანუ შემოვლითი გზით ნომინალურ ხელფასს გამოაკლო თანხა 20%-ის რაოდენობით.

კაპიტალისტთა კლასი იმავე მიზანს მიაღწევდა, მას რომ იმთავითვე მუშებისათვის მხოლოდ 80 გირვ. სტერლ. ხელფასი მიეცა და შემდეგ ამ 80 გირვ. სტერლ. ფულისთვის ნამდვილად 80 გირვ. სტერლინგის საქონლის ღირებულება ჩაებარებინა მათთვის. ასეთია, როგორც ეტყობა,—თუ კაპიტალისტთა კლასს მთლიანად ავიღებთ,—ნორმალური გზა, ვინაიდან, თვით ბ-ნი დესტიუტის თანახმად, მუშათა კლასი «საკმარის ხელფასს» (გვ. 219) უნდა იღებდეს, რადგან ეს ხელფასი — სულ ცოტა — საკმარისი უნდა იყოს მისი არსებობისა და შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად, «უსაჭიროეს საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად» (გვ. 180). თუ მუშები ასეთ საკმარის ხელფასს არ იღებენ,—ეს იქნება, იმავე დესტიუტის თანახმად, «სიკვდილი მრეწველობისა» (გვ. 208), მაშასადამე, როგორც ეტყობა, ეს სულაც

არაა გამდიდრების საშუალება კაპიტალისტებისათვის. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ხელფასის დონე, რასაც კაპიტალისტთა კლასი მუშათა კლასს უხდის, მას გარკვეული ღირებულება აქვს, მაგალითად, 80 გირვ. სტერლინგისა. მაშასადამე, თუ კაპიტალისტთა კლასი 80 გირვ. სტერლინგს აძლევს მუშებს, მან ამ უკანასკნელთ უნდა ჩააბაროს 80 გირვ. სტერლინგის საქონელი, და ამ 80 გირვ. სტერლინგის უკუდაბრუნება მას არ ამდიდრებს. თუ იგი მათ 100 გირვ. სტერლინგს აძლევს ფულად და მათ მიჰყიდის 100 გირვ. სტერლინგად 80 გირვ. სტერლინგის საქონლის ღირებულებას, — ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მათ აძლევს ფულად მათს ნორმალურ ხელფასზე მეტს 25%-ით და ამ ფულში ჩააბარებს 25%-ით ნაკლებს საქონლის სახით.

სხვა სიტყვებით: ისე გამოვიდოდა, რომ ფონდი, საიდანაც კაპიტალისტთა კლასი თავის მოგებას იღებს, შედგება ნორმალური ხელფასიდან გამოკლების გზით, სამუშაო ძალისთვის მის ღირებულებაზე ნაკლების გადახდის გზით, ე. ი. იმ საარსებო საშუალებათა ღირებულებაზე ნაკლების გადახდის გზით, რომლებიც აუცილებელია სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოებისათვის დაქირავებული მუშების სახით. მაშასადამე, თუ ნორმალური ხელფასი იქნებოდა გადახდილი, — ეს კი, დესტიუტის თანახმად, ასეც უნდა ხდებოდეს, — მაშინ მოგების არავითარი ფონდი არ იარსებებდა არც მრეწველობისათვის და არც უქმი კაპიტალისტებისათვის.

ამრიგად, მთელი საიდუმლოება, თუ როგორ მდიდრდება კაპიტალისტთა კლასი, ბ-ნ დესტიუტს უნდა დაეყვანა იმაზე, რომ ეს გამდიდრება ხდება ხელფასიდან გამოკლების მეოხებით. მაშინ ადგილი არ ექნებოდა ზედმეტი ღირებულების სხვა ფონდებს, რომლებზედაც იგი 1 და 3 მუხლში ლაპარაკობს.

მაშასადამე, ყველა ქვეყანაში, სადაც მუშების ფულადი ხელფასი დაყვანილია მოხმარების იმ საშუალებათა ღირებულებაზე, რაც აუცილებელია მუშების — როგორც კლასის — არსებობისათვის, ადგილი არ ექნებოდა არც მოხმარების ფონდს და არც დაგროვების ფონდს კაპიტალისტებისათვის, მაშასადამე, ადგილი არ ექნებოდა არც კაპიტალისტთა კლასის საარსებო ფონდს, მაშასადამე, არც კაპიტალისტთა კლასი იარსებებდა. ამასთან, დესტიუტის თანახმად, ასეთ მდგომარეობას ექნებოდა ადგილი ძველი ცივილიზაციის ყველა მდიდარ, განვითარებულ ქვეყანაში, იმიტომ რომ აქ «ჩვენს საზოგადოებაში, რომელმაც დიდი ხანია ფესვი გაიდგა, ხელფასის დასაფარი ფონდი... თითქმის მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს» (გვ. 202).

ასევე ხელფასის შეკვეცის შემთხვევაშიც კაპიტალისტთა გამდიდრება იქიდან კი არ გამომდინარეობს, რომ ისინი ჯერ მუშას უხდიან 100 გირვ. სტერლინგს ფულად და შემდეგ მას ამ 100 გირვ. სტერლინგ ფულში 80 გირვ. სტერლინგს აძლევენ საქონლით,—მაშასადამე, 80 გირვ. სტერლ. საქონელი არსებითად 25%-ით უფრო დიდი ფულადი თანხით — 100 გირვ. სტერლინგით — მიმოქცევა, არამედ იქიდან, რომ კაპიტალისტი მუშის პროდუქტიდან ისაკუთრებს არა მარტო ზედმეტ ღირებულებას — პროდუქტის იმ ნაწილს, რითაც ზედმეტი ღირებულება გამოიხატება, — არამედ, გარდა ამისა, აგრეთვე 25%-ს პროდუქტის იმ ნაწილიდან, რომელიც მუშას უნდა რგებოდა ხელფასის სახით. ამ უაზრო წესით, როგორც საქმის ვითარება დესტიუტს წარმოუდგენია, კაპიტალისტთა კლასი აბსოლუტურად არაფერს არ მოიგებდა. იგი იხდის ხელფასად 100 გირვ. სტერლინგს და ამ 100 გირვ. სტერლინგისთვის უკან უბრუნებს მუშას ამ უკანასკნელის საკუთარი პროდუქტიდან 80 გირვ. სტერლ. საქონლის ღირებულებას. მაგრამ შემდგომი ოპერაციის დროს მან კვლავ უნდა გაიღოს ავანსად იმავე პროცედურისათვის 100 გირვ. სტერლინგი. მაშასადამე, იგი მხოლოდ უსარგებლო გართობას ეძლევა, როდესაც 100 გირვ. სტერლინგ ფულს ავანსად გაიღებს და ამაში 80 გირვ. სტერლინგის საქონელს ჩააბარებს მუშას, ნაცვლად იმისა, რომ 80 გირვ. სტერლინგი ავანსად გაიღოს და ამაში 80 გირვ. სტერლინგის საქონელი ჩააბაროს მუშას. ე. ი. იგი მუდამ უსარგებლოდ ავანსად გაიღებს 25%-ით უფრო დიდ ფულად კაპიტალს თავისი ცვალებადი კაპიტალის მიმოქცევისათვის, რაც გამდიდრების სრულიად ორიგინალურ მეთოდს წარმოადგენს.

3) დასასრულ, კაპიტალისტთა კლასმა უნდა მიჰყიდოს «უქმ კაპიტალისტებს, რომელნიც მას უხდიან თავიანთი შემოსავლის იმ ნაწილით, რაც მათ ჯერ კიდევ არ მიუციათ დაქირავებული მუშებისათვის, რომლებსაც ისინი უშუალოდ ამუშავებენ; ასე რომ მთელი ის რენტა, რასაც იგი მათ (უქმ კაპიტალისტებს), ყოველწლიურად უხდის, ამათუ იმ გზით უკან უბრუნდება მას».

წინათ ჩვენ დავინახეთ, რომ მრეწველი კაპიტალისტები «თავიანთი მოგების ნაწილით ფარავენ თავიანთი მოხმარების მთელ იმ ნაწილს, რაც მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაა განკუთვნილი». ამრიგად, ვიგულისხმოთ, რომ მათი მოგება = 200 გირვ. სტერლინგს. ვთქვათ, 100 გირვ. სტერლინგი იხარჯება მათს ინდივიდუალურ მოხმარებაზე. მაგრამ მეორე ნახევარი = 100 გირვ. სტერლ. მათ კი არ ეკუთვნის, არამედ—მუქთ კაპიტალისტებს, ე. ი. მიწის რენტის მიმღებთ და პროცენტებით გამსესხებელ კაპიტალისტებს. მაშასადამე,

მრეწველმა კაპიტალისტებმა ამ კომპანიას უნდა გადაუხადონ 100 გირვ. სტერლ. ფულად. ამ ფულიდან, ვთქვათ, 80 გირვ. სტერლინგი უქმ კაპიტალისტებს სჭირდებათ საკუთარი მოხმარებისათვის და 20 გირვ. სტერლ. — მოსამსახურეთა დასაქირავებლად და სხვ. მაშასადამე, 80 გირვ. სტერლინგით ისინი მოხმარების საშუალებებს ყიდულობენ მრეწველი კაპიტალისტებისგან. ამით ამ უკანასკნელთ აკლდება 80 გირვ. სტერლინგის შესაბამისი პროდუქტი, მაგრამ ამავე დროს მათ უკან უბრუნდება 80 გირვ. სტერლინგი ფულად, ანუ იმ 100 გირვ. სტერლინგის $^4/_5$, რაც მათ უქმ კაპიტალისტებს გადაუხადეს რენტის, სარგებლისა და სხვ. სახით. შემდეგ, შინამოსამსახურეთა კლასმა, უქმი კაპიტალისტების მიერ უშუალოდ დაქირავებულმა მუშებმა თავიანთი ბატონებისგან მიიღეს 20 გირვ. სტერლინგი. ესენი ამით ყიდულობენ — ისევ მრეწველი კაპიტალისტებისგან — 20 გირვ. სტერლინგის მოხმარების საშუალებებს. ამრიგად, მაშინ როდესაც ამ კაპიტალისტებს აკლდება 20 გირვ. სტერლინგის შესაბამისი პროდუქტი, მათ უკან უბრუნდება 20 გირვ. სტერლინგი ფულად ანუ უკანასკნელი მეხუთედი იმ 100 გირვ. სტერლ. ფულისა, რომელიც მათ გადაუხადეს უქმ კაპიტალისტებს როგორც რენტა, სარგებელი და სხვ.

გარიგების დამთავრებისას აღმოჩნდება, რომ ის 100 გირვ. სტერლ. ფული, რომელიც მრეწველმა კაპიტალისტებმა მუქთ კაპიტალისტებს მისცეს რენტის, სარგებლის და სხვ. გადასახდელად, უკან დაუბრუნდა მრეწველ კაპიტალისტებს, მაშინ როდესაც მათი ზედმეტი პროდუქტის ნახევარი, = 100 გირვ. სტერლინგს, მათი ხელფასიდან უქმი კაპიტალისტების მოხმარების ფონდში გადავიდა.

ამრიგად, იმ საკითხისათვის, რომელზეც აქ ლაპარაკია, ცხადია, სრულიად ზედმეტია შემოვიტანოთ მსჯელობაში ამა თუ იმ სახით ამ 100 გირვ. სტერლინგის განაწილება უქმ კაპიტალისტებსა და მათს უშუალო დაქირავებულ მუშებს შორის. საქმე მარტივადაა: მათს რენტას, სარგებელს, მოკლედ—იმ წილს, რაც მათ ზედმეტი ღირებულებიდან = 200 გირვ. სტერლ. უწევს, მრეწველი კაპიტალისტები მათ უხდიან ფულით, 100 გირვ. სტერლინგით. ამ 100 გირვ. სტერლინგით ისინი პირდაპირ ან არაპირდაპირ ყიდულობენ მოხმარების საშუალებებს მრეწველი კაპიტალისტებისაგან. მაშასადამე, ისინი მათ უკან აძლევენ 100 გირვ. სტერლ. ფულს და მიაქვთ მათგან 100 გირვ. სტერლინგის შესაბამისი მოხმარების საშუალებანი.

ასე მოხდა იმ 100 გირვ. სტერლ. ფულის უკუდაბრუნება, რომელიც მრეწველმა კაპიტალისტებმა უქმ კაპიტალისტებს გადაუხადეს. წარმოადგენს თუ არა ფულის ეს უკუდაბრუნება, როგორც დესტიუტი

ფანტაზიორობს, მრეწველი კაპიტალისტების გამდიდრების საშუალებას? გარიგებამდე მათ ჰქონდათ ღირებულების თანხა 200 გირვ. სტერლინგის რაოდენობით: 100 გირვ. სტერლინგი ფულად და 100 გირვ. სტერლინგი მოხმარების საშუალებათა სახით. გარიგების შემდეგ მათ აქვთ თავდაპირველი ღირებულების ჯამის მბოლოდ ნახევარი. მათ კვლავ აქვთ 100 გირვ. სტერლინგი ფულად, მაგრამ დაკარგეს 100 გირვ. სტერლინგი მოხმარების საშუალებათა სახით, რაც უქმი კაპიტალისტების ხელში გადავიდა. მაშასადამე, ისინი გახდნენ არა 100 გირვ. სტერლინგით უფრო მდიდრები, არამედ 100 გირვ. სტერლინგით უფრო ღარიბები. მათ რომ ამ შემოვლითი გზის ნაცვლად, — ნაცვლად ჯერ 100 გირვ. სტერლ. ფულის გადახდისა და შემდეგ ან 100 გირვ. სტერლინგის უკან მიღებისა 100 გირვ. სტერლინგის მოხმარების საშუალებათა გადასახდელად,—თავიანთი პროდუქტის ნატურალური ფორმით უშუალოდ გადაეხადათ რენტა, სარგებელი და სხვ., მაშინ მიმოქცევიდან უკან არ დაუბრუნდებოდათ არავითარი 100 გირვ. სტერლინგი ფული, იმიტომ რომ მათ არ ექნებოდათ მასში გადასროლილი 100 გირვ. სტერლინგი ფული. ნატურით გადახდის წესის არსებობისას საქმე უბრალოდ ისე გამოისახებოდა, რომ 200 გირვ. სტერლინგად ღირებული ზედმეტი პროდუქტიდან ისინი ნახევარს თავისთვის დაიტოვებდნენ და მეორე ნახევარს უეკვივალენტოდ უქმ კაპიტალისტებს მისცემდნენ. ამ შემთხვევაში დესტიუტიც კი ვერ იგრძნობდა ცთუნებას — ეს გარიგება გამდიდრების საშუალებად გამოეცხადებინა.

მიწა და კაპიტალი, რომლებიც მრეწველმა კაპიტალისტებმა იჯარად და სესხად აიღეს უქმი კაპიტალისტებისგან და რისთვისაც მათ ამ უკანასკნელთ უნდა გადაუხადონ ზედმეტი ღირებულების ნაწილი მიწის რენტის, სარგებლის და სხვ. ფორმით, რა თქმა უნდა, მომგებიანი იყო მათთვის, იმიტომ რომ ეს ერთ-ერთი პირობაა როგორც საერთოდ პროდუქტის, ისე პროდუქტის იმ ნაწილის საწარმოებლად, რომელიც ზედმეტ პროდუქტს შეადგენს ანუ რომლითაც ზედმეტი ღირებულება გამოისახება. ეს მოგება გამომდინარეობს იჯარად და სესხად აღებული მიწით და კაპიტალით სარგებლობიდან და არა ინ ფასიდან, რასაც მასში იხდიან. პირიქით, ეს ფასი შეადგენს მოგებიდან გამონაკლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიხდებოდა იმის მტკიცება, რომ მრეწველი კაპიტალისტები უფრო მდიდრები კი არა, უფრო ღარიბები გახდებოდნენ, თუ შეძლებდნენ ზედმეტი ღირებულების მეორე ნახევარი სხვისთვის არ მიეცათ და თავისთვის დაეტოვებინათ. მაგრამ ასეთი არევ-დარევა გამოგვივა, თუ მიმოქცევის ისეთ

მოვლენებს, როგორიცაა ფულის უკუმოდინება, ჩვენ მოვაქცევთ ერთ გროვაში პროდუქტის განაწილებასთან, რომელსაც მიმოქცევის ასეთი მოვლენები მხოლოდ მოსაშუალეობენ.

და მაინც იგივე დესტიუტი იმდენად ჭკუამახვილია, რომ შენიშნავს: «საიდან მომდინარეობს ამ უქმი ადამიანების შემოსავალი? განა იგი იმ რენტიდან არ მომდინარეობს, რასაც მათ უხდიან თავიანთი მოგებიდან ის ადამიანები, რომელნიც პირველთა კაპიტალებს საქმეში აბანდებენ, ე. ი. ადამიანები, პირველთა ფონდიდან რომ იხდიან იმ შრომის საფასურს, რომელიც მეტს აწარმოებს, ვიდრე ღირს იგი,— ერთი სიტყვით, მრეწველები? მაშასადამე, იმისათვის, რომ ყოველი სიმდიდრის წყარო აღმოვაჩინოთ, ყოველთვის უნდა დავუბრუნდეთ ხოლმე ამ მრეწველებს. სწორედ ესენი არიან რომ პირველთა მიერ დაქირავებულ მუშებს სინამდვილეში ჰკვებავენ». (გვ. 246).

ამრიგად, ამ რენტის და სხვ. გადახდა ახლა წარმოადგენს გამონაკლებს მრეწველების მოგებიდან. წინათ იგი მათთვის გამდიდრების საშუალებას წარმოადგენდა.

მაგრამ ჩვენს დესტიუტს მაინც რჩება კიდევ ერთი ნუგეში. ეს ყოჩაღი მრეწველები ისევე ექცევიან უქმ კაპიტალისტებს, როგორც ექცევიან ერთმანეთს და მუშებს. ისინი მათ მიჰყიდიან ყველა საქონელს უფრო ძვირად, მაგალითად, 20%-ით. აქ შესაძლებელია ორი შემთხვევა. უქმ კაპიტალისტებს, გარდა 100 გირვ. სტერლინგისა, რომელსაც ისინი ყოველწლიურად მრეწველებისაგან იღებენ, აქვთ კიდევ სხვა ფულადი საესრები, ანდა არა აქვთ. პირველ შემთხვევაში მრეწველები მიჰყიდიან მათ 100 გირვ. სტერლინგად ღირებულ საქონელს, ვთქვათ, 120 გირვ. სტერლინგის ფასში. მაშასადამე, საქონლის გაყიდვისას მათ უკან უბრუნდება არა მარტო 100 გირვ. სტერლინგი, რაც მათ უქმ კაპიტალისტებს ვადაუხადეს, არამედ გარდა ამისა კიდევ 20 გირვ. სტერლინგი, რაც მათთვის ნამდვილად ახალ ღირებულებას შეადგენს. რა სახეს იღებს ახლა ანგარიში? მათ მუქთად გასცეს 100 გირვ. სტერლინგის საქონელი, რადგან ის 100 გირვ. სტერლინგი ფული, რითაც მათ საქონლის ფასი გადაუხადეს, მათი საკუთარი ფული იყო. ამრიგად, მათი საკუთარი საქონლის ფასი მათივე საკუთარი ფულითაა გადახდილი. მაშასადამე, 100 გირვ. სტერლინგი ზარალია. მაგრამ მათ მიიღეს, გარდა ამისა, 20 გირვ. სტერლინგი როგორც ფასის ნამეტი ღირებულებასთან შედარებით. მაშასადამე, 20 გირვ. სტერლინგი მოგებაა; ამასთან 100 გირვ. სტერლ. ზარალის დროს გამოდის 80 გირვ. სტერლ. ზარალი,—არასოდეს არ გამოდის პლუსი, რჩება ყოველთვის მინუსი. უქმი კაპიტალისტების მოტყუებით შემცირდა მრეწველობის

ზარალი, მაგრამ ამით სიმდიდრის დანაკლისი მათთვის არ გადაქცეულა გამდიდრების საშუალებად. მაგრამ ასეთი მეთოდი დიდხანს ვერ იქნება გამოყენებული, რადგან უქმ კაპიტალისტებს არ შეუძლიათ ყოველწლიურად 120 გირვ. სტერლინგი ფულის გადახდა, თუ ისინი ყოველწლიურად მხოლოდ 100 გირვ. სტერლინგ ფულს მიიღებენ.

ამრიგად, მეორე მეთოდია: მრეწველები 80 გირვ. სტერლინგად ღირებულ საქონელს ყიდიან 100 გირვ. სტერლ. ფულად, რომელიც მათ უქმ კაპიტალისტებს გადაუხადეს. ამ შემთხვევაში, როგორც უწინ. ისინი მუქთად გასცემენ 80 გირვ. სტერლინგს რენტის, სარგებლისა და სხვ. სახით. ასეთი მოტყუებით მათ შეამცირეს მუქთი კაპიტალისტებისადმი გადასახდელი ხარკი, მაგრამ იგი უწინდებურად არსებობს. და იმავე თეორიის თანახმად, რომლის მიხედვით ფასები გამყიდველების ნება-სურვილზეა დამოკიდებული, უქმ კაპიტალისტებს შეუძლიათ მომავალში 100 გირვ. სტერლინგის ნაცვლად 120 გირვ. სტერლ. რენტა, პროცენტი და სხვ. მოითხოვონ თავიანთ მიწასა და კაპიტალში.

მთელი ეს ბრწყინვალე კვლევა-ძიება სავსებით შესაფერისია ინგლრმა მოაზროვნესთვის, რომელიც ერთ გვერდზე ა. სმიტიდან გადმოსწერს, რომ «შრომა ყოველი სიმდიდრის წყაროა» (გვ. 242), რომ მრეწველი კაპიტალისტები «თავიანთ კაპიტალს გამოიყენებენ იმისთვის, რომ გაისტუმრონ შრომა, რომელიც აკვლავწარმოებს ამ კაპიტალს მოგებითურთ» (გვ. 246), ხოლო მეორე გვერდზე დაასკვნის. რომ ეს მრეწველი კაპიტალისტები «ასაზრდოებენ ყველა დანარჩენ ადამიანებს, რომ მხოლოდ ისინი ამრავლებენ საზოგადოებრივ ქონებას და ქმნიან სიამოვნების ყველა ჩვენს საშუალებას» (გვ. 242), რომ მუშები კი არ ასაზრდოებენ კაპიტალისტებს, არამედ კაპიტალისტები— მუშებს, და ეს—იმ ბრწყინვალე მოსაზრების საფუძვლით, რომ ფული. რომლითაც მუშებს ისტუმრებენ, მუშების ხელში კი არ რჩება, არამედ მუდამ უკან უბრუნდება კაპიტალისტებს მუშების მიერ წარმოებულ საქონელთა ფასის გადასახდელად. «ისინი იღებენ ერთი ხელით და უკანვე აძლევენ მეორე ხელით. მაშასადამე, მათი მოხმარება უნდა ჩაითვალოს იმათ მიერ წარმონაშობად, ვინც მათ ქირაობს» (გვ. 235).

მას შემდეგ, რაც ასე ამომწურავად დაგვისურათა ის, თუ როგორ მოსაშუალეობს ფულის მიმოქცევა საზოგადოებრივ კვლავწარმოებას და მოხმარებას,—დესტიუტი განაგრძობს: «აი, ის, რაც სრულყოფილს ხდის სიმდიდრის ამ perpetuum mobile-ს,—მოძრაობა, რომელიც, თუნდაც ცუდად გაგებული» (mal connu — უეჭველია!), «სამართლიანადაა მიმოქცევად წოდებული; იმიტომ, რომ იგი ნამდვილად წარმოადგენს

წრებრუნვას და მუდამ უბრუნდება თავის ამოსავალ პუნქტს. ეს ის პუნქტია, სადაც წარმოება სრულდება» (გვ. 239, 240).

დესტიუტი, ეს ფრიად გამოჩენილი მწერალი, საფრანგეთის ინსტიტუტის და ფილადელფიის ფილოსოფიური საზოგადოების წევრი და ნამდვილად ერთგვარი მნათობი ვულგარულ ეკონომისტებს შორის, სთხოვს, დასასრულ, მკითხველებს—გაიკვირვონ ის საოცარი სიცხადე, რომლითაც მან საზოგადოებრივი პროცესის მსვლელობა დაგვიხატა, სინათლის შუქი, რომელიც მან საგანს მოჰფინა, და იმდენად მოწყალეც კია, რომ მკითხველს ატყობინებს, თუ საიდან მომდინარეობს ეს სინათლე. ეს ადგილი საჭიროა დედნის სიტყვებით გადმოვცეთ: «On remarquera, j' espère, combien cette manière de considérer la consommation de nos richeses est concordante avec tout ce que nous avons dit à propos de leur production et de leur distribution, et en même temps quelle clarté elle répand sur toute la marche de la société. D' où viennent cet accord et cette luciditè? De ce que nous avons rencontré la vérité. Cela rappelle l' effet de ces miroirs où les objets se peignent nettement et dans leurs justes proportions, quand on est placè dans leur vrai point de vue, et où tout paraît confus et désuni, quand on en est trop près ou trop loin» (გვ. 242, 243) *.

Voilá le crétinisme bourgeois dans toute sa bèatitude![აი, ბურჟუაზიული კრეტინიზმი მთელი მისი მშვენებით!].

---

* «იმედი მაქვს, შეამჩნევენ, თუ რამდენად შეეთანხმება ჩვენი სიმდიდრის მოხმარების განხილვის ასეთი წესი ყოველივე იმას, რაც ჩვენ ამ სიმდიდრის წარმოებისა და მისი განაწილების შესახებ ვთქვით, და ამავე დროს, რასიცხადე შეაქვს მასაზოგადოებრივი ცხოვრების მთელი მსვლელობის განხილვაში. საიდან მოდის ეს ჰარმონია და ესსინათლე? იქიდან, რომ ჩვენ აღმოვაჩინეთ ჭეშმარიტება. ეს მოგვაგონებს სარკეს, რომელიც საგნებს მკაფიოდ და მათი ნაწილების სწორი პროპორციის დაცვით გამოსახავს, როცა ეს საგნები ჯეროგან პუნქტზეა მის წინ დადგმული, და სადაც ყველაფერი, რაც ამ ადგილიდან ძალიან ახლოს ან ძალიან შორს დგას, არეულად და ბუნდოვნად მოჩანს». — რ ედ.

თავი ოცდაშვიერთე [57]

დაგროვება და გაფართოებული კვლავწარმოება

I წიგნში ნაჩვენები იყო, თუ როგორ მიმდინარეობს დაგროვება ცალკეული კაპიტალისტისათვის. საქონლური კაპიტალის ფულად გადაქცევის გამო ფულად იქცევა ზედმეტი პროდუქტიც, რომელიც ზედმეტ ღირებულებას გამოხატავს. აქ ფულად ქცეულ ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტი ხელახლა გადააქცევს თავისი მწარმოებლური კაპიტალის დამატებითს ნატურალურ ელემენტებად. წარმოების შემდგომ წრებრუნვაში გადიდებული კაპიტალი გადიდებულ პროდუქტს იძლევა. მაგრამ ის, რასაც ადგილი აქვს ინდივიდუალური კაპიტალის შემთხვევაში, უნდა გამოაშკარავდეს წლიურ ერთობლივ კვლავწარმოებაშიც, სწორედ ისე, როგორც დავინახეთ მარტივი კვლავწარმოების განხილვისას, სადაც—ინდივიდუალური კაპიტალის შემთხვევაში—ამ კაპიტალის მოხმარებული ძირითადი შემადგენელი ნაწილების თანმიმდევრული დალექვა ფულის სახით, რომელიც განძად გროვდება, თავის გამოსახულებას პოულობს აგრეთვე წლიურ საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში.

თუ ინდივიდუალური კაპიტალი $= 400_c + 100_v$, წლიური ზედმეტი ღირებულება კი $= 100$, მაშინ საქონლური პროდუქტი $= 400_c + 100_v + 100_m$. ეს 600 გარდაიქმნება ფულად. ამ ფულიდან 400_c ისევ გარდაიქმნება მუდმივი კააიტალის ნატურალურ ფორმად, 100_v—სამუშაო ძალად და გარდა ამისა, თუ მთელი ზედმეტი ღირებულება დაგროვდება, 100_m გარდაიქმნება დამატებით მუდმივ კაპიტალად, მწარმოებლური კაპიტალის ნატურალურ ელემენტებზე გაცვლის გზით. ამასთან იგულისხმება: 1) რომ მოცემულ ტექნიკურ პირობებში ეს თანხა საკმარისია როგორც მოქმედი მუდმივი კაპიტალის გასადიდებლად, ისე ახალი სამრეწველო საწარმოს მოსაწყობად. მაგრამ შეიძლება ისეც

[57] აქედან ბოლომდე ხელნაწერი VIII.

მოხდეს, რომ ბევრად უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში აუ-ცილებელი იყოს ზედმეტი ღირებულების გარდაქმნა ფულად და ამ ფულის განძად დაგროვება, ვიდრე განხორციელდებოდეს ეს პროცესი, მაშასადამე, ვიდრე დაიწყებოდეს ნამდვილი დაგროვება, წარმოების გაფართოება. 2) იგულისხმება, რომ არსებითად უკვე წინათ მოხდა წარმოების გაფართოება; ვინაიდან იმისათვის, რომ შეიძლებოდეს ფულის (ფულის სახით განძად დაგროვილი ზედმეტი ღირებულების) გადაქცევა მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებად, ეს ელემენტები უნდა იყიდებოდეს ბაზარზე საქონლის სახით; ამასთან არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეს ელემენტები მზა საქონლის სახით იყიდება, თუ დაკვეთით მზადდება. მათი გასტუმრება მხოლოდ მას შემდეგ ხდება, როდესაც მათ ჩაიბარებენ, ყოველ შემთხვევაში მას შემდეგ, რაც მათ მიმართ უკვე მოხდა ნამდვილი კვლავწარ-მოება გაფართოებული მასშტაბით, მოხდა მანამდე ნორმალური წარმოების გაფართოება. მათ მანამდე უნდა ეარსებნათ პოტენციურად, ე. ი. თავიანთი ელემენტების სახით, რადგან იმისათვის, რომ მათი წარმოება ნამდვილად მომხდარიყო, საჭირო იყო მხოლოდ ბიძგი და-კვეთით, ე. ი. საქონლის ყიდვა და წინასწარ გაყიდვა, რაც წინ უსწ-რებს მის არსებობას. ფულის არსებობა ერთ მხარეზე იწვევს გაფარ-თოებულ კვლავწარმოებას მეორე მხარეზე, იმიტომ რომ ამ კვლავწარ-მოების შესაძლებლობა უკვე არსებობს უ ფ უ ლ ო დ, რადგან ფული თავისთავად არ შეადგენს ნამდვილი კვლავწარმოების ელემენტს.

თუ, მაგალითად, *A* კაპიტალისტი ერთი წლის ან რამდენიმე წლის განმავლობაში ყიდის თანმიმდევრულად მის მიერ წარმოებული საქონლური პროდუქტის გარკვეულ რაოდენობას, იგი ამით თანმიმ-დევრულად გარდაქმნის ფულად საქონლური პროდუქტის იმ ნაწილ-საც, რომელიც ზედმეტი ღირებულების მატარებელია,—ზედმეტ პრო-დუქტს, — მაშასადამე, გარდაქმნის ფულად მის მიერ საქონლის ფორმაში წარმოებულ თვით ზედმეტ ღირებულებას, თანდათან აგრო-ვებს ფულს და ამგვარად შეადგენს ახალ პოტენციურ ფულად კაპი-ტალს; ეს კაპიტალი პოტენციურია იმის გამო, რომ მას აქვს მწარ-მოებლური კაპიტალის ელემენტებად გარდაქმნის უნარი და დანიშნუ-ლება. ფაქტიურად კი კაპიტალისტი აგროვებს მხოლოდ უბრალო განძს, რომელიც არ წარმოადგენს ნამდვილი კვლავწარმოების ელე-მენტს. ამასთან მისი მოქმედება თავდაპირველად მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მას თანმიმდევრულად გამოაქვს მიმოქცევადი ფული მიმოქცევიდან, და ამავე დროს, რასაკვირველია, გამორიცხული არაა იმის შესაძლებლობა, რომ მიმოქცევადი ფული, რომელსაც იგი,

ამრიგად, ჩაკეტილში ინახავს, თვით იყო—ვიდრე მიმოქცევაში შევიდოდა — სხვა განძის ნაწილი. *A* კაპიტალისტის ეს განძი, რომელიც პოტენციურად ახალი ფულადი კაპიტალია, არ წარმოადგენს დამატებით საზოგადოებრივ სიმდიდრეს, თუნდაც რომ ეს ფული მოხმარების საშუალებებზე ყოფილიყო დახარჯული. მაგრამ ფული, რომელიც მიმოქცევიდანაა ამოღებული, მაშასადამე, წინათ მიმოქცევაში იმყოფებოდა, შეიძლება უწინ უკვე იდო განძის სახით, როგორც განძის შემადგენელი ნაწილი, ან ხელფასის ფულადი ფორმა იყო, წარმოების საშუალებათა ან სხვა საქონელთა ფულად გარდაქმნას ემსახურებოდა, კაპიტალის მუდმივ ნაწილებს ან კაპიტალისტის შემოსავალს მიმოაქცევდა. იგი ისევე არ წარმოადგენს ახალ სიმდიდრეს, როგორც მარტივი საქონელმიმოქცევის თვალსაზრისით განხილული ფული, რომელიც მარტოოდენ თავისი ნამდვილი ღირებულების მატარებელია, არ წარმოადგენს ათკეც ღირებულებას იმის გამო, რომ იგი დღეში ათჯერ გადაბრუნდა, იმის გამო, რომ მან ათი სხვადასხვა საქონლის ღირებულების რეალიზაცია მოახდინა. საქონელი არსებობს ფულისაგან დამოუკიდებლად, და თვით ფული იგივე რჩება, რაც არის (ან მცირდება კიდეც გაცვეთის გამო), მნიშვნელობა არა აქვს ერთ გადაბრუნებას ექნება ადგილი თუ ათს. მხოლოდ ოქროს წარმოებაშია შექმნილი ახალი სიმდიდრე (პოტენციური ფული), რამდენადაც ოქრო-პროდუქტი შეიცავს ზედმეტ პროდუქტს, რომელიც ზედმეტი ღირებულების მატარებელია, და მხოლოდ რამდენადაც მთელი ახალი ფულადი პროდუქტი მიმოქცევაში შედის, იგი ადიდებს პოტენციური ახალი ფულადი კაპიტალების ფულის მასალას.

ფულის ფორმით განძად დაგროვილი ეს ზედმეტი ღირებულება. თუმცა იგი ახალ, დამატებით საზოგადოებრივ სიმდიდრეს არ შეადგენს, წარმოადგენს ახალ პოტენციურ ფულად კაპიტალს იმ ფუნქციის გამო, რომლისთვისაც იგი გროვდება. (ჩვენ შემდგომ დავინახავთ, რომ ახალი ფულადი კაპიტალი ზედმეტი ღირებულების თანდათან ფულად გადაქცევის გარდა შეიძლება სხვა გზითაც წარმოიშვას).

ფული მიმოქცევიდან ამოიღება და განძის სახით დაგროვდება საქონლის გაყიდვის გზით, რასაც არ მოსდევს ყიდვა. მაშასადამე, თუ წარმოვიდგენთ, რომ ამ ოპერაციას საყოველთაო ხასიათი აქვს, მაშინ თითქოს გაუგებარი უნდა იყოს, საიდან ჩნდებიან მყიდველები, რადგან ამ პროცესში—და იგი საყოველთაო პროცესის სახით უნდა წარმოვიდგინოთ, რადგან თვითეული ინდივიდუალური კაპიტალი შეიძლება დაგროვების სტადიაში იმყოფებოდეს—ყველას სურს გაყიდოს განძის დასაგროვებლად და არავის არ სურს ყიდვა.

თუ წარმოვიდგენდით, რომ მიმოქცევის პროცესი წლიური კვლავწარმოების სხვადასხვა ნაწილებს შორის პირდაპირი ხაზით მიმდინარეობს, — რაც არ იქნებოდა მართებული, რადგან, მცირეოდენ გამონაკლისს გარდა, იგი ყოველთვის ურთიერთსაპირისპირო მოძრაობათაგან შედგება, — მაშინ უნდა დაგვეწყო ოქროს (შესაბამისად — ვერცხლის) მწარმოებლიდან, რომელიც ყიდულობს, მაგრამ არ ყიდის, და გვეგულისხმნა, რომ ყველამ მას უნდა მიჰყიდოს. ასეთ შემთხვევაში მთელი წლიური საზოგადოებრივი ზედმეტი პროდუქტი (ერთობლივი ზედმეტი ღირებულების მატარებელი) ზასთან გადავიდოდა და სხვა კაპიტალისტები ყველანი pro rata ერთმანეთში გაინაწილებდნენ ბუნებით ფულის სახით არსებულ მის ზედმეტ პროდუქტს, რომელიც წარმოადგენს მისი ზედმეტი ღირებულების ბუნებრივ განსახიერებას ოქროში; ეს იმიტომ რომ ოქროს მწარმოებლის პროდუქტის ის ნაწილი, რამაც მისი მოქმედი კაპიტალი უნდა აანაზღაუროს, უკვე შებოჭილი და სათანადოდ გამოყენებულია. ოქროს მწარმოებლის ზედმეტი ღირებულება, რომელიც ოქროს სახითაა წარმოებული, ამ შემთხვევაში იქნებოდა ერთადერთი ფონდი, საიდანაც ყველა სხვა კაპიტალისტი მიიღებდა მასალას თავისი წლიური ზედმეტი პროდუქტის ფულად გადასაქცევად. მაშასადამე, ღირებულების სიდიდით იგი ტოლი უნდა ყოფილიყო იმ მთელი საზოგადოებრივი წლიური ზედმეტი ღირებულებისა, რომელიც ჯერ განძის ფორმად უნდა დაჭუბრდეს. ასეთი სახის უაზრო წანამძღვარი ვერაფერს მოგვცემდა, გარდა იმისა, რომ აგვიხსნიდა განძის საყოველთაო იმავდროული შექმნის შესაძლებლობას, და ამასთან თვით კვლავწარმოება, გარდა კვლავწარმოებისა ოქროს მწარმოებელთა მხარეზე, ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწევდა წინ.

ვიდრე ამ მოჩვენებითი ხასიათის სიძნელეს ავხსნიდეთ, ჩვენ უნდა განვასხვავოთ: დაგროვება I ქვედანაყოფში (წარმოების საშუალებათა წარმოება) და II ქვედანაყოფში (მოხმარების საშუალებათა წარმოება). დავიწყებთ I-ით.

I. დაგროვება I ქვედანაყოფში

1) განძის შექმნა

ცხადია, რომ როგორც კაპიტალდაბანდებანი მრეწველობის ინ მრავალრიცხოვან დარგებში, რომელნიც I ქვედანაყოფს შეადგენენ, ისე სხვადასხვა ინდივიდუალური კაპიტალდაბანდებანი თვითეულ ამ სამრეწველო დარგში, მათი ასაკის მიხედვით, ე. ი. მათი უკვე განვლილი მოქმედების ხანგრძლიობის მიხედვით, — ჩვენ სრულიად მხედ-

ველობის გარეშე ვტოვებთ მათ სიდიდეს, ტექნიკურ პირობებს, ბაზრის პირობებს და სხვ.,—რომ ეს კაპიტალდაბანდებანი ზედმეტი ღირებულების პოტენციურ ფულად კაპიტალად თანმიმდევრული გარდაქმნის პროცესის სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან, სულ ერთია, წარმოების გაფართოების ორი ფორმიდან რომელ ფორმასაც არ უნდა ემსახურებოდეს შემდგომ ეს ფულადი კაპიტალი: მოქმედი კაპიტალის გადიდებას, თუ ახალი სამრეწველო საწარმოების დაარსებას. ამიტომ კაპიტალისტების ერთი ნაწილი მუდამ გარდაქმნის სათანადო სიდიდემდე გაზრდილ თავის პოტენციურ ფულად კაპიტალს მწარმოებლურ კაპიტალად, ე. ი. ფულით, რომელიც ზედმეტი ღირებულების ფულად ქცევის გზით განძადაა დაგროვილი, ყიდულობს წარმოების საშუალებებს, მუდმივი კაპიტალის დამატებითს ელემენტებს; ამავე დროს კი კაპიტალისტების მეორე ნაწილი ჯერ კიდევ განაგრძობს თავისი პოტენციური ფულადი კაპიტალის დაგროვებას. მაშასადამე, ამ ორი კატეგორიის კაპიტალისტები ერთმანეთს უპირისპირდებიან: ერთნი როგორც მყიდველები, მეორენი როგორც გამყიდველები, და ამასთან თვითეული ამ კატეგორიის კაპიტალისტი გამოდის მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთ ამ როლში.

მაგალითად, *A*-მ უნდა მიჰყიდოს *B*-ს (რომელიც შეიძლება რამდენსამე მყიდველსაც წარმოადგენდეს) 600 ($=400_c+100_v+100_m$). მან 600-ის საქონელი გაყიდა 600 ფულად, რომლიდანაც 100 წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას; ეს 100 მას გამოაქვს მიმოქცევიდან. განძად აგროვებს ფულის სახით; მაგრამ ეს 100 ფული მხოლოდ ფულადი ფორმაა ზედმეტი პროდუქტისა, რომელიც 100-ის რაოდენობის ზედმეტი ღირებულების მატარებელი იყო. საერთოდ განძის შექმნა არ წარმოადგენს წარმოებას, მაშასადამე, არ წარმოადგენს არც წარმოების გაფართოებას. კაპიტალისტის მოქმედება აქ მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მას 100 ზედმეტი პროდუქტის გაყიდვის გზით მიღებული ფული გამოაქვს მიმოქცევიდან, ინახავს და ყადაღას ადებს მას. ამ ოპერაციას ადგილი აქვს არა მხოლოდ *A*-ს მხარეზე, არამედ აგრეთვე სხვა კაპიტალისტების: *A'*, *A''*, *A'''* მიმოქცევის პერიფერიის მრავალ პუნქტზე; ყველა ესენი ასეთივე გულმოდგინებით მუშაობენ განძის ამგვარი შექმნისათვის. ეს მრავალი პუნქტი, სადაც ფული მიმოქცევიდან გამოიტანება და მრავალი ინდივიდუალური განძის სახით, შესაბამისად პოტენციური ფულადი კაპიტალის სახით, გროვდება, წარმოადგენს ასევე მრავალ დაბრკოლებას მიმოქცევისათვის, იმიტომ, რომ ეს ახდენს ფულის იმობილიზებას და ამ ფულს მეტნაკლებ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმოქცევის უნარს უკარგავს. მაგრამ

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ განძის შექმნას ადგილი აქვს უკვე მარტივი საქონელმიმოქცევის დროს, დიდი ხნით ადრე, ვიდრე ეს მიმოქცევა კაპიტალისტური საქონელწარმოების საფუძველზე დამკვიდრდებოდეს; და საზოგადოებაში არსებული ფულის რაოდენობა ყოველთვის მეტია მის იმ ნაწილზე, რომელიც აქტიურ მიმოქცევაში იმყოფება, თუმცა ეს ნაწილი გარემოებათა მიხედვით ხან დიდდება, ხან მცირდება. ჩვენ აქ კვლავ ვპოულობთ ისეთსავე განძებს და განძების ისეთსავე შექმნას, მაგრამ ამჯერად უკვე როგორც კაპიტალისტური წარმოების პროცესის იმანენტურ მომენტს.

ადვილი გასაგებია სიამოვნება, როდესაც საკრედიტო სისტემის პირობებში ყველა ეს პოტენციური კაპიტალი, იმის მეოხებით, რომ მათი კონცენტრაცია ხდება ბანკებში და სხვ., იქცევა თავისუფალ კაპიტალად, «loanable capital»-ად [სასესხო კაპიტალად], ფულად კაპიტალად, თანაც უკვე არა პასიურ და სამერმისო კაპიტალად, არამედ აქტიურ, სავახშო კაპიტალად (აქ «სავახშო» იხმარება ზრდის აზრით).

მაგრამ *A* ასეთ განძს აგროვებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი—თავისი ზედმეტი პროდუქტის მიმართ—გამოდის მხოლოდ როგორც გამყიდველი, ხოლო შემდგომ არ გამოდის როგორც მყიდველი. ამგვარად, თანმიმდევრობითი წარმოება ზედმეტი პროდუქტისა — რომელიც ფულად გადასაქცევი ზედმეტი ღირებულების მატარებელია — წარმოადგენს *A* კაპიტალისტის განძის შექმნის წანამძღვარს. მოცემულ შემთხვევაში, სადაც ჩვენ მიმოქცევას განვიხილავთ მხოლოდ I ქვედანაყოფის ფარგლებში, ზედმეტი პროდუქტის ნატურალური ფორმა, ისევე როგორც ერთობლივი პროდუქტისა, რომლის ნაწილსაც ზედმეტი პროდუქტი შეადგენს, წარმოადგენს I-ის მუდმივი კაპიტალის ერთ-ერთი ელემენტის ნატურალურ ფორმას, ე. ი. ეკუთვნის წარმოების საშუალებათა მწარმოებელ საშუალებათა კატეგორიას. თუ რა გამოდის აქედან, ე. ი. რა ფუნქციას ემსახურება ზედმეტი პროდუქტი მყიდველების: *B*, *B′*, *B″* და სხვ. ხელში, ამას ჩვენ ახლავე ვნახავთ.

მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ უნდა დავიხსომოთ შემდეგი: თუმცა *A*-ს მიმოქცევიდან გამოაქვს თავისი ზედმეტი ღირებულების შესაბამისი ფული და მას განძის სახით აგროვებს, მაგრამ იგი, მეორე მხრივ, მიმოქცევაში საქონელს გადაისვრის და იმავე დროს არ გამოაქვს იქიდან იმის შესაბამისი სხვა საქონელი, რის გამო *B*, *B′*, *B″*და სხვებს, თავის მხრივ, შეუძლიათ ფული გადაისროლონ მიმოქცევაში და სამაგიეროდ მხოლოდ საქონელი გამოიტანონ იქიდან. მოცემულ შემთხვევაში ეს საქონელი როგორც თავისი ნატურალური ფორმით,

ისე თავისი დანიშნულებით, შედის როგორც ძირითადი ან საბრუნავი ელემენტი B, B' და სხვათა მუდმივ კაპიტალში. ამ უკანასკნელზე ჩვენ უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ, როდესაც ზედმეტი პროდუქტის მყიდველებთან: B. B' და სხვ. გვექნება საქმე.

აქ გაკვრით აღვნიშნავთ შემდეგს: როგორც უწინ, მარტივი კვლავწარმოების განხილვისას, ჩვენ აქ კვლავ ვხედავთ, რომ წლიური პროდუქტის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის გარდაქმნა, ე. ი. მათი მიმოქცევა (რომელიც იმავე დროს უნდა მოიცავდეს კაპიტალის კვლავწარმოებას და ამასთან მის აღდგენას მის სხვადასხვა განსაზღვრულობაში: მუდმივის, ცვალებადის, ძირითადის, საბრუნავის, ფულადი კაპიტალისა და საქონლური კაპიტალის ფორმით) სრულიადაც არ გულისხმობს საქონლის უბრალო ყიდვას, რომელსაც დაასრულებს მომდევნო გაყიდვა, ან გაყიდვას, რომელსაც დაასრულებს მომდევნო ყიდვა, ასე რომ ფაქტიურად ადგილი ჰქონდეს მხოლოდ საქონლის საქონელზე გაცვლას, როგორც ეს მიღებული აქვს პოლიტიკურ ეკონომიას, განსაკუთრებით თავისუფალი ვაჭრობის სკოლას ფიზიოკრატებისა და ადამ სმიტის დროიდან დაწყებული. ჩვენ ვიცით, რომ ძირითადი კაპიტალი, რაკი მისთვის ხარჯი ერთხელ უკვე გაწეულია, შემდეგ აღარ განახლდება თავისი მოქმედების მთელი დროის განმავლობაში, არამედ განაგრძობს მოქმედებას ძველ ფორმაში, მაშინ როდესაც მისი ღირებულება თანდათან დაილექება ფულის სახით. ჩვენ დავინახეთ, რომ პერიოდული განახლება <კაპიტალის ძირითადი შემადგენელი ნაწილისა, მაგალ. ძირითადი კაპიტალისა> II_c (მთელი კაპიტალღირებულება II_c კი გაიცვლება ელემენტებზე, რომელთა ღირებულება უდრის $I_{(v+m)}$) გულისხმობს, ერთი მხრივ, უბრალო ყიდვას II_c ძირითადი ნაწილისა, რომელიც ფულადი ფორმიდან უკუგარდაიქმნება ნატურალურ ფორმად, თანაც ამ ყიდვას შეესაბამება I_m უბრალო გაყიდვა; მეორე მხრივ, იგი გულისხმობს უბრალო გაყიდვას II_c მხრივ, გაყიდვას მისი ღირებულების ძირითადი ნაწილისა (გაცვეთილი ნაწილის ღირებულება), რომელიც დაილექება ფულის სახით, ამასთან ამ გაყიდვას შეესაბამება I_m უბრალო ყიდვა. რათა აქ გაცვლა ნორმალურად შესრულდეს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ უბრალო ყიდვა II_c მხრივ ღირებულების სიდიდით უდრის უბრალო გაყიდვას II_c მხრივ, ისევე როგორც I_m უბრალო გაყიდვა II_c-ს 1 ნაწილზე, უდრის მის მიერ II_c, 2 ნაწილის უბრალო ყიდვას

(იხ. გვ. 582 — 583). სხვანაირად მარტივი კვლავწარმოება ფერხდება; უბრალო ყიდვა ერთ მხარეზე უნდა იფარებოდეს უბრალო გაყიდვით მეორე მხარეზე. ასევე აუცილებელია აქ ვიგულისხმოთ, რომ უბრალო გაყიდვა I_m ნაწილისა, რომელიც A, A', A'' კაპიტალისტისათვის განძს შეადგენს, წონასწორდება I_m ნაწილის უბრალო ყიდვით B, B', B'' კაპიტალისტების მხრივ, რომელნიც დამატებითი მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებად გარდაქმნიან თავიანთ განძს.

რამდენადაც წონასწორობა მყარდება იმის მეოხებით, რომ მყიდველი შემდეგში გამოდის როგორც ღირებულების იმავე ჯამის გამყიდველი და პირიქით, იმდენადვე ფული უკან უბრუნდება იმ მხარეს, რომელმაც იგი ყიდვის დროს ავანსად გაიღო, რომელმაც ჯერ გაყიდა, ვიდრე ისევ იყიდდა. მაგრამ ნამდვილი წონასწორობა თვით საქონელგაცვლაში, წლიური პროდუქტის სხვადასხვა ნაწილის გაცვლაში, გაპირობებულია ერთმანეთზე გაცვლილ საქონელთა ღირებულების სიდიდის ტოლობით.

მაგრამ რამდენადაც ადგილი აქვს მხოლოდ ცალმხრივ გაცვლას, მრავალ უბრალო ყიდვას, ერთი მხრივ, მრავალ უბრალო გაყიდვას, მეორე მხრივ,—ჩვენ კი დავინახეთ, რომ წლიური პროდუქტის ნორმალური გაცვლა კაპიტალისტურ საფუძველზე განაპირობებს ასეთ ცალმხრივ მეტამორფოზებს, — ამდენად წონასწორობა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიგულისხმებთ, რომ ცალმხრივ ყიდვათა ღირებულების ჯამი და ცალმხრივ გაყიდვათა ღირებულების ჯამი ერთიმეორეს ფარავს. ის ფაქტი, რომ საქონელწარმოება კაპიტალისტური წარმოების საყოველთაო ფორმაა, უკვე შეიცავს იმ როლს, რასაც ფული ასრულებს მასში არა მხოლოდ როგორც მიმოქცევის საშუალება, არამედ აგრეთვე როგორც ფულადი კაპიტალი, და წარმოშობს ნორმალური გაცვლის გარკვეულ, წარმოების ამ წესის დამახასიათებელ, პირობებს, მაშასადამე, წარმოშობს როგორც მარტივი, ისე გაფართოებული მასშტაბით კვლავწარმოების ნორმალური მსვლელობის პირობებს, რომლებიც კვლავწარმოების არანორმალური მსვლელობის ასევე მრავალ პირობად, კრიზისების ასევე მრავალ შესაძლებლობად გადაიქცევიან, რადგან წონასწორობა — ამ წარმოების სტიქიური ხასიათის პირობებში — თვით არის შემთხვევითობა.

ასევე ჩვენ დავინახეთ, რომ I_e გაცვლისას II_e სათანადო ღირებულების ჯამზე, თუმცა II_e-სთვის, ბოლოს და ბოლოს ადგილი აქვს II საქონლის ანაზღაურებას I საქონლის ღირებულების ტოლი ჯამით, მაშასადამე, II ქვედანაყოფის ერთობლივი კაპიტალისტი II აქ საკუთარი საქონლის გაყიდვას შეავსებს შემდგომ იმავე ღირებულების

ჯამის I ქვედანაყოფის საქონლის ყიდვით; თუმცა ამ ანაზღაურებას ადგილი აქვს, მაგრამ არა აქვს ადგილი I და II კაპიტალისტების მხრივ ურთიერთგაცვლას საქონელთა ამ გარდაქმნის დროს. IIc უნდა მიჰყიდოს თავისი საქონელი I-ის მუშებს; ეს უკანასკნელნი მას უპირისპირდებიან ცალმარივად როგორც საქონლის მყიდველნი, ხოლო IIc უპირისპირდება მუშებს ცალმარივად როგორც საქონლის გამყიდველი; ამგვარად მიღებული ფულით IIc უპირისპირდება ცალმხრივად I ერთობლივ კაპიტალისტს როგორც საქონლის მყიდველი, ხოლო I უპირისპირდება მას ცალმხრივად როგორც I, ჯამის საქონლის გამყიდველი. მხოლოდ საქონლის ამ გაყიდვის გზით ახორციელებს I ბოლოს და ბოლოს თავისი ცვალებადი კაპიტალის კვლავწარმოებას ხელახლა ფულადი კაპიტალის ფორმით. თუ I ქვედანაყოფის კაპიტალი უპირისპირდება II ქვედანაყოფის კაპიტალს ცალმხრივად როგორც I, ჯამის საქონლის გამყიდველი, სამაგიეროდ იგი I მუშებს უპირისპირდება როგორც საქონლის მყიდველი, რომელიც მათს სამუშაო ძალას ყიდულობს; და თუ I მუშები უპირისპირდებიან II კაპიტალისტს ცალმხრივად როგორც საქონლის მყიდველნი (სახელდობრ როგორც საარსებო საშუალებათა მყიდველნი), სამაგიეროდ ისინი I კაპიტალისტს უპირისპირდებიან ცალმარივად როგორც საქონლის გამყიდველნი, სახელდობრ როგორც თავიანთი სამუშაო ძალის გამყიდველნი.

სამუშაო ძალის განუწყვეტელი მიწოდება I ქვედანაყოფის მუშათა მხრივ, I-ის საქონლური კაიტალის ნაწილის უკუგარდაქმნა I-ის ცვალებადი კაპიტალის ფულად ფორმად, II საქონლური კაპიტალის ნაწილის ანაზღაურება მუდმივი კაპიტალი IIc ნატურალური ელემენტებით — ყველა ეს აუცილებელი წანამძღვარი <კვლავწარმოებისა> ერთიმეორეს განაპირობებს, ხოლო მათ მოსაშუალეობს მეტად რთული პროცესი, რომელიც შეიცავს მიმოქცევის სამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე, მაგრამ ერთმანეთთან გადახლართულ პროცესს. თვით პროცესის სირთულე იძლევა ასევე მრავალ საფუძველს მისი არანორმალური ისვლელობისათვის.

2) დამატებითი მუდმივი კაპიტალი

ზედმეტი ღირებულების მატარებელი ზედმეტი პროდუქტი მის მიმთვისებელ I კაპიტალისტებს არაფერი დაჯდომიათ. მათ არავითარი ფორმით ფულის ან საქონლის ავანსად გაღება არ სჭირდებათ მის მისაღებად. ავანსება (avance) უკვე ფიზიოკრატებისათვის წარმოადგენს მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებში განხორციელებულ ღირებულების საყოველთაო ფორმას. მაშასადამე, კაპიტალისტები

ავანსად გაიღებენ მხოლოდ თავიანთ მუდმივ და ცვალებად კაპიტალს. თავისი შრომით მუშა არა მხოლოდ შეუნარჩუნებს კაპიტალისტებს მათს მუდმივ კაპიტალს; იგი არა მხოლოდ უნაზღაურებს მათ ცვალებად კაპიტალღირებულებას იმით, რომ ახლად ქმნის მის შესაბამის ღირებულების ნაწილს საქონლის ფორმით; თავისი ზედმეტი შრომით იგი, გარდა ამისა, მათ აძლევს ზედმეტი პროდუქტის ფორმით არსებულ ზედმეტ ღირებულებას. ამ ზედმეტი პროდუქტის თანმიმდევრულად გაყიდვის გზით კაპიტალისტები აგროვებენ განძს, დამატებითს პოტენციურ ფულად კაპიტალს. იმ შემთხვევაში, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ, ზედმეტი პროდუქტი იმთავითვე შედგება წარმოების საშუალებათა წარმოების საშუალებებისგან. მაოლოდ *B*, **B′**, ***B′′*** და სხვათა (I) ხელში ეს ზედმეტი პროდუქტი მოქმედებს როგორც დამატებითი მუდმივი კაპიტალი; მაგრამ პოტენციურად იგი ასეთს წარმოადგენს უკვე უფრო ადრე, ვიდრე გაიყიდებოდეს, უკვე ***A***, ***A′***, ***A′′*** (I) ხელში, რომელნიც განძს აგროვებენ. ვიდრე ჩვენ მაოლოდ კვლავწარმოების ღირებულების ოდენობას განვიხილავთ I-ის მხარეზე, ჩვენ ჯერ კიდევ მარტივი კვლავწარმოების ფარგლებში ვიმყოფებით, იმიტომ რომ არავითარი დამატებითი კაპიტალი არ ყოფილა ამოქმედებული ამ პოტენციური დამატებითი მუდმივი კაპიტალის (ზედმეტი პროდუქტის) შესაქმნელად, არ ყოფილა ამოქმედებული ასევე არც ზედმეტი შრომის იმ რაოდენობაზე მეტი, რომელიც მარტივი კვლავწარმოების საფუძველზე იხარჯებოდა. განსხვავება აქ მაოლოდ გამოყენებული ზედმეტი შრომის ფორმაშია, ამ შრომის განსაკუთრებული სასარგებლო ხასიათის კონკრეტულ ბუნებაში. ზედმეტი შრომა დაიხარჯა წარმოების საშუალებებზე I*c*-სთვის, ნაცვლად II*c*-ისა, წარმოების საშუალებათა მწარმოებელ საშუალებებზე, და არა მოხმარების საშუალებათა წარმოების საშუალებებზე. მარტივი კვლავწარმოების შემთხვევაში იგულისხმებოდა, რომ I მთელი ზედმეტი ღირებულება იხარჯება როგორც შემოსავალი, მაშასადამე, II-ის საქონელზე, მაშასადამე, იგი შედგებოდა წარმოების ისეთი საშუალებებისგან, რომელთაც მუდმივი კაპიტალი II*c* უნდა აანაზღაურონ მის ნატურალურ ფორმაში. ამრიგად, იმისათვის, რომ მარტივიდან გაფართოებულ კვლავწარმოებაზე გადასვლა მოხდეს, I ქვედანაყოფის წარმოებას უნდა შეეძლოს მუდმივი კაპიტალის ნაკლები ელემენტების დამზადება II-ისთვის, მაგრამ იმდენადვე მეტის დამზადება I-ისთვის. ამ გადასვლას, რომლის განხორციელება ყოველთვის როდი იქნება სიძნელეებს მოკლებული, აადვილებს ის ფაქტი, რომ I ზოგიერთ პროდუქტს

ორივე ქვედანაყოფში შეუძლია წარმოების საშუალების სახით იმოქმედოს.

მაშასადამე, აქედან გამომდინარეობს, — თუ საქმეს მხოლოდ ღირებულების სიდიდის თვალსაზრისით განვიხილავთ, — რომ მარტივი კვლავწარმოების ფარგლებში იქმნება გაფართოებული კვლავწარმოების მატერიალური სუბსტრატი [საფუძველი]. ასეთია უბრალოდ I ქვედანაყოფის მუშათა ზედმეტი შრომა, უშუალოდ დახარჯული წარმოების საშუალებათა წარმოებაზე, I-ის პოტენციური დამატებითი კაპიტალის შექმნაზე. მაშასადამე, პოტენციური დამატებითი ფულადი კაპიტალის შექმნა A, A', A'' (I) მხარეზე — მათი იმ ზედმეტი პროდუქტის თანმიმდევრობითი გაყიდვის გზით, რომლის შექმნაზე კაპიტალისტს არაფერი არ დაუხარჯავს, წარმოადგენს აქ I-ის დამატებით წარმოებულ წარმოების საშუალებათა უბრალო ფულად ფორმას.

ამრიგად, პოტენციური დამატებითი < ფულადი > კაპიტალის წარმოება ჩვენს შემთხვევაში (იმიტომ რომ, როგორც დავინახავთ, იგი შეიძლება სულ სხვაგვარადაც შეიქმნას) სხვას არას გამოსახავს, გარდა თვით წარმოების პროცესის მოვლენისა: ესაა წარმოება განსაზღვრული ფორმით,—მწარმოებლური კაპიტალის ელემენტების წარმოება.

მაშასადამე, დამატებითი პოტენციური ფულადი კაპიტალის წარმოება დიდი მასშტაბით—მიმოქცევის პერიფერიის მრავალ პუნქტზე — სხვა არაფერია, თუ არა პოტენციური დამატებითი მწარმოებლური კაპიტალის მრავალმხრივი წარმოების შედეგი და გამოსახულება, კაპიტალისა, რომლის წარმოშობაც თვითონ არ გულისხმობს ფულის არავითარ დამატებითს ხარჯვას მრეწველი კაპიტალისტების მხრივ.

ამ პოტენციურად დამატებითი მწარმოებლური კაპიტალის თანამიმდევრობითი გარდაქმნა პოტენციურ ფულად კაპიტალად (განძად) A, A', A'' და სხვათა (I) მხრივ, გარდაქმნა, რომელიც გაპირობებულია A, A', A'' ზედმეტი პროდუქტის თანამიმდევრობითი გაყიდვის გზით,—მაშასადამე, საქონლის განმეორებული ცალმხრივი გაყიდვის გზით, როცა შემავსებელ ყიდვას ადგილი არა აქვს, — სრულდება მიმოქცევიდან ფულის განმეორებული გამოტანისა და მის შესაბამისად განძის შექმნის საშუალებით. განძის ასეთი შექმნა — იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც მყიდველი ოქროს მწარმოებელია — სრულიადაც არ გულისხმობს დამატებითს სიმდიდრეს ძვირფასი ლითონის სახით, არამედ იგი გულისხმობს მხოლოდ მანამდე ტრიალში მყოფი ფულის ფუნქციის შეცვლას. მანამდე ფული მოქმედებდა როგორც მიმოქცევის საშუალება, ახლა იგი მოქმედებს როგორც განძი, რო-

გორც შექმნის პროცესში მყოფი, პოტენციური ახალი ფულადი კაპიტალი. მაშასადამე, დამატებითი ფულადი კაპიტალის შექმნა და რომელიმე ქვეყანაში არსებული ძვირფასი ლითონის რაოდენობა არავითარ მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფება ერთიმეორესთან.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი: რაც უფრო დიდია ამა თუ იმ ქვეყანაში უკვე მოქმედი მწარმოებლური კაპიტალი (მასთან შეერთებული—ზედმეტი პროდუქტის მწარმოებელი, — სამუშაო ძალის ჩათვლით), რაც უფრო განვითარებულია შრომის მწარმოებლური ძალა, ხოლო ამით ტექნიკური საშუალებანიც წარმოების საშუალებათა წარმოების სწრაფი გაფართოებისათვის, მაშასადამე, რაც უფრო დიდია ზედმეტი პროდუქტის მასა, როგორც თავისი ღირებულების მხრივ, ისე იმ სახმარ ღირებულებათა რაოდენობის მხრივ, რომლებშიაც ეს ღირებულებაა გამოსახული,—მით უფრო დიდია:

1) პოტენციური დამატებითი მწარმოებლური კაპიტალი ზედმეტი პროდუქტის ფორმით *A*, *A′*, *A″* და სხვათა ხელში და

2) მით უფრო დიდია მასა ამ ფულად ქცეული ზედმეტი პროდუქტისა, ე. ი. პოტენციურად დამატებითი ფულადი კაპიტალისა *A*, *A′*, *A″* ხელში. ამრიგად, თუ, მაგალითად, ფულარტონი სრულიად არ სცნობს ჭარბწარმოებას ჩვეულებრივი აზრით, მაგრამ სცნობს კაპიტალის ჭარბწარმოებას, სახელდობრ ფულადი კაპიტალის ჭარბწარმოებას, — ეს ერთხელ კიდევ იმას ამტკიცებს, რომ საუკეთესო ბურჟუაზიულ ეკონომისტებსაც კი აბსოლუტურად არა გაეგებათ რა თავიანთი სისტემის მექანიზმში.

თუ *A*, *A′*, *A″* (I) კაპიტალისტების მიერ უშუალოდ წარმოებული და მითვისებული ზედმეტი პროდუქტი კაპიტალის დაგროვების, ე. ი. გაფართოებული კვლავწარმოების, რეალურ ბაზისს წარმოადგენს, თუმცა იგი ამ როლში აქტიურად მოქმედებს პირველად *B*, *B′*, *B″*, და სხვათა (I) ხელში, — იგი, პირიქით, თავის ფულად ჭუპრში,—როგორც განძი, როგორც ჯერ მაოლოდ თანდათანობით შექმნის პროცესში მყოფი პოტენციური ფულადი კაპიტალი, — აბსოლუტურად არამწარმოებლურია და თუმცა ამ ფორმით წარმოების პროცესის პარალელურად მოძრაობს, მაგრამ მისი ფარგლების გარეშე მდებარეობს. იგი კაპიტალისტური წარმოების მკვდარი ტვირთია (dead weight). წყურვილი იმისა, რომ ეს ზედმეტი ღირებულება, პოტენციური ფულადი კაპიტალის განძის ფორმით რომ გროვდება, გამოყენებულ იქნას როგორც მოგების, ისე შემოსავლის მიღების მიზნით, თავის დაკმაყოფილებას პოულობს საკრედიტო სისტემაში და «ქაღალდებში». ამით ფულადი კაპიტალი სხვა ფორმით იძენს უზარმაზარ გავლენას კაპი-

ტალისტური წარმოების სისტემის მსვლელობასა და მძლავრ განვითარებაზე.

პოტენციურ ფულად კაპიტალად გარდაქმნილი ზედმეტი პროდუქტის რაოდენობა მით უფრო დიდი იქნება, რაც უფრო დიდი იყო საერთო ჯამი უკვე მოქმედი კაპიტალისა, რომლის მოქმედებიდანაც ეს პროდუქტი წარმოიშვა. მაგრამ ყოველწლიურად კვლავწარმოებული პოტენციური კაპიტალის ოდენობის აბსოლუტური გადიდებისას მისი სეგმენტაციაც უფრო ადვილი ხდება, ასე რომ იგი უფრო სწრაფად შეიძლება დაბანდდეს განსაკუთრებულ საწარმოში, სულ ერთია, იმავე კაპიტალისტის ხელში იმყოფება ეს საწარმო თუ სხვის ხელში (მაგალითად, მისი ოჯაის წევრების ხელში, მემკვიდრეობის განაწილების შემთხვევაში და სხვ.). ფულადი კაპიტალის სეგმენტაცია აქ იმას ნიშნავს, რომ ეს კაპიტალი სრულიად გამოცალკევდება თავდაპირველი კაპიტალისაგან, რათა იგი როგორც ახალი ფულადი კაპიტალი ახალ ცალკე საწარმოში დაბანდდეს.

თუ ზედმეტი პროდუქტის გამყიდველებმა: *A*, *A′*, *A″* და სხვ. (I) იგი მიიღეს როგორც უშუალო შედეგი წარმოების პროცესისა, რომელიც, გარდა მუდმივი და ცვალებადი კაპიტალისთვის საჭირო ავანსის გაღებისა,—რაც მარტივი კვლავწარმოების პირობებშიც მოითხოვება, — მიმოქცევის არავითარ შემდგომ აქტებს არ გულისხმობს; თუ ეს გამყიდველები, შემდეგ, ქმნიან ამგვარად რეალურ ბაზისს კვლავწარმოების გაფართოებული მასშტაბით წარსამართავად და სინამდვილეში აწარმოებენ პოტენციურად დამატებითს კაპიტალს, მაშინ, პირიქით, *B*, *B′*, *B″* და სხვ. (I) მდგომარეობა სხვაგვარია. 1) მხოლოდ მათს ხელში იმოქმედებს *A*, *A′*, *A″* და სხვ. ზედმეტი პროდუქტი აქტიურად როგორც დამატებითი მუდმივი კაპიტალი (მწარმოებლური კაპიტალის მეორე ელემენტს, დამატებითს სამუშაო ძალას, მაშასადამე, დამატებითს ცვალებად კაპიტალს ჩვენ ჯერჯერობით ყურადღების გარეშე ვტოვებთ); 2) იმისათვის, რომ ზედმეტი პროდუქტი მათს ხელში მოხვდეს, საჭიროა მიმოქცევის აქტი. მათ უნდა იყიდონ ზედმეტი პროდუქტი.

1) პუნქტის მიმართ აქ უნდა შეკნიშნოთ, რომ *A*, *A′*, *A″* (I) მიერ წარმოებული ზედმეტი პროდუქტის (პოტენციურად დამატებითი მუდმივი კაპიტალის) დიდი ნაწილი თუმცა მიმდინარე წელსაა წარმოებული, მაგრამ მას მხოლოდ შემდგომ წელს ან კიდევ უფრო გვიან შეუძლია აქტიურად ამოქმედდეს *B*, *B′*, *B″* ხელში სამრეწველო კაპიტალის სახით; 2) პუნქტის მიმართ იბადება კითხვა: საიდან მომდინარეობს მიმოქცევის პროცესისათვის აუცილებელი ფული?

რამდენადაც პროდუქტები, რომლებსაც *B*, *B′*, *B″* და სხვ. (I) აწარმოებენ, თვით შედიან ისევ in natura წარმოების იმავე პროცესში, თავისთავად გასაგებია, რომ pro tanto *B*, *B′*, *B″* და სხვ. (I) საკუთარი ზედმეტი პროდუქტის ნაწილი პირდაპირ (და არა მიმოქცევის მეშვეობით) გადაიტანება მათს მწარმოებლურ კაპიტალში და შედის მასში როგორც მუდმივი კაპიტალის დამატებითი ელემენტი. მაგრამ pro tanto ისინი *A*, *A′* და სხვ. (I) ზედმეტი პროდუქტის ფულად გადაქცევასაც არ უწყობენ ხელს. თუ ამას უყურადღებოდ დავტოვებთ, საიდან მიიღება ფული? ჩვენ ვიცით, რომ *B*, *B′*, *B″* და სხვ. (I) ისევე როგორც *A*, *A′* და სხვ., თავიანთი განძი შექმნეს შესაბამისი ზედმეტი პროდუქტების გაყიდვის გზით და ახლა მიაღწიეს იმ მომენტს, როდესაც მათმა მარტოოდენ პოტენციურმა ფულადმა კაპიტალმა, რომელიც განძის სახითაა დაგროვილი, ნამდვილად უნდა დაიწყოს მოქმედება როგორც დამატებითმა ფულადმა კაპიტალმა. მაგრამ ასე ჩვენ მაოლოდ წრეში ტრიალი გამოგვდის. წინანდებურად გადაუჭრელი რჩება,—საიდან ჩნდება ფული, რომელიც წინათ *B* (I) კაპიტალისტებმა მიმოქცევას გამოაცალეს და დააგროვეს?

მაგრამ ჩვენ უკვე მარტივი კვლავწარმოების გამოკვლევიდან ვიცით, რომ I და II კაპიტალისტებს უნდა ჰქონდეთ ფულის გარკვეული რაოდენობა იმისათვის, რომ მათი ზედმეტი პროდუქტის გარდაქმნა შესრულდეს. ფული, რომელიც მაოლოდ შემოსავლის სახით გამოიყენებოდა მოხმარების საშუალებებზე დასახარჯავად, იქ უკან უბრუნდებოდა კაპიტალისტებს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მას ისინი ავანსად გაიღებდნენ თავიანთ შესაბამის საქონელთა გაცვლისათვის; აქ კვლავ გვევლინება იგივე ფული, მაგრამ გვევლინება შეცვლილი ფუნქციით. *A* და *B* კაპიტალისტები (I) რიგრიგობით გაიღებენ ფულს იმისათვის, რათა ზედმეტი ღირებულება დამატებითს პოტენციურ ფულად კაპიტალად გარდაიქმნას და რიგრიგობით ისევ გადაისვრიან მიმოქცევაში ახლადშექმნილ ფულად კაპიტალს როგორც ყიდვის საშუალებას.

ერთადერთი, რაც აქ ივარაუდება, ის არის, რომ რომელიმე ქვეყანაში არსებული ფულის რაოდენობა (ტრიალის სისწრაფე და სხვ. უცვლელად არის ნაგულისხმევი) საკმარისია როგორც აქტიური მიმოქცევისათვის, ისე სარეზერვო განძის შესაქმნელად; მაშასადამე, ეს იგივე ვარაუდია, რაც, როგორც ჩვენ დავინახეთ, მარტივი საქონელმიმოქცევის შემთხვევაშიც უნდა განხორციელდეს. მიოლოდ განძის ფუნქცია აქ სხვაგვარია. გარდა ამისა, არსებული ფულის რაოდენობა მეტი უნდა იყოს: 1) იმიტომ რომ კაპიტალისტური წარმოების პირო-

ბებში ყოველი პროდუქტი (ახლად წარმოებული ძვირფასი ლითონისა და თვით მწარმოებლის მიერ მოხმარებული მცირეოდენი პროდუქტების გამოკლებით) იწარმოება საქონლის სახით, მაშასადამე, მან ფულის ჭუპრად გარდაქმნა უნდა განვლოს; 2) იმიტომ, რომ კაპიტალისტურ საფუძველზე საქონლური კაპიტალის მასა და მისი ღირებულების სიდიდე არათუ აბსოლუტურად უფრო დიდია, არამედ შეუდარებლად უფრო დიდი სისწრაფითაც იზრდება; 3) მუდამ უფრო და უფრო მზარდი ცვალებადი კაპიტალი ყოველთვის ფულად კაპიტალად უნდა გარდაიქმნას; 4) იმიტომ, რომ ახალი ფულადი კაპიტალების შექმნა ფეხდაფეხ მიჰყვება წარმოების გაფართოებას, მაშასადამე, უნდა მოიპოვებოდეს მასალაც ამ ფულადი კაპიტალების დაგროვებისათვის განძის ფორმით.—თუ ეს ყოველ შემთხვევაში ძალაშია კაპიტალისტური წარმოების პირველი ფაზის მიმართ, როდესაც საკრედიტო სისტემასაც კი უპირატესად ლითონური მიმოქცევა ახლავს თან, — მაშინ იგი ძალაშია საკრედიტო სისტემის უაღრესად განვითარებული ფაზის მიმართაც, რამდენადაც მის საფუძვლად ლითონური მიმოქცევა რჩება. ერთი მხრივ, ძვირფას ლითონთა დამატებით წარმოებას, რამდენადაც იგი რიგრიგობით ხან უხვია და ხან მცირე, შეუძლია დამრღვევი გავლენა იქონიოს საქონელთა ფასებზე არათუ შედარებით ხანგრძლივ პერიოდებში, არამედ ფრიად მოკლე პერიოდებშიც; მეორე მხრივ, კრედიტის მთელი მექანიზმი მუდამ იქითკენაა წარმართული, რომ ყოველგვარი ოპერაციების, მეთოდების, ტექნიკურ მოწყობილობათა მეოხებით ნამდვილი ლითონური მიმოქცევა შეფარდებით სულ უფრო კლებად მინიმუმზე დაიყვანოს, რის გამოც შესაბამისად იზრდება მთელი მექანიზმის ხელოვნურობა და მატულობს მისი ნორმალური მსვლელობის დარღვევის შანსებიც.

შესაძლებელია, რომ სხვადასხვა *B*, *B′*, *B″* და სხვ. კაპიტალისტებმა (I), რომელთა პოტენციური ახალი ფულადი კაპიტალი როგორც აქტიური კაპიტალი მოქმედებას იწყებს, თავიანთი პროდუქტები (თავიანთი ზედმეტი პროდუქტის ნაწილები) ერთმანეთისგან უნდა იყიდონ და ერთმანეთს უნდა მიჰყიდონ. საქმის ნორმალური მსვლელობისას ფული, რომელიც ავანსებულია ზედმეტი პროდუქტის მიმოქცევისათვის, pro tanto უკან უბრუნდება სხვადასხვა *B*-ს, უბრუნდება იმავე პროპორციით, რომლითაც მათ ეს ფული ავანსად გაიღეს თავიანთ შესაბამის საქონელთა მიმოქცევისათვის. თუ ფული მიმოიქცევა როგორც გადახდის საშუალება, მაშინ ფულით გადასახდელი იქნება მხოლოდ სხვაობა, რამდენადაც ურთიერთ ყიდვა-გაყიდვათა აქტები ერთმანეთს არ ფარავენ. მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველ-

გან, როგორც ჩვენ აქ ჩავდივართ, უწინარეს ყოვლისა ვიგულისხმოთ ლითონური მიმოქცევა მისი უმარტივესი თავდაპირველი ფორმით, იმიტომ რომ ამის მეოხებით ფულის მიქცევ-მოქცევა, ბალანსის გაწონასწორება, მოკლედ—ყველა მომენტი, რომელიც საკრედიტო სისტემაში გვევლინება როგორც შეგნებულად რეგულირებული მოვლენები, აქ წარმოგვიდგება როგორც საკრედიტო სისტემისგან დამოუკიდებელი, და მთელი საქმე გვევლინება თავისი ჯერ კიდევ განუვითარებელი ფორმით, და არა მერმინდელი ანარეკლი ფორმით.

3) დამატებითი ცვალებადი კაპიტალი

რადგან ჩვენ აქამდე მხოლოდ დამატებითს მუდმივ კაპიტალს ვარკვევდით, ახლა დამატებითი ცვალებადი კაპიტალის განხილვას უნდა მივმართოთ.

I წიგნში დაწვრილებით იყო გარკვეული, თუ როგორ ხდება, რომ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე სამუშაო ძალა ყოველთვის მარაგის სახით მოიპოვება, და როგორ შეიძლება საჭიროების შემთხვევაში მეტი შრომის ამოქმედება დასაქმებული მუშების რიცხვის ანუ სამუშაო ძალის რაოდენობის გაუდიდებლად. ამიტომ საჭირო აღარაა ამაზე მეტ ხანს შეეჩერდეთ; ჩვენ, პირიქით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლად წარმოქმნილი ფულადი კაპიტალის ნაწილი, ცვალებად კაპიტალად გარდასაქმნელი, ყოველთვის პოულობს სამუშაო ძალას, რადაც იგი უნდა გარდაიქმნას. ასევე I წიგნში გარკვეული იყო, თუ როგორ შეუძლია მოცემულ კაპიტალს დაუგროვებლად გააფართოოს გარკვეულ ფარგლებში თავისი წარმოების მოცულობა. მაგრამ აქ ლაპარაკია კაპიტალის დაგროვებაზე სპეციფიკური აზრით, ასე რომ წარმოების გაფართოება გაპირობებულია ზედმეტი ღირებულების გარდაქმნით დამატებით კაპიტალად, მაშასადამე, გაპირობებულია კაპიტალის გადიდებითაც, რაც წარმოების საფუძველს წარმოადგენს.

ოქროს მწარმოებელს შეუძლია თავისი ოქროს სახით არსებული ზედმეტი ღირებულების ნაწილი დააგროვოს როგორც პოტენციური ფულადი კაპიტალი; როგორც კი ეს ფულადი კაპიტალი საჭირო სიდიდეს მიაღწევს, ოქროს მწარმოებელს შეუძლია იგი უშუალოდ გარდაქმნას ახალ ცვალებად კაპიტალად, ამისათვის მას არ სჭირდება წინასწარ თავისი ზედმეტი პროდუქტის გაყიდვა; ასევე შეუძლია მას ეს ფულადი კაპიტალი გარდაქმნას მუდმივი კაპიტალის ელემენტებად. მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში მან უნდა იპოვოს თავისი მუდ-

მივი კაპიტალის ეს ნივთობრივი ელემენტები, ამასთან სულ ერთია, თვითეული მწარმოებელი ჯერ მარაგად აწარმოებს და შემდეგ მზა საქონელს ბაზარზე გაიტანს, როგორც ამას აქამდე ვგულისხმობდით, თუ დაკვეთით მუშაობს. ორივე შემთხვევაში იგულისხნება წარმოების რეალური გაფართოება, ე. ი. იგულისხმება ზედმეტი პროდუქტი, რომელიც პირველ შემთხვევაში არსებობს ნამდვილად, მეორე შემთხვევაში არსებობს პოტენციურად, ისეთი სახით, რომ მისი ჩაბარება შეიძლება.

II. დაგროვება II ქვედანაყოფში

აქამდე ჩვენ ვგულისხმობდით, რომ *A*, *A'*, *A''* კაპიტალისტები (I) თავიანთ ზედმეტ პროდუქტს მიჰყიდიან *B*, *B'*, B'' კაპიტალისტებს და სხვ., რომელნიც იმავე I ქვედანაყოფს ეკუთვნიან. მაგრამ, ვთქვათ, *A* (I) ფულად აქცევს თავის ზედმეტ პროდუქტს იმ გზით, რომ მან ეს პროდუქტი II ქვედანაყოფს *B* მიჰყიდა. ეს შეიძლება მოხდეს ნხოლოდ იმის მეოხებით, რომ *A* (I), როცა მან *B* (II)-ს წარმოების საშუალებანი მიჰყიდა, არ ყიდულობს შემდეგ მოხმარების საშუალებებს; მაშასადამე, ეს შეიძლება მოხდეს იმის გამო, რომ *A* (I) მხრივ ადგილი აქვს მხოლოდ ცალმხრივ გაყიდვას. და თუ II_c მხოლოდ იმ გზით შეიძლება საქონლური ფორმიდან მწარმოებლური მუდმივი კაპიტალის ნატურალურ ფორმად გარდაიქმნას, რომ არა მარტო I_v, არაფერად აგრეთვე ნაწილი მაინც I_m-ისა გაიცვლება მოხმარების საშუალებათა ფორმით არსებული II_c ნაწილზე; მაგრამ თუ *A* თავის I_m იმით აქცევს ფულად, რომ ეს გარდაქმნა არ შესრულდება, და ჩვენ *A*-ს, პირიქით, თავისი I_m-ის გაყიდვით II-ისგან მიღებული ფული მიმოქცევიდან გამოაქვს, ნაცვლად იმისა, რომ მოხმარების საშუალებების II_c საყიდლად გამოიყენოს, — მაშინ, მართალია, ადგილი აქვს *A* (I)-ის მხარეზე დამატებითი პოტენციური ფულადი კაპიტალის შექმნას, მაგრამ მეორე მხარეზე იმყოფება საქონლური კაპიტალის ფორმით შეჩერებული ღირებულების სიდიდის მხრივ ტოლი ნაწილი *B* (II)-ის მუდმივი კაპიტალისა, და ამ ნაწილს არ შეუძლია გარდაიქმნას მწარმოებლური მუდმივი კაპიტალის ნატურალურ ფორმად. სხვა სიტყვებით: გაუსაღებელი რჩება *B* (II)-ის საქონელთა ნაწილი, და ამასთან prima facie ის ნაწილი, რომლის გაუყიდავად *B* (II)-ს არ შეუძლია თავისი მუდმივი კაპიტალი მთლიანად უკუგარდაქმნას მწარმოებლურ ფორმად. ამიტომ ამ ნაწილის მიმართ ადგი-

ლი აქვს ჭარბწარმოებას, რომელიც, ამავე ნაწილის მიმართ აბრკოლებს კვლავწარმოებას უცვლელი მასშტაბითაც კი.

მაშასადამე, თუმცა ამ შემთხვევაში დამატებითი პოტენციური ფულადი კაპიტალი *A* (I) მხარეზე წარმოადგენს ზედმეტ პროდუქტს (ზედმეტ ღირებულებას), რომელსაც ფულის ფორმა აქვს მიღებული, მაგრამ ზედმეტი პროდუქტი (ზედმეტი ღირებულება), განხილული როგორც ასეთი, ამ შემთხვევაში არის მარტივი კვლავწარმოების მოვლენა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის გაფართოებული მასშტაბით მიმდინარე კვლავწარმოების მოვლენა. $I_{(v+m)}$ — რომლისათვის ძალაშია ეს დებულება ყოველ შემთხვევაში *m*-ის გარკვეული ნაწილის მიმართ მაინც—ბოლოს და ბოლოს უნდა გაიცვალოს II_c-ზე, რათა II_c კვლავწარმოება უცვლელი მასშტაბ-თ წარიმართოს. *A* (I)-მა, იმით, რომ *B* (II)-ს თავისი ზედმეტი ღირებულება მიჰყიდა, ჩაბარა მას ნატურალური ფორმით მუდმივი კაპიტალის ღირებულების შესაბამისი ნაწილი, მაგრამ იმით, რომ მიმოქცევიდან ფული გამოიტანა და თავისი გაყიდვა არ შეავსო შემდგომი ყიდვის გზით, შეუძლებელი გახადა *B* (II)-ის იმავე ღირებულების საქონელთა ნაწილის გაყიდვა. მაშასადამე, თუ ჩვენ მიედველობაში მივიღებთ ერთობლივ საზოგადოებრივ კვლავწარმოებას, რომელიც თანაბრად მოიცავს I და II ქვედანაყოფთა კაპიტალისტებს,—*A* (I)-ის ზედმეტი პროდუქტის გარდაქმნა პოტენციურ ფულად კაპიტალად იმას გამოხატავს, რომ *B* (II)-ის საქონლური კაპიტალის ნაწილისათვის—ღირებულებით ტოლი ნაწილისათვის — შეუძლებელია უკუგარდაქმნა მწარმოებლურ (მუდმივ) კაპიტალად; მაშასადამე, გამოხატავს არა გაფართოებული მასშტაბით წარმოების წარმართვის შესაძლებლობას, არამედ მარტივი კვლავწარმოების დაბრკოლებას, მაშასადამე, დეფიციტს მარტივ კვლავწარმოებაში. რადგან *A* (I)-ის ზედმეტი პროდუქტის შექმნა და მისი გაყიდვა მარტივი კვლავწარმოების ნორმალური მოვლენებია, ამიტომ ჩვენ აქ უკვე მარტივი კვლავწარმოების საფუძველზე გვაქვს შემდეგი ერთიმეორის გამაპირობებელი მოვლენები: პოტენციური დამატებითი ფულადი კაპიტალის წარმოქმნა I ქვედანაყოფში (ამიტომ არასაკმაო მოხმარება II-ის თვალსაზრისით); შეჩერება II ქვედანაყოფში საქონლური მარაგისა, რომლის უკუგარდაქმნა მწარმოებლურ კაპიტალად შეუძლებელია (მაშასადამე, შეფარდებიდი ჭარბწარმოება II-ში); მოჭარბებული ფულადი კაპიტალი I-თან და დეფიციტი კვლავწარმოებაში II-თან.

არ შევჩერდებით მეტ ხანს ამ პუნქტზე და შევნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: მარტივი კვლავწარმოების გამოსახვის დროს იგულისხმებო-

და, რომ I და II ქვედანაყოფთა მთელი ზედმეტი ღირებულება იხარჯება როგორც შემოსავალი. მაგრამ სინამდვილეში ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილი იხარჯება როგორც შემოსავალი, მეორე ნაწილი კი კაპიტალად გარდაიქმნება. მხოლოდ ასეთი წანამძღვარის პირობებში აქვს ადგილი ნამდვილ დაგროვებას. ის, რომ დაგროვება თითქოს მოხმარების ხარჯზე ხდება, თავისთავად — ასე ზოგადად გაგებული — ილუზიაა, რაც კაპიტალისტური წარმოების არსს ეწინააღმდეგება, რადგან ამით იგულისხმება, რომ ამ წარმოების მიზანს და მამოძრავებელ მოტივს თითქოს მოხმარება შეადგენს და არა ზედმეტი ღირებულების მიღება და მისი კაპიტალიზაცია, ე. ი. დაგროვება.

განვიხილოთ ახლა ცოტა უფრო დაწვრილებით დაგროვება II ქვედანაყოფში.

პირველი სიძნელე II_c მიმართ, ე. ი. II საქონლური კაპიტალის შემადგენელი ნაწილიდან II მუდმივი კაპიტალის ნატურალურ ფორმად უკუგარდაქმნის მიმართ ეხება მარტივ კვლავწარმოებას. ავიღოთ წინანდელი სქემა:

$(1\,000_v + 1\,000_m)$ I გაიცვლება

2 000 II_c-ზე.

თუ, მაგალითად, I ზედმეტი პროდუქტის ნახევარი, მაშასადამე, $\frac{1\,000}{2}m$, ანუ 500 I_m, ხელახლა ჩაერთვის I ქვედანაყოფში მუდმივი კაპიტალის სახით, მაშინ ზედმეტი პროდუქტის ამ ნაწილს, I-ში დაკავებულს, II_c არავითარი ნაწილის ანაზღაურება არ შეუძლია. ნაცვლად იმისა, რომ მოხმარების საშუალებებად გარდაიქმნას (და აქ მიმოქცევის ამ ქვედანაყოფში—განსხვავებით 1 000 II_c ანაზღაურებისაგან 1 000 I_v-ით, რაც I მუშების მოსაშუალეობით ხდება—ადგილი აქვს I-სა და II-ს შორის ნამდვილ ურთიერთგაცვლას, მაშასადამე, საქონელთა ორმხრივ ადგილცვლას) ეს ნაწილი წარმოების დამატებითი საშუალებების სახით უნდა გამოიყენონ თვით I ქვედანაყოფში. მას არ შეუძლია ეს ფუნქცია იმავდროულად შეასრულოს I-სა და II-ში. კაპიტალისტს არ შეუძლია თავისი ზედმეტი პროდუქტის ღირებულება მოხმარების საშუალებებზე დახარჯოს და იმავე დროს თვით ზედმეტი პროდუქტი მწარმოებლურად მოიხმაროს, ე. ი. თავის მწარმოებლურ კაპიტალს შეუერთოს. ამრიგად, 2 000 $I_{(v+m)}$ ნაცვლად მხოლოდ 1 500, სახელდობრ $(1\,000_v + 500_m)$ I შეიძლება გაიცვალოს 2 000 II_c-ზე; მაშასა-

დამე, 500 II_c არ შეიძლება მათი საქონლური ფორმიდან უკუგარდაიქმნას II მწარმოებლურ (მუდმივ) კაპიტალად. ამგვარად, II-ში ადგილი ექნებოდა ჭარბწარმოებას, რაც თავისი მოცულობით ზუსტად შესაბამისი იქნებოდა წარმოების იმ გაფართოებისა, რომელიც I-ში მოხდა. ჭარბწარმოებას II-ში შეიძლება ისე ძლიერ ემოქმედნა I-ზე, რომ I-ის მუშების მიერ II-ის მოხმარების საშუალებებზე დახარჯული 1 000-იც კი მთლიანად ნაწილობრივ დაბრუნებულიყო უკან, მაშასადამე, ეს 1000 არ დაბრუნებოდა I კაპიტალისტებს ცვალებადი ფულადი კაპიტალის ფორმით. ამ კაპიტალისტებისათვის უცვლელი მასშტაბით კვლავწარმოებაც კი გაძნელდებოდა, და ამასთან მისი გაფართოების მარტოოდენ ცდის გამო. თანაც მხედველობაში მისაღებია, რომ I-ში ფაქტიურად ადგილი ჰქონდა მხოლოდ მარტივ კვლავწარმოებას და რომ მისი ელემენტები, როგორც ჩვენს სქემაშია წარმოდგენილი, მხოლოდ სხვაგვარად არის დაჯგუფებული მომავალში — ვთქვათ, შემდგომ წელში — მისი გაფართოების მიზნით.

შეიძლებოდა ამ სიძნელისთვის გვერდის ავლა ამგვარად ეცადათ: 500 II_c, რომელიც საწყობში ულაგია კაპიტალისტებს და რომელიც არ შეიძლება უშუალოდ გარდაიქმნას მწარმოებლურ კაპიტალად, სრულიადაც არ მოასწავებს ჭარბწარმოებას, არამედ, პირიქით, წარმოადგენს კვლავწარმოების აუცილებელ ელემენტს, რომლისათვის ჩვენ აქამდე ყურადღება არ მიგვიქცევია. ჩვენ დავინახეთ, რომ ფულის მარაგი უნდა დაგროვდეს მრავალ პუნქტზე, მაშასადამე, ფული მიმოქცევიდან გამოტანილ უნდა იქნას ნაწილობრივ იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ახალი ფულადი კაპიტალის შექმნა თვით I ქვედანაყოფში, ნაწილობრივ კი იმისათვის, რომ ღირებულება ძირითადი კაპიტალისა, რომელიც თანდათანობით მოიხმარება, დროებით ფულად ფორმაში შეჩერდეს. მაგრამ რადგან ჩვენს სქემაში იმთავითვე იგულისხმება, რომ ყველა ფული და ყველა საქონელი მხოლოდ და მხოლოდ I და II ქვედანაყოფთა კაპიტალისტების ხელში იმყოფება, და რომ ამასთან არ არსებობენ არც ვაჭრები, არც ფულით მოვაჭრენი, არც ბანკირები, არც ისეთი კლასები, რომელნიც მხოლოდ მოიხმარებენ და უშუალო მონაწილეობას არ იღებენ საქონელთა წარმოებაში, — ამიტომ იმისათვის, რათა კვლავწარმოების მექანიზმი ყოველთვის მოქმედებაში იყოს, აქ აუცილებელია მუდამ საქონლის მარაგის დაგროვება თვით სათანადო მწარმოებელთა ხელში. მაშასადამე, 500 II_c, რომელიც II ქვედანაყოფის კაპიტალისტების საწყობებში დევს, წარმოადგენს მოხმარების საშუალებათა საქონლის მარაგს, რაც უზრუნველყოფს კვლავწარმოებით ნაგულისხმევი მოხმა-

რების პროცესის უწყვეტობას, მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში უზრუნველყოფს ერთი წლიდან მეორე წელზე გადასვლას. მოხმარების ფონდი, რომელიც აქ ჯერ კიდევ მისი გამყიდველების და ამასთანავე მწარმოებლების ხელში იმყოფება, არ შეიძლება მიმდინარე წელს შემცირდეს ნულამდე, ასე რომ მომდევნო წელი ნულით დაიწყოს,— ისევე როგორც არ შეიძლება ამას ადგილი ჰქონდეს დღევანდელი დღიდან ხვალინდელზე გადასვლისას. რადგან ასეთი საქოხლური მარაგი ყოველთვის მუდამ ახლად და ახლად უნდა იქმნებოდეს, თუმცა ცვალებადი მოცულობით, — ამიტომ ჩვენს II კაპიტალისტურ მწარმოებლებს უნდა ჰქონდეთ სათადარიგო ფულადი კაპიტალი, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს უწყვეტად განაგრძონ წარმოების პროცესი, თუნდაც რომ მათი მწარმოებლური კაპიტალის ნაწილი დროებით საქონლურ ფორმაში შეჩერდეს. მათ ხომ, ნაგულისხმევის თანახმად, შეერთებული აქვთ თავიანთ ხელში მთელი ვაჭრობის საქმე. წარმოების საქმესთან; მაშასადამე, მათ უნდა ჰქონდეთ თავიანთ განკარგულებაში ის დამატებითი ფულადი კაპიტალიც, რომელიც, მას შემდეგ, რაც კვლავწარმოების პროცესის ცალკეული ფუნქციები სხვადასხვა კატეგორიის კაპიტალისტთა დამოუკიდებელ ფუნქციათა სახით გამოცალკევდება, ვაჭრების ხელში აღმოჩნდება.

ამის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას შემდეგი: 1) მარაგის ასეთ შექმნას და მის აუცილებლობას მნიშვნელობა აქვს ყველა როგორც I, ისე II ქვედანაყოფის კაპიტალისტისთვის. როგორც საქონლის უბრალო გამყიდველნი, ისინი ერთიმეორისაგან მხოლოდ იმით განირჩევიან, რომ სივადასხვაგვარ საქონელს ყიდიან. საქონლის მარაგი II-ში გულისხმობს საქონლის წინასწარ მარაგს I-ში. თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ ამ მარაგს ერთ მხარეზე, ასევე უნდა მოვიქცეთ მეორე მხარის მიმართაც. ხოლო თუ მას ჩვენ მხედველობაში მივიღებთ ორივე მხარეზე, ამით პრობლემა სრულიად არ შეიცვლება. — 2) როგორც მიმდინარე წელი თავდება საქონლური მარაგით II ქვედანაყოფში შემდგომი წლისთვის, ასევე იგი დაიწყო იმავე II ქვედანაყოფში საქონლის მარაგით, რომელიც მას გადმოეცა წინა წლისაგან. მაშასადამე, მის უაღრესად აბსტრაქტულ გამოსახულებაზე დაყვანილი წლიური კვლავწარმოების ანალიზის დროს ჩვენ ორივე შემთხვევაში უნდა წავშალოთ საქონლის მარაგი. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ მიმდინარე წელს ეკუთვნის მთელი მისი წარმოება, მაშასადამე, ის ნაწილიც, რომელსაც იგი შემდგომ წელს გადასცემს, მაგრამ, მეორე მხრივ, მას გამოვაკლებთ საქონლის მარაგს, რომელიც მან წინა წლისაგან მიიღო, ამით ჩვენ სინამდვილეში მივიღებთ ჩვენი

ანალიზის საგნად ერთობლივ საშუალო წლიურ პროდუქტს. — 3) ის უბრალო გარემოება, რომ მარტივი კვლავწარმოების განხილვისას ჩვენ არ წავწყდომივართ იმ სიძნელეს, რომელიც ახლა უნდა დავძლიოთ, ამტკიცებს, რომ აქ საქმე გვაქვს ისეთ სპეციფიკურ მოვლენასთან, რომელიც I ელემენტების სხვაგვარი დაჯგუფებითაა (კვლავწარმოების მიმართ) გამოწვეული: შეცვლილი დაჯგუფებით, ურომლისოდაც საერთოდ შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს კვლავწარმოებას გაფართოებული მასშტაბით.

III. დაგროვების ძველმატური გამოსახვა

განვიხილოთ ახლა კვლავწარმოება შემდეგი სქემის მიხედვით:

$$\text{სქემა a)} \quad \left.\begin{array}{l} \text{I.}\ 4\,000_c + 1\,000_v + 1\,000_m = 6\,000 \\ \text{II.}\ 1\,500_c + 376_v + 376_m = 2\,252 \end{array}\right\} \text{ჯამი} = 8\,252.$$

უწინარეს ყოვლისა ვამჩნევთ, რომ წლიური საზოგადოებრივი პროდუქტის ერთობლივი ჯამი, = 8 252, ნაკლებია, ვიდრე პირველ სქემაში იყო, სადაც იგი უდრიდა 9 000. ჩვენ სრულიად ასევე შეგვეძლო აგვეღო გაცილებით უფრო დიდი ჯამი, ვთქვათ, გაათკეცებული. ჩვენ ავირჩიეთ უფრო პატარა ჯამი, ვიდრე I სქემაშია, სწორედ იმის ნათელსაყოფად, რომ კვლავწარმოება გაფართოებული მასშტაბით (რომელიც ამ შემთხვევაში გვესმის მხოლოდ როგორც უფრო დიდი კაპიტალდაბანდებით წარმართული წარმოება) არავითარ კავშირში არ იმყოფება პროდუქტის აბსოლუტურ სიდიდესთან, რომ საქონელთა მოცემული მასისთვის იგი გულისხმობს მხოლოდ მოცემული პროდუქტის სხვადასხვა ელემენტის სხვაგვარ დალაგებას ანუ სხვაგვარ ფუნქციურ დანიშნულებას, მაშასადამე, ღირებულების სიდიდის მიხედვით იგი თავდაპირველად წარმოადგენს მხოლოდ მარტივ კვლავწარმოებას. იცვლება მარტივი კვლავწარმოების მოცემული ელემენტების არა რაოდენობა, არამედ თვისებრივი დანიშნულება, და ასეთი ცვლილება მატერიალურ წანამძღვარს წარმოადგენს მომდევნო შემდგომი გაფართოებული მასშტაბით კვლავწარმოებისათვის [58].

---

[58] ეს ერთხელ და სამუდამოდ დასასრულს აძლევს იმ დავას კაპიტალის დაგროვების შესახებ ჯამს მილსა და ს. ბეილის შორის, რომელიც I წიგნში (თავი XXII, შენიშ. 65) სხვა თვალსაზრისით იყო განხილული; სახელდობრ დავას სამრეწველო კაპიტალის მოქმედების გაფართოების შესაძლებლობის შესახებ ამ კაპიტალის სიდიდის უცვლელობისას. შემდგომ უნდა დავუბრუნდეთ ამას.

ჩვენ შეგვეძლო სქემა სხვაგვარად გამოგვესახა ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის სხვაგვარი შეფარდების საფუძველზე; მაგალითად, ასე:

$$\text{სქემა b)} \quad \left.\begin{array}{l} \text{I.}\ \ 4\,000_c + 875_v + 875_m = 5\,750 \\ \text{II.}\ \ 1\,750_c + 376_v + 376_m = 2\,502 \end{array}\right\} \text{ ჯამი} = 8\,252.$$

ამ შემთხვევაში სქემას მარტივი კვლავწარმოების თარგზე გამოჭრილი სახე მიეცემოდა, ასე რომ ზედმეტი ღირებულება მთლიანად დაიხარჯებოდა როგორც შემოსავალი, იგი არ დაგროვდებოდა. ორივე შემთხვევაში, როგორც a)-ში, ისე b)-ში, ჩვენ გვაქვს ერთი და იმავე ღირებულების წლიური პროდუქტი, მხოლოდ b) შემთხვევაში მისი ელემენტები მათი ფუნქციების მიხედვით ისეა დაჯგუფებული, რომ კვლავწარმოება ხელახლა იწყება წინანდელი მასშტაბით, მაშინ როდესაც a) შემთხვევაში იქმნება გაფართოებული მასშტაბით კვლავწარმოების მატერიალური საფუძველი. სახელდობრ b) სქემაში (875$_v$ + + 875$_m$) I = 1 750 I$_{(v+m)}$ უნაშთოდ გაიცვლება 1 750 II$_c$-ზე, მაშინ როდესაც a) სქემაში (1 000$_v$ + 1 000$_m$) I = 2 000 I$_{(v+m)}$, როცა 1 500$_c$-ზე გაიცვლება ტოვებს ნაშთს 500 I$_m$-ს I ქვედანაყოფში დასაგროვებლად.

ახლა გადავიდეთ a) სქემის უფრო დაწვრილებითს ანალიზზე. წარმოვიდგინოთ, რომ როგორც I-ში, ისე II-ში ზედმეტი ღირებულების ნახევარი არ იხარჯება შემოსავლის სახით, არამედ გროვდება, ე. ი. დამატებითი კაპიტალის ელემენტად იქცევა. რადგან 1 000 I$_m$-ის ნახევარი = 500 უნდა დაგროვდეს ამა თუ იმ ფორმით, დაბანდდეს როგორც დამატებითი ფულადი კაპიტალი, ე. ი. დამატებითს მწარმოებლურ კაპიტალად უნდა გარდაიქმნას, ამიტომ შემოსავლის სახით დაიხარჯება მხოლოდ (1 000$_v$ + 500$_m$) I. ამიტომ II$_c$ ნორმალურ სიდიდედ აქ აღნიშნულია კიდევ მხოლოდ 1 500. 1 500 I$_{(v+m)}$-სა და 1 500 II$_c$ შორის გაცვლა აღარ საჭიროებს შემდგომ გამოკვლევას, იმიტომ რომ ჩვენ იგი უკვე ავწერეთ როგორც მარტივი კვლავწარმოების პროცესი; ასევე აღარაა განსახილველი 4 000 I$_c$, იმიტომ რომ მისი ხელახალი დალაგება ახლად დასაწყები კვლავწარმოებისათვის (რომელიც ამ შემთხვევაში გაფართოებული მასშტაბით წარიმართება) ჩვენ აგრეთვე განვიხილეთ როგორც მარტივი კვლავწარმოების პროცესი.

ამრიგად, გამოსაკვლევი გვრჩება მხოლოდ შემდეგი: 500 I$_m$ და (376$_v$ + 376$_m$) II, რამდენადაც საქმისათვის მხედველობაში მისაღებია,

ერთი მხრივ, შინაგანი შეფარდებანი როგორც I-ში, ისე II-ში, და, მეორე მხრივ, მოძრაობა ორთავეს შორის. რადგან იგულისხმება, რომ II-შიც ზედმეტი ღირებულების ნახევარი უნდა გროვდებოდეს, ამიტომ აქ კაპიტალად გარდასაქმნელია 188, აქედან ცვალებად კაპიტალად $^1/_4 = 47$, რიცხვის დასამრგვალებლად, ვთქვათ, 48; დანარჩენი 140 უნდა გარდაიქმნას მუდმივ კაპიტალად.

აქ ჩვენ წინაშე დგება ერთი ახალი პრობლემა; ამ პრობლემის არსებობაც კი უცნაურად უნდა ეჩვენოს გავრცელებულ შეხედულებას, რომლის თანახმად ერთი სახის საქონელი გაიცვლება ხოლმე მეორე სახის საქონელზე, ანუ, რაც იგივეა, საქონელი გაიცვლება ფულზე და ეს ფული ხელახლა გაიცვლება სხვა სახის საქონელზე. ეს 140 II_m მხოლოდ იმიტომ შეიძლება მწარმოებლურ კაპიტალად გარდაიქმნეს, რომ იგი იმავე ღირებულების ჯამის I_m საქონელთა ნაწილით ანაზღაურდება. თავისთავად გასაგებია, რომ II_m-ზე გასაცვლელი ნაწილი I_m-ისა უნდა შედგებოდეს წარმოების საშუალებათაგან, რომლებსაც შეუძლიათ შევიდნენ როგორც I-ის, ისე II-ის წარმოებაში, ანდა მხოლოდ და მხოლოდ II-ის წარმოებაში. ეს ანაზღაურება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ცალმხრივი ყიდვის მეოხებით II-ის მხრივ, რადგან მთელი ის ზედმეტი პროდუქტი, — 500 I_m, რომელიც ჯერ კიდევ განსახილველი გვრჩება, უნდა ემსახურებოდეს დაგროვებას I-ის ფარგლებში, მაშასადამე, ვერ გაიცვლება II-ის საქონელზე; სხვა სიტყვებით, I არ შეუძლია იგი იმავდროულად დააგროვოს კიდეც და შეჯამოს კიდეც. მაშასადამე, II-მ უნდა იყიდოს 140 I_m ნაღდ ფულზე, ამასთან ეს ფული მას არ დაუბრუნდება უკან შემდგომი გაყიდვის მეოხებით, როცა იგი თავის საქონელს I მიჰყიდის. და ეს პროცესი, რამდენადაც იგი გაფართოებული მასშტაბით კვლავწარმოებაა, მეორდება მუდმივად, ყოველი ახალი წლიური წარმოების დროს. სად არის II-ში საამისო ფულის წყარო?

II, პირიქით, ეტყობა, სრულიად უნაყოფო ნიადაგს წარმოადგენს ახალი ფულადი კაპიტალის წარმოქმნისათვის, რაც თან ახლავს ნამდვილ დაგროვებას და რაც კაპიტალისტური წარმოების პირობებში ამ დაგროვებას განაპირობებს, ამასთან ფაქტიურად ახალი ფულადი კაპიტალის ეს წარმოქმნა დასაწყისში უბრალოდ განძის შექმნის სახით გვევლინება.

თავდაპირველად ჩვენ გვაქვს 376 II_v; 376 ფულადი კაპიტალი, სამუშაო ძალისთვის ავანსებული, II-ის საქონელთა შესყიდვის გზით II-ის კაპიტალისტს ცვალებადი კაპიტალი მუდამ უკან უბრუნდება ფულადი ფორმით. ეს მუდმივად განმეორებული განწორება ამოსავა-

ლი პუნქტიდან — კაპიტალისტის ჯიბიდან — და უკუდაბრუნება მასთან სრულიადაც არ ადიდებს ამ წრებრუნვაში მოტრიალე ფულის რაოდენობას, მაშასადამე, ეს არ წარმოადგენს ფულის დაგროვების წყაროს; ეს ფული არ შეიძლება აგრეთვე გამოეცალოს მიმოქცევას იმისთვის, რომ წარმოქმნას განძის სახით დაგროვილი პოტენციური ახალი ფულადი კაპიტალი.

მაგრამ მოითმინეთ! ხომ არ შეიძლება აქ რაიმე მოგების მოხვეჭა?

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ II ქვედანაყოფს ის უპირატესობა აქვს I ქვედანაყოფის წინაშე, რომ მასთან დასაქმებულმა მუშებმა ისევ უნდა იყიდონ მისგან თვით მათ მიერ წარმოებული საქონელი. II ქვედანაყოფი სამუშაო ძალის მყიდველია და ამასთან ერთად გამყიდველიც, რამდენადაც მან საქონელი უნდა მიჰყიდოს ამ ქვედანაყოფში გამოყენებული სამუშაო ძალის მფლობელთ. მაშასადამე, II ქვედანაყოფს შეუძლია:

1) — და ეს მას საერთო აქვს I ქვედანაყოფის კაპიტალისტებთან — უბრალოდ დასწიოს ხელფასი მის ნორმალურ საშუალო დონეზე დაბლა. ამით განთავისუფლდება ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმით მოქმედი ფულის ნაწილი, რომელიც შეიძლებოდა, იმავე პროცესის მუდმივი განმეორებისას, გამადარიყო II ქვედანაყოფში განძისა და, მაშასადამე, პოტენციური დამატებითი ფულადი კაპიტალის შექმნის ნორმალური წყარო. რასაკვირველია, აქ, სადაც კაპიტალის ნორმალურ წარმოქმნაზეა ლაპარაკი, ჩვენ საქმე არა გვაქვს მოტყუებით წარმომდგარ შემთავევით მოგებასთან. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნამდვილად გადასახდელი ნორმალური ხელფასი (რაც ceteris paribus [სავა თანაბარ პირობებში] ცვალებადი კაპიტალის სიდიდეს განსაზღვრავს) გადაიხდება სრულიადაც არა კაპიტალისტთა გულკეთილობის გამო, არამედ იმიტომ, რომ არსებულ პირობებში იგი გადახდილ უნდა იქნეს. ამით განმარტების ასეთი წესი უკუგდებულია. თუ ჩვენ ვგულისხმობთ, რომ II-ის მიერ დასახარჯავი ცვალებადი კაპიტალი 376₍ შეადგენს, მაშინ ახლად წამოჭრილი პრობლემის ასაბსნელად ჩვენ აღარ შეგვიძლია უცებ ის ჰიპოთეზა წამოვაყენოთ, რომ ეს ქვედანაყოფი ავანსად გაიღებს, ვთქვათ, მხოლოდ 350₍ და არა 376₍.

2) მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც უკვე ვთქვით, მთლიანად აღებულ II ქვედანაყოფს, ის უპირატესობა აქვს I ქვედანაყოფის წინაშე, რომ იგი სამუშაო ძალის მყიდველია და ამასთანავე ერთად კვლავ გამყიდველია, თავისი საქონელი საკუთარ მუშებს უნდა მიჰყიდოს. და თუ როგორ შეიძლება ამ უპირატესობებით სარგებლობა, — თუ

როგორ შეიძლება ეს მოხდეს, რომ ნორმალურ ხელფასს ნომინალურად გადაიხდიან, ხოლო სინამდვილეში მის ნაწილს უკანვე მიიტაცებენ სათანადო საქონლის ეკვივალენტის გაუღებლად, სხვა სიტყვებით—მუშებს გაძარცვავენ, თუ როგორ შეიძლება ეს მოხდეს ნაწილობრივ trucksystem-ის საშუალებით, ნაწილობრივ მიმოქცევის საშუალებათა ფალსიფიკაციის გზით (თუმცა ეს ფალსიფიკაცია, შესაძლოა, მოუხელებელიც კი იყოს კანონისათვის), — ამის შესახებ უცილობელი ცნობები მოიპოვება ყოველ სამრეწველო ქვეყანაში, მაგალითად, ინგლისსა და შეერთებულ შტატებში. (ამ შემთხვევასთან დაკავშირებით საჭიროა ამ აზრის რამდენადმე მოქარგვა სათანადო მაგალითებით.) ეს იგივე ოპერაციაა, რაც I შემთხვევაში, მხოლოდ შემოვლითი გზითაა შენიღბული და განხორციელებული. მაშასადამე, ესეც ისევე უარსაყოფელია, როგორც ის. აქ ლაპარაკია ხელფასზე, რომელიც გადახდილია არა ნომინალურად, არამედ ნამდვილად.

ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალისტური მექანიზმის ობიექტური ანალიზის დროს არ შეიძლება ის გარკვეული სამარცხვინო ლაქები, რაც ამ მექანიზმს ჯერ კიდევ არაჩვეულებრივად აჩნია, გამოვიყენოთ როგორც საშუალება თეორიულ სიძნელეთა თავიდან მოსაშორებლად. მაგრამ ჩემი ბურჟუაზიული კრიტიკოსების უმრავლესობა უცნაურად გაჰკივის იმის შესახებ, თითქოს მე, მაგალითად, «კაპიტალის» I წიგნში იმ ვარაუდის დაშვებით, რომ კაპიტალისტი სამუშაო ძალის ნამდვილ ღირებულებას იხდის,—რასაც იგი მეტწილად არ სჩადის,—თითქოს უსამართლოდ მოვექეცი ამავე კაპიტალისტს! (აქ შეიძლება შეფლე მოვიხსენიოთ ისეთივე დიდსულოვნებით, რასაც მე მომაწერენ.)

ამრიგად, 376 II_v-ით არაფრის გაკეთება არ შეიძლება აღნიშნული მიზნისთვის.

მაგრამ, როგორც ეტყობა, კიდევ უფრო საეჭვოდაა საქმე 376 II_m მიმართ. აქ პირისპირ უდგანან ერთმანეთს მაოლოდ ერთი და იმავე ქვედანაყოფის კაპიტალისტები, რომლებმაც ერთმანეთს უნდა მიჰყიდონ და ერთმანეთისგან უნდა იყიდონ მათ მიერ წარმოებული მოხმარებბს საშუალებანი. ამ გაცვლისათვის აუცილებელი ფული მოქმედებს მხოლოდ როგორც მიმოქცევის საშუალება და საქმის ნორმალური მსვლელობისას უკანვე უნდა უბრუნდებოდეს მონაწილეებს მათ მიერ მიმოქცეეისთვის ავანსებული თანაის შესაბამისად, რათა სულ კვლავ და კვლავ იგივე გზა განვლოს.

ამ ფულის გამოტანა მიმოქცევიდან პოტენციური დამატებითი ფულადი კაპიტალის შესაქმნელად, ჩანს, მხოლოდ ორი გზით შეიძ-

ლება. ან II კაპიტალისტთა ერთი ნაწილი ატყუებს მეორე ნაწილს და ამგვარად ფულის მტაცებლობას სჩადის. ახალი ფულადი კაპიტალის შესაქმნელად, როგორც ვიცით, მიმოქცევის საშუალებათა არავითარი წინასწარი გამრავლება არაა საჭირო; ამისათვის საჭიროა მხოლოდ ის, რომ გარკვეულმა მაარემ ფული გამოიტანოს მიმოქცევიდან და იგი განძის სახით დააგროვოს. ის გარემოება, რომ ფული შეიძლება მოიპარონ და ამიტომ დამატებითი ფულადი კაპიტალის შექმნა II კაპიტალისტთა ერთი ნაწილის ხელში შეიძლება დაკავშირებული იყოს ფულის პირდაპირ დაკარგვასთან მეორე ნაწილის მხრივ,—ეს გარემოება სრულიად უმნიშვნელოა. საქმისათვის. II ქვედანაყოფის კაპიტალისტთა მოტყუებული ნაწილი იძულებული გახდებოდა ცოტათი ნაკლებ ხელგაშლილად ეცხოვრა, — ეს არის და ეს.

ანდა II_m ნაწილი, რომელიც აუცილებელ საარსებო საშუალებებშია მოქცეული, პირდაპირ გარდაიქმნება ახალ ცვალებად კაპიტალად II ქვედანაყოფის ფარგლებში. თუ როგორ ხდება ეს, ამას ჩვენ გამოვიკვლევთ ამ თავის ბოლოში (№ IV-ში).

1) პირველი მაგალითი

A) მარტივი კვლავწარმოების სქემა.

$$\left.\begin{array}{l} \text{I. } 4\,000_c + 1\,000_v + 1\,000_m = 6\,000 \\ \text{II. } 2\,000_c + 500_v + 500_m = 3\,000 \end{array}\right\} \text{ ჯამი} = 9\,000.$$

B) ამოსავალი სქემა გაფართოებული მასშტაბით, დაგროვებისათვის.

$$\left.\begin{array}{l} \text{I. } 4000_c + 1000_v + 1000_m = 6000 \\ \text{II. } 1500_c + 750_v + 750_m = 3000 \end{array}\right\} \text{ ჯამი} = 9000.$$

თუ ვიგულისხმებთ, რომ *B* სქემაში I-ის ზედმეტი ღირებულების ნახევარი, ე. ი. 500, გროვდება, ჩვენ მივიღებთ უწინარეს ყოვლისა, რომ $(1\,000_v + 500_m)$ I, ანუ 1 500 $I_{(v+m)}$, უნდა ანაზღაურდეს 1 500 II_c-ით; I-ში რჩება შემდეგ $4\,000_c + 500_m$, რომლიდანაც უკანასკნელი უნდა დაგროვდეს. $(1\,000_v + 500_m)$ I-ის ანაზღაურება 1 500 II_c-ით წარმოადგენს მარტივი კვლავწარმოების პროცესს და უკვე განმარტებული იყო ამ უკანასკნელის განხილვის დროს.

დავუშვათ, რომ 500 I_m-იდან 400 უნდა გარდაიქმნას მუდმივ კაპიტალად, 100 — ცვალებადად. I ქვედანაყოფის ფარგლებში გაცვლა 400-ისა, რომელიც კაპიტალიზებულ უნდა იქნეს, უკვე იყო განხილუ-

ლი; ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ეს 400^m პირდაპირ შევუერთოთ I_c, და მაშინ მივიღებთ I-ისთვის:

$4400_c + 1\,000_v + 100_m$ (რომელიც 100_v-ზე უნდა გაიცვალოს).

თავის მხრივ, II ქვედანაყოფი ყიდულობს I ქვედანაყოფისაგან დაგროვების მიზნით ამ 100 I_m (წარმოების საშუალებათა სახით არსებულს), რომელიც ახლა II-ის დამატებითს მუდმივ კაპიტალს შეადგენს, მაშინ როდესაც 100 ფული, რომელსაც იგი ამ წარმოების საშუალებებისათვის იხდის, I-ის დამატებითი ცვალებადი კაპიტალის ფულად ფორმად გარდაიქმნება. მაშინ ჩვენ გვაქვს I-ისთვის კაპიტალი: $4\,400_c + 1\,100_v$ (ეს უკანასკნელი ფულის სახით) = 5 500.

II ახლა აქვს მუდმივი კაპიტალისთვის $1\,600_c$; ამის დასამუშავებლად მან უნდა დაუმატოს კიდევ 50_v ფულის სახით ახალი სამუშაო ძალის საყიდლად, ასე რომ მისი ცვალებადი კაპიტალი 750-იდან 800-მდე გაიზრდება. II ქვედანაყოფის როგორც მუდმივი, ისე ცვალებადი კაპიტალის ჯამის 150-ით გადიდება იფარება მისი ზედმეტი ღირებულებიდან; მაშასადამე, 750 II_m-იდან რჩება მხოლოდ 600_m როგორც მოხმარების ფონდი II-ის კაპიტალისტებისათვის, რომელთა წლიური პროდუქტი ახლა შემდეგნაირად განაწილდება:

II. $1\,600_c + 800_v + 600_m$ (მოხმარების ფონდი) = 3 000. მოხმარების საშუალებათა სახით წარმოებული 150$_m$, რომელიც აქ გაცვლილია ($100_c + 50_v$) II-ზე, თავისი ნატურალური ფორმით მთლიანად მიდის მუშების მოხმარებაში: 100 მოიხმარება I (100 I_v) მუშების მიერ, ხოლო 50—II (50 II_v) მუშების მიერ, როგორც ეს ზევით იყო ნაჩვენები. II ქვედანაყოფში, რომლის მთელი პროდუქტი დაგროვებისათვის საჭირო ფორმით მზადდება, ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომელიც გადიდებულია 100-ით, ნამდვილად კვლავწარმოებულ უნდა იქნეს მოხმარების ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ საშუალებათა ფორმით. თუ კვლავწარმოება ნამდვილად დაიწყება გაფართოებული მასშტაბით,—მაშინ I-ის ეს 100 ცვალებადი კაპიტალი, როცა იგი მისი მუშების ხელში გაივლის, უკან დაუბრუნდება II-ს; II, პირიქით, 100_m-ს საქონლის მარაგის სახით გადასცემს I-ს და იმავე დროს 50-ს საქონლის მარაგის სახით გადასცემს თავის მუშებს.

დაგროვების მიზნით შეცვლილი განლაგება ახლა ასეთია:

$$\left.\begin{array}{ll} \text{I.} & 4\,400_c + 1\,100_v + 500 \text{ მოხმარების ფონდი} = 6\,000 \\ \text{II.} & 1\,600_c + 800_v + 600 \text{ მოხმარების ფონდი} = 3\,000 \end{array}\right\}$$

ჯამი 9 000 როგორც ზევით.

აქედან კაპიტალია:

$$\left.\begin{array}{l} \text{I. } 4\,400_c + 1100_v \text{ (ფული)} = 5\,500 \\ \text{II. } 1\,600_c + 800_v \text{ (ფული)} = 2\,400 \end{array}\right\} = 7900,$$

მაშინ როდესაც წარმოების დაწყებისას იყო:

$$\left.\begin{array}{l} \text{I. } 4\,000_c + 1\,000_v = 5\,000 \\ \text{II. } 1\,500_c + 750_v = 2\,250 \end{array}\right\} = 7250.$$

თუ ნამდვილი დაგროვება ახლა ამ საფუძველზე ხდება, ე. ი. თუ ახლა წარმოება ნამდვილად მიმდინარეობს ამ გადიდებული კაპიტალის მეოხებით, მაშინ მომდევნო წლის ბოლოს გვექნება:

$$\left.\begin{array}{l} \text{I. } 4\,400_c + 1\,100_v + 1\,100_m = 6\,600 \\ \text{II. } 1\,600_c + 800_v + 800_m = 3\,200 \end{array}\right\} = 9\,800.$$

დაგროვება I-ში ახლა იმავე პროპორციით გაგრძელდება; მაშასადამე, 550_m დაიხარჯება როგორც შემოსავალი, 550_m დაგროვდება. ამ შემთხვევაში უწინარეს ყოვლისა 1100 I_v ანაზღაურდება 1 100 II_c-ით, შემდეგ კიდევ 550 I_m-ის რეალიზაცია უნდა მოხდეს II იმავე ღირებულების საქონელში, მაშასადამე, საერთო ჯამით 1 650 $I_{(v+m)}$. მაგრამ ასანაზღაურებელი მუდმივი კაპიტალი II უდრის მხოლოდ 1600, მაშასადამე, დანარჩენი 50 უნდა შეივსოს 800 II_m-იდან. თუ ჩვენ აქ ჯერჯერობით ფულს უყურადღებოდ დავტოვებთ, ამ გარიგების შედეგად გვექნება:

I. $4400_c + 550_m$ (რომლის კაპიტალიზაცია უნდა მოხდეს); გარდა ამისა, კაპიტალისტებისა და მუშების მოხმარების ფონდის სახით $1650_{(v+m)}$, რომელიც რეალიზებულია საქონელ II_c-ში.

II. 1650_c (აქედან 50, ზემონათქვამის თანახმად, მიმატებულია II_m-იდან) $+ 800_v + 750_m$ (კაპიტალისტების მოხმარების ფონდი).

მაგრამ თუ II-ში v-სა და c-ს შორის წინანდელი პროპორცია რჩება, მაშინ 50_c-ისთვის უნდა დაიხარჯოს კიდევ 25_v; მათი აღება შეიძლება 750_m-იდან; ამრიგად ჩვენ მივიღებთ:

$$\text{II. } 1\,650_c + 825_v + 725_m.$$

I-ში უნდა მოხდეს 550_m-ის კაპიტალიზაცია; თუ წინანდელი პროპორცია რჩება, მაშინ აქედან 440 შეადგენს მუდმივ კაპიტალს და 110 — ცვალებად კაპიტალს. ეს 110 შეიძლება აღებულ იქნეს 725 II_m-იდან, ე. ი. 110 ღირებულების მოხმარების საშუალებებს II ქვედანაყოფის კაპიტალისტების ნაცვლად I ქვედანაყოფის მუ-

შები მოიხმარენ; მაშასადამე, II ქვედანაყოფის კაპიტალისტები იძულებულნი იქნებიან კაპიტალად აქციონ ეს 110_m, რომლის მოხმარება მათ არ შეუძლიათ. ამრიგად, 725 II_m-იდან რჩება 615 II_m. მაგრამ თუ II ამგვარად ამ 110-ს დამატებით მუდმივ კაპიტალად გადააქცევს, მას დასჭირდება კიდევ 55 დამატებითი ცვალებადი კაპიტალი; ეს უკანასკნელი მან კვლავ თავისი ზედმეტი ღირებულებიდან უნდა აიღოს; თუ ამას 615 II_m-იდან გამოვაკლებთ, II კაპიტალისტების მოხმარებისთვის დარჩება 560; და ყველა ამ ნამდვილ და პოტენციურ გადატანათა შესრულების შემდეგ ჩვენ მივიღებთ კაპიტალღირებულებას:

$$\begin{aligned}
&\text{I. } (4\,400_c + 440_c) + (1\,100_v + 110_v) = 4\,840_c + 1\,210_v = 6\,050\\
&\text{II. } (1\,600_c + 50_c + 110_c) + (800_v + 25_v + 55_v) =\\
&\qquad = 1\,760_c + 880_v = 2\,640\\
&\qquad\qquad\qquad\qquad\qquad\qquad\qquad\qquad\qquad\qquad\qquad\qquad\quad 8\,690.
\end{aligned}$$

იმისათვის, რომ საქმე ნორმალურად მიმდინარეობდეს, დაგროვება II-ში უფრო სწრაფად უნდა ხდებოდეს, ვიდრე I-ში, რადგან $I_{(v+m)}$-ის ნაწილი, რომელიც უნდა გაიცვალოს საქონელ II_c-ზე, სხვა მხრივ უფრო სწრაფად გაიზრდებოდა, ვიდრე II_c, რომელზედაც მარტოოდენ შეიძლება იგი გაიცვალოს.

თუ კვლავწარმოება ამ საფუძველზე და სხვა უცვლელ პირობებში განიგრძობა, მომდევნო წლის ბოლოს ჩვენ მივიღებთ:

$$\left.\begin{aligned}
&\text{I. } 4\,840_c + 1\,210_v + 1\,210_m = 7\,260\\
&\text{II. } 1\,760_c + 800_v + 880_m = 3\,520
\end{aligned}\right\} = 10\,780.$$

უწინარეს ყოვლისა, ზედმეტი ღირებულების დანაწილების ნორმის უცვლელობისას I ქვედანაყოფში შემოსავლის სახით უნდა დაიხარჯოს 1210_v და m-ის ნახევარი = 605, სულ = 1815. ეს მოხმარების ფონდი კვლავ 55-ით უფრო დიდია II_c-ზე. ეს 55 უნდა გამოაკლდეს 880_m-ს, დარჩება 825. რაკი 55 II_m გარდაიქმნება II_c-ად, ეს გულისხმობს შემდგომ გამოკლებას II_m-იდან სათანადო ცვალებადი კაპიტალისთვის = $27\frac{1}{2}$; მოსახმარებლად რჩება 797 $\frac{1}{2}$ II_m.

ახლა I-ში კაპიტალად უნდა იქცეს 605_m; აქედან 484 — მუდმივ კაპიტალად და 121 — ცვალებად კაპიტალად; უკანასკნელი უნდა გამოაკლდეს II_m-ს, რომელიც ახლა = 797 $\frac{1}{2}$; რჩება 676 $\frac{1}{2}$ II_m. მაშასადამე, II გადააქცევს მუდმივ კაპიტალად კიდევ 121-ს და ამისთვის მას დასჭირდება ახალი ცვალებადი კაპიტალი = 60 $\frac{1}{2}$; ესეც აიღება 676 $\frac{1}{2}$-იდან; მოსახმარებლად რჩება 616.

მაშინ ჩვენ გვაქვს კაპიტალი:

I. მუდმივი 4 840 + 484 = 5 324.
ცვალებადი 1 210 + 121 = 1 331.
II. მუდმივი 1 760 + 55 + 121 = 1 936.

ცვალებადი 880 + 27 $^1/_2$ + 60 $^1/_2$ = 968.

$$\text{სულ: } \left.\begin{array}{l} \text{I. } 5\,324_c + 1\,331_c = 6\,655 \\ \text{II. } 1\,936_c + 968_v = 2\,904 \end{array}\right\} = 9\,559$$

ხოლო წლის ბოლოს გვექნება პროდუქტი:

$$\left.\begin{array}{l} \text{I. } 5\,324_c + 1\,331_v + 1\,331_m = 7\,986 \\ \text{II. } 1\,936_c + 968_v + 968_m = 3\,872 \end{array}\right\} = 11\,858.$$

თუ გავიმეორებთ იმავე ანგარიშს და დავამრგვალებთ წილადებს, წლის ბოლოს მივიღებთ პროდუქტს:

$$\left.\begin{array}{l} \text{I. } 5\,856_c + 1\,464_v + 1\,464_m = 8\,784 \\ \text{II. } 2\,129_c + 1\,065_v + 1\,065_m = 4\,259 \end{array}\right\} = 13\,043.$$

ხოლო მომდევნო წლის ბოლოს:

$$\left.\begin{array}{l} \text{I. } 6\,442_c + 1\,610_v + 1\,610_m = 9\,662 \\ \text{II. } 2\,342_c + 1\,172_v + 1\,172_m = 4\,686 \end{array}\right\} = 14\,348.$$

გაფართოებული მასშტაბით მიმდინარე ოთხწლიანი კვლავწარმოების განმავლობაში I-ის და II-ის ერთობლივი კაპიტალი 5 500$_c$ + + 1 750$_v$ = 7 250-იდან გაიზარდა 8 784$_c$ + 2 782$_v$ = 11 566-მდე, მაშასადამე, ამ შეფარდებით — 100 : 160. ერთობლივი ზედმეტი ღირებულება თავდაპირველად იყო 1 750, ახლა არის 2 782. მოხმარებული ზედმეტი ღირებულება დასაწყისში I-ისთვის იყო 500 და II-ისთვის 535, სულ = 1 035; უკანასკნელ წელს იგი I-ისთვის 732 იყო და II-ისთვის 958, სულ = 1 690. მაშასადამე, იგი გაიზარდა შეფარდებით — 100 : 163.

2) მეორე მაგალითი

ავიღოთ ახლა წლიური პროდუქტი 9 000, რომელიც მთლიანად მრეწველ კაპიტალისტთა კლასის ხელში იმყოფება საქონლური კაპიტალის სახით, ფორმაში, სადაც ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის საერთო საშუალო შეფარდება შეადგენს 1 : 5. ეს გულისხმობს: კაპიტალისტური წარმოების უკვე მნიშვნელოვან განვითარებას და მის შესაბამისად საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალის განვი-

თარებას; წარმოების მასშტაბის მნიშვნელოვან, უკვე წინათ მომხდარ გაფართოებას; ბოლოს, ყველა იმ გარემოებათა განვითარებას, რომელნიც წარმოშობენ შეფარდებითს ჭარბმოსახლეობას მუშათა კლასში. მაშინ, თუ წილადებს დავამრგვალებთ, წლიური პროდუქტი ამგვარად განაწილდება:

$$\left.\begin{array}{l} \text{I. } 5\,000_c + 1\,000_v + 1\,000_m = 7\,000 \\ \text{II. } 1\,430_c + 285_v + 285_m = 2\,000 \end{array}\right\} = 9\,000.$$

დავუშვათ ახლა, რომ I ქვედანაყოფის კაპიტალისტები ზედმეტი ღირებულების ნახევარს, = 500, მოიხმარენ და მეორე ნახევარს დააგროვებენ. მაშინ ($1\,000_c + 500_m$) I = 1 500 გაიცვლებოდა 1 500 II_c-ზე. მაგრამ რადგან II_v ამ შემთხვევაში მხოლოდ 1430 შეადგენს, ამიტომ 70 უნდა დაემატოს ზედმეტი ღირებულებიდან; 285 II_m-იდან ამის გამოკლების შემდეგ რჩება 215 II_m. მაშასადამე, ჩვენ გვაქვს:

I. $5\,000_c + 500_m$ (კაპიტალად გადასაქცევი) + $1\,500_{(v+m)}$ კაპიტალისტებისა და მუშების მოხმარების ფონდის სახით.

II. $1\,430_c + 70_m$ (კაპიტალად გადასაქცევი) + $285_v + 215_m$.

რადგან აქ 70 II_m პირდაპირ მიემატება II_c, ამიტომ ამ დამატებითი მუდმივი კაპიტალის მოძრაობაში მოსაყვანად საჭიროა ცვალებადი კაპიტალი: $\frac{70}{5} = 14$; ეს 14 კვლავ 215 II_m-იდან აიღება; რჩება 201 II_m, და ჩვენ გვაქვს:

$$\text{II. } (1\,430_c + 70_c) + (285_c + 14_v) + 201_m.$$

1 500 I $_{(v+1/2m)}$-ის გაცვლა 1 500 II_c-ზე მარტივი კვლავწარმოების პროცესს წარმოადგენს და ამდენად მის შესახებ უკვე ყველაფერი ნათქვამია. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს რამდენიმე თავისებურება, რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ გაფართოებული კვლავწარმოების არსებობისას I $_{(v+1/2m)}$ მარტო II_c-ით კი არ ანაზღაურდება, არამედ — II_c-ით პლუს II_m-ის ნაწილი.

თავისთავად გასაგებია, რომ რაკი დაგროვებაა ნაგულისხმევი, $I_{(v+m)}$ უფრო დიდია, ვიდრე II_c, და არ უდრის II_c, როგორც ეს მარტივ კვლავწარმოებაშია, იმიტომ რომ: 1) I თავისი ზედმეტი ღირებულების ნაწილს ჩართავს თავის მწარმოებლურ კაპიტალში და ამ ნაწილის $^5/_6$ აქცევს მუდმივ კაპიტალად, მაშასადამე, მას არ შეუძლია იმავე დროს ეს $^5/_6$ აანაზღაუროს II-ის მოხმარების საშუალებებით; 2) I-მა უნდა მიაწოდოს თავისი ზედმეტი ღირებულებიდან მასალა მუდმივი კაპიტალისათვის, რომელსაც საჭიროებს დაგროვება II-ში, —

სავსებით ისე, როგორც II-მ უნდა მისცეს მასალა I-ს ცვალებადი კაპიტალისათვის, რომელმაც მოძრაობაში უნდა მოიყვანოს I-ის ზედმეტი პროდუქტის ის ნაწილი, რასაც თვით I გამოიყენებს როგორც დამატებით მუდმივ კაპიტალს. ჩვენ ვიცით, რომ ნამდვილი ცვალებადი კაპიტალი, მაშასადამე, დამატებითი ცვალებადი კაპიტალიც სამუშაო ძალისგან შედგება. II-ისგან I კაპიტალისტი არ ყიდულობს აუცილებელ საარსებო საშუალებებს მარაგად და არ აგროვებს მის მიერ გამოსაყენებელი დამატებითი სამუშაო ძალისათვის, როგორც ამას მონათმფლობელი აკეთებდა; II-სთან საქმე აქვთ თვით მუშებს. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ კაპიტალისტის თვალსაზრისით დამატებითი სამუშაო ძალის მოხმარების საშუალებანი წარმოადგენენ მხოლოდ კაპიტალისტის მიერ დამატებით დაქირავებული სამუშაო ძალის წარმოებისა და შენარჩუნების საშუალებას, მაშასადამე, მისი ცვალებადი კაპიტალის ნატურალურ ფორმას. მისი საკუთარი უახლოესი ოპერაცია, ამ შემთხვევაში I-ის ოპერაცია, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი აგროვებს დამატებითი სამუშაო ძალის საყიდლად საჭირო ახალ ფულად კაპიტალს. როგორც კი იგი სამუშაო ძალას შეუერთებს თავის კაპიტალს, ამ სამუშაო ძალისათვის ფული იქცევა II-ის საქონელთა ყიდვის საშუალებად, მაშასადამე, მან უნდა იპოვოს სათანადო მოხმარების საშუალებანი.

სხვათა შორის. ბატონი კაპიტალისტი, ისე როგორც მისი პრესა, ხშირად უკმაყოფილოა იმ წესით, რომლითაც სამუშაო ძალა ხარჯავს თავის ფულს, და II-ის იმ საქონელთა გამო, რომლებშიაც ეს სამუშაო ძალა ამ ფულის რეალიზაციას ახდენს. იგი ფილოსოფოსობს ამის გამო, ყბედობს კულტურაზე და ფილანთროპობს, როგორც ამას ჩადის, მაგალითად, ბ-ნი დრუმონდი, ინგლისის საელჩოს მდივანი ვაშინგტონში. «The Nation»-მა (გაზეთმა) 1879 წლის ოქტომბრის ბოლოს საინტერესო სტატია დაბეჭდა, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: «კულტურის მხრივ მუშები ჩამორჩნენ გამოგონებათა პროგრესს; მათთვის ხელმისაწვდომი გახდა მრავალი საგანი, რომლის ხმარება მათ არ იციან და რომლისთვისაც ისინი, მაშასადამე, ბაზარს არ ქმნიან». (ყოველ კაპიტალისტს სურს, რასაკვირველია, რომ მუშამ მისი საქონელი იყიდოს). «არ არის არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ მუშას არ სურდეს იცხოვროს ისეთივე კომფორტით, როგორც ცხოვრობს მღვდელი, ადვოკატი ან ექიმი, რომელიც იმდენსავე იღებს რამდენსაც მუშა». (ამგვარი ადვოკატები, მღვდლები და ექიმები ნამდვილად თუკი ისურვებენ ბევრ კომფორტს იგემებენ!) «მაგრამ იგი ამას არ ჩადის. საკითხი ჯერ კიდევ ისაა, თუ

როგორ უნდა მოხდეს რაციონალური და ჯანსაღი ღონისძიებით მისი, როგორც მომმომარებლის, დონის ამაღლება; ეს ადვილი საკითხი არაა, იმიტომ რომ მთელი მისი პატივმოყვარეობა მისი სამუშაო საათების შემცირებას არ შორდება და დემაგოგი მას უფრო ამისაკენ აქეზებს, ვიდრე მისი მდგომარეობის ამაღლებისაკენ მისი გონებრივი და ზნეობრივი უნარის გაუმჯობესების საშუალებით». («Reports of H. M.'s Secretaries of Embassy and Legation on the Manufactures, Commerce etc. of the Countries in which they reside». London 1879, გვ. 404.)

გრძელი სამუშაო დღე, ეტყობა, იმ რაციონალური და ჯანსაღი ღონისძიების საიდუმლოებას წარმოადგენს, რამაც მუშის მდგომარეობა მაღლა უნდა ასწიოს მისი გონებრივი და ზნეობრივი უნარის გაუმჯობესების გზით და იგი რაციონალურ მომმომარებლად უნდა აქციოს. იმისათვის, რომ კაპიტალისტების საქონლის რაციონალური მომმომარებელი გახდეს, მუშამ უწინარეს ყოვლისა იმით უნდა დაიწყოს — მაგრამ მას ხელს უშლის დემაგოგი!—რომ თავისი სამუშაო ძალა კაპიტალისტს არარაციონალურად და ჯანმრთელობის საზიანოდ მოახმარებინოს. თუ როგორ ესმის კაპიტალისტს რაციონალური მოხმარება, ამას ამჟღავნებს trucksystem-ი, რომლის დროსაც კაპიტალისტის მწყალობლობა იქამდე მიდის, რომ იგი პირდაპირ ერევა თავისი მუშების სამომხმარებლო ვაჭრობაში, ამასთან ამ ვაჭრობის ერთ-ერთ სახესხვაობას მრავალთაგან წარმოადგენს ბინების მიქირავება მუშებისათვის, ასე რომ კაპიტალისტი იმავე დროს მისი მუშებისათვის ბინის მიმქირაველიც არის.

იგივე გულკეთილი დრუმოხდი, რომელიც აღტაცებაში მოდის კაპიტალისტთა ცდებით მუშათა კლასის დონის ასამაღლებლად, იმავე ანგარიშში მოგვითხრობს, სხვათა შორის, Lowell and Lawrence Mills-ის სანიმუშო ბამბის სართავი ფაბრიკების შესახებ. სასადილო და საცხოვრებელი სახლები ფაბრიკაში მომუშავე ქალიშვილებისათვის ეკუთვნის აქციონერულ საზოგადოებას, რომელიც თვით ამ ფაბრიკების მესაკუთრეა; ამ სახლების ზედამხედველი ქალები იმავე საზოგადოების სამსაბურში არიან, რომელიც მათთვის ყოფაქცევის წესებს ადგენს; არც ერთ ქალიშვილს ნება არა აქვს ღამით 10 საათზე გვიან სახლში დაბრუნდეს, მაგრამ აი მარგალიტი: საზოგადოების სპეციალური პოლიციის გუშაგი აივლ-ჩაივლის ხოლმე მოსაზღვრე ადგილას და თვალყურს ადევნებს, რომ ეს საბინაო წესდება არ დაირღვეს. საღამოს 10 საათის შემდეგ არც ერთ ქალიშვილს არ გაუშვებენ სახლიდან გარეთ და არც შეუშვებენ სახლში. ყოველი ქალი-

შვილი უეჭველად უნდა ცხოვრობდეს იმ ტერიტორიაზე, რომელიც საზოგადოებას ეკუთვნის; თვითეული სახლი ამ ტერიტორიაზე საზოგადოებას აძლევს კვირაში დაახლოებით 10 დოლარ შემოსავალს ბინის ქირის სახით; და აქ ვხედავთ ჩვენ რაციონალურ მომხმარებელს მთელი მისი ბრწყინვალებით. «რადგან მუშა-ქალებისათვის ბევრ საუკეთესოდ მოწყობილ სახლში მოიპოვება ყველგანმყოფი პიანინო,— მუსიკა, სიმღერა და ცეკვა არსებით როლს ასრულებენ, ყოველ შემთხვევაში იმათთვის, ვინც სართავ დაზგასთან ათასათიანი მონოტონური მუშაობის შემდეგ უფრო გართობას საჭიროებს, ვიდრე ნამდვილ დასვენებას» (გვ. 412). მაგრამ მთავარ საიდუმლოებას, თუ როგორ უნდა გახდეს მუშა რაციონალური მომხმარებელი, მხოლოდ ახლა ვგებულობთ. ბ-ნმა დრუმონდმა ინახულა Turners Falls-ის (Connecticut River) დანების ფაბრიკა, სადაც მას ბ-ნმა ოკმენმა, აქციონერული საზოგადოების ხაზინადარმა, უამბო, რომ განსაკუთრებით ამერიკული სუფრის დანები ხარისხით ნამდვილად სჯობია ინგლისურ დანებს, და შემდეგ განაგრძო: «ჩვენ ინგლისს დავამარცხებთ ფასებითაც; ჩვენ უკვე ახლა გავუსწორით მას ხარისხით, ეს აღიარებულია; მაგრამ ჩვენ უფრო დაბალი ფასებიც უნდა გვექნეს, და ამას მივაღწევთ, რამდენადაც ჩვენს ფოლადს უფრო იაფად ვღებულობთ და შრომის ფასსაც «ვამცირებთ»! (გვ. 427). ხელფასის შემცირება და გრძელი სამუშაო დღე—აი ეს არის დედაარსი მთელი იმ რაციონალური და ჯანმრთელი ღონისძიებისა, რომელმაც მუშა უნდა ასწიოს რაციონალური მომხმარებლის ღირსებამდე, რათა მან შექმნას ბაზარი იმ საგანთა მასისთვის, რომლებიც მისთვის ხელმისაწვდომი გახადა კულტურამ და გამოგონებათა პროგრესმა.

მაშასადამე, როგორც I ქვედანაყოფმა უნდა მიაწოდოს თავისი ზედმეტი პროდუქტიდან დამატებითი მუდმივი კაპიტალი II-ს, ასევე II იძლევა ამ აზრით დამატებით ცვალებად კაპიტალს I-ისთვის. რამდენადაც საქმე ცვალებად კაპიტალს ეხება, II აგროვებს როგორც I-ისთვის, ისე თავისთვისაც იმით, რომ იგი თავისი ერთობლივი პროდუქტის და, მაშასადამე, აგრეთვე განსაკუთრებით თავისი ზედმეტი პროდუქტის უდიდეს ნაწილს აკვლავწარმოებს აუცილებელ მოხმარების საშუალებათა ფორმით.

ისეთი წარმოების არსებობისას, რომელსაც კაპიტალის ზრდა უდევს საფუძვლად, $I_{(v+m)}$ უნდა უდრიდეს II_c პლუს ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომელიც ისევ შეუერთდება კაპიტალს

კაპიტალის სახით; პლუს მუდმივი კაპიტალის დამატებითი ნაწილი, რომელიც აუცილებელია წარმოების გასაფართოებლად II-ში; ხოლო ამ გაფართოების მინიმუმია ის სიდიდე, ურომლისოდაც შეუძლებელია ნამდვილი დაგროვება, ე. ი. წარმოების ნამდვილი გაფართოება თვით II ქვედანაყოფში.

თუ ჩვენ ახლა უკანასკნელად განხილულ შემთხვევას დავუბრუნდებით, მას ის თავისებურება ახასიათებს, რომ II_c ნაკლებია, ვიდრე $I_{(v+1/3m)}$, ვიდრე I პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მოხმარების საშუალებებზე იხარჯება როგორც შემოსავალი, ასე რომ 1 500 $I_{(v+m)}$-ის გაცვლისთანავე მყისვე რეალიზებული ხდება II-ის ზედმეტი პროდუქტის ნაწილიც = 70. რაც შეეხება II_c = 1 430, — იგი, სხვა პირობების უცვლელობისას უნდა ანაზღაურდეს $I_{(v+m)}$-დან ღირებულების იმავე ოდენობით, რათა ამით შესაძლებელი გახდეს მარტივი კვლავწარმოების შესრულება II-ში, და ამდენად იგი აქ აღარაა განსახილველი. სხვაგვარადაა საქმე დამატებითი 70 II_m მიმართ: რაც I-ისთვის წარმოადგენს შემოსავლის უბრალო ანაზღაურებას მოხმარების საშუალებებით, უბრალოდ საქონელგაცვლას მოხმარების მიზნით, ის აქ II-ისთვის წარმოადგენს არა მისი მუდმივი კაპიტალის უბრალო უკუგარდაქმნას საქონლური კაპიტალის ფორმიდან ნატურალურ ფორმად, როგორც ეს მარტივ კვლავწარმოებაშია, არამედ პირდაპირ დაგროვების პროცესს, მისი ზედმეტი პროდუქტის ნაწილის გარდაქმნას მოხმარების საშუალებათა ფორმიდან მუდმივი კაპიტალის ფორმად. თუ 70 გირვ. სტერლ. ფულით (ზედმეტი ღირებულების გარდასაქმნელად განკუთვნილი ფულის რეზერვი) I ყიდულობს 70 II_m-ს, ხოლო II ამ ფულით არ ყიდულობს 70 I_m-ს, არამედ 70 გირვ. სტერლინგს დააგროვებს როგორც ფულად კაპიტალს, მაშინ ამ უკანასკნელში, მართალია, ყოველ შემთხვევაში გამოსახულებას პოულობს დამატებითი პროდუქტი (სწორედ II-ის ზედმეტი პროდუქტი, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს), თუმცა არა ისეთი პროდუქტი, რომელიც ხელახლა შედის წარმოებაში; მაგრამ ეს ფულის დაგროვება ამ შემთხვევაში II-ის მხარეზე იმავე დროს გამოსახავდა იმას, რომ 70 I_m წარმოების საშუალებათა სახით ვერ გაიყიდება. მაშასადამე, I-ში ადგილი ექნებოდა შეფარდებითს ჭარბწარმოებას, რაც იმას შეესაბამება, რომ იმავე დროს II-ის მხარეზე კვლავწარმოების გაფართოება შეუძლებელია.

მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ: იმ დროის განმავლობაში, როდესაც ეს 70 ფული, I-ის ხელიდან გამოვიდა, მაგრამ ჯერ არ დაბრუნებია ან მხოლოდ ნაწილობრივ დაუბრუნდა I-ს II-ის მიერ

70 I_m-ის შესყიდვის აქტის მეოხებით, — ეს 70 ფული მთლიანად ან ნაწილობრივ II-ის ხელში იმყოფება, როგორც დამატებითი პოტენციური ფულადი კაპიტალი. ეს შეეხება ყოველ გაცვლას I-სა და II-ს შორის, ვიდრე ორივე მხარის საქონელთა ურთიერთანაზღაურებას არ გამოუწვევია ფულის უკუდაბრუნება მის ამოსავალ პუნქტთან. მაგრამ საქმის ნორმალური ბსკლელობისას, ფული აქ ამ როლს მხოლოდ დროებით ასრულებს. საკრედიტო სისტემის პირობებში კი, როცა ყოველმა თუნდაც მოკლე ვადით დამატებით განთავისუფლებულმა ფულმა, მაშინვე უნდა იმოქმედოს აქტიურად დამატებითი ფულადი კაპიტალის სახით, ასეთი მაოლოდ დროებით თავისუფალი ფულადი კაპიტალი შეიძლება ჩამაგრდეს საქმეში, მაგალითად, იგი შეიძლება გამოიყენონ I-ის ქვედანაყოფის ახალ საწარმოთათვის, მაშინ როდესაც მისი მეშვეობით უნდა მომხდარიყო სხვა საწარმოებში უძრავად მდებარე დამატებითი პროდუქტის რეალიზაცია. შემდეგ, უნდა აღინიშნოს, რომ 70 I_m-ის შეერთება II მუდმივ კაპიტალთან მოითხოვს ამასთანავე II ცვალებადი კაპიტალის გადიდებას 14-ით. ეს გულისხმობს, — მსგავსად იმისა, როგორც I-ში ზედმეტი პროდუქტი I_m-ის უშუალო შეერთებისას კაპიტალ I_c-თან, — რომ კვლავწარმოება II-ში უკვე მიმდინარეობს შემდგომი კაპიტალიზაციის ტენდენციით; რომ იგი, მაშასადამე, შეიცავს ზედმეტი პროდუქტის იმ ნაწილის გადიდებას, რომელიც აუცილებელი საარსებო საშუალებებისგან შედგება.

როგორც დავინახეთ, მეორე მაგალითში პროდუქტი 9 000 ოდენობით, თუკი 500 I_m კაპიტალიზაცია უნდა მოხდეს, შემდეგნაირად უნდა განაწილდეს კვლავწარმოების მიზნით. ამასთან ჩვენ მხოლოდ საქონელს ვიღებთ მხედველობაში და ფულის მიმოქცევას უყურადღებოდ ვტოვებთ.

I. $5\,000_c + 500_m$ (რომელიც კაპიტალად უნდა იქცეს) $+ 1\,500_{(v+m)}$ მოხმარების ფონდი $= 7\,000$ საქონლის სახით.

II. $1\,500_c + 299_v + 201_m = 2\,000$ საქონლის სახით.

საერთო ჯამი 9 000 საქონლური პროდუქტის სახით.

კაპიტალიზაცია ახლა შემდეგნაირად სრულდება:

I-ში 500_m, რომლის კაპიტალიზაცია ხდება, იყოფა $^5/_6$-ად $= 417_c + {}^1/_6$-ად $= 83_v$. ამ 83_v მიაქვს II_m-ისგან ასეთივე ჯამი, რომელიც მუდმივი კაპიტალის ელემენტებს ყიდულობს და რომელიც, მაშასადამე, მიემატება II_c. II_c გადიდება 83-ით იწვევს II_v გადიდებას 83-ის $^1/_6$-ით $= 17$. ამგვარად, გაცვლის შემდეგ ჩვენ გვაქვს:

$$\text{I.}\ (5\,000_c + 417_m)_c + (1\,000_v + 83_m)_v = 5\,417_c + 1\,083_v = 6\,500$$
$$\text{II.}\ (1\,500_c + 83_m)_c + (299_v + 17_m)_v = 1\,583_c + 316_v = 1\,899$$
$$\text{სულ} = 8399.$$

კაპიტალი I-ში გაიზარდა 6 000-იდან 6 500-მდე, ე. ი. $^1/_{12}$-ით, II-ში—1 715-იდან 1 899-მდე, ე. ი. თითქმის $^1/_9$-ით.

კვლავწარმოება ამ საფუძველზე მეორე წლის ბოლოს იძლევა კაპიტალს:

$$\text{I.}\ (5\,417_c + 452_m)_c + (1\,083_v + 90_m)_v = 5\,869_c + 1\,173_v = 7\,042.$$
$$\text{II.}\ (1\,583_c + 42_m + 90_m)_c + (316_v + 8_m + 18_m)_v = 1\,715_c + 342_v = 2\,057,$$

და მესამე წლის ბოლოს იძლევა პროდუქტს:

$$\text{I.}\ 5\,869_c + 1\,173_v + 1\,173_m.$$
$$\text{II.}\ 1\,715_c + 342_v + 342_m.$$

თუ I ქვედანაყოფი აქ, როგორც უწინ, ზედმეტი ღირებულების ნახევარს დააგროვებს, მაშინ $\text{I}_{(v+1/2m)}$ შეადგენს. $1173_v + 587\ (^1/_2 m) = 1\,760$, მაშასადამე, მეტია, ვიდრე მთელი 1 715 II_c, სახელდობრ მეტია 45-ით. ამრიგად, ეს სხვაობა უნდა გაწონასწორდეს იმით, რომ II_c-ში გადაიტანება წარმოების საშუალებანი ტოლი ოდენობით, მაშასადამე, II_c მატულობს 45-ით, რაც იწვევს II_v-ში მატებას $^1/_5$-ით = 9. შემდეგ კაპიტალიზებული 587 I_m იყოფა $^5/_6$-ის და $^1/_6$-ის სახით 489_c-ად და 98_v-ად; ეს 98 იწვევს II-ში მუდმივი კაპიტალისადმი 98-ის ახალ მიმატებას, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, II ცვალებადი კაპიტალის გადიდებას $^1/_5$-ით = 20. მაშინ ჩვენ გვაქვს:

$$\text{I.}\ (5\,869_c + 489_m)_c + (1\,173_v + 98_m)_v = 6\,358_c + 1\,271_v = 7\,629$$
$$\text{II.}\ (1\,715_c + 45_m + 98_m)_c + (342_v + 9_m + 20_m)_v = 1\,858_c + 371_v = 2\,229$$
$$\text{მთელი კაპიტალი} = 9858.$$

მაშასადამე, მზარდი კვლავწარმოების დროს I მთელი კაპიტალი გაიზარდა 6 000-იდან 7 629-მდე, II კაპიტალი — 1 715-იდან 2229-მდე, ერთობლივი საზოგადოებრივი კაპიტალი—7 715-იდან 9858-მდე.

3) II_c ანაზღაურება დაგროვებისას

ამრიგად, $\text{I}_{(v+m)}$-ის გაცვლისას II_c-ზე სხვადასხვა შემთხვევას აქვს ადგილი.

მარტივი კვლავწარმოებისას ორივე ეს სიდიდე ტოლი უნდა იყოს და ერთიმეორეს ანაზღაურებდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ზევით დავინახეთ, მარტივი კვლავწარმოება არ შეიძლება დაუბრკოლებლად მიმდინარეობდეს.

დაგროვებისას მხედველობაში მისაღებია უწინარეს ყოვლისა დაგროვების ნორმა. აქამდე ყველა შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობდით, რომ დაგროვების ნორმა I-ში $^1/_2$m I-ს უდრიდა და აგრეთვე, რომ იგი სხვადასხვა წლებში უცვლელი რჩებოდა. ჩვენ დავუშვით მხოლოდ იმ პროპორციის ცვლილება, რომლის მიხედვითაც ეს დაგროვილი კაპიტალი ცვალებად და მუდმივ კაპიტალად იყოფა. ამასთან აღმოჩნდა სამი შემთხვევა:

1) $I_{(v+1/2m)} = II_c$, რომელიც, მაშასადამე, $I_{(v+m)}$ ნაკლებია. ეს ყოველთვის ასე უნდა იყოს, სხვანაირად I ვერ დააგროვებდა.

2) $I_{(v+1/2m)}$ მეტია, ვიდრე II_c. ამ შემთხვევაში ანაზღაურება ხდება იმის მეოხებით, რომ II_c მიემატება II_m-ის სათანადო ნაწილი, ასე რომ ჯამი $= I_{(v+1/2m)}$. აქ ანაზღაურება II-ისთვის არის არა მარტივი კვლავწარმოება მისი მუდმივი კაპიტალისა, არამედ უკვე დაგროვება, გადიდება ამ კაპიტალისა მისი ზედმეტი პროდუქტის იმ ნაწილის ოდენობით, რომელსაც იგი ცვლის I-ის წარმოების საშუალებებზე; ეს გადიდება იმავე დროს გულისხმობს, რომ II გარდა ამისა შესაბამისად ადიდებს თავის ცვალებად კაპიტალს და ამ გადიდების წყაროს მისთვის მისი საკუთარი ზედმეტი პროდუქტი წარმოადგენს.

3) $I_{(v+1/2m)}$ ნაკლებია II_c-ზე. ამ შემთხვევაში II მთლიანად როდი აკვლავწარმოებს თავის მუდმივ კაპიტალს გაცვლის მეოხებით და ამიტომ მან დეფიციტი I-ისგან ყიდვის საშუალებით უნდა აანაზღაუროს. მაგრამ ეს არ იწვევს II ცვალებადი კაპიტალის შემდგომ დაგროვებას, რადგან ასეთი ოპერაციით ხდება მხოლოდ მისი მუდმივი კაპიტალის კვლავწარმოება მთლიანად. მეორე მხრივ, I კაპიტალისტთა იმ ნაწილმა, რომელიც მხოლოდ დამატებითს ფულად კაპიტალს აგროვებს, ამ გაცვლის გზით ნაწილობრივ უკვე განახორციელა ამგვარი დაგროვება.

მარტივი კვლავწარმოების მიმართ დაშვებული ვარაუდი, რომ $I_{(v+m)} = II_c$, არა მხოლოდ შეუთავსებელია კაპიტალისტურ წარმოებასთან, — თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ 10—11 წლის სამრეწველო ციკლში ერთი წლის მთელი წარმოება ხშირად ნაკლებია წინა წლისაზე, ასე რომ წინა წელთან შედარებით მარტივ კვლავწარმოებასაც კი არა აქვს ადგილი,—არამედ, გარდა ამისა, ამ შემთხვევაში, მოსახლეობის ბუნებრივი წლიური მატებისას, მარტივ კვლავწარმოებას შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შესაბამისად არანწარმოებელ მოსამსახურეთა უფრო დიდი რიცხვი მიიღებდა მონაწილეობას იმ 1500-ის მოხმარებაში, რომელიც მთელ ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს. კაპიტალის დაგროვება,

მაშასადამე ნამდვილი კაპიტალისტური წარმოება აქ, პირიქით, შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ კაპიტალისტური დაგროვების ფაქტი გამორიცხავს II_c ტოლობას $I_{(v+m)}$-თან. მაგრამ კაპიტალისტური დაგროვების შემთხვევაშიც კი შესაძლებელია მოხდეს, რომ, წარმოების მთელი რიგი ადრინდელი პერიოდების მანძილზე შესრულებული დაგროვების პროცესთა მსვლელობის შედეგად, II_c არათუ უდრის $I_{(v+m)}$-ს, არამედ მასზე უფრო მეტიც კია. ეს იქნებოდა ჭარბწარმოება II-ში, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ დიდი კრახის საშუალებით, რის გამოც კაპიტალი II ქვედანაყოფიდან I ქვედანაყოფში გადავიდოდა. $I_{(v+m)}$-ის შეფარდება II_c-სთან სრულიადაც არ შეიცვლება, თუ II მუდმივი კაპიტალის ნაწილი თვით აკვლავწარმოებს თავის თავს, რის მაგალითს წარმოადგენს მიწათმოქმედებაში საკუთარი ნაწარმოები თესლის გამოყენება. I-სა და II-ს შორის გაცვლის დროს II_c ეს ნაწილი ისევე არაა მხედველობაში მისაღები, როგორც არაა სათვალავში მისაღები I_c. საქმე სრულიადაც არ შეიცვლება იმ შემთხვევაშიც, თუ II ქვედანაყოფის პროდუქტების ნაწილს, თავის მხრივ, ძალუძს შევიდეს I ქვედანაყოფში წარმოების საშუალებათა სახით. მათი დაფარვა ხდება I-ის მიერ მოწოდებულ წარმოების საშუალებათა ნაწილით, და ეს ნაწილი იმთავითვე უნდა გამოირიცხოს ორივე მხარეზე, თუკი ჩვენ გვინდა წმინდა და აუმღვრეველი სახით გამოვიკვლიოთ გაცვლა საზოგადოებრივი წარმოების ორ დიდ ქვედანაყოფს შორის, წარმოების საშუალებათა მწარმოებლებსა და მოხმარების საშუალებათა მწარმოებლებს შორის.

მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების პირობებში $I_{(v+m)}$ არ შეიძლება იყოს II_c-ის ტოლი, ანუ გაცვლისას ისინი ერთიმეორეს ვერ დაფარავენ. პირიქით, თუ $\frac{I_m}{x}$ შეადგენს I_m-ის იმ ნაწილს, რომელიც შემოსავლის სახით იხარჯება I კაპიტალისტების მიერ, მაშინ $I\left(v+\frac{m}{x}\right)$ შეიძლება იყოს II_c-ის ტოლი, მასზე მეტი ან ნაკლები; მაგრამ $I\left(v+\frac{m}{x}\right)$ ყოველთვის ნაკლები უნდა იყოს $II_{(c+m)}$-ზე, თანაც იმდენით ნაკლები, რამდენსაც შეადგენს II-ის ნაწილი, რომელიც II კაპიტალისტებმა თვითონ უნდა მოიხმარონ ყოველგვარ გარემოებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ დაგროვების ასეთი გამოსახვისას არაა ზუსტად გამოსახული მუდმივი კაპიტალის ღირებულება, რამდენადაც ეს კაპიტალი შეადგენს იმ საქონლური კაპიტალის ნაწილს, რომლის წარმოებაშიც იგი მონაწილეობს. ახლად დაგროვილი მუდმივი კაპი-

ტალის ძირითადი ნაწილი მხოლოდ თანდათანობით და პერიოდულად შედის საქონლურ კაპიტალში, ამ ძირითადი ელემენტების სხვადასხვა ბუნების შესაბამისად; ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც ნედლეული, ნახევარფაბრიკატი და სხვ. მასობრივად შედის საქონელწარმოებაში, ამ საქონლური კაპიტალის უდიდესი ნაწილი შედგება საბრუნავი მუდმივი შემადგენელი ნაწილის და ცვალებადი კაპიტალის ანაზღაურებისკენ. (მაგრამ ასეთი წესით მოქცევა შეიძლება მხოლოდ საბრუნავი შემადგენელი ნაწილების ბრუნვის გამო; ამით საგულისხმოა, რომ საბრუნავი ნაწილი მასზე გადასულ ძირითადი კაპიტალის ღირებულების ნაწილთან ერთად წლის განმავლობაში ისე ხშირად გადაბრუნდება, რომ დამზადებული საქონლის ერთობლივი ჯამი უდრის მთელი იმ კაპიტალის ღირებულებას, რომელიც წლიურ წარმოებაში შედის.) მაგრამ იქ, სადაც მანქანური წარმოებისთვის შედის არა ნედლი მასალა, არამედ მხოლოდ დამამარე მასალა, შრომის ელემენტი $=v$ კვლავ უნდა გამოვლინდეს საქონლურ კაპიტალში როგორც მისი უდიდესი შემადგენელი ნაწილი. მაშინ როდესაც მოგების ნორმის დროს ზედმეტი ღირებულება ერთობლივ კაპიტალზე გამოიანგარიშება, იმისგან დამოუკიდებლად, ბევრ ღირებულებას გადასცემენ პერიოდულად პროდუქტს ძირითადი შემადგენელი ნაწილები თუ ცოტას — თვითეული პერიოდულად წარმოებული საქონლური კაპიტალის ღირებულებას მუდმივი კაპიტალის ძირითადი ნაწილი მხოლოდ იმდენად უნდა მიეთვალოს, რამდენადაც ეს უკანასკნელი საშუალოდ გაცვეთის გამო ღირებულებას გადასცემს თვით პროდუქტს.

IV. დამატებითი შენიშვნები

ფულის თავდაპირველ წყაროს II-ისთვის წარმოადგენს I-ის ოქროს წარმოების $v+m$, რომელიც გაიცვლება II_c ნაწილზე; მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ოქროს მწარმოებელი აგროვებს ზედმეტ ღირებულებას ან მას I-ის წარმოების საშუალებებად აქცევს, მაშასადამე, აფართოებს თავის წარმოებას,—მისი $v+m$ არ შედის II-ში; მეორე მხრივ, რამდენადაც თვით ოქროს მწარმოებლის მიერ ფულის დაგროვება, ბოლოს, გაფართოებულ კვლავწარმოებას იწვევს, ოქროს წარმოების ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომელიც არ იხარჯება როგორც შემოსავალი და ოქროს მწარმოებლის დამატებითს ცვალებად კაპიტალს იმარდება, შედის II-ში, ხელს უწყობს განძის ახლად შექმნას ანდა იძლევა ახალ საშუალებებს იმისათვის, რომ I-საგან იყიდონ, მაგრამ მასვე უშუალოდ აღარ მიჰყიდონ ხელახლა. ოქროს წარმოე-

ბის ამ $I_{(v+m)}$-იდან წარმომდინარე ფულს აკლდება ოქროს ის ნაწილი, რომელიც II-ის წარმოების გარკვეულ დარგებს ესაჭიროება როგორც ნედლი მასალა და სხვ., მოკლედ — როგორც მათი მუდმივი კაპიტალის აშნაზღაურებელი ელემენტი. იგი არის აგრეთვე განძის წინასწარ შესაქმნელად საჭირო ელემენტი—მომავალში კვლავწარმოების გაფართოების მიზნით—I-სა და II-ს შორის გაცვლისას შემდეგ შემთხვევებში: I-ისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ I_m-ის ნაწილს ცალმხრივად, სამაგიერო ყიდვის მოუხდენლად, მიჰყიდიან II-ს და ეს ნაწილი აქ II-ის დამატებითი მუდმივი კაპიტალისთვის გამოიყენება; II-ისთვის იმ შემთხვევაში, თუ I იმასვე სჩადის დამატებითი ცვალებადი კაპიტალისთვის; შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ I-ის მიერ შემოსავლის სახით დახარჯული ზედმეტი ღირებულების ნაწილი არ იფარება II_c-ით, ასე რომ ამით II_m-ის ნაწილი იქნება ნაყიდი და ამ გზით ფულად გარდაქმნილი. თუ $I\left(v+\frac{m}{x}\right)$ მეტია, ვიდრე II_c, მაშინ II_c მარტივი კვლავწარმოებისათვის საჭირო აღარაა ანაზღაურება საქონლით I-იდან იმისი, რაც I-მა მოსახმარებლად წაიღო II-იდან. ისმის საკითხი, თუ რამდენად შეიძლება ადგილი ჰქონდეს განძის შექმნას II კაპიტალისტთა ურთიერთშორის გაცვლის ფარგლებში, ამასთან ისეთი გაცვლისა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ურთიერთგაცვლა იყოს II_m-ისა. ჩვენ ვიცით, რომ II ქვედანაყოფის ფარგლებში უშუალო დაგროვება იმის მეოხებით ხდება, რომ II_m-ის ნაწილი პირდაპირ ცვალებად კაპიტალად (სწორედ ისე, როგორც I-ში I_m-ის ნაწილი პირდაპირ მუდმივ კაპიტალად) გადაიქცევა. დაგროვების სხვადასხვა ხანდაზმულობისას II ქვედანაყოფის საწარმოთა სხვადასხვა დარგებში და ყოველი ცალკეული დარგის საწარმოებში ცალკეული კაპიტალისტების მიმართ საქმე აიხსნება, mutatis mutandis, სრულიად იმგვარადვე, როგორც I ქვედანაყოფში. ერთნი ჯერ კიდევ იმყოფებიან განძის შექმნის სტადიაში, ყიდიან, მაგრამ არ ყიდულობენ; სხვებმა უკვე მიაღწიეს კვლავწარმოების ნამდვილი გაფართოების პუნქტს, ისინი ყიდულობენ, მაგრამ არ ყიდიან. მართალია, თავდაპირველად დამატებითი ცვალებადი ფულადი კაპიტალი იხარჯება დამატებითს სამუშაო ძალაზე; მაგრამ მუშები საარსებო საშუალებებს ყიდულობენ მოხმარების დამატებითი საგნების — მუშების მოხმარებაში შემავალი საგნების—იმ მფლობელთაგან, რომელნიც ჯერ კიდევ განძს ქმნიან. ამ მფლობელთაგან ფული, მათ მიერ შექმნილი განძის შესაბამისად, უკან არ უბრუნდება თავის ამოსავალ პუნქტს; ისინი ფულს აგროვებენ.

«კაპიტალის» II ტომში დასახელებულ მნიშვნელოვან სახელთა საძიებელი

ა.

ადამსი, ვილიამ (Adams, william) (1797 — 1872) — 210,212.

არივაბენე, ჯიოვანი (Arrivabene, Giovanni) (1787 — 1881) — 551.

ბ.

ბარტონი, ჯონ (Barton, John) (XVIII საუკუნის დასასრული XIX საუკუნის დასაწყისი) — 281, 283, 491.

ბეილი, სამუელ (Bailey, Samuel) (1791 — 1870) — 130, 635.

ბეკუელი, რობერტ (Bakewell, Robert) (1725 — 1795) — 295.

გ.

გუდი, ვალტერ (Cood, W. Walter) — 293.

დ.

დ'ალამბერი, ჟან ლერონდ (D'Alembert, Jean le Rond) (1717 — 1783) — 94.

დესტიუტ-დე-ტრასი, ანტუან ლუი კლოდ, გრაფი (Destutt de Tracy, Antoine Louis Claude, Comte) (1754—1836)—558, 602, 604, 605, 606, 608, 609, 611, 613.

დიუპონ დე ნემურ, სამუელ (Dupont de Nemours, Pierre Samuel) (1739 — 1817) — 235.

ე.

ედმონდსი, თომას (Edmonds Thomas) (1803 — 1859) — 15.

ენგელსი, ფრიდრიხ (Engels, Friedrich) (1820 — 1895) — 23, 94, 149, 355, 467, 516, 522, 577, 593.

ვ.

ვილიამსი, რ. პ. (Williams, R. P.)— 209, 222.

ზ.

ზეტბერი, გეორგ ადოლფ (Soetbeer, Georg Adolph) (1814—1892)— 589.

კ.

კენე, ფრანსუა (Quesnay, François) (1694 — 1774) — 121, 162, 234, 236, 246, 450, 451, 453, 464.

კერი, ჰენრი ჩარლზ (Carey, Henry Charles) (1793 — 1879)—445.

კირხჰოფი, ფრიდრიხ (Kirchhof, Friedrich) — 221, 300, 304, 305, 307, 309, 319.

კორბეტი, თომას (Corbet, Thomas) — 171.

კურსელ-სენეილი, ჟან გუსტავ (Courcelle-Seneuil, Jean Gustave) (1813 — 1892) — 298.

ლ.

ლაველე, ემილ ლუი ვიქტორ (Laveleye, Emile Louis Victor de) (1822 — 1892) — 303.

ლავერნი, ლეონს დე (Lavergne, Léonce de) (1809 — 1880) — 295.

ლავუაზიე, ანტუან ლორან (Lavoisier, Antoine Laurent) (1743—1794) — 18, 20.

ლალორი, ჯონ (Lalor, John) (1814 — 1856) — 172, 175, 176.

ლარდნერი, დიონისე (Lardner, Dionysius) (1793 — 1859)—210, 211, 220, 222, 223.

ლასალი, ფერდინანდ (Lassalle, Ferdinand) (1825 — 1864) — 9.

ლენგე, სიმონ ნიკოლა ანრი (Linguet, Simon Nicolas Henri) (1736 — 1794) — 451.

ლე ტრონი, გიიომ ფრანსუა (Le Trosne, Guillaume François) (1728—1780) — 235.

ლისტი, ფრიდრიხ (List, Friedrich) (1789 — 1846) — 8.

მ.

მაბლი, გაბრიელ (Mably, Gabriel Bonnot de) (1709 — 1785) — 451.

მაკ კულოხი, ჯონ რამსეი (Mac Culloch, John Ramsey) (1789 — 1854) — 14, 308, 490.

მაკლეოდი, ჰენრი დენინგ (Macleod, Henry Dunning) (1821 — 1902) — 283.

მალთუსი, თომას რობერტი (Malthus, Thomas Robert) (1766 — 1834) — 553.

მარქსი, ჟენი (Marx, Jenny) (1814—1881) — 23.

მარქსი, კარლ (Marx, Karl) (1818—1883) — 1, 3, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 94, 189, 250, 281, 353, 385, 432, 433, 451, 519.

მარქს-ეველინგი, ელეონორა, (ტუსი) (Marx-Aveling, Eleanor (Tussy) (1855 — 1898) — 6, 8.

მეიერი, რუდოლფ ჰერმან (Meyer, Rudolf Hermann) (1839 — 1899)—7, 8.

მილი, ჯემს (Mill, James) (1773 — 1836) — 308, 635.

მილი, ჯონ სტიუარტ (Mill. John Stuart) (1806 — 1873) — 282, 491.

მიულერი, ადამ ჰენრიხ (Müller Adam Heinrich (1779 — 1829)—230.

ნ.

ნიუმენი, სამუელ ფილიპს (Newman, Samuel Philipps) (1797 — 1842) — 190.

ო.

ოუენი, რობერტ (Owen, Robert) (1771 — 1858) — 15.

პ.

პატერსონი, რობერტ (Patterson, Robert (1821 — 1886) — 283.

პრისტლეი, იოსებ (Priestley, Joseph) (1733 — 1804) — 17, 18, 20.

პრუდონი, პიერ ჟოზეფ (Proudhon, Pierre Joseph) (1809—1865)—7, 15, 490.

რ.

რამსეი, ჯორჯ (Ramsay, George) (1800—1871)—196, 283, 490, 491, 545, 548, 549.

რასელი, ჯონ, ლორდ (Russel, John, Lord) (1792—1878)—13.

რაუ, კარლ ჰაინრიხ (Rau, Karl Heinrich) (1792—1870)—8.

რევენსტონი, პირსი (Ravenston, Piercy) (გარდაიცვალა 1830 წელს)—16.

რიკარდო, დავიდ (Ricardo, David) (1772—1823)—12, 13, 14, 15, 16, 19, 21, 22, 185, 267, 269, 270, 272, 277, 278, 281, 371, 489, 603.

როდბერტუსი, იოჰან კარლ (Rodbertus, Johann Karl) (1805—1875)—7, 9, 11, 13, 15, 16, 19, 20, 22, 516.

როსკო, ჰენრი ენფილდ (Roscoe, Sir Henry Enfield) (1833—1915)—17.

როშერი, ვილჰელმ (Roscher, Wilhelm) (1817—1894)—468.

ს.

სეი, ჟან ბატისტ (Say, Jean Baptiste) (1767—1832)—185, 490, 553.

სენიორი, ნასაი ვილიამ (Senior, Nassau William) (1790—1864)—551.

სისმონდი, ჟან შარლ ლეონარდ სიმონდ დე (Sismondi, Jean Charles Léonard Simonde de) (1773—1842)—20, 136, 173, 491, 553.

სკროპი, ჯორჯ იული პულეტ (Scrope, George Julius Poulett) (1797—1876)—231, 233.

სმიტი, ადამ (Smith, Adam) (1723—1790)—3, 6, 11, 14, 16, 172, 173, 206, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266, 267, 269, 272, 282, 432, 451, 453, 454, 455, 456, 457, 458, 459, 461, 462, 463, 464, 465, 466, 467, 469, 470, 471, 472, 473, 474, 476, 477, 479, 480, 481, 482, 483, 487, 488, 489, 490, 491, 513, 535, 545, 549, 596, 598, 612, 620.

სტიუარტი, ჯემს (Steuart, James) (1712—1780)—10.

ტ.

ტეილორი, ედუარდ ბენეტ (Tylor, Edward Bunnett (1832—1917)—551.

ტიურგო, ანნ რობერტ (Turgot, Anne Robert) (1727—1781)—235, 428, 452.

ტომპსონი, ვილიამ (Thompson, William) (1785—1833)—15, 403, 406.

ტუკი, თომას (Tooke, Thomas) (1774—1858)—137, 412, 414, 594, 596, 597, 600.

უ.

უილენდი, ფრენსის (Wayland, Francis) (1796—1865)—280.

ფ.

ფიცმორისი (Fitzmaurice)—220.

ფულარტონი, ჯონ (Fullarton, John) (1780—1849)—625.

ჩ.

ჩალმერსი, თომას (Chalmers, Thomas) (1780—1847)—191.

ჩუპროვი, ალექსანდრე ივანეს-ძე (1842—1908)—64.

შ.

შელე, კარლ ვილჰელმ (Scheele, Karl Wilhelm) (1742—1786)—17, 18.

შერბიულიე, ანტუან ელიზე (Cherbuliez, Antoine Elisée) (1797—1869)—491.

შეფლე, ალბერტ ებერგარდ ფრიდრიხ (Schäffle, Albert Eberhard Friedrich) (1831 — 1903) — 7, 639.

შორლემერი, კარლ (Schorlemmer, Karl) (1834—1892)—17.

შტაინი, ლორენც (Stein, Lorenz Von) (1815—1890) —200.

შტორხი, ჰაინრიჰ ფრიდრიჰ (Storch, Heinrich Friedrich) (1766 — 1835)—184, 491, 545.

ჰ.

ჰოდსკინი, თომას (Hodgskin, Thomas) (1787—1869)—15, 16, 302.

ჰოლდსვორთი, ვ. ა. (Holdsworth, W. A.)—213, 219.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისაგან	III
წინასიტყვაობა	1

წიგნი მეოთხე

კაპიტალის მიმოქცევის პროცესი

განყოფილება პირველი

კაპიტალის მეტამორფოზები და მათი წრებრუნვა

თავი პირველი. ფულადი კაპიტალის წრებრუნვა	27
I. პირველი სტადია: ფ—ს	28
II. მეორე სტადია: მწარმოებლური კაპიტალის ფუნქცია	38
III. მესამე სტადია: ს—ფ	43
IV. ერთიანი წრებრუნვა	56
თავი მეორე. მწარმოებლური კაპიტალის წრებრუნვა	76
I. მარტივი კვლავწარმოება	77
II. დაგროვება და კვლავწარმოება გაფართოებული მასშტაბით	94
III. ფულის დაგროვება	99
IV. სარეზერვო ფონდი	102
თავი მესამე. საქმონლური კაპიტალის წრებრუნვა	105
თავი მეოთხე. წრებრუნვის პროცესის სამი ფიგურა	122
ნატურალური, ფულადი და საკრედიტო მეურნეობა	—
მოთხოვნისა და წინადადებების დაფარვა	—

თავი მეხუთე. მიმოქცევის დრო 148
თავი ნეექვსე. მიმოქცევის ხარჯები 159

I. მიმოქცევის წმინდა ხარჯები . . . . . —
1. ყიდვისა და გაყიდვის დრო . . . . . —
2. დავთარწარმოება 164
3. ფული 167
II. შენახვის ხარჯები 168
1. მარაგის შექმნა საერთოდ 169
2. საკუთრივ საქონლის მარაგი 177
III. ტრანსპორტის ხარჯები 183

განყოფილება მეორე

კაპიტალის გადაბრუნება

თავი მეშვიდე. გადაბრუნების დრო და გადაბრუნების რიცხვი . . 188
თავი მერვე. ძირითადი კაპიტალი და საბრუნავი კაპიტალი . . 195

I. ფორმის განსხვავებანი . . . . . —
II. ძირითადი კაპიტალის შემადგენელი ნაწილები, ანაზღაურება, რემონტი, დაგროვება 208

თავი მეცხრე. ავანსებული კაპიტალის ერთობლივი გადაბრუნება. გადაბრუნების ციკლები 225

თავი მეათე. თეორიები ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის შესახებ. ფიზიოკრატები და ადამ სმიტი 234

თავი მეთერთმეტე. თეორიები ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის შესახებ. რიკარდო 268
თავი მეთორმეტე. საშუშაო პერიოდი 284
თავი მეცამეტე. წარმოების დრო 297
თავი მეთოთხმეტე. მიმოქცევის დრო 310
თავი მეთხუთმეტე. გადაბრუნების დროის გავლენა ავანსად გასაღები კაპიტალის სიდიდეზე 321

I. სამუშაო პერიოდი უდრის მიმოქცევის პერიოდს . . . 333
II. სამუშაო პერიოდი მიმოქცევის პერიოდზე უფრო დიდია . 338
III. სამუშაო პერიოდი მიმოქცევის პერიოდზე ნაკლებია . . 343
IV. შედეგები 348
V. ფასების ცვლილების გავლენა 355
თავი მეთექვსმეტე. ცვალებადი კაპიტალის გადაბრუნება . . . 366

I. ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა . . . . . —
II. ცალკეული ცვალებადი კაპიტალის გადაბრუნება . . . 385
III. ცვალებადი კაპიტალის გადაბრუნება საზოგადოებრივი თვალსაზრისით 391

თავი მეჩვიდმეტე. ზედმეტი ღირებულების მიმოქცევა 399

I. მარტივი კვლავწარმოება 406
II. დაგროვება და გაფართოებული კვლავწარმოება 431

განყოფილება მესამე

საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის კვლავწარმოება და მიმოქცევა

თავი მეთვრამეტე. შესავალი 439

I. გამოკვლევის საგანი . . . . . —
II. ფულადი კაპიტალის როლი 443

თავი მეცხრამეტე. წინანდელი წარმოდგენანი საგანზე 450

I. ფიზიოკრატები . . . . . —
II. ადამ სმიტი 454

1) სმიტის ზოგადი დებულებანი . . . . . —
2) სმიტის მიერ საცვლელი ღირებულების დაშლა 464
3) კაპიტალის მუდმივი ნაწილი 468
4) კაპიტალი და შემოსავალი ა. სმიტის სისტემაში . . . 474
5) დასკვნები 483

III. შემდგომდროინდელი ეკონომისტები 489

თავი მეოცე. მარტივი კვლავწარმოება 492

I. საკითხის დაყენება . . . . . —
II. საზოგადოებრივი წარმოების ორი ქვედანაყოფი . . . 496
III. გაცვლა ორ ქვედანაყოფს შორის: I (v+m)-ის გაცვლა II-ზე . 499
IV. გაცვლა II ქვედანაყოფის ფარგლებში. აუცილებელი საარსებო საშუალებანი და ფუფუნების საგნები 505
V. ფულის მიმოქცევა როგორც გაცვლის მოსაშუალე რგოლი . 517
VI. I ქვედანაყოფის მუდმივი კაპიტალი 530
VII. ცვალებადი კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება ორივე ქვედანაყოფში 534
VIII. მუდმივი კაპიტალი ორივე ქვედანაყოფში 538
IX. უკუგადახედვა ა. სმიტსა, შტორხსა და რამსეზე . . . 545
X. კაპიტალი და შემოსავალი: ცვალებადი კაპიტალი და ხელფასი 549
XI. ძირითადი კაპიტალის ანაზღაურება 564

1) გაცვეთით გამოწვეული ღირებულების დანაკლისის ანაზღაურება ფულადი ფორმით 568
2) ძირითადი კაპიტალის ანაზღაურება 574
3) შედეგები 586

XII. ფულის მასალის კვლავწარმოება 589
XIII. დესტიუტ დე-ტრასის კვლავწარმოების თეორია . . . 602

თავი ოცდამეერთე. დაგროვება და გაფართოებული კვლავწარმოება 614

I. დაგროვება I ქვედანაყოფში 617
1) განძის შექმნა . . . . . —
2) დამატებითი მუდმივი კაპიტალი 622
3) დამატებითი ცვალებადი კაპიტალი 629
II. დაგროვება II ქვედანაყოფში 630
III. დაგროვების სქემატური გამოსახვა 635
1) პირველი მაგალითი 640
2) მეორე მაგალითი 644
3) II_c ანაზღაურება დაგროვებისას 651
IV. დამატებითი შენიშვნები 654

«კაპიტალის» II ტომში დასახელებულ მნიშვნელოვან სახელთა საძიებელი 656

ფოტოილუსტრაციები

«კაპიტალის» II ტომის მეორე გერმანული გამოცემის გარეკანი V
კ. მარქსის «კაპიტალის» II ტომის ხელნაწერის გვერდის ფაქსიმილე . . 57
ფაქსიმილე «კაპიტალის» II ტომის ხელნაწერის გვერდისა, რომელიც რედაქტირებული და გადაწერილია ფ. ენგელსის მიერ 61
«კაპიტალის» მეორე ტომის პირველი ქართული გამოცემის თავფურცელი . 153

გადაეცა წარმოებას 13/III-1956 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 10/IV-1957 წ. ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 10$.
ქაღალდის ზომა $60 \times 92^1/_{16}$. ნაბეჭდი თაბახი 42,125.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 38,54. ტირაჟი 25.000.
შეკვ. № 254. ფასი 11 მან.

*

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

*

**1- я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.**

К. МАРКС

КАПИТАЛ

Т. II

(На грузинском языке)
Госиздат Грузинской ССР
Тбилиси 1957